ეროვან-შაგრიანი

ბლეხაცის ისტორია

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი–1959

თარგმანი

ივანე მაჭავარიანისა

საერო კრება

1789

I

ბევრს დაუწერია იმ კურთხეული დროის ამბავი, როდესაც 1789 წელს ხალხი და მოქალაქენი კეთილშობილთ გაუმკლავდნენ. ბევრს დაუწერია, მაგრამ ისინი სწავლულები იყვნენ, წარჩინებულნი და წუთისოფელს ზემოდან დაჰყურებდნენ ბატონკაცურად, მე კი ერთი მოხუცებული გლეხკაცი გახლავართ და ჩემებურად, მდაბიურად მოგითხრობთ ჩვენს საქმეებს; უმთავრესი ის არის, კაცმა საკუთარ საქმეს მოუაროს; რაც ჩემი თვალით მინახავს და რაც ვიცი, ის უნდა გამოვიყენო კიდეც.

მოგეხსენებათ, 1789 წლამდე ფალსბურგის საბატონოზედ ხუთი სოფელი იყო მიწერილი: ვილშბერგი, მიტტელბრონი, ლუტცელბურგი, ჰალტენჰაუზენი და ჰაცელბურგი. ისიც გეცოდინებათ, რომ მოქალაქენი და ვილშბერგელები და ჰაცელბურგელები თავისუფალნი იყვნენ და დანარჩენი სამი სოფლის მცხოვრებნი, კაცი თუ ქალი, ყმები იყვნენ და საბატონო მიწაწყალს ვერსად წაუვიდოდნენ, მანამ მოურავისაგან ნებას არ აიღებდნენ.

მოურავის ხელთ იყო ჩვენი ბედ-იღბალი, ის იყო ჩვენი მსაჯული, ჩვენი ბატონი და პატრონი; მოურავს ნება ჰქონდა განესაჯა ადამიანი და მისი საქციელი, დაესაჯა იგი და წამებაც კი მიეყენებინა.

დამნაშავეს სამამასახლისოსთან მიიყვანდნენ ხოლმე, — ეხლა იქ სკოლა გახლავთ, — და დაუწყებდნენ კითხვას; ვაი იმის ბრალი, თუ გაჯიუტდებოდა და არ გამოტყდებოდა: ისეთი ხმით აღრიალებდნენ გზირი და ჯალათი, რომ საბრალოს ყვირილი მოედანზედ ჩამოდიოდა. მერე, ბაზრობა დღეს, საღრჩობელას ამართავდნენ ზედ

შუა მოედანზედ, დიდი მუხების გვერდით და ჯალათს მიუგდებდნენ — ახლა შენ იციო. იმანაც მართლა და კარგად იცოდა თავის საქმე: საწყალ კაცს თოკს რომ გადუგდებდა კისერზედ, თითონაც მხრებზედ შეაჯდებოდა — ცოცხალი არ გადარჩესო.

გულქვა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ იმ დროში ავი გაეგებედნა რამე.

ფალსბურგს საბაჟო ჰქონდა. ამ საბაჟოს ვერავინ ასცდებოდა და რაც უნდა ყოფილიყო — შალი, მატყლი თუ სხვა რამ ამგვარი — ურემზედ მ ა ნ ე თ ს გვახდევინებდნენ. ფიცარზედ, ბოძზედ, სარზედ, მარგილზედ, ურემზედ ა ბ ა ზ ი იყო გადასახადი; აბრეშუმზედ, ხავერდზედ, ძვირფას მაუდზედ — თ უ მ ა ნ ს გვართმევდნენ; საპალნიან ცხენზედ ორი შაური იყო; ხურჯინიან კაცზედ — ნახევარ შაური; სახედარის საპალნე თევზზედ — ათი შაური, ერბოზედ, კვერცხზედ, ყველზედ, სახედარის საპალნეზედ — ექვსი შაური, თითო ქვა მარილზედ — სამი შაური, ერთ კოდ პურზედ ან ქერზედ — სამი შაური, ღორზედ და ცხვარზედ — ნახევარ შაური და სხვ.

ისე რომ ქალაქელი კაცი ვერც საჭმელ-სასმელს იყიდდა, ვერც ტანსაცმელს შეიძენდა, მანამ მებატონეს თავისას არ მიართმევდა: საბაჟო, რასაკვირველია, მებატონესი იყო.

საბაჟოს დავახწევდით თავს და შიგ ქალაქში უარესი მოგველოდა: ყველა მედუქნე, ყველა მოვაჭრე, შიგ ფალსბურგში იქნებოდა თუ სოფელში სადმე, ვალდებული იყო ყოველ ნაყიდ ან გაყიდულ რუმბ ღვინოზედ ექვსი თუნგი საბატონოდ გადაეცა. მამულს იყიდდა ვინმე, ან სახლ-კარს, ას თუმანზედ ხუთი ბატონისთვის უნდა მიერთმია; მემკვიდრეობა დარჩებოდა ვისმე, ას თუმანზედ ხუთი ბატონისა იყო. რამდენიც უნდა გაყიდულიყო პური, ქერი, სიმინდი და სხვა ჭირნახული ქალაქის მოედანზედ, კოდზედ ნახევარ შაური ბატონისა იყო.

წელიწადში სამჯერ — სააღდგომოდ, საშობაოდ და საახალწლოდ მოედნის ქირას აგროვებდნენ ბატონის სასარგებლოდ.

ქირას გვახდევინებდნენ აგრეთვე მოედნის და სასწორისას. ათ ლიტრაზედ შაური უნდა მიგვერთმია.

საჩივარს დავიწყებდით რასმე და სულ ტყავს გაგვაძრობდნენ: მოურავთან ვიჩივლებდით, ჯარიმას გადაგვახდევინებდა; ბატონს ვეახლებოდით, კარისკაცნი უარესს გვიშვრებოდნენ. საქონელს გავრეკდით სადმე, საძოვარს გადაგვახდევინებდნენ; ღორს გავიჩენდით, ბატონის ტყეში რკოსა სჭამსო, ტ ყ ი ს ქ ი რ ა ს გვართმევდნენ, შეშას გამოვიტანდით ტყიდან — სალბაშს გადაგვახდევინებდნენ;

ხელობას ვისწავლიდით რასმე, ბატონის მუშა უნდა ვყოფილიყავით. მამულს ხომ თავისი ღალა ედო — ყოველი მოსავლის მეათედი: ამ მეათედიდან ორი წილი ბატონისა იყო და მესამედი ბერებისა. გარდა ამისა პურზედ კიდევ ცალკე გვართმევდნენ ღალას — მეათედსავე; ეს ბერებისთვის იყო დაწესებული, მაგრამ ბატონს შეშურებოდა და წაერთმია — ეკლესიას ჩემი თავი მირჩევნიაო.

და ახლა, თუ გნებავთ გაიგოთ — როგორ დაემონავებინა იმოდენა ხალხი ჩვენს ბატონს და როგორ მიესია საწყალ მუშა კაცისთვის თავის მოურავები, გზირები, ჯალათები და კარისკაცები, ამასაც მოგახსენებთ. ამ ორასი წლის წინად ჩვენი ქვეყანა ხელმწიფეს ერთ ბავარიელ თავადისთვის უწყალობებია. მაშინ თურმე არც სადმე მებატონე ცხოვრობდა, არც მუშა ხალხი და არც გზები იყო; უდაბური ტყე იყო თურმე და თავადიშვილს გროშისოდენი სარგებლობაც არა ჰქონდა იმოდენა მამულიდან. ადგა და ალზასში და ლორენში ხმა დააგდო: „ვისაც შრომა უნდა და მკლავიც უჭრის, ჩემს ტყეში დასახლდეს და ბედსა ვწევო: მამულს მივცემ, გარდასახადს არას გამოვართმევ და ისე ვაცხოვრებ, რომ სულ ქუდს ჭერში ისროდესო; ჩემთვის კი არა ვზრუნავ, ჩემი პირადი სარგებლობისთვის... ღმერთმა დამიფაროს! მე ღვთისა და კაცის მომადლიერებასა ვცდილობო. საფრანგეთის და ალზას-ლორენის გზები ზედ ფალსბურგზედ გადის; ყოველი მგზავრი, ვაჭარი და ხელოსანი — მეურმე, მჭედელი, დურგალი თუ მეჭურჭლე ფალსბურგში უნდა გაჩერდეს და იქვე გაშალოს თავის სავაჭრო, როგორადაც ყოველმა სირაჯმა, ფეიქარმა, მეიარაღემ და. სხვ. ჰო და, რადგან ჩემი სულისთვის ვიღწვი და ღვთის სადიდებლადაო, ვინც ფალსბურგში დასახლდება, არც ღალას გადავახდევინებ, არც რამე ხარჯსაო; შენობისთვის მასალას მუქთად ვუწყალობებ; ეკლესიას ავუშენებ, რომ სიტყვა ღვთისა მოისმინონო; სკოლისთვის სახლს ავუგებ, რომ ბავშვებს ჭეშმარიტი სარწმუნოება ასწავლონ, რადგან მოზარდი თაობის გონება ხნულია, რომელშიაც შეიძლება იმისთანა საუცხოვო ყვავილი მოვიყვანოთ, რომ მის სუნნელება ცასაც ახარებდეს და დედამიწასაცაო“.

კიდევ ბევრი რამ აღუთქვა თურმე — ისეთ თავისუფლებას დაჰპირებოდა, რომ ეს ამბავი მთელს ქვეყანას მოსდებოდა და საიდან გინდა, რომ არ წამოსულიყვნენ ამ სამოთხისდარ ტყეში დასასახლებლად. სახლები აიშენეს, ტყე გაჩეხეს, ახოები გატეხეს და დახნეს, გზები გაიყვანეს; ერთი სიტყვით უდაბურ ტყეს ფასი დასდვეს. რაც აქამდე უსარგებლოდ ეგდო, ახლა ძვირფას მამულად იქცა!

ადგა ის თავადიშვილი და მთელი თავისი მამული—ტყე-ღრე,

მიწები და მცხოვრებნი თავიანთი სახლ-კარით და საქონლით ლორენის მებატონეს მიჰყიდა!.. ორმოციათასი ოქრო აიღო თურმე. რა ექნა? ის მარტო ღვთისა და კაცის მომადლიერებას ცდილობდა და თავის სულისთვის იღვწოდა და არა ჯიბისთვის! მოსახლეთა უმეტესი ნაწილი ლუტერის სჯულისანი იყვნენ, რადგან თავადმა გამოუცხადა — ჩემს მამულში სრული თავისუფლება ექნება ყველა სარწმუნოებასაო; მერე რაკი ამოდენა ოქრო ჩაიჩხრიალა ჯიბეში, სარწმუნოებაც დაავიწყდა და თავის დაპირებაც; და ახალმა ბატონმა — მე ხომ არაფერს დაგპირებივართო, — თავისი კაცები შემოუსია ფალსბურგელებს — აბა, კათოლიკობა მიიღეთ, თორემ ვინც გაკერპდება და თავისებურად ილოცავს ღმერთს, ჩვენი მამულიდან განვდევნით და, რაც კი სარჩო-საბადებელი აქვს, ჩვენდა`სასარგებლოდ წავართმევთო!

ბევრმა დაუტევა მაშინ ლუტერანობა; ზოგმა კი სარწმუნოება ირჩია და აიყარნენ საწყლები — კაცი, ქალი, ბალღი და მიდიოდნენ წიალ-წიალით.

რაკი ამ მხრივ ყველაფერი რიგზედ მოიყვანა, ბატონმა ბრძანება გასცა: ჩემს ერთგულს და გულითად საყვარელ ყმებს ვთხოვ, ცოტა რამ დახმარება გამიწიონ, რომ ფალსბურგის ციხეები გავამაგროვო. შემოუსია ხალხს მოურავები და ქუდზედ კაცი გაიყვანეს სამუშაოდ თავიანთ ურმებით და საქონლით. ქალაქს გალავანი შემოავლეს, საფრანგეთის და გერმანიის მხრივ დიდრონი კარები გაუკეთეს; საშენებლად სულ თლილ ქვასა ხმარობდნენ. მთელს გალავანს გარედან გარშემო წყლით სავსე თხრილი შემოუვლეს. შიგ ქალაქში მშვენიერი პალატი ააგეს — აქ სასამართლო იქნება, რომ ობოლი და ქვრივ-ოხერი არავინ დასჩაგროსო; ეკლესია ააშენეს — მღვდელი ძმობასა და ერთობას გვიქადაგებსო — და ზედ ეკლესიის გვერდით გააკეთეს სახლი მოძღვარისთვის, რომ თვალ-ყური ეჭიროს თავის სამწყსოზედაო; ბოლოს მოედანი მოაწყეს, რომ ყური ეგდოთ—ვინ რასა ჰყიდდა და ყველაფერზედ გადასახადი დაედოთ. რაკი ასე კარგად მოაგვარა საქმე, ბატონმა თავისი კაცები გამოგზავნა და დაგვადო ხარჯი, ბეგარა, ღალა, კულუხი სხვადასხვა გადასახადი და ჯარიმა... რაც კი სურდათ, ვინ იყო პატრონი? და მუშაობდა საწყალი ხალხი, მუშაობდა 1583 წლიდან 1789 წლამდე, სულ წელებზედ ფეხს იდგამდა და წელები კი სიმშილით ეწოდა; მუშაობდა საწყალი ხალხი ლორენის მებატონისთვის, მუშაობდა მარტო იმიტომ, რომ ვიღაც გერმანელი თავადისთვის დაპირება დაეჯერებინა და მის მამულში დასახლებულიყო.

ამავე დროს მებატონემ ქალაქში სხვადასხვა ამქრები დააწესა

და მით უფრო შეავიწროვა ხალხი. ყველა ხელოსანი ამქრებად შედგა და, ვაი იმის ბრალი, ვინც ამქარში არ იყო: ლუკმა პურს ვერ იშოვიდა, რადგან ამქარს გარეშე მუშაობის ნება არა ჰქონდა. ხელოსნები კიდევ ამქარში — ერთმანეთში წინადვე შეთანხმდებოდნენ და იმ ფასს თხოულობდნენ, რაც სურდათ.

ხელობის სწავლას სამს, ოთხს და ხშირად ხუთ წელიწადსაც ანდომებდნენ. მერე ამოდენი ხნის შეგირდობის შემდეგ ოსტატისთვის ფული უნდა მიერთმიათ, თორემ თავის დღეში არ დალოცავდა. და რაკი დაილოცებოდა და ამქარში შევიდოდა, თითონაც ისე იქცევოდა, როგორც მას ექცეოდნენ: სულ ტყავს აძრობდა შეგირდებს.

დღეს რომ ხედავთ, აგეთი კი არ იყო ქალაქი. მართალია ძველი ქუჩები, ძველი თლილი ქვით აგებული შენობები უცვლელად დარჩა, მაგრამ ერთ სახლსაც ვერსად ნახავდით, რომ ცოტაც არის შნოიანი ყოფილიყო. უბრალოდ გალესილი სახლები იცოდნენ, წვრილწვრილი კარებით და ფანჯრებით. დუქნებს პატარა თაღები ჰქონდა და ზოგან თერძს დაინახავდით თავის ტახტზედ მოკეცილს, ზოგან ფეიქარს, ზოგან ხარაზს...

საზიზღარი რამ იყვნენ მაშინდელი ჯარისკაცნი; ვითომ ქალაქს ამაგრებენო, მაგრამ ნამდვილად კი იმიტომ ჰყავდა მეგატონეს, რომ ხალხის აჯანყებისა ეშინოდა. დღეში ერთხელ აჭმევდნენ პურს. დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა და ნასუფრალს აგროვებდნენ, რომ უბედურ ჯარისკაცებს საჭმელ-სასმელი ჰქონოდათ რამე. ეს ძველი ამბავი კი ნუ გგონიათ: სულ რამდენიმე წელიწადიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ეს სამარცხვინო წესი გადავარდა და 1789 წელიც დადგა.

უბედური იყო ხალხი: გამხდარი, გაყვითლებული, ღარიბ-ღატაკი; ერთი კაბა დედასაც ეცვა, შვილსაც, შვილიშვილსაც; ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც თვალის სინათლეს.

ქუჩას მოკირწყლულს სადა ნახავდით და ღამე სანათი ხომ სიზმრადაც არავის ენახა. ფანჯრებს შუშის ნაცვლად გაქონილი ქაღალდი ეკრა...

ირგვლივ ყველგან სიღარიბე, შიმშილი... და იქვე ოქრომკედით მოსილი ბატონის შვილები, მოურავი და მათი მხლებლები, თავით ფეხამდე ვერცხლითა და ოქროთი შემკულნი, მძიმედ შეიარაღებულნი, თითქო აგერა საომრად მიდიანო.

დამშეული ხალხის კვნესა-გოდება... და იქვე ქუბივით ჩასუქებული ბერები! თითქმის ტიტველნი, უპერანგონი, მეტი ღვინისაგან ცხვირპირ ალეწილნი თავიანთ მხიარული ღიღინით, მეტადრე როდესაც სურსათით დატვირთულნი მონასტრისაკენ მიბრძანდებოდნენ.

ისე მახსოვს ყველაფერი, თითქო გუშინ იყოვო, და ღმერთს მადლობას ვწირავ: გმადლობ შენ, ღმერთო, რომ დაჩაგრულ ხალხს იმდენი გრძნობა და შეძლება მიეცი, რომ წამოიწია და უღელი მოიხსნა. ღმერთო, რა უბედურნი ვიყავით! განა მარტო ქალაქში, სოფელში უარეს დღეში ვიყავით. ვისაც თავის თვალით არ უნახავს, ვერც კი წარმოიდგენს — რა გაჭირვებაში იყო გლეხკაცი. რასაც მოქალაქე იხდიდა, იმასვე ახდევინებდნენ გლეხკაცსაც და გარდა ამისა ათასი ბეგარა და ღალა სხვა ედო· განა სოფელს ნახავდით, რომ ან საბატონო, ან საეკლესიო არა ყოფილიყო! ჰო და რომ ვმუშაობდით — ან საბატონოდ ვმუშაობდით, ან საეკლესიოდ. გლეხკაცს თავისთვის მარტო ხრიოკებიღა რჩებოდა.

მერე იმ ხრიოკსაც ისე ვერ მოიხმარებდა საწყალი კაცი, როგორც უნდოდა; სახნავი სახნავად უნდა დარჩენილიყო, საძოვარი საძოვრად; ახალს ხომ ვერაფერს გააჩენდა. საძოვარი რომ მოეხნა, მონასტერს ღალა დააკლდებოდა, სახნავს დასტოვებდა საბალახედ და ბატონს დააკლდებოდა; თუ არა-და შერეკავდა ბატონი თავის საქონელს და მოაძოვებდა. გლეხკაცის მიწაში რაც ხეხილი იყო, სულ საბატონოდ იყიდებოდა, თითონ ხელს ვერას ახლებდა; იმას მარტო თვალი უნდა სჭეროდა და თუ გახმებოდა რამე, სამაგიეროდ ახალი უნდა დაერგა და ეხარებინა. ჭირნახულს აჩრდილებდნენ ეს ხეები, მიწას ასუსტებდნენ, თავიანთ ფესვებით ხვნას აძნელებდნენ, მაგრამ გლეხკაცი თევზივით მუნჯად უნდა ყოფილიყო.

ამასთან მებატონეებს ნადირობა უყვარდათ—შესხდებოდნენ ცხენებზედ, გაირეკავდნენ ქორ-მეძებრებს და დაერეოდნენ ყანებს — ისე ააოხრებდნენ, ისე გასთელავდნენ, საცა კი გაივლიდნენ, გეგონებოდა მტერი შემოსევია ქვეყანასაო. გლეხკაცს კი აკრძალული ჰქონდა ნადირის მოკვლა: თავის ვენახში რომ კურდღელი მოეკლა — ნადირი ბატონისა იყო — წუთისოფელს გამოასალმებდნენ.

გლეხკაცი კი არა, გლეხკაცისა საქონელიც კი დევნილი იყო. დილით ჯერ ბატონისა და მონასტრის საქონელი გავიდოდა მინდორში და მერე, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ, სოფლის ნახირი მისდევდა უკან და, რასაკვირველია, მშიერი რჩებოდა.

ყველა მებატონეს და მონასტერს აუარებელი მტრედი ჰყავდა; კალიასავით მოედებოდნენ მტრედები ყანებს და საწყალ კაცს დღიურის მაგივრად ორი დღისა უნდა ეხნა, თუ უნდოდა რომ ცოლშვილი შიმშილით არ ამოსწყდომოდა.

გარდა ამისა ყოველ გლეხკაცს უნდა მიერთმია ბატონისთვის წლის განმავლობაში 15 ჩანახი შვრია, ათი დედალი, სამოცდაათხი კვერცხი; სამი დღე თავად უნდა მოხმარებოდა ბატონს, სამ-სამი

დღე კიდევ ყოველი თავის შვილის ან საქონლისა და ურმის მაგიერ. როგორც კი სასახლიდან ზარის ხმას გაიგონებდა, უნდა ავარდნილიყო და გაეთიბნა ბატონის საბალახე, ბალახი გაეშალა, გაეხმო და თივა ჯაურებად დაედგა, თუ არა და ააწიოკებდნენ, დედა-ბუდიანად აიკლებდნენ; ბატონი რომ შენობას დაიწყებდა რასმე, გლეხკაცს თავის საქონლით უნდა მიეზიდნა საჭირო ქვა, ხე-ტყე, კირი. ბატონიც თავის წყალობას არ აკლებდა და, როცა ამუშავებდა, გლეხკაცს დღეში ერთ ჭადს აძლევდა და ერთ თავ ხახვსა.

ეს იყო ბატონყმობა.

იქნება არც კი დამიჯეროთ — სასოფლო თორნე გექონდა, სასოფლო წისქვილი, სასოფლო საწნახელი და ყველას იქ უნდა გვეცხო პური, ყველას იქ უნდა გვეფქვა და გვეწურნა; და რასაკვირველია, ქირასაც კარგს გვახდევინებდნენ. იქნება არ დამიჯეროთ, საცა კი საქონელს დავკლავდით—ტყავი ბატონის ჯალათისა იყო; საცა კი საქონელი დაგვეჩეხებოდა, ან დაგვეხოცებოდა, ტყავი მაინც იმისი იყო. და ამოდენა გადასახადს ბოლოს მოსდევდა მეათედი, რომელიც ძირს უთხრიდა უიმისოდაც გაღატაკებულ გლეხკაცის ოჯახს: მოსავლის მეათედი მღვდელს მიჰქონდა. ის არა კმაროდა გლეხკაცისთვის, რომ თავისი ოფლით იმოდენა ბერებს აცხოვრებდა, არა! მეათედიც გაიღე, შენ მაგდენი რად გინდაო!

ვინ მოსთვლის? ყველა რომ მომაგონდეს, რასაც საწყალი გლეხკაცი იხდიდა, მგონი ჩემს დღეშიც ვერ გავათავო.

ისე აწუხებდნენ უბედურს, გეგონებოდათ ბატონმა და სამღვდელოებამ პირობა შეკრეს — გლეხკაცობა ამოვწყვიტოთო — და რას არ ხჩადიოდნენ, რომ მართლა უკიდურესობამდის მიეყვანათ ის ბედშავი, ისა!

მაგრამ ეგ კიდევ არა კმარა, გლეხკაცს ჯერ ისევ სული უდგასო! მანამ გერმანიისა იყო ლორენი, საქონელსავით ქედმოხრილნი ვმუშაობდით და იმოდენა სამსახურს მაინც ვერ ავდიოდით: ბატონსაც ვემსახურებოდით, მოურავსაც, ბატონის კაცსაც, მღვდელსაც, ბერსაც, მონოზანსაც. მაგრამ ლორენი რომ საფრანგეთს შეუერთდა, უარესი დღე დაგვადგა. იმოდენა გაჭირვებას კიდევ ახალი ჭირი მოემატა: მეფის სასარგებლოდ დაგვადეს ხარჯი — სამ-სამი აბაზი თითო შვილზედ და მეოცედი მთელი წლის მოსავლისა; ოღონდ მოსავლიდან ჯერ ბატონი წაიღებდა თავისას, მერე მღვდელი, მერე ბერი და დანარჩენიდან — გლეხის წილიდან მეოცედს კიდევ მეფისთვის გვახდევინებდნენ: მოგეხსენებათ მებატონეები და სამღვდელოება არავითარ ხარჯს არ იხდიდნენ. მერე ხარჯი დაადეს თამბაქოს, და ასე გასინჯეთ მარილსაც კი... ამ ხარჯსაც მარტო ჩვენ

ვიხდიდით, თორემ მებატონეს და სამღვდელოებას ვინ რას გაუბედავდა?

კიდევ კარგი რომ საქმეზედ გამოეყენებინათ რაზედმე! ხომ იმოდენა სარჩო შეჰქონდათ მებატონეებს, ბერებს და მონოზნებს—საცა კარგი მამული იყო, იმათი იყო, საცა კარგი მოსავალი იყო, იმათი იყო, ჩვენი მარტო შრომა იყო: უნდა მოგვეხნა, დაგვეთესა, მოგვემკო და ჭირნახული კი მებატონესთვის მიგვერთმია. დიაღ, იმას მოგახსენებდით—კიდევ კარგი რომ საქმეზედ მოეხმარებინათ თავიანთი სიმდიდრე — ან გზები გაეყვანათ, ან რუები გაეჭრათ, ან ჭაობი დაეშროთ, ან მამული გაეპატიურებინათ, სკოლები აეშენებინათ და საავადმყოფო სახლები, მაშინ კიდევ ჰო — რაღა გვეთქმოდა; მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ თავიანთი თავისა და პირადი სიამოვნების გარდა არა სწამდათ რა. ლუი როანელმა იცოდა—ხომ კარდინალი იყო და სულიერი მამა მთელი ქვეყნისა,—სავერნში ისეთ ქეიფს ეწეოდა, რომ ერისკაცს გაუჭირდება; გადაჰკრავდა ნუნუას და... მუშაკაცი დასანახავად ეჯავრებოდა და ვაი იმის ბრალი, ვინც ერთი დღის სავალზედ არ აუქცევდა გზას — მიახვევდა თავის მხლებლებს და სულ ტყავს გააძრობდნენ ხოლმე. მებატონეებმა იცოდნენ, მთელი ქვეყნის ხოხობს გაიჩენდნენ; ნაფუზრებს ქვითკირით შემოჰღობავდნენ, ზედ შუშის ჭერს დახურავდნენ და თურინჯის ხეებს ინახავდნენ; ბაღებს მარმარილოს ნაქანდაკევებით ამკობდნენ, ყველგან ჩახრუელას მართავდნენ—მეფეს ვერსალში ასე აქვს და ჩვენც უნდა გვქონდესო. ქვეყნის ფულებსა ხარჯავდნენ უნამუსო ქალებზედ. სულ დიბა-ატლასით მორთული დაჰყავდათ ურცხვად, თითქო მაჰმადიანები იყვნენ და ცოლებს ხელსახოცივით იცვლიდნენო. საცა ქვას ფეხს წამოჰკრავდით, ბერი წამოვარდებოდა: დამშეული მგლებივით დაწანწალებდნენ სოფელ-სოფელ — ხედავთ, რა გლახაკნი, ღვთისმოსავნი ვართო,—და მონასტერში კი ქვეყნის უწესოებას და გარყვნილებას სჩადიოდნენ. სამართალი იმისი იყო, ვინც მეტს ქრთამს გაიღებდა, მართალი ის იყო, ვინც მეტს დახარჯავდა; ყველგან გარყვნილება, ყველგან გახრწნილება, უსინიდისობა და უღმერთობა! საშინელი დრო იყო! მით უფრო საშინელი, რომ ამოდენა უბედურებას ქვეყანა ვერ გაუძლებდა, თვით გლეხკაცის ძალით რომ არ აღჭურვილიყო მებატონე.

ბართლაც, რაკი გლეხკაცს, ყმაწვილ ბიჭს ჯარში წაიყვანდნენ, ისე დაავიწყდებოდა სოფლური გაჭირება, თითქო თავის დღეში სიღარიბე არ უნახავსო; დედ-მამასაც კი დაივიწყებდნენ ხოლმე, თავის აფიცრების და უფროსის გარდა არავისღა იცნობდნენ და მათთვის დედ-მამას კი არა, ღმერთსაც კი შეებრძოლებოდნენ. მეფე და

მებატონეები, რომელნიც ჯარისკაცებს ინახავდნენ, ქვეყანას ამოაწყვეტინებდნენ, რომ ებრძანებინათ; და ამავე დროს გლეხკაცს უფლება არა ჰქონდა — აფიცრობა მიეღო: ვიღაც წუპაკ გლეხს ვინ აღირსებდა ეპოლეტებს? სამაგიეროდ მოწყალების თხოვნას არავინ უშლიდა, თუ ბატონის გულისთვის სადმე ბრძოლაში დაიჭრებოდა, ამის უფლება კი ყველა ჯარისკაცსა ჰქონდა. საცა კარგ ბიჭს დაინახავდნენ, ჯარში წაიყვანდნენ — ზოგს წაიტყუებდნენ სხვადასხვა დაპირებით, ზოგს შუა გზაში გააკავებდნენ და ძალად მიათრევდნენ. განა მიწას ხეირიან მუშას შეარჩენდნენ? დაბერდებოდა და — წადი მოწყალება ითხოვეო! ჰო და ყველა ხომ ვერ შესძლებს მოწყალების თხოვნას? ბევრნი გავარდებოდნენ ხოლმე და ავაზაკობას იწყობდნენ; ერთხელ, მახსოვს, 12 კაცი ჩამოაღრჩეს ფალსბურგში. რა ექნათ? ცუდაობას დაჩვეულნი, ღონე მიხდილნი, ხელმწიფის სამსახურში დაბერებულნი... რა ექნათ, რომ გროში არავის ეძლეოდა ხაზინიდან?

სამინელი დრო იყო ჩვენი დრო: მებატონეებს და სამღვდელოებას ჰქონდა ყველაფერი და ხალხს კი არაფერი.

II

მადლობა ღმერთს, წავიდა ის დრო და გლეხკაცმაც წილი დაიდო თავის ნაჭირნახულევში. არც მე ჩამოვრჩი სხვებს უკან და აქედან სამი დღის სავალზედ იციან მოხუცი მიშელის სახლ-კარიც, გადაჭიმული ხოდაბუნებიც, სამი დღის ზვარიც და გუთნეული ხარ-კამეჩიც.

ბედს ვერ დავემდურები: ჩემი პატარა იაკობი პარიზში პოლიტეხნიკურ სკოლაშია პირველ კურსზედ; ჩემი ქრისტინე მარტენელ ტყის მცველსა ჰყავს; ჟულიეტა ფორბენსა ჰყავს, — ძაან ყოჩაღი ბიჭია, ღვთის წინაშე, და კარგი ალაგიცა აქვს; ჩემი მიშელი, ჩემი იმედი — რა ვქნა უმცროსია და მგონი იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, — ექიმობას აპირებს; შარშან ნანსში კიდეც დაიჭირა პირველი — ბაშელიეს—ეგზამენი და თუ იშრომა—კაცმა იშრომოს, თორემ შეუძლებელი არა არის რა.

ამოდენა სიკეთე ერთმა დღემ მომცა, 1789 წელმა. ოთხმოცდაცხრამდე ვინ რას მაღირსებდა? ჩემი დღენი შრომით უნდა გამეტარებინა და ჩემი ნაწვავ-ნადაგი კი ბატონს უნდა წაეღო. ხშირად გავჩერდები ხოლმე შიგ შუა დარბაზში და გაშტერებული შევცქერი აქაურობას, თითქო ჩემი თავისა არა მჯერა. ეს სავსე ოჯახი, ეს ჩემი მოხუცებული დედაკაცი თავის წვრილფეხობით; ეს ჩემი გადა-

ყრუებული მურა — იქვე ცეცხლის პირას, ნაღვერდალში წაუყვია ცხვირი და ისე შემომცქერის, თითქო წარსულს მაგონებს: გახსოვს რა დღეში ვიყავითო? ეს ჩემი ვაშლები — ბიჭმა ბოძი შეუდგა, ტოტები არ დაემტვრესო; ბაღში ფუტკრის ბზუილი, ეზოში გოგობიჭების მხიარული სიმღერა, კალოზედ ჩვენი ძველი ოროველა; აგერ ძნის ურემი მოაქვთ... რა კარგად გადაუტყლაშუნა მეურმემ შოლტი ნიშა ხარს... დიაღ, ვდგევარ შუა დარბაზში ასე ჩაფიქრებული, მაგონდება ჩვენი ძველი მიწური, ქოხი მაინც ყოფილიყო, სორო იყო, რომელშიაც სცხოვრობდა საწყალი მამაჩემი თავის ცოლ-შვილით; უბრალო ორმო იყო მიწაში ჩათხრილი, ფანჯრის ნაცვლად სანათური ჰქონდა დატოვებული და ზუზუნით ჩამოდიოდა ქარი, წვიმა და თოვლი. ცეცხლს ავანთებდით — კომლი გვახრჩობდა, არ ავანთებდით და სიცივით გაფიჩხებულნი სიკვდილს შევნატრიდით ღმერთსა. მომაგონდება ხოლმე ცხონებული მამაჩემი; მომაგონდება საწყალი დედაჩემი; მომაგონდება იმათი გაჭირებული ცხოვრება, დაუდგრომელი წვა-დაგვა და შიმშილი; შეუწყვეტელი შრომა — ეგება ბალღებს მჭადი და ლობიოს შეჭამადი არ დააკლდეთო; მომაგონდება იმათი დაგლეჯილ-დაფლეთილი კონკები; სასოწარკვეთილი, უიმედო, დაჩაგრული, დამცირებული, ყველასაგან შეურაცხყოფილი ადამიანის სახე და თავითფეხამდე თრთოლა ამიტანს... და თუ მაყურებელი არავინა მყავს, ცრემლსაც ვეღარ შევიმაგრებ ხოლმე. თან კი ბრაზი მერევა.

განა ჩემს სიცოცხლეში დამავიწყდება, რა დღეში ვყავდით უბედურები! საქონელს უკეთ ეპყრობიან. სისხლსა გვწოვდნენ. აგერ ოთხმოცი წლის კაცი ვარ, მგონი უნდა დამშვიდებულიყო გული, დაევიწყნა იმოდენი დამცირება, მაგრამ არა, თითქო გუშინ იყო ყველაფერიო — ამიშფოთდება ხოლმე სული და სულ კბილებს ვაკრაჭუნებ. მაგრამ რას იზამთ? ჩვენივე გლეხკაცის შვილი გამოტყვრება ვინმე და გაზეთში წერას დაიწყებს: „1789 წელმა დაგვღუპა, იმ დრომდე ბედნიერნი ვიყავით და მას შემდეგ სულით ხორცამდე დავიღუპენითო; წინად პატიოსნებით სავსე ვიყავით, დუღდა და გადმოდიოდა გლეხკაცის ოჯახი და ახლა კი, სადღაა ძველი დროვო!“ უსინდისონი! ხელში რომ ჩამივარდება ხოლმე იმათი ნაწერი, ცოფიანივით გავგიჟდები და, იმ დროს რომ თითონ დამწერს შევხვდებოდე სადმე, მგონი სისხლი შევანთხიო ზედ!

ჩემი მიშელი მამშვიდებს ხოლმე:

— ნეტავი შენა, პაპა-ჩემო, რა გაჯავრებს? მაგას რომ სწერენ, იმიტომ სწერენ, რომ შესყიდულნი არიან: ხალხი გააბრიყვეთ, იქნება ისევ ძველებურად ბატონყმობა ჩამოვარდესო. რა ქნან, იმათი

ხელობაც ეგ არის — ოღონდ ფული დაანახვე და თუნდა თავის თავის ლანძღვას დასწერენ.

ამაზედ მე უფრო ვბრაზდები:

— როგორ თუ ფული დაანახვეო? 92-დან 99-მდე ასობით კაცი დავხვრიტეთ მაგათზედ ერთი ათასად უკეთესები, სულ კეთილშობილი, პატიოსნებით სავსე კაცები! დავხვრიტეთ, იმიტომ, რომ თავის თავს იცავდნენ. და ეგენი რას იცავენ? ეგენი ხომ გლეხკაცები არიან, ჩვენი ძმები? მაშ ჩვენა გვღალატობენ რაღა? საკუთარ დედმამას ღალატობენ, საკუთარ ცოლ-შვილს და სამშობლოს, ოღონდ ქისა გავიმსოთო?!

მე რომ ხშირად ვკითხულობდე ამ გაზეთებს, ბრაზით გული გამისკდება. ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი დედაკაცი ფრთხილად არის და თუ სადმე თვალი მოჰკრა, მაშინვე ხელიდან წამგლეჯს და დაფხრეწს. მაგრამ რას იზამთ! როგორც ჭირს ეერ დაუკეტავთ კარებს, ისე ამგვარ გაზეთებს: რასაც ერიდებით, ყველგან ის დაგხვდებათ.

მეც სწორედ ამიტომ მოვიწადინე დამეწერა გ ლ ე ხ კ ა ც ი ს ი ს ტ ო რ ი ა; მინდა ჩვენი წვა-დაგვა აგიწეროთ და მით გავაცრუო იმ მოღალატე ვაჟბატონების გესლიანი სიტყვები. დიდი ხანია ეს განზრახვა მაქვს; ვიცი დიდი შრომა მომელის, მაგრამ თუ სიკეთე გინდა ქვეყნისა, შრომას არ უნდა გაურბოდე. გარდა ამისა მტყუანს სიმართლის კარებამდე უნდა მიჰყვე, თორემ ქვეყანას მართალი ეგონება და სიმართლე დაიჩაგრება. ჰოდა, გავიკეთებ ჩემს სათვალეებს და ვახსენებ ღმერთსა; წელიწადი ვუჯდები საწერკალამს და ამ საქმეს კი დავამთავრებ.

გავერთობი კიდეც. წარსულის და აწმყოს შედარება გამახარებს: სხვა არა იყოს რა თავისუფლება მაინც მოვიპოვეთ. როდი ავჩქარდები, დავიწყებ და თავიდან ბოლომდე სულ რიგზედ ავწერ ყველაფერს; ურიგოდ არა ვარგა რა.

ახლა კი ვიწყებ.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი ვერავინ დამაჯერებს, რომ 1789 წლამდე გლეხკაცი ბედნიერი იყო. მე მოვესწარ იმ ნ ე ტ ა რ დ რ ო ს ა, — ეხლა ხომ ამ სიტყვით იხსენიებენ წარსულს ჩვენი მეგაზეთეები — მახსოვს ჩვენი ძველი სოფლები; მახსოვს სასოფლო თორნე, რომელშიც გლეხკაცი წელიწადში ერთხელ, მარტო სააღდგომოდ აცხობდა პ უ რ ს; მახსოვს სასოფლო საწნახელი, რომელშიც გლეხკაცი სხვისას სწურავდა, ბატონისას და მონასტრისას; მახსოვს თითონ გლეხკაციც — ჩამომხმარი, ჩაყვითლებული, ფეხშიშველი, უპერანგოდ შალის ჩოხაში გახვეული; ცოლი უარეს დღეში ჰყავდა! ზამთარ ზაფხულ ერთი და იგივე ტურტლიანი ჯღანები,

თითონ უარესად ჭუჭყიანი — ეხლანდელს რომ ენახა ვისმე, იტყო-და ტყის ნადირიაო. იქვე ცარიელი ჭადისაგან მუცელ გასიებული ბავშვები დაბობლავდნენ ტალახში შიშველ-ტიტველნი. მე რომ არ ვთქვა, განა თვით მებატონეს კი ვერ დავიმოწმებ; ბევრსა ცდილობ-დნენ, მაგრამ რაც გულის ასარევი იყო, იმათაც გულს ურევდა და აი რასა სწერს ერთი მათგანი: „წვიმისა და მზის ქვეშ შეუსვენებლად მუშაობს უბედური ხალხი, ოფლს იწურავს, წელებზედ ფეხს იდ-გამს, რომ ქვეყანა გამოჰკვებოს და ნუთუ თითონ მუშას შიმშილით უნდა ვკლავდეთო?“ კარგ გუნებაზედ ბრძანდებოდა, ეტყობა, ის ბატონი, ეს რომ დასწერა. დასწერა და მეორე დღეს აღარც კი ახსოვდა, რაც დასწერა.

საქონელს უკეთ ეკიდება ყოველი ქრისტიანი, ვიდრე უწინდელ დროში გლეხკაცს ეკიდებოდნენ; განა ამის დავიწყება შეიძლება? აჯერ თვალწინ მიდგას ჩვენი სოფლები და, იქნება არც კი დამი-ჯეროთ, ჩემს პატარა ბიჭობაში მოხუცებულები ამბობდნენ — უწინ უარეს დღეში ვიყავითო. მოიგონებდნენ ხოლმე სვედების შემოსე-ვას, საფრანგეთის და ლორენის ომს, როდესაც ჩამომხრჩვალი გლეხკაცები მტევანივით ეკიდნენ ხეებზედ; მოიგონებდნენ ხოლმე დიდჭირიანობას, რომელმაც თურმე მუსრი გაავლო ქვეყანას; ფი-ცავდნენ, მთელი დღე რომ გევლო, სულიერ ადამიანს ვერსად ნახავ-დიო. მოიგონებდნენ ხოლმე გვალვას და ქვეყნის დამშევას. მოიგო-ნებდნენ წარსულს მოხუცებულები და ღმერთს შეჰღაღადებდნენ — ღმერთო, გვიხსენ ჭირისაგან, ომისაგან და შიმშილისაგანაო! მაგრამ შიმშილისაგან საწყლები ღმერთმაც ვეღარ იხსნა — ყოველ წელს შიმშილი იყო. ან რა გააძღობდა? ჩვენს მაზრაში ოცდარვა მღვდე-ლი იყო, 47 მონასტერი ბერებისა და 19 მონოზნებისა. ახლა უფ-როსი სამღვდელოება, ახლა მებატონეები და მათი შინაყმანი! სად მოვიდოდა იმდენი პური, რომ ამათა ჰყოფნოდა?.. მაშინ ხომ კარ-ტოფილი არ იცოდნენ და ბედშავ გლეხკაცს მჭადის მეტი არა რჩე-ბოდა რა და ისიც იმდენი არა ჰქონდა, რომ კუჭი გაეძღო.

გამაძღარი გლეხკაცი ძნელი საპოვნელი იყო.

რასაცა შრომობდა, სულ ბატონისათვის შრომობდა. უნდა მოე-ხნა ბატონის ნაფუზარი, დაეთესა, გაეთოხნა, მოერწყო, მოემკა, მიე-ტანა, გაელეწა, გაენიავებინა, პური გაერეცხა და დაეფქვა; თივა მო-ეტანა, ვენახი დაებარა, გაემარგლა, მოერწყო, შეეყელა, მოეკრიფა, დაეწურა, ქვევრები გაერეცხა; სულ ბატონის მამულს უნდებოდა, მანამ დრო იყო მუშაობისა. თავისს ცოლ-შვილისთვის არაფერი! დადგებოდა შემოდგომა, ბატონი თავისს მოსავალს დააბინავებინებ-და თუ არა, გლეხკაცი სხვაგან მიდიოდა. მშიერი, ტიტველი შინ ყო-

ფილიყო თუ გარეთ, სულ ერთი არ იყო? გარეთ განიკითხავდა ვინმე მაინც.

მაგრამ ბერებმა ყაყანი მორთეს: თუ კი ქვეყანა მათხოვრობას დაიწყებს, ჩვენ რაღა გვერგებაო! გლეხკაცს წიალი აუკრძალეთ, თორემ ჩვენ აქედან ავიყრებით და ჭეშმარიტი სარწმუნოება დაიღუპებაო! მაშინ ბატონმა მოურავმა და მამასახლისმა ქალაქისამ ბრძანება გასცეს, რომლითაც გლეხკაცს ეკრძალებოდა მათხოვრობა. ბერებმა თავისკენ მიიმხრეს ჯარი და ვაი იმის ბრალი, ვისაც ხელგაწვდილს მიასწრებდნენ — საუკუნოდ გამოასალმებდნენ თავის არემარეს; მაგრამ შიმშილი უფრო მძლავრი ყოფილა, ვიდრე დაპატიმრების შიში და ხშირად მთელი სოფელი მიდიოდა ლუკმა პურის სათხოვნელად.

ღმერთო, რაგვარ ამცირებს ადამიანს სიღარიბე! დიაღ, სიღარიბე და ცუდი მაგალითი. ყველგან და ყოველთვის მათხოვარს ხედავდა გლეხკაცი — ბერებს; ზორბა ახოვანი ბიჭები გადიკიდებდნენ გუდას და დადიოდნენ სოფელ-სოფელ ხელგაწვდილნი და ფეხშიშველნი. რა სჭირდათ საიმისო? ერთ ბარის დაკვრაზედ, რომ მოენდომებინათ, დღიურს გადააბრუნებდნენ. მაგრამ არა, დადიოდნენ ასე, ყველას სახლში უვარდებოდნენ და მდაბლად, უსირცხვილოდ მოწყალებას თხოულობდნენ; ხედავდა ამგვარს მაგალითს მშიერ-მწყურვალი გლეხკაცი და, — თუ კი შემძლებელი კადრულობს, მე ხომ თვით ღმერთი მიბრძანებს მოწყალების თხოვნასაო!

საუბედუროდ, ერთი რომ თხოულობს, თუნდა მართლა ძალიანაც უჭირდეს, მეორეს უნდა ჰქონდეს რამე, რომ განიკითხოს, ამასთან მოყვასის სიყვარულიც უნდა გაეგებოდეს. სად იყო განკითხვა? ქვეყანა იმას გაიძახდა, რომ ყველა თავისთვის და ღმერთი ყველასთვისაო.

დადგებოდა ზამთარი და ხმა გავარდებოდა: ურმებით პური მიჰქონებიათ ქალაქისკენ, დასცემიან ვიღაც მაწანწალები და გაუძარცვავთო. მაშინვე მდევარს გაუყენებდნენ და საქმე საღრჩობელათი გათავდებოდა, რომელზედაც ხშირად ათობით ერთად აღრჩობდნენ დაჭერილებს.

სწორედ იმ საშინელ დროს სცხოვრობდა ერთი საწყალი მუშაკაცი ცოლით და ექვსი ერთი-ერთმანეთზედ წვრილი შვილით; საწყალი, იმიტომ რომ სულს იქით არა ებადა რა: გროში ფული არსად ჰქონდა, ერთი ხელის დადება მამული არ ებადა; სხვა საქონელს ნუ იტყვით, ქათამი არა ჰყავდა; თავის ხელობის გარდა ცხოვრებისათვის სხვა საღსარი არა ჰქონდა რა: უნდა ეწნა გოდორი, მოსაკიდი, კალათი, კოკოზა და სხვ... არავითარი იმედი, რომ თითონ თუ არა,

შვილებს მაინც უკეთესი დღე მოელოდათ; იმიტომ რომ ასე უნდა ყოფილიყო: ზოგი კეთილშობილად იბადებოდა და ქვეყანა იმისი იყო, ზოგი გლეხკაცად იბადებოდა და უკუნითი უკუნისამდე სხვის მონად და ყმად უნდა დარჩენილიყო.

მომაგონდება ხოლმე ჩვენი ოჯახის შიმშილი, ზამთრის გრძელი ღამეები უცეცხლოდ და ულოგინოდ, გულის ფანცქალი — არიქა გზირი მოდის, დაგვაწიოკებს დედა-ბუდიანადაო! მაგრამ დადგებოდა გაზაფხული და დიდი ხნის ყინვების შემდეგ ისევ მზეს ველირსებოდით; შემოისროდა ჩვენს მიწურში მზე სტუმრად თავის სხივებს და ნათელს მოჰფენდა ჩვენს ბნელს ორმოს; დაგვივლიდა გათოშილ ტანში ქვეყნის მაცხოვნებელი სითბო, დაგვავიწყდებოდა ჩვენი შავი და ბნელი ყოფა და მაინც სიცოცხლეს შევხაროდით: გარედ გავიდოდით დიდით პატარამდე და ისეთი სიცილი და მხიარული ყიჟინა გაგვქონდა ბალღებს, თითქო ჩვენზედ ბედნიერი არავინ არისო. რა არის სიყმაწვილე!

ან არა და შორიდან მამაჩემს დავინახავდით ტყიდან მომავალს. ქუდის ჩაჩი თავს ვერ უფარავს და ქარი უთამაშებს უდროოდ გათეთრებულს თმას; ზურგზედ უშველებელი კონა წნელი ჰკიდია; წელში თავის წალდუნა გაურჭვია. მოდის დაღლილ-დაქანცული, წელში მოხრილი... მაგრამ დაგვინახავს თუ არა, სახე გაუბრწყინდება, პირს ღიმილი მოუვა. ჩვენც გავკურცხლავდით — ვინ წინა და ვინ უკანა, მისაგებებლად გაჩერდებოდა, ერთი ხელით აყუდებულ კონას შეიმაგრებდა და მეორეთი გულში ჩაგვიკრავდა სათითაოდ. ჩვენ ხომ ბედნიერნი ვიყავით და იმ წამს იმასაც დავავიწყებდით ხოლმე იმოდენა ვარამს.

რა გულკეთილი რამ იყო! რა ძალიან ვუყვარდით! დედაჩემი! საწყალი დედაჩემი! ჯერ ორმოცი წლისა სად იყო, რომ სულ მთლად გათეთრებულიყო, წელში მოხრილიყო იმოდენა გაჭირებისაგან, მაგრამ მაინც ყოჩაღად იყო და მთელი დღე ისე დატრიალებდა, ერთს წამს არ შეისვენებდა; ხან ვისა შველოდა და ხან ვისა, ამით მაინც დავეხმარო ჩემს წვრილ-შვილსაო. დაღამდებოდა და კიდე სხვის ჯარას მიუჯდებოდა და სხვის მატყლს ართავდა. იმდენი ვიყავით, ჭიმა არ გვინდოდა? ახლა სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი სთქვით. გასტუმრება არ უნდოდა? ღმერთო, რა მამაცი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავისი დღენი შრომაში გაატაროს და ჯილდოს კი მარტოდმარტო საიქიოს ელოდეს?

ეს კიდევ არაფერი. უბედურებს ერთი კიდევ სხვა ჭირი სჭირდათ — საერთო ჭირი ყოველი გლეხი კაცისა. ვალი ჰქონდათ.

ჯერ ისევ ბავშვი ვიყავ, მაგრამ ისე კარგად მახსოვს, თითქო

გუშინ იყოვო. მამაჩემი ქალაქს ბაზრობაზე გასაყიდად კალათებს წაიღებდა, რომ დაბრუნდებოდა ხურჯინიდან ნავაჭრს იღებდა და თანაც იტყოდა ხოლმე:

— ეს მარილი, ეს ოსპი... მაგრამ გროში აღარსად ჩამრჩა, გროში. ღმერთო, ღმერთო! რა იმედი მქონდა, ცოტა რამ უნდა გადავარჩინო რობენისათვის მეთქი.

ჩვენი ქვეყნის სისხლის მსმელი იყო ეს რობენი. მიტელბრონში იდგა და ქვეყანა თავის ბრჭყალებში ჰყავდა გაკავებული. ერთი საშინელი, დაბალ-დაბალი, სქელი, შუახნის კაცი იყო. გათხლეშილი ცხვირი, მომცრო მრგვალი თვალები, უზარმაზარი პირი და ყურები, ზაფრანის ფერი პირისახე... დადიოდა სოფელ-სოფელ, ყოველთვის ფეხით, ზურგზედ გუდა ეკიდა, ხელში კომბალი, უკან კიდევ უშველებელი ძაღლი მისდევდა, დადიოდა და თავის ფულების სარგებელს აგროვებდა; კაცი არ იყო, რომ იმისი არა მართებოდარა; ზოგს სამი მანეთი, ზოგს ექვსი, ზოგს თუმანი და თუმან ნახევარიც. შეავიდოდა სახლში და თუ აღთქმული სარგებელი მზად არ იყო, თავის გუდაში ჩაუძახებდა, რასაც კი მოახელებდა: ათიოდე კვერცხი, ერთი ჯამი კარაქი, ერთი ჩარექა არაყი, კვერეული ყველი — ეს სარგებლის სარგებელი იყო. რა გვექნა? დეე დაგვარბიოს, ოღონდ ნუ გვიჩივლებს და ბოქაულს ნუ შემოგვისევსო.

ოჰ, რამდენი უბედურია, დღესაც რომ ზედ კისერზედ აზის ამგვარი მოვაჭრე და უღმერთოდ სისხლსა სწოვს. რამდენია უნუგეშო გლეხკაცი, რომ თავის ნამუშავარს ერთიანად ვალში აძლევს ვიღაც ღმერთზედ ხელაღებულს უსინდისოს და ვალს კი არაფერი აკლდება?

ჩვენსა რობენი ვერაფერს იპოვიდა ხოლმე, რომ გუდაში ეკრა და ამიტომ არც კი შემოდიოდა. კარს მოგვირაკუნებდა და შემოგვძახებდა:

— პეტრე! ჰაი, პეტრე!

წამოხტებოდა მამაჩემი, გავარდებოდა გარეთ და ქუდმოხდილი, ძალზედ აკანკალებული თავს დაუკრავდა.

— ბატონო რობენ...

— გამარჯობა შენი! — ვენახი ლამის გამიხმეს, მოდი ერთი ორიოდე დღე მომეხმარე, ერთი კარგად მოვრწყათ, ჰა?

— გიახლებით, ბატონო რობენ.

— ხვალ დილით?

— დიაღ, ბატონო რობენ.

რობენი თავის გზას გაუდგებოდა. შემოვიდოდა მამაჩემი შინ მომაკვდავივით ფერმიხდილი და ისევ კალათის წვნას შეუდგებოდა;

პირმოკუმული. თავჩაქინდრული კრინტს არ დასძრავდა. მეორე დღეს დილა ადრიანად გუდაში ერთ ჭადს ჩაიდებდა, ბარს გაიდებდა მხარზედ და რობენის ვენახისაკენ გასწევდა..

ილაჯგაწყვეტილი დედაჩემი კი ბედს ემდუროდა:

— ნეტამც არ გათენებულიყო ის დღე, როდესაც ჩვენ თხის ყიდვა მოვიწადინეთ. გენაცვალეთ, ამისთანა ჭირი გინახავთ! ლამის ერთმა თხამ სულ თან გადაგვიტანოს! შვილები გამიწყდეს, თუ ათჯერ მაინც არ გადაგვეხადოს იმ თხის ფასი! თხაც მოგვიკვდა და ვალიც ვალად გვადევს... არა, ამისთანა უბედურება გინახავთ!?..

სასოწარკვეთილი ზევით აღაპყრობდა ხოლმე ხელებს და ღმერთს სამართალსა სთხოვდა.

საღამოზედ მამაჩემი ხელცარიელი მოდიოდა შინ. ასე ამუშავებდა რობენი და ერთი-ორი თვით თავს დაანებებდა; მაგრამ დიდი ხნით კი არა: როგორც კი თავისუფლად ამოისუნთქავდა საწყალი მამაჩემი, მგონი რობენმა თავი დამანებაო! და კარებს კი მოუკაკუნებდა:

— პეტრე! ჰაი, პეტრე!

იტყვიან — იმ კაცს სენი სჭირს რამე და გულს უღრღნის და სისხლს უშრობსო. ღარიბი კაცის სენი კიდევ ეს არის — მოვახშე, რომელიც ფულს გასესხებს, ვითომ სიკეთესაც გიშვრება და საუკუნოდ ყურმოჭრილ ყმად კი გიხდის: დაგაწვება ის უღმერთო ისა და გწუწნის წურბელასავით! სიკვდილამდე იმის ხელიდან ვეღარა გიხსნის რა, მოკვდები და შენს ობოლ ცოლ-შვილს უარესს უზამს.

განა შემიძლიან აგიწეროთ, რამდენი ტანჯვა და მწუხარება აიტანეს ჩვენებმა ამ რობენისაგან? მოსვენება აღარა ჰქონდათ იმისი შიშით, ძილი აღარა ჰქონდათ, დღითი დღე ბერდებოდნენ და წელში იხრებოდნენ; ერთად ერთი იმედიღა დარჩენოდათ: თუ ერთს რომელსამე კენჭი ასცდაო, ჩვენსას იტყოდნენ ხოლმე, ჯარში სხვის მაგივრად გავგზავნით და აღებულ ფულს ვალში მივცემთო.

ექვსნი ვიყავით, ოთხი ვაჟი და ორი ქალი: ნიკო, ელისაბედი, მე, კლავდი, მატურინი და პატარა სტეფანე; უკანასკნელი სნეული ბავშვი იყო, დაკლანჭული ფეხები ჰქონდა და გამხდარი. ჩაყვითლებული იყო; ჩვენ სოფელში საწყალს „პატარა იხვს“ ეძახდნენ, რადგან მართლა იხვივით დაბაჯბაჯებდა; სხვანი სულ კარგად ვიყავით.

დაგვაცქერდებოდა დედაჩემი, ნიკოს, კლავდის და მე და იტყოდა:

— ნუ სწუხარ, ჩემო პეტრე, ისე როგორ გაგვიწყრება ღმერთი, რომ სამივეს ერგოს კენჭი. ერთი მაინც გადარჩება და მაშინ კი მი-

ფთხილდეს რობენი! ვალს გადავუხდი თუ არა, ემაგ წალდით ზედ შუაზედ გავუპრობ თავსა!

მართლა უბედური უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი აზრები მოსდიოდეს. მამა არას უპასუხებდა და ჩვენ კიდევ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნდა დედაჩემის სიტყვები. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჩვენ ჩვენი დედ-მამის საკუთრება ვართ, როგორც საქონელი. რას იზამთ: უბედურება ისე აუხვევს ხოლმე კაცს თვალებს, რომ სწორედ ვეღარას ხედავს. 89-მდე მებატონეების და მოქალაქეების გარდა ყველანი ასევე უყურებდნენ თავის შვილებს: ჩვენი საკუთრებაა, როგორც გვინდა ისე მოვიხმართ, საცა გვინდა, იქ ვუკრამთ თავსა, თუნდა ჯარისკაცად მივყიდით ვისმეო. ხალხის მტრებს ძალიან მოსწონთ ამგვარი შეხედულება დედ-მამისა: ხედავთ, რა ნეტარი დრო ყოფილა, რა ტკბილი განწყობილება ყოფილა მამა-შვილს შუა, რა პატივისმცემელი და მორჩილი ყოფილა უნცროსი უმფროსისაო!

უბედური მამაჩემი იმდენად გულკეთილი და შეგნებული კაცი იყო, რომ თავისდღეში შვილის გაყიდვას არ იფიქრებდა. რამდენჯერ მომხდარა, შუა ზამთარში, როცა შიმშილი ძალიან შეგვაწუხებდა და მოწყალების სათხოვნელად გავგზავნიდა, ცხარე ცრემლითა ტიროდა ხოლმე. პატარა სტეფანეს თავის დღეში არსად გაუშვებდნენ, მეტადრე ავდარში. დიდი ხანი არც მე მივლია: სულ სამჯერ-ოთხჯერ თუ ვყოფილვარ ქალაქში, რადგან რვა წლისა არც კი ვიყავი ჯერ, რომ ნათლიაჩემმა ივანე ლერუმ დამიჭირა მწყემსად. ჩვენი სოფლის ბოლოში ქალაქის გზაზედ დუქანი და გომები ჰქონდა ნათლიაჩემს და საღამოზედ, საქონელს რომ დავაბინავებდი, მარტო მაშინლა მივდიოდი შინ.

დიდი ხნის ამბავს მოგახსენებთ, მაგრამ ისე მახსოვს ყველაფერი, თითქო თვალწინ მიდგასო: ნათლიაჩემს დუქნის კედელზედ სამი მტრედი ეხატა და უშველებელი ასოებით ეწერა „სამი მტრედი". დუქნის ბანიდან შორს, შორს, ქალაქი მოჩანდა, თითქო ცაზედ შავი ლაქი დაუსვამთო. დუქნის წინ ეზოში პატარა სამჭედლო გვქონდა და უკან კიდევ დაქანებული საბალახე; შიგ ერთი უზარმაზარი მუხა იდგა და მუხის ძირში კამკამა წყარო გამოდიოდა. მოჩხრიალებდა წმინდა წყალი, მთელს მიწას გარშემო უვლიდა და ამწვანებდა. მუხა კიდევ საამოდ აჩრდილებდა იქაურობას. ერთხელ ჯარს გაევლო და უფროსებს საქეიფოდ მუხის ჩრდილში სკამები გაეკეთებინებინათ და მას შემდეგ, როცა კი ჩვენ სოფელში ჯარი გაჩერდებოდა რამე, უფროსნი ამ მუხის ჩრდილში შეექცეოდნენ. ისეთი საუცხოო ადგილი იყო მართლა ეს ჩრდილი თავის წყაროთი, რომ ახლო-მახლო

მებატონეები და იმათი ქალები ყოველ კვირა მოდიოდნენ „ტივოლიში“ წყაროს დასალევად და დროს გასატარებლად.

ერთხელ მახსოვს დიდი საზოგადოება შეიყარა საქეიფოდ მუხის ქვეშ. ზემოდ წყაროს სათავეში ბატონი დოზე იდგა — დიდი, გამოჩენილი მებატონე იყო — სავსე ჩარექა ეჭირა ხელში და ლათინურად რაღასაც ბრძანებდა. ქვემოდ ქალები ისხდნენ ბალახზედ თავიანთ ხაბარდებით, ატლასის კაბებით, ატლასისავე ფეხსაცმელით, და გულმოდგინეთ ყურს უგდებდნენ და კისკისებდნენ, თუმცა ლათინურისა არა ესმოდათ რა. ერთობ კი ცოტას გადაჰკრავდნენ, მერე წამოდგებოდა ვინმე, ჭიანურს დაუკრავდა და გაიმართებოდა ლხინი. წამოდგებოდნენ იმოდენა მებატონეები, სულ დიდი გვარის შვილები, კლაკვნით და ზლაზვნით, ტანისა და ფეხის თამაშით მიბრძანდებოდნენ ქალებთან და მდაბლად თავს დაუკრავდნენ და ხელს გაუწოდებდნენ. ქალებიც ერთი პრანჭვა-გრეხით, თვალებისა და ტუჩების ღმეჭით წამოდგებოდნენ, ხელს მისცემდნენ და დაიწყებდნენ ხეტიალს და პროწიალს; იმდენს იპროწიალებდნენ, მანამ თავბრუ დაეხვეოდათ.

მაშინ უფრო დინჯი, დარბაისლური ცეკვა იცოდნენ! მოსამსახურენი — მოხუცებული ჯარისკაცნი და შინა ყმანი კი სუფრას უმატებდნენ — ეს ქადა-ნაზუქიო, ეს შემწვარი ინდოურებიო, ეს სუკებიო, ეს წითელი ღვინოო.

გარედან კი მტვრიან ქუჩიდან მშიერი ხალხი შესცქეროდა და პირს ნერწყვი უშრებოდა. უყურებდნენ დამშეული სოფლელები ბატონების ქეიფს, ბატონებისაგან საჭმელ-სასმელის გაოხრებას — ღვთის მოცემულს სულ აქეთ-იქით აქცევდნენ — და გულში ხელს იცემდნენ: აჰ, ნეტავი აიმ სუფრაზედ ერთ წამს დამსვა და მე ვიცი, როგორ გამოვიმსებ ფერდებსაო!

დაღამდებოდა და წამოიშლებოდნენ მოქეიფენი, ყმაწვილები ხელს გაუწვდიდნენ ქალებს, ეტლებში ჩასხამდნენ და ქალაქისაკენ მიეშურებოდნენ.

ვინ არა ყოფილა ნათლიაჩემის მუხის ქვეშ? საცა გამოჩენილი და შემძლებელი კაცი იყო ვინმე, აქ უნდა მოსულიყო დროს გასატარებლად — მებატონეები, აფიცრები, კარდინალები, მსაჯულები, ვინ იცის? სადღა არიან ნეტავი თავიანთ ფქვილწაყრილი კულულებით? მგონი იმ დროს მოწამედ მეღა ვარ ცოცხალი და, მე რომ არ მეხსენებინა, არავინ ახსენებდა ქვეყანაზედ, როგორადაც შარშანდელს შემოდგომის ფოთოლს.

რაკი ნათლიაჩემს დავუდექ მწყემსად, შიში აღარაფრისა მქონდა: პურს ნათლიაჩემთან ვჭამდი და ქალამანი უცვეთი მეძლეოდა. რამ-

დენი ჩემი ტოლი ბიჭი შემომნატროდა — ნეტავი მეც დამიჭიროს ვინმე, კუჭს მაინც გავიძღობო. მეც კი ვცდილობდი ყველაფრით დამეკმაყოფილებინა ნათლიაჩემი და ნათლიჯალაბი ეკატერინე; ასე გასინჯეთ ქარგალ ვალენტინს და მოსამსახურე გოგოს ნიკოლსაც კი სულ თავს ვევლებოდი; ყველა მადლიერი მყავდა. ერთი კი დავეძახე ვისმე და ჩიტივით მივფრინდებოდი. ხან სამჭედლოში საბერველს მაწევინებდნენ, ხან საბძელზედ ამგზავნიდნენ — საქონელს ჩალა ჩამოუყარეო; კატა რა არის, ნათლიაჩემის კატაც კი მომადლიერებული მყავდა. სუფრის ბოლოს რომ გამოვიჭიმებოდი ხოლმე და სავსე ჯამს შეჭამდს მომიდგამდა დიასახლისი, ზედაც კოშბოსტოს მწნილს!.. პური ხომ თავსაყრელი გვქონდა... არა, ღმერთი არ გამიწყრებოდა, გამეჯავრებინა ვინმე?! კვირაობით კიდევ სახსნილოს გააკეთებდნენ ხოლმე და ჩემს ნებისად, ძღომამდე მაჭმევდნენ ყველაფერს. დამშვიდებული მაინც ვიყავ, სიღარიბე ლუკმას არ მითვლის მეთქი.

კაცი რომ კარგ ალაგს მოხვდეს, ფეხი უნდა მოიკიდოს. ჰოდა როგორც კი ინათებდა — ზაფხულში ოთხ საათზედ და ზამთარში ხუთზედ, მე ნათლიაჩემის ბოსელთან ვიყავი და კარს ვარაკუნებდი. გომში ჯერ ყველას ეძინა, საქონელი ზარმაცად იცოხნებოდა. მოჯამაგირე მაშინვე გაიღვიძებდა და ჯერ ისევ ბნელი ბოსელის კარს გამიღებდა. შევიდოდი, ბოსელიდან სამზარეულოში ავიდოდი, ნაცარს გავქექდი, ნაკვერჩხალს გავაჩაღებდი და ცეცხლს ავანთებდი. და მანამ დედაკაცი ძროხებსა სწველიდა, მე ნიჩაბს ავიღებდი და ლამაზად დავაკრიალებდი ბოსელს. მერე საბძელიდან მგზავრების ცხენებისთვის და საქონელისთვის ბზე გამომქონდა. ადგებოდნენ და გაუკვირდებოდათ, საქონელს მოვლილს რომ ნახავდნენ. ამასობაში მგზავრებიც შეაბამდნენ ხოლმე და მე მდაბლად ქუდს ვუხდიდი, მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ მეთქი ღმერთმა.

ჩვენი ვაჭარი კაცი ხომ იცით რა არის: ხშირად პასუხს არც კი მაღირსებდნენ, ზედაც არ შემომხედავდნენ; მაგრამ ვიცოდი, რომ კმაყოფილნი მიდიოდნენ, საყვედურს ვერაფრისას გვეტყოდნენ და მეც მეტი არა მინდოდა რა.

რომ შემზადდებოდა ყველაფერი, დედაკაცი ერთ ჯამ დოს მომაწოდებდა ან მაწონს, ჩავიყრიდი შიგ პურსა და თვალის დახამხამებაზედ გადავაგორებდი. გუდაში კიდევ ერთ პურს ჩამიდებდა, ერთ-ორ თავ ხახვს, ხანდახან ერთ კვერცხსაც ან ერთ ნაჭერ ყველს, წამოვავლებდი ხელს ჩემ შოლტს და გავირეკავდი საქონელს. წინ მოზვრობა მიკუნტრუშებდა, უკან დინჯად მუშა საქონელი მისდევ-

და და ისეთი რხევით გამივლიდნენ წინა. რომ ყველას ცალ-ცალკე მივეალერსებოდი ხოლმე.

თუ ქალაქიდან ბორნისკენ საბანაოდ ყოფილხართ როდისმე, ადვილად მიხვდებით. საით დამყავდა საძოვრად საქონელი: ჭაობებში შევრეკავდი და აქა-იქ თუ მოწიწკნიდნენ რასმე. იქ უნდა მიმერეკნა, რადგან უფასოდ სხვაგან არსად გვიშვებდნენ; ტყეში მარიამობისთვის გასვლამდე საქონელს არ გაგვატარებინებდნენ—ტოტები ჯერ ნორჩი აქვს ხეს, ჯერ არ გამაგრებიაო; მარიამობისთვის გასულს კი შევრეკდით ხოლმე შიგ დამშეულ საქონელს და, გაქვს ღვთის წყალობა, ისინი ძღებოდნენ. მანამ კი ჭაობში, ლაფში უნდა ვყოფილიყავით.

ქალაქელი მეღორეც ხშირად ამორეკდა ხოლმე თავის ღორებს — მეტადრე სიცხეში; დაერეოდნენ ჭაობს ღრუტუნით, ღინგს ტლაპოში ჩაჰყოფდნენ და ისეთი ამაყოფილება ეტყობოდათ პატარა ვიწრო თვალებში, რომ ჩემდა უნებურად სიცილს მგვრიდა: — დახე, დახე! ღორის სამოთხე ლაფი ყოფილა-მეთქი.

ჩვენი საქონელი კი მთელ არემარეს მოეფინებოდა. გამოვუდგებოდი, ზოგს შოლტის ტკაცუნით ვაშინებდი, ზოგს ქვით, ზოგს კომბალს ვესროდი. ახლა სხვა სოფლის მწყემსებიც მოვიდოდნენ: — ერთს ორთავ თვალით ბრმა ძროხა წამოეყვანა, მეორეს ზურგ წამხდარი ცხენი და ერთობ კი ყველა გუდა გამოფხეკილი მოდიოდა. კიდევ კარგი, თუ გზაზედ სტაფილოს მოახელებდნენ სადმე ან თალგამს, თუ არა და შოლტის ტყლაშუნი თუ გააძღობდა, თორემ სხვა არა ებადათ რა. მაგრამ რა? სტაფილოსაც შოვნა უნდოდა! ვაი იმის ბრალი, ვისაც მეველე მოასწრებდა: კისერზედ ჭინჭარს შემოახვევდნენ და ისე შემოატარებდნენ მთელი სოფლის ქუჩებს. მაგრამ შიმშილი უარესი იყო. მეორედაც იქნება გადარჩენილიყო, მესამედ კი შიგ შუა სოფელში, მოედანზედ, ისიც ბაზრობა დღეს გაატიტვლებდნენ და ისე გაწკეპლავდნენ, ისე რომ... ისე გავარჯიშებული ჰქონდა ჯალათს ხელი, რომ ყოველ დაკვრაზე მართლა ტყავს აძრობდა შოლტით. კიდევ დაიჭერდნენ და მაშინ კი ცემის შემდეგ ციხეში უკრავდნენ თავს.

ხშირად მოხდება ხოლმე, წამოდგება ვინმე მდიდარი კაცი და ლანძღავს ახალს დროებას. ლანძღავს და რა ენით ლანძღავს! მე კი უცებ მომაგონდება, რომ ამ ვაჟბატონის პაპა და ბიძა სტაფილოს ქურდობისათვის გაწკეპლეს სწორედ იმ დროს, რომელსაც ასე შენატრის და სიცილს ვეღარ ვიკავებ: საკვირველ არიან, ადამიანო, საქმენი შენნი!

არა, ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი დრო მეც მენანება.

ბატონყმობა კი არ მენანება თავისი გზირით, მოურავით, ჯალათით და ბერებით. ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! მენანება იმიტომ, რომ ყმაწვილი ვიყავ. რა ვუყოთ, რომ მებატონეები არ ვარგოდნენ, ქვეყანა კი წალკოტივით მშვენიერი იყო და! შევერევოდი ხოლმე ტყესა, წინ საქონელი მიმიდიოდა, გავერთობოდი; მერე ჩემი ძმა ნიკო მოვიდოდა, კლავდი, ელისაბედი, მატურინი, გუდას წამგლეჯდნენ, პურს ამოიღებდნენ... სულ კი არ შემიჭამდნენ, იცოდნენ, რომ ნათლიაჩემს ხუმრობა არ უყვარდა და პირდაპირ სახლში მიეჭრებოდა: ის ბიჭი მშიერი რად მოკალითო?!

მე ჩემი გუდითა ვშველოდი, ნიკო თავის მუშტით. განა პატარა ბიჭს ნახავდით სადმე, რომ წელზედ შურდული არ ჰქონიყო? ისეთ ომს ავუტეხდით ხოლმე ერთი სოფლის ბიჭები მეორისას, ისეთ ქვის სროლას ავტეხდით, რომ სულ ლაწა-ლუწი გაჰქონდა იქაურობას. შურდულით რომ ვერას გავხდებოდით, მერე კომბლებითაც დავერევოდით ერთმანეთს. მაგრამ ვის შეეძლო ხელი ეხლო ჩემთვის? მოვარდებოდა ჩვენი ნიკო თავის ცალ ტოტა შარვლით და ჯარისკაცის უკალთო ახალუხით, ფეხშიშველა და თავშიშველა, მივარდებოდა და ბდღვირს ადენდა! ჩვენი სოფლის ბიჭებს ყოველთვის ის მიუძღოდა წინ. ერთი კი შესძახებდა, აბა ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთო და რაც უნდა ბევრნი ყოფილიყვნენ წინააღმდეგნი, მაინც სულ კუდით ქვას ასროლინებდა. გადახედავდა ბიჭებს და შესძახებდა:

— თქვენ ეი... ვინც კი ხელს ახლებს მიშელის!.. გამიფთხილდეს!.. მეც გაგიჟებით მიყვარდა, ღვთის წინაშე. ცოტა არ იყოს მწყინდა, ხახვს რომ წამართმევდა ხოლმე, მაგრამ რა? ძმა იყო და!

ხანდახან საქონელსაც ვაჭიდებდით ხოლმე. გადგებოდა განზედ ჩვენი ნიკო და ისეთი ამბავი ჰქონდა, გეგონებოდათ მეორედ მოსვლა არისო.

— არიქათ, ნიშამ აჯობა! ჰა, ყოჩაღ! ჰა, შენი ღმერთის ჭირიმე! ცოტა კიდევ! ცოტა კიდევ!

ბევრი კარგი ხარისთვის მოგვიმტვრევია რქა, ბევრი დაგვისახიჩრებია.

მზე შეგვაწუხებდა და ჩრდილს მოვძებნიდით და იქ დავყრიდით საქონელს. ჩვენც იქვე მივეყრებოდით, საქონელზედვე მივდებდით თავს, ხან რას ვიტყოდით, ხან რას; ხან სიმღერას დავძახებდით.

როგორც შებინდდებოდა და შინისკენ გავწევდით, ისეთი მტვერი ავარდებოდა, გეგონებოდათ მტრის ჯარი შემოსევია ქვეყანასაო. მივრეკავდი საქონელს, დავაბინავებდი, ბზეს დავუყრიდი და სამზარეულოში ავიდოდი. ვახშმად ნათლიაჩემთან ვიყავი ხოლმე. ზა-

ფხულში, როცა სამჭედლოში ვშველოდი, ხშირად დიდ ვახშმობამდე დამიგვიანდებოდა; დასაძინებლად კი მამიჩემის ქოხს მივატანდი სოფლის მეორე მხარეზედ.

III

ამგვარად გაირბინა ორმა წელიწადმა. ჩემი და-ძმანი მოწყალეზაზედ დაიარებოდნენ, მე სულ იმის ზრუნვაში ვიყავი, ნათლიაჩემი მესიამოვნებინა. ჯერ ათის წლისა არ ვიყავი, რომ ხელობის სწავლა მოვინდომე და დღე და ღამ იმასღა ვნატრობდი, ნეტავი ხელობა მასწავლა რამე, რომ ალალი ლუკმა-პური მქონდეს მეთქი. მგონი მიმიხვდა ნათლიაჩემი და, როცა კი შეიძლებოდა, სამჭედლოში ვყავდი და ხელობას მასწავლიდა.

ეხლაც თვალწინ მიდგას ცხონებული. წამოიქნევდა იმოდენა ჩაქუჩს და გადმომძახებდა:

— ნუ გეშინია, მიშელ! შენ გაისარჯე... ღმერთი მოწყალეა.

თითონაც ძალიან გამრჯე კაცი იყო, ღვთის წინაშე.

ისე მუშაობდა მთელი დღე ხან დუქანში, ხან გომში, ხან სამჭედლოში, თითქო ერთი მოჯამაგირეც არა ჰყავსო. მუშაობდა მთელი დღე და დაღლა არ იცოდა. ან რა დაღლიდა — მდევსა ჰგავდა. მშვენიერი წარმოსადეგი, ახოვანი კაცი იყო და ისეთი უშველებელი ულვაშები ჰქონდა, რომ ყურებზედ იხვევდა. იმ დროში ჯარის მჭედლებმა იცოდნენ, უზარმაზარ წვერ-ულვაშს დაიყენებდნენ ხოლმე და ნათლიაჩემიც მგონია იმათ ბაძავდა.

რამდენადაც ნათლიაჩემი კარგი ვაჟკაცი იყო, იმდენად უშნო და ულაზათო იყო ჩვენი ქარგალი ვალენტინი. ერთი აყლაყუდა, აწოწილი კაცი იყო, მეტი სიმაღლისაგან წელში მოხრილი, გამხდარი, გამხდარი, რომ ადამიანი კი არა ცარიელი ძვალი და ტყავი იყო; იმისთვის რომ გეკითხათ, სულ ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი ამ წუთისოფელში: ბატონყმობაც კარგი იყო, ბერებიც, ღალა-კულუხიც! ერთი სიტყვით ქვეყანა ედემად მიაჩნდა ჩვენ ვალენტინს და ადამიანი ანგელოზად.

— ახლა, შე მხეცო. შენა, — შეუტევდა ხოლმე ნათლიაჩემი, — ეგ ბატონყმობა რომ არა ყოფილიყო. ხომ თავისუფალი იქნებოდი, გეყურება, თავისუფალი?!. ხელოსანი კაცი ხარ, შენც ადამიანურად იცხოვრებდი... ეხლა კი სხვის საკუთრება ხარ, სხვის საქონელი!

— შენ რაც გინდა ბრძანე, ოსტატო, — მიუგებდა დინჯად ვალენტინი, და მე კი ღმერთიცა მწამს, სარწმუნოებაც, ბატონყმობაც და ჩვენი მეფეცა. ღვთისაგან დაწესებულს ადამიანიშვილი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

ამ სიტყვებზედ მხრებსღა აიჩეჩდა ნათლიაჩემი. ან რაღა ეთქმოდა?

— რა გაეწყობა, ძმავ, რაკი აგრე მოგწონს შენი ყოფა-ცხოვრება, დეე კარგი იყოს. — თან ჩაქუჩს მოიქნევდა და ისეთი გაშმაგებით დაუწყებდა ცემას, თითქო რკინაზედ ყრილობს ჯავრსაო... ჩვენც ისევ საქმეს შევუდგებოდით.

მართალი უნდა სთქვას კაცმა, ვალენტინისთანა პატიოსანი კაცი ჩემს დღეში არავინ შეეხვედრია, მაგრამ უბედურს თავი, ტვინის მაგივრად, ბზით ჰქონდა გამოტენილი და სწორედ ინდოურივით გამოყეყეჩებული იყო; ალბად ღმერთმა გააჩინა ასეო, ვიტყოდით ხოლმე, და რაც უნდა მტკნარი სისულელე ეთქვა, არ ვუკიჟინებდით.

ნათლი-ჯალაბი თავის ქმარს ეთანხმებოდა და მოჯამაგირე გოგო ნიკოლი კიდევ ნათლი-ჯალაბს.

ასე ვმუშაობდით ყველანი და საქმეც კარგად მიდიოდა. ნათლიაჩემს ყოველ წელს კარგი მოგება რჩებოდა და ჩვენ სოფელში იმაზედ გაკეთებული კაცი მგონი ორი არა ყოფილიყოს. თუ შეედარებოდა ვინმე, ისევ ყასაბი კოშარი თუ, თორემ სხვა ვერავინ.

უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ალზასი ჩვენ სოფელზედ დაიარებოდა, რომ ბაზრობა დღეს ქალაქში ჩასულიყო, სავერნის გზა უფრო მოკლე იყო, მაგრამ იმისთანა ალმართები ჰქონდა, რომ ყევარი ხარ-კამეჩი უნდა მიეშველებინათ, რომ ურემი აეტანათ. თითონ გზაც არ ვარგოდა — ზედ უზარმაზარი ქვები ეყარა, ნიაღვარისაგან დახრამული იყო და — შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო, — სწორედ ასე შვრებოდნენ მეურმეები, ვაკეზედ წამოვიდოდნენ, შორეულ გზაზედ, მაგრამ შიში კი არაფრისა ჰქონდათ. გამვლელს და გამომვლელს ნათლიაჩემის დუქანში უნდა გამოეშვა.

დუქანს გომი შველოდა, გომს სამჯედლო. მანამ საქონელს დავუჯედდით, ან ურმის თვალს რკინას შემოვავლებდით, მეურმე დუქანში შეეიდოდა. პურს გასტეხდა, ყელს გაისველებდა და თან თავის ურემს გადმოსცქეროდა ფანჯრიდან.

ბაზრობა დღეს ჩვენი დუქანი ისე გაიტენებოდა ხოლმე ხალხით, რომ ნემსი ვეღარსად ჩავარდებოდა. ზოგი ცხენით იყო, ზოგი ურმით, და უმრავლესობა კიდევ ფეხით — საწყალს ხალხს ზურგით მიჰქონდა გასასყიდად, ვისაც რა ებადა. ქალაქიდან მომავალს თითო ოროლა გროში ყველას მოეპოვებოდა და დასასვენებლად, რასაკვირველია, ჩვენსა ჩამოხტებოდნენ; თითო ჯამიც რომ დაელიათ, ისიცა კმაროდა. რომ გუნებაზედ მოსულიყვნენ, აჭიკჭიკებულიყვნენ, და დაურიდებლივ გამოეთქვათ თავიანთი ფიქრები. დასხდებო-

დნენ და მოსთქვამდნენ, თავიანთ ვარამს და შავბედს დასტიროდნენ; მეტადრე დედაკაცები — ცხარე ცრემლით შეჰღაღადებდნენ ღმერთს — ამ გაჭირებას დაგვიხსენიო და თან მებატონეებს და მოურავებს სწყევლიდნენ; რომ დაიწყებდნენ და ჩამოსთვლიდნენ — რა უჯიათად და უღმერთოდ იქცეოდნენ მებატონეები, სულ ცოფსა ჰყრიდნენ. ბოლოს ისევ ქმრები გაუჯავრდებოდნენ — გაჩუმდი, დედაკაცო, ხათაბალა არა შემამთხვიო რაო! მაგრამ გაბრაზებული დედაკაცები ქმრებზედ ამოიყრიდნენ ხოლმე ბატონების ჯავრსა და ყარგა ლამაზად გამოლანძღავდნენ იქვე, იმოდენა ხალხში.

ალზასელი ვაჭრები საბაჟოსა ჩიოდნენ, რადგან ალზასიდან ლორენში სავაჭროს გადმოტანა უბაჟოდ არ იქნებოდა და რასაც იგებდნენ, ორი იმდენი საბაჟოზედ ეხარჯებოდათ, ერთი სიტყვით ყველა ჩიოდა, ყველა ბედს ემდუროდა და ყველაზედ ძალიან ურია, მაგრამ ის უფრო გაჩუმებული იყო: საცა კი მოასწრებდნენ, სულ ტყავს აძრობდნენ საწყალს, ეს შენ უნდა გადაიხადო, ეს კიდევ შენმა სახედარმაო! ისიც იხდიდა — უარესი არ მიყონო; სხვა კი ყველა ხმამაღლა გაიძახოდა თავის სამდურავს და ლანძღვა-გინება არც ბატონს აკლდა, არც ბერს და არც მღვდელს.

ბოლოს, როცა ამდენი წყევლა-კრულვით და ლანძღვით გულს მოიფხანდნენ, წამოდგებოდა ვინმე და იტყოდა:

— ახია ჩვენზედ! ხვალ რომ საქონლის მაგივრად უღელი შეგვადგან კისერზედ, ისიც ახი იქნება ჩვენზედ! რას იზამ? მებატონე — მებატონეა და გლეხკაცი კიდევ იმისი ყურმოჭრილი ყმა; ალბად ასე დაუწესებია იმ დალოცვილ ღმერთსა, რომ მებატონე სუფრის თავში უნდა ბრძანდებოდეს გამოჭიმული და გლეხკაცი კი შიმშილითა კვდებოდეს. რას იზამ?!.. აბა, რა გერგება, დახლიდარო? ფული მიიღე. გაგიმარჯოთ!

ადგებოდა და სხვანიც თან გაჰყვებოდნენ. ხშირად ამისთანა ლაპარაკის დროს მოხუცებული ვინმე დაიჩოქებდა და შეღაღადებდა — ღმერთო, ყოვლად ძლიერო, შენ გვიხსენ ამ ტანჯვისაგან, განა ჩვენ კი შენი შექმნილი არა ვართ, რაზედ აგვარიდე შენი მადლიო? ერთი დაიწყებდა და იმოდენა ხალხი მუხლის თავებზედ დაეცემოდა და ერთხმად შებღავლებდნენ — ღმერთო, შენ იყავ ჩვენი შემწეო!

საწყალი ხალხი! ლოცვა, ვედრება და ღმერთი! ეს იყო იმათი მანუგეშებელი. ჯერ ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ შეიძლება ერთმანეთს მხარი მივცეთ და მონობის უღელი მოვიხსნათო; ჯერ ვერც კი წარმოედგინათ, რომ უბატონოდ და უმოურავოდ ცხოვრება შეიძლებოდა; ვერც კი წარმოედგინათ, რომ, თუ კი ხალხი მოინ-

დომებდა, გროშსაც აღარავის მისცემდა, მუქთახოლა ბატონის და ბერების მაგიერად ღალას თავის ორმოში ჩაჰყრიდა და კულუხს თავის ქვევრებში ჩაასხამდა. ეს აზრები შემდეგში გავრცელდა ხალხში და, გაქვთ ღვთის წყალობა, ხალხმა ამით ისარგებლა! წინად კი ხალხს თავის თავისა კი არა, მარტო ღმერთის იმედი ჰქონდა.

იმოდენა ხალხი დადიოდა ჩვენს დუქანში, იმდენს ლაპარაკობდნენ სხვადასხვა საზოგადო და კერძო საქმეებზედ, რომ ჩემისთანა პატარა ბიჭისთვის უკეთესი სკოლა არ შეიძლებოდა. ვიდექ და შევცქეროდი, სიტყვა არ გამომეპარებოდა. მთელი მილეთის ხალხს ვიცნობდი; ვიცოდი, ვის რა აწუხებდა, ვინ სადა ვაჭრობდა, რას ჰყიდდა ან რას ყიდულობდა და თუ შემდეგში ცოტა რამ სარჩო-საბადებელი მეც შევიძინე, იმიტომ უფრო შევიძინე, რომ ბავშობიდანვე ვიცოდი მამულის და საქონლის ფასი და ყადრი. ღმერთმა უშველოს ებრაელ 'მმულს და ჰარბერგელ მათე ფიშერს: ჩვენ დუქანში შეიყრებოდნენ, დიდი ხანი ევაჭრებოდნენ ერთმანეთს, სულ ხვითქი სდიოდათ ორივეს, მანამ მორიგდებოდნენ. ბოლოს დაღლილ-დაქანცულნი შეთანხმდებოდნენ და აბა დაკაო, ერთმანეთს ხელს გაუშვერდნენ. თანაც დამიძახებდნენ: ბიჭო! ერთი ჩარექი თეთრი ღვინო ჩამოგვისხიო.

ჯერ ბალღი ვიყავ, მაგრამ სულ სმენად გადავიქცეოდი ხოლმე. ჩარექიანს წყალს ვავლებდი და ყური კი იქითკენა მქონდა.

ეგ ხომ ეგრე, და ყველაზე ძალიან კი ის მიყვარდა, რომ ვახშამთ უკან, ხალხს რომ გავისტუმრებდით და დაწყნარდებოდა იქაურობა, ნათლიაჩემი გაზეთის კითხვას დაიწყებდა.

ეხლა სხვაა. რაც უნდა მიყრუებული სოფელი იყოს, დუქანში რამდენიმე გაზეთი მაინც მოიპოვება. ყველას უნდა, ქვეყნისა თუ არა, თავის მაზრის საქმეები მაინც იცოდეს და კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც წაიკითხოს გაზეთი. ვინ შერცხვენილი იქნება, რომ ვირივით ყურდაშვებული იყოს და ქვეყნის საქმეების მიმდინარეობის შეგნებას არა ცდილობდეს. 1789 წლამდე კი კითხვა აგრე რიგად არ უყვარდათ: ნეტავი ღმერთმა იმდენი შემაძლებინოს, ჩემს ვარამს გავუძლო, ქვეყნის საქმეები რაში მეკითხებაო, იძახდნენ! მაშინ კაცი იმიტომ იყო ქვეყანაზედ, რომ სამეფო და საბატონო ტვირთი ეზიდა და ყველასთვის სამსახური გაეწია, ან კითხვა რად უნდოდა, ან ცოდნა? ათასში ერთმა არ იცოდა კითხვა და ვინც იცოდა, გაზეთს ვერ გამოიწერდა, რადგან ძალიან ძვირი იყო გაზეთი: ნათლიაჩემი ხომ შეგნებული კაცი იყო და საკმარი შეძლებაცა ჰქონდა და იმასაც კი ვერ გაებედა იმოდენა ფულის დახარჯვა გაზეთის დასაკვეთად.

ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი მეწვრილმანე შოველი ისე არ და-

ბრუნდებოდა შინ, რომ ნათლიაჩემისთვის ერთი დასტა გაზეთები არ მოეტანა.

სადღაა დღეს მეწვრილმანე შოველი! 1789 წელმა ბოლო მოუღო და მას შემდეგ ბევრიც,რომ ეძებოთ, ვეღარსად იპოვნით. წინად კი დიდ საქმეებს სჩადიოდა ეს მეწვრილმანე. მთელი ჩვენი ქვეყანა ფეხქვეშა ჰქონდა მოდებული — ზურგზედ თავის საწვრილმანო ეკიდა და სხვადასხვა წიგნები — ანბანი, ლოცვანი, კალენდრები — და დადიოდა სტრასბურგიდან მეცში, იქიდან ტრევში, ნანსში, ტულში, ვერდონში; ტყეში, ღრეში, მთის მწვერვალზედ, საცა კი ადამიანის საცხოვრებელი იყო, ყველგან იმასა ჰნახავდით თავის საწვრილმანოთი და წიგნებით. გლეხკაცის ქოხში, ეკლესიის გალავანში, ბონასტერში, ყველგან ის იყო და ყველგან გაშლილი ჰქონდა თავის წიგნები. ანბანსა ყიდდა, ლოცვანს. მაგრამ რამდენ აკრძალულ თხზულებას გაავრცელებდა? ჟან-ჟაკ რუსოსას, ვოლტერისას, რეინალისას, ჰელვეციუსისას...

შოველისთანა გამბედავი და ყოჩაღი კაცი ალზას-ლორენში ბევრი არ მოიძებნებოდა. ერთიბეწვა, პატარა კაცი იყო, გამხდარი, პირმოკუმული და ჩაფიქრებული, იმოდენა კალათი ეკიდა, გეგონებოდათ ჭიანჭველას მთა წამოუკიდნიაო, მაგრამ სიმძიმეს არც კი იმჩნევდა. გაივლიდა და ისე გადახედავდა კაცსა, თითქო გულის გულში უნდა ჩაუძვრესო; დარწმუნებით იცოდა, ვინ რა კაცი იყო, რა სწადდა, უნდა მორიდებოდა, თუ შეიძლებოდა მინდობოდა და თავის წიგნები მიეცა. და მართებდა კიდეც ეს სიფთხილე და მორიდება — ამ წიგნების გავრცელებისათვის ჩამოხრჩობა იყო გადაწყვეტილი.

შინ რომ დაბრუნდებოდა, ღამე შემოვიდოდა ნათლიაჩემისას, როდესაც დუქანში აღარავინ იყო და სოფელს ეძინა. თან თავის პატარა მარგალიტას მოიყვანდა. საცა კი უნდა წასულიყო, რაც უნდა შორს წაეღო სავაჭრო, თავის ქალიც თან დაჰყავდა.

ფეხის ხმაზედ ვიცნობდით ხოლმე და ვიტყოდით:

— აგერ შოველი მოდის. ახალ ამბებს გავიგებთ, გაზეთებს მოგვიტანდა.

ნიკოლი კარის გასაღებად გაეგებებოდა. შოველი და მარგალიტა შემოვიდოდნენ და მეგობრულად მოგვესალმებოდნენ... ისე ამიტოკდება ხოლმე გული ამ მოგონებაზედ, თითქო ჩვიდმეტი წლის ბიჭი ვიყო... აგერ მომაგონდება პატარა შავთვალწარბა მარგალიტა, თავის მოკლე კაბით და გიშერივით შავი, წელზედ გაშლილი თმით.

გაზეთებს ნათლიაჩემს მისცემდა, თითონ კი ბუხარს მიუჯდე-

ბოდა, მარგალიტას თავის წინ დაიყენებდა. ნათლიაჩემი თან გაზეთებსა შლიდა, თან მიესალმებოდა:

— სხვა, შოველ! როგორაა ჩვენი საქმეები?

— არა უშავსრა, ჩემო ივანე, ღვთის მადლით, ნელ-ნელა იღვიძებს ხალხი. ბევრ წიგნებს ვყიდი, ხალხი კითხულობს, გონს მოდის, — მამა რომ ლაპარაკობდა, პატარა მარგალიტა თვალს არ აშორებდა, ეტყობოდა ეყურებოდა, რასაც შოველი ამბობდა.

შოველი კალვინის რჯულისა იყო, და ფრიად დევნილიც იყო თავის სჯულისათვის. თავის სამშობლო ლარაშელიდან გამოეგდოთ, ლიქსჰეიმში დასახლებულიყო. იქიდან განედევნათ და ეს ათი-თორმეტი წელიწადია ჩვენს სოფელს შემოჰკედლებიყო. საბრალო მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. პატარა ქოხის გარდა მამული არა ებადა რა და ისიც სულ დაკეტილი ჰქონდა, რადგან სულ სხვაგან იყო; მოვიდოდა, ერთი ხუთი-ექვსი დღე შეისვენებდა და ისევ გზას გაუდგებოდა. ხალხი ურჯულოს ეძახდა, მაგრამ ამ ურჯულოს უფრო უკეთ სწამდა ქრისტეს სწავლა, ვიდრე მთელი ჩვენი ქვეყნის ბერებს. ცოდნით ხომ იმდენი იცოდა, რომ მეცნიერების სალარო ჰქონდა თავში.

ნათლიაჩემს ძალიან უყვარდა პატარა შოველი და დიდ პატივსაცა სცემდა.

გადაშლიდა ნათლიაჩემი გაზეთებს, რიგზედ დაალაგებდა და გაფაციცებით დასცქეროდა:

— ეს უტრეხტიდან მოდის, ეს კლევიდან, ეს სტრასბურგიდან. აბა ვნახოთ, რას იწერებიან? აბა ვნახოთ?!. აი დალახვრა ღმერთმა!.. სად არის ჩემი სათვალეები?.. ეი, ნიკოლ, ჩემი სათვალეები ხომ არ გინახავს? ემანდ ფანჯარაზედ უნდა იყოს...

გაიკეთებდა სათვალეებს და ხმამაღლა კითხვას დაიწყებდა. მე ჩემს კუნჭულში გავინაბებოდი და სმენად გადავიქცევოდი, ყველაფერი დამავიწყდებოდა, აღარც შინ დაბრუნება მომაგონდებოდა, აღარც შიში, მეტადრე ზამთარში, როდესაც თოვლს დასდებდა და სოფლის ახლო-მახლო მგლები დაწანწალებდნენ.

რაკი ვახშამი აკალაგეთ, მეც უნდა შინ წავსულიყავ, მით უფრო რომ მამაჩემი ყოველთვის მელოდა და უჩემოდ არ დაიძინებდა; მაგრამ ისე გამიტაცებდნენ სათათრეთის ამბები ან კიდეე ამერიკისა და სხვადასხვა ქვეყნებისა, რომ ხშირად ათ საათამდე დავრჩენილვარ, და აი, ახლაც, ამას რომ ვწერ, ასე მგონია ისევ იქ ნათლიაჩემისასა ვარ, კედლის საათის მხრივ მიკუნჭული და ყურს ვუგდებ გაზეთის კითხვას. აგერ მარჯვნივ ნათლიაჩემის ოთახის კარი და დიდი განჯინა, ჩემს პირდაპირ საძილე ტახტი. ნათლიაჩემი კი-

თხულობს, ნათლი-ჯალაბი ეკატერინე — იქვე ტახტზედა ზის და წინდასა ქსოვს. იქვე ტახტის ბოლოს მიმჯდარა ნიკოლი და „ყურს „უგდებს გაშტერებული. საწყალი ნიკოლი—ნაყვავილარი დასჩნეოდა და ისე დაემახინჯებინა საცოდავი, რომ მტერსაც კი შეებრალებოდა. დიაღ! თვალწინ მიდგას მთელი ოთახი. ნიკოლს თვალები დაუხუჭია და პირღია ზის; ნათლი-ჯალაბი წინდასა ქსოვს; ძველებური საათის ენა მიდი-მოდის და აკაკუნებს; ნათლიაჩემს კალთაში მუთაქა ჩაუდვია, ცხვირზედ რკინის უღლიანი სათვალეები წამოუცვია. აი როგორც ეხლა მე და თავის გაზეთის მეტი აღარა აგონდება რა. მაგრამ თუ ძალიან საინტერესო შეხვდა რამე, შეჩერდება, სათვალეების ზემოდან გადმოგვხედავს და თან შემოგვძახებს:

— ჰხედავთ, რა ამბები ხდება ამერიკაში?! გენერალ ვაშინგტონს ინგლისის ჯარი დაუმარცხებია. ჰა, ყოჩაღ, ბიჭო! თავისუფლებისთვის იბრძვის და! ვერა ხედავ, შოველ, რას ჩადიან ის კურთხეულის შვილები, ჰა?

— დიაღ, ჩემო ივანე, — უპასუხებს მეწვრილმანე,—ჯერ ოთხი წელიწადი არ არის მას აქეთ, რაც ამერიკელები აჯანყდნენ — ჩვენ თავისუფლად გვინდა ვიცხოვროთ, ინგლისელების უღელი აღარ გვინდაო! ქუდზედ კაცი გამოვიდა, იარაღი აიღეს და შეუტიეს:—ამოდენა ხარჯს რომ გვადებთ, აბა მოდით და წაიღეთო! იმოდენა ხარჯს იხდიდნენ მართლა, რომ ჩვენ ხომ უკიდურეს მდგომარეობაში ვართ და იმაზედ მეტის გადახდა ჩვენც კი გაგვიჭირდებოდა. — ჰოდა, ხომ ხედავ, ჯერ კარგად მიდის იმათი საქმე და თავიანთ მტარვალებს კიდეც ამარცხებენ.

პირს ღიმილი მოუვიდოდა და რამდენიმე წამი ისე იყო გაჩუმებული, სახე გაბრწყინვებული. მერე ისევ დაიღვრემდა და ნათლიაჩემიც გაზეთის კითხვას შეუდგებოდა.

გერმანიის მეფის, ფრედერიკ მეორის სახელი სულ ციებას მოჰგვრიდა ხოლმე ნათლიაჩემს, როცა კი გაზეთში შეხვდებოდა. წამოვარდებოდა გააფთრებული და ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით.

— ვერა ხედავთ იმ მუზმუზელას იმას! ის სულ წაწყმედილი სუბიზი არა ყოფილიყო, ვნახავდი როსბახში როგორ გვაჯობებდა!

— დიახ, ჩემო ივანე, — დაამშვიდებდა ხოლმე შოველი, — სუბიზი იყო და კიდეც იმიტომ უბოძა მეფემ ათას რვაასი თუმანი პენსია.

ერთმანეთს გადახედავდნენ. ცოტა ხანი გაშტერებული შესცქეროდა ნათლიაჩემი და მერე უარესად გაბრაზებული დაიძახებდა:

— ათას რვაასი თუმანი! წელიწადში ერთ კაცს?! იმ გამოტვინებულს იმას! არა, საევრნიდან ფალსბურგისკენ სამეფო გზა ვერ შე-

უკვთებიათ — ფული არა გვაქვსო, და ერთ ვიღაც გადაყრუებულს კი ბაგდენს უნდა აძლევდნენ! ერთის დღის სავალზედ უნდა მოუაროს ყაცმა, რომ ლორენიდან ალზასს მივიდეს და ისინი კი ათას თუმნობით არიგებენ! პური გაძვირდა, ღვინო გაძვირდა, საკლავი გაძვირდა, — ქვეყანა დაიმშა, ქვეყნისთვის არაა ზრუნავენ და...

— ეჰ, რას იზამ, ჩემო ივანე — ეგ პოლიტიკის საქმეა. პოლიტიკა ჩვენი ჭკუის საქმე არ არის. პოლიტიკა ისეთი რამ არის, რომ მე და შენ, უბრალო მომაკვდავთ, პოლიტიკისა არა გვეყურება რა. უნდა ვიშრომოთ და ხარჯი ვაძლიოთ; დახარჯვით კი მეფე უჩვენოდაც კარგად დახარჯავს.

ნათლიაჩემი რომ ასე გაჯავრდებოდა, ნათლი-ჯალაბი წამოხტებოდა, გარეთ გავარდებოდა, მიათვალიერ-მოათვალიერებდა და ნათლიაჩემიც უცბად დამშვიდდებოდა, რადგან კარგად იცოდა — რისა იყო ეს სიფრთხილე. დიდი სიფრთხილე გვმართებდა მართლა, თორემ ჯაშუშებით სავსე იყო ქვეყანა. რომ სცოდნოდათ, რას ვამბობდით მეფის, მებატონეების და ბერების შესახებ, ავი დღე დაგვადგებოდა.

შოველი და პატარა მარგალიტა ადრე წავიდოდნენ ხოლმე. მე კი სულგანაბული იქამდე ვიჯექი ჩემს კუნჭულში, მანამ ნათლიაჩემი უკანასკნელ გაზეთს არ დაჰკეცავდა; მაშინ მეც მოვაგონდებოდი და დამიყვირებდა:

— ბიჭო, მიშელ! მანდ რას აკეთებ, იქნება შენც გეყურება რამე?!.. პასუხს არც კი დამაცდიდა და თითონვე განაგრძობდა:

— აბა, ხვალ დილის სისხამზედ შენ საქმეს უნდა შეუდგე. ხომ იცი, ხვალ ბაზრობაა და ჩვენ სამჭედლოს ბევრი საქმე ექნება. გაიქე, მიშელ, და ხვალ არ დაიგვიანო.

სწორედ მაშინ მომაგონდებოდა ხოლმე — ვაიმე დედავ, მგლები-მეთქი! და სამზარეულოში შევარდებოდი მკვარის საპოვნელად. სოფელში ყველას ეძინა, სინათლე აღარსაიდან მოჩანდა, თოვდა, ქარი ზმუოდა. მოვუკიდებდი მკვარს და — ღმერთო, შენ მიშველე მეთქი! გავრბოდი თავგადაგლეჯილი.

ღვთის წინაშე, ვაჟკაცსაც შეეშინდებოდა იმ დროს და მე ხომ სულ ბავშვი ვიყავი. უდაბნოსავით მიჩუმებული სოფელი, მიყრუებული, ჩაბნელებული სახლები, მუხლამდე თოვლი, ქარის გრიალი და თან მგლების ღმუილი. ისე ღმუოდნენ ის ამოსავარდნები, თითქო ერთმანეთს უძახიანო. მეც გავრბოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ისე მივქროდი. სუნთქვა შემეკვრებოდა ხოლმე. თმა ამეშლებოდა, და გიჟივით მივფრინავდი თოვლიან ქუჩაში. სულ ჩიტივით გადავფრინდებოდი აგროვილ თოვლზედ ან პატივის გროვაზედ; იმის-

თანა გროვაზედ გადავხტებოდი ხოლმე, რომ ცემით რომ მოეკალით, დღისით იმაზედ ვერ გადავხტებოდი. მივრბოდი და თან ანთებულ მკვარს მივაქროლებდი, მივრბოდი და თუ, ჩემდა საუბედუროდ, ადამიანს დავინახავდი სადმე, იმას ხომ. არ ვიტყოდი — ადამიანია მეთქი, რაღაც საშინელებად მომეჩვენებოდა, ელდა მეცემოდა, ხმა ჩამივარდებოდა... მაგრამ აგერ ჩვენი მიწურიც.

საწყალი მამაჩემი! ჯერ არ დაუძინია, ზის და კალათსა სწნავს, ყური კი კარისაკენ უჭირავს. დამინახავს და გამხიარულდება, თითქო გულიდან ლოდი მოეშვაო.

— რა გვიან მოხვედი, ბიჭო! ყველასა სძინავს. იქნება კიდევ გაზეთის კითხვაში გაერთე?

— დიაღ, მამაჩემო... აი, მიირთვი.

ნათლიაჩემმა იცოდა ვახშმის შემდეგ ერთ კარგ ნაჭერ პურს ჩამიდებდა უბეში, იმ პურს მამაჩემს წამოვუღებდი ხოლმე. გამომართმევდა პურსა და თან მიალერსებდა:

— დაწექი, დაიძინე, ჩემო ბიჭიკო! აგრე გვიან ნუღარ დარჩები გარედ; ხომ იცი, შვილო, ბინდისას ჩიტიც თავის ბუდეს მონახავსო. ვერა ხედავ, როგორა ღმუიან მგლები...

ერთი ძველი ზანდუკი გვქონდა თივით გატენილი და იმ ზანდუკში ვიწექით ბავშვები. გავეხვევოდით თივაში, ჩავეხუტებოდით ერთმანეთს და ისე ტკბილად გვეძინა, თითქო ყუითუკზედ წვანან და ატლასის საბანი ხურავთო.

მაგრამ საქმე სწორედ ეს ჩათბობა იყო. ჩემი და-ძმა ლუკმა-პურის სათხოვნელად სოფელ-სოფელ დაწიალებდნენ და დაღალულ-დაქანცულნი ჭერეხივით მიეყრებოდნენ და ხვრინვას ამოუშვებდნენ. მე კი მანამ ჩავთბებოდი და ძილი მომერეოდა, ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა თავში. ქარის გრიალი თანდათან უფრო ძლიერდებოდა, მგლების ღმუილი თანდათან უფრო ახლო ისმოდა; ისეთ თქარათქურით შემოვარდებოდნენ ხოლმე დამშეული მგლები სოფელში, იტყოდით ცხენოსანი ჯარი მოდისო. ატყდებოდა ძაღლების ყეფა, გლეხკაცების ყიჟინა — და მეორე დღეს ხმა გავარდებოდა, მგლებს ძაღლი მოუტაცნიათ და იქვე ორღობეში შეუჭამიათო.

რამდენჯერ მოვარდნილან პირდაპირ ჩვენ კარებამდე ძაღლს აღარ დარიდებიან და კარის ფხაჭუნი დაუწყიათ. წამოდგებოდა მამაჩემი, ერთ მუჭა ჩალას ცეცხლს მიუკიდებდა და ამით აშინებდა. ხანდახან სულაც არ დაგვაძინებდნენ, ისე აგვიტყდებოდნენ ხოლმე ის ვერანები.

აბა რა სათქმელია და მე კი ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ უწინდელ დროში ზამთარი უფრო სუსხიანიც იყო და უფრო ხან-

გრძლივიც. ხანდახან ისეთ თოვლს დასდებდა, რომ მეზობლამდე ვეღარ გადავიდოდით; გარს უშველებელი ტყეები გვერტყა, მზე ჩვენამდე ძნელად ატანდა და იდო ასე თოვლი, აპრილამდე არ დადნებოდა. ამასთან მებატონეებმა და მონასტრებმა იცოდნენ, საცა კი დასასვენებლად მიწა იყო, ზედ წყალს მოატბორებდნენ, ისე რომ მინდორში რომ გაგეარათ, გაგიკვირდებოდათ — ეს აუარებელი ჭაობები რად დაუგუბებიათო. ახლა ის წყალი ანოტივებდა და აცივებდა ჰაერს!

აბა ახლა გაიარეთ ჩვენს მინდორში. ისეა დამუშავებული, სამოთხე გეგონებათ. წვიმის გუბესაც ვერსად ნახავთ, არამც თუ ძალად დაეგუბებიოს ვისმე. ეს იმიტომ რომ ეხლა მიწა იმას ეკუთვნის, ვინც მიწასა მუშაობს და ყადრი იცის მამულისა. ყველგან ხნულებსა ნახავთ, ნათესს-ნაფარცხს. ყველგან ღვთისაგან კურთხეულს ჯეჯილსა ნახავთ. მზეც უფრო ყველგანა ხვდება, გაზაფხულიც თითქმის უფრო ადრე დგება. რა ვიცი, მე კი ასე მგონია-და! ასე თუ ისე, ეს კი მართალია, და ჩემი ხნის კაცი ყველა დამემოწმება, რომ უწინდელ დროში უფრო ადრე დაზამთრდებოდა ხოლმე, გაზაფხული უფრო გვიანა დგებოდა და ისე გათამამებული იყვნენ მგლები, რომ შიგ სახლში გვიცვივდებოდნენ და საქონელსა და ძაღლებს გვტაცებდნენ.

IV

ზამთარი გადიოდა, აღდგომამდე სულ ორი თუ სამი კვირაღა რჩებოდა, როდესაც ჩვენს სოფელში ერთი უცნაური ამბავი მოხდა. იმ დილას ძალიან გვიან გამომეღვიძა და როგორც მოგეხსენებათ, გაფაციცებით ვიცვამდი ტანთ — ეგების მალე წავიდე, ნათლიაჩემი არ გამიჯავრდეს მეთქი. წინა დღეს სარეცხი ჰქონდათ და წყალი შეენახათ — იატაკი გავარეცხინოთო. ეს საქმე მე და ნიკოლს გვებარა და წელიწადში ორჯერ-სამჯერ ისე გავაკრიალებდით იატაკს, რომ ზედ ერბო აიკრიბებოდა.

თოვლი ის იყო დნებოდა. ჯერ საქონელი მინდორში არ გადიოდა, მაგრამ ჰაერში გაზაფხულის სითბო ტრიალებდა და ყველგან ღია ჰქონდათ კარები და ფანჯრები. ბოსლებიდან საქონელს გარედ ერეკებოდნენ, რომ იქაურობა უფრო თავისუფლად დაეგავათ. კლოდ ჰურე გუთანსა მართავდა, ჩვენი მეზობელი პეტრე უღელსა სთლიდა. ცოტა ხანს უკან ხვნას დავიწყებდით და ცდილობდნენ ყველაფერი მზადა ჰქონოდათ.

მართლა მშვენიერი დღე იყო, ნამდვილი გაზაფხულის დღე და დიდით პატარამდე სულ გარედ გამოსულიყვნენ.

შორიდანვე დავინახე, რომ სულ ღია იყო ნათლიაჩემის სახლის ფანჯრები. კარებზედ, სწორედ კიბესთან ბერი ბენედიქტეს ჯორი ება, თავისი ხურჯინებით და კალათებით.

ვიფიქრე — ჩვენსა ბევრი ხალხი იქნება და ბერი ბენედიქტე უქადაგებს მეთქი. მართლაც, საცა კი ბლომად ხალხსა ნახავდა, წამოდგებოდა, ქადაგებას დაიწყებდა და მერე მოწყალებასა სთხოვდა; კარგა ფულსაც აგროვებდა. დადიოდა სოფელ-სოფელ თავის ჯორით და უარს არაფერზედ ამბობდა, ოღონდ კი მიგეცათ რამე. გაყვითლებული წვერი ჰქონდა, თითქო პირისახეზედ ჯაგარი ამოსვლიაო; ცხვირი ისე ჰქონდა მიჭყლეტილი, თითქო მწიფე ლეღვი მიუკრავთო; დაქანებული შუბლი ჰქონდა, უშველებელი ყურები, ერთი ბეწვა, ბაყაყსავით მრგვალი თვალები. საცა კი მივიდოდა, თან არყის სუნს შეიტანდა და ქადაგებას, ოღონდ კი ფულის იმედი ჰქონოდა.

ნათლიაჩემს ჭირივით ეჯავრებოდა, მაგრამ ნათლი-ჯალაბი ეკატერინე ძალიან ღვთის მლოცავი ადამიანი იყო და ბერ ბენედიქტესაც დიდ პატივსა სცემდა; სუფრიდან საუკეთესო ნაჭერს ყოველთვის იმას შეუნახავდა ხოლმე; გაჯავრდებოდა ნათლიაჩემი — საქმე არა გქონია! ვიღაც მაწანწალას სახლში როგორ უშვებო? მაგრამ ნათლი-ჯალაბიც მაგრა დახვდებოდა ხოლმე:

— მე კი შენსავით უღმერთო არა ვარ, რომ არც ბერი მწამდეს და არც მღვდელი! მე მინდა სამოთხეში ალაგი მქონდეს. განა მადლი არ არის, ლოცვითა და მარხვით მისუსტებულს ბერს ლუკმა მივაწოდოვო?!

რაღას ეტყოდა ნათლიაჩემი? თავს დაანებებდა. შენი ნება იყოსო.

შინ შევედი. მთელი ქვეყანა ჩვენს დარბაზში იყო. ჩვენებურების გარდა, ალზასელებიც ბევრნი იყვნენ. იქვე იყვნენ ნათლი-ჯალაბი, ნიკოლი, ვალენტინი; ერთი სიტყვით, დიდით-პატარამდე ყველანი იქ იყვნენ და გარს ეხვივნენ ნათლიაჩემს, ის კი შუაში იდგა, ხელში ერთი კარგად მოზრდილი პარკი ეჭირა, რაღაცა ნაფცქვენებს აჩვენებდა. ეს ნაფცქვენები ჰანოვრიდან მომივიდაო, ამბობდა ნათლიაჩემი, ეს რომ დავთესოთ, იმისთანა მსხვილ ფესვებს გაიკეთებს, იმისთანა დალოცვილ და ბარაქიან ფესვებს, რომ წლითი წლობამდის საჭმელი გვექნება და ქვეყანაზედ შიმშილი ამოვარდებაო. აი, მიირთვით ვისაც გენებთთ, მეც მეყოფა და თქვენცაო! წაიღეთ, დათესეთ და მერწმუნეთ არ ინანებთ! ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებთ ამ მცენარის გადმომტანსაო.

ისე მხიარული ნათლიაჩემი ჩემს დღეში არ მინახავს. იდგა შუა

ოთახში, თან ნაფცქვენებს გვაჩვენებდა, თან ისეთი ალერსიანად გვა-
წვდიდა — წაიღეთ, დათესეთო, თითქო მართლა ქვეყნის ხსნა იმ
ნაფცქვენებში იყო. სულ უკან კუნჭულში შოველი იდგა თავის მარ-
გალიტათი.

გამოართმევდნენ ნაფცქვენებს, დიდი ხანი სინჯავდნენ, სუნავ-
დნენ და ისევ პარკში ჩაუშვებდნენ; პირს რაღაც ცუდი ღიმილი მოს-
დიოდათ, თითქო უნდა სთქვან და კი ვერ გაუბედიათ დაცინვაო:

— გიჟები ხომ არა ვართ, ნაფცქვენი ვთესოთ. ვის უნახავს, ვის
გაუგონია?...

ზოგიერთები ერთმანეთს დაცინვით თვალს უშვრებოდნენ და
იდაყვს ჰკრავდნენ:

— ხედავ, სიბერის დროს რა სისულელეს სჩადის ეს კაციო.

უცბად წინ წამოვიდა ბერი ბენედიქტე, წინ წამოყო თავი. ნა-
ფცქვენებს დასუნა, დაიღრიჯა და გაიხარხარა. გაიხარხარა ბერმა და
იმოდენა ხალხსაც სიცილი წასკდა.

ეწყინა ნათლიაჩემს და ესღა უთხრა:

— არა, რომ იცინით, იცით კი რაზედ იცინით? როგორ არა
გრცხვენიათ! მე საქმეზედ გელაპარაკებით და თქვენ იმის მაგივრად,
რომ საგანი შეიგნოთ, მოჰყოლიხართ და გიჟებივითა ხარხარებთ!

ისინი კი უფრო და უფრო იცინოდნენ. ამ დროს ბერმა შოველი
დაინახა კუნჭულში და წამოიძახა:

— ახლა კი ვიცი! ეგ თესლი ამ ვაუბატონის შემოპარებულია!
ახლა კი ვიცი...

მართალიც იყო. ჰანოვრიდან შემოტანილს ყველაფერს ბაჟი ედო
და შოველს ეს პარკი უბაჟოდ გამოეტარებინა საზღვარზედ. იქ კარ-
გა ხანია ამ მცენარესა სთესენ და ძალიან მადლიერნიც არიან მის ნა-
ყოფისაო, — ამბობდა ჩვენი მეწვრილმანე.

— ეგ ხომ ქრისტიანი არ არის, ეგ მწვალებელია! — ყვიროდა
ბერი. — გეყურება, ხალხო, ეგ მწვალებელია, ქრისტეს მტერია! ნუ
თუ მაგ ურჯულოსაგან შემოტანილ თესლს დასთესთ?! ნუ თუ გგო-
ნიათ, ღმერთმა აკურთხოს და ნაყოფიერება მისცეს რასმე, რასაც
კი მაგის ცოდვილი ხელი შეეხება?!

— იმდენი ღმერთმა დღე მომიმატოს, რამდენი შენ ამ მცე-
ნარის ნაყოფი ინატრო, ბერო! დამაცადე, დავთესო, თუ სულ თვა-
ლები არ გაბრეცინო, და ეს ულვაში მომჭერი! გეყურება?

— დამაცადე, დავთესოო! — შესძახა ბერმა და თან თვალები
და ხელები ცისაკენ აღაპყრო, თითქო უნდოდა ეთქვა: ღმერთო, მიუ-
ტევე, რამეთუ არ იცის, რას სჩადისო! — მერმე რომ დასთესო, იქ-
ნება გგონია მაგან ნაყოფი მოგცეს რამე! ოჰ, უგუნურო! ნეტავი

იმდენი მიწა გქონდეს, სიმინდი და ლობიო დასთესო და ცოტაოდენი მწვანილი მოიყვანო... გადაყარე ეგ ეშმაკის თესლის ნაფცქვენი, გადაყარე!... ეგ შენ არას მოგცემს! გეყურება, ეგ შენ ნაყოფს არას მოგცემს, თუ არადა მე ბერი ბენედიქტე არა ვყოფილვარ.

— შენგან ბევრი სხვაც გამიგონია, მაგრამ კი არა დამიჯერებია რა, — მიუგო ნათლიაჩემმა და პარკი განჯინაში შესდო. მაგრამ მოაგონდა, რა წინდაუხედავად მოექცა ბერს და თვალით ანიშნა თავის ცოლს — ახლა შენ იციო. იმანაც ერთი წყვილი კარგი ძეხვი გამოუტანა ბერს და ამით დაამშვიდა, თორემ გაჯავრებული რომ გაგვესტუმრებინა, ვინ იცის რა მოსდებოდა: წუწკი ბერები ყველგან თავისუფლად დაიარებოდნენ და ერთი კი ეთქვა სადმე — მჭედელი ივანე კეთილ-საიმედო კაცი არ არისო, მგონი ღმერთიც ვერას გვიშველიდა. ახლა კი ძეხვით მომადლიერებული გავისტუმრეთ ჩვენი ბერი და შიში აღარა გვქონდა. ხალხიც უკან გაჰყვა.

მარტო მეღა დავრჩი და ისეთი ბრაზი მერეოდა, რომ შემძლებოდა, იქვე წავახრჩობდი. არა, კაცი გალანძღო, თავის სახლში კაცი შეარცხვინო და აგრე?

ბერი ბენედიქტე კი გარედაც არ იშლიდა:

— იმედი მაქვს, ეკატერინე ქალო, მიწას მაგ ნაფცქვენებისათვის არ მოაცდენთ! რას იტყვის ქვეყანა? ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ დასთესოთ, თორემ მე აქ აღარ გამევლება: შიმშილით დავიხოცებით მე და ჩემი ჯორი. არა, უნდა წავიდე, ვილოცო, ღმერთს შეგავედროთ, რომ გონებაზედ მოგიყვანოთ!

ვითომ უნაგირს უსწორებდა თავის ჯორს, განგებ იგვიანებდა, რომ ხალხისთვის გაეგონებინა თავის სიტყვები; ისინიც გულიანად იცინოდნენ, და ნელ-ნელა შინისკენ მიდიოდნენ.

ნათლიაჩემი ფანჯრიდან გასცქეროდა და იძახდა: მოდი შენა და ამ ბრიყვებს სიკეთე უყავი რამე. რა გამოვიდა? კი არ დაგიფასებენ და!

— ხომ იცი, ჩემო ივანე, ჩვენი მებატონეები და ბერები სულ იმასა ცდილობდნენ და ცდილობენ, რომ ხალხს სწავლა-განათლება არ მიაკარონ და მით უფრო მეტად და ადვილად დაიმონაონ და ამუშაონ. მაშ ამ ხალხს რად ამტყუვნებ? ხალხისა რა ბრალია, რომ ავი და კარგი ვერ გაურჩევია? მე რომ ერთი კალოს ტოლი ალაგი მქონდეს, მე თითონ დავთესდი მაგ მცენარეს; თავის თვალით რომ ნახავდნენ და თავის პირით რომ იგემებდნენ, მაშინაც დამცინებდნენ? მგონი თავის წონა ფულად ეთხოვათ სათესლედ ეს ნაფცქვენები. რადგან, აკი მოგახსენე კიდევაც, ამ მცენარემ ერთი ათად მეტი მოსავალი იცის, ვიდრე სიმინდმა. კაი ვაჟკაცის მუშტის ტოლა ფეს-

ვებს გაიკეთებს და იმისთანა გემრიელი და ნაყოფიერი საჭმელია, რომ მეტი არ შეიძლება. ამას წინად გემო ვნახე და თესლიც იმიტომ წამოვიღე, რომ მართლა ძალიან მომეწონა; მოყვითალოა, ფხვიერი, წაბლის გემო აქვს და პირში ისე იშლება, როგორც ყველიერის ქადა. გინდა მოხარშავ, გინდა მოხრაკავ, გინდა სხვა საჭმელს დაურევ...

— დარწმუნებული ბრძანდებოდე, ჩემო შოველ, რომ მეც შენსავით მოვიქცევი. არა ნებავთ, ძალიან კარგი! მე დავთესავ და მარტო მე მექნება. ვნახოთ ვინ ინანებს! რომ წაეღოთ, დანარჩენი ბოსტანის მეოთხედსაც არ ეყოფოდა და ახლა კი მთელ ბოსტანში ამას დავთესავ.

— ძალიან კარგს იზამ, მერწმუნე. საცა გინდა დარგე, ყველგანა ხარობს. მაგან მიწის დაწუნება არ იცის, მაგ დალოცვილმა! უფრო კი ქვიშნარი უყვარს.

ამის შემდეგ შოველი შინისკენ გაემგზავრა, ნათლიაჩემი სამჭედლოში შევიდა, მე და ნიკოლმა ბარგი გარედ გავალაგეთ და იატაკის რეცხვა დავიწყეთ. მაგრამ მთელი ის დღე და მას შემდეგ მთელი ჩემი სიცოცხლე გონებიდან არ მომშორებია ეს ჩხუბი და ბერი ბენედიქტეს სიტილი.

ნაფცქვენი, რასაკვირველია — მიხვდებოდით, კარტოფილის ნაფცქვენი იყო. შოველს მოეტანა შორიდან და ის დღე იყო და ის, მას შემდეგ შიმშილი აღარ ყოფილა ჩვენში: დამშეულ ხალხს კარტოფილი მაინცა ჰქონდა საჭმელად.

ფანჯარასთან ისე ვერ მივალ, ისე ვერ გადავხედავ ამ დაცემულს, თვალგადუწვდენელ მინდორს, რომ ცხონებული შოველი არ მომაგონდეს. ქვემოთ წყლიდან დაწყებული ტყიან მთის მწვერვალამდე მწვანე ხავერდივით ბიბინებს ჩვენი მიწები და უმეტესი ნაწილი ღარიბი კაცის პურით, ესე იგი კარტოფილით არის ნათესი. დადგება შემოდგომა, კარტოფილის თხრის დრო მოვა და ისეთი მხიარული ერიამული მოდის მინდვრიდან, თითქო კარტოფილს კი არა, ყანასა მკის მამითადიო. დიდი, პატარა, ქალი, კაცი სულ მინდორშია; ზოგი სთხრის, ზოგი აგროვებს, ზოგი ურემზედ უდებს და ყველგან სიმღერა, სიცილი, ხუმრობა ტრიალებს და თან მომავალის იმედი და უშიშრობა — ღმერთი მოწყალეა, შიმშილი ვეღარას დაგვაკლებსო! უწინ კი ჯერ ქრისტიშობისთვე სად იყო, რომ ჭადი აღარავისა ჰქონდა და დამშეული ხალხი უკანასკნელ ავეჯს და საქონელს ჰყიდდა, რომ ცოლშვილი გამოეკვება როგორმე. ბოლოს, როცა გასაყიდიც აღარა ებადა რა, წვრილ-შვილს მოწყალებისა თხოვნელად ჰგზავნიდა, თითონ სამუშაოდ მიდიოდა, სამუშაოდ — ცარიელი ლუკმა-პური მაინც ვიშოვოთო. მომაგონდება უწინდელი

დამშეული გლეხკაცი, მომაგონდება ცხონებული შოველი და ნათლიაჩემი, მომაგონდება — რამდენს დასცინოდნენ საწყლებს სწორედ ამ კარტოფილის გაჩენისათვის და ვინატრებ ხოლმე:

— ოჰ, ნეტავი კი ერთს საათს წამოგახედათ თქვენი საფლავიდან, თქვენ დალოცვილნო! ნეტავი გაჩვენათ, რამდენი კარტოფილი მოჰყავთ ჩვენს მაზრაში, რომ ღირსეულად დააფასოთ ის ღვაწლი, რომელიც თქვენ ჩვენს ქვეყანას დასდეთ. ნეტავი ბერი ბენედიქტეც გაცოცხლდეს ერთ წამს, რომ საკუთარი თვალითა ნახოს, რა მაძღარია ჩვენი გლეხკაცი ამ მცენარის წყალობით; რამდენს გაიცინებენ ჩვენი გლეხკაცები, რომ ნახონ სადმე ბერი ბენედიქტე თავის მძიმედ დატვირთული ჯორით.

ჩავფიქრდები ხოლმე და წარმომიდგება, რომ ღმერთი ყოვლად სამართლიანია და მიცვალებულს ქვეყანას არ აშორებს: კაცი მიიცვლება, მაგრამ მისი სული მაინც თავს დაგვტრიალებს და ღვთიური სიმართლით დასცქერის თავის საქციელს, თავის სიკეთითა სტკბება, და თუ ავი ჩაუდენია რამე, სწუხს და იტანჯება. საუკუნეები გაივლიან, ქვეყანა იცვლება და ადამიანის ღვაწლი და სიკეთე კი უკუნითი უკუნისამდე დაუვიწყარი დარჩება. მე რომ მკითხონ, მარტო თავის საქციელით არის ადამიანი უკვდავი.

მაგრამ ისევ კარტოფილის ამბავს შევუდგეთ: ნათლიაჩემი დარწმუნებული იყო, რომ შოველის ნათქვამი სულ მართალი გამოდგებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უსიამოვნება მოელოდა. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ხალხი ასეთი შეუგნებელი და შეუნდობელი იქნებოდა, მაგრამ ამ ამბავმა, ეგ კი არა, მეტიც დამანახვა. მთელი ქვეყანა იმასლა გაიძახოდა, რომ მჭედელი ივანე გაგიჟებულა, თალგამის ნაფცქვენს თურმე სთესს და იძახის — სტაფილო ამოვაო. გამვლელ-გამომვლელი ვაჭრები და მეურმეები ეჭვის თვალით შესცქეროდნენ საწყალ ნათლიაჩემს და დაცინვით ეკითხებოდნენ: ხომ კარგადა ხარ, ივანე, ავადმყოფობას ხომ არასა გრძნობო? ისიც კაცი იყო, სწყინდა, რასაკვირველია, და საღამოზედ, როცა უცხონი აღარავინ გვყავდა, თავის ნაღველს აღარა მალავდა და მწარედ უჩივოდა ხალხს. ყველანი თანავუგრძნობდით.

თუმცა ბევრს დასცინოდნენ, თუმცა ქვეყნის მასხარად გახადეს, მაგრამ თავისი არ დაიშალა, ბოსტანი დაბარა, ცოტა პატივი დააყარა და თავით ბოლომდე სულ კარტოფილი დათესა. მე და ნიკოლი ვეხმარებოდით.

მაგრამ ახლა უარესი გვიყვეს: განაღა გაივლიდა ვინმე, რომ არ აწოწილიყო და ღობეზედ არ გადმოეხედა. თან თავს იქნევდნენ და ოხრავდნენ — ეჰ, ახლა კი სრულიად შეშლილა ეს უბედურიო!

მაგრამ თქმით კი აღარავინ არას ეუბნებოდა, რადგან ეშინოდათ — ბარი თავზედ არ დაგვამტვრიოსო!

რომ აგიწეროთ, რამდენს დაგვცინოდნენ ყველას, ვინც კი ნათლიაჩემის სახლში ვიყავით, არც კი დამიჯერებთ. ასეა! ოღონდ კი მასხარად აიგდოს ვინმე ჭკუათხელმა და სხვა ქვეყანაზედ არა უნდარა. ჩვენებურებსაც საუკეთესო შემთხვევად ეჩვენათ ნათლიაჩემის წადილი და ერთი კი ეხსენებინა ვისმე მჭედელი ივანეს ნაფცქვენები, დიდით პატარამდე სიცილით იყუჟებოდნენ.

როგორც კი დამინახავდნენ მინდორში ტოლი ბიჭები, მაშინვე ყვირილს მორთავდნენ:

— აგერ ჰანოვრული ნაფცქვენები! როგორა ხართ შენ და ნათლიაშენი?

გამიბრაზდებოდა გული, ვეღარ მოვითმენდი, განზედ გავუდგებოდი და გაუწკაპუნებდი შოლტსა. მაგრამ რას ვიზამდი? ხშირად ათნი მომვარდებოდნენ, უღმერთოდა მცემდნენ და თან მიყვიროდნენ:

— ემანდა შენი ნაფცქვენები! ემანდა შენი ჰანოვრული ნაფცქვენები!

განა ისე დღე გავიდოდა, რომ ნაცემი არ მოვსულიყავ სახლში? ჩემდა საუბედუროდ, აღარც ჩემი ძმა ნიკო მყავდა ქომაგად, აღარც კლოდი. ნიკო ტყეში მუშაობდა — მოჭრილ ხეებს ტოტებს აცლიდა, და კლოდი მამაჩემს შველოდა კალათების დაწვნას, ან არა და ჭალაში დაიარებოდა წნელის და ცოცხის მოსატანად.

ერთის სიტყვით, მარტო ვიყავ და მარტო მე მხვდებოდა გვერდებში — საღამოზედ სულ აჭრელებული მივიდოდი ხოლმე შინ. ბრაზისაგან ცრემლი გამშრალი მქონდა და ერთხელ არ მიტირნია.

წარმოიდგინეთ, რა ძალიან ვნატრობდი იმ ნაფცქვენების ამოსვლას! დღე და ღამ სულ იმის ნატვრაში ვიყავი, ნათესი ამოსულიყო და ჩვენი მტრები შერცხვენილი მენახა. ჯერ გათენება სად იყო, რომ მე ბოსტანში ვიყავი და გაშტერებული დავცქეროდი მიწას. იქნება სადმე მწვანე ნიშანი მაინც დავინახო რამე-მეთქი, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანდა და დაღონებული, გულდაწყვეტილი მივდიოდი ჩემ საქმეზედ და თან ბერ ბენედიქტეს ვწყევლიდი; სულ იმის ბრალია, იმას რომ არ დაეწყევლა, აქამდე კიდეც ამოვიდოდა მეთქი.

უწინდელ დროში ყველას გვწამდა დაწყევლა და შელოცვა: დარწმუნებული ვიყავით, ავ კაცს შეეძლო შეელოცა, ჯადო გაეკეთებინა ადამიანისთვის და დიდი ზიანი მიეცა: ან სულ დაესნეულებინა, ან საქონელი გაეწყვიტა, ან მოსავალი წაეხდინა. რამდენი

დედაკაცი დაუწვავთ — კუდიანია და ქვეყანას აზიანებსო! მეც რომ ნება მქონოდა, გარწმუნებთ, დიდ ხანს აღარ ვაბოგინებდი ბერ ბენედიქტეს, ისე გაჯავრებული ვიყავ იმაზედ.

ჩვენებურებს ვიღა ჩივის, ახლო-მახლო სოფლის ბიჭები უარესად გადამეკიდნენ, და მეც ისე მაგრა ვუდექი, რომ გმირად წარმოვიდგინე ჩემი თავი; კარგი რომ არ იყოს, არც შოველი და ნათლიაჩემი დასთესდნენ-მეთქი, ვიძახდი, და ვამაყობდი, რომ მე კეთილ საქმისთვის ვიბრძოდი. ჩვენებმა და ნათლიაჩემის სახლობამ არა იცოდა რა ამ ცემა-ტყეპისა, თუმცა ნაცემი რომ მივიდოდი, მამაჩემი გაიკვირვებდა ხოლმე:

— ბიჭო, მიშელ! მე ყველაზე წყნარი შენ მეგონე და შენ კი ლამის ნიკოსაც გადააჭარბო. ისე დღე არ გავა, ნაცემი არ შემოხვიდე შინ. რადა, შვილო, რადა ჩხუბობთ? რა გაქვთ გასაყოფი? გაფთხილდი, მაგ შოლტს ნუ ეხუმრები, თორემ ადვილად იცის კაცის დაბრმავება. პატარა კი აღარა ხარ, შვილო, ჩვენი შებრალებაც უნდა გქონდეს...

თავს ჩაღუნავდა დაღონებული და ჩაფიქრებული ისევ თავის საქმეს შეუდგებოდა.

მთვარიან ღამეს მთელი ოჯახი გარეთ ვმუშაობდით, რომ მკვარი გამოგვეზოგა. ვახშმობა რომ მოატანდა, წამოდგებოდა მამაჩემი. წნელს მოაფროვებდა და შეჰკრავდა, მერმე ერთ წამს ცას დააცქერდებოდა და იტყოდა:

— ღმერთო ძლიერო! შენ იყავ შემწე ჩემი წვრილშვილისა!

ისეთი გრძნობით, ისეთი ღაღადით იტყოდა ხოლმე ამ სიტყვებს, თითქო ხვალინდელ დღეს ვეღარ გაათენებს და უკანასკნელად შეჰვედრის ღმერთსაო. ღმერთმან იცის, საწყალ მამაჩემს უფრო უკეთ ეყურებოდა ლოცვაცა და ვედრებაც, ვიდრე იმ ბერებს, რომელთაც ენაზედ „მამაო ჩვენო“ და „მრწამს ერთი ღმერთი“ აკერიათ, და გულში კი ბიწიერების მეტი არა უდევთ რა.

მერე შინ შევიდოდით და დავიძინებდით.

თიბათვე იდგა, მოსავალი კარგი იყო და სამკალად ემზადებოდნენ; ყვავლა ხარობდა ნათლიაჩემის გარდა: იმის ბოსტანში ჯერაც არა ჩანდა რა.

მამაჩემმა რამდენჯერმე მკითხა: რა მცენარე დაუთესია ნათლიაშენსაო! და მეც ყველაფერი ვუამბე, რაც კი ვიცოდი; ვუქე, ვუქე, რომ ცამდე ავწიე.

— ღმერთმა ინებოს, შვილო, — მიპასუხა მამაჩემმა, — ღმერთმა ინებოს. რადგან გვიჭირს კიდეც. სიღარიბე დღითი დღე მატულობს, ხარჯს დღითი დღე მეტსა და მეტს გვახდევინებენ და თუ

ღმერთმა მოწყალება არა მოიღო რა ჩვენზედ, სიცოცხლეს სიკვდილი ემჯობინება.

დედაჩემიც კვერს უკრავდა:

— სიკვდილი სჯობიან, მაშ არა და! ვაი იმის ბრალი, ვისაც ვალი აქვს, ყურმოჭრილი ყმა უნდა იყოს სხვისი. ნეტავ არ იქნება, მართლა მაგისთანა გააჩინონ რამე! ჰანოვრიდან კი არა, თუნდ ჯოჯოხეთიდან მოეტანოთ, ოღონდ კუჭი გავიძღოთ.

და მართალსაც ამბობდა. საუბედუროდ, ნათლიაჩემის ბოსტანში არა ამოდიოდა რა. თითონ ნათლიაჩემსაც ეჭვი შეუვიდა, იქნება ბერმა ბენედიქტემ რომ დამცინა, საფუძვლიანად დამცინაო. ასე გასინჯეთ, კინალამ ხელმეორედ დაგვაბარვინა ბოსტანი, სამყურა ბალახი უნდა დავთესოვო. კიდევ კარგი რომ სახლში დაუშალეს, — ეგ რომა ქნა, ხომ სულ თითით საჩვენებელი გახდები; იმდენს დაგცინებენ, რომ აგყრიან აქედანაო; თუ გინდა კაცად ითვლებოდე, ი ნათესი უნდა ამოიყვანო, თორემ ცუდად არის ჩვენი საქმეო. — ამიტომ არის და, რომ ახალის დაწყებას ვერავინ ბედავს; ამიტომ არის, რომ ყველანი ერთხელ გაკვეთილ გზაზედ დავდივართ და ახალ ბილიკს ჭირივით ვერიდებით: ბრიყვების და რეგვენების დაცინვისა გვეშინია, — გვეშინია, ხალხმა მასხარად არ აგვიგდოსო. რამდენ ჭკვიანს და მცოდნე კაცს დაუნებებია თავი სასარგებლო საქმისათვის მარტო იმის შიშით, რომ ქვეყანა მასხარად ამიგდებსო. კიდეც ამიტომ არის, რომ ასე დაქვეითებულნი ვართ ყველაფერში და ახალ აზრს და საქმეს სამი დღის სავალზედ გავურბით.

მგლოვიარესავით შეწუხებულნი ვიყავით ყველანი. კიდევ კარგი, რომ ამ დროის განმავლობაში შოველი ლორენში დადიოდა თავის სავაჭროთი, თორემ სიცოცხლეს გაუმწარებდა ნათლი-ჯალაბი ეკატერინე; სულ იმ ეშმაკის კერძის ბრალია, მაგას რომ ნაფცქვენები არ მოეტანა, არც ეს უბედურება დაგვემართებოდაო.

ერთ დილას, ასე ოთხი საათი იქნებოდა, ჩვეულებრივ მივედი ნათლიაჩემის საქონლის გასარეკად. მშვენიერი დღე თენდებოდა. ის იყო ნიკოლისთვის კარი უნდა მიმეკაკუნებინა, რომ ვთქვი — მოდი ბოსტანს დავათვალიერებ, იქნება ღმერთმა მოგვხედა მეთქი. გადავხედე და გაქვავებულივით შევრჩი ღობეს. სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა, სულს ვეღარ ვიბრუნებდი: ღამე ცვარი გავარდნილიყო, მიწა დაელბო და ისე ამწვანებულიყო ჩვენი ბოსტანი, მტერსაც კი იამებოდა.

როცა გონს მოვედი, ღობეზედ გადავხტი, დავწვდი, ფოთოლს სინჯვა დავუწყე, მაგრამ ამისთანა მცენარე ჩემს დღეში არ მენახა, თავით ბოლომდე გადავიარე, რომ დავრწმუნებულიყავი — მართ-

ლა ამოსულა-მეთქი. და რაკი დავრწმუნდი, რომ ყველგან ამოსულიყო და მომცდარი ერთი კვალიც არ იყო, თვალის დახამხამებაზედ ნათლიაჩემის ფანჯრის წინ გავჩნდი და ბრახუნი დავუწყე. ისეთი ძალით ვაბრახუნებდი ფანჯარას, თითქო სახლს ცეცხლი მისცემიაო.

— ვინ არის? — გამომძახა ნათლიაჩემმა.

— გააღე, ნათლიაჩემო!

ფანჯარა გააღო და გაკვირვებულმა ყურება დამიწყო: ხომ არ გაგიჟებულაო?

— ამოსულა, ნათლიაჩემო, ამოსულა!

ძალიან გაჯავრებული დამცქეროდა, ძილი რად დამიფრთხეო, მაგრამ ამ სიტყვის გაგონებაზედ კი სახე გაუბოწყინდა.

— კარგი ერთი და!

— ამოსულა, ნათლიაჩემო! ისე ბიბინებს მთელი ბოსტანი, ისე ამწვანებულა, რომ გაგიკვირდება.

— ჰა, ყოჩაღ, მიშელ; მახარობელი შენისთანა უნდა აი! — იძახდა ნათლიაჩემი და თან სწრაფად ტანთ იცვამდა.

— ეკატერინე! დედაკაცო! ამოსულა, ადამიანო, არ გეყურება, ამოსულა!

ჩიტივით წამოფრინდა ნათლი-ჯალაბიც; ერთ წამს ჩაიცვეს და ბოსტანში ჩამოვიდნენ. ნახეს, დარწმუნდნენ, რომ მართალს ვეუბნებოდი. იმათაც მთელი ბოსტანი მოიარეს, თითქმის ყველა კვალში გაჩერდნენ და ფოთლები სინჯეს. ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ჭაღარაშერთულ კაცს ასეთი გახარება შეეძლებოდა.

— სულ მართალი გვითხრა შოველმა, რაც გვითხრა. — სთქვა ბოლოს ნათლიაჩემმა, — ერთი ვნახოთ, ეხლა რაღას იტყვიან ბერი ბენედიქტე და ჩვენი მეზობლები. გმადლობ, შენ ღმერთო, რომ მტრის გულისად არ გამხადე! ახლა საქმე ის არის, ყოველ ძირს გარშემო მიწა შემოვაყაროთ. შოველმა სთქვა, მიწის შემოყრა ძალიან რგებსო. შოველი ჭკვიანი კაცია, ჩვენზედ მეტი გაეგება და რაკი სთქვა რამე, კიდეც უნდა გავუგონოთ.

ნათლი-ჯალაბიც ეთანხმებოდა.

ბოლოს შინ ავედით. მე საქონელი გავირეკე და ისე გავიარე სოფელი, ხმა არავისთვის გამიცია. გავედი თუ არა მინდორში, ბიჭებმა ყვირილი მორთეს:

— აგერ ჰანოვრული ნაფცქვენები! ნაფცქვენებს გაუმარჯოს!

ახლა კი გული დამშვიდებული მქონდა; დაცინვა აღარ მეწყინა და მშვიდად მივუგე:

— დიაღ, დიაღ, მე ჰანოერული ნაფცქვენების მომხრე ვარ. თესვაშიაცა ვშველოდი და...

პირი გააღეს და გაკვირვებულნი შემომყურებდნენ.

— რას გაიკვირვეთ! წადით, ნათლიაჩემის ბოსტანში გადაიხედეთ, რა კარგად ამოსულა ის ნაფცქვენები! დაიცადეთ, იქნება თქვენვე გვეხვეწებოდეთ: ცოტა ჩვენც მოგვეცითო!

ისეთი ამაყად შევყურებდი, ისეთი კილოთი ველაპარაკებოდი, რომ პასუხიც კი ვეღარ მოახერხეს. ერთმანეთს შესცქეროდნენ განცვიფრებულნი — იქნება მართალს ამბობდესო?! მაგრამ როცა გონს მოვიდენ, ალბად მოაგონდათ უფროსთაგან გაგონილი, რომ ნაფცქვენის დათესვა მტკნარი სიგიჟეაო, და ისეთი ყიჟინა დამცეს, ისეთი სტვენა დამიწყეს, რომ სხვა დროს იქნება ზედ შევკვდომოდი; იმ დღეს კი ვგრძნობდი, რომ სიმართლე ჩემკენ იყო და ხმაც არ გავეცი: დღეს აგრე იყვირებთ, ხვალ კი ინანებთ-მეთქი.

საღამოზედ, საქონელი რომ მივრეკე, ჯერ სოფელში არაფერს ამბობდნენ. მაგრამ მეორე დღეს და მეტადრე მესამე დღეს ხმა გავარდა, რომ მუედელი ივანეს ნაფცქვენები ამოსულაო, არც ბოლოკია, არც თალგამი, არც სტაფილო, რაღაც უცნაური მცენარეაო. დილით საღამომდე ჩვენი ბოსტანის ღობეს ხალხი ეხვეოდა და გაჩუმებულნი სინჯავდნენ ფოთლებს. ახლა კი აღარ დაიცინებოდნენ. ნათლიაჩემმა გვიბრძანა — ხმა არავის გასცეთ, უწინდელი მასხარათ აგდება არავის უსაყვედუროთო; კაცმა თავის შეცდომა თითონვე უნდა შეიგნოს, თორემ თუ კი უსაყვედურებ, უფრო გააბრაზებო.

ჩვენ ხომ ასე კარგად დაგვარიგა, თითონ კი ვერ შეიკავა თავი და ერთს საღამოს, თავის სახლის წინ ბერი ბენედიქტე რომ დაინახა თავისი ჯორით, ვეღარ მოითმინა და გადასძახა:

— ჰა-ჰაი, ბერო! ახლაც იტყვი, ეშმაკის თესლიაო?!. აბა გადახედე ჩემს ბოსტანს... ნახე როგორ აკურთხა ღმერთმა ურჯულოს მოტანილი მცენარე?

— ვნახე, ვნახე, — უპასუხა ბერმა ურცხვად, — ღმერთსა ვფიცავ, მე ეშმაკის თესლი მეგონა, თურმე კი ღვთისაგან კურთხეული ბალახი ყოფილა... მით უკეთესი, მით უკეთესი, ჩემო ივანე! შენ ერთი კარგი სადილი გააკეთე — დაგვაძღევინე შენი ნაფცქვენები. თუ გემრიელი საჭმელია, დიდი სიამოვნებით შევექცევი.

ყოველთვის ასე იყო, ბერი ყოველთვის მართალი იყო: კარგად წავიდოდა საქმე — ღვთისაგან არისო, იტყოდა; წახდებოდა-და — ეშმაკის მოგონილია, ქვეყნის წასაწყმედად და იმიტომ არ იხეირაო.

ღმერთო, რა სულელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ ბერისთანა თავხედს სიტყვას უსმენდეს და პატივსა სცემდეს. რამდენი ქვრივ-

ოხერი, რამდენი ობოლი და უძლური იღუპება ულუკმაპუროდ, როდესაც ამ ბერისთანა მუქთახორა მაწანწალებზედ ისარჯება ქვეყანა, რა ვქნათ, ცოდოა, ღმერთი დაგვიმადლებსო. ჩემდა საბედნიეროდ, იმათთვის ჩემს დღეში არა მიმიცია რა და არც არას მივცემ.

ნაბრძანები მაქვს, თუ მაწანწალამ — ბერი იქნება თუ ერის კაცი — მოწყალება ითხოვა, სამზარეულოში შეიყვანეთ, სწორედ იმ დროს, როდესაც ბიჭები სუფრას უსხედან და გაჩქარებულნი ილუკმებიან. შევა სამზარეულოში, სუფრაზედ სასმელ-საჭმელს დაინახავს, ჯამით შეჭამადს და დოქით ღვინოს და პირში ნერწყვი მოუვა. სწორედ მაშინა ჰკითხავს ჩემი გუთნისდედა:

— რაო, რა გინდა?

თუ პასუხის მაგივრად დაიღრიჯნენ და — მოწყალება მოიღეთო ითხოვეს, გუთნისდედა პეტრე ხელში ბარს მისცემს: აი, ძმავ, საქმეში დაგვეხმარე და სუფრაზედაც გვერდს მოგისვამთო. ასში ერთი არ დარჩება: თავს დაღუნავენ და მიდიან — ჩვენ შრომისა არა ვიცით რა, ჩვენ სხვის ნაშრომით ვიკვებებითო. თან იწყევლებიან:

— ღმერთმა მოგიგოთ სამაგიერო! აღარც ღმერთი გწამთ, აღარც ბერი! წახდა, წაირყვნა ქვეყანა!

მე კი ვდგევარ კარებში და გულიანად ვიცინი, ღმერთმა კარგი მგზავრობა მოგცეთ-მეთქი.

სხვებიც რომ ასე მოექცნენ ბერებს და ერთობ ყველას, ვისაც შრომა შეუძლია, ქვეყანა ერთი ორად გამდიდრდებოდა და საწყალ გლეხკაცსაც მეტი დარჩებოდა თავის ნაჭირნახულევიდან. მაგრამ დროა ჩვენს ბოსტანს მივუბრუნდეთ. დროა მოგახსენოთ, როგორი პატივისცემა და დიდება დაიმსახურა ნათლიაჩემმა კარტოფილის წყალობით.

მკათათვეში თეთრად აყვავდა ჩვენი ბოსტანი; ისე აიწია ნათესმა, რომ ღეროები თითქმის ღობის ნახევრამდე ამაღლდნენ. ცხელოდა, ამომწვარს ჰგავდა ჩვენი არე-მარე და ბოსტანი კი თაიგულივით იყო აყვავებული. რწყვა არ უნდოდა, რადგან ღამის ცვარი სრულიად საკმარისი იყო ამ უცნობი მცენარისთვის.

დიდით პატარამდე სულ კარტოფილზედღა ვლაპარაკობდით — სულ იმის სჯაში ვიყავით, ნეტავი როგორ ფესვებს გაიკეთებსო. ასე გასინჯეთ, გაზეთებიც კი დაგვავიწყდა, რადგან სათათრეთის და ამერიკის ამბებს ჩვენი საქმეები გვერჩივნა.

ენკენისთვის დამდეგს ყვავილი დასცვივდა, ყლორტები დაუხმა და ყველანი იმ აზრისა ვიყავით, რომ დროა ფესვები მოვთხაროთო, მაგრამ ნათლიაჩემი სულ სხვას გაიძახოდა:

— შოველმა სთქვა, ოქტომბერში შემოდისო. პირველ ოქტომ-

ბერს ერთი ძირი გავსინჯოთ და, თუ ივარგა, სულაც დავთხაროთ.

მართლაც, პირველ ოქტომბრამდე ხელი არავის გვახლებინა. პირველ ოქტომბერს კი, მახსოვს ბურუსიანი დღე იყო, ნათლიაჩემმა აიღო ბარი და ბოსტნისკენ გასწია. ჩვენც უკან დავედევნეთ.

პირველსავე კვალში გაჩერდა და ერთ ძირს დაჰკრა ბარი; კარგა ღრმად დაიყვანა და რომ გადმოაბრუნა, ათამდე უშველებელი, ვარდისფერი კარტოფილი ამოაყოლა. მეორედ დაჰკრა და მეტი ამოიღო, აგრეთვე მესამეზედ, ასე რომ კალათი ნახევრამდე მოჰყარა ერთმა ძირმა. ჩვენ კი ვიდექით და შევცქეროდით გაშტერებულნი. ჩვენი თვალისაც კი აღარა გვჯეროდა.

ერთი ძირი რომ ამოთხარა, მერე შუა ბოსტანში გადავიდა და ახლა იქ დაჰკრა ბარი. აქ უფრო მეტი და მსხვილი ამოვიდა და მაშინ სთქვა გახარებულმა ნათლიაჩემმა:

— გმადლობ, შენ ღმერთო!... ახლა კი ვიცი, რა ყოფილა ეს მცენარე. მერმის, ფერდობზედ რომ ორი დღიური მაქვს, სულ ეს უნდა დავთესო. თესლად წლევანდელ მოსავალს შევინახავ. რაც დამრჩება, კარგ ფასად გავყიდი; მერწმუნეთ, უფასოდ რომ მივცე, ყურადღებასაც არავინ მიაქცევს და წაახდენენ.

ნათლი-ჯალაბს კარტოფილი კალათში ჩაეყარა და გახარებულნი წავედით შინისკენ, რომ ეს ახალი საქმელი დაგვეძლია.

ჩვენ ბედზედ წინა ღამით შოველი დაბრუნებულიყო ლორენიდან და უთხრეს თუ არა ნათლიაჩემს, აქ არისო, დამიძახა: — აბა გაფრინდი, მოახსენე, ცოტა ხანს აქ გადმობრძანდესო. კარგა მანძილი მქონდა გასავლელი, მაგრამ მართლა გავფრინდი და ერთ წამს შოველის სახლთან დავიბადე. დამინახა თუ არა, მაშინვე სთქვა, ალბად კარტოფილი ამოგიღიაოო.

ნათლიაჩემი კიბეზედ ჩამოეგება კარტოფილით სავსე კალათით და შესძახა:

— ჰხედავ, შოველ! ეს ორი ძირის ნაყოფია, და ერთი ამოდენი კიდევ მოსახარშავად შევდგით.

— მაშ კარგი მოსავალი გვქონია, — უპასუხა შოველმა, — აკი გითხარი, კარგი სხმა იცის-მეთქი.

— დღეს სადილად, რასაკვირველია, ჩვენთანა ხარ. ერთი გემოთა ვნახოთ, თუ კარგია, ბედსა ვწევთ ჩვენს სოფელს.

— კარგი კი არა, მერწმუნე. უკეთესი არა იქნება რა. — უპასუხა მეწვრილმანემ. მეტადრე შენთვის არის კარგი: მარტო თესლად რომ გაჰყიდო, იმაშიაც კარგ თანხას აიღებ.

— ვნახოთ, ვნახოთ! — იძახდა ნათლიაჩემი და სიხარულისაგან ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, — ვნახოთ ერთი, რა გემოსია?

ნათლი-ჯალაბი კვერცხსა სთქვეფდა ერბო კვერცხისთვის, ცეცხლისპირას ყველული იხარშებოდა. ნიკოლმა მარნიდან წითელი ღვინის ჭაშნიკი ამოიტანა. სუფრა გაშლილი იყო. ერთი სიტყვით აღდგომას არა ვყოფილვარ ასე გახარებული.

მეტადრე ნათლიაჩემი და შოველი! კარგად ესმოდათ ორივეს, რომ ეს ახალი მცენარე თავისი ნაყოფით სასარგებლო რამ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, რომ ეს უბრალო ბალახი ძირიანად შესცვლიდა ხალხის მდგომარეობას, შიმშილს ამოაგდებდა და კაცობრიობას უფრო მეტს სიკეთეს მოუტანდა, ვიდრე მეფეები და დიდებულნი, რომლებსაც ძლიერს ვუწოდებთ და ძეგლებს ავუმართავთ ხოლმე. მეტადრე ნათლიაჩემს: ისე უხაროდა თავის სარგებლობა, რომ საზოგადო სარგებლობას არც კი დაჰფიქრებია.

— ოღონდ თალგამის გემო ჰქონდეს და მე მეტი არა მინდარა, — ნატრობდა ნათლიაჩემი.

— თალგამი რა სახსენებელია! — უპასუხა შოველმა, — თითებს დაიკვნეტ, ჯერ გემოდ ნახე. კარგი რომ არა ყოფილიყო, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, რომ სასარგებლო იქნებოდა შენთვისაც და ქვეყნისთვისაც. იმ სამძიმე პარკს კი არა ვზიდამდი იმ სიშორიდან, კინაღამ წელი მოვიწყვიტე. უმამულობა სთქვი, თორემ მე თითონ დავთესავდი და დეე, მე ავეგდე მასხარად.

— არა, ჩემო შოველ, მე, ურწმუნო თომასი არ იყოს, მანამ გემოს არა ვნახავ, მანამ არ დავმშვიდდები. შენ იქნება ძალიანაც მოგწონდეს და... ხომ იცი, ზოგს მღვდელი მოსწონს...

— ჰოდა გემოსაც ნახავ და კიდეც მოიწონებ, — უპასუხა სიცილით შოველმა. — აგერ სუფრა გაშლილია, დიდი ხანი კი არ უნდა მაგის მოხარშვას.

— აბა დაბრძანდით! — დაგვიძახა სწორედ ამ დროს ნათლიჯალაბმა. ძველ დროში სახლის პატრონი და მოჯამაგირეები ერთ სუფრაზედ სჭამდნენ პურსა, და წარმოიდგინეთ რამდენნი ვიქნებოდით იმ დღეს სადილად.

ის იყო უნდა დავლაგებულიყავით — სუფრის თავში შოველი და ნათლიაჩემი თავის ცოლით, სუფრის ბოლოს მე და პატარა მარგალიტა, რომ ამ დროს ნათლიაჩემმა ფანჯარაში გადიხედა და შეჰყვირა:

— მამაო ქრისტეფორე! აქეთ, აქეთ!

ლუტცელბურგელი მღვდელი მამა ქრისტეფორე ერთი უზარმაზარი, ჩასხმული, ნამდვილი მთიული იყო. კიბეზედ რომ ფეხი შემოსდგა, სახლმა ზანზარი დაიწყო; ნალებით დაჭედილი წაღები ეცვა და საცა კი ფეხს დაადგამდა, რაც უნდა მაგარი ფიცარი ყოფილიყო,

თავის ნაფეხურების კვალსა სტოვებდა. კარებში რომ ვერ შემოეტია, დაიკუშა და გვერდ-გვერდ შემოვიდა. გახუნებული ანაფორა, ძველისძველი ქუდი, უშველებელი ყავარჯენი — ნამდვილი სოფლელი ღარიბი მღვდელი იყო.

— აქა მშვიდობა! — იმისთანა ხმითა თქვა, თითქო იქექაო, მე და მარგალიტა შევხტით.

— ისევ ერთადა ხართ, თქვე შეთქმულებო თქვენა? თუნდა დავიფიცავ, რომ ნანტის კანონის * აღდგენასა ცდილობთ.

— რა კარგ დროს შეგვესწარ, მამაო ქრისტეფორე, — შესძახა ნათლიაჩემმა, — დაბრძანდი, დაბრძანდი.

— რა გაეწყობა! ხომ იცი, საბძელი რომ გეწოდეს, ხელი მოითბეო, — უპასუხა სიცილით მღვდელმა და კუნჭულში მიაყუდა ყავარჯენი და ზედ თავისი ქუდი ჩამოჰკიდა. აჰა, დაბრძანდი! იქნება ფიქრობ ამითი შემისყიდო და დამაჩუმო? ვერ მოგართვეს, ჩემო ივანე! სულ ეს კი გაგიჟებს აი, ეს შოველი! არა, უნდა წავიდე, დავაბეზღო, თორემ ან წარღვნას მოგვგვრის ეს ცოდვილი, ან ჭირსა.

— რომ დამაბეზღო, მთაში გადაკარგულ მღვდლებს ვიღა მოგიტანთ აკრძალულ წიგნებს? — ჰკითხა ღიმილით შოველმა.

— ჩუმად, შე წყეულო, შენა! — ხარხარებდა მამა ქრისტეფორე. — მე სახარების ერთი მუხლი მირჩევნია მთელ შენს აკრძალულ ფილოსოფოსების ნაწერებს.

— მერმე ჩვენც მაგას არა ვჩივით? — შეჰყვირა შოველმა. — ჩვენც მაგას არა ვტირით? მაშ რად გვიშლიან ჩვენ პროტესტანტებს სახარების კითხვას?

— იმიტომ გიშლიან, რომ თითონაც არა გაეგებათ რა. ეჰ, შოველ, ღმერთს რომ სისულელე არ გაეჩინა, ხომ აღარც უბედურება იქნებოდა ქვეყანაზედ.

მერმე ჩვენთან მოვიდა — აბა, ყმაწვილებო, ალაგი დამითმეთო! და როგორც იყო მე და მარგალიტას შუა მოთავსდა. ჩვენ აღარც კი ვჩანდით, იმოდენა მთა-კაცი იყო მღვდელი, და ისეთი საშინელი ხმით ლაპარაკობდა, რომ ჩვენ იმის ყურებასღა ვუნდებოდით და შიმშილიც კი გადაგვავიწყდა.

ბავშვივით გულჩვილი კი იყო იმოდენა მდევი კაცი. მარტოხელი იყო, სამწყსო კარგი ჰყავდა და ყოველთვის აიღებდა იმდენს, რომ თითონაც ჰყოფნოდა და ცოტა რამ შავი დღისთვისაც გადაედო.

---

* ნანტი ქალაქია. ნანტის კანონის ძალით, რომელიც მეფე ანრი მეოთხემ გამოსცა 1598 წ., პროტესტანტებს მიეცათ სრული თავისუფლება რჯულისა, მაგრამ მეფე ლუი მეთოთხმეტემ 1865 წ. ეს კანონი გააუქმა.

იმას კი თავის გახუნებული ანაფორის მეტი არა გააჩნდა რა, თუმცა მთელი დღე ისევე მუშაობდა, როგორადაც უბრალო ღარიბი გლეხკაცი. მუშაობდა, მუშაობდა, და საცა გაჭირებულსა ნახავდა, ისიც იქ იყო და, რაც ჰქონდა, სულ ღარიბ ხალხსვე ურიგებდა. ზამთარში სკოლა ჰქონდა თავის სახლში და ზაფხულში, როდესაც ბავშვები სასკოლოდ ვეღარ იცლიდნენ, მთელი დღე ქვის ან მუხის ხატებსა სთლიდა და მთაში უგზავნიდა იმ საყდრებს, რომლებსაც საშუალება არა ჰქონდათ ეკლესიისთვის შეეძინათ რამე.

მთელმა ხეობამ იცოდა მამა ქრისტეფორეს ხასიათი და სამი დღის სავალზედ ჩამოუტანდნენ ხოლმე კლდეს ან მუხის ნაჭერს. ზოგი სთხოვდა წმინდა გიორგი გამოგვიხატეო, ზოგი პეტრე და პავლეო, ზოგი რას და ზოგი რას.

ნათლიაჩემი და მამა ქრისტეფორე პატარაობიდანვე ერთად შეზრდილიყვნენ და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

— მართლა, ქრისტეფორე, როდის გახსნი შენს სკოლას?

— აი, რთვილს ჩამოაგდებს და ვახსენებთ ღმერთსა, — უპასუხა მღვდელმა. სწორედ ამიტომ წამოვედი, მინდა ქალაქს ჩავიდე და ცოტა საწერ-კალამი და ქაღალდი ვიყიდო. მინდოდა ენკენისთვის გასულს დამეწყო, მაგრამ მთაში ერთ ეკლესიას წმინდა პეტრეს ხატს დავპირდი და იმან შემაგვიანა: თუ დროზედ არ ჩავაბარე, საყდარს ვერ აკურთხებენ.

— ძალიან კარგი, მაშ იმ კვირია დაიწყებ.

— დიაღ, ორშაბათს, ღვთით.

— მოდი, მამაო, ეგ ბიჭი წაიყვანე, ემანდ გვერდზედ რომ გიზის. საწყალი პეტრეს ბიჭია. ხომ იცნობ? ჩემი ნათლულია და დარწმუნებული ვარ, არ შემარცხვენს.

სიხარულისაგან ისე გავწითლდი, როგორც ჭარხალი. განა არა, სულ იმასა ვნატრობდი — ნეტავი ერთი ანბანი მასწავლა-მეთქი.

ამ დროს მღვდელი ჩემკენ მობრუნდა, თავზედ ხელი დამადო და მითხრა:

— აქ მიყურე!

უფრო უარესად გავწითლდი, მაგრამ რა გეეწყობოდა, შევხედე.

— რა გქვია!

— მიშელი მქვია, მამაო.

— ჰო და კეთილი იყოს ნათლიაშენის წადილი. ორშაბათს მოდი. ჩემი სკოლის კარები ყოველთვის ღიაა და რაც მეტი მოწაფე მყავს, იმდენად კმაყოფილი ვარ.

— შენ გიშველა ღმერთმა, მღვდელო! აბა კარგი სიტყვა მაგასა ჰქვია აი! — შეჰყვირა მეწვრილმანემ.

ამ დროს ღვინო დაისხა ნათლიაჩემმა:

— ღმერთმა გაცოცხლოს, შამაო ქრისტეფორე, ღმერთმა გაუმრავლოს ქვეყანას შენისთანა მუშაკნი!

დღეს რომ ყველა სოფელში მშვენიერი სახლია აგებული სკოლისთვის და ყველგან ნასწავლი და განათლებული მასწავლებელი ჰყავთ, ისე კი არ იყო უწინ. სად იყო სკოლა?

ათასში ერთმა'არ იცოდა წერა-კითხვა და ვინც იცოდა, იმისთანა პატივცემული იყო ყველასგან, რომ ეხლა ვერც კი წარმოიდგენთ. მეც გამეხარდა სკოლაში სიარული, სულ ცას დავეწიე:

— წერას ვისწავლი, კითხვას ვისწავლი, ვიძახდი ჩემს გულში, კაცი გავხდები, იქნება ჩემ ოჯახს გამოვადგე რითიმე!

არა, ადამიანმა თავის თავზედ უნდა სცადოს ეს ყველაფერი, იმისთანა დროს უნდა შეხვდეს, როგორიც ჩვენი დრო იყო, რომ ჩემი მოთხრობა არ გაიკვირვოს. მე კი ისეთ დროს შევესწარ, ისეთ გაჭირებას ვხედავდი ჩემი მშობლებისას, რომ მართლა უბედური უნდა ვყოფილიყავ, რომ ამისთანა შემთხვევით არ მესარგებლა. ან როგორ არ ვისარგებლებდი? იმავ თავითვე სულ იმის ფიქრში ვიყავი, როდის იქნება საკუთრივ ყოფნა შემეძლოს და სხვის თვალწარბში მაყურებელი არ ვიყო-მეთქი. ხომ კარგად მექცეოდნენ ნათლიაჩემისას, ხომ შვილივით ვუყვარდი ყველას, და მაინც ამასა ვფიქრობდი: სხვა რას უნდა გრძნობდეს, როდესაც ყოველ წამს წააყვედრებენ — მოჯამაგირე ხარ და შენი ალაგი იცოდეო... სულ გადამავიწყდა, რომ სუფრაზედ ვზივარ, აღარც ჭამა მახსოვდა, აღარც სმა. კინაღამ წამოვხტი და შინისკენ მოვკურცხლე, — მამაჩემო, ორშაბათს სკოლაში მივდივარ-მეთქი. მაგრამ ამ დროს კარტოფილი მომაგონდა და გონებაზედ მოვედი.

აგერ კარტოფილიც შემოიტანეს. გაუფცქვნელი მოეხარშათ წყალში. კანი დახეთქოდა და მშვენიერი ყვითელი ნაყოფი დაფხვნოდა. მღვდელ ქრისტეფორეს ჯერ არ ენახა და კინაღამ თან გაგვიტანა მე და მარგალიტა... — რა ვქნა, ეგ რა არის, ივანე? რა ხილია, საიდან არისო? — შენ ხილი ნახე, მეხილეს რასა კითხულობო, — უპასუხა ნათლიაჩემმა და ყველას ჩამოგვირიგა.

გემოდა ვნახეთ და ისე მოგვეწონა ყველას, რომ ერთხმად შევძახეთ:

— იჰ, რა კარგია, ამისთანა გემრიელი ჩემს დღეში არა მიჭამიარა.

ყველაზედ მეტად გაკვირვებული მღვდელი იყო; რომ უთხრეს, ნახევარ დღის მიწიდან ათი-თხუთმეტი ტომარა ამოვაო, არ დაიჯერა და სულ იმას იძახდა:

— შეუძლებელია, მაგ სიკეთეს ვინ გვაღირსებს ჩვენ ცოდვილთაო!!

იმისთანა გახარებულნი ვიყავით, ისეთ აღტაცებაში მოგვიყვანა კარტოფილმა, რომ გაფცქვნას ვეღარ ვითმენდით და რომ არ შეგვრცხვენოდა, გაუფცქვნელს გადავყლაპავდით; ისე ვიღეჭებოდით, თითქო სამი დღის დამშეულნი ვართო. ბოლოს ისევ მღვდელმა შეირცხვინა:

— კმარა, კმარა, დიასახლისო, თორემ ეგ იმისთანა საუცხოვო რამ არის, რომ ძღომა ვერ მოგვეკიდება და მეტი კი ყველა მავნებელია.

ყველანი დავეთანხმენით, თუმცა რომ მოეტანათ, კიდევაც გიახლებოდით.

წასვლის წინ მღვდელმა ჩვენი ბოსტანი დაათვალიერა, შოველს დაწვრილებით გამოჰკითხა კარტოფილის თესვა-მოვლა და რომ გაიგო, მთიან ალაგს, ქვიშნარში უკეთ მოდის ვიდრე ბარშიო, ძალიან იამა და სთქვა:

— ყური მიგდეთ! შოველ, შენ ამ მცენარის თესლის მოტანით და შენ, ივანე, ამის გაჩენით მიუხედავად ბერების და რეგვენების დაცინვისა, მეტი შესძინეთ ჩვენს ქვეყანას, ვიდრე მთელი ქვეყნის ბერებმა თავიანთი ლოცვით და მარხვით: თქვენ ღარიბ კაცს ლუკმა-პური გაუჩინეთ.

მერმე ნათლიაჩემსა სთხოვა — ცოტა მეც შემინახე თესლად, რომ ჩემს ბაღში დავთესო ხალხის სამაგალითოდ; სულ ორი წელიწადი არ გავა და კაცს ვეღარ ნახავთ, რომ ეგ მცენარე არ გაეჩინოსო. შემდეგ ამისა გამოგვეთხოვა და ქალაქის გზას გაუდგა.

აი, როგორ შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში კარტოფილი. მეგონა ამ ამბის გაგება ჩვენ გლეხკაცებს ასიამოვნებდა და ამიტომ მოგახსენეთ.

წლის თავზედ ნათლიაჩემმა სამოცი ტომარა კარტოფილი ამოიღო ფერდობის მიწიდან. მაგრამ ვიღაცას ხმა გაევრცელებინა ხალხში — კარტოფილს ნუ სჭამთ, თორემ ჭირი შეგეყრებათო და ჯერ არავინა სთესდა, ერთი ორი კაცის გარდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ცოტა ხანს უკან გაზეთებში ეწერა — ერთმა კაცმა სახელდობრ პარმანტიემ, პარიზის მიდამოში მოიყვანა კარტოფილი და მეფეს დაუძღვენიო. მეფემ ძალიან დაუმადლა და მადიანადაც შეექცაო. ამის შემდეგ კი ყველამ მოინდომა იმის გაჩენა და ნათლიაჩემმა იმდენი გაყიდა სათესლედ, რომ მართლა ბლომად ფული აიღო.

V

ჩემი სიცოცხლე ამ დღიდან იწყება. ვინც არა იცის რა და არც საშუალება აქვს სწავლისა, ისე განვლის წუთისოფელს, როგორც ერთი უბრალო ხარი: თავის დღენი სხვისთვის იმუშავებს, თავისი შრომით სხვას გაამდიდრებს და როდესაც დაბერდება და დასუსტდება, პანღურსა ჰკრავენ — აღარ მოგვშორდები, რას ჩაგვციებიხარო!

როგორც კი ირაჟრაჟებდა, გამაღვიძებდა მამაჩემი. წამოვხტებოდი, პირზე წყალს შევისხამდი, საჩქაროდ ჩავიცვამდი, გადავიკიდებდი აბგას და გავწევდი სკოლისკენ; სიცივისაგან ფრთებშესხმულივით მივსტოდი და თან გათოშილ თითებზედ ვიბერავდი.

რა კარგად მაგონდება ყველაფერი, თუმცა დიდი ხნის ამბავს მოგახსენებთ: მთის ფერდობზედ ამავალი ბილიკი, ტყის პირი თავის გატიტვლებული, გათოვლილი ხეებით და აკლდამისებრივი სიჩუმით; აგერა სოფელიც, აგერა დაბალ-დაბალი საყდარი მუხაზედ ამართულ სამრეკლოთი, იქვე სასაფლავო თოვლით დაფარული საფლავის ქვებით; ძველის-ძველი სახლები, გაყინული წყალი, გაჩერებული წისქვილი... რა კარგი ხარ, სიყმაწვილევ! სულ ყველაფერს დაივიწყებს ადამიანი, ჭირსაც, ლხინსაც, და სიყმაწვილეში ნახულს და გაგონილს კი თავის დღეში არა!

ყველაზედ უწინ თითქმის ყოველთვის მე მივდიოდი სკოლაში. შევიდოდი ცარიელ ოთახში თუ არა და მამა ქრისტეფორეს დედაც თან შემომყვებოდა. ხომ ღრმა მოხუცებაში იყო, მაგრამ იმისთანა ჭახმაკად, იმისთანა მარდად მიდი-მოდიოდა, ისე უვლიდა თავის სახლკარს, რო ბევრ ყმაწვილ ქალსა სჯობდა. შემოვიდოდა და ბუხარში ცეცხლს გააჩენდა. მე იქვე შეშაზედ ჩამოვჯდებოდი და ხელებს ვითბობდი; მერე ოთახს დავკვიდი; ტილოს ავიღებდი და ჯერ სკამს გადავწმენდდი, მერე შავ დაფას, ფანჯრებს, მამა ქრისტეფორეს სამფეხა სავარძელს და კუნჭულში დიდ ჯვარცმას.

ოთახს რიგრიგითა ვგვიდით, მაგრამ რადგან ადრე მივიდოდი ხოლმე, მე დავიწყებდი და თუ მომისწრობდა, ვისიც რიგი იყო, ის გაათავებდა, თუ არა და მეკვე გავათავებდი, რადგან ზოგნი ძალიან შორეულ სოფლებიდან დაიარებოდნენ და უგვიანდებოდათ.

იქ გავიცანი ყველა ჩემი კარგი მეგობრები — ლუი ფროსსარი — მამასახლისის შვილი, საწყალი სრულიად ყმაწვილი კაცი, მოკლეს რევოლუციის დროს; ალოი კლემანი ყუმბარამ გაიტანა; ცხონებული ოთხმოცდათორმეტში უკვე .აფიცერი იყო; დომინიკე კლოსსი — შემდეგში საერნში დაბინავდა და სახელოვანი დურვალიც

იყო; ფრანსუა მეიერი — ჯარის თერძი; 1820-ში ძალიან მდიდრად იყო და მერე სადღაც გადიკარგა; იმისი დღესაც არავინ იცის რა. ჩემი ძმასავით ერთგული ანტონი, გვარდიის ოფიცერი; 1815 შემდეგ ხშირად მესტუმრებოდა ხოლმე, დავსხდებოდით და წარსულს გავიხსენებდით; ხან რა მოგვაგონდებოდა, ხან რა; იაკობ მესსიე — უმფროსი ტყის მცველი; ჰუმბერ პერსენი — ფოსტის უფროსი და ორმოცდაათი კიდევ სხვა, რომელნიც, რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, კაცად ვერ გახდებოდნენ.

1782 წლამდე ხარაზის შვილი ხარაზი უნდა ყოფილიყო, ხუროს შვილი — ხურო; თავის წოდებიდან ვერავინ გამოვიდოდა. ოცდაათის, ორმოცის წლის შემდეგ რომ მისულიყავი, იმავე ალაგას, იმავე საქმეზედ ნახავდი კაცსა — დაბერებული დაგხვდებოდა, თორემ სხვაფრივ იგივე უნდა ყოფილიყო. ეხლა კი ყველას შეუძლია, თუ კი შრომა უყვარს და თავში ტვინი უდევს, კაცად იქცეს და უმაღლეს ხარისხამდე მიაღწიოს; სულ წყალში გადასაგდები უნდა იყოს კაცი, რომ ეხლანდელ დროში წარჩინებას არა ცდილობდეს, იმიტომ, რომ სულ უბრალო გლეხკაცის შვილს შეუძლია, თუ კი ნიჭი, მეცადინეობა და პატიოსნება შესწევს, მთელ საფრანგეთის მოთავედ გახდეს.

მაშ ვადიდოთ უფალი ღმერთი ჩვენი, რომ თავისი სხივი მოჰფინა ჩვენს ხალხს! ვეცადნეთ ამ ცვლილებით ჩვენც ვისარგებლოთ.

სადღა არიან ჩემი ძველი მეგობრები? შარშან ორნიღა ვიყავით ცოცხალნი: იოსებ ბრუსუსი — ქუდებსა ჰკერავდა ქალაქში — და მე. გაზაფხულზედ ქუდის სასყიდლად რომ მივიდოდი, ხმაზედ მიცნობდა ხოლმე. მაშინვე გამოვიდოდა, ცხონებული ძლივსღა დაათრევდა მარჯვენა ფეხს და შემომცინებდა:

— ოჰ, მიშელს გაუმარჯოს, მიშელს!

ხელს მომხვევდა და თავის სადგომ ოთახში გამიყვანდა; საიდანღაც პატარა ხელადით ღვინოს გააჩენდა, დავსხდებოდით და წარსულის, სიყმაწვილის მოგონებაში ტკბილად ვჭუკჭუკებდით. ვამოთხოვებისას, კარამდე მიმაცილებდა, მხარზედ ხელს დამკრავდა და ნუგეშსა მცემდა:

— ნუ გეშინია, ჩემო მიშელ! ჯანი იყოს, თორემ სიბერეს არა უჭირს რა. ნუ გეშინია! ეს კი იცოდე, მე რომ დამმარხავთ, მერე შენც უნდა მოემზადო ნელ-ნელა.

საწყალი ბრუსუსი! შემოდგომაზედ ისიც დავასაფლავეთ და მარტო მეღა დავრჩი. და თუმცა მეუბნებოდა — შენც უნდა მოემზადოო, ჯერ მე სრულიადაც არ ვემზადები. ჯერ არა! ჯერ რა დროსია? ჯერ ჩემი ისტორია უნდა გავათავო; და მერე ამას რომ გავა-

თავებ, იქნება ღმერთმა სხვა მაგონოს რამე და ახლა იმის გათავება მადროვოს. რა მეჩქარება? სიკვდილს ყოველთვის მოესწრება ადამიანიშვილი!

ერთი სიტყვით, მამა ქრისტეფორეს სკოლაში გავიცანი ყველა ჩემი კარგი მეგობრები. ზოგი მოგახსენეთ და ბევრს კიდევ შემდეგში მოგახსენებთ, როცა იმათი სახელები მომაგონდება.

რვა საათი რომ გახდებოდა, ისინიც კარს შემოაღებდნენ და სალამს მისცემდნენ მასწავლებელს:

— დილა მშვიდობისა, მამაო ქრისტეფორე!

სად იყო მამა ქრისტეფორე? ის ჯერ ისევ თავის ოთახში ბრძანდებოდა, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდნენ, ბუხარს შემოეხვეოდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. მაგრამ შემოგვესმოდა თუ არა იმის ფეხის ხმა, ყველანი ჩვენს ალაგს დავსხდებოდით და ისე ჩავჩუმდებოდით, თითქო ოთახში არავინ არისო: ყველამ ვიცოდით, რომ მამა ქრისტეფორეს ძალიან ეჯავრებოდა ხმაურობა და მეტადრე ჩხუბი. რამდენჯერ გაუგდია კლასიდან პანღურის კვრით შეგირდები მარტო იმიტომ, რომ ჩხუბის ატეხასა ცდილობდნენ. ისე ვყავდით გაწვრთნილი, რომ ზევით ვერ ავიხედავდით, თვალი არ შემოგვასწროსო.

აგერ მობრძანდა, კარებში გაჩერდა და იქიდან დაგვათვალიერა, ხომ ყველა რიგზედ არისო; წამოვდექით, ჩუმადა ვართ ყველანი; კლასში ცეცხლის გუგუნიღა ისმის. შემოვიდა, ერთს შეგირდს ლოცვა ათქმევინა, მერე დავსხედით და დავიწყეთ ყველამ ერთხმად: ბ, ა, ბა. კარგა ხანი ვიძახეთ, ბა, გა, და... ბოლოს კმარაო, გვიბრძანა.

— აქ გამოდი, იაკობ.

იაკობი იახლა და თავდაღუნული დგას მის წინაშე.

— ვინ შექმნა ცა და ქვეყანა?

— ღმერთმა.

— შენ ვიღამ გაგაჩინა?

— ღმერთმა.

— რისათვის გაგაჩინა შენ ღმერთმა?

— იმისთვის, რომ ვადიდო იგი, ვილოცო, ვემსახურო და მით მოვიპოვო სასუფეველი ღვთისა.

ერთსა ჰკითხავდა, მეორეს, მესამეს. ჩვენ კიდევ ყურს ვუგდებდით. სამი თვის შესული არ ვიყავ სკოლაში, რომ სულ ზეპირად ვიცოდი ჩემი კატეხიზმოსი.

მერე წაგვიკითხავდა რასმე და — აბა მიამბეთო! ან არა და უკანიდან მოგვივლიდა და თუ ცუღლუტობას შენიშნავდა ვისმე, ყურს

დაუსრესდა. თან კი იმედს აძლევდა: — შენ ეცადე, ძალიან ბიჭი დადგებიო.

მე ისე მეშინოდა, ნათლიაჩემთან არა სთქვას რა-მეთქი, რომ სულ სმენად გადავიქცევოდი ხოლმე. ვცდილობდი, ვცდილობდი, რომ მეტი არ შეიძლება. მოვიდოდა, მხარზედ ხელს დამადებდა და შემომძახებდა: ჰა, ყოჩაღ, მიშელ, ცდილობ და კმაყოფილიცა ვარ შენიო!

ერთხელ ძალიან კარგად ვუთხარ გაკვეთილი და ძალიანაც დამიმადლა:

— ნათლიაშენს უთხარი — მღვდელი ძალიან მემადლიერება თქო. გეყურება, სწორედ აგრე უთხარი.

იმ დღეს ყველნი რომ შემომხვედროდა, თავს არ დავუკრავდი, მაგრამ ნათლიაჩემს კი არა ვუთხარი რა, სიამაყეში არ ჩამომართვანმეთქი.

მარტის დამდეგს კარგადა ვკითხულობდი. ჩემდა საუბედუროდ, ნათლიაჩემი მთელი წელიწადი არ შემინახავდა ისე უსაქმურად და რაკი გაზაფხული დადგა, მე ჩემს საქონელს უნდა მივპატრონებოდი და სკოლას უნდა მოვმცდარიყავ. ჩემი ანბანი და კატეხიზმოსი გუდით დამქონდა მინდორში და, მანამ საქონელი სძოვდა, მე ხის ჩრდილში ვიჯექი და ვიმეორებდი, რაც მამა ქრისტეფორესაგან მესწავლა. ისე რომ ზამთარში ხელმეორედ რომ მივედი სკოლაში, სხვებსავით კი არ დამვიწყებოდა ნასწავლი, უფრო გაზეპირებული მქონდა და მამა ქრისტეფორემ იმ შეგირდებთან დამსვა, რომელნიც შეძლებული კაცის შვილები იყვნენ და სასწავლებლად მთელი წელიწადი დადიოდნენ. რაც კი მაშინდელს დროს შეეფერებოდა, ყველაფერი ვისწავლე; წერა-კითხვა, სამღვთო რჯული, ანგარიში — ცოტ-ცოტა ყველა ვიცოდი და 1781 წ. საკმარისად მომზადებული ვიყავი, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად ვზიარებულიყავ. ზიარებით დამთავრდა ჩემი სწავლა, რადგან, რაც კი თითონ იცოდა მამა ქრისტეფორემ, ყველაფერი მასწავლა. დანარჩენი მე თითონ უნდა შემეძინა შრომით და დაკვირვებით.

ამის შემდეგ ნათლიაჩემმა მენახირედ მოხუცებული იერი დაიჭირა და მე კი სამჭედლოში ვეხმარებოდი, ისე რომ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მკლავში ცოტა რამ ღონე მომეცა, მეც კარგად ვცემდი კვერსა. ნათლი-ჯალაბი და ნიკოლი დიდ პატივსა მცემდნენ, რადგან საღამოობით, როდესაც სამჭედლოში მუშაობას შევწყვეტდით, ახლა მე ვუკითხავდი გაზეთებს და პატარ-პატარა წიგნებს, რომელიც შოველს მოჰქონდა. ვკითხულობდი, მაგრამ ხშირად წაკითხულის ნახევარიც არ მესმოდა. მაგალითად, გაზეთში რომ

ვკითხულობდი „გვირგვინის უფლებაო“, სახელმწიფო ხარჯიო, ერის წარმომადგენელთა ამორჩევაო, — სრულიადაც არა მეყურებოდა რა და ჩემს თავში არა რჩებოდა რა. განა არა, ვგრძნობდი, რომ ეს მეც შემეხებოდა, რომ რიღასთვისაც ფულსა მთხოვდნენ, მაგრამ რისთვის, რად, ეს მე არ მესმოდა, როგორადაც არ მესმოდა, რა საშუალებას ხმარობდა მართებლობა, რომ გლეხკაცისთვის უკანასკნელი გროში ამოეცალა ჯიბიდან.

სულ სხვა იყო, როცა ჩვენი ქვეყნის შესახებ ეწერა რამე გაზეთში. გაქვს ღვთის წყალობა, რომ მე ის მეყურებოდა. მარილს საკმარისად დიდი ხარჯი ადევსო, რომ წავიკითხავდი, რასაკვირველია, ადვილად გავიგებდი, რადგან ყოველ კვირა მე თითონ დავიარებოდი სახელმწიფო საწყობში მარილის სასყიდლად. ოქროს ფასს გვახდევინებდნენ მარილში. ერთ კვირას რომ არ მივსულიყავით, მეორეზედ კარგადაც შეგვთათხავდნენ:

— შენ ჰეი, წარსულ კვირას რატომ არ მოხვედი, ჰა, შე... იქნება ჩუმად სადმე ყიდულობ შემოპარებულ მარილსა?! გამიფრთხილდი, თორემ მე ვიცი შენი!..

ასე იყო დადებული: აწერილი ვყავდით — ოჯახში რამდენი სული ვიყავით და დადებული იყო სულზედ რამდენი უნდა გვეყიდნა მარილი.

ან არა — გაზეთში ღალაზედ ეწერა რამე. მომაგონდებოდა ჩვენი მინდორი, მომკილი, სამეულებად დალაგებული ძნა, და შორიდან მომავალი მოურავი:

— აბა, გავყოთო!

და რაც უნდა წვიმა და ავდარი ყოფილიყო, უნდა იქ დავხვედროდით მოურავს, ურემი შებმული გვქონიყო და ჩვენი საქონლით აგვეტანა ბატონის კარზედ იმისი წილი.

ამას რა დიდი გაგება უნდოდა: რასაც ჩემი თვალითა ვხედავდი, სუყველა კარგად ვიცოდი.

და რაც არ მეყურებოდა, შოველსა ვკითხავდი.

— შენ გინდა გაიგო, რა არის სატახტო მაზრა? — მეუბნებოდა ჩვენი მეწვრილმანე. — მაგაზედ ადვილი რა არის, ჩემო მიშელ; რომელიმე უძველესი და საუკეთესო მაზრა, რომელშიაც მეფობა დაწყებულა, მაგალითად, პარიზი, ან ორლეანი, სამეფოდ, სატახტოდ დაუდვიათ, ესე იგი მეფის საკუთრებად. ამისთანა მაზრას, სატახტო მაზრას — მეფისაგან განწესებული მოურავი განაგებს და განაგებს ისე, როგორც იმასა ჰნებავს: კანონმდებელიც ის არის, მსაჯულიც, ხარჯის გამწერელიც, მომგროვებელიც... ბატონია მთელი მაზრისა. რამდენსაც უნდა, იმდენს დაადებს ხარჯს ხალხს და იმდენს გადაახ-

დევინებს. იმის წინააღმდეგ ხმას ვერავინ ამოიღებს. რადგან, თუ უჩივლეს, მეფესთან უნდა უჩივლონ და მეფე კი თითონ მოურავთანვე გაგზავნის მოჩივარს. წადი, სამართალს ის მოგცემსო.

უწინდელ დროში სატახტო მაზრის მცხოვრებნი თითონვე აირჩევდნენ ხოლმე თავიანთ მორის ხარჯის გამწერლებს და სხვა საქმეების გამგებლებს; ამ ამორჩეულთ მიანდობდნენ ქვრივ-ობლის შეწყალებას, დიდის და პატარის გარჩევას; მაგრამ აგერა ორასი წელიწადია, მეფეებმა წაართვეს ხალხს ეს უფლება და, როგორც გითხარი, თითონა ჰნიშნავენ უჯიათ მოურავებს, რომ, თუ მოხერხდა, ცხრა ტყავი გააძრონ კაცსა. გაიგე, მიშელ?

— დიაღ, ბატონო შოველ.

— ჰოდა სხვა მაზრებში, რომელნიც სატახტოდ არ დაუდვიათ, აი, როგორც მაგალითად, ჩვენი მაზრაა, საქმე სხვანაირად არის. აქ მეფის მოურავის გარდა, დროგამოშვებით დიდებული მებატონეები და სულიერი მამანი შეიყრებიან ხოლმე საქვეყნო საქმეების გასარიგებლად: ისინი დაადგენენ სამეფო ხარჯს, მერე საბატონოს, მერე სამღვდელოებისას, მონასტრებისას, გზებისას, მდინარეებისას, ეკლესიებისას, და სხვ. ეს იმიტომ არის, რომ უწინ ჩვენი მაზრა სრულიად თავისუფალი ყოფილა და ხალხსაც იმდენი ძალ-ღონე ჰქონია, რომ მებატონეების წინააღმდეგ ხმის ამოღება სცოდნია. მაგრამ საფრანგეთის მეფეს ჩვენი მებატონეებისთვის თავის კაცები შეუჩენია, შეუსყიდნია საჩუქრებით და დიდების დაპირებით და იმათაც გაუყიდნიათ თავისი სამშობლო და თავისუფალი მაზრა საფრანგეთისთვის შეუერთებიათ. მეფისთვის აღთქმა ჩამოურთმევიათ — ჩვენს მაზრას საფრანგეთს შევუერთებთ იმ პირობით, რომ ჩვენ წარჩინებულთ და დიდებულთ არა დაგვაკლდეს რა, არამედ კიდევაც მოგვემატოსო და ხალხს კი თუნდა ტყავი გააძრეთ, ოღონდ კი ჩვენც გვარგუნეთ რამეო. ასე გაყიდეს სამშობლო, მებატონეები მებატონეებად დარჩნენ, და ჩვენ კი ძველებურზედ უარეს დღეში ჩავვარდით: უწინ მარტო ბატონი გვჭამდა, ახლა ბატონიცა გვჭამს და მეფეც. აი რა შეგვძინეს ჩვენმა დიდებულებმა, როდესაც ჩვენი ქვეყანა სამეფოს შეუერთეს. რაც გვქონდა, სულ წაგვართვეს და თუ შეგვარჩინეს რამე, მხოლოდ ერთიღა შეგვარჩინეს: ჩვენ ოფლი უნდა ვღვაროთ იმათ ქეიფისა და ფუფუნებისათვის! ეს არის ჩვენი დანიშნულება და ამას, შენც დამეთანხმები, არავინ წაგვართმევს... გაიგე, მიშელ?

— დიაღ, ბატონო შოველ.

— ჰო და გახსოვდეს!

ნათლიაჩემი კი ბრაზობდა:

— ვერე სიმართლე სადღაა. ჰა. სიმართლე სადღაა?! — განა ჩვენ კი ფრანგები არა ვართ? განა ჩვენ კი იმავ ენას არ ვლაპარაკობთ და ერთსა და იმავე ერს არ შევადგენთ?! ჰო და რად არის განსხვავება? რით არიან ისინი ჩვენზედ მეტი, რომ ისინი ხარჯს გვახდევინებენ და ჩვენ კი ვაძლევთ, და ვაძლევთ! თუ ხარჯი საზოგადო საჭიროებათათვის არის დადებული, ყველამ უნდა გადიხადოს, დიდმაც და პატარამაც, გლეხმაც და თავადმაც, ყველამ შეძლებისამებრ. თუ არა და, მაშ მებატონეების საქონელი ვყოფილვართ?!

— ეჰ, ჩემო ივანე, თუ კაცი ხარ, ერთ რამე გარდასახადს დამისახელებ, რომ ან მებატონეები იხდიდნენ, ან სამღვდელოება, ან მონასტრები? სამეფოს ჩვენ ვინახავთ, ჩვენ, თევზივით დამუნჯებული გლეხკაცები! მეც ვიცი, რომ აქ სიმართლე არსად არის, მაგრამ რას იზამ? ბევრიც რომ გაჯავრდე, იოტის ოდენასაც ვერას გახდები.

თავის დღეში არ გაჯავრდებოდა შოველი, რაც უნდა მომხდარიყო. რამდენჯერმე უამბნია ჩვენთვის თავის ოჯახის თავგადასავალი და ყოველთვის იმისთანა წყნარი კილოთი ულაპარაკნია, თითქო სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. სამშობლო ქვეყანაში თურმე კარგა შეძლებული კაცი იყო იმის მამა, მაგრამ პროტესტანტი რადა ხარო — სახლიც წაართვეს, ვენახიც, მიწებიც, რაც ფული და ავეჯი ჰქონდა ისიც და ცარიელი კაცი განდევნეს თავის მიწა-წყლიდან. დაიწყო სიარული, საფრანგეთში თითქმის ყველა ქალაქს შეეხიზნა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის დევნილი იყო თავის რჯულის გამო; საწყალს შვილებსა სტაცებდნენ, რომ „ნამდვილ ქრისტიანად“, ესე იგი კათოლიკურ რჯულში აღეზარდათ. ერთხელ ჯარი მიუსიეს და ხმლის ყუით ცემა დაუწყეს — კათოლიკური რჯული უნდა მიიღოთო; მოხუცებული პაპა შოველისა ტყეში გაქცეულიყო და მეორე დღეს დანარჩენებიც იქ ასულიყვნენ: არც სახლი გვინდა, არც კარი, ოღონდ რჯულს ნუ გამოგვაცვლევინებთო; მაგრამ დაეჭირათ და საწყალი მოხუცებული ცამეტი წლით ციხეში ჩაეგდოთ: ერთი ფეხით თურმე ტახტს დააკრეს და ისე იყო ტახტზედ გაკრული; მასთან სხვანიც იყვნენ; ზედამხედველად ერთი კაცისმკვლელი ყაჩაღი დაენიშნათ; ისე სცემდა თურმე პატიმრებს, რომ მათრახითა ხოცავდა საწყლებს და ვინც დროზედ არ მოკვდებოდა, ტახტიდან აჰგლეჯდნენ... მიკრული ფეხი ტახტზედვე რჩებოდა და ცოცხალ-მკვდარს ზღვაში ჩაუძახებდნენ.

გვიამბობდა ხოლმე ამ შემაძრწუნებელ ამბავს და იმის მაგიერ ჩვენ გვერეოდა ბრაზი და ის კი ისე მშვიდად იყო, ისე მშვიდად

მოსწევდა ბურნუთს, თითქოს თავის ოჯახის ამბავს კი არა, ზღაპარს გვეუბნებაო. პატარა მარგალიტა კი სრულიად „გაფითრდებოდა: ააკანკალებდა და გაჩუმებული გამოიყურებოდა შავ წამწამ ქვეშიდან.

თავის ოჯახის ამბავს ამ სიტყვებით გაათავებდა:

— აი, რამდენი რამა გვმართებს ჩვენ, შოველებს, ჩვენი მეფეებისა: ლუი ძლიერისა, ლუი დიდსულოვანისა და სხვებისა. უცნაურია ჩვენი ამბავი. იმავ თავითვე დევნილი ვყოფილვართ და დღესაც მე ადამიანად არსად ვირიცხები, ადამიანის უფლებანი მე არსადა მაქვს. ჩვენმა კეთილმა მეფემ, ტახტზედ რომ აბრძანდა, იმოდენა ეპისკოპოსთა და მთავარეპისკოპოსთა თანდასწრებით და ლოცვა-კურთხევით, ჯვარზედა და სახარებაზედ დაიფიცა ჩვენი ამოწყვეტა — ღმერთსა ვფიცავ, მთელს ჩემს ძლიერებას მოვასმარ, რომ ჩემს სამეფოში ეკლესიის მიერ დაწყევლილი ურჯულო არსად ვაბოგინოვო... ბოროდელი სულიერი მამა უნდა იყოს ყოველი ქრისტიანისა და თქვენი მღვდლები კი თავის დღეში არ მოგვცემენ არც დაბადების მოწმობას, არც ნათლობისას, არც ქორწინებისას, ან მიცვალებისას. კანონით აკრძალული გვაქვს ყოველი უფლება — მსაჯულად ჩვენ ვერ გავხდებით და მასწავლებლად ხომ უფრო ვერა. ერთად ერთიღა დაგვრჩენია: უმიწაწყლოდ, უსახლკაროდ უნდა დავლიოთ ჩვენი დღენი, როგორც პირუტყვმა იმიტომ, რომ ჩვენ აკრძალული გვაქვს ყველა ის, რაც ადამიანს ადამიანადა ხდის. და ღმერთმან იცის, რომ ავს არას ჩავდივართ; მთელი ქვეყანა იტყვის, რომ ჩვენისთანა პატიოსნად სხვა ბევრი არავინა ცხოვრობს.

— თან კი გაიძახიან, ქრისტიანები ვართო! — ჩაუმატებდა ნათლიაჩემი.

— იმათი რა მოგახსენო, და ჩვენ კი ქრისტიანები ვართ და ქრისტიანული შებრალებაც ვიცით თვით მტრისაც კი. დიაღ, თვით მტრისაც კი, ჩვენი მტარვალების საბედნიეროდ! ნეტავი აგრე არ ყოფილიყო! მაგრამ რა? ყველას გადახდა უნდა, სარგებლით და სარგებლის სარგებლით; ასეა ამ წუთისოფელში; სულ ყველას გადახდა უნდა! დღეს თუ არა, ხვალ! წლეულს თუ არა, მერმის! ათის წლის შემდეგ! ასის წლის შემდეგ, მაგრამ გადაუხდელი კი არა დარჩება რა!

ცხადია. რომ ხარჯის და ერთობ სხვადასხვა გარდასახადის ცოტა რამ შემსუბუქებით ხალხს აუხვევდნენ თვალებს და შოველს კი ვერა; უნდა გენახათ იმისი გაყვითლებული სახე, ღრმად ჩამჯდარი, ჩაფიქრებული თვალები, იმისი ყოველთვის მოკუმული ტუჩები, რომ გეგრძნოთ — რა ძალ-ღონის კაცი იყო. უნდა გენახათ ეს უბ-

რალო, მაგრამ ძლიერებით სავსე მეწვრილმანე. რომ თქვენდა უნებურად თავი მოგეხარათ მის წინაშე.

— ამას ან სულ ყველაფერი უნდა მისცეთ, რიც ერგება, ან არა და არაფერიო, — იტყოდით თქვენ გულში; — ამან მოთმენაც იცის, რამდენადაც კი საჭიროა; მაგრამ როცა საჭირო იქნება, იარაღსაც აიღებს. მანამ კი არც ციხისა ეშინიან, არც წამებისა და თავგანწირული ქვეყანას აკრძალულ წიგნებს უზიდავს, ოღონდ კი ხალხში თავისი აზრები გაავრცელოს; ყველას ერიდება, არაფრისა ეშინიან და თუ მოხდა რამე, ვაი იმის ბრალი, ვინც ამის წინააღმდეგი იქნება! ის პატარა გოგოც მამასა ჰგავს: ამათი ჯიშისა ადვილად გატყდება, მოხრით კი თავის დღეში არ მოიხრება.

მე ამას არა ვფიქრობდი, რადგან ჯერ ამოდენი შეგნება არა მქონდა, მაგრამ ვგრძნობდი კი. შოველს დიდად პატივსა ვცემდი. შორიდანვე ქუდს ვუხდიდი და გულში მიხაროდა: შენ გლეხკაცის მხარე გიჭირავს, შენც ჩვენი ყოფილხარ-ძეთქი.

იმ დროინდელი გაზეთები რაღაცა სახელმწიფო გასავალს სწერდნენ და ნათლიაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე: ვერ გამიგია, რატომ არ უნდა ჰფარავდეს შემოსავალი გასავალსაო? ნეტავი იმოდენა ფული რაზედ იხარჯებაო? ხალხი თავის გარდასახადს ნაღდად იხდის... ან ვინ რას შეგვარჩენს? გროშს არავინ გვადროვებს! გადასახადს ყოველ წელს გვიმატებენ და თუ შემოსავალი გასავალს არა ჰყოფნის, მაშ სახელმწიფო ხაზინა ქურდების ხელში ყოფილა. ჩვენი კეთილი მეფე ძალიან კარგს იზამს, რომ ეს ქურდები მოსძებნოს. ქურდი გლეხკაცი არ უნდა იყოს, რადგან ოღონდ კი ხარჯი წაართვან და მერე შორიდანაც ვეღარ დაინახავს თავის ფულს: მაშასადამე, ქურდი დიდებულთაგანი უნდა იყოს, სწორედ იმ დიდებულთაგანი, რომელნიც მეფეს გარს ახვევიანო.

ამ სიტყვებზედ ვალენტინს თავისი დაემართებოდა ხოლმე და გააფთრებული შეჰყვირებდა:

— რა არის, ოსტატო!? სხვა არა იყოს რა. ღვთისა მაინც არ გეშინია, რადა სცოდავ აგრე? ჩვენს მეფეს გარშემო სულ წარჩინებული და დიდებული თავადაზნაურობა და ეპისკოპოსები ახვევია. იმათ თავიანთი სახელი და დიდებაც ეყოფათ! ძალიან არ ეპირვებათ თქვენი ფული?!

— კარგი, კარგი, ვალენტინ, ხომ იცი მე და შენ ვერ შევთანხმდებით, მე ხომ არ გიშლი, შენ შენი აზრისა იყო, ჰო და ნურც შენა მწვდები ხოლმე ყელში, მე რომ ჩემი აზრი გამოვთქვა. იქნება გინდა დამარწმუნო, რომ გასავალის გამრავლება გლეხკაცის ბრალი იყოს? საიდან სადაო, ძმავ, სახელმწიფო ხაზინის ახლო მე და შენ

მგონი სამი დღის მანძილზედაც არ მიგვიშვან. აბა როგორ მოვა-პარავდით? და თუ იპარავს ვინმე, ის იპარავს, ვინც იქვე ახლო არის. ან თვით დიდებულნი იქნებიან ან არა და იმათი მსახურები.

მართალსაც ამბობდა ნათლიაჩემი. რევოლუციის წინად ხალხმა არ იცოდა, სად მიდიოდა იმოდენა ფული, რაზედ და როგორ იხარჯებოდა. სახელმწიფო ხაზინა თავადაზნაურთა და სამღვდელოების ხელთ იყო და, მაშასადამე, პასუხის მგებელნიც მარტო ისინი უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ, მართალი უნდა მოგახსენოთ, ჯერ არავის სჯეროდა, რომ შემოსავალი გასავალზედ ნაკლები იქნებოდა. აქეთ-იქით ხმები დადიოდა, ხანდახან გაზეთებშიაც ეწერა, მაგრამ გაკვრით, გაუბედავად და დიდი მორიდებით. სწორედ ამ დროს დანიშნა მეფემ სახელმწიფო ხაზინის გამგედ ერთი ჟენეველი ვაჭარი, სახელდობრ ნეკერი. ეს კაცი საქმეს ვაჭრულად შეუდგა. ვაჭარმა იცის, თუ გაკოტრება არ უნდა, ჯერ თავის ქონებას და ხარჯს ანუსხავს. ნეკერმაც მოინდომა მთელი საფრანგეთის სახელმწიფო შემოსავლის და გასავლის აღრიცხვა. მოინდომა და კიდეც აღრიცხა.

გაზეთები ამ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას „ნეკერის ანგარიშს“ ეძახდნენ.

საუკუნეთა განმავლობაში ეს პირველი იყო; პირველად ეუბნებოდნენ გლეხკაცს: აი რაზედ დაიხარჯა შენი ფული. ეს მარტო ვაჭარს შეეძლო — გლეხკაცებისთვის მოეხსენებინა — აი, თქვენი ფული სად წავიდაო, და სხვანი კი, თავადაზნაურნი და სულიერი მამანი, იმდენად თავმოყვარენი იყვნენ, რომ გლეხკაცების წინ თავს არ დაიმცირებდნენ და ანგარიშს არ მისცემდნენ! აბა როგორ ეკადრებოდათ!! ნეკერის ანგარიშმა ქვეყანა გადარია. იმაზედ მეტი სალაპარაკო აღარა გვქონდა რა. ვიღას ახსოვდა ამერიკელთა ბრძოლა თავისუფლებისთვის, ვაშინგტონი, ლაფაიეტი, ინდოეთის ზღვაზედ ბრძოლა? ნეკერის ანგარიშმა ყველა დაგვავიწყა. ოჯდა ნათლიაჩემი და ყოველ საღამოს ამ ანგარიშსა სინჯავდა: მეფე-დედოფლის სასახლეს — ამდენი, ბატონიშვილებს — ამდენ-ამდენი; მეფის საყვარელ შვეიცარიელ ჯარს — ამდენიო, ჯარის უფროსებს, მეფის კარის კაცებს და მოსამსახურეებს — ამდენი, დედოფლის მოახლეებს — ამდენი, მონასტრებს, ეპისკოპოსებს — ამდენიო. გადადიოდა მილიონები და მილიონები!

სულ ცოფსა ჰყრიდა ნათლიაჩემი:

— ახლა კი ცხადადა სჩანს, რადა ვართ ასე ღარიბ-ღატაკნი! ახლა ცხადად სჩანს. რად დავიარებით ფეხშიშველი და თავშიშველი, ახლა კი გავიგე, რად იხოცება ამოდენი ხალხი შიმშილით და სიცი-

ვით; ეხლა კი ვხედავ. რად რჩება ამოდენა მამული დაუმუშავებელი! ახლა კი ცხადია! ღმერთო! ღმერთო! ნუ თუ ამოდენა უსამართლობას ვერა ჰხედავ?! მარტო მეფეს წელიწადში ხუთასი მილიონი! და კიდევაც იძახიან — არა ჰყოფნისო?! გასავალი შემოსავალზედ მეტი იქნება, მაშ რა?! ამას ბრმაც დაინახავს.

— მართალია, ძალიან სანანურია ასე უღმერთოდ ფლანგვა ჩვენი ოფლით და სისხლით მოხვეჭილი სარჩო-საბადებლისა, — ეტყოდა ხოლმე თავისებურად აუღელვებლივ შოველი, მაგრამ ეგეც დიდ ღვთისწყალობად უნდა მივიღოთ, რომ გავიგეთ მაინც, რაზედ იხარჯება ხალხის ნაღვაწევი ფული. აქამდე ვინ რა იცოდა? ვფიქრობდით, ნეტავი იმოდენა ფულს რას უშვრებიან? სად მიაქვთ? ზღვაში ხომ არა ღუპავენო? ახლა კი სულ უკანასკნელ გროშამდე ნაანგარიშევია და, ვისაც უნდა, ადვილად გაიგებს, რაზედ რამდენი იხარჯება.

ნათლიაჩემი კი მაინც არა ცხრებოდა:

— მართალს ამბობ, შოველ. ჩემთვის მართლა და ღვთის წყალობაა ვიცოდე, რომ მე იმიტომ ვიწვი-ვიდაგები, რომ ვიღაც დიდებულმა მეფის კარის კაცმა თავისთვის სასახლე იყიდოს. დიაღ, დიდი ღვთის წყალობაა! მე საკმარის ჭადსაც არ მარჩენდნენ, მარტო იმიტომ, რომ თავად არტუას ლხინი უნდა გაემართა და ოცი ათასი თუმანი დაეხარჯა! მე დილით საღამომდე ოფლში ვიწურები, იმიტომ რომ დედოფალმა ერთს ვისმე გალატაკებულს თავადიშვილს იმდენი უწყალობოს, რასაც მე მთელი ჩემი სიცოცხლე სიზმარშიაც ვერა ვნახავ! დიდი ღვთის წყალობაა, თქვენმა მზემ!

მიუხედავად ამისა ნათლიაჩემს მაინც ძალიან მოსწონდა ის გარემოება, რომ ანგარიში უნდა მიეცათ ერისთვის და, რაკი პირველმა ბრაზმა გაუარა და ცოტა დამშვიდდა, სხვაფრივ დაიწყო ლაპარაკი.

— ტიურგოს შემდეგ ჩვენ ამისთანა კარგი მინისტრი არა გვყოლია. პირდაპირა სჩანს, რომ ცდილობს ხალხს ტვირთი შეუმსუბუქოს, ხარჯი შეუმციროს და სახელმწიფო შემოსავალ-გასავალში სასტიკი ანგარიში დააწესოს. იმას ისე შეუჩნდნენ დიდებული მებატონეები და მთავარეპისკოპოსები, რომ სამსახურიდან გააძევეს; ან რას ახეირებდნენ ხალხის მოყვარეს ხალხის მტრები? ნეკერსაც არა ნაკლებ აითვალწუნებენ! ეს მაინც დარჩეს თავის ალაგას. ეტყობა კი, ასე ადვილად არავის დაუვარდება, მეტადრე თუ თვით მეფემაც მხარი მისცა. ცოტა მაინც შერცხვებათ ჩვენ დამღუპველთ! და ისე უსირცხვილოდ ვეღარ გაბედავენ ფულის ფლანგვას! ახლა მაინც გაიგებენ, რად შესცქერის იმათ ასეთი ზიზღით გლეხკაცი; იტყვიან,

ალბად ნეკკერის ანგარიში წაუკითხავს და გაუგია, რომ ჩვენი ოქრომკედით მოსილი ტანისაძოსი, ჩვენი ყეოცხლის ხძალ-ხახჯალი და ეს აუარებელი სიმდიდრე შეძენილი გვაქვს ამ გლეხის შრომით, რომელიც ჩვენ წავართვითო.

მაგრამ ყველაზედ უმეტესად ნათლიაჩემს ის ახარებდა, რომ ნეკკერი თავის ანგარიშს შემდეგი სიტყვებით აბოლოვებდა: სახელმწიფოს დიდი ვალი დაედო, რადგან შემოსავალი გასავალს ვერა ჰფარავს; ამ ვალის გადახდა მარტო მაშინ შეიძლება, როდესაც მებატონეებს, სამღვდელოებას და მონასტრებს უპირატესობა აღარა ექნებათ რა და ისინიც გადაიხდიან ყველა იმ ხარჯს, რომელსაც ეხლა მარტო გლეხკაცობა იხდის.

— აი შენი ღმერთის ჭირიმე, შენი! — იძახდა ნათლიაჩემი. — ძლივს გვეღირსა ქრისტიანული აზრების მინისტრი!

ელვასავით მოედო ქვეყანას ეს ამბები. ყველგან რაღაცა ცვლილებაზედ ლაპარაკობდნენ, ერთიერთმანეთს ახალს ცხოვრებას ულოცავდნენ. შოველი და მისი პატარა მარგალიტა მთელი სამი კვირა შინ აღარ დაბრუნებულან: დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ნეკკერის ანგარიშსა ჰყიდდნენ. პატარა წიგნაკად იყო დაბეჭდილი ეს ანგარიში, ფასი დიდი არ ედო და დიდძალს თურმე ასაღებდა შოველი. მარგალიტამ კიდეც მითხრა, რამდენი ცალი გაეყიდნათ იმ ცოტა ხანში, მაგრამ მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, რომ ვეღარ მომიგონია.

ბაზრობა დღეს რომ ხალხში ჩარეულიყავით, ერთსღა გაიგებდით: ბატონყმობა უნდა გადავარდეს, მებატონეებსაც ხარჯს ადებენ, ხარჯი შეძლებისდა გვარად იქნება განაწილებულიო.

— ჰა, რასა იქ, როგორა ხარ, ივანე? ხომ კარგ გუნებაზედ ბრძანდებიან ჩვენი ბრწყინვალე ბატონები? გეცოდინება, იმათაც ხარჯს ადებენ, როგორც აქამდის ჩვენ გვედო.

— ძლივს, ძლივს, ჩემო ნიკოლოზ: ღმერთმა უშველოს ბატონ ნეკკერს. სახელმწიფო ზარალი და ნეკკერი რომ არა ყოფილიყო, მგონი დღესაც არავის შეეწუხებინა ჩვენი თავადაზნაურობა. მაგრამ ეტყობა ძალიან დაზარალებული ყოფილა სახელმწიფო ხაზინა, რომ ჩვენი ხარჯი აღარა ჰყოფნის და ახლა მებატონეებს და სამღვდელოებას მიმართეს. არ გებრალება, ნიკოლოზ, საწყალი ბერები? არა, თითონ რა აბადიათ, სულ შიმშილით იხოცებიან...

და ორივე გულიანად იცინოდა. თან ერთმანეთს ბურნუთს შესთავაზებდნენ, და ბერებს და მებატონეებს დასცინოდნენ.

ეს 81-ში იყო. მაგრამ მალე გაგვიცრუვდა იმედი. ცოტა ხანს უკან გავიგეთ, რომ თავადი არტუა, დედოფალი მარიამ-ანტუანეტა და

ერთი გადაყრუებული მინისტრი მორეპა გადაჰკიდებოდნენ ნეკ-კერს — ამ უბრალო ხალხის შვილს და წარმომადგენელს — სახელ-მწიფო ხაზინის ანგარიში რად გამოაქვეყნეო. ისე გადაჰკიდებოდნენ, რომ ან თითონ უნდა დაენებებინა სამსახურისთვის თავი, ან ისინი შეუჩნდებოდნენ მეფეს და დაათხოვინებდნენ. ხალხი ეჭვის თვალით ელოდა სატახტო ქალაქიდან ყოველ ახალ ამბავს და დიდად შიშობ-და ნეკკერის დათხოვნას. აქეთ-იქით მუქარა ისმოდა.

1781 წ. თიბათვეს ნათლიაჩემმა მარილის ამოსატანად გამგზავნა სახელმწიფო საწყობში. პარასკევი დღე იყო. ქალაქში რაღაც არეულობა იყო. თავად ტალარიუს, სახლთან სამხედრო მუსიკა იდგა, დიდებულთა სახლების წინ საყვირს უკრავდნენ; ქუჩებში ჯარები მიდი-მოდიოდნენ. ახალი წლის უქმეები გეგონებოდათ, რომ ისე და-ღონებული არა ყოფილიყო ხალხი. მეთევზეების და მეხილეების ყვირილიც კი აღარ ამხიარულებდა ბაზარს.

აუარებელი ხალხი შეგროვილიყო მარილის საწყობთან. ისე და-ღონებულიყვნენ, თითქო მგლოვიარენი არიანო. გაჩუმებულნი შეს-ცქეროდნენ ერთმანეთს და მხოლოდ აფიცრების მხიარული, ხმა-მაღლივი ლაპარაკი ისმოდა მოედანზედ, მით უფრო ხმამაღალი და თავხედური, რომ ძალადა ჰყვიროდნენ, თითქო ამოდენა ხალხს ნიშნს უგებენ და დასცინიანო.

ის იყო მარილი მომიწონეს და შინისკენ გავწიე, რომ მოედნის თავში რამდენიმე ალაფის ლაპარაკს მოვკარი ყური:

— ეჰ, მორჩა, გათავდა! წასულია ჩვენი საქმე! რიღას იმედი უნ-და გვქონდეს: ნეკკერი დაუთხოვნია მეფეს.

ნეკკერი დაუთხოვნიაო? განა არა, ეს სამი თვეა სულ ამის შიშში ვიყავით დიდი და პატარა. შინისკენ გავეშურე. ქალაქის კარებთან ჩვეულებრივ ისხდნენ ჯარისკაცები და ჩიბუხს ეწეოდნენ, თითქო საომისო არაფერი მომხდარაო.

მანამ მე შინ ავიდოდი, ნათლიაჩემს კიდეც გაეგო ყველაფერი ქალაქიდან მომავალ ვაჭრებისაგან. ვაჭრები ჯერ ისევ ჩვენსა იყვ-ნენ, რომ ავედი.

— ეგ შეუძლებელია, — ყვიროდა ნათლიაჩემი. — შეუძლებე-ლია! ნეკკერი რომ დაითხოვონ, ზარალს ვიღა შეავსებს? სხვები ძვე-ლებურადა სწირავდენ და ხაზინას ერთი ათად მეტ ვალს დაადებენ! ეს ქეიფი და დროს გატარებაო, ეს სანადიროდ გამზადებაო, ეს ლა-მაზი გოგოებიო, მგონი ჩიტებს ოქროებს ესროდნენ! რაში შურთ გლეხკაცის ოფლი და სისხლი?!. ეგ შეუძლებელია! ერთიათად იმა-ტებს სახელმწიფო ზარალი!

მაგრამ როდესაც ვუამბე, რა გლოვა-წუხილს მიცემოდა ხალხი,

რა მხიარულებაში იყვნენ ჯარი და ქალაქის მამასახლისი და გამგენი, მაშინ კი დარწმუნდა, მართალი ყოფილაო და შუბლი შეიკრა:

— ეეჰ! ეტყობა მართლა დაუთხოვნიათ ის დალოცვილი ისა! მე კი მეგონა, ჩვენი კეთილი მეფე მხარს მისცემს და მტრის გულისად არ გახდის-მეთქი!

იქნება კიდევ ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ იმდენი ხალხი გვეხვია, იმდენი იყო იმათში ჩვენთვის უცნობი, რომ ნათლიაჩემმა ჩაქუჩს წამოავლო ხელი და შემოგვძახა:

— აბა, ბიჭებო, დაკათ, დაკათ, რომ დიდებულთ საქეიფო ფული ვუშოვოთ! აბა ჰა!

და თან ისე ხარხარებდა, რომ იმის სიცილი ნათლი-ჯალაბს გაეგო და ფეხშიშველა გამოვარდა — ნეტავ რა მოხდაო?

საღამომდე ხმა აღარ ამოგვიღია, ან როგორღა ვიტყოდით რასმე? ბუზივით ირეოდა ხალხი და ყველა იმასა ცდილობდა, სხვისაგან გაეგო რამე; თითონ კი არავინ არას ამბობდა.

საღამოზედ კი, როდესაც სრულიად მარტონი დავრჩით და კარები მივკეტეთ, ნათლიაჩემმა თავისუფლად ამოანთხია თავის გულის ვარამი:

— მაშ გვაჯობეს რაღა თავადმა არტუამ და ჩვენმა მშვენიერმა დედოფალმა? ვაი იმ კაცის ბრალი, ვინც მფლანგავ ცოლს აჰყვება! ციდან ჩამოსული ანგელოზიც რომ იყოს, გულითაც რომ უყვარდეს თავისი ხალხი და ცდილობდეს ტვირთი შეუმსუბუქოს, ბევრსაც რომ ეცადოს, ქეიფსა და ლხინს და სხვადასხვა დროს გატარებას ვერ ამოაგდებს; ამ მხრივ ლამაზი ცოლისთანა ჯიუტი არა იქნება რა; ქვეყნის დაღუპვას არ დაინანებს, ქმარ-შვილს გაიმეტებს, ოღონდ ლხინსა და სიამოვნებას ნუ მოაკლებენ! რა ქნას, თუ კი ღმერთს მარტო ლხინისთვის გაუჩენია? მანამ ცოცხალია, იმას არშიყობის მეტი არა უნდა რა: ოღონდ კი თავს ევლებოდნენ, საცა კი ყოჩაღი ბიჭია ვინმე და იმაზედ უბედნიერესი არავინ იქნება. აი, თუნდა ჩვენი საწყალი რემფალი: რა უჭირდა, იყო თავისთვის, მშვიდად, წყნარად და მართლა რომ ბატონკაცურად ცხოვრობდა. მამა-პაპას საკმარისი მამული დაეტოვებინა და ასი წელიწადი რომ ეჭამა, მეასედსაც ვერ დახარჯავდა, თუნდა სამსახურშიაც არ ყოფილიყო; მაგრამ ერთი ქარაფშუტა ქალი შეირთო — რას ვაქნევ ცარიელ სილამაზეს? — და დღესაც თავბედს იწყევლის. საცა კი ლხინი და დროს გატარებაა, ისიც იქ უნდა ბრძანდებოდეს და სულ ახალ-ახალი კაბები და სამკაული ჰქონდეს. ისე ფლანგავს ფულსა, თითქო ბზეა და ქარმა შემოიტანაო, არ გავა ხუთი-ექვსი წელიწადი და მოვალეები კი წამოადგებიან თავზედ ლამაზი ცოლის ქმარს! სახლ-კარსაც გაუყიდიან, მამუ-

ლებსაც, ცოლის სამკაულებსაც. წავიდეს და ირიკაოს! ბოლოს? ქმარს ციხეში უკრავენ თავსა, რატომ ვალებს არ იხდიო და ცოლი კიდევ ერთ კოხტა ბიჭს გაჰყვება ვინმე. აი, რა იცის მფლანგავი ცოლის აყოლამ. აი, რითი გათავდება ხოლმე ამგვარი საქმე, სულ ერთია, ,ერძო იქნება იგი თუ სახელმწიფო.

თან უფრო და უფრო ბრაზი ერეოდა. ჯერ ვერ გაებედნა და ვერ ეთქვა, რომ ჩვენი დედოფალი მარიამ-ანტუანეტა სამეფოსა ღუპავდა თავის საქციელით, მაგრამ ცხადად ეტყობოდა, რომ სწორედ ამასა ფიქრობდა.

საშინელი ავდრიანი დღე იყო. ,ოკისპირულად წვიმდა, თან ისეთი ქარი ქროდა, რომ ძირიანად ჰგლეჯდა იქაურობას. და სწორედ იმ დროს, როდესაც ვახშამი გავათავეთ და ცოტა არ იყოს დავმშვიდდით, იმ დროს, როდესაც მე ქუდს წამოვავლე ხელი და შინისკენ გაქცევას ვაპირებდი და ნიკოლი ჭრაქს ანთებდა, რომ ჩემთვის გამოენათებინა, უცბად ვიღაცაც ქუჩის კარი დაგვიკაკუნა.

იმდენი იყვირა იმ საღამოს ნათლიაჩემმა, რომ თუმცა წვიმდა და ქარი ჰქროდა, ეტყობა ყური დაგვიგდეს ჯაშუშებმა. გავშრით, გავშეშდით. ისევ ნათლი-ჯალაბი ეკატერინე მოვიდა გონს. შანდალს ხელი წამოავლო და სამზარეულოსკენ გასწია, — თან წაგვჩურჩულა — სუთ, ეგონებათ, რომ გვძინავსო. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ კარს ჯარისკაცები გვადგნენ ჩვენ დასაჭერად მეფის სახელით მოსულნი და გულგახეთქილები ვიდექით და არ ვიცოდით, რა გვექნა. ამ დროს ნაცნობმა ხმამ დაიქუხა:

— მე ვარ, ივანე, ქრისტეფორე მღვდელი. გააღე, თორემ ძვლებამდე ჩამატანა!

ძლივს არ ამოვისუნთქეთ!

ნათლიაჩემი კარებს ეცა. ნათლი-ჯალაბს სანთელი მიჰქონდა.

— შენა, მღვდელო?

— დიაღ, დიაღ, მე ვარ.

— რომ იცოდე, რა რიგად შეგვაშინე!

შინ შემოვიდნენ. შევხედეთ თუ არა, მაშინვე ვიგრძენით, რომ მღვდელი ქრისტეფორე ნაწყენი იყო. არც ნათლი-ჯალაბს მიესალმა იმ ღამეს, არც ჩვენ, როგორც ყოველთვის იცოდა, ყურადღება არავის მიაქცია, დასველებული ქუდი გაბერტყა და სთქვა:

— სავერნში ვიყავი. ვნახე გამოჩენილი კარდინალი როანელი. ღმერთო, ღმერთო! კარდინალი და ეგეთი! სულიერი მეუფე ქვეყნისა და ეგეთი!? ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ!

ისე გაჯავრებული იყო, — აღარც ,ი აგონდებოდა. რომ ძვლებამდე დაესველებინა წვიმას. ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, თითქო

ალაგი ვერ უპოვნიაო. ჩვენც გაშტერებულნი შევცქეროდით: ჩვენ დღეში არ გვენახა ჩვენი კეთილი მღვდელი ასე აღელვებული.

— დიაღ, ვნახე ჩვენი სულიერი მეუფე, — მიუბრუნდა ისევ ნათლიაჩემს, თითქო ჩვენ ვერც კი გვხედავსო; — ვნახე პაპის მოადგილე, წმინდა მამა, რომელიც მაგალითს უნდა გვიჩვენებდეს სიკეთისას და ყოველ სათნოებისას! ვნახე და იცი როგორა ვნახე; მარტოდმარტო გამოჭიმულიყო ეტლში და ბაზრობა დღეს, როცა დიდი ქუჩა ხალხით სავსეა, გიჟივით მოაქროლებდა ცხენებს. რამდენი ჭურჭელი დაამტვრია, რამდენი სავაჭრო გაიტანა, ვინ იცის? ისე ურცხვად იცინოდა, ისე უნამუსოდ... ფუ, შეარცხვინა ღმერთმა!

— იცი, ნეკკერი დაუთხოვნიათ!

— ვიცი, ვიცი! აკი გეუბნები, საეერნში ვიყავ და ჩვენ სულიერ მამასაც ვეახელ. ღმერთო, ღმერთო! რა მომაფიქრებინებდა, რომ ჩვენს ქვეყანას ამოდენა მუქთახორა ბებერი ეყოლებოდა! გაეგოთ თუ არა, ნეკკერი დაუთხოვნია მეფესაო, მაშინვე საეერნს მოსულიყვნენ და დიდის ამბით ულოცავდნენ კარდინალს ნეკკერის დათხოვნას.

ცოტა ხანს შემდეგ მწარე სიცილით განაგრძო:

— მოდი შენა და ამისთანა კარდინალს ქვრივ-ობოლი შეაბრალე! მოდი შენა და შესჩივლე: მეუფეო, გაჭირვებაში ვართ ღვთის მოსავნი, შეგვეწიე რითიმე: გვაწუხებენ, მეუფეო, სხვადასხვა ხრიკს გვიდებენ და თვით საკურთხეველში გვიცვივიან; დაგვექომაგე, რადგან შენი ერთი სიტყვა კმარა, რომ უკუიქცნენ შეურაცხმყოფელნი ეკკლესიისანი... მოდი შენა და მოახსენე: მეუფეო, ჩვენს საკუთარ სახლ-კარში აღარ გვასვენებენ, ცოლ-შვილს გვიწიოკებენ, დღე და ღამ, როცა კი უნდათ, სახლში გვიცვივიან ვიღაც შეიარაღებულნი — ნეტავი სამეფო ჯარის ტანისამოსი მაბნც ეცვათ, რომ უბრალო ქურდები არ გვეგონოს? — სახლში გვიცვივიან, სახლს გვიქოთებენ... წავლენ და იმათ სიტყვაზედ, იმათ სინიდისზედ და სიმართლეზედ არის დამოკიდებული ჩვენი ბედი და ილბალი. მერე ვინ არიან, რით იცით, რომ ღირსნი არიან მართებლობის მხრივ ასეთი უსაზღვრო ნდობისა? რითი დაიმსახურეს ეს ნდობა? კეთილი ცხოვრებით, საქველმოქმედო საქმეებით, თუ ჭეშმარიტ პატიოსნებით, რომ ამ ჯაშუშების ხელთ ჩაგიგდიათ ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლე? და ხშირად ჩვენი პატიოსანი სახელიც კი?! მოდი შენა და მოახსენე: მეუფეო, შენ უნდა იყო ჩვენი ქომაგი, შენ უნდა გვიშუამდგომლო მეფის წინაშე, შენ უნდა შეგვეწიო, შენ უნდა შეავედრო მეფეს ის უბედურნი, რომელნიც ციხეში ლპებიან მარტო იმიტომ, რომ ჯაშუშებ-

მა სახლში რამდენიმე ლიტრა ჩუმად შეძენილი მარილი უპოვეს! აბა მოახსენე... თითონ იცის, როგორც დაგიხვდება!

— რა დაგმართვია, მღვდელო? რა ვქნა, არ იტყვი რა არის შენს თავსა?

ცოტა ხანს გაჩერდა მღვდელი, თითქო აზრების მოკრებასა ცდილობსო და დაიწყო:

— ცუდი საქმე დამემართა. გუშინ ჯამუშები დაერივნენ ჩემს სამწყსოს, საწყალ ხალხს სახლები დაუჩხრიკეს, ერთ წვრილშვილ კაცს, იაკობ ბაუმგარტენს, სახლში მარილი უპოვეს და ციხეში ჩააგდეს. მეც ავდექი და კარდინალს ვეახელ, ვთხოვე, საწყალ კაცს შესწევნოდა. მგონი ეს ჩემი მოვალეობა არის. მე მეგონა, კარდინალიც ამ აზრისა უნდა იყოს-მეთქი. მეგონა, შეიბრალებდა უბედურ მამას, რომელსაც სახლში ექვსი ერთიერთმანეთზედ პატარა შვილი დარჩა სრულიად უნუგეშოდ და ულუკმაპუროდ; მეგონა ჩვენი მეუფე შეიბრალებდა საწყალ კაცს და სთხოვდა გაეთავისუფლებინათ. დიაღ, აგრე მეგონა, მაგრამ ჯერ, მანამ მის მეუფება მინახულებდა, სწორედ ორი საათი მალოდინეს შუა ქუჩაში ძმვენიერი ძვირფასი სასახლის წინ, რომელშიაც მთელი ქვეყნის ბერები თავისუფლად შედიოდნენ და მე კი... აბა მე რად შემიშვებდნენ, უბრალო სოფლის მღვდელს? მე ხომ იმ ბერებსავით ნეკერის დათხოვნას არ მივულოცავდი?! ბოლოს მეც მაღირსეს, მეც შემიყვანეს იმ ბაბილონში, სადაც სუფევს ოქროზედ და ვერცხლზედ დამყარებული დიდება და ამპარტავნება, სადაც ყველაფერი დიბა-ატლასით და ძვირფასი თვლებით არის შემკული; დიაღ, შემიყვანეს და ღმერთსა ვფიცავ დილის 11 საათიდან საღამოს ხუთ საათამდე გვალოდინეს მე და ორი კიდევ სხვა ჩემსავით უბრალო სოფლელი მღვდელი. მოსამსახურეებიც კი ჩვენ დაგვცინოდნენ, — მიდი-მოდიოდნენ და იცინოდნენ. ერთი იმათგანი მალ-მალე გადმოგვხედავდა და სხვებს დაუძახებდა: წვერცამეტა მღვდლები ისევ აქ არიანო! რა მექნა, უნდა მომეთმინა. ვიფიქრე, მეუფეს მოვახსენებ მეთქი. ამ დროს მოვიდა ერთი მოსამსახურეთაგანი და სიცილით გვითხრა: წადით, მეუფე დღეისწორამდინ ვერ გინახულებთო!

ეს რომა სთქვა მღვდელმა ქრისტეფორემ, ისე დაჰკრა იატაკს თავისი ყავარჯენი, რომ ას ნაჭრად დაამსხვრია. საზარელი სანახავი იყო.

— ნეტავი კი კარგად მიგექელა და სხვა არა მინდა რა, — უთხრა ნათლიაჩემმა.

— მარტონი ვყოფილიყავით, მე ვიცოდი, რასაც ვუზამდი! ისე დავუსრესდი ყურებს, თავის დღეში არ დავიწყებოდა. მაგრამ, ღმერ-

თო ძლიერო, შენთვის შემომიწირავს მსხვერპლად ჩემი ასეთი დამცირება და შეურაცხყოფა.

და ისევ სიარული დაიწყო. ღმერთო, რა ძალიან გვებრალებოდა საწყალი მამა ქრისტეფორე! ნათლი-ჯალაბმა პური და ღვინო გამოიტანა; — არც კი დამჯდარა, ისე შენაყრდა ცოტათი. პურის ჭამაში სრულიად დამშვიდდა და დაწყნარდა. მაგრამ დამშვიდებულმა იმისთანა სიტყვები სთქვა, რომ ჩემს დღეში არ დამავიწყდება:

— სამართალი აღარსად არის. სახელმწიფოს ხალხი ინახავს, დიდებულნი და წარჩინებულნი კი ღუპავენ და ძირს უთხრიან. სახელმწიფოს ხალხი ასაზრდოვებს და დიდებულნი კი სძარცვავენ. სათნოებას და პატიოსნებას ფეხქვეშ სთელავენ. სარწმუნოებას მასხარად იგდებენ! ღმერთიც კი აღარა სწამთ, უღმერთოდ მეტსა ვცოდავთო! ჰოდა, ვინ არიან ეს დიდებულნი, რის მაქნისნი არიან? ცხოვრებით გლეხკაცი აცხოვრებს; მტრისაგან იარაღით ხელში გლეხკაცი იფარავს და ჩემისთანავე გლეხკაცის შვილი ქადაგებს — პატივი ეცით დიდებულთა სახელს, ნუ შეეხებით დიდებულთა დიდებას და ბატონობასაო! ნუ შეეხებით დიდებულთა საკუთრებას, თუმცა ეს საკუთრება ხალხის ოფლი და სისხლიაო! როდემდის უნდა ვიყვნეთ ამ ყოფაში?! ეგ არ ვიცი და ის კი კარგად ვიცი, რომ შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს ეს ჯოჯოხეთური ცხოვრება! შეუძლებელია, რადგან ეს ყოფა წინააღმდეგია ბუნებისა და ღვთის განგებისა! მართლა უსინდისო, ქვეყნისა და ღვთის მტერი უნდა იყოს კაცი, რომ წმიდა ტაძარში იდგეს და ქადაგებდეს — უნდა ემორჩილებოდეთ და გიყვარდეთ ის, რაც დათრგუნვილი და გმობილი უნდა იყოსო. ამ ყოფას ბოლო უნდა მოეღოს, რადგან ამაზედ მეტს დამონავებას პირუტყვიც ვერ აიტანს, არამც თუ ადამიანი.

მღვდელი ქრისტეფორე იმავ ღამეს გაემგზავრა შინისკენ — წავიდე ჩემს სამწყოსს მივეპატრონოო.

ცოტა სანს უკან ჩვენც დავიშალენით. დაღონებული, დაღვრემილი ვიყავით ყველანი და ყველაზედ უმეტეს ნათლიაჩემი:

— მებატონეებს და დიდებულთ ქვეყანაზედ თავის მეტი არავინ არად მიაჩნიათ. რომ შეეძლოთ უჩვენოდ ცხოვრება, აქამდის ხსენებაც აღარსად იქნებოდა ჩვენი. ვაი, რომ ვერ მოუხერხებიათ! როცა დავჭირდებით და ან ჯარისკაცად ვახლავართ, ან ხელოსნად, ან მღვდლად, სულ იმასა ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დამცირება და შეურაცხყოფა მოგვაყენონ; და როგორც კი ნახავენ, რომ საჭირო აღარა ვართ... პანღური და პანჩური! სხვა ჯილდო რა საჭიროა ჩვენთვის?! ჰოდა სცდებიან, რომ ასე გვეკიდებიან! ეხლა ხაზინის ზარალი ყველამ გავიგეთ და ამას დიდი შედეგი მოჰყვება... ბევრი

ცვლილება მოხდება... სახელმწიფო ხაზინას ხალხი ავსებს, მაშასადამე, უმთავრესობა და უპირველესობაც ხალხისა უნდა იყოს! კმარა რაც ხანი ჰამეს მებატონეებმა და სამღვდელოებამ საწყალი ხალხის ნაჭირნახულევი! კმარა, დროა ჭკუაზედ მოვიდეთ!

დიდი ვახშმობა გადასული იყო. როდესაც შინ მივედი. რა დამაძინებდა, ხან მღვდელი ქრისტეფორეს ნათქვამი მაგონდებოდა, ხან ნათლიაჩემისა. მეც ყველაფერში ვეთანხმებოდი ნათლიაჩემს, შოველს და ქრისტეფორე მღვდელს. რა მე? მთელი ქვეყანა ეთანხმებოდა, მაგრამ ჯერ ჩვენი დრო არ მოსულიყო და ჯერ კიდევ ბევრი ტანჯვა-წვალება უნდა გამოგვევლო, ვიდრე განთავისუფლებას ვეღირსებოდით.

VI

უიმისოდაც გაჭირებულთ იმ დროს ისეთი უბედურება შეგვემთხვა, რომ ნეკერიც დაგვავიწყდა, დედოფალიც და თავადი არტუაც. იმოდენასა მუშაობდა საწყალი მამაჩემი, და მაინც ისე ზამთარი არ დადგებოდა, რომ შვილები მოწყალების სათხოვნელად არ გაეგზავნა. ჩვენი პატარა სტეფანე ხომ ისეთი სნეული იყო და იმასაც კი ამუშავებდნენ — თავის საკმარი ჭადის ფასი მაინც აიღოსო. კლოდი ერთ მონასტერში იდგა მეკარედ; ნიკო ისევ ტყეში მუშაობდა და საკმარისად კარგ ფულსაც იღებდა, მაგრამ როგორც კი ერთ-ორ გროშს მოახელებდა, აღარ მოისვენებდა, მანამ დუქანში არ შევიდოდა და კარგად არ გადაჰკრავდა; გადაჰკრავდა, გაჭირვეულდებოდა და ან სცემდა ვისმე, ან ნაცემი მოვიდოდა შინ; დედას თითქმის არაფერს აძლევდა. ლიზა და პატარა მატურინი ნათლიაჩემს ეხმარებოდნენ ტივოლში, როდესაც დროს გასატარებლად ქალაქელი დიდკაცობა ეწვევოდა ხოლმე; მაგრამ ეს მარტო ერთხელ მოხდებოდა კვირაში და რადგან ამით საკმარისს ვერას შოულობდნენ, მოწყალებაზედ დაიარებოდნენ. ჯერ ქარხნები არსად იყო, რომ იქ ემუშავნათ და ლუკმა პურის ფასი მაინც აეღოთ; გასაყიდად წინდების და პაჭიჭების ქსოვა ჯერ ჩვენ სოფლებში არ იცოდნენ; არ იცოდნენ აგრეთვე ჩალის ქუდების ქსოვა; ამ ბოლოს დროს ვისწავლეთ ჭკუა და ჩვენი გლეხის გოგოების ნაქსოვი, სხვა ხელსაქმე რომ არა ვთქვა რა, ჩალის ქუდები მთელს საფრანგეთში ხომ მოფენილია და სამზღვარგარედაც ბევრი გაიქვთ; ამ ბოლოს დროს ვისწავლეთ ჭკუა და ჩემს პატარა ბიჭობაში კი ისე გაიზრდებოდა ქალი, ისე გახდებოდა ოცის წლისა, რომ ოცს გროშს ვერ აიღებდა.

ეგ კიდევ არაფერი, უბედურება ის იყო, რომ ჩვენი ვალი დღითი

დღე მატულობდა და მთელი თერთმეტი მანეთი გამხდარიყო. როგორც კი გავიდოდა სამი თვე და მოგვირაკუნებდა კარებს რობენი:—აბა, პეტრე, უნდა მომეხმაროვო. წაიყვანდა მაძაჩემს და სრული სამი დღე ამუშავებდა თავის ვენახებში. ეს იყო ჩვენი უბედურება, თორემ სიღარიბეს როგორც იქნებოდა გავუძლებდით. მით უფრო, რომ ჩვენი სიღარიბე დვთისაგან განწესებული გვეგონა, და, რასაკვირველია, ვემორჩილებოდით. მაშინ რა ვიცოდით, რომ სხვადასხვა საჭირო სანოვაგეს რომ გარდასახადს ადებდნენ, იმ გარდასახადს ვაჭარი კი არ იხდიდა, ჩვენ ვიხდიდით და რაც შაურად ღირდა, იმაში ჩვენ ათ შაურს გვახდევინებდნენ! იმოდენა ბაჟი ედო ყველა საჭირო საგანს, რომ კოდ პურში ათი კოდის ფასს ვაძლევდით და ლიტრა მარილში თუნდა ოცი ლიტრისას.

რა ვიცოდით? ისიც კი არ ვიცოდით, რომ სულ ოთხი-ხუთი საათის სავალზედ, შვეიცარიაში იმდენი კი არა, ნაკლებიც რომ გვეშრომნა, უკეთესადაც ვიცხოვრებდით და შავი დღისათვისაც გადავდებდით რასმე. არა ვიცოდით რა და კიდევაც კარგა ხანი გავა, ვიღრე საწყალი გლეხკაცი შეიგნებდეს, რომ იმ ხარჯის გარდა, რომელსაც ნაღდ ფულად ართმევენ, ან რომლისთვისაც ბეგარაზედ გაჰყავთ, სხვასაც ბევრ ხარჯს ახდევინებენ; წელიწადში რომ ხუთი მანეთი შეაწერონ, სულ წყევლა-კრულვით აიკლებს ქვეყანას და წელიწადში იქნება ათჯერ ხუთ მანეთსაც იხდიდეს და იმას კი ვერა ჰხედავს: ლიტრა მარილი რომ აბაზი ღირდეს და მართებლობამ ხარჯი დაადოს ლიტრაზედ უზალთუნი, რასაკვირველია, რომ ექვს შაურ ნაკლებ ვეღარსად იყიდი; ახლა ვაჭარიც ისარგებლებს შემთხვევით და უზალთუნის წილ ერთ აბაზს წაუმატებს! ეს მაგალითად მოვიყვანე, თორემ მართებლობა თავის დღეში არ დასჯერდება უზალთუნს და ტყავს აძრობს საწყალ კაცს, ოღონდ ისე აძრობს, რომ თითონ არსადა სჩანს.

დღეს, რასაკვირველია, იმოდენა ხარჯი აღარ ადევს სხვადასხვა სანოვაგეს, აღარც იმოდენი საბაჟოებია, რაც ჩემს დროში იყო. და უწინ კი თითქმის სუყველაფერს, რაც კი ხალხისთვის უსაჭიროესს მოთხოვნილებას შეადგენს, უშველებელი ხარჯი ედო; მამასისხლად ვყიდულობდით ყველაფერს. უღმერთოდ გვძარცვავდნენ და საშინელი სიღარიბეც იყო ყველგან!

ოჰ, როგორ მინდოდა შემემსუბუქებინა რითიმე ჩვენი გაჭირებული ცხოვრება? როგორ მინდოდა დავხმარებოდი რითიმე ჩემს დედ-მამას! სულ იმას ვფიქრობდი, მერმისს ნათლიაჩემი შეგირდანას დამინიშნავს და მოვაგროვებ, ვალს იმით გადავიხდი მეთქი.

ერთიორად ძალას მიმატებდა ეს ფიქრი; ეს იყო ჩემი ოცნება,

ეს იყო ჩემი მანუგეშებელი, და რაც უნდა დაღლილი ეყოფილიყავი, მაინც ფრთებს მასხავდა ეს იმედი.

ამოდენა აღმართს დაღმართიც ექნებაო, ნათქვამია; სწორედ ასე მოვიდა ჩვენი საქმე: ჩვენდა საბედნიეროდ ჩემს ძმას ნიკოს, ჯარის-კაცებს რომ აგროვებდნენ, კენჭი არ შეხვდა. მაშინ კენჭი არ იცოდნენ: ვისაც შავი ბილეთი ამოუვიდოდა, ჯარში წაიყვანდნენ, ვისაც თეთრი, ის თავისუფალი იყო; ჩვენ ნიკოსაც თეთრი ბილეთი ერგო.

განაღა შეიძლება წარმოიდგინოთ, რა სიხარული იყო ჩვენს სახლში!

გაიგო თუ არა დედაჩემმა, ნიკოს თეთრი ბილეთი ამოუვიდაო, მაშინვე სთქვა, სხვის მაგივრად უნდა გავგზავნოო. ნიკო სამაგალითო ახოვანი ბიჭი იყო, სწორედ იმისთანა ზორბა და კოსტა, როგორიც ძალის-ძალად მიჰყავდათ ხოლმე სამეფო ჯარში და, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ხუთ-ექვს თუმანს მაინც მოგვცემდნენ; ვალს გადავიხდიდით და... ჩემს დღეში არ დამავიწყდება ჩვენი სიხარული. ეხვეოდა დედაჩემი ნიკოს, ჰკოცნიდა, და ეხვეწებოდა:

— უნდა გაგყიდოთ, შვილო! ბევრ ცოლშვილიან კაცს ამოსვლია შავი ბილეთი და კარგ ფულს მოგცემენ.

მარტო ცოლშვილიანი კაცის მაგივრად შეეძლო სხვას წასვლა, მაგრამ, ვინც სხვის მაგივრად წავიდოდა, ექვსის წლის მაგივრად თორმეტი წელიწადი უნდა ყოფილიყო სამსახურში. ეს დედაჩემზედ კარგად იცოდა ნიკომაც. მაგრამ წარბიც არ შეუხრია, თითქო საქეიფოდ გზავნიან სადმეო:

— როგორც თქვენი ნება იყოს! მე ყველგან კარგად ვიქნები.

მამაჩემს ის ერჩივნა, თავისი პირმშო შვილი სახლში ჰყოლოდა; ამბობდა, თუ კი იშრომა, ტყეშიც აიღებს იმდენს, რომ ვალი გადაიხადოს, სხვა არა იყოს რა ბეგარაზედ მაინც ივლისო; მაგრამ დედა სულ სხვაფრივა სჯიდა და წამ და უწუმ კუნჭულში სადმე მიიყვანდა და ჩასჩურჩულებდა:

— გაჩუმდი. კაცო, შე ჩემი ცოდვით სავსევ, შენა! შინ დარჩება და ცოლსაც შეირთავს! ვითომ არ იცი, რომ ლორისის ქალს ეკურკურება. ჯვარს გადაიწერს, დაწვრილშვილდება და აბა მაშინ გადაგიხდის ვალებს აი! დიაღ, იმედი გქონდეს!

ვეღარ ითმენდა მამაჩემი, თვალი ცრემლით ევსებოდა და ნიკოს ეკითხებოდა:

— იქნება არ გინდა, ბიჭო? რატომ არას ამბობ?

— მინდა, მამა, მინდა! ვალს ვადახდა უნდა. უფროსი მე გყევარ და ვალიც მე უნდა გადავიხადო.

ძალიან მოსიყვარულე გულისა იყო საწყალი ბიჭი.

ეს იყო და ესა. მივარდა დედაჩემი და გულში ჩაიკრა; ჰკოცნიდა, ეალერსებოდა: — მე კი არ ვიცოდი, რომ მშობლების პატივისმცემელი ხარ; აგრე, შენ გენაცვალოს დედაშენი, აგრე უნდა გიყვარდეს, შვილო, შენი მოხუცებული დედ-მამა; უნდა გებრალებოდეს, შვილო, შენი და-ძმანი; რა გიშავს, გენაცვალე! შენ ისეთი ბიჭი ხარ, პირდაპირ სამეფო ჯარში ჩაგრიცხავენ! ისე მოგიხდება თეთრი ტანსაცმელი, რომ მგონი მტერსაც თვალები დაუყენო!

— კარგი, დედა, კარგი!

ნიკო კარგადა ჰგრძნობდა, — მე გამწირეს, რომ ოჯახს ეშველოს რამეო, მაგრამ რაღა ეთქმოდა! ისე იყო, თითქო დიდი სურვილი აქვს სხვის მაგივრად ჯარში წავიდესო. ამასთან, ცოტა არ იყოს, კიდეც უხაროდა, საკუთარი იარაღი მექნებაო.

მამაჩემი ბუხართან მიმჯდარიყო, თავი დაეღუნა და ქვითინებდა. დედაჩემი მხარზედ დაჰყრდნობოდა და თავისებურ ნუგეშსა სცემდა; კარგი ერთი და! შენც იტყვი ვაჟიკაცი ვარო: იმდენს როგორ არ მოგვცემენ, რომ ვალიც გადავიხადოთ და ცოტა რამაც დაგვრჩეს. ერთ თხას მაინც ვიყიდი სხვა არა იყოს რა; რძე და ყველი სახლში იყოს, თორემ შიში აღარაფრისა გვექნება. თუ ერთი ღორიც გავიჩინე! იმისთანა ბურვაკები გაგიზარდო, რომ თითებს ილოკავდე!

რაღა ეთქმოდა მამაჩემს? იმ დღეს მკვდარივით იყო საწყალი.

მეორე დღეს დილით მამაჩემი და ნიკო ქალაქს იყვნენ. ღმერთო, რა შეწუხებული ამოვიდა მამაჩემი ქალაქიდან! საქმე გაეთავებინათ, მორიგებულიყვნენ კიდეც: ნიკო მეპურე ეოსსის შვილის მაგივრად მიდის, თორმეტი წელიწადი ემსახურება და ფასსაც შვიდ თუმანსა და ორ მანეთს იღებს. ამ ფულიდან ჯერ რობენის ვალს გავისტუმრებთ და დანარჩენს სახლში მოვიხმარებთო.

როგორღაც წამოსცდა ერთი თუმანი ან თუმან ნახევარი ნიკოს მივცეთო, მაგრამ დედაჩემმა ყვირილი მორთო: რად უნდა, საჭმელსასმელს არ დააკლებენ და ტანისამოსსაო! ასე გასინჯეთ, წინდაპაჭიჭიც კი სახელმწიფო ექნება და ფული რომ მივცეთ, უნდა წავიდეს და ლოთობა დაიწყოს, დაითვრება, წაეჩხუბება ვისმე და ამ სიკეთის დროს რომ დააშავოს რამე და ციხეში დაიჭირონ, ის მირჩევნია, თავისი ხელით ყელი გამომღადროსო!

ნიკოს არც ეს ეწყინა. იცინოდა თავისთვის და იძახდა:

— კარგი, კარგი! რად მინდა ფული? მე უფულოდაც არა მიჭირს რა.

მამაჩემი კი ისევ ისე იჯდა განმარტოებული და ცრემლი სდიოდა. განა დედას კი არ ენანებოდა უფროსი შვილის მოშორება,

მაგრამ რა ექნა? ოჯახის გაჭირებასა ხედავდა და სხვა ხსნა რომ არსაიდან იყო, გულს იმაგრებდა; ნიკო ვაჟკაცი იყო და თავის თავს თითონ უპატრონებდა; დედას წვრილშვილი ჰყავდა საზრუნავი: მატურინი, ლიზა, სტეფანე და იმ დროში შვიდი თუმანი და ორი მანეთი მთელი სიმდიდრე იყო.

საქმე გათავებული იყო, ერთი კვირის შემდეგ უნდა ხელი მოეწერათ პირობის წვრილზედ. ჩვენი ნიკო ყოველ დღე ქალაქს დაიარებოდა და რადგან ჟოსსის შვილის მაგივრად მიდიოდა ჯარში, ჟოსსი კარგად უხვდებოდა და კარგადაც უმასპინძლდებოდა: შეიყვანდა დუქანში და — რაც გნებავდეს, მოიკითხეო! ისიც შეექცეოდა! ეს კოწახურიანი ძეხვეებიო, ეს ლორიო, ეს ჩაჩხიო; ზედაც წითელი ღვინო! შეიყრებოდნენ იმისავით სხვის მაგივრად ჯარში წამსვლელი ბიჭები, გადაჰკრავდნენ, მოჰყვებოდნენ სიმღერას და დილით საღამომდე ლხინი და ქეიფი ჰქონდათ.

მე კი ერთიორად მუყაითად ვიყავი ჩემ საქმეზედ. მიხაროდა, რომ შეჩვენებულ რობენის ბრეტყალებიდან განვთავისუფლდებოდით და გულს დავიმშვიდებდით; მიხაროდა, რომ მოხუცებულ მამაჩემს აღარავინ შეაწუხებდა, — წამოდი, მომეხმარეო — და ერთი-ორად მეტი ძალითა ვცემდი ჩაქუჩს. ნათლიაჩემიც ძალიან კმაყოფილი მყავდა.

ერთ დილას, როდესაც გაცხარებული ვმუშაობდით სამჭედლოში და ჩაქუჩს სულ ჭახი-ჭუხი გაჰქონდა და აქეთ-იქით ნაპერწკლები დაქროდნენ, უცბად თავს წამოგვადგა ერთი უზარმაზარი სამეფო ჯარისკაცი; ქუდი საქოჩრეზედ მოექცია, ხმალი ზურგზედ გადაეგდო, ეტყობოდა ცოტა გადაკრულში ბრძანდებოდა.

— ბიძაჩემს გაუმარჯოს, ბიძაჩემს!

ისეთი რიხით მიესალმა ნათლიაჩემს, თითქო უბრალო ჯარისკაცი კი არა, დიდი სარდალი ბრძანდებაო.

ნათლიაჩემმა ჯერ ვერ იცნო. კარგა ხანი სინჯა, ნეტავი ვინ უნდა იყოსო, და მერე უთხრა:

— ოჰ, შენ ბრძანდები, ლოთიბაშო! მაშ ჯერ არ ჩამოუხრჩვიხართ?!

— შენც კი არ გამოცვლილხარ. ბიძაჩემო, — უთხრა სიცილით ჯარისკაცმა. ძველებურად ხუმრობ... წამო, ერთი ჩარექი ჩამოასხმევინე... ყელი გავისველოთ...

— საქმე მაქვს და შენისთანა მაწანწალასთვის თავს ვერ დავანებებ, — უთხრა ნათლიაჩემმა და ზურგი შეაქცია. აბა, ბიჭებო, დაჰკათ!

ჩვენ ჩვენ საქმეს შევუდექით და ჯარისკაცი კი სიცილით გავიდა ქუჩაში.

მართლა ნათლიაჩემის ძმისწული იყო, სოფელ კარტვანიდან. ყმაწვილ კაცობაში თურმე ისე შეაწუხა თავისი უვარგისი ქცევით მთელი სოფელი, რომ იმის ჯარში წასვლა დედ-მამასაც კი გაეხარდათ. ეხლა დროებით იყო დათხოვნილი და ძველი ნაცნობების და ნათესავების სანახავად ამოსულიყო.

შეორე დღეს ნათლიაჩემმა ქალაქს გამგზავნა მარილის ამოსატანად. ქალაქში, როგორც კი მოედანზედ გავედი, ვიღამაც დამიყვირა:

— მიშელ! მიშელ!

მივიხედე, ჩვენი ნიკო და გუშინდელი ჯარისკაცი დუქნის კარებთან იდგნენ და კარგა ნასვამიც იყვნენ. ნიკომ ხელი წამავლო, ჩვენი სადღეგრძელო უნდა დალიოო.

— დუქანში შესვლას, ჟოსსთან წავიდეთ არა სჯობიან?

— ნეტავი შენა! მომწყინდა იმისი ძეხვი და ლორი. შემოდი აქა!

ვკითხე, მერე ფული სადა გაქვს-მეთქი? მაგრამ იერემიამ, იერემია ერქვა ჯარისკაცს, შემომიტია: საქმე არა გაქვს, მაგაზედ როგორ ლაპარაკობ?! ერთი მიწა-წყლის შვილნი ვართ და ეგ მე ვიცი, როგორც გაგიმასპინძლდებიო!

რა გინდა სულო და გულო, რომ იმან არ მოითხოვა, მაგრამ ჩემი გული კი ვერ მოიგო. დუქანი მთვრალი ჯარისკაცებით იყო სავსე. ყველანი რაღასაც ღრიალებდნენ, წეკოს ეწეოდნენ და თან ღვინოსა სვამდნენ. გარდა ამისა არც იმდენი დრო მქონდა, რომ დუქანში დავგვიანებულიყავ. ჩვენთანვე იჯდა ერთი ჩვენებური ბიჭი ივანე და ისიც იერემიას სტუმარი იყო. სამი მოხუცებული ჯარისკაცი შეუმჩნეველად თავს დაგვტრიალებდა: მიდი-მოდიოდნენ, თვალყურს გვადევნებდნენ და თან ჩიბუხს ეწეოდნენ. ისეთი საზიზღარი შეხედულობისანი იყვნენ სამივენი, თავიანთ დაფლეთილი ტანისამოსით და ლოთობისაგან ჩასისხლიანებულ თვალებით, რომ კაცს გულს აურევდნენ. თავს დაგვტრიალებდნენ და რამდენჯერმე თვალით რაღაცა ანიშნეს იერემიას; ნიკოს ძველი მეგობრებივით ელაპარაკებოდნენ და რაც უნდა ეთქვა, ისინი მხარზედ ხელსა სცემდნენ — ჰა ყოჩაღ, ნიკოო! თან გულიანად ხარხარებდნენ.

მიკვირდა, გონს ვერ მოვსულიყავ: სად ჩვენი ნიკო — სად ჯარისკაცები და იერემია? რად დახარჯავდა იერემია ჩვენთვის იმოდენა ფულს?

ცოტა ხანს უკან საყვირის ხმა შემოგვესმა. ჯარისკაცები თავ-თავიანთ ბინაზედ უნდა წასულიყვნენ. უმეტესი ნაწილი მაშინვე წა-

მოდგა და შინისაკენ გაეშურა; გარეთ შვეიცარიელი ჯარისკაცები გარბოდნენ. ჯარს ტანისამოსზედ ვიცნობდით: შვეიცარიელებს წითელი ტანისამოსი ეცვათ, და ფრანგებს კი თეთრი. დუქანში მარტო მოხუცებულები დარჩნენ; იმათ თავიანთი ვადა ემსახურნათ და ახლა, თუმცა ჯარში დარჩენილიყვნენ, ცოტა მეტი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, ვიდრე მოსამსახურე კაცებს.

— რამდენი წლისა ხარ? — მკითხა იერემიამ და რომ გაიგო თორმეტისა ვიყავი, ზედაც აღარ შემომხედა.

ნიკომ სიმღერა დაიწყო, სხვებმა ბანი მისცეს. დუქანი ხელმეორედ გაივსო ხალხით; ჩვენებმა ხელმეორედ დაიწყეს სმა. მე კი ავდექი, წამოვიკიდე ჩემი გუდა და გზას გავუდექი.

ავედი შინ. კარგა ღამე გავიდა და ნიკო კი არსად იყო. მეორე დღეს ქალაქს უნდა წასულიყვნენ, პირობის წერილზედ ხელი მოეწერათ და ფული მიეღოთ. მამაჩემს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, თავად შეწუხებული იყო და მე ხომ თავისი დავმართე, როდესაც ვუამბე, როგორა ვნახე ჩვენი ნიკო დუქანში იერემიასთან და სხვებთან მოქეიფე.

დედაჩემი უფრო გულმაგრად იყო:

— რა უშავს, გენაცვალეთ? გასათხოვარი გოგო ხომ არ არის, რომ ცხრაკლიტულში გვყავდეს დაკეტილი. ყმაწვილი ბიჭია, უნდა დრო გაატაროს, მარა?! ერთი ორ დღეს კიდევ იქეიფებს თავის სამშობლო ქვეყანაში და მერე კი იქნება იმ სიშორეზედ უკრან თავი, რომ აღარც თავის ტოლ-სწორსა ხედავდეს, აღარც თვისსა და ტომსა. გენაცვალეთ! რა გენაღვლებათ იქეიფოს, თუ კი არა ეხარჯება რა!

მაგრამ მამაჩემი მაინც ჩაფიქრებული და დაღონებული იყო. დედამ რომ ვერა გააწყო რა, წავიდა და ბავშვებს მიუწვა; მე და მამაჩემიღა დავრჩით. კარგა ხანი ვიყავით ისე, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— დავწვეთ, მიშელ! იქნება დაგვეძინოს. ირაჟრაჟებს თუ არა, წავალ და ვნახავ... ალბად იმის თავს არის რამე, თორემ აქამდე შინ მოვიდოდა. იმ საქმესაც გავათავებ, წავალ, ხელს მოვუწერ... ჩემს დაპირებას ავასრულებ.

ის იყო ტანისამოსს ვიხდიდით, რომ ფეხის ხმა შემოგვესმა: ვიღაც მოეჩქარებოდა ჩვენკენ, სოფელზედ კი არა, ქვემოდან მოდიოდა, ორღობეზედ.

წამოხტა მამაჩემი, კარს ეცა — აგერ ნიკო მოდისო!

კარი გააღო და ნიკოს მაგივრად ივანეს კი შეეფეთა. წუხელის რომ ნიკოსთან და იერემიასთან ქეიფობდა დუქანში. გაყვითლებულიყო, სირბილისაგან ძლივსღა ქშინავდა:

— ნუ შეგეშინდებათ კი... ერთი უბედურებაა თქვენს თავსა. მამაჩემი კანკალმა აიტანა.

— რა მიხდა, შვილო?! — სთქვი, თუ ღმერთი გწამს?

— თქვენი ნიკო დაიჭირეს, დაამწყვდიეს. იერემიას ხომ იცნობთ, ჯამი ესროლა და თავი გაუტეხა. განა არა, ვეუბნებოდი გაფრთხილდი მეთქი, მაგრამ რომ ვერა გავაგონე რა! ვეუბნებოდი, აგერ სამი წელიწადია უკანა მდევენ ეგ ჯარისკაცები, მასმევენ, მაჭმევენ, მაქეიფებენ, უნდათ როგორმე წამიტყუილონ და ხელი მომაწერინონ, ხან რასა მპირდებიან, ხან რასა, მაგრამ ვერ მივართვი! ქეიფით ვიქეიფებ, რა მეხარჯება? მაგრამ ხელს კი არ მოვუწერ! ვიცი და, რაც უნდათ ჩემგან: თუ ერთი ხელი მომაწერინეს პირობაზედ და მოწმებიცა ჰყავთ, რომ ჩემი საკუთარი ხელით დავსვი ჯვარი, ხელსა მტაცებენ და თორმეტი წელიწადი მიყოლიებენ ჯარში. ბევრი მიჰყავთ ასე მოტყუებით, მეტადრე თუ კარგი ბიჭი მოეწონათ სადმე.

— ღმერთო, ღმერთო! — შეჰყვირა მამაჩემმა, — რაღა ჩემზედ მოიცალე, შე მადლიანო, შენა! მე მუხლი მომეკეცა და იქვე ჩავიჩოქე, კარებთან. ჩვენები წამოხტნენ და შეშინებულნი გარს ეხვეოდნენ ივანეს.

— მერე ნიკომ ხელი მოაწერა? — ჰკითხავდა მამაჩემი. — სთქვი რაღა, ბიჭო, მოაწერა თუ არა? რა ვიცი, როგორ მოაწერდა, როდესაც ხაბაზ ჟოსს გავურიგდით კიდეც და იმის შვილის მაგივრად უნდა წასულიყო?!

— საქმეც ის არის, რომ ხელი მოაწერა და! მისი ბრალი კი არ არის, თავი არ მომიკვდება! ძალიან ბევრი ვსვით, თორემ რა ღმერთი გაუწყრებოდა!? რომ ნახეს ძალიან მთვრალიაო, აუტყდნენ ხელი მოაწერეო; მე კი ვანიშნებდი, ნუ, ნუ მოაწერ-მეთქი; მაგრამ აღარა გაეგებოდა რა. იმ დროს მე დამიძახეს, გარედ გამიტყუეს და მანამ მე შინ შევბრუნდებოდი, იმას კიდეც მოეწერა; იერემია ჯიბეში იდებდა ქაღალდს, ავდექი და სამზარეულოში გავიყვანე — ...ხელი მოაწერე, ბიჭო? ჰო, მოვაწერეო! — მერე რომ არას მოგცემენ! შვიდ გროშსაც არ მოგცემენ ეგენი; რაზედ დაკარგე შვიდი თუმანი და ორი მანეთი? ეგრე როგორ მოგატყუეს!.. გაბრაზდა, გაცოფდა, ვიღა შეიმაგრებდა? შევარდა და იერემიასა სწვდა, დახიე ქაღალდიო! ამაზედ იერემიამ სიცილი დაიწყო; სიცილი აგრე კი არ უნდაო, მივარდა თქვენი ნიკო, სტაცა საკინძში ხელი... გამშველებელი არავინ იყო, ყველას სვირის ყურება უნდოდა და ეშინოდათ კიდეც, იერემიას მაგივრად ჩვენ არ მოგვხვდესო. დახლიდარმა ყვირილი დაიწყო — მიშველეთო! მე კუნჭულში მიმჭეჭყეს და ძვრა აღარსაითა მქონდა. ამ დროს იერემიამ ხმალი იშიშვლა. შენ ხმალი

ამოიღეო, სტაცა ნიკომ ჯამს ხელი — სულ ჯამებითა ვსვით იმ ღამეს — და შიგ თავში კი სთხლიშა! ასე გასინჯეთ ჯამიც კი გატყდა, აბა იერემიას რა მოუვიდოდა? გადაითხლაშა იმოდენა კაცი ზედ სუფრაზედ, იმოდენა ჭურჭელი დაამტვრია, გვეგონა სული დალიაო. დახლიდარი კი ისევ ისე — მიშველეთო! გაჰყვიროდა. იმდენი ეყვირა, რომ ქალაქის ასასები შემოვიდნენ დუქანში. მე როგორც იყო სამზარეულოში გავძვერი და იქიდან გამოვიპარე. ის იყო მოედანზედ გავედი და წინ კი შემხვდნენ ასასები — გაეკავებინათ თქვენი ნიკო, ხელები უკან გაეკრათ და ციხისკენ მიჰყავდათ. თან აუარებელი ხალხი მისდევდა; იძახოდნენ, კაცი მოკლაო. მაგრამ ამასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იერემიამ ხმალი იძრო! ხმალი არ უნდა ამოეღო! მაშ ყელს ხომ არ მიუშვერდა, მოდი მომკალიო! ყველაფერი იერემიას დაბრალდება და ნიკოს გაამართლებენ. ჯვარზედა და სახარებაზედაც რომ დამაფიცონ, მაშინაც კი ვიტყვი, რომ ეს უბედურება მარტო იერემიას ბრალია.

ყელი რომ გამოეჭრათ, სისხლი არავის გამოგვივიდოდა, ისე შეწუხებულნი ვიყავით ყველანი. ყველანი ვტიროდით, დედა, მამა, ბავშვები! განა სატირალი არა გვქონდა? ოჯახი დაღუპული და ნიკო კაცის მკვლელი!

ქალაქის კარი რომ ღია ჰგულებოდა, მამაჩემი იმ წამსვე გაიჭრებოდა, მაგრამ ღამე კარი ყოველთვის დაკეტილი იყო და დილამდე უნდა მოეთმინა.

ჩვენ ტირილზედ მეზობლებს გამოეღვიძათ და გამოგვხედეს; თითქმის ყველანი ამდგარიყვნენ, ჩაეცვათ და სულ ჩვენსა შეიკრიბნენ; იდგა შუა ოთახში ივანე და ყველას ცალცალკე უამბობდა ჩვენ უბედურებას; ჩვენ კი ცხარე ცრემლითა ვტიროდით. ეჰ, რა ცუდია სიღარიბე! ყოველი უბედურება ღარიბ კაცს დაატყდება ხოლმე თავზედ!

თავდაპირველად დედაჩემმა წყევლა დაუწყო ნიკოს, მერე კი, რაკი პირველმა ბრაზმა გაუარა, ცრემლი მოერია და მწარედ დასტიროდა თავის შვილის უბედურებას და გაცრუებულ იმედებს.

ის იყო ინათლა და გაემზადა კიდეც მამაჩემი. ქუდი დაიხურა, ჯოხი აიღო და წასვლა დააპირა. მაგრამ მე შევაყენე: ჯერ ადრეა, სად მიხვალ, ყველას ეძინება; სჯობია ნათლიაჩემს მოველაპარაკოთ, იქნება გვირჩიოს რამე, ან თითონაც წამოგვყვეს ქალაქს-მეთქი, — ვუთხარი და დამეთანხმა კიდეც. კარგა ხანი მოვიცადეთ და ხუთი საათი რომ შესრულდა, როცა სამჭედლოში მუშაობას იწყებენ, ნათლიაჩემს კარი დავუკაკუნეთ.

კარი თვითონვე გაგვიღო და განცვიფრებული დარჩა, როცა მამა-

შვილი დაგვინახა. ისე შეწუხებული იყო მამაჩემი, ისეთი ფერი ედო, რომ ყველა შეატყობდა, ამ კაცის თავს რაღაც ამბავი არისო. მე ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე და ვთხოვე, დაგვხმარებოდა რითიმე.

იქნება სხვა დროს ასე არ გაჯავრებულიყო ნათლიაჩემი, მაგრამ დღეს კი საქმეში იმის ძმისწული ერია და ძალიანაც გაჯავრდა. ეხლა რაღა უნდა გიშველოთ? თქვენი ნიკო ისეთი ლოთი ყოფილა, რომ ერთი ჩარექი ღვინისთვის მგონი სულსაც გაყიდის და ჩემი პატიოსანი ძმისწული კიდევ უარესი! რაღა ეშველება, საქმე გათავებულია? ეხლა სასამართლოს ვეღარ ასცდება თქვენი ნიკო! და თუ მაინც და მაინც არ დაგიშლიათ, მგონი სუყველას ისა სჯობდეს, რომ თქვენი ნიკო, რაც შეიძლება, საჩქაროდ გაემგზავროს თავის ჯარისკენ; იქნება თავი დაანებონ... რა ბრიყვულად მოტყუებულა! რა ურცხვად ჩაუთრევიათ ის სულელი, ისა!

სრულიად მართალს ამბობდა ნათლიაჩემი, რაღა ეშველებოდა? მაგრამ ისე მწარედ ქვითინებდა მამაჩემი, რომ უცბად სადღესასწაულო ტანისამოსი ჩაიცვა, ახალი ქუდი დაიხურა და უთხრა:

— რა გატირებს, კაცო? ცოცხალს ხომ არ დაიტირებ იმ ბიჭს?! აი, წავიდეთ, ვნახოთ, იქნება კიდევ მოხერხდეს რამე. მე იმედი არა მაქვს რა, მაგრამ, ხომ იცი, ცდა ბედის მონახევრეაო.

ნათლი-ჯალაბს უთხრა, სადილად მელოდეო, სამჭედლოში ვალენტინს ცოტა რამ საქმეები დააბარა და თავდაღუნულები გავემგზავრენით ქალაქისაკენ. გზაში ნათლიაჩემმა რამდენჯერმე წამოიძახა:

— აღარა ეშველება რა! კაცმა თავისი ხელით დაუსვა ჯვარი. მოწმები რომ არ დასწრებოდნენ, კიდევ ჰო! ნეტავი კი ზორბა ბიჭი არ ყოფილიყო და! ემაგრე მოტყუებით მიჰყავთ, თორემ მარტო კენჭით რომ მიჰყავდეთ, სამეფო ჯარი მგონი იმის ნახევარიც არ იყოს, რაც ეხლა არის. თუ ერთი გააბეს, განაღა ხელიდან გაუშვებენ მაგისთანა ლოქოს? ჯარისკაცი სწორედ მაგისთანა უნდა და! რაც ნაკლებადა აქვს ტვინი, იმდენი თავგამოდებით შეებრძოლება მტერს. ან არა და განა ჩემს ძმისწულს ამ დროს სახლში გამოუშვებდნენ, ეშმაკობა რომ არაფერი ყოფილიყო: ალბად დაჰპირდა, გამიშვით, ცოტა ფულიც გამატანეთ და იმისთანა ბიჭებს მოგიყვანთ, უკეთესი აღარ შეიძლებოდესო. აბა ერთ-ორს მაინც ნუ მიუყვანს, მგონი ცემით გახეთქონ! არა, გვიანღაა! ჩვენ იმას ვეღარას ვუშველით!

ნესტარიკითა გვხვდებოდა გულში ყოველი იმისი სიტყვა. მაგრამ რაკი ქალაქში შევედით, ნათლიაჩემს რაღაცა იმედი მოეცა და უფრო მხიარულად გვითხრა:

— ჯერ ერთი საავადმყოფოში მივიდეთ. იქ ერთ მოხუცებულ მოხელეს ვიცნობ იაკობ პელლეტიეს, ის დაგვეხმარება და იერემიას გვაჩვენებს. თუ ის ქალალდი დავტაუეთ როგორმე, ჩვენი საქმე კარგად არის!

საავადმყოფოსთან მივედით. კარებთან თოფიანი დარაჯი მიდიმოდიოდა. ნათლიაჩემმა ზარი ჩამოაწკარუნა და ცოტა ხანს უკან ერთმა მოხუცებულმა ჯარისკაცმა გაგვიღო კარი. ნათლიაჩემი შეეიდა, ჩვენ კი გვითხრა — მანდ დამიცადეთო.

დავრჩით გარეთ დაღონებულნი; გაქვავებულსავით ვიდექით და თვალი ვეღარ მოგვეშორებინა იმ კარებისთვის, საიდანაც ნათლიაჩემი უნდა გამოსულიყო და ჩვენი ხსნა გამოეტანა.

ცოტა ხანს უკან კარები გაგვიღეს და ნათლიაჩემმა ეზოში შეგვიყვანა. ჯერ ეზო გავიარეთ, მერე ერთი ქვეყნის ოდენი ოთახები და კიბეები; ბოლოს, სულ ზევით, ერთ პატარა ოთახში შეგვიყვანეს, რომელშიაც თავგატეხილი იერემია დაეწვინათ. ისე პატარა ტახტზედ დაეწვინათ ავადმყოფი, იმდენი მჩვრები შემოეხვიათ თავზედ, რომ ცხვირზედ და ულვაშებზედღა ვიცანით ჩვენი იერემია.

ჩვენ შესვლაზედ წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო და გაშტერებული გვსინჯავდა — ეს რა ჯურის ხალხი უნდა იყოსო?

— გამარჯობა, იერემია! — უთხრა ნათლიაჩემმა. ამ დილას გავიგე, რა ხიფათი გადაგხდენია და ძალიანაც მეწყინა.

იერემიამ პასუხი არ გასცა. ან სადღა იყო თავზედ ხელაღებული, თავხედი იერემია? მოკუნტულიყო, მოკრუნჩხულიყო, ძლივსღა ქნავოდა.

— დიაღ, ძალიან მეწყინა, ჩემო იერემია. ღმერთს მადლობა შესწირე, რომ აგრე ადვილად გადარჩი. ძალიან კი გადარჩენილხარ, ღვთისა წინაშე! ექიმმა მითხრა, გაივლის, არა უშავს რა. ოღონდ ერთი ორი კვირა არც ღვინო დაელევა, არც არაყიო!

იერემია მაინც პასუხს არ აძლევდა, ბოლოს აგვხედ-დაგვხედა და გვკითხა:

— თქვენ ჩემთან უსაქმურად არ მოხვიდოდით? სთქვით, რა გინდათ?

— აი, ჩემო იერემია, მე ძალიან მიხარია, რომ ისე ცუდად არა ხარ, როგორც მითხრეს. ეს საწყლები ჩვენი სოფლიდან მოდიან... შენ სანახავად... ეს ნიკოს მამა და ეს იმის ძმაა.

— აჰა! — შეჰყვირა იერემიამ. — ეხლა კი ვიცი, რა გნებავთ ჩემგან! ბატონი ბრძანდებით, აგერ ჯიბეში მაქვს იმისაგან ხელმოწერილი პირობის ქალალდი, აი მიირთვით!... ჰაი თქვე... არა, ვინა გგონიეართ? იქნება გგონიათ... არა!.. თავი რომ გამაგდებინონ, მაინც არა-

ვის მივცემ! გეყურებათ, თავი რომ გამაგდებინონ! ის წუპაკი, ისა! ჯამი რომ მთხლიშა თავში! ეგ არის ვაჟკაცობა?! ის მყრალი, ისა! ის ლაჩარი, ისა! აჰ, ნეტავი კი ჯარში ჩემს ასში მოჰყვეს და სხვას ღმერთს ჩემს დღეში არასა ვთხოვ!.. მე ვუჩვენებ მაშინ სეირსა...

თან კბილებს აკრაჭუნებდა, მუშტს გვიღერებდა, და ცოფსა ყრიდა. მერე უცბად თავზედ საბანი წაიხურა და ზურგი შემოგვაქცია.

— ყური მიგდე, იერემია! — უთხრა ნათლიაჩემმა.

— შენც შეგარცხვინა, შენი ყურის მგდებელიცა!

ამას კი არ მოელოდა ნათლიაჩემი.

— მოიტა პირობის წერილი!

— გასწით, გაეთრიეთ აქედან! — სიბრაზისაგან ძლივსღა ხრიალებდა იერემია. ისე გაბრაზებული იყო, რომ მოსამსახურეებმა გვირჩიეს, თავი დაანებეთ, მოშორდით, ბრაზით არ დაიხრჩოსო. რაღას ვიზამდით, წამოვედით, მაგრამ ვიდრე გამოვიდოდით, ნათლიაჩემმა შიგ ყურში ჩასძახა:

— ავი კაცი მეგონე, ჩემო ძმის წულო, უკანასკნელთაგან უკანასკნელი მეგონე მას აქეთ, რაც საწყალ მამაშენს უკანასკნელი უღელი ხარი და ურემი მოჰპარე და გაუყიდე, რომ შენს გუნებაზედ გეჭეიფნა. ავი კაცი მეგონე, მაგრამ არ მეგონა, რომ აგრე უსინდისო, აგრე წამხდარი და გარყვნილი იქნებოდი. ეხლა სხვა არა მინდა რა, ნეტავი ფეხზედ დგომა შეგეძლოს, რომ ერთი ალიყური სილა გაგკრა.

ისე გაჯავრებული იყო ნათლიაჩემი, რომ მოსამსახურეებმა გაიყვანეს ოთახიდან და კარი მიკეტეს. მორჩა, უკანასკნელი იმედიც გაგვიქრა.

ქუჩაში რომ გამოვედით, ნათლიაჩემმა გვითხრა:

— ხომ ხედავთ, რომ ტყუილადღა ვეწვალებით. თქვენი ნიკო დამწყვდეული ეყოლებათ, ვიდრე სამეფო ჯარის ბინაზედ არ გაისტუმრებენ. დამიჯერეთ, ტყუილად ვკარგავთ დროს. ისევ ჩვენ სახლ-კარს მივეპატრონოთ, ისა სჯობიან. — და უცბად სიცილი წასკდა. იცინოდა და თან იძახდა, — თქვენ რაც გინდათ სთქვით და ძალიან კი დაუსახიჩრებია ჩემი პატიოსანი ძმისწული! ჰა, ყოჩაღ ბიჭო! იმისთანა დაღი დაუსვამს ზედ შუბლზედ, უკეთესს ცხენსაც ვერ დაასმენ ხოლმე.

ისე გულიანად იცინოდა, რომ ბოლოს ჩვენც წაგვიტყუა და სიცილი დავიწყეთ.

— ყოჩაღი ბიჭი კი არის, — ამბობდა მამაჩემი; — ყველაზედ მძლავრი ეგა მყავდა, ეგ უბედური, ეგა! რასაც კი ხელს დაჰკრავდა...

თან იცინოდა, მაგრამ მოაგონდა ცოცხლად დაკარგვა უფროსი შვილისა და თვალს ცრემლი მოერია.

ნათლიაჩვენი შინ წავიდა. ჩვენ კი ციხეში მივედით ნიკოს სანახავად. ცალკე ოთახში დაემწყვდიათ, ლოგინის მაგივრად ერთი ზურგი თივა მიეგდოთ.

— რას იზამ, — უთხრა მამაჩემს, — უბედურება ვის არ უწერია; ალბად ჩემი წერაც ეგ იყო; ვიცი, განა არ ვიცი, რომ გროშსაც ვეღარ აიღებთ ჩემში, მაგრამ რა ვქნათ, ტირილით ვეღარას გააწყობ.

არ გვეგონა, რომ ნიკო ისე შეწუხებული დაგვხვდებოდა. ისეთი მწუხარება ეტყობოდა, ისეთი შენანება, რომ მამას ხმაც აღარ ამოუღია, გადაეხვია და კოცნა დაუწყო. გამოთხოვებისას სულ კანკალი დააწყებინა საწყალს და ფერმიხდილმა ისღა გვთხოვა, თუ შეიძლება ხვალ ჩემი და-ძმანი მაჩვენეთო.

სამი დღის შემდეგ ჩვენი ნიკო თავის ჯარის ბინაზედ გაისტუმრეს. ისე გაჯავრებული იყო დედაჩემი, რომ თხოვნა არ აუსრულა და ბავშვები არ აჩვენა. მარტო მე ჩავედი იმ დღეს ქალაქს და ყველას მაგივრად მე გამოვეთხოვე. ერთ ურემზედ ისხდნენ ექვსნი იმასავით უჯეროდ, მოტყუებით ჩათრეულნი. დარაჯად ურემს აქეთ-იქით ოთხი ცხენოსანი ჯარისკაცი მისდევდა.

შორიახლო მივდევდი ურემს და ვუყვიროდი:

— მშვიდობით, ნიკო, მშვიდობით!

ნიკო ქუდს მიქნევდა. თვალი ცრემლით ევსებოდა, რომ იმ სიშორეზედ მიდიოდა, მთელი თორმეტი წლით და არც მამასა ხედავდა, რომ გამოთხოვებოდა, არც დედას და არც პატარა და-ძმას. რა ქნას ღარიბმა კაცმა? იმან რომ აქეთ-იქით იაროს, ქადა-ნაზუქს ხომ არ ჩამოუყრის ზეციდან ღმერთი? მამაჩემი თავის საქმეს უჯდა, დედა გაჯავრებული იყო. შემდეგში კიდეც ნანობდა, რომ არ გამოვეთხოვე, ერთხელ კიდევ რატომ არა ვნახეო! რატომ არ შევუნდე, რად გავაყოლე ჩემი წყევლაო! მაგრამ გვიანღა... ჩვენი ნიკო ქ. ვალანსიენში იყო სამეფო ჯარისკაცად და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე იმის ამბავს გავიგებდით რასმე.

VII

ძვირად დაგვიჯდებოდა ნიკოს შეცდომა და კიდევ დიდი ხანი ვიქნებოდით რობენის ბრჭყალებში, რომ ნათლიაჩემს არ შევცოდებოდით და ის არ შეგვწევნოდა: სწორედ იმ საღამოს, როდესაც ნიკო გაისტუმრეს, დაღონებული დამინახა და მითხრა:

— ნუ სწუხარ, ჩემო მიშელ, ვიცი რობენი ძალიან გაწუხებთ.

მეტი უჯიათი და უღმერთოა ის ოჯახდასაქცევი, ისა! მამაშენი ისეთი ღარიბი კაცია, რომ იმის ვალიდან თავის დღეში ვერ ამოვა და ისევ შენ უნდა გადაიხადო. თუმცა შენი შეგირდობა ჯერ არ გათავებულა, მაგრამ ახლავე დაგინიშნავ პატარა ჯამაგირს; ყოჩაღი ბიჭი ხარ და კარგადაც მუშაობ. თვეში მანეთს მოგცემ და შენ იცი როგორც მოიხმარებ.

სიხარულით კინაღამ გავგიჟდი. ასე გასინჯეთ, ჩემს მაყურებელს ნათლი-ჯალაბს და ნიკოლს ცრემლი მოერიათ. გვიანობამდის მადლობაც კი ველარ მოვახერხე:

— ნათლიაჩემო, შენ იმისთანა სიკეთე დასდე ჩვენ ოჯახს, რომ მამა არ უზამდა თავის შვილსა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა შოველი თავის პატარა მარგალიტათი:

— ყოჩაღ, ივანე! აქამდის ხომ პატივისმცემელი ვიყავ შენი და დღეის იქით ერთიორად შემიყვარდები, — უთხრა შოველმა ნათლიაჩემს და ხელი ჩამოართვა. მერე მხარზედ ხელი დამადო და მითხრა:

— მამაშენმა დამავალა, მიშელ, თქვენი ლიზასთვის ალაგი მეპოვნა რამე. ს. ვასელონში, ტუსენს ნდომებია გოგო და მეც თქვენი ლიზა ვურჩიე. ბინა ექნება, საჭმელ-სასმელი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი და წელიწადში სამი მანეთი ჯამაგირი. თუ კარგად მოიქცა და თავი მოაწონა, შემდეგში კიდევაც მოვამატებინებ. ახლა კი დასაწყისში მეტი საჭირო არ არის.

ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული იდგა ჩვენ ქოხში, როდესაც ეს ამბები მოვიტანე. ლიზა ხომ სულ ციბრუტივითა ტრიალებდა, რომ შესძლებოდა, იმავ წამსვე ამოიდებდა იღლიაში თავის ბოღჩას და გზას გაუდგებოდა; მაგრამ საუბედუროდ არ შეიძლებოდა: კონკების მეტი ლიზას ტანისამოსი არა ჰქონდა რა და იმ კონკებით ხომ ვერ გავისტუმრებდით. დაუარა დედაჩემმა მეზობლებს და ვის რასა სთხოვდა, ვის რასა; შოველმა თავის ჩუსტები მისცა ლიზას, ნიკოლმა კაბა, ნათლი-ჯალაბმა ორი თითქმის ახალი პერანგი, ლეტუმიეს ქალმა შალი და დედამა და მამამ თავისი ლოცვა-კურთხევა და დარიგება.

მოემზადა ჩვენი ლიზა, ერთი კი გადაგვკოცნა ყველანი და გზას გაუდგა. ისე აირბინა აღმართი, თითქო მოსამსახურე გოგოდ კი არა, ქალბატონად მიბრძანდებაო. ჩვენ კი კარებში ვიდექით და შევცქეროდით. აღმართი აიარა, ტყის პირს შეჰყვა, აგერ ხეებსაც მოეფარა და ერთხელ არ მოიხედა უკან...

ჩვენები ტიროდნენ.

ასეა ღარიბი კაცის საქმე. შვილები ჰყავს, ზედ დაჰხარის და

ისინი კი, როგორც კი ტუჩებზედ დედის რძე შეაშრებათ, შორს-შორს მიფრინავენ ლუკმა პურის საშოვრად. მოხუცებული დედა-მამაღა რჩება ობლად მამა-პაპეულ ქოხში.

ამ დღიდან ჩვენმა ვალმაც იკლო. როგორც კი თვე გავიდოდა და ნათლიაჩემი მანეთს მიბოძებდა, მე და მამაჩემი რობენისკენ გავწევდით. შევიდოდით იმ უღმერთოს სახლში, რომელსაც თავის ქსელში ჰყავდა გაბმული მთელი ჩვენი მაზრა, სალამს მივცემდით და იქვე კარებთან ავიტუზებოდით. მთელი ქვეყნის სიმდიდრე იქ ჰქონდა, იმ ერთ ოთახში; კარი და ფანჯრები სულ რკინის ჩარჩოებით ჰქონდა გამაგრებული; თითონ იქვე კუნჭულში ტახტზედ იჯდა თავის ანგარიშებში გართული; გვერდზედ თავისი ერთადერთი მეგობარი და დარაჯი — უზარმაზარი ძაღლი უჯდა.

— ,ეეჰ, კიდევ თქვენა? რა ძალიან ეშურებით ჩემს ნახვას! ძალას ვინ გატანთ? ვინა გთხოვთ?! ღმერთია მოწამე, მე თქვენ არ გაწუხებთ! გქონდეთ რა; თუ გნებავთ, კიდევაც წაიღეთ. რამდენი გნებავთ? ერთი თუმანი? ორი? კაცი თქვენსავით სანდო იყოს, თორემ ფულს ვინ დაუჭერს?!

— არა, არა, ბატონო რობენ, — ვეტყოდი ხოლმე მე, — რადგან მამაჩემი ისე ჰყავდა დაშინებული, რომ ხმასაც არ იღებდა. არა, ბატონო, აი, ეს ჩვენი ფულის სარგებელი და ესეც თავნის გადასახდელად. დააწერეთ, ბატონო. ჩვენს თამასუქს, რომ თავნის ნაწილიც მიიღეთ, დააწერეთ.

რაკი დარწმუნდა — ამათ ველარ გავპტყვნი, ხელიდან გამისხლტნენო, პირდაპირ საწერ-კალამს მიმართავდა ხოლმე და თან ბუტბუტებდა:

— მოდი შენა და ამას იქით კაცს სიკეთე უყავი! განა სიკეთეს დაინახავს ვინმე! განა მადლიერი დაგრჩება ვინმე!

თან კი სწერდა, მივიღე ამდენ-ამდენიო. მე ყოველთვის გვერდზე ვუდექი და ჩავყურებდი, თამასუქზედ სწორედ დაწეროს მეთქი. ჩავყურებდი და როგორ ჩავყურებდი! ვიცოდი, რა იუდასთანა მქონდა საქმე და ვფთხილობდი, კიდევაც არა გვიეშმაკოს რა-მეთქი.

მამაჩემი გონს ვერ მოსულიყო: მე ვერ ვუბედავ, ამოდენა კაცი ვარ და ეს ბალღი როგორ მარჯვედ უგებს პასუხსაო! უკვირდა და თანა მლოცავდა: შენ გაგაძლიეროს, შვილო, ღმერთმა! შენა ხარ ჩვენი მხსნელი, შენა ხარ ჩვენი ოჯახის დედაბოძი, შენა, შვილო, თორემ ჩვენ რის მაქნისნი ვართ? წერა ჩვენ არ ვიცით და კითხვა, პირუტყვივით მუნჯი და უტყვნი ვართ და ვისაც უნდა, ის წამოგვაჯდება კისერზედ!

მივიდოდით შინ და იქ უმეტესად მაქებდა; მიუბრუნდებოდა

ბავშვებს და შესძახებდა: ჩვენი უფროსი ეს არის, გაიგეთ? ჩვენი უფროსიც ეს არის და ჩვენი ბატონიც, რადგან ყელიდან საბელსა გვხსნის. ამას ცოდნა აქვს!.. წიგნი იცის, წიგნი და ჩვენ კი არა ვიცით რა. ჰოდა, ყოველთვის ამის სიტყვაზედ იყავით; უამისოდ ჩვენ არად ვარგივართ და როგორც უბედურნი ვიყავით, კიდევაც ისე უბედურნი ვიქნებოდით.

ბატონიო, უფროსიო!.. ეს მეტისმეტი იყო და იმას კი მართალს ამბობდა, რომ წიგნის უცოდინარობა სწორედ რომ პირუტყვადა ჰხდის ადამიანს. რა უნდა ქნას უბედურმა, რობენს რომ ჩაუვარდეს ხელში? უნდა იყოს გაჩუმებული და თავისი დღენი რობენისთვის მუშაობდეს. ცოცხლად გადაჰყლაპავს ბედშავს რობენი თავის ცოლ-შვილით, მამულ-დედულით და საქონლით.

წელიწადნახევარი მეტი ვუზიდეთ რობენს ფული, ვიდრე ვალს გადავიხდიდით და თამასუქს უკანვე გამოვიტანდით. რომ ველარა მოგვიხერხა რა, გამოგვიცხადა: სად დავნიშნო, აგრე წვრილ-წვრილად რომ მოგაქვთ? არ მინდა, აღარ მივიღებო!

— ძალიან კარგი, თუ თქვენ არ მიიღებთ, ქალაქს ჩავიტან და თქვენს სახელობაზედ სასამართლოში შევიტან-მეთქი, — ვუპასუხე და უცბად მოლბა და ფულიც მიიღო.

ბოლოს გადავიხადეთ ვალი, თამასუქი გამოვართვით და შინ მივიტანეთ. ფეხზედ აღარ იდგა სიხარულით დედაჩემი. ნეტავი კითხვა ვიცოდე. ჩემი თვალით დავრწმუნდე, რომ აღარ გვმართებს რა იმ ურიის კერძისაო! თან მეკითხებოდა:

— შვილო, მიშელ... მორჩა? მართლა მორჩა?!

— მორჩა, დედა, მორჩა! ჩვენ იმისი აღარა გვმართებს რა.

— აბა ერთი ეს თამასუქი წამიკითხე, შვილო, შენ გენაცვალოს დედაშენი.

გარს შემომეხვივნენ ყველანი და პირღია ჩასცქეროდნენ თამასუქს.

ბოლოს რომ ჩავედი და წავიკითხე „მივიღე სრულად“, სიხარულისაგან თამაშობა და ხტუნვა დაიწყეს; უცხოს რომ დაენახა ვისმე, ველური ხალხი ეგონებოდა. დედაჩემი ხომ ყველაზედ უარესი იყო.

— გენაცვალეთ, ის შეჩვენებული თხა აღარ გახსოვთ?! კინალამ დედაბუდიანად კი დაგვღუპა და! რა ძვირად დაგვიჯდა იმისი ყიდვა! უი, ღმერთმა გკითხოს, რობენ, ღმერთმა!..

ცოტა ხანს უკან რობენი ჩვენს სოფელში ყოფილიყო და ჩვენსა მოსულიყო, ფული ხომ არა გნებავთ, მოგართმევთო?.. აეღო დედაჩემს ორთითი, გამოსდგომოდა და კუდით ქვა ესროლინებინა:

— ძლივს გავთავისუფლდით და შენ კიდევ გინდა ხელში ჩაგვიგდო! შენ გინდა კიდევ ყმად დაგვისახლო! შე ქოფაკო, შე...

მირბოდა თურმე რობენი და მისდევდა დედაჩემი. ფიცავდა, ვერ დავეწიე, თორემ რომ დავწეოდი, ცოცხალი არ გადამრჩებოდაო. საშინელებაა! რამდენი ტანჯვა-წვალება და შეურაცხყოფა უნდა მიაყენო ადამიანს, რომ დედიჩემისავით დაჩაგრული და დამცირებულიც კი მოთმინებიდან გამოვიდეს, გაშმაგდეს და მოსაკლავად აღარ დაინდოს კაცი! ხალხს მოვალეზედ უარესი მტერი სხვა არავინა ჰყავს. და აკი ისიც არ დაინდობს ხოლმე თავის სისხლისმსმელ მტერსა; და ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ამგვარ წურბელას ან თითონ არ გადახდეს საწყალი ხალხის ცოდვა, ან იმის შვილსა და შვილიშვილსა. კაცს თავის შეცოდება მეცხრე თაობამდე გადახდებაო, ნათქვამია. ჰოდა, ეს კარგად უნდა ახსოვდეთ ამ უღმერთოებს; უნდა ახსოვდეთ, რომ, რაც უნდა დაჩაგრული, მიწასთან გასწორებული და საქონელივით პირუტყვი იყოს ხალხი, უცბად წამოიწევს ხოლმე, წელში გასწორდება და მატლივით გასრესავს თავის მტრებს! ჩემს სიცოცხლეში ხუთჯერ-ექვსჯერ ვნახე ამის მაგალითი. ხალხმა თავის მოსისხლე მტრების დასჯა მოინდომა და ქვეყნის ჯარმა ვეღარა უშველათ რა. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ! მე კარგ რჩევას ვაძლევ და ვაი იმას, ვინც არ გამიგონებს და არ ისარგებლებს. მე ჩემს ისტორიას უპირველეს ყოვლისა გლეხკაცთათვისა ვწერ, მაგრამ გლეხკაცებს გარდა სხვასაც ბევრს გამოადგება: კაცი რომ კარგ თესლს გადააყრის თავის ხნულსა, მარტო თავისთვის კი არა ხარობს — კარგ პურს გამოვაცხობო; იმას ის უფრო ახარებს, რომ ქვეყანას კარგ პურს მივაწვდი და მადლიერი დამრჩებაო.

ჩვენს ოჯახში რომ ეს ამბები იყო, სამეფოს ცხოვრებაც ძველებურად მიმდინარეობდა: ვხნავდით, ვთესავდით, ხარჯს ვიხდიდით, ბეგარაზედ დავდიოდით; ბერები მოწყალებას თხოულობდნენ და თან ქეიფობდნენ, ჯარისკაცები იარაღის ხმარებაში ვარჯიშობდნენ. ვის ახსოვდა ხალხის გაჭირება, ხალხის ენა და ჩვეულება? მეტადრე ისა გვწყინდა, რომ საფრანგეთის სამსახურში მყოფ უცხო ჯარებს, მაგალითად, შვეიცარიელებს, ბრძანებას გერმანულად აძლევდნენ. არა, სისულელე არ არის? ჩვენს ჯარებთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ ისინიც, ჩვენს ჯარებთან ერთად უნდა გამკლავებოდნენ საზოგადო მტერს და ბრძანება კი ჩვენებს ფრანგულად უნდა მიეღოთ და იმათ კი გერმანულად. ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, რომ ერთი ჩვენებური მოხუცებული ჯარისკაცი მარტენ ერო აძაგებდა ამ წესს და ფიცავდა, პრუსიის ომში დიდი ზიანი მოგვცა ამ ვითომდა უბრალო გარემოებამაო. მაგრამ ჩვენს მეფეებს და მებატონეებს ძალიან ეჯავრებოდათ

ხალხის და ჯარის დამეგობრება და სულ იმას ცდილობდნენ, ჯარისთვის ხალხი შეეძულებინათ; და რადგან იცოდნენ ჯარი — ხალხის შვილიაო, და, მაშასადამე, არც ძალიან სანდო არისო, უცხო ტომის ჯარები ჰყავდათ დაქირავებული — შვეიცარიელები და გერმანელები, რომ უფრო კარგად დაემონავებინათ ხალხი. უცხო ტომის ჯარები ჰყავდათ, რადგან ჩვენ არ გვენდობოდნენ; ჩვენ იმათი პატიმრები ვიყავით და დარაჯებად უცხოელი ჯარები გვეხვია.

შემდეგში ვნახავთ, რა საზიზღრად უღალატეს ამ უცხო ტომის ჯარებმა საფრანგეთს, რომლის პურსაცა სჭამდნენ და უფროსთაგან დაწყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე მტერს მიუდგნენ.

ახლა კი განვაგრძო ჩემი ისტორია.

საღამოობით გაზეთებს ვკითხულობდით, ხან მარტონი, ხან შოველიც შეგვესწრებოდა. ნათლიაჩემმა სრული ჭეშმარიტებით დაახასიათა მებატონეები, ეპისკოპოსები და თვით დედოფალიც. მართლაც და, მას შემდეგ, რაც ნეკკერი დაითხოვეს, სახელმწიფო ხაზინის ზარალი იმათ აღარც კი აგონდებოდა. გაზეთებში იმასღა სწერდნენ, მეფე-დედოფალი თავის ამალით და დიდებულთა თანადასწრებით სანადიროდ წაბრძანდნენო; მეფემ სასეირნოდ წასვლა მოინდომა და დიდი საზოგადოება მიიპატიჟაო; ლხინი, ქეიფი, დროსგატარება, საჩუქრები და პენსიები; ისე ჰფანტავდნენ ფულებს, თითქო ქარისაგან შემოტანილი ბზე არისო. ჩვენ მშვენიერ დედოფალს მარიამ-ანტუანეტას, თავად არტუას და მეფე-დედოფალთან დაახლოებულ თავადიშვილებს და მოსამსახურე პირებს არც კი აგონდებოდათ სახელმწიფო ხაზინის ზარალი; რა გინდა სულო და გულო, რომ იმათ არა ჰქონოდათ და აბა რა დროს ფულის დაზოგვა იყო?

ნეკკერი რაღასაც მიჰქარავდა?! პანღური და პანჩური! ვერ იპოვიდნენ თუ თავის გუნების მინისტრებს?! მინისტრად იმისთანა კაცი დანიშნეს, რომ ანგარიშს ხაზინისას თავის თავსაც არ აძლევდა, არამც თუ სახალხოდ გამოექვეყნებინა.

კითხულობდა ნათლიაჩემი ამ ქეიფების აღწერას, მაგრამ ისე მიეჩვია, რომ ბოლოს დროს აღარც კი ბრაზობდა; ჩაახველებდა, სათვალეებს შუბლზედ გადიგდებდა და იტყოდა:

— აბა ცხოვრება ამასა ჰქვიან აი! ჩვენი კურთხეული მეფე თავის მეძებრებს უფრო კარგად ინახავს, ვიდრე მუშა კაცს თავისი მებატონე. რასაც ჩვენი მეფე თავის ქორ-მეძებრებზედ და მიმინოებზედ დახარჯავს, ქვეყანას რომ მოანდომოს, ღარიბი კაცი ძნელი საპოვნიღა იქნება. მეფის კარს ხომ ათასობით და ათი ათასობით ირევიან დამშეული კეთილშობილნი და გაწუწკებულ ფინიასავით ელიან ნასუფრალს. იმასაც რაში ენანება ხალხის ფული? ჰყავს თავისთან

და აქეიფებს! კარგსა სჭამენ და კარგსა სვამენ; კარგი აცვიათ და კარგი ხურავთ! ყრიან და სძინავთ! ჩვენ კი ოფლში ვიწურებით... ნეტავი ვისთვის?...

— ნუ ჯავრობ, ივანე, — ეტყოდა ხოლმე ღიმილით შოველი — კარგი უნდა სვან და კარგი უნდა ჩაიცვან, რომ ვაჭრობა არ შედგეს.

— რაო, ვაჭრობაო?!

— მაშ არ იცი! თუ გინდა, რომ ნამდვილი ვაჭრობა არ შედგეს, ისე უნდა მოაწყო საქმე, რომ ფული იხარჯებოდეს და გლეხკაცის ჯიბეში კი არ ჩადიოდეს. ვაჭრობას ფუფუნება შეჰქმნისო, ამბობენ ჩვენი მინისტრები და რაკი ისინი ამბობენ, ჩვენ რაღა გვეთქვის, ჩვენც უნდა ვერწმუნოთ. ჩვენ უნდა ვიხუმავოთ და ხარჯი ვაძლიოთ; დიდებულებმა უნდა იქეიფონ ღა ჩვენი ნაშრომი დახარჯონ!.. იმათ ოქრომკედით ნაკერი ხავერდის ტანისამოსი უნდა ჩაიცვან და ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული იარაღი ატარონ. ახლა სახლის მოწყობილობა? ახლა იმათი მოსამსახურეები და მოახლეები? ახლა იმათი ჩაცმა-დახურვა და სამკაულები? ჩვენსავით ჭადითა და ლობიოს შეჭამადით კი არ იხეთქენ კუჭსა. ისეთ ფულებსა ხარჯავენ, ჩემო ივანე, რომ მე და შენ სიზმარშიც ვერსაღა ვნახავთ. ფულებსა ხარჯავენ და ვაჭრობაც წინ მიდის, დღითი დღე იზრდება და მატულობს.

— კარგი ერთი და! შენ ხუმრობ და მე კი არა მკითხავ! რამდენი კაცი მოსცდება იმ ოქრომკედის არშიების ქსოვაზედ! რამდენი კაცი მოსცდება იმათ ტანისამოსის კერვაზედ! რამდენი კაცი მოსცდება იმათ სამსახურში! ღმერთო, ღმერთო! მერე თითონ რის მაქნისი არიან? ნუთუ მარტო იმიტომ შეგვქმნა ღმერთმა ამოდენა ხალხი, რომ მებატონეები ვაქეიფოთ?! შეუძლებელია! თუ აგრეა, აღარც გაზეთები მინდა, აღარც ეს გულის სახეთქი ამბები!

მაგრამ ვერ მოითმენდა და სხვა გაზეთში უარესს წააწყდებოდა ხოლმე. ეს წვეულებანიო, ეს წარმოდგენებიო, ეს სეირნობაო — „ქალები ქირმანის შალით და კაცები ქულაჯებით!“ ან არა და სხვადასხვა ცერემონიები, რომლებზედაც იმოდენი ფული იხარჯებოდა, რომ სახელმწიფოს ძირს უთხრიდა.

— ნეტა რას გვატყუებდა ნეკერი? — მწარედ იცინოდა შოველი, — საიდან მოიგონა, ხაზინას ფული არა აქვსო? მგონი ჩვენ დღეში არა გვქონია ამდენი! აღარც კი ვიცით, სად შევინახოთ!

და ისეთი ეშმაკური ღიმილით გადმოგვხედავდა, ისე აენთებოდა პატარა თვალები, რომ შიგ გულში გვცემდა თავის სიტყვებს და ჩვენც გვაბრაზებდა.

ღმერთმან უწყის, ძუნწობით არ მოგვდიოდა, მაგრამ ოთხმოც-

დაცხრამეტი წილი საფრანგეთისა შიმშილისა და სიცივისაგან იყო შეწუხებული და ამ დროს განა ცოდვა არ იყო იმოდენა ფულის ხარჯვა სამკაულებზედ და ქეიფზედ?

შოველისთანა იმედიანად კი მაინც არავინ იყო, ისე არ გამოგვეთხოვებოდა, რომ იმედი არ მოეცა:

— ნუ გეშინიანთ! მშვენივრად მიდის საქმე. ჩვენი გადასახადი, სახელმწიფო ხარჯი და სახელმწიფო ხაზინის ზარალი ყოველ წელს მატულობს და მატულობს. მეტი რა გვინდა? რამდენიც მეტი ვალი გვექნება, ცხადია, იმდენი უფრო მდიდარი ვყოფილვართ. ხომ მართალია, ივანე?

— მართალზედ მართალია! — უპასუხებდა ნათლიაჩემი და ქუჩის კარამდე მიაცილებდა.

ვკითხულობდით გაზეთებს, ვკითხულობდით წიგნებს და გული გვისივდებოდა. ცხადად სჩანდა, რომ მებატონეები ჩვენ ადამიანად არ გვთვლიდნენ და თავიანთ საკუთრებად, საქონელივით პირუტყვ და ყურმოჭრილ ყმად ვუნდოდით. მაგრამ რა შეგვეძლო, ჯარი იმათკენ იყო. გულში ხელს ვიცემდით და ვიძახდით: რა ბედნიერნი არიან მებატონეები! ჩვენ კი... ნეტავი რა შევცოდეთ უფალს, რომ ასეთი უღელი დაგვადო იმ დალოცვილმა?

აქაო და დედოფალი, თავადი არტუა და სხვა დიდებულნი სულ დროსტარებას და ქეიფს უნდებიან, ჩვენც ასე გვინდაო, იძახდნენ თავადაზნაურნი და სულ უბრალო მიყრუებულ, მთაში გადაკარგულ სოფელში რომ მისულიყავით, იქაც იმასა ნახავდით, რაც ვერსალში მეფის სასახლეში ხდებოდა. კეთილშობილნი ქეიფობდნენ, ხალხი ღავის ბედსა გლოვობდა. გადაჰკრავდნენ მებატონეები და ბერები და გამობრძანდებოდნენ ქუჩაში. ვიღას შეეძლო გავლა! ჯერ ჯარისკაცებსაც ცემითა ჰკლავდნენ და გლეხკაცს ხომ... მაგრამ გლეხკაცი რა სახსენებელია? აბა მოხუცებულ ლორან დიუშემენსა ჰკითხეთ, რას ჩადიოდნენ აფიცრები? კარგა ლამაზად შექეიფიანდებოდნენ შამპანიური ღვინით და საცა ლამაზი ქალი მოეწონებოდათ, თავიანთსა მიათრევდნენ: წამობრძანდით, ლხინი გვაქვს, დროს გავატარებთ, ცოტა ხანს ცეკვა გვინდაო; და თუ აუხირდებოდა ვინმე, თავხედი მამა ან ქმარი და ქალს არ გაატანდა, იმდენს მიარტყავდნენ, იმდენს, რომ ჭკუას ასწავლიდნენ.

ვერ წარმოიდგენთ, როგორა გვწყინდა, როგორ გულს გვიკლავდა, მოქეიფე ბატონებს რომ დავინახავდით და იმათთან ერთად მოქალაქეთა ქალებს! მოდიოდნენ ქუჩაში მუსიკით და სიმღერით და მკლავში მკლავგაყრილი მოჰყავდათ ჩვენი დები—ჩვენსავით გლეხკაცის — ოღონდ შემძლებელი მოქალაქის ქალები! ჩვენი თვალითვე

შევცქეროდით ჩვენს შერცხვენას, მაგრამ რა შეგვეძლო? სევდას გულშივე ვიმარხავდით. ქალებს კი უხაროდათ იმათთან ყოფნა: ალბად ეგონათ — კეთილშობილთან დროსტარება კეთილშობილებას შეგვძენსო!

ერთადერთი იმედიღა გვქონდა — სახელმწიფო ხაზინის ზარალი. ვისაც კი ცოტაც არის მაინც ეყურებოდა რამე, ყველა გრძნობდა, რომ ამ ზარალს უნდა ემატნა, მეტადრე მის შემდეგ, რაც დედოფალმა და თავადმა არტუამ ხაზინის ზედამხედველად მეფეს კალონი დაანიშვნინეს. ოთხი წელიწადი იყო თავის ალაგას და სულ თავბედი გვაწყევლინა! ხაზინაში რომ აღარა იყო რა, იმან სახელმწიფო ვალებს მიმართა! თან ხარჯი მოგვიმატა, მაგრამ ისე ტკბილად შემოგვიძვრა, რომ ვერა გავიგეთ რა: ბრძანება გასცა, ვინც არაყსა ჰყიდის, თუნგზედ აბაზი ხაზინის სასარგებლოდ უნდა გადიხადოსო. რას გავუგებდით ეშმაკობას? ჩვენ გვეგონა ხარჯი სირაჯებს შეაწერესო; საქმით კი სულ სხვა გამოვიდა: უწინ თუნგ არაყს ოთხ აბაზად ვყიდულობდით, ახლა უცბად მანეთად და მეტადაც გახდა. ვისაც დავა და საჩივარი აქვს რამე, სასამართლოში არზით შემოვიდეს და ყოველ არზაზედ სამი აბაზი გადიხადოსო. ვიფიქრეთ ახია ავ კაცზედ, ეს ხარჯი მაინც დაავიწყებს სასამართლოში თრევასაო; მაგრამ საქმით კი სხვა გამოდგა: ფეხი ვერსად გადავდგით, რომ ქაღალდი, არზა არ ეთხოვნათ და ზედ სამი აბაზი ხარჯი. ვინ მოსთვლის იმის ეშმაკობას? დაწვრილებით რომ მოგიყვეთ, შორს წავა. კალონის შემდეგ ავი და უჯიათი მინისტრი სხვაც ბევრი ყოფილა, მაგრამ იმისთანა საზიზღარი კი არც ერთი! მემკვიდრეობასავით დარჩათ იმათ კალონის ხრიკები და რაც უნდა უტვინო და გამოჩერჩეტებული ყოფილიყო მინისტრი, კალონის საშუალებას მიმართავდა ხალხის მოსატყუებლად და დიდად ჭკვიანი კაცის სახელს იხვეჭდა. საკვირველი ქლესა კაცი იყო, ქვეყანა მხოლოდ თავის სასარგებლოდ უნდოდა და სახელმწიფო ხაზინაში ისე ურევდა ხელებს, როგორც საკუთარ ჯიბეში; იჯდა და სჭამდა! თან დიდებულებს აქეიფებდა: მობრძანდით, ბატონო, მიირთვით, მანამ ნდობა გვაქვს და ფულს გვაძლევენ!... ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუღარ დებულაო!

ხომ ცარიელი თვალთმაქცობა იყო იმის მინისტრობა და მაინც ყველას ვერ გვატყუებდა. ნათლიაჩემი ისე არ აიღებდა ხელში გაზეთს, რომ ჯავრობა არ დაეწყო:

— ჯავრით გამხეთქავს, ის ფლიდი, ისა! სიცრუისა და სიყალბის მეტი რომ არა გამოსდის რა? ჩვენს ფულს ისე ფლანგავს, თითქო იმის პაპის ნაშოვნი იყოს და ჩვენი რომ აღარა ჰყოფნის, ვალსა და ვახშს გვადებს კისერზედ! იმოდენა ვალს დაადებს სახელმწიფო ხა-

ხინას, რომ ჩვენ კი არა, იქნება ჩვენმა შვილიშვილებმაც ვეღარ გადიხადონ. იმას რა ენაღვლება? მანამ აძლევენ, აიღებს და როცა გადახდის ვადა მოვა, ადგება და ინგლისში ამოჰყოფს თავს! წადი შენ და სდიე გაპარულ მინისტრს! ვალი კი ჩვენ გაგვიხდება თავში საცემად!

ამ საშინელ ყოფას მთელი ქვეყანა გრძნობდა გარდა მეფისა, დედოფლისა და დიდებულ მებატონეებისა; ისინი ისეთი მადლიერები იყვნენ კალონისა, რომ დღე და ღამ მის დღეგრძელობას ევედრებოდნენ ღმერთს. ან რად იქნებოდნენ უმადურნი? იმათი ვალები კალონმა გადაიხადა სახელმწიფო ხაზინის ფულით და იმისთანა პენსიები და საჩუქრები გაუბოძა, რომ სულ იმის მზესა ჰფიცავდნენ.

სამღვდელოება უფრო ფხიზლად იყო; ის კარგადა ჰგრძნობდა, რომ კალონის თვალთმაქცობა დიდად აზარალებდა სახელმწიფოს. ისე არ დაბრუნდებოდა თავის მგზავრობიდან შოველი, რომ გახარებული პირდაპირ ჩვენსა არ შემოსულიყო. შემოვიდოდა, სიცილით მოგვესალმებოდა და თავის ალაგს დაიჭერდა, კუნჭულში, ბუხართან:

— ვერ წარმოიდგენ, რა კარგად მიდის საქმე, ივანე! მღვდელს ვეღარსად იპოვი, სულ უბრალო ღარიბ-ღატაკ მღვდელს, რომ ჟანჟაკ-რუსოს „სავოიარელ მოძღვარს“ არა კითხულობდეს. ლოცვანი არ გამიყიდნია იმდენი, რაც მე დღეს ვოლტერის ნაწერებსა ვყიდი; მერე ვიზედ? სულ მღვდელზედ, მთავარზედ, დიაკვანზედ. უშედეგო კი არ გეგონოს ამგვარი წიგნების კითხვა: წარმოიდგინე, ქადაგება დაიწყეს! და იცი რასა ქადაგებენ? გიყვარდეს მოყვასი შენიო, ქვრივ-ოხერი და ღარიბი განიკითხეო, საწყალი ხალხი გებრალებოდესო. იქნება არც კი დამიჯერო, ჩვენი მღვდლები ღარიბთათვის ფულს აგროვებენ. საქველმოქმედო საქმეებით არის გატაცებული მთელი ალზას-ლორენი. ერთ მონასტერში ზედამდეგს ტბის გაშრობა დაუწყია: ახალი თევზი არ მინდა, სჯობს გაჭირვებულ ხალხს სამუშაო გავუჩინოო; მეორე მონასტერში გადუწყვეტიათ, წლეულს ღალას ნუ ავიღებთ, ხალხი ძალიან გაჭირებულიაო, და უპატიებიათ კიდეც; ერთგან კიდევ პურს აჭმევენ ღარიბებს — ვინც უნდა მივიდეს და რა დროც უნდა იყოს, მაშინვე სუფრას გაშლიან. ეხლა მიხვდნენ განა თავიანთ დანიშნულებას! მაგრამ სულ არარაობას მაინც ნაგვიანევი სჯობია. მიხვდნენ და უნდათ ერთბაშად გაირიგონ თავიანთი საქმე. ძალიან ეშმაკები კი არიან, ღვთის წინაშე! ყველაზედ უკეთ ბერები ხედავენ, რომ სახელმწიფო გემი ნელ-ნელა იღუპება და ხალხში მეგობრებს იჩენენ, რომ დაღუპვის დროს ხელი გამოგვიწოდოს ვინმემ და სიკვდილს გადაგვარჩინოსო.

იმისთვის რომ გეკითხათ, დღეს-ხვალ უნდა ჩამონგრეულიყო ძველი წესწყობილება! ჩვენ კი ამაზედ ფიქრსაც ვერა ვბედავდით. 1784, 1785 და 1786 წლებში ჩვენ შოველს უფრო და უფრო სიმხიარულე ემჩნეოდა, თითქო აგერ ხვალინდელი დღე განთავისუფლებას უქადისო. არწივმა იცის, ზევით აფრინდება ცაში, ძალიან ზევით, რადგან ძალიან შორს შეუძლიან დანახვა და იქიდან უფრო ცხადად და გარკვევით ხედავს ქვეყანას; სწორედ ასე იყო შოველიც: იმისთანა იმედიანად შესცქეროდა მომავალს, თითქო წინასწარმეტყველია და დარწმუნებით იცის ქვეყნის ბედ-იღბალიო.

პატარა მარგალიტა ხომ მართლა მარგალიტი იყო. ისე არ გაივლიდა ჩვენ სამჭედლოსთან, რომ არ გაჩერებულიყო და არ მოვეკითხნეთ; დილა მშვიდობისა, ბატონო ივანე!... ვალენტინს გაუმარჯოს!.. რასა იქ, როგორა ხარ, მიშელ?.. ისეთი ტკბილი ხმით შემოგვძახებდა, ისეთი ტკბილ ღიმილს შემოაშუქებდა, რომ შიგ გულში ჩამრჩებოდა ხოლმე იმისი ნარნარი ხმა.

აბა რას მოვითმენდი? იქვე მივაგდებდი ხოლმე ჩაქუჩს და გარეთ გავვარდებოდი. მივვარდებოდი, მეგონა სულ მთლად უამბოვ ჩემი გულის პასუხს-მეთქი და ენა კი ჩამივარდებოდა. ვიდექი ისე მუნჯივით და შევცქეროდი პატარა მარგალიტას. მაგრამ პატარა კი აღარ იყო: წამოიზარდა, დამშვენდა. იმისთანა კოხტა კოპწია რამ იყო, რომ... ვუყურებდი და გული მიკვდებოდა: იმოდენა საპალნე ეკიდა იმ პაწაწკინტელა გოგოს, რომ ვაჟკაცს გაუჭირდებოდა იმისი ზიდვა. გამომეთხოვებოდა, წავიდოდა; მე კი ვიდექი გაშტერებული, თვალი ვეღარ მომეშორებინა და სულ იმას ვნატრობდი. ნეტავი თან წამიყვანოს და თავის სავაჭრო მე მაზიდვინოს-მეთქი. ბოლოს გონებაზედ ნათლიაჩემი მომიყვანდა:

— რა იქენ, ბიჭო?.. მიშელ, ჰა, მიშელ!

— გიახლები, ნათლიაჩემო, გიახლები!

გაეწითლდებოდი, გავფითრდებოდი. შევიდოდი სამჭედლოში და გიჟივით მივვარდებოდი ჩემს ჩაქუჩს.

ახლა კი აღარა მიჭირდა რა: მეც ვალენტინისავით ქარგალი ვიყავი და თვიური ჯამაგირი მქონდა; დედაჩემიც კი მადლიერი იყო თავის ბედისა; ჩემი და ლიზა კარგ ალაგას იყო, მაგრამ შინ მოკითხვის გარდა არას გზავნიდა; იმისთანა ოჯახში იყო, რომ სუფთად უნდა სცმოდა და მთელ თავის ჯამაგირს ტანისამოსზედ ხარჯავდა. ძლოდი მონასტერში იყო მოჯამაგირედ და რასაც იღებდა, თითქმის სულ შინ ჩამოჰქონდა; სტეფანე და მატურინი კალათებს და გალიებსა სწნავდნენ და ქალაქში ჰყიდდნენ. ყველას ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი; რაც უნდა ავი დარი ყოფილიყო, სტეფანე შორს, შორს გამომეგებებოდა, ხელს დამიჭერდა და შემომცინებდა:

— ჩქარა, მიშელ! იცი დღეს რა კალათი დავწანი! ნახე, როგორ მოგეწონოს!

მართლა ძალიან კარგადა სწნავდა. მამაჩემი სულ იმის ქებაში იყო, უფრო ეცდებაო:

— საუცხოვო რამ არის. ამისთანა მშვენიერს მეც ვეღარ ვახერხებ. დავბერდი, შვილო, რა გაეწყობა!

რამდენჯერმე მოვიწადინე, სტეფანეს სკოლაში ვატარებ მამა ქრისტეფორესთან-მეთქი, მაგრამ შორი გზა მაშინებდა და ისევ შინ ვასწავლიდი წერა-კითხვას. ისე ცდილობდა საწყალი, ისეთი გულით უნდოდა ესწავლა, რომ რაც უნდა დამეგვიანა, ის მაინც მელოდა: მიშელი მოვა და წიგნს მასწავლისო.

მოწყალების სათხოვნელად აღარავინ გადიოდა! ვმუშაობდით და ერთი ლუკმაპური ჩვენცა გვქონდა; ძლივს ჩვენკენაც გადმოიხედა ღმერთმა.

კვირაობით, ლოცვა რომ გამოვიდოდა, შევიყვანდი მამაჩემს სამიკიტნოში და ნახევარ ჩარექ წითელ ღვინოს მივართმევდი. ღვინოს შეექცევოდა, თან ხალხსა ხედავდა და ქვეყნის ამბები ესმოდა; ხალხსა ხედავდა და თითონაც ხალხში ერევოდა. დედაჩემს თავისი ძველის-ძველი ნატვრა ავუსრულე და ერთი ისეთი თხა ვუყიდე, ჯიქანს მიწაზედ დაათრევდა; საწყალი დედაჩემი! ერთი თხა, ებრაელ შმულისაგან ნაყიდი თხა იყო საჭირო, რომ სრულიად ბედნიერი ყოფილიყო. თვითონ აძოვებდა, თვითონ უვლიდა და ისე უფრთხილდებოდა, როგორც თავის თვალის ჩინს. ერთი სიტყვით, ჩემი მოხუცებულები ისე კმაყოფილნი იყვნენ, რომ მეტის ნატვრაც კი ვერ მოეხერხებინათ და მათი მაყურებელი მეც დიდი ბედნიერი ვიყავ.

საღამოობით, როგორც კი საქმეს გავათავებდით, მე ჩემს წიგნებს ჩავუჯდებოდი; ნათლიაჩემის წიგნები ჩემს ხელთ იყო და კვირა დღეს, გამოვიდოდა თუ არა წირვა, მე შინ მივეშურებოდი. ჩემი ტოლი ბიჭები ბურთაობდნენ, ჭიდაობდნენ, მე კი სულ იმასა ვცდილობდი მალე გამეთავებინა ერთი, რომ მეორე დამეწყო.

1785 წ. დიდი სირცხვილი ჭამა საფრანგეთმა: როანელმა კარდინალმა, სწორედ იმ ღვთისაგან გმობილმა, რომელიც ისე ძალიან ეჯავრებოდა მამა ქრისტეფორეს, მოიწადინა ჩვენი ახალგაზდა დედოფლის მარიამ-ანტუანეტას შეცდენა ძვირფასი თვალ-მარგალიტით.

როანელმა ერთი სამეფოს დარი სამკაული ანდო ვიღაცა მსახიობ ქალს, დედოფალთან საქმე გამირიგეო. იმ ქალმა დაჰკრა ფეხი და ინგლისში გავიდა: იმოდენა განძიც თან გაიტანა. ეს ამბავი გამოქვეყნდა, დიდით პატარამდე სულ ამაზედღა ლაპარაკობდნენ, მაგ-

რამ როანელს კი ვერა უყვეს რა. ან რას გაუბედავდნენ სულიერ მეუფეს მთელი ქვეყნისას? სტრასბურგში გაისტუმრეს საცხოვრებლად, ვითომდა დავსაჯეთო!

— მე ხომ სულ უბრალო გლეხკაცი ვარ, — იძახდა ნათლიაჩემი, — და აბა გაბედოს ბერმა ბენედიქტემ ან სხვა ვინმე ბერმა და ჩემ დედაკაცს აკადროს რამე?! შიგ თავში ვთხლიშავ ჩემს ჩაქუჩს!

მეც ასევე მოვიქცეოდი. ჩვენი მეფე კი დიდად გულკეთილი ბრძანდებოდა და ამით უფრო მეტად შეარცხვინა დედოფალი. არა, ისე როგორ დამცირდა დედოფალი, რომ ვიღაცა კარდინალმა იმის შეცდენა მოიწადინა? ისიც რითი? საჩუქრებით, სამკაულებით! მთელ ქვეყანას მოედო ეს ამბავი, ამის მეტი სალაპარაკო აღარა გვქონდა რა. განა ამის შემდეგ კიდევ შეგვრჩებოდა დიდებულთა პატივისცემა? საცა კი პატიოსანი კაცი იყო, ყველანი ზიზღით შეჰყურებდნენ მებატონეების და ეპისკოპოსების უნამუსო ქცევას, გარყვნილებას და გახრწნილებას. სახელმწიფო ხაზინის ზარალი აღარც კი გვაგონდებოდა. დაზარალებულ ხაზინას განა კალონი შეავსებდა თავის სიცრუით და ფლიდობით!?

დაზარალებული, თითქმის გაკოტრებული ხაზინა, შერცხვენილი, სახელგატეხილი დედოფალი; სულით ხორცამდე გარყვნილი თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება... ჩვენისთანა ბედნიერი განა იყო სადმე ერი?

დადგა 1786 წ. სწორედ ახალწლის წინა ღამეს დაბრუნდნენ შოველი და პატარა მარგალიტა. ლორენიდან მოდიოდნენ. იმათ მოიტანეს ამბავი, რომ მეფეს დიდებულნი მიუწვევია, ვერსალში კრება აქვს დანიშნული, კრებამ უნდა განიხილოს კალონის ანგარიში და გამოძებნოს საღსარი სახელმწიფო ვალების გარდასახდელადაო.

ნათლიაჩემი სიხარულით კინაღამ გაგიჟდა:

— ახლა კი გვიშველა ღმერთმა! ჩვენს კეთილ მეფეს შეჰბრალებია საწყალი ხალხი და დიდებულთაც ხარჯს ადებს!

მაგრამ შოველს ძალიან ეწყინა ეს სიტყვები. ისე ეწყინა, თითქო ავი ჰკადრეს რამეო; ბოლოს კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, უპასუხა:

— მეფემ დიდებულთა კრება იმიტომ მოიწვია, რომ სხვა გზა აღარა ჰქონდა რა. იცი, რამოდენი ვალი ადევს სახელმწიფოს? 1630 მილიონი! იქნება გგონია, ამოდენა ვალი თავადაზნაურებმა და ეპისკოპოსებმა გადიხადონ! ეგ არის, დიაღ! მაგის იმედი გქონდეთ და კარგად იქნება თქვენი საქმე! შეიყრებიან და დაადგენენ: ეს ვალი გლეხკაცს დავაჭდიოთ კისერზედაო! ჩვენი მშვენიერი დედოფალი და თავადი არტუა? ხომ იცი, რა ამბები ჩაიდინეს?!. ხალხი დაღუპეს, სახელმწიფო ხაზინა გააკოტრეს. თავს ლაფი გადისხეს, საუკუ-

ნოდ შეარცხვინეს ჩვენი მეფეების სახელი, საქვეყნოდ, მოურიდებლად ბრუშობდნენ, თითქო ყურადღებასაც არ აქცევენ ერის ძრახვასაო და როცა დადგა დღე განკითხვისა, იმოდენა ვაჟკაცობა და პატიოსნებაც კი ვერ გამოიჩინეს, რომ პასუხისსაგებლად თვითონვე გამოსულიყვნენ: დიდებულნი დაიბარეს — მოდით, სახელმწიფოს თქვენი დახმარება სჭირიაო. მერე ჩვენ?! ჩვენ, უბედურნი, რომ ამოდენა ხარჯს ვიხდით და სარგებლობას კი ვერასა ვხედავთ?! რატომ ჩვენ კი არ დაგვიბარეს?! რატომ ჩვენც არ გვეუბნებიან, სახელმწიფოს თქვენი დახმარება სჭირიაო?! აბა როგორ გვიკადრებენ ჩვენ, წუპაკებს, ტეტიებს! ჩვენ რა სახსნებელნი ვართ?!

როგორ წარმოვიდგენდი, რომ შოველს ასეთი გაბრაზება ეცოდინებოდა. ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც კი დავიჯერებდი. სულ ცოფსა ჰყრიდა; ბრაზისაგან ისე თრთოდა, თითქო გაუციებიაო.

მარგალიტაც იქვე იდგა, დასველებული, გათოშილი. ზურგზედ თავის საწვრილმანო ეკიდათ მამა-შვილს და ზედ კიდევ თითო მტკაველი თოვლი ედოთ. შოველი რომ ისე გაჯავრებული ნახა, უნდოდა დაემშვიდებინა, რაღაცა ეთქვა, მაგრამ იმან ყურიც არ ათხოვა; არც ნათლიაჩემს მოუსმინა პასუხი. მაშინ კი ვეღარ მოითმინა ნათლიჯალაბმა, თავი დაანება თავის ჯარას და შოველს შეუტია:

— რა ვქნა, რას ჩასციებიხარ მეფეს?! თუკი შეუძლიან რამე, ხალხსაც არ აკლებს თავის წყალობას და რაც არ შეუძლიან, ძალად ხომ ვერ შეაძლებინებთ! თუ არა და მე ნებას არავის მივცემ, ჩემს სახლში უკადრისად მოიხსენოს ან მეფე ან დედოფალი! არავის! უმართებულოდ სიტყვასაც არავის ვათქმევინებ!

ვალენტინი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა:

— ჰე, ვენაცვალე ღმერთსა! ჰე, ძლივს ჯავრი არ ამომყარა! არა, ამისთანა იქნება? აღარც ღმერთი სწამთ, აღარც ღვთის მოადგილე და ღვთისაგან მირონცხებული მეფეები?!

შოველი და მარგალიტა სწრაფად წავიდნენ შინისკენ და ამის შემდეგ ჩვენსა აღარ გაუვლიათ. ჩვენსკენ რომ გაივლიდნენ, მეტადრე სამჭედლოს ახლო რომ მოუნდებოდათ გავლა, თვალს აგვარიდებდნენ. ნათლიაჩემი ძალიან სწუხდა, რადგან მართლა გულით უყვარდა ჩვენი მეწვრილმანე. სწუხდა და ვალენტინს უსაყვედურებდა:

— სულ კი შენი ბრალია! არა, ვინ გეუბნებოდა ბარი ათ შაურადაო! შენ რომ შენებური როხვა არ დაგეწყო, ჩემი საუკეთესო მეგობარი დღეს მე თვალს არ ამარიდებდა. მე შენს თავს იმის ერთი ფრჩხილი მირჩევნია, რადგან იმის ერთ ფრჩხილში უფრო მეტი ტვინია, ვიდრე მაგ გამოტვინებულ გოგრაში!... ერთმანეთს მოვუსმენ-

დით, ერთმანეთისას გავიგებდით, მოვრიგდებოდით როგორმე. იქნება მართალსაც ამბობდა!..

— ჰოდა, მე კიდევ იმას ვამტკიცებ, რომ მართალს არ ამბობდა, — შეუტია ვალენტინმა, — მე ვამტკიცებ, რომ დიდებულთ ხალხის სიკეთე და ბედნიერება უნდათ და თავისი დღენი მარტო ხალხის კეთილდღეობასა ზრუნავენ და სხვას არაფერს!

გადახედავდა ნათლიაჩემი... სისხლი ყელში მოებჯინებოდა, მაგრა ჩაბოჭავდა ჩაქუჩს, თითქო ეშინია, თავში არა ვდრუზოვო და წაიდუდუნებდა:

— რა ვქნა, რომ კარგი ხელოსანი ხარ... თორემ იმისთანა პანღურსა გკრავდი, მგონი...

ამ სიტყვებს ისე იტყოდა, ვალენტინს არ გაეგო, თორემ ერთი უბედურება დატრიალდებოდა: ხომ უბრალო ქარგალი იყო და ამისთანა შეურაცხყოფას თავის ოსტატსაც არ მოუთმენდა. იმისთანა ამაყი გულის პატრონი იყო, გაგიკვირდებოდათ, ამ უტვინოს იმოდენი თავმოყვარეობა ვინ მისცაო. ბევრს კი არ ადროვებდა! იმავ დღესვე შეჰკრავდა თავის ბარგი-ბარხანას და გასწევდა; საცა იმუშავებდა, ლუკმაპურს ყველგან იშოვიდა. ნათლიაჩემმა ეს კარგად იცოდა და ფთხილობდა: ერთი მეგობარი ხომ დავკარგე და ახლა ეს მეორეც არ გამექცესო.

ისე გვწყინდა შოველის შემოწყრომა, თითქო გულის საყვარელი მოგვიკვდა ვინმეო. ყველანი დაღონებული ვიყავით და ყველაზედ მეტად ნათლიაჩემი. ბოლოს ერთ დილას შოველი და მარგალიტა ნათლიაჩემმა ჩვენ სამჭედლოსთან დაინახა მიმავალი, გულის თქმას ვეღარ გაუძლო და გზაზედ გადაუდგა:

— კმარა, შოველ! რაც მოხდა, მოხდა! ნუთუ ისევ გაჯავრებული ხარ?!

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თუმცა ქუჩაში რომ არ ყოფილიყვნენ, ნათლიაჩემი გულში ჩაიკრავდა თავის საყვარელ მეგობარს. რამდენიმე დღის შემდეგ შოველი და მარგალიტა ელზასიდან რომ დაბრუნდნენ, ბინდისას ძველებურად ჩვენსა მოვიდნენ და ამის შემდეგ ამ მცირე უსიამოვნებაზედ ხმაც აღარავის ამოუღია.

ეს იმ დროს იყო, როდესაც მთელი სამეფოს დიდებულნი ვერსალში იყვნენ შეკრებილნი და, შოველისა არ იყოს, თავიანთ საქმეებს არიგებდენ და არა ხალხისას. კრებას მოესმინა კალონის სიტყვა — „სახელმწიფოს იმოდენი ვალი ადევს, რომ ხაზინის ჩვეულებრივი შემოსავლით მის სარგებელსაც ვერ გადაიხდის; ვალის გადახდა მარტო მაშინ შეიძლება, თუ ყველა მაზრაში სამაზრო კრებებს მოვუწოდებთ, რომ მამულები დავაფასოთ და ხარჯი მამულისა კვა-

ლობაზედ გავაწეროთო". კრებას მოესმინა კალონის წინადადება და ცივი უარი გამოეცხადებინა.

ეს ამბები შოველმა გვიამბო. ნათლიაჩემმა რომ გაიგო, კრებამ უარი განაცხადაო, მწარედ ჩაიცინა და თქვა:

— აი, შეარცხვინათ ღმერთმა! ნეტა რასა ფიქრობენ ის უსინდისონი, ისა?!

შოველი არ ჯავრობდა, თითქო წინადვე იცოდა, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო ყველაფერიო.

— მაშ არ იცოდი? — უთხრა ნათლიაჩემს. ვინ არის თავის თავის მტერი, რომ თავის მამულს ხარჯი შეაწეროს? აბა ეთქვათ, ახალი რამ ხარჯი შევაწეროთ ხალხსაო; ღვთის წყალობა მქონდეს, მალე გაეთავებინათ საქმე! ასჯერ ჰოს იტყოდნენ და ერთი არა არ წამოსცდებოდათ. თუ არა და დიდებულნი მიუწვევიათ და ეუბნებიან — თქვენს თავს, თქვენს მამულებს თქვენვე ხარჯი უნდა დაადოთო! თუ გიჟები არ არიან, თუ ცოტაოდენი პატივისცემა აქვთ თავის თავისა და თავის ჯიბის ყადრი იციან, თავის დღეში არ დასთანხმდებიან!

ცოტა ხანს უკან ამ კრების განაჩენიც წავიკითხეთ გაზეთში. უნდა გენახათ მაშინ ჩვენი მეწვრილმანე. უხაროდა, უხაროდა, რომ მეტი არ შეიძლება: საქმის მაგივრად ხედავთ რას სჩადიანო?! და მართლაც, აი, რით იწყებოდა განაჩენი: — „მეფის სიტყვის შემდეგ პირველი მინისტრი მიუახლოვდა ტახტს და ვიდრე მივიდოდა, სამჯერ თაყვანი სცა. პირველად, ვიდრე თავის ადგილიდან დაიძროდა, მეორედ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ და მესამედ, როდესაც ტახტის პირველ საფეხურზედ შედგა. შემდეგ ამისა დაიჩოქა და მუხლმოყრილმა მოისმინა მეფის ბრძანება".

— მორჩა და მოისვენა! — იცინოდა შოველი, — მეტი რაღა გინდათ? ხედავთ როგორ ზრუნავენ სამეფო საქმეებისთვის! განა მეტი ზრუნვაღა შეიძლება?!

ბოლოს მეფემ კალონიც დაითხოვა და სახელმწიფო ხაზინის მინისტრად დებრიენი დანიშნა, ტულუზელი ეპისკოპოსი. მაშინ კი თვით დიდებულნიც დათანხმდნენ და რამოდენიმე ხარჯიც იტვირთეს, მაგრამ პარიზელებმა კი დიდი უარი გამოაცხადეს, რადგან უფრო კარგად იცოდნენ საქმის ვითარება და კარგადა ხედავდნენ, რომ მეფეებისაგან საქეიფოდ აღებულ ვალებს იმათ ადებდნენ კისერზედ. პარლამენტად შეიყარნენ პარიზელი დიდებულნი და ერთხმივ დაადგინეს: ჩვენ ხარჯს ვერას დავიდებთ; ხარჯის დადება მარტო საერო კრებას შეუძლიან, მარტო საერო კრებასა აქვს უფლება აქამდე უხარჯოს ხარჯი დაადოსთ... და საერო კრება მარტო დიდე-

ბულთაგან კი არ შესდგებოდა, საერო კრება მთელი ერის წარმომადგენელთაგან უნდა შემდგარიყო; მუშაც უნდა ყოფილიყო, გლეხკაცც, მოქალაქეც და თავადაზნაურობაც, რომ ერთხმად და ერთმანეთის თანხმობით დაედგინათ ხარჯის გაღება.

საერო კრება! ელვასავით მოედო მთელ ქვეყანას ეს სიტყვა.

როანელმა ხომ შეარცხვინა დედოფალი, — საქვეყნოდ თავი მოსჭრა და ეხლა პარიზის პარლამენტმა მეტი უყო მეფეს და თვით მეფობასაც: პირდაპირ გამოაცხადა, ხარჯის გაწერა მარტო საერო კრებას შეუძლია და რასაც აქამდის ხალხს ხარჯს აწერდით, საერო კრების დაუკითხავად, ეგ უკანონობა იყო, ესე იგი ნამდვილი ქურდობა იყოვო.

აი, როგორ დაიწყო რევოლუცია.

განა ცხადი არ უნდა ყოფილიყო ყველასთვის, რომ დიდებულნი და სამღვდელოება შეერთებულიყვნენ და იმავ თავითვე მთელი საუკუნეების განმავლობაში ხალხს ატყუებდნენ და ჰყვლეფდნენ! ცხადი იყო, რადგან პარიზის პარლამენტი ამბობდა ამას და ამ პარლამენტს შეადგენდნენ მთელი სამეფოს კანომდებლები და უდიდესი მსაჯულნი. თითქო უსინათლონი ვიყავით და უცბად თვალი აგვეხილაო, ისე მივხვდით ყველაფერს. მაშ მწველელ ფურად ვყოლივართ რაღა ჩვენს ბატონებს! მაშ იმათი კეთილდღეობა და სიმდიდრე, იმათი განცხრომა და ფუფუნება ჩვენი ოფლით და სისხლით ყოფილა უკანონოდ შეძენილი! მაშ იმათი დიდებულება სრულიადაც არა ყოფილა რა! და ჩვენზედ მეტი უფლება იმათ კანონისამებრ არა ჰქონიათ რა! მაშ ჩვენზედ დიდი, ჩვენზედ უკეთესი არაფრით ყოფილან და მარტო ცოდნით დავუჯაბნივართ! მაშ მარტო ჩვენს უცოდნარობაზედ ყოფილა აგებული იმათი დიდებულება!... ამოდენა ხანი გვატყუებდნენ, მღვდლის პირითაც კი იმას ჩაგვჩიჩინებდნენ — გლეხიკაცი ღმერთს გაუჩენია ყმად და თავადაზნაური ბატონადაო!

ჰოდა წარმოიდგინეთ, რა გახარებული იქნებოდა შოველი, როდესაც პარიზის პარლამენტის განაჩენს წაიკითხავდა.

— ახლა კი დადგა ჩვენი დრო! — იძახდა გახარებული მეწვრილმანე, — ბევრი ცვლილება მოხდება სახელმწიფო წესწყობილებაში! ახლა კი ბოლო მოეღება ხალხის უბედურებას! დღეიდან იწყება ახალი ხანა, ხანა სიმართლისა და თავისუფლებისა.

VIII

ელვასავით მოედო პარიზის პარლამენტის განაჩენი მთელს ქვეყანას. სოფელში თუ ქალაქში, ბაზრობას თუ ეკლესიაში სალაპარაკოდ საერო კრებაღა გვქონდა; გზაში რომ შეხვედროდნენ, ერთი

კი მიესალმებოდნენ — გამარჯობა შენიო! და მაშინვე, სულაც რომ უცნობნი ყოფილიყვნენ, საერო კრებაზედ ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს.

— ახალი ხომ არა ისმის რა? ნეტავი გვეღირსება როდისმე საერო კრება?

და მოჰყვებოდნენ! ყველა თავისას ჩიოდა და თავისას იმედოვნებდა. ერთი გაიძახოდა, საბაჟოები აღარსად იქნება და სრულიად თავისუფლად შეგვეძლება ყველგან სიარული, მეორე ამბობდა, ბეგარაზედ აღარ გაგვიყვანენ, საბეგრო საქმე თვით მართებლობამ უნდა იკისროსო; მესამე ამბობდა, სამღვდელოებას და თავადაზნაურთაც ხარჯს ადებენო. დაიწყებდნენ სჯასა, შეჰყვებოდნენ, შეხურდებოდნენ და იქვე სამიკიტნოში შევიდოდნენ სადმე, უფრო ადვილად შევთანხმდებითო.

— ისიცა კმარა, რაც ხანი გვყვლიფეს და გვკრიჭეს, — გაიძახოდნენ ყველანი, — ჩვენ გვინდა ჩვენი ფულის ანგარიში ვიცოდეთ, იქნება ერთიათად მეტს გვახდევინებენ, ვიდრე საჭიროა!

ქალები უარესნი იყვნენ!

ჩვენდა საუბედუროდ იმ წელს საშინელი გვალვა დაიჭირა და იმისთანა ავი დრო დადგა, რომ მოხუცებულნი ფიცავდნენ: ჩვენს დღეში არ შევსწრებივართ ასეთს გაჭირებასაო. ისე გავიდა ნახევარი თიბათვე, მთელი მკათათვე და მარიამობისთვე, რომ წვეთი არსად ჩამოვარდნილა. გახმა და დაიწვა ქვეყანა. ყანები ისე აიბუგა, რომ თივადაც კი ვეღარ გამოვიყენეთ. მეტი გვალვისაგან დედამიწა დასკდა. კარტოფილიც კი არ მოვიდა... და დაიმშა ქვეყანა. ამოდენა უბედურებას საშინელი ზამთარი მოჰყვა; ისეთი თოვლი დასდო და ისეთი ყინვები დაიჭირა, რომ 1788 წლის ზამთარი ხალხს დღესაც არ დავიწყებია.

ამბობდნენ, პურის სიძვირე იმიტომ ჩამოვარდა, რომ რამდენსამე კაცმა შეისყიდა, რაც კი მთელს საფრანგეთში პური მოვიდაო... კალოზედ ყიდულობდნენ პურს, გაჭირებულ კაცს ნახევარ ფასად ართმევდნენ და გემებით ინგლისში ისტუმრებდნენო; და ახლა, როდესაც შიმშილი ჩამოვარდა, ნელ-ნელა შემოაქვთ ჩვენივე პური და მამასისხლადა ჰყიდიანო. შოველი ამტკიცებდა, ეს ამხანაგობა დიდი ხანია არსებობს და თვით მეფე ლუი XV-ც ურევიაო. ჩვენ არა გვჯეროდა; ან როგორ წარმოვიდგენდით, რომ ჩვენი ღარიბ-ღატაკის და ქვრივ-ობოლის პატრონი მეფე ამხანაგად მიუდგებოდა იმ იუდებს, რომელნიც ხალხის დამშევას განიძრახავდნენ! მაგრამ შემდეგში დავრწმუნდით, რომ შოველი მართალს ამბობდა.

ჩვენ ხალხს თავის დღეში არსად გამოუვლია ის ტანჯვა, რომე-

ლიც 1788 — 1789 წლის ზამთარში ნახა. თვით 1817-შიაც კი არ ყოფილა ისეთი სიძვირე, როგორიც იმ ზამთარს იყო. ისე დაიმშა ქვეყანა, რომ იასაულებით სახლში გვიცვივდებოდნენ და ეძებდნენ, ეგება სადმე დამალული პური ვიპოვოთ, რომ ბაზარში გავატანინოთო! საბძელში, ძარში, მარანში, ქვევრებშიაც კი პურს დაეძებდნენ.

მე რომ ჯამაგირი არა მქონოდა და კლოდს თავისი ფული სულ შინ არ ეგზავნა, სრულიად უნუგეშოდ დარჩებოდნენ ჩემი მოხუცებული დედ-მამა და ნორჩი და-ძმა. ხალხი ათასობით იხოცებოდა შიმშილისაგან. წარმოიდგინეთ, რა ქრისტეს ტირილი იქნებოდა პარიზში! ლუკმა პური თურმე თავის წონა ოქროდ იყიდებოდა! მიუხედავად ამისა, თუმცა ქვეყანას იმოდენა ვაივაგლახი დაატყდა, საერო კრება არავის ავიწყდებოდა. ან როგორ დაგვავიწყდებოდა? რამდენიც ხანი გადიოდა და ჩვენი უბედურება მატულობდა, იმდენი მეტი იმედით და მოუთმენლად მოველოდით საერო კრების მოწოდებას. ჩვენი ფული რომ ისე ცუდუბრალოზედ არ მიეფლანგათ, დღეს არც ამ უკიდურეს მდგომარეობაში ვიქნებოდითო, გაიძახოდა ხალხი. აქეთ-იქით მუქარა ისმოდა: გეყოთ, გეყოთ, რაც ჭამეთ! ახლა კი ფრთხილად, თორემ გლეხკაცის მოთმინებასაც საზღვარი აქვსო! ჩვენ თქვენი კალონები და ბრიენები არ გვინდა! ჩვენ იმისთანა მინისტრები გვინდა, რომ ხალხისთვისა ზრუნავდნენ, როგორც ნეკერი და ტიურგო!

და იმ საშინელ ზამთარში, იმ საშინელ ყინვაში, როდესაც ქვევრებში ღვინო და არაყი იყინებოდა, შოველი და მარგალიტა ისევ ისე დაუსვენებლივ დაიარებოდნენ ალზას-ლორენში და სავაჭროსა და წიგნებს ატარებდნენ. თავით ფეხამდე ტყავში იყვნენ გახვეულები, მაგრამ იმისთანა სიცივე იყო, რომ ძაღლს არავინ გაუშვებდა გარეთ, და ისინი კი მიდიოდნენ თავიანთ კალათებით, თითქო სიცივეს არც კი გრძნობენო. დიდძალ პატარ-პატარა წიგნებსა ჰყიდდნენ, რომლებიც პარიზიდან მოსდიოდათ. ხშირად, როცა შინ იყვნენ, ჩვენც შემოგვიტანდნენ ახალ წიგნებს; მივუსხდებოდით გაჩაღებულ ბუხარს და დავიწყებდით კითხვას. დღესაც შენახული მაქვს ძაშინდელი წიგნაკები. რომ ნახოთ, გაიკვირვებთ: ნუ თუ ასეთი მართალი და საფუძვლიანი აზრები ტრიალებდა ხალხში რევოლუციის წინადაო! ქვეყანა გამოფხიზლდა, ღრმა ძილიდან გამოერკვა! ყველას მოსწყინდა იმოდენა სიცრუე და სიყალბე, გარდა თავადაზნაურობისა და იმათგან შესყიდული ჯარისა. რაც უნდა წიგნაკი აგეღო, ყველგან ერთი და იგივე აზრი იყო გატარებული: ქვეყანა მუშაკაცისაა და არა მუქთახორა მებატონეებისაო! რაც უნდა წიგნაკი წაგეკითხა, ყველგან ერთსა და იმავე დასკვნას მიადგებოდი. ათი წილი

საფრანგეთისა სწორედ იმავე თვალით უყურებდა სასახლეს, მინისტრებს და სამღვდელოებას, რა თვალითაც ჩვენ ვუყურებდით.

მაგრამ ამ დროს ჩვენს ოჯახში ერთი ჩემთვის ძალიან საწყენი ამბავი მოხდა. მით უფრო საწყენი, რომ ჩემდა უნებურად დამარწმუნა, რომ ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო.

ქრისტიშობისთვის შუა რიცხვები იყო; ქალაქიდან მომავალმა მეზობელმა შეგვატყობინა, დღეს ბაზრობას ფოსტის მოხელე გამოვიდა და ხალხს დაუძახა: — ფოსტაში წერილებია დარჩენილი და შეატყობინეთ, თუ პატრონს იცნობთ, მოიკითხონო. სხვათა შორის თქვეხი გვარიცა სთქვა, პეტრეს სახელობაზედ ქალაქში წერილი მოსულა და ამოიტანეთ.

დღევანდელი წესები კი არ იყო მაშინ, ეხლა რომ სახლში მოგვართმევენ ხოლმე წერილებს! ბატონი ბენე — ფოსტის უფროსი, გამოვიდოდა ბაზრობა დღეს მოედანზედ და შესძახებდა: — ხალხო, აქ ლუტცელბურგელი ხომ არავინ არის? წერილია, იქნება აუტანოთ! ჰალტენჰაუზელი ხომ არავინ არის?

— მე გახლავარ!

— თუ შეიძლება, ეს წერილი წაუღე, აგერ ექვსი კვირაა ფოსტაში გდია და არავის მოუკითხია.

მისცემდა წერილს და მერე კი აღარა ენაღვლებოდა რა, მიუვიდოდა თავის პატრონს თუ არა.

ჩვენ რომ შეგვატყობინა მეზობელმა, განა არა, მინდოდა წამომეღო, მაგრამ ერთი აბაზი მთხოვა და ფული არა მქონდაო; და რომ მქონოდა კიდეც, რა ვიცი, იქნებ თქვენ არც კი მიგეღოთო...

მოდი შენა და ამისთანა გაჭირებაში აბაზი გადიხადე ერთ უბრალო წერილში! ვიფიქრე, ეგდოს, არ ამოვიტან-მეთქი, მაგრამ დედამ და მეტადრე მამაჩემმა აღარ მომისვენეს: ჩვენი ნიკოსაგან იქნება, ამოიტანე, შვილო, იქნება რას იწერებაო. ისე უნდოდათ ნიკოს ამბავი გაეგოთ, რომ იძახდნენ, ოღონდ წერილი ამოიტანე და ორი კვირა პურს არა ვჭამთო.

რაღა მეთქმოდა, ავდექი და წავედი. წერილი მართლა ნიკოსაგან იყო. მოუთმენლად თურმე მელოდნენ ჩვენები, ამოვიდეს, წაგვიკითხოსო. ისე გაუხარდათ წერილის მიღება, თითქო ნიკოსა ხედავდნენო. ვკითხულობდი და დედაჩემს შევცქეროდი, ყურს მიგდებდა და თან ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი. წერილი ქრისტიშობის პირველს იყო დაწერილი... მინისტრი ბრიენი დაითხოვეს და ოცი ათასი თუმანი პენსია მისცეს, გამოცხადებული იყო საერო კრება 1789 წ. პირველ მაისს უნდა მოხდესო. სახელმწიფო ხაზინის მინისტრად ისევ ნეკერი დანიშნეს, მაგრამ ნიკო ამ ამბებს ყურადღებასაც არ

აქცევდა, თითქო იმის სამშობლოს კი არა, სულ სხვა უცხო ქვეყანას შეეხებაო. ის სულ სხვას იწერებოდა... მაგრამ სჯობს თვით წერილი წაიკითხოთ და თქვენი თვალითა ნახოთ, რასა ფიქრობდა ჯარისკაცი იმ დროს, როდესაც მიწასთან გასწორებული ქვეყანა აღდგომას შენატროდა. განა გასამტყუნარია საწყალი ნიკო! სხვა თავის ამხანაგებზედ ის არც უკეთესი იყო, არც უარესი, სრულიად უსწავლელი კაცი იყო და საქმეებს ისე უყურებდა, თითქო ადამიანი კი არა, ტყის ნადირიაო. გარდა ამისა თითონ წერა არ იცოდა, და იქნება სულ იმან ჩაუმატა ის საზიზღარი სიტყვები, ვისაც წერილი დააწერინა.

აი, თვით წერილიც:

სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

პეტრე ბასტიენს და ეკატერინეს იმის მეუღლეს
სამეფო ჯარის მესამე რაზმის ათისთავი ნიკოლოზ ბასტიენი.

პარიზიდან.

საყვარელო დედავ და მამავ! საყვარელო და-ძმანო!

იმედი მაქვს ჯერ ცოცხალნი ხართ, რადგან ამ ოთხ წელიწად ნახევარში დიდით პატარამდე ხომ ვერ ამოწყდებოდით. მე ძალიან კარგად გახლავართ. მართალია, ჯერ ისე არ დამსქელებია კისერი, როგორც ფალსბურგელ ყასაბს, მაგრამ, კვეხნაში კი არ ჩამომართვათ, ვაჟკაცობით იმასაც არ დავუვარდები; მაღა მგლისა მაქვს და სხვა კიდევ უკეთესი. უმთავრესი ის არის, კაცს მადა ჰქონდეს.

საყვარელო დედავ და მამავ, ეხლა რომ მნახოთ სადმე ჩემი ცხენით, ჩემი ბუზმენტიანი ქუდით და სამხედრო სალამის მისაცემად ამოღებული ხმალით... ან არა და საღამო ხანს ბულვარზედ სადმე მოსეირნე რომელიმე ნაცნობ ქალით მკლავი მკლავში გაყრილი, გაკვირვებული დარჩებით, რადგან თქვენს დღეში არ დაიჯერებთ, რომ მე თქვენი შვილი ვარ. რომ მოვინდომო, როგორც სხვები შვრებიან და კეთილშობილი ვარ-მეთქი — ვთქვა, ყველგან დამიჯერებენ, მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ მე ამას არ ვიკადრებ, რადგან მე არ მინდა თქვენი ჭაღარა თმის შერცხვენა, რომლისაც დიდი პატივისმცემელი ვარ უკუნითი უკუნისამდე. ისიც გეცოდინებათ, რომ პირველ წელს უფროსი ათისთავი იერემია ძალიან მდევნიდა, საქმე გამიჭირა, ჯამით თავი რად დამისახიჩრეო! მდევნიდა, სიცოცხლეს მიმწარებდა, დაღი რად დამასვიო, მაგრამ მეც დღეს ათისთავი ვარ და მალე იმისი სწორიც ვიქნები. სამხედრო სალამის მეტი მე იმისი არა მმართებს რა. ერთი დღეც იქნება, ერთმანეთს შეეხვდებით სადმე და მაშინ კი მიფრთხილდეს! არ დაგიმალავთ და მოგახსენებთ,

რომ ჩვენს ჯარში იარაღის ხმარებაში მე ბევრი არავინა მჯობია და ჯერ ერთი წლის შესული არც კი ვიყავ, რომ ნოაილში ორი კაცი დავჭერი. ეხლა კი ლაფუჟერის, ლოზუნის და ბუკეს გარდა ჩვენს ჯარში მრუდედ ვერავინ შემომხედავს. საქმე ის არის, კაცს თვალმა და მკლავმა არ უმტყუნოს! და თვალი და მკლავი ხომ ღვთისაგან არის მონიჭებული: ზოგს მისცემს და ზოგს არა! სხვა ჯარებიდანაც კი მოდიან ჩემთან საბრძოლველად. მკათათვის პირველს, ჯერ ისევ ვალანსიენში ვიდექით, ჩვენი რაზმის აფიცრები დანაძლევებოდნენ კონტის რაზმის აფიცრებს: თითო ბიჭი გამოვიყვანოთ, ვნახოთ, ვინ აჯობებსო! ერთი ბიჭი ჰყავდათ, ძალიან ყოჩაღი და იარაღში ძალიან განთქმული. ჯავრი მჭირდა იმისი, რადგან სულ იმას დამცინოდა — ალზასელოვო! ბრწყინდა. სანაძლეო რომ გავიგე, ავდექი და ორი კაცი გავუგზავნე — თუ ბიჭი ხარ, გამობრძანდი-მეთქი. საქმე გარიგდა და მეორე დღეს ბაღში შევხვდით ერთმანეთს. გიჟივით მომვარდა! ისე ხტოდა, როგორც ვეფხი! მაგრამ მესამე ნახტომზედ ისე მარჯვედ ვატაკე ხმალი შიგ მარჯვენა ძუძუს თავში, რომ აღარც კი ამოუსუნთქია. ორი დღე და ღამე დამწყვდეული ვიყავი, რადა გაქვს აგრე უბედური ხელიო! მაგრამ ჩვენმა მაიორმა თავის სეფრიდან გამომიგზავნა ერთი კალათი სულ საუცხოო საჭმელ-სასმელი. მაშ! სანაძლეო მოვაგებინე და არ მაქეიფებდნენ?! მას შემდეგ ძალიან პატივსა მცემენ ჩემი უფროსები. ჰოდა რომ იცოდეთ, რა ამბები ხდება აქ, რომ იცოდეთ, რა ცუდად იქცევიან აქაური მოქალაქენი და როგორა ცდილობენ აჯანყებას, მეტადრე ხელოსნები და შუშები, რასაკვირველია, მიხვდებით, რა ადვილად შემიძლია თავი ვისახელო და საგმირო საქმეები ჩავიდინო. მარიამობისთვის 27 იყო. ისეთი აჯანყება მოხდა ქალაქში, მეტი არ შეიძლება. ახალ ხიდზედ შეგროვილიყვნენ აჯანყებულები. შედედებული მაწონივით იძვროდა ხალხი. დაკათ მაგ წუპაკებსაო! გვიბრძანეს და ღვთის წყალობა გაქვთ, მე იმ დღეს ჩემს ცხენს ხალხი ვასრესინე! მას აქეთ ისე დღე არ გაივლის, რომ ხან აქ არ იყვნენ აჯანყებულები და ხან იქ; მოსვენება აღარა გვაქვს! ისე ვცემთ, ისე ვჟლეტავთ, ისე ვმუსრავთ, რომ ან სულ ამოვჟლეტავთ, ან არა და ჭკუას ვასწავლით! მეორე დღეს ახალ ხიდზედ სულ ჭერეხივით ეყარნენ დაჭრილ-დახოცილები. ნეტავი გენახათ! ვერ წარმოიდგენთ, რა კარგი სანახავი იყო იმოდენა მუცელ გამოღადრული ლეში! მე მხარმარჯვნივ ვიყავი მეორე რიგში და ცოცხალი არავინ გადამრჩენია! სამართებელივითა პარსავდა ჩემი ხმალი! ჩვენი უფროსი რეინახი ფიცავდა, დღეს ისეთნაირად მივარტყით, რომ აჯანყებას თავის დღეში ვეღარ გაბედავენო. მე კი არ ვიცი! არა, ძალიან თავს გავიდნენ და! ვიღაცა მურა-

ლი მუშები, ხელოსნები, გლეხები და ხედავთ რაებს სჩადიან? ჰოდა მოხვდათ! დისციპლინამ იცის და! ბრძანება გამოვიდა?! უნდა აიღო იარაღი და წახვიდე! გიბრძანეს, ესროლეო!? უნდა ესროლო, თუნდა კიდეც იცოდე, რომ შენი ხელით გულის საყვარელ დედ-მამას ან და-ძმას დახოცავ! ისე უნდა გადაიარო ზედა, ისე უნდა გადაქელო, ვითომ პატივზედ გადაგირბენია! ჩემდა საუბედუროდ წერა-კითხვა არ ვიცი, თორემ ძალიან წინ წავიდოდი. მაგრამ ნურც ამისთვის შესწუხდებით: წერა-კითხვას კი არა, რა ვიცი რას არ ვისწავლი, ოღონდ იერემიას არაფერში ჩამოვრჩე და იმის ჯავრი ამოვიყარო! ერთი ყმაწვილი კაცი გვირევია ჯარში, დიდი გვარის შვილია და წიგნი კარგად იცის; ის ანბანს მასწავლის, მე იარაღის ხმარებას; ჰოდა შიგ ძირში მომჭერით ნახევარი ულვაში, თუ წიგნიც არ ვისწავლო! ამ ცოტა ხანში რომ ჩემს წერილს მიიღებთ, ჩემი ხელით დავწერ, და მანამ კი ბევრს გაკოცებთ და ღმერთსა ვთხოვ სრულიად მოგანიჭოთ, რაც კი გინატრიათ რამე ამ წუთი სოფელშიაც და საიქიოსაც.

+

თქვენი ნიკოლოზ ბასტიენი

ათისთავი სამეფო ჯარის მესამე რაზმისა

1 ქრისტიშობისთვეს 1788 წ.

საწყალი ნიკო! ბრძოლაზედ და კაცისკვლაზედ უკეთესი იმისთვის ქვეყანაზედ სხვა არა არსებობდა რა. მისი უფროსები ისე უყურებდნენ, თითქო ყოჩია და მარტო საჭიდაოდა ჰყავთო. აქებდნენ, აქეზებდნენ და იმასაც ეგონა, ადამიანის უმთავრესი დანიშნულება ადამიანისავე კვლა არისო. როგორ გამემტყუნებინა? რომ არ იცოდა, საწყალმა, რას სჩადიოდა? მაგრამ მრცხვენოდა, ეს წერილი შოველს და ნათლიაჩემს როგორ წავაკითხო მეთქი. დედაჩემი კი აღტაცებაში მოიყვანა ნიკოს წერილმა და მეტი ნეტარებისაგან ღმერთს მადლობას სწირავდა.

— მე კი არ ვიცოდი, რომ ჩემი ნიკო წინ წავიდოდა. ენაცვალოს დედა, დღეს-ხვალ აფიცრობასაც მიიღებს. თუკი ათისთავობა მიუღია! ნეტავი იმასა, ვინც გარედ გავა და ხალხში გაერევა. იმიტომა ვართ ასე ღარიბ-ღატაკნი, რომ ვყრივართ ჩვენს სოროში, თითქო მხეცები ვიყვეთ. ნეტავი იმასა! ნახავთ, თუ აფიცრობა არ მიიღოს და კეთილშობილობა არ დაიმტკიცოს, აი ნახეთ!

ნიკოს ამბავმა მამაჩემიც ძალიან ასიამოვნა, მაგრამ შეაწუხა კიდეც: რა არის, იარაღისა და ბრძოლის ჭეტს არას იწერება! დღეს იმან აჯობა, ხვალ რომ სხვამ აჯობოსო? ღმერთმა კი დაიფაროს, და იმასაც რომ ატაკონ მარჯვენა ძუძუს თავში? ჩვენ კი ჩვენი და-

გვემართება და! ღმერთი არ არის? განა იმ უბედურს. ნიკოს რომ მოუკლავს, ან დედა არ ეყოლებოდა, ან მამა, ან ცოლ-შვილი?!

— ნეტავი კი შენ არ მოჰყვებოდე ხოლმე და! — შეუტია დედა-ჩემმა, წამოავლო წერილს ხელი და დაუარა მეზობლებს:

— ჩემი ნიკოს წერილი, გენაცვალეთ! ათისთავობა მიუციათ! ისე თურმე ხმარობს იარაღს, რომ თავადაზნაურნი ებარებიან შეგირდად. იცით რამდენი კაცი მოუკლავს! დედ-მამას და ძმას არ დავინდობ, თუ მრუდედ შემომხედაო!

მთელი სამი დღე ატარა ასე ნიკოს წერილი და მერე, როცა ყველას ახარა თავის ბედნიერება, ისევ მე მომცა. ნათლიაჩემსაც გაეგო, ნიკოსაგან წიგნი მიუღიათო და მკითხა, რას იწერებაო? რა გაეწყობოდა, უნდა ამომეღო და წამეკითხნა. საღამო ხანი იყო. შოველი და მარგალიტაც იქ იყვნენ. როგორც იყო, გავათავე, წავიკითხე. ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ, მე კი ოფლში ვიწურებოდი. მრცხვენოდა, მრცხვენოდა, რომ იმ დროს იქ ყოფნას, ჯოჯოხეთში ყოფნა მერჩივნა. ბოლოს ნათლიაჩემმა თქვა:

— უბედურება არ არის, პატიოსან ოჯახში ამისთანა მხეცი გამოერიოს? უბედურს კაცის კვლის მეტი კი აღარა აგონდება რა და! დედ-მამას არ დავინდობ, და-ძმას დავხოცავ, თუ მიბრძანესო! დისციპლინა ეს არისო! მოდი შენა და ნუ იტყვი, რომ დისციპლინა ადამიანის გამამხეცებელი ყოფილა!

— მაგისი რა მოგახსენო, — მიუგო შოველმა, და ეს კი ვიცი, რომ ძალიან საინტერესო ამბებს იწერება; პარიზში ხალხი აჯანყებულა, იქამდის მისულა საქმე, რომ ხალხის წინააღმდეგ ჯარები გაუყვანიათ, ხალხი უხოცნიათ და ჩვენ კი არა ვიცოდით რა! გაზეთებშიაც რომ არასა სწერენ! განა არა, ამას წინად, ამბობდნენ დიდძალი ჯარები გაისტუმრეს გრენობლსა, ბორდოს და ტულუზისაკენაო, მაგრამ მიზეზი კი არავინ იცოდა. ეხლა კი ცხადია: ალბად იქაც ეშინიანთ ხალხის აჯანყებისა. რა კარგი ნიშნებია, რომ იცოდეთ! რა კარგი ნიშნებია! განა ვერა ხედავთ, რომ საშინელი ძალით მოედო ქვეყანას განთავისუფლების სურვილი და მის შეყენებას და შეფერხებას ჯარებით და ზარბაზნებით ვეღარ მოახერხებენ?! პარიზში რომ ხალხი არ აჯანყებულიყო და ჯარს არ გამკლავებოდა, არც დებრიენს დაითხოვდნენ, არც საერო კრებას დანიშნავდნენ. საშიში ბრძოლა და ჯარი კი არ არის, ან არა და რა შეუძლიან ჯარს, როდესაც მთელი ერი ერთი წადილით არის გატაცებული? ოღონდ ხალხმა გულით მოინდომოს რამე, ოღონდ ხალხში თანხმობა იყოს და იმაზედ მძლავრი აღარა არის რა! ქარი არ აათამაშებს ისე ადვილად ჰაერში ბუმბულს, როგორც ხალხი აიცლის თავის გზიდან ყვე-

ლას, ვინც კი მის წინააღმდეგობას გაჰბედავს... მერწმუნეთ, კარგი ამბავი მოგვიტანა მაგ წერილ'ძა... დროა საქმეს შევუდგეთ! დროა ამორჩევისათვის შევემზადნეთ. უნდა ვეცადნეთ, რომ სიმართლისა და თავისუფლებისათვის ამართოს ხალხმა თავისი დროშა.

დიდად ნაკიამოვნები იყო შოველი და იმ საღამოს ბევრი ილაპარაკა; ისეთ იმედიანად შეჰყურებდა ხვალინდელ დღეს, თითქო დარწმუნებულია, რომ ხალხის ხსნა საერო კრებაზედ არის დამოკიდებულიო. ხალხიც შოველსავით იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. დამშეულიც ვიყავით, ზამთარისაგანაც შეწუხებული, მაგრამ არც კი ვიმჩნევდით. ჰაერში ახალი რაღაც ტრიალებდა და ისე გვაერთებდა, ისე გვაკავშირებდა გლეხკაცს, ხელოსანს და მოქალაქეს, რომ ჩვენი ერთობა ჩვენვე გვიკვირდა. ტყუილად კი არ ამბობდა შოველი, დიდი ამბები მოხდებაო. ყველანი ვგრძნობდით, რომ დიდი ამბები უნდა მომხდარიყო, ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენი ბედ-იღბალი ჩვენ ხელთ იყო და ეს გრძნობა ერთიანად გვიმატებდა ძალას და მხნეობას. ახალი ცხოვრება იწყებოდა და სულ უკანასკნელი, მშიერ-მწყურვალი და თითქმის ტიტველი ღარიბ-ღატაკიც კი ისე ამაყად შეჰყურებდა ცას, თითქო გუშინდელი ქედმოხრილი ყმა კი არა, იმავ თაობითვე თავისუფალი კაცი ყოფილიყოსო.

IX

გაზაფხულდა. პური კი არა, ქატოც აღარსად მოიპოვებოდა, მაგრამ ქვითკირივით გავუმაგრდით ამ უბედურებას და მომავალითღა ვცოცხლობდით. ისე დაიმშა ჩვენი მთა, ისე დაიმშა, რომ ადამიანის ნაცვლად, ჩონჩხებიღა დაიარებოდნენ. თოვლ ქვევიდან, მიწაში ფესვებსა სთხრიდნენ და იმასა სჭამდნენ. ღობის ძირას შარშანდელ გამხმარ ჭინჭარს ეძებდნენ და იმასა ხარშავდნენ. საშინელება იყო ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ გაზაფხულიც მოიპარებოდა ნელ-ნელა.

ბერები ველარა ბედავდნენ მოწყალების თხოვნას, რადგან ეშინოდათ, დამშეულმა ხალხმა არა აგვიტეხოს რაო. და მართლაც, სულ ცოტა რამ კმაროდა, რომ გაჭირებული ხალხი მოთმინებიდან გამოსულიყო და ჯავრი ამათზედ ამოეყარა. რომ მოგვესწრო სადმე, პირდაპირ ჩავაქვავებდით, მით უფრო რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს მაზრაში რომ ჯარი გადმოიყვანეს, ბერებს სრულიადაც აღარ ექომაგებოდა.

ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორც მოგეხსენებათ, ჰაერში ახალი რაღაც ტრიალებდა. იქნება არც კი ნებავდათ, მაგრამ თავისდა უნებურად იძულებულნი იყვნენ გამოექვეყნებინათ მეფის ბრძანება

საერო კრების შესახებ. ხმა დადიოდა, როცა საერო კრების დღეს დანიშნავენ, ბრძანებით აცნობებენ მაზრის უფროსს და ის კიდევ ყველა მამასახლისს შეატყობინებს და ყოველ სამამასახლისოს და ეკლესიის კარებზედ განცხადებას გააკვრევინებსო. გარდა ამისა მღვდლები წირვის შემდეგ წაუკითხავენ თავიანთ სამწყსოს და რაკი ამგვარად მთელს ერს გამოუცხადებენ მეფის ბრძანებას, ამის შემდეგ დანიშნულ დღეს ერთი კვირის განმავლობაში, ქალაქში შევიკრიბებით ყველანი, ერი და ბერი, გლეხი და თავადი, მუშა და ხელოსანი, შევიკრიბებით, ჩვენს გაჭირვებას ავწერთ, საერო კრებისთვის ჩვენს წარმომადგენელთ ამოვირჩევთ და იმათ მივანდობთ, კრებას ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება აცნობონ. როდის იქნება საერო კრება, ამას შემდეგში გაგვაგებინებენო.

ეს იყო, ამაზედ მეტი ჩვენ არა ვიცოდით რა. ის კი ვიცოდით, რომ თუ მართლა საქმე ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების აწერაზედ მივარდებოდა, ღმერთო! ღმერთო! მგონი იმდენი რამ გვეთქვა, იმდენი უსამართლობა, დამცირება და შეურაცხყოფა აგვეწერა, რომ ქვასაც კი შევბრალებოდით.

ვერსალში დიდებულთ და სამღვდელოებას ერთი კრება კიდევა ჰქონდათ: უნდოდათ საერო კრებისთვის შეთანხმებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ. თუ ცოტაც არის მაინც კიდევ ჰქონდა ვისმე თავადაზნაურობის და დიდებულების იმედი, ამ კრებამ ეს იმედიც გაჰფანტა და ახლა კი ყველანი დარწმუნდნენ, რომ დიდებულნი ხალხისთვის ავის მეტს არასა ზრუნავენ. ახლა კი ყველანი დარწმუნდნენ, რომ თუ ხალხმა თავისთვის თითონ არ იზრუნა, მეფე და მებატონეები არას მისცემენ. საერო კრებაო, რომ იტყოდნენ, თან ხალხიო, დაატანდნენ და ყველამ იცოდა, რომ მოქალაქე, ვაჭარი, მუშა, ხელოსანი და გლეხკაცი ერთად იყვნენ, ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდნენ და ერთს ძალას წარმოადგენდნენ — ხალხის ძალას. ამბობდნენ უწინდელ დროში კიდევაც ყოფილა საერო კრება, კიდევაც ყოფილან ჩვენი წინაპარნი საერო კრებაზედ მიწვეულნი, აგრამ მეფის, დიდებულთა და სამღვდელოების წინაშე დაჩოქილნი წამდგარან და კისერზედ თოკი ჰქონიათ მიბმული ნიშნად მონობის და ყმობისაო. წარმოიდგინეთ ჩვენი აღშფოთება, როდესაც ვერსალის კრების განაჩენი გავიგეთ, რომლითაც დიდებულთ დაედგინათ, ძველებურად მუხლმოყრილნი და ყელზედ თოკშებმულნი მივიღოთ კრებაზედ ხალხის წარმომადგენელნიო! როგორც წესი და რიგია, ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთო! თუკი 1614 წ. ასე ყოფილაო?!

მაშინ კი მგონი თვით ვალენტინმაც შეუკურთხა დიდებულთ! მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ პარიზელმა პარლამენტმა საერო

კრების მოწოდება ხალხის სიყვარულით და მის საშველად კი არა, მარტო იმიტომ მოიწვევდინა, რომ დიდებულთ არ უნდოდათ თავიანთ მამულების დაკვალად გაეღოთ ის ხარჯი, რომელსაც საწყალი ხალხი იხდიდა.

გაზეთებში ეწერა, დიდძალი პური შემოდის რუსეთიდან და ამერიკიდანაო, მაგრამ ჩვენს სოფელში და მარტო ჩვენს სოფელში კი არა, ყველგან მთაში, არამც თუ პური არავის მოჰქონდა გასასყიდად, სახლში გვივარდებოდნენ და ერთი ჩანახიც რომ ეპოვნათ სადმე, იმასაც გვართმევდნენ, თქვენ აქ პურს ინახავთ და დიდ ქალაქებში კი ყველგან აჯანყდა დამშეული ხალხი და პური იმათ უნდა მივაწოდოთო! თქვენ პური რად გინდათ, თქვენ მოთმინებაც გეყოფათ; პური იმას უნდა, ვისაც მოთმინება არა აქვსო.

თებერვლის გასულს, სწორედ იმ დროს, როდესაც ძალიან შეგვაწუხა შიმშილმა, შემოესივნენ ჩვენს სოფელს იასაულები და სახლი არ გადარჩათ გაუჩხრეკავი. ვახშმად, რასაკვირველია, ნათლიაჩემს ეწვივნენ დუქანში: მაზრის უფროსი, პოლიციის უფროსი და რამდენიმე კიდევ სხვა მოხელე და მამასახლისები.

საუბედუროდ შოველიც იმ საღამოს დაბრუნებულიყო ალზასიდან და ჩვეულებისამებრ ნათლიაჩემთან შემოსულიყო. სასტუმრო ოთახში დაედვა თავისი საწვრილმანო და თითონ კი ბუხარს მისჯდომოდა. კარი რომ შეაღეს და უცბად თავზედ წაადგნენ სახელმწიფო მოხელენი თავიანთ ოქრომკედით ნაკერი ტანისამოსით და ქუდებით, ჩვენი შოველი, ცოტა არ იყოს, შეკრთა. მით უფრო, რომ პოლიციის უფროსი ბატონი დეჟარდენი ისე უყურებდა, თითქო კატამ თაგვი დაინახა და ემზადება, ისკუპოს და ზედ დაახტესო. ცუდი შეხედულება ჰქონდა, ღვთის წინაშე, იმ დროს ბატონს დეჟარდენს! სხვებმა გაჩქარებით მოიხადეს წამოსასხამები და სამზარეულოსაკენ გაეშურენ; იმან კი მარტო ხმალი მოიხსნა, იქვე კუნჭულში მიაყუდა და მერე შოველის საწვრილმანოს მივარდა. გახსნა და წიგნების სინჯვა დაიწყო.

შოველიც იქვე ცოტა უკან იდგა. ახლა კი დამშვიდებულიყო. ორივ ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და ისე დასცქეროდა პოლიციის უფროსს, თითქო ეს წიგნები იმისი არც კი იყო.

მაზრის უფროსი და მოხელეები მიდი-მოდიოდნენ, ხელებს იფშვნეტდნენ და იძახდნენ:

— ეგეც ხომ გადავაგორეთ! ღმერთო, რა ჭირად აგვიტყდა ეს სოფლების ჩხრეკა!.. დააჩქარე, მზარეულო, პური გვშია!

და გულიანად იცინოდნენ.

სამზარეულოს კარი ღია იყო და მართლა მშვენიერი, სურნელე-

ბით სავსე სუნი შემოდიოდა შემწვარის და მოხრაკულისა. ერთ მამასახლისს, ხელობით ხაბაზს, ვეღარ მოეთმინა, ტაფა აეხადნა და შიგ ჩასცქეროდა, თან ნათლი-ჯალაბსა ჰკითხავდა, რა და რა მასალა უყავიო. ნიკოლი სუფრასა შლიდა; ბ. დეჟარდენი იდგა და წიგნებს სინჯავდა. ცალ-ცალკე ამოიღებდა, ყოველ წიგნს გასინჯავდა და იქვე მაგიდაზედ დასდებდა.

— შენა ჰყიდი ამ წიგნებს? — ჰკითხა ბოლოს შოველს, ისე, რომ იმისკენ არც კი მიუხედნია.

— დიაღ, ბატონო, — მოახსენა დამშვიდებული ხმით შრველმა.

— იცი, რომ ამგვარ წიგნების გავრცელებისთვის საღრჩობელაზედ ამართავენ ხოლმე შენისთანა მაწანწალებს?

— მაგას რად ბრძანებთ, ჩემო ბატონო? საღრჩობელაზედ ამ პატარ-პატარა წიგნაკებისთვის? აბა, რომელი გახლავთ აქ თქვენი დასაწუნი? აი, მაგალითებრ, ესა: რ ა უ ნ დ ა ი ზ რ უ ნ ო ს ს ა ე რ ო კ რ ე ბ ა მ, უ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ი თ ა ვ ა დ ი ო რ ლ ე ა ნ ე ლ ი ს ა; ა ნ ფ ი ქ რ ი დ ა მ ო ს ა ზ რ ე ბ ა მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა .ს ა ე რ ო კ რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ; ხ ვ ე წ ნ ა-მ უ დ ა რ ა დ ა ს ა თ ხ ო ვ ა რ ი კ ა ლ ა ტ ო ზ ე ბ ი ს ა; აქ საშიში არაფერი გახლავთ.

— რატომ მეფის ნებართვა არა აქვს ამ წიგნებს?

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბატონო, რომ მინისტრი ბრიენის შემდეგ წიგნების ბეჭდვა და ვაჭრობა თავისუფალი გახლავთ.

ის კი ისევ ისე ეძებდა, იქნება აკრძალული ვიპოვო რამეო. ახლა კი სხვებიც გარს შემოხვევოდნენ. მე და ნათლიაჩემი უფრო უკან ვიდექით თაროსკენ და სულ ჭირის ოფლს გვასხავდა. შოველი კი იმედიანად გადმოგვხედავდა ხოლმე, თითქო განსაცდელში ჩვენა ვართ და ის გულს გვიმაგრებსო. ეჭვი არ იყო, საწვრილმანოში აკრძალული წიგნები ჰქონდა დამალული და თითქო რაღაც სუნი მისდისო, ისე ჯაშუშურად ჩხრიკავდა ბ. დეჟარდენი წიგნებს.

ცოტა კიდევ და კიდეც გათავდებოდა წიგნების სინჯვა, მაგრამ ამ დროს ოთახში ნათლი-ჯალაბი ეკატერინე შემოვიდა და წვნიანი შემოიტანა. იმის დანახვაზედ ყველანი სუფრას ეცნენ, ვინ წინა და ვინ უკანა, და ყველაზედ წინ მაზრის უფროსი სუფრის თავში გამოიჭიმა და დაიწყო ყვირილი:

— მობრძანდით, ყმაწვილებო. დაბრძანდით!.. რა დედლური გაუკეთებია ჩვენს დასახლისს! ერთი შემოხედეთ და! მობრძანდით მეთქი, ყმაწვილებო! რა დროს ეგ ოხერი წიგნებია, რა ვქნა! მამაჩემი არ წამიწყდება, მარტო მე ვახსენებ ღმერთსა, თუ ახლავე ყველანი არ დაბრძანებულხართ!

და წამოავლო კიდეც ჩამჩას ხელი. იმ დროს ნიკოლმაც მადის მოსაყვანად საგანგებო არაყი მიართვა, ბიჭს კიდევ ხელადებით ღვინო მოჰქონდა. ბ. დეჟარდენმა რაკი ნახა, მე არ მელიან და უჩემოდაც კარგად შეექცევიანო, გაბრაზებით გადმოხედა შოველს და მეუტია:

— შენ ეი! კიდევ ჩამივარდები ხელში!

და რაღაცა წიგნი ეჭირა, წიგნებზედ დაახალა და სუფრისკენ წავიდა, შოველმა წყნარად ჩაალაგა კალათში თავის წიგნები, წამოიკიდა ზურგზედ და მძიმედ თავი დაუკრა სუფრაზედ მსხდომთ. ჩვენ კი ისეთი მხიარული თვალით გადმოგვხედა, რომ უცხოც იტყოდა, ამ კაცის სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა და აგერ განსაცდელს გადარჩენილაო. გულიდან ძლივს მოგვეშვა ლოდი და თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

შოველი წავიდა. ჩვენი სტუმრები მშვენიერ ვახშამს შეექცნენ, სადღეგრძელოები გააჩინეს, ზედ მრავალჟამიერი დასძახეს; გაიმართა ლხინი და დროსტარება. რა უჭირდათ! ქალაქიდან კარგი ღვინოები წამოეღოთ და სამწვადედ სუკები.

კარებში კი გლახები მოგროვილიყვნენ და ქუდმოხდილნი ხელგამოწვდილნი ეევედრებოდნენ, მოწყალება მოიღეთო! დედაკაცებს თან თავიანთი შვილები წამოეყვანათ და ისეთი კვნესით შესთხოვდნენ განკითხვას, ისეთი მწარე ცრემლით ეევედრებოდნენ, რომ ქვასაც კი მოალბობდნენ. იდგნენ საწყალი ბავშვები დამშეული შოშიასავით პირდაღებულნი და ბატონების სუფრას შესცქეროდენ. მაგრამ გლახები ვის ახსოვდა? ისე გაერთვნენ ქეიფში, ისეთი სიმღერა დასძახეს, რომ ვიღაც მათხოვარი კი არა, თვით ქრისტე ღმერთიც რომ მოსულიყო, იმასაც არ მიხედავდნენ. ღვინო ულეველი ჰქონდათ, ცხელ-ცხელი ცვრიანი მწვადი თავზედ საყრელი; ისხდნენ და შეექცევოდნენ! სიმღერას გაათავებდნენ და ახალ-ახალ ამბებს უამბობდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ გათენებისას, ასე სამ საათზედ აიშალნენ და ზოგი ქალაქისკენ წავიდა და ზოგი კი მთაში, რომ იქაც დაეწიოკებინათ საწყალი ხალხი და პური ეძებნათ.

მეორე დღეს საღამოზედ შოველი და მარგალიტა მოვიდნენ ჩვენს სანახავად. ჯერ შინ არ შემოსულიყვნენ, რომ ნათლიაჩემმა შესძახა:

— როგორ შეგვაშინე, შოველ, რომ იცოდე, როგორ შეგვაშინე! ღმერთო, როგორ უძლებ მაგ ცხოვრებას?!! განა შენი სიცოცხლე სიცოცხლეა? ყოველ დღე. ყოველ წამს სულ იმის ფიქრში ვიყვე, რომ აგერ დამიჭერენ და ჩამომახრჩობენ მეთქი! არა, ძმაო, მე მაგ

ყოფას ორ კვირასაც ვერ გავუძლებდი! გავგიჟდებოდი! ჩემი ხელით თავს ჩამოვიხრჩობდი! ორ კვირასაც ვერ გავუძლებდი, მაგ ცხოვრებას, შიშით გული გამისკდებოდა!

— ორ კვირას კი არა, მე ორ საათსაც ვერ გავუძლებდი! — დაუმატა ნათლი-ჯალაბმა. მართლაცა და, ყველას გვიკვირდა, ამოდენა შიშს როგორ გაუძლო, რატომ გული არ გაუსკდაო? ის კი ისეთი ღიმილით შემოგვცქეროდა, თითქო ბავშვებს უსაფუძვლო შიშს უქარვებსო.

— ეჰ, კარგით ერთი, ნურც აგრე გააზვიადებთ. რის შიში, რის გულის ხეთქვა, რას ბრძანებთ! შიში მაშინა მქონდა, როცა მართლა ჩამოსახრჩობადა მდევდნენ, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინად. სიფრთხილე აბა მაშინა მჭირდა! კურდღელი არ იქნება ისე გაფრთხილებული, როგორც მე ვიყავი. ამსტერდამში დაბეჭდილი, და მაშასადამე აკრძალული, წიგნები დამქონდა და ძალიანაც ვასაღებდი. რომ დავეჭირეთ, ისე ციმციმად ამწევდნენ და... ჩამომახრჩობდნენ. არც არას მკითხავდნენ, არც გამასამართლებდნენ, თოკი და მაგის ჯანიო, იტყოდნენ. დღეს კი რა მიშავს, კიდეც რომ დამიჭირონ? გაუსამართლებლად ხელს ვერ მახლებენ, ერთი ბეწვი რა არის, ბეწვს ვერ მომგლეჯენ თავიდან! უწინდელი დრო კი არ არის! ამ ათის წლის წინად რომ დავეჭირეთ, მაშინვე წამებას მიმაყენებდნენ: ან მკლავის ძვლებს დამიმსხვრევდნენ, ან ძარღვების გლეჯას დამიწყებდნენ, — ამას აეხანაგებიც ეყოლება და იქნება გასცესო.

— შენ რაც გინდა სთქვი, შოველ, და ერთ ხანად კი ფერი გეცვალა! თუნდა დავიფიცავ, აკრძალული წიგნი გექნებოდა რამე.

— მქონდა, მაშ არა მქონდა! აგერა, სულ ძირში მქონდა ჩამალული. — სთქვა შოველმა და კალათიდან შეხვეული გაზეთები ამოიღო. აბა ვნახოთ, როგორ არის ჩვენი საქმე.

კარი ჩავკეტეთ, ფანჯრების დარაბები მივხურეთ და შუაღამე კარგად ვადავიდა, რომ ჩვენ ისევ გაზეთებს ვკითხულობდით. მე მგონი სიამოვნებით წაიკითხავთ მაშინდელი გაზეთებიდან ამოწერილ ამბებს. ძველისძველი ამბებია, მაგრამ ჩვენი აწმყო კი იმ ძველმა შობა და!

ერთი და იგივე გაისმოდა მთელ საფრანგეთში: დიდებულნი შეერთებას ცდილობდნენ, ერთმანეთს მხარს აძლევდნენ და ყოველ ღონისძიებასა ხმარობდნენ, რომ საერო კრება არ მომხდარიყო. ბეზანსონში დიდებულთა კრებას დაედგინა, საერო კრების მოწვევის შესახებ თვით მეფის ბრძანებასაც უნდა ვეწინააღმდეგოთ, რადგან თვით ღვთისაგან არის დაწესებული, რომ კეთილშობილნი და იმათი

ბამულები არავითარ ბარჯს არ იხდიდნენო! იმავ თავიდან ასე ყოფილა ეს ათასი წელიწადი მეტია და კიდევაც ასე უნდა იყოს უკუნითი უკუნისამდეო!.. ეს რომ ხალხს გაეგო, თავს დასხმოდა დიდებულთ და კრება დაეშლეინებინა.

პროვანსში დიდებულთა კრებაზედ უმრავლესობას მეფის ბრძანების წინააღმდეგობა გამოეცხადებინა: მეფემ კი არა, თვით ღმერთმაც რომ გვიბრძანოს, ჩვენ საერო კრების მოწვევას არ ვიყაბულებთო. და იქ პირველად გაისმა მირაბოს სახელი, რომელსაც პირდაპირ გამოეცხადებინა: სიმართლე ჩვენკენ კი არა, ჩვენგან დაჩაგრული ხალხისკენ არის და მეც ამის შემდეგ ხალხთან და ხალხისკენ ვიქნებიო. დიდებულთაგან მეფის ბრძანების და საერო კრების მოწვევის წინააღმდეგობა „არც სასარგებლოა, არც ღირსეული და არც კანონიერიო". იმისთანა მჭერმეტყველებით და რიხით ამბობდა თურმე თავისას მირაბო, იმისთანა საფუძვლიანად და სამართლიანად, რომ მაშინვე ვთქვით, თუ ამისთანა დიდებულმა კაცმა ჭხარი მოგვცა, შიში არაფრისა უნდა გექონდესო. ის რომ თავისას ამბობდა, სხვა თავადაზნაურები თურმე განცვიფრებით შესცქეროდნენ — არა, ეს კეთილშობილი არ არის, თორემ ასეთ მტკნარ სისულელეს არ იტყოდაო. შემდეგ კრებაზედ კი მირაბო სულაც აღარ მიიღეს და მით დაამტკიცეს თავისი სოლომონებრივი გონიერება.

ყველგან ბრძოლა იყო. ბრეტანში ქ. რანში თავადაზნაურნი ხოცავდნენ მოქალაქეებს, — რად იძახით, საერო კრება საჭირო არისო; საცა კი ყმაწვილი კაცისას გაიგებდნენ — ღონიერი, ყოჩაღი ბიჭი არისო, ოღონდ ხალხის შვილი კი ყოფილიყო და დაეცემოდნენ შეიარაღებულნი და ანდერძს აუგებდნენ. მოქალაქეთ კი ჯერ ვერ მოეხერხებინათ შეერთებულიყვნენ და იარაღითვე გაეცათ პასუხი. იმის მაგივრად, რომ წელში გამართულიყვნენ და ვაჟკაცურად დახვედროდნენ, ისინი ბრეტანის სხვადასხვა ქალაქებს სთხოვდნენ შველას. აი, რა პასუხი მისწერა იმათ ნანტის ახალგაზრდობამ: თქვენი კვნესით შეერთებული ნანტის ყმაწვილკაცობა განცვიფრებული ეკითხება თავის თავს: ნუ თუ ეს შესაძლებელია?! ნუ თუ შესაძლებელია, ასე ადვილად, უსამართლოდ, უდანაშაულოდ ხალხის ჟლეტა, როგორც ქ. რანში დიდებულნი სჩადიან!? სისხლს სისხლი უნდა და კაცის მკვლელს სამაგიეროდ დასჯა. ამით ვაღიარებთ, რომ ჩვენი კეთილი მეფის სურვილს საერო კრების მოსაწვევად და მით ხალხის ტვირთის შესამსუბუქებლად და მონობიდან გასათავისუფლებლად მოწინააღმდეგეთ მარტო დიდებულნი, სამშობლოს ჭტერნი, აღუდგებიან, რომელთათვის დაჩაგრული ხალხის კვნესა-გოდება

ციური სიტკბოებით სავსე ყურთ დამტკბობი მუსიკაა. ამით ვაღიარებთ, რომ ჩვენ ერთხმივ დავადგინეთ და შევიფიცენით, ჩვენი ხელით დავწყვიტოთ ჩვენი მონობის ჯაჭვები და ამიტომ იარაღს ვიღებთ და მოვესწრაფებით მტარვალთა დასასჯელად. ვიცით, ხალხის მტერნი აჯანყებულად ჩაგვრიცხვენ და ცოფიან ძაღლსავით დევნას დაგვიწყებენ; მაგრამ წინადვე ვაცხადებთ საყოველთაოდ: წმინდა არს ჩვენი წადილი! ჩვენს პატიოსნებას და სამშობლოს ვფიცავთ, თუ ბედმა გვიმუხთლა და ჩვენთა მტერთა სასამართლოს ჩავუვარდით, ვაქაცურად მივიღოთ ყოველი შეურაცხყოფა და წამება, რომელსაც ისინი მოგვაყენებენ. დადგენილია ქ. ნანტში, სავაჭრო დარბაზში, 28 იანვარს 1789 წ.

ამას ნანტელი ყმაწვილკაცობა იწერებოდა, უფრო ნოქრები და წვრილი ვაჭრები.

ქ. ანჟერში მოსწავლე ყმაწვილკაცობა შეყრილიყო და შეიარაღებული რანელების მოსაშველებლად მოდიოდა. იქვე ანჟერში ქალებს გაემართათ კრება და რანელებს ატყობინებდნენ თავიანთ კრების დადგენილებას: „განაჩენი ქ. ანჟერელ ყმაწვილკაცების დედათა, დათა და მეუღლეთა კრებისა. ამით ვაღიარებთ, რომ გულს ლახვარივით გვეცა ქ. რანში თავადაზნაურთაგან მოქალაქეთა დევნა და ხოცვა. ამით ვაღიარებთ, რომ იმათი სისხლი ჩვენი სისხლია და იმათი ხოცვა — ჩვენი სიკვდილი. ჩვენ, ქალები, დღეიდან ყოველთვის ხალხთან ვიქნებით და რაც შეგვიძლიან ბუნებისდა კვალად ერთგულად ვემსახურებით, რომ ჭირი შევუმსუბუქოთ. ამით ვაცხადებთ, რომ ხალხის წადილი ჩვენი წადილია და მისი მიზანი — ჩვენი მიზანი. ჩვენ ყოველთვის იქ ვიქნებით, სადაც სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავგანწირულნი ჩვენი ვაჟკაცნი იქნებიან და ვეცდებით ბარგის ზიდვაში, სურსათის მომზადებაში და დაჭრილთ მოვლაში მაინც გამოვადგეთ თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ამით ვაცხადებთ, რომ არც სახელმწიფოს და არც მეფის და სარწმუნოების წინააღმდეგ ჩვენ კრებად მოწოდებულ ქალებს არა გვწადიან რა, მაგრამ ვფიცავთ, სიკვდილს ვირჩევთ და ჩვენს შვილებს, ქმრებს და ძმებს კი ვერ ვუღალატებთ, რადგან ჩვენს შემარცხვენელ უმოქმედობას იმათთან სიკვდილი გვირჩევნია.“

ნათლიაჩემს ცრემლი მოერია. ჩვენც ტირილი დავიწყეთ. თან ერთმანეთს იმედს ვაძლევდით:

— ყოჩაღ, ქალებო! ნეტავი ხვალ ჩვენ მოგვიხდეს იარაღის აღება!

და ასეთი გულმაგრად, მამაცურად შევყურებდით ერთმანეთს,

რომ ჩვენვე გვიკვირდა: ნუ თუ ჩვენ ვართ გუშინდელი ქედმოხრილი და პირუტყვი მონებიო?!

შოველმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თითი აიშვირა და სთქვა:

— ჰოდა დაუფიქრდნენ ამ ამბავს დიდებული თავადაზნაურნი და ეპისკოპოსნი! დაუფიქრდნენ და შეიგნონ, თუ შეუძლიანთ! ნუ თუ ამ ნიშანს ვერ ხედავენ, ახალი დროის ნიშანს: იმის მაგივრად, რომ თვალცრემლიანი ესვეწებოდეს — შინ იყავ, რა გრჯის, საქმე უშენოდაც გარიგდება თუ გასარიგებელიაო! დღეს ქალი თავის ქმარ-შვილს თავისი ხელით ულესავს ხანჯალს და თითონაც თან მისდევს, წადი იბრძოლე, იარას მე შეგიხვევ ჩემი ხელითო! ამას ქალი იშვიათად იზამს ხოლმე, მაგრამ როდესაც ამას იზამს, იქ მტერი უბრძოლველადაც დამარცხებულია!

X

რამდენიმე დღის შემდეგ, 20 მარტს 1789, ის იყო გაზაფხულის მზემ გამოიხედა და თოვლმა დნობა დაიწყო, ხმა გავარდა, სოფელში სამამასახლისოს კარებზედ უშველებელი განცხადება გაუკრავთო. განცხადებას დიდი, დიდი ბეჭედი აზის იის სამი ფერით შეხამებული და ამასთანავე განცხადებანი ყველგან არის გაკრული ეკლესიების და მონასტრების კარებზედ, რომ ყველამ იცოდეს, როდის არის ხალხი ქალაქს დაბარებული საერო კრებისათვის თავის წარმომადგენელთა ასარჩევადაო.

მართალიც იყო. განცხადებაში ეწერა, რომ თავადაზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხკაცობა უნდა შეკრებილიყვნენ ქალაქში თავიანთ წარმომადგენელთა ასარჩევად.

„ბრძანება მეფისა საერო კრებისათვის წარმომადგენელთა არჩევისათვის 24 იანვარს 1789 წ.“.

ბრძანებაში ეწერა, რომ მეფე აცნობებს, თავის ერთგულ ქვეშევრდომთ თავის სურვილს, რომ მომავალ საერო კრებისთვის, ამ დიდებულ და მართლა საქვეყნო კრებულისთვის წარმომადგენელთა ამორჩევაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა. მეფესა სურს, რომ მის საბრძანებელში ყველგან, ყველა კუთხეში, ყველა მთაში მიმალულ სოფელში და ქოხში, ცნობილ იქნას მისი სურვილი, საერო კრების მოწოდების შესახებ, რომ ყველას თავისუფლად შეეძლოს თავისი ჭირბოროტი გვაცნობოსო. მეფე დარწმუნებულია, რომ ამგვარად შემდგარი კრება ყოველთვის სრული სიმართლით აცნობებს მას მთელი სამეფოს მდგომარეობას და მით გაუადვილებს ერის გაჭირვებას დროზედ და ჭეშმარიტი დახმარება აღმოუჩინოს.

ამის შემდეგ განცხადებაში მოხსენებული იყო, რა რიგ უნდა მოხდეს თავადაზნაურობის და სამღვდელოების წარმომადგენელთა ამორჩევა, რამდენი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ ყოველ ვარ მონასტრებს ორივე სქესისას და სხვა და სხვა. ბოლოს ხალხის შესახებ ეწერა:

1) ყოველ ფრანგს, ანუ საფრანგეთში დასახლებულს და ჩვენს ქვეშევრდომად ჩაწერილს, 25 წლისას და სახელმწიფო ხარჯების გამღებს, ნება აქვს წარმომადგენელთა ამრჩევ კრებას დაესწროს, აირჩიოს და არჩეულ იქნას და მონაწილეობა მიიღოს ხალხის საჭიროებათა აღწერაში.

2) ამგვარად არჩეულნი წარმომადგენელნი, ას კომლზედ ერთი, ორას კომლზედ ორი და სამასზედ — სამი, შეიყრებიან სამაზრო ქალაქში და მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით შეადგენენ სამაზრო კრებას, რომელიც გამოიკვლევს და შეადგენს თავის ამომრჩეულთა საჭიროებათა აღწერილობას და ამოირჩევს თავისთა შორის წარმომადგენელთ სათემო კრებაზედ დასასწრებლად და მაზრის საჭიროებათა აღწერილობის წარსადგენად.

3) სათემო კრებაზედ ხალხის წარმომადგენელნი განიხილავენ ყოველი მაზრის საჭიროებათა აღწერას, რომელთაგან ერთს საზოგადო, სათემო საჭიროებათა აღწერილობას შეადგენენ და თავისთა შორის ამოირჩევენ ოთხს წარმომადგენელს საერო კრებაზედ დასასწრებლად.

4) მეფის სურვილია, გაათავებენ თუ არა სათემო კრებები თავიანთ საჭიროებათა აღწერილობას, მაშინვე დაუყოვნებლივ დანიშნულ იქმნას დრო და მოწვეულ იქმნას საერო კრება.

ყველა დაინახავს ჩვენი ძველი დროის და აწინდელს წესდების განსხვავებას. ბევრიც რომ სთქვან არაო, დღეს ჩვენ წარმომადგენელად ნაცნობ კაცს კი არ ვირჩევთ, რომელსაც ვიცნობთ და ვენდობით, არამედ იმას ვირჩევთ, ვისაც პარიზიდან გამოგვიგზავნიან, — დიდი კაცია, დიდი ჭკუისა და ნიჭის პატრონიო! იქნება დიდზედ დიდიც იყოს, მაგრამ ჩვენ კი არ ვიცნობთ და! უნდა მივენდვნეთ უცნობს და ვუთხრათ, შენთვის უცნობი მაზრის და უცნობი ხალხის წარმომადგენელი და ქომაგი უნდა ბრძანდებოდეო. ჩვენს დროში სხვა რიგად ესჯიდით და ჩვენ შორისვე ვირჩევდით, ვისაც უფრო მეტი ნდობა გვქონდა. ესენი შეიყრებოდნენ, მოილაპარაკებდნენ და თავიანთში ამოირჩევდნენ უფრო ნიჭიერებს, უფრო გამბედავებს და მცოდნე კაცებს! ისინი უნდა დასწრებოდნენ საერო კრებას, რომ დიდებულ მეფის და თავადაზნაურთა და ეპისკოპოსთა

კრებულში ჩვენი წარმომადგენელიც კაცად ჩაეგდოთ!.. ჩვენ ის ვერ გვიღალატებდა, გარწმუნებთ!

გაიხსენეთ, რა შესძინეს ხალხს ჩვენმა ძველმა დროის წარმომადგენლებმა და რას შვრებიან დღევანდელები? შეადარეთ და ადვილად დაინახავთ, რომელია უკეთესი: ჩვენ შორის ჩვენივე ტოლი გლეხკაცი ავირჩიოთ, რომელსაც ვიცნობთ, თუ პარიზიდან გამოგზავნილი ნასწავლი კაცი, რომელსაც მაზრისა და თემის უფროსები ან იმათი ცოლები სწყალობენ! ამით ამ ბატონების დამცირება არ მინდა; მაგრამ ორივეც რომ კარგნი იყვნენ, განა კარგებში კი უკეთესს არ უნდა ვირჩევდეთ? განა ცხადი არ არის, რომ ხალხის წარმომადგენელი მართლა წარმომადგენელი უნდა იყოს იმ ხალხისა, რომელმაც იგი ამოირჩია? თუ კი მართებლობის შემწეობით იქნება ამორჩეული, რასაკვირველია, მართებლობის წინააღმდეგ ველარას იტყვის, თუნდა იმის ამომრჩეველნი კი არა, მთელი ქვეყანაც იჩაგრებოდეს, მართებლობის მოხელეთა და წესწყობილებისაგან. ამას რა დიდი ხაზი და ლარი უნდა! წარმოიდგინეთ, რომ ლუი XVI-ს საერო კრების წარმომადგენელთა ამორჩევა ხალხის ნებაყოფლობაზედ კი არა, მაზრის და თემის უფროსთათვის მიენდო: ხალხი უვიცია და თქვენ დაეხმარეთ, რომ ღირსეული წარმომადგენელი ამოირჩიოსო. იცით რა მოხდებოდა? ამგვარად მართებლობის შემწეობით ამორჩეულნი თავის დღეში ვერ გაბედავდნენ მეფის წინააღმდეგობას, ძალა-უნებურად მოიწონებდნენ ყველაფერს, რასაც კი მართებლობა მოიწადინებდა, და ჩვენ დღესაც იმ გაჭირებაში ვიქნებოდით, რომელშიაც 1789 წლამდე ვიყავით.

მგონი საჭირო არ იყოს, მოგახსენოთ, რა სიხარულით მივეგებენით დიდი და პატარა ამ განცხადებას; ჩვენს ნეტარებას საზღვარი აღარა ჰქონდა, რაკი დავრწმუნდით, რომ საერო კრება უთუოდ მოხდებოდა. მით უფრო გვიხაროდა, რომ ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა ამ ამბებს და ბევრნი ამბობდნენ, მანამ ჩვენის თვალით არა ვნახავთ, არ დავიჯერებთ, რომ ჩვენ მეფე მაგისთანა წყალობას გვიზამსო. და მართალსაც ამბობდნენ: იმდენს გვატყუებდნენ საუკუნეთა განმავლობაში, რომ ახლა მართალიც აღარ გვჯეროდა.

იმავე დღეს ნაშუადღევის ხუთ საათზედ მე და ნათლიაჩემი გაცხარებით ვმუშაობდით სამჭედლოში და ერთმანეთს შევცინოდით გახარებულნი. გადმომხედავდა ნათლიაჩემი და წამდაუწუმ გადმომძახებდა:

— ხედავ, მიშელ! ხედავ, რა კარგად მოვიდა საქმე! ერთი საერო კრებაცა ვნახოთ! თუ იქაც ალჩუს დაგვიჯდა კოჭი, მერე კი აღარა გვიჭირს რა!

—რატომ არ უნდა დაგვიჯდეს, ნათლიაჩემო?! ჩვენ ხელთ არ არის? საქმე ის არის, კოჭი კარგად ვაგდოთ! და ისევ ჩაქუჩებს ავაყოლებდით. გაბარებული კაცი ხომ ერთიასად ღონიერია მუშაობაში.

თოვლი დნებოდა. ისეთი ტალახი იყო ჩვენს ქუჩაში, ისეთი ჭყაპი იდგა, რომ მუხლამდე ლაფში ვიფლობოდით. თოვლი დნებოდა, ქუჩებში წყალი მიმდინარეობდა და სულ გაგვანადგურა, პატივი აღარავის შეგვარჩინა. არიქათ, მიშველეთო, — დაიკივლებდა სადმე საწყალი დედაკაცი და ნიჩბით ან ცოცხით უნდოდა პატივის შემაგრება, მაგრამ წყალთან ვერასა ხდებოდა და გაჰკივოდა: მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანებიო! ბედისაგან დაჩაგრული კაცისთანა გაუბედავს და უსაზროს ხომ ვერას წარმოიდგენს ადამიანი: ეს ხარჯიო, ეს ბეგარაო, ეს ბატონიო, ეს მღვდელიო და აზრადაც არავის მოგვდიოდა ქვით მოკირწყვლა ქუჩისა; ძნელი ხომ არაფერია, მაგრამ მოფიქრება არ უნდოდა? და დავტოპავდით ისე ტალახში, წელამდე ლაფში ამოზუნზულები!

უცბად ხუთი თუ ექვსი კაცი მოგვადგა კარზედ. ექვსივე ზემოდან, მთიდან მომავალნი; ექვსივე სახელგანთქმულნი და ყველასაგან პატივცემული კაცები: იაკობ ლეტუმიე, ნიკოლოზ კოშარი, კლოდ ჰურე, გოტიე კურტუა, ერთის სიტყვით, ვინც კი გამოჩენილი და გავლენიანი კაცი მოიპოვებოდა ჩვენს სამამასახლისოში, სულ იქ იყვნენ, ჩვენს სამჭედლოს კარებზედ. მოვიდნენ, ქუდი მოგვიხადეს, სალამი მოგვცეს და ჯოხებზედ დაეყრდნენ, თითქო დიდი ხნის მასლაათს აპირობენ ამ შუა ქუჩაშიო.

— ოჰ, გამარჯვებათ თქვენი! — მიესალმა ნათლიაჩემი. ლეტუმიეს გაუმარჯოს! რასა იქ, ჩემო ჰურე! გამარჯვებათ, გამარჯვებათ! ვაი გამიწყრა ღმერთი, ეს ქუდები რაზედ მოგიშვლეპიათ, კაცო?!

და სიცილი დაიწყო. ისინი კი იდგნენ და ისე დარბაისლურად და ჩაფიქრებულნი გამოიყურებოდნენ, რომ ნათლიაჩემი გაკვირვებული დარჩა: რა მოსვლიათ ამ კაცებსაო? ბოლოს ერთიორად წელში მოიხარა ლეტუმიე და ნათლიაჩემს უთხრა:

— ბატონო ლერუ! თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ცოტა საქმე გვაქვს შენთან.

— ჩემთან?

— დიაღ, ბატონო, საერო კრების შესახებ.

— ჰო, ეგ სხვაა! ძალიან კარგი... მობრძანდით!.. ტალახში რას გაჩერებულხართ?

რიგ-რიგით შემოვიდნენ სამჭედლოში ექვსივენი, იმ პატარა ალაგში ძლივსღა ვეტევოდით; იდგნენ თავიანთ ჯოხებზედ და-

ყრდნობილნი და ზოგი საქოჩრეს იფხანდა, ზოგი კიდევ ლეტუმიეს შეჰყურებდა: თქვი რაღა, შე კაი კაცო, რაღას გვალოდინებო!

— მიბრძანეთ, რისთვის გასჯილხართ? — უთხრა ნათლიაჩემმა, როცა დარწმუნდა, რომ ისინი აგრე ადვილად ენას ვერ ამოიდგამდნენ. — მიბრძანეთ, ნუ დამერიდებით და, თუ შემიძლია, გარწმუნებთ, არაფერში დაგზარდებით.

— აი, შენი ჭირიმე, — დაიწყო ხურო კოშარმა. — ჰოდა ჩვენც იმიტომ მოგძებნეთ, რომ შენი იმედი გვქონდა. ორასი კომლი არა ვართ, ჩვენი სამამასახლისო, რომ ვთქვათ.

— დიაღ, ორასი კომლი ვიქნებით!

— ჰოდა ორასმა კომლმა ორი წარმომადგენელი უნდა აირჩიოს, თუ არა? ხომ ორი კაცი უნდა აირჩიოს?

— დიაღ, მერე?

— ჰოდა მერე ისა, რომ ერთი შენ უნდა იყო, ბატონო ლერუ! დიაღ, ერთი შენა და მეორე? მეორე რომ არავინა გვყავს?!

— როგორ? თქვენ გინდათ ხალხის წარმომადგენლად მე ამირჩიოთ? — შეჰყვირა ნათლიაჩემმა და სახეზედ სიამოვნებამ გადაჰკრა და თვალები გაუბრწყინდა.

— ჰოდა შენა! ერთი შენა, მაგრამ მეორე რომ არავინა გვყავს?

— აი, რა მოგახსენოთ, — უთხრა ნათლიაჩემმა. — აქ ამ გახურებულ ქურასთან დგომას, ის არა სჯობიან შინ ავიდეთ და იქ მოვილაპარაკოთ. თუ ჩემმა დედაკაცმა ერთი ხელადა ღვინოც მოგვაწოდა, ხომ სულაც აღარა გვიჭირს რა! ტვინი გაგვინათლდება და ისე ლამაზად მოვაგვარებთ საქმეს, რომ უკეთესი არ შეიძლებოდეს.

რასაკვირველია, დაეთანხმნენ. მე სამჭედლოში დავრჩი და ის იყო ჩაქუჩი ავიღე, რომ ნათლიაჩემმა შემომყვირა შუა ქუჩიდან:

— წამო, რაღა, მიშელ? ეს ისეთი საქმეა, რომ საჭიროა, ყველანი შევთანხმდეთ.

და ერთად შევედით დუქნის დიდ ოთახში. იქვე ფანჯარასთან მაგიდას შემოვუსხედით გარშემო. ნათლიაჩემმა ხელადით ღვინო ამოატანინა, ყველი და პური. დაისხეს, ერთმანეთი ადღეგრძელეს. ნათლი-ჯალაბი კი განცვიფრებული იყურებოდა, რა ვქნა, ამ კაცს ხომ არა დამართვია რაო? ლეტუმიე ცდილობდა ნათლი-ჯალაბისათვის კრების მიზეზი აეხსნა, მაგრამ პირს გააღებდა და, თითქო ენა სასას მიეკვრაო, იყო ისე პირგაღებული. ბოლოს ისევ ნათლიაჩემმა დაიწყო:

— ცოდო აღიარებული სჯობიანო, ნათქვამია, მეც ჩემს ცოდვას მოვახსენებთ: თქვენმა წინადადებამ ძალიან მასიამოვნა. თქვენა გნებავთ თქვენს წარმომადგენლად ამომირჩიოთ? მე თანახმა გახლა-

ვართ, რადგან კაცი თავის ქვეყნის შვილია და, მაშასადამე, მისი ყურმოჭრილი ყმა და ბოსამსახურე უნდა იყოს. მე თანახმა ვარ. ოღონდ ამას კი მოგახსენებთ, თუ ჩემთან შოველიც არ ამოგირჩევიათ, მე იძულებული ვიქნები, უარი მოგახსენოთ.

— შოველი?! კალვინისტი?! — შეჰყვირა ლეტუმიემ და ისეთი განცვიფრებით შესცქეროდა ნათლიაჩემს, თითქო თავისთავს ეკითხება — ხომ არ გაგიჟდა, ეს რა წამოროშა ამ კაცმაო?

სხვებიც ისევე გაშტერებულნი შესცქეროდნენ ნათლიაჩემს და ყვიროდნენ:

— როგორ?! კალვინისტი და ჩვენი წარმომადგენელი?!

— მომისმინეთ, — უთხრა წყნარად ნათლიაჩემმა. — ჩვენ რომ კაცებს ამოვირჩევთ და სამაზრო კრებაში დასასწრებლად გავგზავნით, იმას კი არ მივანდობთ, საერო კრება საეკლესიო კრებად გახადეთ, სარწმუნოებრივი საქმეები განიხილეთ და საღვთისმეტყველო კითხვები აღძარით შვიდ საიდუმლოებათა შესახებაო. ჩვენ ჩვენი საქმეების გასარიგებლად ვგზავნით იქ კაცებს, საქვეყნო, საერო საქმეებისთვის, და უპირველესად ყოვლისა იმას დავავალებთ ჩვენ ამორჩეულ კაცებს, რომ ბეგარა შეგვიმსუბუქონ, ხარჯი შეგვამცირონ, მღვდლისა და ბატონის უღლიდან გამოგვიშვან, და თუ საქმე გაჭირდა, არც ბატონს დაუვარდნენ, არც ბერს და არც მღვდელს! ჰოდა თქვენ რომ მე მომმართეთ, და, მაშასადამე, თქვენთვის გამოსადეგ კაცად მიცანით, მე მგონი არც შემცდარი ხართ! რაც გლეხკაცს და იმის უვიცობას შეეფერება, ცოტათი მეც მიჭრის გონება, მაგრამ ეგ არა კმარა. თქვე კაი კაცებო, ჩვენ იმისთანა ბრძოლა მოგველის, რომ მარტო მაგითი ფონს ვერ გავალთ. რა ვიცი, წიგნიც კარგი ვიცი, ანგარიშიცა, ჩვენი ყოფა-ცხოვრებაცა! ისიც კარგად ვიცი, რომ ქედზედ უღელი მადევს და პირში აღვირი მაქვს ამოდებული, მაგრამ საქმე რომ საქმეზედ მივიდეს, მე, უკაცრავად პასუხია, ყროყინის მეტს ვერას მოვახერხებ. მოვყვები და იქნება ჩემზედ უკეთ ჩვენს სოფელში სხვამ ვერც კი იყროყინოს! მაგრამ, აკი მოგახსენეთ, მაგითი ვერას გავხდებით და! იცით იქ რა კაცებთან გვექნება საქმე? ისეთ სწავლულ და გამოცდილ კაცებს გამოგზავნიან თავადაზნაურნი და ბერები, ისეთ გაეშმაკებულ, გაფლიდებულ, ქლესა კაცებს, რომ მგონი სიტყვაც არ მათქმევინონ. მე რომ ერთი ვთქვა, ისინი ათასობით დამაყრიან და გამამტყუნებენ. იმიტომ რომ იმათ სწავლა აქვთ, კანონებიც კარგად იციან, ადათი და წესიც, და ყველაფერიც. იქნება სულ ტყუილს მეუბნებოდნენ, იქნება ცრუობდნენ და გულში მევე დამცინოდნენ — ჰაი, შე საწყალო, შენაო! მაგრამ მე კი ვერას გავუგებ და რა? კიდეც რომ მიგრ-

ძნოს გულმა, — არ დაუჯერო, ფლიდობსო. პასუხს კი ვერ მოვუ-ხერხებ და! პირში ბურთს კი ვერ ჩავჩრი და! ჰოდა მიკვალთ, ვილა-პარაკებთ, ვილაპარაკებთ და იმის მაგივრად, რომ ცოტა რამ თავი-სუფლება შევიძინოთ, ისინი უმეტესად დამონავებულს გამოგვის-ტუმრებენ შინა.

ლეტუმიე ისევ ისე პირღია შესცქეროდა ნათლიაჩემს.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ შოველი?.. კალვინისტი!.. მერე რომ... — ლუღლუღებდა შეშინებული ლეტუმიე.

— მოითმინე, გავათავო, — განაგრძო ნათლიაჩემმა. — მე თა-ნახმა გახლავართ თქვენი მონდობილობა ვიკისრო და, თუ გამოვა ვინმე და ჩვენი მაზრისა და ჩვენი ხალხის სასარგებლოს იტყვის რასმე, გარწმუნებთ მეც მხარს მივცემ და გავამაგრებ, მაგრამ მე რომ ვერას ვიტყვი! მე რომ ვერავის რას ვუპასუხებ! რა ვქნა, მაგ-დენი სწავლა არა მაქვს და რა ვუყო! არც სწავლა და არც ცოდნა! მერწმუნეთ, სულ ძირიანად რომ გადავაბრუნოთ ჩვენი სამამასახ-ლისო, სანთლებით რომ ვეძებოთ, შოველისთანას ვერავის ვიპო-ვით. შოველისთანად ჩვენს გაჭირებას ვერავინ იტყვის. შოველის-თანად ჩვენს სიკეთეს, ჩვენც კი ვერ მოვინდომებთ, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენს ცხვირს იქით ვერასა ვხედავთ. აგრე კი ნუ უყურებთ! რა არის, რომ იმან არ იცოდეს? კანონებიო, წესებიო, მეფისა და პარლამენტების ბრძანება და განაჩენებიო, ვინ მოსთვლის?! ისე ჩა-მოსთვლის ჩვენს მეფეებს და იმათ ამბებს, გეგონებათ დაბეჭდილსა კითხულობსო. იმას კი ნუ იტყვით, მეწვრილმანე არისო. მაგ მე-წვრილმანეს თავით ბოლომდე წაუკითხავს ყველა ის წიგნები, რომ-ლებიც ამ ოცი წლის განმავლობაში ზურგით უტარებია და ხალხში გაუსაღებია. იქნება გეგონოთ გზაში რომ არის, აქეთ-იქით იყურე-ბოდეს და ამწვანებული ტყით სტკბებოდეს, ან აყვავებულ მინდვ-რით, და შორს დათოვლილ მთების ქედით? თქვენც არ მომიკვდეთ! ცხვირი წიგნში წაუყვია და მიდის ისე ნელ-ნელა! ან არა ჩვენი გან-თავისუფლების გზა-კვალსა და საღსარს ეძებს! საბუთებსა და სა-ფუძველს ეძებს! რაღა ბევრი გავაგრძელო, თუ გნებავთ, რომ ჩვე-ნი ყოფა-ცხოვრება შეიცვალოს, თუ გნებავთ, რომ გლეხკაცი ბა-ტონის ყურმოჭრილ ყმად კი არა, თავისუფალ ადამიანად იქცეს, პირველად შოველი ამოირჩიეთ და მერე მე. თუ შოველი იქა მყავს, აღარაფრისა მეშინია; თუ ის იქ არ არის, მე რის მაქნისიღა ვიქნები? უმისოდ მეც ნუ ამომირჩევთ, რადგან ახლავე უარს მოგახსენებთ.

ისეთი დაბეჯითებით, ისეთი ცხარი რწმუნებით ამბობდა ამას

ნათლიაჩემი, რომ ისინიც დაარწმუნა. მაგრამ არ უნდოდათ აგრე ადვილად დასთანხმებოდნენ, ქეჩოს იფხანდნენ და ერთმანეთს თვალით ეკითხებოდნენ.

— ძალიან კარგი, — სთქვა კოშარმა, — მაგრამ საქმე ის არის, მიიღებენ კი შოველს?

— რატომ არ უნდა მიიღონ! განცხადებაში წარმომადგენელთა სარწმუნოების შესახებ არაფერი სწერია. იქა სწერია, ყველას ნება აქვს აირჩიოს თავისი წარმომადგენელი და თითონაც იქმნას არჩეული, ოღონდ ფრანგი იყოს, არა ნაკლებ 25 წლისა და ხარჯს იხდიდესო. შოველი ფრანგია და ხარჯსაც, ჩვენზედ მგონი მეტს იხდის და არა ნაკლებს. ეგეც რომ არ იყოს, განა არ გახსოვთ, შარშან ჩვენმა კეთილმა მეფემ მოქალაქებრივი უფლებანი მიანიჭა კალვინისტებს, ლოტრანგებს და თვით ებრაელთაც. შარშან არ იყო, როგორ არ გეხსომებათ! ჩვენ შოველი ამოვირჩიოთ და დანარჩენზე ნურას ვიწუხებთ. მერწმუნეთ, კალვინისტი ყოველი უფრო მეტს სიკეთეს შეგვძენს და მეტს პატივს დაგვდებს, ვიდრე სამასსამოცდასამი ბერი. მერწმუნეთ, ის იმისთანა ცოდნით, ჭკუით და გაბედვით დაეხმარება ჩვენ ხალხს, რომ თვით დიდებულთაც შეშურდეთ. საქვეყნოდ სახელს გაუთქვამს ჩვენს სოფელს! ერთი ხელადა კიდევ, ეკატერინე!

ჩაფიქრდნენ ჩვენი სტუმრები, ეტყობოდათ დიდ გაჭირებაში იყვნენ: ვერც ჰო ეთქვათ, ვერც არა. ამ დროს ნათლიაჩემმა ღვინო მიაწოდა და უთხრა:

— გადაჭრით მოგახსენებთ, თუ შოველს არ ამოირჩევთ, არც მე მინდა. თუ შოველს ამოირჩევთ და, დიდი მადლობით ვიკისრებ თქვენს ბრძანებას. ღმერთმა განაძლიეროს ჩვენი მეფე!

გული მოულბათ იმათაც და შესძახეს:

— ღმერთმა განაძლიეროს ჩვენი მეფე!

და როცა დალიეს, ლეტუმიე წამოდგა და თქვა:

— ახლა მოდი შენა და ჩვენს ქალებს კალვინისტი გაუხსენე!... ეჰ, რა გაეწყობა! ბატონო ლერუ, თუ კი უშოველობა არ შეიძლება, აი, ჩემი ხელი.

— აი, ჩემი ხელი! — დაიძახა მეორემ, მესამემ... და ყველამ ხელი ჩამოართვეს.

ის ხელადა გამოსცალეს და წამოდგნენ კიდეც შინისკენ წასასვლელად. სოფელში ამათზედ გავლენიანი კაცი აღარავინ იყო და დარწმუნებული ვიყავით, რასაც ესენი მოინდომებდნენ, სოფელიც იმას იზამდა.

— მაშ აგრე, საქმე გათავებულია, — უძახდა ნათლიაჩემი კარებიდან და პირს კმაყოფილების ღიმილი მოსდიოდა.

— გაჩარხულია, გაჩარხული! — უყვიროდნენ მიმავალნი და ცდილობდნენ ღრმა ლაფში არ ჩაეტოპნათ.

ჩვენ ისევ სამეჯედლოში შევედით. მაგრამ მუშაობას ველარ ვახერხებდით, რადგან სულ სხვა ფიქრებმა გაგვიტაცეს ორივე. შვიდ საათამდე ვიმუშავეთ და მერე კი შინ ავედით.

წარმომადგენელთ ამორჩევა კვირას იყო დანიშნული. შოველი და მარგალიტა აგერ ორი კვირა იყო, რაც სავაჭროდ იყვნენ წასულები და თავის დღეში არ გაეყიდნათ იმდენი წიგნები, რასაც იმ ხანებში ჰყიდდნენ; ნათლიაჩემი იძახდა, თუ კვირამდე არ გაჩნდნენ, კვირას არჩევნებზედ მაინც დაესწრებიანო.

იმ საღამოს ახალი აღარა მომხდარა რა და მეც შინისკენ გავეშურე.

XI

კვირადღეს მართლა სამაგალითო მშვენიერი დღე დაგვიდგა, თითქო ხალხთან ბუნებაცა ხარობსო, იმ დილას სრულიად მოიწმინდა ცამ, მზემ გამოაშუქა და არემარე თავისი სხივებით დაამშვენა. ჯერ შვიდი საათი არ შესრულებულიყო, რომ მე და მამაჩემი გზას გავუდექით. მივდიოდით და საცა კი ჩვენი მთიდან თვალი მიგვიწვდებოდა, ყველგან მიმავალ ხალხსა ვხედავდით. ყველანი მორთულ-მოკაზმულიყვნენ, და ისეთი სიმღერა დაფდაფი მოისმოდა ყველა მხრიდან, თითქო ერობაზედ სადმე მიდიან და მიიმღერიანო. ცოტა ხანს უკან სულიწმინდის ეკლესიის დიდი ზარის ხმაც შეერია ხალხის ერიამულს და თან მოჰყვა ყველა სოფლების ეკლესიების ზარის წკარუნი. სულის წმიდის ეკლესიაში რომ წირვა გამოვიდოდა, არჩევნები მაშინ დაიწყობაო, ამბობდნენ.

მივდიოდით ნელ-ნელა მე და მამაჩემი; იმის პატივისცემა რომ არა მქონოდა, ხელად ჩავირბენდი ქალაქამდე; მაგრამ მამაჩემი უკვე მოხუცებული, სიღარიბისაგან გატეხილი, წელში მოხრილი კაცი იყო და ნელი ნაბიჯით მიდიოდა ჩაფიქრებული; ნელ-ნელა აბოჯებდა, სიფრთხილით, და სულ აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქო ეშინია, უცბად არა მეცეს რაო. საწყალი მამაჩემი! თავის სიცოცხლეში იმდენი ტანჯვა-წამება ენახა, იმდენი ავი დღე დაეღამებინა, რომ სუყველაფრისა ეშინოდა. ასჯერ მეტჯერ შემეხვეწა: მიშელ, გაფთხილდი, ხიფათი არა იყოს რაო! წამ და უწუმ გაჩერდებოდა და თვალცრემლიანი მეტყოდა:

— შვილო, მიშელ... შენ გაჩუმდი... ხმა არ ამოიღო... არა წა-

მოგცდეს რა... ხომ-იცი, შვილო, სიფთხილეს თავი არ ასტკივაო. აი, ნახავ, თუ უბედურება არა მოხდეს რა... ჩემოდენა კაცსა, შვილო, სიზმარიც დაეჯერება...

მე კი ძალიან იმედიანად ვიყავი. ნათლიაჩემისა და შოველისაგან იმდენი რამა მქონდა გაგონილი, იმდენი წიგნები მქონდა წაკითხული, გაზეთებიდან ისე კარგად ვიცოდი, რა ამბები ხდებოდა რანში, მარსელში, პარიზში და სხვა ქალაქებში, რომ ჩემდა უნებურად ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი ის რწმენა, რომ ჩვენი დახსნა მარტოდ-მარტო საერო კრებას შეეძლო. შიში და სიფრთხილე ფიქრადაც არ მომდიოდა. ან არა და განა თვრამეტი წლის ბიჭმა იცის კი შიში რა არის? ტყუილუბრალოდ კი არ ჩამიარა სამჭედლოში მუშაობამ. პიტალო კლდისაგან გამოქანდაკებულს მიგავდა ძხარ-ბეჭი და ხელით ნალს ვამტვრევდი. ის იყო ულვაშიც ამიმწვანდა! კოხტა ტანისამოსი, კოხტა გვერდზედ გადაგდებული ქუდი! ისეთი თავმომწონე ბიჭი ვიყავ, ისეთი თავმომწონე და არშიყი... ეეჰ, რა კარგი რამ ხარ, სიყმაწვილეე! საცა კი გოგოს თვალს მოვკრავდი, დავაშტერდებოდი, სულ თვალით შევჭამდი ხოლმე! რის შიში, რის რიდი?! მამაჩემის ხვეწნა, შვილო, არა წამოგცდეს რაო, მე სიცილად არა მყოფნიდა.

აგერ მოედანზედაც გავედით. ქვეყანი გარედ იყო. ჩვენი დუქნის ფანჯრები ღია იყო. დიდ ოთახში ნათლიაჩემი და ვალენტინი ისხდნენ და პურსა სჭამდნენ: ჩარექით ღვინო ედგათ და ისე იღმურძლებოდნენ, თითქო სამი კვირის სავალზედ მიდიანო. ორივ მორთულიყვნენ: ნათლიაჩემს მჭედლის ტანისამოსი ეცვა, როგორც ოსტატს შეჰფერის, და ვალენტინს საქარგლო ხალათი. დაგვინახეს და ერთი ყვირილი მორთეს:

— აგერა მოდიან! აგერა! აქეთ, აქეთ!

შევედით, მივესალმენით.

— ჩამომართვი, ბასტიენ! ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი კეთილი მეფე!

მამაჩემმა ჩამოართვა წითელი ღვინით სავსე ფიალა და თვალთ ცრემლი მოერია.

— დიაღაც, ბატონო ივანე, ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი კეთილი მეფე! გაუმარჯოს ჩვენს კეთილ მეფეს!

ეჰ, რას იზამთ? იმ დროს ისე გვეგონა, ყოველი კეთილი მეფისაგან აყრია ხალხსაო; მაშინ ჩვენთვის მეფე ადამიანიშვილი კი არა, ღვთაებრივი არსება იყო, რომელსაც ჩვენ შვილებივით ვუყვარდით და რომლის საზრუნავი ჩვენი კეთილდღეობის გარდა არა იყო რა.

ის ჩარექა გამოვცალეთ და კიდეც მოვიდნენ სოფლის მოთავენი,

ისევ ისინი, რომლებიც ამას წინად ნათლიაჩემს სამჭედლოში ეწვივნენ. ოღონდ თან ლეტუმიეს მოხუცებული მამაც წამოეყვანათ, საწყალი ბერიკაცი! ისეთი მოხუცებული იყო, რომ ძლივსღა ხედავდა, ყურთასმენა თითქმის აღარა ჰქონდა და სიარული ხომ სრულიადაც აღარ შეეძლო და ორი ბიჭი შესჯდომოდა მხრებში და ისე მოჰყავდათ, მაგრამ მაინც წამოსულიყო: არჩევანს მეც უნდა დავესწრო, ჩემი უფლებით მეც უნდა ვისარგებლოო. და მანამ ნათლიაჩემი ღვინოს ამოატანინებდა, იქ მყოფნი სიხარულით შეჰყურებდნენ ერთმანეთს და იძახდნენ:

— ძლივს არ მოვესწარით ამ დღეს! ახლა კი გათავდა ჩვენი წვალება! აბა, კაცებო, ერთხმად! მტერს თვალები დავუყენოთ!

და ერთმანეთს ეხვეოდნენ და იცინოდნენ. თოვლივით გათეთრებული მოხუცი თავისას ჩიოდა:

— ოჰ, რა გრძელი ყოფილა სიცოცხლე! ღმერთო, რამსიგრძე ყოფილა! მაგრამ დღევანდელი დღის დამსწრეს, წარსული ჭირი ლხინად მეჩვენება.

ამაზედ ნათლიაჩემმა უპასუხა:

— მართალსა ბრძანებთ, ბატონო ლეტუმიე, რთველში გაზაფხულის ყინვა ვიღას აგონდება? ემანდა მწიფე ყურძენი, — მისდექით და კრიფეთ! ძალიან ძვირად დაგვიჯდა ეს რთველი, ბევრი ვიტანჯეთ, ბევრი ვაი-ვაგლახი ვნახეთ, ჩვენი სისხლით მოერწყეთ ყოველი ვაზის ძირი, მართალია, მაგრამ წარსულს ვიღა ჩივის? გავიხაროთ! მოვკრიბოთ, დავწუროთ და ქვევრები გავავსოთ! თუ კარგად მოვიქეცით, ღვთის მადლით ჩვენც გვეყოფა და ჩვენს შვილიშვილებსაც! გაუმარჯოს ჩვენს მეფეს!

და ყველამ ერთხმად დაიძახეს:

— გაუმარჯოს ჩვენს მეფეს! გაუმარჯოს!

ერთი ხელადა კიდევ ამოვიტანეთ. კარგა ლამაზად შევნაყრდით და გზას გავუდექით. მგონი, რომ კარგ გუნებაზედ ვიქნებოდით, ჰა?

ჩვენებურები სულ ერთად იდგნენ მოედანზედ და ჩვენღა გველოდნენ: ისინიც ჩვენ შემოგვიერთდნენ და ისეთი სიმღერით და სტვირებით გაგვიძღვნენ წინ, თითქო საქორწილოდ მიდიანო. საცა კი გაიხედავდით, ყველგან სიმღერა ისმოდა და ყველგან, ყველა ეკლესიაზედ ზარსა რეკდნენ. სწორედ ისე, როგორც აღდგომა ღამეს იციან. განაღა მივდიოდით? მივდიოდით კი არა, მივთამაშობდით, მივხტოდით, ქუდებს ცაში ვისროდით და წამდაუწუმ ვყვიროდით:

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ხალხისთვის მზრუნველ მეფეს!

საკვირველი გუგუნი გაჰქონდათ ზარებს — მთაში და ბარში, საცა კი სამრეკლო იყო, ყველგან ზარის რეკა ისმოდა და რაც მეტად ვუახლოვდებოდით ქალაქს, იმდენად მეტი იყო ეს ჟრიამული.

ქალაქი მორთულიყო, გალამაზებულიყო. ყველგან დროშები ფრიალებდნენ, თეთრი აბრეშუმის ოქრომკედით იის ფერად ნაკერი დროშები. არა, მე ჩემს დღეში ისე არა მომწონებია რა, როგორც მაშინ ჩვენი ქალაქი მომეწონა!

ბევრი რამ მინახავს შემდეგში: რესპუბლიკის გამარჯვებანი, ჩვენი უძლეველი სიმაგრენი და იქიდან ზარბაზნის ქუხილი, სამშობლოსთვის თავგანწირვა აურიცხველი ხალხისა და ერთხმად გრიალი „საფრანგეთს გაუმარჯოსო! რესპუბლიკას გაუმარჯოსო!" მაგრამ ისე არაფერი ჩამრჩენია გულს, როგორც ეს დღე ჩამრჩა. მაშინ სისხლის ღვრას არავინ ფიქრობდა; ჩვენ გვინდოდა ძმურად გადავხვევოდით ერთმანეთს და ისე გაგვერიგებინა ჩვენი საქმეები.

ის იყო ქალაქს მივუახლოვდით და მამა ქრისტეფორეც დაგვეწია. მოდიოდა და თან თავის სამწყსო მოსდევდა. რომ დავინახეთ ერთმანეთი, გავჩერდით, ქუდები მოვიხადეთ და შევყვირეთ:

— ჩვენს კეთილ მეფეს გაუმარჯოს!

მამა ქრისტეფორე და ნათლიაჩემი ერთმანეთს გადაეხვივნენ და კოცნა დაუწყეს. მერე სიცილით, ხუმრობით, სიმღერითა და თამაშით მივადექით ქალაქის კარებს; ჩვენზედ წინ ბევრი სხვა სოფელი მისულიყო და შესავალში აუარებელი ხალხი შეგროვილიყო. კარებთან დარაჯი იდგა და იმან გვანიშნა გაჩერდითო. ხიდზედ იმდენი ურმები შემდგარიყო, რომ ვეღარც წინ მიდიოდნენ, ვეღარც უკან: ყველას თურმე უნდოდა არჩევანს დასწრებოდა და ვისაც სიარული აღარ შეეძლო, ურმით წამოსულიყო; ერთი ჩავალთ, ამ ბედნიერ დღესაც ვნახავთო, იძახდნენ ძალზედ მოხუცებულები, და მერე კი სიკვდილისაც აღარ გვეშინიანო. ბევრნი ტიროდნენ სიხარულისაგან.

ამის შემდეგა თქვან, თუ არ შერცხვებათ, რომ უწინდელებს თავის საქმისაც კი არა ესმოდათ რაო! შინ არავინ დარჩენილა, არავინ, სუყველანი უკანასკნელ მოხუცამდე და კუტამდე იმას გაიძახოდნენ — უფლება გვაქვს და კიდეც გამოვიყენებთო.

კარგი ნახევარი საათი გვალოდინეს შესავალში, ვიდრე ხიდზედ შევდგებოდით. ბოლოს, როგორც იყო, ქალაქშიაც შევედით.

ხალხით სავსე იყო იქაურობა, და მერე რა ხალხით! ისეთი ჟრიამული იდგა, თითქო მკვდრები ყოფილან და გაცოცხლებულანო. ქუჩის თავში დაიძახებდა ვინმე, ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! და

გაჭონდა იმოდენა ხალხს გრიალი, ქუჩის ბოლომდე: გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

რაკი მოედანზედ გავედით, ისე გაგვჭედეს ხალხში, რომ ველარც წინ წავედით, ველარც უკან, საცა კი თვალი მივაწვდინეთ, ყველგან ხალხი იყო, და გასავალი არსაითა ჩანდა.

სულიწმინდის ეკლესიაში წირვა იდგა, მაგრამ იქამდინ ვინ მიგვაღწევინებდა? ჯარისკაცსაც კი ყურადღებას აღარავინ აქცევდა, თუმცა წესიერების დასაცავად დაეყენებინათ; ბევრს ყვიროდნენ, მიიწიეთ, აქეთ ნუ მოდიხართო, მაგრამ თითონ იმათ მიაწევინებდა ხოლმე ხალხი, და ისე მიამწყვდევდა სადმე კუნჭულში, რომ ხმლის ამოღებასაც ველარ ახერხებდნენ.

სწორედ იმ დროს მოაგონდა ნათლიაჩემს, — ჩემი მეგობარი იაკობ რენოდოს ლუდხანა ხომ აქვე არისო და გვანიშნა, მომყევითო, მე, მამაჩემს, ვალენტინს და მამა ქრისტეფორეს. ბევრი ვეწვალეთ, ბევრი მუჯლუგუნი წაგვკრეს, მაგრამ, როგორც იყო, ლუდხანასთან მივედით, მაგრამ იქ იმდენი ხალხი იყო, რომ ადამიანს აღარ შეესვლებოდა და უკანა კარიდან მოვუარეთ, სამზარეულოდან, და ისე შევედით.

დიასახლისმა მაშინათვე იცნო ნათლიაჩემი და პირველ სართულში აგვიყვანა ცალკე ოთახში; ცოტა ღვინო ამოგვიტანა, ლუდი და ძეხვი; ჩვენც მეტი არა გვინდოდა რა.

ჩვენებურები კი იდგნენ და გაშტერებულნი აქეთ-იქით იყურებოდნენ: ის კაცები ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამაო?! ეს არის ეხლა აქ არ იყვნენო?! მაგრამ რა გვექნა? იმოდენა ხალხის დაძახება შეუძლებელი იყო.

პირველ საათამდე იქ ვიყავით, და მაშინ კი, როცა ვნახეთ, რომ თითქმის ნახევარ ხალხმა გაათავა თავისი და მოედანზედ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს, ქვეით ჩავედით ჩვენც და ჩვენებურების ძებნა დავიწყეთ. ისინი თურმე კიდეც დაეძახათ: მოდით, ახლა თქვენი რიგიაო. გავიგეთ თუ არა, მაშინვე საავადმყოფოს ქუჩაზე მოვუარეთ და წინ დავხვდით; ჩვენებურებს კი ეგონათ — დიდი ხანია აქ გველიანო და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— აგერა, ვეჟო! აქ არა ყოფილან! ჩვენ კი ხალხში ვეძებდით!

სამაზრო სამმართველოს ძველი შენობა გატენილი იყო ხალხით. კიბემდის კი მივაღწიეთ, როგორც იყო, და იმის იქით კი ველარა გავაწყეთ რა, რადგან ჯერ ველშბურგელებს არ გაეთავებინათ და იმათ გამო ზედ კიბეზედ მოგვიხდა ლოდინი. და იმ ლოდინში, როდესაც გაჩუმებულნი ყველანი ერთი ფიქრით ვიყავით გატაცებულნი და ძალზედ აძაგძაგებულ გულს ველარ ვიმაგრებდით, როდესაც

ჩვენს გარშემო წამდაუწუმ საშინელი გრგვინვა გაჰქონდა ხალხის ძახილს, ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! სწორედ იმ ლოდინში, იმოდენა ხალხის ჟრიამულში, ყური მოვკარ ნაცნობს, სალამურივით ტკბილ ხმას. ჩვენი მარგალიტა, ჩვენი პატარა მარგალიტა იყო იქვე სადღაც ხალხში და გაიძახოდა:

„რა არის ხალხი? რა არის ხალხი? მღვდელი სიესის თხზულება. ბატონებო, ახალი წიგნი არა გნებავთ? სიესის თხზულება — რა არის ხალხი! იყიდეთ, ბატონებო! სათემო კრებები, თხზულება თავადი ორლეანელისა, ვისა ნებავს სათემო კრებები?“

ნათლიაჩემთან მივედი და ვკითხე:

— ჩვენი მარგალიტას ხმა არ გეყურება, ნათლიაჩემო?

— როგორ არა. რამდენი ხანია ყურს ვუგდებ. რა ყოჩაღები არიან მამაცა და შვილიც. აბა მაგათ უნდა სთქვან აი, ჩვენს ქვეყანას კეთილსინდისიერად ვემსახურეთო! ძაან, ძაან ღვაწლი დაგვდეს, ღვთის წინაშე. იქნება გაძვრე როგორმე და მარგალიტა ნახო, უთხარ შოველი გამოგზავნოს. ისიც მანდვე იქნება, ხალხში. დეე თვალითა ნახოს, როგორ ამოვირჩევთ. როგორ იამება!

მეტი თქმა კი აღარ მინდოდა! ზოგს მხარი წავკარი, ზოგს ნიდაყვი და როგორც იყო ზევით ავედი და კიბის თავს მოვექეცი, გადავიხედე, აგერ ჩვენი მარგალიტა! შუა მოედანზედ გაჩერებულა, თავისი კალათი იქვე სკამზედ დაუდვია და ხელში წიგნები უჭირავს. ხან გამვლელსა სწვდება კალთაში, და დააყენებს, ხან გამომვლელსა, ხან ერთ წიგნს შესთავაზებს, ხან მერრეს!.. ისეთი სისწრაფით ასაღებდა წიგნებს, ქალი კი არა, პატარა ალქაჯი გეგონებოდათ. მარდი, ცქვიტი, სიცოცხლით სავსე, ისე აშუქებდა თავის გიშერივით შავი თვალებით, რომ იმის დანახვაზედ არჩევანიც დამავიწყდა და მთელი ქვეყანაც, ვიდექი გაშტერებული და პატარა მარგალიტას მეტს ვეღარას ვხედავდი.

კარგა ხნის შემდეგ, გონზედ რომ მოვედი, როგორც იყო, მარგალიტამდე მივაღწიე და ის იყო უნდა დამეძახა, რომ თითონვე მტაცა ხელი და შემომღიმა:

— რა არის ხალხი? ბატონო, ახალი წიგნი! აი, გასინჯეთ მღვდელი სიესის თხზულება — ინებეთ, ბატონო!

— რა ქენა, ვეღარა მცნობ, მარგალიტა?

— მიშელ. შენა? — და გულიანად გაიკასკასა.

იცინოდა და თან შუბლიდან ოფლს იწმენდდა და თმას ისწო-

რებდა. თმა გაშლოდა და მხრებზედ მოჰფენოდა. რა სიხარულით შევყურებდით ერთმანეთს!

— რამდენს შრომობ, მარგალიტა! რამდენს ეწვალები!

— ნეტავი შენა, მიშელ! საქმე კეთდებოდეს, თორემ... არა უშავსრა, მომავალი ჩვენია. ჩვენ ეს წიგნები გავავრცელოთ.

კაბის ქობა დამანახვა. ისე ჰქონდა ტალახში გასვრილი და დაფხრეწილი, თითქო სამი თვის სავალი გამოუვლიაო.

— წუხელი წამოვედით ლუნეველიდან, მთელი ღამე ვიარეთ. ექვსასი წიგნი წამოვიღეთ — რა არის ხალხი? და დღეს იმდენი გავყიდეთ, იმდენი! რომ სულ ასიც აღარ გვექნება.

ისეთი კმაყოფილი იყო თავის თავისა, ისეთი ბედნიერი, რომ თითქო მეც გადმომედო იმის სიხარული, ხელი ჩამოვართვი და... სულ სხვა მინდოდა მეთქვა, მაგრამ ენამ მიმტყუნა და ვკითხე:

— მამაშენი სადღაა?

— არ ვიცი. ქალაქში უნდა იყოს. საცა კი ხალხია, ისიც იქ არის. დუქნებში, ლუდხანებში; გაუყიდავი ერთიც არ დაგვრჩება სიესის წიგნი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მამამ აქამდე თავისები კიდეც გაყიდა და ახლა ჩემს საძებრად მოდის.

და უცბად ხელი გამომგლიჯა და ხუმრობით შემომიტია: ახლა კი წადი! აგერ, ჩვენებურები შეიყვანეს დარბაზში!

— მე რომ ჯერ ოცდახუთის წლისა არა ვარ, მე ჯერ ხმა როდი მაქვს.

— ეგ სულ ერთია! წადი, ნუ მაცდენ! ტყუილად დროს ნუ მაკარგვინებ!

და ისევ წიგნებს მივარდა და დაიწყო:

— ბატონებო, ახალი წიგნები, სიესის წიგნი, რა არის ხალხი?...

განცვიფრებული წამოვედი. მე მარგალიტა ყოველთვის თავის მამასათან მენახა და ახლა, მარტო რომ ვნახე, სულ სხვანაირად მეჩვენა. იმის გამბედაობა მაკვირვებდა. მოვდიოდი და ვფიქრობდი:

— გაჭირებას ის პატარა გოგო უფრო უკეთ დაახწევს თავს, ვიდრე შენ, ჩემო მიშელ.

აგერ კიბეზედ ავედი, აივანზედ გამოვედი, ხალხს გადმოვხედე და ჯერ ისევ იმავე ფიქრით ვიყავ გატაცებული. ბოლოს ნათლიაჩემმა გამომიყვანა ფიქრიდან:

— რაო, ბიჭო? ვერსად იპოვნე?

— როგორ არა, ნათლიაჩემო, ოღონდ მარგალიტა მარტო გახლავთ მოედანზედ: შოველი ქალაქშია თავის წიგნებით.

ამ ლაპარაკით შევედით დიდ დარბაზში, რიგი ჩვენ სოფელზედ

მომდგარიყო. არჩევანი ხმამაღლა იყო და რიგ-რიგად უნდა გაევლო ყველას მაზრის უფროსის წინ და დაესახელებინა თავისი წარმომადგენელი. ჯერ ისევ გარედ ვიყავით, რომ დარბაზიდან ხმა გამოდიოდა:

— ივანე ლერუ! მატურინ შოველი! მჭედელი ივანე ლერუ! მატურინ შოველი! მჭედელი ლერუ! შოველი!

ნათლიაჩემი ისე გაწითლებულიყო, როგორც ჭარხალი.

— ნეტავი შოველი კი აქ იყოს და! რა ბედნიერი იქნებოდა! — მითხრა ნათლიაჩემმა.

ჩემდა უნებურად უკან მივიხედე და სახტად კი დავრჩი: შოველი იქვე იდგა ჩვენს უკან გაშტერებული: ეს რა მესმის, ყური ხომ არ მატყუებსო?

— ეს შენი საქმე იქნება, ივანე! — უთხრა ნათლიაჩემს.

— დიაღ, — უპასუხა ნათლიაჩემმა სიხარულით.

— შენგან არ მიკვირს. — უთხრა შოველმა და ხელი ჩამოართვა — დიდი ხანია გიცნობ! მაგრამ იცი რამ გამაკვირვა და მეტადრე ასე ძალიან რამ მასიამოვნა? როგორ წარმოვიდგენდი, რომ კეთილმორწმუნე კათოლიკები კალვინისტს აირჩევდნენ თავიანთ წარმომადგენლად? ხალხი ყურადღებას აღარ აქცევს თავის ძველ ცრუმორწმუნეობას და, მაშასადამე, გამარჯვება ხალხისაა.

ნელ-ნელა მივდევდით ხალხს და ორ-ორი შევდიოდით დიდ დარბაზში. აგერ ტახტრევანივით ამაღლებულ ალაგას მაზრის უფროსი ბატონი შნეიდერი ოქრომკედით ნაკერი შავი ხავერდის წამოსასხამით. აგერ იმის ამალა სულ დიდებულნი, წარჩინებულნი პირნი. იქვე კედელზედ მშვენივრად გამოჭრილი ჯვარცმა.

ჩვენებურებმა როგორც დაიწყეს — ლერუ და შოველიო, ისევე გაათავეს. სხვა ერთს არავინ დაუსახლებია. მარტო ერთმა სთქვა. ნიკოლოზ ლეტუმიე და შოველიო! და მაზრის უფროსს ღიმილი მოუვიდა, ამას ივანე ლერუს გარდა ვინ იტყოდაო! და ერთმა კიდევ — ლერუ და ლეტუმიეო! სთქვა და ეს ერთიც შოველი იყო. შოველს კი კარგად იცნობდა მაზრის უფროსი და ღიმილი კი არა, უსიამოვნებაც დაეტყო სახეზედ, მაგრამ თავი შეიმაგრა. სწორედ იმ დროს მიუახლოვდა იმას ბატონი დეჟარდენი და რაღაცა წასჩურჩულა ყურში.

მე ხმა არა მქონდა და მარჯვნივ მხარეს გავედი. მერე ნათლიაჩემს და შოველს გავყევი. ქუჩაში გავედით, მაგრამ ვაი იმ გასვლას. სულ ოფლში გავიწურეთ, მანამ ხალხიდან გამოვიდოდით. უკან გავლა არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენს უკან მიტტელბრონელები იდგნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ. ავდექით და ძველ ბაზარში

გავედით. იქ კი ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ. შოველი გამოგვეთხოვა:

— საღამომდის! შინა განახავთ და მოვილაპარაკოთ!

ცოტა რამ კიდევ ჰქონდა გასასყიდი წიგნები.

მე და ნათლიაჩემი ერთად ავედით შინ. ხალხიც ნელ-ნელა მოდიოდა. დაღლა ეტყობოდა ყველას, მაგრამ სიმხიარულე კი არავის დაჰკლებოდა, მეტადრე იმას, ვინც ქალაქში შენაყრებულიყო და ღვინო ცოტა მეტი მოსვლოდა, ისეთი სიმღერითა და ყიჟინით მიდიოდნენ, თითქო მაყრიონი არისო. მამაჩემი და ვალენტინი ძალიან გვიან ამოვიდნენ. ჩვენ რომ ისინი გვეძებნა, იქნება ვახშმობამდისაც ქალაქში ვყოფილიყავით.

ვახშამი რომ ავალაგეთ, შოველი და მარგალიტა მოვიდნენ. შოველმა გაზეთები მოგვიტანა და სხვათა შორის სიტყვები და განაჩენები თავადაზნაურთა და სამღვდელოების კრებებისა. მართლა საუცხოო სიტყვები ეთქვა ამ კრებებზედ და გაკვირვებული დარჩა ნათლიაჩემი:

— რა ვქნა, როგორ დავიჯერო, რო ეს სიტყვა კეთილშობილის ნათქვამი იყოს? თუ მაგრე ფიქრობენ, ისე ულმერთოდ რად გვეკიდებიან?

აი, რა უთხრა პასუხად შოველმა:

— მომავალში სიტყვა და საქმე ერთმანეთს აღარ ულალატებენ. დიდებულნი კარგად ხედავენ, რომ ძალა ხალხის ხელთ არის და ტკბილი სიტყვით უნდათ გული მოგვიგონ. მაგრამ ხალხმაც უნდა შეიგნოს თავის ძალ-ღონე და სამართლიანად მოიხმაროს იგი. მაშინ აღარც დაჩაგრული იქნება სადმე და აღარც დამჩაგვრელი.

XII

ახლა კი მინდა ერთი ამბავი მოგახსენოთ, რომლის მოგონებაზედ ისე მიცემს გული, თითქო ოცი წლის ბიჭი ვიყო. მინდა ჩემი ბედნიერება გიამბოთ.

და მანამ კი საჭიროა იცოდეთ, რომ ჩვენ მიერ ამორჩეული წარმომადგენლები აპრილში შეიკრიბნენ ქ. ლიქსჰეიმში სამაზრო კრებად, რომ ხალხის გაჭირებული მდგომარეობის აღწერა შეედგინათ. ნათლიაჩემი და შოველი ორშაბათს დილით გაემგზავრებოდნენ და შაბათს საღამომდე იქ იყვნენ. ბინა რომ არსადა ჰქონდათ, დუქნებში ჩამოხტებოდნენ ხოლმე. მთელი სამი კვირა გასტანა ამ კრებამ.

ადვილი წარმოსადგენია რა მოძრაობა იქნებოდა იმ დროს ჩვენს მთაში: ბატონყმობა უნდა გადავარდესო, საბაჟოები აღარ უნდა

იყოსო. ხარჯი ყველას უნდა დაედოსო, გაიძახოდნენ ყველანი და ისეთს ცხარე ბაასსა და კამათს ასტეხდნენ, რომ ჩვენვე გვიკვირდა, თითქო არა ვიცოდით რა და ახლა კარგად ვლაპარაკობთო! დუქნები ყოველთვის ხალხით სავსე იყო; დასხდებოდნენ, წითელ ღვინოს მოიდგამდნენ და ისეთი გაბრაზებით სჯიდნენ სხვადასხვა საზოგადო საქმეებს, ვეგონებოდათ, ერთმანეთს მივარდებიან და მოსაკლავად არ დაინდობენო. განუწყვეტელი ყვირილი იდგა დუქნებში, თუმცა უმთავრესის შესახებ ყველანი თანახმანი ვიყავით და ყველას, მთლად ხალხს, ერთი და იგივე გვინდოდა. კიდევ კარგი, რომ ასე იყო, თორემ უთანხმოება რომ ჩამოგვრეოდა, მგონი ერთმანეთი ამოგვეჟლიტა.

მე და ვალენტინი ძველებურად ვმუშაობდით სამჭედლოში; ხანდახან ვცდიდი ხოლმე გამოვლაპარაკებოდი, იქნება დავარწმუნო, რომ ავი არა გვწადიან რა-მეთქი. მაგრამ სულ ტყუილი იყო: ვალენტინისთვის რომ გეკითხათ, ქვეყანა დაიღუპება, თუ გლეხებმა აჯობეს მებატონეებს და სამღვდელოებასაო. რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ იმისთანა მტკნარ სისულელეს ამბობდა, რომ ციდან ჩამოსულ ანგელოზსაც კი გააჯავრებდა. მეკი უნცროსიც ვიყავ, პატივისცემაც მქონდა მისი, და თავი დავანებე: ვაი თუ გავბრაზდე და ვაწყენინო რამე-მეთქი. მეტიც იქსებოდა იმასთან ლაპარაკი: ზემოთ მთაში, სადღაც ტყეში ერთი პატარა ქოხი ებადა და თუ იტყოდა რასმე, სულ იმის ოცნებაში იყო, ოსტატს დავეთხოვები, შინ წავალ და ჩიტებს მახეებს დავუგებო. ისე გაიტაცებდა ხოლმე ეს ოცნება, იმისთანა ნეტარებით გაუბრწყინდებოდა სახე, თითქო ქვეყანაზედ ამ ქოხის და ჩიტების დევნის იქით ღმერთს აღარა გაუჩენია რაო. დიდით პატარამდე ყველანი გულის ფანცქალით მოველოდით ხვალინდელ დღეს, ვგრძნობდით, რომ სულ ძირიანად უნდა შეცვლილიყო ჩვენი ცხოვრება და ის კი ჩიტების დევნასა ფიქრობდა:

— ხედავ, რა კარგი დარები დაიჭირა, მიშელ! ძაან, ძაან იბარტყეებენ მწყერები. დადგება მარიამობისთვე და კიდეც დავეთხოვები ოსტატს, მწყერი მარიამობისთვეში უნდა ნახო შენ! ისეთია, როგორც დუმა! მეტადრე როდესაც ყურძენს თვალი შეუვა!

გრძელი პირისახე უფრო გაუგრძელდებოდა, ყურებამდე გაწეულ პირის ნაპობზედ სიხარულის ღიმილი გადაჰკრავდა და ისე მოხუჭავდა თვალებს, თითქო აგერ კიდეც დახოცა მწყერები, დაპტყვნა და შამფურზედაც ააგოო. განა სადმე ცხენი გადარჩებოდა, რომ ძუა არ დაეგლიჯა!

ჩემი გონება კი სამაზრო კრებასთან იყო. იმ წელს, ენკენის-

თვეში. მეც უნდა გამოვცხადებულიყავ ჯარში და კენჭი ამომეღო, დღე და ღამ სულ იმის ფიქრში ვიყავი, ნეტავი ჯარს დაშლიან თუ არა-მეთქი.

მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა.

აგერ რამდენიმე ხანია, საღამოობით შინ რომ მივიდოდი, ჩვენსა სტუმრები დამხვდებოდნენ — ლეტუმიეს ცოლი და იმისი გასათხოვარი ქალი. თავიანთ მატყლს ჩვენსა ჩამოიტანდნენ და დედაჩემთან ერთად ართავდნენ. მამაჩემი, მატურინი და სტეფანე იქვე კალათებსა სწნავდნენ. ერთადა საქმობდნენ, თან ლაპარაკით შეექცევოდნენ და ათი საათი რომ გახდებოდა, შინისკენ გაემგზავრებოდნენ. იმ დროში ლეტუმიე ძალიან შემძლებელ კაცად ითვლებოდა და კარგი რვა დღის ხოდაბუნი ჰქონდა გადაჭიმული. ქალიც ლამაზი ჰყავდა: მაღალ-მაღალი, ჩასუქებული გოგო იყო და წითლად ღაჟღაჟი გაუდიოდა. დღეც ხშირად მინახავს ლეტუმიეს ანო — გაიდებდა მხარზედ კოკას და სამჭედლოსკენ ჩამოივლიდა, ვითომ წყალზედ მივდივარო. გაივლიდა, სამჭედლოში შემოიხედავდა, და გამოივლიდა, კიდევ შემოიხედავდა. მე კი ფიქრადაც არა მომდიოდა რა. საღამოზედ შინ რომ მივიდოდი, ანოს ისე მივესალმებოდი, როგორც ზრდილობა მოითხოვდა: გავეხუმრებოდი, ერთი-ორ ტკბილ სიტყვას ვეტყოდი. ყმაწვილი ბიჭი და ლამაზი გოგო! ანო კი არა, ვინც უნდა ყოფილიყო, ყველას ასე მოვექცევოდი; და სხვა კი, ღმერთმა ხომ იცის, მე არა მწადდა რა.

მაგრამ დედაჩემი სულ სხვა თვალით თურმე გვიყურებდა. ერთხელ მითხრა:

— იცი, მიშელ, კვირას, ლუტცელბურგში ლხინსა მართავენ, ძალიან კარგს იზამ, რომ შენი ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და აიარო. ბევრს ისიამოვნებ.

გამიკვირდა, რადა მგზავნის-მეთქი, მაგრამ დედაჩემმა ხეირიანი პასუხი არ მომცა:

— ადი და ნახავ!

მამაჩემი კი ჩაფიქრებული მუშაობდა. ნახა, რომ დედაჩემის პასუხმა არ დამაკმაყოფილა და მითხრა:

— ლეტუმიე ძალიან შეძლებული კაცია... ადი, შვილო, ანოც იქ იქნება.

ძალიან შევწუხდი. ის კი არ ბრძანოთ, ქალი არ მომწონდა და იმიტომ შესწუხდაო. არა, ანოს დასაწუნი არა ჰქონდა რა, მაგრამ რა დროს ჩემი ცოლიანობა იყო? პირდაპირ უარის თქმა ვერ მოვახერხე და ცნობისმოყვარეობით იყო თუ სისულელით, თუ არ ვიცი

უფრო მამიჩემის პატივისცემით, რადგან აშკარად ეტყობოდა, რომ ამით ძალიან ვასიამოვნებდი, ვუპასუხე:

— როგორც მიბრძანებთ. ეს კია, რომ ჯერ ჩემი ცოლის შერთვა მეტად ადრე იქნება. ვინ იცის, იქნება კენჭიც მერგოს.

— ახლა ეს მომიყვება!.. ნეტა რა გეხარჯება? ახვალ, დროს გაატარებ, შენც ისიამოვნებ, და იმათაც ასიამოვნებ. სხვა კი არაფერი! — შემომიტია დედამ.

რაღა გაეწყობოდა, უნდა დავთანხმებოდი.

კვირას, წირვა რომ გამოვიდა, ეკლესიიდან პირდაპირ მთისკენ გავწიე. გავუდეგ გზას, შევყევი მთის ბილიკს და თან სულ იმასა ვფიქრობდი, ნეტავი რისთვის მივდივარ, ვინ მე და ვინ ეს ამბავი მეთქი?

ლუტცელბურგში ხიდის ყურზედ ცოტა მარჯვნივ ქვრივ ბერნელსა ჰქონდა დუქანი და დუქანზედ კიდევ უკეთესი დაჩრდილული ეზო. როცა კი ლხინი გაიმართებოდა, უთუოდ იმ ეზოში უნდა გამართულიყო, რადგან მამა ქრისტეფორე ამ მხრივ სრულიად არ ჰგვანდა სხვა მღვდლებს და ისე უყურებდა ყმაწვილების დროსტარებას და ცეკვა-სიმღერას, თითქო არც კი ხედავს და დაირის ხმა არც კი ესმისო. იმ დღესაც ბერნელის ეზოში გაემართათ ლხინი და ბლომად ხალხიც მოგროვილიყო. ღვინოსა სვამდნენ და თან სიმღერებს დასძახოდნენ. ყმაწვილებს კი ცეკვა გაემართათ.

შეეედი, მივიხედ-მოვიხედე, გოგოები დავათვალიერე... ის იყო წინ წავიწიე და ლეტუმიეს ცოლმაც დამინახა:

— აქეთ, მიშელ, აქეთ!

ლამაზი ანოც იქვე იყო. დამინახა და ცეცხლივით აენთო. მივედი, ხელი ჩამოვართვი და სათამაშოდ გავიწვიე.

შემომცინა... გამომყვა და თამაშობაში რამდენჯერმე წამოიძახა.

— ოჰ, მიშელ! ოჰ, მიშელ!

ყველაფერი შეიცვალა და ქალები ისევ ისეთები არიან, როგორიც ყოველთვის ყოფილან. რევოლუციის წინად თუ მის შემდეგ, რაც კი მე ჩემი თავი მახსოვს, ქალი იგივე იყო, რაც ეხლა არის. რამდენჯერმე ვითამაშეთ, თან ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით, ვიცინოდით. ლეტუმიეს ცოლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; თამაშით აწითლებული ანო კმაყოფილებას უფრო დაემშვენებინა და თავდახრილი, მორცხვი, მართლა ლამაზი რამ იყო. პოლიტიკაზედ ხმაც არ ამოგვიღია, მერწმუნეთ! ვთამაშობდით, დროს ვატარებდით, მერე ერთი კარგი ქადა გიახელით და ცოტა რამ ღვინოც დავაყოლეთ ზედ. რას იზამთ? ჩვენი ცხოვრება კი ეს არის და!

სულ კი დედაჩემი მაგონდებოდა:

არც ახლა დამრჩები მადლიერი? რამდენ ქებას მოგიტანენ შენი შვილისას!

მაგრამ შებინდდა და მომწყინდა იქაურობა. აღარც გამოთხოვება მომგონებია, აღარც ზრდილობა, დავკარ ფეხი და შინისკენ წამოვედი. გზის შესამოკლებლად პირდაპირ დავეშვი ფიჭვის ტყიან კლდეზედ.

გაზაფხულისდა კვალად ძალიან ცხელოდა. ისე იყო ამწვანებული მთელი არე, თიბათვე გეგონებოდათ. ღმერთო, რა კარგად მახსოვს ყველაფერი. რამდენი ხანია მას შემდეგ, და ეს კი ისევ თვალწინ მიდგას, თითქო გუშინ იყოო.

ბოლოს მთის მწვერვალზედ გავედი. დავდექი და ჩვენს სოფელს გადავხედე. იქვე ჩემს ქვევით შარა გზაზედ, სულ სამას ნაბიჯზედ ერთი პატარა, მტვრისაგან გათეთრებული და კალათ ქვეშ მოხრილი ქალი დავინახე; მიდიოდა გაჩქარებული, თითქო მდევარი მისდევსო. მაშინვე ვიცანი:

— ბიჭო, ჩვენი მარგალიტა! დიაღ, ჩვენი მარგალიტა!

გამოვეკიდე, მთა ჩავირბინე...

— მარგალიტავ, შენა?!

შედგა. უკან მოიხედა... გამტვერიანებულ სახეზედ წურწურით ოფლი სდიოდა, თმა გაშლოდა. შედგა და შემომცინა:

— ოჰ, მიშელ! ნეტავ სხვა ნატვრაც ასე ამისრულდებოდეს ხოლმე.

ზურგზედ იმოდენი საპალნე ეკიდა, რომ თასმას მხრები ჩაეჭრა. ვიდექი და გაკვირვებული, გულამღვრეული შევყურებდი ამ პაწაწა, პაწაწკინტელა, მაგრამ ბევრ ვაჟკაცზედ მარჯვე გოგოს.

— სად დაღალულხარ აგრე? — მკითხა მარგალიტამ. — შორიდან მოდიხარ?

— არა, ლუტცელბურგიდან მოვდივარ. ლხინში ვიყავი და ბევრი ვითამაშე.

— კარგია! მე კი დაბოდან მოვდივარ; მთელი მაზრა მოვიარე. იცი რამდენი წიგნი გავყიდე, მეტადრე სიესის „რა არის ხალხი“. ძალიან დროზე კი მივედი, ის იყო სამღვდელოების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. გუშინ წინ დილას ლიქსეიმში ვიყავი, ლორენში.

— რა ვქნა, რა ხარ მარგალიტა, რომ მაგდენ სიარულს უძლებ?

— სულ უბრალო ადამიანიშვილი, როგორც სხვანი. ცოტა არ იყოს, დაღლა შემომეპარა! მაგრამ იცი, უმთავრესი უკვე გათავე-

ბულია. ახლა თვით ღმერთიც ვეღარ შეაყენებს ხალხის მოძრაობას.

თან ისე გულიანად იცინოდა, თითქო ზურგზედ მძიმე ტვირთი კი არა, სულ უბრალო ცარიელი კალათი ჰკიდიაო. მაგრამ ალბად ძალიან დაღლილი იყო, რომ იქვე გზის პირას კედლის ნანგრევზედ ჩამოსდგა თავისი კალათი და მითხრა:

— მოდი ცოტა შევისვენოთ, მიშელ! სული მოვიბრუნოთ!

მივვარდი, კალათი მოვხადე და კედელზედ შევდგი.

— დავსხდეთ, მარგალიტა, შევისვენოთ; ღმერთმან იცის, შენ უფრო ძნელი ხელობა აგირჩევია, ვიდრე ჩვენ, ვაჟკაცებს.

— იქნება მართალიც იყოს, მაგრამ რომ იცოდე, რა კარგად არის ჩვენი საქმე. შენც უნდა დადიოდე და ჩემსავით ქვეყანას ხედავდე, რომ ასე გიხაროდეს. როგორ არ გეხსომება, გუშინ არ იყო, რა პირუტყვივით დამონავებული იყო ჩვენი გლეხკაცი; დღესა? დღეს ვეღარც კი იცნობ. ზოგი ხალხი საუკუნეში ვერ გაივლის იმ გზას, რაც ჩვენ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში გავიარეთ. ჩვენ წინაპართაგან დაკარგული უფლებანი ხომ მოვიპოვეთ, ახლა სხვებსაც ბევრს მოვიპოვებთ. მოვითხოვთ და მოვიპოვებთ კიდეც! ჩვენ ჩვენსას არავის რას შევარჩენთ! მეფეს კი არა, ღმერთსაც წავედავებით! ყველანი თანასწორნი უნდა ვიყოთ! ხარჯიც თანასწორად უნდა გვედოს, ყველა ნიჭისა და შრომისდა კვალად უნდა იყოს დაჯილდოვებული და წარჩინებული! რა საჭიროა შენთან სიტყვა გავაგრძელო, თავისუფლება გვინდა, თავისუფლება!

და ისე მიყურებდა, თითქო უნდა გულის გულში ჩამიძვრეს და ჩემი გულის პასუხი ამოიკითხოსო. მე კი აღტაცებული შევცქეროდი და ვფიქრობდი:

— ჩვენც ვიტყვით, კაცნი ვართო! ჩვენც ვიტყვით, ჩვენი ქვეყნის შვილნი ვართო! რა შევძინეთ ჩვენს ქვეყანას? რა შევმატეთ? რითი გადავუხადეთ ჩვენს აღმზრდელ სამშობლოს ამოდენა სიკეთე? აი, რამდენს იტანჯება მამაშვილი საზოგადო საქმისთვის. ჩვენ? ჩვენ ჩვენი პირადი ბედნიერების გარდა არა გვაგონდება რა.

თითქო მიხვდაო ჩემს ფიქრებს, ტკბილად შემომღიმა და მითხრა:

— ასე, ჩემო მიშელი. ხალხის საჭიროებათა აღწერა თითქმის ყველგან გაათავეს. დავბეჭდავთ პატარ-პატარა წიგნაკებად და უყურე, როგორ მოვფინოთ ჩვენი ქვეყანა! მოიცა, გამოვიდეს! სულ დაიტაცებენ! ათასობით გავყიდი! მანამ კი მე მარტო დავდივარ სავაჭროდ: მე და მამაჩემს ამის მეტი საღსარი არა გვაქს რა საცხოვრებლად: მე უნდა ვიარო, მამაჩემის წილიც მე უნდა ვიშრომო, რადგან ის ხალხის სამსახურს უნდება. გუშინწინ ცოტა რამ ფული

მივუტანე ლიქსჰეიმში, ერთი კვირა ეყოფა; გუშინ და დღეს კიდევ ვივაჭრე; ზეგ კიდევა ვნახავ და ერთი კვირის ფულს კიდევ მივცემ. არა გვიშავს რა! საერო კრება რომ გაიხსნება, აბა საქმე მაშინ იქნება, აი! თუ გვინდა, ხალხი გამოვაფხიზლოთ, უნდა სუყველაფერი გავაგებინოთ, რაც კი კრებაზედ ან ითქმის ან მოხდება; აბა საქმე მაშინ იქნება, აი! დიდი გარჯა მოგვინდება, მაგრამ საქმეს ხომ ვერ ვუღალატებთ? ხალხმა დაწვრილებით უნდა იცოდეს ყველაფერი, რომ გონება გაეხსნას, განათლდეს და თავისით განსაჯოს თავის მომავალი. არა, მიშელ?

— დიაღ, დიაღ, მარგალიტა! შენც მამაშენივით მელაპარაკები და შიგ გულში მხვდება შენი სიტყვები.

კედლის ნანგრევზედ იჯდა თავის კალათის ქვემოდან. ჩამავალი მზის სხივები მოჰფენოდნენ ჩვენს ქვემოდ თვალუწვდენელ მინდორს და ოქროს ფერად შეემკოთ ტყე და ველი. იმისთანა მშვენიერი რამ იყო ბუნება, რომ ორივე გაგვიტაცა და გაჩუმებულნი გავყურებდით თვალის წარმტაც სურათს. ცოტა ხანს უკან მარგალიტას შევხედე. ნიდაყვზედ დაყრდნობილიყო და... ჩამავალი მზე კი არა, ამომავალ მზეზედაც უმშვენიერესად მეჩვენა მაშინ ჩემი მარგალიტა. ქვეყანაზედ აღარა მახსოვდა რა, იმის მეტი.

ბოლოს, თითქო იგრძნო, რომ იმას ვუყურებდი და მკითხა:

— ძალიან მტვრიანი ვარ, მიშელ?

პასუხის მაგივრად მე ჩემი ვკითხე:

— რამდენი წლისა ხარ, მარგალიტა?

— ამ ორი კვირის შემდეგ, კვირაცხოვლობა დღეს თექვსმეტი წლისა გავხდები. შენ, მიშელ?

— მე მეცხრამეტეში გადავდექი.

— იმიტომაც აგრე ღონიერი ხარ და!—წამოხტა მარგალიტა და თასმაში მკლავი გაჰყო.—ცოტა ამიწიე! გმადლობ, აღარა მიშავს რა.

მე რომ მძიმე მეჩვენა, იმას რა სიკეთეს დააყრიდა იმოდენა ტვირთი?

— მაგ სიმძიმეს როგორ დასძრავ, მარგალიტა? მოდი, შინამდინ მე წამოგიღებ.

წარბიც არ შეუხრია. სიმძიმისაგან წელში მოხრილი მოდიოდა ჩემს გვერდით. ერთი კი შემომცინა და მითხრა:

— როცა თავისუფლებისთვის იღწვის ადამიანი, ტვირთის სიმძიმეს არ უნდა გრძნობდეს.

რაღა მეთქვა, თუმცა ძალიან კი შემრცხვა. რომ არ შემრცხვენოდა, დავიჩოქებდი და თაყვანსა ვცემდი.

მარგალიტა კი ისე მოაბიჯებდა, თითქო დაღლა არც კი იცის რა არისო. მოდიოდა და მელაპარაკებოდა:

— იცი რა ამბავი დააწიეს ლიქსჰეიმში სამაზრო კრებაზედ მებატონეების და სამღვდელოების წარმომადგენლებმა! მაგრამ ღვთის წყალობა გაქვს, კარგი პასუხი იმათ მიიღეს! ერთი დაიბეჭდოს ხალხის გაჭირებათა აღწერა! სუყველაფერი იქნება მოხსენებული, არაფერი გამოგვეპარება. მეფე გაიგებს მდგომარეობას და ხალხიც შეიგნებს თავის ყოფას. საერო კრება გაიხსნას! მამაჩემი ამბობს, სამაგალითო კრება იქნებაო და მეც ეგრე მგონია. ვნახოთ! ვნახოთ! საქმე ის არის, მხარი მივცეთ ჩვენ წარმომადგენელთ. გავამაგროთ, რომ იმედი ჰქონდეთ ჩვენი! დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მარტო ისინი კი არა, ყველგან და ყოველთვის იმათთან იქნება მთელი ხალხი.

ამგვარი ბაასით შევედით ჩვენს სოფელში, მარგალიტა შინამდე მივაცილე. კარგა ღამე იყო. ჯიბიდან ერთი უზარმაზარი გასაღები ამოიღო, კარი გააღო და გამომეთხოვა:

— ღამე მშვიდობისა, მიშელ! გმადლობ!

— ძილი ნებისა, მარგალიტა!

ჯერ არც დედას ეძინა ჩვენსა, არც მამას. ეტყობოდათ მე მელოდნენ და შევედი თუ არა, ისე შემომაჩერდნენ, თითქო მეკითხებიან — გაათავე თუ არა საქმეო? რაკი ნახეს, რომ არას ვეუბნევოდი, მკითხეს:

— ლხინში იყავი, მიშელ?

— დიაღ.

— მერე?

— მერე რა? კარგი დროება გავატარეთ.

— მერე?

— მერე ავდექი და წამოვედი.

— მარტოდმარტო?

— დიაღ.

— იმათ კი არ დაუცადე?

— არა.

— არც არაფერი უთხარი?

— რა უნდა მეთქვა?

მაშინ კი გაჯავრდა დედაჩემი, გაბრაზდა და ყვირილი დაიწყო:

— უი შენ კი რა გითხრა, შენ!... შენც იტყვი, კაცი ვარო?! კაცი კი არა, ვირი ხარ, ვირი! შე რეგვენო. შენა! და ის კიდევ შენზედ უვარესი რეგვენია, ის გოგო, რომ შენ მოსწონხარ! არა, კიდეც რომ

ინაზება! ნეტა რა ხარ, ვინა ხარ, შე გლახა, შენა! ლუკმა პურის ნატრულს ლეტუმიე ქალს აძლევს და კიდეცა სწუნობს! უი შენ კი...

სულ ცოფსა ჰყრიდა. მე კი ვიდექი და შევყურებდი სრულიად დამშვიდებული. ბოლოს მამამ უთხრა:

— კმარა, თავი დაანებე!.. ნუ ყვირი აგრე, დედაკაცო!

მაგრამ დედაჩემს აღარავისი არ ესმოდა და უფრო მაღლა გაჰკივოდა:

— არა, ამისთანა უტვინო გინახავთ ვინმე, თქვენი ჭირიმეთ! აგერა ექვსი თვე სრულდება, ფეხქვეშ ვეგები ვირგლა ლეტუმიეს, ეგება ამ ბიჭს შევრთო, მამულიანი გოგოა-მეთქი, და ეს კი... უი, შენამც... აგრე მცოდნოდა, განა სახლში კი შემოვუშვებდი... ქა, გული გამიწყალეს თავიანთ სიმდიდრეზედ ლაპარაკით! ეს მიწებიო, ეს ვენახიო, ეს ძროხებიო! მე კი გული მისივდებოდა! მაგრამ რას ვიზამდი? ვიყავი ჩემთვის გაჩუმებული, ვითმენდი, ბრაზს გულში ვიკლავდი... და როცა საქმე საქმეზედ მოვაგვარე, როცა ყველაფერი გავათავე, ეს ვაუბატონი აღარა ნდომობს. მაშ ვინა გნებავს? ჰა, შე ჩემი ცოდვით სავსე, შენა?.. ქა, ვერა ხედავთ, რა დიდი კაცია! იმისთანა დიდი ოჯახის ქალები ეძლევა, რომ ლეტუმიეს გომბიოს როგორ იკადრებს! უი, შენ კი... ნეტა რა შეგცოდე, ღმერთო, რომ ამისთანა უჯიშო გამიჩინე ეს გულმკვდარი ესა!

მინდოდა პასუხი მიმეცა, მაგრამ უფრო ძალიან შემომიტია:

— გაჩუმდი შე... სანაგვეზედ სადმე ამოგხდება შიმშილით სული და შენთან ერთად ჩვენც შიმშილით დავიხოცებით!

აბა რა მეთქვა? კარგ მთქმელს კარგი მსმენელი უნდაო, და მე რომ მსმენელი არა მყავდა! ის თავისას გაიძახდა:

— დიაღ, არა ნებავს ამ ვაუბატონს! მოდი შენა და შვილები გაზარდე! იქნება გგონიათ სიკეთით გადაგიხადონ! ადგებიან და ერთ ჩარექა ღვინოზედ გაიყიდიან თავსა! აი, ნახავთ, თუ ამანაც ეს საქმე არ დაგვმართოს! ნახავთ! თუ არა და წავა და ერთ უნამუსოს გადაეკიდება ვისმე! მაშ არა და! ალბადა ჰყავს ვინმე, თორემ უარს არ იტყოდა!

ხელში ცოცხი ეჭირა და გაჯავრებული იქნევდა. ეს რომ თქვა, უცბად გაჩერდა და დამაშტერდა. მე მეტი აღარ შემეძლო და სრულიად ფერმიხდილი ავედი ყავარში, რადგან ზაფხულში იქ მეძინა ხოლმე. დედაჩემი კი მაინც ისევ ისე ჯავრობდა:

— გაიქეცი განა! არ გეჯაშნიკა! მიგიხვდი განა, შე... მე კი არ ვიცოდი, რომ ეყოლებოდა ვინმე!.. თუ კაცი ხარ, უარს იტყვი!

დანა რომ დაესვათ, სისხლი არ გამომივიდოდა. სირცხვილისაგან ვიხრჩობოდი, ძლივსღა ვსუნთქავდი. მივედი და მკვდარივით მი-

ვეგდე და ქვემოდან კი ისევ წყევლა-კრულვა და ლანძღვა ისმოდა:

შე უსინდისო, შენა... შე უნამუსო...

მამაჩემი ცდილობდა დაემშვიდებინა როგორმე, მაგრამ მით უფრო აბრაზებდა. დიდი ხანი იჯავრა, დიდი ხანი! მეორე საათი იყო, როდესაც გული მოიოხა და გაჩუმდა. მე კი ვეგდე თივაზედ და ცხარე ცრემლითა ვტიროდი.

— ნეტავ რას მერჩის-მეთქი, ვიძახდი ჩემს გულში, რა დავაშავე? ჯერ ათის წლისა არ ვიყავ, რომ მუშაობა დავიწყე — ბავშვობაც კი არ ვიცი რა არის. ვმუშაობდი, რომ ვალი გადამეხადნა, ვმუშაობდი, რომ მოხუცებულ მამაჩემს დავხმარებოდი... და ახლა კი რეგვენიცა ვარ, უსინიდისოც, უნამუსოც!? რა დავაშავე? იმ ქალის და იმის მზითვის შერთვა არ მინდა, სხვა ხომ არაფერი! მერე ამიტომ უნდა გამწიროს მშობელმა დედამ? ამიტომ უნდა დამწყევლოს!?

ცრემლი შემაშრა. ბრაზი მახრჩობდა. პატარა სტეფანეს ტკბილად ეძინა იქვე ჩემს გვერდით, მე კი რა დამაძინებდა? იმისთანა ფიქრები მომდიოდა, რომ ჭირის ოფლს მასხამდა, სისხლი ყელში მომებჯინა და მახრჩობდა.

ოთხი საათი იქნებოდა, რომ ავდექი და ფეხაკრებით, რაც კი შეიძლებოდა ჩუმად, ძირს ჩამოვედი. მამაჩემს არ ეძინა, და მკითხა:

— შენა, მიშელ? სად მიხვალ, შვილო?

— ცოტას გავივლი, მამა!

მინდოდა მივსულიყავ და გულში ჩავკროდი, რადგან ვიცოდი, მამაჩემს კარგად ეყურებოდა ჩემი მწუხარება, მაგრამ ვგრძნობდი, რომ არც დედაჩემს ეძინა და პირდაპირ კარისაკენ წავედი. ერთი სიტყვაც არის რომ ეთქვა დედას, ერთი სიტყვა, შევდგებოდი და ძველებურად მივეალერსებოდი, მაგრამ ის არას ამბობდა და მეც გარედ გამოვედი.

ჩვენ ქვევით მინდორი ბურუსით იყო მოცული. კარგად სუსხიანი დილა იყო, მაგრამ მე კი სისხლი მიდუღდა და ცეცხლი მეკიდებოდა. მივდიოდი ზევით მთაში, და სულ იმას ვნატრობდი, სად არის ახლა ერთი ციცი ქარი, რომ გული გამიგრილოს-მეთქი. მივდიოდი ისე უგზო-უკვლოდ და მარტო ღმერთმა იცის, რასა ვფიქრობდი მე მაშინ. აქ რაღა დამაყენებს-მეთქი, ვიძახდი, ავდგები და საერნში წავალ, ან კატრვანში; ქარგალი ვარ, ხელობა კარგად ვიცი, ნუ თუ ერთ ლუკმაპურს ვერა ვჭამ? და იმავე დროს საწყალი მამაჩემი მაგონდებოდა და მატურინი და პატარა სტეფანე. მომაგონდებოდა მოხუცებული მამაჩემი და ამიჩქროლდებოდა გული და თვალთაგან ცხარი ცრემლი წამსკდებოდა. მაგრამ რა? დედაჩემი

თავის დღეში არ დაივიწყებს. ლეტუმიეს ხოდაბუნს და წამ და უწუმ იმას წამომაყვედრებს, შენ დაგვღუპე, თორემ ეხლა ჩვენისთანა გაკეთებული იქნება არც კი ყოფილიყო ვინმე ჩვენს სოფელშიო! იმდენი ფიქრები მერეოდა თავში, რომ აღარც დაფიქრება შემეძლო, აღარც მოსაზრება და ისე უგრძნობლად მივდიოდი მთისკენ.

გონებაზედ მარტო მაშინ მოვედი, როდესაც მზე ამოვიდა და შუქი მოჰფინა ბუნებას. დილის ნიავმა დაბერა და სევდა გამიქარვა. უცბად მომაგონდა ჩემი ფიქრები, ჩემი თავისა შემრცხვა და მაღლა წამოვიძახე:

— უნდა დარჩე, მიშელ! სუყველაფერი უნდა აიტანო და უნდა დარჩე! ნუ თუ მოხუცებულ მამაშენს უღალატებ! ან პატარა დაძმას? განა არ იცი, რომ შენს იქით იმათი იმედი არავინ არის? დედა გიჯავრდება? რა ვუყოთ, რა? მშობელი დედაა და იმიტომ გიჯავრდება. უნდა დარჩე, მიშელ, უნდა დარჩე!

ეს ფიქრები და ჩემი დაბრუნება ერთი იყო. რომ უფრო მოკლედ მომეჭრა, ჭალაზედ ჩამოვიარე, მერე ვენახებზედ და სოფელს დავუპირდაპირდი. თან გულს ვიმაგრებდი. შორიდანვე ვხედავდი ჩვენს სამჭედლოს და საკომურიდან ამომავალ კვამლს, ეტყობოდა ვალენტინი ამდგარიყო და ქურაში ცეცხლი გაეჩინა.

მეც ფეხი ავაჩქარე. ის იყო სოფელში შევედი და ვნახოთ გზის პირიდან შოველის პატარა ბოსტანიდან რაღაც ხმაურობა შემომესმა. გადავიხედე: აეღო პატარა მარგალიტას ბარი და გაჩქარებული ბარავდა მიწას კარტოფილის დასათესად. გავკვირდი, გავშტერდი, წუხელის არ იყო ისე დაღალულ-დაქანცული მოვიდა! როგორ შესძლო, რომ ასე ადრე ადგა და აგერ მეორე კვალსა ბარავს-მეთქი? ვფიქრობდი და გაშტერებული შევცქეროდი ღობის გარედან.

რა იცოდა, რომ ვუყურებდი. ფეხი ხ ი ს ფლოსტებში ჩაეყო და ისეთი მამაცად ჩაუგდებდა ხოლმე ბარს, თითქო თავის დღეში ბარვის გარდა არაფერი სცოდნიაო. მე კი ვუყურებდი და, თითქო დღეს პირველადა ვხედავო, ცალ-ცალკე ვუსინჯავდი შავ თვალ-წარბს, ახლად გადაშლილ ვარდივით ჩაწითლებულ ტუჩებს, ლამაზად გადატკეცილ შუბლს და მსხვილ ნაწნავებს. მამასა ჰგავდა, იმისავით გამხდარი იყო, მაგრამ ისე სცემდა ბარს, თითქო ხელ-ფეხი ფოლადისა აქვსო. შევყურებდი და მიკვირდა: ეს ხომ ჩვენი პატარა მარგალიტაა და რატომ აქამდის ვერ ვხედავდი იმის სილამაზეს-მეთქი?

დიდი ხანი ვუყურე ასე და უცბად, დედაჩემის სიტყვა მომაგონდა: ანოს იმიტომა სწუნობს, რომ სხვა ეყოლება ვინმეო!

— დიაღ, დედაჩემო, მართალი ხარ, მე სხვა მყავს, სხვა მიყვარს... ამას არც გადაჭიმული ხოდაბუნი აქვს, არც რამე მზითევი

და ძროხები, მაგრამ შრომა იცის და ჩემი ცოლიც ეს იქნება. ჩვენი შრომით შევიძენთ ყველაფერს... ჯერ კი... ჯერ ამის გული მოვიგო! და მოვიგებ კიდეც, თუ ბიჭი ვარ! ჩემი შრომით მოვიგებ!

და ამის შემდეგ ერთხელ არ მახსოვს ჩემი გარდაწყვეტილება შემეცვალოს; მარგალიტას თაყვანსა ვცემდი, ვაღმერთებდი და, მეც არ ვიცი რად, ჩემად ვიგულებდი. აზრადაც არ მომდიოდა, რომ შეიძლებოდა სხვაზედ გათხოვილიყო.

ქუჩაში მინდვრისკენ მიმავალი სოფლელები გამოჩნდნენ, და მეც სრულიად დამშვიდებული და გახარებული გავეშურე სამჭედლოსკენ. ვალენტინს ყველაფერი მოემზადებინა, სახელო გადაეწია და გულგადაღეღილი იდგა ჩაქუჩით ხელში.

— რა დარია, მიშელ, რა დარია! — შემომყვირა მიმავალს, — აჰ, ნეტავი კი დღეს კვირა ყოფილიყო და! თავი არ მოვიკვდება, მთელ ტყეს შემოვირბენდი!

— კვირა გუშინ იყო, ჩემო ვალენტინ, — ვუთხარი მე და ჩემი ტყავის წინსაფარი გავიკეთე, — გუშინდელიც გვეყოფა, ახლა საქმეს შევუდგეთ.

— მერე, რომ იცოდე, რამდენი რამა გვაქვს გასაკეთებელი. ბებრუცუნა რანცაუმ ოცდაოთხი თავისავით უკბილო ცული მოგვიტანა. ნეტავი სად მოაგროვა ამდენი? ერთმა მთიულმა კიდევ ურმის თვლები მოგვიტანა, რკინით შემომიჭედეთო.

— მით უკეთესი, ვალენტინ. აბა დავიწყოთ?!

— ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ.

იმისთანა მხიარული გულით ჩემს დღეში არ დამიწყია მუშაობა. რკინა უკვე ცხელი იყო. გამოიღო ვალენტინმა, დასდო გრდემლზედ და ავაყოლეთ ჩაქუჩები!

ყოველთვის ასე ვიცოდი ჩემს სიცოცხლეში. ყოველთვის, როდესაც კი ნათლად, გარკვევით შევიგნებდი, რაც მინდოდა, რაც უნდა ძნელი და მიუღწეველი ყოფილიყო, რაც უნდა შრომა და სიფთხილე დამჭირებოდა, მე მაინც ისე მხიარულად ვიყავი ხოლმე, თითქო კიდეც გავათავე საქმე და მიზანს მივაღწიეო. ცუდ გუნებაზედ მარტო მაშინა ვარ ხოლმე, როდესაც გამიტაცებს მატყუარი ოცნება და გარკვევით მეც არ ვიცი, რას ვფიქრობ, ან რა მწადიან! მაშინ მოვიშლები ხოლმე, მაშინ აღარად ვარგივარ.

ჭახა-ჭუხი გაჰქონდა ჩაქუჩს. სიმღერაც მაშინ მომაგონდა, შაირებიც. ისეთი მხიარულად ვიყავი, რომ ვალენტინსაც კი ვაუკვირდა. ან რაღა მქონდა სატირალი? სიცოცხლის მიზანი მქონდა და მას შევხაროდი.

ძნელი კი იყო, ღვთის წინაშე, იმ დროს ჩემი წადილის აღსრუ-

ლება, ძალიან ძნელი იყო. იმავე დილას, შვიდი საათი იქნებოდა, რომ ცხადად მაგრძნობინა ვალენტინმა ეს სიძნელე. ვალენტინმა რასაკვირველია, არა იცოდა რა, თორემ ხმას როგორ ამოიღებდა? შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მარგალიტამ გაიარა ჩვენს სამ-ჭედლოსთან; ზურგზედ თავისი კალათი ეკიდა და წიგნების გასასყიდად მიდიოდა. ვალენტინმა თვალი გაადევნა და მითხრა, — რა იცოდა, რომ ტყვიასავით მომხვდებოდა გულში ყოველი იმისი სიტყვა:

— აი, იმ პაწიასა ხედავ, მიშელ? ხედავ, როგორ მიაბიჯებს? არც თოელს შეუშინდება, არც წვიმას, არც სიცივეს და სიცხე-პაპანაქებას: ჯოჯოხეთში ჩაძვრება, ოღონდ თავისი შეჩვენებული წიგნები გაყიდოს. ურჯულონი რომ არ იყვნენ მამაცა და შვილიც და უზნეო წიგნებს რომ არ ავრცელებდნენ, სწორედ რომ წამებულივით წმინდანნი იქნებოდნენ. მაგრამ რას იზამ, რომ ღვთისა წილ შავნე სულს ემსახურებიან და სულ იმისთანა წიგნებსა ჰყიდიან, რომლითაც ჩვენი წმინდა სარწმუნოება შეირყევა და ღვთისაგან განწესებული წესწყობილება შეიმუსრება. ეგენი ქვეყნისა, ღვთისა და მეფის დაუდგრომელი მტრები არიან და თუ ჯილდო მოელით რამე, იცოდე მაგათი ჯილდო სახრჩობელა იქნება.

— ვალენტინ! ვალენტინ! სახრჩობელა? რისთვის, რა დააშავეს?

— დიაღ, სახრჩობელა, — განაგრძო ვალენტინმა, — და სახრჩობელა კი არა, თუ სამართალი არის სადმე, ცოცხლად საკირეში დასაწვავნი არიან, ეგ უღმერთონი! ჩასაქვავებელნი არიან! განა ჩვენ მაგათ უნდა ვექომაგებოდეთ, როდესაც თავიანთ ჭკუით, ცოდნით და გამოცდილებით, სიტყვით და საქმით ჩვენ წინააღმდეგ იღწვიან და მარტო ჩვენს დაღუპვასა და წაწყმედასა ცდილობენ? როგორც ადამიანი მარტო მაშინ მოისვენებს, როდესაც მგელის გვარი ამოწყდება, ისე ეგენი უნდა ამოვწყვიტოთ, რადგან ეშმაკები არიან. ეშმაკები რომ არ იყვნენ, ცხვარივით უვნებელნი რომ იყვნენ, ხომ შიშიც აღარაფრისა გვექნებოდა: მივდგებოდით და ვკრეჭდით და ვკრეჭდით! ეგენი კი, ეგ კალვინისტები... ოო, მაგათ ჭირსავით უნდა ერიდოს კაცი!

— ეგენიც ღვთის გაჩენილნი არიან, ვალენტინ!

— ღვთის გაჩენილიო!? — შეჰყვირა ვალენტინმა და ცისკენ აღაპყრო ხელები — ეგენი რომ ღვთის გაჩენილნი იყვნენ, განა მოძღვარი თავის წიგნში არ ჩასწერდა? აბა სადა სწერიან მერე? მაგათი არც დაბადება იწერება, არც ქორწინება, არც სიკვდილი, რადგან უწმინდურნი არიან! ეგენი რომ ღვთის გაჩენილნი იყვნენ, განა პირუტყვივით მინდორში დაფლავდნენ, წმინდა სასაფლაოდან ერ-

თი დღის საკალზედ? განა სამსახურში არ მიიღებდნენ? მერე იმისთანა სწავლულ კაცს, როგორც შოველია?! ეგენი რომ ღვთის გაჩენილნი იყვნეს, ხომ არც ასე გადაიკიდებდნენ მთელ ქვეყანას! არა, ჩემო მიშელ! მეც კი ვწუხვარ, რადგან მავნე წიგნების გავრცელების გარდა სხვას ვერას უსაყვედურებს მაგათ კაცი, მაგრამ ჩვენი ოსტატი ძალიან სცდება, რომ აგრე დაახლოვებული ჰყავს ეგენი. შოველის ბოლო ან სახრჩობელაა ან საკირე! მეტისმეტს სჩადის და რა! აღარც შიში აქვს ვისიმე, აღარც რიდი! დიდი სიბრიყვე მოგვივიდა, დიდზედ დიდი, რომ ეგ ამოვირჩიეთ! იმიტომ რომ, რაკი ეს არეულობა გათავდება და ძველებური წესიერება ჩამოვარდება, სულ პირველად ხელს შოველს და იმის ქალსა სტაცებენ! იქნება ოსტატიც ზედ მიაყოლონ და ჩვენც, ჩვენც, რომ რამდენიმე წელიწადი ციხეში ვიყვნეთ და განვიწმინდნეთ! მე ეს სასჯელი არ დამიმსახურებია, მაგრამ თუ დამიჭირეს და ციხეში მიკრეს თავი, მაშინ მეც აღარას ვიტყვი, რადგან ჩვენმა კეთილმა მეფემ უსამართლო არა იცის რა! სამართალი სამართალია! ალბათ დავაშავეთ რაჰე, რომ გვსჯიან. უდანაშაულოდ რად დაგვსჯიან? ასე, ჩემო მიშელ! სამართალზედ უკეთესი ამ ქვეყნად არა იქნება რა.

თავი დაღუნა, თვალები დახუჭა და ისე იდგა კისერწაშვერილი, თითქო ჯალათს ელის, რომ ცული დაჰკრას და თავი გააგდებინოსო. მე კი შევცქეროდი და ვკვირობდი:

— ღმერთო, ნუ თუ შეიძლება ასე ბრმად დაბადებულიყოს ადამიანიშვილი! ნუ თუ ისე დაბერდება ეს უბედური, რომ გონება არ გაეხსნება?

სწორედ ამ ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ მთელი ქვეყანა ამეშლება, თუ მარგალიტა ვითხოვე. ჩვენებურებს კარგად ვიცნობდი: ბევრი კი არ უნდოდათ! ჩამაქვავებდნენ! მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ არც შიშსა ვგრძნობდი, არც მწუხარებას. მე მარგალიტა მინდოდა და მთელ ქვეყანას გადავთელავდი და ჩემსას კი ავასრულებდი!

საღამოზედ სრულიად დამშვიდებული წავედი შინისკენ. მივდიოდი უშიშრად და სულ იმასა ვფიქრობდი: რაც უნდა სთქვას დედაჩემმა, რაც უნდა მლანძღოს, პასუხს არ გავცემ-მეთქი. ის იყო სახლთან მივედი და მამაჩემიც გამომეგება, შემკრთალი, გაყვითლებული, წელში ერთიორად მოხრილი. ხელი მომხვია, იქვე ორღობეში შეშიყვანა, რომ არავის დავენახეთ და აკანკალებული ხმით შემომტირა:

— შვილო, მიშელ!.. წუხელ ძალიან გაჯავრდა დედაშენი... საშინელება იყო... ახლა რას აპირებ? მიდიხარ, შვილო?

და თვალებში ჩამაკვირდა. ისეთი შეწუხებული, ისეთი საცოდავი საწყალი მამაჩემი ჩემს დღეში არასოდეს მინახავს.

— არა, მამა, მე არსად მივდივარ. მერე თქვენ, მე რომ წავიდე? შენ, პატარა სტეფანე და მატურინი? შეუძლებელია, მამა, სად უნდა წავიდე?!

სახე გაუბრწყინდა, პირს ღიმილი მოეკვიდა. იტყოდით, საფარიდან ამოღებული მკვდარი იყო და გაცოცხლდაო.

— ეგრე, შვილო, ეგრე შენი ჭირიმე. განა არ ვიცოდი, რომ არ წახვიდოდი, არ მიმტყუნებდი. რა კარგი ვქენ, რომ მოგელაპარაკე! ახირებული რამ არის დედაშენი, კაცისაც კი არას გაიგებს და! იცი, რამდენი ტანჯვა-წვალება მინახავს, შვილო? მაგრამ რა დროს ეგ არის. ოღონდ შენ ნურსად წახვალ და მე თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო.

ხელი დამიჭირა და თვალებში ჩამცქეროდა გახარებული. საწყალი მამაჩემი!

— არა, არა, მამა, მე არსად წავალ. დედა კიდევაც იჯავრებს, ვიცი, მაგრამ რა გაეწყობა? დედაა, დეე იჯავროს! დედაჩემისაგან ყველაფერს ავიტან.

ახლა კი სრულიად დარწმუნდა, რომ არსად წავიდოდი.

— ეგრე, შენი ჭირიმე! იცი, მოდი ჯერ მე შევალ... შენ ცოტა ხანი აქ მოიცადე და მერე შემოდი, რომ ეჭვი არა აიღოს რა დედაშენმა, თორემ, თუ ერთად დაგვინახა, სიცოცხლეს ჩამამწარებს.

— ბატონი ხარ, მამა. მიბრძანდი, მე აქ დავიცდი.

ის მაშინვე წავიდა და ცოტა ხანს უკან მეც შევედი შინ. წყნარად, დამშვიდებული შევედი და შევდექი კარებში. დედაჩემი კერასთან იჯდა და ჯარას ართავდა პირმოკუმული. იქნება ეგონა, ვეტყოდი რასმე, ან ჩემს წასვლას შევატყობინებდი. თვალს მადევნებდა და მზად იყო ეჭექნა და ხელმეორედ ლანძღვა და წყევლა დაეწყო. მატურინი და სტეფანე იქვე ფეხთით უსხდნენ და კალათებს სწნავდნენ. მამაჩემი წალდით ფიჩხსა სჭრიდა და ცალი თვალი ჩემზედ ეჭირა. მე კი ვიდექ კარებში... ცოტა ხანს უკან ჩვეულებრივად მივესალმე:

— საღამომშვიდობისა, მამა! საღამომშვიდობისა, დედა! დღეს ძალიან დაღლილი ვარ, ცოტა მეტი ვიმუშავეთ და წავალ, დავიძინებ. ღამე მშვიდობისათ!

ყავარისკენ გავწიე. პასუხი არავინ გამცა. ჩემი თავისა კმაყოფილი ვიყავ და ძალიანაც დამეძინა იმ ღამეს.

XIII

მეორე დილას, სამუშაოდ რომ ჩავედი, ჩვენი დუქანი ხალხით სავსე დაბხვედა, გზაზედ კიდევ მომავალნი ჩანდნენ, ზოგი ურმებით, ზოგი ფეხით: სამაზრო კრებაზედ ხალხის საჭიროებათა აღწერა გათავდა და დღეს-ხვალ ქალაქ მეცს წაიღებენ სათემო კრებაზედ წარსადგენადაო.

რაც ლიქსჰეიმში სამაზრო კრება გაიხსნა, ჩვენი წარმომადგენლები იქ იყვნენ და ზოგს თავის ცოლ-შვილიც წაეყვანა. ახლა, რაკი კრება დაიხურა, უკანვე ბრუნდებოდნენ და იმათ სისარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ თავიანთ სახლ-კარს და საკუთარ კერას მოეპატრონებოდნენ.

მოდიოდნენ და გვიყვიროდნენ:

— გათავდა, კრება დაიხურა! თქვენებიც ამ საღამოზედ დაბრუნდებიან!

მე და ვალენტინსაც ძალიან გვიხაროდა ნათლიაჩემის მოსვლა: საქმეს უფრო მხიარულად ვაკეთებდით სამჭედლოში. მთელი ათი წელიწადი რომ ერთ კაცთან იმუშაო და მერე, თუნდა სამი კვირაც, გვერდთ აღარ გიდგეს, ძალიან მოიწყენ. ისე ჩვენ ვიყავით მოწყენილი. მოგვაგონდებოდა ნათლიაჩემის ძახილი:

— დაჰკათ, ბიჭებო! დაჰკათ!

ან არა, დადგებოდა და შემოგვძახებდა:

— კარგით! სული მოვიბრუნოთ!

დიაღ, ძალიან მოწყენილნი ვიყავით. რაღაცა გვაკლდა!

სამუშაოდ შევემზადენით, და თან დუქანს გავიქეროდით; ბუზივით ირეოდა ხალხი. წამდაუწუმ გამოვიდოდნენ ან ნიკოლი ან ნათლი-ჯალაბი და სკამს გამოიტანდნენ, რომ ურმიდან ქალები გადმოსულიყვნენ; მერე ერთმანეთისა, ნათესავების და ნაცნობების მოკითხვას მოჰყვებოდნენ. ძველებურად კი აღარ ეხვეოდნენ ერთმანეთს: მას შემდეგ, რაც იმათი ქმრები ხალხის წარმომადგენელად იყვნენ არჩეულნი, დიდკაცურად იქცეოდნენ ეს ქალები და ერთმანეთს: „ქალბატონო"-ო უპტყელებდნენ.

ვალენტინი გულიანად ხარხარებდა.

— მიშელ, ჩვენი იაკობის ცოლს ვერა ხედავ, როგორ გაბატონებულა! ნამდვილი ბრწყინვალე თავადიშვილის ცოლია, რაღა! ჟარნიკის ცოლს შეხედე, ჟარნიკისას, ფეხშიშველა რომ დადიოდა ხოლმე, მუხლამდე დაკარწახებული კაბით... კნეინას ვახლავარ! დასცინოდა სამჭედლოდან ვალენტინი და მძიმედ თავს უკრავდა. პატიოსნურ ყოფა-ქცევას აბა ეხლა ვისწავლით, აი!

კიდევ კარგი, რომ შორს იყვნენ და არა ესმოდათ რა.

ხომ ისეთი სულელი რამ იყო და იმათ კი ძალიან დასცინოდა და დასაცინიც იყვნენ: ისე იკლაკნებოდნენ, ისე იღრიცებოდნენ, თითქო ტაკიმასხარად ქცეულანო. ალბად ამ კლაკვნა-გრეხაში ჰპოვებდნენ ისინი დიდ განათლებას და ვალენტინიც იმიტომ დასცინოდა:

— კარგი მოგივათ, კარგა თქვენ იქცევით. ისე გიხდებათ ეგ ქცევა, როგორადაც ჩვენი ბერი ბენედიქტეს ჯორს ხავერდის კაბა მოუხდება! თქვე უბედურებო, თქვენა! თქვე ჭკუათხელნო! მაგ ჭკუით გინდათ აუჯანყდეთ ჩვენს დიდებულ მეფეს, დედოფალსა და დიდებულთ?! ოოჰ, ნეტავი კი ერთი დღის მეფობა მომცენ და! მე ვიცი, რა თავისუფლებასაც მოგცემდით! სულ ტყავს გაგაძრობდით, თქვენ!... და თუ მადლიერნი არ იქნებოდით, უცხოეთიდან უფრო მეტ ჯარს მოვიყვანდი და ისე გაგიხდიდით საქმეს, რომ...

გააბა ჩვენმა ვალენტინმა! კიდევ კარგი, რომ ყოველი აზრი ვიცოდი იმისი და არა მწყინდა, თორემ რომ ავყოლოდი, ერთმანეთს შევაკვდებოდით. ჩვეულებადა ჰქონდა, დაიწყებდა ლაპარაკს, საბელივით გააბამდა და მოსთქვამდა გაუთავებლად.

ბოლოს, როგორც იყო, ისევ მუშაობა დავიწყეთ, გავახურეთ რკინა და დავუწყეთ ჭედვა. გავებით საქმეში და კარგა ხანი ისე ხმის ამოუღებლივ ვიყავით. ჩაქუჩები მარტო მაშინ დავასვენეთ, როდესაც სამჭედლოს კარი შემოაღო მარგალიტამ და ჩვეულებრივად შემოგვცინა: დილა მშვიდობისაო! ხელში გატეხილი უტარო ბარი ეჭირა.

— მიშველეთ რამე, ბარი გამიტყდა. იქნება დღესვე გამიკეთოთ. მე დღეს შინა ვარ და... ხვალ დილისთვის მაინც იყოს.

ვალენტინმა ბარი ჩამოართვა და სინჯვა დაუწყო. მე კი სიხარულით ფეხზედ აღარ ვიდექი და პატარა მარგალიტას შევხაროდი: დღესვე გაგიკეთებ მაგ ბარს, დღესვე; ნახავ, რა კარგად გაგიკეთებ!

ბოლოს თვით მარგალიტამაც იგრძნო, რა ძალიან მიამა იმისაგან დასაქმება და თავისებურად ტკბილად შემომხედა.

ვალენტინი კი ჯერ ისევ ბარსა სინჯავდა და თავს იქნევდა:

— ხვალ დილისთვის ვერა და ხვალ საღამოს რომ გამოიარო, კი მზად იქნება.

— კარგი ერთი, — შევუტიე ვალენტინს, — რა არის მანდ ორი დღისა! მართალია, საქმე ბევრი გვაქვს, მაგრამ ყველაზედ უწინ ჩვენი მარგალიტას ბარი უნდა გაკეთდეს. აქ მომე, ვალენტინ, მე ვიცი მაგის ყადრი!

— შენ პირს შაქარი, ოღონდ იცოდე, ძალიან გაწვალებს, აგრე კი ნუ უყურებ!

მარგალიტა კი იცინოდა.

— მაშ ხვალ დილისთვის გამიკეთებ, მიშელ?

— ხვალ დილისთვის კი არა, ამაღამვე მოგართმევ.

გამოგვეთხოვა და წავიდა. მე მაშინვე საქმეს შევუდექი. გავახურე ბარი და ისეთი ლამაზი, კოხტა და სუბუქი რამ გამოვიყვანე, თითქო უბრალო ბარი კი არა, ოქროს ნივთია რამეო. ისე ჩემს დღეში არაფერზედ ვცდილვარ, როგორც ამ ბარის გაკეთებაზედ ვცდილობდი; ჩემი ცოდნა ზედ დავასრულე და მართლა სამაგალითო რამ გამოვიყვანე; ვაკეთებდი და თან მჭედლის სიმღერას ვმღეროდი:

— დაჰკა, მჭედელო, ჩაქუჩი!...

მე დავიწყე და ვალენტინმაც ბანი მომცა. რაც უნდა მხიარულად ვყოფილიყავ და მხიარული სიმღერა დამეწყო, ის მაინც ნაღვლიანი ხმით მომცემდა ხოლმე ბანს, თითქო გული სტკივა და უკვნესისო. ვმღეროდით, თან ჩაქუჩს ვათამაშებდით. ისეთი სისწრაფით და ისე ადვილად ჩემს დღეში არ მიხმარია ჩემი ჩაქუჩი; ისე ვზელდი ჩემ ბარს, თითქო ლითონი კი არა, უბრალო წმინდა სანთელიაო. ვალენტინი წამ და უწუმ თვალს გადმოავლებდა და თავისთვის ბუტბუტებდა.

— ყველას თავისი ნიჭი აქვს. ჩემი ოსტატი ნალით არის განთქმული; იმისთანა ნალს გამოიყვანს, რომ რა სთქვას კაცმა! მე კიდევ რაზა-კოჭაკში ვერავინ მაჯობებს. ნიჭია, ნიჭი, ღვთისაგან ნაბოძები და ნაკურთხი ნიჭი! პირში ჩამაფურთხეთ, თუ მართალს არ ვამბობდე! არა, ნიჭი რომ არ იყოს, ამისთანა ბარს გამოიყვანდა! ოსტატსაც გაუჭირდება ამისთანა ბარის გაკეთება! მიშელის ნიჭიც ბარი ყოფილა!

მიდი-მოდიოდა, თან თვალს მადევნებდა და წამდაუწუმ მკითხავდა:

— დაგეხმარო, მიშელ?

— არა, არა! — ვეუბნებოდი ამაყად და უფრო მარჯვედ ვატრიალებდი ჩაქუჩს.

და ისევ სიმღერას დავძახებდი:

— დაჰკა, მჭედელო, ჩაქუჩი...

ბოლოს, ჯერ ხუთი საათიც არ იყო, რომ ბარი სრულიად გავათავე. ისე ბრწყინავდა, როგორც ვერცხლი; ზარივით წკრიალებდა! დიდი ხანი სინჯა ვალენტინმა, დიდი ხანი ატრიალა ხელში და ბოლოს მითხრა:

— ბებერ რებშტოკს ხომ იცნობ, მიშელ, რიბოპიერში რომ ვაჭრობს. მთელ ალზას-ლორენი და თვით შვეიცარიაც კი იმისაგან ყიდულობს ბარს, წერაქვს, ცულსა და სახნის-საკვეთს; ჰოდა, ისეთი მშვენიერი რამ არის ეს ბარი, ისე ხელოვნურად არის გამოყვანილი,

რომ თვით ბებერი რებშტოკიც კი დაუსვამდა ზედ თავის რ-ს ჩემი გაკეთებულიაო. ყოჩაღ, მიშელ! შოველისთანა ბარი მგონი ბევრს არა ჰქონდეს და გარწმუნებ, შოველისა იქნება ძვლებიც აღარსად იყოს და ეგ ბარი კი დღევანდელივით ახალი იყოს!

წარმოიდგინეთ, როგორ მიამებოდა ვალენტინის ქება, რადგან საქმეში ძალიან დახელოვნებული იყო. მაგრამ ისე იმის ქება არ მახარებდა, როგორც მარგალიტას ნახვა და სიამოვნება. მე მინდოდა ბარი მზამზარეულად გაკეთებული მიმერთმია და ტარი უთუოდ შინდისა მეშოვნა. გავათავე თუ არა, მაშინვე მოხუცებულ რიგოსთან მივირბინე, რომელსაც ყოველთვის გამოულეველი ჰქონდა ცულისა და ბარის ტარები; იმანაც ისეთი კოხტა და სუბუქი ტარი გაუკეთა, იმისთანა ლამაზად გამიწყო ბარი, რომ უკეთესი არ იქნებოდა.

შვიდ საათამდე კიდევ ვიმუშავე, ბარი კი იქვე კარებს უკანა მქონდა მიყუდებული და მერე კი საჩქაროდ დავიბანე პირი და შოველიანთკენ გავწიე. მარგალიტა კარზედ იჯდა და კარტოფილსა ფცქვნიდა. ბარი შორიდანვე დავანახვე; გახარებული მივეშურებოდი და თან ვუყვიროდი:

— გავათავე, მარგალიტა, გავათავე! აბა გასინჯე. როგორ მოგწონს?

გამომართვა და კარგა ხანს სიამოვნებით სინჯა. მე კი სუნთქვა მიძნელდებოდა, ისე მიცემდა გული.

— რა კარგი რამ არის, მიშელ! ეს ვალენტინის გაკეთებული იქნება.

მეწყინა. სისხლი თავში ამივარდა და ვუპასუხე:

— მაშ მე არაფერი მცოდნია! არაფრის გაკეთება შემძლებია!

— მაგას ვინ ამბობს? მაგრამ ეს ისეთი მშვენიერი რამ არის, რომ!... ძალიან მარჯვე ხელოსანი ყოფილხარ, მიშელ!

და ისე ტკბილად გადმომხედა, რომ წეღანდელი სიტყვები მაშინვე დამავიწყა. მაგრამ იმავე დროს ფასი მკითხა და ხელახლად გული მომიკლა:

— მერე ძვირად არ დამიჯდება ამისთანა კარგი ბარი? რა გერგება, მიშელ?

— უთუოდ გინდა მაწყენინო, მარგალიტა? როგორ? ძლივს მეღირსა და დამსაქმე... ისიც რა, ერთი უბრალო ბარი... მე მინდა გასიამოვნო რამე... მე კმაყოფილი ვარ, რომ შენი სასიამოვნო შემიძლია რამე და შენ კი მეკითხები, რა გერგებაო.

არ მოელოდა, რომ ასე მეწყინებოდა და დამშვიდება დამიწყო:

— აბა დაფიქრდი, მიშელ, რა გითხარ აგრე საწყენი?! განა ყოველ შრომას თავისი ჯილდო არ უნდა ჰქონდეს?! თუ არა და განა

შენი ოსტატის ნახშირს ფასი არა აქვს? განა შენი ოსტატი დღევანდელ დღეში ჯამაგირს არ გაძლევს?

მეც ვხედავდი, რომ მართალს ამბობდა, მაგრამ მე ჩემსას გავიძახოდი: არა, არა! ეგ სულ სხვაა! თან ბრაზი მერეოდა, მაგრამ საიდანღაც გაჩნდა შოველი, მხარზედ ხელი დამადო და მითხრა:

— რაო? რა ამბავი გაქვთ? იქნება თქვენც ჩხუბი მოგდით?

ის იყო ლიქსჰეიმიდან მოსულიყო და მხიარულად გვათვალიერებდა ორივეს. შოველის დანახვაზედ ხომ სულ ერთიანად ამერია დავთრები და ხმა ვეღარ ამოვიღე.

— ჩხუბით არა ვჩხუბობთ, — უპასუხა მარგალიტამ, — თუმცა არც უიმისოა. ბარი გავაკეთებინე და ფასს კი არ მართმევს.

— ფასს კი არ გართმევს? ვითომდა რატომაო?

ჩემდა საბედნიეროდ ერთმა კარგმა აზრმა გამიარა თავში და ვუთხარი:

— არა, ბატონო, რომ მომკლათ, მე თქვენგან გროშს არ ავიღებ. ასჯერ მაინც გითხოვებიათ ჩემთვის თქვენი წიგნები; ჩემი და ლიზა თქვენ დააყენეთ იმისთანა პატიოსან ოჯახში და ეგეც რომ არ იყოს, თქვენი მეცადინეობით არ არის, რომ ჩვენი გლეხკაცობა თავის უფლებათა მოპოვებასა ცდილობს? მე რომ თქვენს საქმეს ვაკეთებ რასმე, ფასისთვის კი არა, იმიტომ ვაკეთებ, რომ თქვენი სიკეთის გადახდასა ვცდილობ, თუმცა თქვენ იმდენი სიკეთე მოგიძღვით, რომ ნეტავი ღმერთმა ერთი მეასედის გადახდა შემაძლებინოს. ჰოდა, სულ დაღუპული და უსინდისო უნდა ვიყო, რომ თქვენგან ფული ავიღო. ამას მე კი ვერ ვიზამ და!..

დამაშტერა თავისი პატარა თვალები შოველმა და ისე მიყურებდა, თითქო გულში მიძვრებაო.

— კარგი, მიშელ, კარგი! ოღონდ ერთი რამ გავიწყდება: მე სიკეთეს იმიტომ კი არა ვთესდი, რომ ფული აღარავისათვის მიმეცა. მეც სულ დაღუპული და უსინდისო ვიქნებოდი, ეგ განძრახვა რომ მქონოდა. მიხვდი, მიშელ?...

ისე გამაბა, ისე გამაკავა, რომ პირღია დავრჩი. შემრცხვა, გავწითლდი, კინაღამ ვიტირე.

— ეჰ, ბატონო შოველ! რომ იცოდეთ, როგორა ვწუხვარ...

ალბათ გულში მოხვდა გულით ნათქვამი და ჩემი ყოფა აგრძნობინა, რომ დამეთანხმა:

— არა, მიშელ, არა, მე სრულიადაც არ მინდა გაწყენინო რამე, რადგან შენ, ვიცი, პატიოსანი და ყოჩაღი ბიჭი ხარ. დასამტკიცებლად ამისა მიმიღია შენი საჩუქარი. ჰა, მარგალიტა, მივიღოთ მიშელის საჩუქარი?

— უნდა მივიღოთ, რა გაეწყობა? თუ კი აგრე იამება, უარს როგორ ვეტყვით?...

შოველმა ბარის სინჯვა დაიწყო და ძალიანაც მაქო, მართლა სამაგალითო ხელოსანი ყოფილხარ და იმედი მაქვს, ისე მოაწყობ საქმეს, რომ საკუთარი სამჭედლო გქონდეს და შენოდენა შეგირდებს ამუშავებდეო. ამის შემდეგ, როდესაც ხელი ჩამომართვა და შინ შევიდა, როდესაც მარგალიტა გამომეთხოვა და „ღამე მშვიდობისა, მიშელ! გმადლობ-ო“ დამიძახა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიხაროდა, რომ შოველი და მეტადრე მარგალიტა ვასიამოვნე; მიხაროდა, რომ შოველს ისე კარგად მივუგე პასუხი, რადგან ის საბუთები რომ არ მეთქვა, შოველი სულ სხვას იფიქრებდა და მე კი არ მინდოდა, რომ სცოდნოდა ვისმე, რა თვალით ვუყურებდი მარგალიტას. მაშ სიფრთხილე გმართებს-მეთქი, ვუთხარი იმ დღეს ჩემს თავს და გადავწყვიტე, მინამ საქმეს საქმეზედ არ მივიყვანდი და საცოლოდ არ ვითხოვდი, კრინტიც არავისთან დამეძრა.

ამ ფიქრებით მივდიოდი სამჭედლოსაკენ. შევედი დუქანში და ნათლიაჩემი კი დამიხვდა; ის იყო მოსულიყო და საგარეო ტანისამოსს იხდიდა:

— ნიკოლ, ჰაი ნიკოლ! ჩემი ახალუხი! ჩემი საღამური ქუდი! იიჰ, შენ გიშველა ღმერთმა! რა სჯობს შინ ყოფნას და ძველს, შეჩვეულ ტანისამოსს? ნიკოლ, ნიკოლ! ჩემი ხის ფლოსტები რაღა იქნა? ოჰ, მიშელს გაუმარჯოს, მიშელს! ძლივს შინ არა ვარ!... ერთი ავათამაშოთ ჩაქუჩები, მიშელ! მგონი, იმდენი საქმე მოგიგროვდათ, რომ...

— მაგდენი არაფერი, ნათლიაჩემო. წვრილმანი საქმე სულ თავის დროზედ კეთდებოდა და რაც შეეხება დაგსბერგიდან შემოკვეთილს, ის კიდევ გუშინწინ ჩავაბარეთ.

— ჰა, ყოჩაღ, ბიჭებო!

იმ დროს ნათლი-ჯალაბიც შემოვარდა. გადაეხვია გახარებული, თან ჰკოცნიდა და თან ეკითხებოდა:

— მორჩა ივანე? სრულებით მორჩა? ხომ აღარ წაგიყვანენ?

— აღარა, ეკატერინე, აღარა! მადლობა ღმერთს, გავათავეთ. ახლა კი კარგად არის ჩვენი საქმე: ჩვენი რვეული, რომელშიაც ავწერეთ ხალხის ყოველი საჭიროება, ზეგ უნდა წავიდეს ქ. მეცს სათემო კრებაზედ. მაგრამ იცით, რამდენი წვალება ვნახეთ! შოველი რომ არა გვყოლიყო, ვინ იცის, დღესაც არაფერი გვქონიყო. საკვირველი კაცია, საკვირველი! ყველაფერი იცის, ყველაფერი გაეგება! ყველაფერზედ შეუძლიან თავისი აზრი წარმოსთქვას და დაასაბუთოს. ჩვენმა სოფელმა დიდი სახელი გაითქვა, რომ ის ამოირჩია. სათემო

კრებაზე დასასწრებლად და ჩვენი რვეულის წარსადგენად ყველამ შოველი ავირჩიეთ! იმიტომ რომ შოველისთანად ხალხის მტრებს წინააღმდეგობას ვერვინ გაუწევს. იმისთანა პასუხს ვერავინ მისცემს. უკუნითი უკუნისამდე რომ არსებობდეს ჩვენი სოფელი, ამისთანა სასახელოს ვეღარას იზამს. ესლა შოველს მთელი სამეფო იცნობს და ყველამ იცის, რომ ის ჩვენი ამორჩეულია, ყველამ იცის, რომ ჩვენებურია და თუ ამოვირჩიეთ, იმიტომ ამოვირჩიეთ, რომ შეგნებულები ვართ და ღირსეულად დაფასება შეგვიძლია იმის ჭკუა-გონებისა, მიუხედავად იმის სარწმუნოებისა.

ამ ლაპარაკის დროს ნათლიაჩემი საგარეო ტანისამოსს იხდიდა და საშინაოს იცვამდა. ბოლოს გაიხადა წაღები და ფეხები ხის ფლოსტებში ჩაჰყო.

— დიაღ, ასზედ მეტნი ვიყავით ხალხის წარმომადგენელნი სამაზრო კრებაზედ. ჩვენ შორის თხუთმეტი უნდა ამოგვერჩია, რომ სათემო კრებას დაესწრნენ და ჩვენი რვეული წარადგინონ. წარმოიდგინეთ თხუთმეტში ჩვენი შოველი მეოთხეა! ჰოდა, ისეთი ლხინი და ნადიმი უნდა გადავიხადო ჩვენი წარმომადგენელის სასახელოდ, რომ მტერს თვალები დავუყენო! ლეტუმიეს და კოშარს უკვე შევატყობინე, ქალაქში ვნახე და იქვე დავაბარე ზემოურებიც მოეწვიათ. იცი, დედაკაცო, შენ რომა გაქვს მარანში მიმალული ბოთლები... გეხსომება, ძველი ღვინო გაქვს, დაბეჭდილი... მგონი ერთი მტკაველი მტვერი ადევს, ჰა?... უნდა გავხსნათ, უნდა გავხსნათ სულ ძველისძველი საგანგებოდ შენახული ბოთლები! შენ ერთი კარგი სადილი გაგვიკეთე! ნიკოლი ამ საღამოსვე წავიდეს და ექვსი გირვანქა საქონლის ხორცი წამოიღოს, სამი გირვანქა—საკატლეტე, საუკეთესო ხარისხის ცხვრის ორი ფეხი. კუნცთან რომ იყიდოს, უფრო პირიანად იშოვის; ეს კი უთხრას, მჭედელმა ივანემ გამომგზავნაო. ღმერთი არ გაგიწყრეთ და უნივროდ არ შესწვათ ხორცი! მართლა, ძეხვები ხომ გვაქვს? რა კარგი იქნება კომბოსტოს მწნილით მოხრაკული?!.. ლორიც გვექნება. რომელიც უფრო დიდი იყოს, ის ჩამოაღებინე, ყველი იქნება, სალათი, ცოტა რამ ხილი. ისე უნდა დავხვდეთ, რომ ყველა მადლიერი დაგვრჩეს. მაშ! დეე ყველამ გაიგოს, რომ ჩვენი წარმომადგენელი სათემო კრებაზედ დასასწრებლადაც არის ამორჩეული და მეოთხე ადგილი უჭირავს. მეოთხე ადგილი, იმაზედ უკეთესად სულ სამი კაცი იცნეს! დეე ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ, ჩვენ ამოვირჩიეთ შოველი! ჩვენ ამოვირჩიეთ ეს კაცი, რომელსაც გუშინ ჩვენს მეტი არავინ იცნობდა და დღეს კი მთელი საფრანგეთი იმედიანად შემოჰყურებს, რადგან ხალხს თავის უფლებათა მოპოვებაში შოველმა უფრო მეტი სამსახური გაუწია, ვიდრე ათასმა სხვამ. მაგრამ ამის

შესახებ მერეც ვილაპარაკებთ. საცა კი გაქნილი, გარეცხილი იყო ვინმე, ყველა ჩვენს კრებაზედ გამოეგზავნათ, რომ ხალხისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ხმასაც ვერ ამოიღებდნენ ხოლმე შოველის შიშით, მაშინვე ბურთს ჩასჩრიდა პირში!

აშკარად ეტყობოდა, რომ გზაში სადმე გაჩერებულიყო და ცოტა რამ გადაეკრა: მარტოდმარტო ლაპარაკობდა. ხელებს იქნევდა, და ლოყებს იბერავდა, სწორედ ისე, როგორც ჩვეულებრივ კარგი სადილის შემდეგ იცოდა. ჩვენ ყურს ვუგდებდით გაჩუმებულნი.

ნიკოლმა სუფრა გაშალა და ნათლიაჩემიც გაჩუმდა. ვახშმად ხმა აღარავის ამოუღია; სამაზრო კრებაზედ ვფიქრობდით ყველანი.

წასასვლელად რომ შევემზადეთ, ნათლიაჩემმა შემაყენა და მითხრა:

— მამაშენს უთხარ, შენმა ძველმა მეგობარმა დაგპატიჟა თქო; იქნება შენ არც კი იცი, რომ მე და მამაშენი ძველი მეგობრები ვართ: ორმოცდაჩვიდმეტში კენჭი ერთად ამოვიღეთ. აგრე უთხარ, არ დაგავიწყდეს. ხვალ სადილად ჩემთანა ბრძანდებოდე თქო, სწორედ შუადღისას. კი არ დაიგვიანოს.

— ბატონი ბრძანდები, ნათლიაჩემო. ღმერთმა შენი სიკეთე ჩვენც გადაგვახდევინოს.

— თქვენისთანა პატიოსანს რომ მიიწვევს ვისმე კაცი, სიკეთეს თავის თავს უზამს. ახლა კი მშვიდობით, ჩემო მიშელ! არ დაგავიწყდეს, ხვალ შენც ჩამოდი.

მეც შინისკენ გავეშურე. ნათლიაჩემს თავის დღეში არა უთქვამს რა ჩემთვის ისეთი სასიამოვნო, როგორც იმ ღამეს მამაჩემის შესახებ მითხრა და ამით ერთიასად უფრო მეტად შემაყვარა თავი.

XIV

ჩვენებს რომ ვუამბე, ხვალ ნათლიაჩემს დიდი წვეულება აქვს, მთელი სოფლის წარჩინებულნი პირნი ჰყავს მიწვეული და მე და მამაჩემიც დაპატიჟებული ვართ-მეთქი, დიდად გაიხარეს; ნათლიაჩემისაგან დიდი პატივისცემა იყო ჩვენი მიწვევა. მართალია, მეგობრები ვიყავითო, — სთქვა მამაჩემმა და მოაგონდა თავისი სიყმაწვილე. მოაგონდა თავისი ყმაწვილობიჭობა, ორმოცდაჩვიდმეტში კენჭის ყრა, როდესაც ისა და ნათლიაჩემი ხელი-ხელ გაყრილნი დასეირნობდნენ ქალაქში, მერე ჩემი ნათლობა. მოაგონდა ტკბილი წარსული. დაწვრილებით, თითქო თვალწინ უდგასო, დაგვიხატა გავლილი დღენი და ბოლოს მწარედ ამოიოხრა:

— აჰ, რა დრო იყო! რა დალოცვილი დრო იყო!

დედაჩემიც კმაყოფილი იყო, მაგრამ ჯერ ისევ გაჯავრებული იყო ჩემზედ და გაჩუმებული ართავდა; ხმაც არ ამოუღია, რომ თავისი კმაყოფილება არავისთვის შეემჩნევინებინა. მეორე დღეს კი, რომ ავდექით, სუყველაფერი მზად დაგვხვდა — სუფთა სარეცხი და გაწმენდილი ტანისამოსი იქვე ეწყო დალაგებული: იმ ღამეს კიდეც გაერეცხა, კიდეც გაეშრო, კიდეც დაეკერებინა. და შუადღემ რომ მოაღწია და მე და მამაჩემი გზას გავუდექით, დედაჩემი გარეთ გამოგვყვა და მეზობლებს შესძახა:

— ივანე ლერუსთან არიან სადილად დაპატიჟებული. დიდი წვეულება აქვს დღეს. მთელი სოფლის წარჩინებული პირნი ჰყავს მიწვეული!

მოხუცებული მამაჩემი ძლივს მოდიოდა; თავდაღმართზედ ხელი მომკიდა და სიცილით მითხრა:

— ისე ვართ დღეს მორთულები, როგორც ამორჩევის დროს ვიყავით. ის დღეა და ის, მას აქეთია ჩვენ ავი არა მოგვსვლია რა და ნეტავი მომავალშიც არა შეგვემთხვეს რა... მიშელ, ფრთხილად იყავი, შვილო, მეტადრე სადილზედ! ადამიანიშვილნი ვართ, სუფრაზედ უფრო ადვილად აჭიკჭიკდება ხოლმე კაცი... არა წამოგცდეს რა, შვილო, თორემ...

— ნუ გეშინია, მამა, ისე გავფრთხილდები, რომ არ წამომცდება რა.

სულ რიღასიც ეშინოდა, სულა კანკალებდა, როგორც საბრალო კურდღელი თრთის და კანკალებს, რადგან ყველგან და ყოველთვის თან დასდევს მტერი. და განა მარტო მამაჩემი? ისევე თრთოდა ყოველი ხანში შესული გლეხკაცი, რომელსაც მებატონის და მონასტრის ყმობა ეწვნია და დარწმუნებულიყო, რომ სამართალი გლეხისთვის არ არის დადებულიო.

რა საქმეს გაარიგებდა ასე დაშინებული ხალხი? ჩვენი ყოფაცხოვრების შესაცვლელად ისევ ყმაწვილკაცობა უნდა გამოსულიყო და უმფროსთაგანი თუ ჩაერეოდა ვინმე, მარტო შოველისთანა თავგანწირული ჩაერეოდა. რადგან იმისთვის სიცოცხლეს მნიშვნელობა არა ჰქონდა, თუ თავისუფლების მოპოვებას არ ვეცდებოდით. რევოლუცია რომ მარტო გლეხკაცობაზედ ყოფილიყო დამოკიდებული და მოქალაქეთ არ დაეწყოთ, დღესაც იმავე ყოფაში ვიქნებოდით, რა ყოფაშიაც 78 წ. ვიყავით. რას იზამთ? ტანჯვა გაუბედაობას და უიმედობას ჰბადავს. უბედური მხდალზედ მხდალია.

ისეთი მხიარული ლაპარაკი და სიცილი ისმოდა ნათლიაჩემის სახლიდან, რომ იტყოდით, აღდგომა დღეაო. სახლი სავსე იყო სტუმრებით. ლეტუმიე, კოშკარი, კლოდ ჰურე, კურტუა და ნათლიაჩემი

ერთ კუნჭულში იდგნენ სუფრის თავში და გაცხარებით ლაპარაკობდნენ რაღასაც. იმისთანა დიდი და შემკული სუფრა ჩემს დღეში არ მენახა. ისე იყო აჭრელებული ხელადებით და ფიალებით, ნაზუქითა და ლავაშებით, ისეთი ძვირფასი დანა-ჩანგალი და ჭურჭელი ელაგა, რომ თვალი ზედ დაგვრჩა.

— აჰა, აგერ ჩემი ძველი მეგობარიც მოვიდა! — შეჰყვირა ნათლიაჩემმა და წინ მოგვეგება. ორივე ხელები მხრებზედ დააწყო მამაჩემს და უთხრა:

— რა კარგი ჰქენ, რომ ჩამოხვედი, ჩემო პეტრე! ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდოდა შენი ნახვა, ისე მომაგონდება ხოლმე შენს ნახვაზედ ჩვენი სიყმაწვილე, თითქო გუშინ იყოო.

— ოჰ, რა დრო იყო, რა ბედნიერი დრო იყო. გახსოვს, კენჭის ამოსაღებად რომ წავედით? რა მხიარულად ვიყავით! ეეჰ, წავიდა ის დრო და სიმხიარულეც თან წაიღო. წავიდა და აღარ მობრუნდება.

— როგორ თუ არ მობრუნდება, — შეჰყვირა ლეტუმიემ, — როგორ თუ არ მობრუნდება? იცი გუშინ რა საქმე მოვუგეთ ჩვენს მებატონეებს და სამღვდელოებას? იცი რა გამარჯვებული მოვდივართ? და მარტო ჩვენ კი არა, მთელმა ქვეყანამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა. სიმხიარულე ეხლა გვმართებს, აი! გაუმარჯოს სიმხიარულეს!

და ქუდი ჭერსა ჰკრა. ჩვენ კი გულიანად ვიცინოდით და თან ცალი თვალით ხელადებს გადავხედავდით ხოლმე. ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით, მაგრამ თვალი კი სუფრაზედ გვეჭირა.

დარბაზის ბოლოში კარი ღია იყო და სამზარეულოდან იმისთანა სურნელება გამოდიოდა, რომ სადილნაჭამსაც კი მადას მოჰგვრიდა. ბუხართან ორი ჩასუქებული ინდოური ეკიდა შესაწვავად; ნათლიჯალაბი მორთულ-მოკაზმული მიდი-მოდიოდა ქვაბებშუა და ხან ერთს ჩახედავდა, ხან მეორეს. ნიკოლს უშველებელი ჩანგალი ეჭირა და შემწვარის გადაბრუნებას ცდილობდა. ნათლიაჩემი კი, როგორც მასპინძელს შეშვენის, ხან ერთს გამოელაპარაკებოდა, ხან მეორეს, ყველას უღიმოდა და ისე მხიარულადა ჰყავდა თავის სტუმრები, რომ მეტი არ შეიძლება. ძველი კაცი იყო, მუშაკაცი, და ადამიანის ყადრი და პატივისცემა იცოდა. შრომის დროს შრომა უყვარდა და ოჯახში ყაირათი, მაგრამ თავის დროზედ ისე გულუხვად დაუხვდებოდა, თუნდა მთელი სოფელიც სწვეოდა, თითქო თავის ნაშრომით კი არა, ციდან ჩამოყრილი ქადა-ნაზუქით უხვდება სტუმრებსო. და როდისღა დაუხვდებოდა სოფელს, თუ არა დღეს? სოფელმა პატივი სცა და თავის წარმომადგენლად აირჩია; სოფელი ენდო და თავის ბედ-ილბალი მიანდო; სოფელი ენდო და იმის რჩე-

ვით თავის მეორე წარმომადგენლად შოველი აირჩია. განა ამოდენა პატივისცემას გადახდა არ უნდოდა? ასე იყო ჩემს დროში, ასე მოიქცა მაშინ ყოველი პატიოსანი კაცი და ამიტომ იყო, რომ წესიერება არსად დარღვეულა. ხალხის წარმომადგენლები კარგად გრძნობდნენ, რომ ისინი ხალხის შვილნი და ხალხის წინამძღოლნი არიან და მართლა მიუძღოდნენ კიდეც. როგორც შეეძლოთ. შემდეგში კი მათი შვილები სულ სხვაფრივ მოიქცნენ: არ ვიცი ამპარტავნობამ გაიტაცა, ფულის ყიყვარულმა თუ სისულელემ, ზურგი შეაქციეს თავის ამომრჩევლებს: ვინ თქვენა და ვინ ჩვენა? ჩვენ ხალხთან რა უნდა გვქონდეს საერთო?! — ჩვენ კეთილშობილნი ვართო! — კეთილშობილნი კი არა, რომ ეთქვათ ყალბი კეთილშობილნიო, უფრო მართალი იქნებოდა. დიაღ, ამ ვაჟბატონებმა არ იკადრეს თავისი გამზრდელი ხალხი, მებატონეებში ჩაერივნენ და არც ხალხს შესძინეს რამე, არც თავის თავს, რადგან მებატონეებს იმათი მარტო შრომა უნდოდათ და არა თვით ისინი. აი ჩვენი ისტორია, მოკლეთ რომ მოვჭრათ.

სუფრის თავში კი იდგნენ მოხუცებულები და სასოფლო და საზოგადო საქმეებზედ ლაპარაკობდნენ. შემოვიდოდა ვინმე იმათივე ხნისა და ერთხმივ შეჰყვირებდნენ:

— აა, პლეჩს გაუმარჯოს!.. აგერა რიგოც მობრძანდება! რიგოს ვახლავართ!... აქეთ მობრძანდი, აქეთ... რასა იქ, როგორა ხარ?...

ვალენტინი და მე სულ უკან ვიდექით. ის ისევ თავისას გაიძახდა: ღმერთმა გააძლიეროს მეფე, დედოფალი და ბატონებიო! უიმათოდ გლეხკაცი შიმშილით მოკვდებაო! მაგრამ მეფე-დედოფალზედ მეტად მგონი ღვინო უყვარდა და ისეთი თვალით გადახედავდა ხოლმე სუფრას, თითქო ჯავრობს. რაღას უყურებენ, რატომ არ დასხდებიან, რადროს საქმეებზედ ლაპარაკიაო!

შუადღემ რომ დაჰკრა, ნიკოლი მოვიდა და მიჩურჩულა: — გაიქეცი, შოველს მოახსენე მობრძანდესო. ის იყო მინდოდა ქუდი ამეღო, რომ თვითონ შოველი და მარგალიტა შემოვიდნენ. ყველამ ყვირილი დაიწყეს:

— აგერ, შოველიც მობრძანდა!

შემოვიდა შოველი, ჯერ საერთო სალამი მოგვცა და მერე სათითაოდ დაგვიარა ყველას და ხელი ჩამოგვართვა. ვუყურებდით და ჩვენვე გვიკვირდა; თითქო ჩვენი შოველი იყო, მაგრამ თითქო გამოცვლილიყო კიდეც. ეხლა ხომ ვეღარავინ გაუბედავდა წიგნების ჩხრეკას და მუქარას?.. სათემო კრებაზედ ჩვენი მაზრიდან 15 კაცი უნდა წასულიყო და 15-ში მეოთხე შოველი იყო. სახეზედაც ეტყობოდა, რომ დიდად კმაყოფილი იყო: თვალები უბრწყინავდა, პირს

ღიმილი მოსდიოდა და იმისთანა მაღალი საყელო გაეკეთებინა, რომ ყურთამდე სწვდებოდა.

ლეტუმიეს ძალიან უნდოდა, შოველს ღირსეულად დახვედროდა, კარგი სიტყვა ეთქვა და შეექო, მაგრამ შოველმა თავისებური ღიმილით მოკლედ მოაჭრევინა:

— ბატონო ლეტუმიე, აგერ წვნიანი შემოიტანეს... ვერა ხედავთ, რა მშვენიერი სუნი ასდის?

და მართალიცა სთქვა: ნათლი-ჯალაბმა წვნიანი შემოიტანა და ნათლიამ დაინახა თუ არა, დაიძახა:

— დაბრძანდით, დაბრძანდით!.. ლეტუმიე, შენ შენი სიტყვა სუფრაზედ ბრძანე, შოველის სადღეგრძელოს რომ სვამდე. ხომ იცი, მშიერ მუცელს ყური არა აქვსო: აქეთ მობრძანდი, კოშარ! შოველ, შენ აქეთ, სუფრის თავში! ვალენტინ, ჰურე, პეტრე, დასხედით რაღა, რას დგეხართ?

ბოლოს ყველანი დავსხედით და კარგადაც დავსხედით. მამაჩემი, ვალენტინი და მე სუფრის ბოლოში მოვექეცით, სწორედ ნათლიაჩემის პირდაპირ.

ნათლი-ჯალაბი კი წვნიანს არიგებდა.

მე ჩემს დღეში არ მენახა ამისთანა წვეულება და გაკვირვებითა ვსინჯავდი ყველაფერს. საწყალი მამაჩემი უფრო გაკვირვებული იყო.

— ღვინო თქვენ თვითონ დაისხით, ხალხო, ყველას სათითაო ხელადა გიდგათ, — სთქვა ნათლიაჩემმა.

იმისთანა კარგი რამ იყო წვნიანი და ისეთი წყურვილი აგვიტეხა, რომ გავათავეთ თუ არა, მაშინვე ავივსეთ ფიალები. ვიღაცამ თქვა, მოდით ჯერ ჩვენი წარმომადგენლების სადღეგრძელო დავლიოთო, მაგრამ მასპინძელმა არ იყაბულა: ეს სულ უბრალო, შინაური ღვინოა და ჩვენი წარმომადგენლების სადღეგრძელოდ იმისთანა ღვინოს მოგართმევთ, — ძველისძველი ღვინო მაქვს ბოთლებით შენახული, — რომ ზიარებასავით შეგერგოთო. რასაკვირველია, დაეთანხმნენ და დიდი პატივი სცეს... ცივად ხორცს.

ლეტუმიე ამტკიცებდა, რომ ყოველ მუშას, გლეხკაცი იქნება, რომ მიწასა რწყავდეს თავის ოფლით, თუ ხელოსანი, ყოველდღე უნდა ჰქონდეს ერთი კარგი ნაჭერი ასე ცივად მოხარშული ხორცი და ერთი კარგი ხელადა ღვინოო. კოშარიც დაემოწმა და გააბეს ბაასი. აქედან საზოგადო და სახელმწიფო საქმეებზედ გადავიდნენ, მაგრამ ამ დროს შემოვიდა კომბოსტოს მწნილით შემწვარი ძეხვი და უცბად გააჩუმა ყველანი.

მარგალიტა და ნიკოლი სუფრას უვლიდნენ; ჰურჰელსა სცვლი-

დნენ, კერძსა და ხელადებით ღვინოს არიგებდნენ. ნათლი-ჯალაბს საჭმელები შემოჰქონდა.

პირველი საათი იქნებოდა, როდესაც შემწვარი შემოიტანეს და ძველი ღვინოც მოითხოვა ნათლიაჩემმა; კარგა შექეიფიანებული ყოვნენ ყველანი. კმაყოფილებით უყურებდნენ ერთმანეთს წვეულნი და ძველებურად ხუმრობდნენ.

— მაშ?! ჩვენც ადამიანები ვყოფილვართ, — იძახდა კოშარი, ჩვენცა გვქონია ადამიანის უფლებანი. თუ კაცია და წინააღმდეგს იტყვის ვინმე!.. თუ კაცია! მე ვარ პასუხისმგებელი!..

მოხუცებული კურტუა, ჯარში ნამყოფი და ნამსახური, პასუხად ეუბნებოდა:

— ჩვენ თუ ადამიანები არა ვართ, ეგ იმიტომ რომ კარგი ღვინო და კარგი სადილი ყოველთვის სხვასა ჰქონია. ჩვენ კი... ომის წინ, როცა ჩვენც საჭირონი ვიყავით, რა გინდა სულო და გულო, რომ ჩვენ არ დაგვპირებოდნენ! ომის შემდეგ კი, ვიღას ახსოვდა დაპირება? დისციპლინაც მაშინ მოაგონდებოდათ, სამსახურის სისასტიკეც, სამხედრო სასჯელიც და ისე გვცემდნენ ხმლის ყუით, რომ კარგი პატიოსანი გლეხკაცი საქონელს არ მოეკიდება ისე უდიერად. ჯარისკაცის ცემაზედ მეტი სამარცხვინო განაღა იქნება რამე? განა ის არა კმარა, რომ თავი აქვს განწირული უბედურს? დიაღ, ეგ ხომ სამარცხვინოა და მაგაზედ უარესი კიდევ ის არის, რომ რაც უნდა ვაჟკაცი და ნიჭიერი იყოს გლეხკაცი, აფიცრობას არ მისცემენ, გლეხი რადა ხარო!

ლეტუმიე კი გაბრწყინვალებულს მომავალს ხედავდა, თითქო წარსული და აწმყო იმისათვის აღარც კი არსებობსო:

— ეგ ყველაფერი მორჩა, გათავდა, ხალხო! წავიდა, თქვენი ჭირიც წაუღია! საქმე მომავალია! ჩვენი რვეულები მზად არის, საერო კრება ნახავს, რა უნდა ხალხს, რა ესაჭიროება, რა უშველის და რა ავნებს, ჩვენი კეთილი მეფე რომ გაიგებს ჩვენს გაჭირვებას, იტყვის: სრულიად მართალი ყოფილა ხალხი! რატომ დიდებულებს კი არ უნდა ედვათ ხარჯი?! რატომ თანასწორნი არ უნდა იყვნენ კანონის წინაშე დიდებული და გლეხკაციო? სწორედ ასე იტყვის, თორემ აი, ხომ ნახავთ. არა, თუ ყველანი ფრანგები ვართ, ხარჯიც ყველამ უნდა გავიღოთ და მოქალაქეობრივი უფლებანიც ყველას უნდა გვქონდეს. თუ ვცდები რაშიმე, აი აქ არა ვართ, მითხარით, რაში ვცდები!

ისე მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა ლეტუმიე, რომ ყველას მოეწონა, თუმცა არ უხდებოდა კი, ღვთის წინაშე, ეს მჭერმეტყველება: ყურთამდე გაპობილ პირს ისე აღებდა, თითქო გადაყლაპვას

უპირობს იქაურობასო; თვალებს ხუჭავდა, თავს უკან გადაიგდებდა და მარჯვენა ხელს სიტყვებს აყოლებდა. მაგრამ მგონი ეს ბევრს არავის შეუნიშნავს და რომ გაათავა, ყველამ ქება დაუწყო. ასე გასინჯეთ, მამაჩემმაც კი, ფრთხილმა მამაჩემმაც კი წამოიძახა:

— ყოჩაღ, ლეტუმიე! რაც მართალია, მართალია!.. ჩუმად იყავ, მიშელ, არა წამოგცდეს რა!.. თან კარებისკენ გაიხედა, თითქო ეშინია, ჯარისკაცები არ შემოვიდნენ და სათითაოდ არ დაგვიჭირონ ყველანიო.

ბოლოს ნათლიაჩემმა გაივსო ფიალა და დაიძახა:

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი შოველი, ჩვენი წარმომადგენელი და ჩვენი მასახელებელი შოველი. ღმერთმა შეაძლებინოს სათემო კრებაზედაც ისევე მაგრად დაუხვდეს გლეხკაცის მტრებს, როგორც აქამდის უდგა. ღმერთმა აცოცხლოს ხალხისა და იმის უფლებათა მფარველად. ჩვენ შოველის სიყვარული, და შოველის ხალხისადმი ერთგული სამსახური ნუ მოუშალოს ღმერთმა. ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი შოველი მრავალ ჟამიერ!

— ღმერთმა აცოცხლოს შოველი! შოველი ადღეგრძელოს! შოველს გაუმარჯოს! — ყვიროდნენ ყველანი და თან სავსე ფიალას სცლიდნენ.

იმ ხმაურში ვიღაცამ დაიძახა: — ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი წარმომადგენელი ივანე ლერუ და შოველიო! — და ახლა ეს სადღეგრძელო დალიეს იმავე ხმაურითა და ყიჟინით.

ისეთი ხმაური იყო დარბაზში, რომ ჭერი ინძრეოდა; ქუჩაში მიმავალნი ჩერდებოდნენ და იყურებოდნენ—აბა, კაი სმა აქა სცოდნიათო! ბოლოს, როცა ცოტა წესიერება ჩამოვარდა, მარგალიტამ და ნიკოლმა თეფშები გამოგვიცვალეს და ნათლი-ჯალაბმა ტკბილი შემოიტანა. ერთხელ კიდევ დავისხით ღვინო და ყველანი შოველს მივაჩერდით. ის კი იჯდა თავისთვის, მშვიდად, წყნარად, თითქო წვეულებაზედ კი არა, თავის ოთახში ზის მარტოდ-მარტო. ცოტა არ იყოს, იმ ძველ ღვინოს წამოეწითლებინა, თორემ როგორც შოველი გვენახა ყოველთვის, ეხლაც ისეთი იყო, რომ ნახა, ყველანი მე შემომყურებენო, ადგა და იმის მაგივრად, რომ სხვებივით ვისიმე სადღეგრძელო დაელია, დამშვიდებული კილოთი შემდეგი სიტყვები თქვა:

— დიაღ, პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით, მაგრამ ჯერ გამარჯვებას ნუ დავიკვეხებთ. ჯერ კიდევ დიდი შრომა, დიდი გაჭირებული ბრძოლა მოგვიხდება, თუ გვინდა, რომ მართლა მოვიპოვოთ ჩვენი უფლებანი. ადვილი კი ნუ გგონიათ ბეგარისა და ღალის უარყოფა, ხარჯის შემცირება, საბაჟოების გაუქმება და მეტადრე ბა-

ტონყმობის გადაგდება. ჩვენი გამარჯვება სხვის დამარცხება იქნება და აგრე ადვილად არ დამარცხდებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი. აგრე ადვილად არ გაუშვებენ ხელიდან ტკბილ ლუკმას! იქნება გგონიათ, რა კი სიმართლე ჩვენკენ არის, ვეღარას გაბედავენო? სიმართლესაც დაივიწყებენ, რჯულსაც და სარწმუნოებასაც და ცხარედ შეგვებრძოლებიან. გამაგრება მაშინა გვმართებს. ჩვენც იმდენი ვეცადნეთ, რომ თუ უბრძოლველად არ მოგვცეს, ძალა დავატანოთ. ჯარსაც მოიშველებენ, მოსამსახურეებსაც, ერთი სიტყვით ყველას, ვინც კი იმათ ლუკმაზედ არის და გადიდკაცებას ცდილობს. დიდი შებრძოლება მოგვიხდება... მე მგონია, რომ გამარჯვებული ხალხი დარჩება... იმიტომ რომ ხალხს უნდა გამარჯვება! იმიტომ რომ ხალხი მხარს მისცემს თავის წარმომადგენელთ, თუ უნდა რომ მძიმე და აუტანელი ტვირთი მართლა მოიხსნას. ხალხი მხარს მისცემს თავის წარმომადგენელთ...

— მხარს მივცემთ და აგრე! — შეჰყვირეს ლეტუმიემ, კოშარმა, ჰურემ და ნათლიაჩემმა და თან მუშტს უღერებდნენ უხილავ მტერს. — გავწყდებით, ცოლშვილიანად გავწყდებით და ამ უღელს კი მოვიხსნით! ჩვენ თუ არა, ჩვენ შვილებს მაინც შეეძლებათ თავისუფლად ცხოვრება!

შოველი ელოდა, სანამ გაათავებდნენ და მერე განაგრძო:

— კიდევ მოგახსენებთ, გამარჯვებული ხალხი დარჩება, რადგან თვით ხალხი ჰგრძნობს, რომ ამოდენა უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს და ვინ უნდა მოუღოს ბოლო, თუ არ თვითონ ხალხმა?! გამარჯვებული ხალხი დარჩება, მაგრამ რას ვაქნევთ ამ გამარჯვებას, თუ კი შემდეგში, როდესაც სახელმწიფო ვალის გადასახდელად საღსარს აღმოაჩენენ და საერო კრება დათხოვნილი იქნება, დიდებულნი ისევ ბატონყმობას შემოიღებენ? რად გეუცხოვათ ჩემი სიტყვები? ეგ პირველი მაგალითი კი არ იქნება: უწინაც რამდენჯერმე ყოფილა საერო კრება, ბევრი რამაც დაუდგენიათ ხალხის სასარგებლოდ, მაგრამ დაშლილა თუ არა ეს კრებები, მეფეს და დიდებულთ ისევ ძველებურად, თავისებურად უწირავთ, თითქო არც კრება ყოფილა და არც არა დაუდგენია რაო. დიაღ, ბატონყმობას რომ გადავაგდებთ, მერე უფრო ძნელი საქმე უნდა გავარიგოთ: იმოდენი ძალა უნდა მოვიპოვოთ, რომ დიდებულთ წინააღმდეგობა გავუწიოთ და ბატონყმობა ხელმეორედ არ შემოვაღებინოთ. ამ ძალას ხალხი წარმოადგენს და ხალხიდან გაყვანილი ჯარი. გარდა ამისა კაცს თავის ხსნა და თავისუფლება ერთ დღეს კი არ უნდა უნდოდეს, ან ერთ თვეს, ან ერთ წელიწადს, არა; ისე უნდა გაუჯდეს სულში და გულში ეს ნდომა, რომ მის მეტი არც დღე და არც ღამე არა აგონდებოდეს

რა. დიდი სიფრთხილე გვმართებს. მოგეხსენებათ, ბევრი მოინდომებს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას; ჩვენთან ჩვენი იქნება, სხვასთან სხვისი და თუ მივენდეთ, ჩვენი გამარჯვებით ის ისარგებლებს და ჩვენ ხელცარიელი დავრჩებით. საჭიროა, ჯარი ხალხისკენ იყოს; ამისთვის საჭიროა, რომ სულ უბრალო, სულ უკანასკნელ ჯარისკაცს ნება და უფლება ქონდეს, თუ კი ვაჟკაცობა და ნიჭი შესწევს, წინ წავიდეს, აფიცრობა მიიღოს და ისევე წარჩინებულ-დიდებულ კაცად გახდეს, როგორც ეხლა მარტო მებატონეები არიან.

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი შოველი! — შეჰყვირა ჯურტუამ, — აბა, ხალხო!..

მაგრამ შოველმა ანიშნა, ჯერ ნუ, ცოტა კიდევ მომითმინეთო, და განაგრძო:

— ძნელი წარმოსადგენია, რომ ამის შემდეგ ჯარი დიდებულთ მიემხროს და ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს. ჯარი ჩვენსკენ იქნება და ჩვენთან ერთად შეებრძოლება ხალხის მტერს. შემდეგ ამისა და უმთავრესი ეს გახლავთ, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩემ სიტყვებს. შემდეგ ამისა, თუ გვინდა რომ ჯარი და ხალხი არ მოატყუონ, თუ გვინდა, რომ ჯარსა და ხალხს თვალი არ აუბან და თავისივე ხელით არ წაარყვნევინონ ამოდენა ვაი-ვაგლახით შეძენილი თავისუფლება, თუ გვინდა, რომ ჩვენში შუღლი არ ჩამოაგდონ და ერთმანეთს არ წაგვკიდონ — თქვენც კარგად იცით ამით ვინ ისარგებლებს! — ერთი სიტყვით, თუ გვინდა, რომ გამარჯვება შეგვრჩეს და სასურველი ნაყოფი მოგვიტანოს, საჭიროა ისე მოვაგვაროთ საქმე, რომ სრული თავისუფლებით შეგვეძლოს ვწეროთ და გამოვთქვათ ჩვენი გულისპასუხი, საჭიროა თავისუფლება სიტყვისა და მწერლობისა. ეხლა რომ უსამართლობას გვიზამენ რასმე, უნდა დავიწყოთ სიარული და დიდებულთან მივიდეთ ვისთანმე: „ასე, შენი ჭირიმე, ბატონი მჩაგრამს, ასე უსამართლოდ მეკიდება“... ბატონზედ ბატონთან ვჩივით... უკაცრავად პასუხია, მგელი მგლის ძვალს გასტეხს?! მაგრამ აბა უფლება გვქონდეს ჩვენი საჩივარი ხალხს მოვახსენოთ? აბა ხალხს უფლება ჰქონდეს თვითონ დააყენოს მსაჯულები?! მაშინ განაღა გაბედავს ვინმე უსამართლობას? ან სადღა იქნებოდა მაშინ უსამართლობა? უსამართლობას მაშინ სჩადის კაცი, როდესაც დარწმუნებულია, დამსჯელი არავინა მყავსო... საჭიროა ხალხი განათლდეს, რომ შეიგნოს თავის უფლებანი და სწორედ ამიტომ არის, რომ დიდებულთ ასე ეჯავრებათ ხალხის განათლება. ასე ეჯავრებათ, რადგან ხალხის განათლება და იმათი დაღუპვა ერთია. სწორედ ამიტომ არის, რომ ეკლესიაში გვიქადაგებენ ხოლმე: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითაო!“ სწორედ ამიტომ არის, რომ წიგნებსა და ჟურნალ-

გაზეთებს ბორკილს ადებენ სხვადასხვა ახალ-ახალი კანონებით. თითქო მწერლობის წახრჩობა უნდათო. სწორედ ამიტომ არის, რომ ვინც კი ჩვენს განათლებას მოინდომებს, განდევნილია სამშობლოდან და თავისი დღენი შორს, შორს ობოლ-ტიალად უნდა დალიოს. სახრჩობელას ნუღარ იტყვით, თუმცა სამშობლოდან განდევნას მე ჩამოხრჩობა მირჩევნია. ხომ იცით რამდენი დაუხრჩვიათ! რამდენი მოუკლავთ!.. მაგრამ არა! ხალხისთვის თავგანწირულნი, მკვდარი კი არა, წამებულნი არიან! თითონ თუ აღარა, იმათი ღვაწლი მაინც ხალხშივე რჩება და განათლებასა ჰფენს! ნუ დავივიწყებთ ჩვენთვის წამებულთ. ვიკითხოთ იმათი ნაწერი და ვეცადნეთ შევიგნოთ, რას ქადაგებდნენ. გაუმარჯოს ხალხისთვის თაგვანწირულთ! გაუმარჯოთ მრავალ ჟამიერ!

და ჩვენც შევძახეთ:

— გაუმარჯოთ! გაუმარჯოთ!

ბევრმა ვერც კი გაიგო, ვიზედ ლაპარაკობდა შოველი, მაგრამ ისინიც, გაუმარჯოთო, გაიძახოდნენ და ღვინოსა სვამდნენ. ისეთი ყვირილი იდგა დარბაზში, რომ ნათლი-ჯალაბი ეკატერინე შემოვიდა და გვითხრა: აგრე ნუ ყვირით, მთელი სოფელი თავს გვახვევია, ეგონებათ, რომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებას ვაპირობთო.

ვალენტინი მაშინვე გარეთ გავიდა და მამაჩემი ისე მიყურებდა, თითქო მეკითხება: დრო არ არის თავს ვუშველოთო?

— ეგ არაფერი, ეკატერინე, — უპასუხა ნათლიაჩემმა. — ჩვენ მეტი არა გვითქვამს რა, ჩვენ ისა ვთქვით, რაც უნდა გვეთქვა, და ახლა კი კმარა.

ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ და ვაშლსა და თხილს შეექცევოდნენ. გარედან ვიღაცა მოხუცებულის ხმა ისმოდა.

— ჩვენი მათუსალემი, ვეჟო! — დაიძახა ლეტუმიემ.

— რა კარგ დროს მოსულა, სთქვა ნათლიაჩემმა და უბრძანა, აქ შემოიყვანეთო.

მარგალიტა გავიდა და შემოიყვანა ყველასაგან ცნობილი მოხუცებული მათუსალემი. ნამდვილად დომინიკი ერქვა და მათუსალემს იმიტომ ეძახდნენ, რომ იმ ხნის კაცი მეტისმეტად იშვიათი სანახავია. ას წელზე მეტისა იყო. ისე ჩაჰყვითლებოდა სახე, ისე ჩასჭკნობოდა, რომ დამჭკნარ თურაშაულსა ჰგავდა. თან ფანდური დაჰქონდა და იმისთანა ძველებურ სიმღერებს ამბობდა, იმისთანა საცოდავობას იტყოდა ხოლმე ძველი დროისას, რომ ყველას აგვატირებდა.

— მობრძანდი, მათუსალემ! — შესძახა ნათლიაჩემმა, — მობრძანდი! მობრძანდი და ძველებურად დაგვლოცე!

მოხუცებულმა ღვინო ჩამოართვა, პირჯვარი გადისახა, მერე აქეთ-იქით თავი დაუკრა, დალოცა იქ მყოფნი და ისე დალია. ნათლიჯალაბი, მარგალიტა და ნიკოლი იქვე იდგნენ და უყურებდნენ.

ღვინო რომ გაათავა, ნათლიაჩემმა სთხოვა, გვიმღერე რამეო, მაგრამ მოხუცებულმა უარი უთხრა: დავბერდი, რამდენი ხანია აღარა ვმღერი და თუ გნებავთ, ფანდურს კი დავუკრავო.

და დაჰკრა. იმისთანა ძველებური სიმღერა დაუკრა, ისე ააკვნესა სიმები, ისე აატირა, თითქო ცოცხალი ადამიანი მოსთქვამსო. გაკვირვებული ვეკითხებოდით ერთმანეთს, ნეტავ რა სიმღერას უკრავსო?

— ეგ ხომ გლეხის სიმღერაა! — წამოიძახა უცბად მამაჩემმა.

და ყველამ შესძახეს:

— მართლა, ეგ ხომ გლეხის სიმღერაა. აბა, პეტრე, უნდა სთქვა გლეხის სიმღერა! უთუოდ უნდა სთქვა!

მე არც კი ვიცოდი, რომ მამაჩემმა სიმღერა იცოდა, იმის ღიღინიც კი არ გამეგონა ჩემს დღეში, არამც თუ სიმღერა.

— რაღა მახსოვს?! — იძახდა მამაჩემი. — აღარც ლექსი მახსოვს, აღარც კილო. პირველი სიტყვაც კი არ მაგონდება.

მაგრამ აქედან შოველი სთხოვდა, იქიდან ნათლიაჩემი და სტუმრები, თანაც იძახდნენ, ყმაწვილბიჭობაში პეტრეს სიმღერაში ვერავინ სჯობდაო... უნდა დათანხმებულიყო, რა გაეწყობოდა, და საერთო სურვილი აესრულებინა. გაწითლდა, თავი დაღუნა და სთქვა:

— ეჰ, რაკი აგრე გსურთ, ვიტყვი და თუ არ ვარგოდეს, თქვენი ბრალი იყოს.

და დაიწყო. ფანდურს ააყოლა თავისი ხმა და ისეთი გულსაკლავი ლექსი თქვა, ისეთი მწუხარება და უიმედობა დაგვიხატა. ისეთი კვნესა ყველასაგან დაჩაგრულის და შეურაცხყოფილის გლეხისა, რომ ქალებისას ნუღარ იტყვით, ვაჟკაცნი ქვითინებდნენ... საქონელი რომ არა ჰყავდა, უღელში თითონ შეება საწყალი გლეხი და მეუღლედ თავისი ცოლი შეაბა. მაშ რა ექნა, როგორ გაელეწა კალო? აგერ გალეწა, გაანიავა... მოცვივდნენ მოურავი და იმის მხლებლები... აგერ ჯარი შემოესია. სოფელს ცეცხლი წაუკიდეს, გაანადგურეს, გაჟლიტეს იქაურობა. ქალები გააუპატიურეს... აგერ შიმშილი, ჭირიანობა...

გლეხკაცის უბედურებასავით დაუბოლოებელი იყო მამაჩემის სიმღერა.

ხომ ნასვამი ვიყავი და ჯერ ისევ მესამე ხანას ამბობდა, რომ თავი დავღუნე და ქვითინი დავიწყე. სხვანიც ყველანი ტიროდნენ. ლეტუმიე, ჰურე, კოშარი და ნათლიაჩემი კი ბანს აძლევდნენ: გე-

გონებოდათ მომკვდარა ვინმე და „განუსვენესა“ გალობენო.

მარგალიტაც მღეროდა. ისე კვნესოდა, თითქო მართლა უღელში აბამენ და ღმერთს შველას შესთხოვსო. საშინელება იყო... ერთხელ თმები ამეშალა... სტუმრებს გადავხედე. ისე გაყვითლებულნი ისხდნენ ყველანი, თითქო სამარიდან ამოსულანო. შოველი სუფრის თავში პირმოკუმული იჯდა და მგელივით გაბრაზებით იცქირებოდა შორს სივრცეში.

გაჩუმდა მამაჩემი. ფანდურის ხმაღა ისმოდა.

— ძალიანი სიმღერა თქვი, პეტრე! — უთხრა მამაჩემს შოველმა, — ძალიანი სიმღერა თქვი, პეტრე, და ძალიან კარგადაცა თქვი. ისე თქვი, როგორც ჩვენი ძველნი ამბობდნენ; გული თან ამოაყოლე, რადგან გულით გიგრძვნია ეგ ტანჯვა-წვალება. ემაგრე იტანჯებოდნენ ჩვენი ძველნი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში; ემაგრე იტანჯებოდნენ და იმიტომ ამბობდნენ ამისთანა სავალალო, სატირელ ლექსს. სიმღერა კი არა, უბედურთა გოდება იყო ეგ სიმღერა.

და, რადგან ყველანი გაჩუმებულნი ვიყავით, დაუმატა:

— გლეხის სიმღერა ხომ გათავდა, მოდით, ახლა სხვა ვთქვათ რამე.

და უცბად ფეხზედ წამოვხტით ყველანი. ყველაზედ უწინ მე წამოვდექი და დავიყვირე:

— დიაღ, ახლა სხვა ვთქვათ რამე... მაგან გული მოგვიკლა!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ოღონდ დიასახლისისა არ იყოს, ნუ ვიყვირებთ კი.

ნათლიაჩემმა თავის რიხიანი ხმით მჭედლის სიმღერა დასძახა, მე და ვალენტინმა ბანი მივეცით და ისე გავმხიარულდით, თითქო სამჭედლოში ვართ და ჩაქუჩებს ვიქნევთო. ჩვენი სიმღერაც დასაღონებელი იყო, მაგრამ ფოლადივით მაგარი და გულის გამმაგრებელი. და სიმაგრე ხომ იმედია.

ბევრი კიდევ სხვა სიმღერა ვთქვით იმ დღეს და კარგი სიმღერებიც, მაგრამ მამაჩემის სიმღერა ისე ჩამრჩა გულში, რომ აი, ახლაც, ამას რომა ვწერ, ყურში მიდგას და გული მიკვნესის, გული მიკვნესის და ვიძახი:

— ოჰ, დიდებულო, წმინდაო რევოლუციავ! თუ საფრანგეთში არის სადმე გლეხკაცი, რომელსაც შენი სიკეთე არა სწამს, ადგეს და თავის მამა-პაპეული გლეხის სიმღერა ისწავლოს. იქნება გულისტკივილით მაინც მიხვდეს თავის შეცდომას და აღარა გცოდოს!

იმ ღამეს ძალიან გვიან ამოვედით შინ მე და მამაჩემი. მეორე დღეს შოველი მეცს წავიდა. საერო კრება შორს აღარ იყო.

შოველის წასვლის შემდეგ სულ სათემო კრების საქმეებზელა ვლაპარაკობდით; ზოგი ამბობდა, სამივე წოდების — თავადაზნაურობის, სამღვდელოების და ხალხის წარმომადგენელნი ერთად იქნებიან და სხდომაც ერთად ექნებათო; ზოგი კი სულ სხვა აზრისა იყო: თავადაზნაურნი და სამღვდელონი მაგას თავის დღეში არ იზამენ და ცალ-ცალკე იქნებიანო; დიდი სჯა და ბაასი გვქონდა ამის შესახებ, თუმცა დარწმუნებით ჯერ არა ვიცოდით რა.

მეფის ბრძანებაში ეწერა, ხალხს იმდენი წარმომადგენელი ეყოლება, რამდენიც თავადაზნაურთ და სამღვდელოებას ერთადაო; ამიტომ ჩვენ გვინდოდა ყოველი კითხვა ისე გადაწყვეტილიყო, რომ ცალ-ცალკე დაჰკითხებოდნენ ყოველ წარმომადგენელს და ხმები ისე მოეგროვებინათ; მაშინ გამარჯვება ჩვენი იქნებოდა და ბატონყმობის სახსენებელიც იქნებ აღარსად დარჩენილიყო; თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება კარგად გრძნობდა ამას და ამბობდა, — ცალ-ცალკე ყოფილიყო: წარმომადგენელს კი არა, ყოველ წოდებას უნდა დაეკითხოთ და ხმები ისე მოვაგროვოთო; მაშინ, რასაკვირველია, ისინი გვაჯობებდნენ: იმათ ყოველთვის ორი ხმა ექნებოდათ, ჩვენ კი ერთი, და ბატონყმობის გადაგდების მაგივრად, უფრო მძიმე უღელს დაგვადებდნენ ქედზედ.

აბა მაშინ უნდა გენახათ, რა გაბრაზებული იყვნენ ნათლიაჩემი, ლეტუმიე, კოშარი და ერთობ ყველანი, ვისაც კი ცოტა რამ შეგნება ჰქონდა და ამ კითხვის საშინელ შედეგსა ჰგრძნობდა. შებინდდებოდა თუ არა და შეწყდებოდა მუშაობა, შევიკრიბებოდით ჩვენი მუხის ქვეშ და ზოგი თავისას გაიძახოდა, ზოგი თავისას. შინ ისე ცხელოდა, რომ აგერ რამდენიმე ხანია სკამები გარეთ გავიტანეთ და ჩვენი დუქნის სტუმრებსაც მუხის ქვეშ, ჩრდილში მივიღებდით ხოლმე. იმისთანა ცხელი გაზაფხული ჩემს დღეში აღარ მახსოვს; ჯერ ისევ აპრილი იდგა და იწვოდა ქვეყანა; მართალია, შემდეგ, მაისში დიდი ქარები და წვიმები დაიჭირა, მაგრამ აპრილში ისე ცხელოდა, რომ შუაგული ზაფხული გეგონებოდათ. მე და ვალენტინს ისე დაგვცხებოდა ხოლმე სამჭედლოში, რომ პერანგის ამარაღა ვმუშაობდით.

— ბიჭო, მიშელ! აქ გამოდი ერთი! — შემომძახებდა წამდაუწუმ ნათლიაჩემი და მეც უნდა გავსულიყავ, ამეწია ერთი უშველებელი კოკა ცივ-ცივი წყალი და ზედ თავზე დამეშვა.—ხომ დავიწვი, ასე რომ არ გავგრილდეო! — რიგოს ცოლი მაგდანი — იქვე, ჩვენ პირდაპირ იდგა — სიცილითა კვდებოდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, ძალიან ცხელოდა და ისე მოველოდით დაღამებას და აგრილებას, როგორც მონოზანი სულის ცხონებას. ამოვიდოდა მთვარე, დავსხდებოდით ჩვენი მუხის ქვეშ, ერთ ხელადა თეთრ ღვინოს ამოვიტანდით და ისეთი ამბავი გვქონდა, თითქო მჭედელ ლერუს დუქანში კი არა, თვით საერო კრების სხდომაზე ვართო.

სულ გარეთ იყვნენ დიდით პატარამდე; ქალები თავიანთ ხელსაქმეს გამოიტანდნენ, ბავშვები იქვე თამაშობდნენ და ისეთი მხიარული ხმაურობა იდგა ქუჩაში, რომ გიამებოდათ. ჩვენ კი ვისხედით მუხის ქვეშ და დაურიდებლად ვბაასობდით. ვიცოდით, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა საქვეყნოდ გახდებოდა, მაგრამ რაღაც იმედი გვიღვიოდა გულში და შიშს გვავიწყებდა.

ხანდახან მარგალიტაც მოვიდოდა ხოლმე. იქვე განზე გავდგებოდით და ჩვენთვის ტკბილად ვჭიკჭიკებდით, ვიდრე უფროსების ბაასს გაბრაზება არ დაეტყობოდა და ჩვენც არ წაგვიტყუებდა: ვნახოთ ერთი რასა ჯავრობენო. უფრო ნათლიაჩემი და ლეტუმიე ბრაზობდნენ. წამოხტებოდა ლეტუმიე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტს დაჰკრავდა მაგიდას და დაიყვირებდა:

— კმარა! ასე ცხოვრება შეუძლებელია! პირუტყვები ხომ არა ვართ! ჩვენ უნდა საქვეყნოდ გამოვაცხადოთ, რომ რაცა ვართ, ჩვენა ვართ, ჩვენ, გლეხკაცები!

ნათლი-ჯალაბი კი თავის მაგიდასა ჩიოდა:

— ღვთის გულისთვის, ბატონო ლეტუმიე, მაგიდამ რა დაგიშავათ?! მაგასაც ხომ ხმა არა აქვს, რომ მებატონეებს მიუდგეს!

ასე, ამგვარად მიმდინარეობდა ჩვენი ცხოვრება; დღე დღეს მისდევდა. კვირა — კვირას და მე არ მახსოვს, რომ ისეთი კმაყოფილი ვყოფილიყავ როდისმე ჩემი ბედისა, როგორც იმ გაზაფხულს ვიყავი, როდესაც თავისუფლად შევტრფოდი ჩემს მარგალიტას, თუმცა ვერა ვბედავდი და ვერ ვეუბნებოდი, როგორ მიყვარდა. არა, ისე ბედნიერი მე ჩემს დღეში აღარ ვყოფილვარ!

ერთს საღამოს, ასე რვა საათი იქნებოდა, ჩვეულებისამებრ ვისხედით მუხის ქვეშ და ვლაპარაკობდით. ლეტუმიე რაღასაც გაჰყვიროდა, კოშარს თავისი გრძელი ცხვირი წვერში წაეყო და გაჩუმებული ჩიბუხს ეწეოდა. ჩვენთვის უშიშრად, უდარდელად ვლაპარაკობდით და მგონი ყველაზედ უშიშრად კოშარი ბრძანდებოდა, თუმცა, სწორედ იმ დღეს შემოეტანა ფარულად საზღვარგარეთიდან ერთი ტომარა თამბაქო. თავისი ხელობა (ხურო იყო) მაძღარ ლუკმას ვერ აჭმევდა და ძალიან რომ გაუჭირდებოდა, საზღვარს გავიდოდა, გრაუფტალში სულ იაფად ერთ კარგ ტომარა თამბაქოს იყიდდა და

შემოაპარებდა როგორმე; ჩვენში კი თამბაქოს იმისთანა დიდი ბაჟი ედო, რომ მამასისხლად იყიდებოდა; რასაკვირველია, ყველანი ასე შემოპარებულსა ყიდულობდნენ, რადგან გირვანქას ერთ აბაზად შოულობდნენ და დუქანში კი მანეთადაც ძნელი საშოვარი იყო.

პოლიტიკური ბაასი ჩვეულებისამებრ ათ საათამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ჯერ მგონი ცხრაც არ იყო, რომ ვიღაც კაცმა შემოაღო ქუჩის კარი და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩვენსკენ. თან ორი ჟანდარმი მოსდევდა; მოდიოდა და სულ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქო რაღასაც ზვერავს და დაეძებსო. მოვიდა, მოგვიახლოვდა. ეს გახლდათ მატურინ პულე, დაბალ-დაბალი, საშობაო ქუბივით ჩასუქებული, ჩამრგვალებული, ჩაწითლებული, სამკეცი ღაბაბით შემკული პულე. ამბობდნენ, იმისთანა უცნაური მჭამელია, რომ ერთი კარგი ბატკანი საუზმედ არ ეყოფაო. და მეორე კიდევ სადილადაო. აბა რას ეყოფოდა ამისთანა მჭამელს თავისი მცირე ჯამაგირი — სადღაც მონასტერში მეკარედ იყო? და მარტო ჯამაგირზედ რომ ყოფილიყო, შიმშილით მოკვდებოდა. იქნება სწორედ ამიტომ იყო, რომ პულე არც დედას დაინდობდა, არც მამას, არც და-ძმას და ნათესავს, ოღონდ კუჭი გაეძღო როგორმე. თვით ღმერთსაც კი დააბეზღებდა, ოღონდ დასაბეზღებელი ჯილდო ეშოვა და თუმცა ღორსავით უგუნური შეხედულობა ჰქონდა, იმისთანა გაიძვერა რამ იყო, რომ უბაჟოდ შემოპარებული საქონელი არსად გამოეპარებოდა. დღე და ღამ სულ იმის ცდაში იყო, მახეში გავაბა ვინმეო და თუ ცხოვრობდა, დასაბეზღებელი ჯილდოთი უფრო ცხოვრობდა, ვიდრე თავის ჯამაგირით. აი, რა ცუდია მუცლის აყოლა: გულს მუცელი გადაეფარება და ადამიანს ჭამისა და სმის გარდა აღარა მოაგონდება რა!

მოდიოდა და ორივე ჟანდარმიც თან მოსდევდა, ორივე უზარმაზარი, მშვენიერი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, თუმცა ყვავილისაგან დასახიჩრებული კი იყვნენ. ძალიან მძვინვარებდა რევოლუციის წინ ყვავილი: ადამიანიშვილს ვერსადა ნახავდით, რომ ამ სენს თავისი ნიშანი არ დაედო. საცა ლამაზ ქალს შეხვდებოდით, ყვავილისაგან უნდა ყოფილიყო წამხდარი, და კაცები კიდევ უარესად დასახიჩრებული იყვნენ; მეტადრე ბევრი იყო ცალთვალა და უსინათლო! ხომ ასე იყო და ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელი იყო ყვავილის აცრის შემოღება! უფრო ძნელი, ვიდრე კარტოფილის შემოღება იყო. ხალხი ყოველთვის წინააღმდეგობას გაუწევს ხოლმე იმას, რაც იმისთვის სასარგებლოა. ეს არის ხალხის უბედურობა!

მოვიდნენ, შორიახლო გაჩერდნენ და პულემ ყველანი დაგვა-

თვალიერა. დიდი კმაყოფილება დაეტყო. მერე კოშარს დააცქერდა და სთქვა:

— ემანდა! ახლა კი აღარსად წაგვივა!

ყველანი აღვშფოთდით, რადგან მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ კოშარი თვით პულეს უზიდავდა თამბაქოს და სულ მუქთად უზიდავდა. მაგრამ პულე კოშარს კი არა, ღვიძლ ძმას არ დაინდობდა და არ დაინდო კიდეც:

— ემანდა! შეჰკარით!

ორივენი კოშარს მივარდნენ. საწყალს ჩიბუხი გავარდა, ორივე ხელებით მაგიდას დაებღაუჭა და ყვირილი დაიწყო:

— რას მერჩით?! რა დავაშავე?!

სახტად დავრჩით ყველანი. შეშინებულნი ვუყურებდით ერთმანეთს და ვეღარა მოგვესაზრა რა. პულე კი იცინოდა, თითქო ადამიანის ტანჯვა გულს უხარებსო:

— რა უნდა დაგეშავებინა! წუხელ გრაუფტალიდან ცოტა რამ სანაქებო თამბაქო შემოგიტანია და იმისთვის გიახელით... საბძელში რომა გაქვს ყავრის ფიცრებში მიმალული.

მაშინ კი ყველანი დავრწმუნდით, რომ კოშარი დაებეზღებინა ვისმე: თავისივე შურიანი მეზობელი დააბეზღებდა, თორემ ასე ზედმიწევნით პულეს რა ეცოდინებოდა? ყველანი შევკრთით, რადგან ამ დანაშაულისათვის უბედურს საუკუნოდ მადნებში სამუშაოდ გაისტუმრებდნენ სადმე.

შემკრთალნი, გაქვავებულნი ვიდექით და ხმის ამოღებასაც კი ვეღარ ვახერხებდით, რადგან პოლიციის წინააღმდეგობისათვის მაშინ ერთიათად სასტიკადა სჯიდნენ დამნაშავეთ, ვიდრე დღეს: სულ ყველაფერს წაართმევდნენ, რაც კი რამ ებადათ — სახლ-კარს, მამულს, საქონელს და ავეჯს და თითონ სადმე შორს, მარსელს გაგზავნიდნენ სახელმწიფო გემებზედ სამუშაოდ. გაგზავნიდნენ და ის იყო და ის! — ვეღარც ცოცხალს ნახავდა ვინმე, ვეღარც მკვდარსა! სულიან-ხორციანად დაღუპული იყო თავის ცოლ-შვილისა და დედ-მამისათვის! რამდენი კაცი გაუუბედურებიათ ამგვარად ჩვენს მთაში! თვით ჩვენ სოფელშიაც საწყალი მოხუცებულის ჟენევიევის შვილი ამისთვის დაკარგეს. პულემ დააბეზღა თურმე, საზღვარგარეთიდან მარილი შემოიტანაო, და დაიჭირეს საწყალი ქვრივის დედისერთა შვილი და საუკუნოდ გამოასალმეს თავის სამშობლო მიწა-წყალს. ამბობდნენ — უბედური იქ გაგზავნეს, სადაც პილპილი და შაქრის ლერწამი მოდისო. რაც რამ ებადათ, ისიც წაართვეს და იმის შემდეგ ჟენევიევი მოწყალებითღა ცხოვრობდა.

წარმოიდგინეთ, როგორ შეგვეშინდებოდა, პულე რომ დავინახეთ.

— აბა, შეჰკარით! — ყვიროდა პულე; — შეჰკარით და წავიდეთ.

კოშარი კი მაგიდას ებღაუჭებოდა და თავისას იძახდა:

— ვერ წამიყვანთ, ვერა!

ღვთის წყალობა გაქვთ ლეტუმიეს ხმა ჩაუვარდა! ისე გაჩუმებულიყო, თითქო თევზივით პირში წყალი უდგასო. ჩხავანა კატაო, სწორედ ამისთანა კაცებზე არის ნათქვამი: ყვირის და ყვირის, თითქო უნდა, რომ თავის თავი მოატყუოს—ნახე რა ბიჭი ვარო! და ერთი დღის სავალზე რომ ჟანდარმი მოაჩვენოთ, შიშით გული გაუსკდება! და ხშირად გულმაგარი და მამაცი სწორედ ის არის ხოლმე, ვინც ყველას მშიშრად და მხდლად მიაჩნდა.

იმდენი სწიეს ჟანდარმებმა, იმდენი აჯანჯღარეს ჩვენი კოშარი, რომ კინაღამ აგლიჯეს კიდეც, მაგრამ ამ დროს მარგალიტამ, იქვე ჩემს გვერდით რომ იდგა, დაარღვია სიჩუმე:

— ფრთხილად, ბატონო პულე! თქვენ უფლება არა გაქვთ ეს კაცი დაიჭიროთ!

და იმოდენა ხალხი, იქ მყოფნი და გარედან შემოსულნი, უცბად ჩვენკენ მობრუნდნენ; ნათლიაჩემი, ლეტუმიე, ნათლი-ჯალაბი.. მომაკვდავის ფერი ედვა ყველას. განა არა, ყველამ იცნო მარგალიტას ხმა, მაგრამ თავის ყურისა არა სჯეროდათ: მარგალიტა ამას როგორ გაბედავდაო? და შიშით თრთოდნენ. ყველაზე გაკვირვებული და განცვიფრებული კი თვით პულე ბრძანდებოდა. თავი მაღლა აეღო, ჩასისხლიანებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ჰკვირობდა:

— ვინ, ვინ იყო თავხედი, თავზედ ხელაღებული, რომ ეს გამიბედაო?! ჩემს ღღეში ჩემთვის არავის რა გაუბედნია და ხედავთ აქ რა მაკადრესო?!

ასე გვიყურა ცოტახანი და მერე შეჰყვირა:

— რომელი ხარ, რომ მეფის წინააღმდეგობასა ჰბედავ?

მარგალიტამ ისევ მშვიდად უპასუხა, თითქო აქ არაფერიაო:

— მე გახლავართ, ბატონო პულე. მარგალიტა შოველი, ხალხის წარმომადგენელის შოველის ქალი. ცუდ საქმეს სჩადიხართ, ბატონო, ძალიან ცუდ საქმეს; თქვენ გნებავთ, კაცი დაიჭიროთ, თუმცა მსაჯულის ბრძანება კი არა გაქვთ.

მერე ადგა და პულესა და ჟანდარმებს მიუახლოვდა, რომლებიც ჯერ მაინც თავს არ ანებებდნენ კოშარს.

— ნუ თუ მეფის ბრძანება არ იცით? ვიღაცას დაუბეზღებია და თქვენც ბედავთ და კაცს იჭერთ საღამოს ექვსი საათის შემდეგ, თუმცა მეფის ბრძანებით ეგ აკრძალულია! იქნება გნებავთ, ძალა დაატანოთ, ღამე სახლში შეუვარდეთ და სახლი გაუჩხრიკოთ. აგრე

რომ იყოს, მაგის უფლება რომა გქონდეთ, ყველა მაწანწალა და ქურდი მაგით ისარგებლებს და საცა გაკეთებულ კაცსა ნახავს, სახლში შეუვარდება: მეფის ბრძანებით სახლი უნდა გაგიჩხრიკოო! ქვეყანა ქურდებს დარჩებათ, მეფის ბრძანებით რომ არ იყოს ეგ აკრძალული. მეფის ბრძანებაა — სახლის გასაჩხრეკად დღით მობრძანდეთ და თან ორი პატიოსანი კაცი დაისწროთ.

ისეთი დინჯად, უშიშრად ლაპარაკობდა, გეგონებოდა თითონ შოველიაო. პულეს კი თანდათან ბრაზი ერეოდა, თავს ძლივსღა იმაგრებდა, სულ კანკალებდა იმ სისქე კაცი. მარგალიტას სიტყვებმა ცოტა ჩვენც გონებაზე მოგვიყვანა. ეზოში და გარეთ ქუჩაში კი ხალხი მოგროვილიყო, მთელი სოფელი თავს დაგვსხმოდა და ჩუმი დრტვინვა ისმოდა. უცბად მოხუცებულის ხმა გაისმა, მოხუცებული ჟენევიევის ტირილი და წყევლა-კრულვა:

— ვერ გაძეხი განა, შე წაწყმედილო, შენა! ჩემი შვილი, ჩემი უბედური ფრანსუა არ გეყოფოდა?! სისხლი მოგწყურდა განა, შე გულმკვდარო! ის არ გეყოფოდა?! ახლა წვრილშვილი კაცის დაღუპვა მოიწადინე?!

საწყალი ბებერი! მოიწევდა და ყავარჯენს უქნევდა პულეს.

— სად არის ჩემი ბიჭი, შე ღვთის მტერო, შე იუდავ, შენა! შენ გამიუბედურე, შენა, შე იუდის კერძო! ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ სამართალი აღარა გაქვს, შე დალოცვილო, შენა! ნუ თუ ასე უნდა ინავარდოს ამ სულითხორცამდე წაწყმედილმა! ერთხელაც იქნება მოკვდები, შე უბედურო, ცას ხომ არ შეაბერდები. იქ არ წარსდგები, ღვთისა წინაშე! იქ დაგხვდება ჩემი უბედური შვილი და იქ გაგისწორდება, იქ!

ისეთი ხმით მოსთქვამდა მოხუცებული, რომ დავიწვით იმის საცოდაობით. ხალხი ნელ-ნელა გარს გვერტყმოდა და მუქარა გაისმოდა. პულე შეკრთა. ამ დროს ნათლიაჩემი წამოდგა წინ და უთხრა:

— ნუ თუ იმ უბედურის ტირილი არ გესმით, ბატონო პულე! საშინელებაა, საშინელება! რა ადამიანი უნდა იყოს, რომ ეგ ცოდვა ედვას და ხელმეორედაც კიდევ სცოდავდეს?..

ჟენევიევი აღარას ამბობდა, მაგრამ იმისთანად ქვითინებდა, რომ ჩვენც აგვატირა ყველანი.

— დიაღ, ბატონო პულე, საშინელებაა, რასაც თქვენ სჩადიხართ. დაფიქრდით, ასწონ-დასწონეთ თქვენი საქციელი. ცუდ დროში ვართ, შეიძლება ხვალ უარესი დღე დაგვიდგეს, და ყველაზედ უარესი პოლიციის მოხელეებს და ჟანდარმებს! წლეულს ეს მეხუთედ მოდიხართ ჩვენ სოფელში და ღამით გვივარდებით სახლში. შარშან ზამთარს კიდევ ლუტცელბურგში ბრძანდებოდით და შუა-

ღამისას შეუვარდით ოჯახში ერთ საწყალ კაცს. დღეს მოგითმენენ, ხვალ... და ზეგ კი, იქნება აღარც კი მოგითმინონ. მერე ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ, უფროსებმა და მოხუცებულებმა? ჩვენ რა ვქნათ, რომ წინააღმდეგობა გაგიწიოთ ვინმემ? ჩვენც თქვენ დაგეხმაროთ, სიმართლისა და მეფის ბრძანების წინააღმდეგ? ჩვენც თქვენ დაგეხმაროთ, თუმცა ვიცით, რომ მეფის ბრძანებას არღვევთ და ფეხითა სთელავთ? თქვენ დაგეხმაროთ, თუ იმათ, ვინც მართალია, ვისაც უსამართლოდ ეკიდებით და დაღუპვას უპირებთ? თქვენ დაგეხმაროთ, თუ იმას, ვინც თავისუფლების დაცვასა ცდილობს? დაფიქრდით, ბატონო, ღვთის გულისთვის, დაფიქრდით! მე ამის მეტს არას მოგახსენებთ!

ეს თქვა ნათლიაჩემმა და იქვე მაგიდასთან დაჯდა. ხალხი კი უფრო და უფრო გრგვინავდა. ეზოში რომ ველარ ეტეოდნენ, ღობეზედ ამომძვრალიყვნენ, ვნახოთ რითი გათავდება ეს საქმეო. კოშარი კი თავისას გაიძახოდა:

— არ წამოვალ! რომ მომკლათ, არ წამოვალ! ჯერ ბრძანება მოიტანეთ!

პულემ ნახა, რომ ჟანდარმებიც შეშინდნენ და თითქმის თავი დაანებეს კოშარს; ნახა, რომ რაც უნდა ებრძანებინა, ისინი აღარ დაემორჩილებოდნენ და ჯავრის ამოსაყრელად მარგალიტასკენ წამოვიდა. უცბად გამოიწია და შემოუტია:

— სულ შენი ბრალია, შე... კალვინისტო, შენა! შენ რომ აქ არა ყოფილიყავი, სუყველაფერი კარგად გარიგდებოდა, შე ეშმაკის თესლო, შენა!

სისხლი თავში ავარდნოდა და ისე მორბოდა მარგალიტასკენ ინდოურივით გაფხორილი, თითქო უნდა მივარდეს და თმებით ათრიოსო. მოვარდა... ის იყო ხელი აიღო და მეც წავიწიე წინ, თვალი თვალში გავუშტერე და გულში კი მიხაროდა:

— ნეტავი დაჰკრა, ნეტავი დაჰკრა, შე უბედურო, რომ ფიცხლავ ანდერძი აგიგო-მეთქი!

ისე შევყურებდი, თითქო ხელში მიჭირავს და ღაბაბიან თავს ქვაზედ ვუგლიო.

უცბად ფერი წაუვიდა და უკან დაიწია.

— კარგი, — სთქვა ბოლოს პულემ, — ხვალ იყოს, განა ხვალ კი ველარ მოვალთ!

ჟანდარმები ძალიან კარგად ხედავდნენ ხალხის მღელვარებას და მუქარას და ძალიანაც იამათ, ეს რომ გაიგეს. კოშარს მაშინვე თავი დაანებეს და ისიც წამოდგა და წელში გასწორდა; საკინძე ჩა-

მოგლეჯილი ჰქონდა, ოფლში იწურებოდა და ისეთი ფერი ედვა, თითქო სულთმობრძავი არისო.

მე კი არ ვიძროდი ადგილიდან. მარგალიტა რომ მობრუნდა და ყურება დამიწყო, გონებაზე მარტო მაშინ მოვედი და მარტო მაშინ შევნიშნე, რომ იმოდენა ხალხი მე შემომყურებდა. ისე მეწყინა პულეს წასვლა, ისე მეწყინა, რომ საღსალამათი მიდიოდა, რომ კინაღამ გამოვუდექი; ჩხუბის გუნებაზედ ვიყავი და გული მიბრაზდებოდა, ისე რად გავუშვი, რატომ კარგად არ ჩავბუბნე-მეთქი!.. სადღაა ის დრო! ჟამნი რბიან და ჩვენცა გვცვლიან! თორემ რად უნდა მიკვირდეს მაშინდელი ჩემი გაბრაზება და ჩხუბის სურვილი! თვრამეტი წლისა მარტო ერთხელ არის ადამიანი, მკლავიც მაშინ შესწევს და სიყვარულის ალითაც მაშინ იწვის. პულეს კი არა, მთელს ქვეყანას შეებრძოლებოდი მაშინ!

კარგა ხანი მიყურა მარგალიტამ და მერე სიცილით მითხრა:

— ხედავ, მიშელ, როგორ მიძუნძულებენ!

— მაგაზედ უკეთესს ვერას იზამდნენ, — ვუპასუხე მე.

მაგრამ ჯერ ქუჩაში არც კი გასულიყვნენ, რომ საშინელი ყიჟინი დასცა ხალხმა. ზოგი რაღაცას უყვიროდა, ნიშნს უგებდა, ზოგი უსტვენდა, ზოგი გულიანადა ხარხარებდა; მთელ ჩვენ უბანში თავიდან ბოლომდე ყიჟინი და პულეს დაცინვა ისმოდა. კოშარიც ამ ხმაურობამ მოიყვანა გონზედ. მიიხედ-მოიხედა, თითქო აღარც კი ახსოვს რა მოხდაო, და ხელადით ღვინოსა სწვდა, მოიყუდა და ამოუსუნთქებლად გამოცალა.

— აჩქარდით, ბატონო კოშარ, — ეუბნებოდა მარგალიტა, — თუ მართლა სახიფათო გაქვთ რამე, ჩქარა ტყეში მიმალეთ, თორემ ხვალ გვიანღა იქნება.

უნდა გენახათ, რა კმაყოფილი იყო ჩვენი პატარა მარგალიტა და რა ბედნიერი იყო საწყალი კოშარი, ხელადა დასდგა, და მარგალიტასკენ წამოვიდა; დარწმუნებული ვარ, მადლობა უნდა გადაეხადნა, მაგრამ ჯერ ისევ კანკალებდა შიშისაგან. თითქო რაღაც მოაგონდაო, ხმაც აღარ ამოიღო, არც კი გამოგვეთხოვა და გიჟივით მოჰკურცხლა თავის სახლისაკენ.

აკი მოგახსენებთ, მთელი სოფელი თავს დაგვედო. იმისთანა მხიარული ხმაურობა გაისმოდა ჩვენს ეზოში, იმისთანა გამარჯვებული ხუმრობა და სიმღერები, გეგონებოდათ დღეობაა და ღამის სათევლად მოსულა ხალხიო. პულე და ჟანდარმები ჯერ შორს არ იქნებოდნენ და, რასაკვირველია, კარგად გაიგებდნენ ჩვენი სიმხიარულის მიზეზს. რა გუნებაზედ იქნებოდნენ? მეტადრე პულე! კაცი სანადიროდ წავიდა და თითონ კი გაება მახეში!

გახარებულმა ნათლიაჩემმა ღვინო ამოატანინა და იმ ღამეს კიდევ დიდი ხანი ვისხედით მუხის ქვეშ. ან რა დაგვაძინებდა? ყველა იმას გაიძახდა, — მარგალიტა რომ არა ყოფილიყო, მე მინდოდა კარგი პასუხი გამეცა იმ მაბეზღარა პულესთვისაო,—მაგრამ ამავე დროს იმასაც ამბობდნენ, რომ კოშარი მარგალიტამ დაიხსნა განსაცდელისაგანო.

— გამოჭრილი შოველია, ჩვენი პატარა მარგალიტა, — იძახდა ნათლიაჩემი, — ისევე უშიშარი, ისევე პირში მთქმელი და დაურიდებელი. ახლა რამდენს გაიცინებს შოველი, ამ ამბავს რომ გაიგებს! რამდენს გაიცინებს, რომ ეტყვიან — შენმა გოგომ ჟანდარმები გააქციაო!

მეც იქვე მარგალიტას ახლო ვიდექი და გაჩუმებული ყურს ვუგდებდი ამ ლაპარაკს. ჩემზედ უბედნიერესი მგონი სხვა არავინ ყოფილიყო ჩვენს მაზრაში!

და ბოლოს, როცა ლაპარაკით მოვიღალენით და შინისკენ წასასვლელად ავიშალენით, როდესაც ნათლიაჩემმა ეზოს კარი მოკეტა და უკანასკნელად დაგვიძახა: — ღამე მშვიდობისათ, მეგობრებო! ღმერთმა ნუ მოგიშალოთ დღევანდელისთანა გამარჯვებაო! — როდესაც ზოგი ზევით წავიდა და ზოგი ქვევით, მე და მარგალიტა სულ უკან დავრჩით და ნელი ნაბიჯით წავედით შოველიანთკენ.

მშვენიერი, მთვარიანი ღამე იყო; ჩუმი, წყნარი ღამე, ფოთოლიც კი არსადა შრიალებდა. აქა-იქ კარებს მიხურავდნენ, ან ღამე მშვიდობისაო, ერთმანეთს ეთხოვებოდნენ; ეს რომ არ ყოფილიყო, ადამიანის ხმაურობას რომ არ დაერღვია ღამის სიჩუმე, სწორედ ის დრო წარმოგიდგებოდათ, როდესაც, როგორც ამბობენ, ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო!

სახლამდე მივიყვანე მარგალიტა. აგერ ამწვანებულ მსხლის ჩრდილში ჩამალული პატარა სახლი; აგერ დაბალ-დაბალი ღობე; აგერ იქვე სახლის გვერდიდან მოჩუხჩუხე ანკარა წყარო; ისე მიყუჩებულა იქაურობა, ისეთი მყუდროებაა ყველგან, რომ ხმის ამოღებას ვეღარა ვბედავთ. ვდგევართ ერთად და ერთმანეთისთვის თვალი ვერ მოგვიშორებია.

დიდი ხანი ვიყავით ასე; მერე ისევ მარგალიტამ დაიწყო:

— რა ღამეა, მიშელ, — დაეწაფა, წყალი დალია, პირი მოიწმინდა.. — იცი, მიშელ, შენ რომ არ ყოფილიყავი... მთელი სოფლის ბიჭები იქ იყვნენ და... არა, ყველაზედ ყოჩაღი შენა ყოფილხარ! იქნება გგონია, არ ვიცოდი, რომ ჩემს უკან იდექი! ღმერთო, რა საშინელი სანახავი იყავი! ჰოდა, კიდეც შენ შეაშინე პულე, რომ ისე

მოძურწა! კუდამოძუებული მიეშურებოდა ის უბედური, ისა! — მეუბნებოდა მარგალიტა და გულიანად იცინოდა.

— ნეტავ, რას ფიქრობდი იმ დროს, მიშელ, რომ ისეთი საშინელი სახე გქონდა!

— მე იმასა ვფიქრობდი, რომ თუ ღმერთი გაუწყრა და მარგალიტას ხელი ახლო, ან ცუდი სიტყვა აკადრა რამე, აქვე, ამ წამსვე გავაქრობ-მეთქი.

დამაშტერდა. გაწითლდა...

— მერე ხომ შენც დაიღუპებოდი?

— ჯერ კი იმას გავსრესდი და! მერე ჩემთვის რაც უნდა ექნათ!

რა კარგად მაგონდება ყველაფერი! თვალწინ მიდგას პატარა მარგალიტა, თვალწინ მიდგას ის ნეტარი, წყნარი ღამე; თვალწინ მიდგას ჩემი მარგალიტა და გარკვევით მესმის ყოველი იმისი სიტყვა. რა კარგი რამა ხარ, სიყვარულო! მაშინ მარგალიტა თექვსმეტი წლისა იყო და ჩემს თვალში დღესაც არ დაბერებულა.

ცოტა ხანი კიდევ ვიყავით გაჩუმებულნი! მერე თითქო ფიქრიდან გამოერკვაო, მივიდა მარგალიტა, კარი გააღო... უცბად გამობრუნდა, ხელი გამომიწოდა და აღელვებული ხმით მითხრა:

— ღამე მშვიდობისა, მიშელ! გმადლობ!

და ვიგრძენ, რომ ხელი მომიჭირა. ღმერთო, როგორ ამიკანკალდა გული!

კარი მოკეტა. ვიდექ და გაშტერებული ვუყურებდი მარგალიტას სადგომს. ზემო ოთახში შუქი გამოჩნდა. ეტყობა დასაძინებლად ემზადება-მეთქი, ვიფიქრე და შინისკენ წავედი.

მივდიოდი და სიხარულისაგან ატოკებულს გულს ძლივსღა ვიმაგრებდი:

იცის მარგალიტამ, იცის, რომ მიყვარს!

იმისთანა აღელვებული და აღტაცებული ჩემს დღეში აღარ ვყოფილვარ.

XVI

გადაწყვეტილი მქონდა — მარგალიტა ჩემი უნდა ყოფილიყო.

— ჯერ პატარაა, ვიძახდი ჩემს გულ'ში, ჯერ პატარაა; მაგრამ ამ თხუთმეტ თვეზედ თვრამეტი წლისა გახდება და მაშინ გაიგებს, რა დიდი ბედნიერებაა ქალისთვის გათხოვება. მით უფრო გაიგებს, რომ მე ჩემ სიყვარულს აღარ დავუმალავ და რაკი ნახავს, რომ ასე გაგიჟებით მიყვარს. შეეთანხმდებით და საბრძოლველად მოვემზადებით. მაშინ უყურეთ დედაჩემის ყვირილს; აბა რას ინდომებს „ურ-

ჯულოს, კალვინისტს?“ ჩვენი მღვდელიც დედაჩემისკენ იქნება და მთელი სოფელიც. მაგრამ ეგ არაფერი! მე დარწმუნებული ვარ, მამაჩემი დიდად ისიამოვნებს და მამა-შვილურადაც დამლოცავს, როდესაც ავუხსნი, რა ძალიან მიყვარს ჩემი მარგალიტა და რა ბედნიერება იქნება ჩემთვის იმის შერთვა. უმისოდ ღმერთმა ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს-მეთქი, ვეტყვი, და დარწმუნებული ვარ, მამაჩემი მხარს მომცემს და არც დედას შეუშინდება, არც მთელ სოფელს. ბევრიც რომ იყაყანონ, მე ჩემსას ვიზამ! ჯვარს დავიწერთ, კატრვანის გზაზედ სადმე რულეტში პატარა სამჭედლოს დავდგამ და დავიწყებ მუშაობას. კაცს მკლავი უჭრიდეს, თორემ საქმე არსად მოაკლდება. იქნება ნათლიაჩემივით ერთი პატარა დუქანიც გავხსნა! რა ბედნიერ ვარსკვლავზედ ვყოფილვარ დაბადებული, ღმერთო! მერე თუ შვილიც მოგვეცა!.. იჯავროს დედაჩემმა! დამებადება ბალღი, ერთი ორ-სამ კვირას დავიცდი; მერე დავიწყებ სიარულს და თავს დავუკრამ დედაჩემს. მივალ და ვეტყვი: აი, დედაჩემო, აჰა, დასწყევლე, თუ შეგიძლია! გული მოულბება, თვალს ცრემლი მოერევა, იქნება ბევრიც იყვიროს, მაგრამ შეგვირიგდება და ისევ ძველებურად, ტკბილად ვიცხოვრებთ.

გამიტაცებდნენ ხოლმე ეს ფიქრები და ამიჩქროლდებოდა გული. ან არა და შოველი მომაგონდებოდა. არა მგონია, რომ იუკადრისოს ჩემი სიძეობა. რა ვიცი, ჩემზედ უკეთესი ვინ უნდა უნდოდეს? ყმაწვილი ბიჭი ვარ, კარგი მუშა ბიჭი, კარგი ხელოსანი! ლოთი მე არა ვარ და შფოთი. თუ დღეს არა მაქვს რა, ხვალ მექნება. კაცს შრომა უყვარდეს, თორემ ღმერთი მოწყალეა, ყველაფერს შეიძენს. არა, შოველისა შიში არა მაქვს, იმას კიდეც იამება.

და გამიმხიარულდებოდა გული. საქმე გათავებული, გარიგებული მეგონა და ქვეყანაზედ ჩემზედ უბედნიერესი და უძლიერესი აღარავინ მიმაჩნდა.

მაგრამ ცრუია წუთისოფელი: გაგაქცევს, გაგაქცევს და როგორც იტყვი — აგერ მივედი, მიზანს მივახწიეო, წაგაბორძიკებს და ყირამალა გადაგატრიალებს.

ერთ დილას, პულე რომ გავაქციეთ, იმის შემდეგ მეხუთე თუ მეექვსე დღეს, ებრაელი შმულის ცხენსა ვჭედდით, რომ ეზოში ზემოუბნელი სტეფანის ცოლი შემოვიდა. ქალაქში ყოფილიყო, მწვანილი და კვერცხები გაეყიდნა და შინისკენ მიდიოდა. მივიდა, ნათლიაჩემს მიესალმა და წერილი მიაწოდა:

— ფოსტით მოსულიყო, ბატონო ლერუ, და მე გამომატანეს ქალაქიდან.

გადახედა ნათლიაჩემმა და დაინახა თუ არა, მეციდან არისო, შეჰყვირა:

— შოველის წერილი! მკლავს მოვიჭრი, თუ ეს შოველის წერილი არ იყოს! აქ მოდი, მიშელ! აბა ერთი წაიკითხე, ის ოხერი სათვალეები შინ დამრჩენია!

გავხსენი წერილი და დავიწყე ხმამაღლა კითხვა. მაგრამ თავშივე, სულ ათი სტრიქონი არ წამეკითხა, რომ ავკანკალდი და კინაღამ გული წამივიდა. შოველი იწერებოდა, სათემო კრებამ საერო კრების წარმომადგენლად ამირჩია და ჩემს მარგალიტას უთხარით, რაც შეიძლება მალე წამოვიდეს, ქ. მეცში ყასაბხანის ქუჩაში ერთი დუქანია, სახელად „თიხის ჯამი“, იქ მიკითხოს; აჩქარდეს, რადგან, მოვა თუ არა, მაშინვე ვერსალისაკენ უნდა გავემგზავროთო.

გრძელი, გრძელზედ გრძელი წერილი იყო და მე კი ამის მეტი არა დამხსომებია რა. მე მარტო ის გავიგე, რომ მარგალიტა უნდა წასულიყო და სხვა რა ეწერა, რას ვკითხულობდი, იმისი აღარა მენაღვლებოდა რა. ჩვენებური დიაკვანივით შეუგნებლად ვკითხულობდი წერილს და რომ გავათავე, იქვე კუნძზედ დავეშვი.

ნათლიაჩემი კი შინისკენ გაექანა ყვირილით:

— ეკატერინე, სათემო კრებასაც შოველი ამოურჩევია ხალხის წარმომადგენლად და ახლა ვერსალს მიდის საერო კრებაზედ! ეკატერინე!

ეს რომ შეიტყო ვალენტინმა, ხელები აღაპყრო და შეჰღაღადა:

— რა დღეს შემასწარ, ღმერთო! შოველი სასახლეში უნდა იყოს? იმოდენა დიდებულებთან და ეპისკოპოსებთან ერთად! ღმერთო, ღმერთო!

— ვითომ და რატომაო, — შემოუტია მოხუცებულმა შმულმა, — შოველი ძალიან ჭკვიანი კაცია, ნამდვილი ვაჭრული კაცია! რითი დაუვარდება დიდებულებს და ეპისკოპოსებს?

მე კი ცეცხლი მეკიდებოდა:

— მორჩა, გათავდა! იქნება თვალითაც ველარსად ვნახო ჩემი მარგალიტა! წავა და ვინ იცის!..

ხალხისა რომ არ შემრცხვენოდა, ქვითინს დავიწყებდი. თან მწარე ფიქრები მერეოდნენ და უფრო გულს მიკლავდნენ: — ჰაი თუ დამცინებდნენ, რომ სცოდნოდათ, რომ მარგალიტა მიყვარს. ჰაი თუ მასხარად ამიგდებდნენ! არა, სად ერთი უბრალო მჭედელი და სად ხალხის წარმომადგენელი! საიდან სადაო?.. მარგალიტა ცაშია და მე კი ქვესკნელში!..

ქუჩაში ხალხი შეგროვდა. მეზობლები გამოვიდნენ, ნათლი-ჯალაბი, ნიკოლი... მოდიოდნენ და ყვიროდნენ:

— შოველი ვერსალში მიდის, საერო კრებას უნდა დაესწროს, ხალხის წარმომადგენლად ამოურჩევიათ!

და ემატებოდა და ემატებოდა ხალხი. ნათლიაჩემი სამჭედლოში შემოვარდა და შემოგვყვირა:

— სულ არ გადაგვრია ამ ამბავმა, დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი! ბიჭო, მიშელ, ჩაირბინე, მარგალიტას შეატყობინე!

წამოვდექი, მაგრამ რა? ისე მეძნელებოდა იმისი ნახვა, თითქო ჩემს მარგალიტასთან კი არა, სულ უცხო ქალთან მივდივარო. მეშინოდა — ტირილი არ დავიწყო, ჩემი სიყვარული არ გავუმჟღავნო და საქმე სასაცილოდ არ გავიხადო-მეთქი. ისე მეშინოდა, რომ შოველის სახლთან რომ მივედი, კარებთან ავიტუზე და კარგა ხანი შესვლას ვერა ვბედავდი.

მარგალიტა სარეცხს აუთოებდა და ძალიან გაიკვირვა ჩემი მისვლა; გაიკვირებდა, მაშ რა! როგორც ვმუშაობდით სამჭედლოში, ისე პერანგა წამოვსულიყავი სახელოებაწეული.

— რა მოხდა, მიშელ? — შემომძახა შეშინებულმა.

— კარგი ამბავი მომაქვს, ნუ გეშინიან!

— მაინც?

— მამაშენი ხალხის წარმომადგენლად აურჩევიათ და ვერსალს მიდის საერო კრებაზედ.

მეგონა იამება-მეთქი. ის კი გაყვითლდა, დაბარბაცდა და ფერმიხდილი ფეხზედ ძლივსღა იდგა.

— რა დაგემართა, მარგალიტა?

პასუხის გაცემა ვეღარ შესძლო. — ალბად სიხარულისაგან მოუვიდა-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ ამ დროს მარგალიტას ცრემლი გადმოსცვივდა და უცბად გულში ჩამიკრა. მომეხვია და იძახდა:

— ოჰ, მიშელ! რომ იცოდე, რა ბედნიერია დღეს მამაჩემი!

მყავდა ისე გულში ჩაკრული ჩემი პატარა მარგალიტა და მიკვირდა, — ნეტავ ისე მწარედ რა ატირებს-მეთქი? — თავი ვეღარ შეეკავებინა და ისე გულამოსკვნით ტიროდა, რომ მთელი ტანითა თრთოდა. ტიროდა და მე კი ჩემსას შევევედროდი ღმერთსა: — ნეტავი შეიძლებოდეს, ასე გულში ჩაკონებული მყავდეს, ერთმანეთი საუკუნოდ აღარავინ განგვაშოროს-მეთქი. თან გული მიბრაზდებოდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი: — რადა, რად უნდა დავკარგო, რად უნდა დავთმო? აბა მოვიდნენ და წამართვან! აბა მოვიდნენ?!

მაგრამ ვინ უნდა მოსულიყო? მამა იბარებდა, მამას შვილს ხომ არ წავართმევდი?

დიდი ხანი იტირა მარგალიტამ. მერე ხელიდან გამისხლტა, პირს წყალი შეისხა და სიცილით მითხრა:

— რა სულელი რამა ვარ, მიშელ! არა, რა მქონდა სატირელი, რა მატირებდა?

მე აღარა ვუპასუხე რა, ან რა უნდა მეთქვა? მე ჩემს მარგალიტას შევტრფოდი და უკანასკნელად შევყურებდი სიყვარულით სავსე თვალებით, მარგალიტა კი ვერას ხედავდა.

მერე მოვიდა, ხელი დამიჭირა და მითხრა:

— აბა წავიდეთ, მიშელ! წავიდეთ!

ჩვენი დუქნის დიდი დარბაზი გატენილი იყო ხალხით. მე ვერ აგიწერთ, როგორ ულოცავდნენ მარგალიტას შოველის არჩევას. ჯერ ნათლიაჩემმა, ნათლი-ჯალაბმა და ნიკოლმა გადაჰკოცნეს; მერე სოფლის მოხუცებულებმა სათითაოდ მიულოცეს და ხელი ჩამოართვეს. ისეთი მოწიწებით ებაასებოდნენ ჩვენს პატარა მარგალიტას ლეტუმიე, ჰურე და თვით მოხუცებული რიგო, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. კარგა ღამემდე, დიდ ვახშმობამდე ხალხით სავსე იყო ჩვენი დუქანი; რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა, და ყველას მარგალიტას ნახვა და მილოცვა უნდოდა. განა მარტო ვაჟიკაცები? ქალები, ბავშები, სულ იქ იყვნენ და სულ მარგალიტას ეხვეოდნენ. დიდი ძალი ღვინო დაილია იმ ღამეს, დიდი ძალი! სულ შოველის სადღეგრძელოსა სვამდნენ. ისეთი ხმაურობა იდგა, გეგონებოდათ ქორწილიაო. და ყველაზე მეტად თვით ნათლიაჩემი ყვიროდა თავის რიხიანი ხმით.

— შეგარცხვინა ღმერთმა, მიშელ, შეგარცხვინა! — ვიძახდი ჩემს გულში. მთელი სოფელი ხარობს, დიდსა და პატარას იამა შოველის და მარგალიტას ბედნიერება და შენ კი თავ-პირი ჩამოგტირის?! არა, გრცხვენია!?

ჩემთან მარტო ვალენტინი იჯდა და თავისებურად მოსთქვამდა:

— მეორედ მოსვლაა, თქვენი ჭირიმეთ, მეორედ მოსვლა, თორემ ვიღაც მაწანწალა მეწვრილმანეს სასახლეში ვინ შეუშვებდა?! ეს სწორედ მეორედ მოსვლაა, რომ დიდი და პატარა აღარავის გააჩნია; მთა-ბარი გასწორებულა და დიდებულ მებატონესთან ვიღაცა შოველი უნდა გამოიჭიმოს — მე ხალხის წარმომადგენელი ვარო! ქრისტიანი მაინცა ყოფილიყო!

იქნება არც კი დამიჯეროთ, ისე ვიყავ აღრენილი, რომ მეც ვეთანხმებოდი. ნეტავ რა იქნა ჩემი მხნეობა? იქ დარჩენა შეუძლებელი-ღა იყო, იმოდენა ხალხში. დარბაზში რომ ადგილი აღარ იყო, მარგალიტა სამზარეულოში გასულიყო და ვისაც იმის ნახვა უნდოდა, იქ უნდა შესულიყო და იქ მიელოცნა. მე კი წამოვავლე ჩემს ქუდს ხელი და წავედი. მეც არ ვიცოდი, საით მივდიოდი. გავედი მინდორში და გზას გავყევი.

სამაგალითო გაზაფხული იდგა და იმისთანა პირი უჩანდა ჯე-

ჯილს, იტყოდით ღმერთს თავისი კალთა აქ დაუბერტყიაო. ყვაოდა იქაურობა, ჰაერში ფრინველების ჟრიამული იდგა. მე კი დაღონებული, გულმოკლული მივდიოდი და იმისთანა უიმედობა და სასოწარკვეთილება მერეოდა, რომ სიცოცხლე მძიმე ტვირთად მიმაჩნდა.

თუნდა სამჯერ მივეგდე მწვანეზედ ღონემიხდილი, მაგრამ შვებას ვერსად ვპოვებდი: ერთსა და იმავე აზრს მოეცვა ჩემი სული და გული და საშინელი სისწრაფით მერეოდა და მიმორჩილებდა. ან რიღას იმედი უნდა მქონოდა? მარტოდმარტო ვიყავ, ვიღუპებოდი და არც მხსნელი მოჩანდა ვინმე, არც გულშემატკივარი!

მორჩა!.. სიკვდილის მეტი აღარა დამრჩენია რა!

ამის მეტი აღარა მაგონდებოდა რა.

ბოლოს, როცა დაღამდა, ავდექ და ჩემდა უნებურად შინისკენ წავედი. ჩვენ უბანში, იქვე ჩვენს ახლო, მხიარული სიმღერა ისმოდა. ცოტა ხანი ყური დავუგდე და ვთქვი:

— ნეტავი რა გაქვთ გასახარელი? სიცოცხლე ცრემლის ზღვა არის და სიყვარული — სიზმარი!

შინ შევედი. მამაჩემი კალათებს სწნავდა, დედა ჯარას უჯდა. ჩვეულებრივ მივესალმე. გადმომხედა საწყალმა მამაჩემმა და შემომყვირა:

— რამ გაგაყვითლა აგრე? ავად ხომ არა ხარ, შვილო?

არ ვიცოდი რა მეპასუხნა, მაგრამ დედაჩემმა არ დამაცადა:

— ავად კი არა და! ვერა ხედავ, დალეულია! ცოტა მეტი მოსვლია შოველის სადღეგრძელო!

— მართალსა ბრძანებ, დედა, — ვუთხარი მე მწარე ღიმილით, მართალსა ბრძანებ, ცოტა მეტი მომივიდა. რას იზამ? ეგ იმისთანა შემთხვევა იყო, რომ იქაც რომ არ დამელია სადღა დავლევდი?

— რა გიშავს, შვილო! — მითხრა ტკბილად მამამ და ხელი მომხვია, — დაწექი, დაიძინე!

გამოვეთხოვე და ავედი ჩემს ყავარში. კიბეზედ ძლივს ავედი, მუხლი მეკეცებოდა. ავედი, სანთელი ავანთე. იქვე ჩემს გვერდით პატარა სტეფანეს ეძინა. ვუყურებდი და ცრემლი მერეოდა.

— ღმერთო, რა ძალიანა ჰგავს მამას! ზედ გამოჭრილი მამაჩემია!

გული ამომიჯდა და ტირილი დავიწყე. კარგა ხანი ვიყავი ასე. მერე დავეწოდე, ვაკოცე და აღთქმა დავუდე ჩემს პატარა ძმას:

— ვფიცავ, მე შენ არ გიღალატებ! რაც კი მებადა, ყველა წამართვა ღმერთმა, მე აღარა შემარჩინა რა! ჰოდა ვფიცავ შენთვისღა გავიჭირვებ და შენთვისღა ვიცხოვრებ. იქნება შენ უფრო ბედნიერი იყო! იქნება შენი შეყვარებული არსად წავიდეს და შენ მაინც მოგცეს ღმერთმა, რაც ჩემთვის დაიშურა!

დავწექი, მაგრამ ვაი იმ დაწოლას! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭია! სულ იმას ვფიქრობდი, უნდა გავმაგრდე, თორემ გამიგებენ და ქვეყნის სალაპარაკოდ გავხდები-მეთქი. — და უნდა გავმაგრებულიყავი კიდეც, თორემ რომ გაეგოთ, მარგალიტა მიყვარდა, მაშინ იქნებოდა ჩემი შერცხვენა! მთელი ღამე სულ ამ ფიქრებში ვიყავი, მთელი ღამე სულ გამაგრებას და გამხნევებას ვცდილობდი და მეორე დღეს ისე დამშვიდებული მივედი სამჭედლოში, თითქო ჩემს დღეში დარდისა არა მცოდნია რაო.

მარგალიტას სანახავად ახლა სხვა სოფლელებიც მოდიოდნენ და არამც თუ სოფლელები, ქალაქიდანაც კი ამოვიდნენ, ვინც კი წარჩინებული პირნი იყვნენ. კერძო პირთ თან მოჰყვნენ მოსამსახურე პირნი და ყველა, ვინც საზოგადოებაში გარეული იყო და უკან ჩამორჩენა არ უნდოდა, ყველა მარგალიტას სანახავად და მოსალოცად მოდიოდა. ღმერთმა ხომ იცის, რომ მარგალიტა იმათ არც მამით იცნობდა და არც დედით, მაგრამ ,მოდიოდნენ თავ-თავიანთი სამსახურის შესაფერი ტანისამოსით მორთულნი! მოდიოდნენ ჩვენი მაზრის წარმომადგენლის ბ. შოველის ქალის მოსაკითხად და მისალოცავად. ულოცავდნენ და უცინოდნენ, თითქო მართლა გულით უხარიათ შოველის ამორჩევაო! და გულში რომ ჩაგეხედნათ კი, იქნება შოველის სიმტრის მეტი არა ედოთ რა. სწორედ გუგული მოგაგონდებოდათ, რომელიც გაკეთებულს მზამზარეულს ბუდეს დაეპატრონება და თითონ კი ერთ ბწკერ ჩალას არ მიიტანს იმის გასაკეთებლად. ამ ვაუბატონებისთვის უმთავრესი ის იყო, გარემოებით ესარგებლათ და მძიმედ თავის დაკვრით და მოკითხვით და მილოცვით კარგი ჯამაგირიანი ადგილი ეშოვნათ. ვიდრე შოველს ამოირჩევდნენ, რომ ენახათ სადმე, იქნება მარგალიტასთვის და იმის მამისთვის სალამიც არ მიეცათ და ახლა კი თითონ მოგვადგნენ კარზე, მოგვიკითხეს, და მოწიწებით გვთხოვეს: თუ გნებავდეთ რამე, ნუ დაგვერიდებით თქვენს უმორჩილეს მონებსაო! მერე რისთვის? მარტო იმისთვის, რომ შოველი ვერსალშია, სასახლეში დაიარება და იმის შემწეობით საქმეს გავირიგებთო! ფუ, შეარცხვინათ ღმერთმა! ბრაზი მერეოდა და ძლივსღა ვიმაგრებდი თავს. მინდოდა მივარდნოდი და იმ უსინდისოებზედ ამომეყარა ჩემი ჯავრი!

ნათლიაჩემი, ნათლი-ჯალაბი და მარგალიტა მიიღებდნენ ხოლმე ,ისალოცად მოსულ სტუმრებს. მე და ვალენტინი ჩვენთვის სამჭედლოში ვმუშაობდით და იქიდან ვხედავდით ყველაფერს. ჩემზედ არანაკლებ ჯავრობდა ვალენტინი, მაგრამ იმას სულ სხვა აჯავრებდა:

— უყურე, მიშელ! აგერ, ბატონი მსაჯული! აგერ, ბატონი ხაზინადარი. ხედავ რა მძიმედ დაუკრა თავი! აბა ზრდილობა მაგას

ჰქვიან, აი! აგერ, ბურნუთის კოლოფი გახსნა. უყურე, რა ლამაზად ამოიღო! ხედავ, რა კოხტად ჩამოიწმინდა დაბნეული ბურნუთი! თუნდა დავიფიცავ, წმინდა კარდინალისაგან ისწავლიდა, თორემ ბურნუთს მაგრე მოხდენილად წმინდა კარდინალის გარდა არავინ სწევს. ჰოდა, რაც კარდინალის სასახლეს მოუხდება, უბრალო დუქანში არ გამოდგება, არა! ისიც ვისთან, ვიღაცა შოველის გომბიოსთან! ღმერთო! ნახე როგორ შემოტრიალდა ქუსლზედ! ვერ დაინახე, მიშელ! ქუსლზედ შემოტრიალდა და ყველას ერთობ დაუკრა თავი.

რა იმათი თავის დაკვრისა მცხელოდა, კაცი აღარ ვიყავი: იმოდენა დიდებულებს რომ ვხედავდი მარგალიტასთან, უფრო მეტად ვგრძნობდი, რა საშინელი ზღვარი იდგა მე და იმას შუა. თუ ჩვენ, უვიცთ, არ ვიცოდით, რა დიდი რამ იყო საერო კრების წარმომადგენლობა, ამ ქალაქელებმა ხომ კარგად იცოდნენ. ალბად დიდი კაცი გამხდარა შოველი, რომ ყველა იმის ქალის სანახავად მოეშურებოდა. ტყუილუბრალოდ თავს რად შეიწუხებდნენ! იმისთანა პატიოსანი ხალხი ეხვია მარგალიტას, იმისთანა მდიდარი და წარჩინებული ყმაწვილკაცობა, რომ ზედაც აღარ შემომხედავდა. მე თვითონ ვგრძნობდი, რომ დიდი სისულელე მოუვიდოდა, რომ ეხლა მარგალიტას, ვინმე დიდებული ყმაწვილი კაცის მაგივრად, ერთი ღარიბ-ღატაკი, გლეხის ბიჭი, უბრალო მჭედელი შეერთო. მე თითონ ვგრძნობდი, რომ დიდი სისულელე მოუვიდოდა და მით უფრო ვიტანჯებოდი.

ხუთ საათამდე არ გამოლეულან სტუმრები. მარგალიტა იმ ღამეს უნდა წასულიყო პარიზისკენ მიმავალ დილიჟანსით. ნათლიაჩემმა თავისი მაფრაშა ათხოვა, მამინაცვლისაგან დარჩენოდა ერთი კარგი მოზრდილი მაფრაშა; აგერ ოცდაათი წელიწადია არ გვიხმარიაო, მითხრა, და კარგად გასინჯე, იქნება დაკერება მოუნდესო. ჩამოვიტანე, გავსინჯე. ვთქვი, მოდი მივდგები და სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ-მეთქი, მაგრამ მომაგონდა, რომ მარგალიტასთვის ვამზადებდი, მომაგონდა, რომ ეს უკანასკნელად ვეხმარებოდი ჩემს მარგალიტას და თვალი ცრემლით ამევსო. მივდექი და ისე შევაკეთე, იმისთანა სიყვარულით და ალერსით ვბერტყავდი და ვაკერებდი, თითქო მინდა ჩემი გულის პასუხი დავაბაროვო.

ხუთ საათზე მარგალიტა შინ წავიდა და რადგან მაფრაშა სრულიად მზად მქონდა, ვალენტინს ვუთხარი — დავიღალე, ცოტას გავივლი და შენ თუ არ დამზარდები, ეს მაფრაშა მარგალიტას მიუტანე-მეთქი. მაშინვე წამოიკიდა და წავიდა. მე კი იმისთანა ყოფაში ვიყავი, რომ იქ მისვლას ვერ შევძლებდი; ვიცოდი, რომ თუ კი მარ-

ტოს შევხვდებოდი, აღარც ჩემს სიყვარულს დავუმალავდი. ამიტომ, ისევ მორიდება ვამჯობინე, ჩავიცვი და დუქანში შევედი.

ღვთის მადლით, ყველანი წასულიყვნენ. ნათლიაჩემი დახლს. სთვლიდა და იმისთანა კარგ გუნებაზედ იყო, რომ სულ ჰარი-ჰარალოს გაიძახოდა. თან თავის დუქნის ქებაში იყო: არა, სად გინახავთ სხვა დუქანი, რომ ამდენი წარჩინებულნი და დიდებულნი სწვევოდნენო? ნათლი-ჯალაბი ხომ უფრო მხიარულად იყო.

ნიკოლი სუფრასა შლიდა.

ნათლიაჩემმა რომ დამინახა, მითხრა, მარგალიტა საჩქაროდ შენაყრდა და ახლა შინ არის და ბარგსა და შოველისთვის წიგნებს ალაგებსო. მაფრაშისა მკითხა, დახეული ხომ არ იყოო? და მეც მოვახსენე — დავაკერე და ვალენტინს გავატანე-მეთქი.

სწორედ იმ დროს შემოვიდა ვალენტინი და მაშინვე პურის საჭმელად დავსხედით.

ვიფიქრე, რვა საათზედ უფრო ადრე შინ წავალ, ისე რომ არავის რას ვეტყვი-მეთქი. ან რაღა საჭირო იყო ნახვა და გამოთხოვება? ჩვენ შორის ყველაფერი გათავებული იყო და, მაშასადამე, რაც მალე განვშორდებოდით ერთმანეთს, ის ემჯობინებოდა.

წავიდეს-მეთქი, ვფიქრობდი. ნათლიაჩემი მისწერს შოველს, რომ შეუძლოდ ვიყავი და იმიტომ ვეღარ ვნახე. ან არა და, ვიღას ვახსოვარ, რომ მაშინვე თვალში ეცეთ, რატომ მიშელი არ მოვიდაო? არც კი მოვაგონდები!

აალაგეს სუფრა და მეც გამოვედი. კარგად ჩამობნელებულიყო. შოველიანთ ზემო ოთახში სანთელი ენთო. დავდექი და ფანჯრებს ყურება დავუწყე, მაგრამ ფანჯარასთან მარგალიტა მოვიდა და მეც გამოვბრუნდი და აჩქარებული ნაბიჯით, თითქმის სირბილით გავწიე შინისკენ. ის იყო მეორე ქუჩაში უნდა შემეხვია, რომ მარგალიტას ხმა შემომესმა:

— მიშელ! მიშელ!

შევდექი. ისე მომხვდა მისი ძახილი, თითქო გულზე ლოდი მედო და ამაცილესო.

— რა გინდა, მარგალიტა?

ვგრძნობდი, რომ გული გულის ალაგას ვეღარ შემეკავებინა.

— როგორ თუ რა მინდა? ამოდი ცოტა ხანი. ხომ იცი, მივდივარ. ეს არის ეხლა შენს სანახავად მოვდიოდი.

ავედი ფერმიხდილი, ენადაბმული. მარგალიტა თავის პატარა ოთახში იყო. მაფრაშა უკვე გაევსო და აქეთ-იქით იყურებოდა.

— ნეტავი კი არა დამავიწყდეს რა და! ძალიანა ვჩქარობდი! ძირ-

ში წიგნები ჩავაწყე. მერე სარეცხი და სულ ზევით ჩემი ორი კაბა. მგონი ყველაფერი ჩავალაგე. რა ვიცი, კი აღარა ჩანს რა და!

მე კი ვიდექი გაშტერებული და ხმა ვერ ამომეღო.

— იცი, მიშელ, სახლი შენ უნდა ჩაგაბარო, თვალი გეჭიროს, აქ მოდი!

ხელი დამიჭირა და სამზარეულოს უკან პატარა საკუჭნაოში გამიყვანა, რომელშიაც ცარიელი თაროების მეტი არა იყო რა.

— აი, მიშელ, აქ შეგვინახავ მსხალსა და, თუ ხომანდულმა მოისხა, ცოტა ვაშლსაც. ბევრი არა იქნება რა, მაგრამ მით უფრო უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ბევრი არ იქნება. გაიგე, მიშელ?

— გავიგე, მარგალიტა, გავიგე! — ვუპასუხე და თავს ძლივსღა ვიმაგრებდი.

თავის მამის საწოლი ოთახი მაჩვენა, პატარა მარანი და მერე ეზოში გამიყვანა. ცალ-ცალკე ჩამაბარა ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი და მეტადრე მაისის ვარდები.

— თუ გინდა, მიშელ, რომ მე და შენ ყოველთვის მეგობრები ვიყოთ, ამ ვარდებს ძალიან-გაუფრთხილდი, ამის ფასს არაფერს გაბარებ.

— მაგათ კარგად მოვუვლი, მაგრამ რას დარდობ აქაურ ვარდებს, თუ კი შენ სხვაგან მიდიხარ-მეთქი, — ვფიქრობდი.

ვგრძნობდი, რომ გულში ტკბილი იმედი შემომეპარა და რაღაც ნეტარებას მიქადდა. გული ამემღვრა, თვალთაგან კინაღამ მდუღარეება წამსკდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი:

— ღმერთო! ნუ თუ უკანასკნელად ვხედავ ჩემს მარგალიტას?

ისევ სახლში შევედით და ახლა შოველის წიგნები მაჩვენა. მწყობრად იყვნენ დალაგებული ორ ფანჯარას შუა და ეტყობოდა, რომ ამათ პატრონს ამაზედ უძვირფასესი არა ებადა რა.

— მანამ ჩვენ იქ ვიქნებით, მიშელ, იქნებ ეს წიგნები სულ გადაიკითხო. გასაღები შენ გექნება, ჩამოდი ხოლმე, როცა კი მოცლით იყო და იკითხე. ისწავლე, მიშელ! უსწავლელი კაცი არაფერია, სრულიად არაფერი!

გულში შეპარული ტკბილი იმედი კი უფრო და უფრო იზრდებოდა. ვხედავდი, რომ წასვლის დროსაც კი ჩემზე ზრუნავდა და სწორედ იმას მირჩევდა, რაც თვითონ მეც აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნდა ყველა ადამიანისათვის. ვხედავდი, რომ ჩემზედ ზრუნავდა და გული მიკვნესდა:

— განა მარგალიტას კი არ ვუყვარვარ? ვუყვარვარ, მაგრამ... ოჰ, რა ბედნიერები ვიქნებოდით!

— აი, გასაღები, მიშელ! იქნებ ხშირად დახედო აქაურობას,

თორემ ცოტა არ იყოს ნესტიანია კედლები და შმორის სუნი დადგება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი რიგზედ დაგვხვდება. როდესაც შინ დავბრუნდებით.

— ნუ თუ კიდევ დაბრუნდებით, მარგალიტა? მაშ დროებით მიდიხართ? — შევყვირე გახარებულმა. ხმა მიკანკალებდა, სულს ძლივსღა ვიბრუნებდი.

— აბა, რა საკითხავია?! — შემომიტია განცვიფრებულმა მარგალიტამ, — მაშ იქ რა უნდა გავაკეთოთ, შე სულელო, შენა? იქნება ბგონია, სასახლეში მილიონები დაგვირიგონ და საცხოვრებლადაც საუკუნოდ იქ დავრჩეთ?

და სიცილი წასკდა.

— მოვალთ, მაშ იქ ხომ არ დავრჩებით! მოვალთ და გარწმუნებ, უფრო ღარიბნი მოვალთ, ვიდრე აქედან მივდივართ. როგორც კი ხალხის უფლებანი კანონიერად აღიარებულ იქნება, ჩვენ ჩვენს ქოხს მოვეპატრონებით და ძველებურად წიგნების და საწვრილმანოს ვაჭრობას დავიწყებთ. იქნება წლეულსვე მოვიდეთ, თუ არა და მერმის უთუოდ დავბრუნდებით.

— ოჰ, მარგალიტა! მე კი მეგონა, საუკუნოდ გშორდებოდი! — და უცბად ცრემლი წამსკდა; გული ამომიჯდა და ბავშვივით ქვითინი დამაწყებინა. მაფრაშაზედ ჩამოვჯექი და თვალებზედ ხელები მივიფარე; სირცხვილით ვიწოდი, რომ ჩემი გულის საიდუმლო გავაგებინე და თან ღმერთს მადლობას ვწირავდი, რაკი დავრწმუნდი, რომ მარგალიტა ისევ მოვიდოდა. მარგალიტა გაჩუმებული დამყურებდა. კარგა ხანი ვიყავით ასე, რადგან ვეღარ მოვიბრუნე გული. უცბად ვიგრძენ, რომ მხარზედ ხელი დამადო და თითქო ელვამ გამირბინა მთელს ტანშიო, ფეხზედ წამოვხტი. გაყვითლებული, სახეშეშლილი იდგა მარგალიტა და ისე უბრწყინავდნენ შავი თვალები, თითქო ცეცხლს აფრქვევენო!

ხელით წიგნებზე მანიშნა და ტკბილად მითხრა:

— ეცადე, მიშელ, და მამაჩემსაც შეუყვარდები.

სანთელი აიღო და კარებისკენ გასწია, მეც წამოვიკიდე მაფრაშა და თან გავყევი. მინდოდა კიდევ მეთქვა რამე, მაგრამ ხმის ამოღებას ვეღარ ვახერხებდი.

გამოვედით, კარი დავკეტეთ და გასაღები კი ჯიბეში ჩავიდეცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მთვარე კაშკაშებდა, და მშვენიერი გრილი სიო ბერავდა. მეც აღარა მაწუხებდარა, გული დამშვიდებული მქონდა და შევძახე:

— რა ღამეა, მარგალიტა, რა ღამეა! მადლობა ღმერთს, რომ ასე-

თი კარგი დარი დაგიდგა. მგზავრობაში ავი დარისთანა საძაგელი არა იქნება რა!

ისეთი მხიარული ვიყავი, თითქო სიკვდილის პირს ვიყავ და უცბად გამომაბრუნეს. მარგალიტა კი ჩაფიქრებული იყო და ნათლიაჩემის დუქნამდე ხმა არ ამოუღია. აქ კი მითხრა:

— არ დაივიწყო, მიშელ, რასაც დამპირდი!

დილიჟანს ათ საათზედ უნდა გამოევლო და უნდა ავჩქარებულიყავით, თორემ ველარც კი მივუსწრებდით. ყველანი გამოეთხოვნენ, ყველამ გადაჰკოცნეს, მე და ნათლიაჩემის გარდა, რადგან ჩვენ ქალაქამდე უნდა გავყოლოდით. გადავიწერეთ პირჯვარი, ვახსენეთ ღმერთი და გზას გაუდექით. ნიკოლი და ნათლი-ჯალაბი გზაზედ გამოვიდნენ და გვიყვიროდნენ:

— ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს, მარგალიტა! იქნებ მალე დაბინავდეთ!

მარგალიტაც მადლობას უხდიდა:

—გმადლობთ! გმადლობთ! თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა!

ისე მიმქონდა იმოდენა მაფრაშა, თითქო ბუმბული იყოსო. მე და მარგალიტა ერთად მივდიოდით. გზაში რამდენჯერმე მკითხა:

— ძალიან მძიმეა, მიშელ, მაფრაშა?

— რამ გაამძიმა, მარგალიტა, რას ამბობ!

ნათლიაჩემი წინ მიგვიძღოდა და გვაჩქარებდა:

— ავჩქარდეთ, დილიჟანსმა არ გაგვისწროს!

— ცოტა ხანს უკან ქალაქსაც მივატანეთ. საფრანგეთის კარებში შევიარეთ; ქუჩის ბოლოში უნდა ჩავსულიყავით, იქ, სადაც დღეს ლუცის სახლია, რადგან დილიჟანსი იქ ჩერდებოდა. ჯერ ნახევარი ქუჩაც არ ჩაგვევლო, რომ მოედნიდან მომავალი დილიჟანსის ვრიალი შემოგვესმა და ჩვენც ავჩქარდით. თითქმის გავრბოდით.

— ძალიან დროზედ კი მოვუსწარით, აი! — სთქვა ნათლიაჩემმა და ისე ქშინავდა, თითქო წისქვილის ქვა უზიდნიაო.

ის იყო მოვედით და დილიჟანსმაც შემოაშუქა ეკლესიის ქუჩიდან. ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენი ბებერი შმულიც იქ დაგვიხვდა, ებრაელი შმული. ისიც თურმე მეცს მიემგზავრებოდა.

დილიჟანსი გაჩერდა. რამდენიმე ალაგი კიდევ იყო თავისუფალი. ნათლიაჩემმა დალოცა მარგალიტა, აკოცა... მე მაფრაშა დავაკარ დილიჟანსს და ვიდექი ისე, მარგალიტასთან მისვლას ვერა ვბედავდი.

— მოდი რაღა, მიშელ! — დამიძახა მარგალიტამ და ლოყა გამომიშვირა.

მივვარდი, მოვეხვიე... ის კი ჩამჩურჩულებდა:

— ისწავლე, მიშელ! ისწავლე!

შმული კიდეც ჩამჯდარიყო დილიჟანსში.

— თქვენთვის ჩამიბარებია, ბატონო შმულ, შოველის ქალი. იმედი მაქვს პატრონობას გაუწევთ.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უპასუხა მოხუცებულმა ებრაელმა, ჩვენი წარმომადგენლის ქალს არავინ შეაწუხებს. ენდეთ ღმერთს, ისე მივიყვან, რომ ცივ ნიავსაც კი არ მივაკარებ.

ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემი მარგალიტა სულ მარტო არ იქნებოდა უცნობ მგზავრებთან და ძველი ნაცნობი ჩვენებურივე თანამოგზაური ეყოლებოდა. აგერ, ფანჯარაში გადმოყო თავი და ხელი გადმომაწოდა. ცოტა ხანს უკან კონდუქტორიც მოვიდა და თავისი ადგილი დაიჭირა.

— აბა, გაუჯავრდი! — შესძახა მეეტლეს.

დაიძრა უზარმაზარი დილიჟანსი.

— მშვიდობით, მარგალიტა, მშვიდობით!

— მშვიდობით, ბატონო ლერუ! მშვიდობით, მიშელ!

წინ დილიჟანსი მიდიოდა და უკან ჩვენ მივდევდით ჩაფიქრებულები. ქალაქის კარი კიდევ ნელა გაიარა და მერე კი ისე გაჰკრა, რომ მტვერსღა ვხედავდით შორს სარბურგის გზაზე.

— ხვალ დილით რვა საათზედ ქ. მეცში შევლენ, — სთქვა ნათლიაჩემმა. — შოველი წინ გამოეგებება მარგალიტას და ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ვერსალში იქნებიან.

მე გაჩუმებული მივდევდი.

ჩვენს სოფელში ძალიან გვიან ავედით. მე პირდაპირ შინ წავედი. ჩვენებს ღრმა ძილით ეძინათ. ავედი ჩემს ყავარში, მივეგდე და მკვდარივით მივიძინე.

XVII

მას შემდეგ, რაც მარგალიტა წავიდა, რამდენიმე დღე სრულიად მშვიდად გავატარეთ. გაავდრდა კიდეც. საქმე ბევრი გვქონდა, თითქმის მთელი დღე დაუსვენებლივ ვმუშაობდით და საღამოს, როგორც კი მოვიცლიდი, შოველის წიგნებისკენ მივეშურებოდი. სულ რჩეული წიგნები ჰქონდა იმ დალოცვილს: მონტესკიე, ვოლტერი, ბიუფფონი, ჟანჟაკ-რუსსო. ყველა გამოჩენილი მწერლის თხზულებანი მოეგროვებინა თავის ღარიბ სადგურში და უმთავრეს და საუკეთესო ალაგზედ ისინი დაელაგებინა. როგორ დავაჭყეტდი ხოლმე თვალებს, როცა წიგნში ჩემი აზრების დამამტკიცებელ საბუთს შევხვდებოდი რასმე! როგორ გამეხარდა, როდესაც ერთხელ შემთხვევით გადავშალე ერთი უზარმაზარი წიგნი: „ენციკლოპედიური ლექ-

სიკონი“ დალამბერის და დიდროსი! როგორ მომეწონა ანბანზედ დალაგებული ახსნა და განმარტება ყოველი საგნისა, სადაც ყველას შეუძლია იპოვოს და წაიკითხოს სწორედ ის, რის ცოდნაც უნდა და ესიამოვნება!

ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! გადავფურცლე, გადავფურცლე და „მჭედელი“ ვიპოვე; დაწვრილებით იყო მოყვანილი მჭედლების ამბავი პირვანდელი დროის „დაბადებაში“ მოხსენებული თუბალკაინიდან დაწყებული ჩვენი დროის მჭედლებამდე; ადვილად გასაგები ენით იყო განმარტებული რკინის ლითონის მოპოვება, გადადნობა და შემუშავება. ისეთი დაწვრილებით იყო აწერილი ჩვენი ხელობა, რომ გამიკვირდა და მეორე დღეს ნათლიაჩემს რომ ვუამბე, არც კი სჯეროდა, და მითხრა:

— რა გიჭირთ, შვილო! ოსტატისაგან ცალკე სწავლობთ და წიგნებიდან კიდევ ცალკე; ვაი ჩვენი ბრალი, რომ ჩვენს დროში ისეთი ძვირი საშოვნელი იყო წიგნი, რომ სიზმრადაც ვერა ვნახავდით!

ვალენტინს ისე მოეწონა ჩემი ნაამბობი, რომ აღტაცებით შემომყურებდა.

მაისის დამდეგს 9 თუ 10 შოველის წერილი მივიღეთ. იწერებოდა, ვერსალს მშვიდობით მოვედით და ერთ ხარაზთან დავდექით წმინდა ფრანსუას ქუჩაზე, თვეში ოთხ მანეთადო; საერო კრება გაიხსნა და დრო არა მაქვს ვრცელი წერილი მოგწეროთო. წერილს ასე ათავებდა: „იმედი მაქვს, მიშელი არ დამერიდება და, როცა კი მოინდომებს, წასაკითხად შინ წაიღებს ჩემს წიგნებს. იხმაროს და გაუფრთხილდეს, რადგან მეგობარს ყოველთვის პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს კაცი და ჩვენ კი მაგ წიგნებზედ უკეთესს მეგობარს ვერსად ვიშოვით“. ნეტავი მაპოვინა სადმე ეს წერილი! უცნაური ჩვეულება ჰქონდა ნათლიაჩემს: მიიღებდა თუ არა ვისგანმე წერილს, მთელ ქვეყანას აჩვენებდა და წასაკითხად ხან ვის გაუბოძებდა, ხან ვის. ვინ იცის, ვის შერჩა შოველის წერილი, რომელმაც მე იმედით ამიესო გული!

შოველის სიტყვებიდან ცხადად ჩანდა, რომ მარგალიტას არ დაემალა თავის მამისთვის ჩვენი საუბარი და ისიც კმაყოფილებას გვიცხადებდა. მეც მეტი არა მინდოდა რა. გახარებული, გულდამშვიდებული იმისთანა იმედიანად შევეყურებდი მომავალს, იმისთანა ძალით და დაბეჯითებით ვცდილობდი ჩემს განათლებას, რომ ჩემი მარგალიტას და წიგნების გარდა აღარა მახსოვდა რა. იმ დღიდან დაწყებული ყოველ საღამოს შინ მიმქონდა ერთი წიგნი ენციკლოპედიური ლექსიკონისა და ვკითხულობდი ნაშუაღამევის პირველ ან

ორ საათამდე. დედაჩემი მიჯავრდებოდა, მაყვედრიდა, ბევრ სანბულს სწვავო, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი. და როდესაც დედა შინ არ იყო, მამაჩემიც სწავლის საჭიროებას მიმტკიცებდა:

— ისწავლე, შვილო! ეცადე კაცი გახდე! უცოდინარი კაცი კაცი კი არა, პირუტყვია, პირუტყვივით უბედური! პირუტყვივითა შრომობს და სულ სხვისთვისა კი შრომობს. ისწავლე, შვილო!.. დედაშენს ყური არ უგდო!

და არც ყურს ვუგდებდი: კარგად ვიცოდი, რომ თუმცა ჯავრობდა, ჩემი სწავლით, თუ კი შეეძენდი რასმე, პირველად დედაჩემივე ისარგებლებდა.

სწორედ იმ დროს იყო, რომ მამა ქრისტეფორეს და ერთობ ლუტცელბურგელებს ციებ-ცხელება სჭირდათ და ძალიან ავადაც იყვნენ. იმისთანა შეწუხებულები და მისუსტებულები იყვნენ, რომ ზოგი ფეხზედ ძლივსღა იდგა.

მე და ნათლიაჩემი ყოველ კვირა მივდიოდით მამა ქრისტეფორეს სანახავად. ისე გამხდარიყო იმოდენა მდევივით კაცი, რომ ცარიელი ძვალი და ტყავიღა იყო და იმედი აღარავისა ჰქონდა, რომ ის იმ ავადმყოფობას გაუძლებდა.

ძალიან რომ გაუჭირდათ, დიმერინგიდან მოხუცი ფრეიდინგენი დაიბარეს, რომელმაც თურმე უებარი წამალი იცოდა ციებ-ცხელებისა: წყალში მოხარშული ოხრახუშის თესლი. ამ უბრალო წამლით მოარჩინა მთელი სოფელი და სხვათა შორის მამა ქრისტეფორეც ნელნელა ფეხზედ წამოაყენა.

მთელი მაისი სულ იმას გაიძახოდენ, რომ პარიზს ქურდები შესჩვევიან და იკლებენ იქაურობასო. ჯერ იქ ინავარდებენ და მერმე აქეთ-იქით სოფლებს მოედებიანო! უნდა გენახათ, რა ყოფაში იყვნენ ჩვენებურები! გაჯავრდებოდნენ, გაბრაზდებოდნენ და ზოგი ორთითს აიტაცებდა, ზოგი ცულს!.. წავიდეთ, დავხოცოთ ის ქვეყნის მტრებიო! მაგრამ მერმე ხმა გავრცელდა. რომ ქურდები პარიზშივე, წმინდა ანტონის უბანში ვიღაც ქალალდით მოვაჭრე რევეიონის დუქანში დაეხოცათ და ჩვენებურებიც, ცოტა ხნით მაინც დამშვიდდნენ. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ დაიწყეს ქურდებზედ ლაპარაკი და იმისთანა საშინელებას და დაუნდობლობას ამბობდნენ იმ უღმერთოებისას, რომ მარტო იმასღა ვცდილობდით, თოფი და თოფის წამალი გვეშოვა როგორმე და კარგი ტყვიით გავმასპინძლებოდით, თუ ჩვენც გვესტუმრებოდნენ. ეს ხმები მით უფრო გვაშინებდნენ, რომ აგერ ორი თვე სრულდებოდა. შოველისაგან წერილი აღარ მოგვდიოდა და პარიზის ამბებისა დარწმუნებით აღარა ვიცოდით რა. გაზეთებში კი... ვინ იცის, ნებას მისცემდნენ

გაზეთში მართალი ეთქვათ რამე? ბოლოს, მადლობა ღმერთს, შოველისაგან მეორე წერილიც მივიღეთ და ეს წერილი კი ჩემი ხელით გადმოვწერე და დღევანდლამდე შენახული მაქვს. თვით შოველის წერილი ნათლიაჩემმა ნაცნობებს გაუბოძა და ისე მოიარა მთელი მთა, რომ კაცი არსად დარჩენილა, რომ ის არ წაეკითხოს. წერილთან ერთად პარიზული გაზეთებიც გამოეგზავნა.

სწორედ იმ დღეს, როდესაც ეს წერილი მივიღეთ, გვეწვია მ. ქრისტეფორე თავისი ძმით; კარგი კაცი იყო ცხონებული მატერნი, 1814 ისიც ვაუკაცურად გაუმკლავდა სამშობლოზედ მოსულ მტერს!

მ. ქრისტეფორეს აღარ აციებდა და ცოტა ღონეზედაც მოსულიყო. იმ დღეს სადილად დაიჭირა ნათლიაჩემმა ისიცა, იმის ძმაც და შოველის წერილი ერთად წავიკითხეთ. ნათლი-ჯალაბი, ნიკოლი და ორი სამი ჩვენებური მოხუცებული კიდევ სხვანი დაესწრნენ და ყველას ძალიან უკვირდა: შოველი ჭკვიანი, ფთხილი კაცია და აგრე დაურიდებელ წერილს როგორ იწერება? იქნება ვის ჩავარდნოდა ხელშიო?!

მაგრამ, აი, თვით წერილიც. ყველა ნახავს, რა ამბები ხდებოდა პარიზში და რის იმედი უნდა გვქონოდა დიდებულთა და სამღვდელოთაგან, თუ ისინი ისევ ბატონებად დარჩებოდნენ:

„ბატონს ივანე ლერუს, ბარაკელ მჭედელს, ფალსბურგის ახლო.

მკათათვე 1789 წ.

„ერთი წერილი კიდევაც უნდა მიგეღოთ ჩემი, წარსულ 6 მაისს მოწერილი, რომლითაც გაუწყებდით ჩვენს მოსვლას ვერსალში. იმასაც გწერდით, რომ თვეში ოთხ მანეთად დავიჭირეთ სახლი წმინდა ფრანსუას ქუჩაში, ძველ ქალაქში, ხარაზ ანტონ პიშოსთან; დღესაც იქვე ვდგევართ და თუ მოიწეროთ რამე, უმთავრესი ის არის, რომ მისამართი კარგად გარკვევით დასწეროთ.

როგორია წელს მოსავალი? ბატონმა ივანემ და მიშელმა რომ ამის შესახებ მაცნობონ რამე, ძალიან დამავალებენ. აქ ძალიან ავი დარი იდგა, სულ ქუხდა და თავსხმა იყო. მზეს ძალიან იშვიათად ვხედავდით. ამბობენ, წელს ძალიან ცუდი მოსავალი იქნებაო. ნეტავი თქვენი აზრი მაცნობოთ. მარგალიტას ძალიან უნდა თავის პატარა ბოსტანის და მეტადრე ვარდების ამბავი გაიგოს რამე.

ისე ვართ ამოდენა ქალაქში, როგორც უცხო ტომისანი. ჩემთან ამავე სახლში ორი ამხანაგი მყავს — ერთი გახლავთ ნამურის ახლო მეზონსელელი მამა იაკობი და მეორე პეტრე ჟერარი, ვიკიდან. ქვემო სართულში ისინი დგანან და ზემოდ მე და მარგალიტა. მარგა-

ლიტა ბაზარში დადის და სადილს გვიკეთებს. ძალიან კარგად მოვეწყენით, ყოველ საღამოს მამა იაკობის ოთახში შევიყრებით ხოლმე და ჩვენს საქმეებზედ ვბაასობთ; შევლაპარაკდებით, შევხურდებით, მაგრამ ყერარი ჩიბუხს მოუკიდებს, მე ბურნუთის წევას დავიწყებ და ბოლოს შევთანხმდებით კიდეც.

ასე გახლავთ ჩვენი საქმე. ახლა საერო საქმეები მოგახსენოთ! მე ვალდებული ვარ, ყველაფერი გაცნობოთ, რაც კი აქ მოხდება; მაგრამ რაც ხანი აქა ვართ, უსიამოვნებისა და წინააღმდეგობის მეტი არა გვინახავს რა. თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება, მეტადრე თავადაზნაურობა, იმისთანა წინააღმდეგობას გვიწევს და ისე მტრულად გვეკიდება, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია, რითი უნდა გათავდეს ჩვენი ასეთი შეძულება. ისე გვექცევიან, რომ დღეში რამდენჯერმე გვეცვლებოდა აზრი: ხან იმედით სავსენი ვიყავით და ხან კიდევ იმედმიხდილნი სასოწარკვეთილებას ვეძლეოდით. ძალიანი მოთმინება და სიმშვიდე დაგვჭირდება, ვიდრე ვაჯობებდეთ და ჩვენს პატივისცემას ვასწავლიდეთ! რომ შესძლებოდათ, ახლოც არ მიგვიკარებდნენ; მაგრამ რაკი ნახეს, რომ ჩვენ უიმათოდაც კარგად შევადგენდით კონსტიტუციას, ჩვენთან მობრძანება იკადრეს და მას შემდეგ სამივ წოდების წარმომადგენელნი ერთად, ერთ კრებადა ვართ შეკრებილნი.

ამიტომ იყო, რომ არასა გწერდით: — რა მომეწერა, დანამდვილებით მეც არა ვიცოდი რა! დღეს კი საქმე უკვე მოგებული გვაქვს და ვესწრაფები დაწვრილებით გიამბოთ თავიდან ბოლომდე.

ეს წერილი ყველას წაუკითხეთ, რადგან მე აქ ჩემთვის კი არა, მთელი ქვეყნისთვისა ვარ და დიდი უსინდისობა მომივა, არა ვაცნობო რა თავის საქმისა იმ ხალხს, რომელმაც მე თავის წარმომადგენელად ამომირჩია. მე ყოველდღე ვნიშნავ, რაც კი მოხდება და ამიტომ, იმედი მაქვს, არა დამავიწყდებოდა რა.

ვერსალში 30 აპრილს მოვედით მე და სამი კიდევ სხვა წარმომადგენელი ჩვენის სათემო კრების მიერ ამორჩეულნი. „სამეფო სასტუმროში“ ჩამოვხტით. სასტუმრო ხალხით სავსე იყო. მე არ აგიწერთ, რა უღმერთოდ მოგვექცნენ ამ სასტუმროში, რა ფულს გვართმევდნენ ერთ მათლაფა წვენში, ან ერთ ფინჯან ყავაში; განცვიფრდებით, რომ გაიგოთ! ტყავი გაგვაძრეს! სასტუმროს პატრონიც და იმისი მოსამსახურენიც სულით ხორცამდე დაღუპული და დამახინჯებული არიან და ფულისა და დიდებულ ბატონების მეტი აღარა სწამთ რა! არიან თავიანთვის თითქმის უზრუნველად და თავადაზნაურთა ფულებით მდიდრდებიან! აი, თურმე, სად მიდის ჩვენი ფულები! საწყალი, დამშეული ხალხის ნაჭირნახულევი ფუ-

ლები! ერთ მათლაფა წვენში რომ ფულს გვახდევინებენ, იმ ფულად ჩვენ სოფელში სამ საუკეთესო ბიჭს ვამუშავებ დილიდან საღამომდე! აბა, გაბედეთ და სიძვირე გაიკვირვეთ! თითით საჩვენებელი გახდებით: ნეტა ვინ არის ეს გლახაკი, რომ გროშებზე ლაპარაკობსო?! — აქ დიდებული მარტო ის არის, ვინც ბზესავით აბნევს ფულს.

რასაკვირველია, მე იქ არ დავდგებოდი. ვისაც თავისი დღენი, 35 წლის განმავლობაში წვა-დაგვის მეტი არა უნახავს რა, მან კარგად იცის ფულის ყადრი და ვიღაც მუქთახორა თავადიშვილების დაცინვას არ შეუშინდება. იმოდენა ფული რომ მთხოვეს, თვით სასტუმროს პატრონი დავიბარე თავისი შავი სერთუკით და თეთრი ყელსახვევით და პირდაპირ ვუთხარი, რისიც ღირსი იყო. ეტყობა პირველად ესმოდა ამისთანა სიმართლე და პასუხის მაგივრად უნდოდა მასხარად ავეგდე, მაგრამ აქაც ღირსეული პასუხი მივეცი და თითონ ისევე შევარცხვინე. მე რომ ხალხის წარმომადგენელი არა ვყოფილიყავ, პანღურის ცემით გამომისტუმრებდნენ! ჩემდა საბედნიეროდ, იქ უკვე იცოდნენ, ვინ ვიყავი და მეტი ვერა გამიბედეს რა. ქერარმა მიამბო მეორე დღეს, სულ იმასღა გაიძახიან იმოდენა სასტუმროს მოსამსახურენი, რომ შეგვარცხვინა ჩვენმა წარმომადგენელმაო! ბევრი ვიცინე, ღვთის წინაშე. იმათი შერცხვენისა რი მოგახსენოთ და ის კი ვიცი, რომ ლაქიის სალამს და პატიოსანი კაცის შრომას ერთი და იგივე ფასი არ უნდა ედვას!

მინდოდა ჯერ ეს გარემოება მეამბნა თქვენთვის, რომ უფრო კარგად გაგეგოთ, ვისთან გვაქვს დღეს ჩვენ საქმე.

იმ ღამეს არაფერი და მეორე დღეს, გათენდა თუ რა, მაშინვე სახლის ძებნა დავიწყე. ჩემი გუნების ოთახი ვიშოვნე და ბარგი გადავალაგე. გადავედი და ორი ჩემი ამხანაგიც ჩემთან გადმოვიდნენ. ჩვენთვის ლამაზად მოვეწყენით და ძალიან ყაირათიანადაცა ვცხოვრობთ.

უნდა გენახათ ვერსალი 3 მაისს, როდესაც საერო კრების წევრნი მეფეს უნდა ხლებოდნენ. მთელი პარიზი ფეხზე იდგა! მეორე დღეს სულიწმინდის ეკლესიაში წირვა უნდა მოგვესმინა და იმოდენა ხალხი მოგროვილიყო ქუჩებში, გეგონებოდათ მთელი საფრანგეთი აქ შეკრებილაო.

მაგრამ ჯერ იმას გიამბობთ, მეფემ როგორ გვინახულა.

სამეფო სასახლე პატარა ფერდობზედ არის აგებული ვერსალში, ქალაქსა და ბაღებს შუა. სასახლის წინ მშვენიერი ეზოა დაცემული და აქეთ-იქით, მარჯვნივ და მარცხნივ დიდრონი შენობები მინისტრების საცხოვრებლად. გარს იმისთანა წალკოტი არტყია,

იტყვით ედემის ბაღიაო. პარიზიდან მომავალი შორიდანვე დაინახავს მაღლობზედ ამართულ სასახლესაც და ბაღსაც. ეზოს მშვენიერი რკინის მოაჯირი არტყია. სასახლეს უკან ჩახრუელებით და მარმარილოს ძვირფასი ნაქანდაკევით შემკული ბაღი უძევს. რამდენი ათასი კაცი უნდა გაეყვანათ ბეგარაზედ, რამდენი ქვრივ-ობოლისთვის უნდა წაერთმიათ ხარჯის ფული, რომ ეს სასახლე აეგოთ და ეს წალკოტი გაეშენებინათ?! მაგრამ მაგას ვინა ჩივის? ისეთი ნეტარებით ცხოვრობენ ამ პალატებში დიდებულნი და იმათი შინაყმანი, რომ... ქვეყანაზედ ქვა ქვაზედაც ნუ დებულა, ოღონდ ჩვენ ეს ფუფუნება არ მოგვაკლდესო! ხომ იცით თავს რითი იმართლებენ: ჩვენ რომ ასე არა ვფლანგოთ, ვაჭრობა შესდგებაო! მოდი და ნუ იტყვი: საფრანგეთს, აგერ საუკუნე სრულდება, შიმშილით კუჭი ეწვის მარტო იმიტომ, რომ ვერსალში განცხრომით ბრძანდებოდნენ ჩვენი ბატონებიო!

ჩვენ წინადვე ვიცოდით, რომ 3 მაისს მეფეს უნდა ვხლებოდით; რამდენიმე დღის წინად გააკრეს ამის შესახებ განცხადებანი.

ხალხის წარმომადგენელნი ბევრი აცხადებდნენ უკმაყოფილებას, რომ თავადაზნაურობის და სასულიერო წოდების წარმომადგენელნი ყველა ცალ-ცალკე ბარათით მოიწვიეს და ჩვენთვის კი განცხადება გააკრეს ქუჩებშიო. მე და ჩემმა ამხანაგებმა ამ გარემოებას მაგდენი ყურადღება არ მივაქციეთ და დანიშნულ დროზედ, სწორედ შუადღისას წავედით „მცირე“ დარბაზისკენ. საერო კრება ამ „მცირე“ დარბაზშია მოთავსებული. ეს დარბაზი სასახლის გარეთ არის, ცალკე, პარიზის გზაზედ, მოედანზედ, რომელზედაც უწინ რაღაცა შენობა ყოფილა მეფის დროს გასატარებელ „მცირე ნივთების“ შესანახავად. მე არ ვიცი — რაღა უნდა იყოს მეფის დროს გასატარებელი „მსხვილი ნივთები“ და ეს „მცირე დარბაზი“ კი მართლა მშვენიერი რამ არის. გვერდით ორი დარბაზი კიდევ სხვა აკრავს, ერთში სასულიერო წოდება იკრიბება და მეორეში თავადაზნაურობა.

წყობისად გავემგზავრენით მცირე დარბაზიდან. გარშემო ხალხი გვეხვეოდა და ყვიროდა: გაუმარჯოს მესამე წოდებას! ეტყობოდათ, კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ იმათი წარმომადგენელნი ვიყავით და სულ თავს გვევლებოდნენ. მეტადრე წინა დღით ამოსული პარიზელები.

სასახლის ეზოს შესავალ კართან შვეიცარიელი ჯარისკაცები იდგნენ. ჩვენ თავისუფლად შევედით ეზოში, მაგრამ ხალხი კი არ შემოუშვეს. ეზო შევიარეთ, შევედით სასახლეში, მშვენიერი ხალებით დაფენილი მარმარილოს კიბე ავიარეთ. ყვავილებით იყო მო-

ფენილი იქაურობა. აქეთ-იქით სულ ოქრომკედით მოკაზმული შინაკმანი იდგნენ თავმოხრილნი, ორ-ორნი ყოველ საფეხურზედ.

პირველ სართულში ერთს დარბაზში შეგვიყვანეს, რომ იმისთანა მშვენიერს, იმისთანა დიდს და მდიდრად მორთულს, ადამიანისშვილი თავის დღეში ვერას ნახავდა, მეგონა სატახტო პალატიამეთქი. თურმე უბრალო, მისავალი ოთახი ყოფილიყო.

ერთი თხუთმეტი წამის შემდეგ ჩვენს პირდაპირ კარი გააღეს და შემდეგ ოთახში გაგვიყვანეს. ეეჰ, ჩემო ივანე, ბევრიც რომ ვეცადო, მე იმის სიმშვენიერეს ვერ აგიწერ! იმისთანა თაღებით ჰქონდა ჭერი შეკრული, იმისთანა სურათები იყო კედლებზედ გამოხატული, რომ ზღაპრადაც არსად გაგეგონება ამისთანა საკვირველება. ამასთან თვალგადუწვდენელი რამ იყო: შიგ იმრდენა ხალხი ვიყავით და არც კი ვჩანდით. აქეთ-იქით კედლებთან მეფის მცველი ჯარისკაცნი იდგნენ ხმალ ამოღებულნი.

უცბად მარცხენა მხარეს ვიღაცამ დაიძახა:

— მეფე მობრძანდება! მეფე!

კარგა ხანი კიდევ გვესმოდა ეს ძახილი: მეფე! მეფეო! ბოლოს დარბაზში შემობრძანდა „ცერემონიის გამგე“ და დაიძახა:

— ბატონებო, მეფე მობრძანდება!

ვიცი, ჩემო ივანე, ამას რომ წაიკითხავ, შენებურად შეჰყვირებ:

— ღმერთო, რამოდენა კომედია სცოდნიათო! ვიცი, რომ კომედიაა, მაგრამ უნდა ნახო, რა კარგადა აქვთ მომზადებული ეს კომედია, რომ დიდებულთ ამპარტავნობა გაუზვიადონ და ჩვენ კიდევ დიდებულთა პატივისცემა! უმთავრესი „ცერემონიის გამგე“ მარკიზ დებრეზე იმისთანა მძიმე ოქრომკედით იყო მორთული, რომ ჩვენს უბრალო ღარიბ ტანისამოსთან, ის ჩვენსავით უბრალო მოშაკვდავად კი არა, უმაღლეს ქმნილებად გვეჩვენებოდა; შეხედულება ხომ იმისთანა ჰქონდა, თითქო უნდა დაგვიძახოს: თქვენ ჩემს წინაშე მატლი ხართ, ჩემი ფეხის მტვერიო! მოუახლოვდა ერთს ჩვენგანს, ყველაზედ უფროსს, რომელიც წინ იდგა და მდაბლად თავი დაუკრა. სწორედ იმავე დროს გამობრძანდა მეფე, მარტოდმარტო გამოიარა მთელი დარბაზი და სავარძელთან მივიდა.

მეფისთვის სავარძელი მოემზადებინათ შუა დარბაზში, მაგრამ ფეხზედ იდგა და ქუდი იღლიაში ეჭირა. „ცერემონიის გამგემ“ ანიშნა ჩვენს უფროსს, წინ წამოდექიო, მიიყვანა და მეფეს წარუდგინა. მერე მეორე, მესამე, ყოველი თემის წარმომადგენელნი ცალცალკე. მიიყვანდა მეფესთან, უკანიდან თემის სახელს ეტყოდნენ; და ის კიდევ მეფეს გაუმეორებდა. მეფე ჩუმად იყო.

ბოლოს, როცა ყველანი წარუდგინეს, მეფემ გვიბრძანა, დიდი

ბედნიერი ვარ, რომ მესამე წოდების წარმომადგენელნი ვნახეო. დალაგებით ლაპარაკობს, წყნარად; მეტად მსხვილი კაცია, ჩასუქებული, შუბლდაცემული, მსხვილტუჩა და სამკეცა ღაბაბიანი... ეს გვითხრა და წავიდა. ჩვენც ჩვენთვის წამოვედით...

მივედი შინ, ისევ ჩემი შეჩვეული ყოველდღიური ტანისამოსი ჩავიცვი და, უნდა მოგახსენო, ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი. ცოტახანს უკან ამოვიდა ჟერარი, მერე მღვდელი იაკობი. ტყუილად დავკარგეთ მთელი დღე! მარგალიტას ძროხის ხორცი შეეწვა ნივრით და თუმცა გაჯავრებულები ვიყავით, სადილს კარგა მადიანად შევექეცით; ზედ ცოტა რამ ვაშლის ღვინო დავატანეთ და ჩვენს საქმეებზედ სჯა დავიწყეთ. ჟერარი და სხვა კიდევ მრავალი წარმომადგენელი მესამე წოდებისა იმ აზრისანი იყვნენ, რომ მეფეს სამივე წოდება ერთად უნდა წარვდგენოდით და არა მარტო ჩვენ, ხალხის წარმომადგენელნიო! განა ცხადი არ არის, რომ სასახლეში უკვე გადაუწყვეტიათ სამივე წოდების განცალკევებაო! ჩვენ შეერთებას და შეთანხმებას ვცდილობთ და მეფე კი ერთმანეთს გვაშორებსო! ზოგნი თუმცა ეთანხმებოდნენ ამ აზრს; ამ განცალკევებას მარტო ცერემონიის გამგეს აბრალებდნენ. მე კი ვფიქრობდი: ვნახავთ! თუ სასახლეში უთუოდ ნებავთ, რომ ორი წოდება შეიერთონ ჩვენს წინააღმდეგ, მაგასაც ვნახავთ! მაგასაც გავუძლებთ! დღეს კი ისე დაიწყეს საქმე, რომ შეიძლება აგრეც იყოს!

მეორე დღეს დილა ადრიანად დაიწყეს ზარების რეკვა და მთელი ქალაქი ფეხზე წამოაყენეს. მხიარული ხმაურობა ისმოდა ყველგან, რადგან იმ დღეს სულიწმინდის ტაძარში წირვის შემდეგ საერო კრების წარმომადგენელნი უნდა დაელოცნა სულიერ მამას.

ჯერ ღვთისმშობლის ეკლესიაში შევიყარენით სამივ წოდების წარმომადგენელნი და იქ მოვისმინეთ წირვა. ამისთანა მშვენიერ გალობას მე ჩემს დღეში ვეღარსად გავიგებ, მგონი. მერმე წყობისად წავედით სულიწმინდის ეკლესიისკენ. თავში ჩვენ ვიყავით, მერე თავადაზნაურობა და ბოლოს შემოსილი სასულიერო წოდება. ქუჩები ხალხით იყო სავსე, სახლები ძვირფასი ხალებით მორთული და ყველგან ერთი და იგივე ყვირილი ისმოდა ხალხისა:

— გაუმარჯოს მესამე წოდებას!

პირველად ნოხდა მგონი, რომ ხალხი თავადაზნაურთა ოქრომკედით ნაკერმა ძვირფასმა ტანისამოსმა და ძვირფასი თვალებით მოჭედილმა იარაღმა არ გაიტაცა; მართლაცდა, ჩვენ ჩვენი უბრალო შავი ტანისამოსით ყვავებსა ვგავდით იმ მორთულ-მოკაზმულების გვერდით. სულ უკან მობრძანდებოდა მეფე-დედოფალი და კარისკაცნი. აქეთ-იქით ყვირილი ისმოდა:

— გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს ორლეანელს! მაგრამ ისე ერთხმად არ იყო ეს ყვირილი, როგორიც ერთხმად იყო იმოდენა ხალხის გრიალი — გაუმარჯოს მესამე წოდებასაო!

ამ ხალხს თავისი მოსაზრება ჰქონია და თვალს ვერავინ აუხვევს. იმოდენა ხალხში ერთი არ იყო, ერთი, რომ დაეყვირა — გაუმარჯოს დედოფალს, ან ეპისკოპოსებსაო. თუმცა, მერწმუნეთ, დედოფალზედ და ეპისკოპოსებზედ უმშვენიერესი იქ არავინ იყო.

სულიწმინდის ეკლესიაში წირვა მოვისმინეთ. წირვის შემდეგ ნანსელმა ეპისკოპოსმა დელაფარმა ქადაგება სთქვა დიდებულთა განცხრომის და ფუფუნების წინააღმდეგ, ის ქადაგება, რომელსაც ეს რამდენიმე საუკუნეა ყოველი ეპისკოპოსი ამბობს და თითონ კი უმეტეს განცხრომაში და ფუფუნებაში იმყოფება.

ოთხ საათამდე გასტანა ამ ქადაგებამ. ყველანი დავიღალენით, ყველანი ვგრძნობდით, რომ დრო იყო გაეთავებინა და ახლა წავსულიყავით და საზოგადო საქმეებზედაც მოგველაპარაკნა. მაგრამ საქმე ვის ახსოვდა? მეორე დღეს 5 მაისს, იმ დღეს, როდესაც საერო კრება უნდა დაწყებულიყო, კიდევ რაღაცა ცერემონია გამართეს. დასწყევლათ ღმერთმა, აქ ცერემონიების მეტი არა სცოდნიათ რა და ეს ცერემონიები ჩვენებურად, მდაბიურად რომა ვთქვათ, ცარიელი კომედიაა და თვალთმაქცობა!

დიაღ, 5 მაისს სამივე წოდების წარმომადგენელნი შეეიყარენით ჩვენს დარბაზში, რომელსაც ახლა სამივე წოდების დარბაზს უწოდებენ. აქეთ-იქით ხელოვნურად ნათალი მარმარილოს სვეტებია გაყოლებული; სინათლე ზემოდგან ჩამოდის თეთრი ატლასით დაფარულ სანათურიდგან; ბოლოში ყვითელი სუმბულით მოფენილ მაღლობზედ სამეფო ტახტია ამართული.

ცერემონიის გამგემ და მარკიზ დებრეზემ და იმისმა თანაშემწეებმა თავ-თავის ალაგას დასხეს წარმომადგენელნი. სწორედ ცხრა საათზედ დაიწყეს დილით და პირველის ნახევარი იყო, რომ ძლივს გაათავეს; სულ ხვითქი სდიოდათ, ისე ეწვალებოდნენ უბედურები! დაგვიძახებდნენ, მთელს დარბაზს შემოგვატარებდნენ. ვიდრე საჩვენო ალაგს გვიპოვნიდნენ, მიგვიყვანდენ და, ასე გასინჯეთ, იმასაც კი გვეუბნებოდნენ, აი ასე ისხედითო. იმავე დროს თავ-თავიანთ ალაგს იქერდნენ სამეფო საბჭოს წევრნი, მინისტრები, თემის უფროსნი და სხვადასხვა წარჩინებული მოხელენი. სამეფო ტახტის ქვემოთ ერთი გძელი მაგიდა იდგა მწვანე მაუდით გადაფარებული, იქ სამეფო მდივნები დასხეს; ერთ მხარეს ნეკერი იჯდა, მეორე მხარეს იქვე ბ-ნი სინარი. დაწვრილებით რომ აგიწეროთ ყველაფერი, ჩემს დღეში ვერ გავათავებ.

სამეფო ტახტის პირდაპირ ჩვენ დაგვსხეს, მარჯვნივ სასულიერო წოდება და მარცხნივ თავადაზნაურნი. სასულიერო წოდების წარმომადგენელნი იყვნენ 291, თავადაზნაურობისა — 270 და მესამე წოდებისა, ესე იგი ხალხის წარმომადგენელნი — 578. გარდა ამისა ჩვენ კიდევ რამდენიმე კაცი გვაკლდა, რადგან ქ. პარიზში ამორჩევა ჯერ არ გათავებულიყო; მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს.

ბოლოს, პირველ საათზე, კაცი აასლეს მეფეს და თითქმის მაშინვე შემობრძანდნენ მეფე-დედოფალი და ბატონიშვილები თავიანთ ამალით. მეფე ტახტზე დაბრძანდა, დედოფალი გვერდით მოუჯდა. ბატონიშვილები და მეფის ნათესაობა სამეფო ტახტის ირგვლივ; ცოტა ქვევით დიდებულნი, კარისკაცნი და სულ ქვევით. სამეფო ტახტის საფეხურებზე, ამალა. სასახლის ქალები, მდიდრად მორთულნი, თითქო სამეჯლისოდ მომზადებულანო, სამეფო ტახტის ზემოთ აივნიდან იყურებოდნენ; სხვა აივანზედ, სვეტებ შუა, პარიზელი და ვერსალელი საზოგადოება შეგროვილიყო საერო კრების დაწყების სანახავად.

მეფეს თვალ-მარგალიტით შეჭედილი ქუდი ეხურა და სწორედ ქათმის კვერცხის ტოლი ანდამატი უბრწყინავდა ქუდის თავზედ. ყველანი ვისხედით, ზოგი სავარძელში, ზოგი ცალკე სკამზედ, ზოგი საერთო გრძელ სკამზედ, ზოგი უბრალო ტაბურეტზედ, ყველა თავის შთამომავლობის და პირადი ღირსების და კვალად. ამას თურმე დიდი, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონია! ერის დიდება თურმე ამაზედ ყოფილა დამოკიდებული!! ჩემი თვალით რომ არ მენახა, ჩემს დღეში არ დავიჯერებდი, მაგრამ ვნახე და დავრწმუნდი, რომ აქ საქმე კი არა, სულ ყველაფერი ცერემონიისთვის ჰქონიათ მოწყობილი! მერე რა კარგად აქვთ მოწყობილი ეს ცერემონიები! ნეტავი ღვთის მადლით ჩვენი საქმეებიც ისე ლამაზად გავარიგოთ! ასეა, თურმე! ჯერ წესისამებრ მოწყობილი ცერემონიები და მერე, თუ დრო და მოცალება დარჩათ, საქმე. ჩვენდა სამწუხაროდ, იმდენი დრო უნდებათ ამ ცერემონიებისათვის, რომ სახელმწიფო საქმისთვის და გაჭირვებულ ხალხისთვის ვეღარ მოუცლიათ.

ნეტავი აქა ყოფილიყო ჩვენი ვალენტინი, სულ მცირე ხანს მაინც, ერთი სამი-ოთხი საათით! რა კარგად შეისწავლიდა ტანისამოსის კვალად ადამიანთა გარჩევას. რა თვალსაჩინოდა ნახავდა, რომ კაბაც არის და კაბაც, ქუდიც არის და ქუდიც, საქმე ის არის, ვისა ხურავს: ჩვენსავით უბრალო მომაკვდავს, თუ დიდებულ თავადიშვილს ან სამღვდელო პირს?! მე კი ამეებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და სულ იმის ლოდინში ვიყავი, კრებას როდის გახსნიან-მეთქი, ბოლოს ცერემონიის უფროსმა გამგემ გვანიშნა—სმენაო! და მეფემ

თავისი სათქმელი წაგვიკითხა. გრძელი რაღაცა წაგვიკითხა, მაგრამ მე მარტო ეს დამახსოვდა: კმაყოფილი ვარ, რომ აქა გხედავთ, ეცადეთ ერთმანეთში უთანხმოება არა მოგიხდეთ რა, ახალის შემოღება არაფრისა მოინდომოთ და სახელმწიფო ვალი გადაიხადოთ! დიაღ, ამის იმედი მქონდა მე თქვენგან და მხოლოდ იმიტომ მოგიწოდეთ; აი, სახელმწიფო ვალის რაოდენობას გაცნობებენ და დარწმუნებული ვარ, კარგ სახსარს გამოსძებნით რასმე ვალის გადასახდელად და სახელმწიფო ნდობის აღსადგენად. ეს არის. უუცხოველესი ჩემი სურვილი და ძალიანაც მიყვარს ჩემი ხალხი!

მერე გვიბრძანა: ჩემს განზრახვას მართლმსაჯულების მინისტრი მოგახსენებთო და დაბრძანდა. ერთხმად გაისმა იმოდენა დარბაზში:

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს!

მაშინ წამოდგა მართლმსაჯულების მინისტრი ბ-ნი ბარანტენი და სთქვა: უპირველესი სურვილი მათის დიდებულებისა ის არის, რომ თავისი ქვეშევრდომნი სიკეთით აღავსოს. სახელმწიფოს რომ გაუჭირდება, ერმა თავის ღვთისაგან კურთხეულს, სათნოების სავსე მირონცხებულ მეფეს უნდა მიმართოს და იქ ჰპოვოს შვება. ჩვენმა დიდებულმა მეფემ რა ნახა თავისი ერთგული ერის გაჭირვება, გულით მოინდომა იმის შეწევნა და საერო კრებას იმიტომ მოუწოდა, რომ გაჭირვებულთ დაეხმაროს. ამიტომ მთელი ერი მადლობას უნდა სწირავდეს მისთვის თავგამოდებულ დიდებულ მეფეს და ყველაზედ უმეტეს მადლობას მესამე წოდება უნდა სწირავდეს, რადგან მეფემ კეთილ ინება და გაუქმა ყოველი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი განსხვავება, რომელიც არსებობდა ჩვენი ქვეყნის დიდებულ დამმარცხებელთა და მათ მიერ დამარცხებულ დამონავებულთა შორის! მესამე წოდება უმეტეს მადლობას უნდა სწირავდეს, რადგან მეფემ გაასწორა ბატონი და ყმა, პატრონი და მონა. მიუხედავად ამისა უმთავრეს წოდებად, რომელზედაც დაფუძნებულია სამეფო ტახტი, ყოველთვის თავადაზნაურობა იქნება, რადგან მთა და ბარი ღმერთსაც ვერ გაუსწორებია. სახელმწიფო წესიერებას დაუდვია ეს განსხვავება დიდთა და მცირეთა შორის; ეს ასე ყოფილა სახელმწიფოში და ასეც უნდა იყოს უკუნითი უკუნისამდე... სიტყვა იმითი გაათავა, რომ მეფესა სურს, ხვალ კვლავ შეიკრიბნეთ, საჩქაროთ შეამოწმოთ თქვენი უფლებანი და იმ დიდს საერო საქმეს შეუდგეთ, რომელიც უკვე მოგახსენეთ, ესე იგი ფულის შოვნას და ვალის გადახდასაო!

მართლმსაჯულების მინისტრის შემდეგ ადგა ბ. ნეკერი—სახელმწიფო ხაზინის მინისტრი და ვრცლად აგვიწერა სახელმწიფო

ხაზინის მდგომარეობა. სახელმწიფოს 16 ათასი მილიონი ვალი ადევს და ამ ვალის გამო ყოველ წელს 56 მილიონი ზარალი მოსდის. ეს წაგვიკითხა, ბოლოს უმდაბლესი თხოვნით მოგვმართა, ზარალი დაჰფარეთ და ვალის გადახდა იზრუნეთო. ეგ იყო! კონსტიტუციის შედგენაზედ ხმაც არ ამოუღია. ჩვენ კი ჩვენმა ამომრჩევლებმა კონსტიტუციის შედგენა და შემოღება დაგვავალეს.

იმ საღამოს, შინისკენ რომ მივდიოდით, დიდად გავკვირდით, როცა გავიგეთ, რომ პარიზში ჯარი შემოეყვანათ: ორი რაზმი მეფის მცველთა ჯარისა და ერთი რაზმი შვეიცარიელებისა. გარდა ამისა, ამბობდნენ, სხვა რაზმებსაც მისვლიათ ბრძანება და ისინიც პარიზისკენ გამომგზავრებულანო. ამ უცნაურმა ამბავმა ძალიან შეგვაფიქრიანა, მით უფრო, რომ დედოფალი, თავადი არტუა, უბრწყინვალესი თავადი კონდე, თავადი პოლონიაკი, თავადი ენგიენი და უბრწყინვალესი თავადი კონტი, დიდად ეწინააღმდეგებოდნენ საერო კრების მოწოდებას, რადგან იცოდნენ, რომ ხალხს თავის თავი გასჭირებოდა და სახელმწიფო ვალის გადახდას არ მოინდომებდა; მაგრამ რა გაეწყობოდა? რაკი საერო კრება მოიწვიეს, საჭირო იყო ვალიც გადაეხდევინებინათ და რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, ნებით არ გადაიხდიანო, ჯარები შემოიყვანეს პარიზში, რომ ძალა ეხმარათ და თავიანთი საწადელი ჯარის წყალობით აესრულებინათ. სხვას რომ ექნა ვისმე ეს საქმე. ყველანი იტყოდნენ, მიიტყუეს, ხაფანგში გააბესო; და რადგან ამ საქმეს სხვა კი არა, დედოფალი და უბრწყინვალესი თავადიშვილები სჩადიოდნენ, ამის თქმას ვინ გაბედავდა?! ავი მარტო მდაბიო კაცის საქციელი ყოფილა! დიდებულთა საქციელი, რაც უნდა ავი და საძრახისი იყოს, მაინც კარგი ყოფილა, რადგან დიდებული ავს არას ჩაიდენს! დიაღ, სხვას რომ ექნა—ხაფანგი იქნებოდა და დედოფალისაგან კი... ყველა იტყვის, სახელმწიფო განსაცდელში იყო და დედოფალმა ეს „ხერხი“ იხმარა საზოგადო სიკეთისთვისო. ჩვენდა საბედნიეროდ, მე უკვე ვნახე პარიზელები და დავრწმუნდი, რომ რაც უნდა ხერხი და ეშმაკობა იხმარონ, პარიზელები ჩვენ არ გვიღალატებენ.

შინ მოვედით, პური გიახელით და მე და ჩემი ამხანაგები იმ აზრზედ შევთანხმდით, რომ ჩვენ ჩვენი თავის გარდა სხვის იმედი არავისი უნდა გვქონდეს; ეგ პირველი. გარდა ამისა კიდევ იმაზე შევთანხმდით, რომ პარიზში ჯარების შეგროვება კარგს არას მოასწავებდა მესამე წოდებისათვის.

მხოლოდ 6 მაისს შევუდექით საქმეს; ექვსამდე კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, სხვადასხვა ცერემონიების მეტი არა გვინახავს რა; მიგვიყვანდნენ, დაგვალაგებდნენ, სხვადასხვა სიტყვებს გვე-

ტყოდნენ და საქმით კი არა გამოდიოდა რა. ექვს მაისს ძლივს შევუ-
დექით საქმეს.

ის იყო 9 საათი შესრულდა, რომ მე, ჟერარი და მამა იაკობი
საერო კრების დარბაზში შევედით. კედლებიდან ხალები ჩამოეხს-
ნათ, საშეფო ტახტი აელაგებინათ. დარბაზი თითქმის ცარიელი და-
გვხვდა, მაგრამ მესამე წოდების წარმომადგენელნი უკვე იკრიბე-
ბოდნენ და აქეთ-იქით ბაასიც გაისმა. მიდი-მოდიოდნენ, უცნობნი
ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, დაურიდებლად ლაპარაკობდნენ,
თითქო წინადვე ჰგრძნობდნენ, რომ დიდი ტვირთი და საერთო გა-
ჭირვება მოელით ერთმანეთისთვის უცნობთაო. არ გასულა ოცი
წუთი, თავ-თავის ალაგას ვიყავით მესამე წოდების თითქმის ყველა
წარმომადგენელნი. ვისხედით და თავადაზნაურთა და სასულიერო
წოდების წარმომადგენელთ ველოდით, მაგრამ ერთი რა არის, ერ-
თიც არსადა ჩანდა.

უცბად შემოვარდა ერთი ჩვენგანი და შეგვატყობინა, რომ ორი-
ვე წოდება ცალ-ცალკე შეკრებილან და კრება კიდეც გაუხსნიათო.
ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვეწყინა და როგორ აღვშფოთდით,
ეს ამბავი რომ გავიგეთ! გადავწყვიტეთ, კრება გავხსნათო და მესა-
მე წოდების წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარის ალაგას და-
ბრძანდა ყველაზედ უფროსი, სრულიად ჭაღარა მოხუცი ბ-ნი
ლერუ; იქნება თქვენი სახლიკაცი იყოს, ჩემო ივანე? დაბრძანდა
და ექვსი კაცი დაასახელა თავის თანაშემწედ.

დიდი ხანი ეცადა ჩვენი თავმჯდომარე, ვიდრე კრებას დაამშვი-
დებდა და სიჩუმეს ჩამოაგდებდა. ყველას უნდოდა თავისი აზრი
ეთქვა; ყველა ხედავდა, რა საშინელ მდგომარეობაში ჩაგვაგდო ამ
განცალკევებამ და საჭირო იყო საშუალება გვეხმარა რამე, რომ
უფრო უარესად არ წაგვხდენოდა საქმე. ბოლოს, როგორც იყო,
დაწყნარდა იქაურობა და ბ-ნ მალუემ—ამბობენ სანავოსნო მმარ-
თველობის მოხელედ იყოვო—წინადადება შემოიტანა, დეპუტაცი-
ები გავუგზავნოთ ორივე წოდებას და მოვიწვიოთ ჩვენს კრებას შე-
მოუერთდნენ და ჩვენთან ერთად ჰქონდეთ სხდომა ამ საერო კრე-
ბის დარბაზშიო. ამაზედ ერთმა ყმაწვილმა კაცმა ბ-ნმა მუნიემ უპა-
სუხა: „ხალხის წარმომადგენელთა ღირსების დამამცირებელი იქ-
ნება მაგგვარი თხოვნა და დეპუტაციების გაგზავნა; ნუ ავჩქარდე-
ბით, ძალიან მალე გავიგებთ, რას დაადგენენ თავადაზნაურნი და
სასულიერო წოდება და მაშინ ჩვენც იმათი დადგენილებისამებრ
მოვიქცეთ“.

მეც იმის აზრისა ვიყავი. თავმჯდომარემა სთქვა, ჯერ უფლება
არა გვაქვს ჩვენს კრებას საერო კრება ვუწოდოთ, რადგან კრება

ჯერ არ შემდგარა, წარმომადგენელთა უფლებანი ჯერ არავის შეუმოწმებია და ამ მიზეზებისა გამო არ ინება საერო კრების სახელობაზე გამოგზავნილი წერილები გაეხსნა. და კარგიცა ქნა, რომ არ გახსნა, სიფრთხილისთანა კარგი ამისთანა საქმეში არა იქნება რა.

ბევრი კიდევ სხვა სთქვეს იმ დღეს, მაგრამ ყველანი ამ აზრებს ეთანხმებოდნენ.

ორ საათზედ ერთმა დოფინელმა დეპუტატმა ამბავი მოგვიტანა, ორივე წოდების კრებას დაუდგენიათ ცალ-ცალკე შეამოწმონ თავიანთ წევრთა უფლებანიო. დიდი ხმაური ატყდა ამ ამბავზედ. ამის შემდეგ ჩვენმა თავმჯდომარემ კრება მეორე დღემდე გადასდო.

ახლა კი ცხადი იყო ყველაფერი: მეფესაც, დედოფალსაც, კარისკაცთაც და დიდებულთა და სასულიერო წოდებასაც ჩვენ მარტო იმიტომ ვუნდოდით, რომ სახელმწიფო ვალი გადაგვეხადნა; დიაღ, მარტო ვალის გადასახდელად! ვალს გადაგვახდევინებდენ და მერე სულ კინწისკვრით გაგვრეკავდნენ. აღარც კონსტიტუციას მოგვცემდნენ და აღარც რამე შვებას. ან რა წარმოსადგენი იყო, ვითომ დიდებულთა თანხმობით შევადგენდით კონსტიტუციას? კონსტიტუციის ძალით სახელმწიფო საქმეებში ხალხსაც თავისი ხმა აქვს და ვინ გიჟი იქნებოდა ჩვენთვის ეს ხმა მოეცა?! ის არ ერჩივნათ თავისუფლად, ხალხის დაუკითხავად აეღოთ ვალები და, როცა გადახდა გაუჭირდებოდათ, ხალხისთვის მოეწოდებინათ—აბა სახელმწიფოს დიდი ვალი ადევს და თქვენ უნდა იკისროთ იმის გადახდაო... და თუ თქვენ არ შეგიძლიანთ, თქვენს შვილებს და შვილიშვილებს უნდა დაადვათ კისრად ჩვენგან შეჭმული ფულის გამოღებაო!

წარმოიდგინეთ, რა გუნებაზედ ვიქნებოდით! მწარე ფიქრები გვიტრიალებდა თავში და ხსნას კი არსაიდან მოველოდით.

შუაღამემდის ვლაპარაკობდით მე და ჩემი ამხანაგები. ბრაზმორეულები ღირსეული სიტყვებით ვიხსენიებდით თავადაზნაურობის და სასულიერო წოდების საზიზღარ საქციელს და სასახლის უსამართლობას. ღირსეული სიტყვებით ვიხსენიებდით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ გაბრაზებით ვერას გავაწყობდით და უფრო წავახდენდით საქმეს.

— ჩვენ იმისთანა ყოფაში ვართ, რომ დიდი სიმშვიდე და წინდახედულება გვმართებს; ან რა გვაჯავრებს? სიმართლე ჩვენსკენ არის! სიმართლით აღჭურვილები უნდა ვეცადნეთ ისინიც დავიყოლიოთ როგორმე და თუ ვერ დავიყოლიეთ, დაე ხალხმა განსაჯოს, ჩვენი საქციელიც და იმათიც!— ვთქვით სამივემ და დასაძინებლად დავიშალენით.

მეორე დღეს, საერო კრების დარბაზში შესვლისთანავე, დავრწმუნდით, რომ სხვებიც ამავე აზრს დასდგომოდნენ და გუშინდელი არეულობის და ხმაურობის მაგივრად ყველანი ჩუმად ისხდნენ ღრმად ჩაფიქრებულნი. თავმჯდომარე უკვე თავის ალაგას ბრძანდებოდა, აგრეთვე იმის თანაშემწენი და გაჩქარებული სწერდნენ.

ორი რვეული მოგვიტანეს, რომელშიაც მოხსენებული იყო ორივე წოდების სხდომის განაჩენი. თქვენ გიგზავნით ორივეს, რომ უფრო უკეთ გაიგოთ, რა უნდოდათ და რას ფიქრობდნენ ჩვენი მებატონეები და სასულიერო წოდება. სასულიერო წოდებას 133 ხმით დაედგინა 114-ის წინააღმდეგ — ჩვენი წარმომადგენლების უფლებანი ჩვენვე ცალკე უნდა შევამოწმოთო; ესევე დაედგინა თავადაზნაურობას 88 ხმით 47-ის წინააღმდეგ. მცირე უმრავლესობას ეჯობნა, თორემ ორივე წოდებაში ყოფილიყვნენ წინდახედულნი, დარბაისელნი მამულის ერთგულნი შვილნი, რომელნიც წინააღმდეგს თურმე ამტკიცებდნენ, მაგალითად, თავადი კასტელანი, უგანათლებულესი თავადი ლიანკური, მარკიზ ლანციეტი, და დოფინელი და პროვანსელი წარმომადგენელნი. ბევრი თურმე სთქვეს, უსამართლობას სჩადიხართო, მაგრამ უმრავლესობასთან რას გაა-წყობდნენ! დეპუტატების უფლებათა შესამოწმებლად 12 კომისია დაენიშნათ.

იმ დღეს კიდევ განიმეორა ბ-ნმა მალუემ თავისი წინადადება, ორივე წოდებას დეპუტაციები გავუგზავნოთ და ვთხოვოთ, შემოგვიერთდნენო. ამ სიტყვებზედ მირაბო წამოდგა. მირაბოს ხსენება შემდეგშიაც ხშირად მომიხდება; თუმცა კეთილშობილთა შთამომავალია, ხალხს აურჩევია თავის წარმომადგენლად: თავადაზნაურთ გამოეცხადებინათ—ჩვენ უმამულო კეთილშობილს ჩვენს წრეში ვერ მივიღებთო!—მაშინვე თურმე ვაპრებში ჩაეწერა და მოქალაქეებმა ერთხმივ აირჩიეს თავიანთ დეპუტატად. მირაბო პროვანსელია, ჩასხმული, მხარბეჭიანი, დიდი გაშლილი შუბლი აქვს, დიდრონი თვალები, მაგრამ საშინელი უსახური რამ არის. ზაფრანასავით ყვითელია და ამასთან საშინლად ამჩნევია ნაყვავილარი. ძალიან უსიამოვნო ხმა აქვს და სიტყვის დასაწყისში ისე აღელდება ხოლმე, რომ ენას ძლივს იგნებს; მაგრამ შემდეგში იმისთანა ცხარი ლექსითა ხატავს თავის აზრს, ისე ნათლად და თვალსაჩინოდ, თანაც ისეთი მჭერმეტყველებით, რომ 'გეგონებათ, კი არ ნესმის, თვალითა ვხედავ, რასაც ამბობს; იმისთანა ადვილად გასაგები ენით ამბობს, რომ იტყვით, ამას ხომ მეცა ვფიქრობდი, ხედავ როგორ მიმიხვდაო. სმენად გადაიქცევა ხოლმე მთელი კრება და ვიღას ახსოვს მაშინ ან იმის უსახურობა, ან იმისი უსიამოვნო

ხმა? ხანდახან, როცა დიდმნიშვნელოვანი უნდა სთქვას რამე, შედგება, თითქოს სუნთქვა ვერ მოუბრუნებიაო... და უცბად იმისთანა გრგვინვას მოჰყვება, თითქო ჭექა-ქუხილი ატყდაო. როგორ ეგიწეროთ, რამდენნაირად ეცვლება სიტყვის დროს საშინელი სახე; ყველაფერს ივიწყებს, როცა ლაპარაკობს და სიტყვას ისე ააყოლებს ხოლმე ხმასაც, კილოსაც, მიხვრა-მოხვრასაც და სახის გამომეტყველებასაც, რომ იმისთანა უმშვენიერესს ვერას ნახავს კაცი. თავს დაგავიწყებს, სმენადღა გაქცევს და ისე გაგიტაცებს, რომ სუნთქვას შეგიკრავს. მანამ მირაბო ჩვენსკენ იქნება, ჩვენ შიში არაფრისა გვაქვს, თუმცა აქაც დიდი სიფთხილე გვმართებს: მირაბო კეთილშობილთაგანია! გარდა ამისა ჯიბეში გროში არა აქვს და მადა კი იმისთანა მიუცია ღმერთს, რომ მილიონებიც არ ეყოფა. ამასთან დიდი ვალებიცა ჰქონია. საკმარისია ნახოთ იმის ჩამსხვილებული ცხვირი, იმისი დიდრონი ძვლიანი ყბები და უზარმაზარი მუცელი, რომ პირდაპირ სთქვათ: შენ, ჩემო ძამიავ, მაგ მუცელს მაშინ გაიძღობ, როდესაც შესაჭმელად მთელი ალზას-ლორენი გექნება, ზედ კიდევ ფრანშ-კონტე და ზედაც პირის ჩასაკოკლოზინავებლად რამდენიმე კაი გაკეთებული თავადიშვილის მამული!.. მაინცდამაინც კურთხეულ იყოს ის დღე, როდესაც თავადაზნაურთ თავიანთ წრიდან გამორიცხეს მირაბო და მით ჩვენ შემოგვიერთეს! ჩვენთვის დიდად საჭიროა იმის დახმარება, მეტადრე პირველ ხანებში. ამას შემდეგი ამბებიდანაც ნახავთ.

იმ დღეს 7 მაისს მირაბომ დიდი არაფერი თქვა; მარტო ის შენიშნა, რომ დეპუტაციის გასაგზავნად საჭიროა ჩვენი კრება წესისამებრ იყოს კრებად აღიარებული და ჩვენ კი არ გვინდა ჩვენი კრება კრებად ვაღიაროთ, ვიდრე სხვანიც არ შემოგვიერთდებიან. მაშასადამე, ლოდინის მეტი ჯერ ჩვენ არა შეგვიძლიან რაო.

ვექილმა მუნიემ ითხოვა: „თუ აგრეა, ეს მაინც იყოს, რომ თუ მოინდომა ვინმე ჩვენთაგანმა კერძოდ, პირად თავისი სურვილისამებრ და არა ჩვენი კრების დავალებით იმათთან მოლაპარაკება, ნება ჰქონდეს მივიდეს და სთხოვოს დიდებულთ და სასულიერო წოდებას — შემოგვიერთდნენ, რომ მეფის სურვილისა და ბრძანებისამებრ ერთ საერთო კრებად შევსდგეთ. ეს წინადადება არაფრით დაამდაბლებდა ჩვენი კრების ღირსებას და დავეთანხმეთ კიდეც. მაშინ ჩვენი კრების 12 წევრი წავიდა ამბავის გასაგებადა და ცოტა ხანს უკან გვაცნობეს, რომ თავადაზნაურთა დარბაზში იმათ მარტო კომისიის წევრნიღა დახვდნენ, რომელნიც დეპუტატთა უფლებებს ამოწმებენ; სასულიერო წოდებას კრება აქვს და ჩვენი თხოვნა რომ მოისმინეს, თავმჯდომარემ გვიპასუხა: ძალიან კარგი, კრება განი-

ხილავს თქვენს წინადადებასო. არ გასულა ერთი საათი, ჩვენს დარბაზში შემოვიდნენ მონპელიელი და ორანჟელი ეპისკოპოსები და ოთხი სხვა სასულიერო წოდების პირნი და გვითხრეს: ჩვენ დავადგინეთ, რამდენიმე კაცი ამოვირჩიოთ და იმათ მივანდოთ თავადაზნაურთა და თქვენ მიერ ამორჩეულ კაცებთან ერთად განიხილონ— დეპუტატთა უფლებანი სამივე წოდებამ ცალ-ცალკე შევამოწმოთ, თუ ერთად?

ამ პასუხის გამო ჩვენი კრება გადადებულ იქნა 12 მაისამდე და მეც ამ ოთხი დღით ვისარგებლე, რომ პარიზი დამეთვალიერებინა. 30 აპრილს პარიზზედ რომ გამოვიარეთ, დრო არა გვქონდა გავჩერებულიყავით; სწორედ მაშინ იყო, რომ წმინდა ანტონის უბანში აღელვებულ ხალხს ძლივსღა იმაგრებდნენ ჯარები. ჩვენ რომ გამოვიარეთ, სულყველანი იმას ამბობდნენ, საცა კი ქურდი იყო ვინმე, ყველანი პარიზში შემოსულანო; იმ ორი დღის წინად რამდენიმე სახლი გაეძარცვათ. მინდოდა წმ. ანტონის უბანში მე თითონ ავსულიყავ და ჩემი თვალით მენახა აჯანყებული ხალხი და ჩემი ყურით გამეგო, რას ამბობდნენ პარიზელები ჩვენი კრების შესახებ. განა არა, ვერსალში გამოულეველია პარიზელები, იმათგანაც ბევრი რამ მესმის, მაგრამ ხალხის ნახვა ადგილობრივ სჯობია, ჩემი ფიქრით.

დილაადრიანად გავემგზავრენით მე და ჩემი მარგალიტა, ჟერარი და მამა იაკობი. სამი საათის შემდეგ პარიზში შევედით. ვისაც ეს მართლა და ქვეყნის თვალი ქალაქი არ უნახავს, ძნელად წარმოიდგენს იმის სივრცე-სიდიდეს, მრავალსართულიან შენობების სიმშვენიერეს და ლარივით სწორი ქუჩების სიგრძეს. ამ სიგანე ქუჩები ჩემს დღეში არსად მინახავს და რას იტყვის ადამიანის ენა, რომ აქ არ მოიპოვებოდეს. მაღაზიები, ყავახანები, ლუდხანები, აწინდელი დროისა და ძველებური, წარსული საუკუნოების შენობები, ბაღებით და აუზებით შემკული მოედნები! ქუჩებში ყოველთვის აუარებელი ხალხი დადის და თან ყოველ მხრიდან ძახილი ისმის; პატარა ურმებზედ დაუდებენ მწვანილს, ხილს, ახალ ყველს, თითონვე მიაგორებენ ქუჩა-ქუჩა და თან გაჰყვირიან: ახალი ყველი, ვის გნებავთ! მწვანილი! ვაშლი! ზოგს ურემიც არ აქვს და თავზედ უდგას კალათი და ამისთანა ყვირილით მოდის, იტყვით ქვეყნის საკაჭრო იმას აქვსო. ისეთი ყვირილია, ისეთი ატეხილი ძახილი, რომ ვისაც ყური მიჩვეული არა აქვს, ეგონება სამხეცეში ვარ და ამერიკული ფრინველები კივიანო. ამ ყვირილს და ხალხის ხმაურობას ზედ ერთვის ტლანქი ურმების და ეტლების გრიალი ქვით მოკირწყლულ ქუჩებზედ; გულის ამრევი ნაგავი და მყრალი სუნი; ეშმაკუ-

რი და თანაც მხიარული სახის ვამომეტყველება უკანასკნელი მოდის დაკვალად მორთულ-მოკაზმულ პარიზელებისა! პარიზელისთანა მხიარული და ბედნიერი არავინ იქნება ქვეყანაზედ, ოღონდ თავისუფლად შეეძლოს თავისი ფიქრები გამოსთქვას და გაზეთებში სწეროს. თუ ამის უფლება აქვს, ერთობ ბედნიერია, ერთობ მხიარულია და შეუწყვეტელი ლხინი აქვს. სიმღერა, ცეკვა, სიცილი, ხუმრობა, ყავახანებში დროს გატარება და პოლიტიკური სჯა და ბაასი! ერთი სიტყვით რომ მოვჭრა, ჩემო ივანე, პარიზისთანა ქალაქი ქვეყანაზედ არ არის! ჩვენსას არაფერსა ჰგავს, რომ შედარება შეიძლებოდეს. ნანსში ხომ ყოფილხარ—ნანსი სასახლეა და პარიზი უბრალო სახლი, მაგრამ ნანსი მკვდარია და ცარიელი, პარიზში კი სიცოცხლე დუღს და გადმოდის.

შარშანდელ შიმშილისაგან დამშეული პარიზელები ჯერაც არ გამძღარან. მეტადრე საწყალ მუშა ხალხს გასჭირვებია, ცარიელი ძვალი და ტყავიღა არიან უბედურები; მაგრამ მაინც ისეთი მხიარულად არიან, რომ გაგიკვირდებათ! საცა გაივლით, ყველგან სახუმარო აფიშები დაგიხვდებათ კედლებზედ გაკრული.

ძალიან მიამა, ღვთის წინაშე, ამისთანა ხალხის ნახვა; სწორედ საჩემო ხალხია. რამდენს დავდიოდი სოფელ-სოფელ, წელს ვიწყვეტდი და ჩემს წიგნებს ძლივსა ვყიდდი. აი, აქ უნდა მომეტანა, სულ დაიტაცებდწენ! იცით რა სამაგალითო მამულიშვილნი არიან ეს ღარიბ-ღატაკნი, რა გულწრფელი პატრიოტები არიან! ხომ შიმშილით იხოცებიან, ხომ ლუკმაპურის ნატრულნი არიან და უპირველეს ყოვლისა თავიანთ უფლებათა მოპოვებასა ცდილობენ. საქმე ის არის, ჩვენც ადამიანის უფლებანი გვქონდეს და სხვა ყველა ადვილიაო.

ჩემს მეგობარს, მამა იაკობს, აქ და ჰყოლია. მეხილეა ბულუას ქუჩაზე, სასახლის გვერდით. იმასთან ჩამოვხტით. რაც ხანი ქალაქში შევედით, ვიდრე ჩამოვხტებოდით, ქუჩაში ყველგან ეს სიმღერა ისმოდა:

ვაშა, საფრანგეთის ხალხსა,
ვაშა, მის ბედს მომავალსა!
თავადსა და ეპისკოპოსს
დაამარცხებს ვით მტარვალსა.

თრთიან ჩვენი პატრონები,
ახ, საწყალი ბატონები!

ხალხის შვილი ცოდნის ჭაა,
ვინ ჩაუწვდენს მის ძირს თვალსა?

თავადსა და ეპისკოპოსს
ის გაჰქელავს ვით მტარვალსა!

თრთიან ჩვენი პატრონები,
ახ, საწყალი ბატონები!

რომ სცოდნოდათ მესამე წოდების წარმომადგენელნი არიანო, ხელით გვატარებდნენ სამივეს. ჰოდა, მართლა პილწი, სულით და ხორცით წამხდარი უნდა იყოს კაცი, რომ ამათ უღალატოს! ჩვენ რომ გადაწყვეტილი არც კი გვქონოდა მომავალი ჩვენი მოქმედება, ამ საწყალი ხალხის ნახვაც დაგვარწმუნებდა, რომ სიმართლე ამათ-კენ არის. იცით რა მხიარული და თავგანწირულია ეს ყოველი სათნოებით სავსე ხალხი? მერე ამ გაჭირვებაში, როდესაც ვერც სადმე საქმე უშოვნია და არც საცხოვრებელი აქვს რამე! სულ-წაწყმედილი უნდა იყოს კაცი, რომ ამოდენა გაჭირვება ნახოს თავი-სი სწორი, თავისი მოძმე ხალხისა და წმინდა აღთქმა არ დაუდვეს თავის თავს და ღმერთს: სიკვდილამდე ამის მსახური ვიქნები და ვეცდები ამ მონადექცეულ ხალხს თავისუფლება მოვაპოვებინოვო!

ოთხი დღე დავრჩით ქვრივ ლეფრანთან. მარგალიტამ და მამა იაკობმა მთელი პარიზი მოიარეს: უცხო მცენარეთა ბაღი, ღვთის-მშობლის ტაძარი, სასახლე და თეატრებიც კი. მე უფრო ქუჩებში დავდიოდი, მოედნებზედ და მდინარე სენის პირას, საცა წიგნებსა და სხვადასხვა სავაჭროს ჰყიდიან. მივიდოდი, ხალხს შეევრეოდი, გამოველაპარაკებოდი, ვინც კი მომხვდებოდა. უსინათლოს დავინა-ხავდი სადმე მომღერალს, იქ გავჩერდებოდი, მოედანზედ სადმე კო-მედიის თამაშობას შევესწრებოდი, ახლა იქ გავჩერდებოდი. ეს გაწრთვნილი ძაღლებიო, ეს ჯამბაზებიო, ეს კბილის ამომღებიო, რა ვიცი? მეტადრე კომედია მომწონს, ახალი ხიდის ყურზედ თამა-შობენ. მერე იცით რას თამაშობენ? ტაკიმასხარადა ჰყავთ გამოყვა-ნილი დიდებული თავადიშვილები და იმისთანა სისულელეს ალაპა-რაკებენ, იმისთანა მტკნარ სისულელეს, რომ სიცილით იხოცება ხალხი. ორჯერ ვიყავი და იმდენი ვიცინე, რომ სულ ცრემლი მდიოდა.

პარიზელების კრებასაც დავესწარი. ჯერ ისევ ხალხის საჭი-როებათა აღწერაზედ არიან. ერთი სამაგალითო რამ დაადგინა ამ კრებამ: კომისია ამოირჩია და თუმცა თვით კრება დაიშლება, თა-ვის საქმეს რომ დაამთავრებს, ეს კომისია მაინც დარჩება და ვალ-დებული იქნება თვალ-ყური ადევნოს თავის წარმომადგენლებს, რომელნიც საერო კრებაზედ იქნებიან გაგზავნილნი. ეს კომისია უნდა დაეხმაროს იმათ თავის რჩევით და თუ ნახა, რომ ხალხის

წარმომადგენელნი კეთილ-სინდისიერად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, უნდა გააფრთხილოს კიდეც. ოოგორ მოგწონთ, ბატონო ივანე, ეს აზრი? სამწუხაროდ, სხვაგან ამგვარი არაფერი იზრუნეს და ძალიანაც შესცდნენ. დაფიქრდით — რა არის დეპუტატი, თუ კი თვალყურს არავინ ადევნებს და, მაშასადამე, ადვილად შეიძლებს თავის ამომრჩეველთ უღალატოს და თავისი ხმა ხალხის მტრებს მიჰყიდოს? ვინ რას უზამს, ვინ არის პატრონი?! უღალატებს და ბევრსაც დასცინებს იმ გულუბრყვილოებს, რომელთაც ის პატიოსან კაცად იცნეს. ან რატომ არ დასცინებს? იმან სიმდიდრე მოიპოვა და იმის ამომრჩევლები კი ძველებურად ღარიბ-ღატაკად დარჩებიან! იმას ქომაგად იმისივე შემსყიდველი მართებლობა ეყოლება და იმის ამომრჩევლებს კი ცარიელი სიმართლის მეტი არა შერჩებათ-რა. და ცარიელი სიმართლე, თუ გინდა გალესე და დალიე! პარიზელთა კრების მაგალითით რომ ჩვენც ვისარგებლოთ, ძალიან კარგი იქნება და კონსტიტუციას რომ შევადგენთ, სულ თავში უნდა მოვაქციოთ, რომ „ამომრჩეველთ უფლება აქვთ გადააყენონ, უჩივლონ და დაასჯეინონ ყოველი დეპუტატი, რომელიც თავის ვალდებულებას უღალატებს“. რაღა გავაგრძელი, პარიზის კრების დადგენილებამ ძალიან მასიამოვნა. ყველაზე უმეტესად პარიზში მე ის მომეწონა, რომ აქ ხალხს ძალიან კარგად შეუგნია, რა უნდა და რას სჩადის.

საღამოობით სასახლეში მივიდოდი ხოლმე, რომელშიაც უგანათლებულესი თავადი ორლეანელი დგას და ყველას თავისუფლად შეუძლიან შესვლა. საშინელი: მოქეიფე კაცია, მაგრამ კარგი ისა სჭირს, რომ სხვებივით ფარისეველი არ არის: ღამე რომ სადმე დუქანში იქეიფოს ან უფრო უარეს ალაგას, მეორე დღეს ეკლესიისკენ არ მიეშურება და თუმნიან კელეპტარს არ ანთებს, რომ ცოდვა მოინანიოს და კვლავ საქეიფოდ გაეშუროს. ამბობენ სიესის და მირაბოსი ძალიან კარგი მეგობარიაო. ამასვე აბრალებენ პარიზში ქურდების შეგროვებას: საცა კი ქურდი იყო, ყველანი აქ დაიბარა და უბრძანა იქურდეთ, სძარცვეთ, რასაც მოასწრობთო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მართალი იყოს, რადგან ამისთანა საშინელ ზამთარს და შიმშილს ქურდებიც თან ახლავან: შიანთ და ქურდობენ, სხვა საღსარი რომ არა აქვთ რა! რა დაბარება უნდა კალიას — მოდი და ყანას დაეცი?!

ასეა თუ ისე, დედოფალს და კარისკაცებს ჭირივითა სძულთ ორლეანელი და ამიტომ არის, რომ ხალხში ამდენი მეგობრები ჰყავს. მისი სასახლე ყოველთვის ღიაა და ყველას ნება აქვს ბაღში ისეირნოს. ბაღს ირგვლივ მშვენიერი მაღაზიები და ყავახანები არ-

ტყია, იმისთანა მშვენიერი, რომ პარიზში უკეთესს ვერასა ნახავს კაცი. აქ, იმ ყავახანებში იკრიბება ყმაწვილკაცობა და ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლები და სრული თავისუფლებით სჯიან ყოველგვარ პოლიტიკურ კითხვებს; ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს ყაყანებენ, თუმცა დიდს არაფერს არიგებენ; მთელი საღამო რომ იქ გაატაროთ, ისე შევა ყურში იმათი ნათქვამი და ისე გავა, როგორც ცხრილში წყალი და კიდეც რომ დარჩეს რამე, დიდი არაფერი დარჩება, რადგან ბზეს უფრთ მეტს ასაღებენ, ვიდრე ქერს. ორჯერ თუ სამჯერ დავესწარი იმათ ბაასს, სმენად ვიყავი გადაქცეული და გაბოსვლისას გაკვირვებული ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნეტავი რა ილაპარაკეს-მეთქი? მაგრამ რაც უნდა იყოს, წმინდა წადილით არიან გატაცებულნი და, დამეთანხმებით, ესეც კარგია. გარდა ამისა, ზოგს იმათგანს ეტყობა, კარგი სიტყვა და გამჭრიახი გონება უნდა ჰქონდეს.

ბაღში დავსხედით და ერთი ბოთლი ღვინო მოვითხოვეთ. მჟავე კოწმახი რაღაც მოგვიტანეს, მაგრამ იმდენი ფული გადაგვახდევინეს, რომ თავბედი ვიწყევლეთ. მედუქნე დიდ ქირას იხდის და რა ქნას, ცდილობს მეტი გამოართვას თავის მუშტარსაო! სწორედ ბაზარი გეგონებათ ეს სასახლე, მეტადრე ღამით, როდესაც ჩირაღდნებს აანთებენ ხოლმე. ისე ირევა ბაღში ხალხი, იტყვით დღეობაა რამეო.

11 მაისს სადილის შემდეგ ისევ ვერსალისკენ გავემგზავრეთ. ოთხი დღის მგზავრობით სრულად კმაყოფილი ვიყავით და ამასთან დავრწმუნდით კიდეც, რომ პარიზის ხალხი მესამე წოდებისკენ იყო. ჩვენ ამის მეტი არა გვინდოდა რა.

12-ს დილის 9 საათზე ჩვენს ალაგას ვიყავით საერო კრების დარბაზში. და რადგან ჩვენგან ამორჩეულ პირთ გამოგვიცხადეს — ბევრი ვეცადეთ, მაგრამ თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების კრებათაგან ამორჩეულ კაცებთან ვერა გავაწყეთ რაო, — დავრწმუნდით, რომ სამარცხვინოთ გვატყუებდნენ და მარტო იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი დრო გაეყვანათ. რასაკვირველია, მოვინდომეთ დაკარგული დროის სამაგიეროდ ახლა ავჩქარებულიყავით და იმავე კრებაზედ დავავალეთ ჩვენს თავმჯდომარეს და მის თანაშემწეებს დეპუტატების სია შეედგინათ. გარდა ამისა დავადგინეთ, რომ ყოველ კვირა დანიშნული იქნება კომისია, და იმას ექნება მინდობილი კრების წესიერების დაცვა, ხმების შეგროვება და დათვლა და ყოველი კითხვის შესახებ უმრავლესობის აღრიცხვა.

მეორე დღეს თავადაზნაურთაგან დეპუტაცია მოგვივიდა. შემო-

ეთვალათ. ჩვენ. თავადაზნაურთ, უკვე შევადგინეთ და გავხსენით კიდეც ჩვენი კრება, ამოვირჩიეთ თავმჯდომარე და მდივნები, და რამდენიმე დადგენილება კიდეც ჩავწერეთ განაჩენების დავთარში; სხვათა შორის ისიც დავადგინეთ, რომ ჩვენი წევრების უფლებას ჩვენი კრება შეამოწმებს სხვა წოდებათა კრებების დაუსწრებლადაო.

ერთი სიტყვით, ჩვენ უთქვენოდაც კარგადა ვართ, ნეტავი ვინა ყრიხართო?!

იმავე დღეს სამღვდელოებამ შეგვატყობინა: ამორჩეულ კაცებს მივანდეთ თავადაზნაურთა და მესამე წოდების კაცებთან მოელაპარაკნათ, რომ საერო კრების წევრთა უფლებანი ერთად შეგვემოწმებინა და სამი წოდებანი შეგვეერთებინაო.

დიდი კამათობა გამოიწვიეს ამ დეპუტაციებმა. ზოგნი ამტკიცებდნენ, კაცები ამოვირჩიოთ, როგორც სამღვდელოება გვითვლისო; ზოგნი გვთხოვდნენ გამოგვეცხადებინა, რომ საერო კრების კანონიერ წევრად ჩვენ მარტო იმას აღვიარებთ, რომლის უფლებანი შემოწმებულ იქნებიან სამივე წოდებათა კომისიისაგან; და ამიტომ ვთხოვთ ეკლესიის და თავადაზნაურთა წარმომადგენელთ კეთილ ინებონ და მობრძანდნენ საერო კრების დარბაზში, სადაც აგერ რვა დღეა იმათლა ველით.

რადგან ძალიან ცხარე ბაასი ატყდა და კიდევ ბევრნი თხოულობდნენ სიტყვას, მეორე დღესაც ამავე კითხვის სჯას შევუდექით. რაბო დე სენტეტიენი, ტულუზელი დეპუტატი ვიგიე, რუენელი ვექილი ტურე, დოფინელი დეპუტატი ბარნავი, ლანგედოკელი ბუასსი დანგლა და ბევრნი კიდევ სხვანი დიდი ნიჭით და მჭერმეტყველებით ამტკიცებდნენ, მეტადრე ბარნავი, თავ-თავის აზრებს. ზოგნი ამბობდნენ, გვეყო ამოდენა ლოდინი, დრო არის საქმეს შევუდგეთო! ზოგნი კი გვირჩევდნენ, მოიცადეთ, ცოტა დრო კიდევ მიეცეთ თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებას, რომ სამეფოს მდგომარეობას დაუფიქრდნენო... თითქო იმოდენა ხანი არა კმაროდა, რომ საქმეს დაჰფიქრებოდნენ! ბოლოს კრების უმრავლესობამ რაბო დე სენტეტიენის წინადადება მიიღო და 16 კაცი ამოვირჩიეთ, რომ თავადაზნაურთა და სამღვდელოთაგან ამორჩეულ კაცებთან შეთანხმებულიყვნენ..

23 მაისს კრებაზედ წინადადება იქნა შემოტანილი, სარედაქციო კომისია ამოვირჩიოთ, რომელსაც მივანდოთ ასწეროს სუყველაფერი, რაც კი მოხდა საერო კრების პირველი დღიდან და რაც შემდეგში მოხდებაო. ეს წინადადება არ მიიღო კრებამ, რადგან სიმართლით რომ აიწეროს თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების

თვალთმაქცობა, რომლითაც ცდილობენ ყველაფერში ხელი შეგვიშალონ, უფრო მეტად ააღელვებს ხალხს და ხალხის მოძრაობამ იქნება სულაც დაღუპოს ჩვენი განძრახვა.

22 და 23-ს ხმა დადიოდა, მეფეს სურს კრებას ერთი ახალი საშუალება წარუდგინოს, რომლითაც დიდი ვალის აღება შეიძლებაო. ამ ვალით ზარალსაც დაჰფარავენ და ჩვენც პანღურს გვკრავენ, რადგან ჩვენ საჭირონი აღარ ვიქნებითო. თანაც ხუმრობდნენ, ჩვენ რა, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს დააწვებათ კისერზედ ამ ვალის გადახდაო! იმავე დროს პარიზისა და ვერსალის გარეშემო ჯარები იკრიბებოდნენ.

26 დავასრულეთ სჯა იმ წესებისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი წევრი ჩვენი კრებისა. იმავე კრებაზე გამოაცხადეს ჩვენმა ამორჩეულმა კაცებმა — თავადაზნაურთა კაცებთან შეთანხმება შეუძლებელია და, რასაკვირველია, ვერც ჩვენ შევთანხმდებოდითო.

მეორე დღეს 27-ს, მირაბომ მოკლედ გამოხატა, რაც იმ დღეებში მოხდა და თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „თავად-აზნაურთ არა ნებავთ შემოგვიერთდნენ, რომ ერთად შევამოწმოთ დეპუტატთა უფლებანი. ჩვენ გვინდა ერთად ვიყვნეთ სამივე წოდებანი. სასულიერო წოდება ცდილობს მოგვარიგოს როგორმე. იქნება დამეთანხმოთ: სამღვდელოებას ვაახლოთ დეპუტაცია, რიცხვით მრავალი და ყველასაგან პატივცემულ კაცთაგან შემდგარი დეპუტაცია, და ვთხოვოთ ღვთისა და მშვიდობიანობის გულისათვის ნუ შესთრგუნავენ სიმართლესა და საზოგადო საქმეს და ჩვენთან ერთად საერო კრების დარბაზში შეუდგნენ იმ წმინდა მონდობილების აღსრულებას, რომელიც ერმა მოგვანდო“.

უნდა იცოდეთ, რომ გარს ყოველთვის აუარებელი ხალხი გვახვევია. დარბაზი ხალხით არის გატენილი, სუყველანი სმენად არიან ვადაქცეულნი და თუ მოეწონათ ვისიმე სიტყვა, საშინელ ტაშის კვრას ასტეხენ ხოლმე.

მირაბოს სიტყვა ისე მოიწონა ხალხმა და იმისთანა ტაშისკვრით დააჯილდოვა, რომ მეორე დღეს 28-ს ბრძანება გასცეს, ხალხს ნულარ მიუშვებენ კრების წევრებამდეო. ჩვენ კიდევ მირაბოს სიტყვებისამებრ ამოვირჩიეთ დეპუტაცია და სამღვდელოებას ვაახლეთ.

იმავე დღეს მივიღეთ მეფის წერილი. ჩემს ცნობამდე მოაღწია, გვიბრძანებდა დიდებული მეფე, რომ სამს წოდებათა შორის რაღაც უთანხმოება მომხდარა დეპუტატების უფლებათა შემოწმების შესახებ. ძალიან ვწუხვარ და ვშიშობ კიდეც, რომ კრება, რომელსაც მე

საზოგადო სიკეთისათვის და სახელმწიფოს განახლებისთვის მოვუწოდე, ასეთ უსაქმურობას იჩენს.

ამ სამწუხარო გარემოებათა გამო იძულებული ვარ სამივე წოდებათაგან არჩეულ პირთ ვთხოვო კვლავ შეუდგნენ მოლაპარაკებას მართლმსაჯულების მინისტრისა და რამდენიმე სხვა დიდებულის თანადასწრებით, რომელთაც მე თვითონ დავნიშნავ, რათა ყოველთვის ჭეშმარიტება მაცნობონ და მით გამიადვილონ სასურველი თანხმობის დამყარება.

ისე გვისაყვედურებდა დიდებული მეფე, თითქო საერო კრების უსაქმურობას და მთელი სამი კვირის დაკარგვას მარტოდმარტო ჩვენ, მესამე წოდების დეპუტატებს გვაბრალებდა. გვისაყვედურებდა, თითქო ჩვენ ვიყავით ერთობის წინააღმდეგი და განზედ ჩვენ ვიწევდით.

ბალღები თუ ვგონივართ მის დიდებულებას!

ბევრი სთქვეს მეფის წერილის წინააღმდეგ, მეტადრე კამუსმა. ბევრი იძახეს, ხელახლად დაწყება მოლაპარაკებისა უსარგებლო იქნება, თავადაზნაურთ ვერას გავაგონებთო; ხალხის წარმომადგენელთ არ უნდა მიიღონ მეთვალყურედ მართლმსაჯულების მინისტრი, რადგან ის ყოველთვის თავისებს მიემხრობაო! ბევრი იძახეს, მეფისგან დანიშნულ დიდებულთა წინაშე ჩვენ ვერას გავარიგებთ, რადგან იმათ წინადვე გადაწყვეტილი აქვთ სამი წოდების განცალკევებაო!...

კიდევ ბევრი რამა სთქვეს და ბევრნიც ვიყავით ამ აზრისა. თითქმის ყველანი ვგრძნობდით, რომ მეფე თავის წერილით მახეს გვიგებდა, მაგრამ რას ვიზამდით? ყოველი საშუალება უნდა გვეხმარა, რომ თანხმობა ჩამოგვეგდო სამ წოდებათა შორის, თორემ ჯერ ახლავ ყველაფერს ჩვენ გვაბრალებდნენ და მერმე ხომ უარესს გვიზამდნენ; ამიტომ უმდაბლესი და უქვეშევრდომესი წერილით მადლობა მოვახსენეთ დიდებულ მეფეს იმ ურიცხვ სიკეთისთვის, რომელსაც იგი თავის ხალხისთვის არა ზოგავს და ვაცნობეთ, ჩვენ მიერ ამორჩეულნი მზად გახლავან კვლავ მოლაპარაკებას შეუდგნენო. მაგრამ ორშაბათ დღეს, პირველ თიბათვეს ერთმა ჩვენ მიერ ამორჩეულთაგანმა — რაბო დე სენტეტიენმა შეგვატყობინა, მინისტრი ნეკერი გვირჩევს დეპუტატების უფლებათა შემოწმება სამივე წოდებამ ცალ-ცალკე მოახდინეთ და თუ საეჭვო გარემოება იყოს რამე, მის გარდასაწყვეტად მართებლობას მიმართეთო. ახლა კი დავრწმუნდებით, რომ სრულიად მართალს ამბობდა კამუსი: თვით მეფე ეწინააღმდეგება სამი წოდების შეერთებას; მეფესა ნებავს სამად გაჰყოს საერო კრება; თვით მეფეც თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებას

მიუდგა ხალხის საწინააღმდეგოდ და ჩვენ ღვთისა და ჩვენი თავის იმედიღა უნდა გვქონდეს და სხვისი არავისიო!

მე ცარიელი ჭეშმარიტება მოგახსენე, ჩემო ივანე, და იმედი მაქვს დამეთანხმები. ამ ამბავში სულ მეტი იქნებოდა მოხდენილი სიტყვები, რომლითაც ნაწერს ალამაზებენ და ამშვენებენ. მე ჩვენს ამბავს მოგითხრობ; მინდა ისე დაგიხატო ჩვენი ყოფა, რომ ჩვენებურმა სულ უკანასკნელმა გლეხმაც კი გაიგოს — ვინა ყოფილა იმისი მტერი და ვინა ყოფილა იმისი მოკეთე. აქ სიტყვაკაზმული წერილი კი არა, საჭიროა სულ უბრალო, მარტივი აღწერა საქმისა. მოხდენილი სიტყვა რასაც არ ავნებს აზრის სიმტკიცეს, არას არგებს.

ამაზე მარტივი განაღა იქნება რამე:

— თქვენ ცალ-ცალკე გნებავთ?

— ჩვენ ერთად ყოფნა გვინდა!

— თქვენ ჯარები შემოგვახვიეთ?

— ჩვენ კიდევ პარიზელები მოგვეშველებიან!

— თქვენ თოფ-იარაღის იმედი გაქვთ, ზარბაზნების, დაქირავებული უცხო ქვეყნელი ჯარებისა?

— ჩვენ ჩვენი უფლების მეტი არა გვაქვს რა, მაგრამ აღარ გვინდა თქვენი ყმობა და თქვენთვის შრომა! აღარ გაძლევთ ჩვენს ნამუშევარს! ჩვენი ჩვენთვის გვინდა! თქვენ გგონიათ ჩვენზედ ღონიერნი ბრძანდებოდეთ? მაგასაც ვნახავთ!

აი, ჩვენი ისტორიის საფუძველი! მეტისმეტი მითქმა-მოთქმა რა საჭიროა, როდესაც სიმართლე აღარსად არის და უფლება ვეღარას გვშველის. იმათ უნდათ ყინულზედ გაგვაცურონ! მაგასაც ვნახავთ!

ჩაუკვირდით ჩვენს წადილს: ხარჯს ჩვენ ვიხდით... ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რაში იხარჯება ჩვენი ფული? და უპირველესს ყოვლისა ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება, ნაკლები გადავიხადოთ.

ჩვენი შვილები ჯარში გყავთ... ჩვენ გვინდა გავიგოთ, ვინ არიან ჩვენი შვილების უფროსად? რად არიან ისინი უფროსად დანიშნულნი?

დაგიწესებიათ — თავადაზნაურნი და ხალხიო, ბატონები და ყმანიო! რად არის ეს განსხვავება? რით აღემატება ერთის შვილი მეორის შვილს? რით სჯობია ერთის შთამომავალი მეორისას? იქნება ისინი ღვთის შთამომავლობისანი იყვნენ და ჩვენ კი მხეცებისა? აი, თუ შეგიძლიანთ ეს აგვიხსენით.

და ახლა განვაგრძოთ.

თავადაზნაურთ ჯარის იმედი ჰქონდათ; უნდოდათ ძალით გაეტანათ თავისი და უარჰყვეს ყოველი ჩვენი წინადადება. 10 თიბათვეს შევიკრიბენიო და მოვისმინეთ ამორჩეულ კაცთა მოხსენება: თავად-

აზნაურობას ჩვენთან ერთად კრება არა სურსო. მირაბო იმ აზრისა იყო, რომ ხალხის წარმომადგენელთ მეტი ლოდინი აღარ შეუძლიათ: „ჩვენ ჩვენი მოვალეობა გვაქვს და დრო არის ამ მოვალეობის აღსრულებას შევუდგეთ. პარიზელთაგან დეპუტაცია მოგვივიდა, ერთი მათგანი სიტყვას ითხოვს. სურს ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო წინადადება შემოიტანოს და კარგი იქნება, რომ კრება მოუსმენდეს“.

სიტყვას მღვდელი სიესი თხოულობდა. მ. სიესი სამხრეთ-საფრანგეთიდან არის, 40 — 45 წლისა იქნება; სუსტი ხმით ლაპარაკობს და ძალიან ცუდადაც, მაგრამ რასაც ამბობს, დიდ აზროვანს და დიდად სასარგებლოს ამბობს. ხომ გახსოვთ, ამ სიესის წიგნაკები რამდენი გავასაღე; დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ხალხს სიესმა ამ პატარა წიგნებით. აი, რა თქვა სიესმა, რომელსაც კრება სულგანაბული უსმენდა:

„მესამე წოდების წარმომადგენელთ მას შემდეგ, რაც საერო კრება დაიწყო, ერთ წამსაც არ დავიწყებიათ სიმშვიდე და გულწრფელობა და რაც კი მათს ღირსებას არ დაამცირებდა. ყოველივე თავაზი და პატივისცემა გაუწიეს თავად-აზნაურთ და სასულიერო წოდებას. მერე რით გადაგვიხადეს იმათ ეს თავაზი და პატივისცემა? ფარისევლობით და დაფარული მტრობით! თუ კრებას ნებავს თავის ამომრჩეველთაგან დავალებულს წმინდა მონდობილობას არ უღალატოს, დაუყოვნებლივ საქმეს უნდა შეუდგეს და მაშასადამე დეპუტატთა უფლებანი შეამოწმოს. თავადაზნაურნი უარს აცხადებენ? არ ნებავთ? ბრძანდებოდნენ! ერთი წოდება რომ უარს ამბობდეს წინსვლაზედ, განა სხვანიც უნდა გაჩერდნენ? სრულებითაც არა! ჩვენ ერთადერთი გზაღა დაგვრჩენია: კრებამ ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, უნდა მოიწვიოს თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენელნი თავის დარბაზში, რათა დეპუტატების უფლებათა შემოწმებას დაესწრნენ, დაეხმარნენ და დაემორჩილნენ; და თუ არ მობრძანდნენ, რა გაეწყობა? საერო კრება უიმათოდ უნდა შეუდგეს თავის წმინდა მოვალეობის აღსრულებას“.

კიდევ შევიკრიბენით იმავე დღეს 5-დგან 8 საათამდე. მღვდელი სიესის წინადადება მიღებულ იქმნა და გარდა ამისა დავადგინეთ: მეფეს უმდაბლესი მოხსენებით ვაცნობოთ საფუძველნი, რომელთაც გვაძულეს უკანასკნელი ჩვენი გადაწყვეტილება მიგვეღო.

პარასკევს, 12 თიბათვეს, უნდა შეგვეტყობინებინა ორთავე წოდებისთვის ჩვენი გადაწყვეტილება და მეფისთვის მოხსენება შეგვედგინა. ბ-ნ მალუემ წაგვიკითხა თავისი, წინადვე მომზადებული, ვაჟკაცური გრძნობით სავსე წერილი; მაგრამ იმისთანა ქებით და

დიდებით იხსენიებდა მეფეს, რომ იმ წერილის გაგზავნა შეუძლებლად დავინახეთ. ვილნეიმ მშვენიერი სიტყვა სთქვა ამგვარი ქება-დიდების და ხოტბის წინააღმდეგ. ვილნეი იერუსალიმსა ყოფილა, მთელი ეგვიპტე მოუვლია და ძალიან გამოცდილ კაცს ამბობენ. აი, რა თქვა: „ვერიდოთ დიდებულთა ქებას, რადგან იგი შედეგია სიხარბისაგან აღორძინებულის და აღზრდილის სულმდაბლობისა და პირმოთნეობისა. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ რომ თვალთმაქცობის და ფლიდობის ბუდეში ჩაგვაგდო ბედმა; თვით ჰაერიც კი, რომლითაც ვსუნთქავთ, გარყვნილი და გახრწნილი ჰაერია და გახრწნილებავე შეაქვს ჩვენს გულში. თვით ხალხის წარმომადგენელთაც კი შეჰპარვიათ ეს გარყვნილება და აგერ...“ ამგვარადვე განაგრძო თავისი სიტყვა და მალუემ აღარა სთქვა რა.

ბოლოს დიდი კამათის შემდეგ, გადავწყვიტეთ, მეფისთვის დეპუტაციის ხელით მიგვერთმია ჩვენი მოხსენება, რომელიც ბარნავმა შეადგინა. შიგ დაწვრილებით იყო აწერილი ყოველიფერი, რაც კი საერო კრების დაწყების შემდეგ მოხდა და ჩვენი უკანასკნელი გადაწყვეტილება. მაგრამ ჩვენი დეპუტატები დაბრუნდნენ და გვითხრეს, მეფე ვერა ვნახეთ, სანადიროდ წაბრძანებულაო! იმავე დროს თავადაზნაურთაგან მეორე დეპუტაცია მოგვივიდა: ჩვენი კრება თქვენს წინადადებას სინჯავს და გთხოვთ მის გადაწყვეტილებას დაელოდოთო. ამაზედ პარიზელი ხალხის დეპუტატმა ბ-ნმა ბაილიმ უპასუხა: „ბატონებო, მესამე წოდება დიდი ხანია თქვენს ლოდინში არის!“ კრებამ მეტი ლოდინი აღარ ინდომა, რადგან კარგად ხედავდა, რომ თავადაზნაურობა სულ იმის ცდაში იყო, რომ შეეფერხებინეთ, რითიც კი შეიძლებოდა, და მაშინვე საქმეს შეუდგა: ბ-ნი ბაილი დროებითი თავმჯდომარედ აირჩია, მასვე მიანდო ორი მდივნის დასახელება, რომ განაჩენები ეწერათ და. დაიწყო წარმომადგენლების დასახელება.

შვიდ საათზედ დავიწყეთ და ათი საათი შესრულდა, როდესაც ყოველი თემის დეპუტატები ჩამოვთვალეთ. შემდეგ ამისა ბ-ნმა თავმჯდომარემ ჩვენი კრება საერო კრებად გამოაცხადა. ჩვენს მოწინააღმდეგეთ ეგონათ მარტო მესამე წოდების კრებად გამოაცხადებენ თავიანთ კრებასაო, მაგრამ ვერ შევუსრულეთ იმედი! ჩვენ საერო კრება შევადგინეთ და ისინი კი კერძო კრებებად ჩავრიცხეთ.

თავადაზნაურთა და წმინდა ეპისკოპოსთა ჯიუტობისა და მტროობის გამო ხუთი კვირა ტყუილად დაეკარგეთ; მაგრამ შემდეგშიაც არ მოგვისვენეს .და როგორც თქვენც დარწმუნდებით, ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ჩვენთვის ხელი შეეშალათ როგორმე.

რა გითხრათ იმ ცხარე კამათისა, რომელიც გამოიწვია ჩვენი

კრების სახელწოდებამ? მთელი სამი დღე ამას შევალიეთ. მირაბო ამბობდა, ჩვენს კრებას — საფრანგეთის ხალხის წარმომადგენელნი ვუწოდოთ; მუნიე ამბობდა — კანონიერი კრებული ხალხის უმეტესი ნაწილის წარმომადგენელთაო; სიესი — საფრანგეთის ერის ცნობილთა და კანონიერად შემოწმებულ წარმომადგენელთ კრებულიო. მე რომ მკითხონ, არც აგრე თავს შევიწუხებდი ამისთვის და ძველს სახელს დავარქმევდი, ესე იგი საერო კრებას, რომელსაც ჩვენ უკვე ვხმაროობდით. თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებას არა ნებავთ ამ კრებას დაესწრნენ, ჩვენ რა? ეგ იმათი საქმეა! დაესწრებიან თუ არა, ჩვენ საერო კრებად ვართ მოწოდებულნი, რადგან საფრანგეთის ოთხმოცდა თექვსმეტი მეასედის წარმომადგენელნი შეადგენენ ჩვენს კრებას.

ბოლოს სიესმა კვლავ ითხოვა სიტყვა და თქვა, ჩვენს კრებას „საერო კრება" ვუწოდოთო. ეს წინადადება ერთხმად მიღებული იქნა.

მაგრამ კარგი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც 22 თიბათვეს ჩვენ ჩვენს გზას დავადექით, დღე არ გავიდოდა, რომ რამდენიმე მღვდელი არ მოგვმატებოდა; თავს ანებებდნენ სასულიერო წოდების კრებას, ჩვენთან მოდიოდნენ და თავიანთ უფლებათა შემოწმებასაც ჩვენა გვთხოვდნენ. 12-ს სამი პუატუელი მღვდელი შემოგვიერთდა; 14-ს კიდევ ექვსი; 15-ს ორი; 16-ს ექვსი და მერე უფრო მეტ-მეტი. წარმოიდგინეთ, რა სიხარულით მივეგებებოდით ჩვენ იმათ! გულში ჩავიკრავდით ხოლმე და ვკოცნიდით ერთმანეთს, თითქო დიდი ხნის გაყრილნი ძმანი კვლავ ერთმანეთს შეხვედრიანო. ჩვენი თავმჯდომარე კრების დროს უმეტესად იმათ ქებას და მადლობას უნდებოდა და თან სიხარულით თვალი ცრემლით ევსებოდა. პირველ ხანებში შემოერთებულ მღვდელთა შორის იყო მ. გრეგუარი; ბევრი წიგნი მიმიყიდნია მე იმისთვის ს. ემბერშენილში. რომ დავინახე მომავალი, წინ გავეგებე, გულში ჩავიკარი და ვუჩურჩულე:

— ძლივს, მამაო! ქრისტეს მაგალითს ნურვინ უღალატებს: ის არც დიდებულებთან დაიარებოდა, არც მღვდელმთავრებთან, არამედ მარტო ხალხთან.

მ. გრეგუარი იცინოდა. მეც წარმოვიდგინე, რა ცუდ გუნებაზედ უნდა ყოფილიყვნენ იქვე, მეორე დარბაზში, სასულიერო წოდების დეპუტატები და სიცილი წამსკდა. არა, სისულელე არ იქნებოდა ამ მღვდლებისაგან, რომ იმათ მისდგომოდნენ, ვისგანაც აგერ რამდენიმე საუკუნეა დამცირების და შეურაცხყოფის მეტი არა მოაგონდებათ რა? განა ხალხის გული ერთი და იგივე არ არის, ანაფორით

იქნება იგი დაფარული თუ გლეხკაცის დაგლეჯილი კონკებით? განა მღვდელი ხალხის შვილი არ არის?

17 თიბათვეს, ხუთ-ხუთ ათასზე მეტი კაცი დაგვყურებდა, როცა საერო კრების წევრნი შევიფიცენით. დიდის გრძნობით თქვა ყველა ჩვენგანმა: „ვფიცავ, ერთგულად ავასრულო ჩემი ვალდებულებანი და რაც უნდა მომელოდეს, არ ვუღალატო ხალხის მონდობილობას". ფიცი მივიღეთ, მერე საერო კრების თავმჯდომარედ იგივე ბაილი დავნიშნეთ და მაშინათვე, ერთხმად დავადგინეთ, რომ საერო კრება თანხმობას აცხადებს, „რომ ხალხს უკვე არსებული, თუმცა უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ დაწესებული ხარჯი ერთმეევოდეს მხოლოდ დროებით, ვიდრე კრება დაიშლებოდეს. იმ დღიდან, როდესაც საერო კრება დაშლილ იქნება, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი დაშლილი, ხარჯის გადახდაც შეწყდება მთელს საფრანგეთში".

ამას კარგად დაუფიქრდი, ბატონო ივანე, და ეცადე ჩვენებურებსაც ყველას გააგებინო. ამოდენა ხანია ასე ვიტანჯებით და ჩვენი ტანჯვა იმის ბრალია, რომ უვიცნი ვართ, მხდალნი ვართ და ქედმოხრილნი, ხმაამოუღებლად ვიხდით ხარჯს, რამდენიც კი უნდა მოგვთხოვონ! ხარჯს ვიხდით და ის ვერ გაგვიბედნია და ვერ გვითქვამს, რომ ხარჯი მარტო მაშინ არის კანონიერი, როდესაც ჩვენის წარმომადგენელთა კრებისაგან არის მიღებული. ფული სულია ომისა და ჩვენც ჩვენს ფულს ყოველთვის იმათ ვაძლევდით, ვინც კისერში თოკს გვიჭერდა. აბა ახლა გაბედონ და საერო კრება დაგვიშალონ! სულით ხორცამდე წამხდარი და დაღუპული იქნება, ვინც იმ დღიდან ხარჯს გაიღებს რასმე! ის უღალატებს დედას, მამას, თავის ცოლშვილს და სამშობლოს! და ისინი, ვინც იმ დღიდან ხარჯის მოკრეფას მოინდომებენ, ფრანგებად კი არა, ისე იქნებიან მიღებულნი, როგორც კაცის მკვლელი ავაზაკები! ეს გახლავს პირველი პრინციპი, 1789 წლის საერო კრების მიერ აღიარებული.

კრება ხუთ საათზედ შევწყვიტეთ და იმავე საღამოს 7 საათზედ კვლავ შევიკრიბენით.

წარმოიდგინეთ როგორ დაიღრიჯებოდნენ მეფე-დედოფალი, უბრწყინვალესი თავადნი და კარისკაცნი თავიანთ ეპისკოპოსებითურთ, როდესაც გაიგებდნენ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება უკვე გამოვაქვეყნეთ და მთელს საფრანგეთს ვაცნობეთ! დილით კრების დროს შეატყობინეს ჩვენს თავმჯდომარეს ბ. ბაილის — სამდივნოში გიბარებენ, რომ მეფის წერილი მიიღოთო; მაგრამ კრებამ ნება არ მისცა თავის ალაგიდან დაძრულიყო. საღამოს კრებაზედ წაგვიკითხა

ბ-ნმა ბაილიმ ის წერილი: მეფე გვიბრძანებდა: არ მომწონს, რომ თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებას თქვენი კრება „წარჩინებულთ“ უწოდებს; რა საჭიროა მაგისთანა სიტყვები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან სასურველს თანხმობას სამივ წოდებისასო?...“ დიაღ, მეფეს სიტყვა არ მოსწონს! ის გარემოება, რომ ისინი მართლა ყველაფრით წარჩინებულნი არიან, მეფის აზრით, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სასურველ თანხმობის ჩამოგდებას! მეფესა ნებავს ეს უთანასწორობაც დარჩეს და თანხმობაც ჩამოვარდეს!

აი, ჩემო ივანე, სწორედ ამას მოგახსენებდი წეღანაც: სასახლეში უსამართლოება არ იციან, რადგან უსამართლოებას სამართალს უწოდებენ; იქ არც სულმდაბლობა იციან, რადგან სულმდაბლობას ქველობას უწოდებენ. რა პასუხი უნდა გვეთქვა იმ წერილზედ? მოვისმინეთ და ხმა არავის ამოუღია.

მეორე დღეს წირვას უნდა დავსწრებოდით. პარასკევს, 19 თიბათვეს, კრებამ ოთხი კომიტეტი დანიშნა. პირველს დაავალა სურსათის დამზადება; მეორეს — დეპუტატების უფლებათა შემოწმება; მესამეს — მიწერ-მოწერა და ბეჭდვა; მეოთხეს — რიგის მიცემა. ძლივს მოვაწყეთ ყველაფერი, იმედი მოგვეცა, რომ მალე მოვარიგებდით ჩვენს საქმეებს. მაგრამ სასახლეში თურმე სულ სხვა უნდოდათ, მით უფრო, რომ — სწორედ იმ საღამოს, ექვს საათზედ, გავიგეთ ეს ამბავი — ასორმოცდაცხრა წარმომადგენელს სასულიერო წოდებისას გამოეცხადებინა: უფლებათა შემოწმება მესამე წოდების დეპუტატებთან ერთად უნდა მოხდესო.

რა არ მოვითმინეთ, რა არ ავიტანეთ, რომ ჩვენი ვალდებულება შეგვესრულებინა! გახარებულნი ვიყავით, ხმაამოუღებლივ ვითმენდით იმოდენა დამცირებას და შეურაცხყოფას! იმოდენა მედიდურ თავხედობას და ფარისევლობას! გულში მოვიკალით ბრაზი და აღშფოთება: დაე, რაც უნდა გვიყონ, ოღონდ საზოგადო საქმეს კი არა ევნოს რაო. მაგრამ რაკი ნახეს, რომ იმათმა ფლიდობამ და თინთლიბაზობამ ვერ გასჭრა, მოთმინებიდან ვერ გამოგვიყვანა და მახეში ვერსად გაგვაბა, სხვას, უფრო საზიზღარს და შემაძრწუნებელ საღსარს მიმართეს.

20 თიბათვეს დაიწყეს ჩვენი დევნა.

დილიდანვე ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ ცხენოსანი ჯარჩები და მეფის ბრძანებას უცხადებდნენ ხალხს: მეფემ ინება საერო კრებას დაესწრას 22 თიბათვეს, ორშაბათს, და რადგან მისი დიდებულების მისაღებად სამივე დარბაზი შემკული უნდა იქმნას, სამთა წოდებათა კრებანი შეწყვეტილ არიან 22-მდე; და 22-ს კი მეფის ჯარჩები კვლავ გამოაცხადებენ, რომელ საათზე დაიწყება საერო კრება.

იმავე დროს გავიგეთ, რომ საერო კრების დარბაზი სასახლის მცველ ჯარს დაეჭირა.

„ყველამ ვიგრძენით, რომ საერო კრება დიდ განსაცდელში იმყოფებოდა. ის იყო შვიდი საათი დაჰკრა და კიდეც შემოაღეს კარი მ. იაკობმა და ჟერანმა. კრება დანიშნული იყო რვა საათზედ. საჩქაროდ ვისაუზმეთ და გადავწყვიტეთ, რაც შეიძლებოდა მაგრად ვყოფილიყავით და გაგვემაგრებინა ჩვენი თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენდა ჩვენს ერთობას და, მაშასადამე, ჩვენს ძალას. სწორე მოგახსენოთ, გულში ძალიანი შევუკურთხეთ იმათ, ვინც მთელი ერის წინააღმდეგობას ბედავდა. მეტი თავხედობაღა შეიძლება? თავისი დღენი სხვის ნამუშევარით უცხოვრიათ, და ასე ჰგონიათ საუკუნოდ ასე უნდა იყოსო. საკუთარი არც გამოცდილება აქვთ რამე, არც ნიჭი და მოხერხება, არც ადამიანური გრძნობა! თუ ჩვენზედ მეტნი არიან რითიმე, მხოლოდ იმითი, რომ უვიცის, გულუბრყვილო ხალხის უცოდინარობით სარგებლობენ! ჩვენს ხალხს ოღონდ ოქრომკედით მორთული ლაქია დაანახვე, და ეგონება ციური არსება არისო; იმას ხომ არ იფიქრებს, რომ ეს ოქრომკედი და იმასთან ერთად ეს ძვირფასი ტანსაცმელი, ძვირფასი ეტლი და ცხენები ჩემი ოფლი და სისხლიაო! იმას ხომ არ იფიქრებს, რომ იმის უვიცობით უსარგებლიათ, ნაშრომ-ნადაგი ხელიდან გამოუცლიათ და ახლა თითონ იმასვე თვალს უყენებენ!

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საერო კრებას დარბაზის კარი დაუკეტეს, ეს იმისთანა სამარცხვინო საქციელად მიგვაჩნდა, რომ თვითონ ჩვენვე გვეცოდებოდა ამის მომქმედები.

ჩვენმა კეთილმა მეფემ ამ ამბებისა, რასაკვირველია, არა იცოდა რა. მეფის სათნოებითა და სიმშვიდით აღსავსე გული ასე როგორ დამდაბლდებოდა! ჩვენ ძველებურად ლოცვა-კურთხევით ვიხსენიებდით ჩვენს დიდებულს, კეთილს და თავმდაბალს მეფეს და ჩვენს მტრობას და სამარცხვინო საქციელს კარისკაცთა თავხედობას ვაბრალებდით.

რვა საათს 15 წუთიღა აკლდა, რომ გზას გავუდექით. შორიდანვე დავინახეთ, რომ საერო კრების დარბაზის კართან ხალხის ასამდე წარმომადგენელი მოგროვილიყო, რომელთა შუა ჩვენი თავმჯდომარე ბ. ბაილი მოჩანდა. ჩვენი თავმჯდომარე აქამდე არაფრით განირჩეოდა სხვა დეპუტატთაგან და თუ თავმჯდომარედ ავირჩიეთ, მარტო იმიტომ, რომ ამბობდნენ ძალიან სწავლული და პატიოსანი კაციაო. 50-55 წლისა იქნება, საკვირველი ჭკვიანი და მშვიდი სახის გამომეტყველება აქვს, აუჩქარებელი კაცია და სამაგალითო ზრდილობით ექცევა ყველას. დიდი ხანი ისმენს და უკვირდება საქმეს,

ვიდრე გადაწყვეტილებას დაადგება რასმე, მაგრამ რაკი გარდაწყვეტს, უთუოდ აასრულებს კიდეც.

აქეთ-იქიდან მესამე წოდების წარმომადგენელნი მოდიოდნენ. ის იყო რვა საათი დაჰკრა და საერო კრების დარბაზსაც მივუახლოვდით; წინ ბ. ბაილი და მისი ორი მდივანი მიგვიძღოდნენ. კარებთან რამდენიმე „მეფის მცველი“ ჯარისკაცი იდგა. დაგვინახეს თუ არა, აქეთ მოდიანო, წინ ერთი უმფროსთაგანი მოგვაგებეს, რომელმაც მდაბლად სალამი მისცა ჩვენს თავმჯდომარეს. რაღაცა ცხარე ბაასი ატყდა მათ შორის, მაგრამ მე ძალიან შორს ვიყავ და ვერ გავიგე, რას ამბობდნენ. ის კი იყო, რომ გაგვაგებინეს — კარი დაკეტილიაო. ჩვენთან მოლაპარაკე ჯარის უფროსი დიდად ზრდილი იყო და ბოდიშს იმითი იხდიდა, ბრძანება მაქვს და უნდა ავასრულოო. თანდათან ბრაზი გვერეოდა. არ გასულა ოცი წუთი, რომ ყველანი მოგროვდნენ, ჩვენს კრებას აღარავინ აკლდა. და რადგან „მეფის მცველი“ ჯარის უფროსი ჩვენ დარბაზში არ გვიშვებდა, რამდენიმე დეპუტატმა აღშფოთებით გამოაცხადა ამ საქციელის უკანონობა. ყველანი აღელვებულნი ვიყავით, ყველანი აღშფოთებულნი ვიყავით ამ შეურაცყოფით და ხმამაღლა გავიძახოდით ჩვენს სამდურავს; თან სასახლისკენ მივდიოდით. ზოგნი იძახდნენ, აქვე ცის ქვეშ სასახლის ფანჯრებთან გავხსნათ კრებაო! ზოგნი კიდევ უარეს გაიძახოდნენ: მეფესა ნებავს ერთმანეთს შეგვაბრძოლოს სამი წოდება, ძმათა სისხლი გვაღვრევინოს, ქვეყანა დაარბიოს და დაღუპოს! მტარვალები ჩვენს ქვეყანას სხვებიც ჰყოლია, ლუი მეთერთმეტე, რიშელიე და მაზარინი, მაგრამ ამისთანა უჯიათი და უღმერთო თავის დღეში არავინ ჰყოლიაო!

მთელი ვერსალი ფეხზე იდგა. გარს გვეხვეოდნენ ყველანი, ქალი და კაცი და ისინი უფრო აღშფოთებულნი იყვნენ, თუმცა ხმას არ იღებდნენ.

ათ საათზედ ბ. ბაილი სადღაც წავიდა. ცოტა ხანს უკან სამი დეპუტატი მოვიდა და გვითხრეს, ბაილიმ პოლიციელი მოხელეს თანადასწრებით საერო კრების დარბაზიდან ჩვენი კრების ქაღალდები გამოიტანა და წმინდა ფრანსუას ქუჩაზე ერთი დიდი დარბაზი იქირავა, რომელშიაც ჩვენი კრება თავისუფლად მოთავსდება. ეს დარბაზი თითქმის ჩემი ბინის პირდაპირ არის და საბურთაოდ არის აგებული.

მაშინვე „საბურთაო“ დარბაზისკენ წავედით და იმოდენა ხალხიც თან აგვედევნა. შუადღე იყო, როდესაც დარბაზში შევედით. ჩვენ იმისთანა შეურაცყოფა მოგვაყენეს, იმისთანა სილა გვკრეს, რომ ეტყობა თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებას ძველებური ბატონ-

კაცური ბრძანება გაუცია: პანღურო, მაგ...! და რაკი ეს გაბედეს, დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავით, რომ ამას არ გვაკმარებდნენ და ხვალ უარესს გვიზამდნენ. მაშასადამე, ყოველი ღონისძიება უნდა გვეხმარა არა მარტო ჩვენის ვალდებულების აღსასრულებლად, არამედ თვით ჩვენი არსების დასაცავადაც. იმათ ხომ ძალის
ეტი არა სწამთ რა!... მართალი ის არის, ვინც გაიმარჯვებსო, აბ. იმათი კანონი და რწმენა. ჩვენდა საბედნიეროდ, პარიზი ძალიან ახლოა და ეს აშინებთ, თორემ იქნება აქამდინაც ბოლო მოეღოო ჩვენი კრებისთვის.

მაგრამ განვაგრძოთ.

საბურთაო დარბაზი — ერთი — უზარმაზარი, თვალგადუწვდენელი დარბაზია, თლილი ქვით მოკირწყლული; სინათლე პატარა ფანჯრებიდან შემოდის, ისე რომ უფრო ბნელია და არა ნათელი. ვიდრე უმთავრესს დარბაზში შევიდოდეს, კაცმა რამდენიმე რიგი ოთახი და გალერეია უნდა გაიაროს. ისე მჭიდროდ და საშვილიშვილოდ არის აგებული ეს შენობა, ისეთ გონივრულ გეგმაზედ არის მოთავსებული შიგ საბურთაო დარბაზი, რომ ერთობ ცხადია, ამ დიდი ხნის შენობას საბურთაოდ არ ააგებდა მისი პატრონი. დარბაზში, რასაკვირველია, არც სკამი მოიპოვებოდა, არც მაგიდა. იძულებული ვიყავით იქვე მეზობლებში გვეთხოვა. დარბაზის მოიჯარადრე — ერთი პაწაწკინტელა, თავგატვლეპილი კაცი, ძალიან ნასიამოვნები იყო, რომ საერო კრებამ პატივი სცა და თავისი სხდომა იმის დარბაზში დანიშნა. შუა დარბაზში მაგიდა დავდგით, გარშემო რამდენიმე სკამი შემოვურიგეთ და კრება კი ფეხზედ იდგა. გალერეია ხალხით გაივსო.

ბოლოს ბ. ბაილი სკამზედ აეიდა და მოკლედ მოაგონა კრებას, რაც კი იმ დღეებში მოხდა. მერე ცერემონიის გამგის — ბატონი დებრეზეს წერილები წაგვიკითხა, რომლითაც იგი თავხედურად უბრძანებდა ჩვენს თავმჯდომარეს — კრება შესწყვიტეთ, ვიდრე მეფის თანდასწრებითი სხდომა არ მოხდებაო. მეორე წერილიც ამასვე იმეორებდა, ოღონდ თან იმასაც დასძენდა, რომ ეს მეფის ბრძანებაა და უთუოდ უნდა ასრულებულ იქმნასო. დასასრულ ბ. ბაილიმ გვთხოვა განგვეხილა აწინდელი ჩვენი მდგომარეობა და გადაჭრით დაგვედგინა რამე.

განაღა საჭიროა, ბატონო ივანე, აგიწეროთ ჩვენი აღშფოთება? მარტო ჩვენ ხომ არა, ეს შეურაცყოფა მთელს ერს ხვდებოდა! იმოდენა უჯიათობა არ იკმარეს და პანღურის ცემით გაგვრეკეს საერო კრების დარბაზიდან ერის წარმომადგენელნი! ან ვის უნდა დარიდებოდნენ? ჩვენი მამა-პაპანი ყოველთვის დამონავებული და დაჩაგრული ჰყოლიათ ქვეყნის მპყრობელ მებატონეთ, რომელნიც საუ-

ბუნეთა განმავლობაში ჩვენი ჭირნახულითა ხარობდნენ და ჩვენს დამონავებასა ცდილობდნენ. გუშინ არ იყო თვით მეფემ წამოგვძახა, რომ საერო კრების მოწოდებით მან გააუქმა ყოველი განსხვავება, რომელიც არსებობდა ჩვენი ქვეყნის დიდებულ დამმარცხებელთა და მათ მიერ დამარცხებულ-დამონავებულთა შორისო! განა ცხადი არ არის, რომ არც მეფეს და არც დიდებულთ აზრადაც არ მოსვლიათ ამ განსხვავების გაუქმება და მარტო იმასა ცდილობენ, რომ ეშმაკობით და ფლიდობით წაგვიტყუონ და მარტო ჩვენ კი არა, ჩვენს შვილებსაც და შვილიშვილებსაც კი საუკუნო მონობის დაღი დაასვან! ჰოდა, თუ კაცნი ვართ, თუ მართლადა სულით ხორცამდე მონებად არ შეექნილვართ, და ცოტაც არის ადამიანური თავმოყვარეობა შეგვრჩენია, ყველაფერს გავწირავთ, და ჩვენი უფლების აღიარებას კი ვაიძულებთ ჩვენი ლაჩრობით გალაღებულ მუქთახორა მებატონეებს!

იმდენ აღშფოთებულთა შორის მხოლოდ მუნიე იყო დამშვიდებული და განსაცდელიც მან აგვაცდინა თავის წინადადებით. მუნიემ ჯერ ისა სთქვა, რამდენად სამწუხაროა, რომ საერო კრების დარბაზში ჯარი იმყოფება და ჩვენ კი — საერო კრების წევრნი — სამარცხვინოდ ქუჩა-ქუჩა დავწიალებთ და მებატონეების და იმათი ლაქიების დასაცინავად გავმხდარვართო. რა გაეწყობა, რათა არ შეგვეწყვიტა ჩვენი შრომა, იძულებულნი ვიყავით საბურთაო დარბაზში შევკრებილიყავით; მაშ ნურავინ დაივიწყებს, რომ აქამდის თუ მალვით, ფარულად გვმტრობდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ახლა, ეტყობათ, აღარას გვერიდებიან და პირდაპირ გვცემენ, შიგ გულის გულში. ნურავინ დაივიწყებს, რომ ამის შემდეგ უფრო მეტს გვიზამს ჩვენი დაუცხრომელი მტერი, რომელიც არავითარ საშუალებას არ დაერიდება, ოღონდ კი ჩვენს კეთილ მეფეს ჩვენზედ გული ააყრევინოს და თავისი ერთგული ხალხის წარმომადგენელნი შეაძულოს. ამგვარ მდგომარეობაში ერის წარმომადგენელთ მხოლოდ ერთიღა დარჩენიათ: ისინი უნდა შეუერთდნენ სამშობლოს კეთილდღეობას და წმინდა ფიცით უნდა შეუსისხლხორცონ თავიანთი სიცოცხლე საფრანგეთის სიცოცხლეს.

ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ გაგვახარა ამ წინადადებამ! ხომ მოგეხსენებათ, გაიძვერას ისე არაფრისა ეშინიან, როგორადაც პატიოსან კაცთა შეერთებისა.

განაჩენი ასე ჩავწერეთ:

საერო კრებამ გაიხსენა რა, რომ იგი მოწოდებულია საფრანგეთის კონსტიტუციის შესადგენად და მით სამეფო წესწყობილების რიგზედ მოსაყვანად, რომლის აღსრულებას მას ვერაკითარი დევნა

და შეურაცყოფა ვერ დაუშლის, რადგან დევნილი იგი იძულებული იქნება იქ იქონიოს თავისი კრება, სადაც შეკრებილ იქნებიან ერის წარმომადგენელნი,

დაადგინა: საერო კრების ყველა წევრები შეიფიცებიან და წმინდა აღთქმას დასდებენ, რომ ერთმანეთს არ განშორდებიან და საერო კრებას შეადგენენ ყველგან, სადაც კი გარემოებანი ხელს შეუწყობენ იმ დრომდე, ვიდრე სამეფო კონსტიტუცია დადგენილ არ იქნება მჭიდრო და ურყეველ საფუძველზედ; გარდა ამისა, ზემომოხსენებულ აღთქმას და ფიცს ყოველი წევრი საერო კრებისა თავისი საკუთარი ხელის მოწერით შეამოწმებს.

ნეტავი იქ ყოფილიყავით, ბატონო ივანე! ნეტავი თქვენი თვალით გენახათ იმოდენი თვალგაუწვდენელი დარბაზი, შუაში დაღონებული, დაღვრემილი დეპუტატები, ირგვლივ სმენად გადაქცეული ხალხი... ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით მივეგებენით ყველანი ასე მოულოდნელს ჩვენს მხსნელს წინადადებას. თითქო იჭექაო, ისე შეინძრა იქაურობა და ერთიერთმანეთს ახალა აღტაცებული ხალხი და ხალხზედ უფრო მეტად აღტაცებული დეპუტატები. ბ-ნი თავმჯდომარე კვლავ სკამზედ ავიდა და ისე წაგვიკითხა, რა სიტყვით უნდა შეგვეფიცნა კრების დაუშლელობა. სამარისებური სიჩუმით მოისმინა ხალხმა ეს ფიცი და მერე უცბად ერთხმად იგრიალა:

— ვფიცავთ, ვფიცავთ!...

მგონი რომ ჩვენი მრავალტანჯული მამა-პაპანი თავიანთ საფლავში უნდა შენძრეულიყვნენ იმ წამს. გულჩვილი არა ვარ, ღმერთმან უწყის, მაგრამ ისე გამიყოლია იმ ნეტარმა აღტაცებამ, რომ ცრემლი მომერია. იმისთანას მგონი ჩემს დღეში ვერასა ვნახავ. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამისთანა ბედნიერი ვიქნებოდი და ამ დღეს შევესწრებოდი. მამა იაკობი ტიროდა; ვიკელი ყერარი სამარიდან ამოღებულსა ჰგავდა. ბოლოს ისე აგვიჩქროლდა ყველას გული, რომ ერთმანეთს მოვეხვიენით და სიხარულისგან აჩქროლებული გული ისე დავიმშვიდეთ.

გარეთ მთელს ძველ ქალაქში საშინელი ყვირილი ისმოდა; მაშინ მომაგონდა სახარების სიტყვები, რომლითაც აწერილია იესოს სულის განტევება. „დედამიწა შეინძრა და კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად ზეითგან ვიდრე ქვედმდე“.

როდესაც დავმშვიდდით და წესიერება ჩამოვარდა, ყველა ჩვენგანი რიგ-რიგით მივედით თავმჯდომარის მაგიდასთან, გავიმეორეთ ჩვენი ფიცი, რომელსაც მდივნები სიტყვასიტყვით სწერდნენ და ხელი მოვაწერეთ. ჩემს დღეში არსად მომიწერია ხელი ამისთანა სია-

მოვნებით. ვწერდი და თან სიხარულისაგან ცრემლი მდიოდა. ღმერთო, რა ბედნიერი დღე იყო!

მარტო ერთმა დეპუტატმა — მარტენ დოშმა მოაწერა: წინააღმდეგი ვარო. ვალენტინი ძალიან გაიხარებს, როცა გაიგებს, რომ მარტო არა ყოფილა და საფრანგეთში ერთიც არის მაინც ამხანაგი ჰყოლია, ვალენტინივით ხალხის შვილი, რომელსაც თავის თავზედ და თავისავით საწყალ ხალხზედ უმეტესად დიდებულნი ჰყვარებია.

რასაკვირველია, დოშის წინააღმდეგობაც განაჩენში შეიტანეს და რადგან რამოდენიმე დეპუტატი ამბობდა, მეფეს დეპუტაცია ვაახლოთ, რათა ჩვენი გულითადი მწუხარება მოვახსენოთო და სხ. და სხ., კრება გადადებულ იქნა 22-ს ორშაბათამდე; ამასთანავე დავადგინეთ, რომ თუ მეფის თანდასწრებითი კრება საერო კრების დარბაზში მოხდა, მესამე წოდების წარმომადგენელნი იქვე დარჩებიან კრების დახურვის შემდეგაც, რათა განიხილონ თავიანთი, ესე იგი ერის, საქმენი.

ექვსი საათი იყო, რომ დავიშალენით.

თ. არტუამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, ძალიან თურმე იუცხოვა ჩვენი მოხერხება და საბურთაო დარბაზში კრების მოხდენა და — აქაც მე უნდა გაჯობოთო — საბურთაო დარბაზი 22-ისთვის თვითონ დაიქირავა: დროს გასატარებლად მინდა, ბურთაობა მომინდაო.

მეორე დღეს მეფის ბრძანება მოგვივიდა: კრება 22-ს კი არა 23-ს იქნებაო; ერთი სიტყვით, ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, ხავსსაც კი ეჭიდებოდნენ; თითქო ვერსალში საბურთაო. დარბაზის გარდა სხვა დარბაზს ვერ ვიშოვიდით და იქ ვერ შევიკრიბებოდით. 22-ს რაკი საერო კრების და საბურთაო დარბაზის კარები ჩაკეტილი დაგვხვდა, საერო კრება ჯერ რეკოლლეს ეკლესიისკენ გაემართა, რომელმაც ვერ დაიტია ყველა წევრები და იქიდან წმ. ლუის ტაძრისკენ, სადაც მშვენივრად მოვთავსდით ყველანი.

რამდენს შემოგვიკურთხებდნენ თავადი არტუა და უბრწყინვალესი თავადები კონდე და კონტი, რომელთ ეშმაკობა ვერ გაუვიდათ? არა, ვინ წარმოიდგენდა, რომ საერო კრება იძულებული გახდებოდა წმინდა ტაძარს შეჰფარებოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ სასულიერო წოდება, მიუხედავად მართებლობის დევნისა, ხალხის წარმომადგენელთ მიემხრობოდა? მე უფრო ის გამიკვირდა, რომ სასულიერო წოდება ნელ-ნელა ჩვენკენ იწევდა, თორემ დიდებულ მებატონეთაგან კარგი რამ გვჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?! აგერ რამდენი საუკუნეა საქონელივით ქედ-მოხრილ მონებად ვყევართ და დღეს რაღა სიკეთეს დაგვაყრიან! თუმცა რომ დაუკვირდეს კაცი, მზის შუქივით ნათლად დაინახავს, რომ ჩვენი დამონაება

ჩვენი უვიცობისა და უვარგისობისაგან იყო და დიდებულთ არას უნდა ეუსაყვედურებდეთ.

შუა დღე იქნებოდა, როდესაც ბაილიმ გვითხრა, სასულიერო წოდების უმრავლესობა მობრძანდება ერის წარმომადგენელთა უფლებათა ჩვენთან ერთად შესამოწმებლადაო. სასახლეში ეს გადაწყვეტილება სასულიერო წოდებისა ჯერ ისევ 19-სა სცოდნოდათ და საერო კრების დარბაზი იმიტომ თურმე დაგვიკეტეს, რომ ჩვენი და სასულიერო წოდების შეერთება არ მომხდარიყო. ამას ხომ არ იტყოდნენ და თავის გასამართლებლად ისა სთქვეს — მეფესა სურს სამივე წოდების საერთო კრებას დაესწრასო.

სასულიერო წოდება ჯერ გალავანში შეგროვდა, მერე ჩვენ შემოგვიერთდა თვით ეკლესიაში და აქაც ბევრს აუჩქროლდა სიხარულით გული. მღვდლებს ეპისკოპოსებიც წამოჰყოლოდნენ და სასულიერო წოდება თითქმის მთლად ჩვენთან იყო. თუმცა გვიან, მაგრამ ჭკუაზედ მოსულიყვნენ.

მარტო ერთ მღვდელს — მ. მორისს — ვენესსენელ ხარაზის შვილს თავის ღირსების დამცირებად ეცნა ხალხის წარმომადგენლებში გარევა და არ წამოჰყოლოდა უმრავლესობას. რამდენს საკვირველებას შეხვდება წუთისოფელში ადამიანი!

კრებამ მოისმინა რამდენიმე სიტყვა, რომლითაც შეერთებას ვულოცავდით ერთმანეთს: მერმე წაკითხულ იქნა უკვე დადგენილი გადაწყვეტილებანი და დაიშალა, რომ მეორე დღეს სამშაბათს დილის 9 საათზე შეკრებილიყო საერო კრების დარბაზში.

აგერ 23-იც გათენდა, როდესაც თვით მეფე უნდა დასწრებოდა საერო კრებას.

გამომეღვიძა თუ არა, წამოვხტი და ფარდები გადავწიე; საშინელი დარი იდგა; ჯერ არა წვიმდა, მაგრამ მოქურუშებულ ცას თავპირი ჩამოსტიროდა. ქუჩები მაინც სავსე იყო ხალხით. ცოტა ხანს უკან ამოვიდა ჟერარი და მერე მამა იაკობიც, რადგან საუზმეს ჩემთან მიირთმევდნენ. საუკეთესო ტანისამოსი გვეცვა სამივეს, სწორედ ისე, როგორც იმ დღეს ვიყავით, როდესაც მეფეს ვეახლენით. ნეტა რას უნდა მოასწავებდეს მეფის თანადასწრებითი კრება? — ვეკითხებოდით ერთმანეთს, — რა უნდა გამოგვიცხადონ? წუხელის ხმა გავარდა — მეფის მცველი და შვეიცარიელთა ჯარი სულ თოფ ქვეშ არის და მხოლოდ ბრძანებას-ღა ელისო. ამბობდნენ, ვერსალის ექვსი რაზმი კიდევ სხვა მოდისო. საუზმის დროს რამდენჯერმე აიარ-ჩაიარეს ჩვენს მიყრუებულ ქუჩაში მოდარაჯე რაზმებმა. ჟერარი იძახდა: რად უნდათ ჯარები, თუ სამეფოს ავს არას უქადიან? გარშემო ჯარებს შემოგვახვევენ და ვალის გადახდას ძალად გვაკისრე-

ბინებენ; მერმე მოგვდგებიან და პანღურის ცემით გაგვრეკავენ შინისკენაო.

მამა იაკობი სხვა აზრისა იყო: აგრე რომ მოგვექცნენ, ეგ იმის დარი იქნება, რომ პირდაპირ გვითხრან, ან ფული გამოიღეთ, ან არა სიკვდილი ირჩიეთო! „მაგას თავის დღეში არ იკადრებს ჩვენი კეთილი მეფე, თუმცა, ღვთისა წინაშე, ძალიან პატივსა სცემს და ყოველს თხოვნას უსრულებს დედოფალს და თავად არტუას. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენ, რომ ჩვენმა კეთილმა მეფემ მაგისთანა მუხანათობა იკადროს...“ მეც ამავე აზრისა ვიყავი, მაგრამ რაც შეეხება იმას, თუ რა აზრით დანიშნეს მეფის თანადასწრებითი კრება, მაგისი კი არავინ რა ვიცოდით. განა არა, ვფიქრობდი, უნდა შეგვაშინონ-მეთქი, მაგრამ ამის თქმას ვერა ვბედავდი.

დაჰკრა ცხრა საათი და გავეძგზავრენით კიდეც. ქუჩები ხალხით გაჭედილი იყო და ამ ხალხში მიდი-მოდიოდნენ საომრად გამზადებული მოდარაჯე რაზმები. რაღაც აღელვება ეტყობოდა ყველას — მოქალაქეს, მუშას, ჯარისკაცს; ყველას რაღაცა უნდობლობა და მოუსვენრობა ეხატებოდა პირისახეზედ.

როგორც კი მივუახლოვდით საერო კრების დარბაზს, წინწკვლაც დაიწყო. ეტყობოდა, მალე შხაპუნა წვიმას დაუშვებდა. კარები ჯერ არ გაეღოთ და იქვე კარებთან შეგროვილიყვნენ მესამე წოდების წარმომადგენელნი — ასზე მეტნი იქნებოდნენ; ჩვენთვის კარი დაკეტილი იყო, არ გვიშვებდნენ და სასულიერო წოდების და თავადაზნაურთა დეპუტატები კი თავისუფლად შედიოდნენ. მე რომ მივედი, სწორედ მაშინ გამოვიდა ვიღაცა ლაქია და გვითხრა: დარბაზში ქვემო ქუჩიდან შებრძანდით, რომ სივიწროვის გამო არეულობა არა მოხდესრაო.

ცერემონიის გამგე დე-ბრეზე პირველ დღეს საერო კრებისას იმდენს ეწვალა, ვიდრე ყველას თავ-თავის ალაგს დაგვსხამდა, რომ იძულებული შეიქმნა ეხლა ეს განკარგულება თავისად მოეხდინა, რათა ის წვალება აღარ დასჭირებოდა.

ბრაზი გვერეოდა, სისხლი ყელში მოგვეგბჯინა, მაგრამ კოკისპირულადა წვიმდა და გავექანენით, რომ ქვემო ქუჩიდან მაინც შევსულიყავით დარბაზში; რასაკვირველია, დარწმუნებული ვიყავით, რომ კარი იქ მაინც ღია დაგვხვდებოდა. მაგრამ ჯერ თურმე ბატონს ცერემონიის გამგეს ორი წოდების წარმომადგენელნი თავის გუნებისად ვერ დაებრძანებინა და ამიტომ არც ჩვენ გვიღებდა. კარი დაკეტილი დაგვიხვდა. იქვე ჩვენს მარცხნივ რაღაც ფიცრული იყო; იქ შევეფარენით და ველოდით, როდის გვაღირსებენ დარბაზში შესვლას. ამ დროს კი სასულიერო წოდების და თავადაზნაურთა წარმომადგე-

ნელნი ამაყად და თავისუფლად შედიოდნენ უმთავრესი კარით. სხვა რომ ყოფილიყო ჩვენს ალაგას კიდევ ჰო, მაგრამ ჩვენ... აბა ჩვენ რას დაგვერიდებოდა მისი ბრწყინვალება ბატონი ცერემონიის გამგე? ან რისთვის ვიყავით ჩვენ მიწვეულნი? მარტო სახელისთვის — აი ხალხის წარმომადგენელნიც აქა ყრიანო, თორემ საქმით კი — ჩვენ რა სახსენებელი ვიყავით? არა, ჯერ ხალხი რა არის, რომ ხალხის წარმომადგენელნი რა უნდა ყოფილიყვნენ? რა არის მესამე წოდება? მყრალი ბრბო — ბატონის ყმად და მონად გაჩენილი!... ალბათ ასე ფიქრობდა ბატონი ცერემონიის გამგე. ჰოდა, თუ კი მე და ჩემსავით გლეხებს და უბრალო მოქალაქეთ ბრაზისაგან თავი ვეღარ შეგვეკავებინა, წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა კეთილშობილი მირაბო. ჯერ ჩვენ ვერ აგვეტანა ეს შეურაცხყოფა მეფის ლაქიისაგან და მირაბო აიტანდა? თმა ყალყზე უდგა, თავით ფეხამდე თრთოდა. თან ისე წვიმდა, რომ წარღვნა გეგონებოდათ. ორჯერ მივიდა ჩვენი თავმჯდომარე და ორჯერვე უკან გამოისტუმრეს: ბატონს ცერემონიის გამგეს ჯერ თქვენზედ უკეთესებიც ბევრი ჰყავს და მათთვის შესაფერი ადგილი ვერ უპოვნიაო. ეს რომ ნახა, მირაბომ საშინელი ხმით მიმართა ბაილის:

— ბატონო თავმჯდომარე, წინ გაგვიძეხით ერის წარმომადგენელთ და მეფესთან მიგვიყვანეთ!

ბოლოს მესამედ მიუახლოვდა ბ. ბაილი კარს და დაარაკუნა. დებრეზემ იკადრა და თითონ გამობრძანდა; ეტყობოდა, უკვე გაეთავებინა თავისი ბრწყინვალე დანიშნულება. აბა სასახლის ერთგული მონა-მოსამსახურე ეს არის, აი, ჩემო ივანე! ჩვენმა თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ თუ ეხლავე კარი არ გაგვიღეთ, მესამე წოდების წარმომადგენელნი აღარ დაიცდიან და დაიშლებიანო. მაშინ კი გაგვიღეს კარი. დარბაზი ისევე მოერთოთ, როგორც პირველ დღეს იყო; თავად-აზნაურობის და სასულიერო წოდების სკამები ძვირფასი დეპუტატებით შეემკოთ; ჩვენ კი... ჩვენ წურწურით წყალი გვდიოდა. თავად-აზნაურნი და რამდენიმე ეპისკოპოსი იცინოდნენ: ეტყობოდათ სრული კმაყოფილნი იყვნენ, რომ ასე დამცირებულს გვხედავდნენ.

ძვირად დაუჯდებათ ეს დამცირება, ჩემო ივანე!

ის იყო, დავსხედით და დარბაზის მეორე მხარით მეფეც შემობრძანდა მშვენიერი ამალით, უბრწყინვალესი თავადებით და წარჩინებული სამხედრო კაცებით. ჩვენგანს ერთს არ წამოსცდენია — მეფეს გაუმარჯოსო! შემოვიდა, მოგვესალმა და ბრძანა: „მე მგონია, ჩემი ერთგული ხალხის კეთილდღეობისათვის ყოველი ღონისძიება ვიხმარე და ახლა თქვენ უნდა დაამთავროთ ჩემგან დაწყებული

საქმე: და რადგან აგერ ორი თვე სრულდება თქვენ იმის შესახებაც ვერ შეთანხმებულხართ, რაც თვით საქმეს კი არა. საქმის დასაწყისამდე უნდა გარიგებულიყო, ამიტომ მე მოვალე ვარ ეგ განყოფილება და უთანხმოება მოვსპო. ამიტომ გიცხადებთ ჩემს სურვილს...

ამის შემდეგ დაბრძანდა და ერთმა სახელმწიფო მდივანმა წაგვიკითხა მეფის სურვილი:

მუხლი 1. მეფესა სურს, რომ უწინდელი განყოფილება სამეფოისა სამს წოდებად ხელშეუხლებლად და უცვლელად დარჩეს და საერო კრებაც სამს კერძო კრებად იყოს განყოფილი. მეფე არავითარ კანონიერ მნიშვნელობას არ აძლევს მესამე წოდების კრებას ამ თვის 17-მდე და მის დადგენილებათ.

მუხლი 2. მეფეს კანონიერად მიაჩნია დეპუტატთა უფლებანი, ცალ-ცალკე იქმნებიან იგინი შემოწმებული, თუ არა; ოღონდ შედეგი ამ შემოწმებისა ცნობილ იქნეს სამივე წოდებისათვის.

მუხლი 3. მეფე უარჰყოფს და არღვევს ყოველ დადგენილებას, რომლითაც შევიწროებული იქნება დეპუტატის უფლებანი.

ხედავთ, სადა სცემს? მაშ ყოველს დეპუტატს შეუძლია, რაც უნდა, ის ჩაიდინოს! ათასობით და ათიათასობით საჩუქრები არიგოს სახელმწიფო ხაზინიდან, ხალხს ერთი-ათად გადამეტებული ხარჯი დაადვას და იმავე დროს იმავე ხალხს ყოველი უფლება მოუსპოს და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, ისე იქცევოდეს, რომ ყურადღებასაც არ აქცევდეს იმ ვალდებულებას, რომელიც მას ამომრჩეველებმა მოანდეს.

მუხლი 4. თუ გაბედეს დეპუტატებმა და თავხედი ფიცი დასდეს, ჩვენ ამომრჩეველთა მინდობილობას არ ვუღალატოთო, მეფე ნებას აძლევს — მისწერონ ამომრჩეველთ და სთხოვონ, რომ ამ ვალდებულებიდან განთავისუფლებულ იქნან; მაგრამ წასვლით კი ჯერ ვერსად წავლენ, რათა საერო კრების დადგენილება მათი თანდასწრებით უნდა მოხდეს და მით მნიშვნელობა გაუძლიერდეს.

მუხლი 5. მისი დიდებულება მეფე აცხადებს, რომ ამის შემდეგ საერო კრებაში აღარავის ექნება უფლება „სავალდებულო მინდობილობა“ მიიღოს თავის ამომრჩეველთაგან.

მაშ არა და! ეგ რომ არ აკრძალონ, ხომ საქვეყნოდ შერცხვებიან ის გაიძვერა დეპუტატები, რომელნიც კენჭით ვაჭრობენ.

შემდეგ ამისა მეფემ გვიბრძანა საქმის დაწყება ასე უნდაო: უპირველეს ყოვლისა ნუ შეეხებით სამი წოდების განსხვავებას და ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, რომელიც ჟამთა და საუკუნეთა განმავლობაში არსებობს და თვით ღმერთის დაწესებული არისო; ნუ შეეხებით სამეფო კონსტიტუციის შედგენას, მებატონეთა საკუთ-

რებას და თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების უფლებათ და სათთან შეკავშირებულ უპირატესობასაო. გარდა ამისა, ამით გიცხადებთ, რომ ყოველ დადგენილებას, რომელიც კი სარწმუნოების, ესე იგი საეკლესიო და მონასტრების წესწყობილებას შეეხება, საჭიროა სასულიერო წოდების თანხმობაცა ჰქონდეს, რათა კანონიერი ძალა მიიღოსო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო ივანე, ჩვენ იქ მარტო იმიტომ ვიყავით მიწვეულნი, რომ ვალი გადაგვეხადნა და დაგვედგინა, რომ „ხალხი თანახმაა სახელმწიფო ხაზინის ზარალი დაჰფაროს და ვალი გადაიხადოს"; სხვა ჩვენ არა გვეკითხებოდა-რა; სხვა სუყველაფერი კარგად იყო, და უცვლელად და ხელშეუხებლად უნდა დარჩენილიყო. ჩვენგან ფულის მეტი არა უნდოდათ რა.

ეს რომ წაიკითხა მდივანმა, ისევ მეფე წამოდგა და გვიბრძანა: სხვა მეფე თავის დღეში არავინ ყოფილა, რომ თავის ერის კეთილ-დღეობისათვის ჩემოდენი ეზრუნოს და ვინც თქვენგანი მხარს არ მომცემს, რომ ჩემი განზრახვა ავასრულო, ის არც ფრანგი ყოფილა და არც ერთგული მამულის შვილიო.

მერე ისევ დაბრძანდა. ახლა სხვა მდივანი წამოდგა და წაგვიკითხა მართებლობის განზრახვა ხარჯის მომატებისა და ხელახლად სახელმწიფო ვალის აღების შესახებ.

პირველიდან მარტო ის გამომდინარეობდა, რომ ხალხს ხარჯს უმატებდნენ, თუმცა ამ ხარჯს ხარჯად კი არ იხსენიებდნენ, სახელს უცვლიდნენ. დიაღ, ბატონო ივანე! მეფესა სურდა სახელი გამოეცვალა: უწინ რომ აბაზობით და უზალთუნობით გვითვლიდნენ, ახლა მანეთობით დაგვითვლიან; უწინ რომ კარ-და-კარ დაიარებოდა ხარჯის ამკრეფი, ახლა თვით მამასახლისი მოაგროვებს ხარჯს და ხაზინაში წარადგენს. ხედავთ, როგორა ზრუნავენ ხალხის კეთილ-დღეობისათვის! განა ეს ხალხის ტვირთის შემსუბუქება არ არის?!

დიაღ, სხვა მეფე თავის დღეში არავინ ყოფილა, რომ თავის ერის კეთილ-დღეობისათვის ამოდენი ეზრუნოს!"

მეფეს ძალიან უნდოდა მწერლობის თავისუფლება, ოღონდ ცუდი მიმართულების გაზეთები და წიგნები კი არ დაბეჭდილიყო.

მეფეს ძალიან უნდოდა საერო კრების თანხმობა ახალი ვალების ასაღებად; ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ომი ატყდებოდა, მეფეს ნებავდა საერო კრების თანხმობა ჰქონოდა ვალად ასი მილიონის აღებისა, საქმის დასაწყისად, „რადგან ჩვენი კეთილი მეფის ერთად-ერთი საზრუნავი ის არის, რომ საფრანგეთის ერის კეთილ-დღეობა თვით ერზედ იყოს დამოკიდებული და სხვა არავიზედ".

მეფეს ძალიან უნდოდა ჩვენი თანხმობა გამოგვეცხადებინა აგ-

რეთვე იმ მრავალგვარ უპირატესობის შესახებ, რომელიც თავადაზნაურთ და სასულიერო წოდებასა აქვთ და რომლითაც, ჩვენდა საუბედუროდ, ასე სამარცხვინოდ სარგებლობენ.

ერთის სიტყვით, ერთი უბოლოვო დაუსრულებელი რაღაცა წაგვიკითხეს, რომელშიაც დომხალივით იყო არეული მთელი ქვეყნის საგნები და აზრები; წაგვიკითხეს და გვითხრეს: აბა, თქვენი აზრიც გაგვიზიარეთ, თუმცა ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ რაც უნდა თქვათ, მეფე, თუ თქვენი არ მოიწონა, თავის სურვილისამებრ მოიქცევა და, რასაც მოისურვებს, იმას იზამსო. თქვენ მარტო ფული უნდა გამოძებნოთ და ვალი გადაიხადოთ... ამაში უპირატესობას არავინ შეგეცილებათ, რადგან ფულის გაღება თქვენს უპირატესობას შეადგენსო!

ბოლოს, ერთხელ კიდევ აბრძანდა მისი დიდებულება და გვიბრძანა:

— „ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ არც ერთი თქვენი დადგენილება, არც ერთი თქვენი განაჩენი არ იქნება კანონიერად აღიარებული, ვიდრე მე ხელს არ მოვაწერ. ჩემი ერთგული ერის ბედ-ილბალი მარტო ჩემს ხელთ არის და თქვენი საქციელის ბუნებრივი პასუხისმგებელიც მარტო მე ვარ. იქნება სხვაგან ვეღარც კი შევხვდეთ სადმე იმ იშვიათ მოვლენას, რომ თვით მეფე ემუდარებოდეს თავის ქვეშევრდომთ — აბა, შეთანხმდით და ჩემი უხვი წყალობით ისარგებლეთო.

— მე გიბრძანებთ, ბატონებო, ახლავ დაუყოვნებლივ დაიშალნეთ და ხვალ დილით კვლავ შეიყარნეთ სამს კრებად, ცალ-ცალკე, სამივე წოდება თავთავიანთ დარბაზებში და განაგრძოთ თქვენი საქმენი“.

როგორც ხედავთ, ბატონო ივანე, აღარას დაგვერიდნენ და პირდაპირ გვითხრეს, თქვენგან ფულის მეტი არა გვინდა რაო. პარიზის პარლამენტს რომ არ გამოეცხადებინა, საუკუნეთა განმავლობაში რაც მართებლობამ ხალხს ხარჯი გადაუხდევინა, სულ უკანონოდ გადაუხდევინაო, მეფეს აზრადაც არ მოუვიდოდა საერო კრების მოწოდება. საერო კრება მოიწოდა — და დახე უბედურებას! — საერო კრება უფრო ჯიუტი და მავნე გამოდგა, ვიდრე პარლამენტი იყო. რა ქნან? ისე გვიტევენ და გვიბრძანებენ, თითქო ამათი ლაქიები ვიყვნეთ. „მე გიბრძანებთ, ბატონებო, ეხლავ დაუყოვნებლივ დაიშალნეთ!..“

თავადაზნაურნი და ეპისკოპოსნი იმისთანა გესლიანი დაცინვით გვიყურებდნენ, თითქო დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ წინაშე თავს დავხრიდით და შერცხვენილნი გაპარვას დავაპირებდით. მაგრამ ჩვენ მით უფრო ამაყად ვისხედით ჩვენს ალაგას და გაბრაზებით შევცქეროდით ჩვენს მოწინააღმდეგეთ.

მეფეს ამის მეტი აღარა უთქვამს რა, ადგა და გაბრძანდა. თან ჯაჭყვა თავისი დიდებული ამალა, თავადაზნაურთა წარმომადგენელნი, თითქმის ყველა ეპისკოპოსები და რამდენიმე მღვდელი. ყველანი დარბაზის უმთავრესი კარით გავიდნენ.

ჩვენ კი დარბაზის უკანა კარით უნდა გავსულიყავით — აბა რა ღირსნი ვიყავით იქ გაგვეევლო, სადაც თავადაზნაურობამ გაიარა?!. მაგრამ ადგილიდან არც ერთი არ დაძრულა. ვისხედით და გულში ბრაზს ვიგროვებდით.

ერთი თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მირაბო წამოდგა. ლომივით ამაყად აიღო მაღლა თავისი უშველებელი თავი, ცოფმორეულს თვალთაგან ნაპერწკლები სცვივოდა და თქვა:

— უნდა აღვიარო, ბატონებო, რომ რაც ეს არის ეხლა მოისმინეთ, გაჭირვებულ სამშობლოს უებარ წამლად გამოადგებოდა, მტარვალთა შიში რომ არა გვქონდეს. მართლაცა და რა არის ეს ჩვენი სულთამხუთავი მართებლობა, თუ არ უსაზღვრო მტარვალობა? რა არის, რომ მთელს სამეფოში არავინ არად მიაჩნია და ყველას შემუსვრას და შეგინებასა ბედავს? რა არის, რომ ჯარზედ და იარაღზედ დამყარებული, მთელი ერის წარმომადგენელთ ამისთანა თავგასულ ბრძანებას და შეურაცხებას გვიბედავს?..

გავშრით ყველანი, შიშით კანკალი დაგვაწყებინა. ყველანი ვხედავდით, რომ მირაბოს განწირული ჰქონდა თავი. თვითონაც კარგად ხედავდა, რა განსცდელში ჩავარდა, მაგრამ ბრაზისაგან თავი ვეღარ შეეკავებინა და სახეშეშლილი — მშვენიერი რამ იყო იმ წამს, თითქო თავს ნათელი ადგასო, რადგან ვინც თავის თავს გასწირავს და უსამართლობას გაუმკლავდება, მშვენიერი კი არა, ქვეყნად იმაზედ უმშვენიერესი სხვა არა იქნება რა! — ისე მკაფიოდ ამბობდა ყოველ სიტყვას, თითქო ბეჭედს ასვამსო:

— მერე ვინ არის ჩვენი მბრძანებელი? ვინ გვიწერს ამისთანა სამარცხვინო კანონებს? ის, ვინც ჩვენგან უნდა იყოს ამორჩეული! ის, ვინც ჩვენგან უნდა მიიღებდეს ბრძანებას, ბატონებო, რადგან მარტო ჩვენა ვართ ერის უწმინდესი, ყველასაგან ხელშეუხებელი ნდობით და უფლებით აღჭურვილი წარმომადგენელნი! დიაღ, ჩვენგან, რადგან მარტო ჩვენგან მოელის 25 მილიონი ადამიანი შვებას და რაც უნდა სთქვან და ჰქმნან სამშობლოს მტრებმა, ხალხს შვება უნდა მიეცეს და მარტო ჩვენგან უნდა მიეცეს!

ზარბაზნის ყუმბარასავით ხვდებოდა ყოველი სიტყვა დაფუტუ-

როებულ ტახტს, რომელზედაც განუსაზღვრელი უფლებებით აღ-ჭურვილი მეფე ბრძანდება!

„ვერა ხედავთ, რას სჩადიან? საერო კრების თავისუფლების შეზღუდვას გვიქადიან! — გრგვინავდა კვლავ მირაბო. — საერო კრებას გარს ჯარები შემოარტყეს! — ჯარები?! მერე ვის წინააღმდეგ? იქნება სამშობლოს მტრები ვგონივართ?! ბატონებო, არ დაივიწყოთ, რომ თქვენ ერისაგან მონიჭებული გაქვთ კანონმდებლობითი ძალა, რომლითაც საჭიროებისადაგვარად უნდა ისარგებლოთ, თუ მოწადინებული ბრძანდებით — არ უმტყუვნოთ თქვენს ღირსებას და არ უღალატოთ იმ წმინდა მოვალეობას, რომელიც ერმა მოგანდოთ. არ დაივიწყოთ თქვენი ფიცი, ბატონებო, და არ დაიშალნეთ, ვიდრე კონსტიტუცია არ შეადგინოთ“.

ვიდრე მირაბო თავის სიტყვას გაათავებდა, ცერემონიის გამგე, რომელიც მეფეს გაჰყვა, უკანვე შემობრუნებულიყო და ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა. გაათავა თუ არა მირაბომ, იმან რაღაცა სთქვა, სულ რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ისე ჩუმად, რომ ბევრმა ვერა გაიგო რა და აქეთ-იქიდან გაბრაზებით ყვირილი დაუწყეს:

— მაღლა! არა ისმის რა!

და იმანაც, როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მაღალი ხმით წარმოსთქვა:

— ბატონებო, მეფის ბრძანება ხომ გაიგონეთ?

მირაბო ჯერ ისევ ფეხზედ იდგა. ბრაზისა და ზიზღისაგან ტუჩები უთრთოდა.

— დიაღ, ბატონებო, — მიუგო მირაბომ წყნარი კილოთი, სწორედ ისე, როგორც დიდებულს შეშვენის, როდესაც ზემოდან თავის შინაყმებს უბრძანებს რასმე, — დიაღ, ჩვენ მოვისმინეთ ყველაფერი რაც კი მეფისთვის შთაუგონებიათ და, რადგან თქვენ არ შეგიძლიანთ საერო კრების წინაშე მეფის სახელით წარსდგეთ, რადგან თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ აქ იყოთ და ლაპარაკობდეთ, მეფის სიტყვას თქვენ არ უნდა მოგვაგონებდეთ“.

მერე წელში გასწორდა, თავით ფეხამდე თვალი გადაავლო ცერემონიის გამგეს და განაგრძო:

— მაგრამ რათა გამოურკვეველი არა დარჩეს რა და ტყუილად დრო არ დაიკარგოს, ამით გიცხადებთ, რომ თუ ჩვენი განდევნა თქვენ დაგავალეს, ჯარი უნდა მოიშველიოთ, თორემ ჩვენ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით, ვიდრე ჩვენზედ ძალას და იარაღს არ იხმარებთ!“

ისე წამოდგა მთელი კრება, თითქო ერთი კაციაო და ერთხმად შესძახა:

— დიაღ! დიაღ! ჩვენ არსად წავალთ!

საშინელი ხმაურობა ატყდა.

ცოტა ხანს უკან, როცა კრება დაწყნარდა, ჩვენმა თავმჯდომარემ მიმართა ცერემონიის გამგეს:

— გუშინ კრებამ დაადგინა, მეფის თანდასწრებითი კრება რომ გათავდებოდა, არ დაშლილიყო და თავის საქმეთა განსჯას შესდგომოდა. მე არ შემიძლიან კრება დავშალო, ვიდრე ამას თვით კრება არ დაადგენს და ამის დასადგენად საჭიროა კრებას სრული თავისუფლებით შეეძლოს სჯა და ბაასი.

— შემიძლიან, ბატონო, ეგ პასუხი მეფეს მოვახსენო?

— დიაღ, ბატონო! — მიუგო თავმჯდომარემ.

ცერემონიის გამგე გავიდა. მართალი უნდა მოგახსენოთ, ბატონო ივანე, დიდ შიშში ვიყავით ყველანი, გვეგონა კინწისკვრით დაგვირეკავენო. მაგრამ ორი საათი რომ შესრულდა, ჩვენი განმდევნელი ჯარის მაგივრად, დარბაზში დურგლები შემოვიდნენ და თითქო იქ არავინ არის, თითქო ჩვენ ვერც კი გვხედავენო, დაუწყეს ნგრევა იმ აივნებს, რომელიც მეფის მობრძანებისათვის დაემზადებინათ. ესეც დედოფლისა და თავადი არტუას ეშმაკობა იყო: ჯარის გამოგზავნა რომ ვერ გაბედეს, დურგლები შემოგვისიეს და საშინელი ხმაურობა აგვიტეხეს, ამითი მაინც დავუშალოთო. ამაზე უსაძაგლესი განაღა იქნება რამე?!

ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ იმ ხმაურობას არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდით და ჩვენს ბაასს განვაგრძობდით. ისინი ჩაქუჩს და ხელეჩოებს არაკუნებდნენ, ჩვენ ჩვენსას ვამბობდით; იმისთანა მშვიდად და აუღელვებლივ ვიყავით ყველანი, რომ თვით დურგლებმაც გაიკვირვეს, ცოტა ხანს უკან მუშაობას თავი დაანებეს, გარს შემოგვეხვივნენ და სმენად გადაიქცნენ. თავად არტუას რომ ენახა, რა გულმოდგინეთ ისმენდნენ ჩვენს სიტყვებს დურგლები, რა ტაშით აჯილდოებდნენ მოლაპარაკეს, როცა იგი ვაჟკაცურად გვიწვევდა დიდებულთაგან ფეხქვეშ გათელილ სიმართლის აღსადგენად, დარწმუნდებოდა, რომ ხალხი ისე უცოდინარი არა ყოფილა, როგორც ბევრსა ჰგონია.

ილაპარაკეს კამუსმა, ბარნავმა, სიესმა. სიესმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— ყურადღებასაც ნურას მიაქცევთ: თქვენ დღესაც იგივე ხართ, რაც გუშინ იყავით!

ხმები შეკრიბეს და აღმოჩნდა, რომ „ს ა ე რ ო კ რ ე ბ ა მ ე რ თ ხ მ ა დ დ ა ა დ გ ი ნ ა.. ა ქ ა მ დ ე დ ა დ გ ე ნ ი ლ ი გ ა ნ ა ჩ ე ნ ე ბ ი ს ი ს რ უ ლ ე შ ი მ ო ი ყ ვ ა ნ ო ს“. მაშინ კვლავ წამოდგა

მირაბო. უკვე დამშვიდებულიყო და თუმცა იცოდა, რომ დღევანდელს განსაცდელს იქნება ვერც კი გადარჩენოდა, მაინც ძალიან მშვიდი კილოთი სთქვა:

— „ბატონებო, დალოცვილ იყოს თავისუფლება, რომელმაც ჩვენს კრებაში დღევანდელისთანა ძლიერი ნაყოფი გამოიღო. ვეცადნეთ მჭიდრო საფუძველზედ დავამყაროთ ჩვენი საქმე — გამოვაცხადოთ, რომ საერო კრების წარმომადგენელი ყველასაგან ხელშეუხებელი უნდა იყოს. ეს შიში კი არ გახლავთ, მარტოდმარტო სიფთხილეა და დამეთანხმეთ, მარტო ამითი შეგვიძლიან აღვირი ამოვდოთ იმ ურცხვ მრჩეველთ, რომელნიც მეფეს გარს ახვევიან“.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა 493 ხმით 34 წინააღმდეგ.

კრებამ შემდეგი განაჩენი მიიღო:

„საერო კრებამ დაადგინა, რომ ერის წარმომადგენელი ყველასაგან ხელშეუხებელ პირად არის აღიარებული; რომ ყოველი კერძო პირი, საზოგადოება, ან სასამართლო, რომელიც გაბედავს და სდევნის, დააპატიმრებს, დააპატიმრებინებს, ან დაამწყვდევს დეპუტატს კრებაზედ წარმოთქმული რაიმე აზრის, წინადადების, მოხსენების ან სიტყვისა გამო, როგორადაც ყოველი პირი, რომლის დახმარებით დეპუტატის ხელშეუხებლობა შებღალულ იქმნება, აღიარებულ იქნება ერის მტრად და მოღალატედ და დასჯილი იქნება ერისადმი ღალატის კვალად. საერო კრებამ დაადგინა, რომ ამგვარ შემთხვევაში იგი ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს, რათა იპოვოს და ღირსეულად დასაჯოს ყოველი დამნაშავე ან დამნაშავის დამრიგებელი“.

ამის შემდეგ კრება დაიშალა საღამოს ექვს საათზე.

ახლა კი შიში აღარა ჰქონდა მირაბოს და არც ჩვენ. თუ მეფეები ყველასაგან ხელშეუხებლად ირიცხებიან, ეგ იმიტომ არის, რომ თითონვე დაუდვიათ კანონად, როგორც ჩვენ მოვიქეცით, და კანონებში ჩაუწერიათ. გული ერთობ დამშვიდებული აქვს კაცს, როდესაც იცის, რომ ვერავინ რას გაუბედავს, რომ გაბედონ და შეეხონ ვისმე ჩვენგანს, ერთი ბეწვი რომ ამოჰგლიჯონ თავიდან, მთელ საფრანგეთს ვაცნობებთ და ფეხზედ წამოვაყენებთ. თუ მართალი გნებავთ, ჩვენ სწორედ ამ დადგენილებით უნდა დაგვეწყო, მაგრამ რას იზამთ, რომ კარგი აზრები ერთად არ მოუვლენ კაცსა.

მგონი მმართველობამ კარგი ქნა, რომ მეტი არა გვიმუხთლა რა, თორემ 23-ს მთელი დღე ხალხით სავსე იყო ვერსალის ქუჩები და შემსვლელ-გამსვლელნი დაწვრილებით უზიდავდნენ ხალხს ჩვენს ამბებს. ხალხმა ყველაფერი იცოდა, რაც კი საერო კრებაზედ ხდებოდა; თითქმის ყოველ 15 წუთში კრების ამბავი მისდიოდა; ჩვენს

გასარეკად რომ ჯარი გამოეგზავნათ, იმოდენა ხალხი და მასთან მთელი ერი ჩვენკენ იქნებოდა.

იმავე დროს ხმა გავარდა ნეკერი დაუთხოვნიათ და მის ალაგას თავადი არტუა დაუნიშნავთო. გამოაცხადა თუ არა თავმჯდომარემ კრების დახურვა, იგრიალა იმოდენა ხალხმა და სასახლისაკენ გაეშურა. მეფის მცველ ჯარს ბრძანება მისცეს — თოფები ესროლეთო, მაგრამ ჯარისკაცებმა ეს ვერ გაბედეს და ხალხი თავისუფლად შევიდა ნეკერის სახლამდე და მარტო მაშინ დათანხმდა დაშლილიყო, როდესაც თვით ნეკერისაგან გაიგო და დარწმუნდა, რომ ეს ხმები უსაფუძვლო ჭორები იყო.

პარიზში ხომ უფრო აღშფოთებული იყო ხალხი. მე მითხრეს: როდესაც ხმა გავარდა, რომ მეფემ გააუქმა საერო კრების დადგენილებანი, გვეგონა მიწას ცეცხლი ეკიდება და მხოლოდ ნიშანსღა ველოდით, რომ მართებლობისთვის იარაღით ხელში ბრძოლა აგვეტეხაო.

სწორედ ასეც იქნებოდა, რომ ჭკუაზედ არ მოსულიყვნენ, რადგან მიუხედავად დიდებულთა რჩევისა და დაქირავებულ გერმანულ და შვეიცარიულ ჯარებისა, რომელნიც საფრანგეთის ყოველი კუთხიდან პარიზში შეაგროვეს; მიუხედავად ზარბაზნებისა, რომლებიც დედოფლის საჯინიბოში დაალაგეს, სწორედ საერო კრების დარბაზის პირდაპირ და პირი ჩვენკენ გამოაშვერინეს ეს ჩვენი ფანჯრებიდან მშვენივრადა ჩანდა; მიუხედავად იმისა, რომ თვით მეფემ გვიბრძანა სამ კრებად იყავით ცალ-ცალკეო, მეფემ თვითონვე მისწერა ბრძანება თავადაზნაურთა წარმომადგენელთ — ხალხის წარმომადგენელთ შეუერთდით საერო კრების დარბაზშიო და 30 თიბათვეს — მაშასადამე გუშინ ჩვენთან მობრძანდნენ „ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს დ ი დ ე ბ უ ლ დ ა მ მ ა რ ც ხ ე ბ ე ლ თ ა შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ნ ი“ და გვერდით მოგვისხდნენ ჩვენ „მ ა თ მ ი ე რ დ ა მ ა რ ც ხ ე ბ უ ლ-დ ა მ ო ნ ა ვ ე ბ უ ლ თ ა“ შთამომავალთ. ახლა კი აღარ იცინოდნენ, როგორც 23 დილით, როდესაც წვიმისაგან დასველებულნი შევედით საერო კრების დარბაზში და იმათ მასხარად აგვიგდეს.

აი, ჩემო ივანე, როგორ არის ჩვენი საქმეები: პირველ — შეტაკებაში გამარჯვებულნი ჩვენ დავრჩით! და ახლა კონსტიტუცია უნდა შევადგინოთ. დიდი და მძიმე საქმეა კონსტიტუციის შედგენა, მაგრამ დროსა და მეცადინეობას არ დავზოგავთ და ვეცდებით კარგად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. გარდა ამისა ხალხის საჭიროებათა აღმწერი რვეულები აქა გვაქვს და ისიც საკმარისი იქნება, თუ ამ რვეულებში გამოთქმული აზრებით ვიხელმძღვანელეთ.

კონსტიტუციას ხალხის სიკეთე უნდა ჰქონდეს საფუძვლად დადებული: გაუქმებულ უნდა იქმნას ყოველი უპირატესობა, რომლითაც აქამდე თავადაზნაურნი ტყავს გვაძრობდნენ; გაუქმებულ უნდა იქმნას ყოველი საბაჟოები; სრული თანასწორობა უნდა იქმნას დამყარებული ხარჯის გაღებაში; სრულიად თანასწორნი უნდა ვიყვნეთ ყველანი კანონის წინაშე; შემოღებულ უნდა იქმნას პირადი ხელშეუხებლობა; ყველანი თანასწორად უნდა იქმნენ მიღებული სახელმწიფო სამსახურში; სასტიკად დაცული უნდა იქმნას საიდუმლოება წერილისა; კანონმდებლობითი ძალით მხოლოდ ერის წარმომადგენელნი უნდა იყვნენ აღჭურვილნი; მართებლობის მოხელენი თავიანთ ნამოქმედარის პასუხის მგებელნი უნდა იყვნენ; კანონები, საზომი, სარწყავი და სასწორი ზომები ერთი და იგივე უნდა იყოს მთელს სამეფოში; სწავლა-განათლება და მართლმსაჯულება უსასყიდლო უნდა იყოს; მემკვიდრეობა თანასწორად უნდა იყოს განაწილებული შვილებ შორის. შემოღებულ უნდა იქმნას თავისუფლება ვაჭრობისა, მრეწველობისა და შრომისა. ერთი სიტყვით, ყველაფერი! ყველაფერი ნათლად უნდა იყოს განმარტებული და რიგზედ დაწყობილი, ადვილად გასაგები ენით, რომ სულ უკანასკნელ გლეხკაცსაც კი შეეძლოს შეიგნოს თავისი უფლებანი და ვალდებულებანი.

მერწმუნეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო, კაცობრიობას დიდ ხანს აღარ დაავიწყდება 1789 წელი.

დღეს ესეც კმარა. იქნება მოახერხოთ როგორმე და მანდაური ამბები შემატყობინოთ, რაც შეიძლება ადრე. ჩვენთვის ძალიან საჭიროა სოფლის ამბები. მიშელსა სთხოვეთ ჩემ მაგიერ, დღეში ერთი საათი შემომაწიოს, მუშაობის შემდეგ, და დაწვრილებით ამიწეროს ხოლმე სულ ყველაფერი, რაც კი ჩვენს სოფელში ხდება ან მანდვე ახლო-მახლო სოფლებში; თვის გასულს მოაგროვოს თავისი ნაწერები და გამომიგზავნოს. ამგვარად მე და თქვენ ყოველთვის ერთმანეთთან ვიქნებით, როგორც უწინ, და ერთმანეთთან განუწყვეტელი საუბარი გვექნება.

ყველას გაკოცებთ. მარგალიტამ სიყვარულით მოგიკითხათ და გთხოვათ არ დამივიწყოთო. თქვენს წერილამდის.

თქვენი ერთგული შ ო ვ ე ლ ი.

მანამ მე ამ წერილს ეკითხულობდი, ნათლიაჩემი, მამა ქრისტეფორე და იმისი ძმა მატერნი განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ამ რამდენიმე თვის წინად რომ გაებედნა ვისმე და მეფე-დედოფლის ან ეპისკოპოსთა შესახებ ამგვარი ეთქვა რამე, საუ-

კუნოდ გამოასალმებდნენ თავის სამშობლოს. მაგრამ უცვლელი არა ყოფილარა ამ წუთისოფელში და რაც გუშინ მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა, დღეს ყველასავან აღიარებულ ჭეშმარიტებად ხდება.

გავათავე წერილი, მაგრამ მსმენელნი ისევ ისე განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს და ხმა ვერავის ამოეღო. ბოლოს მაინც ნათლიაჩემმა დაარღვია სიჩუმე:

— რას იტყვი, მამაო ქრისტეფორე? როგორ მოგწონს ეს ამბები? ხედავ, რა დაურიდებლად იწერება ჩვენი შოველი!

— დიაღ, ძალიან დაურიდებლად იწერება, — უპასუხა მამა ქრისტეფორემ, და ეტყობა მესამე წოდებას დიდი ძალა და იმედი ჰქონია, რომ შოველი, ჩვენი ფთხილი შოველი, მაგისთანა წიგნსა გვწერს. მღვდლების შესახებ რასაც იწერება, სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენ ხალხის შვილნი ვართ და საცა ხალხი იქნება, ჩვენც იქ ვიქნებით, ჩვენ ხალხს ვერ ეუღალატებთ. იესო ქრისტე ღმერთი იყო და ისიც კი ფარეხში დაიბადა, თავისი დღენი ღარიბთათვის და ღარიბთა შორს გაატარა და ღარიბთათვის ჯვარცმულ იქნა. განა რომ ის უნდა იყოს სამღვდელოების მაგალითიო!

ჩვენი საჭიროებანი რომ ავწერეთ, — განაგრძო მ. ქრისტეფორემ, — ჩვენც, როგორც მესამე წოდებამ, ის სურვილი გამოვაცხადეთ, რომ საჭიროა კონსტიტუცია იქნას შემოღებული, რომლითაც კანონმდებლობითი უფლებით ერის წამომადგენელნი იქნებიან აღჭურვილნი; კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი ვიქნებით; დამყარებული იქნება თავისუფლება ყოველი ჩვენგანისა; სასტიკად დასჯილი იქნება ყოველი დანაშაული მართებლობის მოხელისა და თვით სასულიერო პირისაც; პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება ყველასათვის სავალდებულო და ამასთან უსასყიდლო იქნება; მთელს სამეფოში ერთი და იგივე კანონები იქნება შემოღებული. აი, საწყალი მღვდლების სათხოვარი. დიდებულ თავადაზნაურთ სულ სხვა სათხოვარი შეიტანეს თავიანთ რვეულებით: ნება უბოძეთ ჩვენს მანდილოსნებს — საკუთრად კეთილშობილთათვის მიღებული ლენტებით დაიმშვენონ ტანსაცმელი, რომ მით განირჩეოდნენ უბრალო დედაკაცთაგანაო! დიდებულ თავადაზნაურთ ამის მეტი არა სდომებიათ რა და ხომ იცით, ვისაც თავისი გაჭირვება ვერ დაუნახავს, სხვისასაც ვერ დაინახავს. საკუთარი საქმეებისა რომ ვერა უზრუნიათ რა, ხალხისათვის რა უნდა იზრუნონ? იმათ რვეულებში ხალხის ხსენებაც არსად არის, რადგან, იმათი აზრით, ხალხი ყმად არის გაჩენილი და ყმას ხომ არც რამე უფლება აქვს; ხალხს მარტო იმ შემთხვევაში ახსენებენ, როდესაც ხარჯის გადახდაზედ არის ბა-

ასი. ჩვენი ეპისკოპოსებიც — თითქმის ყველანი დიდებულ თავადაზნაურთა შვილები — ასევე უყურებენ საწყალ ხალხს და ხალხისკენ მარტო ჩვენა ვართ, ხალხის შვილი მღვდლები. დღეს, მაშასადამე, სამად კი არა, ორ ნაწილად არის გაყოფილი საფრანგეთის ერი: არისტოკრატია და ხალხი, ესე იგი თავადაზნაურნი და უმაღლესი სასულიერო წოდება ერთ მხრივ და ხალხი და საწყალი მღვდლები მეორე მხრივ.

შოველი ყველაფერს მართალს ამბობს, მაგრამ ძალიან თავისუფლად ლაპარაკობს მეფე-დედოფალზედ და მეფის სახლობაზედ. დიდი, წმინდა რამ არის მეფე და მეფობა და სწორედ აქა ჩანს, რომ შოველი კალვინისტია, რომელსაც ჰგონია, ახლა კი ხელთ ვიგდე იმ მეფეთა შთამომავალი, რომელთაც ჩემი წინაპარნი აწამესო. ნუ წარმოიდგენთ, ბატონო ივანე, რომ შარლ მეცხრე, ლუი მეთოთხმეტე და თვით ლუი მეხუთმეტე ისეთ სასტიკ დევნას დაუწყებდნენ კალვინისტებს მარტოდმარტო სარწმუნოებისა გამო! არა, მეფეებმა ხალხში გაავრცელეს ეს ხმა, რაკი იცოდნენ, რომ ხალხის მიმხრობა კალვინისტების წინააღმდეგ მხოლოდ სარწმუნოებით შეეძლოთ, რადგან ხალხს სხვაფრივ ვერაფრით გაიტაცებდნენ. დიაღ. ეგ მარტო ხალხის მისამხრობად სთქვეს — სარწმუნოების მტერნი არიანო, თორემ სარწმუნოებისა გამო კი არა, კალვინისტებს იმიტომ სდევნიდნენ, რომ სარწმუნოებრივი ქადაგების საშუალებით ისინი ცდილობდნენ იმისთანავე რესპუბლიკა დაედგინათ ჩვენში, როგორც შვეიცარიაში არის. ქ. ლაროშელში დაედოთ ბუდე და იქიდან მთელს საფრანგეთში ავრცელებდნენ თავიანთ აზრებს თავისუფლების და თანასწორობისას. ხალხი მეფეებს მიემხრო და დარწმუნებული იყო, სარწმუნოების მტრებსა ვეღლეტავთო; ნამდვილად კი მტარვალთ შველოდა და თავისუფლების და თანასწორების წინასწარმეტყველთ ხოცავდა. ასე იყო, ჩემო ივანე. კალვინისტები სარწმუნოების მტრები კი არა, მეფეების მტრები იყვნენ, და შოველსაც კარგად ახსოვს ეს მტრობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ გულის სიღრმეში შოველსაც ეგეთ წადილი აქვს დაფარული და ჯიდეც ეგ არის საშიში: მანამდე სრულიად თანახმანი ვიქნებით შოველი და ჩვენ, და მანდ კი, მანდ ვეღარ მოვრიგდებით.

— მანდაც კარგად მოვრიგდებით, შეჰყვირა ნათლიაჩემმა — არა რცხვენიათ, რომ ისე დაამცირეს ჩვენი წარმომადგენელნი! მთელი ხალხის წარმომადგენელნი! დაიცადონ! ამოდენა აღმართს დაღმართიც ექნებაო, ნათქვამია! ერთხელაც იქნება ძალა ჩვენკენ იქნება და მაშინ გვიფთხილდნენ!

— ეჰ, კარგი ერთი, ჩემო ივანე! უპასუხა მამა ქრისტეფორემ.

რომ იცოდნენ. რასაც სჩადიან, ხომ აღარც მაგრე სამარცხვინოდ მოიქცევოდნენ. ამპარტავნობამ დაღუპა თვით სატანა და უფსკრულში შთააგდო იგი. ამპარტავნება ისე დააბრმავებს ხოლმე კაცს, რომ თავის ცხვირს იქით ვეღარას ხედავს, და საცა უსამართლო და სამარცხვინო არის რამე, სწორედ იქით მიჰყავს უბედური! ჩვენს მეფეს და დიდებულთაც ამპარტავნება ღუპავს, თორემ... სწორედ დღევანდელ დღეზედ არის ნათქვამი — უკანანი წინა და წინანი უკანაო! მარტო ღმერთმა იცის, რითი გათავდება ეს ყველაფერი. ჩვენ ჩვენი ჯვარი კეთილსინდისიერად ვზიდოთ, ძმანო, ამაზედ უკეთესი არა იქნება რა.

ყველანი გაჩუმებულნი უსმენდნენ.

მამა ქრისტეფორე და იმისი ძმა დაფიქრებული გაემარონენ შინისკენ.

სამშობლოს განსაცდელი

1792

I

მე უკვე მოგახსენეთ, რა გაჭირვებაში იყო ხალხი 1789 წლამდე და რამოდენა ხარჯი და ბეგარა გვედო გლეხკაცობას; მოგახსენეთ ნეკკერის ანგარიში, რომლის წყალობით მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ სახელმწიფო ხაზინას აუარებელი ზარალი ჰქონდა ყოველ წლივ; პარიზის პარლამენტის დადგენილება, რომელიც ამტკიცებდა, ხარჯის გაწერა მარტო საერო კრებას შეუძლია და სხვას არავისო; კალონის და დებრიენის ეშმაკობა და ფლიდობა, რომ ფულები ეშოვნათ როგორმე; თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების კრებების ახირება, ჩვენ არავითარ ხარჯს არ ვიკისრებთო; და ბოლოს, როდესაც ხსნა აღარსაით იყო, რადგან ან ვალი უნდა გადაეხადნათ, ან სახელმწიფო კოტრად უნდა გამოეცხადებინათ, საერო კრების მოწოდება ვერსალში, ეს სამოცდათხუთმეტის წლის შემდეგ მას აქეთ, რაც უკანასკნელი საერო კრება ყოფილა.

ისიც მოგახსენეთ, რომ ჩვენს დეპუტატებს დავავალეთ ბატონყმობა გადაეგდოთ და სრული თანასწორობა ჩამოეგდოთ ყველასათვის განურჩევლად შთამომავლობისა; უნდა გაეუქმებინათ ვაჭრობის შემაფერხებელი შინაგანი საბაჟოები, მეურნეობის შემაფერხებელი ღალა-კულუხი და გაუთავებელი ბეგარა; უნდა გადაეგდოთ სასამართლოებისგან ადამიანის წამება და სხვადასხვა. სამეფო წესწყობილება მეფეების ნებაყოფლობაზედ კი არა, ერთხელ დადგენილ კონსტიტუციაზედ უნდა დაემყარებინათ და შინ ისე წამოსულიყვნენ.

მაგრამ მეფემ საერო კრება თურმე იმიტომ დანიშნა, რომ ამ კრებას სასახლისა, მებატონეებისა და ეპისკოპოსთაგან შეკმული

ფულის გადახდა ეკისრა და მუხლ-მოდრეკით მოეხსენებინა: რა საქმელია, ბატონო, ოღონდ თქვენ ისიამოვნეთ, დრო გაატარეთ და ვალის გადახდაზე ნუ ზრუნავთ, ჩვენ გადავიხდით, ჩვენ და ჩვენი შვილებიო! მაგრამ რაკი ნახეს, რომ ხალხის წარმომადგენელნი ამგვარი პასუხის მაგივრად, თვით დიდებულთა და ეპისკოპოსთა უპირატესობას უარჰყოფდნენ და გაუქმებას ცდილობდნენ, არ ინდომეს მესამე წოდების დეპუტატებთან შეერთება და იმდენი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ გულზედ მოვიდნენ ჩვენი წარმომადგენელნი, წამოიწიეს, შეიფიცნენ,—არ გავიყარნეთ, არ დავიშალნეთ, ვიდრე კონსტიტუციას არ შევადგენთო და თავიანთი კრება საერო კრებად გამოაცხადეს.

ეს ყველაფერი შოველმა შეგვატყობინა და შოველის წერილი ხომ თქვენც წაიკითხეთ.

იმ დროს ჩვენში ჯერ ისევ შიმშილი იდგა და უმეტესი ნაწილი ისეთ გაჭირვებაში იყო, რომ მინდვრის ბალახითა ცხოვრობდა; ბალახს მოხარშავდნენ წყალში, ცოტა მარილს წააყრიდნენ და იმითი ივსებდნენ კუჭსა. კიდევ კარგი, რომ შეშა არ გვაკლდა; პარიზის ამბები ელვასავით მოედებოდა ხოლმე მთელს ქვეყანას და ყველგან შიშსა და სიფრთხილეს თესავდა. ტყის მცველები შინიდან გარეთ ველარ გამოდიოდნენ, ტყეში ქურდებს არ წავაწყდეთო. საშინელებაა გამოუცნობი ამბის მოლოდინი! საშინელებაა ყველასთვის და უმთავრესად იმ მოხელეებისათვის, რომელნიც აქამდე შიგ კრიჭაში უდგნენ ვაჭირვებულ კაცს და სისხლსა სწოვდნენ, საცა კი მოასწრებდნენ; იმას ხომ არ იძახდნენ, მეფისაგან საკმარისი ჯამაგირი გვაქვს, ეს ვიკმაროთო; არა, ჯამაგირს გარდა ხალხსაც ტყავს აძრობდნენ და მეფისაგან მინიჭებულ უფლებას ფულზედ ჰყიდდნენ: ვინც მეტს მისცემდა, ისინიც იმისკენ იყვნენ. საერნში ყველა სამეფო მოხელე, რომელთა ხარისხი ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდა მამისაგან შვილზედ და შვილისშვილზედ, ერთ უძველეს სახლში ცხოვრობდნენ; მოგეხსენებათ, ყველგან არის ამისთანა დაფუტუროვებული, დამპალი ხე, რომელშიაც დაიბუდებენ ხოლმე თაგვები. ერთი რომ შეუბეროს ადამიანმა, იმ ხესაც წააქცევს და თავის მტრებსაც გაჰფანტავს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს შებერვა ვერ გაუბედია. დიაღ, სამეფო მოხელეებიც გრძნობდნენ, რომ იმათი ბუდე დღეს-ხვალ უნდა დაქცეულიყო და ისხდნენ შეშინებულნი და ცალი თვალით გამოიცქირებოდნენ; ისე ეშინოდათ ხვალინდელისა, რომ თმებსაც კი ველარ იკულულებდნენ და საქეიფოდ ტივოლიში ველარ დაბრძანდებოდნენ.

ვერსალის ამბები მთელს ქვეყანას მოედო. ყველა იძახდა, დიდი

ამბები მოხდებაო, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ეს დიდი ამბები, არავინ იცოდა; ამბობდნენ, ჩვენ დეპუტატებს ჯარები თურმე შემოარტყეს, უნდა შეაშინონ და დაიყოლიონ; თუ არა და დახოცვას უპირებენო; ჩვენს დუქანში გამვლელი და გამომვლელი სულ ვერსალის ამბებზე ლაპარაკობდა. ნათლიაჩემს კი არა სჯეროდა ეს ხმები და შეუტევდა ხოლმე:

— ნეტავ თქვენ თითონ კი გჯერათ, აგრე ადვილად რომ ამბობთ? იქნება გგონიათ, რომ ჩვენმა კეთილმა მეფემ მაგისთანა სამარცხვინო საქმე იკადროს რამე? თქვე კაი კაცებო და, თითონ მეფემ არ დაიბარა — ხალხის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ და ხალხის გაჭირვება მაცნობონ, რომ ჩემი ერთგული ქვეშევრდომებისთვის ვიზრუნოვო? განა აგრე ადვილად უნდა დაიჯეროთ, რასაც გაიგონებთ სადმე!

მაგრამ მსმენელნი სულ სხვა აზრისანი იყვნენ და გაბრაზებულნი პასუხსაც არ აძლევდნენ; რომ ვეღარას მოახერხებდნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ და ღრმად ჩაფიქრებულნი მიდიოდნენ შინისკენ; ნათლიაჩემი კი თავისას გაიძახოდა:

— ღმერთმა ნუ ქნას და, დედოფალმა და თავადმა არტუამ არა გვიმუხთლონ რა, თორემ ცუდად იქნება ჩვენი საქმე. ჩვენმა წარმომადგენელებმა მგონი ისე გაუჭირეს იმათ საქმე, რომ ყველაფერს იზამენ, ოღონდ გვაჯობონ როგორმე; რასაც არ მოიგებენ, რას წააგებენ, რომ წასაგები აღარა აქვთ რა! ღმერთმა კი დაგვიფაროს და, ჩვენში რომ შეტაკება მოხდეს, იქნება გათავებას ვეღარც ისინი მოესწრნენ და ვეღარც ჩვენა!

და მართალსაც ამბობდა: იმ დროინდელს არავის ღირსებია რევოლუციის გათავებამდე სიცოცხლე, არც კეთილშობილს, არც მოქალაქეს, არც გლეხს. რევოლუცია ჯერაც არ გათავებულა და მარტო მაშინ გათავდება, როდესაც ძმობა, ერთობა და თავისუფლება გამეფდება ამ წუთისოფელში.

რამოდენიმე კვირა გავიდა. აქეთ-იქით ქერსა მკიდნენ, შიმშილის შიში აღარ იყო და ცოტა არ იყოს, დამშვიდდა ხალხი; მაგრამ უცბად ხმა გავარდა, პარიზში ბრძოლა არის ატეხილიო: საერო კრების დაშლა უნდოდათ, ქალაქის გამგეობა აჯანყებულა მეფის წინააღმდეგ და მოქალაქეთათვის იარაღი დაურიგებია; მთელს ქალაქში, ყველა ქუჩებში ცხარედ იბრძვიან პარიზელები და უცხოელი, დაქირავებული ჯარებიო. ამასთან იმასაც ამბობდნენ, მეფის მცველი ჯარი ხალხისკენ არისო.

ამ ამბებზე ჩვენი ნიკოს წერილი მოგვაგონდა და მაშინ დავრწმუნდით, რომ სრულს სიმართლეს იწერებოდა.

ვინც კი ფალსბურგიდან მოდიოდა, ყველანი ერთხმად იმასვე

გაიძახოდნენ. ქალაქში მყოფ ჯარისთვის ებრძანებინათ, მზად იყავით, თქვენს ბინას არავინ მოშორდეთო; ქალაქის სამოურავოში ყოველ საათს ახალ-ახალი ბრძანება მოდიოდა პარიზიდან. მიიტანდა შიკრიკი ამბავს, ისევ ცხენს მოახტებოდა და ახლა ალზასის გზას გაუდგებოდა. წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა ჩვენი მიყრუებული სოფელი! ღვთის წყალობა გქონდეთ, ჩვენ დღეს აღარა გაგვიკვირდეს რა და არაფერს შევუშინდეთ! მაშინ კი ჯერ არც რევოლუციისა ვიცოდით რამე, არც აჯანყებისა და იმისთანა შეშინებულნი ვიყავით, თითქო ქვეყანას მტერი შემოსევიაო.

იმ დღეს ახალი აღარა მომხდარა რა, მაგრამ მეორე დღეს ამბავი მოვიდა, პარიზელებმა ბასტილიის ციხე აიღესო*). და ბასტილიის აღება იმას ნიშნავდა, რომ პარიზის ბატონად ხალხი გამხდარიყო. პარიზელები დაჰპატრონებოდნენ ყველაფერს, იარაღი და თოფის წამალი ეშოვნათ, ზარბაზნები ხელთ ეგდოთ და ისე განაგებდნენ პარიზის საქმეებს, როგორც ნებავდათ. საშინელი შთაბეჭდილება იქონია ამ ამბავმა ჩვენს მთიულებზედ. საჩქაროდ შეიარაღებულიყვნენ, ზოგს დაჟანგებული შუბი წამოეღო, ზოგს ნამგალი და ორთითი და დაძრულიყვნენ! რაზმებად დაწყობილიყვნენ, მოდიოდნენ ქალაქისკენ და ყვიროდნენ:

— ლიქსეიმს წავიდეთ, ლიქსეიმს!

— სავერნს!

— მარმუტიეს!

— ნიუვილერს!

კალიასავით მიესივნენ მთელს არეს და სადაც კი სახელმწიფო

---

*) ბასტილიის ციხე ხალხმა აიღო და დაანგრია 14 ივლისს 1790 წ. „იმ დღეს რევოლუცია იერიშით მივიდა თვითმპყრობელ მართებლობაზედ. ხალხისაგან თავის დღეში არავინ ყოფილა დაპატიმრებული ბასტილიის ციხეში: იქ მარტო მწერლებს ამწყვდევდნენ. ბასტილია აზრის საპყრობილე იყო და როგორც კი წამოიწია ხალხმა, პირველად ამ ციხეს ეცა, რომ აზრი გაენთავისუფლებინა. თავისუფლება აზრისა, უშიშრად ყოფა ადამიანის ღირსებისა, აი შედეგი ხალხის აღდგომის პირველის დღისა. ბასტილიის აღებას მთელმა ქვეყანამ ასე შეხედა.

. ქვეყანა აღტაცებით შეჰყურებდა იმ ხალხს, რომელმაც უწმინდესი გრძნობით გატაცებულმა აზრის შეზღუდვა საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და უპირველეს ყოვლისა ჯავრი იმათზედ იყარა, ვინც აზრს გზას უკრავდა. შემდეგ ამისა აზრმა თავისუფლება მოიხვეჭა და საცა აზროვანი იყო ვინმე, ყველა გრძნობდა, პარიზელი ხალხი ჩემთვის იბრძოდაო. აი ამან მოუგო რევოლუციას კაცობრიობის გული. ბასტილიის აღება მთელი ქვეყნისთვის ადამიანის აზრის განთავისუფლება იყო.

ეს ბრწყინვალე დასაწყისი ყველამ შენიშნა: პარიზელების საქმე მთელი კაცობრიობის საქმედ იქცა და საფრანგეთის რევოლუცია ქვეყნიურ რევოლუციად. მთელმა კაცობრიობამ იდღესასწაულა 14 ივლისი“...

მოხელე ეგულებოდათ, საბაჟოზედ თუ ტყის მცველნი, ყველა აიკ-ლეს და გააბადგურეს.

ლეტუმიე, ჰურე, კოშარი და სხვა მოხუცებულნი მოვიდნენ ნა-თლიაჩემთან და ეხვეწებოდნენ, ჩვენც წავიდეთ, ქვეყანა თავისას არიგებს, ჩვენ უკან რად უნდა ჩამოვრჩეთო? თუ კი მიტტელბრონი, კატრვანი და ლუტცელბურგი წავა, ვითომდა ჩვენ რაღა ვართო!?

ნათლიაჩემს არ მოსწონდა ეს მღელვარება ხალხისა და შეუ-ტია:

— თავი დამანებეთ! ჩემი საქმე არ არის! საცა გენებოთ, იქ მიბრძანდით, ოღონდ მე ნურაფერში გამრევთ!

მაგრამ მთელს ალზასში იგივე მოძრაობა იყო. სოფელი არსად იყო, რომ მახლობელს მონასტერს არ დასცემოდა და იქ შენახული სიგელები — თავად-აზნაურობის და მონასტრების უფლებათა და უპირატესობათა დამამტკიცებელი საბუთები — არ დაეწვა. რასა-კვირველია, უკან ჩამორჩომა არც ჩვენებურებმა ინდომეს და მთელ-მა სოფელმა ერთხმივ შესძახა ნათლიაჩემს: წინ წაგვიძეღ, ლიქს-ჰეიმს ტირსელინის მონასტერში შენახული ჩვენი სოფლის ქაღალ-დები გვაშოვინეო! რას იზამდა, ჩაიცვა და გზას გავუდექით. წინ ჩვენ მივდიოდით, კოშარი, ლეტუმიე, ჰურე, ნათლიაჩემი, მე და ჩვენ კი-დევ მთელი სოფელი მოგვდევდა.

ბუზივით ირეოდა ჩვენს ქვეით მინდორში შეიარაღებული ხალხი; თან იმისთანა ყვირილი ისმოდა, თითქო მტერზედ საომ-რად მიდისო. ვისაც რა შესძლებოდა, ის წამოეღო. უმეტესობა ნამ-გლით და ორთითით წამოსულიყო. საშინელი ხმაურობა და ყიჟინა იდგა. ვაჟკაცთ არც ქალები ჩამორჩენოდნენ და ყველაზედ წინ ისი-ნი გარბოდნენ ნამგლებით და ყველაზედ მეტად ისინი გაჰკიოდ-ნენ.

მიტტელბრონში ხალხს ის სახლი გაეტეხა, სადაც ქაღალდები ინახებოდა, სარდაფის ჭერი აენგრია, ქვა ქვაზედ აღარ დაეტოვე-ბინა და რაც კი სადმე ქაღალდები ენახა, ცეცხლი წაეკიდებინა. ლიქსჰეიმი ისე აეოხრებინათ, რომ ჩვენ რომ შევედით, წელამდე დოშაკ-ბალიშიდან გამონაბერტყ ბუმბულში დავდიოდით. ყვე-ლაზედ მეტად ებრაელები დაეზარალებინათ: სულ ფანჯრებიდან გადმოეყარათ იმ უბედურების სარჩო-საბადებელი, და რაც ვერ გადმოეგდოთ, ცულებით დაეჩეხათ. აღელვებული ხალხისთანა სა-შინელი ხომ არა იქნება რა! თუ ერთი მოთმინებიდან გამოვიდა, სრულიად აღარა მოაგონდება-რა და აღარც სარწმუნოებას დაერიდე-ბა. აღარც ადამიანის განკიცხვას და სიბრალულს და მარტო იმას ღა ცდილობს, რომ ჯავრი იყაროს და სისხლით გაძღეს.

დაფეთიანებულები მირბოდნენ ებრაელნი, სარჩო თუ დავკარგეთ, თავს მაინც ვუშველოთო. უკან ცოლ-შვილი მისდევდათ, და იმისთანა ტირილი და ვაება ისმოდა, რომ მტერსაც კი შეებრალებოდა. ტირსელინის მონასტერი ძველ ლიქსჰეიმში იყო. მონასტერში ხუთი ბერი იმყოფებოდა და იმათა ჰქონდათ ჩაბარებული რამდენიმე სოფლის და მათ შორის ჩვენი სოფლის სიგელებიც.

ყველა სოფლები იქ იყვნენ, გარს შემოხვეოდნენ მონასტერს და საშინელი ხმით შესძახოდნენ! გაგვიღეთ, ჩვენი ქაღალდები მოგვეცითო! მაგრამ ბერებს შეშინებოდათ, ვაი თუ ჯერ ქაღალდები წაგვართვან, მერე ჩვენც დაგვხოცონო! და კარს არ უღებდნენ.

სოფლელები კი თან და თან უფრო მატულობდნენ და ისე დაეჭირათ ყველა ქუჩები, რომ მონასტრამდის აღარავის მიესვლებოდა.

ჩვენ რომ მივედით, იქ მყოფი სოფლების მამასახლისები აუზის გვერდით იდგნენ და თათბირი ჰქონდათ: ერთი ამბობდა ცეცხლი წავუკიდოთ და სულ გადავბუგოთ აქაურობაო; მეორე ამბობდა, კარები შევამტვრიოთ და ისე დავეპატრონოთ ჩვენს დამღუპველ სიგელებსაო; ზოგნი იძახდნენ, ჯერ ქაღალდები ვთხოვოთ და როცა მოგვცემენ და საშიში აღარა გვექნებარა, მაშინ ვნახავთ, მონასტერს რას ვუზამთო. ბოლოს მესამე აზრი მიიღეს და რადგან ივანე ლერუ სათემო კრების დეპუტატად იყო არჩეული, იმას და ორს კიდევ სხვას მიანდეს მონასტერში შესვლა და სიგელების თხოვნა. მივიდნენ, დაარაკუნეს. ბერებმა რომ ნახეს სამნი არიანო, შეიყვანეს და კარი მაგრად ჩაკეტეს.

ნათლიაჩემმა შემდეგში გვიამბო, რაც მონასტერში მოხდარიყო: საბრალო ბერები კურდღელივით კანკალებდნენ და იმათი წინამძღვარი, ღრმად მოხუცებული მ. მარსელი იძახდა, ის სიგელები მე მაქვს ჩაბარებული და მანამ პირში სული მიდგას, იმათ არავის მივცემ... ჯერ მე მომკალით, და მერე სიგელები წაიღეთო!

მაგრამ ნათლიაჩემს ფანჯარასთან მიეყვანა მოხუცებული წინამძღვარი და მოეხსენებინა:

— გადახედეთ, წმინდა მამაო, ხედავთ, როგორ ათამაშებენ ცულებს და ნამგლებს...

საბრალოს აღარა ეთქვა რა, ერთ მიყრუებულ ოთახში შეეყვანა, რკინით შეკედილი კარი გაეღო, ემანდა თქვენი სიგელებიო! სავსე ბურმე იყო ქაღალდებით ოთახი!

იმოდენა ქაღალდებს გარჩევა არ უნდოდა?! ერთ საათზე მეტი იყო, რაც ნათლიაჩემი და ორი მამასახლისი მონასტერში შევიდნენ და ქაღალდებს თურმე არჩევდნენ. ჩვენ კი გვეგონა, ჩვენი კაცები

დაიჭირეს და დააპატიმრესო. და იმოდენი ხალხი კარს მიაწვა და იმისთანა ხმით შეუტია, რომ ზრიალი გაჰქონდა იქაურობას. მაშინ აივანზე გამოვიდა ნათლიაჩემი და გახარებულმა ქაღალდები დაგვანახვა: ნუ გეშინიანთ, ხელთა გვაქვსო! ხალხმა სიამოვნების ნიშნად ისეთი ყიჟინა დასცა, რომ მთელი ქალაქი შეინძრა. ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ:

— ახლა კი აღარა გვიჭირს რა! ახლა კი ხელთა გვაქვს ჩვენი დამღუპველი ქაღალდები!

ცოტა ხანს უკან ჩვენი კაცებიც გამოვიდნენ მონასტრიდან; მოდიოდნენ და ერთ კარგ ურემს მოაგორებდნენ, სულ ქაღალდებით გაჭიკნულს; შიგ შუა ხალხში გაატარეს ურემი და ყველას იმას ეუბნებოდნენ, ჩვენ ჩვენი მოგვცეს, ბერებს ნურას ერჩითო. ხალხსაც მარტო ეს სიგელები უნდოდა, თორემ მოხუცებულ ბერებს რას ერჩოდა?

ქალაქის სამეამასახლისოში შეაგორეს ურემი და იქ გაარჩიეს ქაღალდები; ყველა სოფელს თავისი მისცეს. ზოგმა იქვე მოედანზედ გააჩაღა ცეცხლი და თავის სოფლის შესახები ქაღალდები ცეცხლს მისცა. მაგრამ ნათლიაჩემი ცოტა სხვაფრივ სჯიდა. ჩვენი სიგელები ხელსახოცში გამოეკრა და ისე ჰქონდა შენახული. ამიტომ არის, რომ ჩვენს სოფელს არ დაეკარგა ის მცირე მამული, რომელიც ჩვენს მამა-პაპას შეეძინა მებატონეთაგან: ცოტა რამ საძოვარი გვქონდა სასოფლოდ და გარდა ამისა მუხნარში ყოველთვის შეგვეძლო რკო მოგვეგროვებინა. რომ დაგვეწვა ქაღალდები, ხომ ამ უფლებასაც დავკარგავდით! სხვა სოფლებმა ბევრმა ჩაიდინა ეს შეცდომა, საკუთარი ხელით დასწვეს თავისი უფლებანი, და თითონაც დაკარგეს და შვილი-შვილთაც დაუკარგეს ძველთაგან შეძენილი საკუთრება.

იმ დროის ამბებს კიდევაც ბევრს მოგახსენებდით, რადგან ბევრმა ისარგებლა მაშინ ხალხის უცოდინარობით და იმის მაგივრად, რომ დაეწვა სიგელები, მიმალა და შემდეგში ისევ მებატონეებს და ზოგი თვით მართებლობასაც მიჰყიდა. ძალიან გამდიდრდნენ მაშინ ამის ჩამდენნი და ქვეყანამ იცოდა, რომ თავიანთი სიმდიდრე იმათ საზოგადოებისადმი ღალატით ჰქონდათ შეძენილი. დიაღ, ბევრს კიდევ სხვას მოგახსენებდით, მაგრამ იმათ დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღეს და რაც იყო, იყო; დეე, იქ ღმერთმა ჰკითხოთ!

დაჭეშმარიტებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ორი კვირის განმავლობაში სულ ძირიანად გამოიცვალა საფრანგეთი. რაც კი მონასტრებს და მებატონეებს საკუთრება ჰქონდათ რამე, დაიწვა

და კომლივით გაქრა. დღე და ღამ შეუწყვეტლივ ისმოდა საყვირის ხმა და ჩვენი ვოზგის მთა თავით ბოლომდე ცეცხლის ალში იყო. ისე იწვოდა ძველი მონასტრები და სისხლით გაუმაძღარ მებატონეთა, გამაგრებული ციხე-სიმაგრეები, თითქო წმინდა სანთელიაო. ხალხმა ხელთ იგდო თავისი მტარვალები და, ღვთის წყალობა გაქვთ, ჯავრი იყარა! მარიამობისთვის ოთხამდე ღელავდა ხალხი და საცა კი თავის დიდი ხნის მტერი ეგულებოდა, ერთი არ გადარჩენია; ოთხს კი, როდესაც საერო კრებაზედ ეპისკოპოსთ და თავადაზნაურთ გამოეცხადებინათ — ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ქონებრივს და შთამომავლობითს უპირატესობასაო, დღეის შემდეგ ყველანი თანასწორნი ვართო, დაცხრა ხალხი. მართალია, სრულიად მეტი იყო თავადაზნაურთაგან ეს უარყოფა, რადგან უარს რაზედ ამბობდნენ, რომ აღარა ჰქონდათ რა? თავადაზნაურობა თვით ხალხმა გააუქმა და არა იმათმა უარყოფამ; მაგრამ მაინც ასე სჯობიან, რადგან იმათი შთამომავალნი თავის დღეში ვერას წაგვედავებიან.

ერთი სიტყვით, ცეცხლითა და მახვილით განთავისუფლდა ხალხი ბატონყმობიდან. ძალით—ცეცხლით და მახვილით დაედვათ მისთვის უღელი და იმანაც ძალას მიმართა, რომ მონობის უღელი მოეხსნა როგორმე.

და მას შემდეგ, რაც საერო კრებამ თავად-აზნაურობა და მათი უპირატესობანი გააუქმა, სამეფო კონსტიტუციის შედგენას შეუდგა. ისე გახარებოდა მეფეს კონსტიტუციის შედგენა, რომ საერო კრებას დასწრებოდა და. მიელოცა:

— სცდებით, ბატონებო, რომ აგრე უნდობლად მიყურებთ. მე ჯარები იმიტომ დავიბარე, მარსის მოედანზედ ათიათას კაცს თავი იმიტომ მოვუყარე და ზარბაზნები იმიტომ შემოგარტყით, რომ თქვენს დაცვას ვფიქრობდი. მეშინოდა, საერო კრებას არავინ ავნოს მეთქი. მაგრამ რადგან თქვენ აგრე უნდობლად მექცევით და ჩემი ჯარების შველა არა გნებავთ, რა გაეწყობა, საიდანაც მოსულან, იქითვე გავისტუმრებ.

ჩვენს დეპუტატებსაც, რასაკვირველია, ისე უნდა ეჩვენებინათ თავი, ვითომ ძალიან სჯერათ მეფის ნაბრძანები. მაგრამ ხალხი რომ არ ამდგარიყო და ბასტილის ციხე არ აეღო, უცხოელ ჯარებს რომ ეჯობნათ ხალხისთვის, ანდა მეფის მცველი ჯარები რომ ხალხის წინააღმდეგ გამდგარიყვნენ, მაშინ ჩვენი დიდებული მეფე სულ სხვას რამეს იტყოდა. დიდი გულთმისნობა კი არ არის საჭირო, რომ კაცმა წარმოიდგინოს, როგორ დატრიალდებოდა მაშინ საქმე. დიაღ, ჩვენი კეთილი მეფე ლუი მეთექვსმეტე სულ სხვა რამეს იტყოდა და ავ დღეს დააყენებდა ხალხის წარმომადგენელთ!

ჩვენდა საბედნიეროდ, საქმე ისე დატრიალდა, რომ გამარჯვებული ხალხი დარჩა! პარიზის სამამასახლისომ მაშინვე თავისი საკუთარი „ერის მცველი ჯარი“ შეადგინა და ამ მაგალითმა ისე გაიტაცა ყველა სამამასახლისოები, რომ ყველგან, სულ გადაკარგულ უმცირესს სოფელშიც კი, ხალხმა საკუთარი, თავისი მომხრე ჯარები შეადგინა, იარაღი იშოვნა, და ასე გამაგრებული ემუქრებოდა ეპისკოპოსთ და თავად-აზნაურთ: აი, აქ არა ვართ? მობრძანდით, თუ თავი არ მოგძულებიათ, და ქედს ძველი უღელი დაგვადგითო! საერო კრება რომ სასარგებლოს დაადგენდა რასმე, მთელი საფრანგეთი აღმოსავლეთით დასავლეთამდე იარაღს იღებდა და ერთხმივ გაიძახოდა:

— საერო კრების დადგენილება ეხლავე შევასრულოთ! რაც ადრე გარიგდება საქმე, ისა სჯობიან! აბა, ხალხო, რაღას უყურებთ!

და სისრულეში მოყავდათ ყოველი დადგენილება.

რა სიამოვნებით მაგონდება ჩვენს სოფელში მილიციის შედგენა. მილიციას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თავდაპირველად ერის მცველ ჯარს მილიციას უძახდნენ. ჩვენი სოფლის მილიცია 1789 წ. მარიამობისთვეში შევადგინეთ და იმ დღეს უფრო მხიარულად ვიყავით, ვიდრე მაშინ, როცა ხალხის წარმომადგენელთ ვირჩევდით. ნათლიაჩემი ჯარის წინამძღოლად აირჩიეს, ლეტუმიე იმის თანაშემწედ, გოტიე კურტუა უფროს ათის თავად და სხვა და სხვა. კაპიტანი არ გვყავდა, რადგან ჩვენმა სოფელმა საკაპიტნო რაზმის ნახევარიც ძლივს გამოიყვანა.

უნდა გენახათ, რა ამბავი იყო იმ დღეს ჩვენს სოფელში! ისეთი გრიალი გაჰქონდა ხალხის ძახილს—„თავისუფალ ერს გაუმარჯოსო“, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. და რადგან ყოველ საქმეს დალოცვა უნდა და პატიოსანი კაცი მარტო ღვინით დაილოცება, ისეთი სმა გაჩაღდა ნათლიაჩემთან, რომ თქვენი მოწონებული. ნათლიაჩემს ეპოლეტები გაეკეთებინა, ულვაში ყურებზედ შემოეხვია და მართლაც სამაგალითო ოფიცრის შეხედულება ჰქონდა. მართალია, ძვირად დაუჯდა ეს აფიცრობა: ორი ქოცო საუკეთესო წითელი ღვინო დახარჯა იმ დღეს, მაგრამ ეგ რა სახსენებელია? ის დღე იყო და ისა—ლეტუმიე ისე უვლიდა თავის ულვაშებს, თითქო იმაზედ უკეთესი სხვა აღარა აბადია რაო. მერე ულვაში ულვაშს მაინც ჰგვანებოდა! გაფხვერილი, გაშეშებული რაღაცა ესხა ტუჩზედ; რომ შეგეხედნათ, მელიის მოგაგონებდათ. ივანე რუს ნაღარა ჩავაბარეთ და ისე კარგად უკრავდა ყოველგვარ მარშს, თითქო თავისი დღენი ჯარში დაბერებულაო. ყველამ ვიცოდით,

რომ ივანე რუ კარგი მესტვირე იყო, მაგრამ ის კი არავინ იცოდა, რომ ნაღარასაც ასე კარგად დაუკრავდა.

არსენალიდან თოფები გამოვიტანეთ. ძველისძველი თოფები იყო, დაჟანგებული და დაზიანებული, მაგრამ მაინც თოფები იყო და შუბებიც ზედა ჰქონდა. კარგია თუ ავიაო... ჩვენც კარგად შეეიფერეთ ჩვენი თოფები და ისე მშვენივრად ვხმარობდით, რომ ჯარში ნამყოფ გავარჯიშებულთ არ ჩამოუვარდებოდით. ქალაქიდან რამდენიმე კაცი ამოვიყვანეთ მოხუცებული ათისთავები და სამხედრო სიარულს და იარაღის ხმარებას ისინი გვასწავლიდნენ კვირა დღეს, წირვა რომ გამოვიდოდა.

ნათლიაჩემს ოფიცრის ტანისამოსი შეეკვეთა ქალაქში ჯარის თერძისთვის და მეორე კვირას იმისთანა მორთულ-მოკაზმული გამოეცხადა თავის ჯარს, იმისთანად გადმოეგდო თავისი მორგვალებული მუცელი, ისე აბღვრიალებდა თვალებს, რომ უკეთესს ვერას ნახავდა კაცი. მხრებზედ ეპოლეტები უთამაშებდა, ოფიცრის ქუდი კოხტად გვერდზედ გადაეგდო, მიწაზედ გრძელი ხმალი მოსთრევდა და ჩხარუნებდა. აუვლიდა, ჩაუვლიდა თავის ჯარს და შემოჰყვირებდა:

— მამულისშვილო ვალენტინ! გასწორდი! სად ეშმაკებში მიგაქვს ეგ ოხერი თვალები!

იმისთანა მშვენიერი სანახავი იყო, რომ თვალები ზედა გვრჩებოდა. ნათლი-ჯალაბი ხომ სულ გადირია: ისე მორთულს რომ ხედავდა, თავის თავისა აღარა სჯეროდა, ნუთუ მართლა ეს ჩემი ქმარიაო? ვალენტინიც სულ სხვა თვალით უყურებდა: აქამდინ ნათლიაჩემი ოსტატი იყო, მაგრამ იმასავით ხელოსანი; ეხლა კი პირდაპირ კეთილშობილებში ჩასწერა ჩვენმა ქარგალმა და იმისთანა მოწიწებით ექცეოდა, თითქო მარტო დღეიდან იცნობს თავის ოფიცერსო.

სამხედრო ვარჯიშობაში ნათლიაჩემი ბევრად არად ვარგოდა და სხვები გაცილებით სჯობნიდნენ; მეტადრე ჩვენი ლეტუმეე ექიშპებოდა. მუცელი აგვტკივდებოდა ხოლმე, იმდენს ვიცინოდით. გარეშემო სოფლებში—ვილშბერგში, მიტელბრონში, კატრვანში, დანში, ლუტცელბურგში — ერთი სიტყვით, ყველგან სამხედრო ვარჯიშობა იყო გაჩაღებული და ყველგან ერთი და იგივე ძახილი ისმოდა. გაუმარჯოს ერს! გაუმარჯოს თავისუფალ ერს! ქვრივი ანო, ქალაქში რომ ხილით ვაჭრობდა, ახლა ისევ სოფელში ამოვიდა და ჯარის ვარჯიშობის დროს ის იქვე მაგიდას დახდგამდა, ცოტა რამ ღვინოს გამოიტანდა, ხელადას, და მზე არ მომეკიდოსო, სამფეროვან ქოლგას შეეფარებოდა ხოლმე. მაგრამ ისე ცხელო-

და, რომ ქოლგის ქვეშ კი არა, შინაც ველარ გაგვეძლო და აბა ჯარისკაცს რა მოუვიდოდა? წირვა გამოვიდოდა თუ არა, ჩვენც ვარჯიშობას ვიწყებდით და სამ საათზედ ძლივს ვათავებდით! რამდენს მტვერს ვყლაპავდით? ღმერთო, რა კარგად მაგონდება ყველაფერი! ჩვენი ათისთავი კერუ! ერთი დაბალ-დაბალი, ჩამრგვალებული მოხუცი იყო, პატივით თეთრი, მაგრამ ყოჩაღად გვასწავლიდა; კოხტად გაგვიძღვებოდა ხოლმე და თან ნაბიჯს გვითვლიდა: ერთი! ორი! ერთი! ორი! შესდექ! მხარმარჯვნივ! იარ! მერე გვერდით მოგვიდგებოდა, გადმოგვხედავდა და, თავით ფეხამდე ოფლში გაწურულთ რომ დაგვინახავდა, გულიანად გაიხარხარებდა და შემოგვძახებდა:

— გეყოფათ! დაისვენეთ!

გავიგებდით თუ არა, დაისვენეთო, თავგადაგლეჯილები გავრბოდით ანოსკენ და, რასაკვირველია, არც ჩვენი მოხუცებული ათისთავი დაგვავიწყდებოდა. მივიპატიჟებდით, ჯერ ერთი გაუჭასპინძლდებოდა, მერე მეორე, მესამე.... ისიც სვამდა, თავის დღეში უარს არავის ეტყოდა, სვამდა და თან იმედს გვაძლევდა:

— ნუ გეშინიათ, მამულისშვილნო, ნუ გეშინიათ! იმისთანა ბიჭები დადგებით, რომ გერმანელმა ჯარებმაც ვერა დაგაკლოთრა!

სმა ძალიან უყვარდა, მაგრამ ჩვენ რა გვენაღვლებოდა? ძალიან პატიოსანი კაცი იყო, ვარჯიშობაში ვერავინ სჯობდა და ამასთანავე საუკეთესო, თავგანწირული მამულიშვილი იყო. ჩვენს ჯარში ბევრნი არ იყვნენ ისე კარგები. ერთი ის იყო და ერთი-ორი კიდევ სხვა: მესამე წყობაში პატარა ტრინკე იყო გამოჩენილი. გარდა ამისა, გვყავდა ბაზიო — საკვირველი სასიამოვნო ხმა ჰქონდა და დიუშენი — ერთი უზარმაზარი, ჭადისავით მოუდრეკავი კაცი. ათისთავები ყველგან ხალხისკენ იყვნენ და ქალაქში ხშირად მინახავს, საღამოზედ სამხედრო სამსახური რომ გაუთავებიათ, სამხედრო ბინაზედ წასვლის მაგივრად, სახალხო კლუბში შეპარულან, ჩრდილში მიმალულან და სმენად ქცეულან — იქნება ჩვენც გავიგოთ რამე ქვეყნიერებისაო. მაგრამ გაიგონებდნენ სამხედრო საყვირს და გაჩქარებულნი მიდიოდნენ, რომ უფროსებს არ გაეგოთ და არ დაესაჯათ. უბედურნი მთელი 15 და ხშირად 20 წელიწადიც უნდა ყოფილიყვნენ სამხედრო სამსახურში და იმედი კი არავითარი ჰქონდათ, რომ წინ წავიდოდნენ: უნდა ეშრომნათ, დიდებული ოფიცრების მაგივრად საქმე იმათ გაეკეთებინათ, და ჯილდო კი სხვებს — ოფიცრებს უნდა მიეღოთ. შემდეგში, როცა რევოლუციას და ხალხს ოფიცრები დასჭირდა, დიდი

სამსახური გაუწიეს ამ სამხედრო სამსახურში დაბერებულმა ათისთავებმა და ბევრმა მათგანმა იმდენად ისახელა თავი, რომ გენერლობაც მიიღო. ამას იმ თავითვე გრძნობდნენ ათისთავები და ამიტომ იყო რევოლუციას მიემხრნენ და ხალხს გამარჯვებაში დაეხმარნენ.

საღამოობით, ნათლიაჩემი ფრთხილად ჩააწყობდა ყუთში თავის ქუდს და ეპოლეტებს, უფრო ფრთხილად დაჰკიდებდა ხოლმე განჯინაში თავის ოფიცრის ტანისამოსს, საშინაო ტანსაცმელს გადაიცვამდა და „თეორიას“ ჩაუჯდებოდა. რამდენჯერ მომხდარა, როცა კარგად გახურდებოდა სამჭედლოში მუშაობა და გაჩაღებული რკინის ნაპერწკალი ჭერსა სწვდებოდა, სწორედ იმ დროს წამოუყვირნია ნათლიაჩემს: ფრთხილად!.. მხარმარცხნივ! იარ! და გაკვირვებული რომ დავრჩომილვართ, შემოუტევნია: რას მიყურებთ? მინდოდა მენახა, ხმა როგორი მაქვს!.. ვახშამს ავალაგებდით და ჩვენი ლეტუმიეც შემობრძანდებოდა; დაჯდებოდა, მუხლს იმდენად აიწევდა, რომ ნიკაპით ზედ დაყრდნობოდა და დაიწყებდა „თეორიაზედ“ ბაასს; თან ისე ეშმაკურად უღიმოდა ტუჩი, იტყოდით, ამ კაცს რაღაცა სწადიაო. ნათლიაჩემს თეორიაში იერიშისა და ხელდახელ, ხმალდახმალ ბრძოლის გარდა არა სწამდა რა, რადგან ათისთავმა კერუმ გვითხრა, ომში სროლა კი არა, უმთავრესი იერიში არისო. დაიწყებდა თავისას, მტრისას და თავის ჯარებს დააწყობდა, იერიშს მიიტანდა... გაცხარდებოდა, ცეცხლი მოეკიდებოდა და ყვირილს მორთავდა:

— ბიჭო, მიშელ! საწერ-კალამი! ჩქარა!

საწერ-კალამს და ქაღალდს მივართმევდი და დაიწყებდა ხაზვას. ყველანი გარს შემოვეხვეოდით და ქაღალდს დავცქეროდით. ნათლიაჩემი კი ხატავდა: ეს თხრილი... სამ ადლზედ ნაკლები როგორ იქნება? ეს ზარბაზნებიო, აქ კიდევ ჩასაფრებული ჯარი. რომ უცბად დაეტაკოს მტერსაო... იმისთანა დაწვრილებით ავვიხსნიდა ყველაფერს, იტყოდით მხედართმთავარიაო: მაგრამ ლეტუმიე შიგ ყრიჭაში უდგა და წამდაუწუმ შეაყენებდა:

— მაგას რასა ბრძანებთ, ბატონო ივანე, ეგ როგორ იქნება?...

— ვითომ და რატომაო?—შეუტევდა ნათლიაჩემი. შელაპარაკდებოდნენ, გაცხარდებოდნენ. გაჯავრდებოდნენ... წამოვარდებოდა ნათლიაჩემი, მაგიდას გაბრაზებით მუშტს ჩაჰკრავდა და დაიძახებდა:

— ასე უნდა, ასე! ასე უნდა მიუსიოთ ჯარი, თორემ ამ სიმაგრეს თქვენს დღეში ვერ აიღებთ! მე გეუბნებით, ვერ აიღებთ-მეთქი!

ზოგი ნათლიაჩემისკენ იყო, ზოგი ლეტუმიესკენ; ასე გასინ-

ჯეთ, ამ სამხედრო კამათში თვით ნათლი-ჯალაბიც კი მონაწილეობას იღებდა. იმისთანა ყვირილს დავიწყებდით ხოლმე, რომ საწყალი ლეტუმიე პასუხის მოცემასაც ვეღარ ახერხებდა და ჩვენ ხომ ერთმანეთისა სრულიად აღარა გვეყურებოდა რა. ათი საათი დაჰკრავდა სასოფლო საათზედ და ჩვენ კი ისევ ჩვენსას გავიძახოდით. წამოდგებოდა ლეტუმიე, ქუდს აიღებდა, მაგრამ გარედანაც თავისას იძახდა:

— მაგას რას ბრძანებთ, ბატონო ივანე! ეგ როგორ იქნება!

და უკან გამოვეკიდებოდით, ალაყაფის კარებამდე მივდევდით და შიგ ყურში ჩავსძახოდით:

— მაშ იმ ციხეს როგორ შეუხვალთ! ასე უნდა მიუსიოთ ჯარი, თორემ თქვენს დღეში ვერ აიღებთ!

ჩვენი თავისა რომ არ შეგვრცხომოდა, მივვარდებოდით და ცემას დაუწყებდით... ჩვენი აზრის დასამტკიცებლად!

ნათლიაჩემი ხომ სულ ცოფსა ჰყრიდა:

— დასწყევლა ჩემმა გამჩენმა! ცარიელი ბზითა აქვს გამოტენილი ი გოგროხა თავი, თორემ ადამიანისას როგორ ვერას გაიგებდა?

სამხედრო ვარჯიშობაში კი მაინც ლეტუმიე სჯობნიდა: ბრძანებაც უკეთესი იცოდა და გარდა ამისა თავისი ხმლით ისე მშვენივრად ანიშნებდა, საით უნდა წასულიყო ჯარი, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, რომ ნათლიაჩემს ამაში ხმაც არ ამოელებოდა. საცა სამართალი იყო, ნათლიაჩემისა თანაშემწე კი არა, თანასწორი უნდა ყოფილიყო, და მთელი სოფელიც ამავე აზრისა იყო, მაგრამ ნათლიაჩემს უპირატესობა იმან მისცა, რომ მჭედელი და დუქნის პატრონი იყო და, მაშასადამე, უფრო წარჩინებული. გარდა ამისა ყველაზედ ლამაზი კაცი მთელს სოფელში ის იყო და ჯარის წინამძღოლიც ის უნდა ყოფილიყო.

ერთი გარემოება ცხადად ამტკიცებს იმდროინდელი ბატონების და ეპისკოპოსების უგუნურებას და წინდაუხედაობას. ბასტილის ციხე რომ აიღო ხალხმა და დაპატიმრებულნი გაათავისუფლა, დიდებულნი იქვე კი არ დარჩნენ, საერო კრებაზედ, რომ თავისი უფლებანი დაეცვათ, თუ კი უფლება ჰქონდათ რამე. თქვენც არ მომიკვდეთ! აქაოდა ხალხმა გვაჯობაო, საჩქაროდ ჩაალაგეს მაფრაშებში ბარგი და საზღვარგარეთ გაემართნენ, რომ ჩვენი ქვეყნის მტრებისთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ ჯარები ეთხოვნათ, მიდიოდნენ გაჩქარებულნი — მებატონეები, ეპისკოპოსები, ბერები, იმათი მოსამსახურენი და შინაყმანი; მიდიოდნენ, რომ თავიანთი სამშობლოსთვის უცხოელი ჯარები შემოესიათ. ლორენელები ტრევისკენ მიემგზავრებოდნენ და ალზასელები კობლენცისკენ, ან

ბაზელისკენ და თან ხმამაღლივ გვემუქრებოდნენ:

— მოიცადეთ! დავბრუნდებით და იმისთანა საქმეს გიზამთ, რომ სამაგალითოდ დარჩეს უკუნითი უკუნისამდე!

გიჟები იყვნენ სწორედ და ჩვენც გულიანად ვიცინოდით იმათ მუქარაზედ. ამას უწოდეს გახიზვნა. თავადმა არტუამ დაიწყო, იმას უბრწყინვალესი თავადი კონდე მიჰყვა, უბრწყინვალესნი თავადნი ბურბონი, პოლონიაკი და ბროგლი. ის ბროგლი, რომელიც პარიზის ჯარების უფროსად იყო დანიშნული და ბრძანება ჰქონდა, საერო კრება დაშალეო. დიაღ, იმდენი უჩიჩხინეს საბრალო მეფეს, რომ გააგიჟეს, დაღუპეს და როდესაც ნახეს, საქმე ცუდად არის, საშიშია ჩვენი მდგომარეობაო, უმტყუნეს და გაჭირვებაში მარტოდმარტო დასტოვეს.

ბევრნი გაიხიზნენ მაშინ საფრანგეთიდან.

ნათლიაჩემს კიდეც უხაროდა იმათი წასვლა:

— ჯანაბამდე გზა ჰქონდეთ მაგ ქვეყნის წურბელებს, მაგათა! დეე, წავიდნენ! ძლივს თავისუფლად არ დავრჩებით ჩვენცა და ჩვენი კეთილი მეფეც! ავს მაინც აღარავინ ურჩევს, ეგენი რომ გაგვეცლებიან!

და ყველანი ასევე უყურებდნენ დიდებულთა გახიზვნას. ნეტავი ყველანი წასულიყვნენ! მაშინ იმათი ხსენებაც აღარსად იქნებოდა. დიდი სიამოვნებით მივართმევდით ამ საჩუქარს გერმანელებს, ინგლისელებს და რუსებს. ჩვენდა საუბედუროდ, ძალიან ბევრნი დარჩნენ სამეფო ჯარების უფროსებად და, რასაკვირველია, სულ იმის ცდაში იქნებოდნენ, რომ ერისთვის ჯარი მიესიათ და ხალხის ჯავრი ხალხისავე ძალით ამოეყარათ. საშინელება განიზრახეს მაშინ შინ დარჩენილმა დიდებულებმა! შემდეგში ნახავთ, რა განიზრახეს სამშობლოს წინააღმდეგ და როგორ უღალატეს თავიანთ აღმზრდელ ქვეყანას. ამას ყველაფერს თავის დროზედ მოგახსენებთ. ხომ იცით, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.

პარიზელებს ჯერ ისევ ძველებურად უყვარდათ ჩვენი მეფე და რადგან დიდი ხანი იყო, რაც მეფე ვერსალში ბრძანდებოდა, თავიანთი ცოლები და ქალები გაგზავნეს: წადით, სთხოვეთ, პარიზში გადმოსახლდეს და დედოფალი მარიამ ანტუანეტა და ბატონიშვილი თან წამოიყვანოსო. რას იზამდა ლუი მეთექვსმეტე? დამორჩილდა და პარიზისკენ გაემგზავრა. დამშეულ ხალხს იმედი მიეცა, ახლა კი აღარა გვიჭირს რა, შიმშილისა აღარა გვეშინიაო. მეფე რომ შევიდა პარიზში, ხალხი ხმამაღლივ იძახდა:

— ვეღარ გვაჯობებს შიმშილი! აგერა ჩვენი ხაბაზი, თავის დე-

—დაკაცით და ბალღით! რაკი ხაბაზი აქ გვეყოლება, შიმშილი ვეღარას გვიზამს!

სამეფო ეტლის წინ ლაფაიეტი მიდიოდა თავის თეთრი რაშით. პარიზელებმა ლაფაიეტი ერის მცველი ჯარების უფროსად დანიშნეს და ბაილი პარიზის მამასახლისად. ხალხისთანა მინდობილი ხომ არა იქნება რა: ისე ადვილად ივიწყებს ყოველგვარ შეურაცხყოფას, თითქო ბავშვიაო. ოღონდ მოთმინებიდან კი ნუ გამოიყვანენ!

ამ ამბებს შოველი იწერებოდა. ამასთან იმასაც გვწერდა, საერო კრებაც პარიზში გადავიტანეთ და სამეფო სასახლის გვერდით ვიკრიბებითო. ისე თვე არ გავიდოდა, რომ შოველის წერილი არ მოგვსვლოდა და წერილთან ერთად ახალ-ახალი გაზეთები: პ ა რ ი ზ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს დ ღ ი უ რ ი, ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი გ ა ზ ე თ ი, პ ა რ ი ზ ე ლ ი პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი და ბევრი კიდევ სხვა გაზეთები, რომელთა სახელი ვეღარ მომიგონია.

ძალიანი წერილები ეწერა გაზეთებში, მეტადრე ლუსტალოს და კამილ დემულენის ნაწერები. დაწვრილებით იყო აწერილი, რა ხდებოდა მთელს საფრანგეთში, ან ვინ რას ამბობდა, ისე რომ, ყოველ გლეხკაცს შეეძლო თავის გარემოებას დაჰკვირვებოდა და მთელი საფრანგეთის ბედის ცვლისათვის თვალ-ყური ედევნებინა. ჩავიტანდით იმ გაზეთებს ფალსბურგში და იქ, დახურულ ბაზარში, წავიკითხავდით ხოლმე ხმამაღლა, რადგან ელო კოლენმა, პარიზელი იაკობელების და კორდელიერების მიხედვით, ჩვენშიც კლუბის დაარსება განიზრახა და როგორც მოგახსენეთ, დახურულ ბაზარში დაუდო ბინა*). აქ შევიკრიბებოდით ხოლმე საღამოობით, როცა მაღაზიები დაკეტილი იყო და ლეტუმიე იმისთანა ხმით გვიამბობდა ახალ ამბებს და ისე გარკვევით გვიკითხავდა გაზეთებს, რომ ქვემოდ მოედანზედაც კი ისმოდა იმის ხმა. ყველა მხრიდან იქ მიეშურებოდნენ ახალი ამბების მოსასმენად და ჩვენი მხრის წარჩინებულნი პირნი ლიქსჰეიმში ისე არ ჩავიდოდნენ, რომ საღამოზედ კლუბში არ მისულიყვნენ და კრებას არ დასწრებოდნენ. ტრიბოლენი—აფთიაქის პატრონი, დიდიე ჰორცუ—ჭონი, რაფიელ მანგი — მედუქნე, ფიქსარი, ბარუხი, არონი, ბერნეტი, ერთი სიტყვით, ქალაქელი თუ ქალაქში დროებით მყოფი ერთი არავინ იყო, რომ კლუბის კრებას არ დასწრებოდა და სიტყვა არ ეთქვა ადამია-

---

*) იაკობელების კლუბი. 1790 — 1794 წ. ნოემბრამდე, დაარსდა წმ. იაკობის მონასტერში. ეს რესპუბლიკელნი, ძირიანად შეცვლას უპირებდნენ საფრანგეთს.

კორდელიერების კლუბი 1790 წ. დააარსეს დანტონმა და მარატმა კორდელიერების მონასტერში; შემდეგში იაკობელების კლუბს შეუერთდა.

ნის უფლებათა შესახებ. ადამიანის უფლებათა აღრიცხვას ზედ სხვადასხვა კითხვები მოჰყვებოდა ხოლმე,—თემებად დაყოფა საფრანგეთისა, კანონი მშრომელთა და უსაქმურთა შესახებ; კანონი, რომლითაც ნება ეძლეოდათ ლუთერანებს და ებრაელთ სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში შესულიყვნენ; ნაფიც მსაჯულთა წესის შემოღება; მონასტრების გაუქმება; მონასტრების მამულების საერო კუთვნილებად აღიარება; ქაღალდის ფულის შემოღება... ერთის სიტყვით, სუყველაფერზედ, რასაც კი საერო კრება კითხვას აღძრავდა. ღმერთო, როგორ იცვლებოდა ჩვენი ცხოვრება!

უწინ რომ ყოფილიყო, მებატონეები და ეპისკოპოსები სულყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ იტყოდნენ, სულყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ მოაგვარებდნენ; ჩვენ არც კი მოვაგონდებოდით; მოგვდგებოდნენ და არც კრეჭას დაგვაკლებდნენ, არც პარსვას. შემოგვისევდნენ თავიანთ მოურავებს, გზირებს, შინაყმებს და სულ ტყავს გაგვაძრობდნენ. რას ვიზამდით? გავუძალიანდებოდით? ჯარს მოიშველებდნენ, ოც-ოცს კაცს ჩაგვიყენებდნენ სახლში და ვაი ჩვენი ბრალი! რასაც გვიბრძანებდნენ, კანონიც ის იქნებოდა. ჩვენი კეთილი მეფე, ჩვენი შემბრალებელი და ჩვენთვის გულდამწვარი მეფე სულ ჩვენს ფიქრში და ზრუნვაში იქნებოდა სიტყვით... და საქმით კი... ისე მოუცლელად იყო სამეფო საქმეებისა გამო — ეს მეჯლისიო, ეს წარმოდგენებიო, ეს ნადირობაო, ეს უცხოელთა გამასპინძლებაო და სხვადასხვა გარემოებისა-და გვარი ცერემონიებიო — რომ ხალხი და ხალხის გაჭირვება არც კი აგონდებოდა. იმის იმედით რომ ყოფილიყო ხალხი, — მოვიცდი, ჩემი კეთილი მეფე ჩემთვისაც მოიცლისო, — დღესაც მშიერ-მწყურვალი, ტიტველი და გონებრივად გლახაკი იქნებოდა. როგორც რევოლუციამდე იყო. განა მეტი ბედნიერება კიდევ ექნება რამე, ადამიანს თავის ცხოვრება შეეგნოს და თავისუფლად სჯა და ბაასი შეეძლოს თავის გაჭირვების შესახებ?! განა მეტი ბედნიერება კიდევ შეიძლება, ქვეყანაში კაცს ხმა და უფლება ჰქონდეს, თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი, მეგობარს ქებით დაუხვდეს და მტერს თავსლაფი გადაასხას?

სიცოცხლე თავისუფლებაა! ეხლაც თვალწინ მიდგას თავისუფლების მადლით გაბრწყინვალებული ჩვენი კლუბი! ჩვენი ძველი დახურული ბაზარი, ოდნავ განათებული ერთადერთი ლამპარით, რიგზედ ჩარიგებული სკამები და ხალხი, იმდენი ხალხი, რომ ნემსის წვერი ვერსად ჩავარდებოდა! დიდი, პატარა, ქალი და კაცი სულ იქ იკრიბებოდა! სკამზედ შესდგებოდა ჩვენი კოლენი და დაიწყებდა გაზეთის კითხვას. სმენად გადაიქცეოდა ხოლმე ყველა და

ვისაც ნაკლებად ეყურებოდა, ის უფრო გულმოდგინედ ისმენდა. გარედან ქარის გრიალი შემოდიოდა, ქალაქის ხმაურობა, მაგრამ ჩვენ ყურადღებასაც არაფერს ვაქცევდით. და თვით ასასები და დარაჯები ისე დადგებოდნენ ქუჩაში, რომ მოლაპარაკეთა სიტყვა არ გამოჰპარვოდათ.

და თვით ისინიც კი, ვისაც პირდაპირი ვალდებულება ედვა, ჩვენი კლუბი აეკრძალათ, ჩვენ კიდევ დავეჭირეთ და, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ჩვენს სოფელში ავერეკეთ, თვით ის მოხელენი ისე გვექცეოდნენ, თითქო ვერასა ხედავენო. ჩვენი მამასახლისი თავისი სამფერი სარტყელით და იმისი თანაშემწენი: ბოქაული ივანე ბოკერი და კიდევ სხვანი, ვისიც ჯერ არს ყოველი უწესივრობის წინააღმდეგობა და აკრძალვა, ორი-სამი წლის წინათ ამისთანა საქციელისთვის ციხეში გვიკრავდნენ თავსა! მაშინ კი ჩუმად აგვივლიდნენ გვერდზედ, თითქო სეირნობენო და ჩვენი იქ ყოფნა და სახელმწიფო საქმეებზედ ბაასი არც კი იციანო.

დიაღ, ვისაც ეს ამბები არ უნახავს, ვერც ამ ცვლილების სიტკბოებას გაიგებს და იმათ მე ერთს ვურჩევ: ეცადნენ, მოიხმარონ, რაც ძალ-ღონე და გონიერება აქვთ, რომ ისევ იმ დღეში არ ჩავარდნენ, რა დღეშიაც 1789 წლამდე ვიყავით. უმთავრესი ეს არის, რადგან ძალიან ბევრნი ცდილობენ ძველი წესწყობილების აღდგენას. ქვეყნის მოღალატენი ყოველთვის იქნებიან და ყოველთვის იმას ეცდებიან, თავიანთი დღენი განცხრომით და ქეიფით გაატარონ და თავის მაგივრად ხალხი ამუშაონ.

და იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ასე იცვლებოდა, როდესაც მთიულნი ბარს მოედვნენ და თავადაზნაურთ სახლკარი და მონასტრები და საბაჟოები არსად გადარჩათ; როდესაც დიდებულნი ისეთის სიჩქარით იხიზნებოდნენ საფრანგეთიდან ზოგი ეტლით, ზოგი ცხენით და ზოგი ფეხითაც; როდესაც გაუქმებული საბაჟოების მოხელენი იმასღა ცდილობდნენ, რომ ერის მცველ ჯარში ოფიცრებად ჩარიცხულიყვნენ; ერთი სიტყვით, როდესაც ასეთი დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, მე უფრო საწყალი მამაჩემი დამახსომდა: სულ იმასა შიშობდა ცხონებული, ქვეყანა აირია, ქვეყანა დაიღუპა და ჩემს კალათებს ვილა იყიდისო. დედაჩემი ხომ სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მეორედ მოსვლა დადგა და ვაი ჩვენი ბრალი, სულით ხორცამდე დავიღუპებითო! სწორედ იმ დროს იყო, რომ შეწუხებული შემოვიდა ერთ საღამოს ჩემი ძმა კლოდი და მწარედ ამოიოხრა: ჩვენი ბერები გახიზვნას აპირობენ, მე ჩემს ჯამაგირში გამისწორდნენ

და დამითხოვეს. ახლა რაღა მეშველება, რა შავ ქვას ვახალო თავიო.

მაშინ ოცი წლისა ვიყავი და ქვეყანა ჩემი მეგონა. მკლავი მიჭრიდა, სიცოცხლე მიხაროდა და ჩვენების შიში მიკვირდა, მაბრაზებდა კიდეც. ისინი რომ წუწუნს დაიწყებდნენ, მე თავს ვეღარ შევიმაგრებდი და შევუტევდი:

— რა არის, არა გრცხვენიათ, რომ აგრე გეშინიათ! თუ კი იმოდენ უბედურებას და ვაი-ვაგლახს გავუძელით, თუ კი იმოდენი გადასახადი და ხარჯი ავიტანეთ და თანაც იმოდენ მუქთახორა ხალხს ვაცხოვრებდით—ეს ბატონიო, ეს ბერიო, ეს მოხოზანიო, რა ვიცი, ვისაც კი შრომა არ უნდოდა, ყველა ჩვენ გვაწვა კისერზედ;—არა, თუ კი იმოდენი ტანჯვა-წვალება ავიტანეთ, ეხლა რაღასი უნდა გვეშინოდეს, როდესაც ის მაინც ვიცით, რომ ჩვენს ნამუშევარს არავინ წაგვართმევს. ქვეყანაზედ საქონელი ხომ არ გაწყვეტილა და აქამდის თუ ბერების საქონელს აძოვებდა კლოდი, ცოტა მომითმინოს და ნახავთ თუ მე ჩემი საკუთარი საქონელი არ ჩავაბარო.

ძალიან თავხედურად მომივიდა, მეც ვიგრძენ, მაგრამ სიყმაწვილეს რას უზამთ? ყოველ დღეს სხვადასხვა აზრები შემოჰქონდა ჩვენს სიცოცხლეში და იმათ ძალას, რასაკვირველია, მეც დავემორჩილებოდი. ბევრი რამ მწამდა მაშინ ისეთი, რომ ჩვენებთან თქმასაც ვერ გავბედავდი და სხვათა შორის ისიცა მწამდა, რომ ადამიანიშვილი ყველა ერთია, ყველა სწორია და თუ ერთს მეორე დაუმორჩილებია, იმიტომ კი არა, რომ მართლა ძლიერი ყოფილა და უჯობნია, არა, მარტო იმით დაუმორჩილებია, რომ დამორჩილებულს თავისი თავი სუსტი და უძლური ჰგონებია. მე მწამდა, რომ ყოველი პატიოსანი კაცი დაჩაგრულთა განთავისუფლებას უნდა ცდილიყო.

დედაჩემი იქვე იდგა და განცვიფრებული, პირმოკუმული და თვალებდაშტერებული შემომცქეროდა; კარგა ხანი მიყურა ასე, თითქო ხმის ამოღება ვერ მოუხერხებიაო. მერე, როცა ცოტათი დამშვიდდა, მითხრა:

— აბა სწორედ მაგ ამპარტავნებისთვის დაგამცრობს, შვილო, ღმერთი! იქნება გგონია, იოსები იყო, რომ აღსდგეს შენი ძნა და შენი ძმების ძნა მის წინაშე მოიხაროს და თავმდაბლად სალამი მისცეს? იქნება გგონია, მზე და მთვარე და ვარსკვლავნი მარტო იმიტომ ანათებენ, რომ თაყვანი სცენ შენს დიდებას?! დღევანდელი დღე დაიხსომე, შვილო, და როდესაც შენ ეგვიპტეში იყო და საბლთუხუცესობა მიიღო, მაშინ დედაშენს ნუღარც კი მოიგონებ.

შენ თუ დაგღუპავს, ეგ ამაყი, ამპარტავანი გული დაგღუპავს და, ღმერთმა კი დაგიფაროს, შენი ბოლო სახრჩობელა იქნება!

გავათავებდით თუ არა მუშაობას, ცოტათი შევნაყრდებოდი და ქალაქისკენ მივეშურებოდი, რომ პირში შეებმოდი ძველებური წესწყობილების მომხრეთ, თუ კი გაბედავდა ვინმე და ხმას ამოიღებდა. ყველა მოხელეს, რომელნიც ძველებურს ამჯობინებდნენ, ჩვენ არისტოკრატებს ვეძახდით. ერთი კი გაებედნა და ეთქვა რამე ამგვარ არისტოკრატს, ყველაზედ მაღლა მე შევუტევდი, თვალები სისხლით ამევსებოდა, უფროს-უმცროსობისას აღარას ვარჩევდი. ისე გავეჩვიე ჩვენს კლუბში, რომ სრულიად დაურიდებლივ, ჩემს ნებისად ვიყავ და რომ მომეწონებოდა ვისიმე სიტყვა, ყველაზედ უწინ მე ვუყვიროდი: „გაუმარჯოს კონსტიტუციის მომხრეს!“ არ მომეწონებოდა და—არც იმას დავმალავდი: „შორს ჩვენგან, ცრუ პატრიოტებო!“ ეს ყველამ იცოდა ჩვენს სოფელში და ძალიან პატივისცემით მიყურებდნენ. კლუბიდან ათ საათზედ წამოვიდოდით ხოლმე შინისკენ, და როცა მთვარიანი ღამე იყო და გული მხიარულადა გვქონდა, „წავა“-ს * ვმღეროდით. მამაჩემსავით ტკბილი ხმით დავძახებდი ხოლმე, სხვები ბანს მომცემდნენ და მივდიოდით. ისე გაიტაცებდა ხოლმე ჩვენი საამური სიმღერა ნათლიაჩემს, ისე მოუტკბობდა გულს, რომ მოვიდოდა, მხარზედ ხელს დამკრავდა და

---

* როდესაც ჩრდილოეთი ამერიკის მკვიდრნი ინგლისისაგან განთავისუფლებისათვის ებრძოდნენ, ფრანკლინი პარიზში იყო და ამერიკიდან მოსულ დეპეშას ისე არ წაიკითხავდა, რომ არ ეთქვა: „წავა, წავა, საქმე კარგად წავა“. ასევე იმედიანად შეჰყურებდა რევოლუციას პარიზელი ხალხი და ამ სიტყვებზედ აგებულ სიმღერით მიდიოდა ყოველ ბრძოლაში:

წავა, წავა, კარგად წავა
და კარგადაც გათავდება,
იმდენ თავადს ჩამოვახრჩობთ,
რომ თოკიც კი გაძვირდება!

წავა, წავა, კარგად წავა
და კარგადაც გათავდება,
დღეს ჩვენ ავეშალეთ მეფეს,
ხვალ ქვეყანა აეშლება... .

წავა, წავა, ყოველს სტრიქონში უცვლელად რჩებოდა და დანარჩენი სიტყვები კი გარემოებათა დაგვარად იცვლებოდა.

ხმაც იმდროინდელ, ყველასაგან მოწონებულ ოპერიდან შეურჩია ხალხმა თავის სიმღერას, ის ხმა, რომელიც გაგიეებით უყვარდა დედოფალს მარიამ-ანტუანეტას და ყოველ დღე უკრავდა.

მეტყოდა: ყოჩაღი ბიჭი ხარ, მიშელ! შენ აგრე ყოჩაღად იყავ და მე და შენ ყოველთვის ერთად ვიქნებით.

ეჰ, რა კარგი ხარ, სიყმაწვილეო! სადაც უნდა ვყოფილიყავ და რაც უნდა მეთქვა, სულ იმას ვცდილობდი, ისე მოვქცეულიყავ, როგორც ჩემს მარგალიტას მოეწონებოდა. მარგალიტას სიყვარულით ერთი-ორად პატრიოტი ვიყავ. გული სიყვარულით მქონდა სავსე, და გონება თავისუფლებით.

ისე გაქრა ის წელიწადი, არც კი შეგვიტყვია. ზამთარი თბილი იდგა და ჩვეულებისამებრ არ გაგვიჭირა საქმე; თოვლი მოდიოდა, მაგრამ იქვე დნებოდა და თებერვლის გასულს თითქმის გაზაფხულის ღარი დაიჭირა.

გაზაფხულდა. 1790 წ. მარტში, აპრილში და მაისში სხვადასხვა სოფლის მილიციებმა ერთმანეთში მისვლა-მოსვლა დაიწყეს და სამაგალითო მეგობრული განწყობილება ჩამოაგდეს. ხან ერთს სოფელში შეიკრიბებოდნენ, ხან მეორეში, ერთმანეთს ძმობას და ერთობას შეჰფიცავდნენ, ბატონყმობის გადაგდებასა ხარობდნენ და თან კონსტიტუციის შემოღებას ულოცავდნენ ერთმანეთს. მოხუცებულები შესაფერ სიტყვას ამბობდნენ და ისე გაიტაცებდნენ ხოლმე მსმენელთ, რომ ცამდე ადიოდა იმათი ძახილი.

— სულ გავწყდებით და ჩვენს თავისუფლებას კი აღარ დავკარგავთ!

ქალებიც მოვიდოდნენ ხოლმე, რომ მილიციელების თავყრილობას დასწრებოდნენ და სიტყვები მოესმინათ, თუმცა თითონ არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ და შორიდან გვიყურებდნენ.

ბატონყმობის გადაგდებამ ისე არ ასიამოვნა გლეხკაცობა, როგორადაც სასულიერო წოდების მამულების გაყიდვამ.

ყველა დამეთანხმება, რომ რევოლუციის დროს, როდესაც უარვყავით ყოველი ძველი გადასახადი და ხარჯი, სახელმწიფო შემოსავალს შესამჩნევად უნდა ეკლო და აგრეც მოხდა: ხაზინის ზარალი დღითი დღე მატულობდა. საერო კრება მთელს სამეფოს, მთელს საფრანგეთს წარმოადგენდა და, მაშასადამე, არ შეეძლო ჩვენი ძველი მეფეებივით გამოეცხადებინა, სამეფო ხაზინა გაკოტრდაო! საერო კრება ამას ვერ იზამდა, საერო კრება ერს ვერ შეარცხვენდა. მაშ საიდან გადაეხადა ძველი ვალები? ჩვენი კეთილი მეფეებისაგან აღებული ვალები? სად ეშოვა იმდენი ფული? ჩვენდა საბედნიეროდ, ოტენელმა ეპისკოპოსმა ტალეირან დე პერიგორმა გამოაცხადა: საფრანგეთის ეკლესიას ოთხი მილიარდის მამული აქვს; ეს სიმდიდრე განუყოფელ საკუთრებას შეადგენს მთელი სა-

სულიერო წოდებისას... სასულიერო წოდებას საკმარისი საშუალება დავუნიშნოთ საცხოვრებლად და მამულები წავართვათ; და რადგან მუშაკაცის ხელში მამულები უფრო მეტს ნაყოფს მოგვცემენ, თუ კარგად მოვიქეცით, იმდენს ავიღებთ, რომ სასულიერო წოდებასაც თავისი ვაძლიოთ და ჩვენც დაგვრჩესო.

რევოლუცია ამ წინადადებამ დაიხსნა. ბევრი იუარეს სხვა ეპისკოპოსებმა, ბევრს ეცადნენ, თავიანთი მამულები ხელიდან არ გაეშვათ, მაგრამ საერო კრებამ მაინც თავისი არ დაიშალა და კანონი გამოაცხადა, რომლითაც საეკლესიო მამულები უნდა ვაყიდულიყო და სასულიერო წოდებას მის სამაგიეროდ ჯამაგირები უნდა დანიშნოდა.

ამან დაიხსნა საფრანგეთი გაკოტრებისაგან და 1790 წ. ოთხასი მილიონის მამულები გაუყიდეს ეკლესიას.

ღვთისწყალობა გაქვთ, მაშინ კი გამოფხიზლდნენ მოხუცებულები! თუმცა მანამდე სულ ზიზღით ახსენებდნენ რევოლუციას, მაგრამ ამ ამბის გაგონებაზედ უცბად რევოლუციის თავგამოდებული მომხრენი გახდნენ, მაშინვე თავიანთ ძველის-ძველი კოჭობები მოძებნეს და წვრილ-წვრილად, შაურობით და უზალთუნობით მოგროვილი ფული ამოიღეს. ვისაც კი ცოტა რამ გააჩნდა შავი დღისთვის მიმალული, ყველა სამამასახლისოსკენ მიეშურებოდა.

მამულები სამამასახლისოში იყიდებოდა და ვინც ყველაზე მეტს შეაძლევდა, მამულიც იმასა რჩებოდა. უმეტესი ნაწილი იმ პირობით ყიდულობდა, რომ მცირე ნაწილს მაშინვე იხდიდა და დანარჩენს კი რამდენიმე ხნის განმავლობაში; დიდძალი მამული გაიყიდა ამგვარად. ზოგმა ხუთი დღიური იყიდა, ზოგმა ათი, ოცი და ზოგმა მეტიც. ყოველი სამამასახლისო ვალდებული იყო გაყიდული მამულის ფული პარიზს გაეგზავნა, რომ იმ ფულებით გადაეხადნათ თავად-აზნაურთაგან და სასულიერო წოდებისაგან აღებული ვალი; ჩვენ ხომ ჩვენს დღეში არავინ გვკითხავდა ვალის აღებას და ფულების ხარჯვას! ოღონდ ის იყო, რომ ფულის მაგიერად ბარათებს გზავნიდნენ, ამდენი დღიური გავყიდეთ და ფული ამდენი ავიღეთ; ფულს როცა მოგვთხოვთ, ან როცა ნისიას ვადა მოუვა, მოგართმევთო. ამ ბარათებს ასიგნაცია დაარქვეს და. რადგან ყოველი ასიგნაცია მამულის ფასს წარმოადგენდა, რადგან ამ ასიგნაციით ყოველთვის შეიძლებოდა კაცს მამული ეყიდნა, ამიტომ იმ ბარათებს ისე ვხმარობდით, როგორც ოქროსა და ვერცხლის ფულებს.

ვაი საწყალი კაცის ბრალი, თორემ მე რომ იმ დროს ცოტა ფული მქონოდა, იმისთანა მამულს შევიძენდი, რომ საშვილიშვი-

ლოდ მყოფნოდა. ლიქსჰეიმის ტბის პირი და ტირსელენის მონასტრის საბალახო ისე მომწონდა, რომ დღე და ღამ სულ იმის ფიქრში ვიყავ, ფული სად ვიშოვო-მეთქი? მაგრამ ჯიბეში არა მიჭყავოდა რა და ვიყავ ჩემთვის ყურებჩამოყრილი. მაგრამ როგორ გამიძლებდა გული? როგორც კი გავიგებდი, მამულებს ჰყიდიანო, პირველად მე ჩავიდოდი ხოლმე სამამასახლისოში, ვიდექი და შევცქნავოდი. ზოგი მიწებს ყიდულობდა, ზოგი საბალახოს, ზოგი ტყეს. მე გული მისივდებოდა! კაცი არავინ მყავდა, რომ თავდებად დამდგომოდა, თორემ განა ვადით მეკი არ მომცემდნენ! და როცა მოხუცებულ გლეხკაცს ვისმე მამული დარჩებოდა და გახარებული მიეჩქარებოდა შინისკენ, მე შურის თვალით ვუცქეროდი და გულს ვიმაგრებდი:

— იშრომე, მიშელ! იშრომე და იყაირათე! ამისთანა კაი დღე შენც გაგითენდება, სიბერეში მაინც, ეხლა თუ არა!

და ჩემს დღეში არ დამვიწყებია ეს რჩევა. საუბედურო, რაც საუკეთესო შემთხვევა იყო, ისე გამეპარა, რომ გროშისა ვერა შევიძინე რა და ეხლა მართებლობის ტყეები ღა არის გასასყიდი. ისიც ვინ იცის, კიდევ ექნება ხაზინას ზარალი? სახელმწიფო ხაზინას ეხლა ისე ფრთხილად და ყაირათიანად განაგებენ, რომ ზარალი ძნელი მოსალოდნელია და მაშასადამე იმ ტყესაც არ გაჰყიდიან. რა გაეწყობა? რაცა კაცსა ღმერთმან მისცეს, საქმე ის არის იმის მადლიერი იყოს და... ცდილობდეს კიდევ სხვაც შეიძინოს რამე.

რა საჭიროა, და ვერც შევძლებ აგიწეროთ, რა დაღრეჯილები შემოგვცქეროდნენ ბერები, იმათ მამულებს რომ ვყიდდით. გვწყევლიდნენ, გვლანძღავდნენ, ეკლესიიდან განდევნას გვიქადიდნენ... შეჩვენებულ იყოს ჩვენი მამულის მყიდველი უკუნითი უკუნისამდე თითონაც და იმის შთამომავალნიცაო! აქაც დაიღუპება და საიქიოსაც ჯოჯოხეთს ვერ ასცდებაო... მაგრამ გლეხკაცი და მამული! ოღონდ გლეხკაცს ცოტა რამ მამული შეაძენინეთ და არც შეჩვენებას შეუშინდება, არც წყევლას და არც ჯოჯოხეთს.. რაღა გავაგრძელო, ბერების წყევლას ყურადღებაც არავინ მიაქცია, და ყველაზედ ნაკლებათ ნათლიაჩემმა. ყველაზედ დიდი მამული იმან შეიძინა — ასორმოცდაათი დღიური იყიდა პიკჰოლცში, სულ სანაქებო, საშვილიშვილო მამული. ფასიც ისეთი არა მიუცია რა და სიხარულით ცას დაეწია: ვერ წარმოიდგენთ, როგორ დაიბერავდა ხოლმე ლოყებს, როდესაც ამ მამულზედ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა. ნათლი-ჯალაბიც კმაყოფილი იყო, მაგრამ ხანდახან საიქიო მოაგონდებოდა ხოლმე და გული აუჩქროლდებოდა: 'ერ-

თიც ვნახოთ, ღმერთმა გვიწყინოს ბერების მამულის შეძენა, ვერ?.. ხომ ვეღარა ვცხონდიო! მოაგონდებოდა თუ არა სულის ცხონება, მაშინვე ნათლიაჩემს მივარდებოდა და უსაყვედურებდა, აქაურ სიკეთეს იქ ცხონება არ გვერჩივნაო?! ნათლიაჩემი კი თვალს მოჭუტავდა, ლოყებს უფრო დაიბერავდა, დარბაზში გაიცლიდა და სიცილით უპასუხებდა:

— მაგას მართალს ამბობ, მაგრამ ერთი კარგი კელაპტარი დავუნთოთ ღვთიმშობელს და სამოთხის თავში ჩვენ გამოვეჭიმავს! ნუ გეშინია, ეკატერინე, თუ ამ მამულის შეძენისთვის ჩვენ ღმერთმა მოგვკითხოს რამე, აი, ეს ულვაში მომჭერი!

და ისე გულიანად გაისარხარებდა, რომ მუცელი ფამფალს დაუწყებდა ხოლმე. ხელებს ჯიბეში ჩაიწყობდა და თვალები ისე ეშმაკურად უცინოდა, თითქო იძახის: ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

ნეტავი მეც შემძლებოდა ერთი იმდენი კი არა, იმის მეათედი მაინც და ღვთის მმოსავ ბერებს რამდენიც უნდა ვეწყევლე! ნათლიაჩემსაც ბევრნი სწყევლიდნენ, და მეტადრე დედაჩემი. დედაჩემმა ვეღარა და ვეღარ აპატია ეს ცოდვა და ნათლიაჩემს ისე ვერავინ ვახსენებდით, რომ იმას წყევლა არ დაეწყო. ნათლიაჩემი კი ამ წყევლაზედ უფრო და უფრო სუქდებოდა.

— ახლა კი აღარა მიჭირს რა, — იტყოდა ხოლმე, როცა კარგ გუნებაზედ იყო, — ღმერთმა იმდენი მომცა, რომ ჩემს ხელობას რომ თავი დავანებო და სამჭედლოში აღარც კი შევიხედო, მაინც გაუჭირებლივ ვიცხოვრებ, ტალეირან და პერიგორისა არ იყოს, მეც გულხელს დავიკრებ და ერთი სიტყვით ჩავაჩუმებ, ვინც ჩემს წყევლას ბედავს: გშურს და იმიტომ იწყევლები-მეთქი, ვეტყვი.

ამიტომ იყო, რომ ნათლიაჩემს სიბერე ვერ მოერია. სხვები იმის ხნისანი დაბერდნენ, დაჩაჩანაკდნენ და ის კი სამოცდათექვსმეტი წლისაც ისე მხიარული და ყოჩაღი იყო, თითქო ჯერ ორმოცდაათისაც არ არისო.

ყველაზე მეტად ნათლიაჩემს ბერი ბენედიქტე გადაეკიდა და ისე სწყევლიდა, ისე ევედრებოდა ღმერთს იმის დაღუპვას, რომ იმას რომ ერთი იოტის ოდენაც არის მადლი ჰქონოდა, ნათლიაჩემი ცოცხლივ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებოდა. იჯდა თავის ჯორზედ, ქვეყანა ფეხქვეშ ედო და ყველგან ნათლიაჩემს და რევოლუციას სწყევლიდა. ის იყო და ისა, რაც უნდა ეძახნა ნათლი-ჯალაბს, რაც უნდა ეძლევინა, ის ჩვენკენ არ მოიხედავდა და ჩვენსას აღარაფერს ნდომულობდა. ნათლი-ჯალაბის ძახილს რომ გაიგონებდა, შემოსძახებდა:

— მე ნაქურდალი არა მინდა რა! — და თან პირჯვარს იწერდა. ნათლიაჩემი კი გულიანად იცინოდა.

ნათლიაჩემი იცინოდა, მაგრამ ვალენტინი კი კინაღამ გაგვექცა. ჯერ ბერების მამულების ყიდვა ვერ ეპატიებინა ნათლიაჩემისთვის და ამ სიცილს და ამგვარ პასუხებს ხომ უფრო არ მოუთმენდა. ითმენდა, ითმენდა და მერე კაი მკვახე პასუხსაც აკადრებდა ხოლმე ოსტატს. და რადგან ქარგალისაგან ამას არავინ მოითმენდა, წასვლა დააპირა და ისევ მე შევუჩნდი და დავამშვიდე. ისიც რითი დავამშვიდე? როცა ოსტატი სამჭედლოში არ იყო, პირს მოხსნიდა ხოლმე თავის გუდას და იმდენი ხანი ლაპარაკობდა, ვიდრე თითონ არ დაიღლებოდა.

სასულიერო წოდების მამულები სულ ამგვარად გაიყიდა და რადგან ეს მამულები მარტოდმარტო გლეხკაცობამ შეიძინა, უცბად წამოიწია გლეხკაცმა და იმდენად წამოიწია, რომ ქალაქის მუშებს აღარაფერში დაუვარდებოდა, მით უფრო, რომ რაც საბატონო მიწები ჰქონდა, იმის გადასახადიც ძალიან შეუმსუბუქდა. ისე წამოიწია მეურნეობამ, რომ მტრის თვალსაც გაახარებდა. უწინ ბერების ხელში ყველგან ჭალები, ჭაობები და ბუჩქნარი იყო. ან რისთვის უნდა შეწუხებულიყვნენ, მონასტრებს მარანში და ბეღელში რამდენიმე წლის სამყოფი ჰქონდათ ყოველთვის შენახული და როდესაც სოფლის მღვდელი ცარიელ ჭადზედ იყო მიტოვებული — ხალხს რა ჰქონდა, იმისთვის რა მიეცა? — და შვილები უსწავლელი რჩებოდა, ბერებს იმდენი ჰქონდათ, რომ შეჭმას ვეღარც კი ახერხებდნენ. ზოგი ანდერძით რჩებოდათ, ზოგი შეწირულებით, ზოგს კიდევ იმითი შოულობდნენ, რომ ქადაგებდნენ: მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი, თორემ ჯოჯოხეთს ვერსად წაუხვალთო! და მონანიება მარტო იმითი შეიძლებოდა, თუ მონასტერს შესწირავდნენ რასმე. და დღითი დღე მდიდრდებოდა მონასტერი და სარჩოსა და მამულებს იძენდა. იყვნენ თავისთვის უდარდელად, უზრუნველად და შეექცეოდნენ. ხორციელად იმათზედ უკეთესად არავინ იყო და სულიერად ხომ ისინივე არიგებდნენ სულის ცხონებას. იყვნენ ასე უსაქმურად და ამით უფრო მეტს შოულობდნენ, ვიდრე პატიოსანი შრომით შეიძენდნენ.

ჩვენი საქმე სულ სხვა არის. კაცი რომ საკუთარს ეღირსება რასმე, შრომასაც უნდა უმატოს და უნდა გენახათ, როგორ შრომობდნენ საკუთარ მამულზედ ჩვენი გლეხკაცები. ახლა კი შიში აღარა ჰქონდათ, მოსავალს ბატონი წაგვართმევსო და ისე უვლიდნენ თავიანთ მიწებს, რომ იქნება ისე საკუთარ ცოლ-შვილისთვის არ მოევლოთ. გადახნეს იმოდენი უტეხი მინდვრები, ბუჩქნარი

ამოაგდეს, ჭაობები გააშრეს, სუსტ მამულს პატივი შეუმატეს და ბაყვავეს ქვეყანა; ჩვენს სოფლებს ჩვენც ვეღარა ვცნობდით. ჯერაც არ გათავებულა ეს შრომა, ჯერაც არ გაუთავებია გლეხკაცს ჭაობების დაშრობა და ხრიაკის სახნავ-მიწად გარდაქმნა: ახლა რამდენი ახალ-ახალი ხერხი და წამლობა შემოიღო, მეტადრე ვაზის მოვლაში: ეს გოგირდით წამლობაო, ეს სეტყვისაგან დაზღვევაო, ეს არხების გაყვანა და ურწყავის მორწყვაო, ეს უცხოელი უცნობი მცენარეების გაჩენაო და უცნაური მანქანების ხმარებაო. რევოლუციამ მოგვიტანა მეურნეობის გაუმჯობესება და იმის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ შრომას და პატიოსნებას თავისუფლება მიანიჭა და მით ბარაქიანობა დაულოცა.

მაგრამ, საუბედუროდ, ქვეყნად სიკეთეს მოწინააღმდეგე უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მომხრე და, საცა უვიცი და ბიწიერი არის ვინმე, ყველანი იმას ცდილობენ, სიკეთე არსად ვაბატონოთო. ასე იყო 1790 წელს. ახალი კანონების წინააღმდეგობა გამოაცხადა მთელმა სამხრეთ-საფრანგეთმა; სამხრეთ საფრანგეთში ბერი წმიდანად ჰყავდათ მიღებული და უვიც, უბედურ ხალხს ისე თურმე ჩააგონეს ბერებმა, რომ თუ გაბრიყვდით და ახალი კანონები მიიღეთ, სულით ხორცამდე დაიღუპებით, რადგან ეგ ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგი კანონებიაო. მონთობანში, ნიმში, მონპელიეში და ტულუზში ეპისკოპოსებს ბრძანება გაეცათ, რომ მღვდლებმა არავითარი ჯამაგირი არ უნდა აიღონ ღვთისა და ქვეყნის მტერთაგანო. ლუთერანებს სდევნიდნენ და ხოცავდნენ; იმ დროს, როდესაც გახიზნულები ცდილობდნენ მთელი ევროპა ჩვენს წინააღმდეგ აემხედრებინათ, თუ გვიხსნიდა რამე მტერთაგან, მარტო ერთობა გვიხსნიდა. სწორედ იმ დროს ჩვენში ასეთი უთანხმოება და განხეთქილება იწყებოდა. ყველანი ვხედავდით, რომ ეს განხეთქილება დაგვღუპავდა; ყველანი ვგრძნობდით, რომ ბერების სარწმუნოების სახელით მარტო იმიტომ აღელვებდნენ ხალხს, რომ თავად-აზნაურთ და სასულიერო წოდებას ჩვენთან ბრძოლის ასატეხად საკმარისი ძალა არ ჰქონდა და ცდილობდა ხალხი ხალხისავე ხელით დაეხრჩო; მით უფრო, რომ საფრანგეთის მართებლობის ჯარების უფროსად სულ თავად-აზნაურნი იყვნენ. რამდენჯერ უთქვამს ნათლიაჩემს შოველისაგან გამოგზავნილი გაზეთების კითხვის დროს:

— რას გვარგებს კარგი კანონი, თუ კი ძალა მტრის ხელშია? რას გვარგებს პარიზიდან ჯარების გასტუმრება, თუ კი იქვე რამდენიმე საათის სავალზედ დგანან საომრად მომზადებულნი და ბრძანებას ღა ელიან, რომ ისევ პარიზში შევიდნენ? იცით მერე რა ჯა-

რებით დაეცემიან მტრები პარიზელ ხალხს? იმ ჯარებით, რომელთა უფროსები სულ უბრწყინვალესი თავადიშვილები და დიდებული თავად-აზნაურნი არიან, ჩვენი სისხლისმსმელი მტრები! ერთიც ვნახოთ, დაიწყეს სიარული და თავი დაუკრეს პარიზელებს... საერო კრებას შემოეხვივნენ, ძალა იხმარეს და დაშალეს, გახიზნულები უკანვე დაიბარეს, ჩვენი ნაყიდი მამულები უკანვე წაგვართვეს და ყელზედ ისევ მონობის საბელი მოგვაბეს! არა, სისულელე არ არის, რომ ჯარის უფროსებად ჩვენი მტრები არიან! მერწმუნეთ, თავად-აზნაურებისთანა დაუდგრომელი მტერი ჩვენ არავინ გვეყოლება. ჩვენი ჯარის უფროსებად რომ ავსტრიელები ყოფილიყვნენ, იმათი მეტი იმედი მექნებოდა, ვიდრე დიდებული თავად-აზნაურობისა.

ვის შეუძლია ჩამოსთვალოს, რამდენ საზიზღარ ცილსა სწამებდნენ მესამე წოდებას თავად-აზნაურნი და ეპისკოპოსები თავიანთ ნაწერებში! იმათ თხზულებებში „ხ ს ნ ა ს ულ ი ს ა შ ე ნ ი ს ა“, „წ ა მ ებ ა ლ უ ი მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი ს ა, ე ბ რ ა ე ლ თ ა დ ა ფ რ ა ნ გ თ ა მ ე ფ ი ს ა“ და სხვებში ხალხის ლანძღვის და ცილისწამების მეტს ვერას იპოვიდა კაცი.

იმათ გაზეთებში ხომ იმოდენი სიცრუე იყო დაბეჭდილი, — იქნება ხალხს რევოლუცია შევაზიზღოთო, — რომ გული აერეოდა კაცს: არა რცხვენიანთ, ამას როგორ კადრულობენ დამწერნიო?!

ყოველ მხრიდან საჩივარს იწერებოდნენ იმ სამარცხვინო გაზეთებში, საერო კრებამ ისე გარყვნა ხალხი, რომ ჯარისკაცებს თავიანთი უფროსებისა აღარც შიში აქვთ და აღარც რიდიო. ღიდებული გვარისშვილი ოფიცრების დასაკმაყოფილებლად საერო კრებას უნდა დაეხვრიტა ჯარისკაცები, რადგან იგინი თავიანთ უფროსებს ეურჩებოდნენ და ხალხის წინააღმდეგ იარაღის ხმარებას არა ნდომობდნენ. მეტი უგუნურება ღა იქნება? დასწყეველათ ღმერთმა, სწორეთ შემოდგომის ბუზებივით ჩაგვაცივდნენ! შემოდგომის ბუზისთანა თამამი და თავხედი ხომ არა იქნება რა, ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია.

მიუხედავად ამისა, რევოლუცია თავისას არ იშლიდა, რადგან ხალხის ნდობა უკვე მოეპოვებინა. ყოველი უფლება წავართვით მეფეს, თავად-აზნაურთ და მონასტრებს და ჯერ-ჯერობით ესეც დიდი რამ იყო. კვირაობით, გლეხკაცობა ჭალებსა და ტყეებს მოედებოდა და თავისუფლად ნადირობდა. ვისაც თავის დღეში თოფი არ გაესროლა, დღეს სანადიროდ დადიოდა და ისე მადიანად შეექცეოდა აქამდე აკრძალული ნადირის ხორცს, რომ თითებს

ილოკავდა. ვიღას ახსოვდა ტყის დაყორეღება? და თუ მოაგონდებოდა ვისმე, მხიარულად ჩაიცინებდა და იტყოდა:

— ნადირის ხორცი კი ნუ გგონიათ, ეს იმ მუქთახორა ბატონების ხორცია, რომელნიც ჩვენი ოფლითა ცხოვრობდნენ.

ვიღას ახსოვდა ჩვენი ტივოლი? ვიღას ახსოვდა ძველებური დროს გატარება და ქეიფი? ჩვენს ეზოში, ჩვენი დიდი მუხის ჩრდილში თუ ნახავდით ვისმე, მოხუცებულ ათისთავებსა ნახავდით, თორემ სხვას აღარავის. დასხდებოდნენ, თითო ჩარექა ღვინოს მოითხოვდნენ და დაიწყებდნენ ჩუმად ბაასს — ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს გასასწორებელი და იმას ვლაპარაკობთო. რა ვიცოდით, რა ანგარიშები ჰქონდათ? მაგრამ ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, ისე გადიხრებოდნენ ხოლმე ერთმანეთისკენ, რომ ჩვენ ეშვი შეგვეპარებოდა ხოლმე, ალბათ ძალიან საშურო საქმეები ჰქონიათ, რომ ასე მალავენო.

ჩვენს ქალაქში მდგომი ჯარის უფროსი თავადი ბუაიე, იმისი თანაშემწე აფიცრები და ჩვენებური თავად-აზნაურნიც ერთ ყავახანაში იკრიბებოდნენ სამხედრო მოედანზედ. ალბათ იმათაც ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი. ხალხისაგან მილიციის შედგენა და ჩვენი ხალხის და ჯარების დამოყვრება, ეტყობოდათ, ძალიან სწყინდათ. ისინიც რაღაცახ ჩურჩულებდნენ და გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ იმ ჯარისკაცებს, რომელნიც გაბედავდნენ და მოქალაქეებს გამოელაპარაკებოდნენ.

ასე გავიდა ნახევარი ზაფხული. მე ყოველდღე ვწერდი, რაც კი ჩვენს მხარეში საინტერესო მოხდებოდა და თვის დამლევს კარგ მოზრდილ წერილს ვუგზავნიდი შოველს, პარიზში, ბულუას ქ. №11-ში. ისიც უპასუხოდ არ გვტოვებდა და წერილთან ერთად ჟურნალ-გაზეთებსაც გვიგზავნიდა. მარგალიტა ყოველს წერილში მოკითხვას უთვლიდა მიშელს და ისე ამიღელდებოდა ხოლმე გული, თითქო ცარიელი მოკითხვა კი არა, თვით მარგალიტაც გულში მყავს ჩაკრულიო. და საღამოს, გავათავებდით თუ არა მუშაობას, მე შოველიანთკენ მივეშურებოდი და ასჯერ მაინც გადავიკითხავდი იმ ორს სტრიქონს, რომელიც მარგალიტას ხელით იყო დაწერილი. რა სიამოვნებითა ვწერდი ჩემს მარგალიტას ჩვენი სოფლისა და იმის პატარა ბაღის ამბებს? მართლაცა და ისე მქონდა მოვლილი შოველის ბაღი, რომ მარგალიტას რომ ენახა, გაუკვირდებოდა. ყველგან ყვავილები მქონდა და სამაგალითო ბოსტანი, ღობეზედ გოგრა. იმ წელს ხილსაც ძალიან ესხა და მშვენიერი სანახავი იყო ალუბლისა და ვაშლის ხეები. ნეტავი ისე შორს არა ყოფილიყო, რომ ერთი კალათი თავისი ბაღის ხილი და ახლად გაშლილი ვარდები მიმერთმია! როგორ გაეხარდებოდა, თავის ვარდებს რომ დაყნოსავდა! მაგრამ ვიცოდი, რომ

შორს იყო და გული მიკვდებოდა: ნეტავი არც ყვავილები დამეთესნა და არც ასე დამემშვენებინა აქაურობა, თუ კი მარგალიტა შორს მეყოლებოდა-მეთქი!

აი რა მაწუხებდა და რა მახარებდა იმ დროს, როდესაც ყველგან საშინელი ცვლილება ხდებოდა, ყველგან საპოლიტიკო კამათი ისმოდა და სამშობლოს განსაცდელი დღითი-დღე მატულობდა.

ერთხელ ხმა გავარდა, ავსტრიელები შემოსულან საფრანგეთში და არდენში მყოფი ჯარების უფროსი — გენერალი ბუაიე წინ გაგებებიაო.

საშინელება იყო! ჩვენი მილიცია — 30 ათასი კაცით გავიდა მაშინ მტრის დასახვედრად. მთიულებს რომ თოფები არა ჰქონდათ, ჩვენსა ჩამოდიოდნენ და სამჭედლოში დაკანგებულ შუბებს გვალესინებდნენ. ყველგან საყვირის ხმა გაისმოდა, ყველა იარაღს ეძებდა. და ის იყო შევემზადენით და ფალსბურგელებთან ერთად საომრად უნდა წავსულიყავით, რომ ამბავი მოგვიიდა: ჩვენმა კეთილმა მეფემ ნება მისცა ავსტრიელებს, არდენის მთები გადაიარეთ და ბელგიის რევოლუცია წაახრჩეთო.

მეფეს არავითარი უფლება არა ჰქონდა უცხოელ ჯარებისთვის ნება მიეცა, საფრანგეთზედ გაიარეთო. ამის უფლება მარტო საერო კრებასა ჰქონდა და სხვას არავის. მაშინ კი ბრმამაც დაინახა, რა საშარგებლო სამსახურს გაუწევდა ხალხს მილიცია და თვით ნათლიაჩემიც კი ძველებური სიყვარულით აღარ იხსენიებდა „ჩვენს კეთილს მეფეს". ბელგიის რევოლუცია ჩვენი რევოლუციის ღვიძლი შვილი იყო და ყველა აღშფოთდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ჩვენი მეფე ავსტრიელ ჯარებს ბელგიაში შესვლას და ბელგიელი ხალხის დაწიოკებას უადვილებდა. მინისტრებმა გამოაცხადეს, ეს იმიტომ მოხდა, რომ საფრანგეთს და ავსტრიას საიდუმლო დიპლომატიური კავშირი აქვთ შეკრულიო... საერო კრებამ არ მოინდომა ამ საქმის ძირისძირამდე გაჩხრეკა, რადგან ეშინოდა, კიდევ სხვაც არა აღმოჩნდეს რა ამაზედ უარესიო.

1790 წ. მარიამობისთვის დასაწყისი იყო, და დიდებულთა საქმე უარესად მიდიოდა. იმისთანა სამარცხვინო მგონი თავის დღეში არა მომხდარა რა საფრანგეთში: ჯარისკაცები თავიანთ ოფიცრებს ქურდობას სწამებდნენ. მართებლობის ყველა ჯარებში ჯარისკაცები ოფიცრის სახლს დარაჯს უყენებდნენ და ანგარიშსა სთხოვდნენ.

თავად-აზნაურობა რევოლუციამ დაღუპაო! რევოლუციამ კი არა, თავისმა უსინდისობამ და უპატიოსნებამ დაღუპა. იმათ რომ ცოტა რამ პატიოსნება ჰქონოდათ, ხომ არც რევოლუცია მოხდებოდა! ჰპარავდნენ და ვისა ჰპარავდნენ? საწყალ ჯარისკაცს, რომელიც ისე

ემსახურებოდა მართებლობას, ცარიელი ლუკმა პურისთვის, რადგან ჯამაგირი არავის ეძლეოდა. და წარმოიდგინეთ ოფიცრების ულმერთობა, ამ ლუკმასაც ისე აძლევდნენ ჯარისკაცს, რომ ნახევარი თვითონ რჩებოდათ. მერე ვინა ჰპარავდა? დიდებული თავად-აზნაურნი, რომელთაც, ღმერთმა ხომ იცის, არა აკლდათ რა, არც სიმდიდრე, არც პატივისცემა, არც დროს გატარება და ქეიფი. განა გაბედავდა ვინმე და წარმოიდგენდა, რომ ოფიცრები ჯარის გაქურდვას იკადრებდნენ? ხომ ძნელი წარმოსადგენი იყო და მართალი კი გამოდგა: ჯარები თავის უფროსებს ანგარიშსა სთხოვდნენ და დანაკლისს, ესე იგი, მოპარულს, ართმევდნენ კიდეც. ბოსის ჯარი 940 ათასს ედავებოდა თავის ოფიცრებს, ნორმანდიის ჯარი — ორ მილიონამდე! ოფიცრებიც იძულებულნი იყვნენ თავიანთი ცოდვა ეღიარებინათ და ამასღა იძახდნენ: მოგვითმინეთ, უნდა ვიანგარიშოთო. სტრასბურგში შვიდი რაზმი აჯანყდა; ბიტშში ჯარისკაცებს კინწისკვრით გაერეკნათ თავიანთი ოფიცრები; საერო კრება ევედრებოდა მეფეს „ინსპექტორები დანიშნეთ და დაავალეთ, რაზმის უფროსის, რამდენიმე ოფიცრის, ყველა ათისთავების და ოთხი ჯარისკაცის თანდასწრებით გადასინჯონ უკანასკნელი ექვსი წლის ანგარიშები და თუ ჯარისკაცთა საჩივარი მართალი აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონო“. ინსპექტორები დანიშნეს, გამოძიება მოახდინეს და აღმოჩნდა, რომ ყველგან ერთი და იგივე ცოდო ტრიალებდა და ბევრმა რაზმმა დაუბრუნა მაშინ ჯარისკაცებს შეჭამადზედ და გაუცრელ პურზედ მოპარული ფული. საზიზღარი იყო ეს საქმე და ქვეყანა იმას გაიძახოდა, კიდევ კარგი, რომ რევოლუცია მოხდა, თორემ უარესს გვიზამდნენო.

უნდა გენახათ, რა გაბრაზებულნი იყვნენ ოფიცრები ჯარისკაცებზედ, რომელნიც ბედავდნენ და თავიანთ უფროსებს ქურდობას აბრალებდნენ და ნაქურდალს ედავებოდნენ. დიდი ძალი ოფიცრობა გაიხიზნა მაშინ საფრანგეთიდან; მიდიოდნენ და რევოლუციის წინააღმდეგ ამხედრებულ ავსტრიას უერთდებოდნენ თავიანთ ცოდნით და იარაღით. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ოფიცრობაში ცოტაოდენი პატიოსანი კაცებიც მოიპოვებოდნენ, რომელნიც ზიზღით უყურებდნენ დამნაშავეთ; ისე რომ, ყველანი არ გახიზნულან. ვისაც ნებავს, ათასობით ჩამოვუთვლი გაპარულ-გახიზნულთა გვარებს, რადგან მაშინდელი გაზეთები ეხლაც შენახული მაქვს და იქ ყველანი დასახელებულნი არიან. მთელი ალზას-ლორენი აღშფოთდა. და დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ის ქურდები გაიპარნენ, — ქურდები, რადგან უმეტეს ცოდვას ვერც ერთი ქურდი ვერ ჩაიდენს. ისინი იარაღით ხელში მოუძღოდნენ საფრანგეთზედ ამხედრებულ

უცხოელ ჯარებს და საკუთარი სამშობლოს განადგურებას და დამ-ცირებას ცდილობდნენ. განა იმას ამბობდნენ, შევცდით და მუხლ-მოდრეკით გევედრებით, გვაპატიეთო... ამას როგორ იკადრებდნენ დიდებული თავად-აზნაურნი.

15 მარიამობისთვეს ნათლიაჩემის დუქანში სუდერი მოვიდა. სუ-დერი მეჭურჭლე იყო, ლინეფილის მხარეს დადიოდა და ჭურჭელსა ჰყიდდა; უფრო კი სცვლიდა: ზოგს ძველ სარეცხში, ზოგს დამტვ-რეულ მინაში, ზოგს ნაცარში. თავის კუდმოჭრილი ცხენი იქვე ეზო-ში დაება და თითონ ჩვეულებისამებრ, ერთი ჩარექა ღვინო მოეთხო-ვა. მოხუცებული კაცი იყო, ჭაღარა, და ყვავილისაგან დამახინჯე-ბული. დადიოდა, ჭურჭელს ასაღებდა და თან მთელი ქვეყნის ამ-ბებს ავრცელებდა. ჩვენს მხარეში სუდერს „ბაყაყის მკვლელს" უძახდნენ, რადგან სუდერი და მთელი იმისი სოფელი იძულებულნი იყვნენ ღამ-ღამობით ლინდრის ტბაზედ კეტებით დაეჩუმებინათ ბა-ყაყები, რომ ყიყინით ბატონისთვის ძილი არ გაეფრთხოთ.

ნათლიაჩემმა ჰკითხა, ახალი ხომ არა იცი რაო, და იმასაც ამ კითხვის მეტი არა უნდოდა რა: დიდი არეულობაა ნანსის მხარესაო, როგორც მოგეხსენებათ, ნანსის მხარე სამი რაზმით არის გამაგრე-ბული და ვერ წარმოიდგენთ, რა უთანხმოება ჩამოვარდა ოფიცრებ-სა და ჯარისკაცთა შორისაო. — თან თვალს გვიშვრებოდა, — მე-ტიც ვიცი, მაგრამ...

სწორედ ამ დროს წამოდგა ნიკოლი და გარეთ გავიდა. — ჯარის-კაცები იმაზედ არიან აღელვებულნი, რომ ოფიცრები ანგარიშს არ უსწორებენო. ერთმა რაზმმა აჯობა თავის უფროსებს და 150 ათასი გადაახდევინა; მეორემ 48 ათასი; ახლა მესამე რაზმის ანგარიშს ას-წორებენ. მესამე რაზმი თავის უმფროსებს 229 ათასს ედავება. მაგ-რამ ისინიც მაგრა უდგნენ და ცემითა ჰკლავდნენ, ვინც კი გაბედავდა და ანგარიშზედ კრინტს დასძრავდა. კინაღამ ამოჰხოცეს იმოდენა ხალხი; ბოლოს ეს ამბავი მოქალაქეთ გაიგეს და, რასაკვირველია, ჯა-რისკაცებს მიემხრნენ; ჯერ პირდაპირი შეტაკება არ მომხდარა, მაგ-რამ დღე ისე არ გავა, რომ ოფიცრებმა დუელში არ გაიწვიონ მშვი-დი მოქალაქენი და რამდენიმე კაცი არ მოკლან. მთელი ქალაქი ღე-ლავს, მოქალაქეებს მილიცია მიემხრო და, ვინც იცის, რითი გათავ-დება ეს უბედურებაო.

სუდერი იცინოდა, მაგრამ ჩვენ კი სიცილის გუნებაზედ არ ვიყა-ვით, რადგან საზღვარიდან სულ ერთი საათის სავალზედ ვიდექით. ამასთან ვიცოდით, რომ ვინც კი ერთგული მამულიშვილი ეგულებო-დათ ჯარში, სხვადასხვა მიზეზით თავიდან იშორებდნენ და საზღვა-რის გასამაგრებლად მარტო მტრისა და მტერთან ერთად მომავალი

გახიზნული თავადისშვილების მომხრენი იყვნენ. რომ შემოგვსევოდნენ, დაყვირებასაც ვერ მოვასწრებდით, მით უფრო რომ პრუსიის მეფე ფრიდრიხი და ავსტრიის ხელმწიფე ლეოპოლდი, ის იყო, მორიგდნენ ერთმანეთში და გამოაცხადეს: საფრანგეთის რევოლუციის მომხრენი ჩვენი პირადი მტრები არიანო.

ბევრი კიდევ სხვა გვიამბო, ბევრი ჭურჭელი გაასაღა, დანახარჯი გადაიხადა და გამოგვესალმა. აჰყვა სოფელს და წამდაუწუმ ყვიროდა:

— ჭურჭელი იყიდეთ, გამოსცვალეთ ჭურჭელი!

მაგრამ ამ დროს ერთი იმისთანა ამბავი მოხდა, რომელმაც ცხადად დაგვიმტკიცა, რომ მარტო მეფე ლუი მეთექვსმეტე და გახიზნულნი კი არა, მარტო თავად-აზნაურობა და ბერები, ეპისკოპოსები და ოფიცრები კი არა, არამედ ზოგი ჩვენი დეპუტატიც იმათ მისდგომოდა და ცდილობდა რევოლუცია შეეყენებინა როგორმე და გლეხკაცობისთვის ძველი უღელი დაედგა ქედზედ.

ეს ამბავი შოველის წერილმა მოგვიტანა და ძალიან ვწუხვარ, რომ ნათლიაჩემმა ეს წერილიც ვიღაცას გაუბოძა წასაკითხავად და მას აქეთ თვალითაც აღარ გვინახავს. შოველი იწერებოდა, მირაბო და რამდენიმე სხვა მესამე წოდების დეპუტატი მეფემ მოისყიდა და ახლა სულ იმას გაიძახიან, რევოლუცია ძალიან გაზვიადდა და შორს წავიდაო; ამ მოსყიდულთაგანი ერთი მინისტრობას ცდილობს, მეორეს ციხე-სიმაგრე და დიდი მამულის დაპატრონება ნებავს, მესამეს საკუთარი სასახლე და ბატონ-კაცური ცხოვრება; ასე გასინჯეთ, თვით ლაფაიეტი და ბაილიც კი როგორღაც მრუდედ იქცევიან, ლამის ამათაც გვიმტყუვნონო; ლაფაიეტი და ბაილი სულ იმას გაიძახიან, მეფეს მეტად სასტიკად მოვექეცით, რომ ყოველი უფლება ჩამოვართვით და ხალხს დავუმორჩილეთო; სირცხვილი არ არის, მეფეს წელიწადში 40 მილიონზე მეტს არ ვაძლევთ, როდესაც კარგად ვიცით, რომ ფულიც იმისია, მოსავალიც, მამულიც, საქონელიც და ხალხიც... ამ ფულით როგორ იცხოვროს საწყალმაო?! დიაღ, 40 მილიონი დავუნიშნეთ წელიწადში და ისინი კი იმას ტირიან, არ ეყოფაო.

იმავე წერილში შოველი ახალს, ჩვენთვის უცნობ კაცებზედ ლაპარაკობდა, რომელნიც კლუბებში გამოჩნდნენ თავდაპირველად და ახლა სამაგალითოდ მოღვაწეობენ ხალხის სასარგებლოდაო; სხვათა შორის დასახელებულნი იყვნენ: დანტონი, რობესპიერი, ლეჟანდრი, პეტიონი, ბრისსო, ლუსტალო დემულენი. მაგრამ ამათგანი ერთი არ გადარჩენილა უდროოდ სიკვდილს: ცოცხალნი იყვნენ და ღარიბ-ღატაკნი იყვნენ, რადგან ხალხს ემსახურებოდნენ და სიკვდილითაც...

შემდეგში ყველას თავები დააყრევინეს, რადგან ხალხს ემსახურებოდნენ. ხალხმა უმტყუვნა მათ და გაჭირების დროს მტერს მისცა ხელში. დიაღ, ხალხის ერთგული მოსამსახურენი სამარცხვინოდ იქმნენ დასჯილნი და თავად-აზნაურთა მსახურნი კი მდიდრულად დაჯილდოებულნი. ბევრნი დღესაც ცოცხალნი არიან და განცხრომითა ცხოვრობენ; თავად-აზნაურთა მსახურნი ყველანი წარჩინებული პირები გახდნენ, და ისე ცხოვრობენ, თითქო პირადი ღირსებით შეუძენიათ რაცა აქვთ, და არა სამშობლოს ღალატითაო. კაცს ყოვლად სამართლიანი ღმერთის იმედი რომ არა ჰქონდეს, — აცა, ცოდოს არავის შეარჩენსო, — საშინელება იქნებოდა ამგვარი მაგალითები და სრულიად უტვინო და თავმოყვარეობას მოკლებული უნდა იყოს კაცი, რომ თავი შეაკლას ხალხის სამსახურს, როდესაც ეს ხალხი წარბსაც არ იხრის, თუნდა ჯვარს აცვან იმისმა მტრებმა იმის ერთგული შვილები, ცილი დასწამონ იმათ სახელს და ჩირქი მოსცხონ იმათ პატიოსნებას.

შოველის წერილმა ძალიან შეგვაფიქრიანა, მეტადრე ნათლიაჩემი. დაფიქრებული დადიოდა და იძახდა: ვინც ერთბაშად ბევრს მოინდომებს, მცირესაც ვერ ეღირსებაო! მე სულ სხვა აზრისა ვიყავი და მგონია, არცა ვცდებოდი; ან რას თხოულობდა იმისთანას ხალხი, რომ ბევრი ყოფილიყო? მე კარგად ვხედავდი, რომ ნათლიაჩემიც და ბევრნი სხვანიც იმიტომ იძახდნენ კმარაო, რომ იმათ უკვე შეიძინეს, კარგი ლუკმაც შეიძინეს, და ეშინოდათ, ესეც არ დავკარგოთო. და ჩვენ კი, ჩვენ, გლეხკაცობას, ჯერ არაფერი შეგვეძინა, და ჩვენც გვინდოდა რევოლუციაში ჩვენი წილი გვრგებოდა.

წავიკითხეთ თუ არა ის წერილი, მაშინვე ლეტუმიემ წაგვართვა, კლუბში მინდა წავიკითხოო. ხუთშაბათ საღამოს 29 მარიამობისთვეს დახურულ ბაზარში რომ ჩავედი, სამი განცხადება დავინახე შიგ შუა ალაგას გაკრული. განცხადებანი შუა ბოძზე გაეკრათ, რომელზედაც ლამპარი ენთო, მაგრამ სინათლე საკმარი არ იყო და კითხვას ვერავინ ახერხებდა. მაშინ ვიღაცა ავიდა, ლამპარი მოხსნა და განცხადებას მიანათა. ყველანი მისცვივდნენ და კითხვა დაიწყეს. ჩვენებურები სულ უკან იყვნენ და ვერას ხედავდნენ, მაგრამ ლეტუმიემ როგორღაც გაარღვია ხალხი, განცხადებასთან გაძვრა და იმისთანა მაღალი ხმით დაიწყო კითხვა, რომ გარეთაც გაიგონებდნენ, არამც თუ იქ მყოფნი:

ნერილი ლაფაიეტისა

მერტში და მოზელში მყოფ მილიციელებისადმი

პარიზი, 17 მარიამობისთვეს 1790 წ.

ბატონებო!

საერო კრებამ რა სცნა საძრახისი საქციელი ნასელი ჯარებისა და წარმოიდგინა, რა საშინელი შედეგი უნდა ჰქონდეს ამგვარ მღელვარებას, მიიღო დამნაშავეთა შესაკავებლად საშუალებანი, რომელთაც ამასთანავე გაუწყებთ, რათა შეემზადნეთ მოსალოდნელი ბრძანების საჩქაროდ ასასრულებლად.

ნება უბოძეთ, ბატონებო, თქვენს მოძმეს, რომელსაც თქვენ მიანდეთ კონსტიტუციის და საზოგადო წესწყობილებისადმი თქვენი ერთგულება გამოეცხადებინა, ნება უბოძეთ თქვენს მოძმეს, იმედი იქონიოს, რომ ყოველს საშუალებას იხმართ, რათა გაამაგროთ თავისუფლება, რომლის საძირკველი მარტო კანონიერება არის და მით საზოგადო მშვიდობიანობა ჩამოაგდოთ.

„ლაფაიეტი"

საშინელება იყო ამის გაგონება. რამდენიმე დღის წინათ. რომ წაგვეკითხა, ქუდზედ კაცი წავიდოდით დამნაშავეთა დასასჯელად, მაგრამ ნანსელთა ამბები ვიცოდით და გარდა ამისა შოველიცა გვწერდა, ლაფაიეტი სუსტი ხასიათის და ამაოებით გატაცებული კაციაო. ზიზღით აგვევსო გული, რომ წავიკითხეთ იმის წერილი, რომლითაც გვიბრძანებდა, წადით და იარაღით ხელში შეებრძოლეთ ერთგულ მამულისშვილთ, რადგან გაბედეს და თავისი კუთვნილი მოსთხოვეს ქურდებსაო. ჩვენებურები ყვიროდნენ:

— დასწყევლა ღმერთმა! ამისთანა უსამართლობა კიდევ იქნება?! ჯარისკაცებს ამტყუვნებენ, ჩვენსას რადა თხოულობთო! და ჩვენ გვიბრძანებენ ჯარისკაცები დასაჯეთო! მერე ვინ უნდა დავსაჯოთ, იმას კი აღარა გვკითხავენ? ისევ ჩვენი შვილები და ჩვენი ძმები?! ერთგულნი მამულისშვილნი, რომელთაც უკანასკნელ ლუკმას აცლიან პირიდან და თან ემუქრებიან, არა სთქვათ რა, თორემ დაგსჯითო?!

და განა ერთი და ორი სჯიდა ასე, ყველანი აფიცრებს ამტყუნებდნენ და იძახდნენ, ვალს გადახდა უნდა, თუნდა ვალად კი არა, ქურდულად იყოს წაღებულიო. მაგრამ ლეტუმიეს ჯერ კითხვა არ გაეთავებინა და ქუდის ქნევა დაგვიწყო, გაჩუმდით, დანარჩენიც მო-

ისმინეთ! მამულისშვილნო, საერო კრების დადგენილებაც მოისმინეთო!

და თუმცა ბრაზი მოგვერია და გაჩუმება ძალიან გვიძნელდებოდა, ჩვენს თავს ძალა დავატანეთ და მოვისმინეთ საერო კრების დადგენილება. საერო კრება ბრძანებას აძლევდა ჩვენებურ მილიციებს დახმარებოდნენ იმ აფიცრებს, რომელთაც კეთილ ინებებდა და დანიშნავდა მისი უდიდებულესობა „აჯანყებულ ჯარისკაცთა სამაგალითოდ დასასჯელად". ბოლოს მესამე განცხადებაში ეწერა, რომ მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და ქ. ნანსში აჯანყებულ ჯარისკაცთა დასჯა აფიცერ დებულეს მიანდო, რომელიც ამით უბრძანებს მილიციის ყველა წინამძღვართ, რაც შეიძლება საჩქაროდ შეამზადონ თავიანთი რაზმები და სრული ცნობანი გაუგზავნონ მის შესახებ, თუ ვინ სადა დგას და რამდენი კაცი ჰყავს თოფ ქვეშ? ამ ცნობათა დაგვარად გაანაწილებს ბ. დებულე ჯარისკაცთა ჯამაგირს, ყოველ წინამძღვარს რვა დღის საგზალს ჩააბარებს თავის რაზმისათვის. ჯარს მარტო ერთი დროშა ექნება. გზაში მილიციის ჯარისკაცთ ბინა ექნებათ მკვიდრთა სახლებში, როგორც აქამდის ყოფილა. ყველა რაზმები ჩქარი სიარულით უნდა გაემართნენ ნანსისკენ, რომ დროზედ შეაყენონ აჯანყება და სხვადასხვა.

მთელი ქალაქი იქ მოგროვილიყო და ისე ჩუმად ისმენდნენ ამ თავხედურ ბრძანებას, იტყოდით, აქ არავინ არისო.

გაათავა ლეტუმიემ კითხვა თუ არა, ერთი სარრებურგელი სქელსქელი მოხელე აცოცდა დაზგაზედ და ხალხს მიმართა: ბატონებო, დრო არის, მამულიშვილობა დაამტკიცოთო! თითქმის სიტყვა სიტყვით გაიმეორა ლაფაიეტის წერილი, რომელსაც „ვაშინგტონის მეგობარს და თავისუფლების მხსნელს" უწოდებდა და გვირჩევდა, მართებლობას დავეხმაროთ, აჯანყებულნი დავსაჯოთო. აქეთ-იქით კიდეც გაისმა რამდენიმე ხმა „ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! ლაფაიეტს გაუმარჯოს! და მოხელე უკვე გამარჯვებულად სთვლიდა თავის თავს და გულში ხალხს დასცინოდა, მაგრამ ამ დროს ხალხიდან ჩვენი ელოფ კოლენის ხმა გაისმა და ყველანი სმენად იქცნენ. კოლენმა უპასუხა: „ერის მცველი ჯარი" ხალხმა იმიტომ კი არ გამოიყვანა, რომ თავისი ძმები და შვილები აჟლეტინოს, არამედ იმიტომ გამოიყვანა, რომ გაჭირვების დროს იმის იმედი ჰქონდეს და მტრის მომგერებელი ჰყავდესო. ნანსელ ჯარებს ტყუილად სწამებთ აჯანყებას, ისინი თავიანთ ხვედრსა თხოულობენ, იმ ხვედრს, რომელიც დიდებულმა აფიცრებმა მოჰპარეს.. საცა სამართალია, ჯერ უნდა გაუსწორდეთ, თავიანთი ჩააბაროთ და მაშინ ნახავთ დამშვიდდებიან

თუ არა!? მიეცით, რაც ერგებათ და მაშინვე დამშვიდდებიან და დაწყნარდებიან, არც იმათი დასჯა მოგინდებათ და არც ძმათაგან ძმათა სისხლის ღვრა. უბედურებაც ის არის, რომ თქვენ სულის ცხონებასავით გენატრებათ არეულობა, სულ იმასა ცდილობთ, რომ ჯარი და ხალხი ერთმანეთს შეატაკოთ და ხელმეორედ კისერზედ დაგვასხდეთ. მაგრამ ვეღარ მოგართვით! დარწმუნებული ვარ, აქ მყოფნი ყველანი დამეთანხმებიან, რომ ვისაც კი ცოტაც არის გონება უჭრის, ამ საქმეში არ გაერევა და თუ გაერია, მარტო იმიტომ გაერევა, რომ ჯარისკაცებს აფიცერთაგან მოპარული დაუბრუნოს. ეს საქმე მარტო მართებლობის ჯარს და აფიცრებს შეეხება და ერი და ერის მცველი ჯარი არ უნდა გაერიოს!

საშინელი ყვირილი გაისმა ამ სიტყვის შემდეგ. ზოგნი ერთისკენ იყვნენ, ზოგნი მეორისკენ. ვისაც ბერების მამულები ეყიდნა, მაგალითებრ ნათლიაჩემი, ნიკოლოზ როში, ეგლელი მედუქნე, მელხიორ ლეონარი, უწინდელი მოხელე, ლუი მასსონი, მეფოსტე, რაფიელ მანგი, ჟერარი, და ერთობ ყველა შეძლებულნი, ლაფაიეტისკენ იყვნენ და ამასთან ბევრნი მომხრენიცა ჰყავდათ, რადგან ბევრ მოჯამაგირეს და ხელოსანს ინახავდნენ თავიანთ საქმეებში.

ამ შეძლებულთ დაედგინათ კიდეც სამამასახლისო რჩევაზედ, რომ ფალსბურგი იმის გარდა, რომ მილიციით დაეხმარება აჯანყებულ ჯარის დასჯას, ფულითაც შეეწევა ამ საქმეს და ოცდახუთ თუმანს მიართმევს აფიცერ დებულეს. ეს იმ დილით დაედგინათ; და თუმცა საღამოზედ ჩვენს კლუბში კოლენმა იმისთანა კარგი სიტყვა სთქვა, უმრავლესობამ მაინც დაადგინა: ხვალ დილა ადრიანად ერთი რაზმი მილიციისა ნანსისკენ წავა; გარდა ამისა ყოველი სოფელი დანიშნულ რიცხვს გამოიყვანს თავის მილიციას და ისინიც ნანსისკენ წავლენ, როგორც კი შემზადდებიანო. ჩვენ სოფელს 15 კაცი უნდა გამოეყვანა და ნათლიაჩემი, ლეტუმიე და მეც იმათში მოგვაქციეს, რადგან ყველაფერში წინ ჩვენ წაგვჩხირავდნენ ხოლმე, საუკეთესო პატრიოტები ხართო.

ნათლიაჩემს ძალიან მოსწონდა ეს გადაწყვეტილება, ძალიან სამართლიანად მოვიქეცითო. მე კი მგონია, რომ ცოტა არ იყოს „ჯარობანა“ ეხალისებოდა: ნანსში ჩავალ, ჩემს ახალს ტანისამოსს ვაჩვენებ ქვეყანასაო. ხომ ისეთი გულჩვილი და პატიოსანი კაცი იყო და, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაიტაცებდა ხოლმე ამგვარი ბავშვური ამაოება. ლეტუმიე, ნათლიაჩემი და მე შინ ისე ავედით, რომ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობაზე ვერ შევთანხმდით.

ბოლოს პირობა დავდეთ, ხვალ რიჟრაჟზედ ნათლიაჩემის დუქნის წინ შევიყარნეთო და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

II

მეორე დღეს დილაადრიანად ნათლიაჩემთან შევიყარენით, ერთმანეთს გზა დავულოცეთ, პური გავტეხეთ და ჯერ ექვსი საათი არ შესრულებულიყო, რომ ქალაქში ვიყავით სამხედრო მოედანზედ; სხვა სოფლიდანაც ჩამოსულიყვნენ მილიციელები და სულ ორმოცდაათამდე ვიქნებოდით. ცოტა ხანს უკან ნაღარაც დაჰკრეს, რომ დაგვიანებულთათვის ეცნობებინათ, აჩქარდით, ნუ გვაგვიანებთო. ხუთი-ექვსი კაცი კიდევ მოგვემატა. მერე ჩვენმა უფროსმა ჟერარმა ჩამოგვიარა, ყველანი გაგვსინჯა და უბრძანა, ტყვია-წამალი დაერიგებინათ კაცზედ ოცდახუთი სროლა.

რაკი ნახა, რომ ყველაფერი რიგზედ იყო, ჟერარი ცხენს მოახტა და წასვლის წინ პატარა სიტყვა გვითხრა, რომელშიაც აგვიხსნა მილიციელი მამულიშვილის ვალდებულებანი. ხმალი ამოიღო და დაჰკრეს ნაღარა. მაგრამ სხვა აღარავინ მოგვმატებია. შეინძრა ჩვენი რაზმი და საფრანგეთის კარისკენ გასწია. ქუჩები ხალხით იყო სავსე და გრიალი გაჰქონდა ყვირილს: ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! თავისუფალ ერს გაუმარჯოს! ბავშები ხომ უკან გამოგვედევნენ და მიტტელბრონის გზაზე ჩამოგვაცილეს, ზოგი პტისენჟანამდეც ჩამოგვყვა. მერე კი მარტონი დავრჩით ჩვენს გზაზედ. მე ჩემს დღეში აღარსად შემხვედრია იმისთანა სიცხე, როგორიც 30 და 31 მარიამობისთვეს იდგა. ცხელოდა, ცხელოდა, რომ იწვოდა იქაურობა და ამ სიცხე-პაპანაქებას ზედ ერთოდა საშინელი მტვერი. ეგეც რომ არ იყოს, იმ დღეს პირველი იყო ჩვენგან სამხედრო სიარული და, რასაკვირველია, ძალიან გაგვიჭირდებოდა. მარტო კაცი რომ მიდის, თავის ნებისად მიდის; და ჯარში კი სხვებს უნდა მიჰყვე, ყოველთვის შენს ალაგას უნდა იყვე, რაც უნდა გცხელოდეს და მტვერი გახრჩობდეს.

მიუხედავად ამისა თერთმეტ საათზე სარბურგში ჩავედით. მოქალაქენი გაკვირვებულნი გვიყურებდნენ. ცოტა ხანი შევისვენეთ, და ისევ გზას გავუდექით. შვიდ საათამდე აღარსად გაჩერებულვართ, შვიდ საათზედ კი ბლამონში ჩავედით და კარგადაც დავისვენეთ.

მივდიოდით და ნათლიაჩემი სულ იმას ამბობდა, ეს რა ღმერთი გამიწყრა, ჩემი ძვირფასი ტანისამოსი რად ჩავიცვიო? რა ბრჯიდა, რა მაკოხტავებდაო? ჩვენი ივანე რუ ისე დაქანცულიყო, რომ ფეხებს ძლივსღა მიათრევდა; ენა გადმოეგდო, მოკუზულიყო და ნაღარა რომ არა ჰქონოდა, იქნება უკანაც ჩამოგვრჩომოდა. მე ჯერ არა მიშავდარა; მართალია, თავით ფეხამდე ოფლში ვიწურებოდი, და ცხვირპირი მტვრითა მქონდა გამოტენილი, მაგრამ

მე უფრო ადვილად ავიტანე მთელი დღის სიარული, ვიდრე სხვებმა. ერთობ კი სოფლელები გაცილებით სჯობდნენ ქალაქელებს.

ისე დაღალულები იყვნენ ქალაქელები, რომ საცა კი ურემი ნახეს ბლამონისკენ მიმავალი, ყველანი ზედ უსხდებოდნენ და ისე მოგვდევდნენ.

როგორც იყო ბლამონშიაც მივედით. ჩვენი უფროსი ჟერარი და კაპიტანი ლაფრენე მამასახლისთან დააწვინეს; ნათლიაჩემი და ლეტუმიე ნაცვალთან; ივანე რუ, იაკობ გრიო და მე ერთ სირაჯთან, რომელმაც მეტის-მეტად კარგად მიგვიღო, კარგი ვახშამი გვაჭამა და მილიციის ამბავი გვიამბო: ჩვენი მილიცია გუშინ წავიდა ნანსისკენ... წასვლით კი წავიდა, მაგრამ ვაი ამ წასვლას! არც თოფები აქვთ, არც სხვა იარაღი. კიდევ კარგი თუ იქ მისცეს, როგორც დაჰპირდნენო.

ძალიან პატიოსანი კაცი გამოდგა ჩვენი მასპინძელი და ამასთან ძალიან პატრიოტიც. ვახშამზედ მშვენიერი ღვინო დაგვალევინა და რადგან მეორე დღეს ძალიან ადრე უნდა გავდგომოდით გზას, რომ სიგრილეში გვევლო, ვახშმის შემდეგ ბევრი აღარ ვილაპარაკეთ და დასაძინებლად მოვემზადენით; იქვე ოთახში შეგვიყვანა, სადაც ორი ტახტი იყო გაშლილი. ივანე რუ და გრიო დიდ ტახტზედ დაწვნენ, მე მეორეზედ დავწექი და ისე მეძინა, რომ ფეხი არ გამინძრევია. მეორე დღეს ბევრი მუჯლუგუნი თურმე წამკრეს, ვიდრე გონებაში ჩამაგდებდნენ. ჩვენი ივანე უკვე ქუჩაში იყო და ნაღარას უკრავდა: ადექით, წასვლის დრო არისო! სამი საათი იქნებოდა. ოთხი საათი არც კი იყო, რომ ბლამონიდან გავედით და კარგა მანძილიც გავიარეთ მზის ამოსვლამდე. კიდევ კარგი, რომ ასე მოგვიხდა, თორემ იმისთანა ცხარე სიცხე დაიჭირა იმ დღეს, რომ დავიხოცებოდით, მზეში რომ გვევლო.

ცხრა საათზედ ლუნევილს მივუახლოვდით. გავსწორდით, რიგზედ დავეწყენით, იარაღს და ტანისამოსს მტვერი გადავაცალეთ, წინ ნაღარა გავიმძღვარეთ და ლუნევილში ისე შევედით.

იქაც ძალიან იამათ ჩვენი მისვლა. ყველანი გარეთ გამოცვივდნენ და სიხარულით მოგვძახოდნენ, თავისუფალ ერს გაუმარჯოსო! ბავშები თან მოგვდევდნენ, ქალები სიამოვნებით თვალს გვადევნებდნენ და გვიცინოდნენ. ისიც არის, რომ ლუნევიელელები ყოველთვის ერთგული მამულიშვილნი იყვნენ და პატრიოტობით განთქმულნი.

მახსოვს ერთ პატარა, ოთხკუთხ მოედანზედ გავჩერდით. თოფები ავაყუდეთ, იქვე მოედნის კუნჭულში ერთს მშვენიერ დუქანში შევარდით ნათლიაჩემი, ლეტუმიე და მე, რადგან ერთად-

ერთი საათი გვქონდა დასასვენებლად და ძალიან გვეჩქარებოდა.

— მგონი არა გვიჭირს რა, ჰა? — წამოიძახა ნათლიაჩემმა. — ჯერ ყოჩაღადა ვართ, თუ თქვენც იტყვით!

— ჯერ არა გვიჭირს, მაგრამ საქმე ახლა არის: ჯერ კიდევ კარგი გზა გვაქვს გასაველელი. — უპასუხა ლეტუმიემ.

— კარგი ერთი! საქმე აქამდე იყო, თორემ ეხლა რაღა გვიჭირს? ერთი ჩავიდეთ, ვნახოთ რა ამბებია!

გარეთ მოედანზედ და ქუჩებში ისე ირეოდა ხალხი, თითქოს დღეობა არისო; მოქალაქენი, ჯარისკაცნი, მუშები სულ იქ იყვნენ. გლეხკაცები სულ მოედნისკენ მოეშურებოდნენ და ჩვენი გვსინჯავდნენ. დუქანში ხომ კაცს აღარ შემოესვლებოდა. ჩვენს გვერდით მართებლობის მოხუცებული ჯარისკაცები ისხდნენ, სვამდნენ და მხიარულად ლაპარაკობდნენ; ამბობდნენ, ნანსში ჯარები და აფიცრები მორიგებულან, ჯარისკაცებს თავიანთი მიუღიათ და დამშვიდებულან; ყველაფერი ძველებურად თავის დონეზედ დამდგარა და ბევრი-ბევრი რამდენიმე კაცი დაისაჯოს, რომელნიც სხვებს აქეზებდნენო.

ეტყობა, მართალი იყო ეს ამბები, რომ გარედან ყვირილი ისმოდა, ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! ჩვენს გვერდით მსხდომი ჯარისკაცები კი იცინოდნენ, ლუდსა სვამდნენ და იძახდნენ:

კიდევ კარგი, რომ მორიგებულან, თორემ...

საერთო სიხარული ამტკიცებდა, რომ ძალიან სამწუხარო იქნებოდა ჩვენი ერთმანეთთან შებრძოლება და მილიციისაგან მართებლობის ჯარისკაცების დასჯა, როდესაც ყველანი ვგრძნობდით, რომ დასასჯელი ჯარისკაცები არ იყვნენ. ჩვენც ძალიან გაგვეხარდა ეს ამბავი და იმისთანა სიამოვნებით ვეამეთ პური, რომ მეტი რაღა მოგახსენოთ.

ყერარი ლუნევილის მოურავის სანახავად წასულიყო და რადგან უფრო და უფრო დამაჯერებლობით ამბობდნენ — მორიგებულანო, ჩვენს წასვლასაც არავინ აჩქარებდა და თერთმეტ საათამდე იქ დავრჩით. თერთმეტ საათზედ, როცა წასვლის ნაღარა დაჰკრეს, მამასახლისი და ნაცვალი მოვიდნენ ჩვენს სანახავად, ყერარი ცხენზედ შეჯდა, სამხედრო სალამი მისცა და დაიძრა ჩვენი ჯარი. მივდიოდით და თან ის გვიხაროდა, სამტროდ კი არა, სამეგობროდ მივდივართო.

ოთხი საათი იქნებოდა, რომ შორს შავად რაღაცა ციხეები გამოჩნდა. გამეხარდა, მეგონა, აგერ ნანსში ჩავსულვართ-მეთქი, მაგრამ თურმე სენნიკოლა ყოფილიყო. მივდიოდით გაჩუმებულნი, თან საშინელი მტვერი გვახრჩობდა... უცბად შორიდან, მხარ

მარჯვნივ ზარბაზნის ხმა შემოგვესმა. ისე შედგა ჩვენი რაზმი, თითქო ერთი კაციაო. ვიდექით და გაშტერებული ყურს ვუგდებდით. ჩვენ კი არა, ჩვენს გარშემო ბუნებაც კი გაჩუმდა. კვლავ გაისმა ზარბაზნის ხმა, მეორედ, მესამედ, მეოთხედ. ჩვენი წინამძღოლი გაკვირვებით გასცქეროდა შორს სივრცეს, საიდანაც ზარბაზნის გრიალი ისმოდა, მერე მოგვიბრუნდა და გვიბრძანა:

— ზარბაზანს ისვრიან, ბიჭებო!... ომი დაწყებულა! აბა, იარეთ!

და თუმცა დაღლილები ვიყავით და იმ ძტვერში ერთმანეთს ძლივსა ვხედავდით, ისევ გზას გავუდექით უფრო ჩქარი ნაბიჯით: გული გვიკვდებოდა, რაკი დავრწმუნდით, რომ ლუნევილის ამბები მართალი არ გამოდგა და უომრად ვერ გადავრჩებოდით. მივდიოდით გაშურებულნი და ხან ერთი ჩამოგვრჩებოდა უკან, ხან მეორე. გაგრძელდა ჩვენი რაზმი, გაიჭიმა, ნახევარმაც ვერ შესძლო სიარული და სენნიკოლას პირველ სახლებთან რომ მივედით და უკან მოვიხედეთ, უმეტესი ნაწილი ჩვენი რაზმისა უკან დარჩენილიყო და ნელ-ნელა მოიზლაზნებოდა. დავდექით და ლოდინი დავუწყეთ, რომ მოწინავენი მაინც მოგვწეოდნენ.

ვის გაუგონია ახლად შეგროვილი რაზმის ასეთი ჩქარი სიარული? ყველაფერი შეჩვევამ და ვარჯიშობამ იცის. შემდეგშიც ბევრჯელ მინახავს ჩვენი უფროსების დაუდევრობა, მეტადრე გერმანიაში: აბა, ბიჭებო, ჩქარი ნაბიჯითაო! გვეტყოდნენ და გაუდგებოდნენ გზასა. და ახლად მოყვანილი ბიჭები ყოველთვის უკან დარჩებოდათ ხოლმე. კიდევ კარგი, თუ უკან ცხენოსანი ჯარი მოგვდევდა და დაცვივნულთ ისინი უპატრონებდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, შევგროვდით თითქმის ყველანი და ქ. სენნიკოლაში შევედით; საცა გავიხედეთ, ყველგან საფეიქრო იყო გამართული და შალები და მაუდები ჰქონდათ გამოფენილი, გეგონებოდათ, ბაზრობა დღე არისო. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ. მაშინ კი ძალიან განთქმული იყო სასწაულთმოქმედი წმინდა ნიკოლოზის ოქროს მკლავი და დიდძალი მლოცავი დაიარებოდა მისი თაყვანის საცემლად. დიდი სახელი ჰქონდა ამ წმინდანს, მაგრამ რევოლუციას ფულები უჭირდა და რადგან წმინდანები ვერასა შველოდნენ, წმ. ნიკოლოზის ოქროს მკლავი დაადნობინა და მასთან ერთად ბარძიმ-ფეშხუმი და ზარები და ფულად აქცია.

მაშ რა გვექნა? მთელი ევროპის ჯარები საფრანგეთს მოსეოდნენ და მიწის პირიდან აღგვას უპირებდნენ. ვიღუპებოდით!

დიდი ქუჩა ხალხით სავსე იყო. ვაჭრები და ხელოსნები ვულგახეთქილები გამორბოდნენ გარეთ, უკან დედაკაცები და მტირალი

ბავშები მოსდევდნენ. ძველი ტაძრის მოედანზედ იმოდენა ხალხი შეგროვილიყო. ქალაქელები და სოფლელები, მუშები და მილიციელები, რომ ჩვენი რაზმისთვის ალაგი ძლივს ვიპოვეთ, ეს ამოდენი ხალხი, მეტადრე მილიციელები და მუშები, ნანსიდან გამოერეკათ, რადგან ჯარის მხარე ეჭირათ. საშინლად აღელვებული იყვნენ ყველანი: ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ შევრიგდით, საშიში და საჩხუბარი აღარა გვაქვს რაო, თავიდან მოგვიშორეს, რომ ჯარისკაცთ არ მივშველებოდით და ის იყო ქალაქიდან გამოვედით, რომ შინ წამოვსულიყავით, და კიდეც მისცივდნენ დაქირავებული ჯარებით ერის ერთგულ ჯარისკაცებს და ხოცვა დაუწყესო... იქვე მოედანზედ ერთი ამგვარად მოტყუებული მოხუცებული კაპიტანი შეგვხვდა; მოვიდა, სალამი მისცა ჩვენს წინამძღოლს და უთხრა:

— თქვენ ნანსში მიბრძანდებით, ბატონო ჩემო? ნუ იზამთ მაგას... ქალაქის მოურავი აფიცრებს მიმხრობია და მილიციელებს ისე ექცევიან, როგორც აჯანყებულებს. იქნება არც კი შეგიშვან და თუ შეგიშვეს, ხაფანგში გაგაბამენ, ის ქვეყნის მოღალატენი!

ცოფსა ჰყრიდა საწყალი მოხუცებული კაპიტანი.

— ბატონო კაპიტანო, — უპასუხა ჩვენმა წინამძღოლმა, — მე და ჩემმა რაზმმა ჩვენი ვალდებულების მეტი არა ვიცით რა.

— თქვენი ნებაა, მეკი გაგაფრთხილეთ და ახლა თქვენ იცით. რადგან ძალიან დაღლილებიც ვიყავით და არც ყველანი დაგვწეოდნენ, დასვენების ნება მოგვცეს და, ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ დუქნებს მივვარდით, რომ ყელი გაგვესველებინა რითიმე.

მოქალაქენი ბანებზედ ასულიყვნენ და იქიდან დურბინდით იცქირებოდნენ ნანსისკენ. ჩამოვიდოდნენ და ხალხს ახალ ამბად აცნობებდნენ:

— ბრძოლა წმიდა პეტრეს უბანშია!

— კვამლი სტენვილის მხარეს მოჩანს!

ნახევარი საათის შემდეგ, როცა ყველანი შევიკრიბენით და ცოტაც არის შევისვენეთ, ისევ გზას გავუდექით. ცოტა ხანს უკან თოფის სროლაც შემოგვესმა, ათ საათზედ იმისთანა სროლა ისმოდა, რომ გული გვიფანცქალებდა. ზარბაზანი კი აღარსად იყო. მერე ქალაქიც გამოჩნდა. აგერ ქალაქიდან გამოქცეულთაც გაგვიარეს გვერდით. ისე მორბოდნენ უბედურები, თითქო უკან მდევარი მისდევთო. სულყველანი მუშები იყვნენ, ფეხშიშველნი და ჩაუცმელნი. მორბოდნენ და თუმცა უკან არავინ მოსდევდათ, ისინი მაინც გულგახეთქილები მიეშურებოდნენ, რომ რაც შეიძლება შორს მოჰქცეოდნენ იმ ქალაქს, სადაც ასე უსამართლოდ ხოცავდ-

ნენ ერის ერთგულ ჯარისკაცთ და ამ ჯარების მომხრე ხალხს. მორბოდნენ, ვისაც სიარული შეეძლო, და ვინც უძლურნი და დაჭრილნი იყვნენ, იქვე გზის პირას ეყარნენ და მწარედ გმინავდნენ; ზოგი გულში იყო დაჭრილი, ზოგი თავში, სისხლი სდიოდათ და იმისთანა თვალით გვიყურებდნენ, რომ ქვასაც კი აატირებდნენ: თხოვნით კი არასა გვთხოვდნენ: ალბათ ქალაქისკენ მიმავალნი მტრად მივაჩნდით.

თოფის ხმა ჯერ მარტო მარჯვნივ ისმოდა, მაგრამ ცოტა ხანს უკან მთელს ქალაქში ატყდა სროლა. ეს მაშინ მოხდა თურმე, როგორც მერე გავიგეთ, როდესაც დაქირავებულს გერმანელს ჯარს ვეღარ გაუძლო ჩვენმა ჯარმა და ხალხმა და ზურგი უჩვენა, მაშინ თურმე დაუწყეს უღმერთოდ ხოცვა.

ნანსში შევედით; ისე დაკეტილ-გამაგრებული დაგვხვდა სახლები, თითქო მტრის შემოსევას მოელოდნენო. ჩვენკენ საშინელი ღრიალით მორბოდა ხალხი, უკან ხუთი თუ ექვსი მხედარი მოსდევდა და უღვოოდა ხოცავდნენ და ცხენს ასრესინებდნენ. ცხენები ყალყზედ დგებოდნენ, ხმლებს პრიალი გაჰქონდა მზეზედ, ხალხის ბღავილი ცასა სწვდებოდა... მე იმ ბღავილისთანა საშინელი ჩემს დღეში არა გამიგონია რა, და ღმერთმა ნურც გამაგონოს მოსაკლავად განწირულის ადამიანის სასოწარკვეთილი მხეცური ბღავილი!

სულ ხუთ-ექვს მხედარს კი გამოურბოდნენ! რომ გაჩერებულიყვნენ და ცხენისთვის აღვირი დაეჭირათ, ხომ გადმოიღებდნენ იმ უღმერთოებს და მატლივით გასრესდნენ! მაგრამ შიში თქვით, თქვენა, შიში! შიშისაგან ისე გაშტერებულიყო იმოდენა ხალხი, რომ ხუთ მხედარს გაურბოდა და თავს აყლეტინებდა.

ჩვენის წინამძღოლის ბრძანებისამებრ კედელს ავეფარენით, რომ ლტოლვილი ხალხისთვის გზა მიგვეცა. ნათლიაჩემმა, ლეტუმიემ და სხვა აფიცრებმა ხმალი ამოიღეს და გვიბრძანეს თოფები გატენეთო.

ხალხი კი მორბოდა... წინ გაგვირბინა, თითქო მგლებისაგან დაფეთებული ძროხის ფარა არისო... ჩვენ რომ დაგვინახეს მხედრებმა, შეჩერდნენ, ცხენები მიაბრუნეს და იქვე სადღაც ვიწრო ქუჩაში ჩაუხვიეს. ალბათ შეეშინდათ, მილიციამ თოფი არ დაგვიშინოსო.

არ გასულა რამდენიმე წამი, ქუჩაში ჩვენს მეტი აღარავინ დარჩა. გაქცეულნი სადღაც მიეფარნენ და მარტო დაჭრილნი და დახოცილნიღა ეყარნენ. აქეთ-იქით ქუჩებიდან კი ისევ ის საშინელი სროლა და ხმაურობა ისმოდა და იქვე ერთი პატარა ეკლესიის სამრეკლოდან ბლოვის ზარი.

ღმერთო, ღმერთო! რა მწარე ფიქრები ამეშლება ხოლმე, ნანსი რომ მომაგონდება! ღმერთი სამართლიანიაო, იტყვიან, რაზედ ამოახოცვინა იმოდენა ხალხი და ჩვენი ჯარი? სამართლის მეტს ხომ არასა თხოულობდნენ, ის ბედშავნი!

რაკი ქუჩაში აღარავინ იყო, ჩვენ ისევ გზას გავუდექით. ის იყო წმ. ნიკოლოზის კარს მივატანეთ, რომ უცნაურმა ყვირილმა „ვერ და"?*) გვაცნობა, რომ ნანსი გერმანელი ჯარების ხელში იყო.

ბატონს დებულეს სამაგალითოდ უნდოდა აჯანყებული ჯარისკაცების დასჯა და, რასაკვირველია, ფრანგების დასასჯელად უცხოელთ მოიყვანდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ფრანგს ფრანგი ისე უღმერთოდ ვერ მოექცეოდა.

სისხლი თავში ეცა ჩვენს მოხუცებულ წინამძღოლს, ჭაღარა ულვაში აუკანკალდა. მარტოდ-მარტო მიუახლოვდა და უთხრა:

— საფრანგეთი!... ფალსბურგის მილიცია!

ამ პასუხზედ წინ გამოგვეჭიმა გერმანელი აფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი დასარწმუნებლად იმისა, რომ სამტროდ არ მივდიოდით. ეტყობოდა, ძალიან შიშით გვიყურებდნენ, რადგან დიდმა ხანმა განვლო, ვიდრე ის აფიცერი თავის უფროსს მოახსენებდა ჩვენს მისვლას და ჩვენს დანიშნულებას გვაცნობებდნენ; დაღალულ-დაქანცულები, უჭმელ-უსმელნი ფეხზედ ძლივსღა ვიდექით. ბოლოს, როგორც იყო, გვეღირსა და ბრძანება მოგვივიდა: წინ წამოდექით და წმ. ნიკოლოზის კარი გერმანელი ჯარის ნაცვლად თქვენ გაამაგრეთო.

სულ თხუთმეტი კაცი იქნებოდა. ძალიან გაეხარდათ ჩვენი მისვლა, რადგან ახლა თავისუფლად შეეძლებოდათ ქალაქში სიარული და ძარცვა-გლეჯა.

ის ღამე იქ გავატარეთ წმ. ნიკოლოზის კართან. ცის ქვეშ, მიწაზედ, კედლის ძირას მივეყარენით და ისე გვეძინა, თითქო საკუთარს ლოგინში ვწევართო. კარის გასამაგრებლად ორი ზარბაზანი იდგა; გარდა ამისა რამდენიმე ურემი ჩაეჩხირათ შიგ შემოსავალში. დარაჯი ყოველ საათს იცვლებოდა. მე ამის მეტი აღარა მახსოვს რა, რადგან ისეთი დაღლილი ვიყავ, რომ მკვდარივით მეძინა და ჩემდა საბედნიეროდ დარაჯობა მარტო მეორე დილას მერგო.

ორჯერ-სამჯერ რაღაც ყვირილმა გამომაღვიძა: ჩვენი დარაჯები იძულებულნი იყვნენ დაეჭირათ, დაემწყვდიათ, ვისაც კი მოასწრებდნენ და დაიჭერდნენ ვისმე თუ არა. ერთი იმისთანა ყვირილი ატყდებოდა, რომ ჩვენც კი ფეხზედ წამოვხტებოდით ხოლმე.

---

*) მანდ ვინ არის?

მოიყვანდნენ დაჭერილთ, იქვე რაღაცა სახლში შეაგდებდნენ და მარტო მაშინ მიჩუმდებოდა ხმაურობა.

მაგრამ ისე მეძინებოდა, რომ სიზმარივით მახსოვს ეს ამბები. რას იზამთ? რაკი კაცს ძილი მოერევა, აღარც რასმე გაიგონებს და აღარც დაიხსომებს. იმ ღამეს თურმე ათასობით ელიტეს დიდებულ გვარის შვილმა აფიცრებმა თავიანთი ჯარისკაცები, ნაქურდალს რად გვედავებითო და მათთან ერთად ხალხიც, ამათ რად ექომაგებითო. მთელი ღამე თურმე აღარ დამცხრალან დაქირავებული გერმანელი ჯარები და იმისთანა ბარბაროსულად, უღმერთოდ და დაუნდობლად თურმე ხოცეს ხალხი, თითქო ბასტილიის ციხის აღების ჯავრს აქ, ნანსში, ყრილობენო. მაგრამ ამისას დაწვრილებით ვერას მოგახსენებთ, რადგან ჩემი თვალით არ მინახავს.

და რაც მეორე დღეს მოხდა, 1790 პირველ ენკენისთვეს, იმას კი დაწვრილებით აგიწერთ.

მეორე დღეს ძალიან ადრე გამომეღვიძა. აგერ რამდენი ხანია მას შემდეგ და ეხლაც თვალწინ მიდგას იმ დღის ამბები.

ოთხი საათი იყო, რომ ნაღარა დაჰკრეს და ფეხზედ წამოგვაყენეს. ჯერ ისევ ბნელოდა, რომ წამოვდექი; ჩვენი წინამძღოლი ჟერარი და ერთი გერმანელი აფიცერი რაღაცას ლაპარაკობდნენ; იქვე ერთი სამოქალაქო მოხელეთაგანი იდგა თავის სამფერი *) სარტყელით. სამივენი ჩვენ შემოგვცქეროდნენ. ჩვენ კი ზლაზვნით ვიცვამდით ტანისამოსს, მტვერს ვიბერტყავდით და თოფსა და გუდას ვისწორებდით.

ნაღარის შემდეგ ყველანი მოგვიკითხეს; უკან ჩამორჩენილი რამდენიმე კაცი კიდევ მოსულიყო იმ ღამეს და სულ 120-130 ვიქნებოდით, იმათ გარდა, ვინც სადარაჯოდ იყვნენ დანიშნულნი და მოკითხვას ვერ დაესწრნენ.

ჟერარმა თვალი გადაგვავლო და რაკი ყველანი მზად ვიყავით, გვითხრა:

— აბა, ბიჭებო, ტყვეები ქალაქის საპყრობილეში უნდა ჩაიყვანოთ!

და იმავე დროს ტყვეებიც გამოიყვანეს. ღმერთო, რამდენი დაემწყვდიათ! ჯერ ჩვენ რამდენი გვყავდა და ახლა სხვებმა რამდენი მოიყვანეს! დედაკაცები, ჯარისკაცები, მუშები, მოქალაქენი... ისე გაივსო ქუჩა, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა. იმედმიხდილნი იყვნენ ყველანი, თავდაქინდრულნი, თითქო გრძნობენ, რომ საკლავად მიჰყავთო. ბევრი დაჭრილიც ერია, ბევრს ზედ შეშრობოდა სისხლი და რადგან სიარული არ შეეძლოთ, მხარში ამოუსხდნენ

*) საფრანგეთის დროშა სამფერია: ცისფერი, თეთრი და წითელი.

და ისე წაიყვანეს. ზოგი სულაც გულწასული გამოჰქონდათ და გარეთ ჰაერზედ მოასულიერებდნენ ხოლმე; თვალს აახელდნენ უბედურები, და წყალიო, ამოიკვნესებდნენ. ამათთვის ურმები შეაბმევინეს.

ნახევარი საათი მეტი მოვუნდით დაჭერილების გამოყვანას და მერე გზას გავუდექით: წინ დაჭრილებით ურმები მიგვიძღოდა და ურმებს უკან წყვილ-წყვილად დაჭერილები მისდევდნენ. ირგვლივ ჩვენ ვეხვეოდით.

მას შემდეგ რამდენჯერ მომხდომია ამგვარადვე დაჭერილების და ტყვეების ნახვა. ზოგჯერ 30—40 ურემი მინახავს ზედიზედ მიყოლილი. მაგრამ ეს პირველი იყო და ისე ამიშფოთა გული, რომ საუკუნოდ შემაზიზღა ციხეცა და მეციხოვნეც. ამისთანა სანახავს ადამიანი მარტო მაშინ დაივიწყებს, როცა გულზედ მიწას დააყრიან. რამდენჯერ მინახავს შემდეგში—ბრძოლის შემდეგ დაჭრილები მიჰყავდათ ხოლმე ექიმებისკენ; ან კიდევ არისტოკრატები მიჰყავდათ გილიოტინისკენ *) თავის მოსაკვეთად, და ყოველთვის ის გრძნობა ამშლია გულში, რომელიც გულს ჩამირჩინა ნანსში გაგონილმა კვნესა-გოდებამ.

სულ უბრალო ხალხი და ჯარისკაცები დაეჭირათ, რომელნიც საწამებლად მიჰყავდათ. იმას ხომ არა კმარობდნენ, რომ იმ ღამეს სამი ათასი კაცი მოეკლათ და ოთხასამდე ქალი და ბავშვი; არა, ამ უბედურთა გარდა იმავე დღეს ბ. ბულიემ ოცდარვა ჯარისკაცი ჩამოახრჩობინა — თქვენს აფიცრებს ანგარიშის თხოვნა როგორ გაუბედეთო; ერთს წამება მიაყენებინა, თუმცა საერო კრების დადგენილებით წამება აკრძალული იყო; და ორმოცდაერთი კიდევ საუკუნოდ საპყრობილეში ჩააყრევინა.

ჩვენ ისევ გზაში ვიყავით, რომ ეს ამბები მთელს ქვეყანას მოსდებოდა.

შემდეგში 1793 წელს გამარჯვებულმა ხალხმა უარესი უყო არისტოკრატებს და დიდი საყვედურიც დაიმსახურა ყველასაგან. მართალია, ამისთანა საქციელი ბუნების წინააღმდეგია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ გზას პირველად დიდებულნი დაადგნენ და, მაშასადამე, სასაყვედურონიც ისინი არიან. კაცი რომ თავის მოწინააღმდეგეს ამტყუნებდეს, დამარცხებულის შებრალება არ იცისო, უნდა მოიგონოს, თითონ კი იცოდა დამარცხებულის განკითხვა და შებრალება? თუ წაქცეულს ფეხითა სრესდა და სულით-ხორცამდე ღუპავდა?

დიაღ, აქეთ-იქით ჩვენ მივდიოდით შუბიან თოფებით და შუაში წყვილ-წყვილად დაჭერილები მიგვყავდა. ქუჩა მიჩუმებული იყო და

*) თავის მოსაკვეთი მანქანა, ვინმე გილიოტინის მიერ აგებული.

სახლები დაკეტილი, გარდა იმ სახლებისა, რომელიც გერმანელ ჯარისკაცებს გაეძარცვათ. ჩვენებურებს ნათლიაჩემი მიგვიძღოდა. ასე გაძარცულს, კარებშემტვრეულ სახლს რომ დაინახავდა, მე გადმომხედავდა ხოლმე და თვალებზედ ეტყობოდა, რა საშინელებას გრძნობდა ხალხის ერთგული შვილი ხალხის ასე დამცირებაზედ. მაგრამ რას იზამდა? ბატონი და ბრძანებელი ბულიე იყო და მის ბრძანების ასრულების მეტი ჩვენ არა შეგვეძლო რა.

უბედური ჩვენი პატიმარნი ზოგი ფეხშიშველა იყო, ზოგი პერანგის ამარა, ზოგი სუბუქად დაჭრილი და დავშეხვეული. მიდიოდნენ გაჩუმებულნი, გაშტერებულნი, იმედმიხდილნი, თითქო დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ქვეყანა უსამართლობის საბრძანებელი არისო; მიდიოდნენ გაჩუმებულნი, და ვინ იცის, რა ფიქრები უწყალებდნენ გულს უბედურებს! ვინ იცის, რამდენი სული რჩებოდათ ობოლ-ოხრად და უნუგეშოდ: ზოგს მოხუცებული დედ-მამა, ზოგს წვრილ-შვილი და და-ძმა! ღმერთო, რა ძნელი ყოფილა სხვის განწირულების ყურება: იმ საწყლების ნახვას, ღმერთმანი, ის მერჩივნა, მე დავეჭირე და ვეწამებინე.

ჩემ სიცოცხლეში სულ იმას ვნატრობდი, ნეტავი ნანსი მაჩვენა მეთქი და მაშინ აღარც ჩემი ნატვრა მაგონდებოდა და აღარც ნანსის დიდრონი ქუჩების გასინჯვა. მივდიოდი თავდაღუნული და თავს მაღლა მარტო მაშინ ავიღებდი ხოლმე, როდესაც სხვა ჯარებს შევხვდებოდით, რომელთაც ჩვენსავით დაჭერილები მიჰყავდათ. ან არა და ქუჩაში მკვდარს წავაწყდებოდით, ან სისხლის ღვარს... თრთოლა აგვიტანდა ხოლმე, მაგრამ რას ვიზამდით, უნდა გადაგვეარა. დაჭერილთაგანი ზოგი ერთ წამს შედგებოდა, მკვდარს გადახედავდა, თითქო ცდილობს თავის ნათესავი ან ნაცნობი იცნოსო, და ფერმიხდილი ისევ სხვებს მიჰყვებოდა.

ერთ პატარა მოედანზედ გერმანელი ჯარისკაცები ვნახეთ. ცხენებისთვის თივა დაეყარათ და თითონაც იქვე თივაზედ მიყრილიყვნენ და ხვრინავდნენ. მკვდრებისა, სისხლისა და ამ მძინარე გერმანელების გარდა იმოდენა გზაზედ მე ვერა დავინახე რა; გარდა ამისა კარგად დამახსომდა მშვენიერი კოხტა სამამასახლისო, მზისაგან გაბრწყინებული ფანჯრებით და კიბის მარმარილოს საფეხურებით, რომელზედაც მიდი-მოდიოდნენ მოხელენი და აფიცრები. ქვეით მისავალ კართან ორი შიკრიკი იდგა წასასვლელად გამზადებული და ბრძანებას ღა ელოდა. სამამასახლისოს მოედანზედ ჯარი იდგა. ჯერ არ გათენებულიყო; ცა ჯერ ისევ ვარსკვლავებით იყო მოჭედილი.

ის იყო მოედანზედ უნდა გავსულიყავით, რომ დაგვიყვირეს გერმანულად:

— ვინ მოდის?

საპყრობილეს კართან ერთი ცხენოსანი დარაჯი იდგა და ის გვეკითხებოდა. ჩვენთან ერთად სამოქალაქო გამგეობის მოხელე იყო და იმან უთხრა, ვინც ვიყავით. წინ წავიწიეთ და ცოტა ხანს უკან ერთ მოედანზედ გავედით, რომელზედაც სამ რიგად ხეები იყო ჩარიგებული. ურმები საავადმყოფოს წინ დავაყენეთ და როდესაც ალაყაფის კარები გავიარეთ და დარაჯები დავინახე, მაშინვე ვიცანი ამ რაზმის ტანისამოსი, რომელშიაც ჩემი ძმა ნიკო ემსახურებოდა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი ფანცქალი დამეწყო გულმა, როცა ვნახე, რომ ჩვენი ნიკო ნანსში უნდა ყოფილიყო. მომაგონდა იმის წერილი და ვიფიქრე, აქაც ხომ ისე დახოცავდა ხალხს, როგორც პარიზში; დისციპლინას, რასაკვირველია, აქაც ვერ უღალატებდა და, როგორ დავმალო, — ნეტავი არსად შემხვდეს-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ იმ დროს დაჭრილები გადაპყავდათ ურმიდან და როდესაც წარმოვიდგინე, რომ შეიძლება ჩემი ძმა ნიკოც დაჭრილია-მეთქი, გული მომილბა, ჩემი თავი შევარცხვინე, — რაც უნდა იყოს, შენი ძმა არის და ბავშვობაში ძალიან გექომაგებოდა-მეთქი; ეგეც რომ არა ყოფილიყო, ჩვენებს რომ გაეგოთ, რომ ისე ახლო ვიყავით ერთმანეთზედ ძმანი და ერთმანეთის ნახვას კი არ ვეცადენით, ეწყინებოდათ და თავის დღეში აღარ მაპატიებდნენ ამ უგულობას.

— თუ შეიძლება, მიბრძანეთ, სად ვნახო ნიკოლოზ ბასტიენი? ათისთავი გახლავთ თქვენს რაზმში. — ვკითხე ერთ ჯარისკაცს.

და რომ გაიგო, რომ მე ნიკოს ძმა ვიყავი, დიდად იამა,—თქვენს ძმას ძალიან კარგად ვიცნობო, მითხრა, და ემაგ ქუჩას რომ გაპყვეთ ახალ კარამდე, იქ, ვისაც ჰკითხავთ, ყველა მიგასწავლითო.

ნათლიაჩემს არაფრად ეჭაშნიკა, რომ მე ნიკოს სანახავად მივდიოდი.

— რა უბედურება მოგვივიდა, მიშელ, რომ ამ საქმეში გავერიენით? რა გვრჯიდა, აუტკივარი თავი რაზედ ავიტკივეთ? ქვეყანაში ხმა გაგვივარდება, ფალსბურგელი მილიცია გერმანელებს მიემხრო და პატრიოტებსა ხოცავდაო. გაზეთებშიაც ჩაგვწერენ! ღმერთო, რა უბედურება მოგვივიდა!

ნიკოს სანახავად წასვლა კი არ დაუშლია ღვთის წინაშე; ის კი მიბრძანა, დაჩქარდი, რადგან რაც ხანი ვიყავით ამ დაწყევლილ ქალაქში, ისიც კმარა და დრო არის შინისკენ გავემგზავროთო.

თოფი მხარზედ გავიდე და პატარა ქუჩას ჩავყევი. რა გითხრათ? კიდეც რომ აგიწეროთ, რა ყოფაში ვნახე ის უბანი, როგორი აოხრებული და განადგურებული იყო ყველა სახლი, დარწმუნებული ვარ, არ დამიჯერებთ. იმოდენი ხალხი ეყარა დახოცილი, რომ იტყოდით,

შეუძლებელია ადამიანიშვილს ეგენი ჩაედინოსო. მხეცი არ იზამდა იმას, რაც მე იქა ვნახე! ხალხიც ძალიან მაგრად უნდა დახვედროდა გერმანელებს, თორემ ისე რად ააოხრებდნენ იქაურობას: სახლს ვერსად ნახავდით, რომ კარი და ფანჯარა შემტვრეული არა ჰქონოდა.

ქუჩაში ყველგან დანგრეული სახლების აგური და კრამიტი ეყარა, თითქო ქალაქს ცეცხლი წაჰკიდებიაო. აქა-იქ დაჭრილი, მომაკვდავი ცხენები ეყარა. ორჯერ თუ სამჯერ დანგრეულ სახლებიდან კვნესა შემომესმა; ვისაც მოესწრო, დამალულიყო, მაგრამ ბ. ბულიეს ბრძანება გაეცა, სახლები გაჩხრიკეთ და დამალულები არავინ დაინდოთო! და დარეოდნენ გერმანელები, საცა დამალულს ვერ იპოვიდნენ, სახლს ხომ გაძარცვავდნენ.

ღმერთმა ჰკითხოს, ვინც მაშინ იმოდენი სისხლი ღვარა! ღმერთმა ჰკითხოს! დაწყევლილ იყოს უკუნითი უკუნისამდე იმ წამებისთვის, რომელიც მან სრულიად უდანაშაულოდ მიაყენა ხალხს! *).

მივდიოდი და თან ღვთის სახელსა ვგმობდი და უსამართლობას ვემდუროდი.

ბოლოს ახალ კართანაც ჩავედი. კარი ტყვიით იყო დახვრეტილი. იქვე ურმები ჩაემწკრივებინათ და ზედ მკვდრებს უდებდნენ: ისე ისროდნენ უბედურთ — კაცებს, ქალებს და — სიმართლეს დამალვა არ უნდა—უსუსურ ბავშვებს, თითქო საყასბოდან ღორებს ეზიდებიანო. კარისთვის გასამაგრებლად მთასავით მიეყარათ ქვები და ახლა მუშები დაეყენებინათ, რომ გზა გაეხსნათ იმ ურმებისთვის, რომელთაც მკვდრები უნდა წაესვენებინათ. მუშებს თავს გერმანელი ჯარისკაცები ადგნენ; იქვე დედაკაცები ირეოდნენ, მკვდრებში თავიანთებს ეძებდნენ და ღმერთმა ნუ გაგაგონოთ ისეთი ქვითინი, რომელიც იმათ წასკდებოდათ ხოლმე, როდესაც ახლობელს პოულობდნენ ვისმე. ცხელოდა და მეურმეებს აშურებდნენ, ჩქარა დაუდეთ და გზას გაუდექითო! აქეთ-იქით ფანჯრებიდან გამარჯვებული ჯარისკაცები იყურებოდნენ იმ რაზმისა, რომელშიც ნიკო ემსახურებოდა, ზოგი ქვემოდ იყო და მუქარით გასცქეროდა მუშებს — აბა გაბედეთ და ხმა ამოიღეთ, ცემითაც გაგხეთქავთ... დაგეხვევით და ცოცხალი ვეღარავინ გადაგვრჩებაო!

---

*) ის რაზმი, რომელიც ასე უღმერთოდ ამოქლიტეს ნანსში, „დიდად საყვარელი უნდა ყოფილიყო საფრანგეთისთვის: 14 მკათათვეს 1789 ეს რაზმი პარიზში იყო, მარსის მოედანზედ იდგა, და როდესაც პარიზელი ხალხი იარაღის საწყობს დაეცა, მთელმა რაზმმა გამოაცხადა, ჩვენ ხალხის წინააღმდეგ ჩვენს დღეში ვერ ეიხმართ იარაღსაო“. ხალხმა იარაღის საწყობი აიღო. შეიარაღდა და ბასტილიის ციხე მიწასთან გაასწორა. მართებლობამ ნანსში იყარა ამ რაზმის ჯავრი.

ერთი მოხუცებული დედაკაცი გაეკავებინათ მეზობლებს და შინ მიჰყავდათ. ის კი მწარედ მოსთქვამდა:

— რატომ მე კი არ მომკლავენ ეგ უღმერთონი? ჩემ ბიჭთან ერთად რატომ მე კი არ მომკლავენ?.. ოჰ, თქვე ავაზაკებო, თქვე იუდებო, თქვენა!!

გული გადმომიბრუნდა. ბევრი ვინანე, ნეტავი არ ჩამოვსულიყავი-მეთქი. ასე გასინჯეთ, გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს ურემთან ჩვენი ძველი ნაცნობი კატრვანელი იერემია დავინახე. ისევ ისე უფროს ათისთავად ემსახურებოდა, იცინოდა და ჩიბუხს ეწეოდა. აბა იერემიას როგორ რასმე ვკითხავდი? იქვე სხვანიც ბევრნი იყვნენ ნიკოს რაზმისანი და იმათ ვკითხე, ათისთავი ბასტიენი სად ვნახო-მეთქი? პირდაპირ ქუჩის მეორე მხარეს ერთი დუქანი დამანახვეს, ა იქ მოძებნეო. და ჯერ შიგ არც კი შევსულიყავ, რომ გარედანვე ვიცანი ჩემი ძმა. ისიც ჩიბუხს ეწეოდა და გულგრილად შეჰყურებდა იმოდენ უბედურებას. ნიკოს დანახვაზედ ყველაფერი გადამავიწყდა და გული საამურად ამიჩქროლდა. რას იზამთ? ბუნებრივი გრძნობა ერთი ასად უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე აზრებისა და მიმართულების განსხვავება: ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მე და ის ჩვენს დღეში ვერ შევთანხმდებოდით, მაგრამ...

ფანჯარასთან მივედი და დავუძახე: — ნიკო!

ერთი ჩამოიხედა და, დამინახა თუ არა, ჩიტივით გადმოფრინდა, და თან ყვიროდა:

— მიშელ?! შენც აქა ხარ, ბიჭო?!. მაშ ფალსბურგელებიც ჩამოსულხართ?.. თქვენ გიშველათ ღმერთმა!... აი, ეგ მიამა!

მიყურებდა, მსინჯავდა: ეტყობოდა ჩემი ნახვა მართლა იამა. წელზედ ხელი მომხვია და დუქნის ზემო სართულში ამიყვანა; ზემო სართულში ერთ დიდ დარბაზში შემიყვანა, სადაც ხუთი-ექვსი ჯარისკაცი სუფრას შემოსხდომოდა და რამდენიმე კიდევ ფანჯრიდან იყურებოდა. შემიყვანა და სიხარულით შესძახა:

— ერთი ამას უყურეთ და, ბიჭებო? როგორ მოგწონთ ამის მხარ-ბეჭი? გთხოვთ იცნობდეთ, ჩემი ძმა არის.

მერე მომვარდა, ორივე ხელით დამეჭიდა და უნდოდა შეეენძრიე როგორმე. იმის ამხანაგები იცინოდნენ. მეც ძალიან კმაყოფილი ვიყავი, ღვთის წინაშე; გული ლაღად მქონდა იმ დროს და ვისაც ვხედავდი, ყველა კარგ კაცად მიმაჩნდა. ღვინო შემომთავაზეს.

— ახ, ნეტავი გუშინ მოსულიყავით და! იძახდა გახარებული ნიკო — ნეტავი გუშინ მოსულიყავით, რომ სეირი გენახათ! იმდენი თუმანი მომცეს ღმერთმა, რამდენიც მე გუშინ თავი გავაპე — ეა ჩემზედ მდიდარი აღარავინ იქნება!

ყურში მითხრა, ჩვენი უფროსი ათისთავი გუშინ მოკლეს და კაპიტანი დამპირდა, იმის ალაგას შენს მეტი არავინ მინდა, რადგან სამაგალითო ვაჟკაცობა გამოიჩინეო.

წარმოიდგინეთ, როგორ საწყენად დამრჩებოდა ნიკოს ლაპარაკი იმ საზიზღარი სურათების შემდეგ, რაც მე ნანსში ვნახე! მაგრამ იმის ამხანაგებისა მერიდებოდა და გაჩუმებული ვიყავი.

ცოტა ხანს უკან საყვირის ხმა გაისმა. ყველანი წამოდგნენ, იარაღი აიხსნეს, ქუდები დაიხურეს და წასვლა დააპირეს. ნიკოც წამოდგა, მაგრამ ერთმა ამხანაგმა უთხრა: დარჩი, აფიცერს მე შევატყობინებ შენი ძმის მოსვლას და შენ საქმესაც მე გავაკეთებო. ნიკო დარჩა და როდესაც ყველანი წავიდნენ, მაშინ მოაგონდა ჩვენები და მკითხა:

— ჩვენი ბებრები ხომ კარგად არიან?

ყველანი კარგად არიან-მეთქი, ვუთხარი, დედაც, მამაც, კლოდიც, მატურინიც და პატარა სტეფანეც:

— ახლა აღარა გვიჭირს-რა, მე ცოტა ჯამაგირი მომიმატა ნათლიაჩემმა და ღვთის მადლით ერთი ლუკმა პური ჩვენცა გვაქვს და სათხოვარი აღარა გვჭირს რა.

ძალიან იამა. ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— ყოჩაღი ბიჭი ხარ, მიშელ! შვილი ყოველთვის ვალდებულია თავის ბებერ მშობლებს დაეხმაროს. განა არა, დიდი ხანია მინდა მოვიდე და ვნახო ის საწყლები... დიაღ, დიდი ხანია მინდა მოვიდე... მაგრამ რომ მომაგონდება ხოლმე ჭადი და ლობიოს შეჭამადი, რომ მომაგონდება ხოლმე ჩვენი მიწური, რომელშიაც იმოდენი ტანჯვა გამოვიარეთ, მაშინვე აზრი შემეცვლება. ჯარისკაცმა თავის დღეში არსად უნდა შეარცხვინოს თავისი დროშა. მაგრამ საქმე ჯამაგირი კი არა, საქმე ხმალია და მეფის სამსახური... კაცი რომ მეფის სამსახურში იყოს, თავის თავის პატივისცემაც უნდა იცოდეს... მოდი შენა და თავმომწონე ათისთავი სადღაც სოროში შეიყვანე და ათქმევინე: ეს დაბრანძული ბებრები ჩემი დედ-მამა არისო... ხომ დამეთანხმები, მიშელ, რომ ათისთავი ასე არსად უნდა იმდაბლებდეს თავსა!

— მაგას რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, — ოღონდ ეს კია, რომ ამჟამად ჩვენი მშობლები ისე დაბრანძულები აღარ არიან, როგორც შენ დროს იყვნენ; რობენის ვალი დიდი ხანია გადავწყვიტე, ისე რომ, მამაჩემს ვეღარავინ შეაწუხებს; დედაჩემს ეხლა ოთხი თხა ჰყავს და რძე და ყველი ულეველი გვაქვს სახლში; იმდენი ქათმები გავიჩინეთ, რომ თუნდა მთელ შენს რაზმს დავუხვდებით; მატურინი დღიურად მუშაობს ნათლიაჩემთან და ძალიან ყაირათიანი გოგოა; პატარა სტეფანემ წიგნი ისწავლა, მე თითონ ვასწავლიდი სა-

ღამოობით; ჩვენი სახლი რომ ნახო, ვეღარც კი იცნობ: მიწურს მშვენიერი ჩალა დავხურეთ და ყავარში ასასვლელი კიბე ახალი დავდგით. იატაკიც დავაგეთ; ცოტა რამ ლოგინი გავიკეთეთ, ჯერ ორი ხელი გვაქვს, მაგრამ, ღმერთი მოწყალეა, მერმე მეტი გვექნება. ისეთი რბილი ჩადუნა-ბალახით გავტენეთ დოშაკები, რომ ყურთუკი გეგონება. ფალსბურგელი მეშუშე ამოვიყვანეთ და შუშები იმან ჩაგვისვა ფანჯარაში; კალატოზმა კრომერმა კიდევ საკომური შეაკეთა და ვართ ჩვენთვის.

— მით უკეთესი, — შესძახა ნიკომ, — მით უკეთესი! რაკი სახლი შეგიკეთებიათ და საჭმელ-სასმელიც გქონიათ, მაშ იქნება გავბედო და ამოვიდე... დიაღ, იქნება ამოვიდე.. ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა ი ბებრების ნახვა... დიაღ, ერთი კვირით დავეთხოვები და ამოვალ როდისმე... აგრე უთხარი, მიშელ...

ეჰ, რას იზამთ! გული კეთილი ჰქონდა საწყალ ბიჭს და თავი კი... თავში ქარები უქროდნენ. იმის საზრუნავი მარტო ეპოლეტები იყო, ხმალი და ხანჯალი, სისხლის ღვრა და კაცის კვლა. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს იშვიათად თუ შეხვდებით ვისმე ისე უაზროს, რადგან განათლებამ ხალხს ყველგან თავისი სხივი მოჰფინა; მაშინ კი უმრავლესობა ჯარისა ჩემი ძმა ნიკოსავით გონებაგაუხსნელი იყო უსწავლელობისა გამო... ძველი და ახალი დრო იმით გაირჩევა, რომ ძველს დროში ბატონები და ბერები სულ იმასა ცდილობდნენ, ხალხმა არა ისწავლოს რა, რომ უცოდინარი გლეხი ჩვენ ნებისადა ვპარსოთო; და დღეს კი იმასა ცდილობს ყველა, რომ ხალხში განათლება მოჰფინოს.

მერმე ნანსის ამბებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მე ჩემს ნახულს ვუამბობდი. ნიკო იდაყვდაყრდნობილი იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა. ცოტა ხანი კი ისმინა ჩემი, მერე მაგიდას მუშტი დაჰკრა და დაიყვირა:

— ერიჰა! შენ მაგისი რა გაგეგება, მიშელ? ეგ პოლიტიკის საქმეა, პოლიტიკისა! აბა რა იცით თქვენ პოლიტიკისა? სად თქვენ გადაყრუებული სოფელი და სად პოლიტიკა?!

— იქნება პოლიტიკაც იყოს, მაგრამ ძნელი გასაგები კი არაფერია: ჯარისკაცები თავიანთსას დავობენ...

— თავიანთსას დავობენ?! — შეჰყვირა ნიკომ და მხრები აიჩეჩა. — კარგი, თუ გიყვარვარ და! ორი კიდევ სხვა რაზმი თხოულობდა თავისას. იმათ კარგად გაუსწორდნენ! იმათ კარგად გაუსწორეს ანგარიში!.. გროში არავის დააკლეს! მაშ რატომ ამათ კი არ მისცეს? იმიტომ არ მისცეს, რომ უსინდისონი, წუპაკები იყვნენ! მაშ არადა? იქნება გგონია, ფული ენანებოდათ და იმიტომ ამოჟლიტეს! ეგ არის, დიაღ! იმიტომ ამოჟლიტეს, რომ ხალხის მხარი ეჭირათ, პატრიოტები

იყვნენ! პარიზში ხალხი რომ ბასტილიის ციხეს იღებდა, მაშინ ეგ რაზმი იქ იყო და როცა უბრძანეს, ხალხს დაერიეთო, უარი გამოაცხადეს, ჩვენ ხალხზედ იარაღს ვერ ვიხმართო... ახლა ხომ გაიგე, მიშელ?

ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ამბავი, რომ განცვიფრებული ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. ნიკომ განაგრძო:

— ჯერ სად არის? ეს მარტო დასაწყისია! საქმე ის არის, ძველი წესწყობილება დავამყაროთ და მეფეს თავისი უფლებანი დავუბრუნოთ... საქმე ის არის, ქვეყნის ამრევი საერო კრების ყბედი წევრები ხელთ ვიგდოთ როგორმე! მაგრამ, ნუ გეშინია! გენერალ ბუილეს იმისთანა დაწყობილობა აქვს, რომ საერო კრებისა იქნება ერთიც არ გადარჩეს... დღეს არ იქნება, ხვალ იქნება, პარიზს დავეცემით და ვაი იმის ბრალი, ვინც არ მოგვერიდება!

და გულიანად იცინოდა, გეგონებოდათ, თვალებს აბრიალებს მხეცი, რომელსაც ხორცი დაანახვეს და იმასღა ცდილობს, რომ ისკუპოს და კლანჭი გაჰკრასო. იმისთანა სიხარული და ნეტარება ეხატებოდა, თითქო საერო კრება და მთელი საფრანგეთის ხალხი თავის ბრჭყალებში უჭირავსო.

მე კი თავბედს ვიწყევლიდი: რა ღმერთი გამიწყრა, რომ ამ მხეცის სანახავად ჩამოვედი-მეთქი, ვფიქრობდი. ნუ თუ ეს სისხლით გაუმაძღარი ველური ჩემი ძმა არის? მაგრამ რას ვეტყოდი, რას გავაგებინებდი? ბევრიც რომ მეთქვა, იმის გონებადახშულ ტვინს ვერაფერს შევაგნებინებდი, იქნება გამჯავრებოდა კიდეც. და ამიტომ ისევ წასვლა ვამჯობინე.

— აბა, ნიკო, ახლა კი დროა! მე ძალიან მინდოდა შენთან ყოფნა, მაგრამ ცხრის ნახევარზედ ფალსბურგისაკენ მივდივართ და ვაი თუ დამიგვიანდეს.

— მიდიხარ, მიშელ?

— დიაღ, მშვიდობით.

— ბიჭო! მე კი მეგონა პურს ჩვენთან სჭამდი... ჩემი ამხანაგებიც ეხლავ მოვლენ! ფული მაქვს, ნუ გეშინია! გენერალმა ბულიემ გუშინდელი დღის ჯილდოდ თითო თუმანი დაგვირიგა!

და ჯიბეზედ ხელი დაიკრა.

— ეგ შეუძლებელია, ჩემო ნიკო, ხომ იცი, უპირველეს ყოვლისა სამსახური უნდა ახსოვდეს ჯარისკაცს. მოკითხვის დროს რომ იქ არ ვიყო, ძალიან დამსჯიან.

ეს საბუთი ძალიან მოეწონა ჩემს ძმიას და აღარა მითხრა რა. მე ჩემი თოფი ავიღე, ქუდი დავიხურე და ქუჩაში ჩავედით.

— მაშ მშვიდობით, მიშელ! ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს!

ერთმანეთს მოვეხვიენით.

— არ დაგავიწყდეს, ბებრებს უთხარი, რომ ამ ცოტა ხანში უფროს ათისთაობას მაძლევენ.

— ვეტყვი, ვეტყვი.

— უთხარი, ახალი ეპოლეტებით რომ დავიმშვენებ მხარს, იქნება ამოვიდე თქვენ სანახავადა-თქო.

— ძალიან კარგი!.. ყველაფერს ვეტყვი.

გამოვეთხოვე და გზას გავუდექი. მივდიოდი და სულ ნიკოს ამბავსა ვფიქრობდი: ავი გულისა არ იყო ის საწყალი ისა, და რომ ებრძანებინათ, თავის ხმლით ქვეყანას აჰკუწავდა: დისციპლინაა, რასაც მიბრძანებენ, მეც იმას ჩავდიგარო.

ის იყო წმ. ნიკოლოზის კართან მივედი და ნაღარაც დაჰკრეს.

— ნახე შენი ძმა, მიშელ? — მკითხა ნათლიაჩემმა.

— დიაღ, ბატონო, ვნახე.

ალბათ სახეზე მეტყობოდა, რასაც ვფიქრობდი ნიკოსედ, რომ ნათლიაჩემმა აღარა მკითხა რა და მას შემდეგ თავის დღეში აღარ გაუხსენებია ჩემი ძმის სახელი.

ძლივსღა მოვასწარი იქვე ხაბაზთან ერთი პური მეყიდნა და დუქანში ერთი ძეხვი. მშიერი ვიყავი. დაიძრა ჩვენი რაზმი.

ამ მგზავრობამ უფრო დაგვაღონა, რადგან საცა კი ფეხი ვადავდგით, ყველგან იმ ლაჩარს და უნამუსოებს შეეხვდით, რომელთათვის მართალი გამარჯვებულია, და საცა ძალოვანსა ნახავენ ვისმე, ისინიც იმას მიემხრობიან, ფიანდაზად ეგებიან, და ქება-დიდებას უკმევენ; დროზედ და უდროოდ ყველგან იმათ ქებაში არიან და ცამდე აჰყავთ იმათი გონება, წინდახედულობა, სამართლიანობა და ქველობა. რომ დაუკვირდეს კაცი, შეეზიზღება ეს უსინდისონი, რადგან ყოველ იმათ სიტყვაში ცხადად გამოიხატება იმათი გულის პასუხი: ჩვენ შენთანა ვართ, რადგან ძლიერი ხარ, და სუსტი რომ ყოფილიყავი, პირველად ჩვენ გაგთელავდით ფეხის ქუსლითაო.

მივდიოდით შინისკენ და ყველგან ამ ლაჩრებს ვხედავდით; ღიპი გადმოეგდოთ, სამფერი სარტყელი შემოეკრათ და დაუღალავად გაიძახოდნენ ხრინწიანი ხმით: ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! გენერალ ბუილეს გაუმარჯოს!

ერთ სოფელში უნდოდათ, ჩვენთვისაც მოელოცათ გამარჯვება, მაგრამ დაინახა თუ არა ჩვენმა ეერარმა, მამასახლისი ჩვენსკენ მოდისო, შორიდანვე ისე შეუტია, რომ სულ დავთრები აუშალა:

— გზა გვიყავით, მამა გიცხონდებათ! რა დროს ეგენია!?

გზა მოგვცეს და ისე გავიარეთ, რომ ერთ წამს არ გავჩერებულვართ. მამასახლისი და მისი ამალა სალამს გვაძლევდა და ჩვენ კი

ხიზღით შევყურებდით; უბედურებაც ის არის, რომ ამისთანა ღმერთგამწყრალებს ასე სასტიკად არ ვექცევით და არ ვაგრძნობინებთ ჩვენს ზიზღს! მაშინ ამდენს როდიღა გაბედავდნენ, რაკი ეცოდინებოდათ, რომ თითონ თუ არავითარ პატივს არა სცემენ თავიანთ თავს, სხვის მწუხარებას მაინც პატივისცემით უნდა მოეპყრან.

ორი საათი სრულდებოდა, ლუნევილში რომ მივედით. ლუნევილელი მილიცია ჯერ არ დაბრუნებულიყო და ადვილად წარმოსადგენია, რამოდენა ხალხი შემოგვეხვეოდა, მეტადრე მილიციელების დები და დედები და რა კითხვას დაგვიწყებდნენ. მოედნამდე ძლივს გავახწიეთ; იქ კი იმოდენი ხალხი შემოგვეხვია, რომ იძულებული ვიყავით გავჩერებულიყავით. რომელი ერთისთვის გაგვეცა პასუხი? ამ დროს ხალხიდან ვიღამაც დაიყვირა:

— ბიჭო! ეს ხომ ბატონი ივანეა და მიშელ ბასტიენი! ბარაკელებს გაუმარჯოთ!

გიორგი მუტონი იყო. გეხსომებათ, იმის მამას ფალსბურგის მოედანზედ დუქანი ჰქონდა. გიორგი კარგი წარმოსადეგი, მოხდენილი, მხიარული გულის ბიჭი იყო და კარგადაც წაიყვანა, ღვთის წინაშე, თავისი საქმეები. პურს ყოველთვის იმის მამის დუქანში ვყიდულობდით და ღვინის სასყიდლადაც ყოველთვის ერთად დადიოდნენ ისა და ნათლიაჩემი. როგორც ხედავთ, ძველი მეგობრები ვიყავით და ძალიანაც გაგვეხარდა, გიორგი რომ დავინახეთ. ჯერ გამარჯვება არ ეთქვა, რომ შორიდანვე იმას გვიძახდა — პური ერთად უნდა ვჭამოთ, ჩემი წვეული ბრძანდებოდეთო.

— აქ რას აკეთებ, ბიჭო? — ჰკითხა ნათლიაჩემმა.

— საწვრილმანოსა ვყიდი, ბატონო, ეს შაქარი. ეს მიხაკ-დარიჩინიო. ჯერ სხვას ვემსახურები და, თუ ღმერთი შემეწია, იქნება საკუთრადაც დავიწყო ვაჭრობა.

— ღმერთი მოწყალეა, ნუ გეშინია! მერწმუნე, მაგაზედ უკეთესს ვერა ხელობას ვერ აირჩევდი. ვითომ წაგიხდეს რამე? ან გაუყიდავი დაგრჩეს? შენც არ მომიკვდე! რა წაახდენს პილპილს, ან სანთელს და ზეთს, ოღონდ კი კარგი საქონელი იყიდოს კაცმა და პირიანად გაჰყიდოს?

ბევრი არ გვატარა გიორგიმ და ერთ პატარა დუქანში შეგვიყვანა. ხალხით სავსე იყო იქაურობა; შემოვიდოდნენ, იქვე დაზგაზედ საჩქაროდ გადაჰკრავდნენ ზოგი ღვინოს, ზოგი ლუდს და ისევ გადიოდნენ. ძალიან გაგვიმასპინძლდა გიორგი: ერბო-კვერცხი გააკეთებინა, ტულის ღვინო მოატანინა და ისე შევექეცით დაღლილები, რომ კინაღამ თითები დავილოკეთ. მაგრამ ფული კი ნათლია-

ჩემმა გადაიხადა: აბა, თავიზედ უმცროსს ფულს როგორ მიაცემინებდა? ასე გასინჯეთ, სადილს უკან ყავაც კი მოატანინა.

შევექცეოდით და თან ნანსის საქმეებზედ ვლაპარაკობდით.

— ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავ, რომ ჩემი თვალით მენახა ყველაფერი, — შეჰყვირა გიორგიმ. — ჩვენი დუქნის პატრონი მილიციაში აფიცრად არის და ასე ეგონა, დიდ სახელს მოვიხვეჭავო, დუქანი მე შემომახვია კისერზედ და თითონ კი ნანსში წაბრძანდა. ნეტავი ვაუკაცი მაინც იყოს, ვიტყოდი, კაცია და კაცურად მოიქცევა-მეთქი; მაგრამ საქმეც ის არის, რომ სხვებს წააქეზებს — აბა, ბიჭებო, მომყევითო! და თითონ კი სხვებს ზურგს უკან ამოუდგება!

— ნეტავი შენა, რომ იქ არ იყავი! დიდებულების უსინდისობის მეტს ვერას ნახავდი.

— მეც ეგ მინდოდა, და! განა არა, ჭირივითა მძულან ის ამოსავარდნები! დასწყევლათ ღმერთმა, დაბადებითვე წინ აგვეტუზებიან ხოლმე და რაც უნდა ნიჭიერნი და მცოდნენი ვიყვნეთ, პირველი ალაგი ყოველთვინ იმათა რჩებათ! ჩვენ კი იძულებულნი ვართ მეწვრილმანეს შევეკედლოთ სადმე და ჩვენი მომავალი იქ ვეძიოთ. ნეტავ იქ ვყოფილიყავი, რომ იქაც მენახა იმათი უვარგისობა და გული მომეფხანა.

— რაღა გული მოგეფხანა, დღეს ნანსელები ამოწყვიტეს, ხვალ სხვებს უარესს უზამენ და იქნება უფრო მეტადაც დაგვიმონონ, ვიდრე აქამდე ვიყავით.

— მაგისი კი ნუ გეშინიათ, ბატონო ივანე! ეგ უკანასკნელი ფართხალი ღა გახლავთ სულთმობრძავი არისტოკრატებისა. რომ არ აჩქარებულიყვნენ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იფარფაშებდნენ და, სულ ნაკლები რომ ვსთქვათ, ერთი 15 — 20 წელიწადი მაინცა სჭამდნენ სახელმწიფო ხაზინას, როგორც აქამდე უჭამიათ. ეხლა კი ისე გამწვავდა საქმე ხალხსა და დიდებულთა შორის და მეტადრე ჯარსა და აფიცრებს შორის, რომ სხვა გზა აღარა არის რა, ერთმანეთს უნდა შეებრძოლონ და მომავალი იმისია, ვინც დღეს გაიმარჯვებს. თქვენ ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ხალხი გაიმარჯვებს. მერწმუნეთ, რაც ადრე გაგვითენდება ეგ დღე, ის ემჯობინება, რადგან, რა ვქნა, როგორ არა ვთქვა, მთელი ქვეყნის სასწორსა და საწვრილმანოს მე ერთი კარგი თოფი მირჩევნია!

ნათლიაჩემს სიცილი წასკდა:

— ერიჰა, მაგ ოცნებას თუ გაჰყე, ჩემო გიორგი, საკუთარ დუქანს სიზმარშიაც ვერა ნახავ. და რაც შეეხება შენს აზრს, რომ არისტოკრატები გზაზედ გვიდგანანო, მაგაში კი სრულიად გეთანხმები.

დღეს ასეთი დრო დაგვიდგა, რომ, ვისაც კი გასჯა შეუძლია და მკლავი უჭრის, ძალიან შორს წავა, თუ ღმერთი შეეწია... მაგრამ საქმე დასაწყისი იყო და, რაკი დასაწყისმა კარგად ჩაუარა, დებულე პირდაპირ პარიზისკენ წაიყვანს თავის ჯარებს და...

— ნეტავი აგრე! შეჰყვირა გიორგიმ, მაგაზედ უდიდეს სამსახურს ის ჩვენ სხვას ვერას გაგვიწევს.

ამ დროს მოედანზედ ნაღარა დაჰკრეს და ჩვენც ავიშალენით. გიორგიმ ცოტა რამ მანძილი გაგვაცილა, მერე გამოგვეთხოვა, ფალსბურგელ ნაცნობებთან მოკითხვა დაგვაბარა და იქვე მოედანზედ თავის დუქანში შევიდა. რას წარმოვიდგენდით მაშინ, რომ ერთ დღეს ჩვენი გიორგი, მეწვრილმანის ნოქარი გიორგი, ლაფაიეტის ალაგს დაიჭერდა და მთელი პარიზის მილიციის უფროსად გახდებოდა!

ჰე, სოფელო, რა შიგან ხარ?.. მეტადრე რევოლუციის დროს! ძველებურად რომ დარჩენილიყო ჩვენი ცხოვრება, ჩვენი გიორგი ან სირაჯი უნდა გამოსულიყო, ან მეწვრილმანე, ან ბევრი-ბევრი უფროსი ათისთავი! მაგრამ ახალი დრო დადგა და სულ უბრალო გიორგი მუტონები ზოგი საფრანგეთის მარშლად ხდება, ზოგი სვედების მეფედ და საფრანგეთის იმპერატორად! და სწორედ ისინი, ვინც უწინ შთამომავლობით იყვნენ დიდებულნი და ქვეყნად თავიანთ მეტი არავინ არად მიაჩნდათ, სწორედ ეს დიდებულნი გარს ეხვევოდნენ ამ ახალ მარშლებს და ფიანდაზად ეგებოდნენ ფეხქვეშ, რომ წყალობა მიეღოთ რამე.

იმ საღამოს ბლამონში ვიყავით და მეორე დღეს შინ ისე ავედით, რომ გზაში საიმისო აღარა მომხდარა რა.

მაგრამ ცუდი ამბები უფრო ჩქარა თურმე დაიარებიან, ვიდრე ჯარი — და ნანსის ამბები წინ გვხვდებოდა, საცა მივიდოდით. ქვეყანა ღელავდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლორენს ავსტრიელები შემოესევიანო. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ყველა მალავდა თავის შიშს. ან როგორ ეთქვათ? თუ ავსტრიელები შემოგვესევოდნენ, მეფის წყალობით შემოგვესევოდნენ და მეფე ხომ... თავის ხალხის მტრობას არ ინდომებდა? მეფე მარტო თავის ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და ის დეპუტატები, რომელნიც მეფეს მისდგომოდნენ, დიდს მადლობას უთვლიდნენ გენერალ ბულიეს ნანსის საქმის გამო. ჩვენდა საბედნიეროდ თავადი არტუა და იმისი მტრები ჯერ იქ არა ბრძანდებოდნენ, საცა ნებავდათ. კარგა ხანი გავიდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე ისინი პარიზში დაბრუნდებოდნენ და თავად-აზნაურობის ძველად კუთვნილ უპირატესობის ხელახლა შემოღებას ეცდებოდნენ. მაგრამ გვიანლა იყო და ტყუილადღა ცდილობდნენ, რადგან რევოლუციამ იმისთანა ძირი გაიკეთა საფრან-

გეთის ნიადაგზედ და იმისთანა ფესვები გაიდგა, რომ მთელი ქვეყნის არისტოკრატები და ბერები რომ დარეოდნენ, იმას ველარას დაა-კლებდნენ.

III

ჩვენი დაბრუნების შემდეგ დღითი დღე მატულობდა ხალხის მღელვარება და ნათლიაჩემი, ლეტუმიე, კლოდ ჰურე და ერთობ ყველა, ვისაც კი სასულიერო წოდების მამული ჰქონდა შეძენილი. სულ იმის შიშში იყვნენ — ჩვენც ნანსელი ჯარისავით არ ამოგვწყვიტონ და მამული უკან არ წაგვართვანო. ამიტომ იყო, რომ ეს ბუნებით ფრთხილი და დარბაისელი კაცები რევოლუციის უმთავრეს მომხრედ და ბურჯად იქცნენ. და რადგან სახელმწიფოს სასარგებლოდ მამულისას, მოძრავი ქონებისას ან რაიმე ვაჭრობის გადასახადს იხდიდნენ არა ნაკლებ სამი მუშის ფასისა, იმათ „ხმოსანი მამულიშვილები“ უწოდეს. ხმოსან მამულიშვილთა რიცხვში მარტო ოჯახის პატრონი და შეძლებული კაცები მოჰყვნენ და მარტო იმათ ჰქონდათ უფლება ამოერჩიათ დეპუტატები, მამასახლისი, სოფლის სხვა მოხელენი, მსაჯულები, მღვდელი და თვით ეპისკოპოსიც.

ჩვენ კი, რომელთაც ჩვენი მარჯვენისა და ჩვენი სისხლის მეტი არა გვებადა რა, რომ სამშობლოსთვის შეგვეწირა, ჩვენ „უხმონი“ ვიყავით და არავითარი უფლება არა გვქონდა. იმის მაგივრად, რომ მამულისშვილნი შეეერთებინათ სიმართლისა და თანასწორობის დაკვალად, საერო კრება, ჩვენი ძველი მეფეებისა არ იყოს, საფრანგეთის შვილთ სხვადასხვა ხარისხად ჰყოფდა, თითქო იმას ცდილობს, რომ ერთმანეთს გადაჰკიდოს და ყველას მონობის უღელი დაადოსო. რაც კი მას შემდეგ ამ 60 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას უბედურება ეწვია, ყველა ამ განყოფილების ბრალი იყო. მაგრამ მაშინ რას წარმოვიდგენდით, რომ ეს გარჩევა ხმოსან და უხმო მამულიშვილად ამდენს უბედურებას გვწევდა და დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ყველანი ერთად ვიყავით და ერთად ვიბრძოდით: ვისაც შეეძინა — ხომ შეიძინა და ვისაც არა, იმედი ჰქონდა, თუ ვიშრომე და ვიყაირათე, მეც შევიძენ რასმე და წართმევას ვერავინ გამიბედავსო.

აბა, მაშინ უნდა გენახათ, რა ტკბილად გვიღიმოდნენ ხმოსანი მამულიშვილნი ჩვენ უხმოთ! უნდა გენახათ, როგორ დამკრავდა ხოლმე ნათლიაჩემი მხარზედ ხელს და რა სახელებს მიწოდებდა: თავისუფლების ბურჯიც მე ვიყავი, სამშობლოს იმედიც... და ვისაც უწინ სალამსაც კი არ აღირსებდნენ, ვინც უწინ სიღარიბის გამო

ყველასაგან ათვალწუნებული იყო, დღეს ისე იყო მიღებული სასულიერო წოდების მამულების მყიდველთაგან, თითქო ამათზედ უსაყვარლესი აღარავინ ჰყავთო. საცა კი ღარიბს დაინახავდნენ ვისმე, გადაეგებებოდნენ, ხელს ჩამოართმევდნენ და დაწვრილებით მოიკითხავდნენ, თან კი თავისას გაიძახოდნენ:

— ჩვენ ყველანი ერთადა ვართ და ერთადაც უნდა ვიყვნეთ! მხარი მივცეთ ერთმანეთს! დიდებულთ და სასულიერო წოდებას განუზრახავთ, ისევ ბატონყმობა შემოვიღოთ და ხალხს ბეგარა დავადოთო... მაგრამ გვიფრთხილდნენ! ძმურად გავალთ ყველანი, დიდი და პატარა, და სულ ლუკმა-ლუკმა რომ აგვკუწონ, ძველებურად აღარავის ვაბატონებთ! და...

ჩვენს დუქანში ყოველ საღამოს ამას გაიძახოდნენ. ნათლიაჩემი ყველას მეგობრულად ეკიდებოდა, და რაც უნდა გაფუჭებული და უიმედო კაცი ყოფილიყო, ნისიას ვეღარ უჭერდა, თუმც კარგად იცოდა, რომ იმისგან გროშსაც ვეღარ მიიღებდა. აი, რა არის ცუდი კანონი და რამდენ ავს ჩაადენინებს იგი ხალხს. ნათლიაჩემიც და სხვანიც ფრიად პატიოსანი კაცები იყვნენ, მაგრამ ავს ჩადიოდნენ, რომ ქომაგები ეშოვათ. კიდევ კარგი, რომ ხალხი თავისით გაასწორებს ხოლმე კანონმდებლების შეცდომას: რამდენჯერ ყოფილა, რომ ჯარის წინამძღოლს შეცდომა მოსვლია, პირდაპირ დასაღუპავად გაურეკია თავისი რაზმები და უბრალო ჯარისკაცთ გაუსწორებიათ უფროსის შეცდომა და ბრძოლა მოუგიათ.

ნათლიაჩემი რომ დაიწყებდა და ძმობას და ერთობას გაიძახოდა, ბევრნი სრულიად მოურიდებლივ ეტყოდნენ ხოლმე თავის აზრს:

— ვიცით, ვიცით, ბატონო ივანე! ძმობა და ერთობა იმათთვის არის, ვისაც დასაკარგავი აქვს რამე და ეშინია არ წამართვანო! ჩვენ კი... აბა რა გვაქვს, რა გვაბადია, რომ იმის დაკარგვა გვაწუხებდეს? ჩვენ არაფერი ვართ, არაფერი გვაქვს, ხმაც კი არა გვაქვს, რომ იმ საქმეებში მაინც მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც ჩვენ შეგვეხება. ქვეყანა და ქვეყნის გამგეობა თქვენ დაგრჩათ... ჰო და, ყველამ თავის თავს უპატრონოს! ყველა თავისთვის იყოს!...

ზოგნი კი ნათლიაჩემს ამართლებდნენ:

— როგორ თუ ყველა თავისთვისაო!? მაშ ერთი ქვეყნის შვილები არა ვყოფილვართ?! მაშ ძმანი არა ვყოფილვართ?! ვაიმე, ვაიმე! აგრე რომ იყოს, ხვალვე უღელს დაგვადებენ!..: ერთი ჩარექა კიდევ, მასპინძელო!... პატრიოტების სადღეგრძელოდ!

უარს როგორ ეტყოდნენ! მეტადრე იმ დროში, როდესაც ლაფაიეტს ისე მოეგვარებინა საქმე, რომ საერო კრება მადლობას უცხადებდა გენერალ ბულიეს ნანსში გამოჩენილ ვაჟკაცობისათვის;

და როდესაც მეფის მომხრენი დაურიდებლად იძახდნენ: მის დიდებულება მეფე ლუი მეთექვსმეტე მთელი სამეფოს დავლას აპირებს, რომ ყველგან ისევ ძველი წესწყობილება შემოიღოსო! რა თქმა უნდა, რომ ბერებსაც იმედი მიეცემოდათ და მართლაც თავისუფლად დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ქადაგებდნენ, რევოლუციის მომხრეთ სწყევლიდნენ და ეკლესიიდან განდევნით აშინებდნენ ხალხს. მეტადრე დედაკაცებზედ ცდილობდნენ ექონიათ გავლენა და როგორც კი ვაჟკაცს გაიგულებდნენ, ისინი მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ და ქადაგებას იწყებდნენ: რად იღუპებით სულით ხორცამდე, რად ანრისხებთ ღმერთს, რად ეწინააღმდეგებით ღვთისაგან დადგენილ წესწყობილებას და ღვთისაგან კურთხეულ მეფესო?! დიაღ, ღვთისაგან იყო ალბათ განწყობილი, რომ თითო მონასტერს თითო სამეფოს ოდენა მამული უნდა ჰქონდესო და ამ მამულის შესაძენად არავითარ საღსარს არ ერიდებოდნენ ღვთისმოსავი ბერები და, ასე გასინჯეთ, ცოლ-ქმარში უსიამოვნებას და უთანხმოებასაც კი სთესდნენ.

მე ჩვენებს არ ვუთხარი, რომ ნანსში ყოფნისას ნიკო ვნახე. ეს რომ მეთქვა, ყველაფერი დაწვრილებით უნდა მეამბნა, უნდა ამეწერა ჩვენი ნიკოს საქციელი ნანსელი ხალხის ელეტის დროს, იმის სიყვარული დისციპლინისა და დიდებულთადმი და სხვა. ამით მამაჩემს ძალიან შევაწუხებდი. დედაჩემი კი ნიკოს გაამართლებდა. ეს კარგად ვიცოდი, რადგან უკანასკნელ დროში ისე არას მეტყოდა, რომ ამრიგად არ დაველოცე:

— შენა? შენ ნათლიაშენის გულისთვის იქნება ჯოჯოხეთისაც არ შეგეშინდეს! იმას რომ ნაპარეგ მამულს ართმევდნენ, შენ რა, შე სულელო, შენა, რომ აგრე თავგამოდებული ბრძანდები!? მამულსაც წაართმევენ და თავსაც გააგდებინებენ იმ ღვთისა და ქვეყნის მტერს. იმასა! და შენა და ეკატერინესაც ზედ მიგადევნებენ, შე უბედურო, იმიტომ რომ შენ უარჰყავ შენი სარწმუნოება და ეშმაკს მიუდექი!

— კარგი, კარგი! — ეტყოდა ხოლმე ტკბილად მამაჩემი. რა არის, რომ აგრე არ დაიყვირო? დედაჩემი კი უფრო უმატებდა ყვირილს. ერთხელ რომ გაგეგონათ იმისი მოთქმა, მაშინვე იტყოდით, ბერი ბენედიქტეს სიტყვებს იმეორებსო.

შინ ხომ დედაჩემი არ მასვენებდა და სამქედლოში ვალენტინი უარესს მიშვრებოდა. ნათლიაჩემთან ხომ ვერ გაბედავდა და ვერ გამოუცხადებდა თავის აზრებს და, რაკი ნათლიაჩემი გავიდოდა, ვაი ჩემი ბრალი:

— არა, ძალიან კი გადაუხადეს ხალხს ჩვენმა ბატონებმა ბასტი-

ლიის აღება, ჰა? ადრე იქნებოდა თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო, რადგან სიმართლე სიმართლეა და უფლება უფლებაა. ჰოდა, ჩვენი დიდებული ბატონების შთამომავალი თავის დღეში არ უნდა დაამციროთ ისე, რომ ჩვენისთანა გლეხკაცის შვილებს გაუთანასწოროთ! ეს ჩემგან იცოდე, მიშელ, და ამ ცოტა ხანში სულ პანღურის კვრით გაისტუმრებენ საერო კრებას; მის დიდებულება მეფე საერო კრების ყოველ დადგენილებას დაარღვევს და ყველას დანაშაულის კვალად დასჯის. რაც შეეხება ბატონს ივანეს, იმან ქრისტეფორე მაგლუარს და პეტრე ტურნაშონს კი არა, მთელი ქვეყნის ლოთებსაც რომ ნისიად ასვას თავისი ღვინო, თავის სასჯელს მაინც ვერ გადარჩება და როცა მეფის ერთგული ჯარი დაგვერევა, ისე აღგვის ყველა პატრიოტებს, რომ ბ. ივანესი ხსენებაც აღარსად იყოს. წმინდა ეკლესიას უკლებლივ დაუბრუნდება თავისი მამულები და არამც თუ ის, რაც წაართვეს, არამედ წამრთმევთა საკუთარი მამულიც საეკლესიოდ დაიდება და თვით ისინიც სამაგალითოდ დაისჯებიან. სასტიკად დაისჯება ყველა და ნეტავი იმდენი წყალობა მაინც მოიღონ ჩვენზედ, რომ მუშაობა არ აგვიკრძალონ, რადგან განუსამძღვრელ არიან შეცოდებანი ჩვენნი და ბიწიერებანი ჩვენნი. ნეტავი იმდენი წყალობა მაინც მიიღონ ჩვენზედ, რომ წარსულში ჩხრეკა არ დაიწყონ, თორემ სახრჩობელას ვერავინ გადარჩება იმ შეცდომისთვის, რომელიც ღვთისა და მეფის მოწინააღმდეგე დეპუტატების არჩევნებით ჩავიდინეთ!

აი, რა სიტყვებით მიწყალებდა გულს ის რეგვენი, ისა! ისე უტვინო რომ არა ყოფილიყო, ღმერთმა იცის, ამდენს არ მოვუთმენდი და შიგ ყანყრატოში ვწვდებოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თავში არაფერი ჰქონდა და ისე ვისმენდი, როგორც ვირის ყროყინს. განა ვირისაგან წიხლი ეწყინება ვისმე?

მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის იყო, რომ დედიჩემის და ვალენტინის მოაზრენი თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვებოდნენ და ყველგან იგივე უთანხმოება და უსიამოვნება ტრიალებდა. რაც ნანსში მოახდინა ბულიემ, ის რომ პარიზში მოეხერხებინა, რევოლუცია დაიღუპებოდა, რადგან ხალხი ნანსის საქმითაც დაშინებული იყო და ბერები ერთიათასად მეტსა ბედავდნენ და ქვეყანასა რევდნენ.

დიაღ, დიდი შიში ტრიალებდა ხალხში, მაგრამ პარიზელები ასე ადვილად არას დასთმობდნენ და იმისთანა გულმაგრად და თავგანწირულად იბრძოდნენ, რომ არამც თუ მეფეს, თვით საერო კრების დადგენილებათაც კი ეწინააღმდეგებოდნენ, როცა ეს დადგენილებანი ხალხისთვის და მის თავისუფლებისთვის მავნედ მიაჩნდათ.

ნათლიაჩემმა მიბრძანა, დაჯექი და რაც ნანსში ნახე, დაწვრილე-

ბით მისწერე შოველსაო. და რადგან შოველისთვის მე დღითიდღე ვწერდი, რაც კი საინტერესო მოხდებოდა რამე, ეს საქმეც ადვილი იყო ჩემთვის და იმავე საღამოს, მუშაობა შევწყვიტეთ თუ არა, შოველის ოთახში შეველი, რომელშიაც წიგნები ჰქონდა შენახული, და კარგად, დალაგებით მივწერე ნანსის ამბები. წერილს შოველთან ყოველთვის იქ ვწერდი, შოველის ოთახში და როცა საწერი აღარა მქონდა და შინისკენ არ მიმეჩქარებოდა, ერთ-ორ საათს წიგნებსა ვკითხულობდი. კარგა ღამე გადავიდოდა, რომ შინისკენ წავიდოდი ჩაფიქრებული. გადავხედავდი ჩვენს ღატაკს ქოხებს და ქვეყნის უთანასწორობა თვალწინ წარმომიდგებოდა: საშინელი სიღარიბე ხალხისა და აუარებელი სიმდიდრე თავადაზნაურებისა; საშინელზედ უარესი უცოდინარობა ხალხისა და დიდი ცოდნა და მეცნიერება რჩეულ მსწავლულთა.

როცა კი დრო მქონდა თავისუფალი, მაშინვე ენციკლოპედიური ლექსიკონის კითხვას დავიწყებდი. ყველაფერს ვკითხულობდი, რადგან ყველა საგანი საუცხოოდ იყო განმარტული, მეტადრე დიდროს ნაწერები. უწინდელივით გონებადახშული აღარ ვიყავ — ცხოვრებისა და ბუნებისა ოდნავი შეგნება მაინცა მქონდა; მცენარეს გადავხედავდი, თუ ცაზედ ვარსკვლავს, ვიცოდი მათი არსება და, თუ მაწუხებდა რამე, სამწუხაროდ ისა მქონდა, რომ ანგარიში არ ვიცოდი და არც არავინა მყავდა, რომ ცოტა რამ მაინც ესწავლებინა.

ერთი სიტყვით, ენციკლოპედია ხელთა მქონდა და ვცდილობდი მესწავლა რამე, რომ მარგალიტას ღირსი გავმხდარვიყავ. მაგრამ ხანდახან ისე გამიტაცებდნენ ხოლმე ფიქრები ჩვენს გაჭირებულ ცხოვრებაზედ და იმ ბრძოლაზედ, რომელშიაც იმოდენა თავგანწირული მამულიშვილი იღუპებოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, რომ კითხვას ვეღარ შევძლებდი და გულნაკლული მივიზლაზნებოდი შინისკენ.

ასე მიმდინარეობდა ჩემი სიცოცხლე. კვირაობით დილითვე შოველიანთსა ჩავიდოდი ხოლმე და კითხვას ვიწყებდი. ძალიან კმაყოფილიც ვიყავი ჩემი ცხოვრებისა: ბავშვობაში იმოდენა სიღარიბე და ტანჯვა გამოვიარე, იმთავითვე ისე მენატრებოდა სწავლა, რომ ახლა მართლა კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავ ჩემის ბედისა და უნდა ვცდილიყავ, რაც შემეძლებოდა მეტსა ვცდილიყავ, რომ მეტი მესწავლა და მეტი შემეძინა.

ნათლიაჩემმა რომ მიბრძანა, შოველს ნანსის ამბავი მისწერეო, წინადვე დაწყებული წერილი თითქმის თავდებოდა და უკანასკნელი რამდენიმე ფურცელი ნანსელი ხალხის ამოჟლეტის აღწერით გავავსე.

ენკენისთვის დამდეგი იყო; გავათავე წერილი და ფანჯრიდან ბაღში გადავიხედე. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. ხილს მშვენივრად ესხა, რენეტის ვაშლი უკვე მოსაკრეფი იყო. რა ძალიან იამებათ მარგალიტას და იმის მამას, თავიანთ პატარა ბაღის ვაშლი რომ მიუვიდეთ-მეთქი, ვიფიქრე. ჯერ თავისთავად მომივიდა ეს ფიქრი, მე ყურადღებაც არ მივაქციე. მერე კი ისე გამიჯდა თავში, ისე დამიმონავა, რომ სულ იმის ზრუნვაში ვიყავი, მარგალიტას ხილი როგორ გავუგზავნო-მეთქი.

— რა არის აქ შეუძლებელი? საუკეთესო ვაშლს მოვკრეფ, კარგად შევახვევ ფოთლებში, კალათაში ჩავალაგებ წყობისად და დილიჟანსს გავატან. მართალია, ორი კვირა იქნება დილიჟანსი გზაში, მაგრამ რენეტის ვაშლი ორ თვესაც არ წახდება.

მთელი ღამე აღარ მომასვენა ამ ფიქრმა. მეორე დღეს დილით ნათლიაჩემს შოველთან მიწერილი წიგნი რომ წავუკითხე, ისიც ვუთხარ, მინდა მარგალიტას ხილი გავუგზავნო-მეთქი.

— ვითომ და რატომაო! — გაიხარა ნათლიაჩემმა. თავის მიწაწყალს და საკუთარ კერას მოშორებულს ისე არ ასიამოვნებს რა, როგორადაც შინიდან მიღებული ძღვენი, თუნდა გროშადაც არა ღირდეს იგი. მე რომ ჩემს ქარგლობისას საფრანგეთი შემოვიარე*), ერთხელ, მგონი 1760 იყო, მეზიერის მხარეს ერთი ალზასელი შემხვდა, ქარგალი ქრისტიანე ვებერი. ის იყო ალზასიდან მოსულიყო და ჩვენებური კომლში გამოსული ძეხვი წამოეღო გუდით. იმისთანა გემრიელად, აგერა, დავბერდი კაცი, ჩემს დღეში არა მიჭამია რა. ძეხვი ხომ ძეხვი იყო და მთელი ჩვენი სოფელიც თან წამოჰყოლოდა — ჩვენი ფიჭვნარი ტყეები, ჩვენი ამწვანებული მთები, ჩვენი კამკამა წყაროები. ამხანაგებისა რომ არ შემრცხომოდა, რომელნიც გაჩქარებულნი ილუკმებოდნენ და რაღასაზეც იცინოდნენ, მე ტირილს დავიწყებდი. ჰოდა, ხვალ ხომ კვირაა, ადექი, და ისე მოარჩიე ვაშლი, რომ სულ საუკეთესოები დაკრიფე. ხეზედ ადი, თორემ თუ ცოტაც არის დაიჟეჟა, ერთ კვირასაც არ გასძლებს და სხვასაც წაახდენს. შენ ერთი კარგი მოზრდილი კალათი გამოართვი მამაშენს; ვაშლის გარდა, ერთი კარგი ლორი გავუგზავნოთ, ერთი ხუთი-ექვსი ძეხვი, ერთი-ორი ბოთლი სანაქებო ალზასური თეთრი და ორი ბოთლიც ლორენური წითელი. ბოთლებითა მაქვს შენახული მარანში, აგერ, რამდენი ხანია და ძალიან კარგიც უნდა იყოს. მართლა, თხილი არ დაგავიწყდეს; გახსოვს, რა ძალიან უყვარდა შოველს ჩემი მსხვი-

---

*) ქარგალი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და ყველგან თავის ხელობითა და შრომითა ცხოვრობდა, რომ თავის საქმეში უკეთ გავარჯიშებულიყო.

ლი თხილი... ერთი-ორი მუჭა თხილი ჩავყაროთ კალათში. შენ კარგი კალათი ჩამოიტანე, დანარჩენი მე ვიცი.

ისე უხაროდა ნათლიაჩემს, ისე უხაროდა, თითქო ამაზედ დიდად ვერას ასიამოვნებდა შოველს და მარგალიტას.

მეც ძალიან მიხაროდა, რომ ნათლიაჩემმა განზრახვა არ დამიწუნა და ასე ხელი მომიმართა.

ისეთი ბედნიერი დღე ბევრი არ მახსოვს ჩემს სიცოცხლეში, როგორიც ის კვირა დღე იყო.

დილა ადრიანად წამოვდექი, ერთი კარგად მოზრდილი კალათი ავარჩიე და დუქანში ჩავიტანე. მერე ბაღში ჩავედი და ვაშლის კრეფა დავიწყე. მარგალიტას სიყვარულით ვაშლს ვეალერსებოდი და ისე ვალაგებდი პატარა კალათში.

მერე დუქნის უკან თხილი დავაყრევინე. ჰაი თუ იამება-მეთქი შოველს, ვიცინოდი ჩემს გულში, ჰაი თუ მაშინვე პირში იკრავს!

მართლა გაგიჟებით უყვარდა თხილი და ჯიბითაც კი დაჰქონდა. როგორ შემაქებდა, კალათს რომ გახსნიდა? ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, მიშელ, რომ მეც მასიამოვნეო!

— დიაღ, ბატონო შოველ, მიშელი სულ იმასა ცდილობს, რომ თქვენ გასიამოვნოთ რამე, რადგან თქვენი დიდი პატივისმცემელი და მოსიყვარულეა. სიცოცხლეს არ დაზოგავს თქვენთვის! მარგალიტა თავის დღეში არავის ეყვარება ისე, როგორც მიშელს უყვარს და ბედნიერიც ისე არავისთან იქნება, როგორც მიშელთან!

სულ ამ ფიქრებში ვიყავ და თვალთ ცრემლი მერეოდა.

კალათი მართლა თვით ნათლიაჩემმა ჩაალაგა. ძირში ბოთლები, ლორი და ძეხვები ჩააყოლა; მერე თხილი, მერე ვაშლი. ზემოდან ტილო გადააკრა, რომელზედაც მისამართი დავაწერეთ: ბ ა ტ ო ნ ს შ ო ვ ე ლ ს, დ ე პ უ ტ ა ტ ს ს ა ე რ ო კ რ ე ბ ი ს ა ს. ბ უ ლ უ ა ს ქ უ ჩ ა № 11. პ ა რ ი ზ შ ი.

კალათს დიდ დარბაზში ალაგებდა. ნათლი-ჯალაბი, ნიკოლი და მე პირმოკუმულნი შევცქეროდით.

სოფელში გაეგოთ, შოველს ხილს უგზავნიანო და მოგლეჯილიყვნენ! ზოგს ლორი მოჰქონდა — ეს ჩემგან გაუგზავნეთო, ზოგს უცეცხლო თაფლი, ზოგს მსხალი და ვაშლი, ზოგს თავი არაყი. მაგრამ რა? კალათი უკვე გატენილი იყო და პირმოკრული, ისე რომ დიდი მადლობა გადავუხადეთ ყველას და ისე გავისტუმრეთ. უიმისოდაც კარგად მძიმე გამოვიდა ჩვენი ამანათი, მაგრამ დილიჟანსში ექვსი ცხენი ება და ათი იმოდენა სხვა ბარგი მიჰქონდა პარიზისკენ.

დილიჟანსი ორშაბათ საღამოს გავისტუმრეთ და იმ დღიდან მოუთმენლად ველოდით პარიზიდან წერილს, მაგრამ ენკენისთვის გა-

სულამდე ამბავი არა მოგვსელია რა. ვერ წარმოიდგენთ რამდენი სჯა და ბაასი გვქონდა ამ ხნის განმავლობაში.

სწორედ იმ დროს იყო, რომ ჩვენს სოფელში პირველად მივიღეთ საერო კრების ბრძანებით დაბეჭდილი „წითელი წიგნი“*). რიგოს ტულში შორეული ნათესავი მოუკვდა და ცოტა რამ მემკვიდრეობა დარჩა; ნაანდერძევის ამოსატანად ჩავიდა ტულში და იქიდან ამოიტანა წითელი წიგნი; ყოველ საღამოს იმის კითხვასა და სჯაში ვატარებდით. სამარცხვინო და ჩვენი დამღუპველი ამბები მაშინ გავიგეთ! ჯარისკაცებს ხომ აფიცრები ჰპარავდნენ და საცა გირვანქა ხორცი უნდა მიეცათ დღეში თითო კაცზედ, იქ თურმე ზოგჯერ ნახევარ გირვანქასაც არ აძლევდნენ! ეგ ხომ უკვე ვიცოდით და ახლა ისიც გავიგეთ, რომ იმავ თავითვე თურმე წურბელასავით გვასხდნენ და სისხლსა გვწოვდნენ ეგრეთწოდებული კარისკაცები. აი თურმე როგორ ახერხებდნენ თავიანთ თვალთმაქცურ ქურდობას: ყოველთვის, როცა კი სახელმწიფო ზარალის გამო მინისტრი იძულებული იყო ახალი ვალები აეღო, ადგებოდა და თავის მეგობრებს, მეფედედოფლის, ბატონიშვილების, თავად არტუას და სხვათა მეგობრებს, ნათესავებს, შინა ყმათ და სულ უკანასკნელ მოახლეებსაც კი კვიტანციებს აძლევდა — შენგან ამდენი ისესხა სახელმწიფო ხაზინამაო, შენგან ამდენი და შენგან ამდენიო. ამ კვიტანციებს კუპონებს უწოდებდნენ და ვინც მეტს თინთლიბაზობას და პირმოთნეობას გაუწევდა და მეტს სულმდაბლობას გამოიჩენდა დიდებულთა სამსახურში, იმას უფრო მეტი კუპონი ეძლეოდა. ამგვარად სახელმწიფო ხაზინას ყველა დიდებული კარისკაცის ფული ემართა, თუმცა იმათგან თავის დღეში გროშიც არსად ენახა. მაგრამ ვალი ვალია და ამ ვალსაც გადახდა უნდოდა. ვინ იყო მერე გადამხდელი? ისევ ჩვენ. გლეხკაცობა და გვაწერდნენ ახალ-ახალ ხარჯს და ახალ-ახალ ბეგარას, რომ იმ უღმერთოებისთვის იმ ფულის სარგებელი ეძლიათ, რომელიც თავის დღეში თვალითაც არავის ენახა. სად არის იმისთანა მეცნიერი, რომ გვიანგარიშოს, რამდენი მილიონი მოგვპარეს ასე ჩვენმა პატიოსნებით აღსავსე ბატონებმა?!

კამილ დემულენი სწერდა თავის გაზეთში, თითო კარისკაცი ოცდაოთხ მილიონჯერ უნდა ჩამოახრჩოს ხალხმა, რადგან საფრანგეთის ხალხს, 24 მილიონ სულს, ისე სძარცვავდნენ და ჰქურდავდნენ, თითქო საკუთარ ჯიბეში ედოთ ხელიო! მით უფრო ჩამოსარჩობნი არიან ეს ბრწყინვალე ქურდები, რომ ქვეყანას პატიოსან

---

* წითელ წიგნში დაბეჭდილი იყო მეფე ლუი XV და XVI-ს დროინდელი საიდუმლო ხარჯი სასახლისა.

პირებად მიაჩნდათ, ქვეყნის ბედ-იღბალი იმათა ჰქონდათ მინდობილი და ასე სამარცხვინოდ არ უნდა მოქცეულიყვნენო!

„წითელი წიგნი“ ეხლაც შენახული მაქვს; მინდა დაწვრილებით გაცნობოთ, რა საზიზღრად იქცეოდნენ მაშინდელი დიდებულები, მაგრამ ეგ ძალიან შორს წაგვიყვანს. ან რა საჭიროა? უსინათლოს მზე რომ დაუტრიალო ცხვირწინ, მაინც ვერას დაინახავს. გონებადახშულს თავის სიკეთე ბევრიც რომ აუხსნა და ანგარიშით დაუმტკიცო, მაინც ვერას შთააგონებ.

ენკენისთვე'შივე 1790 წ. გაისტუმრა ლუი XVI-მ ნეკერი. ბულიეს გამარჯვებამ ნანსში მეფის ოცნებას ფრთები შეასხა და ასე ეგონა, ნეკერი აღარ დამჭირდებაო. თვით საზოგადოებაშიც სხვადასხვა აზრი ტრიალებდა ნეკერის შესახებ: ზოგნი ამბობდნენ, ნეკერი უარესია, თავის მეგობრები გაამდიდრა... წითელი წიგნი ძალის ძალად გამოაქვეყნებინესო; სხვები კი და მათ შორის ნათლიაჩემიც იმას ამბობდნენ, ადამიანი კარგსაც იზამს, ავსაცაო... ვისაც ადამიანის საქციელის განსჯა უნდა, ავი და კარგი უნდა ერთმანეთს შეუწონოს და მსჯავრი ისე დასდოსო... ისიცა კმარა, რომ სახელმწიფო ხაზინაში ხელებს ურევდა და შეძენით კი არაფერი შეიძინა. უწინდელ მინისტრს დებრიენს კი არა ჰგავს, რომელმაც ისე დაიტენა ჯიბეები, რომ ერთს სამეფოს იყიდის, იმოდენი ფული აქვსო... ნეკერს რომ 1778 წ. სახელმწიფო ხაზინის ანგარიში არ გამოექვეყნებინა, არც რევოლუცია მოხდებოდა... ნეკერი ხალხის მომხრეა და საცა პატიოსანი კაცია, ნეკერის მხარე უნდა ეჭიროსო.

მე მგონია, რომ ნათლიაჩემი მართალს ამბობდა: ეს კია რომ ნეკერის დათხოვნის შემდეგ მეფე ლუი XVI-მ მარტო ისინი დაიახლოვა და რჩევასაც იმათ უსმენდა, ვინც რევოლუციის მოსისხლე მტრები იყვნენ; თავიანთი რჩევით იმისთანა მოლიპულ გზაზედ დააცურეს მეფე, რომ ორი წლის შემდეგ თვალჩაუწვდენელ უფსკრულის პირს მიიყვანეს.

მაგრამ ამას თავის დროზედ მოგახსენებთ, უდროოდ თქმას არა თქმა სჯობს.

ბოლოს, ენკენისთვის გასულს პარიზიდან გაზეთები მოგვივიდა და გაზეთებთან მარგალიტას წერილიც. აი, თვით წერილს გადაგიწერთ სიტყვასიტყვით და გარდა იმისა, რომ წარსულ სიყმაწვილეს გავიხსენებ, თქვენც უფრო დაწვრილებით გაიგებთ, როგორ ცხოვრობდნენ იმ დროს პარიზში, რას ფიქრობდნენ მეფეზედ, ბულიეზედ, გახიზნულებზედ, კლუბებზედ და საერო კრებაზედ. მე მარგალიტასავით კარგად ვერ განვმარტავდი ამ საგნებს.

„ჩემო კარგო მიშელ,

„შენი წერილი მივიღეთ და მასთან ერთად კალათიც ხილით, ძეხვით და ღვინით. ორივემ ძალიან გვასიამოვნა და თუმცა შენს წერილში სამწუხარო უფრო მეტი იყო, ვიდრე საამო, მაინც გული არ გაიტეხოთ მაგ ამბების მნახველებმა! მაგისთანა საქციელი არისტოკრატებისა კიდეც უნდა გიხაროდეთ, რადგან, რაც მეტს ჩაიდენენ მაგისთანა სამარცხვინო საქმეს. მით უფრო მალე მოვიშორებთ თავიდან მაგ ქვეყნის მტრებს! ხალხი გონებაზედ მოდის, ხალხი თვალს ახელს და ისე არაფერი შველის ერის გამოფხიზლებას, როგორც ნანსში მომხდარი უმაგალითო სისხლის ღვრა. ხალხი თვალს ახელს და როცა მოინდომებს, ყოველს ჭირსა და ბოროტებას გადიყრის გულიდან.

მამაჩემს იმდენი საქმეები აქვს საერო კრებაში და იაკობელების კლუბში, რომ მადლობის მოწერა მე დამავალა. დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონს ივანეს, ქალბატონ ეკატერინეს, შენა და ერთობ ყველას, ვისაც კი ჩვენთვის გამოგზავნა უნდოდა რისიმე. ძალიან დაგვავალეთ, რადგან მინდოდა მეთხოვნა და სწორედ გულის წადილს მიმიხვდით, რომ ჩვენებური მოსაკითხით მოგვიგონეთ. დღეს მამაჩემის მაგივრად მე გწერთ. ბ. ივანეს, ლეტუმიეს და ყველა მანდაურ პატრიოტებს, რასაკვირველია, მამაჩემის წერილი ურჩევნიათ, რადგან სულ საქმეზედ იწერება და სხვას არაფერს; ქალბატონ ეკატერინეს, ნიკოლს და თვით შენც კი, მე დარწმუნებული ვარ, ჩემი წერილი უფრო მოგეწონებათ, რადგან მე დაწვრილებით აგიწერთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სახლს და ამასთან საზოგადო საქმის მდგომარეობასაც.

მე მინდა ისე დაგიხატოთ ყველაფერი, რომ თვალწინ გედგათ აქ ურობა, თითქო თქვენც აქ, პარიზში ბრძანდებითო, და მით უფრო ცხადად დაინახოთ, რამოდენი განსხვავება არის ჩვენს სოფელსა და პარიზს შუა. კარგა ხანი მოვუნდები ამ წერილს, მაგრამ ჩემს ჯილდოდ ისიცა კმარა, რომ, ვიცი, ყველანი სიამოვნებით წაიკითხავთ და მეტადრე შენ, ჩემო მიშელ.

ერთ მაღლად აწოწილს, ფალსბურგის სამრეკლოზედ უფრო მაღალ სახლში გვიჭირავს მეექვსე სართულში სამი ოთახი და თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს ზევით კიდევ იყოს ვინმე, ისე გაჭირებულია პარიზელი ხალხი, რომ ჩვენს ზევით, ბალახანაში, რომელსაც სინათლე ჭერში დატანებულ ფანჯრებიდან ჩასდის, ერთი წვრილშვილი ხარაზი დგას. ისეა გამოტენილი მდგმურებით მთელი

სახლი პირველი სართულიდან უკანასკნელამდე, რომ ვისაც მოინდომებთ, აქა ნახავთ: ფეიქარი, თერძი, მემუსიკე, კერძო ვექილი და სხვ. და სხვ. ერთი ვიწრო, ბნელი, ხვეული კიბე ადის ძირიდან უკანასკნელ სართულამდე და თუმცა ყველანი ამ კიბეზედ დაიარებიან და ყოველდღე ხედავენ ერთმანეთს, ერთმანეთს არ იცნობენ, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ასე გასინჯეთ უბრალო სალამი რა არის, სალამსაც კი არ აძლევენ. და განა მარტო ჩვენ. ყველგან ასეა. ძირის სართულში მაღაზიები და დუქნებია მოთავსებული. ქარხნები და ყავახანები თავიანთი ზედწარწერით; გაიხედავ ქუჩაში და, საცა კი თვალს გაუწვდენ, ყველგან ამ ზედწარწერებს დაინახავ: ეს ხარაზიო, ეს მეწვრილმანეო, ეს მეხილეო, ეს დერციკიო...

ქუჩაში იმოდენი ხალხი და ეტლები ირევა, რომ გზას ძლივს აუქცევს კაცი. მთელი დღე და მთელი ღამე არ შესწყდება ეტლების გრიალი, მოსეირნე ხალხის ხმაური და მეტადრე სხვადასხვა ვაჭრების ყვირილი, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დაიარებიან, გაფაციცებით შესცქერიან აქეთ-იქით ფანჯრებს, ხომ არავინ გვეძახისო და თან მაღალი ხმით გაიძახიან: „ცივ-ცივი წყალი!.. ძველი ტანისამოსი ვისა აქვს გასაყიდი?.. ახალი ლობიო, მწვანე ლობიო!...“ სავაჭროს პატარ-პატარა ურმებით ატარებენ, რომელსაც ცალი ხელით მიაგორებენ ქუჩა-ქუჩა. რას იტყვის ადამიანიშვილი, რომ აქ არ დაჰქონდეთ გასაყიდად. აქ ყველაფერი გასაყიდია და ყველაფერი დასაყვირია. ჯერ ისევ სველ-სველი გაზეთები დააქვთ ქუჩებში ბიჭებს, სახლებში შედიან და ყავახანებში და მაღალი ხმით ყვირიან: ახალი ამბები წაიკითხეთ. ახალი ამბები! ქუჩაში ისე ვერ გაივლით, რომ ყველა კუნჭულში ბიჭებმა არ შეგაჩერონ და ახალი გაზეთები არ შემოგთავაზონ.

ვერ წარმოიდგენთ, რა ხმაურობა არის პარიზში მთელი დღე და თითქმის მთელი ღამე! ღამის ორ საათზედ თუ დაცხრება გრიალი; — თითო-ოროლა ეტლიღა გაივლის სადმე და ისიც ექიმი იქნება ავადმყოფთან მიმავალი, ან ღამის დარაჯი; — მაგრამ ტყუილად გექნებათ იმის იმედი, რომ მამალი გამაღვიძებსო: ჯერ სამი საათიც არ არის ხოლმე, რომ პარიზში მომავალი სოფლელების ხმა გაისმის და იმათი შოლტის ტყლაშუნი. მოდიან, მოიმღერიან და ზოგს ურმით მოაქვს თავის ნაწარმოები გასაყიდად, ზოგს ცხენით, ზოგს სახედრით. ამასთან ისიც უნდა იცოდეთ, რომ ამათ საქონელს — სახედარს, ცხენს, ხარს, ყველას ზარი აბია კისერზედ და ისეთი წკარა-წკური ატყდება ხოლმე ქალაქის სისხამზედ, რომ შეუჩვეველ კაცს მეორედ მოსვლა ეგონება. სოფლელები აქვე ახლო-მახლო სოფლებიდან მოდიან, კაცები ურმით ან ცხენით და დედაკაცები სახედრე-

ბით; ზოგს კვერცხი მოაქვს, ზოგს მწვანილი, ზოგს ერბო და ყველი; ჯერ ისევ ბნელა, ქალაქსა სძინავს და გარედან კი ხმაურობა ისმის: ზოგი საქონელს ერეკება, ზოგი ნამძინარევი ხრინწიანი ხმით იგინება... ცოტა ხანს უკან ამ ხმაურობას პარიზელების გრიალიც მიემატება და მეორე დილამდე აღარ შესწყდება.

ამ ხმაურობასთან ერთად უნდა წარმოიდგინოთ საშინელი მოძრაობა პარიზელებისა. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ქალაქში შვიდასი ათასი სული მაინც იქნება სულ უკანასკნელ ღარიბ-ღატაკისაგან დაწყებული მილიონების პატრონ მდიდრამდე. გარდა პარიზელებისა ასი ათასი კაცი მეტი ჩამოდის სოფლებიდან და ერთობ მთელი საფრანგეთიდან, რომ აქ სამუშაო იშოვონ რამე. ამიტომ არის, რომ საფრანგეთი ჯერ პარიზში დაიმშევა ხოლმე; ერთი-ორი დღე რომ გზები შეიკრას და სოფლებიდან სანოვაგე არა შემოვიდეს რა, პარიზი შიმშილით ამოწყდება, შიმშილობისას აქ იმისთანა საშინელება ტრიალებს, რომ ჩვენში, ჩვენ გადაკარგულ გაყინულ სოფელში სიზმრადაც არსად გვინახავს: შენ შენთვის დამშვიდებული ბრძანდები შენს სადგომში და შენს ზევით მცხოვრებნი კი სიცივით და შიმშილით იხოცებიან, დედ-მამაც და შვილებიც! შიმშილით იხოცებიან, უპატრონოდ, განუკითხავად! შენც იქვე ხარ, იმათი მეზობელი ხარ და ვერას უშველი, რადგან შენ იმათი არა იცი რა და იმათ შენი; ამ დიდ ქალაქში მეზობლობისა არ სწამთ რა და ვინც უფრო ღარიბია, ხშირად ის უფრო ამპარტავანია.

მაგრამ ამ საშინელებას თავი დავანებოთ, ჩემო მიშელ, რადგან სიღარიბესა, ტანჯვასა და შრომას ჩვენც კარგად ვიცნობთ. სამწუხარო ის არის, რომ ამ უბედურ ქალაქში კიდეც რომ გინდოდეს გაჭირებულის შველა, ვერას უშველი, რადგან არც კი იცი, ინდომებს შენს დახმარებას, თუ არა.

ახლა ხომ წარმოდგენილი გაქვს, რა უნდა იყოს პარიზისთანა დიდი ქალაქი. რამდენიმე საათი რომ სულ ერთსა და იმავე გზაზედ იარო, მაინც ბოლოში ვერ გახვალ: ყველგან იგივე ლურჯი სახლები, ტალახიანი ქუჩები, ხან უფრო განიერი, ხან უფრო ვიწრო; ყველგან იგივე დუქნები, მაღაზიები თავიანთი ზედწარწერებით, იგივე ეტლები და იგივე მოსეირნე, მხიარულად მოლაპარაკე ხალხი. ბევრი-ბევრი აქა-იქ ხეებით დაჩრდილულ და აუზით შემკულ მოედანზედ გახვიდე, რომელსაც მერწყუულენი და კოკებით ქალები ეხვევიან; ან არა და აქა-იქ უშველებელ შენობას შეხვდები რასმე, როგორიც საერნში კარდინალი როანელის სასახლე გინახავს; ან კიდევ ხიდს ნახავ, ან დახურულ ბაზარს, თეატრს, მაგრამ სუყველაფერს რაღაცა ულაზათოს და ულამაზოს. ზამთარში იმისთანა ტალახი იცის

ქუჩებში, რომ მუხლამდე ლაფში ტოპავენ; წვიმს თუ თოვლი დნება. იქეე ქუჩებში რჩება და მზის მეტი იმას პატრონი არავინა ჰყავს; ამას ზედ ერთვის საშინელი ბურუსი და ისე ჩამობნელდება ხოლმე ყველაფერი, რომ მხიარული ბუხარიც კი ველარ ახარებს დაღონებულ გულს. ჩვენებური სპეტაკი თოვლი კი ნუ გგონია. თეთრი ხალვით რომ მოეფინება ხოლმე ტყეს და ისე ბრწყინავს მზეზედ, თითქო ალმასი დაუბნევია ვისმეო; აქაურს თოვლსაც კი თოვლობა აკლია და არც გულს ახარებს, არც სულსა. ზამთარში ბურუსი ჰკლავს აქ კაცსა, და ზაფხულში მტვერი და საშინელი სუნი.

გაზვიადებული კი არა გეგონოს რა! რაცა ვთქვი, სრული ჭეშმარიტება ვთქვი: იმისთანა მძიმე ტვირთი უნდა აწვეს კაცს, როგორიც ხალხის უფლებანი და კონსტიტუციის შედგენა და დამყარებაა, რომ ამისთანა ალაგას ერთ თვეზედ მეტი დარჩეს. მამაჩემი ისეა გართული თავის საქმეებში, რომ ყურადღებასაც არას აქცევს და საერო კრებისა, იმის განაჩენების და კლუბების და გაზეთების გარდა არა აგონდება რა. იმისთვის სულ ერთია, აქ იდგება თუ სხვაგან; თოვლ-ყაპი იქნება თუ კარგი დარი; გრილი დღე თუ სიცხე-პაპანაქება; ოღონდ კი საერო კრებაზედ და იაკობელების კლუბში საქმე კარგად იყოს და იმის მეტი არა ენაღვლება რა. ამიტომ არის, რომ, რაც პარიზში ვართ, ოჯახის საქმეებს მარტო მე განვაგებ: ფული მე მაბარია, სავაჭროდ მე დავიარები და როცა გამიჭირდება რამე და მამაჩემს დავეკითხები, ცივად გამომისტუმრებს ხოლმე:

— კარგი! კარგი! როგორც გენებოს, ისე უყავ! მაგეებისთვის სადა მცალიან?... მერე მითხარი, როცა უფრო მოცლილი ვიყო... ამ საღამოს კრებას უნდა დავესწრო. ჯერ გაზეთებიც არ წამიკითხავს. საერო კრებას ეხლა ქაღალდის ფულზედ აქვს სჯა და მე კი ჯერ არც კი დავფიქრებივარ...

და პირდაპირ ეტყობა, რომ ჩემთვის არა სცალია და მეტი ჩაცმა-ება მეტი ახირება იქნება, მეტადრე როცა საერო კრების საქმე საქმარისად კარგად არ მიდის; მაშინ ისე ჯავრობს ხოლმე, რომ მეშინია, ავად არ გახდეს.

მაგრამ კარგი დღეებიც ბევრი გვაქვს: როდესაც საერო კრება კარგს დაადგენს რასმე და მამაჩემი კმაყოფილია, ჩემთვისაც მოიცლის ხოლმე და ხან თეატრში მივდივართ, ხან იაკობელების კლუბში, ხან საერო კრებაზედ. ჩემდა უნებურად უნდა მოვირთო-მოვიკაზმო, რომ იმოდენა ხალხში თითით საჩვენებელი არ გავხდე. მკლავში ხელს გავუყრი ხოლმე მამაჩემს და ისე დავსეირნობთ. თუ ამხანაგი შეხვდა ვინმე, მაშინვე გამაცნობს: აი ჩემი ქალიო, ეტყვის ხოლმე. ყველა პატრიოტები გავიცანი: ბ. ბ. დანტონი, კამილ დემულენი, ფრე-

რონი, რობესპიერი, ანტუანი (ქ. მეციდან), ყველანი!... მაგრამ ამას თავის დროზე მოგწერ და ახლა კი მინდა ჩემი დიასახლისობა აგიწერო, რადგან ვიცი ქალბატონი ეკატერინე და ნიკოლი ამ საგანს ერთი ათასად მეტს ფასს დასდებენ, ვიდრე პატრიოტების გაცნობას. ვეცდები არა გამოვაკლო რა ჩემს ამბავს.

როგორც მოგახსენე, სამი პატარა ოთახი გვიჭირავს თავისი სამზარეულოთი. სასადილო და მამაჩემის ოთახი ქუჩის მხრივ არის; ჩემი ოთახი და სამზარეულო ეზოსკენ არის მოქცეული, იმისთანა ვიწრო და ბნელ ეზოსკენ, რომ უფრო მყრალ ორმოსა გავს, ვიდრე ეზოს; იმისთანა შავი და მყრალია მართლა ჩვენი ეზო, რომ შიშით ფანჯარიდანაც ვერ ჩამიხედია, შიგ არ ჩავვარდე-მეთქი. იცით რას ვაძლევთ სახლის ქირას? ოცდაოთხ მანეთს თვეში. ჩვენი სახლი რომ ქირით მიგვეცა ჩვენს სოფელში, იქნება ამ ფულის მეათედიც ვერ აგვეღო. წარმოდგენილი მაქვს, როგორი განცვიფრებულნი დარჩებიან ქალბატონი ეკატერინე და ნიკოლი! ტუჩზედ თითს მიიდებენ და იტყვიან: უი, დამიდგა თვალი, განა სახლის ქირას მაგდენს მისცემენო?! მაგრამ რას იზამთ, რომ ასეა. მამაჩემი რომ დეპუტატი არ ყოფილიყო, შეიძლებოდა უფრო პატარა და იაფი სახლი დაგვეჭირა, ბალახანაში, მეშვიდე სართულში, თვეში ექვს-შვიდ მანეთად, მაგრამ დეპუტატის სანახავად დიდი ხალხი დაიარება და მაშასადამე ღირსეულადაც უნდა დახვდეს: ან რას ეგვანება, კაცს ხალხისაგან ფული ეძლეოდეს — შენ იცი და შენმა სინიდისმა, როგორი წარმომადგენელიც იქნები ჩვენიო, — და ის კი ყაირათობდეს, სადღაც უხერხულ სახლში დამდგარიყოს და ხალხს არცხვენდეს. დეპუტატობა სამსახური კი არ არის, — დეპუტატობა ხალხის მინდობილობა არის და ნამდვილი ხალხის შვილი — დეპუტატი — თავის გამდიდრებას კი არა, ხალხის სამსახურს უნდა ცდილობდეს.

ოცდაოთხი მანეთი სახლის ქირა. ახლა სხვა რამდენი ხარჯი გვაქვს!

ყოველთვის ექვს საათზედ ვდგები, რადგან მამაჩემი რვა საათზედ და, თუ დაიგვიანა, ცხრის ნახევარზედ უთუოდ მიდის საერო კრებაზედ და საუზმე მზად უნდა ჰქონდეს. ხელს წამოვავლებ ჩემს პატარა კალათს და სავაჭროდ მივდივარ ბაზარში ჩვენი ქუჩის ბოლოში. უწინ აქ სასაფლაო ყოფილა, ახლა ბაზრადა აქვთ დადებული. დიასახლისები რომ ჩამოვლენ ხოლმე სავაჭროდ რვიდან ცხრა საათამდე, ერთმანეთისა აღარა ეყურებათ რა, რადგან სოფლელებს ამ დროს გასაყიდი თითქმის აღარა აქვთ რა. იმ დროს სოფლელები უკვე იბარგებიან და ვაჭრობა ბაზრის დედაკაცებს რჩებათ. რომელთაც ბაზრის გარშემო ფიცრული დუქნები აქვთ დაქირავებული და

გლეხკაცებისაგან იაფად ნაყიდს, ისინი ერთიათად ძვირად ჰყიდიან პარიზელებზედ. ისე ირევა ხოლმე ამ დროს ხალხი, რომ საბრალო სოფლელი, თუ გასაყიდი დარჩა რამე, იძულებულია თითქმის უფასოდ დაუთმოს ბაზრის დედაკაცებს და თითონ, რაც შეიძლება, მალე გაეცალოს იქაურობას.

მე კი ძალიან ადრე ჩავალ ხოლმე, იმ დროს, როდესაც ბაზრის დედაკაცებს ნება არა აქვთ იქ იყიდონ ან გაჰყიდონ რამე და ერთი შეჩვეული მოხუცებული დედაკაცი მყავს, ყოველთვის იმისგან ვყიდულობ, რაც მინდა. ისიც მიცნობს, მელის და ჩემთვის შენახული აქვს ხოლმე კომბოსტო, ერთი კონა სტაფილო და სხვ. მწვანილეულობა. მივალ და შემომღიმებს: ოჰ, პატრიოტს ვახლავარო. მაგრამ მწვანილეულობის გარდა სხვაც ბევრი რამ გვინდა: ხორცი, თევზი, ქათამი, ერბო, კვერცხი... რომ იცოდე. რამდენი ფული მიდის ამ დაწყეველილ პარიზში და რამდენი სიფრთხილე მართებს ადამიანს, რომ მეტი არსად დახარჯოს. მაგალითად, შარტრის ერბო ექვსი შაურია, ლონჟუმოსი — ცხრა შაური, იზინისა — სამი აბაზი და სამივე კი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ თუ არ დაუკვირდა, ძნელად თუ გაარჩევს ვინმე. ამიშენდება ოჯახი, თუ იზინის ერბოს მაგივრად შარტრისა შემომაპარეს! მეც იმდენი ვეცადე, იმდენი ვეწვალე, რომ განსხვავება ვისწავლე და მგონი რომ ვეღარ მომატყუონ. ისე მაქვს გაზეპირებული ყველაფერის ფასი, თითქო ჩემს დღეში ამის მეტი საქმე არა მქონია რა: რის ფასი გნებავთ, რომ მე არ ვიცოდე: ყველისა, კვერცხისა, რომელიც მორტანიდან და პიკარდიიდან ჩამოაქვთ და ამისდა კვალად სხვადასხვა ფასადაც იყიდება; ზეთისა, ლორისა, საპონისა... ერთი სიტყვით, ყველაფრის ფასები ვიცი და მგონი ვეღარავინ მომატყუებს.

რომ უფრო კარგად წარმოგიდგინოთ აქაური სიძვირე, ისიცა კმარა მოგახსენოთ, რომ შეშა და ხისა და ქვის ნახშირი აქ გირვანქობით იყიდება. წვრილმანი ვაჭრობა უფრო ოვერნელების ხელშია, რომელნიც ყველაფერს კადრულობენ, რომ ლუკმაპური იშოვონ როგორმე; ყველაფერს ისინი ჰყიდიან და, ასე გასინჯეთ, ზურგით წყალსაც კი ისინი ეზიდებიან მეხუთე და მეექვსე სართულში. ცეცხლის ასანთები ნაფოტი რა არის, ისიც კი საყიდელია და მეშინიან თავი არ შეგაწყინოთ, თორემ ყველაფრის ფასებს გაცნობებდით. გარდა ამისა ისე გაეშმაკებულია აქ ხალხი, რომ ყველა იმასა ცდილობს, რომ მუშტარი მოატყუოს როგორმე და, ნაფოტი რა არის, ნაფოტშიაც კი ცუღლუტობენ და ყალბობენ.

ახლა რძე, ხორცი, სანთელი, საპონი, შაქარი! სადილს გაათავებ და ახლა მეწვრილმანესთან უნდა გაიქცე, მერე სარეცხის მრეცხავ-

თან. ხარაზთან, თერძთან და ყველგან ფული, ფული და ფული! რასაც მამაჩემი ილებს, სულ ასე იხარჯება და, თუ რჩება რამე თითოოროლა გროში, იმისას წიგნებსა ყიდულობს, გაზეთებს და გაჭირებულ პატრიოტებსა შველის.

მაგრამ საქმე კარგად მიდის და უმთავრესიც ხომ ეს არის; მიუხედავად იმისა, რომ საერო კრების წევრნი ბევრნი მიუდგნენ მეფეს, ხალხს უღალატეს და კიდევაც ღალატობენ, გამარჯვებული მაინც ხალხი დარჩება, უფლებებს შეიძენს, და ღირსეული შრომითა და გაჭირებითაც შეიძენს, მერწმუნე! ეს კია რომ ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთ და პატრიოტებს რომ არ აელაგმათ მეფისაგან შესყიდული თავიანთი ამხანაგები, იცოდე ეხლა საერო კრების ხსენებაც აღარსად იქნებოდა და ხალხს ისევ ძველებური და უფრო მძიმე ტვირთიც ექნებოდა საზიდი. ძველებურად დაგვიმონავებდნენ, გვამუშავებდნენ, გვაწვალებდნენ და ჩვენი ოფლით თვითონ გაიხარებდნენ, როგორც საერო კრების უწინ იყო. კიდევ კარგი, რომ ამ მოღალატეებს შიგ კრიჭაში ჩაუდგნენ კლუბები და ყველაზედ უწინ იაკობელების მონასტერში რომ იკრიბება, რომელშიაც მამაჩემი დაიარება. ყოველ საღამოს იქ შეიკრიბებიან ხოლმე საუკეთესო მამულიშვილნი, ერთს დიდ დარბაზში, რომელშიაც ბერებს ბიბლიოთეკა ჰქონიათ, ვიდრე გაიხიზნებოდნენ. მთელს პარიზში იაკობელების გარდა ერთი კიდევ კორდელიერის კლუბია განთქმული.

თავდაპირველად კლუბებში მარტო ხალხის წარმომადგენელნი დაიარებოდნენ, მაგრამ აგერ რამდენიმე თვეა, იმათ პატრიოტებიც მიემატნენ, რომელნიც საერო კრებაში არ ურევიან. და რაც ხანი გადის, უფრო მეტს გავლენას იძენენ პარიზში და მთელს საფრანგეთშიაც. ბ. ბ. დანტონი, ლეჟანდრი, ფრერონი, პეტიონი, ბრისსო, კამილ დემულენი და სხვ. ყოველთვის იქ არიან. როდესაც არისტოკრატები ძალიან თავს გავლენ და საერო კრებაზედ დაურიდებლივ ლანძღავენ ხალხსა და ხალხის წარმომადგენლებს, მაგ: „წავიდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ნუ თუ არ მოგწყინდათ ამ რეგვენების ყბედობა?“ ან არა და: „რას ყროყინებენ, დასწყევლათ ღმერთმა! უნდა მივარდეს ამათ კაცი და ნაკუწ-ნაკუწად აქციოს!“ და ეს ხომ ჩვეულებადა აქვთ თავადაზნაურთ და თითქმის ყოველ დღე ამისთანა „გმირობას“ ჩადიან, — დიაღ, როდესაც არისტოკრატები ძალიან თავს გავლენ, იაკობელები და კორდელეირები მაშინვე შეიყრებიან ხოლმე: ყველგან ზარსა რეკავენ; პატრიოტები — ქალი და კაცი — საერო კრებისკენ მიეშურებიან და თან ზოგს ქვაბი მიაქვს, ზოგს ტაფა, ზოგს ავანგდასტა და იმისთანა ხმაურობით და ყვირილით მიდიან: ჩამოახრჩეთ, ჩამოახრჩეთ არისტოკრატებიო, რომ მეორედ მოსვლა ეგო-

ნება კაცსა. თან ქვაბებს და ტაფებს უკრავენ, და „წავა, წავა“-სა მღერიან. შეეშინდებათ ხოლმე არისტოკრატებს და საჩქაროდ მიიმალებიან. რამდენს იცინებენ ბატონი ივანე და ლეტუმიე, ეს ამბავი რომ ნახონ!... ამას მანიფესტაციას ეძახიან. არისტოკრატები კი ამტკიცებენ, ეგ აჯანყება არისო. როგორც კი დაიძვრის ხალხი და ლაფაიეტიც თავის თეთრ ცხენს მოახტება, გამოიყვანს მილიციას და ხალხის დამშვიდებას ცდილობს. მეორე დღეს სასაცილოდ არა ჰყოფნის ხალხს ეს ამბავი: „ჰე, ვერ შევაშინეთ არისტოკრატები!.. — ეუბნებიან ერთმანეთს მუშები, — ერთი-ორი კვირა ვეღარას გაბედავენ და მერე კი... გაბედავენ რასმე და ჩვენც მზად დავხვდებით!“

პარიზში ყველგან ლაფაიეტსა ნახავ; მილიციის საქმეებს ის განაგებს, მეფე-დედოფალს ის ახლავს, ხალხს ის ამშვიდებს. მაგრამ ხანდახან პატრიოტების დაპატიმრებასაც არ უკადრისობს, და რევოლუციას რომ დედაკაცები არ მიმხრობოდნენ და თავიანთ ქმარშვილისთვის ლაფაიეტის ყოველი ბრძანების ასრულება არ აეკრძალათ, დიდი ხანია ცუდ საქმეს იზამდა.

ამას იმიტომა გწერ, ჩემო კარგო მიშელ, რომ უფრო კარგად დაგიხატო, რამოდენი გაჭირება უნდა აიტანოს პარიზელმა ხალხმა, რომ აურიცხველ მტერს აჯობოს. იქნება გგონიათ, რაკი მილიცია შემოვიღეთ და ხარჯი შევიმსუბუქეთ, ახლა კი აღარა გვიჭირს რაო! სცდებით: პარიზელი ხალხი რომ შიგ კრიჭაში არ უდგეს ამოდენ თავადაზნაურობას და ეპისკოპოსთ, რევოლუციას აქამდე ათჯერ შეაყენებდნენ და ჩვენც ჩვენსას გვიზამდნენ. ხალხის ერთგულ მარატს არც ერთი შეთქმულება არ გამოეპარება და დაურიდებლივ აბეზღებს ხალხის წინაშე მეფესაც, დედოფალსაც, თავადაზნაურობასაც, სასულიერო წოდებასაც, უწინდელ პარლამენტებსაც, ქალაქის გამგეობასაც. ერთი სიტყვით, საცა კი რევოლუციის წინააღმდეგ კრინტს დასძრავს ვინმე, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მარატი უთუოდ გამოაქვეყნებს.

ხანდახან მეტისმეტიც მოსდის და მამაჩემი ამაში კი არ ეთანხმება: „როგორ იქნება, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის პატიოსანი არავინ ერიოსო, — ამბობს: — იმავ თაობითვე, დაბადებიდანვე იმას ჩასჩიჩინებდნენ საწყლებს, რომ ისინი ბატონად არიან დაბადებულნი, და ჩვენ მონებად; რომ იმათ სულ სხვა სისხლი უდგათ და ჩვენ სხვა; რომ ქვეყანა იმათია და ჩვენ მარტო იმათ სასიამოვნოდა ვართ გაჩენილნი; იმავ თაობითვე ამას ჩასჩიჩინებდნენ და, რადგან არც სწავლა აქვთ და არც გონების გამჭრიახობა, ღვთაებრივ დადგენილებასავითა სწამთ რაც გაუგონიათ და ჩვენი განთავისუფლების წადილი იმათ ბუნებრივი კანონების დარღვევად და ღვთის გმობად

მიაჩნიათ. სცდებიან, რადგან ჭეშმარიტება არ იციან, და არა იმიტომ, რომ უპატიოსნონი არიან. და განა ჩვენ კი ყველანი წმინდა წყლისანი ვართ? რამდენსაც გნებავთ დაგისახელებთ ცრუ პატრიოტებს, რომელთაც სულის ცხონებასავით ენატრებათ ბატონობა, და რომ შეიძლებოდეს დღესვე უარს იტყოდნენ თავიანთ დედ-მამაზედ, გულს მეფის ნაწყალობევ ორდენებით დაიმშვენებდნენ, ჯიბეში მეფის ნაწყალობევ პენსიას ჩაიჩხრიალებდნენ, თავის მოძმე გლეხკაცს ბატონკაცურად შესტუქსავდნენ და სულით ხორციანად თავს გაიყიდიდნენ, რომ ღირდნენ რათმე და ფასის მძლეველი ჰყავდეთ ვინმე, მეფე კი არა, თუნდა ეშმაკი იყოს იგი. არ ვარგა, რომ სულ ხალხის ქებაში ვართ, თითქო ხალხი სათნოებით სავსე იყოს და ავი არა სჭირდეს რა; იმდენი ღმერთმა წყალობა მომცეს, რამდენიც ხალხში და მოქალაქეთა შორის გაიძვერა კაცი იყოს და, ღმერთი მოწყალეა, ამასაც მალე ვნახავთ: როგორც კი გათავდება რევოლუცია, და საბრძოლველი აღარავისთან არ გვექნება, მაშინვე თავს წამოჰყოფენ ეს გაიძვერები და უფრო თავხედურად და ამაყად მოექცევიან ხალხს, ვიდრე ნამდვილი თავადიშვილები; და ეს მით უფრო სამწუხარო იქნება, რომ ამ ახალი ცრუ ბატონების სიძულნწეს, რეგვენობას და თავხედობას საზღვარი არ ექნება; მაშინ მოგვაგონდება, რომ ამ ვაჟბატონებმა უარჰყვეს საკუთარი დედ-მამა და ნათესავობა, რომ სხვის ალაგას აცოცებულიყვნენ და ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ არავის წაეძახნა: „რა ძალიან თავი მოგაქვს, განა არ ვიცი ვინცა ხარ: დედაშენი პურის მცხობლად დადიოდა და მამაშენი მეჯინიბედაო!“ ნუ თუ მართალია მამაჩემი, ჩემო კარგო მიშელ? და გათავდება თუ არა დიდებულებთან ბრძოლა, თავს წამოჰყოფენ ჩვენივე ძმანი და ახლა ისინი მოგვინდომებენ გაბატონებას? ღმერთმა ნუ ქნას, რადგან ჩვენც შევრცხვებით და იმ წმინდა საქმესაც შევარცხვენთ, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება!

ასე გაჯავრებული ხშირად არის ხოლმე მამაჩემი, მაგრამ დამშვიდებაც მალე იცის და თავის თავს თითონვე ანუგეშებს: „ეგ არაფერი. უმთავრესი ის არის, იმისთანა კანონმდებლობა შემოვიღოთ, რომ არც ერთ გაიძვერას არ შეეძლოს, ხალხის შვილი იქნება, მოქალაქე თუ თავადაზნაურთაგანი, წამოიწიოს, პატიოსან ხალხს ეშმაკობით და ფლიდობით კისერზედ დააჯდეს, თავის ნებისად კრიჭოს და პარსოს იგი და თითონ კი ხელგაუნძრევლად, უზრუნველად, განცხრომით ცხოვრობდეს. საქმე ის არის, რაც შეიძლება მეტი გვყავდეს იმისთანა კაცები, როგორებიც დანტონი, რობესპიერი, გრეგუარი, დემულენი და სხვანი არიან, რომ ხალხი გაანათლონ და შთაგონონ, რომ მომავალი ერთობაზედ და თანხმობაზედ არის დამო-

კიდებული. საფრანგეთს ეს კაცები იხსნიან განსაცდელისაგან. მარტო ესენი ალაგმავენ მეფისა და დიდებულთა შესყიდულ მომხრეებს და თუ ღმერთი შეგვეწია, რამდენსამე თვეში იმათი ხსენებაც აღარსად იქნება. რას იზამენ? ერთადერთი იარაღი გააჩნიათ იმათ ჩვენ წინააღმდეგ — ცილისწამება, მაგრამ სიმართლე ყოველთვის იპოვის თავის გზას და როდესაც ხალხს ძალიან გაუჭირდება, თავის შეცდომას თითონვე იგრძნობს და თითონვე აწამებს ცილისმწამებლებს.

რაც ხანი ერთად ვიდექით ჩვენა და მამა იაკობი, იაკობელების კლუბიდან ერთს არავის გაუჭაჭანებია ჩვენსა; მამაჩემი ვერავის იპატიჟებდა, რადგან იცოდა, რომ ბევრი იმისთანა კითხვა აღიძვრებოდა, რომლის შესახებ მამა იაკობი და ისინი თავის დღეში ვერ მორიგდებოდნენ და იქნება უსიამოვნობაც მოსვლოდათ. მაგრამ რაკი მ. იაკობი ჩვენთან აღარ არის, ძალიან ბევრნი დაიარებიან ჩვენსა, რომ წინადვე შეთანხმდნენ სხვადასხვა წინადადებათა და გარდაწყვეტილებათა შესახებ და ვერ წარმოიდგენ რა თავმდაბალნი და გულკეთილნი არიან ყველანი. რამდენადაც ხალხის მოწინააღმდეგენი თინთლიბაზობენ — სულ სხვასა ფიქრობენ და სხვას ამბობენ, იმდენად გულმართალნი არიან პატრიოტები და რაც გულში უდევთ, არავის არ უმალავენ.

ოთხშაბათს, 14 მკათათვეს, სამშობლოს ერთობა* რომ იდღე-

---

* რაც ხანი საერო კრება კონსტიტუციის შედგენაზედ შრომობდა, საფრანგეთის ყოველი კუთხე სულ იმის ცდაში იყო, რომ უწინდელი თემებად განყოფილება და მით ერთისა და იმავე ერის სხვადასხვა ნაწილებად განცალკევება მოესპო და ერთობა დაემყარებინა. სოფელი სოფელს უერთდებოდა, ქალაქი ქალაქს. ყველგან კრებები იმართებოდა, რომელზედაც სულ იმას ქადაგებდნენ, საფრანგეთი ერთია და უწინდელი განაწილება მარტო ჩვენი ქვეყნის მტრობით იყო შემოღებული; ახლა კი დროა გონს მოვიდეთ, შეეერთდეთ და ჩვენზედ ამხედრებულს მტრებს ერთსულად და ერთგულად დავხვდეთო. ყველა კრება ფიცითა თავდებოდა: ან თავისუფალნი ვიყენეთ, ან დავიხოცნეთო. ჰფიცავდა ხალხი. იქვე კრებაზედ „სამშობლოს საკურთხეველს“ აგებდნენ, ბავშვები მიჰყავდათ და მათთან ერთად მუხის ფოთლის გვირგვინით ან პურის თავთავით დაგვირგვინებული გათეთრებული მოხუცებულები და ფიცს იმათ წინაშე სდებდნენ. ეს კრებები ცის ქვეშ იყო ხოლმე, მინდორში.

და რადგან დღითი დღე იზრდებოდა ეს მოძრაობა, დაადგინეს — ბასტილიის ციხის აღების დღეს, წლის თავზედ, მთელი საფრანგეთის წარმომადგენელნი შეიკრიბებიან პარიზში და ერთმანეთს ერთობას შეჰფიცავენ. დიდი ხნის წინად დაიწყო ხალხმა მარსის მოედნის შემზადება სტუმრების მისაღებად: ქალი, კაცი, ბავშვი ყველანი შეელოდნენ მუშებს და თან „წავა, წავა“-ს მღეროდნენ. 14 ივლისს დიდი ხალხი მოგროვდა. „სამშობლოს საკურთხეველის“ წინაშე ეპისკოპოსმა ტალეირანმა და იმასთან ერთად ასმა მღვდელმა პარაკლისი გადაიხადეს. შემდეგ ამისა ერთგულება შეჰფიცეს კონსტიტუციას, საერო კრების თავმჯდო-

სასწაულა საფრანგეთმა, დანტონი მილიციის რაზმს მიუძღვოდა, დამინახა ხალხში, წინ გამიყვანა და „სამშობლოს საკურთხევლის“ გვერდით დამაყენა. ცოტა ხანს უკან მოვიდა, ხელი გამომიწოდა და თავის მეუღლეს გამაცნო: დაბრძანდით, მე დარწმუნებული ვარ, კმაყოფილნი დარჩებით ერთმანეთისაო. ძალიან ლამაზი ცოლი ჰყოლია, და ამასთან ისეთი მიმზიდველი, რომ ახალი გაცნობილნი ისე ვლაპარაკობდით, თითქო ერთად შეზრდილნი ვყოფილიყავით. საშინლად წვიმდა, ქოლგა ძლივს იმაგრებდა წვიმას, მაგრამ იმას ისე უხაროდა ეს დღესასწაული, რომ წვიმა არცკი ახსოვდა. როცა დღესასწაული გათავდა და ისა და დანტონი ეტლში სხდებოდნენ შინ წასასვლელად, სიტყვა ჩამომართვა, რომ ჩვენს ნაცნობობას ამით არ შევწყვეტთ და შინაცა ვნახავ. ბ. კამილ დემულენს მარსის მოედანზე ენახა მამაჩემი და რომ დაგვინახა, ჩვენს ეტლში ჩაჯდა; გაჯავრებული იყო, მეფემ იმით ისარგებლა, რომ წვიმს და იმის მაგივრად, რომ მოსულიყო და სამშობლოს ერთობას დასწრებოდა, ის შინ დაიმალა — წვიმს და გარედ ვერ გამოვალო! ძალიან გაჯავრებული იყო, მაგრამ მთელი პარიზის ხალხი იქ ტრიალებდა, ცამდე ადიოდა ხალხის გრიალი: თავისუფალ ერს გაუმარჯოსო! და დემულენმაც მალე მოიბრუნა გული და: „სულ ერთია, — შოველ, — უთხრა მამაჩემს, მეფემ რაც უნდა ქნას, ხალხი ჩვენკენ არის! თითქო ერთადერთი გული უცემდეს ამოდენა ხალხს, ისეა იგი გატაცებული სამშობლოს სიყვარულით, სიმართლით და თავისუფლებით!“ თვალები უბრწყინავდა: მე ისე ამიჩქროლდა გული, რომ კინაღამ ცრემლი მომერია. ხალხი კი ისევ ისე მხიარულად გრიალებდა: თავისუფალ ერს გაუმარჯოსო! თან ხელში მწვანე ცაცხვის ტოტებს ათამაშებდა, ქუდებს ზევით ისროდა... მთელს ქალაქში ზარსა რეკდნენ.

ამ დროს მზემაც გამოაშუქა.

ხუთი საათი იყო, როდესაც სასახლესთან მივედით. კამილ დემულენმა ხელი მომცა და ერთს საუკეთესო ყავახანაში შევედით, რომელიც სავსე იყო პატრიოტებით და იმათი ცოლშვილით; ყველგან მხიარული ჟრიამული ისმოდა. ცოტა ხანი იქ დავყავით და მერე კი გამოგვეთხოვა, რედაქციაში უნდა წავიდე და ჩემს გაზეთს მივხედოვო. ხომ ხედავ, ჩემო მიშელ, რა თავმდაბალნი არიან ეს საქვეყნო მოღვაწენი. სულ უკანასკნელი მოხელე რა არის, ისიც კი ისე მედი-

---

მარემ, პარიზის მამასახლისმა და მილიციის წინამძღოლმა. ამ ფიცს სამოცი ათასი საფრანგეთის ყოველი მხრიდან გამოგზავნილი წარმომადგენელი დაესწრო და ოთხასი ათასი მაყურებელი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე წვიმდა, საღამოზედ ჩირაღდნებით გაანათეს ბასტილიის ციხის ნანგრევები და ზედ დიდრონი ასოებით დააწერეს: „ლხინი და დროს გატარება“.

დურად იქცევა ჩვენში. თითქო ზრდილობა და თავის შერცხვენა ერთი იყოსო. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ, ჭეშმარიტებაა: ვინც თითონ არაფერია და თუ ცოტა რამ მნიშვნელობა აქვს, იმ ალაგის წყალობითა აქვთ, რომელიც შემწეობით და ქრთამით უშოვნია, ყველა ასე იქცევა; მაგისთანა აქაც ბევრია, და აქ არის თუ სადმე სოფელში, ყველგან ადვილი საცნობია ინდოურივით გაფხორილი არარაობით, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს.

კამილ დემულენს დიდი ხანია ვიცნობთ; მამაჩემს იგი საუკეთესო პატრიოტად მიაჩნია და ძალიან ბევრს ეცადა, რომ იმისი გაზეთი ყველგან გაევრცელებინა. სამაგიეროდ დემულენმა გამოგვიგზავნა ბილეთები სხვადასხვა თეატრში წასასვლელად. ვერ წარმოიდგენ, რა ძალიან ვისიამოვნე თეატრში, მეტადრე „კალეს აღება“ და „პატრიოტული მუხა“ რომ ვნახე. ისე წარმოადგინეს ყველაფერი, ისე ცოცხლად და ნამდვილად გამოხატეს ხალხის მწუხარება, აღდგომა და გამარჯვება, რომ მე სრულიად გადამავიწყეს, რომ თეატრში ვიყავი და ისე გამიტაცეს თავიანთ თამაშით, რომ იმათთან ერთად ხან ვტიროდი და ხან ვხარობდი; ეს საერო თეატრში. სამეფო თეატრში „ესოპე“ ვნახე და „ორი გლეხკაცი“. ხავერდის ტანისამოსი ჩაეცმიათ ამ გლეხკაცებისთვის, იმათ დედაკაცებისთვის — აბრეშუმის კაბები და ძალიანაც მომეწონენ; მაგრამ მამაჩემს დროს დაკარგვა არ უყვარს და სულ ამთქნარებდა. ერთ საღამოს მითხრა:

— „ხედავ, მარგალიტა! ჩვენს მეფეს ჩვენი გლეხკაცი მარტო მანდ უნახავს, თეატრში და მანდ გაუცვნია. რა უჭირს თეატრში ჩვენს გლეხკაცს? ლამაზად ჩასუქებულა, წითლად ღაღაჟი გაუდის, სულ ინდოურებს შეექცევა და დიბა-ატლასი აცვია! ჯარისკაცებს იტყვი და ისინიც სულ იმას გაიძახიან. — თეატრში გეუბნები, წარმოდგენაზედ, — ჩვენი სიცოცხლე ჩვენი მეფისაა, გავწყდებით, დავიხოცებით და შინ წასვლას კი ნუ გაგვაგონებთო. მოდი და ნუ გაიკვირვებს ჩვენი დიდებული მეფე, როდესაც ეტყვიან, ხალხი შიმშილით იხოცებაო! პარიზელებსაც კი უნდა უკვირდეთ. უკმაყოფილებას რად აცხადებს ეს ხალხიო? ხომ ყველაფერი ბევრი აქვს და რაღა უნდაო? პარიზელებს ხალხი თეატრში უნახავთ და დარწმუნებულნი არიან, გლეხკაცს ბეღელი პურით სავსე აქვს, ძარში სიმინდი ვეღარ ეტევა, გუთნეული ხარ-კამეჩი ჰყავს, ერბოსა და ყველს ქვევრებით ინახავს და მარანში ხომ იმოდენი ღვინო აქვს, რომ წყალივით რომა სვას, მაინც არ დააკლდება. ზის მამაცხონებული გლეხკაცი და ქეიფს ეწევა: წითელ ღვინოს გადაჰკრავს. სიმღერას დასძახებს, თავისავით ბედნიერ ქალებს შეჰყრის და ცეკვას მორთავს!.. ხანდახან

ისიც მოხდება ხოლმე, რომ ვინმე ყმაწვილი კაცი, დიდებული გვარის თავადიშვილი ქალს მოსტაცებს გლეხკაცს, მაგრამ თავის დღეში არ მომხდარა, რომ ჯვარი არ დაეწეროს. აი, როგორ არის დახატული თეატრში გლეხკაცი! მე ჩემს დღეშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ბედნიერები ვყოფილვართ. და თუ გლეხკაცი ასეთ ნეტარებაში ჰყოლიათ, თვით მებატონეები და მეფე როგორი ხალხის ერთგულნი და მოსიყვარულე მზრუნავნი უნდა იყვნენ? ხომ ნახე, რა ქება-დიდებით და სიყვარულით იხსენიებდა გლეხკაცი თავის ბატონს! ხომ ნახე რას მღეროდა პატარა გოგო ბატებს რომ აძოვებდა? გახსოვეს „კალეს აღებაში“ ჯარისკაცები მუხლამდე ტალახში იბრძვიან დამშეულნი; აგერ რამდენი ხანია, არაფერი ჩასვლიათ პირში და მაინც სულ ხუმრობენ და „ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო!“ იძახიან. თუ ეს მართალია, ის ბედნიერი, დიბა-ატლასით მორთული გლეხკაციც მართალი იქნება! ან კიდევ პარნასი რომ წარმოადგინეს, რომელზედაც ღმერთნი შევერცხლილ კარტონის ქუდებით რაღაცა სულელობას გაიძახოდნენ! ვინც ჩვენს გლეხკაცს ასე დახატავს, განა იმას გლეხკაცი თვალით უნახავს სადმე? ვინც პარნასის ღმერთებს ასე გამოიყვანს, განა იმან ისტორიისა იცის რამე? საცქერად იქნება კარგიც იყოს ეგ ყველაფერი, მაგრამ გონების საზრდოს კი სრულიად არაფერს იძლევა და მაშასადამე კაცს ტყუილუბრალოდ დროს აკარგვინებს“.

როგორ არ დავეთანხმებოდი, როდესაც ვგრძნობდი, რომ სრულს სიმართლეს მეუბნებოდა და მას აქეთია, თეატრში სიარულს შინ ყოფნას და დასაკერებელი სარეცხის და წასაქსოვი წინდების რიგზედ მოყვანას ვამჯობინებ.

მაგრამ მგონი ძალიან გაგრძელდა ეს წერილი, ჩემო მიშელ! დასასრულ მინდა ერთი ამბავი გაცნობო, რომელიც ძალიან გასიამოვნებს შენცა და ყველა ჩვენებურ მამულიშვილსაც. უკანასკნელი შენი წერილი რომ მოგვივიდა, აქ სულ ნანსის საქმეებზედ ლაპარაკობდნენ და ნამდვილად კი არავინ არაფერი არ იცოდა. თვით ლაფაიეტისაც კი არა სწამდათ რა, მით უფრო რომ ლაფაიეტი ძალიან ცდილობდა, რომ თავისი ბიძაშვილი გენერალი ბულიე დაეჯილდოვებინათ. ცდილობდა და მოახერხა კიდეც: საერო კრებამ ცამდე აამაღლა იგი და მეფემ მილიციას მიჰმართა, გენერალ ბულიეს მადლობა გამოუცხადეთო. შენი წერილი რომ წაიკითხა მამაჩემმა, ცას დაეწია: აი ჭეშმარიტება აქ სწერიაო, დაიძახა; ძალიან ბიჭი დადგა ჩვენი მიშელი და ისე კარგად ხატავს, რაც საკუთარი თვალით უნახავს, რომ ეჭვის შეტანა შეუძლებელი არის... ეს თეატრი კი არა, კომედია კი არა, ნამდვილი, მტკნარი ჭეშმარიტებაა... ძალიან განვი-

თარებულა ჩვენი მიშელი... ეტყობა ბევრი უშრომია... ბეკრს კითხულობს და სარგებლობს კიდეც წაკითხულით. მით უკეთესი!..

ხომ იცი, როგორ მიამებოდა შენი ქება! წერილი რომ წაიკითხა, ჯიბეში ჩაიდო: გუშინ კლუბში დეპუტატმა რენიომ სიტყვა ითხოვა ნანნის საქმეებზედ და ამტკიცებდა, ისეთი თავგანწირვით იბრძოდა მერტის მილიცია, რომ მადლობის ღირსია და რაღა გამოძიება გვინდა, პირდაპირ მადლობა გამოვუცხადოთო. ეხლა მე ჩავალ და ამ წერილს წავიკითხავ; ვნახოთ რა პასუხს მოგვცემს რენიო?

კლუბში რამდენჯერმე ვიყავი. იმ დღესაც, რაკი მამაჩემმა სთქვა, ეს წერილი უნდა წავიკითხოვო, ვთხოვე, მეც თან წამიყვანე-მეთქი და, რასაკვირველია, აღმითქვა.

— ოღონდ აჩქარდი, მალე ჩაიცვი, რომ არ დაგვიგვიანდეს.

საჩქაროდ მივალაგე ჭურჭელი. და ის იყო კაბა გადავიცვი, რომ მამაჩემმა შემომძახა: — მივდივართ, მარგალიტა? მკლავი მომაწოდა და წავედით. რვის ნახევარი იყო.

იაკობელების კლუბი აქვეა ჩვენს ახლო ძველს იაკობელების მონასტერში. მშვენიერი ძველებური ალაყაფის კარები აქვს, დიდი ცაცხვის ხეებით დაჩრდილული ეზო გიამება, ისეთი კოხტა და ამასთან დიადი რამ არის. კლუბი ეზოში მარჯვენა მხარეს იმყოფება. კლუბის კარი ყოველთვის ღია არის, რომ დაგვიანებულთ გარედან მაინც მოისმინონ მოლაპარაკენი და მარტო მაშინა ხურავენ კარებს, როდესაც წვიმს და გარედ მსმენელი არავინა ჰყავთ.

ჩვენ რომ მივედით, თითქმის სავსე იყო დარბაზი. თავმჯდომარე ბ. რობესპიერი — სულ ახალგაზრდა კაცია, გამხდარი, უფერული, — ზარს აწკარუნებდა, რომ კრების დაწყება ეცნობებინა. მე მაშინვე ქალებისკენ წავედი, რადგან ქალებისთვის ცალკეა მოთავსებული ზემოთ ადგილები, საიდანაც თავს დავცქერით მთელს დარბაზს. უკან ბ. ბ. პრიორი და დანტონი მოგვდევდნენ და მამაჩემი რომ დაინახეს, წამოეწივნენ და ხელი ჩამოართვეს. მოხუცებული ლაფონტენი წუხანდელი კრების განაჩენს კითხულობდა. იმან რომ გაათავა, მამაჩემი წამოდგა და თქვა:

— თუ ნებას მიბოძებთ, მინდა დეპუტატ რენიოს პასუხი გავცე წუხანდელს სიტყვაზედ, რომლითაც იგი ამტკიცებდა, მერტის მილიციას და გენერალ ბულიეს მადლობა უნდა გამოვუცხადოთო. მე მინდა ერთი წერილი წაგიკითხოთ, რომელიც დღეს მივიღე შინიდან, ერთი მილიციელისაგან; რასაც იწერება, საკუთარი თვალით უნახავს და, თუ სიმართლე გნებავთ, ამ წერილში ჰპოვებთ, მით უფრო რომ ამ მილიციელს მე ისე ვენდობი, როგორც ჩემს თავს.

— სიტყვა თქვენ გეკუთვნით, — უთხრა თავმჯდომარემ.

ყოველთვის ასეა პარიზში: თავმჯდომარის დაუკითხავად ხმას ვერავინ ამოიღებს და ერთხელ და იმავე დროს ორის ან სამის ერთად ლაპარაკი, ან ყვირილი, — დავუყვირებ და მოპირდაპირეს ჩავაჩუმებო, — შეუძლებელია. ყველა თავის რიგზედა ლაპარაკობს და ყველა მადლიერია.

ყველანი გაჩუმდნენ, მამაჩემმა რომ მუნი წერილი გახსნა და კითხვა დაიწყო. რაღა ჩემი თქმა გინდა, ისეც კარგა წარმოიდგენ, როგორ ამიძგერდებოდა გული. კითხვა იმ ადგილიდან დაიწყო, როდესაც ზარბაზნის ხმა შემოგესმათ და მერე უკლებლივ წაიკითხა თქვენი გაჩქარებული სიარული, ქალაქში შესვლა და ხუთი-ექვსი გერმანელი მხედრისაგან ხალხის ყლეტა. იმისთანა სიჩუმე ჩამოვარდა, რომ იმოდენა ხალხის გულის ცემას გაიგონებდა ადამიანი; ისე გაჩუმებულნი ისმენდნენ და სახეზედ კი საშინელი აღშფოთება ეხატებოდათ... ვერ წარმოიდგენ, როგორ იჭექა იმოდენა ხალხმა, როდესაც გაიგეს, რომ ერის ერთგული მილიცია თავიდან მოეშორებინათ, რომ ხალხს არ მიმხრობოდნენ და დაქირავებულ გერმანელებისთვის ხალხის ხოცვა და მოქალაქეთა ძარცვა არ დაეშალათ! არა, ვისაც ხალხის გრგვინვა თავის თვალით არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს მის საშინელებას, რაც უნდა ხელოვნურად აუწერონ. უცბად წამოიწია ამოდენა ხალხმა, უცბად გაისმა გაბრაზებული ხალხის დრტვინვა და თუმცა რობესპიერი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზარს აწკარუნებდა, იმისი აღარავის რა ესმოდა. ბოლოს ერთი ათი წუთის შემდეგ ნელ-ნელა დამშვიდდა ხალხი და მამაჩემი ისევ წერილის კითხვას შეუდგა, მაგრამ არც მაშინ გაათავებინეს, რადგან იქ რომ ჩავიდა, სადაც შენ ახალ კართან ნახულ სურათებს ხატავ და იმ უბედურ დედაკაცს, შვილი რომ მოუკლეს და ეხვეწებოდა, მეც მომკალითო, ისევ ისე ბრაზი მოერია ხალხს და კვლავ საშინელი ხმაურობა ატყდა. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებდა. მამაჩემს აკლდამიდან ამოღებულის ფერი ედო. წერილი აღარ გაათავა და სამაგიეროდ ეს სიტყვები სთქვა:

„— რა საჭიროა ბოლომდე წაგიკითხოთ და თავი მოგაწყინოთ? რაც უნდა გცოდნოდათ, უკვე იცით! ნანსის საქმე თვალწინ გიდგათ და კარგად ხედავთ, რომ ლორენის მილიცია შეურაცხყოფად მიიღებს იმ მადლობას, რომლითაც თავი მოაქვს გენერალ ბულიეს. თქვენ კარგად ხედავთ, რომ ჩვენებურ მამულიშვილთ ხალხის სისხლში ხელი არ გაუსვრიათ! მე უამისოდაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ასე იქნებოდა; ვიცოდი, რომ ნანსში მოკლულთ იტირებდნენ და იგლოვდნენ ჩვენებურები! და აქ კი ცილსა სწამებდნენ, ისინიც გერმანელ ჯარებთან ერთად ხალხს ებრძოდნენო! კინაღამ მადლობაც

გამოუცხადეს, — გმადლობთ, რომ თქვენი ძმანი არ დაგინდვიათო! კმარა! დიდებული მეფის მადლობით სავსე ფიალა გენერალ ბულიეს მიართვან და მარტო იმას დააცლევინონ! ჩვენ მაგისთანა სასმელი გულს აგვირევს!“

გაათავა და დაჯდა. იმისთანა ხმაურობა ატყდა, რომ ერთმანეთისა აღარა ეყურებოდათ რა, მაგრამ იმოდენა ხალხის ხმა დანტონის ყვირილმა დაჰფარა და ცოტათი მიაჩუმა. დანტონი მადლობას უძღვნიდა მამაჩემს, რომ მან თვალი აუხილა კლუბს ამისთანა სამძიმო გარემოებაში და ჭეშმარიტება აცნობა ამ უმაგალითო ხალხის ჟლეტის შესახებ. მადლობა გამოუცხადა აგრეთვე ჩვენებურ ხალხს და მილიციას, რომელნიც თავის დღეში არ უმტყუნებენ სამშობლოს და რომელთაც ვერავითარი ცილისწამება ვერ შესწიკლავს.

და წარმოიდგინე, მიშელ, თუმცა მეფისაგან შესყიდული დეპუტატების წყალობით საერო კრებამ დაადგინა გენერალ ბულიეს მადლობა გამოვუცხადოთო: თუმცა ლაფაიეტიც სულ იმის ცდაში იყო, რომ თავის ბიძაშვილს მეფის წყალობა ღირსებოდა; თუმცა მეფის მომხრე გაზეთები ყველა ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ხალხისთვის თვალი აეხვიათ და ბულიე ერის ერთგულად გამოეყვანათ; მაინც ვერ აუსრულდათ წადილი და პარიზის მილიციის ოცდარვა რაზმმა უარი განაცხადა! გენერალი ბულიე მადლობის ღირსი არ არის და ჩვენ იმას მადლობას ვერ გამოვუცხადებთო! ვალდეგრასის მილიციამ ერთხმად დაადგინა, „გენერალი ბულიე სამშობლოს სიყვარულით გატაცებული გმირი კი არა, სისხლით გაუმაძღარი მხეცია, რომელიც ნანსში გამარჯვების გამო, თუ კი მიუდგომლად გასინჯავენ საქმეს, უნდა იყოს სამაგალითოდ დასჯილი და არა დაჯილდოვებული“.

ვიცი, ძალიან გესიამოვნება ეს ამბები. როგორც ხედავ, მარტო ჩვენ არა ვყოფილვართ სიმართლით და თავისუფლებით გატაცებულნი! პარიზელებიც ჩვენთან არიან და არა თუ მარტო პარიზელები, ყველა პატიოსანი კაცი ჩვენთან არის და თავისუფლების მოსაპოვებლად იღწვის.

აგერ ქაღალდი გამოილია და მე კი იმდენი მაქვს კიდევ მოსაწერი: მინდოდა საწყალი ლუსტალოს სიკვდილი მომეწერა, იმისი დასაფლავება და ქება-დიდება, რომლითაც მიცვალებულის თავგანწირული მამულიშვილობა ასწერეს; მაგრამ ისეც ძალიან გაგრძელდა ჩემი წერილი და დრო არის გავათავო. ნახვამდის!.. მერმის, იმედი მაქვს, ერთმანეთს ვნახავთ და მაშინ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ ამ-ებზედ; ჩვენთვის ძველებურად მივიკუნჭოთ ბატონ ივანეს ბუხართან და ძველიც გავიხსენოთ და ახალიც ვიოცნებოთ. სამერმისოდ კონს-

ტიტუციაც შედგენილი იქნება და ადამიანის უფლებანიც კანონიერად აღიარებული. რა ბედნიერები ვიქნებით! მაგრამ მანამდე კიდევ დიდი შრომა და მოთმინება დაგვჭირდება... ჩვენს ბაღს კარგად მოუარე, მიშელ! რომ მომაგონდება, თვალწინ წარმომიდგება ყველაფერი და ისე გამიტაცებს ოცნება, რომ ხელს წავატან ხოლმე ვარდს მოსაგლეჯად. ჩვენი ხილი? ეხლა შემოსული იქნება; იქნება კიდეც დაკრიფე და შეინახე?! რა კარგი ხარ, ჩვენო ქვეყანავ! რა კარგი და რა ტურფა ხარ! ხომ ხშირად ჩადიხარ ჩვენსა? მე რომ შენი ვიყო, სულ ჩვენსა ვიქნები, რაც თავისუფალი დრო მექნება და პატარა სტეფანესაც თან ვიყოლიებ, რომ წიგნი ვასწავლო. მაგრამ რაღა კითხვა მინდა, ისეც ვიცი, რომ სულ ჩვენსა იჯდები წიგნებით გატაცებული. მით უკეთესი!

ახლა კი კმარა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ ყველანი! ყველას გაკოცებთ. ჩვენებურები მომიკითხეთ და უთხარით, ვისაც კი ჩვენთვის რისიმე გამოგზავნა უნდოდა, თქვენმა ყურადღებამაც დიდად გვასიამოვნა და დიდს მადლობას მოგახსენებთ-თქო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ივანე, ქალბატონო ეკატერინე, ნიკოლ, მიშელ! მშვიდობით!

თქვენი მარგალიტა შოველი.

პარიზი, 24 ენკენისთვეს 1790

IV

დიდად გვასიამოვნა მარგალიტას წერილმა და გულიც დაგვიამა. სულ მცირე რომ ვსთქვა, ჯსჯერ მაინც წამიკითხავს თავით-ბოლომდე, რადგან ჩვენებურები ხომ იყვნენ და იყვნენ, და უცხოელნი უარესს მიშვრებოდნენ: ყოველი გამვლელ-გამომვლელი, ვინც კი ჩვენს დუქანში ჩამოხტებოდა, ერთი კი მოგვესალმებოდა და მაშინვე იმ წერილს მოიკითხავდა:

— მართლა, ბატონო ივანე, პარიზიდან თურმე ამბები მოგსვლიათ. რა სიკეთეს დაგვდებთ, რომ ჩვენც გაგვაგონოთ... ერთი ჩარექი წითელი ღვინო ჩამოასხი, ბიჭო!

და ნათლიაჩემიც მაშინვე მე მომიბრუნდებოდა:

— გაიქე, მიშელ, წერილი ჩამოარბეინე. ხომ იცი, ხატებს უკანა დევს.

დამსვამდნენ და თავით ბოლომდე, სულ უკანასკნელ სიტყვამდე წამაკითხებდნენ. გარს იმოდენა ხალხი შემომეხვევოდა, რომ ჰაერს მიხშობდნენ და სუნთქვას მიკრავდნენ. გულმოდგინედ ისმენდნენ ყოველ სიტყვას, ზოგჯერ ერთსა და იმასვე სამჯერ-ოთხჯერ მათქმე-

ვინებდნენ, ჰკვირობდნენ და თან გაუგებარ სიტყვებისას გვეკითხებოდნენ. კიდევ კარგი, რომ ნათლიაჩემი იქ იყო და ის მიხსნიდა ხოლმე გაჭირებიდან: ისე ახსნიდა და განმარტავდა ყოველ საგანს, თუნდა თავის დღეშიც არსად ჰქონოდა ნახული, მაგალითად, კლუბებს, თეატრს და სხვას, თითქო პარიზში დაბადებულა და იქ აღზრდილაო.

ბოლოს, როდესაც კითხვას გავათავებდი და განცვიფრებული მსმენელნი თავთავიანთსას იტყოდნენ, წამოიშლებოდნენ, თავიანთ საქმეებს მიხედავდნენ და თან კი იმედიანად გაიძახოდნენ:

— საქმე პარიზია! ოღონდ კი პარიზელი პატრიოტები გამაგრდნენ და ჩვენ ვერავინ გაგვტეხავს!

დიდად გაამხნევა ქვეყანა მარგალიტას წერილმა და საჭიროც იყო, ღვთის წინაშე, ჩვენი გამხნევება: რაკი დარწმუნდნენ დიდებულნი თავადაზნაურნი და ეპისკოპოსები, რომ საერო კრებაში ვერას გახდებოდნენ, რადგან მესამე წოდების წარმომადგენელნი შიგ კრიჭაში უდგნენ, ძალით განიზრახეს ბატონყმობის შემოღება. მაგრამ საკუთარი ძალით კი არა! თითონ ვერა ბედავდნენ ბრძოლას — საშიშიაო!... ჩვენში უთანხმოებას და სიძულვილსა სთესდნენ, რომ ჩვენვე ამოგვეჟლიტა ერთმანეთი. და თუ ესეც არ იკმარებდა, გერმანელებს მოიშველიებდნენ. ნანსში უკვე სცადეს ეს ხერხი და ერის მცველ ჯარს, მილიციას ხალხი აჟლეტინეს. ეს პირველი ცდა იყო და ახლა ეპისკოპოსები მეორეს გვიმზადებდნენ, უფრო საშინელს, რადგან შუღლსა და სიძულვილს სთესდნენ პატრიოტებსა და ღვთის მმოსავ ხალხს შორის; ჩვენი სარწმუნოება იმას გვიბრძანებს, საუკუნო განსვენებას საიქიოს ვიმზადებდეთ და... დახეთ პატრიოტებს! იმათ სააქაო ურჩევნიათ საიქიოსაო! რად გინდათ სულით ხორცამდე დაღუპვა და საუკუნო სასჯელი?! ვისაც საეკლესიო მამულები გიყიდნიათ, ისევ ეკლესიას დაუბრუნეთ, რათა მოგეტევნენ შეცოდებანი თქვენნიო...

— აი, რა ნიადაგზედ აღორძინდა ჩვენი ისტორია. მაგრამ ამას თქვენ უკეთა ნახავთ.

გიორგობისთვის გასულს 1790 წ., კალიასავით შემოგვესივნენ ბერები. გვიკვირდა, რადგან დარწმუნებულნი ვიყავით გაიხიზნენო და ისინი კი ძველებურად ნავარდობდნენ სოფელ-სოფელ. ფალსბურგელი მამა გასპარი, ბერ-მონოზანი როოსი და სხვ. და სხვ., რომელნიც აგერ ექვსი თვე სრულდებოდა ჩვენ საზღვარგარეთ გვეგონნენ. იმავე დროს ძველი წესწყობილების მომხრე მღვდლებმაც თავი წამოყვეს და გახარებული მიდი-მოდიოდნენ მთელს ჩვენს მხარეში. ნეუვილლერში, ანრიდორფში, სავერნში და ბევრგან სხვაგან კრებები ჰქონდათ. ვხედავდით, რომ რაღაცას გვიპირებდნენ, რაღასაც

გვემუქრებოდნენ, მაგრამ რას, როგორ? არავინ არაფერი არ იცოდა. ჩვენც, რასაკვირველია, ფრთხილად ვიყავით, მეტადრე ისინი, ვისაც საეკლესიო მამული ჰქონდა ნაყიდი.

— ხომ გაიხიზნენ, და... რაღად დაბრუნდებოდნენ, თუ ავი არა სწადიათ რა! — გაიძახოდა ხალხი და გულის ფანცქალით ელოდა ხვალინდელ დღეს.

უცბად ხმა გავარდა, საერო კრებას დიდი ბრძოლის შემდეგ დაუდგენია, რომ მღვდლებმა ერთგულება უნდა შეჰფიცონ კონსტიტუციას, თუ არა და გადადგნენო.

აი, რამ გამოიწვია ეს გადაწყვეტილება:

რაკი დარწმუნდნენ ეპისკოპოსები, რომ საეკლესიო მამულებს ხელთ ვეღარ იგდებდნენ, რადგან რომ ეთქვათ რამე, ყველა ეტყოდა: დალოცვილებო, სულ საიქიოს გაიძახით და სააქაოს კი შავი მიწის გულისთვის ლამის სისხლი ჰღვაროთო! — ადგნენ და სხვაფრივ მოაგვარეს საქმე: წინადადება შეიტანეს, რომლითაც ითხოვდნენ, საერო კრებამ კათოლიკეთა სარწმუნოება საფრანგეთის საერო სარწმუნოებად აღიაროსო. საერო კრება რომ ამ მახეში გაბმულიყო, მაშინ ორი მეფე გვეყოლებოდა: ხორციელი პარიზში და სულიერი რომში. მაგრამ კრებამ უარჰყო, რადგან „ადამიანს სულიერ მეფედ ღმერთიც ეყოფა, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფერსა სჯის და არ ჰსაჭიროებს თავის სამაგიეროდ სხვა დააყენოს ვინმე სულიერ მეფედ“.

ამ პასუხზედ იმისთანა ბრიყვული ლანძღვა-გინება და მუქარა თურმე შექნეს ეპისკოპოსებმა, რომ საერო კრებამ დაადგინა: დღეიდან ეპისკოპოსებსა და მღვდლებს თვით ხალხი ირჩევდეს, როგორც ქრისტიანობის პირველ ხანებში ყოფილაო.

წარმოიდგინეთ, რა გაბრაზებულნი იქნებოდნენ ეპისკოპოსები! კარდინალი როანელი, არხიეპისკოპოსი ტრეველი და მრავალნი სხვანი წარჩინებულნი პირნი ეკლესიისა წინ აღუდგნენ ამ დადგენილებას და დასწყევლეს მის დამდგენელნიც და აღმსრულებელნიც. მღვდლებს ისევ თითონვე ნიშნავდნენ და სწორედ იმ დროსვე დაბრუნდნენ საზღვარგარეთ გაპარულნი ფალსბურგელი მ. გასპარი, აგენოელი მ. ბარნაბე, მოლსეიმელი მ. ჟანვიე, შლესტატელი მ. ტიბერი, ბერმონოზანი როოსი, ანდელოელი მ. ოლცერი და ბევრნი სხვანი. შემოესივნენ ისევ საფრანგეთს და იმოდენი წვრილ-წვრილი წიგნაკები მოჰფინეს ხალხში, რომ იმოდენი ფოთოლი არ დასცვივა შემოდგომას ჩვენს ტყეს. ეს ა პ ო კ ა ლ ი პ ს ი ო, ე ს ს ა ე რ ო გ უ ლ თ ა მ ხ ი ლ ა ვ ი ო, ე ს წ ა მ ე ბ ა ლ უ ი XVI-ს ა ო, ე ს ფ ი ქ რ ე ბ ი ბ. ბ უ რ კ ი ს ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს შ ე ს ა-

ხ ე ბ ა ო! ხალხში ასობით და ათასობით ავრცელებდნენ ამ პატარა წიგნაკებს, რომლებშიაც სულ იმასა სწერდნენ, რომ საერო კრებამ ქვეყანა დაღუპა, ხარჯს ნუღარ მისცემთ, რადგან სამეფო ბედ-იღბალს ურიები და პროტესტანტებიღა განაგებენო! განა არ გვირჩევნია ერთს მეფეს ვემსახურებოდეთ, თუნდა ჭკუათხელიც იყოს იგი, ვიდრე თორმეტჯერ ასს ყაჩაღსაო? განა ცხადი არ არის, რომ ადამიანის უფლებათა აღიარება მტკნარი თვალთმაქცობა არისო? ასიგნაციები ისე დაეცემიან ფასში, რომ აღარ ღირდნენ არცა ჩალადაო და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ყოველგვარი ცილისწამებით სარგებლობდნენ, რომ ქვეყანაში სასოწარკვეთილება და მით შუღლი ჩამოეგდოთ.

იმავე დროს სამხრეთ საფრანგეთში კვლავ დაიწყეს ხალხის ჟლეტა და საერო კრებაც დარწმუნდა, რომ თუ საღსარს არას იღონებდა, საუკუნოდ აირევოდა საფრანგეთის ეროვნება; და ამიტომ დაადგინა, მღვდლები და ეპისკოპოსები კონსტიტუციას ერთგულებას შეჰფიცავენ... ამით მაინც ვაიძულებთ მღვდლებს უთანხმოების მაგივრად საზოგადო სიყვარულს ქადაგებდნენო.

მაგრამ უნდა გენახათ, რა ამბავი ჰქონდათ ქალებს! აბა მაშინ დარწმუნდებოდით, რომ ქვეყნის წარმატება ქალების ხელში ყოფილა! გათენდებოდა და ბერი ბენედიქტეც გამოჩნდებოდა თავისი ჯორით. მოდიოდა, თან გულში ხელს იცემდა და მოსთქვამდა:

— დიაღ, ახლა კი ცხადად ჩანს, რა უფსკრულში ჩავარდა ჩვენი წმინდა ქვეყანა! სულს აქეთ აღარა შეგვარჩინეს რა, წაგვართვეს, რაც კი მონასტერში მობარებული გვქონდა რამე. მერე ვისი მობარებული? საწყალი, ღარიბ-ღატაკი ხალხის მობარებული — თქვენ უკეთ შეგვინახავთ წმ. მონასტერშიო! წაგვართვეს, დაგვღუპეს, მაგრამ რა გვეთქმოდა? ვიყავით ჩვენთვის გაჩუმებულნი!... ალბად ღვთის ნებააო, ვიძახდით და პირჯვარს ვიწერდით! მაგრამ ესეც არ იკმარეს იმ ღვთისა და ქვეყნის მტრებმა! მამულები ხომ წაგვართვეს და გაგვიყიდეს და ახლა მოგვდგომიან, სულიც უნდა წაგიწყმიდოთო!

და თან ქვითინებდა, მდუღარე ცრემლს იწმენდდა და გულამოსკვნილი მოსთქვამდა:

— უნდა წავწყმიდოთ ქვეყანა! უნდა წავწყმიდოთო!

ნათლი-ჯალაბი ეკატერინე, ლეტუმიეს ცოლი და ერთობ ყველა ქალები გაიგონებდნენ თუ არა იმის მოთქმას, გავარდებოდნენ, გარს შემოეხვევოდნენ, ხელს ცისკენ აღაპყრობდნენ და რაღაცას მოსთქვამდნენ ბერის სანუგეშოდ.

სწორედ იმავე დღეს გამოიარეს ჩვენს სოფელში მ. ჟანვიემ და

სხვა ბერებმა და ყველანი ბერი ბენედიქტესავით მოსთქვამდნენ და პირს იხოკდნენ. ვალენტინი ძალიან შეწუხდა: იდგა შუა სამკვედლოში და იძახდა: მეფე თავის დღეში არ ინებებს, რომ სულიერი მამანი საერო კრებას დაუმორჩილოს!.. მეორედ მოსვლაა რაღა!... მაგრამ მოიცადონ! ციდან ანგელოზთა გუნდი ჩამოვა და ვაი იმ მღვდლის ბრალი, რომელიც გაბედავს და საერო კრებას ერთგულებას შეჰფიცავსო! ახლო-მახლო სოფლები — მიტტელბრონი, კატრვანი, ბიშელბერგი და სხვანი ვალენტინისა და ჩვენი ქალების თვალით უყურებდნენ საქმეს, რადგან საკუთარი მსჯელობა ჯერ არც კი გაჰღვიძებოდათ და სულ ყველაფერს ისე სჯიდნენ, როგორც ბერები ჩასძახოდნენ.

თითონ ნათლიაჩემიც კი ცუდ გუნებაზედ იყო. სადილს უკან, როდესაც თვალცრემლიანი ნათლი-ჯალაბი გარედ გავიდა, ნათლიაჩემი ჩემკენ წამოვიდა, კარგა ხანი მიყურა და მერე მკითხა:

— შენა, მიშელ, შენ რაღას იტყვი?

— მე იმას მოგახსენებთ, ნათლიაჩემო, რომ თქვენს შეშინებასა ცდილობენ ბერები — უნდათ შეაშინონ, ვისაც კი საეკლესიო მამულები უყიდნია და ისევ ხელთ იგდონ. განა არა ხედავთ, რომ ეს ბერები ჭეშმარიტი სულიერი მამანი არ არიან და მარტო თავიანთ საქმეებს ირიგებენ? ჭეშმარიტი სულიერი მამანი მარტო სოფლის მღვდლები არიან, რადგან ჭეშმარიტად ეკლესიასაც და ხალხსაც მარტო ისინი ემსახურებიან; იმათ არც სიცხის დარიდება აქვიან. არც სიცივის და უგზოობისა და სულ ფეხით დადიან ჩვენს მთებში, რომ უნუგეშოდ არ დასტოვონ ის უბედურნი, რომელთაც თავისი დღენი ბატონთათვის უმუშავნიათ და თითონ კი შიმშილის მეტი არა უნახავთ რა. ვინ განიკითხავს ყველასაგან ჩაგრულს ჩვენს ხალხს, თუ არა სოფლის მღვდელი? და სწორედ იმ დროს, როდესაც ეკლესიისა და ხალხის ერთგული მსახური სოფლის მღვდელი ცარიელი ჭადითაც კი ძლივს იძღობს კუჭს, ჩვენი უქნარა ბერები სულ ქეიფსა და დროს ტარებას უნდებიან. აღარც ღვთისა რცხვენიათ, აღარც ერისა და დაურიდებლად ლოთობენ და მრუშობენ, თითქო ბერად იმისთვის შემდგარან, რომ უფრო ხარბად და დაურცხვენელად დასწაფებოდნენ ყოველ მიწიერ სიტკბოებას. ახლა კი, რადგან იმათ მამულები გაუყიდეს და სოფლის მღვდლებს ჯამაგირი დაუნიშნეს, გიჟები იქნებიან სოფლის მღვდლები, რომ საერო კრებას უმტყუნონ და თავი გასწირონ ბერებისთვის და იმ ეპისკოპოსებისთვის, რომელთაგან შეურაცხყოფის და დაჩაგვრის მეტი არა მოაგონდებოდათ რა. როცა მოხდებოდა ხოლმე და ვინმე მღვდელს ეპისკოპოსობა ეღირსებოდა, სხვა ეპისკოპოსები მასხარად იგდებ-

დნენ და უკადრისობდნენ — ჩვენ ჩვენს ყმას გვერდზედ არ მოვის-ვამთო! მე დარწმუნებული გახლავართ, რომ ყოველი მღვდელი, მღვდელი, რომელსაც საკუთარი თავი და თავმოყვარეობა აქვს, კონსტიტუციას ერთგულებას შეჰფიცავს და, თუ გამოჩნდა ვინმე და უარი განაცხადა, ეგ დაუნდობელი ეპისკოპოსის შიშით მოუვა და არა იმ რწმენით, რომ მღვდელი ეპისკოპოსს ემსახურება და არა ხალხსაო.

დიდი სიამოვნებით მისმენდა ნათლიაჩემი. მხარზე ხელი დამადო რომ გავათავე და მითხრა:

— იცი, მიშელ, მართალი თქვი, რაცა თქვი! ჩვენდა საუბედუროდ, ხალხი და მეტადრე ქალები უსწავლელი და განუვითარებელნი არიან. ჩვენ მარტო ის-ღა შეგვიძლია, რომ პატრიოტებს მივემხროთ და, თუ ღმერთი გაუწყრათ ბერებს და კონსტიტუციის წინააღმდეგ გაბედეს რამე, ჩვენც მაგრად დავდგეთ და ღირსეული პასუხი გავცეთ.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ნათლი-ჯალაბი და ახლა იმას მიმართა ნათლიაჩემმა:

— იცი, ეკატერინე, თუ კიდევ დაგინახე აგრე დაღვრემილი და დაღრეჯილი, წავალ და რაც პიკჰოლცში მამული ვიყიდე, ისევ მონასტერს შევწირავ. ერთი კალთა ფული ჩავყარე იმ ოხერში, დევ ფულიც დაიკარგოს და მამულიც! მართალია, სრულიად გავღატაკდებით და ბერი ბენედიქტეს სასაცილო გავხდებით, მაგრამ შენ მაინც აღარა გნახავ აგრე დაღრეჯილს.

ძალიან გაჯავრებით უთხრა და ნათლი-ჯალაბიც მაშინვე სამზარეულოში გავიდა, რადგან კარგად იცოდა, რომ პასუხად სამართლიანს ვერას ეტყოდა.

განა იმისთანა ოჯახსა ნახავდით სადმე, რომ იგივე უთანხმოება და უსიამოვნება არა ყოფილიყო აღძრული, რაც ნათლიაჩემის სახლში იყო? ჩვენსა უარესი იყო. საღამოზე შინისკენ რომ გავწევდი, წინადვე ვიცოდი, რას მეტყოდა დედაჩემი, როგორ გამიმეორებდა ბერების ნაქადაგევს. დედაჩემს იმათი მხარე ეჭირა, ვინც ასე უღვთოდ ეკიდებოდა გლეხკაცს. სულ იმას მიძახდა, რომ უკუნითი უკუნისამდე გეენაში იქნები შთანთქმული, რადგან არ გინდა აღიარო, რომ საერო კრება მარტო ურიათაგან და მწვალებელთაგან შესდგება, რომელთ წადილი ღვთისა და სარწმუნოების უარყოფა არისო. მწყევლიდა, მლანძღავდა, მაგრამ რას ვეტყოდი? დიდი ხანი იყო, რაც გადავწყვიტე, დედაჩემისაგან ყოველიფერი მომეთმინა, და ხმას არ ვიღებდი. მამაჩემიც თავჩაქინდრული მუშაობდა და ხმის ამოღებას ვერა ბედავდა. საბრალო მამაჩემი!

გავიდა რამდენიმე დღე. საერო კრებამ დაადგინა: მღვდლები, ეპისკოპოსები და არხიეპისკოპოსები ამ დადგენილების გამოცხადების დღიდან პირველსავე კვირა დღეს წირვის შუმდეგ დაიფიცავენ, რომ „ერთგულად ემსახურებიან ერს, კანონს და მეფეს; დაუზარებლად აღასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამწყსოსადმი და ყოველი ღონისძიებით ეცდებიან კონსტიტუციის დამყარებას". დაიფიცავენ ეპისკოპოსები და უმაღლესი პირნი სეეპისკოპოსო ტაძრებში და მღვდლები თავთავიანთ ეკლესიაში, მამასახლისის, ნაცვალის და სოფლის სხვა მოხელეთა და სამწყსოს წინაშე; ყოველი მღვდელი ორი დღის წინად გამოუცხადებს მამასახლისს და სამწყსოს, რომ კონსტიტუციისადმი ფიცს დასდებს თავის ეკლესიაში; ვინც დანიშნულ ვადაზედ ფიცს არ დასდებს, გადაყენებულ იქმნება და მის ნაცვლად თანახმად კონსტიტუციისა ამორჩეულ იქნება სხვა.

მოუთმენლად ველოდით მომავალ კვირას, რომ გვენახა, ჩვენი მღვდლებთაგანი ვინ დაიფიცავდა. და ვინ არა. და მანამ კი ბერები უფრო და უფრო გაფაციცებულნი დაძვრებოდნენ და ყველგან არეულობას და მომავლის შიშსა სთესდნენ. მაგრამ ყველანი ხედავდნენ, რომ დიდებულთ და სასულიერო წოდებას უკანასკნელი ღონისძიებისათვის მიემართათ, რომ დაკარგული დიდება და ქონება კვლავ მოეპოვათ და რადგან იმათი გამარჯვება არავის უნდოდა, უფრო და უფრო ერთდებოდნენ მოქალაქენი, მუშები, ჯარისკაცნი და გლეხკაცნი. ვისაც კი თავისი ქვეყანა უყვარდა და სამშობლოდ საფრანგეთი მიაჩნდა და არა დიდებულთა და ეპისკოპოსთა ბატონობა, ყველა ერთად იყო და თავისუფლების მოსაპოვებლად ემზადებოდა.

ნათლიაჩემმა მიბრძანა, ლუტცელბურგს მოგვიხდება წასვლა, მინდა მამა ქრისტეფორე ვნახო... აქამდე ჩვენი აზრისა იყო მცონარე ბერების შესახებ და მგონი ახლაც არ გვიმტყუნოსო.

ამას იმიტომ ამბობდა, რომ ხმა გავარდა, მღვდელს ერთს ვერ იპოვიან, ერთს, რომ სულზედ ხელი აიღოს და კონსტიტუციას ერთგულება შეჰფიცოსო. ჩვენც ეჭვი შეგვეპარა. მაგრამ მამა ქრისტეფორე პატიოსანი, ჭკვიანი კაცი იყო და უპირველეს ყოვლისა თავისი ვალდებულება გააჩნდა. ხუთშაბათს, 3 იანვარს 1791 როდესაც გარეთ საშინელი თოვლი მოდიოდა და ჩვენ გაჩქარებულნი ვმუშაობდით სამჭედლოში, უცბად კარი შემოაღო მამა ქრისტეფორემ თავისი ძველი ანაფორით და უშველებელი ქოლგით. შემოაღო კარი და შემოგვძახა:

— გამარჯვებათ თქვენი! რა თოვლია ეს დალოცვილი, ესა! თუ არ გადაიღო, ამაღამ ერთ ადლზედ მეტს დასდებს.

— მობრძანდი, მამაო! — შესძახა ნათლიაჩემმა და ჩაქუჩი იქით გადასდო.

— რაღა დროსია, შე კაი კაცო, აგერ საცაა შებინდდება. ქალაქს ვიყავი, გამოვაცხადე, კვირას დავიფიცავ-მეთქი და არ მინდოდა ისე გამეევლო, რომ შენთვისაც არ შემეტყობინებინა. იქნება მოახერხოთ და ამოიაროთ შენ და მიშელმა; ძალიან მასიამოვნებთ.

— მაშ დაიფიცავ, მამაო?

— დიაღ, კვირას, წირვა რომ გამოვა. ღამე მშვიდობისათ, გარედ სტეფანე მელის. კვირასა ვთქვათ დანარჩენი.

ნათლიაჩემიც თან გაჰყვა და მე კი ვალენტინს გადავხედე, რომელიც ისე იდგა, თითქო უცბად მეხი დაეცა და პირის მოკუმაც კი ვეღარ მოასწროო: სახე გაგრძელებოდა, თვალები დამრგვალებოდა და გაშტერებული რაღასაც გასცქეროდა. ჩემს კმაყოფილებას კი საზღვარი არა ჰქონდა. გარედაც სიამოვნებით ბაასობდნენ. მ. ქრისტეფორე, ნათლიაჩემი და სტეფანე. ბოლოს ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, და ის იყო უნდა გზას გასდგომოდნენ, რომ მ. ქრისტეფორემ შემომძახა:

— უთუოდ უნდა ამოხვიდე, მიშელ, შენი იმედი მექნება.

— აკი არავინ დაიფიცავსო? — შემოგვძახა ნათლიაჩემმა. — მე კი იმ თავითვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯერ ღვთის მადლით მრავლად მოიპოვებიან საფრანგეთში იმისთანა კაცები, რომელთაც თავში ტვინი აქვთ და არა ბზე და, მაშასადამე, ჩვენკენ იქნებიან და არა იმ მუქთახორა მცონარეებისკენ, რომელთაც დაუყინიათ: ჩვენ ბატონები ვართ, ქვეყანა და დიდება ღმერთს ჩვენთვის მოუნიჭებია და გლეხკაცი და სხვა საქონელი კიდევ იმიტომ გაუჩენია, რომ ჩვენთვის იმუშავონო! იმას ხომ აღარ ამბობენ, რომ ყველანი ადამის შთამომავალნი ვართ და, მაშასადამე, თანასწორად დიდებულნი.

როდესაც კარგ გუნებაზე იყო ნათლიაჩემი, აღარას დაინდობდა და იქამდე მიაღწევდა ხოლმე, რომ სულელსა და რეგვენს უწოდებდა, ვინც რაიმე აზრში იმას არ ეთანხმებოდა. მე კი გაზვიადებული ყველა მეჯავრებოდა, მეტადრე ჩვენი ძველი ქარგალის გამო, რომელიც ხმას არ იღებდა, მაგრამ გულში კი ძალიან ბრაზობდა. აშკარად ჩანდა, რომ მოთმინება ელეოდა და მეტს ვეღარ აიტანდა. ვიცოდი, რომ დაუნდობელი ნათლიაჩემი ერთხელ იქნებოდა ძალიან აწყენინებდა, ისიც ვეღარ მოითმენდა, პასუხს გასცემდა ოსტატს და აირეოდა იქაურობა.

.იმ საღამოს ამგვარი არა მომხდარა რა, რადგან ნიკოლი დროზედ მოვიდა და ვახშმად წაგვიყვანა; ჩავიცვით და ჩვეულებისა-

მებრ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მეორე დღეს გავიგეთ, ფალსბურგელ მღვდლებს იოტს და იმმელს ჯერაც არ გამოუცხადებიათ დაფიცვაო; ფალსბურგში მდგომ რაზმის მღვდელს კი გამოეცხადებინა, კონსტიტუციას ერთგულებას შეეფიცავო. სალაპარაკოდ ეს-ღა გვქონდა. კვირას დილაადრიანად გავსწიეთ ლუტცელბურგისკენ ნათლიაჩემმა, მე, ლეტუმიემ, კოშარმა და ბევრმა კიდევ სხვა პატრიოტებმა.

აღარ თოვდა. პატარა ეკლესია სავსე იყო ხალხით, რომელიც მთიდან ჩამოსულიყო, რომ ფიცისთვის ეყურებინა. ამბობდნენ, ბერებს შეუგულიანებიათ ხალხი და ვაი თუ ავი ჩაიდინონ რამეო, მაგრამ მთელი ქვეყნის ბერებიც რომ შესდგომოდნენ, ეს მთიულები თავიანთ საყვარელ მამა ქრისტეფორეს არ უღალატებდნენ, რადგან ყველასაგან დიდად პატივცემული კაცი იყო. ესეც რომ არა ყოფილიყო, მამა ქრისტეფორეს ძმა მატერნი და რამდენიმე კიდევ სხვა იმის ნათესავი ჩამოსულიყო დაგსბურგიდან და სულ იმისთანა მოსხვეპილი ბიჭები იყვნენ, რომ იმათი შიშით ვერავინ რას გაბედავდა. დიაკვანთან იდგნენ და გალობდნენ ყველანი. ყველაფერი რიგიანად იყო. მამა ქრისტეფორემ წირვა გამოიყვანა და შემდეგ ცოტათი წინ წამოდგა, ხელი ცისკენ აღაპყრო და მაღალი ხმით თქვა, რომ ყველას ჰსმენოდა:

— ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო ჩემს სამწყსოს და კეთილსინდისიერად მივუძღოდე მას სიმართლის გზაზედ. ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო ერს, კანონს და მეფეს. ვფიცავ, ყოველი ღონისძიება ვიხმარო კონსტიტუციის დასამყარებლად და სახელდობრ იმ მუხლისა, რომელიც სამღვდელოებას შეეხება.

ხალხი დაიშალა და ეკლესიაში ჩვენ და მამა ქრისტეფორეს ნათესავებიღა დავრჩით. გარედ წესიერება არავის დაურღვევია. ცოტა ხანს უკან ჩვენც გამოვედით ეკლესიიდან და ყველანი მამა ქრისტეფორემ მიგვიწვია.

— აი, რა რიგიანად გათავდა ყველაფერი, — უთხრა გზაში ნათლიაჩემმა. — გვიანღაა, ახლა ბერები ველარას გააწყობენ.

მამა ქრისტეფორე ჩაფიქრებული იყო.

— ჯერ კიდევ იქნება დიდ განსაცდელში ჩავვარდეთ, ვინ იცის? საქმე ის არის, რომ ჩვენ ჩვენს მოვალეობას არ ვუმტყუნოთ.

მამა ქრისტეფორემ აკურთხა სუფრა, დავსხედით და სადილი ისე გავათავეთ, რომ ხმა არავის ამოუღია: მამა ქრისტეფორეს დედა ნამტირალევი იყო და ჩვენც დავღონდით. სადილი რომ გავათავეთ, ის გარეთ გავიდა და მამა ქრისტეფორემ გვითხრა:

— ხედავთ! აი, უბედურების დასაწყისი, აი, დედა-შვილთ შო-

რის უთანხმოების და სიძულვილის ჩამოგდება. დღეს აქ არის, ხვალ მთელ ქვეყანას მოედება და ოჯახს ველარა ნახავთ, რომ იგივე უთანხმოება არ უთხრიდეს ძირს! საწყალი დედაჩემი! ტირის, რად დაიფიცეო. უბედურება არ არის? ბერებს უფრო მეტი გავლენა ჰქონიათ დედაჩემზედ, ვიდრე მე. და მე დაღუპული, სულით ხორცამდე წაწყმენდილი ვგონივარ. რა ვქნა? რა ვუთხრა?

— ეჰ, კარგი ერთი! — შეჰყვირა იმედიანად ნათლიაჩემმა. — ჩემი დედაკაცი უარეს დღეს მაყენებს. რა ვუყოთ? ცოტა ხანი კიდევ და მაგასაც ბოლო მოეღება. ბერებს იქითვე გავისტუმრებთ, საიდანაც მობრძანებულან და ჩვენი ქალებიც თვალს აახელენ და ჭეშმარიტებას დაინახავენ.

მაშინ მამა ქრისტეფორემ იმისთანა სიტყვა თქვა, რომ ჩემს დღეში ალარ დამავიწყდება:

— არც აგრე ადვილად, როგორც შენ ამბობ, ჩემო ივანე, რადგან ჩვენი ბერები და ეპისკოპოსები ქვეყანას დაღუპავენ და თავიანთ საკუთრებას და უპირატესობას კი არავის შეაწევენ. გვიკრძალავენ, კონსტიტუციას ერთგულებას ნუ შეჰფიცავთო, რადგან კონსტიტუციამ იმათ სწორედ ის წაართვა, რაც მათ სარწმუნოებაზედაც კი უფრო ზევით აყენებდა. განა კონსტიტუცია ეწინააღმდეგება რაშიმე წმინდა სახარებას? არა! და თითონაც კარგად იციან, რომ კონსტიტუცია ყველაფერში ეთანხმება ჩვენს სარწმუნოებას. აგერ თვრამეტი საუკუნე სრულდება მას შემდეგ, რაც იესომ დაადგინა სამღვთო და უწმინდეს კანონებად ის, რასაც დღეს კონსტიტუციამ „ადამიანის უფლებათა აღიარება“ უწოდა. იესომ ბრძანა: გიყვარდეთ ერთმანეთი, რადგან ძმანი ხართო... გაჰყიდეთ, რაც რამ გაბადიათ, ფული გლახაკთ დაურიგეთ და მე შემომიდექითო. ჩვენი ბერები კი გაყიდვის და დარიგების ნაცვლად, სულ მეტისა და მეტის სიმდიდრის მოხვეჭას ცდილობენ. იმის მაგივრად რომ კაცთა შორის თანასწორობის შემოღებას ცდილიყვნენ, ისინი სულ მეტისა და მეტის უპირატესობის შეძენას ცდილობდნენ. იმის ნაცვლად, რომ ცდილიყვნენ და დაემყარებინათ ნება ღვთისა ქვეყანასა ზედა, ვითარცა ცათა შინა, სულ იმის ცდაში იყვნენ რომ თავიანთი მოძმენი დაემცირებინათ და დაეჩაგრათ სულითაც და ხორცითაც. იმათ ისა სწყინთ, რომ კონსტიტუცია სახარების განმეორებაა. ისინი ცოცხალნი იყვნენ და მღვდლებსა და ეპისკოპოსებს ხალხი ირჩევდეს?! ხალხი, რომელიც სათნოებით არის სავსე და თავის მოძღვრადაც მარტო პატიოსანს და გაურყვნელს მუშაკს აირჩევს, როგორადაც ქრისტიანობის პირველ ხანებში იყო ხოლმე?! ის არ ურჩევნიათ პომპადურისა და იმისთანავე უნამუსო ქალებისაგან მიიღონ ადგილები, რომელთათვის კაცი

მარტო მაშინ არის ღირსეული, როდესაც ლამაზია, კოხტა, კარგი გვარის შვილი, კარგი მოლაპარაკე და კარგი არშიყი. უნამუსო ქალების წყალობით არის ნაკურთხი კარდინალი როანელი და მრავალნი სხვანი, რომელნიც არცხვენენ და საუკუნოდ ჩირქად შერჩებიან ჩვენს ეკლესიას. განა იმათ ხალხი აირჩევდა? აირჩევდა კი არა, პანღურის ცემით გახეთქავდა, რადგან გული აერეოდა ყოველს პატიოსან კაცს იმათ დანახვაზე. მაშ რა თვალით შეხედავენ როანელები კონსტიტუციას, რომელიც ამტკიცებს დღეის შემდეგ დევნილ იქნებიან უღირსნი და უნამუსონიო?! რა თვალით შეხედავენ როანელები კონსტიტუციას, რომელიც ამტკიცებს ხალხის ბედი ხალხის ხელთ იყოს და როგორც ენებოს, ისე განაგოს თავისი საქმენიო?! გრძნობენ, რომ იმათ ბატონობას ბოლო მოეღო, რომ იმათ თავისი გათავეს, და ახლა სამართალი და კანონიღა განაგებს ქვეყანას. თუ ღმერთმა ინება და მღვდლები, უბრალო სოფლის მღვდლები, რომელნიც ბერებს მასხარად ჰყავდათ აგდებული, კონსტიტუციას მიუდგნენ და თავ-თავიანთ სამწყსოში ქადაგებით შეაგნებინეს ხალხს ახალი წესწყობილების ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა, მაშინ აღარა გვიჭირს რა და კონსტიტუცია ურყეველ საფუძველზე იქნება გამაგრებული. ამით აასრულებს მღვდელი თავის დანიშნულებას, ამით ემსახურება იგი ამ ქვეყნად ქრისტეს მცნების დამყარებას და ყველასაგან პატივცემულიც ამით იქნება. აბა მაშინ გაბედონ ქვეყნის დამღუპველმა ბერებმა და ის ჩაიდინონ, რასაც დღეს ჩადიან! მაშინ თვით მღვდელი შეებრძოლება მათ და მღვდელთან ერთად მთელი ერიც! აბა მაშინ შემოვა ჩვენში ის ცვლილება, ის დიდებული რევოლუცია, რომელიც თვით იესომ დაიწყო ჯვარცმულმა. რად ინდომებენ ამას ბერები? იმათი სანატრელი ეხლა ისღა არის, რომ ჩვენში უთანხმოება ჩამოაგდონ და ერთმანეთს წაგვკიდონ. და სწორედ იმ დროს, როდესაც ძმა ძმაზე გალესავს იარაღს და აირევა ქვეყანა, სწორედ იმ დროს შემოგვესევიან საზღვარგარეთიდან გაჩიზნულები და თან უცხოელ ჯარებს შემოგვისევენ — პრუსიელებს, ავსტრიელებს, რუსებს, რომ იმათი დახმარებით დასთრგუნონ სახარების სიტყვაც და ადამიანის უფლებანიც, დაიბრუნონ დაკარგული უპირატესობა და დიდება და ისევ უღელში შეგვაბან! იმათ ამის მეტი არა უნდათ რა! ასე თვალთმაქცურად სამშობლოს მტრობას ისინი პოლიტიკას ეძახიან. ისიც ვინა? ის სულიერი მეუფენი, რომელნიც გაიძახიან: ქრისტეს მოადგილენი ვართ ამ ქვეყნადაო! განა ქრისტემ პოლიტიკა იცოდა?! იმას რომ პოლიტიკა სცოდნოდა, განა ხალხს მიუდგებოდა და წამებული და ჯვარცმული იქნებოდა? განა ისიც, მეფე დავითის შთამომავალი, მეფეებს და დიდებულთ არ

მიუდგებოდა ხალხის წინააღმდეგ?! განა ისე გაისტუმრებდა სატანას ამპარტავნებისას, რომელიც ეუბნებოდა: გადახედე ამ ქვეყანას... სულ შენი იქნება ეს სოფლები, ეს მთები, ეს მდინარენი, თუ მუხლს მოიდრეკ ჩემს წინაშეო! სად იყო მაშინ რაანელი? მუხლს მოიყრიდა კი არა, სულ ფოფხით მივიდოდა სატანასთან და ფეხებს გაულოკავდა. ჩვენთვის ტანჯულს კი არავითარი პოლიტიკა არა ჰქონდა და მეც, ერთი უბრალო სოფლის მღვდელი, იმის მცნებას და მაგალითს მივდევ და არა დიდებულ ეპისკოპოსების მაგალითს, რომელნიც ისე ცხოვრობენ და იმისთანა საქმეებს სჩადიან, რომ ქრისტიანი კი არა, ურჯულოც არ იზამს. დიაღ, მე ხომ ერთი უბრალო მღვდელი ვარ და ჩემს დღეში სახარებას არსად ვუმტყუნებ და ჩემი ქვეყნის მტრებს არ შეევევედრები: მოდით, ჩემი სამშობლო ააოხრეთ-მეთქი!

თავით-ფეხამდე თრთოდა ამას რომ ამბობდა, ფერი წაუვიდა და სულს ძლივსღა იბრუნებდა. რომ გაჩუმდა, მატერნი მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მართალი ხარ, ქრისტეფორე, და დარწმუნებული იყავი, რომ ჩვენც ყოველთვის იესოსკენ ვიქნებით და არა რაანელისკენ. ამას წინადა ვნახე... ისა და თავისი ცოლი... სხვისი ცოლი... სხვისთვის წაურთმევია ცოლი! რა საშინელებაა!

და ყველამ პირჯვარი დაიწერა.

— თქვენ რაანელის ცოლი გაგკვირებიათ! — შესძახა ნათლიაჩემმა. — იცით რამდენი უნამუსობა გვინახავს სულიერ მამათაგან? განა ადამიანის ენა მოსთვლის მათ საქციელს?! საკვირველი ის არის, იმათ მაყურებელ ხალხს როგორ შერჩა სარწმუნოება და ღვთის შიში? კარგი ის არის, რომ ხალხი ბრმა ჰგონიათ და დარწმუნებულნი არიან, რასაც ვუბრძანებთ, აასრულებს, ჩვენი ყურმოჭრილი ყმა არისო.

— მართალია, — სთქვა მამა ქრისტეფორემ, ხალხის თვალში იმათ ყოველი ღირსება დაკარგეს! მართალია იმათ ხალხი პატივს აღარა სცემს, მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ ბევრ ცილს დაგვწამებენ სოფლის მღვდლებს, რომლებმაც სამშობლოს და მის ახალ კანონებს ერთგულება შეეფიცეთ. ქვეყნის წინაშე სარწმუნოების მოღალატეებად გამოგვიყვანენ და მით მეგობარს და ნათესავს შეგვაძულებენ... ბევრს ტანჯვას მოგვაყენებენ! მაგრამ სუყველა რომ მე მამტყუნებდეს, სულ რომ გამშორდნენ დედაც, მამაც, ძმებიც და მეგობრებიც, ოღონდ სინიდისი დამშვიდებული მქონდეს და ღმერთთან არას ვტყუოდე, მე არავისი რა მენაღვლება! და თუ ვინატრებ რასმე, მარტო იმას ვინატრებ, რომ იმათ თავიანთი შუღლის და უთანხმოების მთესველი პოლიტიკით, რომლითაც ცდილობენ ერთმანეთს

შეგვაკლან, მეფე არ დაღუპონ და მეფესთან ერთად ჩვენი უბედური დედოფალი და მათი მახლობელნი. ჯერ ძნელად დაიძვრის ხალხი, მაგრამ თუ დაიძრა, ზღვასავით მოედება ქვეყანას და თუ აღარავინ დაინდო და ბევრი სისხლი დაღვარა, იმათი ბრალი იქნება, იმ პოლიტიკოსებისა! ან რა უფლებით გვიკრძალავენ სოფლის მღვდლებს, ნუ დაიფიცავთო?! განა არ იციან, რომ იმ მღვდელს, რომელიც ერის ერთგულებას არ დაიფიცავს, ხალხი ეჭვის თვალით დაუწყებს ცქერას? განა მით სამწყსოსა და მოძღვარს შორის უნდობლობას არ აჩენენ? განა მით იმ რწმენას არ უნერგავენ ყოველ პატიოსან კაცს, რომ სარწმუნოება მოსისხლე მტერი ყოფილა ძმობის, თავისუფლების, თანასწორობის და ერთობ ყველა იმ რწმენისა, რომლისთვის წამებულ იქნა იესო და რომლის განხორციელებას ცდილობს რევოლუცია?! მარტო ერთმა ღმერთმა უწყის, რამდენი არეულობა დატრიალდება ჩვენს ქვეყანაში!

ეს თქვა მამა ქრისტეფორემ და ორი წლის შემდეგ 1793 წელს, როდესაც გილიოტინისკენ დასახოცად ხალხს გაატარებდნენ ხოლმე — ქალებს, მოხუცებულებს, მღვდლებს, მოქალაქეებს, მუშებს, გლეხკაცებს, — მაშინვე მამა ქრისტეფორეს სიტყვა მომაგონდებოდა და წამოვიძახებდი:

— აი, გახიზნულთა და ეპისკოპოსთა პოლიტიკის შედეგი!

კარდინალი როანელი, თავადი არტუა და იმათი მეგობრები რეინის გაღმა იყვნენ, საზღვარგარეთ და ჩვენი ეპისკოპოსები უცხოეთში ევედრებოდნენ ღმერთს ჩვენი ქვეყნის დაღუპვას. დასავლეთ საფრანგეთში და ვანდეში მღვდლებმა არ ინდომეს ფიცის დადება, ხალხი ააჯანყეს და იარაღით წინ აუღდგნენ საერო კრების გარდაწყვეტილებას. დიდებული ეპისკოპოსები იმათ შორიდან აქეზებდნენ და თითონ კი სეირს უცქერდნენ. გულში კიდეც დაგვცინებდნენ: რა სულელი ყოფილა ჯერ ისევ ხალხი, რომ ჩვენისთანა უღმერთოებისთვის ერთმანეთსა ჟლეტავენო! მართლაცდა, ვანდელი გლეხკაცები რომ დაჰფიქრებოდნენ თავიანთ საქციელს, თავიანთ დროშაზედ სამ სიტყვას გამოხატავდნენ: „მონობა, უსწავლელობა, სიღატაკე!“, რადგან ისინი ძველებური მონობისა და სიღატაკის დასაცავად იბრძოდნენ.

ორჯელ თუ სამჯერ გამოაცხადებინა თავადმა არტუამ: მოვდივარ, რომ ვანდელებს წინ წარვუძღვე ბრძოლაშიო; კიდეც მოუახლოვდა ინგლისელი გემით ჩვენს ნაპირს, მაგრამ როცა რესპუბლიკელების ზარბაზნის ხმა შეესმა, უკანვე გაეშურა და აჯანყებული ვანდელები ღვთის ანაბარად მიატოვა. ამას შემდეგში ნახავთ. ამისთანა სიმხდალე მგონი ბევრს არავის ჩაედინოს!

კიდევ კარგა ხანი დავრჩით იმ დღეს მამა ქრისტეფორესთან; საერო საქმეებზედ და ფიცზე ვილაპარაკეთ და ორი საათი რომ დაჰკრა, წამოვიშალენით, რადგან სახლამდე დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი და ეშურებოდნენ. მოძებნეს თავიანთი ჯოხები, ხელი ჩამოგვართვეს და გასწიეს მთისკენ; ჩვენც გამოვეთხოვეთ და ქვევით წამოვედით.

საშინელი სიცივე იყო. გაჩქარებული მიდიოდა ნათლიაჩემი და თან მელაპარაკებოდა:

— ღვთის მადლით, ძალიან კარგად გაიარა დღევანდელმა დღემ, მიშელ. ერთხელ კიდევ შერცხვენენ ბერები და, მერწმუნე, ჩემი პიკჰოლცის მამულის ფასი ერთიათად გახდა გუშინწინდელს აქეთ.

მე კი მამა ქრისტეფორეს სიტყვა მიტრიალებდა თავში: მაგონდებოდა იმისი განმარტება დიდებულთა და ეპისკოპოსთა პოლიტიკისა და მომავლისაგან კარგს არას მოველოდი.

V

იმ დროს დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს სამჭედლოში და მინდა დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი, რადგან იმ დღიდან იწყება ჩემი ბედნიერება, თუმცა პირველ ხანებში ძალიან გულნაწყენად ვიყავი.

ვალენტინი პურს იქვე ჩვენს მეზობელ რიგოსთანა სჭამდა და ბინაც იქვე ჰქონდა. მოხუცებული რიგო და იმისი ცოლი დიდ პატივსა სცემდნენ მით უფრო, რომ უშვილონი იყვნენ, და სულ ბატონობით იხსენიებდნენ. იმასაც ძალიან მოსწონდა ეს პატივისცემა, რადგან სრულიად ეთანხმებოდა მის აზრებს, რომ როგორც მთასა და ბარს ვერა გაასწორებს რა, ისე ადამიანთა შორის ყოველთვის იქნება დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარიო. საღამოზედ საქმეს რომ გაათავებდა, ავიდოდა რიგოსთან, სავარძელში გამოიჭიმებოდა და სუფრას მიუჯდებოდა. რიგოს ცოლი არასა ზოგავდა, ღვთის წინაშე, და ხორცი რომ არა ჰქონოდა, ერბოკვერცხს მაინც მიართმევდა. იჯდა ჩვენი ვალენტინი და შეექცეოდა! თანაც წითელ ღვინოს მიირთმევდა! საბრალო მოხუცებულები კი, თუმცა იქვე ისხდნენ, თავიანთვის ლობიოშეჭამადს ან კარტოფილს გაიკეთებდნენ და იმაზედ გადაივლიდნენ. ვალენტინის აზრით, აქ საძრახისი არა იყო რა, ის დახელოვნებული ქარგალი იყო და ისინი კი გადაყრუებული ბებრები.

— მე სულ სხვა ვარ და ისინი სხვა, — იძახდა ვალენტინი. —

დიდი რამ მოხდება, თუ იმათაც ჩემსავით ხორცი არ მიირთვეს! იმათ სუნიც ეყოფათ!

როდესაც კი რიგოს ცოლი პურის ცხობას დააპირებდა, ვალენტინი ორ პატარა ქადას გამოაცხობინებდა და მეც მიმიპატიჟებდა: წამოდი, პირი ჩავიკოკლოზინავოთო. მარანში ცოტა რაჭ ღვინო ჰქონდა ბოთლებით და ქადას ერთ ბოთლ ლორენულ თეთრ ღვინოსაც დააყოლებდა ხოლმე; რიგოც იქვე იყო ყოველთვის და არ მახსოვს, ერთი ყლაპი მიეწოდებინოს მოხუცისთვის. აბა ყელში როგორ ჩამივიდოდა რამე, იქვე ისხდნენ საბრალო ცოლ-ქმარი და პირში შემოგვცქეროდნენ! მაგრამ ვალენტინს კი ვერას ვეუბნებოდი, რადგან ვიცოდი, ჩვენი ღირსების ასეთი დამცირებისათვის ძალიან გამიწყრებოდა და იქნება ერთმანეთსაც შევჭულებოდით.

ხანდახან ჩემს პატარა ძმასაც მიიწვევდა ხოლმე. ქადის სუნზედ პატარა სტეფანეს ნერწყვი უშრებოდა პირში და სუფრას რომ შემოვუსხდებოდით, ისე გამოიტენდა ორივე ყბას, რომ სიცილით ვიხოცებოდით. ვალენტინს ძალიან უყვარდა სტეფანე და კვირაობით სულ თანა ჰყავდა ჩიტებზედ რომ დადიოდა; თანაც ასწავლიდა, რომელი ფრინველი როგორ უნდა დაიჭიროს და გამოიყენოს კაცმა. ჩიტებზედ იყო გადარეული, როგორც მოგახსენეთ, და ბევრიცა ჰყავდა გალიებში; საჭმელ ფრინველს კარგა ლამაზად შეექცევოდა და მგალობელს საკვირველი მოხერხებით უვლიდა, რადგან გაგიჟებით უყვარდა ჩიტების გალობა. მკათათვის გასულს რომ იმის ოთახში ასულიყავით, რიგოს სახლის მეორე სართულში, გაგიკვირდებოდათ, იმოდენა ფრინველი ჰყავდა გალიებში. ეს კია, რომ მგალობლებს ზამთარში არ ინახავდა: სად ვუშოვო ბუზი და მატლიო? შემოდგომაზედ გაუშვებდა ხოლმე რაც ბულბული და შაშვები ჰყავდა და მარტო იმათ შეინახავდა, რომელნიც მარცვალსა კენკავენ. ეხლაც მიკვირს, როგორა სძლებდა იმოდენა გალიებში, ჩიტებში და ფეტვში. დაიღუპებოდა, ფეტვი რომ ეყიდნა და თითონვე სთესდა ჩვენი სოფლის ბოლოში ერთ პატარა მიწაზე.

ზამთარში, როცა კი დრო ჰქონდა, იჯდა და ჩიტის მახეებს აკეთებდა. სალაპარაკოდ ჩიტების მეტი არა ჰქონდა-რა და ცხენს ისე ვერავინ გაატარებდა, რომ ძუა არ დაეძრო.

რევოლუციამდე იმის სალაპარაკო მარტო ჩიტები იყო და არ მახსოვს, რომ ერთხელაც არის სხვა საგანს შეხებოდეს რასმე; მაგრამ საერო კრების შემდეგ ვალენტინი სულ რაღასაც ფიქრობდა და ისე დაღონდა, თითქო ქვეყნის ცოდვას ვერ ერევაო. როცა კი მარტონი დავრჩებოდით სადმე, ის მაშინვე ნათლია-

ჩემის სამდურავს და საყვედურს მოჰყვებოდა და სულ იმას იძახდა, ამაყი და წინდაუხედავი კაციაო.

— ამ უკანასკნელ ხანს სულ გამოტვინდა ჩვენი ოსტატი, — იძახდა ვალენტინი, — იმის სანატრელი ეხლა ის-ღა არის, რომ ტურტლიანი გლეხები თავადიშვილებს გაუთანასწოროს და ვიღაცა ივანე მეჭედელი დეპუტატად ბრძანდებოდეს. მაგის ჯურის პატრიოტისთვის ხომ შეუძლებელი არა არის რა! ასე ჰგონია, ქვეყანა კიდეც გადააბრუნა და წმინდა კარდინალის პალატებს და მამულებს დაეპატრონა! რაკი ერთი წარმოიდგენს, ასე უნდა იყოსო, გაჯიქდება და აღარც სულიერ მეუფეთა წყევლა-კრულვისა ერიდება, აღარც ღვთისაგან კურთხეული მეფისა და იმის ჯარისა! იმას ხომ არა ფიქრობს, რომ ცაში ღმერთი და ქვეყნად მეფე წმინდა უნდა იყოს ყველასთვის და ვაი იმის ბრალი, ვინც ჰათ გაუპატიურებას მოიწადინებს! ჰთელი ქრისტიანობა ამხედრდება და მიწასთან გაასწორებენ უბედურს.

თან მწარედ იცინოდა. სამჭედლოში, რასაკვირველია, ვერა ბედავდა ამაზედ ლაპარაკის ჩამოგდებას, მაგრამ ხანდახან დიდი ლანძღვით მოიხსენიებდა საერო კრებას, მილიციას და საერო კრების ყველა მომხრეს; ნათლიაჩემიც იძულებული იყო ყური მოეყრუებინა. რას იზამდა, ყელში ხომ არა სწვდებოდა? ისიც ძალიან ეჯავრებოდა, რომ თავის სახლში, თავის სამჭედლოში არ შეეძლო თავისუფლად ელანძღა დიდებულნი და ეპისკოპოსნი: ვალენტინისა დიდი პატივისცემა ჰქონდა და რაც შეიძლებოდა თავს იმავრებდა... ვიდრე ცუდს ამბავს გაიგებდა რასმე. მაშინ კი მოერეოდა ბრაზი, გაჩუმებული იყო დიდი ხანი, თითქო ალს გულში იტრიალებსო, მაგრამ ვეღარ გასძლებდა და წამოიყვირებდა:

— ის უსინდისონი, ის ღვთისა და სამშობლოს მტერნი, ისა!.. იმას კი არ იტყოდა, ვისა ლანძღავდა.

ვალენტინმა კარგად იცოდა, რომ ოსტატი დიდებულებზედ და ეპისკოპოსებზედ ლაპარაკობდა და ახლა ის უპასუხებდა, თუმცა არც ის დაასახელებდა, ვისზედ ამბობდა:

— რას იზამთ? ეს ქვეყანა რომ უსინდისოთ და ღვთისა და სამშობლოს მტერთ არ დარჩენოდათ, ხომ არც ასე აირეოდა ჩვენი ცხოვრება.

გადახედავდა ნათლიაჩემი და შეუტევდა:

— ქვეყანას რეგვენები ღუპავენ, რომელნიც თავიანთ ცხვირს იქით ვერას ხედავენ!

— ჰეშმარიტია. ჰეტადრე ის რეგვნები, რომელთაც თავის თავი სოლომონ ბრძენის სწორად მიაჩნიათ!

და შეჰყვებოდნენ. გაბრაზდებოდა ნათლიაჩემი, სისხლი თავში აუვარდებოდა. ვალენტინი ფერმიხდილი იდგა ხოლმე ჩაქუჩზედ დაყრდნობილი. მე კი გული მელევოდა შიშით,—ვაი თუ ერთმანეთს მისწვდნენ-მეთქი.

მაგრამ მამა ქრისტეფორეს დაფიცებამდე ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა და ავად თუ კარგად მაინც რიგდებოდნენ. მას შემდეგ კი, მეტადრე 1791 იანვრიდან, ისე დღე არ გავიდოდა, რომ ახალი ამბავი არა მოგვსვლოდა რა და ყოველ ახალ ამბავს ცხარე კამათი მოსდევდა; ხან იმას იტყოდნენ, რომ ამა და ამ სოფლის მღვდელმა დაიფიცაო; ხან იმას, რომ საერო კრების წევრ მღვდლებს ხელმეორედ დაუფიცნიათო; ხან რასა და ხან რასა.

ნათლიაჩემი ამ ამბებზედ სულ ცას დაეწევოდა ხოლმე. გაიგებდა რასმე სასიამოვნოს და მაშინვე „წავა, წავა"-ს დასძახებდა. ვალენტინს კი ფერი მისდიოდა. ერთ დილას ხმა გავარდა, რომ ოტუნელ ეპისკოპოსს ტალეირან-პერიგოს, მიუხედავად პაპის განკარგულებისა, განუძრახავს თავისი ლოცვა-კურთხევა უძღვნას იმ მღვდლებს, რომელთაც კონსტიტუციას ერთგულება შეჰფიცესო.

ნათლიაჩემს ისე გაუხარდა, რომ ყვირილს მოჰყვა: სწორედ ქრისტეს მოციქულია ტალეირან-პერიგო; საეკლესიო მამულები იმის წინადადებით გაიყიდა; სამშობლოს საკურთხეველი იმან აკურთხა და ახლა თუ ნაფიც მღვდლებს თავისი ლოცვა-კურთხევა არ მოაკლო, სწორედ რომ წმინდათა შორის ჩასარიცხავი გახდებაო. ...ვისაც ცოტაც არის პატიოსნება შერჩენია, თავი უნდა მოიხაროს მის წინაშე... ვირები ყოფილან ის ეპისკოპოსები, რომელთაც არ დაიფიცესო!

ვალენტინი თავის საქმეზედ იყო, რაღაცას სჭედდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ უცბად, სრულიად მოულოდნელად მივარდა ნათლიაჩემს, ცხვირწინ აეტუზა და შეჰყვირა:

— მაგას მე მაგონებთ განა? მე მაგონებთ განა? ჰოდა, თუ აგრეა, თქვენი ტალეირან-პერიგო იუდაა, მოღალატე! და უარესი იუდეები არიან, ვინც იმას აქებენ!

ნათლიაჩემმა უკან დაიწია. ისე უცბად მოხდა ყველაფერი, რომ ჯერ გონზედ ვერ მოსულიყო.

ვალენტინი კი თავისას იძახდა:

— ვირებიო! ჩვენი ეპისკოპოსები ვირებად გახადა!.. ვირი შენა ხარ, შე დიდყურავ, ამპარტავნებით და ამაოებით სავსე ვირო!

ამ სიტყვებზედ ნათლიაჩემი ცოფიანივით მივარდა, მაგრამ ვალენტინმა ასწია ჩაქუჩი და დაუყვირა:

— აბა, მობრძანდი!

საშინელი სანახავი იყო ჩვენი ქარგალი. მე რომ შუაში არ ჩავვარდნოდი ერთი უბედურება დატრიალდებოდა:

— ღვთის გულისთვის, ნათლიაჩემო! რას შვრებით? ვალენტინ, არა გრცხვენია?

თითქო გონებაზედ მოვიდნენ და შერცხვათ ერთმანეთისაო, ორივემ ხელები დაუშვეს. ფერმიხდილნი იდგნენ ორივენი და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. ნათლიაჩემს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ვალენტინმა კუნჭულში მიაგდო თავისი ჩაქუჩი და დაიყვირა:

— ახლა კი კმარა! კიდევაც ბევრი მოვითმინე და! რაც მე ამ ორ წელიწადში ავიტანე, სხვა უჩემო... ჩემს მაგივრად სხვა ქარგალი ეძებეთ, მე აქ აღარ დავდგები!

— ჯანაბამდე გზა გქონდეს! — შეჰყვირა ნათლიაჩემმა.. ძლივს არ მოვიშორებ ამ წუპაკ არისტოკრატსა!

— ანგარიში გამისწორეთ!.. და მოწმობაც მომეცით, რომ სრული თხუთმეტი წელიწადი ვიმუშავე თქვენთან! გეყურებათ? კარგი იქნება თუ ავი, მოწმობა უთუოდ უნდა მომცეთ! ვნახოთ ერთი როგორ მოწმობას მისცემს თქვენისთანა პატიოსანი პატრიოტი ჩემისთანა წუპაკ არისტოკრატს!

და კარი გაირახუნა.

ნათლიაჩემი მძიმედა ქშინავდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და მითხრა:

— ნაბე, რა მიყო იმ მხეცმა, იმანა?!

— გაბრაზებული კაცი ყველაფერს იზამს, ნათლიაჩემო. უფროსი ბრძანდები, უნდა აპატივო. არ იცნობდე—კიდევ ჰო, მაგრამ ხომ იცნობ, რა პატიოსანი კაცია და გამოცდილი ხელოსანი. რასაც თქვენ იმასა ლანძღავდით... იმას თუ იმის მომხრეებს, ეგ სულ ერთია, კიდევაც ბევრი მოითმინა და!

— როგორ?! მაშ სულ ჩემი ბრალი ყოფილა! მაშ მტყუანი მე ვყოფილვარ?!

— დიაღ, ძალიან გალანძღეთ, და... ისიც კაცია! განა არ იცით რა ძალიან უყვარხართ, რა ერთგულად გემსახურებათ... ლამის ერთი სიტყვის გულისთვის დაჰკარგოთ კაცი!

ჯერ იუცხოვა, ეს როგორ გამიბედაო, და გაშტერებული შემომცქეროდა. მერე გაიარ-გამოიარა და მითხრა:

— მე ოსტატი ვარ!.. ოსტატი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი სეირსა!.. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. იცი, მიშელ, ეგ ძალიან კარგი, რომ პირდაპირ მითხარი, რასაც ფიქრობდი. ძალიან

ვნანობ, რომ თავი არ შევიკავე. დიაღ, ძალიანა ვნანობ... ეხლა რაღა ეშველება!.. არა, რა მომაგონებდა, რომ ისე ეწყინებოდა იმ ტყის ნადირს, იმასა!

რაკი ვნახე, რომ ნანობდა, ავიღე ქუდი და საჩქაროდ რიგოსას ავვარდი; მინდოდა ვალენტინი მენახა და შემერიგებინა როგორმე: ისე მიყვარდა ჩვენი ქარგალი, რომ მეგონა, ეს რომ წავიდეს, დაიღუპება ჩვენი სამკვედლო-მეთქი. ნათლიაჩემი კარგად მიხვდა, რასაც ვაპირებდი, მაგრამ არა მითხრა რა.

ვალენტინი იჯდა და მოხუცებულებს უამბობდა, ჩხუბი მოგვივიდაო. ისე შეშინებულიყვნენ ორივე ცოლ-ქმარი, თითქო ვალენტინს კი არა, იმათ შემთხვევოდათ ეს უსიამოვნება.

— რა მოხდა იმისთანა, ვალენტინ, რომ თავი დაგვანებო? თუ ოსტატი გაცხარდა, შენცა არა დააკელი რა. ცოტა რამ მეტი ჰკადრეთ ერთმანეთს... განა მაგისთვის უნდა გაგვექცე! დაივიწყე ყველაფერი, ვითომც არა მომხდარა რა. ნათლიაჩემიც ყველაფერს დაივიწყებს... იქნება გგონია ჯავრი ჩაიყოლოს შენი! ვაიმე, ვაიმე! მაშ არა გცნობია! განა არ იცი, რა პატივისმცემელია შენი!

— პატივისმცემელი და ეგრე!—დამემოწმა რიგო.

— რას ვუყურებ იმის პატივისცემას?! საერო კრებამდე მეც ძალიან მიყვარდა ჩვენი ოსტატი, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმან ჟამთა უბედურებით ისარგებლა და საეკლესიო მამულები დაისაკუთრა, აღარც იმისი პატივისცემა მინდა და აღარც სიყვარული. გარდა მაგისა, მე ისა მწყინს, რომ დაუჟინია—კაცნი თანასწორნი უნდა იყვნენო. რაც ღმერთს დიდად და პატარად გაუჩენია, მაგან უნდა გაასწოროს, მაგ უღმერთომ, მაგანა?! დღევანდელი დღე დაიხსომეთ და პირში ჩამაფურთხეთ, პირში, თუ ამ სიხარბემ არ დაღუპოს! და ახიც მოუვა!.. შენ კი, ჩემო მიშელ, შენი საქმე სულ სხვაა: შენი ცხოვრება ისე დატრიალებულა, რომ მჭედელი ივანეს და შოველის ხელში ჩავარდნილხარ, შენი რა ბრალია! დღეს რომ უწინდელივით მიმდინარეობდეს ჩვენი ცხოვრება, ერთი ოთხიხუთი წლის შემდეგ შენც ოსტატად დაგლოცავდნენ; თუ ფულს ვერ მოახერხებდი, მე დაგეხმარებოდი; ფალსბურგში ნოტარიუს ბუალოსთან ცოტა რამ ფული მაქვს შენახული. მერე ცოლს შეირთავდი, დავიწყებდით ერთად მუშაობას და საკუთარი შვილები თუ არ მეყოლებოდა, შენს შვილებზედ მაინც გავიხარებდი.

გული ამოუჯდა, თვალთ ცრემლი მოერია. მე კი ჩემსას გავიძახოდი:

— ნუ, ჩემო ვალენტინ, ნუ წახვალ! ხომ იცი, უშენობა რა ძნელი იქნება...

უცბად წამოხტა, თვალებზე ხელი მოისვა და გადაწყვეტით დაიძახა:

— დღეს ხუთშაბათია... ზეგ, შაბათ დილით მივდივარ. კაცმა თავისი მოვალეობა უნდა იცოდეს და აასრულოს კიდეც. აქ დავრჩე, ამ ცოდვილთა და ღვთის მტერთა ბუდეში, რომ სული წავიწყმინდო და საუკუნოდ დავიღუპო?! აქამდისაც ძალიან შევცდი, რომ არ გავეექეც აქაურობას! მაგრამ რა მექნა, რომ ჩვეულება და ხასიათის სისუსტე ვერ დამეძლია! ახლა კი ვეღარა დამიჭერს რა, ყველა კავშირი გაწყვეტილია! ძალიან კმაყოფილიცა ვარ, რომ ძლივს თავს დავაღწევ ამ ჯოჯოხეთს! ოსტატს უთხარი, რომ ხვალ საღამოსთვის ყველაფერი მზადა ჰქონდეს, გესმის? მე იმასთან ლაპარაკი აღარა მსურს... ეგონება ჩემს აზრზე დავიყოლიებო!

ადგა და თავის ოთახში ავიდა. მე კი დაღონებული გამოვედი გარეთ, თოვლით სავსე ქუჩა გადავიარე და ნათლიაჩემის დარბაზში შევედი. ნიკოლი სუფრასა შლიდა; ნათლი-ჯალაბიც იმას ეხმარებოდა; ეტყობოდა ოსტატს ყველაფერი ეამბნა, რომ ასე დაღონებული იყო. თითონ ნათლიაჩემს გულხელი დაეკრიფა და ბოლთასა სცემდა დარბაზში.

— რაო, მიშელ?

— რაო, ნათლიაჩემო, და ისაო, რომ ზეგ დილით ადრე აპირებს წასვლას და გთხოვთ, ხვალ საღამოსთვის ყველაფერი შეუმზადოთ.

— ძალიან კარგი, იმის ჯამაგირი მზადა მაქვს და მოწმობაც ამაღამვე დავუწეროთ, თუ კი არ იშლის და თავს გვანებებს. მაგრამ, მოდი, მიშელ, ერთხელ კიდევ გადირბინე და უთხარი, წასვლის წინ ისე მომექცეს, ვითომც არა მომხდარა რა ჩვენ შორის... ჩემს მაგივრად სთხოვე სადილად გადმოვიდეს და პირობა მიეცი, რომ არც დიდებულთ ვახსენებ, არც ბერებს, და არც პატრიოტებს. აგრე უთხარი... განა ისეთი რა მოხდა, რომ წასვლის წინ ერთი ჩარექი ღვინით გზა არ დამალოცვინო და ხელი არ ჩამომართვა-თქო! პოლიტიკა პოლიტიკად-თქო, უთხარი, და კაცის დაკარგვა კი არ ვარგა-თქო.

ძალიან მოლბა საწყალი ნათლიაჩემი, ბოდიშს იხდიდა რაღა თავის ქარგალის წინაშე. მაგრამ როგორ ვეტყოდი, გვიანღაა, იმას შენთან ლაპარაკიც აღარ უნდა-მეთქი.

სწორედ იმ დროს გამოვიდა სახლიდან ვალენტინი და ჩვენ ფანჯრებ წინ გაიარა, ეტყობოდა ქალაქს აპირობდა ჩასვლას ფულის გამოსატანად ნოტარიუსისაგან. ნათლიაჩემმა საჩქაროდ ფანჯარა გააღო და დაუყვირა:

— ვალენტინ! ჰაი, ვალენტინ!

ვალენტინმა ისე ჩაიარა, ვითომც არც კი გაუგონია. ნათლიაჩემს კი ისევ ბრაზი მოერია და შეჰყვირა:

— ვერა ხედავთ იმ რეგვენს, რომ ხმასაც აღარა მცემს! ხედავთ, რა გესლიანი გული ჰქონია! არა, დავაშავე. ვაწყენინე, ვგრძნობდი, რომ მტყუანი მე ვიყავი და ძალიანაც ვნანობდი, რად ავჩქარდი მეთქი... მაგრამ ეხლა აღარ ვნანობ! ეხლა კმაყოფილიც ვარ, რომ ასე მოხდა. ხედავთ იმ წუპაკს, იმას, იმ არისტოკრატს, იმას, რომ ჩემთან ლაპარაკსაც აღარ კადრულობს!

განჯინა გააღო, საწერ-კალამი გადმოიღო და მითხრა:

— დაჯე, მიშელ, ერთი მოწმობაც დაეუწეროთ იმ ბრიყვსა!..

გაბრაზებულია მეთქი, ვიფიქრე, კარგს არას დამაწერინებს:

— სადილს უკან არ ემჯობინება, ნათლიაჩემო... თქვენც უფრო დამშვიდებული იქნებით.

— არა, არა! — შემომიტია გაბრაზებით, — დავწეროთ და გავათავოთ, რომ თავიდან მოვიშორო ის მხეციც და იმის მოწმობაც!

ხომ ისე გაჯავრებული იყო და იმისთანა მშვენიერი მოწმობა დამაწერინა, იმისთანა სამაგალითო ხელოსნად და კაცად გამოიყვანა თავისი ქარგალი, რომ რამდენჯერმე დავეკითხებოდი ხოლმე სანამ დავწერდი. სამაგალითო, გამოცდილი ხელოსანიც ის იყო, პატიოსანი კაციც ის იყო, ერთგული და პატრონისთვისაც თავდადებულიც ის იყო... ძალიან ვნანობ, რომ თავს მანებებს, მაგრამ კერძო გარემოებათა გამო უნდა დავშორებოდით ერთმანეთს და ყველა ქარხნის პატრონს ვურჩევ ქარგლად აიყვანოს, რადგან უკეთესს ვერავის იშოვისო.

დაწერილი ერთხელ კიდევ გადამაკითხვინა, მოიწონა და ხელი მოაწერა.

— მორჩა და მოისვენა! აი, ეს იმის ჯამაგირი და ესეც მოწმობა. ან ამაღამ გადაუტანე ან ხვალ დილით. ფულის მიღებისა ბარათი ჩამოართვი. თუ გითხრას, გამაცილეო, ხომ იცი ხელოსნებში ჩვეულებადა აქვთ ერთმანეთის გაცილება. შაბათს სრულიად თავისუფალი ხარ, მთელი დღე, და გაჰყევი სადამდინაც უნდოდეს... აბა, ახლა კი დავსხდეთ.

წვნიანი უკვე სუფრაზედ იდგა და დავსხედით.

იმ დღეს საამისო აღარა მომხდარა რა. ვალენტინი აღარ ამოვიდა და ფული და მოწმობა მეორე დღეს მივუტანე. რომ შევედი, ის თავის გალიებსა და მახეებს ალაგებდა. მოწმობა მივეცი, ფული მივუთვალე. მოწმობისა არა თქვა რა და პირდაპირ ჯიბეში ჩაიდო. ფულისა ბარათი მომცა.

— ახლა კი ყველაფერი რიგზედ არის! ოღონდ იცი, მიშელ, ეს

გალიები. ეს ფრინველები და მარცვალი სულ შენთვის და პატარა სტეფანესთვის მიჩუქებია. იქნება გამოიყენოთ.

დიდი მადლობა გადავუხადე.

— ხვალ უნდა გამაცილო; საველინის მხარემდე ჩამომყე და იქ გამოვეთხოვოთ ერთმანეთს. ოსტატი ამის უარს ვერ გეტყვის.

— არა, არ მეტყვის. ნათლიაჩემმა ხვალ მთელი დღით დამითხოვა.

— დაგითხოვდა, მაშ არა?!. ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია... მაშ აგრე, ხვალ დილის რვა საათზე მივდივართ.

მეორე დღეს რვა საათზედ გზას გავუდექით. ვალენტინის გუდა მე ავიკიდე და თითონ უკან მოდიოდა, ჩემს კვალზედ, რადგან საშინელი თოვლი იდო. მოდიოდა, მაგრამ ძალიან უჭირდა სიარული, რადგან მთელი თავისი ძალ-ღონე მკლავებში ჰქონდა და ფეხით ძალიან სუსტი რამ იყო.

მშვენიერი სუსხიანი დღე იყო. ზემოდან თოვლით მოფენილი ალაზანი მოჩანდა თავის ტყეებით და სოფლებით; შორს, შორს რეინი მიიკლაკნებოდა. მშვენიერი იყო იმ ზამთრის დღეს ჩვენი მხარე და მით უფრო სამწუხარო უნდა ყოფილიყო ვალენტინისთვის შორს სადღაც გადაკარგვა. ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ერთ დუქანში მივედით. ისე ვიარეთ მთელი საათი, რომ ხმა არ ამოუღია.

სხვა დროს სავსე იქნებოდა მეურმეებით ეს დუქანი, მაგრამ იანვარში მთაში სიარულს ვერავინ ბედავდა და დუქანში არავინ იყო.

თოვლში დამარხულსა ჰგავდა პატარა დუქანი. ერთი ვიწრო ბილიკი რომ არ ყოფილიყო გაჭრილი, და კვამლი არ დაგვენახა ამომავალი, იქნება უდაბური გვგონებოდა და არც კი შევსულიყავით...

ბუხართან ერთი დედაბერი იჯდა და სთვლემდა; იქვე გვერდით ჯარა ედგა. დედაკაცის გარდა თურმე ფინიაც ყოფილიყო დაზგის ქვეშ, მაგრამ ყეფა მაშინ დაგვიწყო, როდესაც მასპინძელი გავაღვიძეთ. ჩვენი ფეხის ხმა რომ გაეგო, შეშინებოდა და დაზგის ქვეშ შემალულიყო.

მოხუცებული მარტო იყო, ქმარი საველინს წასულიყო სავაჭროდ. ერთი ხელადა ღვინო მოგვიტანა და ყველი და პური. ვალენტინმა თავისი ბოხჩა სკამზედ დასდო და გულხელდაკრეფილი იქვე ჩამოჯდა, მე იმის პირდაპირ დავიჭირე ალაგი. მოხუცებულს ისევ ჩასთვლიმა.

— აქ კი გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, — მითხრა ვალენტინმა. — ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო მიშელ!

— ღმერთმა გაცოცხლოს, ვალენტინ! ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს!

— გმადლობ! ხომ ძნელია ჩემი ყოფა და ვერ წარმოიდგენ, რა

კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებისა და რა დამშვიდებული გულით გავუდგები ჩემს გზას. ძლივს არ დავახწიე თავი იმ მაცდურთა ბუდეს! წავალ აქედან, აქაურს მტვერსაც კი არ გავიყოლებ ფეხსაცმელზედ და ცოდვილ სულისთვის ვიზრუნებ რასმე. განა აქამდის კი არ უნდა წავსულიყავ? განა მოსაკლავი არა ვარ, რომ ამოდენი ხანი იმ ბაბილონში ვიყავ! მოსაკლავი ვარ, მოსაკლავი, განა მე არ ვიცი! მინდოდა წავსულიყავ, განა არ მინდოდა! მაგრამ შეჩვეული ჭირიო, ხომ გაგიგონია... სუსტია ადამიანი, სუსტი და გაუბედავი.

იჯდა და მოსთქვამდა. მაშინვე თვალწინ წარმომიდგა დედაჩემი, მეტადრე როდესაც რომელიმე დაუფიცავი მღვდლის ქადაგებას მოისმენდა და შინ დაბრუნდებოდა. დედაჩემი კი არა, ბერი ბენედიქტე ლაპარაკობდა. ბოლოს თვალები ცას აღაპყრო, ხელები გაშალა და დაიძახა:

— დადგა დრო სინანულისა!.. ყოველ შეცოდებას სინანული უნდა მოსდევდეს. მართალია, მე ძალიან გვიან დავადექ გზასა სინანულისასა, მაგრამ იქნება შემინდოს დაგვიანება ღმერთმა, შემიბრალოს და მაცხონოს.

— რა ვქნა, სად მიხვალ, ვალენტინ?

დამაცქერდა, თითქო მსინჯავს, ღირსია ნდობისა თუ არაო.

— შენ გეტყვი, მარტო შენ გეტყვი, სადაც მივალ. შენ გეტყვი, რადგან შენდა შეუმჩნევლად გულით ჩვენკენ ხარ; დიაღ, მავნე გავლენა, თორემ აქამდე შენც ჩვენთან იქნებოდი. ეს კია, მიშელ, რასაც გეტყვი, საიდუმლოდ უნდა დარჩეს! ის კი არ იფიქრო, რომ გავცე, საქმე წაუხდებათო. საქმის წახდენა განა ჩვენ ხელთ არის? ღვთის განგებას ვერავინ შესცვლის... დადგა უკვე აღსასრული ბაბილონისა! ჯერ ეს თოვლი ისევ აქ იდება, რომ ყველას თავის საქციელისამებრ მიერწყვის... შენ აგცდება სასჯელი... დიაღ, შენ აგცდება სასჯელი, მაგრამ... მაგ ხეებსა ხედავ, მიშელ... გაზაფხულზედ მაგ ხეებზედ იმდენი ფოთოლი არ იქნება, რამდენსაც ზედ პატრიოტს ჩამოვახჩობთ!

ძალიან დამაღონა ღვთის წინაშე ამ სიტყვამ.

— რატომ, ვალენტინ, შესაძლებელია, რომ აგრეც მოხდეს, ძალიან ადვილადაც... მაგრამ მანამ ხომ უნდა იყო სადმე?

— მანამ მაინცში ვიქნები, — სთქვა საიდუმლო კილოთი ვალენტინმა და მძინარე მოხუცს გადახედა. — მანამ მინდა მეც იქ შევაფარო თავი, სადაც ჩვენი დიდებულები ბრძანდებიან და, სხვათა შორის, ღვთისაგან კურთხეული თავადი არტუა. ის-ღაა ჩვენი იმედი! მაინციდან შემოვალთ საფრანგეთში, ლიონს დავიმორჩილებთ და სამეფოს დედაქალაქად გავხდით, რადგან პარიზი უკვე გახრწნილია და ისე უნდა აღიგავოს მიწის პირისაგან, რომ კვალიც აღარსად დარჩეს.

გენერალმა ბენდერმა ძალიან ჭკუა ასწავლა ჰოლანდიელ პატრიოტებს! ახლა საფრანგეთის პატრიოტების რიგია. ნახავ, მიშელ, რა ავი დღე დაადგებათ! ქვეყნის ჯარები მოადგებიან საფრანგეთს; ერთი რიგი სავოიდან შემოესევა, მეორე ბელგიიდან, მესამე შვეიცარიიდან, ისპანიიდან, ინგლისიდან. ამ ჯარებს წინ ჩვენი გახიზნული დიდებულნი წამოუძღვებიან, რათა გაანთავისუფლონ უღმერთოთაგან უღმერთოდ წამებული საფრანგეთი. მაშინ დადგება დღე სასჯელისა და შენდობისა! შევუნდობთ ყველას, ვინც კი შეინანებს და თავს მოიხრის... და ვაი იმათ, ვინც მაცდურს აჰყოლია! ვაი ანტიქრისტეს, რომელმაც ეკლესიას მამულები გამოსწირა! ვაი ღვთისა და მეფის მოწინააღმდეგეთ, რადგან ულმობელი იქნება მათთვის მახვილი გამარჯვებულთა! ვაი ივანე ლერუს, ლეტუმიეს, ელოფ კოლნეს და მათ მიმდევართ! იმათთვის უკვე დაგრეხილია ყელსახვევი კანაფისა! შენ კი ნუ გეშინია! შენ კეთილი გულის პატრონი ხარ, დედ-მამის პატივისმცემელი და მანუგეშებელი. ყველას თავის საქციელისამებრ მიერწყვის, ჩემო მიშელ. ოღონდ ეს კი იცოდე, როდესაც ჩვენი დიდებულნი ალზასში შემოვლენ, შენ სხვებს ნუ აჰყვები და იარაღს ნუ აიღებ მათ საწინააღმდეგოდ. მერწმუნე, ერთი ვერ გადარჩება, ერთი იმათგანი, ვინც რევოლუციას მიუდგება! ისე კარგად მოაწყო ყველაფერი თავადმა არტუამ, რომ ვერავინ გადარჩება! შენ არ დაიძრა, დეე ლეტუმიე წავიდეს, კოშარი, ჩვენი ოსტატი! მაშინ ჯარებიც ჩვენ მოგვემხრობიან, ჩვენა და ჩვენს ბატონებს. დიაღ, დაიწყებენ სიარულს და პირდაპირ პარიზისკენ გასწევენ, რომ დედაბუდიანად ამოსწყვიტონ პატრიოტები!

მოსთქვამდა ჩვენი ვალენტინი! მე კი დაღონებული შევცქეროდი და ვფიქრობდი: ვაიმე, ვაიმე! ჭკუაზე შეშლილა ეს უბედური-მეთქი!

— ეგ ძალიან კარგი, ვალენტინ, რომ შენც გახიზვნას აპირობ და მაინცს მიდიხარ. მაგრამ შენ იქ რა გინდა? ჯარისკაცად გამოადგე, კიდევ ჰო! მერე შენს ხანში...

— ეეჰ, ჩემო მიშელ, კაცი იყოს თორემ სასარგებლო საქმეს ყოველთვის იშოვის. ჩემთვისაც გამოჩნდება საქმე: ცხენოსან ჯარში დამნიშნავენ სადმე ნალბანდად და ამით მაინც დავეხმარები ჩემი სამშობლოს განთავისუფლებას.

აღარა ვუთხარი რა და რადგან ხელადა ცარიელი იყო, მინდოდა ერთი მეც მომეთხოვა, მაგრამ აღარ ინდომა:

— კმარა, მიშელ, კმარა! ხომ იცი ღვინო... ერთი ჯამი აცხონებს და ორი კი წაწყმედავს კაცსა.

ღვინის ფასი გადიხადა, გუდა წამოიკიდა და გარეთ გავედით. გზაზედ რომ გავედით, შედგა, მომეხვია და ხმის ამოუღებლივ სენ-

ჟანდეშუსკენ დაეშვა. კარგა ხანი ვუყურე, მაგრამ უკან აღარ მოუხედია, წელში გაჭიმული მიდიოდა, და თუმცა ქამრამდე თოვლში იფლობოდა, მაინც ისე ამაყად მიაბიჯებდა, თითქო ოცის წლის ბიჭიაო.

მეც შინისკენ გავეშურე. ვალენტინის ნათქვამი მე გიჟის ნაროში მეგონა, რადგან ჯერ არ ვიცოდი, რომ საფრანგეთიდან გახიზნული დიდებულნი და ევროპიელი მეფენი დაკავშირდებოდნენ და ამხედრდებოდნენ ჩვენი ქვეყნის გასანადგურებლად. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ გახიზნულები არც ფრანგები იყვნენ, არც გერმანელები, არც რუსები, არამედ დიდებულნი და ერთმანეთს შველოდნენ და ეხმარებოდნენ, რომ ხალხი უღელში ჰყოლოდათ შებმული.

ვალენტინის მუქარა მე იმისთანა საშინელებად მიმაჩნდა, რომ, აკი ვამბობ, გიჟია და როშავს-მეთქი, ვიძახდი.

შუადღე იყო ნათლიაჩემისას რომ მივედი.

— სიდედრსა ჰყვარებიხარ, მიშელ! — დაიძახა ნათლიაჩემმა. — ისა? წავიდა?

— დიაღ, წავიდა.

— საით?

მაგრამ პასუხი აღარც კი მათქმევინა და განაგრძო:

— მაინცისკენ წავიდოდა ის სულელი! წავა და გახიზნულებს მოსძებნის... აბა დასხედით და იმის ხსენებაც ნუღარ იყოს ამ სახლში!

ძალიან მხიარულად იყო სუფრაზედ.

— ახლა კი მარტონი დავრჩით, ჩემო მიშელ! ახლა კი აღარავის დავერიდებით და, რაც გვინდა, იმას ვიმღერებთ! გარდა ამისა, ცოტა რამ ცვლილება უნდა მოხდეს ჩვენს სამჭედლოში. ძალიან კმაყოფილი ვარ შენი, მიშელ; ყოველთვის ერთგული იყავ ჩემი ოჯახისა და იმედი მაქვს შემდეგშიაც... მართალია, ვალენტინის ოდენა არ შეგიძლია, რადგან მართალი უნდა სთქვას კაცმა, ძაან-ძაან დახელოვნებული მჭედელი იყო ის მამაცხონებული; მაგრამ გონებით შენ ათასი ხარ და ის არც ერთი! გონება და საქმის სიყვარული ჰქონდეს კაცს, თორემ ისე დახელოვნდება, რომ სასწაულმომქმედი გახდება.

სადილი გავათავეთ. ის იყო წამოვიწიე, მაგრამ მხარზედ ხელი დამადო და მითხრა:

— მოითმინე, ცოტა რამ სალაპარაკო გვაქვს მე და შენ... ისე შენს მტერს დაეცალოს ოჯახი, როგორც ეს ხელადა არის, ჩემო ეკატერინე.

ნათლი-ჯალაბი ღვინის ამოსატანად გავიდა. მე კი გაკვირვებული შევყურებდი ნათლიაჩემს და ვფიქრობდი, ნეტავი რა უნდა მითხრას,

რომ ასეთი ნასიამოვნები არის-მეთქი? ცოტა ხანს უკან ნათლიჯალაბმა ღვინო მოგვიტანა და თითონ სამზარეულოში გავიდა ჭურჭლის გასარეცხად. დიდ დარბაზში მარტონი დავრჩით მე და ნათლიაჩემი.

— აქ არავინ შეგვაწუხებს, — მითხრა ნათლიაჩემმა და ღვინო დამისხა. — იმისთანა თოვლი დევს, რომ ეხლა მგზავრი არავინ მოვა... ხომ იცი, მიშელ, რა ძვირფასი მამულია ჩემი პიკპოლეის მიწები. ლიქსპეიმის ახლო მიდამოში იმისი დარი მიწები არსად მოიპოვება. მართალია, ცოტა რაჰ ქვიშა და კირი ურევია, მაგრამ მით უკეთესი, უფრო ფიცხი იქნება. რას დასთესს კაცი, რომ ზღვად არ იქცეს?! მერე რა დასვენებული მიწებია! მე შენ გითხრა, ხვნით შეაწუხებდნენ ბერები! მაგრამ რა! არცა ხმარობდნენ და არც უვლიდნენ ის უბედურები! ქვემოთა ნაწილში წყალი შეუგდიათ, დაუგუბებიათ შიგ და ის მშვენიერი საბალახე ჭაობად უქცევიათ. იმისთანა უვარგისი ბალახი მოდის, რომ საქონელი ახლოც არ ეკარება. შენ უპატრონობა სთქვი, თორემ ბოლოში რომ რუ გაეჭრათ და წყლისთვის გზა მიეცათ, ეხლა ძვირფასი მამული იქნებოდა. რას შეიწუხებდნენ თავს ბერები? რა გაჭირვება იმათ ადგათ, რომ მამულის ყადრი სცოდნოდათ! დილით-საღამომდე ქეიფს ეწევოდნენ და მაინც ულეველი ჰქონდათ სარჩო-საბადებელი. რომ ვეღარა სჭამდნენ, ლორები ულპებოდათ! დიაღ, იმას მოგახსენებდი... ზემო ნაწილში კიდევ იმისთანა უზარმაზარი კაკლები და პანტები დგას, ისე აქვთ ფესვი გამდგარი, რომ თუ ცულმა არ უშველა, იქ გუთანი ვერას გახდება. ფიჩხი ჩამოვა, ფიჩხი, რომ სამ წელიწადს ვერ დავწვავთ! ერთი სიტყვით, მოვლა უნდა, თორემ ოქროს მადანია ის დალოცვილი. აი, ჩემო მიშელ, რამდენს ავნებს ქვეყანას ბერების სიზარმაცე და დაუდევრობა! მე რომ შარშან გუთანი შემეტანა, ეხლა ბეღელი სავსე მექნებოდა პურით. შარშან თუ ვერ მოვახერხე წლეულს უთუოდ უნდა მოვუარო საქმეს. დავიწყე კიდეც! სახლი ინგრეოდა და შევაკეთებინე: ახალი ჭერი დავხურე და ბოსლის შენება დავიწყე. საქმე ის არის, რომ ქვემო ნაწილში, რაკი გავაშრობ, ძალიან პატივი დამჭირდება და ხომ იცი, ვისაც პატივი უნდა, საქონელი უნდა გაიჩინოს. გავიჩენ კიდეც. ეკატერინეს მზითევი ფლეისჰეიმში ხელუხლებლად მაქვს და ძალიანაც ვასარგებლე: ამ დუქანსაც კარგი სარგებლობა მოაქვს; ისე რომ მოვახერხებთ როგორმე, საქონელსაც გავიჩენთ და მამულსაც მოვუვლით. ეს კია, რომ მე აქაურობას თიფქმის ვეღარას გამოვადგები: ხომ იცი გლეხკაცისა უმთავრესი ის არის, რომ მიწასაც თითონ ჩაჰყურებდეს, მოჯამაგირეებსაც თვითონ ამუშავებდეს, საქონელსაც თვითონ უვლიდეს,

გუთანიც თვითონ გაჰქონდეს; ყველაფერს თვითონ უნდა აკეთებდეს, თორემ ათასიც რომ დახარჯოს, ვერას გაარიგებს. მთელს გაზაფხულს და შემოდგომას იქ ვიქნები; კვირაში ერთხელ-ორჯელ დაგხედავთ. ეკატერინე უჩემოდაც კარგად გაუძღვება დუქანს; მაგრამ სამჭედლოსთვის კი მინდა ვინმე, რომ საქმეს გაუძღვეს და ეგ მინდა შენ დაგავალო, ჩემო მიშელ; ჩემს მაგივრად შენ უნდა იყო სამჭედლოში. ქარგალიც შენვე უნდა იპოვნო ვინმე შენი გუნებისა, რადგან პასუხისმგებელი შენ იქნები და, მაშასადამე, არჩევანიც შენზედ უნდა იყოს დამოკიდებული. დღეიდან თუმანი გექნება თვეში, ექვსი მანეთის მაგივრად. ეს იცოდე, ჩემო მიშელ, რომ თუ კაცი საქმეზედ მუყაითად არის, მარტო თავის თავს შესძენს, რასაც პატრონს შესძენს. მგონი შენც იცი, როგორ მიყვარხარ, რადგან ჩემი გაზრდილი ხარ და ყოჩაღი ბიჭიცა ხარ. ჩემი ნათლული ხარ... მე კიდევ ღმერთმა შვილი არ მაღირსა... ეცადე, შვილო, და... ხომ გესმის!..

ტირილი მომივიდა და ძლივსღა წავილუღლუღე:

— ნეტავი ღმერთმა იმდენი შემაძლებინოს, ნათლიაჩემო, რომ თქვენი სიკეთე გადამახდევინოს. არა ვიყავი რა და კაცი გამხადეთ. ნეტავი კი შემეძლოს დაგიმტკიცოთ რითიმე ჩვმი სიყვარული!..

— კარგად მოიქეცი, ჩემო მიშელ, და მე მეტი დამტკიცება არ მინდა. — მერე მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— იშრომე, გიყვარდეს შენი ოჯახი და ღმერთიც დაგიმადლებს და კაციც. მე რომ შვილი მყოლოდა, ვინატრებდი, შენ დაგგვანებოდა... აგრე! გაზაფხულამდე კიდევ ერთად ვიმუშაოთ; თუ გაკლია რამე იმასაც გასწავლი და მერე კი შენ დაგილოცავ სამჭედლოს. შენ მანამ ქარგალი მოძებნე ვიწმე.

დიაღ, ადამიანის სიცოცხლე დიდი ტანჯვა-წვალებაა, მაგრამ ხანდახან ნეტარი დღეებიც გამოერევიან ხოლმე; ნათლიაჩემმა რომ მიბრძანა, სამჭედლო შენთვის ჩამიბარებიაო, ასე მეგონა, ერთი პატარა სამჭედლო კი არა, მთელი სამეფო ჩამაბარეს-მეთქი და ამაყად წამოვიწიე: მეც კაცი ვყოფილვარ, მეც შემძლებია ჩემად საქმის გაძღოლა-მეთქი. მომაგონდა ჩემი მარგალიტა, თვალწინ წარმომიდგა იმისი აღტაცება, ამ სასიამოვნო ამბავს რომ გაიგებდა. მაგრ ამ უფრო იმიტომ მიხაროდა, რომ ჩემი ჯამაგირით ადვილად შემეძლო პატარა სტეფანე ლუტცელბურგში მიმებარებინა ვისთვისმე, რომ მამა ქრისტეფორესთან სასწავლებლად ეარა; სულ იმის ოცნებაში ვიყავი, რომ ჩემი სტეფანე სოფლის მასწავლებლად უნდა გამოვიყვანო მეთქი. რომ არ მესწავლებინა, ის თავის თავს ვერ აცხოვრებდა, სოფლის საკვები გახდებოდა და ამას რომ წარმოვიდგენდი, ისე

შემრცხვებოდა ჩემი თავისა, თითქო ჩემს ძმას უკვე ვუღალატე, შეშეძლო და იმის სწავლისათვის ფული დავიშურე... ახლა მამაჩემი როგორ გაიხარებდა!

ვეღარ გავუძელ ამ ფიქრებს და ნათლიაჩემს ვთხოვე, თუ საქმე არა გაქვთ რა, ცოტა ხანი დამითხოვეთ, შინ ავირბენ-მეთქი.

— გაიქეცი და გაახარე თქვენები, — დასტური დამცა ოსტატმა.

თვალის დახამხამების უმალ ავედი ჩვენსა. მამაჩემი, სტეფანე და მატურინი კალათებს სწნავდნენ და ძალიანაც გაუკვირდათ ჩემი ისე უდროოდ მისვლა. დედაჩემი ბუხართან ჭურჭელსა რეცხდა; ერთი კი გადმომხედა და ისევ თავის საქმეს შეუდგა.

— რა მოხდა, მიშელ? — მკითხა შეშინებულმა მამამ.

— ნათლიაჩემმა თვეში თუმანი დამინიშნა, მამაჩემო! — შევყვირე გახარებულმა. იცით, ვალენტინი წავიდა. სამჭედლოს მე უნდა გავუძღვე და თვეში თუმანი მექნება. ნათლიამ თქვა: გაზაფხულზე პიკპოლცში მივდივარ მამულის მოსავლელად და ჩემს ალაგას შენ უნდა იყო და ქარგალიც შენვე უნდა დაიჭიროო!

მაშინ მამაჩემმა ხელები ცისკენ აღაპყრო და შესძახა:

— ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ წყალობის თვალით გადმოხედე ჩემ წვრილშვილს, შე მადლიანო?!. ძლივს, შვილო, ძლივს! ვინც შენ გიცნობს, ყველა იტყვის, რომ ღირსეულად დაუჯილდოებიხარ ნათლიაშენს სამაგალითო შრომისა და ერთგულებისათვის.

წამოდგა და გულში ჩამიკრა.

— სტეფანეს უნდა უხაროდეს, მამაჩემო, სტეფანეს! რამდენი ხანია მინდოდა მამა ქრისტეფორესთან გამეგზავნა სასწავლებლად და ფული არა მქონდა.

დედაჩემმა არც კი გამათავებინა სიტყვა. წამოხტა და შეჰყვირა:

— სტეფანე არსად წავა! მე არ მინდა რომ ეგეც ღვთის მგმობელი გამოვიდეს! არ მინდა, არა!

ამ სიტყვებზედ მამაჩემს ფერი ეცვალა. უცბად შემოტრიალდა, დედისკენ მიიწია და გაბრაზებით უთხრა, ხრინწიანი ხმით, თითქო აღჩობენო:

— შენ არ გინდა?! მე მინდა! გეყურება? მე! მე! ვინ არის აქ სახლის პატრონი და უფროსი? შენ არ გინდა? მე მინდა! შენს საუკეთესო შვილს ის უხარია, ჩემს ძმას ვასწავლი, კაცად გამოვიყვანო და შენ კი მადლობასაც არ უხდი! შენ შენი ნიკო და ლიზა გირჩევნია, განა?! რომელთაც აღარც კი ვახსოვართ, რომელთაც ვეთაკილებით და ვეზიზღებით! შენ ისინი გირჩევნია განა?! ლუკმას არ მოგვაწოდებენ, შიმშილით რომ ვწყდებოდეთ! შენ ისინი გირჩევნიან, განა!..

ისე გაჯავრდა, რომ ყველანი კანკალმა აგვიტანა. დედაჩემი ბუხართან ატუზულიყო და ხმის ამოღებას ვეღარა ბედავდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მამა, თვალი გაუშტერა და უთხრა:

— შე უღმერთო, შენა! ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც კი გშურს შენი შვილისთვის, რომელიც შენც გაცხოვრებს და ამოდენა ოჯახსაც.

მაშინ კი დედაჩემმაც გულში ჩამიკრა და დაიწყო:

— განა არ ვიცი, რომ კარგი შვილი მყავს!.. გულკეთილი და ოჯახის ერთგული...

ხომ იმოდენა უსიამოვნება მახსოვდა დედიჩემისაგან და ვგრძნობდი, რომ მაინც ვუყვარდი. ბავშვები ტიროდნენ. მამაჩემი კი იდგა ისევ ისე აღშფოთებული, ფერმიხდილი და საშინელი თვალით დასცქეროდა დედას. ბოლოს მოვიდა, ხელი მტაცა და თავისკენ გამიტაცა:

— მოდი, ერთხელ კიდევ გაკოცო, ჩემო იმედო! ვისაც შენისთანა შვილი ჰყავს, იმას საშიში და საწუხარი აღარა აქვს რა.

და ქვითინი დაიწყო. დედაჩემი ბუხართან იჯდა და რაღასაც მოსთქვამდა, ისე რომ სიხარულის ნაცვლად ჩვენს სახლში ტირილი გაისმოდა.

ბოლოს როგორც იყო დამშვიდნენ ყველანი. მამაჩემმა პირი დაიბანა, საკვირაო ტანისამოსი ჩაიცვა და მითხრა:

— დღეს აღარ ვიმუშავებ. მოდი, მიშელ, ნათლიაშენთან ჩავიდეთ. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს და კეთილისმყოფელს. რა კარგი ვქენ, რომ იმას მოვანათლვინე ჩემი ბიჭი! სწორედ ღვთის განგება იყო, ღვთისა!

გზაზედ თოვლი მოყინულიყო და მამაჩემი ძლივს მოდიოდა, თუმცა ხელი ჩემს მხარზედ ედო და თავს ისე ამაგრებდა. თვალები უბრწყინავდა. სულ იმას გაიძახოდა: დიდი ბედნიერება მომივიდა, რომ ივანე ავირჩიე შენს ნათლიადაო. დაინახა თუ არა ნათლიაჩემი, შორიდანვე დაუყვირა:

— ივანე! მადლობის გადასახდელად გიახლები!

ნათლიაჩემი წინ გამოეგება და ძალიანაც ესიამოვნა ჩვენი მისვლა. მივუსხედით გაჩაღებულ ბუხარს და საღამომდე მხიარულად ვლაპარაკობდით ჩვენს საქმეებზედ, მოსავალზე, ნათლიაჩემის ახალ მამულებზე და საერო კრებაზედ. ვახშმადაც აღარ გაგვიშვეს. კარგა ღამე გასულიყო და ჩვენებს ყველას ეძინათ შინ რომ მივედით.

დადგა 1791 წ. სტეფანეს ლუტცელბურგში გერტრუდა არნოლდთან ვუშოვე ბინა, რომ სასწავლებლად მამა ქრისტეფორესთან ეარა და მართლაც ისე მშვენივრად სწავლობდა, რაც ხანი იქ იყო, რომ უკეთესი აღარ შეიძლება.

ნათლიაჩემმა იმ იანვრის განმავლობაში უფრო გარკვევით გამაგებინა თავის სურვილი: გარდა ამისა, რომ სამჭედლოს უნდა გავძღოლოდი, მევე უნდა ჩამეწერა დუქნის დავთარში, რასაც ვიყიდდით, ან გავყიდდით, რადგან ნათლი-ჯალაბმა წიგნი არ იცოდა. მევე მაბარებდა სხვა ანგარიშებსაც, ისე რომ ერთი თვალი რომ გადაევლო, ყოველთვის ცხადად დაინახავდა თავის საქმეების მდგომარეობას.

დედაჩემს ჯერაც უკვირდა: როგორ გაბედა ჩემმა კაცმა, რომ ისე შემომიტიაო? მაგრამ შეშინებული ვეღარას ბედავდა და ერთსღა გაიძახოდა:

— ეეჰ, მადლობა ღმერთს! თუ ერთი მატურინიც დავაყენეთ სადმე კარგ ალაგას, მერე კი აღარა გვიჭირს რა!

ამაზედ მეცა ვფიქრობდი, მაგრამ იმისთანა არეულობის დრო იდგა, რომ ვისაც შეძლება ჰქონდა რამე, უცნობ მოსამსახურეს ისე ერიდებოდა, როგორც მგელს; ეგეც რომ არა ყოფილიყო, ვალენტინის წასვლის შემდეგ ძალიან ამაყად ვიყავ და როგორღაც მეჯავრებოდა, რომ ჩემი და სადმე მოახლედ მდგარიყო.

ჩვენს ბედნიერებას აღარა აკლდა რა.

მაგრამ უბედურება სულ სხვა მხრიდან გვეპარებოდა. იმ წელს იანვარში და თებერვალში იმოდენა ხალხი გაიხიზნა, რომ გვეგონა, საფრანგეთში დიდებული აღარავინ დარჩებაო. „წითელი წიგნი“ მთელს ქვეყანას მოჰფინეს და იქ ჩანდა რა ულვთოდ ეფლანგათ ფული სახელმწიფო ხაზინიდან, რა სამარცხვინოდ ეძლიათ დიდებულთათვის პენსიები და საჩუქრები — 50 მილიონი წელიწადში, როდესაც უბედური ხალხი სახელმწიფო ხარჯს ვეღარ ასდიოდა და შიმშილითა წყდებოდა. მთელი ერი ზიზღით შესცქეროდა დიდებულთ და ისინიც იძულებულნი იყვნენ გაიხიზნულიყვნენ; გზას ვეღარ აუქცევდით, ისე იყო გაბმული იმათი ეტლები ყველა გზაზედ; ღამე რომ ქალაქის კარს მიადგებოდნენ და დაკეტილი დახვდებოდათ, გარშემო უვლიდნენ, ტყუილად დრო არ დავკარგოთ, ვიდრე მეკარე კარს გაგვიღებსო. იმდენნი გადიოდნენ საზღვარგარეთ, რომ ბოლოს პატრიოტებიც შეაფიქრიანა ამ გარემოებამ.

საერო კრებაზედ პასპორტის შესახებ ატყდა ბაასი. მირაბო ამტკიცებდა, სირცხვილია კაცს ან წასვლა დავუშალოთ ან მოსვლაო;

მაგრამ პასპორტების გაუქმება მაინც ვერ მოახერხეს და ხალხის ერთგული მილიცია ყველა მიმავალს ეკითხებოდა, რად მიხვალთ კინაღლენცს ან ტურინსაო? და როდესაც მიმავალნი გაჯიუტდებოდნენ და პასუხის მიცემას არ ინებებდნენ, დარაჯები დაემუქრებოდნენ: გვიპასუხეთ, ორემ ამ ქალებს დავაპატიმრებთ და ვნახოთ მართებლობის განკარგულება რას იტყვისო. უნდა გენახათ რა უეცრად შეიცვლებოდა ხოლმე დიღებულთა სახის გამომეტყველება: ერთ წამს წინად განრისხებული და მუქარის მფრქვევი თვალები უცბად მოკრძალებით და ვედრებითღა გამოიყურებოდნენ; დიდებულნი, რომელნიც წინად სალამსაც არ აღირსებდნენ ამ ხალხის შვილთ, დღეს ხელს ართმევდნენ, „ჩემო კეთილო მეგობაროო“, უძახდნენ და იქვე პატარა დუქანში ხალხის სადღეგრძელსა და გამარჯვებას სვამდნენ. სიცილად არა ჰყოფნიდათ მილიციელებს ეს თინთლიბაზობა, მაგრამ ბოლოს თავს დაანებებდნენ ხოლმე და გზას დაულოცავდნენ:

— ღმერთმა კეთილი მგზავრობა მოგცეთ, ბატონებო!

რას იზამთ? ფრანგებს ყოველთვის გვიყვარდა ხუმრობა და, რაც უნდა გაჭირვებაში ჩავარდეთ, ჩვენ მაინც გულს არ ვიტეხავთ და ვხუმრობთ.

ბერებიც თავისას არ იშლიდნენ, რასაკვირველია, და ყველგან იმასა ქადაგებდნენ, ვინც დაიფიცა, ღვთისა და ერის მტერი ყოფილაო. ალზასში 1500-მდე კაცი მოგროვილიყო, დაეძახნათ — ჩვენა ვართ ნამდვილი კათოლიკენი... ვინც კაცია გაბედავს და იმ მღვდელს გადააყენებს, რომელმაც არ დაიფიცაო! დადიოდნენ და ყვიროდნენ:

— თავად არტუას გაუმარჯოს!

საერო კრებამ თავისი გამომძიებელი გამოგზავნა — გაიგე, რა უნდათო? ისინი კი უფრო გათამამდნენ და ყვირილი დაიწყეს:

— ჩამოვახჩოთ გამომძიებელიო!

მოთავედ თავადიშვილები ჰყავდათ. რაკი ნახეს სტრასბურგელმა პატრიოტებმა, ძალიან თავს გავიდნენო, ხალხი წაიყვანეს და ისე გაჰფანტეს, რომ მათი ხსენებაც აღარ დარჩენილა.

მეფის მომხრე გაზეთები უცხოელი ჯარების შემოსევას გვემუქრებოდნენ.

სარგემინისკენ მიმავალი ცხენოსანი რაზმი ფალსბურგში რომ შევიდა, ხალხში ხმა გავარდა, ეს რაზმი ერის წინააღმდეგია და ბრძოლა ატყდება თუ არა, მაშინვე მტერს მიუდგებაო. ფალსბურგში მყოფთ ჯარისკაცთ რამდენიმე ცხენოსანისთვის აღვირი დაეჭირათ და ეთხოვნათ, დაიძახეთ: „თავისუფალ ერს გაუმარჯოსო!“ მაგრამ ცხენოსანთა რაზმს ხმალი ეშიშვლა და ცხენებისათვის გაეტანებინა ფალსბურგელები. საავადმყოფოში დაჭრილები და დაშავებულები ველარ

ეტეოდნენ. ცხენოსანთ იმით ესარგებლათ, რომ ფალსბურგელები უიარაღოდ ყოფილიყვნენ და არავინ დაენდოთ. მიუხედავად ამისა მეფე ლუი XVI არამც თუ გაამტყუნა, მადლობაც გადაუხადა ცხენოსანთ, რომელნიც შემდეგში, როდესაც მეფემ გაპარვა განიზრახა, თან ახლდნენ ავსტრიისაკენ მიმავალ მეფეს—ფალსბურგელ რაზმს კი დიდი საყვედური გამოუცხადეს; დასასჯელად სადღაც გადაიყვანეს და იმათ მაგივრად ის რაზმი ჩაგვიყენეს, რომელიც თავგამოდებული იყო მეფისა და დიდებულთათვის.

ძნელი წარმოსადგენია, რა აღშფოთებულნი იყვნენ პატრიოტები. რაც ხანი ჩვენში იდგა ის რაზმი, არც ერთს პატიოსან კაცს სალამი არ ულირსებია იმათ უფროსებისათვის. ჩვენი კერუ, რომელიც მილიციის სამხედრო ვარჯიშობაში გვშველოდა და იმასთან ერთად სხვა ათისთავები თავის რაზმს გაჰყვნენ და დავრჩით ცარიელები. მიმავალნი სარბურგამდის მივაცილეთ და იქ ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს.

სწორედ ამ დროს გაიპარნენ მეფის მამიდები და თან თორმეტი მილიონის ოქრო წაიღეს და სამი მილიონიც ვალები დასტოვეს: რა უშავს, სახელმწიფო ხაზინიდან გადაიხდიანო. მაგრამ გაპარვა ვერ მოახერხეს და ბურგონში რომ დაიჭირეს გაპარულები, შეშინებულებმა საერო კრებას წერილით გამოუცხადეს თავიანთი ერთგულება:

„ჩვენ საერო კრების და კანონის წინააღმდეგნი არ გახლავართ. ერთგულ მამულიშვილად გვიგულეთ თქვენი პატივისმცემელნი და უმორჩილესი მოახლენი...“

საერო კრებამ ნება მისცა, საცა გენებოთ, იქ მიბრძანდითო. და თუმცა ნათლიაჩემი ძალიან ჯავრობდა, რატომ ხელშეკრულები არ მიიყვანეს პარიზშიო, მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ საერო კრებას საფრანგეთის ყველა კარები ღია უნდა ჰქონოდა მიმავალთათვის, ოღონდ კი ყველასათვის ეცნობებინა, რომ ვინც გაიხიზნება, სამშობლოში თავის დღეში ვეღარ დაბრუნდებაო.

მაგრამ ყველას თავისი აზრი ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, ლუი XVI რომ საზღვარგარეთ გასულიყო და გერმანიას შეჰკედლებოდა, ან ინგლისს, სწორედ იმდენს ყურადღებას მიაქცევდნენ, რაც უგანათლებულეს თავად არტუას. დარწმუნებული ვარ, რომ ის დიდებულნი, რომელნიც საფრანგეთიდან გაიხიზნენ, ძალიან ნანობდნენ და სულ იმას ნატრობდნენ, ნეტავი შეიძლებოდეს ჩვენი მიწა-წყალი ერთხელ კიდევ ვნახოთო! მეტადრე როდესაც დარწმუნდნენ, რომ წასვლა ადვილი იყო და დაბრუნება კი შეუძლებელი გაუხდათ.

საერო კრების ნებართვით ისარგებლეს მეფის მამიდებმა და

რომს წაბრძანდნენ. ის იყო და ის მას შემდეგ იმათი აღარავის რა გაუგონია.

დიდი არეულობა იყო პარიზში. ამას გაზეთებში ეკითხულობდით, რომლებიც შოველისაგან მოგვდიოდა. ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა დიდებულთ და ბერებს და სულ იმის შიშში იყო, ხაფანგში გაგვაბავენო. კამილ დემულენი, ბრისსო, ფრერონი და სხვანი, რომელთაც თავი განწირული ჰქონდათ და აღარაფრისა ეშინოდათ, ყველგან და ყოველთვის სიფრთხილეს ურჩევდნენ ხალხს:

— გაფრთხილდით! უცბად არ მოგვეპაროს მტერი! უმრავლესობა თქვენის დეპუტატებისა მტერს მიუდგა. ლეოპოლდი და ვილჰელმი შერიგებულან, რომ უფრო მეტი ჯარი შემოგვისიონ. ფთხილად იყავით! მზად იყავით! ეცადეთ, არ მოგატყუონ მტრებმა და არ მიგაძინონ!

ერთ დღეს წმინდა ანტონის უბნელებმა პარიზში მოინდომეს ვინსენის ციხის დანგრევა. ლაფაიეტი წინ გადაუდგა და იმდენი ეხვეწა, რომ ხალხი დამშვიდდა და დაიშალა. იმავე დღეს მეფის სასახლეში საიდანღაც ხუთასი შეიარაღებული დიდებული შეიპარა და როდესაც ჰკითხეს, რა გინდათო? უპასუხეს:

— მეფის უერთგულესი ქვეშევრდომნი ჩვენა ვართ და გვინდა გაჭივრებაში თან ვახლდეთო.

სასახლიდან მაშინვე გამორეკეს და მეფე ლუი XVI გამოაცხადა, მე მეფის მცველ ჯარად მილიციის მეტი არავინ მინდაო. მიუხედავად ამისა ხალხი მაინც უნდობლად უყურებდა მეფეს და თვალს არ აშორებდა: არა გვიეშმაკოს რაო. ცოტახანს უკან ხმა გავარდა, მეფე შეუძლოდა ბრძანდება და ექიმს ურჩევნია, ჰაერი უნდა იცვალოთ, სენკლუს ჰაერი ძალიან მოგიხდებათო. მაგრამ შეიყარნენ ბაზრის დედაკაცები — ზოგი ხილითა ვაჭრობს, ზოგი თევზით, ზოგი ძველი ტანისამოსით — და შეევედრნენ: ნურსად წახვალ, თავს ნუ დაგვანებებო! ნეტავი ის მაინც ეფიქრათ იმ საწყლებს, თუ რას არგებდა იმათ მეფე, პარიზში იქნებოდა, თუ სენკლუში? ასე ეგონათ, მეფე რომ წავიდეს, ქვეყანა დაიღუპებაო. იმას ხომ არა ფიქრობდნენ, რომ ხალხი კი ყოველთვის იშოვის მეფეს და მეფე თავის დღეში ვერ იშოვის ხალხს, თუ თავისი დაჰკარგა. მაგრამ რა? ყველაფერს ერთად ვერ მიხვდება კაცი.

მარტის გასულს ნათლიაჩემი თავის მამულში წავიდა პიკჰოლცში და სამჭედლოში მე და ახალი ქარგალი სვიმონ ბენრატიღა დავრჩით. თითქმის ყოველ დღე წვიმდა; წვრილმანი საქმე არაფერი გვქონდა, რადგან ჯერ გზები არ ვარგოდა და მგზავრებიც ბევრი არავინ იყო; ვიდექით და ფალსბურგის ეკლესიის მოაჯირს ვაკეთებ-

დით; დღესაც ნახავთ ჩვენს გაკეთებულს მოაჯირს, აივანზედ რომ ახვიდეთ. რაკი გავათავეთ, მე ყოველ დღე ფალსბურგს ჩავდიოდი მოაჯირის გასამართავად და სვიმონი შინა მუშაობდა.

სწორედ იმ დროს მოუვიდა ბრძანება ჩვენგან შეძულებულ რაზმს, რომელიც ფალსბურგს იდგა, ისევ ქ. მეცს უნდა გადახვიდეთო. ამბობდნენ, გენერალი ბულიე რაღაცას აპირებს და უნდა მეფის ერთგული ჯარები სუყველანი თავისთანა ჰყავდესო. იმ რაზმის მაგივრად ჩვენს ქალაქში ოვერნელი რაზმი გადმოიყვანეს, რომელიც ერის ერთგულად ითვლებოდა და ყველასაგან პატივცემული იყო. ამერიკის განთავისუფლების დროს დიდად ისახელა თავი ოვერნელმა რაზმმა და ნანსში რომ არეულობა მოხდა, პირდაპირ გამოაცხადა: ჩვენ ჩვენების წინააღმდეგ ვერ წავალთო! კლუბში დიდი ქებით მოიხსენია ოვერნელი რაზმი ელოფ კოლენმა; გვიამბო, რამდენი გამარჯვებით უსახელებია მას თავი და შემოვიდნენ თუ არა ფალსბურგში, ხალხი წინ გაეგება და ჯარისკაცებმა და ხალხმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს.

მაგრამ ოვერნელებსაც ჰქონდათ თავიანთ უფროსებთან გასასწორებელი ანგარიშები და არ გასულა დიდი ხანი, იმისთანა ამბავი მოხდა, რომ დიდებულნი, თუ კი ტვინი ჰქონდათ და ფიქრი შეეძლოთ, ძალიან უნდა ჩაფიქრებულიყვნენ. საქმე იმაში იყო, რომ უფროსები, სულ დიდებული გვარიშვილი ყმაწვილი კაცები, უღმერთოდა სცემდნენ ჯარისკაცებს.

აპრილის დამდეგი იყო. ეკლესიაში ვიყავით მე და ორი დღიური მუშა, როდესაც უცბად ნაღარის ხმა შემოგვესმა და ჯარის ფეხის ხმა. მაშინვე გარეთ გავედი. ოვერნელი რაზმი წყობისად ჩამოვიდა მოედანზედ, იქვე ეკლესიასთან გაჩერდა და გასწორდა. გადავხედე და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა: მთელს რაზმში უფროსთაგანი ერთი არავინ იყო. ისინი თურმე იქვე ყავახანაში ბრძანდებოდნენ და ქაღალდსა თამაშობდნენ. ნაღარის ხმაზე ისინიც გარეთ გამოცვივდნენ, ზოგი უქუდოდ, ზოგი უიარაღოდ: წინამძღოლი, მარკაზ დეკურბონი, გაბრაზებული მივარდა თავის ჯარისკაცებს და — ეს რა ამბავიაო? — ეკითხებოდა. მაგრამ ნაღარას ისევ ისე სცემდნენ და პასუხი არავინ აღირსა. რაზმიდან სამი მოხუცებული ათისთავი გამოჯდა და რაზმის წინ დადგნენ. სამივე სულ მთლად გათეთრებული, მაგრამ ჯერ ისევ მაგარი კაცები იყვნენ და ისე ყოჩაღად ეჭირათ თავი, იტყოდით, ოცი წლის ბიჭები არიანო. მოედანზედ ხალხი იკრიბებოდა. ფანჯრებიდან ქალები იყურებოდნენ.

ნაღარა დააყენეს. მაშინ ერთმა სამთაგანმა ჯიბიდან რაღაცა ქაღალდი ამოიღო, გაშალა და დაიყვირა:

— ათისთავო რავეტ, წინ წამოდექი!

რავეტი გამოვიდა და წინ გამოეჭიმა.

— ათისთავო რავეტ, ოვერნელმა რაზმმა შენ აგირჩია თავის წინამძღოლად.

იქვე ხეზედ მიაყუდა ახალმა წინამძღოლმა თავისი თოფი, ხმალი ამოიღო... ხელმეორედ დაჰკრეს ნაღარა და რაზმმა თოფებით და მედროშემ თავისი დროშით სამხედრო სალამი მისცა ახალ წინამძღოლს.

იმისთანა ჩემს დღეში არა მინახავს რა. რაზმის უფროსებს რომ გაებედნათ და ხმა ამოეღოთ, მთელი რაზმი მივარდებოდა და ცოცხალი აღარავინ გადურჩებოდათ. ეს რომ წარმოვიდგინე, თრთოლვამ ამიტანა. თავის-და საბედნიეროდ, უფროსები კარგად ხედავდნენ, რომ საქმე უკვე წაგებული ჰქონდათ და ხმა ამოუღებლივ ისევ ყავახანაში შევიდნენ.

წინამძღოლის შემდეგ, რაზმმა წინამძღოლის ნაცვალი აირჩია, მერე მაიორები, კაპიტნები და ბოლოს ათისთავები. სამი საათი იყო, რომ ყველაფერი გათავდა და რაზმი ბინაზედ წასასვლელად ემზადებოდა. სწორედ იმ დროს გამოცვივდნენ ყავახანიდან რაზმის უფროსები და რაღაცის თქმას აპირობდნენ, მაგრამ ახალმა წინამძღოლმა დაასწრო.

— ბატონებო, ექვსი საათის შემდეგ აქ თქვენგანი აღარავინ იქნება!

მერე რაზმს მიუბრუნდა:

— ჩქარი ნაბიჯით მარცხნივ... იარეთ!

მეორე დღეს რაზმის დიდებული უფროსთაგანი ერთი აღარ იყო ქალაქში.

სამი კვირის შემდეგ, 24 აპრილს, საერო კრებამ წერილი მიიღო სამხედრო მინისტრისაგან, რომელშიაც აწერილი იყო, „აჯანყება ოვერნელი რაზმისა, რომელმაც განდევნა თავისი კანონიერი უფროსები, კერძო ამხანაგობად აღიარა თავისი თავი და თავის ამორჩეულთა გარდა უფროსად და მბრძანებლად აღარავინ მიიჩნია“. მე ესა და მრავალი სხვა სიცრუე იმ დროინდელ გაზეთებში წავიკითხე. ვისაც მართალი ნებავს, მართალიც ეს არის, რომ ოვერნელი რაზმის ჯარისკაცნი ხალხისკენ იყვნენ; მოსწყენოდათ თავხედური ქცევა თავიანთ უფროსებისა, რომელთაგან უდიერი ცემა-ტყეპის მეტი არა ახსოვდათ რა; გარდა ამისა, რად გვინდა იმისთანა უფროსები, რომ ბრძოლის ველზე გვიღალატონ და მტერს მიუდგნენო, — იძახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მინისტრი ისე უჯავრდებოდა ოვერნელის რაზმს, ბევრმა სხვა რაზმმა ჩაიდინა იგივე და მთელ

ჩვენს ჯარს რომ ოვერნელებისთვის მიებაძნა. მაშინ აღარც იმისთანა გენერლები გვეყოლებოდა, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი ჯარი საერო კრების წინააღმდეგ წაეყვანათ, ან ბრძოლის დროს მტერს მისდგომოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ კვირა დღეს ნათლიაჩემიც მოვიდა. ყველაფერი რიგზედ დახვდა და ძალიან კმაყოფილი იყო. ლიქსჰეიმიდან გაზეთები მოიტანა და იქიდან გავიგეთ, რომ მირაბოს თქვენი ჭირი წაეღო; რომ მეფე-დედოფალი და კარისკაცნი ძალიან სწუხდნენ მის გარდაცვალებას; რომ საერო კრებამ მის გარდაცვალებისა გამო დაადგინა: ახლადაგებულ წმ. ჟენევიევის ტაძარში დაკრძალულ იქნენ სამშობლოს მასახელებელნი შვილნი. კანონმდებელი კრება გადასწყვეტს, ვინ იქნება ღირსი ამ დიდებისა... ჰონორე მირაბო კრებამ ღირსადა სცნა ამ დიდებისა. ეს რომ წავიკითხეთ, შოველის მოწერილი მოგვაგონდა მირაბოს შესახებ და გაკვირვებულნი დავრჩით.

იმავე გაზეთებში ეწერა, რომ ლუი XVI ძალიან მოწადინებული იყო სენკლუში გაეტარებინა რამდენიმე ხანი; მაგრამ რაკი მილიცია და ხალხი ეწინააღმდეგებოდა მის წასვლას, მეფე საერო კრების სხდომას დასწრებოდა და საყვედური ებრძანებინა: რად მიყურებთ აგრე უნდობლადაო? რა ნდობა უნდა ჰქონოდა ხალხს მეფისა, როდესაც სასახლე ყოველთვის გატენილი იყო დიდებულებით და ბერებით და პატრიოტი იქ ერთი არავინ შესულა თავის დღეში; მეფის მომხრე გაზეთებს გადასინჯავდით და სულ იმას ჩიოდნენ, ჯარში დისციპლინა აღარ არის, საერო კრება ქვეყანას ღუპავს, ხალხი და მოქალაქენი თავზედ დაგვასხდნენო; წიგნებს იტყვით და, ქვიშაზედ უმრავლესად მოჰფინეს პატარ-პატარა წიგნები საერო კრების და რევოლუციის საძაგებლად და საგინებლად, და იქამდის უსინდისონი იყვნენ, რომ ზოგს კამილ დემულენის თხზულებად ასაღებდნენ, ზოგს მარატისად, ზოგს მამა დიუშენისად, რომ უფრო მალე გაეცელებინათ და პატიოსანი კაცისთვის ჩირქი მოეცხოთ. ამოდენა სულმდაბლობის, ლაჩრობის, სიცრუის და ცილისწამების მნახველ ხალხს, გიჟი იქნებოდა, რომ რაიმე ნდობა შერჩენოდა მეფისა.

განა ვალენტინის სიტყვა და ბერების ქადაგება არა კმაროდა, რომ ბრმასაც კი თვალი აეხილა და დაენახა, ვინ უნდა ყოფილიყო ქვეყნის მოღალატე! არა, ერთს აღარა ჰქონდა მეფის ნდობა, ერთს! და ეს ჩვენი ბრალი კი არა, თავისი ბრალი იყო, თვით მეფისა და იმის დამღუპველ მრჩეველებისა. ვისაც ხალხის ნდობა უნდა, აშკარად და პატიოსნად უნდა მოქმედებდეს; წინ ქვეყნის მატყუარა თინთლიბაზები არ უნდა გაისტუმროს თავის მაგივრად. თუ ერთხელაც არის

სიცრუე შეამჩნია ვისმე ხალხმა, ნდობის ალაგას უნდობლობა ჩნდება და თან სიძულვილიც.

რაკი ნახა ნათლიაჩემმა, რომ ყველაფერი რიგზედ იყო, მეორე დღეს ისევ თავის მამულში წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ პაპმა პიი მეექვსემ საქვეყნოდ დასწყევლა ის მღვდლები, რომელთაც საფრანგეთის კონსტიტუციას ერთგულება შეჰფიცეს. იმათ არაფერი დააკლდათ ამით, მაგრამ საერო კრების მოწინააღმდეგენი კი უფრო გათამამდნენ. კორსის კუნძული ააჯანყეს; პარიზში კლუბის ფანჯრები ჩაამტვრიეს. სამაგიეროდ პატრიოტებმა სახალხოდ დასწვეს პაპის ბრძანება, რომლითაც მღვდლებსა სწყევლიდა; ვოლტერის ნაშთი წმ. ჟენევიევის ტაძარში დაასაფლავეს; ეკლესიების ზარები გადაადნეს და ფული მოაპრევინეს; უგანათლებულეს თავად კონდეს შეატყობინეს, დაბრუნდი თორემ აღარც რამე უფლება შეგრჩება, აღარც მამულიო.

მაგრამ დამშვიდების მაგივრად უარესად გამძვინვარდნენ. ბრიკონტ-რობერში იმათი მომხრე ჯარისკაცები ღამე სახლში უცვივდებოდნენ პატრიოტებს და კაცსა და ქალს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ხალხი ღელავდა. ცხადი იყო, აუცილებლად უნდა შევბრძოლებოდით ერთმანეთს და ეს მით უფრო გვემძიმებოდა, რომ საიმედო წელიწადი იდგა და მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანდა: ყვავოდა ჩვენი სოფელი, ყვავოდა ჩემი მარგალიტას ბაღი.

ერთსღა ვნატრობდით:

— რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ დამშვიდებული ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა! განა ის არა კმარა ჩვენისთანა უბედურთათვის, რომ სიცივეც ჩვენ გვაწუხებს და შიმშილიც. როდესაც ღმერთი ჩვენზედ მოიცლის ხოლმე და განრისხდება! წლეულს მაინც თავი დაგვანებონ, ძლივს ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა! ნუ თუ წლეულსაც ვერას გავხდებით და ჩვენს მოსავალს პრუსიელებს და ავსტრიელებს გაათელინებენ ჩვენი მოღალატე ძმები?!

ერთ დილას ხმა გავარდა, მეფე გაიპარაო: მთელი შამპანი და მესსენი მილიციელებით გაივსო; ყველა გზაზედ და ბილიკზე დარაჯები დგანან და გაუსინჯავად არავისა სტოვებენ; ყველგან ზარსა რეკენ და ნაღარას უკრავენ, რომ ხალხს აცნობონ მეფის გაპარვა... ვინც იმის კვალს იპოვის, საშვილიშვილოდ გაკეთდებაო. ეს ამბავი ჩვენში სამმა ალზასელმა მოიტანა, რომელნიც სარბურგიდან მოდიოდნენ. შორიდანვე ყვირილი დაიწყეს იმათმა ცოლებმა:

— შენ იყავ ჩვენი შემწე, წმინდაო ღმერთო!.. დავიღუპენით, დავიღუპენით, ხალხო!

კაცები კი, რაც შეეძლოთ, ცხენებს მოერეკებოდნენ.

— რა მოხდა, მდევარი ხომ არ მოგდევთ?

— ქაჯს ჯაჭვი დაუწყვეტია! — დამიყვირა სიცილით ერთმა, რომელიც, ეტყობოდა, ნასვამი იყო... ბოლოს ქალმა დამიძახა სასოწარკვეთილებით სავსე კილოთი:

— მეფე გაპარულა!

ცოტა ხნის უკან ორმოცამდე კაცმა გაირბინა ჩვენი დუქნის წინ; ქალაქში ყოფილიყვნენ ბაზარში და ახლა თავიანთ სოფლებისაკენ გარბოდნენ, რომ მეფის გაპარვა ეცნობებინათ. იმათგან გავიგეთ, რომ დედოფალი და ბატონიშვილიც თანა ჰყავსო.

მაშინ კი მეც გავბრაზდი მეფეზედ. მანამდე, რაც უნდა გამეგონა, ან წამეკითხა, არა მჯეროდა და სულ იმას ვიძახდი, — შეუძლებელია, ფიცს როგორ გასტეხს-მეთქი? თრთოლამ ამიტანა, ჩაქუჩი კედელსა ვტყორცნე და დავიძახე:

— მოგვატყუა! მოგვატყუა იმ შერცხვენილმა, იმან!

მაგრამ მალე დავმშვიდდი და რადგან დუქნის წინ დიდძალი ხალხი მოგროვილიყო, მეც იმათთან გავედი და ვუთხარი:

— მეფე იმიტომ გაპარა, რომ კობლენცს გავიდეს და ჩვენი მტრები მოსძებნოს. გერმანელი ჯარი მზად არის და ჩვენს მეფესღა ელის, რომ საფრანგეთს შემოესიოს; ვილჰელმმა და ლეოპოლდმა უიმისოდ შემოსევა ვერ გაბედეს, რადგან ეშინოდათ, ხალხმა მეფეზედ არ იყაროს ჩვენი ჯავრიო და ახლა, რასაკვირველია, აღარას დაერიდებიან.

ნათლიაჩემი რომ იქ ყოფილიყო. მაშინვე ნაღარას დააკვრევინებდა და მილიციას გაიყვანდა გზის შესაკრავად, მაგრამ არც ის იყო შინ, არც ლეტუმიე და არც სხვანი: სულ მინდორში იყვნენ. მე ეს უფრო მაწუხებდა... ეხლა რომ მომაგონდება ხოლმე, სიცილი წამსკდება; მაშინ კი ასე მეგონა ჩვენს მეტი გზაზედ არავინ გავა-მეთქი. იმას ხომ არა ვფიქრობდი, რომ ათასობით იყო გასული ხალხი და მილიცია გზების შესაკრავად; გარდა ამისა, რაღა სტრასბურგზედ წამოვიდოდა მეფე, როდესაც ბელგიისკენ ან ქ. მეცისკენ უფრო მოკლე გზა არის და სამზღვარს უფრო მალე მიაღწევდა? რას იზამთ, რომ სიყმაწვილე აჩქარებულია!

ყველანი ხედავდნენ, რომ მეფე წასული იყო ჩვენი მტრების შემოსაყვანად და ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად. მტერიც აღარ დაიგვიანებდა, რაკი მზად იყო და შემოგვესეოდა. ეს იმისთანა რწმენად გახდომოდა დიდსაც და პატარასაც, რომ თვით საერო კრებასაც კი უეჭველ ჭეშმარიტებად სწამდა და მეორე დღეს დილით, 25 თიბათვეს ყველგან — ეკლესიების და სამამასახლისოების კარებზედ და, ასე

გასინჯეთ, დუქნებშიაც კი გაკრული იყო დადგენილება საერო კრებისა, რომ ყველას წაეკითხა და მზად ყოფილიყო სადარაჯოდ. ჩვენსა ეს დადგენილება თვით ნათლიაჩემმა მოიტანა პიკჰოლციდან, თითონვე გააკრა დუქანში და თან საშინელი სიტყვითა ლანძღავდა მეფესა და დედოფალს.

21 თებათვე 1791.

„საერო კრებამ დაადგინა:

მუხლი 1. ერის მცველი ჯარი მთელს სამეფოში იარაღქვეშ იყოს და ბრძანებას ელოდეს.

მუხლი 2. თემები: ნორი, პადეკალე, ჟურა, ზემო და ქვემო რეინი და გერმანიის მოსაზღვრე მხარე ქუდზედ კაცს გამოიყვანენ, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

მუხლი 3. სხვა თემები 2-3 ათასს კაცს გამოიყვანენ.

მუხლი 4. ყოველი მამულიშვილი, თუ ისურვებს სამშობლოს დახმარებას, მილიციაში ჩაეწერება.

მუხლი 5. მილიციის ჯარისკაცები რაზმებად იქნებიან განაწილებულნი; რაზმში ათი წყობა იქნება, წყობაში ორმოცდაათი კაცი.

მუხლი 6. წყობის უმფროსად იქნებიან კაპიტანი და ორი იმისი ნაცვალი.

მუხლი 7. რაზმის უმფროსად იქნებიან წინამძღოლი და ორი იმისი ნაცვალი.

მუხლი 8. უმფროსს და იმის ნაცვლებს თითონვე ამოირჩევენ რაზმი და წყობა.

მუხლი 9. ჯამაგირი მიეცემათ მილიციელს დღეში ერთი წილი — ერთი აბაზი; ნაღარის დამკვრელს — ერთნახევარი; სურსათის გამგეს — ორი; კაპიტანის ნაცვალს — სამი; კაპიტანს — ოთხი; რაზმის წინამძღოლის ნაცვალს — ექვსი; წინამძღოლს — შვიდი.

მუხლი 10. როდესაც მილიციელების სამსახური საჭირო აღარ იქნება, ჯამაგირი აღარ მიეცემათ და დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნებიან.

მუხლი 11. დაუყოვნებლივ შედგენილი იქნება სახელმძღვანელო წესდება ჯარისთვის.

სიტყვასიტყვით გადმოგიწერეთ ეს დადგენილება, რადგან მაშინ პირველი იყო ქუდზედ კაცის გაყვანა და რაც შემდეგში რესპუბლიკა გამოჩენილმა გენერლებმა ასახელეს, სულ ამ დროს დაეწყოთ სამსახური, დაუსვენებლივ ებრძოლათ მტერთან და ათჯერ და ოცჯერ კი არა, ურიცხვოდ მრავალჯერ დაემარცხებინათ გამოჩენილი მხედართმთავარნი ფრიდრიხისა, ფრანსუასი, პავლესი, ვილჰელმისა

და ალექსანდრესი. სულ კი უბრალო გლეხკაცის შვილები იყვნენ! დამარცხებულნი სულ დიდი გვარიშვილნი იყვნენ, დიდებულ წინაპართა დიდებული შთამომავალნი და გამარჯვებულნი კი გლეხკაცები, გლეხკაცის შვილები, რომელნიც მარტო საერო კრებამ აღიარა ადამიანად. როგორ იცვლება ყველაფერი წუთისოფელში!

ეს დადგენილება ცხადად გაჩვენებთ, რა ნდობის თვალით უყურებდა საერო კრება ჩვენს მეფეს, რადგან ხალხი მტრის წინააღმდეგ კი არა, მეფის დასაჭერად გაჰყავდა, არ გაგვეპაროს და მტრებს არ შემოუძღვესო! რაკი მეფე საზღვარს გასცდებოდა, მერე შიში აღარაფრისა ჰქონდა და იმისთანა ლაშქარს წამოასხამდა, რომ საუკუნო მონებად გაგვხდიდა ჩვენცა და ჩვენს შთამომავალთაც. მაგრამ ღმერთი სამართლიანია! ღმერთი ხალხისა და კონსტიტუციისაკენ იყო და არა ბერებისა და სასახლისაკენ და საქმე სულ სხვაფრივ დატრიალდა. ღმერთი, იმისმა მადლმა, თორემ რაც იმათ ეშმაკობა ჩაიდინეს, რაც იმათ მახეები გვიგეს და ორმო გვითხარეს, განა ჩვენ იმათ ვაჯობებდით! იმისთანა სიფთხილით გაეპარებინათ მეფე, ისე მოემზადებინათ ყველა, რომ უთუოდ უნდა გაგვპაროდა, ღვთის განგება რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ერთმა საწყალმა ფოსტის მოხელემ, პატრიოტმა დრუემ კი გააკავა დიდებული მეფე და ისევ პარიზისკენ დააბრუნა. საზღვარიდან ერთი საათის სავალზედ დაიჭირეს, სოფელ ვარანში. გენერალ ბულიეს მეფის გასაყვანად ცხენოსანი ჯარი გამოეგზავნა. დრუემ რომ ნახა, ძვირფას პატიმარს წამართმევენო, ბოგირზედ ურემი ჩახირა და მით შეაჩერა მომავალი ცხენოსნები. დიაღ, ღვთის განგებამ სხვაფრივ განსაჯა ეს საქმე.

მეფის გაქცევაც და დაჭერაც დაწვრილებით იყო აწერილი გაზეთებში. ჩვენი დუქანი ხალხით გაივსო, რომ გაიგეს, დაუჭერიათო. შინ რომ ვეღარ ეტეოდნენ, გარეთ იდგნენ ფანჯრებთან, კარებთან და ეზოში. ქუჩაც კი სავსე იყო ხალხით. ნათლიაჩემმა მიბრძანა, დაზგაზედ ადიო, და მეც ვიდეგი და მაღალი ხმით ვკითხულობდი გაზეთებს. რომ წავიკითხე, დრუეს დაუჭერია-მეთქი, ერთხმივ შეჰყვირა იმოდენა ხალხმა:

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს!

მაგრამ მეფის გაპარვამ ისე ააღელვა ხალხი, როგორც გენერალი ბულიეს წერილმა, რომელიც საერო კრებისათვის გაეგზავნა, როდესაც მეფე სალსალამათი პარიზში მიებრძანებინათ. წერილი და რა წერილი! საერო კრებას და მთელს ერს ემუქრებოდა ის თავხედი, დაგვნებდით, თორემ მთელს ევროპას შემოგისევთო. აი თქვენი თვალითა ნახეთ! მთელი წერილი რა საჭიროა და იმ ადგილებს კი ამოვწერ, სადაც ცხადადა ჩანს ღალატი:

„ლუქსემბურგი 25 თიბათვის 1791. დიდებულ მეფეს უქმად ჩაუარა ამ ცდამ. უნდოდა ბორკილი დაემტვრია, მაგრამ ბრმა ბედმა, რომელიც განაგებს სახელმწიფოთა ცხოვრებას, უმუხთლა და კვლავ თქვენს ხელში ჩააგდო“...

ხედავთ, რა ლექსით იწყებს? დაუკვირდით ამ სიტყვებს: „ბრმა ბედმა, რომელიც განაგებს სახელმწიფოთა ცხოვრებასაო“. ვაშ ყველაფერი ბედზედა ყოფილა! მაშ ღმერთი არა ყოფილა!? განა ცხადი არ არის, რომ დიდებულთ ღმერთი არა სწამებიათ! განა ცხადი არ არის, რომ უღმერთონი უღმერთოდ მოგვექცევოდნენ, ქრისტიანებს მონებად გაგვხდიდნენ და სასაცილოდ გახდიდნენ მაცხოვარის მცნებას, რომლითაც ჩვენ ყველანი ძმანი ვართ და თანასწორნი... „გიყვარდეს მოკვასი შენი...“ დიაღ, ძალიან ვუყვარდით!

მაგრამ მაგას თავი დავანებოთ და ვნახოთ, რას გვემუქრება. ჯერ იწერება, მეფემ წასვლა ჩემი რჩევისამებრ გაბედა, რადგან გვინდოდა მონმედში გაგვეყვანა, სადაც მისი ერთგული ყმანი არიან შეკრებილნი; რაკი თავს დაგახწევდათ, ბრძანებას გასცემდა, რომლითაც საერო კრება დაშლილად ჩაითვლებოდა; მის მაგიერ ახალ კრებას მოუწოდებდა თავის გუნებისად და იმ ახალი კრების დადგენილებით დაგვიბრუნებდა დიდებულთ ყოველ უპირატესობას, რაც კი როდისმე გვქონია...

წერილს ასე ათავებს:

„დამიჯერეთ, თქვენგან შობილი გველი არა მარტო ჩვენს ჰეფეს, მთელი ქვეყნის მეფეებს ემუქრება. ისინიც ძალიან კარგად ხედავენ ამ მუქარას და უკვე ემზადებიან. რომ ყველანი ერთად და ერთ დროს შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას. მე კარგად ვიცნობ ჩვენს სამხედრო ძალ-ღონეს; ჩვენს მდგომარეობაში მარტო გიჟს შეუძლია რაიმე იმედი იქონიოს. შემოვლენ უცხოელი ჯარები და ისე დაგსჯიან, რომ თქვენი სასჯელი სამაგალითოდ დარჩეს მომავალთათვის. აქამდე მებრალებოდით, მაგრამ თქვენ ისე იქცევით, რომ მე მარტო ამგვარადღა შემიძლიან თქვენთან ლაპარაკი. მეფე-დედოფალი თქვენს ხელთ არიან, მაგრამ იცოდეთ, მთელი ქვეყნის ხელმწიფენი თქვენ გაზღვევინებენ, თუ მათ ავნეთ რამე. პარიზში ქვაქვაზედ აღარ დარჩება, თუ გაგიბედნიათ და მეფე-დედოფლისთვის ერთი ბეწვი დაგიკლიათ თმიდან. მე გზები კარგად ვიცი, უცხოელ ჯარებს მე შემოუძღვები. ეს წერილი წინამორბედია ევროპის ხელმწიფეთა მანიფესტისა. ისინი უფრო

გარკვევით გაგაგებინებენ, რომ თავიდან ვერ აიცილებთ ომს, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ჩვენი ქვეყნის წარყვნას. ნახვამდის, ბატონებო!“

ამაზედ მეტი რაღა გნებავთ? მეფე-დედოფალს რომ დამართოდათ რამე, ჩვენ უნდა გვეზღო მთელ ქვეყნის მეფეებისთვის. ბულიემ კარგად იცოდა ჩვენი სამხედრო ძალ-ღონე, კარგად იცოდა გზები და თვითონ შემოუძღვებოდა მტერს თავის სამშობლოში და პარიზში ქვას ქვაზედ აღარ დასტოვებდა!

საღამოზედ მამაჩემს წავუკითხე ეს წერილი და კინაღამ თავისი დაემართა, ისე ეწყინა. თავში ხელი შეპოიკრა და შეჰყვირა:

— ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ შენი გაჩენილია ის სამშობლოს ბოღალატე! ჩემმა ნიკომაც კარგად იცის გზები... რომ იკადროს და მტერს შემოუძღვეს... არა, ღმერთმა მაგ დღეს ნუ მომასწროს!

— ეჰ, მამაჩემო! შენ გეზიზღება ეგ საქციელი... შენ ხომ დიდებული არა ხარ! აბა შენც მეფისაგან დანიშნული გენერალი იყო; დიდი პენსიები გქონდეს და წარჩინებული, სახელოვანი კაცი იყო! ერთი საწყალი გლეხკაცი ხარ, რომელსაც ტანჯვის მეტი არა გახსოვს რა. რა არის შენთვის სამშობლო? რის მაქნისია, რის მარგებელი? შენ სამშობლოსაგან მზის შუქის მეტი არა მიგიღია რა და შენთვის ესეცა კმარა, რომ თავდავიწყებით გიყვარდეს იგი. შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რომ შეიძლება კაცმა თავის სამშობლოს ღალატოს! იმიტომ რომ გლეხკაცი ხარ! დიდებულთათვის კი სამშობლო იქ არის, სადაც მრავალი ყმა ეყოლებათ ყურმოჭრილი საქონელივით დამონავებული და თანაც მწყალობელი მეფე, რომ არც ჯილდოს აკლებდეს და არც პატივისცემას. ისინიც რომ იძულებულნი იყვნენ ჩვენსავით ხნან და სთესონ ან მთელი დღე სადმე სამჭედლოში იშუშაონ და მეფე თავიანთი ნამუშევრით შეინახონ, მერწმუნე აღარც მეფის მომხრენი იქნებიან.

და მართალსაც ვამბობდი: მეფე რომ უკანვე მიიყვანეს და თავის სასახლეში შეაბრძანეს, ყველა დარწმუნდა, რომ იმის ბატონობა უკვე გათავებული იყო და ძველებურად ვეღარ გაუბოძებდა აქეთიქით ძვირფასს საჩუქრებს; უნდა გენახათ, რამდენმა ერთგულმა დიდებულმა უმტყუნა მაშინ მეფეს! უნდა გენახათ, რამდენნი გაეპარნენ! დუნკერკში მდგომი რაზმის ყველა უფროსი ერთ ღამეს ავსტრიელებთან გადავიდა, ლილში მდგომ რაზმის უფროსებმა მოინდომეს ღამე მტრის ჯარისთვის კარი გაეღოთ, მაგრამ ჯარისკაცებმა და მოქალაქეებმა გაუგეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავით; სულ იმას ვშიშობდით ამაღამ თავადი კონდე და მეფე ლეოპოლდი

შემოგვესევიან ასი ათასი კაცითაო. მთელი საფრანგეთი გაიძახოდა, ლუი XVI მეფობის ღირსი აღარ არისო, რადგან ფიცი გასტეხა და სამშობლოს მტერს მიუდგა... თუ ჩვენ მტერი გვყავს ვინმე, ყველაზედ უარესი მტერი თვით მეფე არის, რადგან ჩვენდა საწინააღმდეგოდ აპირებს მოხმარებას იმ ძალისას, რომელიც ჩვენ სამშობლოს დასაცველად მივანიჭეთო. ყველანი ვგრძნობდით, რომ მეფე საშინელ, მომაკვდინებელ მუწუკად გადაგვექცეოდა და მუწუკს მოჭრა უნდოდა.

პარიზელი გაზეთებიდან ჩანდა, რომ იქაური პატრიოტებიც ამ აზრისანი იყვნენ. მაგრამ ვინ დაგვესვა ლუი XVI ალაგას? ზოგნი ამბობდნენ, მეფე გადავაყენოთ, იმის ალაგას ბატონიშვილი დავსვათო, და რადგან ჯერ პატარაა, თანახმად კონსტიტუციისა რეგენტი დავუნიშნოთო; ზოგნი ამბობდნენ, მეფე არ გვინდა, ერთი კაცი ამოვირჩიოთ და კანონების ასრულება იმას მივანდოთო; სხვანი ამბობდნენ, რესპუბლიკა გვინდაო. მაგრამ იაკობელების კლუბში რობესპიერი ცეცხლს აფრქვევდა რესპუბლიკის წინააღმდეგ: საქმე საქმეა და არა სახელიო! თითონ უნდა ვარგოდეს, თორემ სახელი ვერ გააკეთებსო, იძახდა; განა არ შეიძლება ხელმწიფე გვყავდეს და დიდად ბედნიერნი და თავისუფალნი ვიყვნეთ? როგორადაც შეიძლება იმისთანა რესპუბლიკა დაამყაროთ, რომ მონობის დაღი დაგვასვათ ყველასაო! ფრერონი მარტო ლუი XVI გადაყენებას თხოულობდა: როგორც ჭკუაზედ შეშლილი ჰკარგავს ყოველ უფლებას, ისე მეფე ლუის აღარავითარი უფლება არა აქვს ტახტზედ ბრძანდებოდესო. პეტიონიც რობესპიერის აზრისა იყო; ბრისსო, კონდორსე და თავადი ორლეანელი რესპუბლიკისკენ იყვნენ. მე კი მგონია, რომ იმ დროს რომ შესძლებოდა ვისმე და ლუი XVI ალაგას უგანათლებულესი თავადი ორლეანელი დაესვა, რესპუბლიკასაც ღაიეიწყებდა, თავის რესპუბლიკურ აზრებსაც და... სამშობლოს სამსახურისთვის მეფობასაც იკისრებდა; ოღონდ უნდა დაერწმუნებინათ კი, რომ ყველაზედ ძლიერი ის იქნებოდა, რადგან ჭკვიანი კაცი იყო და ძალიან კარგად ხედავდა, რომ მარატის, კამილ დემულენის და ფრერონის გადამკიდეს სამეფო ტახტზედაც კი არ ექნებოდა მოსვენება. მაგრამ ორლეანელი არავის მოჰგონებია: ჯერ რევოლუციურ საქმეებში გამოუცდელნი ვიყავით და უმთავრეს ყურადღებას იმას ვაქცევდით, რომ ხელსახოცივით ვცვლიდით ჩვენს მართებლობას: დღეს მეფე, ხვალ რესპუბლიკა, ზეგ სახელმწიფო! შემდეგში დავრწმუნდით, რომ უმთავრესი გამოცვლა კი არა, მართებლობის შერჩენა ყოფილა.

აგერ სამი კვირა სრულდებოდა და საერო კრება ამ საგნის სჯას

არ ათავებდა. ერთმა ნაწილმა საერო კრებისამ — ეპისკოპოსებმა და დიდებულებმა, რომელთაც მ ა რ ჯ ვ ე ნ ა მხარეს ეძახდენ, იუკადრისა მეფისა და დედოფლის ლანძღვა და გამოაცხადა: კრებაზედ ვივლით, მაგრამ აღარც რაიმე მონაწილეობას მივიღებთ და არც კანონიერად ჩავთვლით თქვენს დადგენილებასაო. ამ განცხადებამ თავისი გავლენა იქონია. მაგრამ რა? ბარნავი, ლამეთი და დიუპორი, რომელთაც „ჭრელებს" ეძახოდნენ, რადგან ჩუმად სასახლეში დაიარებოდნენ და მეფეს ნუგეშსა სცემდნენ, წამდაუწუმ სიტყვას თხოულობდნენ, ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ და გარკვეულს კი არას ამბობდნენ. დრო გადიოდა... ბოლოს ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და საერო კრებასა სთხოვა, მეფე გადააყენეთო. რამდენჯერმე მიმართა ხალხმა საერო კრებას ამ თხოვნით; მაგრამ ყურადღებაც არ მიაქციეს მათს სურვილს. აღელვებული ხალხი მარსის მინდორზედ მოგროვდა, რომ იქ, სამშობლოს საკურთხეველზედ ახალი თხოვნა დაეწერა, უფრო სასტიკი და მძლავრი; პარიზის მამასახლისმა ბ. ბაილიმ გზაში შეაგვიანა ისინი, ვისაც ეს თხოვნა კრებაში უნდა მიეტანა: ისინი რომ საერო კრების დარბაზში შევიდნენ, იქ უკვე დაედგინათ, რომ შეუძლებელია მეფე სასჯელში იქნას მიცემული. რადგან იგი ღვთისაგან კურთხეული და, მაშასადამე, ხელშეუხებელი არისო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფეს შეეძლო საფრანგეთში პრუსიელები და ავსტრიელები შემოეყვანა. ქვეყანა გაენადგურებინა და თითონ კი არაფრისა და არავის შიში ჰქონოდა.

მაშინ დარწმუნდა ხალხი, რომ საერო კრება, მამა გრეგუარის, შოველის, რობესპიერის და სხვათა გარდა, სრულიადაც არ ასრულებდა იმ საქმეს, რომელიც მას ხალხმა მიანდო. ზღვასავით ღელავდა საფრანგეთი. კლუბებში ჭექა-ქუხილი ასტეხეს ორატორებმა. ფრერონმა გამოაცხადა კორდელიერების კლუბში, რომ რევოლუციას დამატება უნდა, თორემ სრული არ არისო. პატრიოტებმა პირობა შეკრეს, მარსის მინდორზედ შეკრებულიყვნენ, ახალი თხოვნა შეედგინათ და რამდენიმე ათასი კაცისთვის მოეწერინებინათ ხელი.

საერო კრებას ძალიან ეჯავრა ეს გარდაწყვეტილება, რადგან ხედავდა, რომ ამის შემდეგ ან ის-და უნდა ყოფილიყო, ან ხალხი. ლაფაიეტმა და ბაილიმ ბრძანება მიიღეს: სასტიკად აღასრულეთ კანონი, რომლითაც ჯარის უმფროსმა სამჯერ უნდა სთხოვოს შეგროვილ ხალხს—დაიშალენითო—და თუ სამჯერ თხოვნის შემდეგ არ დამორჩილდნენ, იარაღი უნდა იხმაროს და ისე დაფანტოს ხალ-

ხი. ამ ბრძანების ასასრულებლად დიდი ძალი ჯარი შეაგროვეს პარიზში.

მეორე დღეს დილაადრიანად გაეშურა ხალხი მარსის ველნისაკენ. სამშობლოს საკურთხეველში, სწორედ იქ, საიდანაც ორატორებს უნდა ელაპარაკნათ, ხალხმა ორი ჯაშუში იპოვნა დამალული. ორივეს თავები გააყრევინეს, შუბზედ ააგეს და მთელი პარიზი შემოატარეს. ორ საათზედ ლაფაიეტი და ბაილი მოვიდნენ ჯარებით და სასტიკად აასრულეს საერო კრების ბრძანება; ზოგი ამტკიცებს ერთხელაც არ უთქვამთ ხალხისათვის დაიშალენითო; ზოგნი ამბობენ კანონისამებრ სამჯერ უთხრესო. უთხრეს თუ არ უთხრეს ეგ სულ ერთია, საქმე ის არის რომ დაერივნენ უიარაღო ხალხს და არც ქალი დაინდეს, არც ბავშვი, არც მოხუცი! ბევრი დახოცეს, ბევრი დააშავეს და დაასახიჩრეს. რა მადლობას ეტყოდნენ საერო კრებას მეფე-დედოფალი და გახიზნულნი! დიდებულნი და ბერები!

საერო კრების ბრძანებით იყო, რომ ჯარმა ხალხზედ პირველად იხმარა იარაღი. საერო კრების ბრძანებით იყო, რომ ხალხი ორად გაიყო და შემძლებელმა ნაწილმა მდაბიო ხალხს ბრძოლა აუტეხა. ამაზედ მეტი უბედურება განაღა იქნება რამე? ეს ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა და ამ დაუსრულებელი ბრძოლის ბრალია იმოდენა ომები და ბოლოს მტარვალის გამეფება.

ბაილიმ და ლაფაიეტმა ბრძანება გასცეს — კამილ დემულენი და ფრერონი დაიჭირეთო; ორივენი გაიქცნენ, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდნენ; დაბრუნდნენ აგრეთვე მარატიც და დახოცილთა ნათესავები. საშინელება ყოფილა ძმათა შორის ბრძოლა! და კიდეც ეს ბრძოლა შეგვძინა მეფე ლუი XVI გაპარვამ. ეს დასაწყისი იყო და დანარჩენიც თავის დროზედ მოჰყვა.

საერო კრებამ, რომელიც ისე ერთგულად ემსახურებოდა ხალხის განთავისუფლებას; კრებამ, რომელმაც ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება აღიარა; კრებამ, რომელმაც იმოდენი მოწინააღმდეგენი დაამარცხა; საერო კრებამ თავი შეირცხვინა, როდესაც საქმე მეფეს შეეხო და ისიც რითი? მეფე ღვთისაგან კურთხეულია და მაშასადამე ხელშეუხებელია, რაც უნდა დამნაშავე იყოსო. სწორედ იმ აზრს დაადგა, რომელიც ეწინააღმდეგება გონებასაც, სამართალსაც და თვით საერო კრებისგანვე დადგენილ კონსტიტუციასაც. რომ დავუფიქრდები ხოლმე ამ გარდაწყვეტილებას საერო კრებისას, მაშინვე გონებრივი ძალის სისუსტე წარმომიდგება, მეტადრე როდესაც მას დიდი ჯამაგირი ეძლევა და ამ ჯამაგირისა გამო იძულებულია ხან შავი გაათეთროს, ხან თეთრი გააშავოს. ჩვენ-

და საბედნიეროდ, ამ წამხდარს, დაღალულს და შესყიდულს კრებას დიდი დღე აღარა ჰქონდა: კონსტიტუცია თითქმის მზადა ჰქონდათ და ახალი ამორჩევები უნდა მომხდარიყო.

VII

ძნელი წარმოსადგენია, რა გახარებულნი იყვნენ რევოლუციის მოწინააღმდეგენი, როდესაც გაიგეს, მარსის მინდორზედ ხალხი უხოციათო. იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენი კლუბის თავმჯდომარე დიდად პატივცემული მოქალაქე რაფიელ მანკი ამ ამბავზედ ისე შეშინდა, რომ სწორედ სამგლოვიარო სიტყვა სთქვა: „მარატის, ფრერონის, დემულენის და იმათთანვე თავზედ ხელაღებულ მეგაზეთეების ბრალია, რომ ხალხის სისხლი დაიქცაო... მაშ რას იზამდნენ, მეგაზეთეებს ყველანი ქვეყნის მოღალატედ გამოჰყავდათ; ლაფაიეტს, ვაშინგტონის მეგობარს, სამშობლოს მტრობა დასწამეს, და ბაილის, საერო კრების თავმჯდომარეს უარესი უყვეს: სულ იმას დააბრალეს, რაც მოხდა, უვიცობას და სისულელეს უკიჟინებდნენ... ღმერთმა დასწყევლოს მეგაზეთეები! შიგ ყურში ჩაბზუიან კაცს და აღარ მოასვენებენ, მანამ სულ არ გამოატვინებენ და ცხვირს არ წააკვრევინებენ სადმეო“!

აი, როგორ ახსნა ჩვენმა თავმჯდომარემ ხალხის ხოცვა. ჩვენი გლეხები უფრო შორსა ხედავდნენ და თავიანთი სიხარულით ცხადად ამტკიცებდნენ, რომ აქ მეგაზეთეებისაგან კი არა, სულ სხვა მხრიდან მომდინარეობდა ყველაფერი.

იმავე დროს სოფლებში არჩევნები დაიწყო კანონმდებელ საერო კრების წევრების ასარჩევად. ხმოსან მამულიშვილთა სია გაკრული იყო სამამასახლისოს კარებზედ; ჩვენ კი, ვინც დადებულ ხარჯს — სამი მუშის ფასს—არ ვიხდიდით, ჩვენ უხმონი ვიყავით, როგორც 1789 წ. და არჩევნების უფლება არა გვქონდა. განა ჩვენ კი არას ვიხდიდით? ღვინოს, არაყს, ლუდს, თამბაქოს რომ ხარჯი ედო, განა იმ ხარჯს ჩვენ კი არ ვიხდიდით? მშივრები ხომ არ დაგვიხოცებოდით? მაგრამ ვინ იყო ჩვენი გამკითხავი? საცა სამართალია, სმაც ჩვენ უნდა გვქონოდა და ყოველი უფლებაც, რადგან მუშაობითაც და ნამუშევარის ხარჯვითაც ჩვენ უფრო მეტს საგებლობას ვაძლევდით ჩვენს ქვეყანას, ვიდრე ის ძუნწები, რომელნიც არცა სჭამენ, არცა სვამენ და, აქაო და შეძლება აქვთო, ხმასა და მოქალაქობრივ უფლებასაც იმათ აძლევენ.

ერთი სიტყვით დიდი უსამართლობა იყო საფრანგეთის შვილთა ასე განაწილება—ეს ხმოსანი და ეს უხმონიო! ნათლიაჩემიც კი შეძრწუნდა, ეს რომ გაიგო:

— რას სჩადიან ჩვენი დეპუტატები! ისე იქცევიან, თითქო საქმის წახდენასა ცდილობენ! შევცდითო, იტყვიან! მერმე ამოდენა პატრიოტებს რაღა პასუხს მისცემენ, რომ ყოველი უფლება მოაკლეს! თუ თანასწორობას გაიძახოდნენ, არჩევანშიაც თანასწორობა უნდა შემოეღოთ.

არჩევნები მაინც და მაინც მოხდა და სულ მდიდარი, შემძლებელი კაცები აირჩიეს, რომელნიც დიდ ხარჯს იხდიდნენ ნაღდ ფულად. ყველაფერი ფულზედ იყო დამოკიდებული; სწავლა-განათლება, ჭკუა და პატიოსნება ფულს უკან ჩამორჩენოდნენ; ფული ყოფილიყო, თორემ პატიოსნებას ვინა კითხულობდა?

ცოტა ხანს უკან, ის იყო ყანები გაიჭრა, შოველისაგან ამბავი მივიღეთ: კონსტიტუცია შევადგინეთ, მეფემ უკვე მიიღო იგი და პარიზში, ბევრი ბევრი, ერთი კვირა კიდევ დავრჩეო. დანიშნულ დღეს დილაადრიანად ჩავედით მე და ნათლიაჩემი ფალსბურგში. დილიჟანსი რვა საათზედ მოვიდა. მივეგებენით, სიხარულით და სიყვარულით გადავკოცნეთ შოველი და მარგალიტა. მაგრამ თქვენ უკეთ წარმოიდგინეთ, როგორ მიამებოდა მარგალიტას მოსვლა, მე არას ვიტყვი. ღმერთო, როგორ გაზრდილიყო? პატარა კი აღარ იყო! იმისთანა წარმოსადეგი, მშვენიერი რამ გამხდარიყო, იმისთანა კოხტა და მოხდენილი, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. იგივე მარგალიტა იყო, შოველის მარგალიტა, მაგრამ ისე გამოცვლილიყო, რომ დილიჟანსიდან რომ გადმოხტა და შემომძახა: მიშელ! ვერც კი ვბედავდი ჩემი ტლანქი ხელები მომეხვია და გულში ჩამეკრა. შოველი კი სრულიადაც არ გამოცვლილიყო, იტყოდით, ალზასში ან ლორენში ყოფილა, წიგნები გაუყიდნია და ახლა შინ მოსულაო. ძალიან მხიარულად იყო და სულ იცინოდა:

— დავბრუნდით, ჩემო ივანე, დავბრუნდით! საქმეც კარგად არის, ნუ გეშინიათ. ძალიან კმაყოფილი ვარ შენი, მიშელ: შენი წერილები ძალიან მასიამოვნებდნენ ხოლმე.

განა რომ გამეხარდებოდა იმათი ნახვა? მე ის მიკვირს, რატომ არ გავგიჟდი სიხარულით! წამოვიკიდე მარგალიტას მაფრაშა და გავწიეთ ჩვენი სოფლისაკენ; წინ უფროსები, უკან ჩვენ, მე და მარგალიტა.

მაფრაშა ნათლიაჩემის დარბაზში გამახსნევინეს, რადგან მარგალიტას პარიზიდან საჩუქრები მოეტანა და უნდოდა, მაშინვე გაეხარებინა ყველანი. ნათლი-ჯალაბისთვის ერთი კარგი თავშალი, ნიკოლისთვის სანემსე და ფოლადის ნემსები; ჩვენს სოფელში პირველად ვხედავდით მაშინ ფოლადის ნემსებს, მანამდე სულ ხის ნემსსა ვხმარობდით; მიშელისთვის ერთი კარგი უბის საათი, რომელიც

ეხლაც შენახული მაქვს და, თუმცა თითქმის არაფერი ღირს, ქვეყნის სიმდიდრეს მირჩევნია; აგერ აქა მაქვს ზანდუკში... დაძველებულია, მოშლილი, თავის დროზედაც ბევრს არას მისცემდა მარგალიტა... ან რად მინდოდა, ძვირფასი ნივთი რომ მოეტანა რამე? მარგალიტამ კარგად იცოდა, რომ იმისგან მოცემული, რაც უნდა ყოფილიყო, მე ძვირფას განძად მეჩვენებოდა, ჰოდა, ხომ მოშლილი და წამხდარია ჩემი ძველი საათი და, კარგი კაცი უნდა იყოს, რომ მე ის წამართვას; სისხლს შევანთხევ, სისხლს!.. იცით, რა არის სატრფოს პირველი საჩუქარი? მარგალიტა თვრამეტი წლისა იყო; მე ოცდაერთისა... ერთმანეთი გვიყვარდა... სხვა რაღა მოგახსენოთ?

ეგ კი არა და, იმ საღამოს რომ შოველმა სიტყვა თქვა ჩვენს კლუბში, იმას კი დაწვრილებით მოგახსენებთ. დაღალული იყო, რადგან მთელი ექვსი დღე ევლო დილიჟანსით და ნათლიაჩემი ეუბნებოდა, გადასდე, მერე იყოსო:

— სად შეგიძლია, შოველ! შენგან არ მიკვირს? რა არის, რომ დღეს არ იყოს? განა ხვალ არ შეიძლება, ან ხვალზევით?

მაგრამ შოველი არ დათანხმდა და სულ იმას გაიძახოდა, მინდა მოგახსენოთ ჩემი მონდობილობა როგორ ავასრულეო. საღამოზედ ჩვენს კლუბში იმოდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ტევა აღარ იყო; სოფლელებიც ძალიან ბევრნი ჩამოსულიყვნენ. აი, თვით შოველის სიტყვაც დაწერილი შევინახე, რადგან ვგრძნობდი, რომ დიდად ღირდა და შემდეგშიაც მასიამოვნებდა:

„ბატონებო, თქვენ დამავალეთ კონსტიტუციის შედგენა და მე ძალიან მიხარია, რომ შემიძლია გახაროთ, კონსტიტუცია შემდგარი და გათავებული გახლავთ-მეთქი. მეფემ უკვე მიიღო იგი და დაიფიცა, არ ვუღალატებო. მაშასადამე, ჩვენი მმართველობა ახლა ჩვენი კონსტიტუცია იქნება; ეს არის პირველი კანონი ჩვენი ქვეყნისა. მე ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ კონსტიტუცია კარგი ყოფილიყო, რაც კი შემეძლო თქვენს ინტერესებს ვიცავდი და ახლა მინდა მოგახსენოთ, რა მიმართულებას ვადექი საერო კრებაში; ეს ჩემი მოვალეობა გახლავთ; მე ერთ წამსაც არსად დამვიწყებია, რომ პასუხისმგებელი ვარ თქვენს წინაშე. რომ თქვენ მე საქმე დამავალეთ და მე იგი კეთილსინდისიერად უნდა ამესრულებინა.

„თუ პასუხისგება არ იქნება, არც რამე გარიგდება. ვინც თავის საქმეებს მოგვანდობს, უფლება აქვს თავის საქმის ვითარებაც გამოგვკითხოს. მეც მინდა თქვენი საქმის ვითარება მოგახსენოთ. თუ კმაყოფილნი დამრჩით, თქვენს პატივისცემას არ მომაკლებთ; თუ ნახავთ, რომ მე თქვენ მომიტყუები-

ხართ, ზიზღით და ლანძღვით გამისტუმრებთ და ღირსეულად დამსჯით“.

რამდენიმე კაცმა დაიყვირა: ჩვენს დეპუტატს გაუმარჯოს! შოველს გაუმარჯოსო! მაგრამ შოველს ეტყობოდა, არაფრად მოეწონა, რომ სიტყვა შეაწყვეტინეს და ხელით გვანიშნა, კმარა, რადროს ეგ არისო? როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, განაგრძო:

„მოერიდენით დაუფიქრებელ აღტაცებას, რომელიც ისე აგიბამთ თვალებს, რომ მტერსა და მოყვარეს ვეღარ სცნობდეთ. თქვენ რომ დაუფიქრებლივ ყველას ტაშს უკრავდეთ, მე მაგ ჯილდოს აღარც კი ვინდომებ. სად წავა, რომ მეც ტაში დამიკრათ, კარგად გვემსახურაო, და იმასაც, ვინც ფეხქვეშ ორმოს გითხრით?

და იმის მაგივრად რომ ეს გონიერი სიტყვა შეეგნოთ, ერთხმად შესძახეს: — შოველს გაუმარჯოსო! და საშინელი ტაშისკვრა ასტეხეს. რას იზამდა? უნდა გაჩუმებულიყო და ელოდნა, ვიდრე დამშვიდდებოდნენ.

„ახლა კი კმაყოფილნი უნდა ბრძანდებოდეთ: თქვენ, ბატონებო, არ იცოდით და უკვე მოიწონეთ ჩემი მოქმედება და სამსახური. რომ დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი და აღარ მომიწონოთ... ნეტავი მაშინ რაღას მეტყვით“?

და განაგრძო:

„მე რომ თქვენ გამოგეთხოვეთ 13 აპრილს 1789, საფრანგეთი სამ ნაწილად იყო გაყოფილი: დიდებულნი, სასულიერო წოდება და ხალხი, ანუ მესამე წოდება. დიდებულთ და სასულიერო წოდებას ეკუთვნოდათ ყველაფერი—სულიერი და ნივთიერი ყველაფერი იმათი იყო; ჩვენ კი, თუმცა ასჯერ მეტნი ვიყავით, ვიდრე დიდებულნი, ჩვენ გვეკუთვნოდა შრომა, ხარჯის გაღება და უბედურება.

„თქვენგანს ვის არ ეხსომება, რა ჯოჯოხეთის ალში ვიწოდით იმ დროს! გვქონდა რამე, სახელმწიფო ხარჯს ვერ ასდიოდა, არა გვქონდა და შიმშილით ვკვდებოდით. იმოდენა ხარჯს ზედ კიდევ გვალვა და შიმშილი ერთვოდა და, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ქვეყანა იღუპებოდა.

„აბა ვნახოთ, რა შესძინა საერო კრებამ ქვეყანას იმოდენა უბედურების მაგივრად? ვნახოთ, რას უნდა მოველოდეთ კონსტიტუციისაგან და რა დაგვრჩა, ან რა მიზეზით დაგვრჩა, შეუცვლელი.

„ამ ოცდარვა თვის განმავლობაში ორიათას ხუთასამდე განაჩენი დავადგინეთ და, რასაკვირველია, შეუძლებელი იქ-

ნება დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე, გადმოგცეთ ყველაფერი; მაგრამ უმთავრესი კი ყველამ უნდა იცოდეს და მეც ვეცდები შეძლების დაგვარად მოგახსენოთ რაც რევოლუციამ შეგვძინა. უპირველეს ყოვლისა ის მინდა გახაროთ, რომ საფრანგეთში სხვადასხვა წოდება გაუქმებულია; ეს გახლავთ პირველი მუხლი კონსტიტუციისა: „ადამიანი თავისუფლად იბადება და თავისუფლად და სხვათა თანასწორად რჩება სიკვდილამდე. საერო კრებამ, რა განიზრახა საფრანგეთის კონსტიტუციის დამყარება ადამიანის უფლებათა ზედა, გააუქმა ყოველი უთანასწორობა კაცთა შორის. დღეიდან აღარ არსებობენ აღარც დიდებულნი, აღარც მემკვიდრეობითი უპირატესობანი, აღარც ბატონყმობა, აღარც რაიმე წოდება, აღარც რაიმე უპირატესობა მოხელე პირთა“. დღეიდან აღარ არსებობს აღარც ყიდვითი და აღარც მემკვიდრეობითი შეძენა რაიმე მოხელეობისა. კონსტიტუციისამებრ აკრძალულია ტერად ან მონოზნად შედგომა, რადგან ბერობა ეწინააღმდეგება ბუნებრივ კანონებს ადამიანის სიცოცხლისას. კონსტიტუციის ძალით ყოველ ფრანგს ეძლევა უფლება სახელმწიფო და საერო სამსახურში ალაგი რამ დაიჭიროს, ოღონდ ნიჭი შესწევდეს და შრომა უყვარდეს. ახალი კანონისამებრ ყოველი სახელმწიფო ხარჯი და გარდასახადი განაწილებული უნდა იყოს განურჩევლად ყველა ფრანგთა შორის მათ შეძლების დაგვარად, და ერთი და იგივე დანაშაული ერთი და იმავე სასჯელით იქნება დასჯილი მიუხედავად დამნაშავის შთამომავლობის და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

„აი, რა დავადგინეთ კონსტიტუციის დასაწყისშივე და უნდა მოგახსენოთ, რომ მეც სრული თანხმობა გამოვაცხადე ამ ცვლილებისა, რადგან ჩემი აზრით, საცა სამართალია, იქ თანასწორობაც უნდა იყოს. დამეთანხმებით, ბატონებო, რომ ამ მხრივ მეტს ვერას ისურვებდით. ეს ერთი.

„მეორე მუხლი თავისუფლებას შეეხება. სხვადასხვა უფლება ადამიანისა ჯაჭვივით არის გადაბმული და დამყარებული ერთიერთმანეთზე. თუ მამულიშვილს თავისუფლება არა აქვს, რომ სთქვას, დასწეროს, დაბეჭდოს და გაავრცელოს თავისი აზრები, მაშინ სულ ერთია, აქვს რამე უფლება, თუ არა, რადგან ძალიან უსამართლოდაც რომ მოექცნენ, არავითარი საშუალება არა აქვს, ხალხს მიმართოს თავის საჩივრით, დაათრგუნვინოს თავის უფლების შემლახველნი და ძირიანად ამოაგდებინოს ყოველი უსამართლობა. სადაც თავისუფლება

არ არის, იქ კანონი ცარიელი სიტყვაა, სადაც თავისუფლებ: არ არის, იქ მართალი ყოველთვის ის არის, ვინც უფრო მძლავრია: პირზედ ხელს მიაფარებს და ისე გასძარცვავს და ყელს გამოღადრის თავისზედ სუსტს, სადაც კი მოასწრებს. ამიტომ კონსტიტუციამ ყოველი მამულიშვილის ბუნებრივ და ხელშეუხებელ უფლებად აღიარა თავისუფლება სიტყვისა, წერისა, აზრისა, ბეჭდვისა და ყველა ამის ხალხში ყოველ საშუალებით გავრცელებისა.

„ამას მოსდევს თავისუფლება მოძრაობისა, რომლითაც ადამიანს შეუძლია, როდესაც და სადაც უნდა, წავიდეს, ოღონდ კანონის წინააღმდეგი არა ჩაიდინოს რა; შემდეგ თავისუფლება სარწმუნოებისა, რომლითაც ადამიანს უფლება აქვს თავისნებად აირჩიოს, რომელიც ნებავს სარწმუნოება; თავისუფლება უმაღლეს მთავრობისადმი საჩივრის და თხოვნის მირთმევისა; თავისუფლება კრებისა, რომლითაც აღარავის აეკრძალება ხალხის შეკრება და საერო საქმეზედ და სხვა რამეზედ სჯა და ბაასი; ერთი სიტყვით ადამიანს თავისუფლება ეძლევა, რაც უნდა მოიმოქმედოს და როგორც უნდა იცხოვროს, ოღონდ სხვას ნურას ავნებს.

„საცა სამართალია, იქ თანასწორობაც არის-მეთქი, მოგახსენეთ. სამართალი ერსად არის თუ სრულ თავისუფლებაზედ არ არის დამყარებული. თავისუფლებას მოსდევს ძმობა. კონსტიტუციის ძალით დაფუძნებულ უნდა იყოს დაწესებულება, რომელიც უნდა ეხმარებოდეს ღარიბთ, უძლურთ, და უსაქმურად და, მაშასადამე, ულუკმაპუროდ დარჩენილ მუშათ. მოწყალებას კი არ გაიღებს ეს დაწესებულება: მოწყალება ამცირებს ადამიანს, პირად ღირსებას აკლებს და თავისივე თანასწორის წინაშე ამდაბლებს და შეურაცყოფს მას; მოწყალება სულმდაბლად ჰქმნის ადამიანს; კონსტიტუციას ის კი არ უნდა, გაჭირებული დაამდაბლოს, ადამიანებრივი ღირსება დაუმციროს და მით ჭირზედ ჭირი დაურთოს; ეს არც შეეფერება და ავნებს კიდეც ძლიერებას ერისას. კონსტიტუციის ძალით ქველმოქმედება კერძო პირის გულკეთილობად კი არა, საზოგადოებრივ ვალდებულებად არის აღიარებული. მაგრამ ესეც არ იკმარა კონსტიტუციამ და უფრო შორს გასწია საზოგადოებად მცხოვრებ ადამიანთა ძმობა; მან შემოიღო ხალხის განათლება: იქნება გახსოვდეთ მაცხოვრის სიტყვები: არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა.

„კონსტიტუციამ კარგად შეიგნო ამ ძლიერი სიტყვის მნიშვნელობა და მის განსახორციელებლად შემოიღო საერთო სწავლა-განათლება ყველა მამულიშვილთათვის. რაც კი ყოველმა მამულიშვილმა უნდა აუცილებლად იცოდეს — წერა-კითხვა, ანგარიში, სამღვთო რჯული და სამშობლოს ისტორია, ეს აუცილებლად საჭირო ცოდნა უსასყიდლოდ იქნება სახალხო სკოლებში, რომლითაც მოფენილი უნდა იქმნას მთელი ჩვენი ქვეყანა.

„ამგვარად, ბატონებო, პირველი ნაწილი კონსტიტუციისა შეიძლება სამი სიტყვით გამოვხატოთ: თანასწორობა, თავისუფლება, ძმობა! აი, ადამიანის უფლებანი. ხომ გახსოვთ, როგორი დაჩაგრული იყო უწინ საწყალი კაცი: ვინც ღარიბი იყო და ერთი ხელის გულისოდენა ტალახი ჰქონდა, იმას იმდენ ხარჯს ადებდნენ, რომ ვერც კი ასდიოდა; და ვინც მდიდარი იყო და ათას-ათასი დღიურები ჰქონდა გადაჭიმული, იმას არც ხარჯს ადებდნენ და არც გადასახადს. კონსტიტუციამ გააუქმა ყოველი განსხვავება: ხარჯი და გადასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს მამულის რაოდენობისამებრ.

„დღეის შემდეგ ყოველი შენობა და მამული, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არის აგებული ან დადებული, მეფის საკუთრებად კი არა, საერო საკუთრებად იქნება ჩარიცხული. ციხე-სიმაგრეები, გზები, სასეირო ადგილები, ძეგლები და სხვ. და სხვ. გარდა ამისა, რაც აქამდე სასულიერო წოდების კუთვნილებად ითვლებოდა, ყველა საეკლესიო მამულები და მონასტრების სხვადასხვა საკუთრება, საერო საკუთრებად არის დადებული და რადგან სახელმწიფო ხაზინას დიდი ვალი ადევს, ეს მამულები იყიდება, რომ ვალი გადაწყდეს; როგორც ხედავთ სახელმწიფო ვალიც კი აღარ უნდა გვაშინებდეს. საერო კრებამ დაადგინა, რომ ამ ცოტა ხანში შედგენილი უნდა იქნას მოქალაქებრივ კანონების ტრაქტატი, რომლითაც განმარტებული იქნება ურთიერთ შორის განწყობილება კაცთა და მათი უძრავ-მოძრავი საკუთრებისა. ამ ტრაქტატმა უნდა ამოაგდოს ძველთაგან დარჩენილი რომაელთა კანონები და ადათები, რომელნიც, როგორც მოგეხსენებათ, სხვადასხვა სოფელში სულ სხვადასხვანაირად იხმარებიან და მით რევენ და ხელს უშლიან მართლმსაჯულებას.

„მე დღეს არაფერს მოგახსენებთ შესახებ იმისა, თუ როგორ და რამდენ ნაწილად არის გაყოფილი ჩვენი ქვეყანა; რა წესით და როდის უნდა იქმნას ხოლმე ამომრჩეველი კრებები ერის წარმომადგენელთა ამოსარჩევად: რა საფუძველზე და რა კანონებით არის შეზღუდული მეფის ძალა; ვინ და რა უფლებით

იქნება აღჭურვილი მეფის მოადგილედ, როდესაც მეფე მცირეწლოვანია; რა უფლება ექნებათ მინისტრებს; რა განწყობილება აქვთ ურთიერთ შორის მეფეს და კანონმდებელ კრებას; ვინ იქნებიან აღჭურვილნი აღმასრულებელი ძალით; რა საფუძველზედ იქნება დამყარებული საფრანგეთის განწყობილება სხვადასხვა სახელმწიფოებთან; ამისას დღეს არაფერს მოგახსენებთ, რადგან ეს ყველაფერი დაწვრილებით არის განწესებული კონსტიტუციაში. მაგრამ ერთი საგანია, რომელიც პირდაპირ შეეხება ჩვენს კეთილდღეობას და შეეხება არა ორ წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველ წამს და ამიტომ მინდა ცოტა რამ ამ საგნის შესახებ მოგახსენოთ. ეს საგანი გახლავთ ფული. ამიტომ რაც ხანი საერო კრებაში გახლდით, სულ ყოველთვის იმის ზრუნვაში ვიყავი, რომ გამეგო და ხალხისთვისაც გამეგებინებინა, ვინ გვართმევს ჩვენ, ხარჯის მძლეველთ, ფულს, სად მიაქვს ის ფული, ვის აბარებს და ვინ ან რაზე ხარჯავს ჩვენს ნაჭირნახულევს, ჩვენის ოფლით დამბალ ფულს. ისე ფინანსიური კომისია არ ამოურჩევიათ, რომ მეც შიგ არ მოვყოლოდი, რომ უკეთ გამეცნო ეს საგანი და თქვენც მესიამოვნებინეთ, რადგან ხარჯის გაღება მაშინ უფრო გაუადვილდება კაცს, როდესაც იცის, რომ მისი ფული საზოგადო საქმეს მოხმარდება და არა მუქთახორა დიდებულთა ქეიფს“.

თუმცა ყველას კარგად ახსოვდა შოველის თხოვნა, ტაშს ნუ დამიკრავთო, მაგრამ ეს სიტყვები ისე მოეწონა ყველას რომ იმოდენა ხალხმა ტაშისკვრა დაუწყო. თითონ შოველიც მხიარულად იღიმებოდა, რადგან ხედავდა, რომ შიგ გულში მოხვდა სიტყვა ყაირათიან გლეხკაცს და მუშას.

ყველაზედ კმაყოფილი ნათლიაჩემი იყო. ტაშს უკრავდა და იძახდა:

— მართალი არ არის თუ? რა კარგად გვიცნობს ეგ კურთხეულიშვილი, ეგა.

ბოლოს ხალხი დაწყნარდა და შოველმა განაგრძო:

„აქამდე მთელი საფრანგეთი მეფის სურვილზედ იყო დამყარებული; მეფე იყო ჩვენი უმაღლესი ბატონი და პატრონი, იმას უნდა დავმორჩილებოდით ყველაფერში, და რაც უნდა უსამართლოდ მოგვქცეოდა თავის ქვეშევრდომთ, პირუტყვივით გაჩუმებულნი უნდა ვყოფილიყავით, რადგან სულით ხორცამდე იმის საკუთრებად ვიყავით; ჩვენ ჩვენი არა გვქონდა რა, არც მამული, არც საქონელი: მამულიც, საქონელიც და პირად ჩვენც მეფისა ვიყავით. ფული დასჭირდებოდა, სათემო კრებას უბრძანებდა და ისიც ხალხს შეაწერდა და მიართმევდა, იქნება კიდეც დაღრე-

ჯილიყვნენ კრების წევრნი, მაგრამ უარს ვინ გაუბედავდა, რადგან იცოდნენ, რომ დაუვლიდნენ ხარჯის მკრეფნი და დააწიოკებდნენ ქვეყანას. ხალხს რა შეეძლო? თუ ჰქონდა აძლევდა; თუ არა და, ან უკანასკნელ ძროხას წაუქცევდნენ, ან უკანასკნელ ერთხელ ქვეშაგებს გაუყიდდნენ და მეფეს კი არას დააკლებდნენ. შეექცეოდა! სახელმწიფოც იმისი იყო, სახელმწიფო ხაზინაც და მაშასადამე ანგარიშსაც არავის მისცემდა. ასე იყო და დღეს კი ძირიანად შეცვლილია ეს ყველაფერი. კონსტიტუციამ დაადგინა, რომ ხარჯს მთელს საფრანგეთში კანონმდებელი კრება გააწერს ყოველ წელს; მაშასადამე თქვენ თითონვე გაიწერთ, ბატონებო, რა ხარჯის გადახდაც გუნებებათ, თქვენ, ესე იგი თქვენგან ამორჩეული წარმომადგენელნი, რომელნიც თქვენი ნდობით იქნებიან აღჭურვილნი. თუ გლეხკაცები აირჩიეთ თქვენს წარმომადგენლებად, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იმათ ადვილად ვერავინ დაიყოლიებს და იმაზედ მეტს ხარჯს ვერ აკისრებინებს, რაც მართლა საჭიროა სახელმწიფოსთვის; და თუ სხვანი აირჩიეთ... ეგ თქვენი საქმეა. პატიოსანი კაცი ყველა წოდებაში მოიპოვება, მაგრამ უნდა პატიოსნად იცნობდეთ და ისე აირჩიოთ.

„კანონმდებელი კრება ყოველ ორ წელიწადში უნდა იცვლებოდეს და თუ კრებამ ხარჯი არ გააწერა, თქვენ შეგიძლიათ აღარა გაიღოთ რა; მაშინ გროშსაც ვერავინ მოგთხოვთ. აი, რით არის ძლიერი ჩვენი კონსტიტუცია: კანონმდებელი კრება ხარჯს არ გააწერს და მით აიძულებს მეფეს დამორჩილდეს კონსტიტუციას.

„გარდა ამისა, რადგან შეიძლება თქვენმა დეპუტატებმა გიღალატონ, — რაც სასახლიდანა სთხოვონ, სულ ყველაფერზედ დათანხმდნენ — და უფრო მეტი შემოგაწერონ, ვიდრე საჭიროება მოითხოვს, კონსტიტუციის ძალით ყოველმა კანონმდებელმა კრებამ უნდა დაბეჭდოს და ხალხში გაავრცელოს სრული ანგარიში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა. ამგვარად, ვინც კი მოისურვებს საერო საქმეების მდგომარეობის გაგებას, ამ ანგარიშს გადასინჯავს და ნახავს, სად და რაზედ იხარჯება იმისი ფული. ამ ანგარიშითვე ნახავს, როგორ ემსახურება იმას თავისი წარმომადგენელი; უფთხილდება თავის ამომრჩეველთა ჯიბეს, თუ თვალდახუჭული სჩადის, რასაც ჩასძახებენ. ერთი სიტყვით, ყოველ თქვენგანს თვალწინ ექნება სახელმწიფოს საქმე და ისევე ეცოდინება იგი, როგორც თავისი კერძო საქმეები.

„ამაზედ უკეთესს კონტროლს, მგონი, რომ თქვენც არ მოელო-

დით. კონსტიტუციის ძალით სახელმწიფო ვალები გადახდილ უნდა იქმნას და გარდა ამისა მეფეს და იმის მახლობელთ ძველებურად უნდა ეძლეოდეთ იმდენი, რამდენიც აქამდე ჰქონიათ; და საქმე ახლა ის არის, მოგეწონებათ და დაეთანხმებით ამ ხარჯს, თუ არა? სახელმწიფო ხაზინის ვალი მთელი ერის ვალია და მეც, რასაკვირველია, თანხმობა გამოვაცხადე — ვალს გადახდა უნდა-მეთქი; ჩვენისთანა ძლიერ ერს არ შეუძლია თავის თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს; პირიქით მისი მოვალეები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ სხვას უფრო საიმედოს ვერავის ასესხებენ თავიანთ ფულს; თავს გაიყიდის ყოველი ჩვენგანი და იმას კი ვერ იზამს, რომ სამშობლოს გაკოტრების ხმა გაუვარდეს.

„გავსინჯოთ ახლა მეფისა და იმის მახლობელთათვის გადადებული ფულები. სახელმწიფოს ბევრნაირი ხარჯი აქვს და მე ჯერაც ვერ გამიგია, ყველაზედ წინ მეფე რად უნდა დავაყენოთ და უპირატესობა იმას რად უნდა მივცეთ? განა ჩვენი მსაჯულნი, გამგებელნი, ჯარისკაცები და სხვა მოხელენი კი დარწმუნებულნი არ უნდა იყვნენ, რომ ჯამაგირს სრულად და დანიშნულ დროზედ მიიღებენ? ერის სიცოცხლე ამ მოხელეებზედ არის დამოკიდებული და რად უნდა იჩაგრებოდნენ ისინი მეფისაგან და ჯამაგირს მარტო მაშინ იღებდნენ, როდესაც მეფემ თავისი უკვე შეისრულა? მე ეს ვერ გამიგია! ამიტომ საერო კრებაში მე ამ ხარჯის წინააღმდეგობა გამოვაცხადე. მე იქაც წინააღმდეგი გახლდით და დღესაც ვიძახი, რომ თუ ჩვენს კონსტიტუციას წუნი აქვს რამე, უმთავრესი წუნი ეს ხარჯი არის. მაგრამ ამაზედ ნუ შევჩერდებით, უცოდველი მარტო ღმერთიაო, ნათქვამია. გარდა ამისა კონსტიტუციის ძალით კანონმდებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რამდენს დაუნიშნავს ყოველ ახალ მეფეს და იქნება ამითი მაინც ეშველოს საქმეს; იქნება იმისთანა დროც დადგეს, რომ კანონმდებელმა კრებამ დაინახოს, რა სამარცხვინოა მილიონების ხარჯვა ერთ კაცზედ, რომელსაც ათასობით მოსამსახურენი და მოახლენი ახვევიან! იქნება კრებამ დაინახოს, რა ცოდვაა მუშაკაცის გაღატაკება და მით უსაქმურის და უქნარის ამპარტავნების გაზვიადება.

„დიაღ, ჩვენ თუ არ მოვესწარით, ჩვენი შვილები ხომ მოესწრებიან იმ დროს, როდესაც სამართალი დამყარდება ქვეყანაზედ ღა ყველგან თავის შუქს მოჰფენს. მანამდე კონსტიტუციისაც დიდი მადლიერი უნდა იყოს ჩვენი ხალხი. რაც ჩვენ ტანჯვა-წვალება გამოგვივლია, ეს კი არა, ნაკლებიც რომ ყოფილიყო, მაინც მადლობას შევწირავდით უფალს. მცირე კი არ გეგონოთ ჩვენი გამარჯვება! რასაც ჩვენი უბედური წინაპარნი თვალცრემლიანნი შესთხოვდ-

ნენ ღმერთს საუკუნეთა განმავლობაში, დღეს უკვე შევიძინეთ და იმედია ვეღარავინ წაგვართმევს: დღეს ჩვენა გვაქვს მჭიდრო საფუძველზედ დამყარებული უფლებანი და საკმარი ძალ-ღონე, რომ ჩვენი უფლება აღარავის შევალახვინოთ. აქამდე ქედმოხრილი საქონელი ვიყავით, დღეს თავისუფალი ადამიანი გავხდით.

„მიუხედავად ურიცხვი ლანძღვა-გინებისა და ცილისწამებისა, რომლითაც ჩვენი უწინდელი ბატონები გვამკობდნენ; მიუხედავად ათასგვარი ეშმაკობისა და ფლიდობისა, რომლითაც ცდილობდნენ ჩვენში უთანხმოება ჩამოეგდოთ, გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა, ბატონებო! მაგრამ ეს გამარჯვება მოსვენებას და განცხრომას კი არა, უფრო მეტს სიფთხილეს მოითხოვს თქვენგან ახლა, როდესაც „დიდებულნი მამულისშვილნი“ ათასობით გადიან გერმანიაში, ინგლისში და რუსეთში, რომ ცისა და ქვეყნის რისხვა აღძრან თავიანთ სამშობლოზე; ეხლა, როდესაც ჩვენშიაც მრავალნი დარჩენილან დიდებულნი მარტო იმ განძრახვით, რომ ვითომდა ღვთისა და სარწმუნოების დასაცველად კონსტიტუციის წინააღმდეგ დასავლეთ საფრანგეთში გაუნათლებელი ხალხი ააჯანყონ; ახლა, როდესაც დიდებულნი შიგნიდან ხალხის აჯანყებას გვიპირებენ და გარედან მთელი ევროპის შემოსევას, რომ დაკარგული დიდება და უპირატესობანი მოიპოვონ; ეხლა გვმართებს სიფთხილე და ერთობა, ბატონებო! სამშობლო რომ განსაცდელში იმყოფებოდეს, განაღა ჩვენ ჩვენი უთანხმოება და უსიამოვნება უნდა გვახსოვდეს! შევერთდეთ, ძმანო, და ჩვენს შორის ხსენებაც ნუ იყოს ხმოსან და უხმო მამულიშვილთა გარჩევაზედ. სამშობლომ ეს გარჩევა არ იცის, იმისთვის ყველა შვილი შვილია და ჩვენს კონსტიტუციაში ეს არის ერთადერთი უვარგისი და სამარცხვინო მუხლი და ისიც — ღმერთმა ჰკითხოს იმ უმრავლესობას, რომელმაც მარტო რიცხვით ისარგებლა და ჯიბრით დაადგინა ეგ უსამართლობა! არც დიდი ხანი დარჩება ჩვენში ეს განსხვავება: ძალიან მალე დარწმუნდებიან შემძლებელნი, რომ მარტონი ვერას გახდებიან, არისტოკრატიას და სასულიერო წოდებას ვერ გაუმკლავდებიან და, თუ ნებავთ საერთო გამარჯვებით ისარგებლონ და საერთო გამარჯვების ნაყოფით დასტკბნენ, ხალხს უნდა დაუკავშირდნენ და საკუთარი ხელით წაშალონ ეს იმათივე შემარცხვენელი და დამღუპველი განცალკევება.

„ერთი სიტყვა კიდევ.

„კონსტიტუციამ, როგორც მოგახსენეთ, ბევრი რამ შეგვძინა. მაგრამ შეძენილს შენახვაც უნდა. და თუ გნებავთ ის სიკეთე შეინარჩუნოთ, ბატონებო, რომელიც რევოლუციამ შემოგძღვ-

ნათ. ეცადენით ყველას შეაგნებინოთ, რომ ბატონი თითონ არის, გეყურებათ, ბატონი თითონ არის ყველა ჩვენგანი. ეცადენით ყველას შეაგნებინოთ, რომ ყოველი მოხელე, სულ უმაღლესიდან დაწყებული უკანასკნელამდე. მეფიდან დაწყებული სულ უბრალო მეველემდე, იმისთვის კი არ არის დაწესებული, რომ ცხოვრება და ბატონობა ნებავთ, ხშირად მემკვიდრეობითი ბატონობაც, არამედ მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გვემსახურონ, ჩვენ, რადგან საქმეზედაც და თანამდებობაზედაც ჩვენ ვაყენებთ და ჯამაგირსაც ჩვენ ვაძლევთ. ჩვენ კი არა ვართ იმათთვის, ისინი არიან ჩვენთვის და, ვისაც ჯამაგირს მივცემთ, ჩვენი მოსამსახურე იქნება. აი, ბატონებო, ეს შეიგნოს კარგად ჩვენმა ხალხმა; ეს შთააგონოს თავის შვილებს და შვილიშვილებს! ჩვენი ერის დიდება და ძლიერება მარტო ამაზედ არის დამოკიდებული. მეფე ჩვენი მოხელე უნდა იყოს და არა ჩვენი ბატონი. რაკი ამას შეიგნებს ხალხი, მაშინ სამშობლოს დიდებასაც ეცდება და მაშინ განახორციელებს ძველთაგან თქმულს: კაცი ხალხისთვის და ხალხი კაცისთვისაო! ნურავის შეალახვინებთ კერძო პირის უფლებას; გაიგოთ თუ არა მისი ყვირილი, მაშინვე მიეშველენით ყველანი და თქვენი ძალა აგრძნობინეთ თავხედს! ნუ მოითმენთ, რომ ვინმე დიდებული მოხელე, თუნდა იოტის ოდნადაც იყოს, თქვენს უფლებას შეეხოს; წამოდექით ყველანი, საყვირი დაჰკარით, ქვეყანა შეჰყარეთ და საუკუნოდ გადააჩვიეთ თქვენს შევიწროვებას.

„პირდაპირ მოგახსენებთ, ვინც თავის უფლებას ცოტაც არის შეალახვინებს ვისმე, ლაჩარია, თავზედ ქუდი არა ხურავს! ის კაცი კი არა, პირუტყვზედ უარესია! და ვინც თავის მოძმეს დაჩაგრულსა ხედავს და იმის, და მაშასადამე, თავის უფლებათა აღსადგენად არ მიეშველება, ის კიდევ უარესი ლაჩარია და თავის ქვეყნის და ერის მოღალატე! ჩვენი ცხოვრება საუკუნოთა განმავლობაში ცარიელი ტანჯვა-წვალება იყო, რადგან ჩვენი ბედიღბალი უსამართლობაზედ და მეფეების სურვილზედ იყო დამოკიდებული. ახლა კი დროა ჩვენი ცხოვრების საფუძვლად მაგარი და ურყეველი რამ ვიქონიოთ, დედაბოძად კონსტიტუცია გავიხადოთ და ჩვენს მოსისხლე მტრად ვიგულოთ ყველა, ვინც კონსტიტუციის გაუქმებას მოიწადინებს. მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, ბედნიერნი ვართო და მთელი ევროპაც რომ შემოგვესიოს, მით ჩვენ არავისი შეგვეშინდება, რადგან ერი, რომელიც სიმართლეზედ დამყარებულს თავის უფლებას იცავს, თავის დღეში არ დამარცხდება“.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვამ და ძნელი ასაწე-

რია, რა აღტაცებულნი იყვნენ ყველანი. თავმჯდომარემ რაფიელმა მადლობა გამოუცხადა შოველს და პატრიოტებმა ერთხმად კლუბის წევრად აირჩიეს. ათი საათი იყო, რომ შინისკენ გავემგზავრენით.

VIII

1791 წ. ოქტომბერში კანონმდებელი კრების დაწყების დროს შოველი ფალსბურგში გადასახლდა; სამი კვირა არ დარჩენილა ჩვენს სოფელში: თავისი სახლი ლეტუმიეს მიჰყიდა, რომელიც თავის ქალს — ქრისტინეს — ათხოვებდა. თითონ კი ფალსბურგში ბაზრის პირდაპირ მოხუცებული ბარუხ არონის სახლის ძირის სართული დაიჭირა ქირით, ქუჩის პირ ოთახში წიგნებისთვის და გაზეთებისთვის ყაფაზები გამართა და სავაჭროდ გაშალა წიგნები, რომელიც დიდროვან ცალობით მოსდიოდა პარიზიდან. თვითონ და მარგალიტა ადგილობრივ ვაჭრობდნენ და ალზასსა და ლორენში წიგნების გასასყიდად ორი მოჯამაგირე დაიჭირა — ტუბა და მარკოზ დივე. იმისთანა ვაჭრობა გააჩაღა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა.

შოველმავე მოიტანა ჩვენში პატარა სამფერი წამოსასხამი ქალისა, რომელზედაც დაბეჭდილი იყო ადამიანისა და მამულიშვილის უფლებანი. დაინახეს ჩვენებურმა ქალებმა და ყველამ ის წამოისხა. მაგრამ არც რევოლიუციის მოწინააღმდეგე ქალები ჩამორჩენ უკან და თავიანთ წამოსასხამზე სხვადასხვა ლოცვები დაებეჭდვინებინათ და გარდა ამისა, შემდეგი სიტყვები: „თუ საეკლესიო მამულების შემსყიდველნი კმაყოფილნი არ არიან, თავიანთ ფულს უკანვე მიიღებენ, როდესაც ერი ასიგნაციებს გაანაღდებს“.

შოველის დუქანში ყოველნაირი წიგნი იყიდებოდა, როგორც პოლიტიკური, რევოლუციური, აგრეთვე კატეხიზმოსი და რევოლუციის მოწინააღმდეგე ბერების ნაწერები; როგორც გახიზნულთა გაზეთები, აგრეთვე ჩვენი „ხალხის მეგობარი“ და პატრიოტული წერილები მ. დიუშენისა“. ერთხელ ნათლიაჩემმა უსაყვედურა, მაგ მავნე მიმართულების გაზეთებს რადა ჰყიდიო?

შოველმა უპასუხა:

— რატომ არა, ჩემო ივანე? იქნება გგონია, ამით გვაზარალოს? რამე? შენც არ მომიკვდე! პირიქით დიდ სამსახურს გვიწევენ, რომ თავიანთსას არას მალავენ; დეე, ბეჭდონ თავიანთი აზრები და ხალხს იმად ეჩვენონ, რაც მართლა ბრძანდებიან. ჩვენც ეგ არ გვინდა? ჩვენს საქმეს ისინი უკეთ არიგებენ, ვიდრე ჩვენ.

იმავე დროს შოველმა მოინდომა პატრიოტებისთვის გაზეთების კითხვა გაეადვილებინა და ამ მიზნით მეორე ოთახში ერთი უშველებელი მაგიდა დასდგა, გარს სკამები შემოუწყო და ზედ დაალაგა, რაც კი გაზეთები მოსდიოდა. თავისუფლად შედიოდა ყველა და ერთ კაპეიკად ქვეყნის გაზეთებს კითხულობდა.

კარგი აზრი არ იყო თუ?! პარიზში თურმე ძალიან ხშირი იყო ამგვარი სამკითხველოები და ჩვენში კი აზრადაც არავის მოსდიოდა ამ სასარგებლო დაწესებულების შემოღება.

ის კი არ იფიქროთ, სამკითხველოს და წიგნების ვაჭრობას მოუნდებოდა და საზოგადო საქმისას ველარას გაარიგებდაო. ერთიცა და მეორეც შოველმა მარტო იმიტომ დაიწყო, რომ საზოგადო საქმეს დახმარებოდა. ჩვენს კლუბში რაფიელ მანკის მაგიერად თავმჯდომარედ ის ავირჩიეთ და კვირაში სამჯერ შვიდი საათის შემდეგ ისე აივსებოდა ხოლმე დახურული ბაზარი, რომ ტევა აღარ იყო.

სწორედ შვიდ საათზედ შემოვიდოდა შოველიც. თავს დაუკრავდა ხალხს, თავის სავარძელში დაჯდებოდა, ბურნუთის კოლოფს და ცხვირსახოცს მარჯვნივ დაიდებდა და დაიძახებდა:

— ბატონებო, კრება გახსნილია.

გაშლიდა „მოამბეს“*) და ხმა მაღლა წაგვიკითხავდა კანონმდებელ კრებაზედ აღძრულ საკითხებს და ორატორთაგან წარმოთქმულ სიტყვებს. ხანდახან იაკობელების კლუბში ნათქვამს წაგვიკითხავდა „მოკამათე ჟურნალში“. როცა შეხვდებოდა რასმე იმისთანას, რომ უმრავლესობა ვერ გაიგებდა, დაწვრილებით აგვიხსნიდა. ბოლოს, როდესაც წასაკითხავი აღარა ექნებოდა რა, გვეტყოდა:

— აი, ბატონებო, როგორ მომდინარეობენ ჩვენი საქმეები. იქნება სიტყვა სურდეს ვისმე?

ხან ერთსა ჰქონდა რამ სათქმელი, ხან მეორეს. მოვისმენდით, პასუხს მივცემდით. დახურული ბაზარი გატენილი იყო ხოლმე ხალხით. მარტო მუშები და მოქალაქენი კი არა, მოხელეები, და თვით ბ. ბაზლერიც კი, საერო კრების მიერ ათისთავ რავეტის მაგიერად ოვერნელი რაზმის წინამძღოლად დანიშნული, არც ერთს კრებას არ დააკლდებოდნენ. ყველას მოეპოვებოდა რამე სათქმელი ან საკითხავი; სხვანი გაჩუმებულნი ისმენდნენ. დაჰკრავდა თუ არა ათ საათს, შოველიც წამოიწევდა და კმაყოფილი კილოთი შემოგვძახებდა:

---

*) „Moniteur“.

— საზოგადო საქმეები გავისტუმრეთ. ორშაბათამდის, ბატონებო!

კრებები ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით გვქონდა.

ამჯ იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენი დროისა ყველაფერი დაწვრილებით აგიწეროთ, თორემ იმ დროს მე კლუბი კი არა, სულ სხვა რამ მედო თავში. ეს იმ დროს გახლდათ, როდესაც ყოველ კვირას მოკმაზულ-მოპრანჭული მივეშურებოდი მარგალიტასკენ და იმის ცქერით ვეღარა ვძღებოდი. უწინდელი ჩაჩულია მიშელი კი აღარ გახლდით! იმისთანა კოხტა ბიჭი ვიყავ, რომ... თვეში ერთხელ წვერსაც კი ვიპარსავდი.

ან როგორღა შეიძლებოდა ძველებურად უშნოდ მევლო, როდესაც საკუთარი თვალითა ვხედავდი, რომ ჩემი ტოლი ბიჭები და ბევრნი ჩემზედ შემძლებელნიც თვალს აღარ აშორებდნენ მარგალიტას და, საცა კი შეიძლებოდა, გარს ევლებოდნენ. ნეტავი მარტო მუშები და გლეხები ყოფილიყვნენ, კიდევ აიტანდა კაცი. მაგრამ არა! ოვერნელი რაზმის უფროსები და დიდი გვარიშვილი ყმაწვილი კაცებიც კი დაიარებოდნენ შოველთან, — ვითომ წიგნების საყიდლად—იცინოდნენ, ლაზღანდარობდნენ და თვალი კი მარგალიტაზედ რჩებოდათ. მე მაშინვე შევნიშნე, რომ საქმე ცუდად იყო. ჰოდა, უნდა გენახათ, როგორ ვიხეხდი პირისახეს! ნეტავი ტყავი რატომ არა მძვრებოდა? კვირა დილით მოვუჯდებოდი ხოლმე ჩემს პატარა სარკეს და ვიყავი ერთ ვაივაგლახში: ჩავიცვამდი, არ მომეწონებოდა... ასჯერ მაინც მოვისვამდი ყელზედ ხელს, ყელსახვევი ხომ არ დამავიწყდა-მეთქი. სულ ოფლში ვიწურებოდი! ცხრა საათის შემდეგ, როდესაც დედაჩემი თოვლიან გზას გაუდგებოდა, რომ ანრიდორფში კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლის წირვა და ქადაგება მოესმინა, მამაჩემი ნელი ნაბიჯით ამოცოცდებოდა კიბეზედ, თავს შემოჰყოფდა ბალახანაში და შემომძახებდა:

— დედაშენი წავიდა, მიშელ! გინდა, მოგეხმარო?

იმდენს ვეწვალებოდით, იმდენს, რომ როგორც იქნებოდა ჩავიცვამდი. მამაჩემი კი შემომხაროდა:

— იცი, მიშელ! იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილი ხარ, არა, ღმერთმა იცის! მაგრამ ჩვენს მხარეში შენისთანა წარმოსადეგი, მგონი, ბევრი არ მოიპოვებოდეს.

სევდიან გულს მალამოდ მოხვდებოდა ხოლმე ეს სიტყვები; ვიტყოდი, მოდი გამოვუტყდები და ჩემს სიყვარულს გავუმჟღავნებმეთქი, მაგრამ ვერა ვბედავდი: დიდი პატივისცემა მქონდა მამაჩემისა. თუ არა და, დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც ძალიან კარგად

იცოდა, რომ გაგიჟებული ვიყავ მარგალიტასთვის. დედაჩემსაც უნდა შეეპარვოდა ეჭვი და ჩუმად იმიტომ იყო, რომ საბრძოლველად ეიზადებოღა; სულ იმის შიშში ვიყავით ორივენი, ან ეხლა შემოგვიტევს, ან ეხლაო, და თან გულს ვიმაგრებდით: ვიცოდით რომ საშინელი უსიამოვნება და განხეთქილება ატყდებოდა მას შემდეგ ჩვენს ოჯახში და ამიტომ გადაწყვეტილი გვქონდა: რაც უნდა მომხდარიყო, ჩვენ მაინც ჩვენსას არ დავიშლიდით.

მომავალზედ ვოცნებობდით, მაგრამ ოცნების სიტკბოებს ეს ფიქრი გვიმწარებდა. ბოლოს, როდესაც ლამაზად გამოვეწყობოდი ჩემს საკვირაო ტანისამოსში, ადგებოდა მამაჩემი, ხან აქეთ მომივლიდა, ხან იქით, ამხედავდა, დამხედავდა და გაბრწყინვალებული სახით მეტყოდა:

— შენი ჭირიმე, ბიჭო! ეხლა საცა გინდა, წადი! წადი, შვილო, ისიამოვნე!

საწყალი მამაჩემი! თავისი დღენი ისე დაელია, რომ სიამოვნება მარტო სხვისა ენახა. და იმ სიბერეშიაც, როდესაც დედაჩემი სახლს უპატრონოდ სტოვებდა და შორს სადმე სოფელში ჩვენი განთავისუფლების მოწინააღმდეგე მღვდელის ქადაგების მოსასმენად გარბოდა, უნდა ამდგარიყო იმ ხნის კაცი და სახლი დაეგავა და კარტოფილი გაეფცქვნა. კიდევ კარგი, რომ გულკეთილი კაცი იყო, მაგრამ არც ისეთი მომთმენი ვარგა, როგორიც უბედური მამაჩემი იყო.

მეც საჩქაროდ გამოვეთხოვებოდი და ფალსბურგისკენ მივეშურებოდი. გამოვიდოდა გარეთ საწყალი მამაჩემი, იდგა და მიყურებდა, ვიდრე ქვევით ჩავიდოდი და მივეფარებოდი რასმე.

ჩავიდოდი ნათლიაჩემთან, საჩქაროდ ვისადილებდი და გავიპარებოდი... დიაღ, ბაღზედ გადავივლიდი, არავინ დამინახოს და ვისმე მგზავრის საქონელი არ დამაჭედინონ-მეთქი.

ერთი თხუთმეტი წუთის შემდეგ ქალაქშიაც ჩავიდოდი. მივდიოდი, მაგრამ ვერასა ვხედავდი. საწყალი ტრიბოლენი თავის აფთიაქიდან სალამს მაძლევდა; მე კი ისე ვიყავ ჩემი ფიქრებით გართული, რომ ყურადღებასაც არ ვაქცევდი. აგერ შოველის დუქანიც, თავისი წიგნებით და გაზეთებით. ხალხით სავსეა იქაურობა. ვინ გინდათ, რომ იქ არა ნახოთ: პატრიოტები, ჯარისკაცები, მოქალაქენი, და ასე გასინჯეთ, ჩვენი ძველი ბატონებიც კი. აგერ ჩემი მარგალიტაც; დგას დაზგის უკან და ზოგს გაზეთებს აწვდის, ზოგს წიგნს:

— აი, ბატონო, ინებეთ „პარიზის რევოლიუცია“, ექვსი შაური გახლავთ. რა გნებავთ, ბატონო? „სასახლის უწყებანი“, აღარ გახლავთ, სულ გაიყიდა.

ახლაც მიკვირს, როგორ ასდიოდა იმოდენა მუშტარს. მაგრამ

რაც უნდა გართული ყოფილიყო საქმეში, დამინახავდა თუ არა, პირს ღიმილი მოუვიდოდა და მხიარულად შემომძახებდა:

— ბიბლიოთეკაში გადი, მიშელ! მამაჩემი მანდ არის. მეც ახლავე გამოვალ. ხელს ჩამოვართმევდი და მეორე ოთახისაკენ გავწევდი. მარგალიტა კი გულს მიკეთებდა:

— გაზეთები გადასინჯე, მიშელ, სალაპარაკოდ არა მცალია.

როცა კი უნდა მივსულიყავ, შოველი თავის ოთახში იჯდა და სულ რაღასაც წერდა. დამინახავდა, გამიღიმებდა და მეტყოდა:

— ოჰ, შენა ხარ, მიშელ? დაბრძანდი... უკაცრავად, ერთი ეს წერილი გავათავო.

თანა სწერდა, თან ჩვენი სოფლის და ჩვენებურების ამბავს მეკითხებოდა. წერილი კი აღარ თავდებოდა. ბოლოს წამოვდგებოდი და ბიბლიოთეკაში გავიდოდი.

— ჰო, ჰო, მიშელ, შენ გაზეთები გადაათვალიერე. მანამ მეც გავათავებ ამ წერილს.

ბიბლიოთეკა ყოველთვის სავსე იყო ხალხით, მეტადრე იმ დღეს, როდესაც დილით ფოსტა მოდიოდა და ახალი გაზეთები მოჰქონდა. იქ უნდა შესულიყავით, თუ ნახვა გინდოდათ ვისიმე; სულ იქ იყვნენ: თევენო—ქალაქის გამგეობის წევრი; დიდიე ჰორცუ— მექუდე, სამხედრო მოედანზედა ჰქონდა დუქანი; ექიმი სტეინერი, რომელიც შემდეგში ოცი წლის განმავლობაში მამასახლისად გვყავდა; როტენბურგი, ლაფრენე, დაპრეო და სხვანი; სულ იქ იყვნენ და ღრმად ჩაფიქრებულნი ჩასცქეროდნენ ხოლმე გაზეთებს. ზოგი იქვე წერდა წერილებს; მეც გაზეთს ავიფარებდი, ვითომ ვკითხულობდი, და თვალი კი მარგალიტაზედ მქონდა. ვიჯექი და შევცქეროდი! ისიც ერთ წამს არ მოისვენებდა თავის დაზგის უკან: მიდი-მოდიოდა, დაცქრიალებდა და წამდაუწუმ გადმომხედავდა. ხანდახან შემოვიდოდა, ახალ რასმე გაზეთს მომცემდა და მიჩურჩულებდა:

— ეს წაიკითხე, მიშელ, ძალიან გესიამოვნება!

დიდი ხანი ვიჯექი ხოლმე ისე გაზეთ აფარებული, თუმცა რომ მკითხოთ, რას კითხულობდიო, ღვთის წინაშე ვეღარას მოგახსენებთ. ვკითხულობდი კი არა, მარგალიტას შევხაროდი, მარგალიტას შევყურებდი, რადგან ვიცოდი, რომ კვირამდე იმის ნახვას ვეღარ ვეღირსებოდი. და მთელი ქვეყანა რომ მომდგომოდა ჩემის ბედის სამდურავს ვერავინ მათქმევინებდა.

რომ დამინახავდა შოველი ისე მორთულს და წვერმოპარსულს, უშმაკურად ჩაიცინებდა და მუქარით თითს დამიქნევდა; მეც შემრცხვებოდა, გავწითლდებოდი... ის კი ბურნუთის კოლოფს გახსნიდა და შემომთავაზებდა:

— ბურნუთს არ ინებებთ, მამულიშვილო?

ეგ არის, დიაღ! ახლა ეგ შემაყრევინე ცხვირში? რა უნდა თქვას მარგალიტამ? — ვფიქრობდი ჩემს გულში და მადლობას ვუხდიდი შოველს:

— არა, ბატონო, გმადლობთ, თავს ამატკივებს!

— კარგი ერთი! საყელოს გასვრა გეჯავრება, განა, შე არისტოკრატო შენა! — დამცინოდა შოველი. მაგრამ რაც უნდა დაეცინა, მე მაინც ვგრძნობდი, რომ დიდი პატივისცემით და სიყვარულით მეკიდებოდა. ძალიან კარგად იცოდა, რომ მთელი ხუთი-ექვსი საათი მარტო გაზეთების წასაკითხად მე იქ არ დავრჩებოდი და, თუ ვრჩებოდი, ალბათ გაზეთების და პოლიტიკის გარდა იქ სხვაც იყო რამე ჩემი მიმზიდველი. ჭკვიანი კაცი იყო, გამოცდილი და იმისთანა თვალი არა ჰქონდა, რომ ჩვენი საქციელი არ შეემჩნია. და რადგან არას გვიშლიდა, მაშასადამე მოსწონდა ჩვენი განზრახვა და თავის დროზე სრულს თანხმობასაც გამოგვიცხადებდა. ეს კი იყო, რომ ყოველთვის, როდესაც კი შეიძლებოდა, სულ იმას მეუბნეოდა, რაც შეგიძლიან მეტი ისწავლე და კარგი წიგნები წაიკითხეო. შოველის ბიბლიოთეკა ჩემს ხელთ იყო და რა წიგნიც უნდა მომწონებოდა, გადმომიღებდა და მომცემდა, შინ წაიღეო.

სამწუხაროდ შოველის სახლი უკვე გაყიდული იყო და წიგნის კითხვა იქ აღარ შეიძლებოდა. შინ ვკითხულობდი, ღამე ჩემს ბალახანაში და ახლა ამან გამოიწვია ერთი ვაი-ვაგლახი მე და დედ-ჩემს შორის: ღამე სანათი ნუ გინთია, ძვირია, ფული იხარჯებაო! მე რომ ყოველ დილით ზანდუკში არ ჩამეკეტა ჩემი წიგნები, დარწმუნებული ვარ, ჩემს მოსვლამდე ერთი აღარ დამხვდებოდა: ნაკუწ-ნაკუწად დაჰფხრეწდა დედაჩემი. იმავ თავიდანვე სულ იმას გაიძახოდნენ ბერები, წიგნის ცოდნა სულის წამწყმედია, ვითარცა ხე კეთილისა და ბოროტისა, რომელსა ზედან მაცდურმა ადამის ვაშლი მოგლიჯა ჩვენდა დასაღუპადაო, და სხვ. საქმე ის იყო, რომ ყველა წიგნზედ მეტად ბერები დაბადების და სახარების კითხვას გვიშლიდნენ: ეშინოდათ, წაიკითხავენ და დარწმუნდებიან, რომ ჩვენ სხვაფრივ ვცხოვრობთ, ვიდრე სამღვთო წერილი გვიწერავსო. აქედან ადვილად წარმოიდგენთ რა გაუნათლებელი იქნებოდა ჩვენი ხალხი 1789-მდე. კლუბში შოველი სულ იმას გვეუბნეოდა, წიგნები იკითხეთო; და მართალიც იყო, რადგან სიღარიბე ხომ საშინელებაა და გაუნათლებლობა კიდევ უარესი.

ჩვენში რომ ისე იყო, სხვაგან რა იქნებოდა, რადგან ალზას-ლორენი ბევრით სჯობდა ზოგიერთ სხვა თემებს. მახსოვს, მთელი ჩვენი კლუბი განცვიფრებული დარჩა, შოველმა რომ ჟანსონეს წერილი

წაგვიკითხა. კანონმდებელ კრებას ვანდეში და ორივე სევერში გაეგზავნა ბ. ჟანსონე სარწმუნოებრივი არეულობის მიზეზების გამოსაკვლევად. ვერ წარმოიდგენთ, რა დაუჯერებელ ამბებს იწერებოდა იგი იქაურების გაუნათლებლობაზედ და — პირდაპირ ვიტყვი სიბრიყვეზედ. მაშინ დავრწმუნდით, რომ ჩვენ არა გვიშავდა რა და სამშობლოს ვანდელების გაუნათლებლობისა უფრო უნდა ჰშინებოდა, ვიდრე გარედან მომავალი მტრის ჯარებისა.

აი, რას იწერებოდა ბ. ჟანსონე თავის მოხსენებაში: აქაური გლეხკაცობა კონსტიტუციის მომხრე მღვდლებს სდევნის და დღე კეტს არ აკლებს და ღამე თოფის ტყვიას; კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლები ძველებურად სწირავენ, ოღონდ ეკლესიებში კი არა, თავიანთ სახლებში. ხალხი იმდენად განუვითარებელია, რომ ღვთის მაგივრად ბერებსღა ლოცულობენ და ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, კონსტიტუციის მნიშვნელობა შევაგნებინოთ; ეპისკოპოსს ბორეგარს საიდუმლო ბრძანება გაუცია, არც ერთმა ვანდელმა მღვდელმა ეკლესიაში აღარა სწიროს, რადგან ეკლესიაში სიარულით შეიძლება ხალხმა კონსტიტუციის ერთგული მღვდლებისა გაიგონოს რამეო. ყველა მღვდელმა სადმე მიყრუებულ ალაგას შეაგროვოს თავისი სამწყსო, სადმე გამოქვაბულში, ან ტყეში, ან საბძელში, იქა სწიროს და ისე გააგონოს სიტყვა ღვთისა; მართალია მწირველს ხელთ არა ექნება რა, მაგრამ სწორედ ამით უნდა ისარგებლოს და ჩააგონოს ხალხს, რომ იგი იძულებულია ასე ფარულად სწიროს, რადგან სარწმუნოება და მისი კეთილი მსახურნი დევნილ არიან კონსტიტუციის მიერ; ამიტომ არის ასე ფარულად ჩვენი წირვა-ლოცვა და თუ გაგვიგეს, შეიძლება წამებაც მოგვაყენონ, როგორადაც ქრისტიანობის პირველ ხანებში იყოო...

მაშინ კი ყველა დავრწმუნდით რა საშიში იყო ვანდელების აჯანყება. შოველი ამტკიცებდა, კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებს ბრძანება აქვთ — ჩვენში ხალხი ააჯანყონ, რომ მით უფრო ადვილად შემოუძღვნენ გახიზნული დიდებულნი გერმანელების ჯარსაო. და რადგან ჩვენი მტრები ჩვენში განხეთქილების ჩამოგდებას ცდილობენ, ჩვენ უნდა ვეცადნეთ და ყველგან ერთობას და ძმობას ვქადაგებდეთ, რომ ღირსეულად დავუხვდეთ სამშობლოს მოღალატეებსაო.

საზღვარგარეთიდან მომავალი ვაჭრები გვეუბნებოდნენ, ვორმში, მაინცში და კობლენცში თხუთმეტიათასი თავადაზნაურია შეგროვილი და გერმანელ ჯარებსღა ელიან, რომ წინ წამოუძღვნენ და თავიანთ სამშობლოში შემოიყვანონ; ლეოპოლდი და ვილჰელმი კარგს შემთხვევასღა ელიან, რომ თავიანთი ჯარები ლორენში შეი-

ყვანონო. და ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვცდილიყავით, ყველაფრით მზად დავხვედროდით. საერო კრებამ დაადგინა 9 ნოემბერს 1791 წ. — რეინის გაღმა მყოფ ფრანგებს ამბოხება ბრალდებათ და, თუ პირველ იანვრამდე არ დაიშლებიან, დასჯილ იქნებიან სიკვდილით და მათი მამულები საერო საკუთრებად იქნება ჩარიცხულიო.

წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ ო, — ბრძანა მეფემ.

მაშინ უცბად აჯანყდნენ ბრეტანი, პუატუ, ჟევოდანი; ყველგან ბერები დადიოდნენ და, საცა კი გაჯვარედინებულ გზასა ნახავდნენ, მაშინვე ჯვარცმას ამართავდნენ; გამვლელსა და გამომვლელს ნაკურთხ კრიალოსნებს, ხატებსა და შენდობას *) ურიგებდნენ; ყველგან იმას გაიძახოდნენ, რომ კონსტიტუციის მომხრე მღვდლებისას არც ნათლობასა აქვს მადლი, არც ჯვარისწერასაო; კონსტიტუციის მომხრეები ყველანი დასწყევლეს და შეაჩვენეს და თანაც ბრძანება გასცეს: ვისაც ჭეშმარიტად სწამს ღმერთი და სულის წაწყმედა არ უნდა, ისე ერიდოს კონსტიტუციის მომხრეს, როგორც უწმინდურს და აღარც ემეზობლოს და აღარც იმეზობლოს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლ-ქმარნი იყრებოდნენ, მამაშვილნი საუკუნოდ შორდებოდნენ ერთმანეთს. ზემოდ მოხსენებულ თემებში მილიციისთვის ბიჭებს არ იძლეოდნენ. ამ არეულობამ დაჰბადა ივანე შუანი და შინდერჰანი, რომელნიც ისე დათარეშობდნენ, თითქო მტრის ქვეყანაში არიანო და, საცა კი მოასწრებდნენ ვისმე, გაუძარცვავს არ გაუშვებდნენ. დიდი სახელი გაითქვეს მაშინ ამ ყაჩაღებმა, მეტადრე ივან შუანმა, რომელმაც მებატონეებისა და სამღვდელოების სიტყვით, დიდი სამსახური გაუწია მეფეს და სარწმუნოებას. შუანს იმისთანა სახელი ჰქონდა, რომ ვანდელები თავდაპირველად იმის წინამძღოლობით და იმის სახელით აჯანყდნენ.

კანონმდებელ კრებას უნდოდა დასაწყისშივე შეეყენებინა აჯანყება და დაადგინა 29 გიორგობისთვეს, რომ ის მღვდლები, რომელნიც კონსტიტუციას ერთგულებას არ შეჰფიცავენ, პენსიას აღარ მიიღებენო, იმავე დადგენილების ძალით ამ მღვდლებს აეკრძალათ წირვა, არამც თუ ეკლესიაში, კერძო სახლებშიაც კი; ბოლოს გამოცხადებული იყო, რომ ვინც კი გაბედავს და სარწმუნოებისა გამო უთანხმოების ჩამოგდებას ეცდება, განდევნილი იქნება სამშობლოდანო.

---

*) შენდობას ბერები ჰყიდნენ და არ იყო იმისთანა ცოდვა, რომ ფ უ ლ ი თ შენდობა არ ეყიდა შემცოდეს. შეიძლებოდა მომავალი ცოდვების შენდობაც ეყიდა კაცს და ხშირად მოხდებოდა, რომ ხვალინდელი ცოდვის შენდობას ყიდულობდა ვინმე ბერისაგან და მეორე დღეს იმავე ბერსა სძარცვავდა.

მაგრამ ამ დადგენილებაზედაც იგივე ბრძანა მეფემ — წ ი ნ ა ა ღ-
მ დ ე გ ი ვ ა რ ო. ერთი სიტყვით, რასაც კი ჩვენი დაღუპვა შე-
ეძლო, მაშინვე ხელს მოაწერდა, რაც ჩვენი სასარგებლო იყო, უარ-
სა ჰყოფდა — წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ ო. შემდეგში წერილები
იპოვეს, რომლებიც ჩვენს მეფეს პრუსიის მეფისათვის მიეწერა იმ
დროს. ყველა წერილებში ერთი და იგივე ვედრება იყო: დაჩქარდი,
მომეშველე, თორემ დავიღუპეო! მაშინ კი დავრწმუნდით, რომ ჩვენი
მეფე შველას ჩვენს მტრებსა სთხოვდა და ქვეყანას დასაღუპავად აძ-
ლევდა, ოღონდ თითონ და დიდებულთ არა დაჰკლებოდათ რა. დიდი
უბედურება დაატყდა საფრანგეთს, მაგრამ ვინ იტყვის მეფე მარ-
თალი იყო, სულ ხალხის ბრალია? როდემდის უნდა ვყოფილიყავით
ცხვარივით გაჩუმებულნი? როდემდის უნდა ეპტყვნათ და ეკრიჭათ
საწყალი გლეხკაცი დიდებულთ, რომელთა დიდებულება მარტო ის
იყო, რომ მუქთახორად ეყარნენ და სხვის ნაჭირნახულევს შეექცე-
ოდნენ!

იშვიათად მოხდებოდა, რომ კანონმდებელი კრება შეთანხმებუ-
ლიყო რაზედმე: ბრისსო, ვერნიო, გადე, მათე დიუმა, ბაზირი, მერ-
ლინი და სხვანი სულ სხვადასხვა მხრივ უყურებდნენ საგანს და
სხვადასხვას გაიძახოდნენ; მაგრამ იმაზედ კი ყველანი თანახმანი
იყვნენ, რომ მეფე ლუი XVI ღირსი არ იყო ჩვენის ნდობისა და
დედოფალი მარიამ-ანტუანეტა ხომ არა და არა. ამავე აზრს.
ადგა მთელი ერი. მთელი ერი ერთსა და იმავე ფიქრს მოეცვა და
იმ საშინელ ზამთარში 1791 — 1792 წ. სულ იმას ჩიოდნენ, დავიღუ-
პენით, გაზაფხულდება და ომიანობაც ატყდებაო.

— თესლსაც ვეღარ ავიღებთ, თესლსა! გაზაფხულდება თუ არა
და გაშრება გზები, მაშინვე ომი ატყდება. ნეტავი აგრე! ამისთანა
სიცოცხლეს სიკვდილი არა სჯობიან? რაც მალე იქნება, ის უკეთესი!

ეს სამოცდაათი წელიწადია სულ იმას გაიძახიან, — საბრალო
მეფე-დედოფალი, დიდებული თავადაზნაურნი და ეპისკოპოსნი!
რამოდენი ტანჯვა-წვალება აიტანეს, რა უბრალოდ ეწამნენო! აბა
ერთი ჩვენს მთაში მობრძანებულიყვნენ ეს გულჩვილი ცრემლთ-
მფრქვეველნი და ჩვენი ცხოვრება ენახათ! აბა ენახათ, რამოდენა
ხალხი იყო დამშეული,—სხვას ნუღარას იტყვით — კარტოფილიც კი
არა ჰქონდათ, რომ იმით მაინც გაეძღოთ კუჭი. მაშინ დარწმუნდე-
ბოდნენ, რომ ვინც ძველებურად ქვეყნის ბატონობას და პატრონო-
ბას ცდილობდა, თუმცა ამისი არც უფლება ჰქონდა და არც შეძ-
ლება; ვინც ჩვენ შორის უთანხმოების ჩამოგდებას ცდილობდა და
ამ მიზნის მისაღწევად საერო და კანონმდებელ კრების დადგენი-

ლებათ ეწინააღმდეგებოდა და თან ყოველგვარ სიცრუეს და ცილისწამებას კადრულობდა, რომ ხალხის თვალში პატრიოტებისთვის ჩირქი მოეცხო; ვინც თავისივე მზგავსი ადამიანის პირუტყვივით დამონავებასა ცდილობდა და, თუმცა მაცხოვარი იმიტომ აწამეს, რომ სწორედ ამ დამონავებულთა განთავისუფლებას ქადაგებდა, მაინც ღვთის განგებით და სამღვთო წერილით იმართლებდა თავს: მე რა ვქნა, ღვთის განწესებულს მე ხომ არ შევცვლიო! კარგად უნდა სცოდნოდათ, ვინც ამას ჩადიოდა, რომ ღმერთი არავის რას აპატიებს და, თვით იმათ თუ არა, იმათ შვილებს და შვილიშვილებს დასჯის საშინელი სასჯელით.

როდესაც ჯარის ბინაზედ, ან სოფელში, ან მეტადრე ბაზრობა დღეს სახლში რამე ცუდი ხმა გავარდებოდა, ისე აღელდებოდა ხოლმე დიდი და პატარა, რომ ყრუც კი გაიგებდა ბრაზმორეული ხალხის გრგვინვას. პატრიოტები ერთს წამს გაჩუმებულნი, ფერმიხდილნი შესცქეროდნენ ხოლმე ერთმანეთს, ერთ წამს მარტო: მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგებოდა კაინის ცოდვა და გულში ვიმარხავდით ყოველგვარ უსიამოვნებას. გული უიმისოდაც სავსე გვქონდა ნაღველით და ერთი წვეთი რომ კიდევ მომატებოდა, რა უშავდა. ზღვაში ვერ ჩავა იმდენი წყალი, რამდენი ვარამიც საწყალი კაცის გულში დაეტევა. სავსე იყო გული ნაღველით! სავსე იყო და ემატებოდა და ემატებოდა! არ გადმოვიდეს, თორემ ქვეყანას წალეკავსო, ვიძახდით, და ვცდილობდით არ გადმოგვეშვა.

მაგრამ ერთი სასიამოვნო ამბავიც მოხდა სწორედ იმ დროს: ლეტუმიეს ქალის ქრისტინესი და კლოდ ბონომის ქორწინება, 1792 იანვარში, ჩვენს სოფელში ეს პირველი კონსტიტუციური ქორწინება იყო. მას შემდეგ, რაც ლეტუმიემ საეკლესიო მამულები შეიძინა, ძალიან წამოიწია და ჩვენს ახლო-მახლო ისეთი სახელი გაუვარდა ხიმდიდრისა, რომ გვარისწილ „მდიდარს“ უწოდებდნენ. საქორწინოდ ლეტუმიეს თავისი მესსენელი ნათესავები დაეპატიჟნა და, თუმცა ყველანი არ ეწვივნენ, მაგრამ უმთავრესნი კი მოუვიდნენ: მორის ბრიუნე — კურსელის კლუბის თავმჯდომარე და ერთი ყმაწვილი ქალი — სუსანა შასსენი.

სამამასახლისო სავსე იყო ხალხით: შოველი, ნათლიაჩემი თავის მილიციის რაზმის უფროსის ტანისამოსით, კოშარი, ჰიურე, ჩვენი უწინდელი თავმჯდომარე რაფიელ მანკი და ბევრი სხვა პატრიოტები. როდესაც იოსებ ბუალომ სამფერი სარტყელი შემოირტყა და კონსტიტუციის სიტყვები წარმოსთქვა: „კანონი გაერთებთ თქვენ“, იგრიალა იმოდენა ხალხმა და ერთხმად შესძახა:

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს! კონსტიტუციას გაუმარჯოს!

ძველებური ურიგობა კი აღარ იყო, რომ მოვიდოდნენ მეფედედოფალი და... მღვდელი ჭუჭყიან ქაღალდის ნაფხრეწებს მოსძებნიდა სადმე და იმაზედ დასწერდა — ვინ და როდის დაქორწინდნენ; იმ ქაღალდებს მიაგდებდა სადმე და... ჩვენს დროში დარწმუნებით არავინ იცოდა ან როდის იყო დაბადებული, ან როდის იყო შონათლული, რადგან საეკლესიო დავთარი შემდეგში შემოიღეს და დიდი შრომა დასჭირდათ, რომ ცოცხალნი მაინც ჩაეწერათ შიგ, თორემ მიცვალებულებს ვიღა ჩიოდა!

ამ ახალგვარმა ჯვრისწერამ ძალიან ასიამოვნა ყველანი და იმისთანა სიმღერით და ცეკვით წავედით შინისკენ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.

წინ ნაღარა მიგვიძღოდა. ხომ საშინელი სიცივე იყო, და ისე შევხურდით, რომ თოვლი და ყინვა აღარავის ახსოვდა. მე მარგალიტა მიმყავდა ხელიხელ გაყრილი, ჩვენ წინ ქრისტინე და კლოდ ბონომი მიდიოდნენ და ეტყობოდა, ქრისტინეს აღარც კი აგონდებოდა თავისი წინანდელი მოწონებული და სრულიად კმაყოფილი იყო თავისი ქმრისა. ჩვენს უკან უფროსნი მოდიოდნენ და დარბაისლურად ბაასობდნენ საქმეებზედ. ყველანი მხიარულად იყვნენ, თვით შოველიც კი, ლეტუმიეს ცალი ხელით ქუდი ეჭირა, ქარმა არ მომტაცოსო — და ყვიროდა:

— არ დაივიწყოთ, ხალხო, დღეს იანვრის სამია და რაგინდ ზამთარი ჰყინავდეს...

ეგ ხომ ეგრე, მაგრამ შინ რომ მივედით, ძალიან შეცივნულები ვიყავით. ქორწილი ნათლიაჩემის დუქანში გადაიხადეს, შინ ვერ დავტევთ ამოდენა სტუმრებსაო. წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებას ვიგრძნობდით ნამცივნი ხალხი, გაშლილ სუფრას რომ დავინახავდით. ძაან, ძაან დრო გავატარეთ! იმოდენი ძეხვი, ლორი და დოქები ელაგა სუფრაზედ, რომ მაგიდა იზნიქებოდა. ლეტუმიეს ცოლს სიხარულით ცრემლი სდიოდა, ჩვენ კი ვისხედით და ვიღმურძლებოდით! შოველმა კარგი, თქვენი მოწონებული სიტყვა სთქვა: ძველებურ, პირვანდელ დროთაგან დარჩენილ ჩვენს სხვადასხვა გვარ დროსგატარების ნაცვლად, დრო არის უფრო აზროვანი და ხალხის გამანათლებელი რამ შემოვიღოთო. ბევრი სადღეგრძელო გიახელით, ბევრი ვიხუმრეთ; მეტადრე უფროსებმა გადააჭარბეს: იმისთანები თქვეს, რომ საწყალი ქალები კინაღამ სუფრიდან წამოიშალნენ. აღარ არის, აღარ, ძველებური სიმხიარულე! წავიდა ჩვენი დრო და მხიარული ბულიც თან გაიყოლა! ყველაზედ მხიარულად, რასაკვირველია, მე ვიქნებოდი: მარგალიტა გვერდით მყავდა და ჩემს ნეტარებას საზ-

ღვარი არა ჰქონდა. ვიცინოდით, ვხუმრობდით, თვალში ჩავცქეროდი და ვეკითხებოდი:

— კომბოსტო ხომ არ გნებავს, მარგალიტა? ღვინო? ერთი ნაჭერი ლორი?

მეფე-დედოფალზედ უბედნიერესნი ჩვენ ვიყავით. ისე ვისხედით სუფრაზედ, თითქო ქვეყანაზედ აღარა გვახსოვს რაო და სულ ერთმანეთის ალერსში ვიყავით; კიდევ კარგი, რომ ჩვენი არავის სცხელოდა და ყურადღებას არავინ გვაქცევდა.

ბოლოს, საღამოზედ, როდესაც ცეკვა გაიმართა და ჩვენი სოფლის ყმაწვილი ბიჭები და ქალები ყველანი შეგროვდნენ, მეც გავედი საცეკვაოდ და, რასაკვირველია, მაშინვე მარგალიტას მივმართე:

— მოდი, ერთი ჩვენც ავყვეთ ამ ტალღას, მარგალიტა!

მარგალიტა განცვიფრებული შემომყურებს. ბოლოს მკითხავს:

— რა ტალღას, მიშელ, რას ამბობ?

— აი, მცეკვავთა ტალღას.

— მე რომ ცეკვა არ ვიცი?

— კარგი ერთი! ყმაწვილი ქალი და ცეკვა არ იცოდეს! რა სათქმელია?!

გულს ძლივსღა ვიმაგრებდი: გულში ჩავიკრავ ჩემს მარგალიტას და გავიტაცებ-მეთქი! მაგრამ წარმოიდგინეთ ახლა ჩემი განცვიფრება: მარგალიტას მართლა არა სცოდნოდა ცეკვა, სრულიად არა სცოდნოდა! ფეხები ერეოდა, კაბას ედებოდა. მე კი ჩემსას არ ვიშლიდი, არა მჯეროდა, რომ გასათხოვარ ქალს ცეკვა არა სცოდნოდა:

— მოდი, ერთხელ კიდევა ვცადოთ. შენ ფეხი ააყოლე სტვირს. ამაზედ ადვილი რა იქნება?

კუთხეში მივიყვანე და იქა ვცადეთ, მაგრამ ვერ მოახერხა. მე კი ისე მინდოდა მარგალიტასთან ცეკვა!.. გარს ხალხი შემოგვეხვია. ვიღაცამ გაიცინა. მარგალიტას ეწყინა და ცოტა არ იყოს გაჯავრებით მითხრა:

— არ ვიცი, არა! ხომ ხედავ, რომ არ ვიცი! თუ აგრე გინდა, განა უჩემოდ კი ვერ ითამაშებ. მე მასპინძელს მოვეხმარები.

აბა რაღა მიამებოდა უიმისოდ? ბევრმა ლამაზმა ქალმა მანიშნა:

— მოდი, მიშელ, ჩვენ ცეკვაც ვიცით და სიამოვნებითაც გამოგყვებითო. მაგრამ მე და სხვასთან ვისთანმე მეთამაშნა! ქვეყნის დაქცევას დავიჯერებდი და ამას კი ვერ წარმოვიდგენდი. ავდექი და სამზარეულოსკენ წავედი. სამზარეულო სამსე იყო ქალებით: ლეტუმიეს ცოლიო, ნიკოლიო, ნათლი-ჯალაბი, ეკატერინეო, სუსანა შასსენიო და კიდევ ბევრნი სხვანი. საშინელი აღშფოთებულნი იყვნენ ყველანი და ერთიერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა! არა, პირიდან როგორ ამოსდით მაგვარი სიმღერა?!. განა დედოფალს აგრე უნდა ახსენებდნენ?.. კაცებისთანა დაუნდობელი ხომ არა იქნება რა! საუკეთესო რომ საძაგელია, სხვანი რა იქნებიან?

მეორე ოთახიდან პატრიოტების მხიარული ხარხარი ისმოდა და თანაც რაღაცა ახალი სიმღერა. ამ სიმღერას მორისი მღეროდა, ზოგნი ბანს აძლევდნენ.

მეც მაშინვე იმათკენ გავწიე. კარი შევაღე და უცნაური სანახაობა დამხვდა. მორისს დაემკლავებინა, ქუდი გვერდზედ გადაეგდო, საკინძე გაეხსნა, დოინჯი შემოეყარა და იმისთანას ცეკვავდა, რომ პირღია შეჰყურებდნენ ყველანი. იმისთანა ცქვიტად და მარდად ცქრიალებდა, თვალს ვერ მოასწრებდა კაცი. ხტოდა და თან რაღასაც მღეროდა. პარიზელებს მეფის გასაჯავრებლად შეეთხზათ ეს სიმღერა და იმისთანა საშინელება ჩაერთოთ დედოფლის შესახებ, რომ უბრალო, ქუჩა-ქუჩა მაწანწალა დიაცს არავინ აკადრებს იმას. მორისი თამაშობდა და მღეროდა; გარს პატრიოტები ეხვეოდნენ და იმისთანად ხარხარებდნენ, რომ ზოგი თავს ვეღარ იმაგრებდა, იქვე სადმე მიეგდებოდა ყურთამდე პირღია და თვალცრემლიანი. მორისი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხებს აფშლატუნებდა და იმ დაუბოლოვებელ სიმღერას ამბობდა.

ამ სიმღერაში აწერილი იყო სუყველაფერი, რაც კი დედოფალს ჩაედინა რამე, კარდინალის სამკაულებიდან დაწყებული; იმისთანა ლანძღვით და უწმაწური სიტყვით იყო მოხსენებული დედოფალი, რომ მეც კი შემრცხვა, ისინი რომ გავიგონე. სხვანი კი დიდი სიამოვნებით ისმენდნენ დედოფლის მასხარად აგდებას და, რომ გეკითხათ, ეგეც ცოტაააო! გეტყოდნენ. მეფე-დედოფალმა იმდენი სისხლი სწოვეს საწყალ ხალხს, რომ ახია იმათზედ! ნეტავი უფრო უვარესი შეთხზანო.

სიმღერამ ისე გაიტაცა ყველანი, რომ ბოლოს თვით მოხუცებულმა ლეტუმიემ, ნათლიაჩემმა და ჩვენმა უწინდელმა თავმჯდომარემ რაფიელმაც კი მოინდომეს მორისთან ხტომა და ფეხების ქნევა.

რა არის წუთისოფელი! ერთ დროს ნათლიაჩემის დუქანში მარტო დიდებულნი და ჯარის უფროსნი ქეიფობდნენ და სიმღერასაც მეფე-დედოფლის საქებარს მღეროდნენ. გააცივებდნენ ღვინოებს, თან მოყვანილ ქალებს სულ ვარდის თაიგულებში ჩასვამდნენ და — ქვეყანა ჩვენიაო, გაიძახოდნენ. დღეს კი იმავე დუქანში სულ სხვაგვარი სიმღერა ისმოდა. სიმღერა მეფე-დედოფლის მლანძღავი და შემარცხვენელი. ამ სიმღერას დიდად უნდა დაეფიქრებინა დიდებულნი, რადგან ეს იმისთანა უტყუარი ნიშანი იყო ახალი დროისა, რომ ვი-

საც კი შეგნება ჰქონდა რამე, დიდი შედეგები უნდა გამოეყვანა ამ ლექსიდან.

მართლა საშინელი, სამარცხვინო ლექსი იყო. გარეთ ქალები ჯავრობდნენ, მაგრამ პატრიოტებს იმათი არ ესმოდათ რა და გიჟებივით ხარხარებდნენ.

შოველი არ აჰყვა მოთამაშეთ. კუთხეში იჯდა, ცალი თვალი მოეჭუტა და კმაყოფილებისაგან გამხიარულებული სახით შესცქეროდა იმათ ხტომას. თან ცალი ხელით იმათი ცეკვის ზომაზედ დანას იქნევდა და ხანდახან გადასძახებდა:

— ჰა, ყოჩაღ, ლეტუმიე! აი აგრე, ეგ კი კარგად მოგივიდა! რას გაჩერდი, ივანე? რა მალე ისწავლა ჩვენმა თავმჯდომარემ!

იმ კილოთი აქეზებდა მოთამაშეთ, რომ ცოტა არ იყოს დაცინვაც იყო, მაგრამ ვის რა ესმოდა?

და ახლა, თუ გნებავთ გაიგოთ, რა სიმღერა იყო ის საშინელი სიმღერა, რომელიც ჩვენში პირველად მორისმა სთქვა, ამასაც მოგახსენებთ: ეს გახლდათ ყველასაგან ცნობილი „კარმანიოლი“, რომლის სახელი მას შემდეგ მთელმა ქვეყანამ გაიგო. ეს ის სიმღერა გახლდათ, რომელიც იმღერეს პარიზელებმა, როდესაც მტრის ზარბაზნების ასაღებად მიდიოდნენ:

აბა, ძმანო, კარმანიოლი!
ქვეყნისთვის თავს ვინ დაზოგავს?
გაუმარჯოს ტკბილს, საამურს,
გულის წარმტაცს ზარბაზნის ხმას!

მთელი რევოლუცია გალექსეს ამ კარმანიოლში. ახალი მოხდებოდა რამე და იმასაც გალექსავდნენ და კარმანიოლს მიუმატებდნენ. წინანდელი აღარც კი გვახსოვდა, რომ ახალზედ სიცილით ვეხოცებოდით.

ბოლოს, როდესაც პატრიოტებმა მეტი ვეღარ შეძლეს და დაქანცულნი სულის მოსაბრუნებლად ღვინოს მისცვივდნენ, შოველი წამოდგა და თქვა:

— მამულიშვილნო, ღვთის წინაშე კარგად იმღერეთ, კარგადაც ითამაშეთ და ყველანი გაგვამხიარულეთ, მაგრამ, მგონი, ახლა წასვლის დროც იყოს, თორემ ხვალ საქმისთვის ვეღარ გამოვდგებით.

— ნეტავი შენ! — შესძახა ნათლიაჩემმა. — რა დროს შინ წასვლაა? ქორწილია!

— მე კი მეტი აღარ შემიძლია და! — თქვა შოველმა და ქუდი აიღო.

ქალაქელები ყველანი გაემზადნენ წასასვლელად.

— თითო ყანწი კიდევ! — იძახდა ნათლიაჩემი. — გზა მაინც დაგვალოცვინეთ, დალოცვილებო!

— კმარა, კმარა, თორემ შინ ვეღარ ჩავალთ, — უპასუხა შოველმა და ლეტუმიესთან მივიდა გამოსათხოვებლად.

მე კი მარგალიტასთან მივედი, წამოსასხამში შევახვიე და ვუთხარ:

— კარგად გაეხვიე, თორემ საშინელი ყინვაა.

მარგალიტა ჩაფიქრებული იყო. შოველი კი მხიარულად უყურებდა ყველას და აჩქარებდა თავის ქალს:

— აბა, მარგალიტა, ჩქარა! მივდივართ?

ჩემი თქმა რა საჭიროა, თქვენც კარგად იცით, რომ მე მარგალიტას კარგა მანძილზედ ჩავაცილებდი. ქუდი ყურებზედ ჩამოვიცვი, მკლავი მკლავში გავუყარე და გავწიეთ ქალაქისკენ. დანარჩენი საზოგადოება უკან მოგვდევდა. მთვარიანი ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილი; ბუნებას თოვლის ზეწარი გადაჰფენოდა და იმისთანა სინათლე იყო, ისე კაშკაშებდა ჩვენი მთა და ჩვენ ქვევით თვალგადაუწვდენელი მინდორი თავისი ტყეებით, სოფლებით და მაღალი სამრეკლოებით, თითქო დღე არისო. ყინავდა, ჩვენ ფეხქვეშ მინასავით იფხვნებოდა თოვლი.

რა მშვენიერია მოწმენდილი, ათასფერად მოციმციმე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა! მშვენიერია მის თვალუწვდენი სივრცე, რომელშიც, რაც მეტს დააცქერდები, უფრო მეტსა და მეტს ვარსკვლავს იპოვი და უფრო მეტად იგრძნობ ადამიანის გონების სისუსტეს და ბუნების ძლიერებას და სიდიადეს. და თუ მაშინ სატრფოც გვერდთა გყავს, ხელს მისი ხელი გითბობს, გულს მისი გულის ძგერა გეხვდება და გრძნობ, რომ ისიც შენსავით ტრფობით არის გატაცებული, სიყვარულის ალს ვეღარ გაუძლებ, გულში ნეტარებას ვეღარ დაიტევ და შენდა უნებურად დიდებას შესძღვნი ყოვლად წმინდას... დიაღ, ნამდვილი საყდარი, ნამდვილი საკურთხეველი ღვთისა ზამთრის მოკაშკაშებული მთვარიანი ღამე ყოფილა.

ჩვენს უკან ლაპარაკით მოდიოდნენ შოველი, რაფიელი, კოლენი და სხვანი, ვინც კი ქალაქში ცხოვრობდნენ. ის იყო დაღმართთან მივედით და ჩემდა უნებურად ერთი ძველებური გლეხკაცური სიმღერა დავიძახე, ბავშობაში გაგონილი. ზამთრის მიძინებულ, მიყუჩებულ არეს თავისუფლად მოედო და შორს, შორს მთამდე გაისმა ჩემი ხმა. მეც არ ვიცოდი, რას ვმღეროდი. მე კი არა, გული მღეროდა სიყვარულს. მარგალიტა უფრო ალერსით მეკვროდა და ყურში ჩამჩურჩულებდა:

— რა კარგი ხმა გქონია, მიშელ, რა საამური ხმა გქონია.

უკან კი ყველანი გაჩუმებულიყვნენ და ყურს მიგდებდნენ. დაღმართი რომ ჩავიარეთ, მარგალიტამ შემაყენა, — დავუცადოთ, ისინიც მოვიდნენო.

გავჩერდით. წინ შოველი მოდიოდა და შორიდანვე დამიძახა:

— როდი ვიცოდი, მიშელ, რომ აგრე კარგი სიმღერა გცოდნია. აქამდე შენი ხმა არსად გამეგონა. სწორედ მამაშენის ხმა გაქვს, ოღონდ შენი ხმა უფრო მძლავრია და თანაც ტკბილი. როცა „ადამიანის უფლებათა“ შესახებ სიმღერას გამოსთქვამენ, ჩვენს კლუბში შენ უნდა სთქვა პირველად ის სიმღერა.

— ნეტავი ერთი „კარმანიოლი“ გამაგონა მაგისგან ნამღერი! — თქვა რაფიელმა.

— ეჰ, ჩემო რაფიელ, — უპასუხა შოველმა, — კარმანიოლი ხუმრობაა. კარმანიოლი კარგია პატრიოტთა გასამხიარულებლად და სასაცილოდ, ერთი-ორი ხელადის შემდეგ. ჩვენ სულ სხვა გვინდა... ხალხსავით ძლიერი იყოს ღა იმედიანი.

ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. ჩვენ ერთ პატარა ბილიკს ავყევით და შინისკენ წამოვედით, ისინი ქალაქისკენ დაეშვნენ. ზემოდ რომ ავედით, შევჩერდი, მარგალიტას გავაყოლე თვალი და თვალს გულიც თან გაჰყვა. უკან ჩამორჩომილიყო ჩემი მარგალიტა. როდესაც გზას უნდა მიჰფარებოდა, ერთხელ იმანაც გამოიხედა ჩემკენ.

ასე გაიარა იმ დღემ და იმ მშვენიერმა ღამემ. დღევანდლამდე ისე არიან აღბეჭდილნი ჩემს გულში, რომ ვერ მოვითმინე და დაწვრილებით გიამბეთ ძველი ამბავი.

IX

საერო საქმეები კი ისე დატრიალდნენ იმ დროს, რომ ცხადი იყო, უომრად ვეღარ გადავრჩებოდით; ჩვენი მტრებიც ძალიან დაურიდებლად და თავხედურად გვექცევოდნენ. კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებმა ვანდეში ხალხი ააჯანყეს; ტრეველი და მაინსელი ეპისკოპოსები და მეტადრე კარდინალი როანელი უარესს გვიშვრებოდნენ: საზღვარგარეთ ბრძანდებოდნენ, და იქვე საფრანგეთის საზღვართან აგროვებდნენ, საცა მაწანწალა, უბინაო და ავაზაკი იყო სადმე, ჯამაგირს აძლევდნენ და ჩვენს ასაკლებად გზავნიდნენ. სოფელ-სოფელ დადიოდნენ იმათგან გამოგზავნილი კაცები — უწინდელი, აწ კონსტიტუციის მიერ სამსახურიდან დათხოვნილი მოხელენი — და საცა გარყვნილს, თავზედ ხელაღებულს ნახავდნენ ვისმე, ცოტა ფულს აძლევდნენ და მეტსა პირდებოდნენ, რევოლუციის და კონსტიტუციის წინააღმდეგი იყავიო. ის კი არ იფიქროთ, ამას

ფარულად ჩადიოდნენო: არ მოგიკვდეთ ჩემი თავი! ისე იქცეოდნენ, თითქო ჩვენ მათი ყურადღების ღირსნიც არ ვიყავით. მაგრამ ჩვენებიც ფრთხილად იყვნენ და დასაწყისშივე შეაყენეს ამგვარი ხალხის გარყვნა. შოველმა დაიწყო, მას ლიქსპეიმელი ლალემანი მიჰყვა, მას შემდეგ იაკობელების ყველა მომხრე კლუბები და მთელს საფრანგეთში გაისმა ამ საძრახისი საქციელის წინააღმდეგობა. თუმცა მეფის ერთგული მოსამსახურე მინისტრები გაჩუმებულნი ბრძანდებოდნენ, თითქო გახიზნულთა საქციელის საძრახისს ვერას ამჩნევენო, კამილ დემულენმა, ფრერონმა, და ბრისსომ იმისთანა ამბები დააწიეს გაზეთებში ცალკე და კლუბში ცალკე, რომ იგივე მინისტრები იძულებულნი გახდნენ ბოლო მოეღოთ ამ გარყვნილებისათვის.

ერთი ამგვარი მომსყიდველთაგანი, ვიღაც გახიზნულის ყმა, ლიქსპეიმში იდგა „დიდ-ირმის" სასტუმროში. ქვეყანამ იცოდა. რომ დადიოდა და ჯარისკაცების შესყიდვას ცდილობდა: რევოლუციას გადუდექით და ფულით აგავსებთო. მაშ რა ექნათ დიდებულ ბატონებს? თითონ ხომ არ აიღებდნენ თოფს! ატარებდნენ თავიანთ მოსამსახურეებს და ფულით ცდილობდნენ შეესყიდათ საწყალი კაცი და სამშობლო ქვეყნის მტრად ექციათ. საკუთარი საქმის და ინტერესების დასაცველადაც კი მაინც გლეხკაცი უნდა ჰყოლოდათ, რადგან თითონ ღვთისა და მეფის წყალობით სულ გენერლებად იბადებიან და ჯარში ხელქვეითი უნდა ჰყავდეთ, რომ უთხრან: მოდი, შენი ძმა დამიმორჩილე, რომ შენზედ თავისუფლად ვიბატონოო.

ერთ დილას, ის იყო იმის ოთახში რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი შევიდა, — კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდელს გამოეგზავნა სოფლიდან: წადით, ნახეთ, ფულს მოგცემთო — დიაღ, ის იყო შევიდნენ ის ბიჭები და ჟანდარმებიც ზედ მიადგნენ და კარი დაურაკუნეს. გადაიხედა ფანჯრიდან, ქვევითაც ჟანდარმები დაინახა. ადგა და ზევით აძვრა, ყავარში; მაგრამ ამავალი დაინახეს და ჟანდარმებიც თან დაედევნენ; ყავარში თივის მეტი ვეღარა იპოვნეს რა. იძრო ხმალი ერთმა ჟანდარმმა და ხან აქ ჩასცა თივას, ხან იქ! დააჭერდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და თან ყვიროდა:

— რა მექნა, ის ქვეყნის მტერი, ისა? არც აქ არის! არც აქ! აი, დალახვრა ღმერთმა!

ბოლოს მაინც მიაგნო ხმალმა და მწარედაც დააყვირა.

გამოათრიეს უბედური. ხმალს თირკმლებში გაეარა და საღამომდე ძლივსღა იცოცხლა. კიდევაც კარგი, რომ მოკვდა, თორემ იმის ოთახში იმისთანა წერილები იპოვეს გახიზნულთაგან მოწერილი, რომ ჩააქვავებდნენ. ფული რამდენიც გინდა მოგვთხოვე, — სწერ-

დნენ საზღვარგარეთიდან ბერები, — ოღონდ მანდ, საფრანგეთში, ხალხში არეულობა ატეხე და ერთმანეთს შეაბრძოლეო.

დამარხეს და ახლა სხვებს დაუწყეს დევნა. კარგა ბლომადაც დაატუსაღეს. სულ კი იმისთანა ხალხი იყო, რომ ამ ქვეყნად წმინდა არა გააჩნდათ რა და, ვინც მეტს მისცემდა, იმას ემსახურებოდნენ. მამა ელეონორე სადღაც მიიმალა; დედაჩემი ისე შეაწუხა ამ ამბავმა, რომ სულ იმას-ღა წუწუნებდა — ახლა რა ვქნა, წირვა-ლოცვა სადღა მოვისმინოო? ის მიიმალა, მაგრამ სხვანი კი ბევრნი დაიჭირეს და ღვთის წინაშე, ახიც იყო, რომ შიგ საპატიმროშივე ამოხოცეს დამწყვდეულები, რადგან სულ იმისთანა კაცები იყვნენ დაჭერილები, რომელნიც ფულზედ სამშობლოს კი არა, საკუთარ სულსაც გაჰყიდდნენ.

რეინს გაღმა, საზღვარგარეთ, სამს ალაგას იყვნენ შეყრილნი გახიზნულები: ეტენჰეინგში, ვორმში თავად კოდესთან და კობლენცში უბრწყინვალეს თავად არტუასა და პროვანსელთან.

უბრწყინვალეს თავადთაგანი მარტო ერთიღა დარჩა საფრანგეთში, თავადი ორლეანელი, რომელსაც შემდეგში „ფილიპე-თანასწორობა“ დაარქვეს; იმისი შვილი ცხენოსან რაზმის წინამძღოლად იყო ჩრდილოეთის ჯარში.

წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა ხალხი. რომ მოენდომებინათ, ერთი ღამის სავალზედ მეტი კი არა ჰქონდათ ჩვენამდე! შემოგვესეოდნენ და ატყდებოდა ომი და სისხლისღვრა. იმას კი ნუ იფიქრებთ, ხალხს დამარცხებისა ეშინოდაო; მარტონი რომ ყოფილიყვნენ, სიცილად არ გვეყოფოდა იმათი მუქარა; მაგრამ მაგარიც ის იყო, რომ მარტონი არ იყვნენ და! გახიზნულებს თან მოჰყავდათ პრუსიელი და ავსტრიელი ჯარები. გარდა ამისა ჩვენს ჯარს უცბად იმოდენა აფიცერი მოაკლდა, რომ დიდ და ძნელ შესავსებელ ნაკლად დააჩნდა დიდებულთა გაქცევა. თუმცა სიკეთეც დაგვდო იმ დრომ: დარწმუნდა მაინც ხალხი, რომ დიდებულთ სამშობლო არა სცოდნიათ და, მაშასადამე, დიდი სისულელე მოგვდიოდა, რომ იმოდენა საუკუნეების განმავლობაში ჩვენი შრომით ვინახავდით და სამშობლოს მცველად მიგვაჩნდნენ.

მახსოვს ექვს ქრისტიშობისთვეს ჩვენს კლუბში დიდი სიცილი გამოიწვია გახიზნულთა შესახებ ბაასმა. იოსებ გოსსარი — ტულელი სირაჯი გახლდათ — კობლენცში ყოფილიყო და თავის მგზავრობის ამბებს გვიამბობდა. დიდძალი ხალხი ვნახე კობლენცში, სულ ჩვენი ბატონები, საზღვარგარეთ გახიზნულებიო — ვინ გნებავთ რომ იქ არა ყოფილიყო? თავადაზნაურნი, ბერები, მონოზნები, და ურიცხვი მოსამსახურეები და მოახლეები, რათა ზოგმა თავი დავარცხნოს ბა-

ტონს, ზოგმა პირი დაბანოს, ზოგმა ტანთ ჩააცვას, ზოგმა წვერი მოპარსოს, ზოგმა ფრჩხილები მოსჭრას, ზოგმა გახადოს, ზოგმა დააწვინოს, ზოგმა ფეხის გული დაფხანოს და ტკბილი ნანინათი დააძინოსო.

უცნაური ხუმარა კაცი იყო გოსსარი, ნამდვილი ლორენელი და იმისთანა სასაცილოდ გვიამბობდა გერმანელთა შორის ჩვენი ბატონების ყოფას, რომ სიცილით დავიხოცენით. გერმანელებმა ჩვენი ენისა არა იციან რა და გახიზნულებმა გერმანულისა. ერთი მოხუცებული, დიდებული მარკიზის ქვრივი წარმოგვიდგინა: პატარა ოთახი უჭირავს ვორმში; ჯერ კიდევ ცოტაოდენი ფული ჰქონდა და ხან რას უბრძანებდა დუქნის მოახლეს, ხან რას: ის კი გაშტერებული შესცქეროდა:

— ვას? ვას? *.

— ვას! ვას! შეჰკივლებდა მოხუცებული, — ლოგინი გამისწორე, თორემ ვასს მოგცემ მე შენ!

და ისე მშვენივრად აჯავრებდა მოხუცებულის გაბრაზებას და კივილს, რომ სიცილით იხოცებოდა მთელი ჩვენი კლუბი. მერე გახიზნული თავადაზნაურნი წარმოგვიდგინა, რომელნიც იქაც არ იშლიან ძველებურ დროს გატარებას: ხედავთ, რა მხიარულადა ვართ, საფრანგეთის ბატონობა ხვალ ისევ ჩვენიაო! წარმოგვიდგინა ყმაწვილი ქალები, რომელნიც თავიანთ ქმრებს დაეძებენ; ბერები, რომელნიც რაზმად შემდგარან, ეგრეთ წოდებულ წითელ რაზმად, და საფრანგეთის აკლებას აპირებენ; წარმოგვიდგინა, რა მოუთმენლად ელიან გახიზნულები საფრანგეთიდან მიმავალ ფოსტას — მოურავი ფულს გამოგვიგზავნიდაო, და როგორ მოიწყენენ ხოლმე და იღრიჯებიან, როდესაც ფულის მაგიერ ცარიელი წერილი მისდით, რომელშიაც სწერია — თქვენი ბრწყინვალების სახლ-კარი და მამულ-დედული მართებლობამ ერის საკუთრებად დასდოო.

მართლა საცინელი სანახავი უნდა ყოფილიყო დიდებული თავადიშვილი, რომელიც დაჩვეული იყო, ყველაფერი მზამზარეულად, უზრუნველად მირთმევოდა, და ახლა კი... ჯიბეცარიელი და თანაც დუქნის ვალი, და ის დასაღუპავი უზრდელი მედუქნე, რომელიც ისე დღე არ გათენდება, რომ თავი არ დაუკრას მის ბრწყინვალებას და ფულის თხოვნა არ დაუწყოს!

ყველაზედ სასაცილოდ გენერალ ბინდერს არდგენდა, რომელიც უნდა მოსულიყო და ჭკუაზედ მოეყვანა გაგიჟებული საფრანგეთი: „მე რომ ბელგიაში შევედი რევოლუციის მოსასპობლად, — იკვეხდა თურმე გენერალი, — „იმდენი პატრიოტი დავახვრეტინე და და-

* რაო? რაო?

ვახრჩობინე, რომ ეხლა ბელგიისთანა დამშვიდებული ქვეყანა ერთი ალარსად იქნებაო". ყველაზედ უკეთესი ის იყო, რომ გახიზნულნი თურმე ისე დაბინავდნენ ვორმის თავადის სასახლეში, როგორც საკუთარ სახლში და აზრადაც არ მოუვიდათ, ზრდილობის გულისთვის მაინც დავეკითხოთ პატრონსაო. ყველაზედ ძალიან ეს ამბავი გვიამა, მეტადრე შოველს და ნათლიაჩემს.

გოსსარი ბევრს მოგზაურობდა და, საცა კლუბის კრებას დასწრებოდა, ყველგან უამბობდა გახიზნულების ამბავს. ეს რომ იცოდნენ, იმისთანა აღტაცებით მიიღებდნენ ხოლმე ყველგან, თითქო თვით მარატი ეწვიათო. იმოდენი ხალხი მიაწყდებოდა ხოლმე კლუბს იმის სანახავად, რომ ფასით რომ ყოფილიყო, ფულით აივსებოდა. მაგრამ გოსსარი კარგი პატიოსანი პატრიოტი იყო და მარტო იმასა ცდილობდა, პატრიოტები ესიამოვნებინა და თავისი ღვინოები გაესაღებინა.

ეს იმიტომ გიამბეთ, რომ უკეთა ნახოთ, ვის აჭმევდა 1789 წლამდე გლეხკაცი თავის ნაშრომს დასამტკიცებლად იმისა, რომ დიდებულნი მართლა უღირსნი იყვნენ დიდებისა, იმის პასუხს მოვიყვან, რომელიც შემდეგში მეფე ლუი XVIII-ედ იქნა წოდებული: კანონმდებელი კრება სწერდა მას — დაბრუნდი, თორემ ყოველ უფლებას აგხდითო. აი, რა უპასუხა:

„ხალხო, საერო კრებად წოდებულო! გონება მოიკრიბეთ და დღეიდან ორი თვის შემდეგ ძველებურ წესწყობილებას დაუბრუნდით. თუ არა და, თუ ეს ვადა გაიყვანეთ და გონს არ მოხვედით, გიჟებად ჩაგრიცხავთ და საგიჟეთში დაგამწყვდევთ!"

აი, რას იწერებოდა მეფე ლუი XVI-ეს ძმა, რომელიც ხალხს მეფის მოადგილედ უნდოდა, თუ მეფე თქვენს ჭირს წაიღებდა. აი, ამისთანა ჭკუისკოლოფის სასიამოვნოდ სტანჯავდნენ ხალხს, სულ ახალ-ახალ გარდასახადს ადებდნენ და მეფისა და სასახლის ხარჯს კი მაინც ვერ ასდიოდა იმოდენი ფული; მეფობა რომ გადავარდა, ათასი მილიონი მეტი ვალი დარჩა, რომელიც ისევ ხალხმა გადაიხადა. ხომ ამოდენი კაცი ვარ და ეხლაც ვერ გამიგია: რად ასულელებს სიმდიდრე ადამიანს? ისეთი გამოტვინებული, როგორიც ამ პასუხის მომცემი უნდა ყოფილიყო, ჩვენს სოფელში სულ უკანასკნელი გლეხკაციც არ იქნებოდა.

სულ ერთადაც რომ შეგროვილიყვნენ გახიზნულები, ლუკმად არ ეყოფოდნენ საფრანგეთს; მაგრამ ევროპელ ხელმწიფეებს ძალიან ეშინოდათ: ფრანგებს ჩვენმა ქვეშევრდომებმაც არ მიბაძონო, — და მიწის პირიდან აღგვას გვემუქრებოდნენ. ყველგან ომზედღა ლაპარაკობდნენ. იაკობელების კლუბში დიდი კამათი ატყდა ომის შე-

სახებ ბრისსოსა და რობესპიერის შორის. ბრისსო იძახდა, დღესვე უნდა შევისხათ იარაღი და გახიზნულთ და იმათთან ერთად პრუსიის მეფეს და ავსტრიის იმპერატორს ომი გამოვუცხადოთო. რობესპიერი კი იმ აზრისა იყო, რომ გარეგან მტერზედ ერთიათასად უფრო საშიში შინაური მტერი არის და, — რომ ციხე შიგნიდან არ გაგვიტყდეს, — ჯერ მოღალატენი უნდა ამოვხოცოთ, რომელნიც სამშობლოს არ ინდობენო. ეს იყო დედააზრი ორივეს სიტყვებისა; ეს სიტყვები დაბეჭდილი იყო და ათასობით ჰყიდდა შოველი; მოქალაქე, ჯარისკაცი, ხელოსანი, გლეხკაცი ყველა იმასა კითხულობდა, შოველის დუქანში ხალხი ბუზივით ირევოდა და მარგალიტა ძლივსღა ასწრებდა მუშტრის გასტუმრებას.

კლუბში კი თანდათან მატულობდა ეს უთანხმოება აზრებისა და ბოლოს განხეთქილებაც გამოიწვია. დანტონი, დემულენი, კარრა, ბიიო დევარანი და სხვანი რობესპიერისკენ იყვნენ; ისინი ამტკიცებდნენ, მეფეს, დედოფალს და გახიზნულთ ხსნა აღარა აქვთ, ან ქედი უნდა მოიხარონ ხალხის წინაშე, ან არა და ომით ეცადნენ დაკარგული დიდების აღდგენას; მაშასადამე, თუ კი მეფეს და მის მომხრეებს ომის მეტი აღარა დარჩენიათ რა, ჩვენც ფთხილად უნდა ვიყვნეთ, დაუსვენებლივ ვემზადებოდეთ და აღვილად არავის დავუთმოთ სისხლით შეძენილი უფლებანიო. ბრისსო კი თავისას გაიძახოდა. ბრისსო კანონმდებელი კრების წევრი იყო, რომელიც იაკობელების კლუბივით ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ მხარეს „ჟირონდელები“ იყვნენ და მეორეს — „მთიულები“. მთიულებს უნდოდათ ჯერ შინაური, შინმყოფი მტერი დაემორჩილებინათ და მერე გარეთ გაეტანათ ომი; ჟირონდელები კი იძახდნენ: ჯერ გარეთ მყოფ მტერს ავუტეხოთ ბრძოლა და მერე შინ დავბრუნდეთო.

ლუი XVI ჟირონდელებისკენ იყო, რადგან ამით არაფერს წააგებდა: ომს დავიწყებდით; თუ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, ეს გამარჯვება საკმარისს ძალას შესძენდა მეფეს, რომ რევოლუცია შეეყენებინა, რადგან ჯარი ყოველთვის იმისკენ არის, ვინც გაიმარჯვა და გამარჯვებული ჯარი დააჯილდოვა; დავმარცხდებოდით და პრუსიის მეფე და ავსტრიის ხელმწიფე უნდა მობრძანებულიყვნენ, ჩვენში ძველი წესწყობილება აღედგინათ და ყველაფერი ისე მოეწყოთ, როგორც საერო კრებამდე იყო. დედოფალს დიდი იმედი ჰქონდა, საფრანგეთი დამარცხდება და გამარჯვება მე დამრჩებაო; დიაღ, დედოფალს ნებავდა საფრანგეთის ტახტზედ ჩვენი მტრების წყალობით აბრძანებულიყო.

ჟირონდელები — ბრისსო, ვერნიო, გადე, ჟანსონე და სხვანი მეფე-დედოფლის საქმეს არიგებდნენ. მთიულები — რობესპიერი,

დანტონი, გუთონი, ბიიო დევარანი, დემულენი, მერლინი (ტუანვილელ) და სხვანი ერის საქმეს არიგებდნენ. მე მათ შესახებ ამის მეტს აღარას მოგახსენებთ.

რაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო ვრწმუნდებოდით, რომ უომრად ვერ გათავდებოდა ჩვენი საქმე და უფრო და უფრო უნდობლად ვუყურებდით მეფეს, დედოფალს, მინისტრებს და იმათ გენერლებს. საშინლად ღელავდა ხალხი. ყველა ხედავდა, რომ მინისტრებს და გენერლებს სულ სხვა მუცლის ტკივილი ჰქონდათ და ერი და მისი მომავალი არც კი აგონდებოდათ. სწორედ ამ დროს ამოირჩია ლუი XVI მინისტრებად სულ ჟირონდელები. ამით საბოლოოდ წაიხდინეს ჟირონდელებმა საქმე და საბოლოოდ დაკარგეს ყოველი ნდობა ხალხისა.

მაგრამ მაგას ისტორიაშიც წაიკითხავთ. მე მინდა ჩვენი ქვეყნის ამბები მოგახსენოთ.

1792 წ. იანვრიდან დაწყებული მარტამდე დღითი დღე მატულობდა რწმენა, რომ მტერი დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ შემოესევა ჩვენს მხარესაო. ფალსბურგს ამაგრებდნენ: სიმაგრეზედ ზარბაზნებს აწყობდნენ; ძველ ციხეებს აკეთებდნენ და სათოფურებს უმატებდნენ. სამხედრო მინისტრი ბ. ნარბონი საზღვრებზედ აგებულ სიმაგრეებს სინჯავდა და ცდილობდა, ისე მოეწყო, რომ მტრის შემაგრება შესძლებოდათ. სამშობლოს განსაცდელი ადგა.

შინ კი ჩვენი მტრები ისე გაგულისდნენ, რომ აღარავის ერიდებოდნენ. ვითომ სარწმუნოების დასაცავად, მაგრამ ნამდვილად კი გახიზნულების დასახმარებლად შემდგარი რაზმი კათოლიკეთა ერთიათად იქცა; კონსტიტუციის ერთგულ მღვდლებს სდევნიდნენ, საცა კი მოასწრებდნენ, მოუკვლელი არ გადარჩებოდათ; სახლში უვარდებოდნენ, აიკლებდნენ იქაურობას და, ასე გასინჯეთ, ბაღსაც კი უჩეხავდნენ. სტრასბურგელი დეპუტატი ხმამაღლა ჩიოდა იაკობელების კლუბში, ქვემო რეინზედ დღე არ გავა, რომ კაცის კვლა და ვისიმე სახლის აკლება არ მოხდეს, და მართებლობა ყურსაც არ იბერტყავსო. მართლაც ორმოცდაათი მღვდელი მოეკლათ ამგვარად და, თუ გაბედავდა ვინმე და ამ ამბების შესახებ იტყოდა რასმე, იმასაც აპატიმრებდნენ. მეტადრე ქვემო ალზასში იყო გახშირებული ამგვარი „შემთხვევანი“, რომლების გამო ასსიგნაციებმა ფასში იკლეს — ასი ოთხმოცდაათადღა გადიოდა. არისტოკრატებსაც ეს უნდოდათ.

წარმოიდგინეთ, რა გაცოფებული იქნებოდა ხალხი? ამის შემდეგ განაღა საკვირველია, რომ შემდეგში სტრასბურგელმა ეპისკოპოსმა შნეიდერმა კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების ჯავრი იყა-

რა და დუჟინობით გზავნა გილიოტინაზედ — თავები დააყრევინეთო! საშინელებაა ჯალათის ხელობა, მაგრამ უარესი საშინელება კიდევ ის არის, რომ კაცმა ცხვარივით კისერი წაუშვიროს — აჰა, ყელი გამომჭერითო. აგრე რომ იყოს და არაფრის შიში არა ჰქონდეთ სისხლით გაუმაძღართ, დაიღუპებოდა ქვეყანა; კიდევ კარგი, რონ ახსოვთ ბუნების კანონი — ვინც მოჰკლავს, მოკლულ იქნება.

ერთი სიტყვით, საცა კი მოასწრებდნენ პატრიოტებს, ცოცხალს აღარ გაუშვებდნენ. იმავე დროს კალიასავით მოედვნენ ჩვენს ქვეყანას უცხოელი ჯაშუშები და სხვადასხვა ცრუ ამბავს და ყალბ ასიგნაციებს ავრცელებდნენ; ყალბ ასიგნაციებს გახიზნულები აკეთებდნენ. ცუდი დრო დაგვიდგა: ადამიანის ნდობა აღარსად იყო, მეტადრე უცხოელისა და კლუბშიც კი ისე გულახდილად ვეღარას ვამბობდით და ხალხსაც განურჩევლად ყველას აღარ ვუშვებდით: ვისაც უნდოდა, წინადვე უნდა ჩაწერილიყო.

ჩვენი სამჭედლო მშვენივრად მუშაობდა. ნათლიაჩემი იძახდა, გაზაფხულზე ისევ პიკჰოლცში გადავალო; სულ ორი თვე, და კიდეც უნდა წასულიყო, რადგან მარტში ჩვენში ჯეჯილი ამოდის. მაგრამ მოაგონდებოდა, რომ შეიძლება ომი ატყდესო და კვნესას დაიწყებდა: შემოგვესევიან გახიზნულები პრუსიელებით და ავსტრიელებით, ახალ საბძელს დამიწვავენ და ყანებს დამითელენო; ან არა და დამიჭერენ და აქვე ჩემს მუხის ტოტზედ ჩამომახრჩობენო! მოუვიდოდა ბრაზი! მიდი-მოდიოდა ბრაზმორეული და სულ არისტოკრატების ლანძღვასა და წყევლაში იყო. არა, რა საჭიროა, რომ ვსხედვართ და მტრის შემოსევას ველით? ის არა სჯობია, რეინზედ მივუხტეთ, გახიზნულები გავფანტოთ და მიწასთან გავასწოროთ ის თავხედი, რომელმაც იმათ ბინა და თავშესაფარი მისცა! ჩვენი სახლ-კარის გადაბუგვას და ჩვენი მამულების აოხრებას, იმათი სახლ-კარი დაიწვას, ის არა სჯობია? ან ვინ აუვა იმოდენა ჯარს? თუ აქ იქნება ომი, პურიც ჩვენ უნდა ვაჭამოთ და ღვინოც ჩვენ უნდა ვასვათ! ჰოდა, იქ მივუხტეთ, არა სჯობია? იმათი პური ვჭამოთ და იმათი ღვინო ვსვათ, არ გვირჩევნია?!

ამ მხრივ ისიც ჟირონდელებისკენ იყო და ამტკიცებდა, ოღონდ ომი გამოცხადდეს, და სულ თავის ნებით წავლენ ჯარში პატრიოტებიო. თუ გაჭირდა, მე თითონ გავუძღვები ჩვენებურს მილიციას და სარრის მინდვრამდე ისე ჩავალ, რომ სულ გადავქელამ, რაც წინ დამიხვდებაო.

ალზასელი და ლორენელი გლეხკაცები დიდი სიამოვნებით ისმენდნენ ნათლიაჩემის სიტყვებს; სახეზედ კმაყოფილება ეტყობოდათ, მაგიდას მუშტსა სცემდნენ და... ბიჭო, ღვინოო!.. თან „წავა, წავასა“ მღეროდნენ.

ერთი ნაპერწკალი და იფეთქებდა კიდეც!

ძალიან წვიმები დაიჭირა თებერვალში. ამბობდნენ, თესლი ლპება და კიდევ შიმშილი ჩამოვარდებაო. საშინელი სიძვირე იყო. დასავლეთ საფრანგეთში კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებს ხმა დაეგდოთ — მეორედ მოსვლაა, ვერა ხედავთ, აღარც ღმერთი უნდათ და აღარც მეფეო! და ამით არეულობას გვიმზადებდნენ.

ჩვენი კლუბი ომის წინააღმდეგი იყო; შოველი ამტკიცებდა, დავიღუპებით, თუ ომი ატყდაო: კეთილ აზრს დრო უნდა მისცეთ, რომ ფესვი გაიდგას და გაიმაგროსო; ომი რომ ატყდეს, ჩვენს ძალ-ღონეს სულ ავსტრიელებს შევალევთ და შინ კი ვეღარას გავხდებით; ჩვენ ეხლა ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და ისე გავწმინდოთ ჩვენი ყანა, ისე გავმარგლოთ, რომ კეთილის თესლის აღმოცენებას და ზრდას არა უშლიდეს რაო! სულ თანხმობას და ერთობას გვიქადაგებდა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ჩვენი მტრები სწორედ ამ გზით გვიპირებდნენ დაჯაბნას — ჩვენს განცალკავებასა ცდილობდნენ, თუმცა თითონ საკვირველი თანხმობით მოქმედებდნენ.

— ამ გაჭირვებიდან ერთობა გვიხსნის, იძახდა შოველი, ამას ნუ დაივიწყებთ. ვიდრემდის პატრიოტები, — ხელოსნები, მოქალაქენი და გლეხკაცობა ერთად იქნებიან, — შიში არაფრისა ექნებათ. და თუ უთანხმოება მოუვიდათ რამე, მაშინ კი დავიღუპებით. თვით ქრისტე ღმერთიც ვეღარას გვიშველის! ისევ ისე ბატონყმობას შემოიღებენ და ზოგისთვის სამოთხე იქნება სიცოცხლე და ზოგისთვის კი ჯოჯოხეთი.

სრულს ჭეშმარიტებას გვეუბნევოდა და დრომ დაამტკიცა, რომ ეს სიტყვები უნაყოფოდ არ დარჩნენ, რადგან პატრიოტები ერთსულ და ერთხორც იბრძოდნენ არა მარტო საფრანგეთის თავისუფლებისთვის, არამედ მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისთვის.

ლაფაიეტის და იმის მეგობრების — ბაილის, დიუპორის და ორ ძმა ლამეტის — ხსენებაც აღარსად იყო; ხმა დადიოდა, მეფისაგან შესყიდულნი არიან და ხალხს საქმეს უცარავენო. როდესაც მეფემ კონსტიტუცია მიიღო, ლაფაიეტმა მილიციის წინამძღოლობა აღარ ინდომა და სამსახურს თავი დაანება. უნდოდა პარიზის მამასახლისად ყოფილიყო არჩეული, მაგრამ პარიზელებმა პეტიონი აირჩიეს და გაჯავრებული ოვერნში წავიდა.

„შიკრიკი, ხალხის მოსარჩლე, იაკობელების კამათი“ და სხვა გაზეთები, რომლებიც შოველს მოსდიოდა, ყურადღებასაც არ აქცევდნენ მის წასვლას. სწორედ იმ დროს იყო, რომ კანონმდებელმა კრებამ ბრძანება მისცა დრეველ და მაინცელ თავადებს, მანდ შემოხიზნული ფრანგები დაითხოვეთო.

იმათ უპასუხეს, ჩვენ საფრანგეთისაგან არავითარ ბრძანებას არ მივიღებთ: ჩვენი ქვეყანა და მასთან ერთად ალზას-ლორენიც ყოველთვის გერმანიისა ყოფილა და ეხლაც გერმანიისა უნდა იყოსო. ხელმწიფე ლეოპოლდმა გამოაცხადა, თუ გაბედა საფრანგეთმა და გრეველ და მაინცელ თავადებზედ ძალით მივიდა, პასუხს ჩემგან მიიღებსო. ამაზედ კრებამ ხელმეორედ შეუთვალა, თუ 15 იანვრამდე გახიზნულნი არ დაფანტულან, იძულებული ვიქნები ძალით აგასრულებინოთ ჩემი სურვილიო. კანონმდებელმა კრებამ სამშობლოს მოღალატედ აღიარა გახიზნულნი — მეფის ძმები, უგანათლებულესი თავადი კონდე, მირაბოს უნცროსი ძმა და სხვანი. იმავე დროს ჯარის ზრუნვას შეუდგნენ და ას ორმოცდაათი ათასი კაცი გაიყვანეს სამ რაზმად; ერთის წინამძღოლობა ლუკნერს მიანდეს, მეორისა ლაფაიეტს და მესამისა როშამბოს.

დღითი დღე ველოდით ომის გამოცხადებას, მაგრამ მარტამდე არა მომხდარა რა, გარდა იმისა რომ მეფის მომხრენი ცოფს აყრიდნენ იაკობელების კლუბს და თავიანთ გაზეთებში იაკობელების ლანძღვის მეტს აღარას ბეჭდავდნენ. მაგრამ იმათ ვინ ჩივის? იაკობელებს აღარც ჟირონდელები ინდობდნენ, მაგალითად, ბარნავი, ანდრე შენიე და სხვანი. იაკობელები კი პასუხსაც არავის აძლევდნენ, რადგან ღირსად არა სთვლიდნენ მათთან კამათს. ნამდვილი ბრძოლა იყო ატეხილი მთიულების და ჟირონდელების შუა; 1792 თებერვალში დაიწყო და იმისთანა ცხარი იყო ეს ბრძოლა, რომ მარტო მაშინ გათავდა, როდესაც ერთი პარტიათაგანი სრულიად ამოწყვიტა მოწინააღმდეგემ.

მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს, იქნება სხვა დროს არაოდეს არ ექოთ ისე ომი, როგორც იმ დროს იყო. ვისაც კი ქუდი ეხურა, იძულებული იყო თავისი აზრი გამოეთქვა, ომი მინდა ან არაო, რადგან ამაზედ იყო დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი უფლებანი, მამულ-დედული და ოჯახის და სამშობლოს ბედ-იღბალი.

პარიზელებს და მათთან ერთად მთელს საფრანგეთს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ძირიანად ამოეგდოთ და გაენადგურებინათ ყველა. რაც კი ხელს უშლიდა და ემუქრებოდა მათ; გადაწყვეტილი ჰქონდათ, სისხლით შეძენილი საკუთრება და უფლებანი ცოცხალი თავით არავისთვის დაეთმოთ და იმისთანადა სძულდათ თავიანთი მოწინააღმდეგენი, რომელნიც ეშმაკობით და ფლიდობით მათს მოტყუებას და დაჯაბნას ცდილობდნენ, რომ ადვილად შეიძლებოდა, თავს დასცემოდნენ და ერთ დღეს ყველა დიდებული და კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ბერი და მღვდელი გაეწყვიტათ მთელს საფრანგეთში. მაგრამ სწორედ ამ დროს მოკვდა ავსტრიის

ხელმწიფე ლეოპოლდი და ხალხის გონება ცოტა ხნით მაინც იმახ მიიპყრო; ლეოპოლდს 40 ათასი კაცი ბელგიისკენ გაეგზავნა, 20 ათასი რეინისკენ, მაგრამ აღარ დასცლოდა: ქეიფისგან მისუსტებულს რაღაც საწამლავი მიეღო, მომასულიერებსო და თქვენი ჭირი კი წაეღო.

ბევრს მოეცა მაშინ იმედი: მისი შვილი და მემკვიდრე ფრანსუა, უნგრეთის მეფე, უფრო ჭკვიანი და წინდახედული კაცია და შეიძლება, ვიდრე გერმანიის ტახტზედ აბრძანდებოდეს, ჩვენი საზღვრებიდან ჯარები უკან გააბრუნოს, რადგან ჩვენი საქმეები იმას სრულიადაც არ შეეხებაო. მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ: ჯერ არც კი ასულიყო ტახტზედ, რომ თავისი არისტოკრატების და ბერების რჩევით კანონმდებელ კრებას შემოუთვალა: ალზასი მე უნდა დამითმოთ, საფრანგეთში ძველებურად სამი წოდება გაბაალოთ და ეკლესიას თავისი მამული დაუბრუნოთო.

ეს კი მეტისმეტი იყო! იქნება თავისი საკუთარი ქვეშევრდომნი ვეგონეთ, რომ ერთი კი ვსთქვა, და ჩემს ბრძანებას წინ რა უდგასო? როდესაც ეს თავხედური მოწერილობა გავიგეთ, მთელი ერი აღშფოთდა და პირად შეურაცყოფად მიიღო საერო კრების შეურაცყოფა. ბრაზი მოგვერია, სისხლი გვიდუღდა და თუმცა შოველი თავისას გვეჩიჩინებოდა, — ფთხილად იყავით, ომი საუკუნოდ დაგვღუპავსო, ომით მარტო მეფეები ისარგებლებენ და ხალხი კი არაოდეს, რადგან ვაჯობებთ თუ გვაჯობებენ, სულ ერთია, შუაში ხალხი გაისრისებაო! — ჩვენ იმისი აღარა გვესმოდა რა და 23 აპრილს ჩვენს კლუბში ერთხმად ვიძახდით, ბრძოლა, ბრძოლა მაშა-პაპურიო! ნათლიაჩემს უნდოდა იმ საღამოს კლუბისთვის წინადადება მიეცა — კანონმდებელ კრებას ვთხოვთ, ომი გამოუცხადოს ხელმწიფე ფრანსუასაო; თვით შოველის წინააღმდეგ ვილაპარაკებო, — იძახდა, — და ვუსაყვედურებ, რომ ქვეყნის კეთილდღეობით გატაცებული ქვეყნის დიდებას აღარად აგდებს და ერისთვის კი უმთავრესი და უძვირფასესი განძი სახელი და დიდება არისო.

მე კი ხან ბრაზი მომერევოდა და ნათლიაჩემისკენ ვიყავ, ხან დავუფიქრდებოდი ჩვენს ყოფას და შოველს ვამართლებდი.

იმ დღეს დილიდან საღამომდე იწვიმა. მოქურუშებული ცა გულს უფრო გვიღონებდა; საქმეზე გული ვეღარ დაგვემყარებინა; დავდიოდით და ლანძღვას და მუქარას ვუთვლიდით იმათ, ვინც ასე ამცირებდა ჩვენს ქვეყანას. ბოლოს რვის ნახევარზედ ავდექით და ფალსბურგის გზას გავუდექით. მუხლამდე ტლაპოში ვტოპეთ; თავს კოკისპირული წვიმა დაგვდიოდა, მაგრამ მაინც არ დავიშა-

ლეთ; წინ ნათლიაჩემი მიდიოდა თავის წითელი ქოლგით, მერე ლეტუმიე და სხვა პატრიოტები.

ფალსბურგში რომ ჩავედით, დავრწმუნდით, რომ იქაც ისევე ღელავდა ხალხი, როგორც ჩვენში. ყველანი ფეხზედ იყვნენ, გაფაციცებულნი დადიოდნენ და ათრთოლებული ხმით მოკლედ უკრიდნენ ერთმანეთს სიტყვას. გვეგონა, ამაღამინდელ კლუბის სხდომის გამოა ეს ამბავიო, მაგრამ რაკი მოედანზედ გავედით, სულ სხვა ვნახეთ: შოველის დუქანი ღია იყო და შიგ იმოდენი ხალხი შეგროვილიყო, რომ ქუჩაშიაც კი ძნელად თუ ვაივლიდა ვინმე; მარგალიტა სკამზედ იდგა და რაღაცა გაზეთს აფრიალებდა.

მათუსალას ოდენი რომ ვიცხოვრო, მაინც თვალწინ მეყოლება ჩემი მარგალიტა ისე, როგორც მაშინ ვნახე. შავგვრემან პირისახეს იქვე ჭერზედ ჩამოკიდებული ლამპარი უნათებდა, თვალები ელვასავით უბრწყინავდა. გაზეთს თურმე უკითხავდა ხალხს, როდესაც ტალახში ამოსვრილები მივედით და ვცდილობდით ნიდაყვით გაგვეგნო გზა დუქანში შესასვლელად; ჩვენს მისვლაზედ და მეტადრე ნიდაყვის ცემაზედ ხალხში ხმაურობა ატყდა. მარგალიტა ჩვენკენ მობრუნდა და დაგვიძახა:

– მოისმინეთ! აი, საერო კრების განცხადება, ამას თვით საფრანგეთი ბრძანებს! — და კითხვა დაიწყო:

„კანონმდებელ საერო კრების განცხადება.

„რადგან ავსტრიის მართებლობამ, მიუხედავად საერთაშორისო კანონმდებლობის და ხელშეკრულებისა, ბინა მისცა და ხელი შეუწყო საფრანგეთის მტრებს: რადგან იგი კავშირით შეეკრა ევროპელ ხელმწიფეთ, რომ საერთო ძალით საფრანგეთის ერის თავისუფლება შეავიწროვონ; რადგან ფრანსუა I-ს, ნეფეს უნგრეთისას, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, არა სურს ის კავშირი დაარღვიოს; რადგან მიუხედავად ხელშეკრულებისა, რომლითაც საზღვარზედ არც იმან და არც ჩვენ მეტი ჯარი არ უნდა ვიყოლიოთ, ვიდრე მშვიდობიანობისა დროს არის ხოლმე — ის უფრო და უფრო უმატებდა თავის სამხედრო ძალას; რადგან მან გაბედა და საფრანგეთის ერის თვითმართველობას უკვე შეეხო, მოწერილობით, რომლითაც გვითვლიდა — ალზას-ლორენი გერმანელებისაა და არა საფრანგეთისაო, თუმცა ალზას-ლორენის სამაგიეროს დიდი ხანია იხდის ჩვენი ერი; რადგან იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საფრანგეთის შვილთა შორის და აგრეთვე ჯარშიც მტრობა ჩამოაგდოს და ერთიერთმანეთს შეაბრძოლოს, რაისა გამო ჩვენი ქვეყნიდან გახიზნულთ ჩვენს მტრებს თავის შეწევნას და დახმარებას არ

აკლებს, რადგან საფრანგეთის მეფის დეპეშებზედ იგი არავითარს პასუხს არ იძლევა და, მაშასადამე, მშვიდობიანი სჯითა და მოლაპარაკებით ორ ერთა შორის უთანხმოების აცილებას შეუძლებელ ხდის, რაიცა ეთანასწორება ომის გამოცხადებას.

საერო კრებამ დაადგინა"...

სისხლი თავში ამივარდა და შევძახე:

— საერო კრებას გაუმარჯოს!

და იმოდენა ხალხმა ერთხმად გაიმეორა ჩემი ძახილი. მარგალიტა ჩემკენ მობრუნდა და გახარებული ღიმილით გადმომხედა; მერე ხელი დაუქნია ხალხს და დაუძახა:

— მოისმინეთ, ჯერ არ გამითავებია!

„საერო კრებამ დაადგინა: საფრანგეთის ერი, ერთგული აღმასრულებელი თავის კონსტიტუციის საფუძვლად დადებულ პრინციპებისა, რომლითაც იგი არ იკადრებს ომი აუტეხოს ვისმე იმ მიზნით, რომ მიწა წაართვას რამე ან თავისუფლება; საფრანგეთის ერი, თუ იარაღს აიღებს, მარტო იმ მიზნით, რომ საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიცვას; საფრანგეთის ერი თავისდა უნებურად იძულებულია ომი გამოუცხადოს არა ავსტრიელ ერს, არამედ ავსტრიის ხელმწიფეს, რომელმან განიზრახა თავისუფალი საფრანგეთის შეურაცყოფა; საფრანგეთს კარგად სცოდნია და კიდევაც კარგად იცის მტრის და მოყვრის გარჩევა და ამიტომ ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ თავის მოკეთეს ომის შედეგები შეუმსუბუქოს და ცეცხლი და მახვილი და ყოველივე საშინელება ომისა იმათ სახლსა და მამულში შეიტანოს, ვინც თავისუფლების მოსაწყვეტად ამხედრებულან; საფრანგეთის ერი ძმურად მიიღებს ყოველ უცხო ქვეყნელს, ვინც კი მის დროშას ამოუდგება და შეძლებისდაგვარად თავისუფალი ერის თავისუფლების დაცვას ემსახურება; იგი ყოველ საშუალებით ეცდება ეს უანგარო თანაშემწენი თავის ერთგულ შვილთა შორის დაასახელოს და მით ცხოვრება გაუადვილოს.

საერო კრება ამით ომს უცხადებს ფრანსუა პირველს, მეფეს უნგრეთისას".

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს! გაისმა ყოველი ჰხრიდან; ჩვენი ქუჩიდან მოედანზედ გავიდა ეს ძახილი, მერე ჯარის ბინაზედ და იმ წამსვე ფანჯრები გააღეს ჯარისკაცებმა. გადმოდგნენ და ცხვირსახოცის ქნევა დაიწყეს; ძირს დარაჯებს ქუდები თოფებ-

ზედ წამოეცვათ და ისე ათამაშებდნენ. გამვლელ-გამომვლელნი ერთმანეთს აჩერებდნენ და ულოცავდნენ:

— გაიგეთ? ომი გამოცხადებულია!

ციოდა, წვიმდა და ჩვენ კი ყველანი ვიწოდით. მარგალიტა ჩამოსულიყო სკამიდან და მეც იმისკენ გავეშურე. დამინახა თუ არა, შორიდანვე ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და ჯერ ისევ წელანდებური, ათრთოლებული ხმით შემომძახა:

— მაშ უნდა ვიომოთ რაღა, მიშელ?

— მით უკეთესი. მეც მამაშენივით წინააღმდეგი ვიყავი ომისა, მაგრამ რაკი ბრძოლა სხვამ აგვიტეხა, ჩვენც ვაჟკაცურად დავუხვდებით და ჩვენს უფლებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არავის შევალახვინებთ.

მისი ხელი ჯერ ისევ ხელში მეჭირა და გაკვირვებით შევყურებდი, რადგან ასე მშვენიერი და გულწარმტაცი ჯერ არსად მენახა. ამ დროს შოველიც შემოვიდა; თავშიშველი იყო, წურწურით წყალი სდიოდა; თან ხუთი თუ ექვსი საუკეთესო პატრიოტი შემოჰყვა.

— ბიჭო, თქვენც ჩამოსულხართ! — შემოგვძახა, ჩვენ რომ დაგვინახა; — მე მეგონა წვიმას შეუშინდებოდით. მით უკეთესი! უფრო კარგად და დალაგებით დავუკვირდებით ჩვენს მდგომარეობას.

— მაშ აგრე რაღა? — შეჰყვირა ნათლიაჩემმა. — უომრად მაინც ვერ გადავრჩით?

— დიაღ. — უპასუხა გაჯავრებული კილოთი შოველმა. — ხომ იცით, მე წინააღმდეგი ვიყავი ომისა, მაგრამ რაკი გვაიძულებენ და ძალად გვაომებენ, ვეცდებით ისე დავუხვდეთ, რომ მეორედ აღარავინ გაბედოს ეს თავხედობა. აბა, მობრძანდით.

და ჩვენს კლუბში შევედით, იქვე დახურულ ბაზარში. ხალხით სავსე იყო იქაურობა. შოველი თავმჯდომარის ალაგას ავიდა; ჩვეულებადა ჰქონდა, იჯდა და ისე განაგებდა კლუბის კამათს; იმ საღამოს კი არ დამჯდარა; ათრთოლებული ხმით, რომელიც მოედნის ბოლომდე ისმოდა, დაიწყო თავისი სიტყვა:

„ხომ მოგეხსენებათ, მე ომი არ მინდოდა, რადგან თავისუფლების შემდეგ ადამიანს კეთილდღეობას ისე არაფერი შესძენს, როგორც მშვიდობიანობა; მაგრამ ამ ჟამად ომი უკვე გამოცხადებულია და ყველა მამულიშვილი სამშობლოს გამარჯვებასღა უნდა ზრუნავდეს; შერცხვენილი იყოს, ვინც დღეს სხვას ზრუნავს რასმე, ვინც განსაცდელში მყოფ სამშობლოს არ შესწირავს თავის ქონებას და თვით სიცოცხლესაც!

„სხვა დროსაც ბევრი გვქონია ომი, მაგრამ ამგვარი ჯერ ის-

ტორიაში არა მომხდარა რა: ამ ომზედ არის დამოკიდებული, თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი, თუ მონა; სამართალი უნდა განაგებდეს ქვეყანას, თუ უსამართლობა; ძველებურად დიდებული და ძლიერი უნდა იყოს ჩვენი სამშობლო, თუ დამცირებული და შერცხვენილი. ნუ წარმოიდგენთ, რომ ერთი ბრძოლით გათავდეს ყველაფერი; არა, რაც ძალ-ღონე გაქვთ, ეხლავ მოიკრიბეთ, რადგან შეიძლება რამდენიმე წელიწადი გავატაროთ ბრძოლაში; ევროპის მტარვალები განაგებენ და, რასაკვირველია, ეცდებიან ჩვენს დამარცხებას, რომ იმათ ქვეშევრდომებმაც ჩვენ არ მოგვბაძონ".

„მართალია, ვინც თავისუფლების დასაცველად აიღებს იარაღს, თუნდა ნიღვარივით დაღვაროს ადამიანის სისხლი, და მართალი არ არის, ვინც იარაღს სხვის უფლების შესალახავად აიღებს. სიმართლე ჩვენსკენ არის და მაშასადამე გამარჯვებაც ჩვენკენ უნდა იყოს".

შემდეგ ამისა ისიც გვითხრა, რომ ამ ომში ჩვენს მხრიკ მარტო ჯარები არ უნდა იბრძოდნენ: თუ გამარჯვება გვინდა, ჯართან ერთად მამულიშვილნიც უნდა შეებრძოლონ ჩვენს მტრებს, ზარბაზნებით და ხანჯლებით კი არა, შთაგონებით, კეთილი გულით და სიყვარულით; უნდა მივიდეთ და კარგიც შევთავაზოთ, აკიც; რაც უნდა გაუნათლებელნი და უვიცნი იყვნენ, მაინც დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ტყუილად გვებრძოდნენ, რომ ჩვენ იმათ მორიდმქნელ ჯაჭვების დამსხვრევა გვინდა! მაშინ კურთხევას დაგვიწყებენ, ჩვენ შემოგვიერთდებიან, და ყოველი ადამიანის უფლება ღვთიურ სამართალზედ იქნება დამყარებული. ეს ომი კი არა, კონსტიტუციის და ძმობის, ერთობის, თავისუფლების ქადაგება იქნება. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენს ჯარს წინ კარგი წიგნი და კარგი სიტყვა მიუძღოდეს, რომ ბრძოლის წინ კავშირი და ერთობა მოვიპოვოთ დაჩაგრულ ხალხის გულშიო.

ბოლოს იმ მოღალატეებს შეეხო, რომელნიც შინ იყვნენ და უკანიდან გვითხრიდნენ ორმოს. იმათ მოგონებაზედ ფერი წაუვიდა: აი, სად არის ამ ომის საშინელებაო, დაიძახა შოველმა; თუ თავიანთი საზიზღარი საქციელი არ მოიშალეს, პატრიოტები იძულებულნი ვიქნებით, ისე მოვექცეთ, როგორც ცოფიანს ძაღლს, თუ არა და სამშობლოს განსაცდელისაგან ვერა იხსნის რაო.

ჩემი თვალით რომ არ მენახა, ჩემს დღეში არ დავიჯერებდი, რომ შოველს ტირილი შეეძლებოდა; მაგრამ ჩემი თვალით ვნახე: გული აუჩქროლდა, ხმა აუთრთოლდა და უკანასკნელი სიტყვები იმისთანა ხმით წარმოსთქვა, რომ ერუანტელმა დაგვიარა ტანში:

„მაშ სისხლი სწყურიათ რაღა, იმ უბედურებს! ასჯერ მეტჯერ შევთავაზეთ მეგობრული განწყობილება და მშვიდობიანობა. აი, დღესაც, დღესაც კი ხელი იმათკენა გვაქვს გაშვერილი და ვეხვეწებით: ძმანო, რა გვაქვს საჩხუბარი? მოდით თანასწორნი ვიყვნეთ ყველანი! დავივიწყოთ ძველი უსამართლობა. ძველს ნუღარ გავიხსენებთ, ოღონდ ახალს ნუღარ ჩაიდენთ! უარჰყავით თქვენი უპირატესობანი, რადგან ბუნების წინააღმდეგია ადამიანის ადამიანზედვე გაბატონება"! მერე ისინი რას გვიპასუხებენ: „არა! თქვენა ხართ ჩვენი აჯანყებული მონები! ღმერთმა თქვენ იმიტომ გაგაჩინათ, რომ ჩვენს წინაშე მუხლის თავებზედ ცოცავდეთ და თქვენი შრომით ჩვენ გვინახავდეთ; ჩვენ ჩვენსას გავიტანთ! ყველას ვიზამთ, ყველას ვიკადრებთ და ჩვენსას კი გავიტანთ! სამშობლოს მტრებს შევუერთდებით, თქვენში უთანხმოებას ჩამოვაგდებთ, ზოგს ფულით გავარიგებთ, ზოგს ღალატით და თქვენ კი ისევ უღელს დაგადგამთ!" ჰოდა თუ კი ისინი ყველა საშუალებას ხმარობენ, რომ ისევ ძველებურად დაგვიმონონ, ჩვენ რაღად უნდა გვამტყუნებდნენ, რომ ჩვენც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ და ჩვენი თავისუფლება კი არავის შევავიწროვებინოთ?! გავათავე, მამულიშვილნო! ყველამ თავისი მოვალეობა იცოდეს! ყველა მზად იყოს და დავუძახოთ თუ არა, მაშინვე გავიდეს სამშობლოს სამსახურისთვის. ერთად ვიყვნეთ და ერთხმად შევძახოთ მტერს: „სიცოცხლე თავისუფალი, ან სიკვდილი სახელოვანი!"

. გაათავა და ჭექა-ქუხილივით გაისმა ხალხის თანაგრძნობა. ვისაც ამისთანა არა უნახავს რა, ვერ წარმოიდგენს, როგორ ღელავდა ხალხი. ერთიერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ; ხელოსანი, მოქალაქე, გლეხკაცი ერთმანეთს ძმობას უფიცავდნენ; მთელს საფრანგეთს ორ ნაწილადღა ჰყოფდნენ — პატრიოტებად და არისტოკრატებად, რომ პირველნი ჰყვარებოდათ და მეორენი ზიზღით და მუქარით ეხსენებინათ. საშინელი ყოფილა სამშობლოსთვის ატირებული ვაჟკაცი!

შოველის შემდეგ სხვებმა ილაპარაკეს; ჩვენმა მამასახლისმა ბუალომ, პერნეტმა, კოლენმა და სხვ. მაგრამ იმოდენი შთაბეჭდილება ხალხზედ ვეღარავინ მოახდინა.

იმ ღამეს ძალიან გვიან ავედით შინ. ისევ ისე წვიმდა. გაჩუმებულნი მივტოპავდით და მომავალ ომზედ ვფიქრობდით. მარტო ნათლიაჩემი ლაპარაკობდა, ისიც ხანდახან, თითქო მოაგონდა რამე და ეშინია, არ დააგვიწყდესო: უმთავრესი ის არის, რომ გენერლები ნამ-

დვილი პატრიოტები იყვნენ და არ გვიღალატონო! და მართალსაც ამბობდა, რადგან გენერლები მეფეს უნდა დაენიშნა და, წარმოიდგინეთ, რა ნდობა უნდა გვქონოდა ჩვენ მეფისა და იმის წყალობის მოსურნე გენერლებისა? მივდიოდით გაჩუმებულნი და თან გული გვიწუხდებოდა: ხომ გაგვყიდეს, ხომ დაგვღუპეს, იმათ როგორ უნდა მივენდოთო? განა შოველი მართალს არ ამბობდა, ჩვენ თუ დაგვამარცხებს, ღალატი დაგვამარცხებსო. ათასი ამნაირი სხვა ფიქრი მიტრიალებდა იმ დროს თავში და გარდა ამ საზოგადო ფიქრებისა ჩემი საქმეც საკვარისად მაფიქრებდა: ვხედავდი, რომ ჩემი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო; რომ მეც უეჭველად ჯარში წამიყვანდნენ და ჩვენი ღარიბი ქოხის და მარგალიტას გვერდით ჩემს ვულში დიდებული სამშობლოს სიყვარული იჭერდა ადგილს.

ამ ფიქრებით მოცული ავედი სახლში. შოველის სიტყვები მახსოვდა — რამდენიმე წელიწადი გასტანს ეს ომიო, მაგრამ ვერც მე და ვერც ნათლიაჩემი და ლეტუმიე ვერ წარმოვიდგენდით, რომ ოცდასამს წელიწადს გასტანდა ომი, შიგ ევროპის ყველა ხალხები ჩაერეოდნენ თავიანთი მეფეებით და ხელმწიფეებით, და ყველანი ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ, რადგან ჩვენ გვინდოდა ჩვენთან ერთად ყველანი განთავისუფლებულიყვნენ; რას წარმოვიდგენდით, რომ მთელი ევროპა ჩვენს წინააღმდეგ ადგებოდა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ გავბედეთ და ადამიანის უფლებანი მის ბუნებრივ კუთვნილებად ვაღიარეთ. ხომ დამეთანხმებით, რომ ამისთანა უგუნურება წინააღმდეგია ბუნებისა და ძნელი დასაჯერებელია, მაშინაც კი, როცა საკუთარი თვალით გინახავს იგი.

X

უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან ბევრნი ჩაეწერნენ თავიანთ სურვილით ჯარში და პირდაპირ საზღვრისკენ გაემგზავრნენ; სულ ნასწავლი, სამსახურში მყოფი ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, სხვათა შორის როტენბურგი, ლეკენგრი, დიუპლენი და სხვა. უმეტესი ნაწილი, იქვე დარჩა ბრძოლის ველზედ და ვინც გადარჩა, წარჩინებულ მხედართმთავრად ირიცხებოდნენ შემდეგში და ძალიანაც ასახელეს სამშობლო. ვისაც ჯარში წასვლა უნდოდა, სამამასახლისოში უნდა გამოეცხადებინა; სამგზავროდ და ტანისამოსისთვის ცოტა რამ ფულს მიიღებდა და ერთ-ერთ ჯარისკენ გაემგზავრებოდა. თუ გახსოვთ, როშამბოს ჯარი მობეგში იდგა, ლაფაიეტისა მეცში და ლიუკნერისა იქვე ჩვენს ახლო, ბიშისა და ბელფორის შუა. სიმღერით და სიცილით გავაცილებდით ხოლმე მიმავალთ და გულში კი გვეშინოდა:

— თავისუფლების ბურჯნი ესენი არიან და ესენიც რომ ავს-

ტრიელებმა ამოგვიხოცონ, ვიღას გამოვიყვანთ ამათ სამაგიეროდ?

წარმოიდგინეთ, როგორ გვეწყინებოდა, როდესაც ხმა გავარდა 29 აპრილს, — თავის ნებით გასულნი ავსტრიელებს ისე გამოჰქცევიან, რომ იარაღი არც კი უხმარიათ, და იმათ კიდევ თან დასდევნებიან ომში დაბერებული ჯარისკაცებიო. იმისთანა უცნაური და ძნელი დასაჯერებელი იყო ეს ამბავი, რომ ყველანი იძახდნენ, ეგ კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ბერების მოგონილიაო!

ჩვენდა საუბედუროდ, იმ საღამოს პარიზიდან მოსულმა ფოსტამ ყოველი იმედი გაგვიცრუა: ვალანსიენიდან სამ რაზმად წასულიყვნენ ჩვენი ჯარები, რომ ერთი ფლერუსში ჩასულიყო და იქაურ პატრიოტებს შეერთებოდა, მეორე ტურნეიში და მესამე მონსში. მაგრამ გენერალ როშამბოს, რომელსაც ის იყო მეფემ მარშლობა უბოძა, ავსტრიელ გენერლისთვის ჩუმად წერილი გაეგზავნა, შენზედ მოვდივარ, მზად იყავიო; ჩვენი ჯარები დაიმედებულები მიდიოდნენ, მტერს მოულოდნელად მივუცვივდებით და დავიმორჩილებთო და მტერს კი ლამაზად გაემაგრებინა გზები, ზარბაზნები დაელაგებინა, რიცხვითაც ერთისამად უმრავლესი ყოფილიყო ვიდრე ჩვენი ჯარები და დიდძალი ცხენოსანი ჯარი ჰყოლოდა.

ამას თვით როშამბო წერს თავის დღიურში, 20 აპრილს, რესპუბლიკის მასახელებელს გენერლებს — ბონაპარტს, ჰოშს, მასკენას, კლებერს და სხვ. რომ წინადვე შეეთვალათ მტრისთვის, მოვდივართო, არა მგონია, გამარჯვებული ყოფილიყვნენ როდისმე.

იმავე გაზეთებში ეწერა, რაკი ნახეს ჩვენმა ჯარებმა, რომ ავსტრიელები ასე მომზადებულნი და ჩასაფრებულნი დაუხვდნენ, უკან გამობრუნდნენ და ყვიროდნენ:

— გვიღალატეს! გაგვყიდესო!

და მარტო ჯარისკაცები კი არა, ქვეყანა იმას გაიძახოდა, გვიღალატესო. მართლაც და ჯარში იმდენი დიდებული გვარიშვილნი იყვნენ, სულ უფროსებად და წინამძღოლებად, რომ საკვირველიც იქნებოდა, რომ არ ეღალატნათ. კლუბებში ღალატზედღა ლაპარაკობდნენ. 1792 წ. 3 მაისის „მოამბეში“ ეწერა:

„კორდელიერების კლუბისაგან წარმოგზავნილნი შევიდნენ საერო კრების დარბაზში და კანონმდებელ კრებას მოახსენეს: საფრანგეთს სამასი კაცი უკვე მოაკლდა; სამასმავე თავი შესწირა საშშობლოს, როგორც თერმოპილეში სამასმა სპარტელმა. საზოგადოებრივი აზრი მათს სიკვდილს ღალატს აბრალებს...

სიტყვა გააწყვეტინეს. ასი კაცი ერთად უყვიროდა:

— გარეკეთ! გარეკეთ ეგ უსინდისონი!

ისეთი ღრიალი ასტეხეს, რომ კორდელიერების წარმომადგენე-

ლები იძულებულნი გახადეს ხმაამოუღებლივ უკან გაბრუნებულიყვნენ. რამდენიმე „მთიულმაც" ითხოვა სიტყვა, მაგრამ კრებამ არც იმათ მოუსმინა და მორიგი საქმეების განხილვას შეუდგა".

კანონმდებელი საერო კრების უმეტესი ნაწილი ხმოსანთაგან, ესე იგი შემძლებელთაგან, იყო ამორჩეული და თანასწორობას უარყოფდა; ამ უმეტესობას ღმერთივით სწამდა ბატონი მარკიზ დელაფაიეტი და ლაფაიეტს კი ინგლისის მიხედვით საფრანგეთის გამგედ ორი კრებული ნებავდა: ერთში დიდებულნი და ეპისკოპოსნი უნდა ბრძანებულიყვნენ და მეორეში ხალხის წარმომადგენელნი. ხალხის წარმომადგენელთ რომ დიდებულთათვის საზარალო ან უსიამოვნო დაედგინათ რამე, დიდებულთა კრებას უფლება უნდა ჰქონოდა თავის უთანხმოება გამოეცხადებინა და დადგენილების აღსრულება შეეყენებინა. ეს ხომ საერო კრებისაგან უკვე გაუქმებული სამივ წოდების აღდგენა იქნებოდა! ჩვენდა საბედნიეროდ, მეფე ლუი XVI და დედოფალი მარიამ-ანტუანეტა იჭვის თვალით უყურებდნენ ლაფაიეტს.

საცა გაიხედავდით, ყველგან ღალატმა იჩინა თავი: ვანდეში, ბრეტანში, საზღვრებზედ, და თვით საერო კრებაშიც კი. ყველ. მაწანწალა კონსტიტუციის გაუქმებას გაიძახოდა, მეფის მომხრე მღვდლები ხალხს ღვთის რისხვით და სულიერი წაწყმედით ემუქრებოდნენ, გახიზნულნი ჩვენს მილიციას „მეჯღანეების ჯარს" ეძახდნენ და სწორედ ამ დროს, — ორი კვირა არ გასულა მას შემდეგ, რაც გენერალი როშამბო ისე სამარცხვინოდ დამარცხდა, — სწორედ ამ დროს 10 მაისს, მოვიდა ამბავი, რომ წუხელ ღამის 11 საათზედ საქსის რაზმი მტერს მიუდგაო. ეს ის ცხენოსანი რაზმი იყო, რომელმაც ფალსბურგში გავლის დროს იმოდენი უიარაღო ჯარისკაცები ამოხოცა მარტო იმიტომ, რომ იმათ ერთი ცხენოსანი შეაყენეს და უთხრეს: დაიყვირე, თავისუფალ ერს გაუმარჯოსო! დიდად დაუმადლა მაშინ მეფემ ამ ცხენოსანთ ერის ერთგულთა ხოცვა. დღეს კი მთელი ეს რაზმი მტერს მისდგომოდა და ამ ღალატის ჯილდოდ ყოველ მათგანს ექვსი მანეთი ფული მიეღო. იმავე დღეს სენტავოლში მდგომი რაზმიც აბარგებულიყო და, ვითომ სასეიროდ მივდივართო, საზღვარს გადასულიყო თავისი ბარგით და ცხენებით და მტერს მისდგომოდა. ჩემი ძმა ნიკოლოზი ამ რაზმში იყო.

აი, რით გვებრძოდნენ ჩვენი პატიოსანი მოწინააღმდეგენი: ჩრდილოეთში გენერალი გვღალატობდა, დასავლეთისკენ ჯარები და ჩვენს უკან კიდევ—ვანდეში და ბრეტონში—ხალხი.

დიდი ხანია მე ამეებს მოველოდი. დიაღ, მას აქეთ, რაც ჩემ ძმა ნიკოლოზს შევხვდი, მას აქეთ, რაც ნანსში ხალხის ჟლეტა ვნახე,

დავრწმუნდი, რომ გაუნათლებელ მხეც ჯარისკაცს, რომელსაც თავისი უფროსის ღიმილი მთელს ქვეყანას ურჩევნია და ერთი უბრალო ჯვარი სულის ცხონებას, სასახელოდაც ექნება სწორედ იმ ხალხზედ იხმაროს იარაღი, რომელმაც იგი გამოზარდა და ახლაც პურს აჭმევს. მამაჩემს არას ვეუბნებოდი ჩემი ფიქრებისას და ძალიან ცუდსაც ვშვრებოდი, რადგან წინადვე რომ აზრადაც არის მოსვლოდა თავისი ნიკოს გაპარვა, ახლა ისე ძალიან აღარ შეწუხდებოდა. სოფელში ესღა ჰქონდათ სალაპარაკოდ; ისე აღელვებული ხშირად არ მინახავს მე ხალხი. შეიძლებოდა ჩვენსაც შემოსულიყო ვინმე მეზობელი და მეზობლური ჯიბრით ისიც წამოეყვედრებინა მამაჩემისთვის, რომ შენი შვილი სამშობლოს მოღალატეაო.

მაშინვე მივანებე საქმეს თავი და თითქმის ჩაუცმელი გავეშურე შინისკენ, რომ რაც შეიძლებოდა ფრთხილად შემეტყობინებინა ჩვენებისთვის ეს უბედურება. მამაჩემი გარედა მუშაობდა ჩვენს კარებთან და დამინახა თუ არა, ტკბილად შემომცინა. იმის დანახვა და ჩემი აღელვება ერთი იყო; ისე ავირიე, რომ აღარ ვიცოდი, რას ჩავდიოდი. სიფთხილეც დამავიწყდა, წინადვე მოფიქრებული სიტყვებიც და, რაკი მამაჩემს დავუახლოვდი, შევტირე:

— რა ცუდი ამბავი მომაქვს, რომ იცოდე, მამაჩემო! ჩვენი ნიკოლოზი მტერს მისდგომია!

ნეტავი ღმერთი გამწყრომოდა და ხმა არ ამომეღო: ერთი კი შეჰყვირა საწყალმა მოხუცებულმა, საზარლად შეჰყვირა, თითქო ადამიანი კი არა, სხვა რაღაც ღრიალებსო, და იქვე დაეშვა გულწასული. დღეს კაი ხნის კაცი ვარ, მაგრამ ახლაც ყურში მიდგას ის ყვირილი; საშინელი რამ იყო, საშინელი და ახლაც ფერი მეცვლება ხოლმე, იმ დღეს რომ მოვიგონებ.

მეც კი ვეღარ ვიდექი ფეხზედ; იქვე კედელს მივყუდებოდი და მეზობლები რომ არ მომშველებოდნენ, მეც იქვე წავიქცევოდი.

შინიდან დედაჩემი გამოვიდა ყვირილით: რა ამბავია? რა მოხდაო?

რუჟროს უკვე აეწია მამაჩემი და შინისკენ მიჰყავდა ჯერ ისევ გულწასული. პასუხიც იმან მისცა:

— რა მოხდა და ლამის მშობელი მამა ინაცვალოს თქვენმა ნიკომ! გაპარულა და მტერს მისდგომია!

მამაჩემი თავის ლოგინზედ დავასვენეთ. მეც ფეხთით ვივუჯექი და იმისთანა კანკალმა ამიტანა, რომ გაციებულსაც არ მიძაგძაგნია ისე. თან მწარედ ვტიროდი.

მაგრამ უბედურებასაც ჰქონია თავისი სიკეთე. მანამ უბედურება არ ეწვევა, ძნელია დარწმუნებითა სთქვას კაცმა — მეგობრები

მყავსო. უბედურებაში კი ყველა ერთად გამოჩნდება ხოლმე. იმისთანა სანუგეშო არა არის რა პატიოსანი კაცისთვის, როგორადაც გრძნობა, რომ უბედურებაში მყოფს ერთობ თანაუგრძნობენ ნაცნობი და უცნობი, ნათესავი და უცხო. მთელი სოფელი შეიძრა; ქალი და კაცი თვალცრემლიანნი მოდიოდნენ მამაჩემის სანახავად; ჩვენი პატარა ქოხი სავსე იყო ხალხით, მაგრამ ისე იყვნენ გაჩუმებულნი, ისე იყვნენ სულგანაბულნი, თითქო სახლში ცხედარიაო. მარტო მოხუცებულნი გაბედავდნენ ხოლმე და თავის ქნევით იტყოდნენ:

— ეჰ, საწყალი ბასტიენი! მოდი შენა და დღეის შემღეგ შვილი ინატრე! აპა, შვილისაგან არ არის მკვდარი ეს უბედური!

მე კი ვიჯექი და ვუსაყვედურებდი ჩემს თავს; კარგად ვხედავდი, რომ სხვა, ვინც უნდა ყოფილიყო, უფრო ფრთხილად და დარიდებით ეტყოდა მამაჩემს ამ ამბავს, ვიდრე მე.

ცოტა ხანს უკან ნათლიაჩემიც შემოვიდა. გარედანვე შემომესმა იმისი ხმა: — „ეჰ, ჩემო საბრალო ბასტიენ, ჩემო ძველო მეგობარო!.. და მეც თავში წავიშინე და ქვითინი დავიწყე, მამაჩემი მე მოვკალ-მეთქი.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სასახელოდ მიმაჩნია მამაჩემის პატიოსნება. ის რომ მართლა პატიოსანი კაცი არა ყოფილიყო, არც ისე დანანდებოდა ყველას. ხომ ისეთი ღარიბ-ღატაკი იყო და იმ დღეს ცხადად გამოჩნდა, რომ ის უფრო უყვარდა ჩვენს სოფელს, ვიდრე ბევრი სხვა უფრო შემძლებლები. ბევრს სიმდიდრის გამო სცემენ პატივს; ჩვენგან კი რის იმედი უნდა ჰქონოდათ? უმეტესი ნაწილი იმ ხალხისა, რომელნიც მამაჩემის სანახავად მოდიოდნენ, ერთი ასად უფრო მდიდრები იყვნენ, ვიდრე ჩვენ. აი, ეს იყო სანუგეშო და, კიდევ მოგახსენებთ, მე თავი მომწონს, რომ ასეთი ყველასაგან პატივცემული და საყვარელი მამა მყავდა.

როგორც იყო, მოვასულიერეთ საწყალი მამაჩემი. მარგალიტს გაეგო თუ არა ჩვენი უბედურება. მაშინვე გამოეგზავნა ექიმი შტეინბრენერი და ისე კარგად უწამლა, რომ სიკვდილს გადაარჩინა. მოსულიერდა, მაგრამ სულ იმასა ჩიოდა, გვერდი მტკივაო; სუნთქვა უძნელდებოდა. მის სანახავად მოსულებს უცინოდა და იმედიანად ეუბნებოდა:

— არა მიშავს რა, გმადლობთ!

დედაჩემი კი იჯდა გაჯავრებული და ეტყობოდა, ძალიან ეჯავრებოდა იმოდენი ხალხის თანაგრძნობა. რომ შესძლებოდა, სახლიდან გარეკავდა ყველას; ხალხის თანაგრძნობა ნიკოლოზის დაწყევ-

ლა იყო და დედაჩემი კი ნიკოლოზისაკენ იყო და იმის მზესა ჰფიცავდა.

დედაჩემი ჯერ ისე იყო, თითქო საიმისო არა მომხდარა რაო; მაგრამ როდესაც ერთმა ჩვენმა მეზობელმა მირალმა უთხრა, თქვენს ნიკოლოზს თავის დღეში აღარ შეეძლება საფრანგეთში დაბრუნება, რადგან, თუ დაბრუნდა, დაიჭერენ, სამხედრო სასჯელში მისცემენ და დახვრეტავენო, მაშინ კი შეიგნო, რა უბედურება გვწვევოდა და ფერი ეცვალა. მირალი ძველი ჯარისკაცი იყო და სამხედრო კანონები კარგად იცოდა. იქნება სცდებოდესო, დედამ ნათლიაჩემსა ჰკითხა, განა ეს მართალიაო? და რაკი იმისგანაც იგივე პასუხი მიიღო, — საფრანგეთი მოღალატეებს ტყვიით უხვდება და დაუსჯელი არავინ გადარჩებაო, — თავი ვეღარ შეიმაგრა, ცრემლი წასკდა და გარედ გავარდა სატირლად.

რამდენიმე დღის შემდეგ მამამ მუშაობაც შესძლო, მაგრამ ხელი სულ მარცხენა გვერდზე ეჭირა, თითქო გული მისდისო. ერთხელ მარტონი ვიყავით და ვკითხე:

— ხომ არა გტკივა რა, მამა, რომ აგრე ძნელადა სუნთქავ?

აქეთ-იქით მიიხედა, ხომ არავინ არისო, და მითხრა:

— ჰო, შვილო, ისე მაწუხებს მარცხენა ძუძუს თავი, თითქო ხანჯალი დამცესო.

მოიგონა ნიკოლოზის წერილი; ჯერ ძალა დაატანა თავის თავს და სიცილი დაიწყო, მაგრამ უცბად ცრემლი წასკდა, ხელები ცისკენ აღაპყრო და სთქვა:

— ღმერთო, შეუნდე უბედურს შეცოდებანი თვისნი! არ იცის უბედურმა, რას სჩადის, თორემ მაგას როგორ იზამდა.

თავის სატკივარის შესახებ ამის მეტი არა უთქვამს რა, თუმცა მას შემდეგ კარგად თავის დღეში აღარსადა ყოფილა. მალავდა საწყალი, არავის რას ეუბნებოდა და მარტო ღამე, როდესაც ყველანი ღრმა ძილში ეგულებოდა, დაემორჩილებოდა ხოლმე ტკივილს და მწარედ ამოიკვნესებდა.

მეც, რაც შემეძლო, ვცდილობდი გამერთო რითიმე. საღამოზედ, შინ მივიდოდი თუ არა, გვერდით მივუჯდებოდი და პატარა სტეფანეს ვუქებდი — კარგადა სწავლობს, მამა ქრისტეფორე ძალიან კმაყოფილი არის-მეთქი. ყოველ კვირა ჩამომყავდა ხოლმე სტეფანე და შინ მყავდა მთელი დღე. მამაჩემიც გამხიარულდებოდა, მოილხენდა, თავისი სევდა გადაავიწყდებოდა და წამოიძახებდა ხოლმე:

— გმადლობ, შენ ღმერთო! ოღონდ ამ ბედნიერებას ნუ მომიშლი და მეტს აღარასა გთხოვ.

ეგ მარტო კვირაობით იცოდა, და ისე დღე კი, მთელი ექვსი

დღე თავდაღუნული უნდა ყოფილიყო თავის კალათზე და სრული თავისუფლება მიეცა მწარე ფიქრებისთვის. ვინ იცის რას არა ფიქრობდა დილის ხუთი საათიდან საღამოს ცხრა საათამდე? მარტო ჩემს მისვლაზედ გამოერკვეოდა ხოლმე, როდესაც შორიდან ჩემს სტვენას გაიგებდა. ეს ჩვეულებაც დარდმა შემძინა: მინდოდა დაძალა ჩემი გულისწუხილი და ვუსტვენდი — ნახეთ რა მხიარულადა ვარ-მეთქი. გაიგებდა ჩემს ხმას, მომეგებებოდა და შორიდანვე შემომძახებდა:

— შენა ხარ, მიშელ! რასა იქ? ბევრი საქმე გქონდათ დღეს?

— არა უშავდა რა, მამა!

— მით უკეთესი! დაჯე, შვილო, დაისვენე, მანამ მე ამ კალათს გავათავებ.

დედაჩემიც ძალიან შეწუხებული იყო, საწყალი. იჯდა თავისთვის ჩრდილში, კუნჭულში, გულხელდაკრეფილი, პირმოკუმული და თავის ნიკოზედ ფიქრობდა.

ქალაქიდან ყოველთვის ამომქონდა გაზეთები, რომელსაც მარგალიტა მაძლევდა და საღამოობით მამაჩემს წავუკითხავდი ხოლმე. ძალიან მოსწონდა ვერნიოსი და ერთობ ჟირონდელების სიტყვები. უკვირდა, ასეთი გაბედვით რომ არიან, განა თავი განწირული აქვთო? და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ხალხის ბედ-იღბალი ხალხისავე ხელში უნდა იყოს და ხალხის ბატონი თვით ხალხი უნდა იყოს და არა სხვა. ძალიან ძნელად კი ითვისებდა ამ ახალ აზრს, რადგან ძველ დროში იყო აღზრდილი და დაბერებული, იმ დროში, როდესაც უბატონობას სიზმრადაც ვერავინ წარმოიდგენდა. მოაგონდებოდა ხოლმე თავისი დრო და ვერ წარმოედგინა, რომ დღეს ყველანი სრულიად თანასწორნი არიან და ადამიანთა შორის დღეს არავითარი განსხვავება აღარ არსებობს, გარდა პირადი ჭკუის და ნიჭისა. ძველი, შეჩვეული აზრების ამოგდება ძალიან ძნელი რამ არის და მამაჩემი რომ დაბადებითვე გულკეთილი და სიმართლის მოყვარე არა ყოფილიყო, ახალი ცხოვრებისას ვერას გაიგებდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინსაო.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ორ-ორი რაზმის გაპარვის შემდეგ, მარშალი როშამბო თავის ალაგას ვეღარ დარჩებოდა და თითონვე ითხოვა, სამსახურში ყოფნა აღარ შემიძლიაო. მაშინ საზღვარზედ მდგომი მთელი ჯარი ორადღა გაჰყვეს: ერთი ჩრდილოეთისა, ლაფაიეტის წინამძღოლობით და მეორე აღმოსავლეთისა, რომლის წინამძღოლად ლიუკნერი იყო, ძველად გერმანელ ცხენო-

სანთა ჯარისკაცად ნამყოფი, რომელიც ფრანგულს ძლივს ამ-ტვრევდა.

ავსტრიელები იმის მაგივრად, რომ წინ წამოსულიყვნენ, პრუსიის მეფეს გილიომს ელოდებოდნენ; იმანაც მიუხედავად გახიზნულთა ხვეწნა-მუდარისა დიდი ხანი ალოდინა საზღვართან მდგარი, შემოსასევად დამზადებული ჯარები. იმათი ლოდინით დიდად ისარგებლა ჩვენმა ერმა, რადგან განსაცდელი, ყველანი ვხედავდით, კარზედ გვადგა და მომზადება გვინდოდა; თოფი საკმარი არა გვქონდა, და მტერს რომ გაებედნა და დაუყოვნებლივ შემოსულიყო, უიარაღო ჯარებს დავახვედრებდით. რა ვუყოთ, რომ ქუდზე კაცი იწევდა საომრად? არსენალი კი ცარიელი იყო და! რაც ძველისძველი, მეფეული XV დროის თოფები გვქონდა, მილიციას დავუთმეთ, თუმცა ამ თოფებს ჩახმახი ერთობ წამხდარი ჰქონდათ. ზარბაზნებს იტყვით, და ისე იყვნენ ჟანგისაგან შეჭმული, რომ სასროლად სრულიად აღარ ვარგოდნენ და გარდა ამისა ყუმბარაც თუმცა ბევრი გვქონდა, გამოსადეგი არ იყო, რადგან ზოგი სულ არ შედიოდა ლულაში და ზოგი ისე დაგორავდა შიგ, თითქო პატარა კენჭი შეუგორებიათო. მარტო თოფის წამალი გვქონდა საკმარი კარგად შენახული, რადგან თოფის წამალს ფალსბურგში სიპ კლდეში გამოქვაბულ სახლში ინახავდნენ და ამიტომ საუკეთესო თოფის წამალი ყოველთვის ფალსბურგელებს ჰქონიათ.

ასე იყო ჩვენი საქმე. ამას ყველა ხედავდა და, რასაკვირველია, რომ მთიულებმა შუბს მიმართეს, რაკი თოფი არა ჰქონდათ. რაც ჩვენ 1792 წ. მაისში საქმე გვქონდა, იმოდენა ჩემს დღეში აღარსად მიმუშავნია: მთელი ერთი თვე სულ შუბები ვაკეთეთ. ნიმუშად ერთი პარიზში გაკეთებული მოგვიტანეს და სულ იმისთანებს გვაკეთებინებდნენ.

რამდენი შუბი გამოვჭედე მე იმ დროს! ვაკეთებდი და თან სულ იმასა ვნატრობდი, ნეტავი იმ დღეს შევესწრო, რომ ვინც მამაჩემს უკანასკნელი დღეები გაუმწარა, საკმარისად დასჯილი ვნახო-მეთქი. გამიტაცებდა ხოლმე ეს ფიქრი და ადიოდა და დადიოდა ჩაჭუჩი გაცეცხლებულ რკინაზე! ცოფიანივით გავხდებოდი ხოლმე ამ ფიქრებისაგან. მერე ვის სიკვდილს ვნატრობდი? ჩემი ძმისას, ჩემი ღვიძლი ძმისას. აი, რა საშინელი რამ არის ომი, რომელიც ერთმანეთის მოსისხლე მტრადა ჰქმნის არა მარტო ერთის ქვეყნის შვილებს, არამედ ერთის დედის შვილებსაც.

ორი თვის განმავლობაში ათას ხუთასამდე შუბი გავაკეთეთ; საქმე იმდენი გვქონდა რომ ორი ქარგალი კიდევ სხვა დავიჭირე და

თვით ოსტატიც, რაკი ხედავდა რომ საქმე ძალიან ბევრი იყო, კვირაში ერთხელღა გადადიოდა თავის პიკჰოლცის მამულში.

რომ გახურდებოდა მუშაობა და დაგვცხებოდა, საკინძეს გავიხსნიდით და დამკლავებულნი მივვარდებოდით ცეცხლივით გაჩაღებულ რკინას, მგზავრებიც კი შესდგებოდნენ ხოლმე ჩვენს სანახავად. სამჭედლოში რომ ველარ ვეტეოდით, გარეთა ვმუშაობდით: რკინას შიგნით ვახურებდით და მუშაობით კი გარეთ ვიყავით. ერთი ქარგალი რკინის გახურებას და გამოტანას უნდებოდა. გაჩერდებოდნენ ხოლმე მგზავრები და გვიყურებდნენ! ნათლიაჩემი ძალიან კარგ გუნებაზე იყო, ჩვენთან ერთად მუშაობდა და როდესაც ნახავდა, რომ დავიღალენით და ჩაქუჩს ისე მაგრა ველარა ვცემდით, საშინელი ხმით შემოგვძახებდა:

„დაჰკათ!.. წავა! წავა!

და ჩვენც უფრო მხიარულად შევიქნევდით ჩაქუჩს.

დიდძალი საქმე გავაკეთეთ იმ ცოტა ხანში. გაზაფხულდა, ამწვანდა ბუნება, მშვენიერი დარები იდგა, მაგრამ საღამო ხანზედ იმოდენა მუშაობით ისე მოქანცულები ვიყავით ყველანი, რომ აღარც სეირნობა გვაგონდებოდა, აღარც კლუბში ჩასვლა. მკვდარივით მივეგდებოდით ხოლმე, როგორც კი ვახშამს ავალაგებდით. კლუბში მარტო შაბათობითღა დავიარებოდით, რადგან ვიცოდით, რომ ხვალინდელი დღე ჩვენი იყო და ძილს არავინ დაგვიშლიდა.

ორჯერ თუ სამჯერ შემხვდა მთაში ჩემი გაკეთებული შუბი და ისიც რა მთაში? მივარდნილ, მიყრუებულ ტყეში, საათის ან ბუხრის გვერდით აყუდებული. ავიღებდი დაჟანგებულ შუბს, დავუწყებდი სინჯვას, ხან თავს ვუსინჯავდი, ხან ბოლოს... მომაგონდებოდა ძველი პატრიოტული აღტაცება და ვიტყოდი ხოლმე ჩემს გულში:

— ქვეყანა მოგივლია, ჩემო ძველო მეგობარო, ალზასი, ლორენი, შამპანი! რამდენი გერმანელის ხმალი აგიცდენია, რამდენი გამარჯვების მოწამე ყოფილხარ და თვით ბრაუნშვეიგის ზარბაზნებსაც კი ვერ შეუშინებიათ შენით გამხნევებული შენი პატრონი!

თვალწინ წამომიდგებოდა სიყმაწვილე და გაჭირებულ საშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლა; მომაგონდებოდა ხალხის ძახილი: „თავისუფალ ერს გაუმარჯოს!.. ან გავწყდეთ ან გავიმარჯოთო!..“ და მწარედ დავღონდებოდი, როდესაც შევადარებდი ეხლანდელ ქონდრისკაცებს და ჩემი დროის გმირებს.

ჩვენში რომ ეს ამბები იყო, პარიზში უფრო და უფრო მატულობდა უთანხმოება. „ჭრელები“ პატრიოტებს აბრალებდნენ საფრანგეთის აწეწას; ჟირონდელები იძახდნენ „მთიულები“ ანარქის-

ტები არიანო; მთიულები ჟირონდელებს ამტყუნებდნენ, არც ომი უნდა გამოგეცხადებინათ და არც აგრე დამარცხებით დაგეწყოთო... ლამის ღმერთაღ გაიხადოთ ლაფაიეტი! ის ლაფაიეტი, რომელმაც მარსის მოედანზე ხალხი ჟლიტა და საერო კრებას სთხოვდა, ქება შეასხით გენერალ ბუილეს, რომელმაც ნანსში იმოდენა ხალხი ამოხოცაო! „მთიულები“ ლაფაიეტის უვარგისობას აბრალებდნენ ყველაფერს და ჟირონდელებს ეუბნებოდნენ: მინისტრები ხომ სულ თქვენი მომხრენი არიან, ლაფაიეტი გადააყენებინეთ! ლაფაიეტს არ უნდა მიეღო ეს თანამდებობა, რადგან კონსტიტუციის ძალით საერო კრების წევრს აკრძალული აქვს მეფისაგან რაიმე თანამდებობა მიიღოს. გადააყენებინეთ ლაფაიეტი, ეს თქვენი პირდაპირი ვალდებულება არისო!“

მარატი ჯარისკაცთ უყვიროდა: დახვრიტეთ თქვენი მოღალატე გენერლებიო! რუაიუ სულ იმას გაიძახოდა თავის გაზეთში, რომ რევოლუციის აღსასრული უკვე დადგაო! ვანდეში ერთი თავადიშვილი მეფის სახელით აგროვებდა ხარჯს და სურსათის მზადებაში იყო: დიდებულნი, რომელთაც გაპარვა და მტერთან შეერთება უნდოდათ, მოგონილი გვარით და სახელით ეწერებოდნენ მილიციაში, და რაკი შვეიცარიას ან ბელგიას მიატანდნენ, გაიპარებოდნენ და მტრის ჯარს უერთდებოდნენ. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების ქადაგება იყო, რომელნიც ყველგან პატრიოტების ლანძღვაში იყვნენ და სულ იმას გაიძახოდნენ, რომ კონსტიტუციის მომხრენი ღვთისა და ქვეყნის მტრები არიან და მეფე უნდა აწამონო; თანაც, საცა კი მორწმუნე ყმაწვილკაცს ნახავდნენ, ურჩევდნენ კათოლიკეთა ჯარში ჩაეწერე, რათა ჭეშმარიტი სარწმუნოება და ღვთისაგან კურთხეული მეფე დაიცვა შეგინებისაგანო; საწყალ ხალხს სულ ბრწყინვალე თავადიშვილების ცოლების და ქალების ნაზი თითებით ნაკერ ლენტებს ურიგებდნენ სხვადასხვა წარწერით და ჯვარცმულის სახით, რომ ქუდებზედ გაეკეთებინათ.

ერთი სიტყვით, უბრძოლველად არაფერს გვითმობდნენ და იმისთანა გაშმაგებულნი იყვნენ, რომ სასიკვდილოდ განწირულს შეუძლია მარტო ისეთი თავის თავისა და მტრის დაუნდობლობა. მეტადრე ბზობის შემდეგ გამძვინვარდნენ. რევოლუციამდე მთელი ჩვენი მხარე ბზობა დღეს ქალაქისკენ მიეშურებოდა; დიდი და პატარა სულ იქ იყო და ყველას ბზის ტოტი ეჭირა ხელში; აკურთხებინებდნენ და მერე ნაკურთხი ბზით და ანთებული წმინდა სანთლით შემოიელიდნენ ხოლმე ყველა ქუჩას; საცა კი ისინი გაიელიდნენ, დაკეტილი უნდა ყოფილიყო დუქნები, თუნდა ეს დუქ-

ნები პროტესტანტისა ან ებრაელისა ყოფილიყო; ყველა სახლი ხალებით და ყვავილებით უნდა ყოფილიყო მორთული, თუნდა ეს სახლები ებრაელებისა ყოფილიყო. 1792 წ. კი ბევრმა პატრიოტმა და თვით შოველმაც მოახსენეს ქალაქის მამასახლისს, ეს ჩვეულება ჩვენი სარწმუნოებრივი თავისუფლების შელახვა არისო. სამამასახლისომ დაადგინა: „რადგან კონსტიტუციამ ყველა სარწმუნოებას სრული თავისუფლება მიანიჭა, დღეის შემდეგ აღარავინ იქნება იძულებული ბზობას თავისი სახლი ხალებით და ყვავილებით მორთოს; აღარავის ექნება ნება თავის სარწმუნოებრივ დღესასწაულს მილიცია დაისწროს; აღარავის შეეძლება სხვა სარწმუნოების მიმდევართ ძალით დუქნები დააკეტინოს“.

ამ ბრძანებამ უფრო არია საქმე. ბზობა დღეს მთელი მილიცია შეიარაღებული გავიდა და რაც ჩვენს მხარეში ვალენტინები და ბერი ბენედიქტები იყვნენ, ისინიც სულ იქ შეიკრიბნენ, რომ ახალი კანონის წინააღმდეგ აეშალათ ხალხი. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მილიციაც იქვე დაუხვდათ და, რომ დაინახეს — აღარ ხუმრობენ და თოფებს სტენენო, ვეღარა გაბედეს რა და ბზით და სანთლებით მარტო გალავანიღა შემოიარეს.

საუბედუროდ, სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე სამხრეთში. გაზეთებში ეწერა, რომ თვით პარიზშიც კი საშინელი შეურაცხყოფა მიეყენებინათ იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც ქუდი არ მოეხადნათ ანთებული სანთლით მოსიარულე ბერებისთვის: საწყლები ტალახში ჩაეყარათ და ზედ ევლოთ.

ბზობის შემდეგ აირია ყველაფერი. დღე არ გავიდოდა, რომ კონსტიტუციის მომხრე მღვდლისთვის ან სახლი არ გადაეწვათ, ან ვენახი არ გადაეჩეხათ და ან თითონაც არ მოეკლათ. მეტადრე ზემო რეინისკენ გათამამებულიყვნენ ბერები!

მაისის გასულს, ერთს დილას, როდესაც გაჩქარებულნი ვმუშაობდით ჩვენი სამჭედლოს კარზედ, მამა ქრისტეფორე დავინახეთ ჩვენკენ მომავალი; წინ ორი მათხოვარივით დაბრანძული ბიჭი მოუდიოდა; თავშიშველნი იყვნენ ორივენი და ხელები უკანა ჰქონდათ ახლართული. ერთიერთმანეთზე იყვნენ გადაბმულნი და ისე მოდიოდნენ თავდაღუნულნი; უკან მამა ქრისტეფორე მოსდევდა თავისი ყავარჯენით და სამი კიდევ იმისი ერთგული სოფლელი. სამჭედლოსთან ხალხი იდგა, მთიულები და გვიყურებდნენ — აბა შუბებს როგორ აკეთებენო. მამა ქრისტეფორე რომ დაინახეს, ყველანი იმისკენ მიბრუნდნენ და განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ. ნათლიაჩემმა დაუყვირა:

— რა ამბავია, მამაო! ეგ ტყვეები სად გიშოვნია?!

— შენ ხუმრობ და მართლა ტყვეები კი არიან. წარმოიდგინე, წუხელის სპატსბროდის და ლუტცელბურგის შუა — ჩემი ძმის იერემიას სანახავად გახლდი, — გზის პირას ჩამსაფრებოდნენ ესენი და სამი კიდევ ამათსავით ავაზაკი, უცბად მომვარდნენ ცულებით და დანებით:

— მოვკლათ ეს მოღალატეო!

ღვთის წყალობა გაქვთ, მეც კარგად დავუხვდი ჩემი ყავარჯენით! სამი გამექცა და ეს ორი კი წავაქციე; მე თითონ წამოვაყენე, ჩვენს სოფელში ავიყვანე და ჩვენებურებს ჩავაბარე. წუხელის აქ ბრძანდებოდნენ და ახლა ქალაქს მიმყავს, რომ ერთი კარგად გამაგებინონ, რას მემართლებიან, რას მერჩიან, რომ მოსაკლავად აღარ მინდობენ?! პირველი რომ ყოფილიყოს ეს შემთხვევა, მე თითონაც დავსჯიდი ჩემი ყავარჯენით და ვაკმარებდი. მაგრამ პირველი კი არა, ეს მესამედ მისაფრდებიან ასე. პირველად ჯომბლებით დამეცნენ, ამათ კი ცულებიც წამოუღიათ, უყურე, ივანე, რამდენ ალაგას დამჭრეს ამ წუწკებმა.

ანაფორა გადიხადა და სისხლით მოსვრილი გული დაგვანახვა. ჭრილობა შეხვეული ჰქონდა.

— ეს ხომ ასე, მხარიც დაშავებული მაქვს... ფერდებიც.

ეს რომ დავინახეთ, გავბრაზდით და თვით მამა ქრისტეფორეს რომ არ დავეჭირეთ, დავხოცდით ავაზაკებს. მაგრამ მამა ქრისტეფორემ არ მიგვიშვა, წინ გაირეკა და ჩვენ კი ამ სიტყვებით გვამშვიდებდა:

— მე რომ ამათი მოკვლა მდომოდა, აქ კი არ ჩამოგირეკდით. ამათი დასჯა კანონის საქმეა და არა ჩვენი. გამოირკვევა მაინც, ვინ არის ამათი წამქეზებელი.

ჩვენც შევდექით, რადგან ვგრძნობდით, რომ მართალს გვეუბნებოდა, თუმცა ძალიან ვლანძღეთ ავაზაკები. მამა ქრისტეფორე კი გვამშვიდებდა:

— ამ საღამომდე, ხალხო! საღამოზედ ამოვივლი და ყველაფერს გიამბობთ.

მთელი დღე ამაზედ ვლაპარაკობდით. გაივლ-გამოივლიდა ნათლიაჩემი და იტყოდა:

— ბედნიერია, ვისთვისაც ღმერთს ძალ-ღონე მიუცია. მამა ქრისტეფორეს ალაგას რომ სხვა ყოფილიყო, ცოცხალი ვეღარ გადარჩებოდა! მაგრამ იმას და იმის ძმა იერემიას ხუთი კაცი კი არა, ოცდახუთიც ვერას დააკლებდა; თუ ერთი დაეჭიდნენ რასმე, გუთნეული რომ მოჰკიდოთ, ძვრას ვერ უზამთ. მთის ჯიშისაა, მთისა, ის დალოცვილი ძველებური კირკიტი ჯიშისა.

და უცბად სიცილი წასკდა, ისეთი სიცილი, რომ სულს ძლივს-ღა იბრუნებდა.

— მწარედ არ მოძურწავდნენ ის სამნი, ყავარჯენი რომ მოხვდებოდათ თავში! შენი გამჩენის ჭირიმე შენი, მამაო ქრისტეფორე!

და იმისთანა გულიანად ხარხარებდა, რომ ჩვენც მოგვერია სიცილი. ვიცინოდით და თან გაკვირვებულნი ვეკითხებოდით ერთმანეთს, ისე როგორ წახდნენ უბედურები, რომ ხუთი კაცი ერთ ძღვდელს შეუშინდაო!

მაგრამ მოგვაგონდა რომ საბრალო მამა ქრისტეფორეს რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა და კვლავ ბრაზი მოგვერია: აბა სწორედ მაგგვარ ავაზაკებზედ უნდა ვცადოთ ახალი მანქანა, რომელიც ყველა გაზეთებში იყო მაშინ აწერილი და რომელიც საშინელი სისწრაფით თურმე აგდებინებდა თავს სიკვდილით დასასჯელს; აგერ ორი კვირა იყო პარიზში გამოსცადეს ეს მანქანა და ძალიან კარგიც გამოდგა. საშინელი, შემაძრწუნებელი რამ უნდა ყოფილიყო ეს ახალი გამოგონილი იარაღი კაცის საკვლელად და გაზეთებში კი დიდი ქებით იყო აწერილი ეს „ახალი საბუთი კაცობრიობის წინმსვლელობის და განვითარებისაო"... მართალია, ეს გამოგონებაც ადამიანის გონებრივ განვითარებას ამტკიცებს, მაგრამ ამგვარი გამოგონება ყოველთვის ავის მომასწავებელია და სრულიად მართალნი იყვნენ ბერები, რომ გაიძახოდნენ, ცუდი დრო დაგვიდგაო! შემდეგში აღმოჩნდა, რომ იმათი წინასწარმეტყველება უფრო მართალი გამოდგა, ვიდრე თითონ ეგონათ.

საღამოზედ მამა ქრისტეფორემ, შინ რომ მიდიოდა, დაპირებისამებრ ჩვენკენ ამოიარა: ორივე ტუსაღი ციხეში ჩაამწყვდიეს; ბ. მსაჯულმა დაწვრილებით გაჰოკითხა ყოველი გარემოება, განაჩენი შეუდგინა და ახლა ნანსში უნდა გაგზავნოსო.

აი, როგორი გესლი მოედო ჩვენს ქვეყანას ბერების წყალობით; ამის მიზეზი იმ ბერების ქადაგება იყო, რომელნიც იმავ თავითვე ეურჩნენ კონსტიტუციას და ცხადლივ თუ ფარულად თავიანთ მტრობას არ აკლებდნენ. ჩვენში რომ ასე იყო, აბა ვანდეში რა იქნებოდა? კონსტიტუციის მომხრე მღვდლების ხოცვა და აოხრება ალბათ ძალიან ხშირი იყო და საერო კრებასაც ხშირად მისდიოდა ეს ამბავი, რომ ორი დღის შემდეგ, რაც მამა ქრისტეფორეს გვნახა, შემდეგი დადგენილება გააკრეს ყველგან სკოლებზედ, სამამასახლისოებზედ და ეკლესიებზედ:

„საერო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლების და ბერების მოქმეღება-

ზედ, რომელნიც ხალხში არეულობის და შფოთის ჩამოგდებას ცდილობენ, დაადგინა: საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადასწყდეს, რათა ბოლო მოეღოს მათს საქციელს.

„საერო კრებამ, რა დარწმუნდა, რომ დაუფიცავი მღვდლები იმისთანა საზიზღარ საშუალებას ხმაროობენ კონსტიტუციის გასაუქმებლად, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ მათ საზოგადო საქმეც და სამშობლოს კეთილდღეობაც სრულიად არაფრად მიაჩნიათ; რა დარწმუნდა, რომ საზოგადოებრივი წესწყობილების და თავისუფლების მოსისხლე მტრები თავის დღეში არ შეურიგდებიან კონსტიტუციას და, მაშასადამე, მათი მეგობრად მიჩნევა თავისუფლების ღალატი იქნება; რა დარწმუნდა, რომ სამართალი და კანონმდებლობა ვერას გახდება იქ, სადაც მავნე პირნი ხალხის წარყვნას და გაბრიყვებას ცდილობენ და, მაშასადამე, ყოველთვის მალულად მოქმედებენ, რომ დაუსჯელად დარჩენენ, დაადგინა:

„მუხლი პირველი: საზოგადოებრივი მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დასაცველად, ყოველი სასულიერო პირი, რომელიც ქვემოდ მოყვანილ დანაშაულთაგანს ჩაიდენს რასმე, გაგზავნილ იქნება მთამადნებში სამუშაოდ“.

შემდეგ ამისა აღრიცხული იყო ათამდე დანაშაული, რომელთაგან უმთავრესი შემდეგი იყო: „როდესაც ოცი ხმოსანი მამულიშვილი ითხოვენ რომელიმე დაუფიცავი სასულიერო პირის მთამადნებში გაგზავნას, თემის უფროსმა თავის კრებულითურთ უნდა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს მათი თხოვნა, თუ თითონაც თანახმაა ამ განაჩენისა“.

საშინელება იყო ეს კანონი, მაგრამ სხვა გზა აღარა გვქონდა: ან უნდა დავღუპულიყავით, ან უნდა დაგვეღუპა! რაში ვტყუოდით? განა არ ვეხვეწეთ, მაგას ნუ გვიშვრებითო! განა წინადვე არ შევატყობინეთ, მაგ საქციელს სასჯელიც თან დაჰყვებაო! განა ასჯერ და ათასჯერ არ მივმართეთ ხვეწნით და მუდარით, მოდით, ძმურად, მშვიდობიანად ვიცხოვროთო! რა პასუხი გაგვცეს ამ მუდარაზედ? რამდენსაც ვეხვეწებოდით, იმდენი უფრო მტრულად გვეპყრობოდნენ; სამოქალაქო ომი აგვიტეხეს და უცხოელი ჯარები მოიწვიეს თავიანთ სამშობლოს საწინააღმდეგოდ. ჩვენც ადამიანები ვართ! გიჟები ვიქნებით, სულმდაბალი ლაჩრები ვიქნებით, რომ მტერს მტრულად არ მოვექცეთ და ასე თუ ისე თავიდან არ მოვიშოროთ. არც მაშინ დარწმუნდებიან, რომ ძალა ჩვენს ხელთ არის? ჩვენ ისინი ადამიანადა და ჩვენი ქვეყნის შვილებად კი არა,

ქვეყნის მოღალატედ უნდა მივიღოთ და ისე დავსაჯოთ. აბა იმათ გაემარჯვათ? აბა ხალხი დამარცხებულიყო? იცით, როგორ აწამებდნენ პატრიოტებს? ამის პასუხს ამ ცოტა ხანში დიდებულთა და დაუფიცავ მღვდელთა მფარველი ბრაუნშვეიგი გეტყვით თავის პროკლამაციით.

მაშასადამე, აუცილებლად საჭირო იყო ამ კანონის დადგენა. ჰოდა, მეფე ლუი XVI აქაც არ დაიშალა თავისი: წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ ო, მოაწერა.

ხმა დადიოდა, გახიზნულები დაბრუნებულან და ათასობით შედიან პარიზშიო. საიდუმლო კრებები და სჯა აქვთ და დიდი უბედურება დატრიალდება ამ ცოტა ხანშიო.

საერო კრებამ კარგად იცოდა პარიზში დიდებულთა ყოფნა და ოცი ათასი კაცი დააბანაკა იქვე პარიზის მიდამოში, რომ დიდებულთ არა გაებედნათ რა. მაგრამ ლუი XVI ამაზედაც, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ ო, ბრძანა. იმავე დროს პრუსიელებს დიუპანის პირით შეუთვალა: „ა ჩ ქ ა რ დ ი თ და, საფრანგეთში რომ შემოხვიდეთ, პროკლამაციით გამოუცხადეთ ხალხს, რომ ერს არას ერჩით, არამედ იმათ წინააღმდეგ ხართ ამხედრებული, რომელთაც ღვთისაგან დაწესებული წესწყობილება გადააგდეს. გამოუცხადეთ, რომ თქვენი წადილი ომი კი არა, ანარქისტებისაგან გადაგდებული მეფის და ჭეშმარიტი სარწმუნოების აღდგენა არის“.

აი, პატიოსნებაც ამასა ჰქვია! პატიოსნება მეფისა, რომელიც თავის ხალხის წინააღმდეგ უცხოელებს ეხვეწება, აჩქარდითო! მოდით და შეიბრალეთ ამის შემდეგ! იმას უნდოდა კისერზედ ისევ უღელი დაედგა ჩვენთვის, და თავისი რომ აესრულებინა, დღეს მონასტრის და ბატონის ყურმოჭრილი ყმანი ვიქნებოდით მეცა და თქვენც, ჩემო მკითხველო! მთელი ქვეყნის ხარჯი ჩვენ გვედებოდა; ჩვენს შვილებს არც სამხედრო და არც სახელმწიფო სამსახურში გზა არსად ექნებოდათ და ბევრი-ბევრი მზარეულად და ლაქიად ეყოლებოდათ დიდებულ ბატონებს! ერთი სიტყვით, ისეთივე ყოვლისფრით უბედურნი ვიქნებოდით, როგორც რევოლუციამდე ვიყავით და მუქთახორა ბატონები და ეპისკოპოსები, ფლიდი, ქლესა შინაყმანი მეფის და დედოფლისა ძველებურად განცხრომაში და ფუფუნებაში იქნებოდნენ! მაგრამ ვერა, ვერ აუსრულდა წადილი საწყალ მეფეს! პატრიოტებმა აჯობეს მთელი ევროპის მეფეებს და მართლმსაჯულება დაამყარეს ბატონყმობის მაგივრად. საწყალი მეფე! საწყალი დედოფალი! გულკეთილი და ხალხის მოსიყვარულე დედოფალი მარიამ ანტუა-

ნეტა, რომელიც სულ იმას იძახდა ყოველ დღე, რომ პრუსიელები და იმისი ძმისწული — ავსტრიის მეფე და გერმანელების იმპერატორი — უნდა მოვიდნენ, საფრანგეთის ჯარი, — ორასი ათასი კაცი,— ამოხოცონ და ისე გამათავისუფლონ ამ ტყვეობიდანაო!

მაშინ კი იგრძნეს ჟირონდელებმა, რომ სასახლემ თვალი აუბა უბედურთ და გადასწყვიტეს, მეფეს ძალა დავატანოთ, რომ თავისი საქციელი აგვიხსნასო. მინისტრმა როლანმა წიგნი მისწერა მეფეს და სთხოვდა, იმდენი გამბედაობა როგორ არ ჭნდა გქონდეთ, რომ პირდაპირ გამოაცხადოთ — ერისკენა ბრძანდებით, თუ ერის წინააღმდეგაო? თუ ერისკენა ბრძანდებით, ორივე დადგენილება საერო კრებისა კანონად უნდა აქციოთ თქვენი თანხმობით; და თუ წინააღმდეგი ბრძანდებით, არსად უნდა უმტყვუნოთ თქვენს ჩვეულს „წინააღმდეგობას“ და მაშინ ხალხს ეცოდინება, რომ ლუი XVI საფრანგეთის მტრებს მისდგომიაო.

პატიოსანი კაცი ყოველთვის პატიოსნად მოიქცევა! როლანი დაურიდებლივ წერდა:

„თქვენს დიდებულებას დიდი უფლებანი ჰქონდა, რომელნიც მეფის ღირსების კუთვნილებად მიგაჩნდათ. ბავშობიდანვე ის რწმენა შეუთვისებიათ თქვენთვის თქვენს აღმზრდელებს, რომ წმინდად და ხელშეუხებლად უნდა დაგეფარათ ის უფლებანი და, რასაკვირველია, სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო თქვენთვის მათი დაკარგვა; სრულიად სამართლიანად უნდა აღგძროდათ სურვილი დაკარგულ უფლებათა ხელახლა მოპოვებისა და, მაშასადამე, რევოლუციის გაუქმებისა. ესევე სურვილი უნდა აღძროდათ ყველა თქვენს მომხრეებს, რომელნიც თქვენგან წყალობას მოელიან რასმე ან აწმყოში ან ახლო მომავალში. თქვენი და თქვენი მომხრეების სურვილი არც ერს უნდა გამოჰპარვოდა და, რასაკვირველია, სიფრთხილით და უნდობლად უნდა ყოფილიყო თქვენდამი. ამგვარად თქვენი დიდებულება ორ ცეცხლ შუა იმყოფებოდა მთელი ეს ხანი: ან თქვენს კერძო სურვილს უნდა მიჰყოლოდით, ან არა და გარემოებათ დამორჩილებოდით. მაშასადამე, ან ერის მოწინააღმდეგეთ უნდა მისდგომოდით და ქვეყნის არევა გერჩივათ, ან ერს მისდგომოდით და მშვიდობიანობა დაგემყარებინათ... უსაზღვრო არა არის რა და ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის თქვენი წადილი.

„ადამიანის უფლებათა აღიარება პოლიტიკურ სახარებად იქცა, და საფრანგეთის კონსტიტუცია სარწმუნოებად,

რომლისთვის ხალხი სიცოცხლეს არ დაინდობს... ყოველი გრძნობა მღელვარებად ქცეულა. ხალხი ძრწის და დღეს იქნება თუ ხვალ საშინელი ძალით იფეთქებს, თუ თქვენმა დიდებულებამ არ მიმართა ერს და პირადი ნდობით არ დაამშვიდა იგი. თქვენდამი ნდობა ხალხისა დამყარებული უნდა იყოს საქმეზედ და არა სიტყვაზედ. სიტყვამ თავისი დრო მოჭამა, ახლა თქვენგანაც კი საქმეს თხოულობს ხალხი... უკან დაწევა შეუძლებელია! აგრეთვე დაყოვნება ხანისა, რადგან რევოლუცია უკვე დაწყებულია ყოველი თქვენი ქვეშევრდომის გონებაში და საშინელი სისხლის ღვრით დამთავრდება იგი, თუ ჩვენ თქვენც არ დაგვეხმარეთ და არ აიცდინეთ ის უბედურებანი, რომელთა აცილება დღეს კიდევ შესაძლებელია... დაყოვნება შეუძლებელიღაა, რადგან ცოტა ხანი კიდევ და ხალხი დარწმუნდება — საფრანგეთის მეფე საფრანგეთის მტრების მეგობარი ყოფილაო"!

ამის პასუხად მეფემ გადააყენა ჟირონდელი მინისტრები. მაგრამ საერო კრებამ დაადგინა: სამშობლო დიდი მწუხარებით ეთხოვება ამ მინისტრებს და გარდა ამისა როლანის წერილი დაიბეჭდება და 83 თემში გაიგზავნებაო.

შემდეგ ამისა მეფემ დიუმურიე დანიშნა სამხედრო მინისტრად. ძალიან ფლიდი კაცი იყო ეს გენერალი და რაკი ნახა, რომ მიუხედავად იმის რჩევისა, მეფემ არ ინება საერო კრების ორი დადგენილება მიეღო, მინისტრობაზედ უარი განაცხადა და ისევ ჯარში წავიდა. მეფე ძალიან შეწუხებული იყო, რადგან ისეთი კაცი ვეღარ ეპოვა, რომელიც ერის მოსამსახურეც ყოფილიყო და ერის მოწინააღმდეგე მეფისაც. დედოფალი კი ამხნევებდა:

— პრუსიელები მალე მოვლენ! ცოტა ხანი კიდევ გავუძლოთ! განა აგრე ადვილად უნდა დაჰკარგო იმედი? სასულიერო წოდება ჩვენკენ არის და კარგადაც ირჯება. ვანდეშიც კარგად არის საქმე.

ეს ამბები გამოაქვეყნა მარიამ-ანტუანეტას ერთმა მოახლემ და მგონი მართალი უნდა იყოს. სწორედ ისეთივე იყო ეს ცოლისაგან ქმრის გამხნევება, როგორც ჩვენს ქოხში, დედაჩემი რომ ეტყოდა ხოლმე სასოწარკვეთილ მამაჩემს:

— ღმერთი მოწყალეა, კაცო! აი, წამოგვეზრდებიან ბიჭები და ჯარში გავგზავნოთ სხვის მაგივრად. ნიკო, კლოდი, მიშელ... სამში ერთი როგორ არ გადარჩება, რომ სხვის მაგივრად წავიდეს? კაი ფულს ავიღებთ მაშინ, ვალს გადაეიხდით, ერთ ძროხას, ან ორ თხას ვიყიდით და ცოტათი მაინც მოვისვენებთ.

იგივე და ისევეა, ოღონდ ნიკოს, კლოდის ან მიშელის გაყიდვის

მაგივრად, დედოფალი ალზასს დაუთმობდა პრუსიელებს. დიაღ, მთელს საფრანგეთს ეშინოდა ამისი, ყველას გულზე ლოდივით გვაწვა ეს ფიქრი, რადგან ყველა ჩვენგანს, სულ უკანასკნელ მაწანწალასაც კი უფრო მეტად უყვარდა სამშობლო, ვიდრე მეფე-დედოფალს. ნამდვილი პატრიოტიზმი, ჭეშმარიტი სიყვარული სამშობლო ქვეყნისა ხალხშია; ხალხს უყვარს მიწა, რომელსაც იგი ყოველწლივ გადმოაბრუნებს და რომლითაც იგი ცოცხლობს. სხვებს კი შემოსავლიანი ადგილები უყვართ, რომ საქმე არაფერი ქონდეთ, წარჩინებულნი მოხელენი შეიქნენ და დიდი პენსია დაიმსახურონ... ჩემს დროს კი ესე იყო და!

ჩვენს კლუბში, დაიწყებოდა თუ არა სხდომა, მაშინვე იმას დაიძახებდნენ: სიკვდილი მოღალატეებსაო! მაგრამ შოველი იქ იყო და ის გვამშვიდებდა:

— დამშვიდდით, მამულიშვილნო, დამშვიდდით! გაბრაზებით საქმე არ გარიგდება. პირიქით, კიდევაც წახდება! იქნება დამეთანხმოთ, რომ მეფის წინააღმდეგობა საერო კრების დადგენილებაზედ ჩვენთვის სასარგებლოც არის, რადგან ახლა პირისპირ მაინცა ვხედავთ მტერს. აქამდე მარტო ეჭვი გვქონდა; ახლა კი ეჭვი აღარავისა აქვს და ყველანი კარგადა ვხედავთ, რომ თვით მეფე ცდილობს ხალხი არიოს და ერთმანეთს შეახალოს... იგივე სურვილი, რაც ყოველ ჩვენს მტერსა აქვს... ხედავთ, რა თანხმობით მოქმედებენ დიდი და პატარა, მეფიდან დაწყებული სულ უკანასკნელ მედავითნემდე? ჩვენც სწორედ იმათ მაგალითით უნდა ვისარგებლოთ და ყოველთვის თანახმად და აუჩქარებლად ვუძღოდეთ ჩვენს საქმეებს. ყველა ჩვენგანი მზად იყოს ჯარში წასასვლელად, და ვინც შინ დარჩება, ეცადოს გადასდოს რამე ჯარის სახარჯოდ. შეძლებისდა კვალად ყველა დაეხმაროს საზოგადო საქმეს! სიფრთხილე და ერთობა მამულიშვილნო, და გამარჯვება ჩვენია!

შოველის სიტყვის შემდეგ იაკობელების კლუბში წარმოთქმულ სიტყვებს ვკითხულობდით: ბაზირისას, შაბოსას, რობესპიერისას, დანტონისას და ვმხნევდებოდით, რადგან ვხედავდით, რომ იმ კაცებს შიში არაფრისა ჰქონდათ და წინ სვლა ენატრებოდათ. ჟირონდელი მინისტრების დათხოვნა იმათაც საზოგადო უბედურებად მიაჩნდათ, რადგან ის მაინც ცხადი იყო, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, მტერს არ მიუდგებოდნენ! მართალია, ისინი ომის მომხრენი იყვნენ, მაგრამ ომი იმიტომ ინდომეს, რომ რევოლუცია დაემთავრებინათ და არა იმიტომ, რომ სამშობლო გაეყიდნათ.

ჩვენს მხარეში საუკეთესოდ ჩვენი კლუბი ითვლებოდა შოველის წყალობით, რადგან ჭკვიანი, ფრთხილი კაცი იყო და ამასთან

უანგარო მუშაკი სამშობლოს კეთილდღეობისა. ჩვენს გადაწყვეტილებას პარიზელ იაკობელების კლუბს ვაცნობებდით და როდესაც კრებას ჩვენი დადგენილებაც მოხსენდებოდა, ამას გაზეთებიც მოიხსენებდნენ ხოლმე.

მაგრამ იმ დროს ლაფაიეტმა ნიღაბი ჩამოიხსნა და ყველანი დარწმუნდნენ, რომ ლაფაიეტი, რომელსაც მთელი ქვეყანა ნამდვილ პატრიოტად იცნობდა და ნათლიაჩემი და ჟირონდელები მიუხედავად „მთიულების“ აზრისა, უსაზღვრო პატივსა სცემდნენ, მეფისკენ იყო და ხალხს მასხარად იგდებდა. რაც დღემდე კარგი ჩაედინა რამე, ამაოებით ჩაედინა და ახლა უძღები შვილი თავის მამას ურიგდებოდა: ხომ მოგეხსენებათ, ლაფაიეტი დიდებული მარკიზი და საშიში მარკიზიც ბრძანდებოდა, რადგან მთელი ჯარი იმას ებარა და თუ გაჭირდებოდა, ეცდებოდა თავისი ჯარი საერო კრების წინააღმდეგ წაეყვანა.

მაშინ პირველად იყო ამისთანა განსაცდელში ჩვენი საქმე. მას შემდეგ იმდენმა გენერალმა მოინდომა ჩვენი ღალატი, რომ აღარც კი მახსოვს; საქმე პირველი ყოფილა. ჩვენდა საბედნიეროდ, ლაფაიეტს დიდად არსად გაუმარჯვია მტერზედ. მართალია, მობეგის ახლოს რომ ავსტრიელების მცირე რაზმი დაამარცხა, თქვა: ჩემი ჯარი მე მომყვებაო! მაგრამ ეს დარწმუნებით არ იცოდა და საერო კრებას თავხედური წერილი მოსწერა, რომლითაც უცხადებდა: ყოველი უწესოების მიზეზი იაკობელები არიან, ჟირონდელები ჭორიკანაობის მეტს არას აკეთებენო... დასკვნა ამ წერილისა ის იყო, რომ რჩევას აძლევდა საერო კრებას: ყველა კლუბები დაშალეთ და თქვენი დადგენილება დაუფიცავი მღვდლების მთამადნებში გაგზავნისა და პარიზთან 20 ათასი კაცის დაბანაკების შესახებ გაუქმეთო.

წადი შენა და ენდე ბატონს მარკიზს, დიდ ვაშინგტონის მეგობარს! მეტი თავხედობაღა იქნება, ჯარისკაცი, რომელსაც ჯერ გამარჯვებაც კი არ უნახავს, საერო კრებას ბრძანებას აძლევდეს! ამის შემდეგ ყველამ ვიცანით ბ. მარკიზ ლაფაიეტი — ხან ვაშინგტონის მეგობარი, ხან მეფე-დედოფლის უმთავრესი ქომაგი! ლაფაიეტისა აღარც მეფეს სწამდა რამე, აღარც პატრიოტებს: მეფისთვის ძალიან რესპუბლიკელი იყო და ჩვენთვის ძალიან მარკიზი.

ასე მოუვა ყველას, ვინც ღმერთსაც ემსახურება, სატანასაც და სულ იმ ფიქრში იქნება, რომ ორივეზედ ჭკვიანი მე ვარ და ჩემს ფლიდობას ვერც ერთი ხედავს, ვერც მეორეო. პარიზელი მილიცია, რაკი ლაფაიეტი პარიზიდან გავიდა, ხალხს მიუდგა; მოქალაქენი და მუშა ხალხი ერთად იყვნენ, როგორადაც 1789; პარიზის

მამასახლისმა პეტიონმა მოარიგა და შეაერთა ისინი. პარიზელმა ხალხმა ლაფაიეტის თავხედური წერილი რომ სცნა, დაადგინა — საბურთაო დარბაზში კრების წლის თავი ვიდღესასწაულოთო. ეს დღესასწაული 20 თიბათვეს უნდა ყოფილიყო. შოველმა ერთი კვირის წინ აგვიხსნა ამ დღის მნიშვნელობა.

— ამაზე დიდი დღესასწაული ჩვენს ერს არც ერთი არა აქვს, — იძახდა თავის პატარა ოთახში ბუხრის თავზედ დაყრდნობილი შოველი. — საბურთაო დარბაზში რომ ერის წარმომადგენელნი შეიფიცნენ, იმ დღიდგან და ბასტილიის ციხის აღებიდან მომდინარეობს რევოლუცია და ჩვენს კალენდარშიც სწორედ ეს ორი დღესასწაული უნდა იყოს პირველ ალაგას მოხსენებული, როგორადაც ებრაელთ კალენდარში წითელ ზღვაზედ გავლა და სინაის მთასთან მისვლა უწერიათ.

თან ბურნუთს სწევდა და ღიმილით გადმოგვყურებდა. 19 თიბათვეს, ჯერ ლაფაიეტის წერილისა არა ვიცოდით-რა, რადგან ჩვენში 24-ს მოიტანეს იგი გაზეთებმა, შოველმა გვითხრა:

— ხვალინდელ დღესასწაულს ჩვენ ფალსბურგში ვერ მოვახერხებთ, რადგან ქალაქი ადგილია და მინისტრის ნებართვა დაგვჭირდება. მე არ მითხოვნია, და არც მინდოდა თხოვნა. ეგ არაფერი: ხვალ სადილის შემდეგ თითო ჭიქა ღვინით მოიგონეთ ეს დიდებული დღე და ეგეც საკმარისი იქნება. მარტო ჩვენ კი არა, მთელი საფრანგეთი მოიგონებს ხვალ თავისუფლების დასაწყისს!

ისეთი კილოთი ამბობდა, რომ დავრწმუნდით, ხვალ რაღაცა მოხდებაო. ვხედავდით, რომ იცოდა, მაგრამ სიფრთხილისა გამო ვერ გვეუბნებოდა.

დღეს ყველამ იცის, რომ 20 თიბათვეს 1792 წ. პარიზელი ხალხი ძალიან ადრე ადგა და მელუდე სანტერის, ყასაბი ლეჟანდრის და ოქრომჭედელი როსსინიოლის და სხვა პატრიოტთა წინამძღოლობით საერო კრებისკენ გაემართა — ქალი, კაცი, ბავშვი, თოფებით და შუბებით. სამფერი ბაირაღებით და ორთითზედ ჩამოკიდებული შარვლებით; მიდიოდა იმოდენა ხალხი და თან საშინელი ხმითა ყვიროდა; აღარ გვინდა ერის წინააღმდეგი მეფე! გაუმარჯოს ჟირონდელ მინისტრებს!.. თან „წავა-წავა“-ს მღეროდნენ.

საერო კრებამ დარბაზის კარი გაუღო. სამი საათის განმავლობაში საერო კრების წინ 25 — 30 ათასმა კაცმა გაიარა. იქიდან მეფის სანახავად მივიდნენ. მერე დედოფლისა და მინისტრის სანახავად.

მილიციას ლაფაიეტი აღარა ჰყავდა უფროსად და იმის მაგიერ

რომ ხალხისათვის დაეშალა ეს პანიფესტაცია, მილიციელებიც ხალხში ჩაერიენენ და სასახლეში ერთად ავიდნენ.

ეწყალ ხალხს თავის დღეში სიღარიბის მეტი არა ენახა რა და ახლა სასახლეში რომ შევიდნენ ესე უცბად და იმოდენი თვალ-მარგალიტი და საგანგებო ხალები დაინახეს და თანაც ძვირფასი მხატვრობა, საკრავები და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, განცვიფრებულნი დარჩნენ. ბოლოს თვით მეფეც ნახეს: ერთ ფანჯარაში ატუზულიყო და გარშემო მოსამსახურეები ეხვეოდნენ. ყასაბმა ლეჟანდრმა მოახსენა, კმარა რაც გვეწინააღმდეგეთ, საერო კრების ორივ დადგენილებას ხელი უნდა მოაწეროთო... თქვენ ჩვენ პირუტყვ საქონელსავით გვექცევით და მოგვწყინდა ამოდენი პირუტყვობა! ხალხი ძალიან კარგად ხედავს თქვენს წადილს და არა, აღარ მოტყუვდებაო!

ყასაბისაგან ესეც კარგი სიტყვაა, თუ დამეთანხმებით.

მეფემ ამის პასუხად აღუთქვა, კონსტიტუციას არაფერში ვუმტყუნებო. მერე მაგიდაზედ ავიდა, წითელი ქუდი დაიხურა და ერთი ჭიქა წითელი ღვინო მიირთვა ერის სადღეგრძელოდ.

საშინელი ხმაურობა იყო. მაგრამ სწორედ დროზედ მივიდა პარიზის მამასახლისი პეტიონი და იმოდენი ხალხი რომ დაინახა, რომელნიც სასახლეს სინჯავდნენ, უთხრა: ბევრს ხანს ნუ შესდგებით აქ, მამულიშვილნო, რადგან თქვენი აქ ყოფნით შეიძლება ისარგებლონ სამშობლოს მტრებმა და იმათი საზიზღარი საქციელი თქვენ დაგბრალდეთ! თქვენ სწორედ ისე მოქცეულხართ, როგორც შეშვენის თავისუფალი მამულიშვილის ღირსებას და ბატონი მეფე, როდესაც დამშვიდდება, უფრო კარგად ჩაუკვირდება თქვენს თხოვნას...

მამასახლისი მართალს ეუბნებოდა და დაუჯერეს კიდეც. საღამომდის იდინა ხალხმა სასახლეზედ და თან მოწიწებით სალამს აძლევდა დედოფალს და სხვა ქალებს ბატონიშვილითურთ. შემდეგში მომაკვდინებელ შეცოდებად ჩაუთვალეს სასახლეში შესვლა და მეფე-დედოფლის ნახვა. მე კი რაც მეტსა ვფიქრობ იმ დღეზედ, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ამაზედ უბრალო და უცოდველი მგონი არა იყოს რა: რა საძრახისია, მართლა, რომ ხალხს გაჭირება ადგეს, მეფესთან მივიდეს და შველა სთხოვოს? მართალია, ბევრი არაფერი სასიამოვნოა იმოდენი ხალხის შევარდნა სახლში, მაგრამ მეფე ხომ მამა უნდა იყოს თავის ხალხისა. ლუი XVI სულ იმას არ გაიძახოდა:

— მე მამა ვარ ჩემი ქვეშევრდომებისაო!

ჰოდა, თუ ეს მართალი იყო, თუ ამას მართლა გრძნობდა, არც

სასახლეში ხალხის შესვლა უნდა სწყენოდა: მამა და შვილი?! ვინ დაუშლის შვილს მამის სანახავად მისვლას? უნდა წინ გაძოჰგებებოდა და ეკითხა, რისთვის გასჯილხართ, შვილებო, ხომ არა გაგჭირებიათ რაო? მაგრამ სიმართლეს არა სჯობია რა და მე მგონია, რომ იმ სიტყვებს ისე ამბობდა რაღა, სიტყვის მასალად, და ამიტომ ძალიანაც ეჯავრა იმოდენი ურიცხვი შვილების მისვლა, მით უფრო რომ ძალიან დაურიდებლად იქცეოდნენ იმისი შვილები. და რადგან ვალენტინები მაშინაც ბევრნი იყვნენ, ერთი ვაივაგლახი ასტეხეს: ხედავთ რა შეურაცხყოფა მიაყენეს მეფესაო!

პატრიოტები კი იმედოვნებდნენ, მეფე ლუი XVI ამოდენა ხალხს რომ დაინახავს, დაფიქრდება და საერო კრების დადგენილებას ხელს მოაწერსო. შოველსაც ჰქონდა ეს იმედი. მაგრამ მეფე თავისას გაიძახოდა, წინააღმდეგი ვარო, და ამგვარად იმედი გაგვიცრუვდა და ხალხის სასახლეში მისვლით ჩვენ კი არა, ჩვენმა მტრებმა ისარგებლეს.

ასეც უნდა ყოფილიყო. „ჭრელების“ მთელი პარტია და მათთან ერთად ეგრეთ წოდებული კონსტიტუციის მფარველნი — ბარნავი, მანიე, ლალი ტოლენდალი, ორი ძმა ლამეტი და სხვა, რომელნიც ხალხს ყოველთვის იმას ეუბნებოდნენ, კონსტიტუციის მორჩილნი უნდა იყვნეთო და მეფეს კი ჩუმად გზას ასწავლიდნენ—კონსტიტუცია ამ გზით დაარღვიეო; ყველა ესენი, მილიციის ნახევარი და 76 თემი ისე აყაყანდნენ, თითქო ქვეყანა დაღუპულიყოს მით, რომ პარიზელმა ხალხმა გაბედა და სასახლეში ნახა თავისი მეფე. ამაზედ მეტი რაღა გინდათ, თვით მეფესაც აღარ ინდობენო! სანტერი, როსინიოლი და ლეჟანდრი სასჯელში უნდა იქმნენ მიცემულნი და მათთან ერთად ხალხის ბელადნი და თვით პეტიონიც, რადგან ხალხს ზარბაზანი არ დაუშინა და სასახლემდე მიუშვა... არა ჰგვანებია ბაილის, მარსის მინდორზედ რომ ხალხი ახოცვინაო! ამათ ყაყანს ზედ დაემატა ლაფაიეტის დაბრუნება პარიზში. იმის მაგივრად, რომ თავის ჯართან ყოფილიყო და პრუსიელების და ავსტრიელების ჯარებისთვის ეგდო ყური, რომელნიც კობლენცში მოგროვილიყვნენ და დღეს-ხვალ ჩვენ საზღვარს გადმოივლიდნენ, ლაფაიეტმა თავი დაანება ყველაფერს და პარიზში მივიდა — მთელი ჩემი ჯარის სახელით უნდა ვითხოვო, რომ 20 თიბათვეს აჯანყებულნი სამაგალითოდ იქმნან დასჯილნიო.

საერო კრებამ დიდი პატივისცემით მიიღო იგი. მაგრამ ერთმა ჟირონდელმა, გადემ, ამით მაინც თავისი არ დაიშალა და სთქვა:

„რომ მითხრეს, ბ. ლაფაიეტი პარიზშიაო, გამიხარდა, ღვთის წინაშე, ალბად მტერნი აღარავინა გვყავს, ალბად ავსტრიელე-

ბი დაგვიმარცხებია, რომ ლაფაიეტი დაბრუნებულა-მეთქი. მაგრამ დიდი ხანი არ გასტანა ამ ნეტარმა ოცნებამ: ჩვენი მტრები ისევ საზღვარზედ დგანან! ჩვენი გარეგანი მდგომარეობა არაფრით არ შეცვლილა და ბ. ლაფაიეტი კი პარიზში ბრძანდება?! რა საბუთი უნდა ჰქონოდა, რომ თავის ჯარს თავი დაანება? ჩვენი შინაური არეულობა? იქნება ფიქრობს, რომ საერო კრება საკმარისად ძლიერი არ არის, რომ შინაგან საქმეებს გაუძღვესო? თავის თავს მთელი ჯარის და პატიოსან მამულიშვილთა წარმომადგენელად ხდის... ვინ ბრძანდებიან და სად არიან ეს პატიოსანი მამულიშვილნი? ან როგორ მოახერხა ჯარმა ამ საგნის განსჯა და თავის განაჩენის დადგენა? მგონი არ შევცდე, რომ მოგახსენოთ. ბ. ლაფაიეტს თავის მახლობელთა აზრი მთელი ჯარის სურვილად სჩვენებია და... ბ. ლაფაიეტმა მინისტრის დაუკითხავად თავი დაანება თავის სამსახურს, ამით კონსტიტუცია დაარღვია და“...

დასკვნა ცხადი იყო!

ლაფაიეტის მაგალითს მერე სხვა გენერლებიც მიჰყვნენ: თავიანთ ჯარს უპატრონოდ სტოვებდნენ და თითონ პარიზისკენ მიეშურებოდნენ, ვითომ ქვეყნის დასახსნელადო, მაგრამ ნამდვილად კი მარტო იმ განზრახვით, რომ მართებლობა ხელთ ეგდოთ როგორმე.

რასაკვირველია, უნდა დაეჭირათ და სამხედრო კანონისამებრ დაესაჯათ. იმისთვის რომ ერთი ათი წლით ციხე გადაეწყვიტათ, როგორც უბრალო ჯარისკაცისთვის, სხვებიც ვეღარ გაბედავდნენ და ქვეყნის სამსახურს არ უღალატებდნენ.

საერო კრების წინაშე იაკობელები დაბეზღა; მერმე წავიდა და მეფე-დედოფალსა სთხოვა, ოღონდ მომენდეთ და კომპიენში გაგიყვანთ! იქიდან ბრძანება გაეცით, რომ კონსტიტუცია ხელახლად იქმნას გადასინჯული, მეფის ყოველი უფლებანი და დიდებულთა ყოველი უპირატესობანი ხელახლად იქმნენ აღდგენილნი! თქვენი დიდებულების ყოველი ბრძანების აღსრულებაში მოყვანას მე, ლაფაიეტი, ვიკისრებ და თუ პარიზმა წინააღმდეგობა გაბედა, ისე მოვეპყრობი, როგორც აჯანყებულს ქალაქსაო. ეს ყველაფერი შემდეგში გავიგეთ, კობლენცის წერილებიდან. მეფე-დედოფალმა არ მიიღო ლაფაიეტის რჩევა.

დედოფალს უნდოდა, რომ პრუსიელებისაგან ყოფილიყო განთავისუფლებული, და არა იმ ლაფაიეტისაგან, რომელმაც ვერსალიდან პარიზს გადაიყვანა მთელი სასახლე და ხალხს მეფის და დედოფლის დაცინვის ნება მისცა: აგერ ხაბაზი თავის ჯალაბითაო!

დედოფალს ჯერაც არ დავიწყებოდა ის დღე და სრულიადაც არ უნდოდა, რომ თავის მხსნელად ლაფაიეტი ჰყოლოდა. დედოფალს არავითარი კონსტიტუცია არა ნებავდა: საფრანგეთში სრულმპყრობელი მეფე უნდა ბრძანებულიყო, როგორადაც პრუსიაში და ავსტრიაში.

მაშინ კი დარწმუნდა ლაფაიეტი, რომ თავის თეთრი რაშით ის ველარავის გაიტაცებდა და მაინც არ დაიშალა და მილიციელები შეჰკრიბა, რომ იაკობელების კლუბი აეკლო; მაგრამ მამასახლისმა ჰეტიონმა ბრძანება გასცა: მილიციელების მბრძანებელი ლაფაიეტი კი არა, თავიანთი კანონიერი უფროსები არიანო, და რაკი ნახა ლაფაიეტმა, რომ ერთი კაციც არ გამოცხადდა მის ძახილზედ, ადგა გულდაწყვეტილი და გაეშურა თავის ჯარისკენ, რომელნიც სედანთან იდგა.

ქვეყანა ხედავდა ლაფაიეტის ღალატს. საერო კრებას ყოველი მხრიდან თხოვნა მოსდიოდა, დასაჯეთ ქვეყნის მოღალატენი და მეტადრე ლაფაიეტიო.

სწორედ მაშინ 1782 წელს მკათათვის დამდეგს იხუელა ყმაწვილკაცობამ და, მიუხედავად იმისა, რომ მეფე წინააღმდეგი ბრძანდებოდა საერო კრების დადგენილებისა, პარიზს მიდიოდნენ და ჯარისკაცად ეწერებოდნენ, რომ პარიზის ახლო საერო კრების დადგენილებისამებრ 20 ათასი კაცი მდგარიყო ყოველი შემთხვევისთვის გამზადებული. შეიყრებოდნენ ხუთი-ექვსი ბიჭი, ერთ ხელ სარეცხს გამოიკრავდნენ ხელსახოცში და დაიძახებდნენ:

— წავიდეთ პარიზს! ვინ მოდის პარიზს?

რომ გეკითხათ, სად მიდიხართო, გეტყოდნენ:

— პარიზს მივდივართ თავისუფლების დასაცავად და მტარვალთა და მოღალატეთა დასასჯელად!

შევაყენებდით ხოლმე, თითო ჯამ ღვინოს გავუტანდით. ყელს გაისველებდნენ და ისევ გზას გაუდგებოდნენ.

— გმადლობთ! ნახვამდის! ჩვენს აშბავს მალე გაიგებთ!

ნეტავი მეც შემძლებოდა, თან გავყოლოდი! ნეტავი! მაგრამ მამაჩემი? პატარა მატურინი და სტეფანე? უჩემოდ შიმშილით ამოიხოცებოდნენ! ახ, ნეტავი მეც შემძლებოდა იმათთან წასვლა!

მაშინ მინისტრმა ტერიემ მისწერა ყველა მამასახლისს — პოლიციელნი და ჟანდარმები წაიყვანეთ, წინ დაუხვდით და ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ პარიზისკენ მომავალნი განჟანტოთ; გარდა ამისა სასტიკად აკრძალეთ, რომ პარიზისკენ წამოსვლა არავინ გაბედოსო. მაგრამ ამ წერილს ყურადღებაც არავინ მიაქცია; პარიზის ყველა კლუბებმა ხმამაღლივ განკიცხეს მეფის მინისტრის

ამგვარი განკარგულება და შოველმა ხომ პირდაპირ გამოაცხადა — ნამდვილი ღალატი ეს არისო: პრუსიელებს და ავსტრიელებს ჩვენს ასაოხრებლად ეპატიჟებიან და გზას უჩვენებენ, და ჩვენ კი საშინელი სასჯელით გვემუქრებიან,—არ გაბედოთ და სამშობლოს დახმარება არ იფიქროთ, რადგან მეფე წინააღმდეგია მაგისო!

მეფის მოსამსახურენი მილიციელებად ირთვებოდნენ, გადიოდნენ ხალხში და ყველგან „გაფიცულთა“ ლანძღვა-გინებას გაიძახდნენ. გაფიცულნი იმათ დაარქვეს, რომელნიც თავის ნებით გავიდნენ საერო კრების დადგენილებისამებრ პარიზის მიდამოში ჯარის შესადგენად. დადიოდნენ ეს ვითომ მილიციელნი და ილანძღებოდნენ: გაფიცულთ „უნიფხოებს“ ეძახდნენ, თითქო სიღარიბე საძრახისი იყოს და უფრო ხშირად იმას არ ამტკიცებდეს, რომ კაცს სინიდისი და კეთილი გული ჰქონია და ღარიბადაც იმიტომ დარჩენილა! თუ არა და დიდი რამ შრომა კი არ უნდა მოსამსახურედ წასვლას! თქვენ ადამიანის დამცრობა და პირადი ღირსების უქონლობა სთქვით, თორემ, ათასიც რომა თქვან „უნიფხონიო“, მე ერთი ღარიბ-ღატაკი ხელოსნის გამხმარი ლუკმა მირჩევნია, იმათ დამამცირებელ სიმდიდრეს.

რომ ბოლო მოეღო ამოდენა ფლიდობისთვის, საერო კრებამ დაადგინა: მამულიშვილნი, რომელნიც სამშობლოს სამსახურს იკისრებენ და თავიანთ ნებით გავლენ მილიციაში, საზღვარზედ ჯარში ჩასაწერად, ან პარიზის ახლო დაბანაკებულთა შესავსებლად, სამამასახლისოში გამოაცხადებენ თავიანთ სურვილს და იქვე ჩარიცხულ იქნებიან სიაში; 12 მკათათვეს სამშობლოს ერთობის დღესასწაულს დაესწრებიან; სამი დღის საგზალი და ბინა ექნებათ და მას შემდეგ სამამასახლისოდან მიიღებენ ბრძანებას, საით უნდა გამგზავრდნენ, რომ თავიანთ რაზმებს შეუერთდნენ და კანონიერი ჯამაგირი მიიღონ“.

ამ ბრძანებამ დაიხსნა ჩვენი ქვეყანა გასაჭირიდან. შიკრიკებით გაგზავნეს იგი ყოველი თემისკენ და მაშინ დარწმუნდნენ მეფედედოფალი და კარისკაცნი თავიანთი მინისტრებითურთ, რომ საკმარისი არ იყო მეფეს რაიმე დადგენილებაზედ, „წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ ო“,—მოეწერა. მაშინ დარწმუნდნენ, რომ თუმცა მეფის ბრძანებისამებრ გენერალი ლუკნერი გამოექცა ავსტრიელებს; თუმცა კობლენცთან 35 ათასი პრუსიელი და ავსტრიელი იდგა და იმათთან ერთად ოცი ათასი გახიზნული დიდებულთაგანი სრულიად გამზადებულნი საფრანგეთში შემოსასვლელად; თუმცა გენერალი ბულიე ისევ ისე გვემუქრებოდა, მტრის ჯარს მე შემოვუძღვები და გზებს მე ვასწავლიო; თუმცა ამ მუქარის ასასრულებლ ი ს

ვილჰელმის, ფრანსუა II და ბრაუნშვეიგის უპირველეს მრჩეველად გამხდარიყო და მტრებს ჰპირდებოდა ჯერ ლონგვის აღებას, ჰერე სედანისას, ვერდენისას, მერე რეტელზედ და რეიმსზედ პურითა და ღვინით სავსე შამპანზედ გავლას და პარიზის აოხრებას; თუმცა დაუფიცავი მღვდლები თავისას არ იშლიდნენ და ვანდე და ბრეტანი სრულიად ჩამოაცალეს კონსტიტუციას და ქვემოლანგდოკშიც ხალხი ააჯანყეს თავადი საიანის წინამძღოლობით; თუმცა სასახლემ და დიდებულთა არაფერი დაზოგეს და იუდასავით გვღალატობდნენ, რომ ძველებურად მეფის სურვილზე დაემყარებინათ ქვეყნის ბედიღბალი, — მაინც ვერას გახდნენ და სამშობლომ იმათი არა ინდომა რა. დიაღ, ცოტაც არის ტვინი რომ ჰქონოდათ თავში, უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ „მეჯღანეებს", როგორც ისინი გვიხსენიებდნენ, სრულიად არ ეშინოდათ არც პრუსიელი გრენადერებისა, არც ავსტრიელი ულანებისა და არც ძლევამოსილ წინაპართა დიდებულ შთამომავლებისა.

თუ არა და განა ერთი და იგივეა კაცი თავისთვის იბრძვის, თუ დიდებული მეფისთვის, რომელიც, რაკი ომი გათავდება, ზედაც აღარ შეხედავს იმისთვის თავგანწირულ მუომართ? ალბად ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ლუი XVI-საც, რადგან შემდეგში იმის რკინის ყუთში წერილები იპოვეს, რომლებშიც გულახდილად ჩაეწერა ყოველი თავისი სევდა და მწუხარება და სხვათა შორის იმასაც ჩიოდა, რომ „მეჯღანეები და ხარაზები" ერთად არიან და მეკი ის მერჩივნა, რომ ერთმანეთს შებრძოლებოდნენო.

ჩემს ღღეში არ დამავიწყდება, რა სიხარულით მიეგებებოდით და გავაცილებდით ხოლმე პარიზისკენ მიმავალ გაფიცულთ. ჩემს ღღეში არ დამავიწყდება ის აღტაცება, რომლითაც მკათათვის დამდეგს მთელმა საფრანგეთმა ჟირონდელი ვერნიოს სიტყვა მიიღო. ეს სიტყვა მრავლად იყო დაბეჭდილი და მთელს საფრანგეოში მოჰფინეს; და ღირსიც იყო ამისი, რადგან ქვეყნის გულის თქმა და წუხილი იყო გამოთქმული. ამ სიტყვამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი შიში, შეფე გვღალატობსო, საერო კრებასაც ჰქონდა. ვერნიოს სიტყვა თვით შოველმა წაგვიკითხა კლუბში.

> „მეფის სახელით ამხედრდა ჩვენს წინააღმდეგ მთელი ევროპა, მეფის საშველად; მეფის დასახსნელად! მეფის სახელით შეითქვნენ ჩვენი დიდებულნი და ევროპიელი მეფენი! მეფის სახელით დაკავშირდნენ პილნიცში და ავსტრიამ და პრუსიამ ჯარებიც გამოგზავნეს. წამებას გვემუქრებიან, დიდით პატარამდე ამოჟლეტას, ჩვენი ქვეყნის მიწის პირიდან აღგვას და სულ იმავე მეფისა გამო და იმავე მეფის დასახმარებლად!"

მერე მოხსენებული იყო ის გარემოება, რომ კონსტიტუციამ მარტო მეფეს მიანდო მტერთაგან სამშობლოს დაცვა. როგორ აასრულა მეფემ თავისი ვალდებულება?

„მეფე ბრძანებდა, კანონების ერთგული მოსამსახურე და მფარველი ვიქნებიო, რომ ძალა ხელთ ეგდო და მით უფრო ადვილად დაერღვია ეს კანონები. მეფე ბრძანებდა, მე კონსტიტუციას არ ვუღალატებო, რომ სამეფო ტახტი არ წაერთმიათ და მით უფრო ადვილად დაერღვია კონსტიტუცია. მეფე ბრძანებდა, ერი მიყვარს და მეყვარებაო, რომ უფრო თავისუფლად გაება ღალატის ქსელი და ერი დაეღუპა. იქნება ჰგონია, ჩემს ფარისევლობას ერი ვერა ხედავსო? იქნება ჰგონია, ვერა ვხედავდეთ, რომ მტრის ჯარის გამარჯვება უფრო უნდა, ვიდრე ჩვენი ჯარისა? ასრე რომ არ იყოს, განა ათასის წინააღმდეგ ათს გაგზავნიდა? ამით ნებავს სამშობლოს დაცვა?! იქნება ჰგონია, ერი ვერა ხედავს, რომ მეფე ყოველთვის წინააღმდეგი იყო საზღვრების გამაგრებისა და ყოველგვარი საომარი სამზადისისა! ამით ნებავს სამშობლოს დაცვა? იქნებ ჰგონია, ერი ვერა ხედავს, რომ მეფე მადლობას უძღვნის კონსტიტუციის დამრღვევ გენერალს და ბორკილს ადებს ყველას, ვინც კონსტიტუციის ერთგულებას იჩენს? არა, მეფემ არ აასრულა ერისადმი თავისი მოვალეობა! მეფემ უღალატა კონსტიტუციას! მაგრამ კიდეც რომ შეარყიოს მან კონსტიტუცია, კიდეც რომ გადააგდოს იგი, მით თითონ ვერას ისარგებლებს!.. რას არ სჩადიან მეფის სახელით თავისუფლების და სამშობლოს წინააღმდეგ? ერთხელაც არის ებრძანებინა: ჩემი სახელით ჩემს უნებურად სარგებლობენო. მაგრამ არა, როგორ ბრძანებდა ამას, როდესაც მისი ნებაყოფლობით მოქმედებდნენ ჩვენი მტრები? გამარჯვება ხომ ხალხს უნდა დარჩეს, მაგრამ კიდეც რომ გაიმარჯოს მეფემ, მაინც ამ გამარჯვებით თითონ ვერას ისარგებლებს. მეფე აღარაფერია კონსტიტუციისთვის, რომელსაც იგი ასე სამარცხვინოდ ღალატობს! მეფე არაფერია ერისთვის, რომელსაც იგი სამარეს უთხრის!“

იმისთანა ყვირილი ატყდა კლუბში და გარეთ მოედანზედ, რომ ჰეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ყველანი ვეთანხმებოდით ამ დასკვნას, რადგან ვერნიოს ჩვენს გულში ამოეკითხა თავისი სიტყვა და ისე დაეწერა. როდესაც მეფის კეთილდღეობისთვის ერის დაღუპვა ხდება აუცილებელ საჭიროებად, ჯაშინ მეფის განწირვა აუცილებელია. და ხალხიც ამას გაიძახდა:

— პანღური და პანჩური მაგისთანა მეფეს! კმარა, რაც მეფეებისაგან ჭირი გვჭირს! ხალხი უმეფოდაც კარგად მოუვლის თავის თავს!

მეორე დღეს მეფე ლუი XVI ყველა მინისტრებმა საკუთარი პირით გამოაცხადეს საერო კრებაზე, — ჩვენი ხაზინა, ჩვენი ჯარი და ჩვენი სამხედრო ხომალდები იმისთანა უკიდურეს მდგომარეობაში არიან, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ სამსახურს თავი დავანებოთო. მგონი ესეცა კმარა დასარწმუნებლად იმისა, რომ მეფე ერს უსინიდისოდ ღალატობდა. ეს თქვეს მინისტრებმა და მოჰკურცხლეს! ისე გავარდნენ დარბაზიდან, რომ აღარც კი მოითმინეს გაეგონათ, რას ეუბნებოდნენ პასუხად; სწორედ ისე როგორც გაკოტრებული სოვდაგრები მოიქცევიან ხოლმე, როდესაც ვალის გადახდის მაგივრად ინგლისში ან ამერიკაში ამოჰყოფენ თავს და ბევრ პატიოსან კაცს და იმათ ოჯახს ულუკმაპუროდ სტოვებენ. აი, რას ნიშნავდა მინისტრებისაგან თანამდებობის თავის დანებება: ჩვენ თქვენის ნდობით ვისარგებლეთ და იმის მაგივრად რომ საფრანგეთი გაგვემაგრებინა და მტერთან საბრძოლველად შეგვემზადებინა, რაც შეიძლება მტერს შემოსევა გავუადვილეთ. ეხლა ჩვენი ქომაგი — პრუსიელები და ავსტრიელები მზად არიან, აგერ კიდეც მოდიან და... ვნახოთ როგორ გადარჩებით ამ განსაცდელსაო“?..

XI

მაგრამ ამ განსაცდელსაც გადავრჩით!

მეორე დღეს 11 მკათათვეს საერო კრებამ დაადგინა — სამშობლო განსაცდელში არისო — და მთელი საფრანგეთი წამოაყენა.

აი, რას ნიშნავდა ეს სიტყვა „სამშობლო განსაცდელში არისო“:

„განსაცდელში არის თქვენი ყანა, თქვენი ვენახი, თქვენი სახლ-კარი, თქვენი დედ-მამა, თქვენი სოფელი, ყოველი თქვენი უფლებანი და თავისუფლება, რომელიც სისხლის ღვრით შეიძინეთ დიდებულთა და ეპისკოპოსთაგან. გახიზნულნი მოუძღვიან პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებს, რომ აგიკლონ და წარგტყვევნონ, დაგხოცონ და თქვენი ხატიც კი აღარ დაინდონ! გახიზნულნი მოუძღვიან პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებს, რომ კვლავ ბატონყმობა შემოიღონ, ძველებური უღელი დაგვადგან ქედზე და თქვენცა და თქვენს შვილთა და შვილიშვილთაც მონობის დაღი დაასვან... აღსდექით და ვაჟკაცურად დაუხვდით მტერს, ან არა და ქედი მოიხარეთ და პირუტყვივით ოფლი იწურეთ თქვენი ბატონისა და მონასტრისათვის“!

აი, რას ნიშნავდა ეს სიტყვა! ამიტომ იყო, რომ დიდით პატარამ-

დე ყველამ იარაღი შევიხსნით; ამიტომ იყო, რომ საშინელი ძალით შევებრძოლეთ მტერს: ჩვენს კერას ვიცავდით, ჩვენს უფლებებს და თავისუფლებას, რომელნიც რევოლუციამ მოგვანიჭა.

საერო კრების დადგენილება ყველა სოფლებს აცნობეს. მთელს საფრანგეთში ზარბაზნის სროლა ასტეხეს, სამრეკლოებზედ შეუწყვეტლივ ზარსა რეკდნენ და მინდვრად გასულს გაშტერებულ ხალხს რომ ეუბნებოდნენ—მტერი კარს გვადგია და აოხრებას გვემუქრებაო, ნამგალს იქვე ბუჩქში მალავდნენ და შინისკენ გარბოდნენ თოფ-იარაღის მოსაძებნად; იმიტომ რომ მინდორი მერმისაც მოგვცემს მოსავალს, ათის წლის შემდეგაც, ასის წლის შემდეგაც! საქმე ის არის თვით მინდორი არავინ წაგვართვას. ყანა შეიძლება ცეცხლს მისცენ, ან პრუსიელების ცხენებს მოაძოვინონ; ეგ არაფერი! ოღონდ თვით მიწა არავინ წაგვართვას და პურსაც ბევრს მოვიყვანთ და სიმინდსაც ჩვენი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის.

ჩვენს სოფელში, როდესაც აწოწილი ელოფ კოლენი მაგიდაზედ ავიდა და საერო კრების დადგენილება წაგვიკითხა, ისე იყო გაჩუმებული ხალხი, გეგონებოდათ აღარა სუნთქავენო. მაგრამ როდესაც წამოიძახა: „მამულიშვილნო, სამშობლო განსაცდელშია! სამშობლო თქვენგან მოელის ხსნასაო!“ ყველაზედ წინ იმ კაცების შვილები წადგნენ, რომელთაც საეკლესიო მამულები ეყიდნათ და გამოაცხადეს, — ჩაგვწერეთ, ჯარში წავალთ ჩვენი ნებითაო. ალბად იცოდნენ, რომ თუ გაიმარჯვებდა მტერი და გახიზნულები დაბრუნდებოდნენ, იმათ მამებს ყველას ჩამოახრჩობდნენ. ხუთ-ხუთი მიდიოდნენ თავმჯდომარისკენ და ეწერებოდნენ.

მე ჯერ არაფერი მებადა, მაგრამ შეძენის იმედი მქონდა; სულ ხომ ისე სხვების მუშად არ ვივლიდი ჩემნი დღენი! გარდა ამისა ვე ჩემი და ჩემი ქვეყნის თავისუფლება სიცოცხლეზედ მეტად მიმაჩნდა და... აი, ახლაც ხომ მოხუცებული, ღრმად მოხუცებული ვარ, და ამ მოგონებაზედ ისე მიდუღს სისხლი, თითქო აგერ, მტერი კარს მადგას და ჩემს საკუთრებას და თავისუფლებას შელახვას უპირებსო.

ბევრი ყოყმანი რა საჭირო იყო, ჩემს თავს ხომ არ ვუმტყუნებდი? გაათავეს თუ არა დადგენილების კითხვა, მეც წინ წავდექი და ვთხოვე ჩამწერეთ-მეთქი. ჩვენს სიაში მე მესამე ვიყავი: პირველი ქსენტრაილი ჩაეწერა, მეორე ლატურ-ლუსსაკი და მესამე მიშელი ბასტიენი ს. ბარაკიდან.

რომ მოგახსენოთ, სიამოვნებით ჩავეწერეო, მტკნარი სიცრუე იქნება. რა სიამოვნება უნდა მეგრძნო, როდესაც კარგად ვიცოდი, რომ მოხუცებული მამაჩემი და მთელი ჩემი ოჯახი ისევ ძველებურად ულუკმაპუროდ რჩებოდა და ნათლიაჩემიც ძალიან შესწუხდე-

ბოდა მე რომ აღარ ვეყოლებოდი სამეფოლოში, მაგრამ რა მექნა! ვგრძნობდი, რომ მტერს მოგერიება უნდოდა და მის მოსაგერიებლად თუ ჩვენც არ გავიდოდით, მაშ დიდებულებს ხომ არ მივანდობდით ჩვენს ბედ-იღბალს? რა მექნა, ვგრძნობდი, რომ იარაღით უნდა მოგერიებინა მტერი, ან არა და სახლიც იმისთვის დამეთმო, კარიც, ბ-ამულ-დედულიც და სუყველაფერიც.

ჩამწერეს, ბილეთი მომცეს. ბილეთი ქუდში ჩავირეკე და გამოვედი. იქვე კიბეზედ მამაჩემი დამხვდა, გადამეხვია, გულში ჩამიკრა და ცხარე კოცნა დამიწყო. ნიკაპი უკანკალებდა, ცრემლი სდიოდა და ქვითქვითებდა:

— აგრე, შვილო, აგრე! მე ვიცოდი, რომ შენ თქმა არ გინდოდა!... ნიკოსაგან დაჭრილი გული შენ გამიმთელე, შვილო! მე ეხლა აღარა მტკივა რა.

საწყალი მამაჩემი! პატიოსანი მამულიშვილი იყო და ისე არა უწყალებდა რა მის სამშობლოს სიყვარულით სავსე გულს, როგორც ნიკოს საქციელი: ვერ აეტანა, რომ მისი სისხლი და ხორცი, მისი შვილი სამშობლოს უღალატებდა.

ნათლიაჩემიც ძალიან კმაყოფილი დამხვდა და იმანაც გადამკოცნა; ალბად უხაროდა, რომ იმის მამულებს, მეტადრე პიკჰოლცის მამულებს, მფარველი უჩნდებოდა. არც სტყუვდებოდა: ღმერთსა ვფიცავ, დედას ავუტირებდი ყველას, ვინც გაბედავდა და ნათლიაჩემს ხელს ახლებდა.

ერთი სიტყვით, აბა რაღა თავი შეგაწყინოთ, აღტაცება მაშინ არის ხანგრძლივი, როდესაც სიმართლეზედ არის დამყარებული, უფლებაზედ და გონებაზედ.

როგორ აგიწეროთ, რა ერიამული ატყდა ხალხში, რა ხვევნა-კოცნა და ფიცი, — გავწყდეთ და კი ნუ დავეჯაბნინებითო! — ამას თქვენც კარგად წარმოიდგენთ. პირადი საქმეების გასარიგებლადაც ბევრჯერ აუღელვებიათ გაიძვერებს შესყიდული გაზეთებით ხალხი და ომში მონაწილეობა მიუღებინებიათ, როდესაც საფრანგეთს ამ ომისაგან ზარალის მეტი არაფრის იმედი ჰქონია. მაგრამ მაშინ თვით ხალხი ხედავდა თავის გაჭირებას და სხვის თქმა აღარ უნდოდა. ხალხი ხედავდა, რომ სახლკარის და თავისუფლების წართმევას ემუქრებოდნენ და საბრძოლველად ემზადებოდა. მგონი, კაცი თავის თავისუფლებისთვის მოკვდეს, ისა სჯობია, ვიდრე მეფის ან იმპერატორის დიდებისთვის.

განაღა დამავიწყდება როდისმე ის უანგარო სიყვარული სამშობლოსი, რომელიც მაშინ ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა! ქალი და კაცი, ყმაწვილი და წელში მოხრილი მოხუცებული, მისდევდნენ ხოლ-

მე თავის ნებით ჯარში წამსვლელ ბიჭებს, თან ცრემლი სდიოდათ და თან „თავისუფალ ერს გაუმარჯოსო“, ყვიროდნენ. უმეტესი ნაწილი ამ ბიჭების მონაგებით და ნამუშევარით ცხოვრობდა და სხვა, ცარიელი ქოხის და კონკების მეტი არა ებადათ რა საწყალ მთიულ გლეხკაცებს. მაგრამ წარსული სიმწარე ჯერ ისევ ღრმად ჰქონდათ გულში, აწმყოს სიტკბოებას გრძნობდნენ და სიცოცხლეზედ უმეტეს განძად სთვლიდნენ თავისუფლების და მართლმსაჯულების დამდგენ სამშობლოს. შეძლებულებიც არასა ზოგავღნენ და გულუხვად სწირავდნენ ჯარში წასულთა ღარიბ მშობლებისთვის ცხოვრების წყაროს ასაჩენად, დაჭრილთა მოსავლელად, იარაღის სასყიდლად და სხვ. ვისაც კი რა ებადა, მოჰქონდა და სამშობლოს ტრაპეზზედ სტოვებდა! ბავშვები ტიროდნენ, რატომ დიდრონი არა ვართ, რომ ჩვენც ჯარში წავიდეთო! დიაღ, აღარავინ არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ სამშობლოს შველოდა რამე. ყველა მტკიცედ ასრულებდა თავის ეროვნულ მოვალეობას.

.იმ დღეს სადილად შოველთან ჩავედით ნათლიაჩემი, ლეტუმიე, მამაჩემი და მე. რა კარგად მახსოვს ყველაფერი; მახსოვს კი არა, აგერ თვალწინ მიდგანან ყველანი, თითქო გააცოცხლა ჩემმა ხსოვნამ და თვალწინ დამიყენაო. ცხელოდა. მარგალიტა წამდაუწუმ მაღაზიაში გადიოდა მუშტრის დასახვედრად. გავიდოდა და გაისტუმრებდა თუ არა, უკანვე მოეჩქარებოდა. თვალს მარიდებდა ჩემი მარგალიტა... კარგი სუფრა იყო გაშლილი, კარგ ღვინოს გიახლებოდით, მაგრამ ვერა, სხვებივით გამხიარულება და სიცილი ვერ მომეხერხებინა. სულ იმის ფიქრში ვიყავ, რომ მე ვისემბურგს უნდა წავსულიყავ ჩვენს ჯარში ჩასარიცხავად და მარგალიტა კი... ამ დროს შოველმა ერთ ძველისძველ ბოთლს ახსნა თავი და დაიძახა:

— აბა, ჩემო მეგობრებო, ჩვენი მიშელი ამ ღვინით უნდა ვადღეგრძელოთ. ჯერ ეგ ჭიქები დაცალეთ!

ბოთლი სუფრაზედ დასდგა, დამაცქერდა და მითხრა:

— აი, რა გითხრა, ჩემო მიშელ! შენც კარგად იცი, დიდი ხანია შვილივით მიყვარდი, მაგრამ დღევანდელმა შენმა გარდაწყვეტილებამ დამარწმუნა, რომ არ ვტყუვდებოდი შენში და მართლა სიყვარულის და პატივისცემის ღირსი ყოფილხარ. დღევანდელმა შენმა გადაწყვეტილებამ დამარწმუნა, რომ შენ ვაჟკაცი ყოფილხარ. შენისთანა ბევრი და მძიმე დამაბრკოლებელი მიზეზი იქნება ბევრს არავის ჰქონდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა შენ მაინც არ დაივიწყე შენი სამშობლოსადმი მოვალეობა. ყოჩაღ, ბიჭო! წადი და ძვირად დაუსვი მტერს თავისი თავხედური წადილი! ჩვენ რომ სხვა მოვალეობა არ გვედვას, ჩვენც შენთან ვიქნებოდით ბრძოლის ველზედ!

ბაგრამ ჩვენ აქაც ბევრი საქმე გვექნება. დღეს-ხვალ წასვლა მოგიხდება... მოდი, მართალი სთქვი, ნუ თუ აქ არავინ დაგნახ ღება? ნუ თუ გულმხიარული წახვალ? ნუ თუ სათხოვარი არა გაქვს რა ჩვენთან? იქნება გვთხოვო რამე იმისთანა, რასაც მარტო ღირსეულ ვაჟკაცს და მამულიშვილს აძლევენ, რომელიც საყვარელი და პატივსაცემია?

გულის გულში ჩამიტარა თვალი და ისე გავწითლდი, როგორც გასათხოვარი გოგო. ჩემდა უნებურად მარგალიტას გადავხედე. ისიც ფერმიხდილი იყო, თვალებდახრილი. ხმის ამოღება ვერ გამებედნა. ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ. ბოლოს შოველი მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა:

— რას იტყვი, პეტრე? ამ ყმაწვილებს მგონი ერთმანეთი უყვართ!

— ჰაი, ჰაი, რომ უყვართ. — მიუგო მამაჩემმა. — და კაი ხანიც არის მას აქეთ.

— რას იტყვი, პეტრე? მოდი, ნიშნობა გავაჩაღოთ!

— ნეტავი აგრე და საუკუნოდ ბედნიერებას მომანიჭებ, ჩემო შოველ.

ისინი რომ ამას ლაპარაკობდნენ, მე და მარგალიტა წამოვხტით და ისე დავრჩით გაშეშებულნი, ერთმანეთთან მისვლაც ვერ მოვახერხეთ. შოველი კი იცინოდა:

— აბა, მიშელ, შენს დანიშნულს აკოცე! ღმერთმა გაგაბედნიეროთ, შვილო!

ჯერ არც კი გაეთავებინა სიტყვა, რომ ერთმანეთს მოვეხვიენით. მარგალიტა მორცხვად თავს მალავდა ჩემს გულზედ... ახლა კი ჩემი იყო, შიში აღარაფრისა მქონდა. იცით, რა ნეტარებაა, კაცმა თავისუფლად გადაჰკოცნოს თავისი სატრფო და რიდი აღარავისი ჰქონდეს, აღარც ნაცნობებისა და აღარც ნათესავებისა. თქვენ სიცოცხლისა არა იცით რა, თუ ეს ნეტარება არ იცით. კაცი მარტო მაშინ ხდება კაცად, გულითაც და სულითაც მარტო მაშინ არის ძლიერი და უძლეველი.

ნათლიაჩემი იცინოდა. შოველმა სკამი ჩვენკენ მოიბრუნა და გვითხრა:

— დღეის შემდეგ დანიშნულები ხართ. სამი წლის შემდეგ დაბრუნდები, მიშელ, და ჯვარს დაიწერ. ხომ დაუცდი, მარგალიტა?

— უკუნითი უკუნისამდე!

და ხელი მომიჭირა ხელზედ. ცრემლი წამსკდა. ვტირ ოდი და თან ვამბობდი:

— მე შენს მეტი არავინ მყვარებია... და არც მეყვარება.... მე თქვენთვის მივდივარ ჯარში, იმიტომ რომ მიყვარხართ და...

მარგალიტა მაშინვე გარეთ გავარდა.

შოველმა კი ჭიქები აავსო და დაიძახა:

— აი, ბედნიერი დღე ამასა ჰქვიან! ღმერთმა აცოცხლოს ჩემი შვილი მიშელი!

მამაჩემმა უპასუხა:

— ღმერთმა აცოცხლოს და ადღეგრძელოს ჩემი ქალი მარგალიტა! მერე სხვა თქვეს: გაუმარჯოს სამშობლოსაო! გაუმარჯოს თავისუფლებასაო!

იმ დღეს ფალსბურგში 163 კაცი ჩაეწერა თავის ნებით ჯარში წასასვლელად. ვინც შინ რჩებოდნენ, უკან ჩამორჩენა არც იმათ უნდოდათ, და ყველანი იარაღის მზადებაში იყვნენ. მინდვრად აღარავინ იყო. გარეთ ქუჩებში და მოედანზედ ერთიღა ისმოდა: თავისუფალ ერს გაუმარჯოს! „წავა, წავა"-ს მღეროდნენ. ამ ხმაურობას ზედ ერთოდა ზარის რეკვა ყველა ეკლესიებში და ყოველ საათს ზარბაზნის სროლა. ჩვენ კი ისევ სუფრას ვუსხედით და ვლაპარაკობდით. ხანდახან ნაცნობი ვინმე შეჩერდებოდა და ფანჯრიდან შემოგვძახებდა:

— ამდენი კაცი კიდევ ჩაეწერაო.

შინ შევიყვანდით და სამშობლოს სადღეგრძელოდ ერთ ჭიქა ღვინოს დავაცლევინებდით. შოველი სიამოვნების ნიშნად ბურნუთსა სწევდა და თვალმოჭუტული გაიძახოდა:

— წავა! ძალიან კარგად წავა საქმე!

იმასაც ამბობდა, პარიზში დიდ მზადებაში არიან, დიდი ამბები მოხდებაო, მაგრამ გამოცხადებით კი არას გვეუბნებოდა.

ნათლიაჩემს პიკჰოლცში თავის მამულის მოურავად ჩემი ძმა კლოდი ჰყავდა; ერთი გულუბრყვილო, უეშმაკო და ამასთან დაუღალავი მუშაკაცი იყო კლოდი და ხმის ამოუღებლივ აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ; თავისთავად კი საქმის გაძღოლა ვერ მოეხერხებინა. ნათლიაჩემსაც სხვას ის ერჩივნა, მით უფრო რომ ძალიან უყვარდა ბრძანება და განკარგულების გაცემა. სადილზედ ვიყავით ჯერ ისევ, რომ მამაჩემს უთხრა, შენი მატურინიც კლოდთან უნდა გაგზავნო პიკჰოლცში, რადგან იქ ბიჭებს ერთი კარგი გულშემატკივარი და ყაირათიანი დიასახლისი ძალიან გამოადგებათო. მე კი ისევ შინ დავრჩები და სამჭედლოში დავტრიალდები ვიდრე მიშელი დაბრუნდებაო.

მამაჩემს ჯერ კიდევ შეეძლო მუშაობა და ცოტა რასმე შოულობდა, ვალი აღარა გვქონდა რა, შინ ორი კარგი თხა გვყავდა. ახლა კლოდი და მატურინიც დაეხმარებოდნენ ოჯახს და იცხოვრებდნენ, როგორც იქნებოდა. მით უფრო რომ შოველი გვპირდებოდა პატარა სტეფანეს ქალაქში ალაგს ვუშოვნი რასმეო.

ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ქალაქის მდივანმა ფრეილიგმა გამოიარა და გვითხრა, ჯარში ჩაწერილნი ხვალ დილის რვა საათზედ წავლენ ვისსელბურგისკენ; ჩვენი მაზრის ბიჭები ყველანი გრაუფტალში შეიკრიბებიან და იქიდან ერთად გაემგზავრებიანო. ამ ამბავმა ცოტა არ იყოს დაგვაღონა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით: ისევ მალე გავმხიარულდით, რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ გიახელით და რაკი დაღამდა, შინისკენ გავწიეთ. შოველმა დუქანი დაკეტა. მარგალიტამ ხელი მომცა და გავედით ქუჩაში. ქალაქში პირველი იყო ჩვენი ერთად სიარული და რომ დაგვინახეს, ყველამ სიყვარულით მოგვილოცა. ხიდამდე გამოგვაცილეს. იქ კი ერთხელ კიდევ გადავკოცნე ჩემი მარგალიტა და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მხიარულად გავუდექით გზას, სიცილით და სიმღერით, რადგან ბედნიერნი ვიყავით და... ღმერთო ჩემო, რა არის აქ საძრახისი? ცოტაოდნად შექეიფიანებულიც... მეტად კარგი ღვინო იყო ის დალოცვილი! და განა მარტო ჩვენ? ვისაც შევხვდით, ყველა ჩვენსავით იყო; ცოტა რამ გადაეკრათ სამშობლოს სადღეგრძელოდ; მიდიოდნენ ხელიხელგადახვეულები და ყვიროდნენ: თავისუფლებას გაუმარჯოს! სიკვდილი მოღალატეთაო!

ცხრა საათი იყო, როდესაც ნათლიაჩემის დუქანთან მივედით და ნათლიაჩემს და ლეტუმიეს გამოვეთხოვეთ. შინ მივედით ღა ვაი იმ მისვლას! ისე ჩაგვშხამდა იმ დღის სიამოვნება მე და მამაჩემს... ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემი ისტორიის ბოლოც იცოდეთ. რას იზამთ. წუთისოფელში კარგი და ავი განუყრელნი არიან. ამას დაგიმტკიცებთ, რომ თუმცა პატრიოტებმა გაიმარჯვეს, ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება, რადგან ყველა ჩვენგანს შინა გვყავდა, საკუთარ ოჯახში, ჩვენ წინააღმდეგ აჯანყებული ვინმე მახლობელი.

იმას მოგახსენებდით. ნელი ნაბიჯით ავიარეთ მე და მამაჩემმა ჩვენი ქუჩა და თან გულს ვიმაგრებდით, რადგან ვიცოდით, რომ დედას არაფრად იამებოდა ჩემი ჯარში წასვლა და მეტადრე ჩემი დანიშვნა, ისიც ვიზედ? ურჯულოზედ. ამ ფიქრში გართული მივუახლოვდით ჩვენს ქოხს და შორიდანვე დავინახეთ დედაჩემი; იქვე კარებში იჯდა, თმაგაწეწილი და ისე აბდღვრიალებდა თვალებს, რომ ეტყობოდა, ყველაფერი გაეგო.

იმისთანა ჩემს დღეში არა მიგრძვნია რა. ერთ წამს შევდექი კიდეც, მინდოდა უკან დავბრუნებულიყავ, მაგრამ მამაჩემმა არ გამიშვა.

— შინ მივიდეთ, შვილო!

მამაჩემი სრულიად უშიშრად მიიწევდა შინისკენ.

ის იყო მივედით და წამოხტა კიდეც დედაჩემი. წამოხტა, საში-

ნელი ხმით შეჰყვირა... ღმერთო შეგცოდე და ისე ადამიანს კი არა, მარტო მხეცს შეუძლია დაიყვიროს... შეჰყვირა და ჩემკენ წამოვიდა. ორივე ხელით ყელში მომვარდა და დამახრჩობდა, ხელი რომ არ დამეჭირა. რაკი ხელებით ვეღარა გააწყო რა, ფეხი მკრა მუცელში და დამიყვირა:

— წადი, შენი ძმა მოკალი! წადი, ნიკო მოკალი, შე ურჯულო, შენა!

თან კბენას მიპირობდა, ყვიროდა, ფეხებითა მცემდა. იმისთანადა ყვიროდა, რომ მთელი სოფელი თავს დაგვახვია.

მამაჩემი უკან ეწევოდა, იქნება გავაშვებინო როგორმეო. ეს რომ ნახა, დედამ უცბად თავი დამანება და იმას მივარდა; გიჟივით მივარდა, — ჰაი, შე იაკობელო, შენაო! — მენახშირე ჰანოვრი და რამდენიმე სხვა მეზობელი რომ არ მოგვშველებოდნენ, დაახრჩობდა საწყალ კაცს, ან თვალებს ამოსთხრიდა.

ბოლოს, როგორც იყო, მოერივნენ და ჩვენი ქოხისკენ წაიყვანეს. მაგრამ თავისას არ იშლიდა, იწყევლებოდა და ილანძღებოდა:

— კარგ შვილს დამიხედეთ, მშობლების მოსიყვარულეს! ერთი ურჯულო გომბიოს გულისთვის დედაც უნდა დაივიწყოს, მამაც, ღმერთიც და რჯულიც! მაგრამ არა, შენ იმას ვერ შეირთავ! სულ ნაკუწ-ნაკუწად დაგჭრის ჩემი ნიკო! საწირავს მივართმევ მღვდელს, რომ ჩემმა ნიკომ მოგკლას, შე დაწყევლილო, შენა! დაწყევლილი იყავ უკუნითი უკუნისამდე!

შინ შეაგდეს, კარი გამოუკეტეს და იმისი ყვირილი კი მაინც მთელს სოფელში იდგა.

მე და მამაჩემი კი ვიდექით შუა ქუჩაში გაყვითლებულები.

— გიჟია, შვილო, გიჟი! — მითხრა საწყალმა მოხუცმა. — წავიდეთ სადმე, შინ ნუ შევალთ, თორემ უბედურებას აგვიტეხს რასმე! რა უბედური ვარ, ღმერთო! ნეტა რა დავაშავე, რომ ასე მსჯი, შე დალოცვილო, შენა?!

ისევ ნათლიაჩემისაკენ გავწიეთ. დუქანში ჯერ ისევ სინათლე იყო. ნათლიაჩემი თავის სავარძელში ბრძანდებოდა გამოჭიმული და ნათლი-ჯალაბს და ნიკოლს იმ დღის ამბავს უამბობდა. ჩვენ რომ შევედით, — მე თურმე სისხლი მდიოდა და მამაჩემს სულ დაგლეჯილი ჰქონდა ტანისამოსი—სახტად დარჩა კაცი, და როდესაც ვუამბეთ ჩვენი უბედურება, შეჰყვირა:

— ღმერთმანი, პეტრე, შენი დიდი პატივისცემა, თორემ ეხლავე ციხეში ვუკრამდი თავს! ღმერთო! განა აგრე გამძლავრება შეიძლება დედაკაცისა! სულ დაუფიქავი მღვდლების ბრალია! თუ ჩვენ იმათ ბოლო არ მოვუღეთ, ცუდ საქმეს დაგვმართებენ!

მერე დაუმატა:

— თუ კი აგრეა, თავი დაანებეთ, სულ მარტო ბრძანდებოდეს სახლში. მამაჩემს უთხრა, მუშაობით ჩემს სამჭედლოში იმუშაოს და ღამეც დუქანში გეძინოსო. მაგრამ ეს არ ივარგებდა, რადგან მამაჩემს თავის ქოხში უნდოდა ცხოვრება, თავის მეუღლესთან ერთად. ჩვეულება ცალკე მოქმედებდა, სირცხვილი კიდევ ცალკე: რას იტყვიან, ამ სიბერის დროს რომ ცალკ-ცალკე ვიყვნეთო! რაც უნდა უბედურება იყოს, გაყრას მაინც ერთად ყოფნა სჯობია! გაყრილ ცოლ-ქმართ ქვეყანაც დასძრახავს და შვილებსაც საუკუნოდ გააუბედურებენ.

იმ ღამეს დუქანში გვეძინა. მეორე დღეს დილაადრიანად შინ წავიდა მამაჩემი ჩემი ბარგის ჩამოსატანად. ცოტა ხანს უკან ჩამოვიდა, ბარგიც ჩამოიტანა, თოფი და სამხედრო გუდაც, მაგრამ დედაჩემის კურთხევა კი არა.—შენი ნახვა არ უნდაო,—მითხრა თვალცრემლიანმა.

დიაღ, დედიჩემის უნახავად წავედი, მისგან დაწყეველილი. ღმერთმა ხომ იცის, მე არაფრით გამომიწვევია ეს წყევლა, მაგრამ გული მაინც მიწუხდა და მიკვდებოდა.

შემდეგში ნათლიაჩემმა მითხრა, დედაშენს არ უყვარდი, რადგან იმის დედამთილს, ურსულსა ჰგავხარო, დედამთილი თურმე ჭირივითა სძულდა. ქალს რომ დედამთილი სძულდეს, ეგ არაფერი; მაგრამ დედას რომ შვილი სძულდეს — ჩემს დედამთილს რადა ჰგეკხარო, ეგ კი მეტისმეტი უბედურებაა!

XII

— მშვიდობით, ჩემო აღმზრდელო სოფელო! მშვიდობით დიდი ხნის მეზობლებო და მეგობრებო! იქნება აღარც კი მეღირსოს თქვენი ნახვა!..

მეორე დღეს ჯერ ათი საათი არც კი იყო, რომ გრაუფტალში მივედით. ჩვენი მაზრიდან ყველანი აქ უნდა შეკრებილიყვნენ, ვინც ჯარში მიდიოდა, იქიდან ვისემბურგში უნდა წავსულიყავით და იქიდან კიდევ ვინ იცის საით გვიკრავდა თავს მუხთალი წუთისოფელი!

რაკი სიცხისა გეშინოდა, დილით ვიარეთ, სიგრილოზედ. მარგალიტა, შოველი, ნათლიაჩემი, მამაჩემი და ბევრნი კიდევ სხვანი წამოვიდნენ ჩვენს გასაცილებლად. ჩავედით და რადგან სხვებისთვის უნდა გველოდნა, იქვე გზის პირას ავაყუდეთ თოფები და მუხის ჩრდილს შევეფარენით. ჩვენს ქვემოდ თვალგაუწვდენელი მინდორი იყო დაცემული დაკლაკნილი მდინარით და ზედ გაფანტული სოფლებით.

რამდენჯერმე გავჩერებულვარ ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში იმ ძუხის ქვეშ, წარსული მომგონეია, ისე ცხადად წარმომიდგენია, თითქო ხელახლად იწყება ჯარიანობაო და გონებაზედ რომ მოვსულვარ, წამომიძახია:

— უკანასკნელად აი, აქ ვაკოცე ჩემს მარგალიტას! აქ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს... საწყალი იაკობი! მდუღაოე ცოეძლი ადიოდა იმის მამას და ის კი ანუგეშებდა: ნუ ტირი, მამაჩემო, მერმის აქ ვარო! ვეღარ ეღირსა უბედურს შინ დაბრუნება!

აი, იმ ბილიკზედ ჩამოიარეს სენჟანდეშუელებმა და აგერ აიმაზედ მიტტელბრონელებმა... ისე მოდიოდა შორიდან იმათი ნაღაოის ხმა, თითქო ტყეს მთელი ჯარი დარეკვიაო. თანდათან გვიახლოვდებოდა ნაღარა, უცბად გამოვიდნენ ტყიდან, და მხიარულად შემოგვძახეს: თავისუფალ ერს გაუმარჯოსო!

მიდის დრო და სიყმაწვილეც თან მიაქვს! ისევ ის არის ეს ქვეყანა, ის არის ჩვენი მთა, ჩვენი მინდორი და ჩვენ კი ის აღარა ვართ, ან არა და სულაც აღარა ვართ! სადღა არიან ის სიყმაწვილით და ტკბილი იმედებით აღვსილი ბიჭები, აქ რომ გაიძახოდნენ, თავისუფლებას გაუმარჯოსო? სადღა არიან აქ რომ ეთხოეებოდნენ თავიანთ მახლობელთ და ჰპირდებოდნენ, მერმის აქა ვართო? რომ მომაგონდება ჩემი ამხანაგები, რომელნიც მოზელის და რეინის პირად დარჩნენ ან არგონის ჭალებში, მიკვირს, მე როგორღა გადავრჩი ცოცხალი, და ღმერთს მადლობას ვწირავ.

მარგალიტას და სხვა ქალებს პატარა კალათებით ცოტა რამ საჭმელ-სასმელი მოეტანათ, რადგან გრაუფტალში დუქანი არსად იყო. მაგრამ ვის აგონდებოდა საჭმელი? მე და მარგალიტა იქვე ბუჩქს ამოვეფარენით და დაბალი ხმით ვლაპარაკობდით. შოველი, მამაჩემი, ნათლიაჩემი და კიდევ სხვანი კი მოშორებით იდგნენ, გზის ქვევით, მუხების ჩრდილში და, ალბათ გრძნობდნენ, რომ ბევრი რამ გვექნებოდა ერთმანეთისთვის სათქმელი, ვითომ ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. მარგალიტა მთხოვდა, ხშირად მოიწერე ხოლმეო... სიყვარულით შემომყურებდა, თუმცა სხვებივით არა ტიროდა. გულმაგარი იყო და კარგად იცოდა, რომ ამისთანა დროში კაცს გამხნევება უნდა.

— მე სულ შენს ფიქრში ვიქნები, სულ შენთან ვიქნები... მამიშენისა ნურა გეფიქრება რა, მამაშენი მამაჩემია, შენზედ არანაკლებ მე მეყვარება და, ნუ გეშინია, არას გავუჭირვებ.

მე კი გაშტერებული შევცქეროდი და იმის მიხედვით ჯული მიმაგრდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ უკნებელი დაბრუნდებოდი და ერთ წამს არ დამიკარგავს ეს რწმენა, გაცხარებულ ბრძო-

ლაშიაც კი. სხვები ჩემს გვერდით უიმედობით დაუძლურებულნი, ზოგი სიცივით კვდებოდა, ზოგი შიმშილით, ზოგი სულ უბრალო ავადმყოფობით და მე კი ისე მწყუროდა ჩემი მარგალიტას ნახვა, ისე მაგრა ჩავეჭიდე სიცოცხლეს, რომ სიკვდილმა ვერა დამაკლო რა.

ჩვენთან ერთად მოხუცებული გუენი იჯდა თავის ცოლით და ქალებით და ყველანი ცხარე ცრემლითა ტიროდნენ. უნდა დამკითხებოდნენ,—იძახდა გუენი...—ორივე ერთად როგორ გავიმეტო?! ჩემი ხნის კაცს მოსვენება უნდა, სადღა შემიძლია ოჯახის გაძღოლაო?! გუენის შვილები არა ტიროდნენ, მაგრამ ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი უტრიალებდათ საწყლებს გულში!

სხვა მოხუცებულები უფრო გულმაგრად იყვნენ და იმისთანა იმედიანად და ვაჟკაცურად ლაპარაკობდნენ—სამშობლო თავისას თხოულობს და შერცხვენილი უნდა იყოს ის კაცი, რომ სიკვდილს შეუშინდესო, — რომ მხდალსაც კი ამაგრებდნენ.

მამა ქრისტეფორეს მოსვლაზედ იმისთანა ყვირილი გაისმა ყოველის მხრიდან — თავისუფალ ერს გაუმარჯოსო! — რომ იტყოდით მთა შეინძრა და ერთმანეთს სტყორცნა დაბერებული ბრგე მუხებიო.

მამა ქრისტეფორემ ლუტცელბურგელები ჩამოიყვანა და თითონ იმიტომ ჩამოვიდა, რომ პარაკლისი გადაეხადა და ჩვენი დროშები ეკურთხებინა. ჯერ ისევ შორს მომავალს მოვკარ თვალი, როდესაც ბიშელბერგის დალმართს ჩამოდიოდა. ჩემი ძმა სტეფანეც თანა ჰყავდა: მე დრო არა მქონდა, რომ ავსულიყავ, გამოვთხოვებოდი და მამა ქრისტეფორეს თან წამოეყვანა.

საშინელი სიცხე იყო. თორმეტი საათი იქნებოდა. ზინზელის ხიდზედ მივეგებე ჩემს ძმას და ცხარედ გადავკოცნე. მამა ქრისტეფორეს წურწურით სდიოდა ოფლი. მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— ძალიან კმაყოფილი ვარ შენი, მიშელ! გავიგე შენი ბედნიერება და ისიც ვიცი, რომ ღირსი ხარ მაგ ბედნიერებისა.

პატარა სტეფანე მარგალიტასკენ გაიქცა კოჭლობით. შოველი და ნათლიაჩემი მამა ქრისტეფორეს მიეგებნენ.

ექვსასამდე ბიჭი ვიქნებოდით შეკრებილი და ზემომთიელნიღა გვაკლდნენ. ის იყო შევიყარენით, რიგზედ დავმწკრივდით და იმათი ნაღარაც გაისმა ტყეში.

ზემომთიელთ თავიანთ წინამძღოლად კლოდ ულენი აერჩიათ, რომელმაც 1814 წ. თავი ისახელა თავის მამაცობით. იმათშივე ერია მეწვრილმანე მარკოზ დიეე; ფეხშიშველა იყო, მთელი თავისი

ავლადიდება ერთ ხელსახოცში ჰქონდა გამოკრული. არც სხვები იყვნენ იმაზედ უკეთ გამოწყობილნი, მაგრამ იმისთანა მხიარული სიმღერით მოდიოდნენ, იმისთანა ხუმრობით და სიცილით, თითქო გაჭირება სხვისაც არსად უნახავთო. რომ უფრო მოკლედ მოეჭრათ, წყალში გამოტოპეს და ერთი ქივილ-ხივილი აუდგათ, რადგან წელამდე სწვდებოდათ წყალი.

რაკი ზემო მთიელნიც ჩამოვიდნენ და მოლოდინი აღარავისი გვქონდა, ჩვენმა ივანემ და ორმა ძმამ, ლეჟემ, ნაღარა დაჰკრეს და ყველანი ფეხზედ წამოგვაყენეს. ახლა კი უნდა გავშორებოდით ერთმანეთს!

ვინც ფალსბურგიდან პეტიბიერისკენ ყოფილა, უთუოდ ნახავდა, ზედ გზაზედ, ვაკეზედ, შიგ შუა მინდორში ერთ უზარმაზარ კლდის ნატეხს. ჯერაც არავინ იცის, ვის უნდა შესძლებოდა იმოდენა მთისოდენი კლდის დაძვრა და ბარად ჩამოტანა? ცხადია მთიდან ჩამოცურებულა, მაგრამ როდის, ვინ იცის? იქნება მაშინ იყო ეს ამბავი, როდესაც ჯერ ადამიანი არც კი არსებობდა. სწორედ ამ კლდეზე ავიდა მამა ქრისტეფორე. გარს ჯარისკაცები შემოვეხვიენით, მერე ჩვენი ნათესავები და ნაცნობები და აქეთ-იქიდან სეირის საყურებლად მოსული ხალხი. ყველანი გაჩუმდნენ. მამა ქრისტეფორემ პარაკლისი გადაგვიხადა, მერე დროშები გვიკურთხა და დასასრულ მოკლე სიტყვით მოგვმართა და მოგვაკონა, რა არის ქრისტიანი მხედარი.

მას შემდეგ შოველი ავიდა კლდეზე, როგორც მოხელე და თავმჯდომარე ჩვენი კლუბისა. სთხოვა, წინ წამოიღეთ რაზმის სამფერი ბაირაღიო, რომლის ტარზედ გლეხკაცის უბრალო ნ ა ბ დ ი ს ქ უ დ ი დ ა ე ხ უ რ ა თ და დალოცა:

„გლეხკაცის ძველო ქუდო, ნაწვავ-ნადაგო და მრავალტანჯულო! ქუდო, ჩვენ წინაპართა ოფლით გაჟღენთილო! ქუდო მონისავ, ყურმოჭრილ ყმისავ, რომელსაც ფეხქვეშ სთელავდნენ ათასის წლის განმავლობაში ჩვენი ბატონები! აბა ამაღლდი და წინ გაუძეღ შენთვის მებრძოლთ! ამაღლდი, ყველგან თვალწინ უდექ მეომართ და მონები გაათავისუფლებინე! ამაღლდი, გამაგრდი და მზე დაუბნელე იმათ, ვისაც გლეხკაცი ადამიანადაც კი არ მიაჩნია! გამაგრდი, რომ შენს დანახვაზედ თრთოდნენ შენი მტრები! გამაგრდი და გაძლიერდი, რომ შენ შვილთა სიმამაცით და ქველობით დიდებული შეიქმნე!“

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და ათრთოლებული ხმით გვითხრა:

— ხალხის შვილნო, დაიფიცეთ, რომ სიცოცხლეს არ და-

ინდობთ ამ ბაირაღისათვის. თქვენი სამშობლო და თქვენი თავისუფლება არის ეს ბაირაღი. ეს ბაირაღი მოგაგონებთ თქვენს წარსულ ტანჯვას და მომავალ შვებას. დაიფიცეთ, რომ სიცოცხლეს არ დაიშურებთ...

და ერთხმად შევძახეთ იმოდენა ხალხმა: ვფიცავთ! ვფიცავთ!

— ნუ დაივიწყებთ, — სთქვა შოველმა. — თქვენ სამშობლოს შეჰფიცეთ და ეგ ფიცი გაიძღოლეთ წინ, როდესაც ბრძოლაში იყვნეთ.

ისე ამბობდა ყოველ სიტყვას, რომ შიგ გულში გვიჭდევდა.

შოველი ჩამოვიდა კლდიდან. ვინც საყურებლად მოსულიყვნენ, მაშინვე შინისკენ წავიდნენ, რადგან პეტიბიერის მხრივ შავი ღრუბელი წამოვიდა და მზეს მოეფარა. იმისთანა სიცხე იყო, ისე იკბინებოდა მზე, რომ ცხადი იყო, ძალიან გაავდრდებოდა.

ჯარისკაცები შოველის და სხვა მოხელეთა გარეშემო ვიდექით. შოველმა გამოგვიცხადა, თქვენი უფროსების არჩევა კანონისამებრ თქვენი საქმეა და როდესაც ბინაზედ მიხვალთ, ვისაც გინდათ, აირჩევთო; მანამდე კი ერთი კაცი გინდათ წინამძღოლად, რომ გზაში წესიერება დაიცვას, თქვენი ბინა და საჭმელი იზრუნოს და აგრეთვე დასვენების დრო მოგცეთო.

ამის გაგონებაზედ იგრიალეს ზემომთიელებმა და ერთხმივ ულენი დაასახელეს.

იმის წინააღმდეგი ჩვენც არა გვქონდა რა და ამ გვარად რიქჰეიმამდე ულენი უნდა ყოფილიყო ჩვენი წინამძღოლი. იმის საქმე ის იყო, რომ გზაში ავეჩქარებინეთ და სოფლებში მამასახლისებისთვის საჭირო საჭმელ-სასმელი და ბინა ეთხოვა ჩვენთვის.

მაგრამ ახლა რომ ჩვენი გამოთხოვება გიამბოთ, ის ემჯობინება. შუადღისას უფრო და უფრო მოიღრუბლა ცა. ტყე ხმაურობდა. ხომ იცით რა საიდუმლოდ ხმაურობს ტყე ავდრის წინ? როგორ კანკალებს ფოთოლი, როგორ ირხევა ტოტი. თუმცა ქარი არსად არის? ტყე წინადვე იგრძნობს ხოლმე ავდრისა და ქარიშხალის მოახლოვებას და ულენიც ტყის შვილი იყო. წინ გავიდა, ნაღარა დააკვრევინა, და დაიძრა კიდეც ჩვენი რაზმი. მამასახლისები, შოველი, მამა ქრისტეფორე, მამაჩემი და სხვანი გზიდან ჩამოგვეცალნენ. მე კი ერთხელ კიდევ გადავხედე მარგალიტას, თითქო მინდოდა გულში ჩამებეჭდა მისი სახე და ამ სამი წლის განმავლობაში თანა მყოლოდა. იმანაც ისე ჩამჭიდა ხელი, თითქო გაშვება აღარ შეუძლიანო.

— მშვიდობით, მარგალიტა!

გულში ჩავიკარი, მაგრამ რა? მკვდარივით იყო, ფერი მისდიო-

და. წამოვიკიდე ჩემი გუდა, შოველს და მამაჩემს მოვეხვიე, რაც ფული მქონდა მამას მივეცი, რომ სტეფანეს სწავლის გაგრძელება შესძლებოდა.

მერე ნათლიაჩემთან მივედი, მოვეხვიეთ ერთმანეთს და ოდნავ შევნიშნე, რომ უბის ჯიბეში ორი ოქრო ჩამიდო. ღმერთმა უშველოს, დიდი სიკეთე დამდო შემდეგში ამ ფულმა.

უნდა წავსულიყავით, თორემ მეც ცრეცლი წამსკდებოდა. ავიღე ჩემი თოფი და შევძახე:

— მშვიდობით! მშვიდობით!

მაგრამ მარგალიტამ იმისთანა ხმით დამიძახა: „მიშელ“-ო, რომ გული მომიკლა. მარგალიტა ტიროდა. მივედი, ვითომ მინდოდა იმედი მიმეცა რამე:

— კმარა, მარგალიტა, რა გატირებს? ეგ იმედი მქონდა შენგან?! გული მიმდიოდა. ჩვენს გარშემო ყველგან ტირილი ისმოდა: დედაკაცისთანა საშინელი ხომ არა იქნება რა!

ძალ-ღონე მოიკრიბა მარგალიტამ, ერთხელ კიდევ მომეხვია და მითხრა:

— ნახვამდის, მიშელ, ნახვამდის!

ყველანი მზად ვიყავით. გადავიწერეთ პირჯვარი, ვახსენეთ ღმერთი და გზას გავუდექით.

უკვე წვიმდა. გახურებულ დედამიწას ოხშივარი ასდიოდა. ის იყო პეტიბიერისკენ შევუხვიეთ და დაუშვა კიდეც, კოკისპირულად დაუშვა. რაც არ გაგვაგრილა, არა უვნია რა წვიმას და უფრო კარგადაც ვიარეთ, რადგან მტვერი აღარ გვაწუხებდა.

იმ დღეს სამ საათზედ პეტიბიერში გავიარეთ, მაგრამ არ გავჩერებულვართ. იმის იქით ერთი საათნახევარი კიდევ ვიარეთ და მაშინ კი შევდექით ერთ ტყის პირას, მინის ქარხნის გვერდით.

მთელი გზა ფიქრებში ვიყავ გართული; ისე მივდიოდი, რომ ჩემს ამხანაგებსაც კი ვერ ვამჩნევდი. ტყის პირას კი, როდესაც ცეცხლი გავაჩინეთ და იქვე მოსახლეებმა ზოგმა პური შემოგვთავაზა, ზოგმა ლუდი, მარკოზ დივემ ხელი დამადო მხარზედ და მითხრა:

— რას მოგიწყენია, მიშელ?

გადავხედე და მიამა, ღვთის წინაშე, ნაცნობი კაცი რომა ვნახე; პასუხი კი არ გავეცი: რა დროს ლაპარაკი იყო? ცოტათი მოვნაყრდით, ცარიელ პურს ლუდი დავატანეთ, თავქვეშ ქუდები ამოვიდეთ და იქვე მივეყარენით.

სიყმაწვილეს რომ ასე ადვილად ძილი არ შეეძლოს, ხომ სიყმაწვილეც აღარ იქნებოდა. მეტი სიკეთე განაღა იქნება, კაცმა ერთ წამს მაინც ყოველი სევდა და ვარამი დაივიწყოს და მოსვენებას

მისცეს თავი. სწორედ ეს წამიერი მოსვენება აკლია სიბერეს.

ის იყო ინათა და ულენმა ყვირილი მორთო:

— აბა, ბიჭებო! ჩქარათ!

საჩქაროდ წამოვცვივდით და მოვემზადენით. წინწკლავდა. ვინც უფრო გამოცდილი იყო, ჩახმახს ხელსახოცს ახვევდა, წვიმამ არ დამისველოსო.

ის იყო უნდა დავძრულიყავით, რომ მარჯვნივ, ქვემო რეინელი ცხენოსანი, ჩვენსავით თავის ნებით გამოსული, ჯარი გამოჩნდა. ამ ცხენოსანთ იმ დროს დრაგონებს უწოდებდნენ. ერთობ შეძლებული ოჯახის შვილები იყვნენ. სამის თუ ოთხის ძველი ჯარისკაცის გარდა, რომელთაც თავიანთი სამხედრო ტანისამოსი ეცვათ, დანარჩენები თავთავის ჩვეულებრივ ტანისამოსით იყვნენ და ერთი შეხედვით იცნობდით, ვინ იყო იმათგანი გლეხკაცი, ვინ ყასაბი და ვინ ხაბაზი. დრაგონობას დეზებზედ და ტლანქ გრძელ ხმალზე შეატყობდით, რომელიც ყველას გაეკეთებინა. სულ რჩეული წარმოსადეგი ბიჭები იყვნენ და იმისთანა მხიარულად მოდიოდნენ, რომ საგანგებო სანახავი იყვნენ.

ჩვენ რომ დაგვინახეს, წინამძღოლის ბრძანებით ხმალი ამოიღეს და ერთი სიმღერა დაიძახეს, რომელიც ჯერ ჩვენგანს არავის გაეგონა. შემდეგში, ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ ის გავიზეპირეთ:

აღსდექით, მამულიშვილნო,
დრო დადგა გამარჯვებისა!..

იმისთანა ხმითა მღეროდნენ, რომ თრთოლა დაგვაწყებინა. გაუმარჯოთ! დრაგონებს გაუმარჯოთ! თავისუფალ ერს გაუმარჯოს! — იძახდა მთლად ჩვენი ჯარი. მინის ქარხნიდან პატრონი გამოვიდა თავის ცოლ-შვილით და სთხოვა, თუ შეიძლება ცოტა ხანი შეჩერდითო. ჩვენც გარს შემოვეხვიეთ, ცხენებს აღვირი დავუჭირეთ და ვეხვეწებოდით, მოითმინეთო:

— უნდა გაჩერდეთ, ალზასელნო! ნუ თუ ისე წახვალთ, რომ ერთობას არ შევფიცავთ ერთმანეთს? ჩამოხტით!

მაგრამ იმათმა წინამძღოლმა, — ვეშაპის ოდენი იჯდა ის კურთხეულიშვილი ცხენზედ — დაგვარწმუნა: ბრძანება მაქვს, დანიშნულ ვადაზედ, ამ საღამოს, უთუოდ სარებრუბში უნდა მივიდეო, და ჩვენც ძალა აღარ დავატანეთ.

დრაგონები ისევ იმ სიმღერით გაუდგნენ გზას და ჩვენ კი... შეუძლებელია აგიწეროთ რა შთაბეჭდილება იქონია ჩვენზე იმ სიმღერამ. სიმღერა კი არა, გაჭირვებული სამშობლოს ძახილი იყო,

თავის შვილების მოწოდება, მოდით, დამიფარეთო! იმისთანა იმედით აგვევსო გული, რომ მდევები გვეგონა ჩვენი თავი და ჩვენი უძლეველი ამ ქვეყნად არა გვეგულებოდა-რა.

— ღმერთი მოწყალეა, — ვიძახდი ჩემს გულში, ამ სიმღერით თუნდა ჯოჯოხეთში ჩავალ. რა მალე აუსრულდა შოველს ნატვრა: კარმანიოლის მაგიერად, სხვა სიმღერა გვინდა, რომ ხალხისავით ძლიერი იყოს და იმედიანიო.

საცა კი გავიარეთ, ყველგან ზარსა რეკდნენ, ყველგან ჩვენსავით თავის ნებით გასული რაზმები მიდიოდნენ საზღვრისაკენ. მიდიოდნენ და თან იმედიანად გაიძახოდნენ:

— ამოვწყდეთ და კი ნუ დავეჯაბნინებით!

ზოგან, ვიწრო ხეობაში, იმდენი რაზმები მოგროვდებოდა ხოლმე, ისე გაიბმოდა ლარივით, რომ აღარც თავი უჩანდა, აღარც ბოლო. მთელი ქვეყანა ფეხზედ იყო! რომ გვცოდნოდა, საჭირო ვართო, ქუდზე კაცი გამოვიდოდა. ასეა და! უძლეველია ხალხი, როდესაც თავის თავს იცავს.

ქ. ბიშში იმოდენა ჯარი შეგროვილიყო, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა. შიგ რომ ვერ შევედით, ქალაქგარეთ დავდექით, მინდორში. ჩვენთან ერთად ბევრი სხვა რაზმებიც იყვნენ. ქალაქში ჩვენგანი მარტო ულენი შევიდა, რომ მამასახლისი ენახა და საჭმელი მოეთხოვა.

ბიში ერთი პატარა ძველებური ქალაქია, ნახევრად ფრანგული, ნახევრად გერმანული; სავერნს ძალიანა ჰგავს. კარგი მაგარი ციხეები აქვს და ცოტა რამ ჯარიცა დგას შიგ. აქ მდგომი ჯარი შეიფიცა, დავიხოცნეთ და მტერს კი ნუ დავნებდებითო! და სწორედ ასეც ქნა: ყველანი დაიხოცნენ და ქალაქში კი მტერი არ შეუშვეს, ის მტერი, რომელსაც გენერალი ბულიე მოუძღოდა.

მეორე დღეს ისევ გზას გავუდექით. ვისსემბურგამდე რამდენიმე დღე ვიარეთ დაუსვენებლივ და სულ ცხარე მზის ქვეშ, რადგან ტყე აღარსად იყო და ჩრდილი ძნელი საპოვნელი. ჩვენს წინ, ჩვენს უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, ყველა გზაზედ ჯარები მიდიოდნენ.

ჯარებს ურმები მისდევდნენ სურსათით, ღვინით, იარაღით, და იმისთანა მტვერი იდგა, იმისთანა საშინელი მტვერი იდგა, რომ ღმერთს ერთსღა ვევედრებოდით, ერთი კარგი წვიმა კიდევ და მერმე აღარას გთხოვთო!

საღამოს ცხრა საათი იყო, რიქსჰეიმში რომ მივედით. ქალაქგარეთ დაბანაკებული ჯარები ძალიან მხიარულად დაგვიხვეწნენ: იმ დილას ჩვენს ცხენოსან ჯარს შეტაკება ჰქონოდა მტერთან და

ეაექცია კიდეც: ჩვენს დრაგონებს მტრის ჰუსარები და დრაგონები ღაემარცხებინათ, რომელთაც თურმე გახიზნული ფრანგები მოუძღოდნენ. კარგი ცხარე ბრძოლა იყო, რადგან ძალიან ცდილობდნენ ლანდაუს გზა შეეკრათ ჩვენთვის და მით სურსათის ზიდვა შეეწყვიტათო. ჩვენს ჯარს კუსტინი წინამძღოლობდა.

შიგ რიქსჰეიმში კი დიდი და პატარა ერთ უბედურ და თავგანწირულ ბავშვსა ტიროდა: ამ პატარას დაენახა მომავალი მტერი და ნაღარა დაეკრა, — სწორედ ის ნიშანი, რომლითაც მთელი ჯარი იარაღით ხელში საბრძოლველად უნდა გავიდეს. წამოსწეოდა ერთი გერმანელი ჰუსარი და მარჯვენა ხელი მოეჭრა: მაგრამ პატარას მაინც არ დაეშალა და ცალი ხელით თურმე უკრავდა ნაღარას, ვიდრე მტრის ჯარი ზედ არ შედგა და ცხენებმა არ გასრისეს.

აი, რა ნობათით შემოვიდა ჩვენში ომი!

მაგრამ მგონი დროა, ცოტათი შევისვენო. გარდა ამისა მინდა წავიდე, ორი ძველი მეგობარი ვნახო, რომელნიც მაღლა მთაში დგანან და ბევრ რასმე მომაგონებენ. მაშ დღეს ამაზედ შევდგეთ; ცოტა რამ კი არ გეგონოთ პირველი ომი რესპუბლიკისა? ამის აწერას კარგი დაფიქრება უნდა. მარტო ომი ყოფილიყოს, კიდევ ჰო, მაგრამ იმდენი რამ მოხდა იმავე დროს, რომ სანამ ძველ ქაღალდებს არ გადავსინჯავ და რიგზედ არ მოვიყვან, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ჩემი ამბავი მარტოდმარტო ჭეშმარიტებაა, მანამ კალამს ხელს არ მოვკიდებ.

თუ ღმერთმა დამაცალა და ჯანი მთელი შემარჩინა და გული მხიარული, ეგეც ადვილია.

წელიწადი პირველი რესპუბლიკისა

1792

I

სადღაა ჩვენი სოფელი? შორს დარჩა და ახლა აღარც ჩვენებზედ მოგახსენებთ რასმე, აღარც ნათლიაჩემის სამჭედლოზედ, აღარც მოხუცებულ მამაჩემზედ. აქედან იწყობა ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა.

სარბურგელები, ვინც ვიყავით ჩვენი ნებით გამოსულნი, მკათათვის დამლევამდე რულცჰეიმში დავრჩით; ზემომთიელთ იქ მიიღეს თოფი და ტყვია-წამალი, თორემ მანამ კომბლების და ცულების მეტი სხვა იარაღი არა ჰქონდათ რა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ კიდევ არ მოგვმატებოდნენ ბიჭები. დილიდან საღამომდე სამხედრო ვარჯიშობაში ვიყავით და ვისსემბურგის და ლანდაუს შუა ნაღარისა და საყვირის ხმის მეტი აღარა ისმოდა რა. გეცოდინებათ, რომ ნაღარა ქვეითა ჯარების კუთვნილებაა და საყვირი ცხენოსნებისა.

ჩვენს უკან კელლერმანის და ბირონის ბანაკებს შუა სიმაგრეები იყო გავლებული ერთი საათის სავალ მანძილზედ მაინც ჰდ. ლოტერის პირას.

მაშინ რკინიგზისა არა ვიცოდით რა და რადგან სურსათის მოსატანად გლეხკაცის საქონელი უნდა გაეყვანათ, საჭმელ-სასმელი ხშირად გვაკლდა ხოლმე.

მე, მარკოზ დივე და ჩვენი მენაღარე ივანე ერთ ქვრივთან დაგვაყენეს, რომელიც დილიდან საღამომდე ტიროდა. საწყალი დედაკაცი! რაცა ჰქონდა, არა შურდა რა ჩვენთვის, არც ქერის პური და არც ლობიო და კარტოფილი. მე და მარკოზი ძალიან კმაყოფილნი ვიყავით, მაგრამ ჩვენი მენაღარე კი ცუდ გუნებაზედ იყო: ხორცი ნებავდა!

როცა სურსათი დროზედ არ მოგვივიდოდა, გავიდოდით და საცა რას მოვახელებდით, იმითი შევნაყრდებოდით. შიმშილით ხომ არ დავიხოცებოდით? ავიკელით აქაურობა. საწყალი ხალხისთვის ამაზედ უმეტესი უბედურება მგონი შეუძლებელი იყოს.

მაშინ ასსიგნაციებს ვხმარობდით და იმათაც გასავალი არა ჰქონდათ. ჩვენი ბანაკი სავსე იყო პატარ-პატარა გერმანულ გაზეთებით, რომელშიაც იწერებოდნენ „მეჯღანეების ჯარის“ ათასგვარ ვაი-ვაგლახს, ამ ჯარის უფროსების უვიცობას და სისულელეს. გახიზნულებს დაერწმუნებინათ — სულ თრთიან ჩვენი შიშით და თუ ერთი დავენახვეთ, მაშინვე გავაქცევთო... ჩვენც სწორედ ასე გვხატავდნენ: გაქცეულთ უკან მდევარი მოგვდევდა — ერთი საშინელი, უზარმაზარი გერმანელი ჯარისკაცი, ყურზედ სამკეცად შემოხვეული ულვაშით და ამოღებული ხმლით. საწყლები! ოცის წლის განმავლობაში, მიუხედავად ყურზედ სამკეცად შემოხვეული ულვაშისა, ბევრჯერ ვანანეთ ეს მხატვრობა!

დიაღ, მეგაზეთეებიც კი შესყიდული ჰყავდათ, რომ იმათგან გაბრიყვებული ხალხი უფრო უკეთ ეკრიჭათ და ეპარსათ. იმ გაზეთებისთვის რომ დაგვეჯერებინა, ჩვენი ჯარები შიმშილით იხოცებოდნენ და ჩვენი მტრებისა კი სულ ღვინოში ბანაობდნენ; ჩვენ არც იარაღი გვქონდა, არც ტანისამოსი, არც სურსათი; ისინი კი იარაღითაც მდიდარნი იყვნენ, სურსათითაც, ტანისამოსითაც. ქვეყანას ვეღარ დაეტია იმათი ზარბაზნები და მთელი რეინის პირას ხომ ისე ჰქონდათ ჩაყოლებული სურსათის საწყობი მაღაზიები, რომ თუნდა ერთ საუკუნეს ეყოფოდათ. ჩვენც ეგ გვინდოდა და სულ იმას ვნატრობდით: ნეტავი ერთი რეინის პირას გავიდეთ, რომ ის მაღაზიები დავათვალიეროთო. კარგი ის იყო, რომ დარწმუნებული ვიყავით ამ მაღაზიებსა ვნახავთ და ვორმში და მაინცშიაც გავალთო.

საუბედუროთ, ისეთი სუსტი იყო რიცხვით ჩვენი ჯარი, რომ ამ ნატვრის განხორციელება სრულიად შეუძლებელი იყო. 21 ათასი კაცი ქვეითა ჯარში ირიცხებოდა, 17 ათასი მოსურნენი — ჩვენი ნებით გამოსულნი ვიყავით, 6 ათასი ცხენოსანი და 1700 კაციც არტილერიაში ირიცხებოდა; სულ 46 ათასი კაცი, რომელთაგან 24 ათასი ციხე-სიმაგრეებში იყო, ხოლო დანარჩენი უნდა გასულიყო საბრძოლველად.

პრუსიელები და ავსტრიელები ერთად 200 ათას კაცზედ მეტნი იყვნენ. ჩვენი გახიზნულები სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ „მიდით! რაღას ელითო!?“ რადგან ბულიემ კარგად იცოდა, რა საშინელ მდგომარეობაში იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა! მეფე ლუი XVI მინისტრები, მანამ უჯობდათ, სულ იმას ბრძანებდნენ საერო კრებაზედ, რომ

ჩვენს სამხედრო სამზადისს მთელი ევროპაც ვერას დააკლებს; ჯარში თავის ნებით წამსვლელთ რომ ასე ურიგოდ არ ურიგებდნენ იარაღს, აქამდე მთელი ჯარი სრულიად შეიარაღებული გვეყოლებოდა; ჩვენი არსენალი იარაღით სავსეა და ჩვენს ჯარს არაფერი უშავს, თუნდა ათი წელიწადი გასტანოს ომმაო. მეფემ კარგად იცოდა, რომ მინისტრები ტყუოდნენ; კარგად იცოდა, რომ არც ხეირიანი წინამძღოლები ჰყავდა ჩვენს ჯარს და არც ინჟენერები, რადგან დიდი გვარიშვილები ყველანი გაიხიზნენ; მეფემ კარგად იცოდა, რომ ჩვენი არსენალი ცარიელი იყო და, როცა საჭირო იყო, ურმებს, საქონელს, ცხენებს და მიწის სათხრელ იარაღსაც კი გლეხკაცს ართმევდნენ. ისიც კარგად იცოდა მეფემ, რომ უმეტეს ნაწილს ჩვენგანს ერთი ხელი ტანისამოსის და ერთი დაჟანგებული თოფის მეტი არა ჰქონდარა და ისიც, ათში ერთი თუ გავარდებოდა. მეფემ კარგად იცოდა, რომ გუდები რა არის, გუდებიც კი ვერ მოგვიხერხეს და ჩვენვე დაგვავალეს: გუდები უნდა იშოვოთ, საცა გენებოთ, და ჯარში ისე გამოხვიდეთო! მეფემ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, რადგან მინისტრები, სასახლე და გახიზნულები ყოველთვის ერთად იყვნენ და ერთად მოქმედებდნენ.

ჩვენი ჯარის წინამძღოლი გენერალი კუსტენი ბრძანდებოდა. ტიონვილის და მეცის წინ მდებარე სიმაგრე ლანდაუ ისე მშვენივრად იყო გამაგრებული, რომ კუსტენი ცხენით შევიდა დანგრეულ ციხეში თან რამდენიმე ცხენოსანი ახლდა. ლანდაუ რომ ასე იყო, სხვა, საზღვარს მოშორებული სიმაგრეები, რა ყოფაში იქნებოდნენ? რამდენჯერ მითქვამს ჩემს გულში:

— დაგვღუპეს, დაგვანელეს იმ მუხანათებმა! ერთად რომ შემოგვისიოს მტერმა ორასი ათასი კაცი, ერთ დღესაც ვერ გავუმაგრდებით. ისე ამოგვწყვეტენ, მგონი ერთიც არავინ გადარჩეს! ან ვიღა ინდომებს გადარჩენას?.. ხედავთ, როგორ გვიმუხთლეს! სამშობლო მტერს შეარცხვენინეს, რომ თავიანთი უპირატესობანი არ დაეკარგათ და ხალხი ძველებურად მონად ჰყოლოდათ! იუდასავით მოგვექცნენ მეფეც და იმისი მინისტრებიც, რომელნიც ნარბონის პირით საერო კრებას და მასთან ერთად მთელს საფრანგეთს ატყუებდნენ: „საზღვრები დავიარე, ციხე-სიმაგრეები გავსინჯე და შიში არაფრისა გვაქვს, მთელი ევროპაც ვერას გვიზამსო“.

ჩვენდა საბედნიეროდ პრუსიელები და ავსტრიელები ჯერ წინსვლას არა ფიქრობდნენ; იმათ იმისთანა გამოჩენილი და ფთხილი გენერლები ჰყავდათ, რომ ასჯერ და ათასჯერ გაზომავდნენ, ვიდრე მოსჭრიდნენ; მეფეები, უბრწყინვალესი თავადები და სწავლულნი ჯერ ისევ იმის სჯაში იყვნენ, საფრანგეთი როგორ გავინაწილოთო.

ომათ რომ ჩვენი ჰოშის და კლებერისავით ხალხის შვილები ჰყოლოდათ წინამძღოლად, დავიღუპებოდით. ერთი სიტყვით, მთელი სამი კვირა იდგნენ საზღვარზედ და ზანტი კამეჩივით იცოხნებოდნენ.

ბოლოს ჩვენმა ბატალიონმა, რომელსაც მთიელთა პირველი ბატალიონი ეწოდებოდა, ბრძანება მიიღო, აფიცრები აირჩიეთ, რადგან ლანდაუს უნდა წახვიდეთო.

იმავე დღეს, 1792 წ. მკათათვის უკანასკნელ დღეს, ყველა თავის ნებით გამოსულმა რაზმებმა ამოირჩიეს თავიანთი აფიცრები, რომელთა წინამძღოლად არჩეულ იქმნა ივანე მენიე, ერთი ყმაწვილი ხუროთმოძღვარი, რომელიც თუნდა ასჯერ მაინც მენახა ჩვენს სოფელში, როდესაც ჩვენს მაზრაში ციხე-სიმაგრეებს აკეთებინებდა. ჩვენი ივანე თავისი ნაღარით რაზმის თავში იდგა და ათისთავის ოდენ ჯამაგირს იღებდა.

მეორე დღეს ლანდაუს გზას გავუდექით. ტანისამოსი ჯერ ისევ საკუთარი გვეცვა და ისე იყო აჭრელებული ჩვენი რაზმი, რომ, თოფები რომ არა გვქონოდა, იტყოდით, ეს ჯარი კი არა, სოფლელები არიან და სამუშაოდ მიდიან სადმეო. მშვენიერი დღე იყო. ქვემო შარანტელების მეორე ბატალიონიც ჩვენს გზას ადგა. უმეტესი ნაწილი ფეხშიშველნი იყვნენ, მაგრამ იმისთანა მხიარულად მიდიოდნენ, თითქო ქორწილში მიბრძანდებიანო. ახლა კი ყველამ ზეპირად ვიცოდით „მარსელური“ და მთელი გზა იმასა ვმღეროდით.

ქვემო შარანტელები იმპფლინგენში გაჩერდნენ; ჩვენ კი ლინდაუში მივედით, სადილს უკან სამს საათზედ. ციხის კარში დარაჯად ბრეტანელი რაზმი იდგა თავისი თეთრი ტანისამოსით. ვინ არისო? დაგვიძახეს. მენიემ უპასუხა: მთიელთა პირველი ბატალიონი. ეს რომ გაიგეს, გამოგვეგებნენ და დიდი სიხარულით მიგვიღეს.

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს! — შესძახეს ერთმხრად ბრეტანელებმა.

ამის პასუხად ჩვენ მარსელური დავძახეთ და ისე შევედით ქალაქში.

ლინდაუ ძალიან ჰგავს ფალსბურგს, მაგრამ უფრო გერმანული იერი აქვს, ვიდრე ფრანგული. ქალაქის სიმაგრეებს გარშემო მდ. კეიში უვლის. ქვემო ნაწილში კეიში დაგუბებულია და ჭაობში იკარგება. ქალაქში დღე და ღამ შეუწყვეტლივ ბაყაყის საშინელი ყიყინი გაისმის. ციხეები და გალავნები ნახევარზედ მეტი დანგრეული დაგეხვდა, მაგრამ ყველგან გარნიზონის ჯარისკაცები იდგნენ და დანგრეულ კედლებს აშენებდნენ.

დიაღ! აი, რით იყო ძლიერი მეფე ლუი XVI. მამა-პაპათაგან აშენებული ციხე-სიმაგრეები ოხრად ეყარა და ინგრეოდა და ის კი სა-

ხელმწიფო შემოსავალს თავის ქეიფებზედ და დროს ტარებაზედ ხარჯავდა და დიდებულ კარისკაცებს ურიგებდა. მეფეს ესიამოვნა, თორემ საფრანგეთი რა სახსენებელი იყო?

ლინდაუში გარნიზონად შვიდი ათას ექვსასი კაცი ვიდექით.

მივედით თუ არა, ჩვენც მაშინვე სამუშაოდ გაგვიყვანეს. მენიემ კარგად იცოდა, რომ დროს დაკარგვა ძვირად დაგვიჯდებოდა, და მაშინვე საქმეს შეუდგა. მთელი დღე ჩვენთან იყო და ყველაფერს თითონ გვაკეთებინებდა. უსაქმურად არავინ იყო: ყველა თავ-თავის ხელობაზედ მუშაობდა და მე და ექვსი კიდევ სხვა მჭედელი წამხდარი ცულების და ხელეჩოების კეთებას ვუნდებოდით.

ბრაუნშვეიგის მანიფესტი საფრანგეთის ხალხისადმი ჩვენ ლინდაუში მივიღეთ და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღშფოთდა მთელი გარნიზონი. კუსტენის ბრძანებით, იმის მაგივრად, რომ დაემალათ, დილით, ვიდრე საქმეს შევუდგებოდით, ხმამაღლა წაგვიკითხეს ამ ფელდმარშალის განცხადება, რომლითაც გვაცნობებდა: ევროპის ხელმწიფენი მობრძანდებიან, რომ ალზას-ლორენი ისევ გერმანელთ დაუბრუნონ; ევროპის ხელმწიფენი ხალხს არას ერჩიან, არც რასმე წაართმევენ, ოღონდ საფრანგეთის მეფეს დაეხმარებიან, რომ ძველებურათ შეეძლოს თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობა და ბედნიერება იზრუნოს. არც ქალაქს და არც სოფელს არას ავნებენ, თუ იგინი თავის ნებით დამორჩილდნენ პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებს; მაგრამ სასტიკად დასჯიან ყველას, ვინც გაბედავს და მათ უმაღლესობის ჯარებს წინააღმდეგობას გაუწევს რასმე: სამხედრო კანონმდებლობის დაკვალად დახვრეტილ იქნება ყველა, ვინც პრუსიელ და ავსტრიელ ჯარებზედ იარაღს იხმარს მინდორში იქნება თუ სოფელში, გარეთ თუ სახლში; საფრანგეთში ჯარებს ამით ვაფრთხილებთ, რომ გონზედ მოვიდნენ და, მინამ დრო აქვთ, ისევ ძველებური ერთგულება გამოუცხადონ მეფეს და დიდებულთ; მილიციელებს ვურჩევთ, ჩვენს მოსვლამდე სოფლები შეიმაგრონ და ჩვენი წინააღმდეგობა დაუშალონ; რაც შეეხება პარიზელებს, მ ი ვ ა ლ თ თ უ ა რ ა, მ ა შ ი ნ ვ ე დ ა გ ვ მ ო რ ჩ ი ლ დ ნ ე ნ დ ა პ ა რ ი ზ ი ს კ ა რ ი გ ა გ ვ ი ღ ო ნ, თ ო რ ე მ ც ო ც ხ ა ლ ი ა ღ ა რ ა ვ ი ნ გ ა დ ა გ ვ რ ჩ ე ბ ა! თუ ჩვენს მოსვლამდე შეურაცხყოფა მიუყენებიათ რამე მეფე ლუი XVI-სთვის, დედოფალ მარიამ-ანტუანეტასთვის ან მეფის ოჯახის სხვა წევრთათვის, ქალაქს ავიღებთ და ისე დავანგრევთ, რომ ნასახლარიც აღარსად ეტყობოდეს. მაგრამ თუ დაგვმორჩილდნენ და ქალაქი უომრად დაგვანებეს, ჩვენ, მეფე პრუსიისა და ხელმწიფე ავსტრიისა, ამით ვპირდებით: მეფე ლუი XVI ვთხოვთ, რომ აპატიოს პარიზელ ხალხს ცოდვანი მისნი.

მანიფესტის კითხვა ჯერ არც კი გაეთავებინათ, რომ იგრიალა ამოდენა ჯარმა და ერთხმივ შესძახა: — სიკვდილი სამშობლოს ბატერსაო!

ჩვენ ყვირილზედ მილიციელები გამოცვივდნენ, მერე ლინდაუს მკვიდრნი და უცბად გაივსო მოედანი. ყველანი აღშფოთებულნი იყვნენ ამ თავხედური მანიფესტით და სულ იმას იძახდნენ — გაეწყვეთ და მტერს კი ნუ გავახარებთო! თან „მარსელურსა“ და „წავას“ — მღეროდნენ. იმისთანა ხმაურობა ატყდა მოედანზედ, რომ გენერალ კუსტენს აჯანყება ჰგონებოდა და ცხენით ჩამოიჭრა ჩვენს დასამშვიდებლად. ახლაც თვალწინ მიდგას კუსტენი თავისი ამალით. უნდოდა დაემშვიდებინა როგორმე ხალხი, მაგრამ იმისი ბრძანება არავის ესმოდა.

არც მე ვიყავ სხვაზედ ნაკლებ აღელვებული, ვიღაცა პრუსიელი თავადი ამისთანა შეურაცხყოფას აყენებდა ჩემს სამშობლოს და არა მწყენოდა?!..

უცბად საყვირის ხმა გაისმა ციხიდან. ყველას გვეგონა, მტერი მოდისო, და თავ-თავის ალაგისაკენ გავიქეცით. მაგრამ მტერი არსად იყო. თურმე გენერალს გაეცა ბრძანება: საყვირის ხმას რომ გაიგებენ, იქნება მაშინ მაინც დამშვიდნენ და თავ-თავიანთ საქმეს შეუდგნენო.

სწორედ ასეც მოხდა... ამ დღიდან მოყოლებული უფრო და უფრო მატულობდა ხალხისა და ჯარის სიძულვილი მეფე ლუი XVI-სადმი და ამასთან ერთად პრუსიელების და ბრაუშვეიგისადმი. ჯაოსკაცნი, მილიციელები და თავის ნებით გამოსულნი ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ლუდხანებში, საზოგადო საქმეებსა სჯიდნენ და ხშირად საერო კრებას თხოვნას უგზავნიდნენ, სამშობლოს მოღალატენი და გამყიდველნი დასაჯეთ და მეფე გადააყენეთო.

ცოტა ხანმა კიდევ გაიარა. გალავანი უკვე შევაკეთეთ, ზედ ზარბაზნები გავაწყეთ. ვისსემბურგის და ლინდაუს შუა ავსტრიელი რაზმები დანავარდობდნენ. პურსა და სხვა საგზალს ან იარაღს რომ გვიგზავნიდნენ, თან დიდ ჯარს გამოატანდნენ, მტერმა არ წაგვარეოვასო! უფრო კი დრაგონები მოსდევდნენ ხოლმე. ომპფლინგენის და ოფენბახის შუა ჩვენს დრაგონებს მტრის ჯართან პატარა შეტაკებაც ჰქონოდათ და ლინდაუშიც მალე მოველოდით მათს მოსვლას.

მაგრამ ვიდრე ისინი ჩვენამდე მოაღწევდნენ, პარიზში დიდი ამბები მოხდა. რომ გაეგოთ პარიზელებს ბრაუნშვეიგის მანიფესტი, ჯავრი მეფეზედ ეყარათ: სასახლე აეღოთ, მეფის მცველი შვეიცარიელები დაეხოცათ და მეფე ლუი XVI, დედოფალი მარიამ-ანტუანე-

ტა და მთელი სამეფო ოჯახი დაემწყვდიათ, ჯერ ლუქსემბურგში, შემდეგ ტამპლში.

ჩვენ ეს ამბები გაზეთში წავიკითხეთ 15 მარიამობისთვეს და იმისთანა იმედი მოგვეცა მთელს გარნიზონს, რომ ერთზედ ასიც რომ მოსულიყვნენ, ვერას დაგვაკლებდნენ. მეფის გადაყენებამ გაგვიორკეცა ვაჟკაცობა და ერთმანეთს ვულოცავდით მოღალატესაგან განთავისუფლებას.

თან ვიცინოდით და თან სიხარულის ცრემლი გვდიოდა. იმისთანა კმაყოფილნი ვიყავით, თითქო ამაზე ყოფილიყოს დამოკიდებული ჩვენი პირადი ბედნიერება.

აი, როგორ აეღო ხალხს სასახლე. მე იქ არა ვყოფილვარ, მაგრამ ისე მოგითხრობთ, როგორც მაშინდელ გაზეთებში ეწერა. ვერ წარმოიდგენთ, რა გასავალი ჰქონდათ მაშინ გაზეთებს, ერთი კი დაიძახებდა ვინმე, ახალი გაზეთიო! და მაშინვე გარს შემოეხვეოდა ხალხი. ავიდოდა მაგიდაზედ და დაიწყებდა ხმამაღლა კითხვას. გაზეთებს კი არა, პარიზიდან მიღებულ წერილსაც წაუკითხავდნენ ხოლმე ხალხს, როცა შიგ საზოგადო საქმეებისა ეწერა რამე ან იაკობელების კლუბის სხდომა და იქ წარმოთქმული სიტყვები იყო მოყვანილი. ერთი სიტყვით, უპურობა ისე ვერ შეაწუხებდა ქვეყანას, როგორც უგაზეთობა. მაშინ დამალული აღარა იყო რა.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ თიბათვის 20-დან დაწყებული ძალიან უნდობლად შესცქეროდა ხალხი მეფეს, რადგან მეფე ეწინააღმდეგებოდა საერო კრების დადგენილებას მავნე მღვდლების განდევნის შესახებ. მეფისაგან არჩეულ მინისტრებს მას შემდეგ არაფერი უზრუნიათ, რომ მტრის დასახვედრად მოვემზადებინეთ; პირიქით, რომ წავიდნენ, ჯარისთვის პურის შესანახად აგებული მაღაზიები ცარიელი დაგვიტოვეს, და ციხე-სიმაგრენი დანგრეული; ახლად დანიშნულ აფიცრებს არ აცნობებდნენ მათს დანიშვნას, რომ დროზედ მისულიყვნენ თავ-თავიანთ ალაგებზედ და საერო კრებაზედ სამარცხვინოდა სტყუოდნენ, ყველაფერი მზადა გვაქვს, დაე მობრძანდნენო! იმდენი ხანი იძახეს, ყველაფერი მზადა გვაქვსო, ვიდრე მტერი კარს მოგვადგა და მაშინ კი სამსახურს თავი დაანებეს და საერო კრება იძულებული გახადეს გამოეცხადებინა, სამშობლო განსაცდელში არისო.

მიუხედავად ამისა ბევრს გულწრფელად სჯეროდა — ცილსწამებენ, „ჩვენი კეთილი მეფე“ სამშობლოს ვერ უღალატებსო! მაგრამ ბრაუნშვეიგის მანიფესტმა ამ ურწმუნოთაც თვალი აუხილა და დაარწმუნა, რომ მეფე გვღალატობდა. მანიფესტი პირდაპირ აცხადებდა, პრუსიელები და ავსტრიელები იმიტომ მოვდივართ,

რომ მეფეს მეფობა და დიდებულთ ყოველი უპირატესობა დავუბრუნოთ და აჯანყებული ყმანი დავუმონავოთო. ამ სამარცხვინო, თავის თავხედობით საზარელმა, მანიფესტმა ცხადად დაუმტკიცა ყველას, რომ მეფენი და დიდებულნი ერთად იყვნენ განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოებისა და სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ხალხი დამონავებული ჰყოლოდათ. მაშინ კი თვალი გაახილა ყველამ და საერო კრებას ათასობით მისდიოდა თხოვნა, მეფე გადააყენეთო. საუკეთესო დეპუტატები იმ დროს აქეთ-იქით იყვნენ წასულნი, რომ ხალხისთვის ჭეშმარიტება ეცნობინებინათ და ჯარში მოსურნენი გაეყვანათ; და ვინც პარიზში დარჩენილიყვნენ, ყურს არ უგდებდნენ ხალხის სამართლიან სურვილს; იმავე დროს, — ეს შემდეგში გავიგეთ, — ჟირონდელების მოთავეთ ჩუმად მოლაპარაკება ჰქონდათ მეფესთან, რომელიც მინისტრების ალაგს იმათ ჰპირდებოდა.

რაკი ნახეს პარიზელებმა, რომ ჩვენი დეპუტატები სამშობლოს სახსნელად არას ზრუნავდნენ, დაადგინეს: „ხუთშაბათამდე, აგვისტოს 9, საღამოს 11 საათამდე კიდევ მოვუთმენთ საერო კრებას, რომ მეფე გადააყენოს; მაგრამ თუ მანამდეც არ შეიწყნარა კრებამ ხალხის თხოვნა და მეფე არ გადააყენა, იმავ ღამეს, შუაღამისას აიშლება ხალხი და თავის წადილს თითონვე განახორციელებს". მოკლედ და ვაჟკაცურად იყო გამოთქმული ხალხის მუქარა.

პასუხის მაგივრად საერო კრებამ ბრძანება მისცა სამხედრო მინისტრს, რაც კი პარიზში შეფიცულნი იმყოფებიან, ეხლავე სუასსონის ბანაკში გაისტუმრეთო. იმავე დღეს საერო კრებამ 406 ხმით 224 წინააღმდეგ დაადგინა, ლაფაიეტს იმისთანა არა დაუშავებია-რა, რომ სამართალში იქმნას მიცემულიო.

მაშინ დანტონმა, კამილ დემულენმა, მარსელელ შეფიცულთა წინამძღოლმა ბარბარუმ, პანიმ, სერჟანმა, ტიონვილელმა მერლენმა, სანტერმა, ვესტერმანმა და სხვ. და სხვ. პატრიოტებმა, რომელნიც სიცოცხლესაც არ დაზოგავდნენ თავისუფლებისათვის, აშალეს ხალხი. ღამე, 9 აგვისტოს შეიყარა ხალხი უბან-უბან და სამ-სამი კაცი ამოირჩია, რომელნიც აღჭურვილნი იქმნენ ყოველი უფლებით „საზოგადო საქმის", ესე იგი რესპუბლიკის დასაცავად. შემდეგ ამისა დანტონმა აჯანყების ნიშნად ზარის რეკვა უბრძანა ყველა ეკლესიაში.

სასახლე სავსე იყო შვეიცარიელებით და დიდებულებით და ძნელი ასაღები იყო. მეფე ლუი XVI კარგად იცოდა რომ ხალხს ვეღარ გაუმაგრდებოდა, რაკი სასახლეს აიღებდა, აღარავის დაინდობდა. ამიტომ მეფე სასახლეში ერთ წამსაც აღარ დარჩენილა და დედოფლით და ბატონიშვილით საჩქაროდ საერო კრებისკენ გაეშურა და თანაც

დაამუნათა: ჩემი მადლობელი უნდა იყვნეთ, რომ ხალხმა დღეს ღვთისაგან კურთხეულის სისხლში ხელი არ გაისვარაო.

ჩვენ უბრალო მომაკვდავნი ჩვენს დღეში არ ვიკადრებდით, განსაცდელში თავი დაგვენებებინა ჩვენთვის თავგანწირულებისთვის და სამარცხვინოდ გავპარულიყავით. მაგრამ რა!.. მეფე რის მეფეა, თუ კი ყველაფერი არ ეპატიება?

ის იყო მეფე გავიდა სასახლიდან და ხალხიც მივიდა და გარს შემოეხვია. წინ ვესტერმანი მიუძღოდა. წასახლის ყოველ ფანჯარაში შვეიცარიელები იყვნენ ჩასაფრებულნი და თოფს ესროდნენ ხალხს. ხალხმა ჯერ უკან დაიწია, მაგრამ მერე უფრო გაშმაგებული წამოვიდა და ეზოში შვეიცარიელების ბინას ცეცხლი წაუკიდა. იქიდან სასახლეშიაც შეცვივდნენ და ცოცხალი არავინ გადარჩენილა, საცა კი მოსამსახურე ან დიდებული შეხვდათ ვინმე. უბედურ შვეიცარიელებს ფანჯრებიდან ისროდნენ, იქვე ეზოში, ბაღში და ქუჩაში ხოცავდნენ. 220 მარსელელი და ასი ბრეტანელი, შეფიცული ხუთასი შვეიცარიელი, ათასი მილიციელი და ბევრი დიდებული და ხალხის შვილნი ეყარნენ მკვდრები გზებზედ, კიბეებზედ და თვით პალატებშიაც. მისი დიდებულება კი, იმის მაგივრად რომ თავის ერთგულ მოსამსახურეთ მიშველებოდა, იყო თავისთვის მიმალული საერო კრების დარბაზში! ამ დროინდელ გაზეთებში ეწერა, ძალიან მადიანად მიირთვა პურიო; მაგრამ არა მგონია, ეს მართალი იყოს; ნუ თუ შეიძლება ჩვენისთანა ყოველი ღირსებით აღსავსე ერს, ამისთანა საზიზღარი მეფე ჰყავდეს?

მანამ სასახლეში ეს ამბები იყო, პატრიოტები საერო კრებაში მეფის გადაყენებას ითხოვდნენ. მაგრამ ჩვენს დეპუტატებს, ვიდრე ამის პასუხს იტყოდნენ რასმე, ნებავდათ გაეგოთ, ვინ აჯობებდა: ხალხი თუ მილიციელები? ასე უფრო მშვიდობით გადარჩებოდნენ, რასაკვირველია.

ბოლოს შუადღის შემდეგ ხალხმა მიწასთან გაასწორა სასახლე და საერო კრებისკენ გაემართა. მაშინ კი დამორჩილდა ხალხის სურვილს საერო კრება და ეროინდელმა ვერნიომ — თავმჯდომარემ კრებისამ, გამოაცხადა, მეფე დროებით გადაყენებულია არის, ვიდრე ახალი საერო კრება — კონვენტი — შეიყრებაო. შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა, — ახალი არჩევნები მოხდება მთელს საფრანგეთში, რომ 20 ენკენისთვეს პარიზში ახალი საერო კრება — კონვენტი — გაიხსნასო.

ხსენებაც აღარ იყო ხმოსანის და უხმო მამულიშვილისა: ყოველ ფრანგს უფლება ჰქონდა აერჩია და არჩეულ ყოფილიყო მიუხედავად შეძლებისა. შოველი ყველასაგან ცნობილი იყო როგორადაც

ოავგამოდებული მამულიშვილი და თავმჯდომარე ჩვენის კლუბისა. წავიკითხე თუ არა საერო კრების დადგენილება, მაშინვე ვიფიქრე, კონვენტის წევრად ჩვენებურები სწორედ შოველს აირჩევენ-მეთქი. მაგრამ მარიამობისთვის 10-დან ენკენისთვის 20-მდე მთელი ორმოცი დღე იყო და ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ყოველი მხრიდან მტერი გვემუქრებოდა, საფრანგეთის ბედი პარიზელი ხალხისაგან ამორჩეულ კამისართა ხელში იყო, რომელთაც „საზოგადო საქმისთვის" პატრონობა უნდა გაეწიათ. სამშობლო საშინელ განსაცდელში ამყოფებოდა.

კიდევ კარგი, რომ შოველისაგან და მარგალიტასაგან ვიცოდი, რა კაცები იყვნენ რობესპიერი, ბაზირი, მერლენი, სერჟანი, სანტერი და სხვა სახელგანთქმული პატრიოტები და რაკი გაზეთში ამათი სახელები წავიკითხე ხალხის წინამძღოლთა შორის, გული დავიმშვიდე, რადგან ვიცოდი, რომ იმათ ხელში არც სამშობლოს უშავდა რამე და არც თავისუფლებას, ვიცოდი, რომ ჯერ ისინი და იმათთან ერთად ჩვენ უნდა ამოვეხოცნეთ მტერს და მერმე საფრანგეთისთვის დაეკლო რამე.

II

ხალხის გამარჯვების შემდეგ საერო კრებამ, იმავე ხალხის სურვილისამებრ, უარჰყო ბერ-მონოზანთა განსაკუთრებული ტანისამოსი: შემოიღო ცოლ-ქმართ გაყრა; ახალ წესსზედ გააწყო ერის მცველი ჯარი და დაადგინა ყოველი ფრანგის სავალდებულო სამსახური მილიციაში; დაადგინა წვრილ-წვრილად, ფასის განაწილებით გაყიდვა საეკლესიო მამულებთან ერთად გახიზნულების მამულებისა, რომ გლეხკაცისთვის გაეადვილებინა მათი ყიდვა და ფასის ნელ-ნელა გადახდა. სასტიკი ბრძანება მისცა კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებს და ბერებს: დღეიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში გადით საფრანგეთიდან, თორემ გვიანაში გაგისტუმრებთო. გარდა ამისა დაადგინა გახიზნულთა დედ-მამის მძევლად ყოლა ომის გათავებამდე და სამართალში მიცემა ყველასი, ვინც ხალხზედ იარაღი იხმარა ან იხმარებდა. წარმოიდგინეთ, როგორ გაახარებდნენ ეს კანონები პატრიოტებს. აღფრთოვანებული ვიყავით ახალ-ახალი იმედებით და მხიარულად გავიძახოდით: რევოლუციამ გაიმარჯვა! ჯობა ქვეყნის მოღალატეებსაო!

იმავე დროს ხმა გავარდა, ლაფაიეტი, არდენში მყოფი ჯარების წინამძღოლი, უარყოფს 10 მარიამობისთვეს საერო კრების დადგენილებასო. ჩრდილოეთით უკვე შემოგვეესია მტერი; ვანდელები, დი-

დებულების და ბერების წინამძღოლობით, პრუსიელებსღა ელიან, რომ აჯანყდნენ და უკანიდან დაგვეცნენო... სიხარული და მწუხარება ხომ განუყრელნი ყოფილან ყოველთვის!

შემოდგომა ახლო იყო. რეინზედ საშინელი ბურუსი იდგა. ყელშის ჭაობი ხომ სულ ღრუბლით იყო მოცული. ყოველ დღე პატარ-პატარა რაზმები გადიოდნენ მტრის დასაზვერავად. გლეხკაცები ამბობდნენ ხოლმე ბაზრობა დღეს, პრუსიელები და ავსტრიელები ტონვილისკენ მიეშურებიან და ერთი რაზმი კი ქალაქს გარს უვლის, რომ ლორენში გადავიდესო. ისიც ვიცოდით, რომ საერო კრებისაგან გამოგზავნილი კაცები ათვალიერებდნენ ვისსემბურგის სიმაგრეებს და ერთი მათგანი ინჟენერი კარნო, ახალ ციხეებს აშენებინებდა.

ეს რომ გაიგეს, დარაჯიც მეტი გაიყვანეს. ზარბაზნები შეამზადეს. დღე და ღამ მტრის გზას გავცქეროდით, თუმცა ბურუსის გამო ბევრი არა ჩანდა რა. ხანდახან მტრის ულანები გამოჩნდებოდნენ შორს, შორს, თითქო ავსტრიელების ჯარების მოახლოვებას გვაცნობებენო: აი, მოვდივართ! დღეს-ხვალ მანდ ვიქნებითო!

ჩვენც ველოდით.

ერთ დილას დარაჯად ვიყავი ციხის კართან. ის იყო დასაზვერავად გასულმა რაზმმა საქონელი მორეკა და კარი ჯერ ღია გვქონდა. იმ ორი დღის წინათ სამხედრო ტანისამოსი დაგვირიგეს. თუმცა თბილი ტანისამოსი გვეცვა, მაინც ძალიან გვცივოდა: ამხანაგები იქვე ცეცხლს შემოსხდომოდნენ და თბებოდნენ. ზოგი ჩიბუხის წევით ბოლთას სცემდა რაღაც ფიქრებით გატაცებული. ვისაც არ უნახავს, ვერც კი წარმოიდგენს, რა საშინელებაა გარნიზონად ყოფნა სადმე ციხეში, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ დიდი ხანი აღარ ვყოფილვართ ლინდაუში. ჩვენდა საბედნიეროდ, რადგან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ადამიანის ნასახიც აღარ შერჩება ხოლმე კაცს გარნიზონულ ცხოვრებისაგან.

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც იმპფლინგენის მხრივ უცბად ზარბაზნის ხმა გაისმა. ჯერ ერთი გავარდა, მერე მეორე და მიჰყვა ისე — დიდი ხანი აღარ შეწყვეტილა. ყველანი გარეთ გამოვარდნენ. სულგანაბულნი ვიყურებოდით საზღვრისაკენ, გვეგონა საცაა მტერი გაჩნდებაო, — მაგრამ ერთმა მოხუცებულმა, ჯარში დაბერებულმა და სამხედრო საქმეში გამოცდილმა ჯარისკაცმა ივანე სომმა აგვიხსნა, მტერი ნუ გგონიათ, ემაგრე ჩვენი ჯარები ისვრიან ზარბაზანს: ალბათ მარშალი ან მეფის გვარისა მისულა ვინმე ჯარში და პატივისცემის ნიშნად ზარბაზნით დახვედრიანო. არცა სცდებოდა ჩვენი მოხუცებული ამხანაგი; ოღონდ ზარბაზნის სროლით, რო-

გორც ცოტა ხანს უკან გავიგეთ, ჩვენი ჯარი საერო კრებისაგან ჯარების დასათვალიერებლად გამოგზავნილ კამისრებს დაუხვდა, რომელთაც თან ახლდათ გენერალი კუსტენი.

შუადღისას ჩვენს ალაგას დარაჯად სხვა დააყენეს. ჩვენც სიხარულით გავეშურეთ ქალაქისაკენ, რომ კამისრები გვენახა. ჩვენ რომ მივედით, ისინი სამამასახლისოში იყვნენ და ჩვენი ჯარის ყველა უფროსები მხედრულად მორთულ-მოკაზმულები იქ მისულიყვნენ მათ სანახავად.

ცუდი ამბები მოეტანა იმ დღეს დეპეშას: ლაფაიეტს უნდოდა პარიზზე წასულიყო, რომ იაკობელები ამოეჟლიტა და მეფე ისევ თავის ტახტზედ აებრძანებინა; „მთიულთა“ წინადადებით გატაცებულს საერო კრებას დაედგინა — ლაფაიეტი სამშობლოს მოღალატეაო და ისიც ბელგიაში გაქცეულიყო. ჩრდილოეთის ჯარს იმის ალაგას დიუმურიე წინამძღოლობდა. მეორე ჯარის წინამძღოლობა კელლერმანს უნდა მიეღო და შალონის ჯარისა — ლიუკნერს. მტერი უკვე დაძრულიყო და საზღვარს გადმოსულიყო. სირკში ბევრი პატრიოტები დაეხვრიტა და ახლა ლონგვის მისდგომოდა; ვანდელები აჯანყებულიყვნენ... ერთი სიტყვით, სულ ყველას ჩვენზედ მოეცალა: გარედან მტერს და შინ ღალატს და სამოქალაქო ბრძოლას.

ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში ჩაგვაგდებდა ეს ამბები. როგორც ხედავთ, ტყუილად არ გვემუქრებოდნენ თავადი არტუა, გენერალი ბულიე და ეპისკოპოსები. ჩვენს დასაღუპავად აღარას ზოგავდნენ და ჩვენც ერთიღა დაგვრჩენოდა: გამარჯვება ან სიკვდილი!

გული მაინც არ გაგვიტეხია. მეტადრე კამისრებმა გაგვამხნევეს თავიანთი მიუდგომლობით. ყველა აფიცრები დააფიცეს და რადგან ორმა რაზმის უფროსმა — თავადმა ბროლიმ და ბატონმა ვილანტრუამ ფიცი არ ინებეს, მაშინვე წაართვეს თანამდებობა და მათ მაგივრად ჰუშარი და კუსტარი ჩააყენეს; ამათ კი ყველა იცნობდა როგორც გულწრფელ პატრიოტებს და თავგანწირულ მამულიშვილებს. ეს ყველაფერი მთელი რაზმის თვალწინ მოხდა და ესეცა კმაროდა, რომ ყველას გვეგრძნო ძლიერება იმ ერისა, რომლის სახელით სამი კამისარი — სამივე უბრალო ხალხის შვილი, ასე სასტიკად სჯიდა თავის ორგულთ. უნდა გენახათ აფიცრების სახის გამომეტყველება, რომ დამშვიდებით გეთქვათ: ახლა კი დარწმუნდნენ, რომ ძლიერება მარტო ხალხის ხელთ არის და ყველანი აღტაცებით შეჰფიცავენ ერთგულებასაო! აფიცრების შემდეგ ათისთავები და ჯარისკაცები დაგვაფიცეს და ჩემი თქმა რა საჭიროა, თქვენ უკეთ იცით რა სიხარულით დავიფიცავდით ყველანი.

ორ საათზედ მოედანზედ გაგვიყვანეს, რადგან კამისრებს ჯარების დათვალიერება უნდოდათ. იმისთანა სიხარულით ვიძახდით: თავისუფალ ერს გაუმარჯოს! კამისრებს გაუმარჯოთ! პარიზელ ხალხს გაუმარჯოს! რომ ჩვენს პატრონს სამშობლოს შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა.

ეხლაც თვალწინ მიდგას დიდი თვალგადაუწვდენელი მოედანი და ზედ ყველგან ჯარები და ჯარები. ზედ შუაზედ კარნო და პრიორი ინჟენერების ოფიცრის ტანისამოსით და რიტტერი უშველებელი ხმლით და სამფერი სარტყელით — ხალხის შვილნი, ხალხისაგან არჩეულნი, რომელთაც რაზმის უფროსნი და გენერლები ასეთი პატივისცემით ეექცეოდნენ.

ისინი კი ყურადღებასაც არ აქცევდნენ ამ მოწიწებითი პატივისცემას. იმათ მარტო ის უნდოდათ გაეგოთ, უბრალო ჯარისკაცს ხომ არა შიან, ხომ არა უპირს რაო? გულმოდგინედ უსმენდნენ ყოველ ჯარისკაცს და ყველა საჩივარს წიგნში ინიშნავდნენ.

ყველაზედ ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზედ კარნომ მოახდინა, როდესაც ბატალიონის წინ შედგა და მაღალი ხმით დაგვიძახა:

— დაიფიცეთ, რომ ერთგულად ემსახურებით თავისუფლებას და თანასწორობას! დაიფიცეთ, რომ ერთიანად გაწყდებით და მტერს კი არ გაახარებთ!

— ვფიცავთ! — შევძახეთ ყველამ და ცრემლი წაგვსკდა. მომაკვდავივით ფერი წაგსვლოდა, ისე გვიცემდა გული.

ვიცოდით რასაც ვფიცავდით! ვიცოდით, რომ ჩვენი და ჩვენ მახლობელთა სიცოცხლე და ბედნიერება ჩვენს გამარჯვებაზედ იყო დამოკიდებული. ვიცოდით, რომ სამშობლოს თავისუფლება და დიდება ჩვენზედ იყო დამოკიდებული.

მაგრამ აქ უნდა ერთი რამ გიამბოთ, რაც მარტო მე შემეხება და რაც ცხადად დაგანახვებთ, რა განწყობილება იყო მაშინ ხალხისა და მის წარმომადგენელთა შორის.

რვა საათზედ გათავდა ჯარის სინჯვა და ბინისკენ გავემართენით; თან ვყვიროდით: თავისუფლებას გაუმარჯოს! შორს ჩვენგან, მოღალატე დიდებულნო! მთელი ქალაქი გარეთ იყო და ყველგან ამგვარი ყვირილი და სიმღერა ისმოდა. მივედით თუ არა ბინაზედ, ვახშამი გიახელით და იმ აფიცრებზედ გავაბით ლაპარაკი, რომელთაც ერისადმი ერთგულების ფიცი არ ინდომეს და ასე სამართლიანად დასჯილ იქმნენ კამისრებისაგან. იმ ლაპარაკში რომ ვიყავით, შემოვიდა ათისთავი და თქვა, საერო კრების კამისარს მიშელ ბასტიენის ნახვა უნდაო. მე, რასაკვირველია, ხუმრობად მივიღე; ამხანაგებს საცალად არ ეყოთ ეს ამბავი. მაგრამ ათისთავი მაინც თავისას იძახ-

და და მარწმუნებდა, კამისრისაგან შენს წასაყვანად გამოგზავნილი ჰუსარი კარებში დგას და გელისო. რა გაეწყობოდა, ხმალი შემოვიკარ, ქუდი დავიხურე და გავწიე.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სცდებოდნენ და კამისარი სხვა ვისმე ბასტიენს იბარებდა. სად არ არიან ბასტიენები გაფანტულნი? მაგრამ გარეთ მართლა ჰუსარი დამხვდა ცხენით და ბრძანება მაჩვენა, რომელშიაც ჩემი თვალით წავიკითხე: მიშელ ბასტიენი, თავისნებით გასული, მთიელთა პირველი ბატალიონის ჯარისკაციო. წავედით. ის ცხენით — ცალი თვალი ჩემკენა ჰქონდა; ალბად ეშინოდა — დაამავებდა რასმე და ვაი თუ გამეპაროსო. მე კიდევ ფეხით მივდევდი ჩქარი ნაბიჯით.

ჯერ გონებაზედ ვერ მოვსულიყავ. აგერ, ეზოში შევედით, რომელიც სავსე იყო ჰუსარებით; აგერ, სახლში შემიყვანეს, მშვენივრად გაჩაღებულ სახლში და მე კი ისევ გაშტერებული ვიყავი.

მორიგმა ოფიცერმა წაიკითხა ბრძანება და მიბრძანა, პირველ სართულში ადიო. ერთ უშველებელ ტალანში შევედი, სადაც ბუზივით ირეოდნენ მოსამსახურენი პურით, ღვინით და ხორცით: გენერალ კუსტენს დაპატიჟებული ჰყავდა კამისრები და მათთან ერთად ყველა აფიცრებიც. ჩვენს ჯარში კუსტენისთანად არავის უყვარდა დროს ტარება: დიდი გვარიშვილი იყო და ძალიან იცოდა მოლხენა.

ერთმა მოსამსახურემ იუცხოვა ჩემი იქ ყოფნა და, — აქ რას აკეთებო? — მომვარდა. რომ ვუთხარი, კამისარმა დამიბარა-მეთქი, მხარმარცხნივ ერთი მშვენიერი ოთახის კარი გამიღო და მიმიპატიჟა:

— მიბრძანდით!

ერთ კარგად მოზრდილ ოთახში შევედი. შუა ოთახში მრგვალი მაგიდა იდგა, ზედ ანთებული ლამპარი. მარჯვნივ კარი ღია იყო და მეორე ოთახიდან მხიარული ხმაურობა გამოდიოდა და დანა-ჩანგლის წკარუნი. არ გასულა ერთი წუთი, მეორე ოთახიდან გამოვიდა კამისარი კარნო თავისი სამფერი სარტყელით და ტკბილად მკითხა:

— თქვენა ბრძანდებით მიშელ ბასტიენი, შოველის სასაძო?

— დიაღ, ბატონო, — ვუპასუხე შემკრთალი ხმით.

— ნუ გაიკვირვებთ, — მითხრა კარნომ, — შოველი და მე მეგობრები ვართ. რამდენჯერ ვყოფილვარ იმასთან სადილად ბულუას ქუჩაზე. თქვენს დანიშნულსაც კარგად ვიცნობ და კარგი ქალიც არის. აი, ეს გამომატანა თქვენთან.

ჯიბიდან წერილი ამოიღო და მომცა. ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ მადლობაც კი ვეღარ გადავუხადე. ისიც გაჩუმებული მიყურებდა და მერე მკითხა:

— უბრალო ჯარისკაცი ყოფილხართ. შოველმა კი დამარწმუ-

ნა, არც განათლება აკლია და არც ცოდნაო. რატომ ათისთავად არ დაგნიშნეს?

ცეცხლივით ავენთე და მოვახსენე:

— რომ მომენდომებინა, ჩვენებურები ათისთავად მე ამირჩევდნენ. მაგრამ ჩემზედ უფროსნი — ძველი ჯარისკაცნიც — ბევრნი გახლდნენ. ისინი უფრო გამოცდილები გახლავან და ბრძოლაში უფრო კარგად გაგვიძღვებიან, ვიდრე ჩემისთანა გამოუცდელი.

— მაშ უარი განაცხადეთ?

— დიაღ. მე ჯარში ყოფნას არ ვაპირებ და თუ ჯარში გახლავართ, მარტო იმიტომ რომ გაჭირვებულ ქვეყანას დავხმარებოდი. გათავდება თუ არა ომი, მეც შინ გიახლებით და ისევ ჩემს ხელობას დავიწყობ... მჭედელი გახლავართ.

დამაცქერდა და ღიმილით მითხრა:

— ყოჩაღ ბიჭო! შოველი ძალიან გაქებთ და არცა სცდება. როგორცა ვხედავ. აქედან ჩვენ ისევ ფალსბურგზედ უნდა გავიაროთ. მოვიკითხავ თქვენ მაგიერ და ჩვენ საუბარსაც ვუამბობ. მაგრამ, მგონი როგორ გეჩქარებათ თქვენი დანიშნულის წერილის წაკითხვა და მე კი ლაპარაკი გაგიბით! ნახვამდის!

ხელი ჩამომართვა და გავიდა. ჩემს სიხარულს, ჩემს აღტაცებას საზღვარი აღარა ჰქონდა. მივდიოდი და ვფიქრობდი:

— ნეტავი კი შემთხვევა მომცეს ბედმა, რომ კარნოს სამსახური გავუწიო! თუნდა ტყვედ ჩავარდეს, მაგალითად, და მე კიდევ იმის დასახსნელად შევვარდე მტრის ბანაკში! მაინც გამოვიტაცებდი, თუნდა სულ ნაკუწ-ნაკუწად ვექციე!

ბევრი კიდევ სხვა ამისთანა სისულელე მიტრიალებდა თავში. ხომ მოგეხსენებათ, სიყმაწვილის ქარები! ამ ოცნებით გართული ავედი ჩვენს ოთახში. ჩემს ამხანაგებს ყველას ეძინათ. თუმცა სანათის ანთება აკრძალული იყო, მაინც ავანთე სანთელი და ჩემი მარგალიტას წერილის კითხვა დავიწყე. ათისთავს ეძინა და მაშასადამე ვერავინ დამინახავდა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. ყმაწვილი ვიყავ, ძალღონით და სიყვარულით აღსავსე ვიყავ და ბავშვივით ავტირდი, როდესაც მარგალიტას წერილი წავიკითხე და გავიგე, როგორ აწუხებდა ჩვენი დაშორება. ეს 1792 წ. იყო, აგვისტოს დამლევს. და დღეს კი... დღესაც ხომ მიყვარს ჩემი მარგალიტა, მაგრამ ის სიყვარული აღარ არის; თითქო სიზმარი იყოო, ისე გაჰქრა ის დალოცვილი, ალბად სიყმაწვილეს გაჰყვა თან. დიაღ, ხომ დიდი ხანია მას შემდეგ და თუ გნებავთ ზეპირად მოგახსენებთ იმ წერილს. ღმერთო, რამდენჯერ გადამიკითხავს ჩემს ჯარიანობაში! ბოლოს და

ბოლოს ისე დაიგლიჯა, რომ ნაკუწ-ნაკუწად იქცა და მე კი მაინც გავშლიდი ხოლმე, საცა კი მოვახელებდი, წყობისად დავალაგებდი და კითხვას დავიწყებდი. ზეპირად ვიცოდი, მაგრამ ისე როგორ წავიკითხავდი, რომ ახალი, ჯერ შეუმჩნეველი, სიტკბოება არა მეპოვა რა.

მაგრამ სიყვარულის ალერსიანი სიტყვები იმისთანა რამ არის, რომ ყველა გულის გულში იმალავს, სხვამ არავინ გამიგონოსო... მანაჩემის ამბავსა მწერდა, ყოველ კვირა ჩვენსა არის სადილადაო და პატარა სტეფანესას იწერებოდა — წიგნის მაღაზიაში გვინდა მივცეთ შეგირდადო. სასოფლო და სამაზრო კრებები უკვე იყო და ჩვენს მაზრაში ყველაზედ მეტი ხმა შოველს მისცეს, ასე რომ კონვენტის წევრად უთუოდ შოველი იქნება და რადგან მე პარიზს აღარ გავყვები და ჩვენს საქმეს — წიგნის მაღაზიას და ბიბლიოთეკას — მარტოკა ვერ გავუძღვები, პატარა სტეფანე ძალიან გამომადგება, რადგან ძალიან კარგი ბიჭია, გონებაგახსნილი, სწავლის მოსურნე და ამით ძალიან შემაყვარა თავიო.

შემდეგ იწერებოდა, რა კარგად მიიღეს ფალსბურგელებმა კამისრები. ჯარები რომ დაათვალიერეს, მერე ჩვენს კლუბში ბრძანდებოდნენ, რომ თავისუფლების და თანასწორობის მომხრენი გაეცნოთ. მთელი ქალაქი აღტაცებული იყო 10 მარიამობისთვის საქმით; ფალსბურგის სამამასახლისოდან 300 მანეთი ერთხელ გაუგზავნეს საერო კრებას ომის ხარჯად და 400 კიდევ მერე. კამისრებმა სახალხოდ მადლობა გამოუცხადეს შოველს კეთილი მიმართულებისთვის, რომელზედაც მან დაამყარა არა მარტო ჩვენი კლუბი, ალამედ მთელი ჩვენი მაზრაც.

აი, რაებს იწერებოდა ჩემი მარგალიტა. წერილის ბოლოში შოველს მოეწერა მოკითხვა და დარიგება: შენ შენი საქმე და ვალდებულება კეთილსინდისიერად აასრულე და დანარჩენისა... ღმერთი მოწყალეა, ეს ომი ბევრი-ბევრი ექვს თვეზედ გათავდება, რადგან მტერი ვერ გაგვიძლებს და შერცხვენილი გაემართება, საიდანაც მობრძანებულაო. ამასა მწერდა შოველი და ის კი ავიწყდებოდა, რომ კლუბში სულ სხვას გვიმტკიცებდა: ხანგრძლივი იქნება ეს ომი და რამდენიმე წელიწადი გასტანსო. არა, ავიწყდებოდა კი არა, ალბად იმიტომ მწერდა ამას, რომ გავემხნევებინე. მაგრამ პე გამხნევება არ მინდოდა: ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ომი მაშინ გათავდებოდა, როდესაც ან ერთი მხარის ჯარი ამოწყდებოდა, ან მეორისა.

მეორე დღეს დილით კამისრები ბელფორისკენ გაემგზავრნენ, ელზასში.

ყველგან მტრის პატარ-პატარა რაზმები დადიოდნენ გზებისა და ჩვენი ჯარების დასაზვერად. დადიოდნენ და ისე იქცეოდნენ, თითქო ჯარი კი არა, ყაჩაღები არიანო: ვისაც მოერეოდნენ სძარცვავდნენ და ჰკლავდნენ, სოფლებს იკლებდნენ. ხანდახან ისე მოგვიახლოვდებოდნენ, რომ ადვილად ვარჩევდით იმათ წითელ წამოსასხამს და ტყავის ქუდს; მოგვიახლოვდებოდნენ, დამბაჩას დაგვახლიდნენ და საშინელი ყიჟინით უკანვე მიაქროლებდნენ ცხენებს.

ეს გახლდათ ავსტრიელი თითქმის ველური ჯარი, რომელთაც „მხეცები“ ვუწოდეთ; ჰუჰყიანები, ტურტლიანები, სახსლით გაუმაძღარნი! ოღონდ კი ხალხი ეხოცნათ, და იმათთვის სულ ერთი იყო, ქალი და კაცი, მოხუცი და უსუსური ბავშვი.

ლინდაუს გარშემო იდგნენ „მხეცები“ და თვალყურს გვადევნებდნენ. ხანდახან ზარბაზნის ხმა მოისმოდა, მაგრამ მტრის ჯარი კი არსადა ჩანდა.

მტრის უმთავრესი ჯარების გზა ძალიან შორს იყო ჩვენგან. ამბავი მოგვდიოდა, ლორენისკენ შეუწყვეტლივა დის მტრის ჯარი თავის ზარბაზნებით და სურსათითაო.

ჩვენ კი ვისხედით ჩვენს სიმაგრეებში და სევდით გვევსებოდა გული. რისი მაქნისნი ვიყავით, თუ კი სადღაც მიყრუებულ ციხეში დაგვაბანდებდნენ და ბრძოლას არ გვაღირსებდნენ!

დარი მაინც ყოფილიყო, ცოტათი მოილხენდა გული. მოღრუბლული, მოქურუშებული იყო ცა და თავბედს გვაწყევლინებდა. წვიმდა და ჩვენს თავს ნუგეშსა ვცემდით, ჰაი თუ დასველდებიან პრუსიელებიო! ორჯერ თუ სამჯერ მოსალაპარაკებლად კაცი მოგვიგზავნეს — ერთი აფიცერი და ერთიც ჯარისკაცი, რომელიც შორადანვე საყვირით გვატყობინებდა, სამტროდ არ მოვდივარო. ჩვენებიც ეგებებოდნენ, აფიცერს თვალებს აუხვევდნენ და ციხის უფროსთან მიიყვანდნენ. ნეტავი, რა ჰქონდათ სათხოვარი, ან მოსალაპარაკებელი? ამისი ციხის უფროსის და საბჭოს გარდა არავინ რა იცოდა.

ერთ დილას, ენკენისთვე იყო, ხმა გავარდა, ალბერტსვეილერის ციხესთან მიუჭენებია ცხენი ერთ „მხეცს“ და დაუყვირია:

— ლონგვი ავიღეთ!.. ვერდენი დაგვნებდა!.. მთელი გარნიზონი ამაზედ ლაპარაკობდა.

კუსტენმა ცოტა რამ ჰუსარები გაიყოლა და ციხიდან გავიდა, რომ ვისემბურგის სიმაგრეები დაეთვალიერებინა. ჰუსარები ისევ მალე დაბრუნდნენ და ამბავი მოიტანეს, რვა რაზმი გაისტუმრეს საჩქაროდ ქ. მეცისკენო. საშინლად შეეწუხდით ყველანი: ალბად ძალიან დავმარცხებულვართ, რომ გარნიზონიდან ჯარები გაჰყავთ

და იმოდენა ქალაქს ღვთის ანაბარად სტოვებენო. მიუხედავად ამ გარემოებისა პატრიოტი მოქალაქენი ძალიან გულმაგრად იყვნენ, ალზასს შიში არაფრისა აქვს! ალზასი ისე არ წახდება, რომ ლოტერბურგის ხეობა ვერ გაამაგროსო... გერმანელებმა ან ფიშბახის და დაჰნის მინდორი უნდა გაიარონ, ან არა და ბინვალდის ტყეში შევიდნენ... ნეტავ არ იქნება გაბედონ და ტყეში შეერიონ! ისე აძოსწყვეტენ ჩვენი ჯარები, რომ ამბის წამღებიც არ გადარჩეთ! ალშტატის გზაზე წამოვლენ და იქ იმისთანა ციხე დახვდებათ, რომ 50 ათასიც რომ იყვნენ, ვერას დააკლებენო!

აი, რას ლაპარაკობდნენ ლინდაუს ლუდხანებში. ისე იყვნენ მოქალაქენი და ჯარისკაცნი, როგორც ძმანი. მაგრამ რა! თუმცა გულს ვიმაგრებდით, ჩვენი საფიქრებელი სულ ის იყო, ვაი თუ მტერმა პარიზისკენ გზა გაიგნოს და, ჩვენ ტყუილუბრალოდ ველოდნეთ ლინდაუში ღვთისა და ქვეყნის უსარგებლოდაო! ღმერთო, რა საშინელი სურათი წარმომიდგებოდა ხოლმე მე, როცა ეს ფიქრი გამიტაცებდა!

ჩვენ ოთახში მარტო ჩვენი მოხუცებული ამხანაგი იყო გულდამშვიდებული და ჩვენც სულ იმას ჩაგვჩიჩინებდა, ტყუილად სწუხართ, მტერი ვერას დაგვაკლებსო. ერთხელ ძალიან ჩაფიქრებული რომ ნახა ამხანაგები და ველარა გააწყო რა, შეუტია:

— შემოვიდნენ, ვეჟო, თქვენ რა გაწუხებთ? ნეტავი ღმერთი გაუწყრეთ და სულ ერთიანად გადმოვიდნენ ჩვენს საზღვრებს. ნეტავი! უკანიდან დავეცნეთ და, ცალი ულვაში მამპარსეთ, თუ ერთად ერთიც არის გადაგვირჩეს ცოცხალი!

დიაღ, ვიყავით ისე და სულ იმასა ვნატრობდით, ნეტავი ბრძოლა გვაჩვენაო. ერთ დილას ხმა გავარდა, მტრის ჯარის სვლა შეწყდაო!.. საფრანგეთში უკვე 180 ათასი პრუსიელი და ავსტრიელი იყო. ჩვენს გარშემოც აღარავინა ჩანდა, თვით „მხეცებიც“ კი უმთავრესს ჯარს დასდევნებოდნენ. იმ დღეს დიდძალი გლეხკაცობა მოუახლოვდა სიმაგრეებს, კაცი თუ ქალი; ზოგს რა წამოეღო გასასყიდად და ზოგს რა. კარი გაუღეს და ქალაქში შემოიყვანეს. იმათ გვიამბეს, თავადი ჰოენლოე კირშბერგში მამასახლისთან იდგა; თავისი ჯარები ახლა ტიონვილს შემოარტყა და ზარბაზანი დაუშინა; ტიონვილელი გარნიზონი ხშირად გამოდის და ებრძვის ავსტრიელებს. აქ რომ იყვნენ, ავსტრიელებმა ძალად გაგვატანინეს ურმები და იმოდენა ჯარის ბარგი და სურსათი ტიონვალამდე გვაზიდვინეს. ეს ამბები იქ გავიგეთ და იმის იქით რა ხდება, რა მოგახსენოთო.

მაშ ლოდინი, ჯერ ისევ ლოდინი!

ვიყავით ისე გულხელდაკრეფილნი და ჩვენს რიგს ველოდით,

იქნება ღმერთმა მოგვხედოს და ჩვენც გაგვიყვანონ საბრძოლველადო. 25 ენკენისთვეს სტრასბურგიდან და ნანსიდან ფოსტა მოვიდა და მთელი ქალაქი გაზეთებით და წერილებით გაივსო. მაშინ დაწერილებით გავიგეთ, რაც კი იმ სამი კვირის განმავლობაში მომხდარიყო: ლონგვი ისე დაენებებინათ მტრისთვის მცხოვრებთ, რომ თოფიც არ დაეცალათ, თუმცა იქ მყოფ ჯარებს ძალიან თურმე უნდოდათ ბრძოლა; ვერდენიც მცხოვრებთა სურვილისამებრ დანებებოდა მტერს, რადგან ვერდენელი ქალ-რძალი თაიგულებით გაგებებოდა პრუსიის მეფეს; ვერდენელ ჯარის უფროსს ბორეპერს თავი მოეკლა, რომ სამარცხვინო ოქმზედ ხელი არ მოეწერა; გაზეთებიდანვე გავიგეთ დიუმურიესაგან არგონის ხეობის გამაგრება და დაცვა; კელლერმანისაგან შალონისკენ წასვლა მტრის დასახვედრად; პარიზელი ხალხის აშლა, როდესაც გაეგოთ მოღალატეთაგან უბრძოლველად დანებება ქალაქებისა და ბრაუნ შვეიგის მუქარა: პატრიოტები უნდა ამოვწყვიტოვო. გაზეთებიდანვე გავიგეთ ციხეებში დიდებულების და კონსტიტუციის მოწინააღმდეგე მღვდლებისა და ბერების ამოხოცვა; ვალმის ბრძოლა; პრუსიელების დამარცხება და კონვენტის პირველი კრება, რომელმაც საფრანგეთი ერთხმად რესპუბლიკად აღიარა 23 ენკენისთვეს*).

დიდი ამბები ხდებოდა საფრანგეთში და ჩვენ კი ვისხედით სად-

---

*) 21 ენკენისთვეს 1792 წ. დაიწყო კონვენტმა მოქმედება და მესამე დღეს 23 ენკენისთვეს საფრანგეთი „ერთ და განუყოფელ რესპუბლიკად" გამოაცხადა. კონვენტის წევრნი პირველშივე სამ ნაწილად გაიყვნენ. მარჯვნივ გავიდნენ ჟირონდელები — ვერნიო, ფილოსოფოსი კონდორსე, გადე და სხვ. მარცხნივ მთიულნი: დანტონი, რობესპიერი, მარატი, კამილ დემულენი, ბაზირი, ლეჟანდრი, მერლენ ტიონვილელი, კარნო და სხვ. ამ ორ პარტიის შუა იმყოფებოდა „ვაკე", რომელიც თავისთავად არას წარმოადგენდა და ორში იმას მიემხრობოდა, რომელიც მეტ ძალას გამოიჩენდა. როგორც ჟირონდელებს, ისე მთიულთ გაგიჟებით უყვარდათ სამშობლო და ერთადერთი მათი წადილი, რომლისთვისაც სიცოცხლესაც კი არა ზოგავდნენ, სამშობლოს კეთილდღეობა იყო. მაგრამ სიძულვილით დაბრმავებულთ, ერთმანეთისა აღარა სწამდათ რა და ყოველგვარს ცილსა სწამებდნენ. მთიულნი ჟირონდელებს ფედერალისტობას აბრალებდნენ: თქვენ გინდათ საფრანგეთი ოთხმოცდასამ პატარ-პატარა რესპუბლიკად გაჰყოთო. ჟირონდელები რობესპიერს, დანტონს და მარატს დიქტატორობის სურვილსა სწამებდნენ: თქვენ გინდათ მთელი საფრანგეთის ცხოვრებას თქვენ განაგებდეთ ეგ სამი კაციო. „მოვკვდები და საძრახისს კი არას ვიზამო", — იძახდა ჟირონდელი ვერნიო; — „ყველას ვიზამ და სამშობლოს ვიხსნი... დიდი რამ მენაღვლება, თუ ქვეყნისაგან გმობილი იქნება ჩემი სახელიო!" — იძახდა დანტონი.

10 მარიამობისთვეს არჩეული პარიზელი ხალხის კომისრები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ყოველი ღონისძიება ეხმარათ „საზოგადო საქმის", ესე იგი რესპუბლიკის დასაცველად. ჯერ კიდევ არსებობდა (კომუნა) და ხშირად მეტ

ღაც ლინდაუში და მტერი კი არსად ჩანდა, რომ იმას მაინც შეებრძოლებოდით და ჯავრი ამოგვეყარა. ბრაზი გვერეოდა, უსაქმურობა გვკლავდა და ხმამაღლა ვჩიოდით:

— ნეტავი რისთვის ვყევართ აქ? იქნება უნდათ ხავსი მოგვკიდონ! ხომ დამარცხებულან პრუსიელები და რაღას უყურებენ? რატომ გზის შესაკრავად არ გაგვიყვანენ?

ზოგნი კიდევ იმ აზრისანი იყვნენ, რომ მანამ დრო გვაქვს და რეინის პირას მტრის მაღაზიები — სურსათით და იარაღით სავსე მა-

---

გავლენა ჰქონდა, ვიდრე თვით კონვენტს. პარიზელი ხალხის აირჩეულნი კომუნის წევრნი ხშირად ერეოდნენ კონვენტის საქმეების სჯაში და თავისებურ მიმართულებას აძლევდნენ მის დადგენილებას. ჟირონდელები ჯერ კონვენტის გახსნამდე წინააღმდეგნი იყვნენ პარიზელი ხალხისა, რომელმაც თავის წარმომადგენლად სულ მთიულნი აირჩია — რობესპიერი, დანტონი, კამილ დემულენი, მარატი, რობესპიერი უმცროსი, სერჟანი და სხვანი და არც ერთი ჟირონდელი. გარდა ამისა 10 აგვისტოს ხალხის აშლა, სასახლის აღება და მეფის დაპატიმრება ჟირონდელების შეხედულებით მომაკვდინებელი ცოდვა იყო, რომლის სასჯელი ერთნაირად უნდა ეზიდნათ როგორც ხალხის მოთავეთ — დანტონს, მარატს და სხვათ, ისე თვით პარიზელ ხალხსაც, რომელსაც იმდენად უნდობლად უყურებდნენ ჟირონდელები, რომ საეროდ გამოაცხადეს: რადგან შეიძლება ერთ მშვენიერ დილას პარიზელმა ხალხმა სულ ერთიანად დაგვხოცოს ჟირონდელები და მართებლობა თვითონ დაინარჩუნოს, საჭიროა ეხლავე მოვიწვიოთ კონვენტის წევრთა კანდიდატები და ჩვენს სამაგიეროდ მზად ვიყოლიოთო. საფრანგეთის ყველა უბედურებას იგინი დანტონს, რობესპიერს და მარატს აბრალებდნენ და მათთან ერთად პარიზელ ხალხს.

დანტონი ბევრს ეცადა, ჟირონდელები და თავისი პარტია მოერიგებინა როგორმე, მაგრამ ცდამ ტყუილად ჩაუარა და კონვენტის გახსნა და ჟირონდელებისაგან მისი ლანძღვა ერთი იყო. დანტონმა ამის პასუხად სამშობლოს გაჭირვება და თანხმობა მოაგონა. რობესპიერმაც თავის მხრივ, როდესაც უსაყვედურეს 10 აგვისტოს სისხლის ღვრა შენი ბრალიაო, დაამტკიცა, რომ ეს უბედურება სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხის ბრალი იყო და არა კერძო პირისა. მაგრამ პარიზელი ხალხის წინამძღოლი და მის სულის ჩამდგმელი მარატი კონვენტშიც დაურიდებლივ ამბობდა თავისას: საფრანგეთს თუ იხსნის, დიქტატორი იხსნის, რომლის დანიშნულება მარტო ის იქნება, რომ თავები გააყრევინოს, ვისაც კი ეჯვის თვალით დაინახავსო! ჟირონდელები მთელ თავიანთ ძალღონეს მარატთან ბრძოლას ანდომებდნენ და მით უფრო აძლიერებდნენ მის სახელს ხალხში: ალბად ძლიერი და უძლეველი ყოფილა, რომ ერთს კაცს ნახევარი კონვენტი ვერას აკლებსო! დანტონი მაინც იმედს არა ჰკარგავდა და ცდილობდა თანხმობა ჩამოეგდო კონვენტში. მაგრამ პირადი სიძულვილით დაბრმავებულთ საზოგადო საქმე დავიწყებულივითა ჰქონდათ და ერთიერთმანეთის განადგურებასღა უნდებოდხეხ. დანტონს ქურდობაც კი დააბრალეს; მინისტრად რომ იყო, სახელმწიფო ფული მოიპარაო. [1] თავის დაუცხრომელ მტერს, გადეს, ერთი ამგვარი ცილისწამების პასუხად დანტონმა შემდეგი უთხრა: „კაცი ის არის, ვინც პირადს სიძულვილს მსხვერპლად შესწირავს სამშობლოს: შენ, გადე, ეგ არ შეგძლებია და სწორედ ეგ დაგღუპავს შენ!“

ღაზიები — უპატრონოდ არიან, ჩავიდეთ და ავიკლოთ, სულ 10—12 საათის სავალია აქედან! გავიმარჯვებთ კიდეც და არც ხელცარიელი დავბრუნდებითო!

ერთი სიტყვით, რაზმები სულ ამ უსაქმურობას ჩიოდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ წინამძღოლებს ღალატსა სწამებდნენ: ალბად გვღალატობენ, თორემ ამისთანა კარგი შემთხვევით არ უნდა ესარგებლათო? ცოტა კიდევ და აჯანყება მოხდებოდა ჯარისა, მაგრამ მოგვხედა ღმერთმა და 29 ენკენისთვეს საღამოს გენერალი კუსტენი დაბრუნდა თავისი ამალით. კოკისპირულადა წვიმდა, მაგრამ წვიმას ყური არ უგდო და ბრძანება გასცა, წასასვლელად ძზად იყავითო. ერთს წამზედ შევმზადდით ყველანი და გავედით ლინდაუდან; ზოგნი მერმე რჰეიმისკენ წაიყვანეს და ზოგნი ვეინგარტენისკენ. არც ახლა ხარ კმაყოფილი? ჩავძახოდი ჩემს თავს, და მივტოპავდი თავით ფეხამდე დასველებული. ვგრძნობდი, რომ ვისაც უნდა მტერს მოულოდნელად თავს დაეცეს, ამაზედ უკეთესს დროს ვერ შეარჩევდა. ჯაშუშები, თუ კი ლინდაუში ჯაშუშები იყვნენ, ვერც კი მოასწრებდნენ ჩასულიყვნენ და შეეტყობინებინათ ძტრისთვის, რომ მაღაზიები დაეცალათ ან გაემაგრებინათ; ვერ მოასწრებდნენ, რადგან ჩვენზედ ჩქარა ვერც ისინი ივლიდნენ.

დიაღ! ძალიან კარგად იყო ყველაფერი მოფიქრებული, საშინელი წვიმა რომ არა ყოფილიყო. დაგვირიგეს ტყვია-წამალი და გავწიეთ! მივდიოდით და ერთ ნახტომზედ ვერასა ვხედავდით, ისე ბნელოდა. მივდიოდით კი არა, ტლაპოში მივტოპავდით! მივდიოდით გაჩუმებულნი და ღამის წყვდიადში ჩვენვე გვეხამუშებოდა ჩვენი ფეხის ხმა, ცხენების ფრუტუნი და ზარბაზნების გრიალი. მივდიოდით შეცივებულნი, წვიმით დასველებულნი და ბევრად აღარ გვასიამოვნებდა პრუსიელების მაღაზიების აღება.

იმისთანა წვიმა და ქარიშხალი იყო, რომ ჩიბუხსაც კი ვერავინ მოუკიდა. წამოგვეწეოდა რომელიმე ცხენოსანი რაზმი და შემოგვძახებდა:

— აბა. ბიჭებო! აჩქარდით! გათენებამდე იქ უნდა ვიყვნეთ!

შუაღამეა! დაიძახებდა ვინმე ამხანაგი.

პირველი საათია!.. ორი საათია!.. ლაპარაკიც კი გვეზარებოდა. ჩვენს მაგივრად მინდორში წვიმა ლაპარაკობდა გაბრაზებული.

სოფელში რომ შევდიოდით სადმე, ჯერ დაგვყეფდა მყეფარი,

---

*) ეირონდელებისაგან წარმოთქმული დანტონის ქურდობა შემდეგში ლეი ბლანმაც განიმეორა, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში მაგრამ ალფრედ ბუჟარმა და რობინემ დაამტკიცეს, რომ ეს უბრალო პარტიული ცილისწამება იყო.

მაგრამ იმოდენ ხალხს რომ დაინახავდა, მიიმალებოდა და ისე გავიელიდით, თითქო ამომწყდარა აქაურობაო. ერთგან კი, მახსოვს, პურს აცხობდნენ; ფანჯრები ღია ჰქონდათ, და იმისთანა საამური სუნი გამოდიოდა, ცხელი პურის სუნი, რომ პირში ნერწყვი მოგვივიდა.

ხეტავი ერთი კუტი მაინც მოეწოდებინათ!

მომაგონდა ნათლიაჩემის სამკვედლო, დუქანი და სამზარეულო; მომაგონდა გაჩაღებული ბუხარი, ზედ ქოთნით შეკამადი და კაი გამოსული ლორი. ბევრი რამ მომაგონა ცხელმა პურმა! გაჭირვებულ სამშობლოსთვის რა პასუხი მეთქვა, თორემ ღმერთი, რჯული ახლა იქ უფრო მერჩივნა-მეთქი, ვფიქრობდი ჩემს გულში. ვიქნებოდი ჩემთვის ცეცხლაპირას წამოწოლილი და არც ფეხი მექნებოდა სველი და არც ტანი! შემდეგშიც ხშირად მომსვლია ეს აზრები ღა დარწმუნებული ვარ, ჩემი ამხანაგებიც სწორედ ამნაირი ფიქრებით იქნებოდნენ იმ დროს გატაცებულნი. ან როგორ იქნება უამისობა: ტალახი, წვიმა, სიცივე, ბნელი ღამე და უძილობა!.. მოდი და ნუ მოგაგონდება კარგი ვახშამი და თბილი ლოგინი!

კარგა ხანი ვიარეთ. ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ინათა. ისე მოველოდი ამ წამს, როგორც სულის ცხონებას და ძალიანაც გაგვამხნევა. გვერდით მოხუცებული - ივანე მყავდა და ისე მიაბიჯებდა, მიუხედავად ჭაღარა თმისა და ზორბად დატვირთული გუდისა, რომ ბევრ ყმაწვილკაცსაც შეშურდებოდა. ცაზედ რომ სინათლე შენიშნა, იმედი მომცა:

— ძალიან ახლო ვართ, მიშელ! კი არ გაგვიგონ, იმ საძაგლებმა, და არ დაცალონ მაღაზიები!

ინათა. შორს, შორს, მინდვრის ბოლოში რეინი გამოჩნდა. ჯერ მზე არ ამოსულიყო, მაგრამ ახლა კი გარკვევით ვამჩნევდი თავით ფეხამდე დასველებულს და ლაფში ამოზინზლულ ჩემს ამხანაგებს, ჩვენს აფიცრებს თავიანთ ცხენებით, ჩვენს უკან ზარბაზნებს თავიანთ სათოფისწამლე ყუთებით და დრაგონებს თეთრი წამოსასხამით. გაჩქარებული მივდიოდით რაც კი შეგვეძლო. მაგრამ ჯერ გასავლელიც კარგი გვქონდა. ექვსი ათას კაცამდე ვიქნებოდით და ისე ვჩანდით იმ ტრიალ მინდორზედ, თითქო ექვსასიც არ არიხო.

შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც ერთ დიდ სოფელთან შევჩერდით პურის საჭმელად. გზაზედ მარტო ზარბაზნები და ბარგი დარჩა; სხვა ჯარები სოფელს შემოეხვივნენ.

დავლაგდით თუ არა, მე და ივანე სომი მაშინვე სოფლისკენ წავედით, რომ საჭმელი გვეშოვნა რამე. პირველად მაშინ ვნახე, რა არის ჯარისაგან სოფლელების შეწუხება; შეწუხება კი არა, აკლება

საწყალი გლეხკაცისა! შეშა, პური, ხორცი, ღვინო და სხვ. და სხვ. ყველაფერი სოფლელებს წავართვით. პირველად იქა ვნახე, რა საცოდავია ჩვენი გლეხკაცი: ქვეყნად ყოვლად უმწეოს ზეცისკენღა აღუპყრია ხელები, როდესაც იმისი ხარი ან ძროხა დასაკლავად გამოჰყავთ ჯარისკაცებს. იქვე ეზოში წააქცევენ, ყელს გამოღადრიან, უცბად გაატყავებენ, ასო-ასო დასჭრიან და დაარიგებენ... გამოვიყვანდით საქონელს, წავაქცევდით... ქრისტეს ტირილი ატყდა სოფელში. გარს შემოხვეოდნენ კუსტენს იმოდენი გლეხკაცობა და თვალცრემლიანნი უსაყვედურებდნენ.

— რა ვქნა, ხალხო, ომია, ომი! — იძახდა კუსტენი. — თქვენმა მეფემ და დიდებულებმა მოიყვანეს თქვენზედ მტერი და სამდურავიც იმათ უნდა უთხრათ, ჩვენ კი არა!

ერთ კარგ მსხვილ კეტზედ ჩამოვკიდეთ ხორცი, მხარზედ გავიდეთ მე და ივანემ და ჩვენს ბატალიონისკენ გავეშურენით.

ყველგან ცეცხლი ენთო; მხიარული ჟრიამული იდგა მთელს ბანაკში. არ გასულა ერთი საათი, ყველაფერი მოხარშული და უკვე შეჭმული გახლდათ. შევნაყრდით, წამოვიშალენით და ისევ გზას გავუდექით. გლეხკაცები კი დაღვრემილები შემოგვცქეროდნენ! ერთი ოცი წელიწადი მაინც მოუნდებათ საწყლებს, რომ იმავე დონეზედ დააყენონ თავიანთი ოჯახი, როგორც ჩვენს მისვლამდე ჰქონდათ. ხუმრობა კი არ არის ერთი სოფლისგან ექვსი ათასი კაცის და იმათი ცხენების დახვედრა.

ჩვენი გზის მარცხენა მხარეს ბუჩქნარი მთები ამართულიყო. ერთ მთაზედ ძველებური ციხე მოჩანდა და მარკოზ დიენემ თქვა: ეგ ნეუშტატის ციხე არისო. მარკოზი და იმისი მამა საზღვარგარეთიდან ჩუმად საქონელს ეზიდებოდნენ ხოლმე ფორბახის და მაინცის შუა და, რასაკვირველია, კარგად ეცოდინებოდა ეს მხარე.

შარაგზას გადავუხვიეთ და წვრილ ბილიკებს გავყევით. ცხენები რომ ვეღარ ერეოდნენ ზარბაზნებს, ჩვენ ვეშველებოდით. ხოლმე. ისე უგზო-უკვლოდ ვიარეთ თერთმეტ საათამდე.

თერთმეტ საათზედ ჩვენს მარჯვნივ რეინზედ დიდი ჯარი გამოჩნდა; ცხენოსანი ჯარი უფრო მეტი იყო, ვიდრე ქვეითა. გვეგონა მტრის ჯარიაო, მაგრამ გავიგეთ, რომ ვეინგარტენელი და გერმელსჰეიმელი მილიციელები ყოფილიყვნენ და ჩვენს დასახმარებლად წამოსულიყვნენ.

ჯერ ისევ ამ ჯარს ვსინჯავდით, რომ ჩემმა ამხანაგებმა შორს, რეინის პირას, სამრეკლოები და გუმბათები დაინახეს. დაინახეს თუ არა, შედგნენ და სიხარულით დაიძახეს:

— აგერ, მაღაზიები, ბიჭებო! აგერ!

ვიღას ახსოვდა მთელი ღამის უძილობა, ან წვიმა და დაღლილობა?! ისე შევისროლეთ ქუდები, თითქო ქორწილში ვყოფილიყავით. მთელი ჯარი უცბად შეჯგუფდა; თვით ცხენებიც კი თითქო გრძნობდნენ, რომ საფრთხეს მიუახლოვდნენ, როგორღაც ჩვენკენ იწევდნენ, იქნება იმიტომ, რომ იმ დროს უფრო ცხარედ ხვდებოდათ მათრახი.

მეორე ჯარის წინამძღოლი ნეუვინგერი იყო; ნეუვინგერი უწინ ოფიცერი ყოფილიყო და ახლა, სამშობლოს გაჭირვების დროს, თავის ნებით ჩაწერილიყო ჯარში უბრალო ჯარისკაცად, მაგრამ რესპუბლიკას იგი მაშინვე მარშლად დაენიშნა. დიდ გზაზედ, რომელიც ქ. სპირისკენ მიდის, თითქმის ერთად გავედით ორივე ჯარი. სულ ათას ორას ნაბიჯზედღა იქნებოდა ჩვენგან პატარა სპირი, თავისი ეკლესიებით და მაღაზიებით.

რაკი ვნახეთ, რომ ასე ახლო ვიყავით, უცბად შევდექით ორივე ჯარი და „მარსელური“ დავძახეთ. ან ამაზედ უკეთესს ალაგს სად ვიტყოდით მარსელურს? აქ პირველი იყო ჩვენგან ბრძოლის ველზე გასვლა და წინ იმისთანა გამოჩენილი კაცები მიგვიძღოდნენ, სულ ჩვენებურები და ყველასაგან ცნობილი კაცები, როგორც ნეუვინგერი, ჰუშარი და კუსტენი. ნეუვინგერი ფალსბურგელი ~ყო და დაგვინახა თუ არა, მაშინვე ჩვენსკენ წამოვიდა, ხელი ჩამოართვა ივანე მენიეს, მერე წინ გაგვიარა თავისი კოხტა ცხენით და შემოგვძახა:

— აბა ფალსბურგელებო! იქნებ, თავი ისახელოთ!

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! თავისუფლებას გაუმარჯოს! — შევძახეთ ერთხმად. იმავ წამს ბრძანება მივიღეთ, გზიდან გადაუხვიეთ და პირდაპირ ქალაქზე მიდითო. ქალაქის მარჯვნივ ბაღები იყო და ღობეებს უკან მტრის ჯარი მოჩანდა თავისი თეთრი ტანისამოსით. მაშინ მკლავთან ერთად თვალიც კარგად მიჭრიდა და კარგად შევნიშნე, რომ ავსტრიელებს მიწა აეგროვებინათ და უკან ზარბაზნები დაემალათ. ქალაქის მისავალში, სწორედ იმ გზაზედ, რომელზედაც ჩვენ ვიდექით, გამოსულიყვნენ ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი, მაგრამ ჩვენს დანახვაზედ დიდი ხანი აღარ გაჩერებულან და ისევ ქალაქში შეიმალნენ.

ორი საათი იქნებოდა. გამოიდარა, მზე ამოვიდა. საბრძოლველად დაწყობილნი მივიწევდით ქალაქისკენ. ყოველ ბატალიონს ორი ზარბაზანი მიუძღოდა წინ. შუაზედ ქვეითა ჯარი იყო, აქეთ-იქით ცხენოსნები. რეინი ადიდებული იყო და ვენახებსა და ბაღებში გადმოვარდნილიყო. ჩქარი ნაბიჯით მივიწევდით წინ. თოფგაშვერილნი და გაფაციცებით ვეძებდით მტერს. უცბად კვამლი გამოვარდა

საიდანღაც; იმავე დროს ყუმბარამ გადაგვიარა თავზედ საშინელი შრიალით და ორი წამის შემდეგ ხმაც გაისმა ზარბაზნისა. საზარელი იყო ეს ხმა! მე ჩემს დღეში არა გამიგონია რა იმისთანა საშინელი.

აფიცრებმა გვერდთ აგვიარეს და ბრძანება მოგვცეს, გაჩერდით, შეემზადენითო.

ერთი ქვეითი რაზმი და ერთიც დრაგონებისა მარჯვნივ წავიდნენ, რომ უკანიდან მოევლოთ მტრისთვის; იმ სიგანედ მიიკლაკნებოდა ამ მხარეს რეინი, რომ კაი ხანი მოუნდებოდნენ სიარულს.

ავსტრიელები ზარბაზანს გვესროდნენ. მინდოდა დამენახა, საიდან ისვრიან-მეთქი, წამოვიწიე... ზედ შუა გზაზედ კუსტენი იდგა თავის ამალით და განკარგულებას აძლევდა ოფიცრებს, რომლებიც საჩქაროდ მოდიოდნენ თავიანთ რაზმებისკენ გენერლის ბრძანების ასასრულებლად.

— ზარბაზნები წამოაყენეთ წინ! — გაისმა ბრძანება.

უკანიდან მოსავლელად წასული ჯარი კარგად შორს წასულიყო.

თვალის დახამხამების უმალ დავალაგეთ ჩვენი პატარა ზარბაზნები ფერდობზედ და სროლა დავიწყეთ. მაგრამ არ გასულა ოცი წუთი, ბრძანება მოგვცეს: იერიშით, ბიჭებო, იერიშითაო! და შეიძრა იქაურობა: დაჰკრეს ნაღარა, გაისმა საყვირის ხმა და ზედ იმოდენა ჯარმაც მარსელური შემოსძახა. ცამდი ააღწია ჩვენმა სიმღერამ...

მაგრამ ტყუილად ჩაგვიარა ამოდენა ცდამ: ჩვენ ქალაქისკენ მივიწევდით და მტერი კი გარბოდა; ჩვენ რომ ბორცვზედ ავედით, იქ მტრის ჯარისა აღარავინ დაგვხვდა და შორს ქალაქის შესავალშიღა მოჩანდნენ გაქცეულნი. უკანიდან მოსავლელად წასულ ცხენოსან რაზმს ოთხასი ტყვე ეშოვა.

გაქცეული მტრის ჯარი ქალაქში შეიმალა და ახლა ციხეებიდან დაგვიწყო სროლა.

აქამდე კარგად იყო ჩვენი საქმე, რადგან მტრის ყუმბარები თითქმის ვერაფერს აკლებდნენ ჩვენს ჯარს; საქმე ახლა იწყებოდა, როდესაც თვით ქალაქზედ მივდიოდით.

ბრეტანელებისა და ჩვენი რაზმი პირდაპირ ვუდექით ციხეს. ციხის წინ კარგა განიერი თხრილი იყო ამოღებული, და ზედ ხიდი იყო გადმოგდებული. რაკი ნახეს, ციხისკენ მოდიანო, ავსტრიელები დაეჭიდნენ ჯაჭვებს, რომ ხიდი აეწევნათ როგორმე, მაგრამ ეტყობოდა ისე ჩაჟანგებულიყო ჯაჭვები, რომ ძვრაც ვერ უყვეს. ისინი რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ხიდის აწევას ცდილობდნენ და ჩვენ პირდაპირ იმათ ვუმიზნებდით. მაშინ იმათაც დაგვიწყეს სროლა და

რამდენიმე ბიჭი დაგვიჭრეს. ამ დროს წინ წამოგვიარა ნეუვინგერმა, ხმალი იშიშვლა და გიჟივით შემოგვყვირა:

— მომყევით, ჩემო მთიელნო! მომყევით!

მიაჭენებდა თავის ცხენს ნეუვინგერი და მივრბოდით მთიელნი! ხიდი უკვე დაეძრათ, მაგრამ ვერ აეწიათ და საშინელი ხრიალით ჩამოვარდა ძირს. ხიდის დაცემა და მთელი ჩვენი რაზმის ზედ აჭრა ერთი იყო. წინ ივანე მენიე მიგვიძღოდა. ხიდს გავედით, მაგრამ ციხის კარს წავაწყდით, ძველებურ მუხის კარს, მსხვილი რკინის სალტებით მოჭედილს. ავსტრიელები ყოველი მხრიდან გვესროდნენ. წინ ჩვენ ვიყავით. ციხის ძირში და თითქმის ვერას გვავნებდნენ; მაგრამ ჩვენს უკან ბრეტანელებს ძალიან ხოცავდნენ და ისინიც გვაწვებოდნენ და დაჭრილი დათვივით დაგვღრიალებდნენ: მიდით, ეი! მიდით! რაღას უდგეხართ?! გვაწვებოდნენ და როგორ გვაწვებოდნენ! მეგონა, ეს არის ჩვენი აღსასრულის დღე-მეთქი. მით უფრო, რომ კარებში ნახვრეტები ყოფილიყო და ახლა იქიდანაც დაგვიწყეს სროლა.

საშინელი იყო ჩვენი მდგომარეობა: წინ აწოწილი ციხე; ზემოდან, გვერდებიდან და ციხის კარიდან ზუზუნით ტყვია; აქეთ-იქით კვნესა და გულშესაზარი ძახილი დაჭრილთა, რომელთაც უღმერთოდა ვთელდით ფეხქვეშ, და თან ყვირილი:

— ზარბაზანი ციხეს, ზარბაზანი!..

ბოლოს ბრეტანელებმა ვეღარ გაუძლეს მტრის ტყვიას, იქვე დატოვეს თავიანთი დაჭრილები და დახოცილები და უკან გაბრუნდნენ.

დავრჩით ჩვენ. კიდეც რომ მოგვენდომებინა, უკან ვერ დავიწევდით, რადგან ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა მტრის ტყვიას.

— ახლა კი დავიღუპენით! — ვთქვი ჩემს გულში, მაგრამ სწორედ ამ დროს მოცვივდნენ ჩვენი ბრეტანელები. წინ ისევ ნეუვინგერი მოუძღოღათ. მოდიოდნენ და საშინელი ხმით გაიძახოდნენ:

— გზა!.. გზა!..

ბუზივით ირეოდა ტყვია.

ბრეტანელებს ცულები წამოეღოთ და უნდა გენახათ რა გაშმაგებულნი მისცვივდნენ კარებს. დაუშინეს ცული... ისე აირია იქაურობა, რომ აღარა ჩანდა რა, აღარა ისმოდა რა. ერთი გასისხლიანებული ცული მეც წავართვი დაჭრილს და დავკარ და დავკარ! დავკარ და დავიძახე:

— გამარჯვება ან სიკვდილი!

ვცემდით, რაც ძალი და ღონე გვქონდა. აქეთ-იქიდან კი ტყვია მოდიოდა და ხან ერთ ამხანაგს გვაკლებდა, ხან მეორეს. წაიქცეო-

და ვინმე, და ჩვენ ფერმიხდილნი უფრო გაბრაზებულნი ვაწვებოდით კარებს. ღვთის წყალობა გაქვთ, ისა ჭრიალებდა! ამოდენა ხანსაც ვერ გაგვიძლებდა, რკინის სალტეებით რომ არ ყოფილიყო შეჭედილი. ჭრიალებდა, მაგრამ ჯერ ისევ მაგრა იყო. ბოლოს სრულიად მოულოდნელად შეიმტვრა კარი და რამდენიმე კაცი შევარდა ციხეში. შევიდნენ მაგრამ ციხე ცარიელი დახვდათ. ავსტრიელები გაქცეულიყვნენ.

გვეგონა, რაკი ციხეში შევედით და კარი გავუღეთ ჩვენს ჯარებს, საქმე გათავებულიაო. მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც ას ნაბიჯზედ მეორე ციხე დავინახეთ, თავის თხრილით და ხიდით. საქმე ის იყო, ახლა ეს მეორეც აგვეღო, თორემ პირველის აღებაც უნაყოფოდ ჩაგვივლიდა. ყოველი მხრიდან სროლა დაგვიწყეს და ერთიანად ამოგვხოცავდნენ ყველას, კუსტენი რომ არ მოგვშველებოდა ზარბაზნებით.

ხუთი წუთის შემდეგ მეორე ციხის კარიც შევამტვრიეთ და ჩვენი ბატალიონი პირველი შევიდა ქ. სპირში. შევიდა, მაგრამ ვაი იმ შესვლას! ყველა სახლში ავსტრიელები იყვნენ ჩასაფრებულნი და ფანჯრებიდან გვესროდნენ. ისეთი კვამლი იდგა ფანჯრებში, რომ აღარა ჩანდა რა. მაშინ მენიემ გვიბრძანა, გამორეკეთ სახლებიდანაო! და დავერიეთ! ყველა სახლში, ყველა ოთახში ხელჩართული ბრძოლა ატყდა და, ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ ისინი ვხოცეთ! ბალახანამდე ავყვებოდით ხოლმე ზოგ-ზოგს და ბევრიც რომ ეყვირა: ნუ მომკლავ, ადამიანი არა ხარო! ისე ვიყავით გამხეცებულნი, რომ დანდობა აღარავისი გვქონდა. ცალ-ცალკე ავიღეთ ყოველი სახლი და ისე გავატარეთ ჩვენი ჯარი დიდ ქუჩაზედ. წინ ზარბაზნები მოუძღოდა, უკან ჯარი მოსდევდა.

ცოტა ხანს უკან ქალაქი ჩვენ ხელთ იყო და ჩვენი ჯარით გაივსო. სამი ათას ხუთასი ავსტრიელი და იმათი წინამძღოლი ვინკელმანი ტყვედ დავიჭირეთ. ოთხასი კაცი რეინში დაიღუპა. მაღაზიები ჩვენს ხელთ იყო, მტერს ნაღდი ფულის მეტი ვერაფრის წაღება ვერ მოესწრო.

განაღა შეიძლება კაცმა სიტყვით გამოსთქვას პირველი გამარჯვების ნეტარება! განაღა შეიძლება კაცმა სიტყვით გამოსთქვას თავისი სიხარული, ბრძოლა მორჩა და მე კი ღმერთმა მიბრალა და ცოცხალი გადავრჩიო! ახლა მამაჩემისა და მარგალიტას სიხარული, ჩემი ამბავი რომ მიუვათ. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი იმ ბრძოლის შემდეგ!

დიდ მოედანზედ დაგვაყენეს იმოდენა ჯარი. ზედ შუაზედ იდგა კუსტენი და მაღალი ხმით აქებდა ჯარის მხნეობას და მამაცობას.

მაგრამ შორს ვიდექით და ვერაფერი გავიგეთ, რადგან საშინელი ხმაურობა იყო ქალაქში. მისი სიტყვა რაზმის წინამძღოლებმა გაგვიმეორეს და სხვათა შორის ისიც მოგვილოცეს, რომ, თუმცა ქალაქი ბრძოლით ავიღეთ, ჩვენგანს ერთსაც არავის რა აუღია და დაუსაკუთრებიაო. ამ სიტყვამ, ღვთის წინაშე ვნება უფრო მოგვიტანა, ვიდრე სარგებლობა, რადგან აქამდე ესეც არ ვიცოდით და ახლა კი გავიგეთ, რომ დარბევა შეიძლებოდა. შეიძლებოდაო? ბევრმა ინანა მაშინ, ნეტავი მომგონებოდა, რომ მეშოვა რამეო.

ერთი სიტყვით, სპირის ბრძოლა პირველი იყო ჩვენთვის და იმიტომ აგიწერეთ ასე დაწვრილებით. ორმოცდაორი კაცი დააკლდა ჩვენს ბატალიონს. ახლა სხვა რამ მინდა მოგახსენოთ.

მართებლობა ეპისკოპოსებს და ერთობ სამღვდელო პირთ ართმევდა, რის წართმევაც კი შეიძლებოდა, რომ ხალხისთვის ომის ტვირთის ზიდვა შეემსუბუქებინა. ხალხი და მოქალაქენი ერთად იყვნენ და ძმურად ირჯებოდნენ ყველა საზოგადო საქმეში. სპირის აღების შემდეგ ხმა გავარდა ჩვენს ჯარში, ახლა თვით ვორმში ჩავიდეთ, იქ უფრო დიდრონ მაღაზიებს დავისაკუთრებთო, მაგრამ ეს აღარ დაგვცალდა.

მეორე დღეს დილის ექვს საათზედ, როდესაც ქალაქის დასათვალიერებლად დავდიოდი, უცბად ნაღარის ხმა შემომესმა. მაშინვე ის ვიფიქრე, მტერი დაბრუნებულა-მეთქი. გავიქეცი ჩვენი ბინისკენ, მაგრამ ჩვენი ბატალიონი უკვე აყრილიყო. საჩქაროდ ავიტაცე ჩემი გუდა და თოფი და უკან გამოვედევნე. მივრბოდი და ვხედავდი, რომ სახლებიდან და ეკლესიებიდან ჩვენი ჯარისკაცები გამორბოდნენ ნაქურდალით და უკან სპირელები მოსძახოდნენ ყვირილით: ქურდო! ქურდოო!

ჩვენი ჯარი დიდ მოედანზედ შეყრილიყო და ნაღარასა და სიყვირს უკრავდა. ერთ პატარა ქუჩაში დუქნის წინ ურემი იდგა. ურემზე ერთი გამხდარი დედაკაცი იდგა და გაჩქარებით ალაგებდა სხვადასხვა საქონელს, რომელსაც დუქნიდან ერთი ჯარისკაცი აწვდიდა. ისე ჩქარობდნენ ორივენი, რომ ერთი რომ შეგეხედნათ, მაშინვე იტყოდით, წმინდა წყლისანი არ უნდა იყვნენ, ვიღაცანი არიანო! იქვე შორიახლო დარაჯის ქოხი იყო, მაგრამ თვით დარაჯი არსად ჩანდა, ალბად ისიც საშოვრად იყო წასული.

სისხლი თავში ამივარდა ეს რომ დავინახე. ჩვენ იმოდენა სისხლი დავღვარეთ, ხელი არას ვახლეთ და ვიღაც მაწანწალები კი უნდა სძარცვავდნენ ქალაქს? და ამათი საძაგლობა მერე ჩვენ უნდა დაგვბრალდეს?! მივვარდი დედაკაცს და... იცით ვინ ვიცანი? ჩემი და ლიზა! ჩემი და ლიზა, რომელიც 1785 წ. შემდეგ აღარ მენახა.

— შენ აქ რა გინდა?

გაწითლებული თვალები სიამოვნებით უბრწყინავდა. მობრუნდა და რომ მიცნო, შემომცინა:

— ბიჭო! შენა ხარ, მიშელ? შენც ჯარში ხარ, განა?

— დიაღ, ვარ. მაგრამ შენ აქ რა გინდა, შე უბედურო, შენა?

— არაფერი, რა უნდა მინდოდეს?

ამ დროს დუქნიდან ჯარისკაციც გამოვიდა და კარი გამოიხურა. ჩემი შეეშინდა და ვითომ აქ არაფერიაო, ლიზას უთხრა:

— კიდევ კარგი, რომ ეს მაინც ღადავარჩინეთ, თორემ ერთიანად აიკლებდნენ. ეს მაინც წავიღოთ ბანაკში.

ეტყობოდა სამხრელი იყო: შავგვრემანი ბიჭი იყო, გიშერივით წვერ-ულვაში ჰქონდა და შავი თვალები. ლიზას სიცილი წასკდა და უთხრა:

— ჩემი ძმაა, კაცო, ჩემი ძმა.

— ჩემი ცოლის ძმა ხართ თქვენ?! — მომვარდა და გადამეხვია. — ხელი, ცოლის ძმავ, ხელი!

სიცილითა და ხარხარით წაიღეს ურემი და თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, არავინ მოგვასწროსო.

ლიზა საქონელს მიერეკებოდა. ჩემი სიძე-ბატონი კი გვერდით მისდევდა და თავისთვის გაიძახოდა:

— თუ კი გენერალი მოაგროვებს სოფელში ჯარისთვის სურსათს, რატომ მე კი არ უნდა მოვაგროვო?!

ძალიან მეწყინა ეს რომ ვნახე, მაგრამ რა მექნა? ბევრიც რომ მეთქვა, მე იმათ ვერას გავაგებინებდი, რადგან, ხომ მოგეხსენებათ, მგლის თავზე სახარებას არ წაიკითხავენ. მეც გავჩუმდი. ისინი რეინისკენ გაეშურნენ და რადგან ჩემი გზა სულ სხვა იყო, გამოვეთხოვე. ლიზამ დამიყვირა:

— რა კარგს იზამ, რომ გვნახო! პარიზელ შეთქმულთა მესაზე ბატალიონის ბინაზედ გვიკითხე.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა ფიქრები ამეშლებოდა, როდესაც მოედანზედ მივედი და ჩვენი გენერალი დავინახე თავისი ამალით. გენერალი ისე იყო გაბრაზებული, რომ ცეცხლს აფრქვევდა. იმის ბრძანებით ერთი კაპიტანი, ორი ათისთავი და თორმეტი ჯარისკაცი დაეჭირათ და ასამართლებდნენ.

დაჭერილები იქვე იყვნენ, ეპოლეტჩამოგლეჯილები, ესე იგი ღირსებააყრილნი. ეკლესიის კარებში შეყრილიყო სამხედრო სასამართლო და დამნაშავეთა ბედსა სჯიდა. გენერალი კი საშინლად ბრაზობდა.

არ გასულა ათი წუთი, სასამართლომ თავისი გაათავა და გენერალისკენ წამოვიდა მსჯავრის გამოსაცხადებლად. გადაწყვეტილება

გამოუცხადეს, დამნაშავეებს დარაჯები შემოეხვივნენ და ქალაქგარეთ წაიყვანეს. თვალი გავადევნეთ საბრალოებს და თრთოლამ აგვიტანა, რადგან ცხადი იყო, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ. ცოტა ხანს შემდეგ რამდენიმე თოფიც გავარდა იმ მხარეს.

— ჯარისკაცმა თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს თავისი ღირსება, — სთქვა გენერალმა.

ჯარი ისევ თავისთვის ბინაზედ გაისტუმრეს, მაგრამ მას შემდეგ ძარცვა აღარავის გაუბედნია.

მე კი ქვასავით მაწვა გულზედ ის ფიქრი, რომ ჩემი და სპირში იმყოფებოდა და იმისთანა საძაგელსა ჰყავდა ცოლად! მაგრამ რას ვიზამდი? ავი იყო თუ კარგი, ჩემი და იყო და იმ საღამოს მის სანახავად წავედი. აგერ შვიდი წელიწადი იყო მას შემდეგ, რაც პატარა ლიზა, თავისი პატარა ბოხჩით ვასსელონში წავიდა ტუსსენთან მოახლედ დასადგომად. ეხლა პატარა ლიზა კი არა, კარგი წარმოსადეგი, თუმცა გამხდარი, დედაკაცი იყო, დედაჩემივით გამბედავი და მკვირცხლი თვალებით.

III

პარიზელების მესამე ბატალიონი წყლის პირას იდგა. ნავთსადგურთან დიდი ალაგი იყო შემოღობილი საქონლის საწყობად და სწორედ ამ საწყობში მიეცათ ბინა პარიზელ შეთქმულთათვის. ისინიც ისე მშვენივრად მოწყობილიყვნენ, თითქო უკეთესს ვერას ინატრებდნენო: ტახტები შეეკრათ, ზედ თივა გაეშალათ და იყვნენ განცხრომაში! სვამდნენ, მღეროდნენ, ქაღალდს თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, ქეიფში ისინი იყვნენ და სიმხიარულეში ერთიერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ყმაწვილები და მოხუცებულები. მე ჯერ პარიზელები არ მენახა და ვნახე თუ არა, მაშინადვე დავრწმუნდი, რომ სრულს ჭეშმარიტებას იწერებოდა შოველი: პარიზელი ხალხი, სადაც უნდა იყოს, ისე ცხოვრობს, როგორც პარიზის ქუჩებში არის ჩვეული: მხიარულად, უდარდელად და უზრუნველადო. მომცრო ტანისანი არიან, ხმელ-ხმელნი, უფერულნი და ამასთან საშინელი მოძრავნი, გამბედავნი და დაურიდებელნი. მე რომ მკითხოთ, არ შეიძლება პარიზელი კარგი ჯარისკაცი იყოს, რადგან მეტის მეტად უყვარს სჯა. გარდა ამისა ქვეყნად იმისთანა არა არის რა, რომ იმან მასხარად არ აიგდოს; მეტადრე თავისი უფროსები. ჩვენი ბედი რომ მარტო პარიზელ შეთქმულთა ბატალიონზედ ყოფილიყო დამოკიდებული, ბევრს ვერას გავარიგებდით, რადგან მეტისმეტი თავისნება და თავნათქვამი ხალხია. ერთმანეთში არც დიდი გააჩნიათ, არც პატარა, არც უფროსი, არც უმცროსი და ყველას შენობით ელაპარაკებიან.

შეეედი თუ არა, ერთ პატარა კაცს წავაწყდი, იმისთანა პატარას და გაყვითლებულს, რომ შემებერა, გადავაქცევდი. განზედ გადგა და მამალივით ყივილი დაიწყო ჩემს დასაცინად. მეც პირდაპირ იმისკენ გავწიე, ვითომ ვერც კი ვხედავდი, რომ მასხარად მიყდებდა და ვკითხე:

— არ შეიძლება მიბრძანოთ, სადა სდგას პარიზელ შეთქმულთა მესამე ბატალიონის მედუქნე ელისაბედი?

— მერე რად გინდა შენ ელისაბედ ქალი? — შემომიტია უზარმაზარი წვერ-ულვაშით შემკულმა ჯარისკაცმა, რომელიც იქვე ქაღალდს თამაშობდა და ჩიბუხს ეწეოდა.

— ნახვა მინდა. ჩემი დაა.

ამის გაგონებაზე ქაღალდის მოთამაშეებმა ყველამ ზე დამიწყეს სინჯვა.

— აგერ, კარი დააკაკუნე, — მითხრა იმავე ჯარისკაცმა უფრო დაყვავებით და იქვე კუნჭულში ჩამოფარებულ ფარდაგზე მიმითითა.

ფარდაგი დაგლეჯილი იყო და სინათლე გამოდიოდა; მივედი, ფარდაგი გადავწიე და იმისთანა მშვენიერი ცეცხლი გუგუნებდა, რომ ახალწლის ღამე გეგონებოდათ. ცეცხლთან ოცდაათამდე კაცი ტრიალებდა და ბატალიონს ვახშამს უმზადებდა: ზოგი ხორცსა ჭეპავდა. ზოგი სალათს არჩევდა, ზოგი კიდევ ქათმებსა პტყვნიდა. კუნჭულში ჩემს დას ელისაბედს ბოთლები გაემწკრივებინა და ღვინოს ასხავდა. ძალიან მხიარულად იყო, ეტყობოდა. იქვე ერთ ზანდუკზე გამოჭიმულიყო ათისთავი მარესკო, ჩემი სიძე-ბატონი, და უდარდელად ჩიბუხს შეექცეოდა, თითქოს ის მარტო განცხრომისათვის გაეჩინოს ღმერთს.

ლიზამ შორიდანვე დამინახა და შეჰკივლა:

— ჩემი მიშელ, კაცო! ჩემი მიშელ!.. აქეთ, მიშელ, აქეთ! რა კარგ დროს მოდიხარ... ისეთი დრო უნდა გავატაროთ ამაღამ, რომ მტერს თვალი დავუყენოთ.

მე კარგად ვიცოდი, როგორა ჰქონდა ჩემს დას შეძენილი ეს ყველაფერი, მაგრამ ვიდრე ხმას ამოვიღებდი, მომვარდა, მომეხვია და ისე ჩამიკრა გულში, რომ ამას კი არა, მეტსაც დამავიწყებდა. თან ჩვენების ამბავსა მკითხავდა და თვალს ცრემლი უბრწყინავდა. ბოლოს გული რომ შეიჯერა, ქუდი და ხმალი ჩამომართვა და ზანდუკზედ დააწყო. ამ დროს სიძეც მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და სიცილით თვალი მიყო. იქნება გენახოთ ბებერი მელა, რომ ძაღლისა კი არა, მგლისაც აღარ ეშინია; სწორედ მელასა ჰგავდა ჩემი სიძე-ბატონი.

— როგორ გიკითხო, ცოლის ძმავ! ძაან მასიამოვნე, რომ მოხვედი, ძაან! — სხვებიც შემომცინოდნენ, მხარზედ ხელს მცემდნენ და ზოგი ცოლის ძმას მეძახდა, ზოგი მამულიშვილ მიშელს, ზოგი მთიელ პატრიოტს, ზოგი კიდევ ჩვენებურს, თითქო ეს არის ეხლა კი არა, რამდენიმე წელიწადია რაც ერთმანეთს ვიცნობთო.

ცეცხლზედ დიდრონ-დიდრონი ქვაბები იდგა და იმისთანა სურნელება ამოსდიოდათ, რომ მაძღარსაც კი მადას მოჰგვრიდა. და ერთი საათის შემდეგ სუფრას რომ შემოვუსხედით, ისე ვიყავით დამშეულები, რომ სულ კბილები გვიკაწკაწებდა. ღვთის წყალობა გაქვთ, კარგი სუფრა ის იყო! ნამდვილი დიდკაცური სუფრა იყო. რა გინდა სულო და გულო, რომ ჩვენს სუფრაზედ არა ყოფილიყო! მეტადრე ლორები და ძეხვები; მაინცში ვიყავით და! ღვინო ხომ იმისთანა საუცხოო რამა ვსვით, რომ თუნდ დავიფიცავ, ეპისკოპოსის მარნიდან უნდა ყოფილიყო გამოტანილი. განა არა მაგონდებოდა, რა სამარცხვინო საქციელზედ მივასწარ მე ჩემს დას და სიძეს, მაგრამ პარიზელი შეთქმულები ისე გამხიარულდნენ, რომ მეც გამიტაცეს და გულიდან გადამიყარეს ეს ფიქრი. ვსვამდი და თან სინდისს ვიმშვიდებდი:

— საბძელი რომ გეწვოდეს, ხელი მოითბეო! ეს ღვინო მაინც ისმის და მაინც. ის არა სჯობიან, მეც გავისველო ყელი!

იმ ღამესა ვნახე, რა ეშმაკები ყოფილან პარიზელები. იმისთანად ხუმრობდნენ და ოხუნჯობდნენ, იმისთანად დასცინოდნენ მეფეებს, დიდებულთ და ეპისკოპოსებს, რომ განცვიფრებული დავრჩი. ახლა იმათი სიმღერები! ისეთს სიმღერებს ამბობდნენ, რომ მე გაგონებითაც ვწითლდებოდი. ერთი საშინელი საზიზღარი ჯარისკაცი იყო, ცალი თვალით ბრმა; წამოდგა და საარშიყო სიმღერა დაიწყო; თანაც ჭიანურს უკრავდა. ხმა სულ აღარა ჰქონდა და, რაც ჰქონდა, ისიც ხრინწიანი, მაგრამ იმისთანა გრძნობით და ოხვრით ამბობდა, იმისთანად უიმედოდ აღაპყრობდა ხოლმე თავის ცალ თვალს ცისკენ, რომ ერუანტელი მივლიდა ტანში. კარგად მღეროდა და ამასთან ლექსსაც კარგს ამბობდა: შეურაცყოფილი სამშობლო, დაშორებული ცოლშვილი, მოხუცებული დედ-მამა... მომაგონდა ჩემი მარგალიტა, ვეღარ გავუძელ აღელვებულ გულს და გარეთ გავვარდი, რომ ცრემლი დამემალა. ცოტა ხანს უკან რომ შევედი ვეღარ ვიცანი იქაურობა: ჩემი ბრმა ასკინკილას უვლიდა და თან იმისთანადა მასხარაობდა, რომ სიცილით დაგვხოცა ყველანი. მერე დაიჟინა: ჩემი ცხვირი სტვირია, რასაც მინდა, იმას დავუკრამო. — აი, როგორები არიან პარიზელები!

ლიზას დიდი პატივისცემით ეექცეოდნენ შეთქმულები. როცა

ლიზა ლაპარაკობდა, ყველანი გაჩუმდებოდნენ და რაც უნდა სისულელე ეთქვა, ისინი გულიანად იცინოდნენ და თან ყვიროდნენ:

— ვაშა! ვაშა, ელისაბედ-ქალო!

მართლა და, ვაშა, ელისაბედ-ქალო! იმისთანა წარმოსადეგი და ლამაზი რამ იყო, დაურიდებელი და თანაც მედიდური შეხედულობისა, რომ მტერიც კი შეკნატრებდა. თუ გაუჭირდებოდა, იარაღსაც კარგად იხმარებდა. დედაჩემს ძალიან ჰგავდა, ოღონდ უფრო ტანიანი და მძლავრი სახისა იყო. რომ ვხედავდი, რა პატივისცემით ექცევოდნენ შეთქმულები, ვფიქრობდი:

— აბა ჩვენს სოფელში გენახათ, ფეხშიშველა რომ მისდევდა ხოლმე ზამთარში მგზავრებს და ხელგაწვდილი შესტიროდა.

— გამიკითხეთ, ღვთის გულისთვის! მოწყალება მოიღეთ!

ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ის ლიზა იყო.

ასეა თუ ისე, ჩემს დას ლიზას ძალიან კარგად მოეწყო თავისი საქმეები და უმთავრესიც ეს არის. საქმე ბოლოა და ოღონდ ბოლო კარგი იყოს, დასაწყისს შეიძლება კაცმა თვალიც აარიდოს.

ამ პარიზელებს დიდად სწამდათ მარატის გაზეთი „ხალხის მეგობარი" და თვით მარატს ხომ აღმერთებდნენ. დანტონი, რობესპიერი, დემულენი, კოლლოდერბუა, კუთონი და ლეჟანდრი თვალსაჩინო მამულიშვილნი იყვნენ, მაგრამ მარატის ოდენი კი არ შეეძლოთ. ცალთვალა არშიყს ამათგანი არავინ მოსწონდა და ერთისას იძახდა გამჭრიახობა აკლიაო, მეორისას — უაზრო არისო, მესამისას — ვაჟკაცობა არა აქვსო... სახელმწიფო კაცის შორსმხედველობა მარატის მეტს არავისა აქვს; მარატი რომ არის ყველაფრით სრულია და ჩვენ სწორედ მარატისთანა კაცი გვინდაო.

— ვიდრე მარატი გვეყოლება, — იძახდნენ პარიზელები, რევოლუციაც კარგად წავა. მარატი რომ მოკვდეს, საზოგადო საქმე უპატრონოდ დარჩება, რადგან სხვები სულ აქეთ-იქით გაიპარებიან. ან არა და ისე აერევათ დავთარი, რომ ქვეყნის ბედს ჟირონდელებს ჩაუგდებენ ხელში.

პარიზელები ძალიან გაჯავრებულნი იყვნენ კუსტენზედ, დავლაზედ დაჭერილი კაცები რად დახვრიტაო. ეგ რომ დიდებულთაგანი არ იყოს, მაგას იზამდაო? ცალთვალა ჯარისკაცს ერთი აწოწილი, თავის სიმაღლე ქუდი დაეხურა, რალაცა უცნაური კოკარდით და — კაცი არ ვიყო, თუ მარატს არ ვაცნობო ეს ამბავი, რომ „ხალხის მეგობარში" ჩასწეროს ეს შემაძრწუნებელი კაცისკვლაო, — იძახდა გაბრაზებული. სხვანიც კვერს უკრავდნენ და ამ შეძახვევით სარგებლობდნენ, რომ თავისი უნდობლობა გამოეცხადებინათ ყველა დიდებულ გენერალისთვის.

ბოლოს ყველამ ცეკვა დაიწყო. მე და მორესკოღა შევრჩით სუფრას და მაშინ მიამბო თავისი ქორწინების ამბავი. ლიზა პირველად თავად დანბახთან ვნახე, ალზასელების რაზმის მაიორთან; ვნახე თუ არა, მაშინვე გულში ჩამივარდა, რადგან მეტად ცქრიალა რამ იყო და ამასთან სუფთა, ყაირათიანი და დაუღალავი მშრომელი. ერთი წლის შემდეგ სამსახური გავათავე, ჯვარი დავიწერე და პარიზში დავსახლდი; ერთი პატარა დუქანი გავაღე, მაგრამ ვაჭრობა არა გვქონდა რა და ომი გამოცხადდა თუ არა, დუქანი გავყიდეთ და ახლა პარიზელ შეთქმულთა მესამე ბატალიონთან ერთად დავდივართ, თან პატარა დუქანი დაგვაქვს და, ღვთის მადლით, არა გვიჭირს რა, საქმე კარგად მიდისო.

— ენკენისთვეში პარიზში ხომ არ იყავ, ხალხი რომ აიშალა-მეთქი? — ვკითხე და იმანაც დაწვრილებით მიამბო, რაც იმ დღეებში პარიზში მომხდარიყო. ხალხის არეულობა 2 ენკენისთვეს დაიწყო. სამი საათი იქნებოდა სადილს უკან; დოფინის ქუჩაში ჯარისკაცებს პატიმრები მოჰყავდათ; ერთმა პატიმარმა ჯარისკაცს დაჰკრა; ხალხი მივარდა, ჯარისკაცებს წაართვა პატიმრები და დახოცა. მერე ორ ნაწილად გაიყო ხალხი: ერთი ნაწილი, უმთავრესად დასავლეთით მოსული შეთქმულნი, ლუქსემბურგის ციხისკენ გაემართა, რომელშიაც დამწყვდეულნი იყვნენ კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსები, რომელთაც ქვეყნის მტრობა და ღალატი ბრალდებოდათ. მეორე ნაწილი — ერთიათად მეტი, ვიდრე პირველი, აბბეის ციხეს მივარდა, კარები შეამტვრია და რაც კი იქ პატიმრები იყვნენ — დიდებულნი — სულ ერთიანად დახოცეს.

ხუთ საათზედ პარიზელ ხალხისაგან ამორჩეულმა კაცებმა — კომუნის წარმომადგენლებმა — ბრძანება გასცეს: ხალხმა მსაჯულები დანიშნოს, რათა მათ გაასამართლონ ყოველი პატიმარიო. ამით შესწყვიტეს სისხლის ღვრა. ხალხს მსაჯულებად თორმეტი პატიოსანი, ყველასაგან პატივცემული, შამულიშვილი აერჩია და თავმჯდომარედ მაიარი; გარდა მსაჯულებისა ხალხმა ორმოცდაერთი ჯალათი აირჩია, რომელთაც მსაჯულების გადაწყვეტილება უნდა აესრულებინათ. მსაჯულები იქვე ციხის შესავალში დაბრძანდნენ, პატიმართა დავთარი თავმჯდომარეს გადაუშალეს, მაშხალებით განათებულ ეზოში ჯალათები დააყენეს და ღამის ათ საათზედ დაიწყო პატიმრების ხოცვა. თავმჯდომარე ციხის დავთარში ამოიკითხავდა პატიმრის გვარს და მიზეზს, რისთვისაც იგი დაპატიმრებული იყო. შეთქმულნი მოიყვანდნენ და წინ დაუყენებდნენ უბედურს. დაუწყებდნენ კითხვას. ისიც, რასაკვირველია, ცდილობდა თავი ემართლა რითიმე. თუ გაამართლებდნენ, სამი შეთქმული გა-

იყვანდა გარეთ და ხალხს შესძახებდა: ქუდი მოიხადეთ, ხალხო, უბრალოა! ხალხიც ალერსით აიტაცებდა უდანაშაულოს და კაცებს გააყოლებდა შინამდე. და თუ გაამტყუნებდნენ, თავმჯდომარე იტყოდა: ციხეში დაამწყვდიეთ! უხაროდა პატიმარს, სიკვდილს გადავრჩი, რომ ისევ ციხეში მამწყვდევენო. მივარდებოდნენ შეთქმულნი და ყვირილით — დაამწყვდიეთ! დაამწყვდიეთ! — ჯალათებისკენ გააქანებდნენ. როგორც კი შეაგდებდნენ ეზოში, მისცივდებოდნენ ჯალათები — ზოგი ხმლით, ზოგი შუბით და — სულს გაანთხევინებდნენ.

ზოგი გაუძალიანდებოდა ხოლმე, მაგრამ რას გახდებოდა? ზოგი — ნუ მომკლავთო, — ევედრებოდა; ზოგი კიდევ თავდაღუნული, ხელებდასისხლიანებული გაექცეოდა ჯალათებს და გარბოდა საზარელი ღრიალით — მიშველეთ, ქრისტიანები არა ხართო! მირბოდა და მისდევდნენ თან ჯალათები!.. სადმე კუნჭულში დაეწეოდნენ და მოჰკლავდნენ: იმდენსა სცემდნენ, ვიდრე მოძრაობას შეწყვეტდა; მაშინ კი თავს დაანებებდნენ; „თავისუფალ ერს გაუმარჯოსო!!“ — დაიძახებდნენ და ისევ კარებისკენ მიეშურებოდნენ, რომ ახლა სხვა მსხვერპლისთვის ელოდნათ. ყელს ღვინით ისველებდნენ და როდესაც ვისმე საჭმელს მოუტანდნენ შინიდან, ხმალს ამხანაგს მისცემდა — აჰა, სისხლი არ შეაშრეს, მანამ მე პურსა ვჭამო.

სწორედ ასევე ხოცა ხალხმა პატიმრები ყველა ციხეებში, გარდა იმ ციხეებისა, რომელშიც დაჭერილები იყვნენ უნამუსო ქალები და შვეიცარიელი ჯარის უფროსები; ესენი ხალხმა ისე დახოცა, რომ გასამართლებაც კი არ აღირსა. აგრეთვე გაუსამართლებლად დახოცეს შეთქმულებმა ლუქსემბურგის ციხეში დამწყვდეული ეპისკოპოსები — „წმიდა ბართლომეს ღამე გახსოვდეთო!“ ერთ ციხეში პატიმრები გამაგრებულიყვნენ და ხალხმა ზარბაზანი დაუშინა და ისე აიღო ციხე.

ამ საშინელებას ისე მიამბობდა მარესკო, თითქო აქ არაფერიაო; თან ჩიბუხს ეწეოდა და იცინოდა. ხალხმა სამი დღე ხოცა პატიმრები და სწორედ ასეც უნდა ექნაო, იძახდა. მე კი, ხომ იმისთანა მშვენიერი ღვინო ვსვი, და ამ ამბავზედ სულ კანკალი დამაწყებინა. ველარ მოვითმინე და შევყვირე:

— საშინელებაა, ჩემო სიძე, საშინელება! როგორ! მთელი სამი დღე დიოდა ქრისტიანთა სისხლი, და კაცი არავინ გამოჩნდა, რომ შეეყენებინა?! ბევრიც რომ თქვათ, ასამართლებდნენ და ისე ხოცავდნენო, იქ არც გასამართლება ყოფილა და არც არაფერი, რადგან სადაც არც მოწმეებია, არც ვექილი, და ადამიანს მარტო იმიტომ ჰკლავენ, რომ ციხის დავთარში შენზედ ესა სწერიაო, დამე-

თანხმეთ, აქ სამართალი არ არის. საშინელებაა! მერე პარიზელი ხალხის ამორჩეულნი სად იყვნენ? ან ერის მცველი ჯარი? ან მინისტრები და კანონმდებელი კრება?

ამ სიტყვებზედ მარესკომ თვალები გაკვირვებით დამაჭყიტა, კარგა ხანი მიყურა ხმაამოუღებლივ, თითქო გონზედ ვერ მოსულაო და ბოლოს მითხრა:

— რა უნდა ექნათ? იყვნენ თავისთვის გაჩუმებულნი: რაც გინდათ, ქენითო! ქვეყანამ იცოდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო; მარატმა წინადვე სთქვა თავის გაზეთში, საქმე ასე გათავდებაო; და ვინ შეიძლებდა ხალხის წინააღმდეგობას? ერთ ციხეში ჰებერი იყო მსაჯულთა თავმჯდომარედ; აბბეის ციხეში — ბილიო დე ვარენი, რომელმაც სამშობლოს სახელით მადლობა გადაუხადა ჯალათებს. კომუნის წევრებმა წინადვე გადასინჯეს პატიმრების სიები და ყველანი გაანთავისუფლეს გარდა პოლიტიკური მიზეზით დაჭერილებისა; კომუნამ დიდი ჯილდო მისცა ჯალათებს. ერის მცველ ჯარს ხელი არ გაუნძრევია; ან რას იზამდა? რამდენგან ვნახე — ციხეში ჯალათები პატიმრებს ხოცდნენ და ციხის კარებში დარაჯებად ერის მცველი ჯარისკაცნი იდგნენ, თითქო აქ არაფერი ხდებაო. საერო კრებამ 2 ენკენისთვეს აბბეის ციხეში სამი კაცი გაგზავნა და ხალხს შეუთვალა: სამართალზედ დაამყარეთ ყოველი თქვენი საქციელიო. ხალხმა მოუსმინა, გაისტუმრა მოციქულები და ისევ სისხლისღვრას შეუდგა; მას შემდეგ საერო კრებისა სახელიც აღარავის გაუგონია. დანტონი რომ არა ყოფილიყო, საერო კრების ყველა წევრნი, რომელნიც დღეს ასე გულმაგრად ბრძანდებიან, გაიპარებოდნენ თავიანთი მინისტრებით ერთად და პარიზს ბრაუნშვეიგს დაუტოვებდნენ. ყველგან ღალატი იყო; მართალია, საერო კრების უმრავლესობა დასთანხმდა ათს მარიამობისთვეს მომხდარ ამბებს, მაგრამ დასთანხმდა, რადგან წინააღმდეგობა არ შეეძლო და მას შემდეგ სულ იმის ცდაში იყო, რომ 10 მარიამობისთვეს შეძენილი ხელიდან გამოეცალა ხალხისთვის; სამშობლოს მოღალატეების დასასჯელად შედგენილი სასამართლო ყველას ამართლებდა და ათავისუფლებდა; შამპანის მხარე გახიზნულებით, პრუსიელებით და ავსტრიელებით გაივსო; თან დიდძალი ყალბი ფული შემოეტანათ და მით ჩვენს ფულს ფასს აკლებდნენ; იკლებდნენ ქვეყანას და, ვინც გაბედავდა და თავის ოჯახის და სამშობლოს დაცვას მოინდომებდა, აკავებდნენ და ხვრეტდნენ; ერთმა სამშობლოს მოღალატემ ლავერნმა ლონგვი დაუთმო მტერს უბრძოლველად; სხვანი კიდევ ემზადებოდნენ უბრძოლველად დაეთმოთ ვერდენი; და რაკი ამ ქალაქს აიღებდნენ, ხომ პარიზამდე ველარაფრით

შევიმაგრებდით. ეს კარგად იცოდნენ ციხეებში დამწყვდეულმა დიდებულებმა; იყვნენ თავისთვის განცხრომაში და ქეიფში და სულ იმას იძახდნენ: მოითმინეთ!.. ჩვენი რიგიც მალე მოვა... ერთი ბრაუნშვეიგი შემოვიდესო! ისე დღე არ გავიდოდა, რომ შესყიდულ კაცებს არ დაეწიოკებინათ ხალხი ყვირილით: „დუქნები დაკეტეთ! პრუსიელები ქალაქში შემოვიდნენო!“ ან არა და: „არიქათ, ბრეტონელები ქალაქს იკლებენო!“ დღე და ღამ ზარის რეკვა ისმოდა: არიქა, ხალხო, მტერი კარს გადგასო! მაშ ბოლო არ უნდა მოგვეღო ამოდენ მოუსვენრობისათვის?! არ უნდა ამოგვეგდო ღალატი? არ უნდა დაგვემტკიცებინა მტრისთვის, რომ თუ ისინი ყველაფერს იზამენ სამშობლოს დასაღუპად, ჩვენც ყველას ვიზამთ სამშობლოს სახსნელად! მაშ არ შეგვეშინებინა? ღმერთო ჩემო! იმას არ დავიფიცავ, რომ დამნაშავეებთან ერთად უდანაშაულონიც არ მოჰყოლოდნენ. მაგრამ, აბა ვალმის ბრძოლაში გამარჯვება პრუსიელებს დარჩენოდათ და გახიზნულების წადილისამებრ პარიზში შესულიყვნენ! სწორედ იმის გამოძიებას გამოუდგებოდნენ, ვინ არის დამნაშავე და ვინ უდანაშაულო! მიჰყვებოდნენ და საცა პატრიოტს დაიჭერდნენ, მაშინვე დახვრეტდნენ! ტყუილად კი არ იწერებოდა ბრაუნშვეიგი თავის პროკლამაციაში, ქვა ქვაზედ აღარსად დარჩებაო. ისე ამოჟლეტდნენ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, რომ ჩვენი ენკენისთვის ამბები იმასთან სახსენებელიც არა ყოფილიყო. მაშ რა დაგვიშავებია? რასაც პრუსიელები და გახიზნულები მთელს ერს უპირებდნენ, რომ მით ძველი წესრიგი შემოეღოთ და დაკარგული უპირატესობანი კვლავ ხელთ ეგდოთ, ერმა სწორედ ის უყო ათასს თუ ათასორას მოღალატეს, რომ ამოდენი წვა-დაგვით შეძენილი თავისუფლება და ადამიანური უფლებანი არ დაეკარგა. ამაზედ ცხადი განაღა იქნება რამე, მაგრამ რას იზამ, რომ კაცი ძალად ხუჭავს თვალს და იძახის — ბნელაო?

ღმერთია მოწამე, რომ მე თვალს არაზედ ვხუჭავდი, მაგრამ ამოდენა სისხლის ღვრა კი გულს მიწყალებდა. ხომ ისე კარგად ამიხსნა ყველა გარემოება, ხომ დამიმტკიცა, რომ იძულებული ვიყავით ასე მოვქცეულიყავით, და მე კი მაინც მიკვნესდა გული და მე მრცხვენოდა ჩვენი რესპუბლიკის მაგივრად. ჯალათი ყოველთვის ჯალათია, გვირგვინი ედგმის თავს, ეპისკოპოსის სკუფია, თუ მუშაკაცის ქუდი.

ერთი სიტყვით, ჩემი სიძე სულ მოწინააღმდეგეებს სდებდა ბრალს: მეფის მომხრეებს რომ უცხოელი ჯარები არ შემოეყვანათ, არც ამოდენი სისხლის ღვრა მოხდებოდაო. — „განა არ შეიძლებოდა ჩვენი უთანხმოება ჩვენშივე მოგვესპო როგორმე და გარეთ არ

გაგვეტანა? განა ლონგვის და ვერდენს მტერი შეუვიდოდა, ღალატი რომ არა ყოფილიყო? მაშ ღალატს დასჯა არ უნდა? პარიზელმა ხალხმა კი არა, გახიზნულებმა და ბრაუნშვეიგმა დაანთხიეს უბრალოთა და უდანაშაულოთა სისხლი, როდესაც პარიზს მიწის პირიდან აღგვას დაემუქრნენ და პარიზელ პატრიოტებს დახოცვას. აი. სიმართლე, თუ მართლა სიმართლე გნებავთ".

.იმ ღამეს ძალიან გვიან მივედი ჩვენს ბინაზედ.

მეორე დღეს, როდესაც მანჰეიმის კარებში დარაჯად ვიდექ, ოთხ საათზედ სადილის შემდეგ, რამდენიმე ბატალიონი ქვეითა ჯარი გავიდა ქალაქიდან, ერთი ბატალიონი ცხენოსანი ჯარი და ხვედრი არტილერია. ხმა გავარდა, ავსტრიელი გენერალი ერბახი მოდის ვორმის და მაინცის საშველად და თან თორმეტი ათასი კაცი ჰყავსო; ეს ის ერბახი გახლდათ, რომელმაც სპირის მაღაზიები ოთხი ათასი კაცის ანაბარად დასტოვა. ერბახი გაჩქარებული მოდიოდა მაინცისკენ, მაგრამ ტყუილად ჩაუარა ცდამ: მეორე დღეს გავიგეთ, რომ ჩვენი ჯარები უბრძოლველად შესულიყვნენ ვორმში: ვორმელები წინ გამოჰგებებოდნენ ყვირილით, თავისუფალ ერს გაუმარჯოსო! და ქალაქის წარმომადგენელთ საფრანგეთის სამფერი კოკარდა ჰქონოდათ ქუდებზედ.

მიუხედავად ამისა საერო კრების კომისარმა პეტრე ბლანშარმა ათას ორასი ოქრო გადაახდევინა ვორმელებს: ნახევარი მოქალაქეთ, რომელნიც ამას წინად გახიზნულთ გაეგებნენ თეთრი კოკარდებით, „მეფეს გაუმარჯოსო!" და ნახევარი უმაღლესს სასულიერო წოდებას, რომელიც სულ იმას შესთხოვდა ღმერთს, ჯოჯოხეთში მოაქციე ყველა პატრიოტიო. ოთხას ორმოცდაათი ათასი ოქრო სპირმა მოგვცა; ას ოცდაათი ათასი იქაურმა სასულიერო წოდებამ, რომელიც აგერ ათი წელიწადი იყო ყალბ ფულსა სჭრიდა და ჩვენში ასაღებდა. გარდა ამისა აუარებელი ხორაგი, იარაღი და ტანსაცმელი ვიშოვეთ სპირის მაღაზიებში. ჩვენც მთელი მაზრა მოვიარეთ და საცა კი ურემი და საქონელი იყო რამე, ყველა სპირში ჩავრეკეთ და დავიწყეთ იმოდენა სურსათის და იარაღის ზიდვა; ლინდაუს გზაზედ ქარავანივით გავაბით ურმები, თან პატარ-პატარა რაზმები გავაყოლეთ დარაჯად და საფრანგეთისკენ გავისტუმრეთ. ვზიდავდით და მაღაზიები კი ისევ სავსეები იყო, არც კი ეტყობოდათ დანაკლისი. სრულს ჰეშმარიტებას იწერებოდნენ გერმანული გაზეთები: ისეა სავსე ჩვენი მაღაზიები, რომ თუნდა ათს წელიწადს გასტანოს ომმა, ჩვენ არა დაგვაკლდება რაო. დიაღ, სრულს ჰეშმარიტებას სწერდნენ! რაც მართალია, მართალია!

რეინზედ მდგომმა ჯარებმა სპირში შევისრულეთ, რაც კი იარა-

ღი და ტანსაცმელი გვაკლდა. ყველგან სამხედრო კომისრები იყვნენ და სუყველაფერს თვალყურს ადევნებდნენ. სპირშივე მივიღეთ კარვები, თითოში თექვსმეტი კაცი უნდა მოთავსებულიყო. მე ჯარისკაცებზედ მოგახსენებთ, თორემ უფროსებს პატარა-პატარა კარვები ჰქონდათ, თითო ყველა აფიცერს. თექვსმეტ კაცს ერთი კარავი ჰქონდა, ორი ქვაბი, ორი ბადია, ორი დიდი ალთაფა, ორი წერაქვი, ორი ბარი, ორი ცული. მთელი ევროპა შემოვიარეთ, საშინელ ომებს დავესწარით და ამის მეტი ჩვენ არა გვქონია რა. ცხენოსან ჯარს რვა კაცზედ თითო კარავი მისცეს.

ამ იარაღის მიღება მით უფრო გვახარებდა, რომ ჩვენივე შეძენილი იყო და რესპუბლიკას გროში არ ჰქონდა დახარჯული. კიდევ კარგი, რომ კუსტენმა არ ააკლებინა ქალაქი და სამხედრო მაღაზიები: რამდენიმე გაიძვერა გამდიდრდებოდა და თავისუფლებისთვის მებრძოლნი კი უარარაოდ დარჩებოდნენ. ჩვენდა საუბედუროდ შემდეგში კუსტენის მაგალითს არავინ მისდევდა, და ამიტომ იყო, რომ ჯარისკაცი — და თავისნებით გასული შეთქმული — ხშირად შიმშილით და სიცივით კვდებოდა და რამდენიმე ქურდბაცაცა კი იმოდენს იძენდა, რომ არამც თუ თითონ, მისი შვილები და შვილიშვილებიც კი ვერცხლითა კოჭაობდნენ. რას იზამთ, ასე ყოფილა ყოველთვის: ერთი ძმა რომ თავგანწირვით იბრძოდეს სამშობლოს კეთილდღეობისთვის, მეორე ქურდობის და გამდიდრების მეტს არასა ცდილობს და უკანასკნელ ლუკმასა ჰპარავს თავის ძმას, რომელიც, იმას რომ ჰკითხოთ, სულელია, თორემ ასე პატიოსანი და საზოგადო საქმისთვის თავგამოდებული არ იქნებოდაო.

IV

ძალიან საქმე გვიყვეს სპირისა და ვორმის მაღაზიებმა: ახლა კი სულ ყველაფერი გვქონდა, რაც კი ჯარისკაცის კუთვნილია და ისე ვიყავით გამზადებული, რომ აღარაფრისა გვეშინოდა. ვინ არ ინატრებდა ჩვენს ადგილზე ყოფნას! პრუსიელებისას არას მოგახსენებთ, რადგან შამპანიის ჰაერმა ძალიან დააზიანა უბედურები: იმოდენი ყურძენი ეჭამათ, რომ ყვანა შეჰყროდა ყველას, თავი დაენებებინათ ზარბაზნებისთვის და ბარგისთვის და ისე მიეშურებოდნენ შინისკენ, რომ უკან არც კი იხედებოდნენ. მტარვალთა ჯარი უკან მიდიოდა.

უღმერთოდა ხოცავდნენ საწყლებს ჩვენი გლეხკაცები: ჩაუსაფრდებოდნენ სადმე ღობის ძირას, ან ბუჩქნარში, ან ტყეში და ხოცავდნენ და ხოცავდნენ. დედაკაცები უარესნი იყვნენ. მარატის აზრით კი ესეც არა კმაროდა. დიუმურიეს უსაყვედურებდა, გაქცეულ

მტერს არ სდევნი და გზას არ უკრავო. მე მგონია, მარატი მაშინ მოისვენებდა, როდესაც ავსტრიის ხელმწიფე და ბრაუნშვეიგი ხელში ეყოლებოდა, რომ ჩამოეხრჩო და მით დაემტკიცებინა ქვეყნისთვის, რომ საფრანგეთში მტრულად შესული სიკეთეს ვერ ნახავს. და მართალიც იყო, რადგან შემდეგში გამოცხადდა, რომ დიუმურიეს თურმე საიდუმლოდ პირობა ჰქონდა პრუსიის მეფესთან და ამიტომ თავაზიანად ექცევოდა მის ჯარებს.

ჯერ კარგად იყო ჩვენი საქმე: პრუსიელნი თავგადაგლეჯილნი მიეშურებოდნენ უკან; ქალაქ ლილის ასაღებად მოსული გახიზნულები და ავსტრიელები უკან მიდიოდნენ: ჩვენი ჯარები გენერალი ანსელმის წინამძღოლობით ნიცცაში შევიდნენ; აჯანყებული ვანდელები დროებით მაინც დავამშვიდეთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად იყო. სასიამოვნო ამბები ყოველ დღე „კონვენტის დღიურს“ მოჰქონდა, რომელსაც ჯარებს ურიგებდნენ. კარნომ და პრიორმა დასდეს წესად ჩვენს ჯარში „კონვენტის დღიურის“ დარიგება და რამდენიმე თვის შემდეგ 1793 წ. თიბათვეში რესპუბლიკამ დაადგინა მთელი საფრანგეთის ჯარისთვის ეცნობებინა გაზეთით საერო კრების დადგენილებანი.

ამგვარად ყოველმა ჯარისკაცმა იცოდა მიზეზი ომისა; იცოდა, რა ამბები ხდებოდა პარიზში, ან რას ამბობდნენ კლუბები და საერო კრება. ამის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ შეგნებით ვიბრძოდით სამშობლოსათვის, და არა ისე, როგორც ეხლანდელი ჯარისკაცი სჩადის: მიჰყავთ საწყალი, ყველაფრის უვიცი, და უსულო მანქანასავით ათამაშებენ ხან აქეთ და ხან იქით; დღეს რომ ეშმაკზედ წაიყვანონ და ხვალ ღმერთზედ, ის ვერას გაიგებს და ორივეს ერთნაირად შეებრძოლება. განა არ შეიძლება დღეს მაინც გაიხსენონ ეს დავიწყებული ჩვეულება და ხელახლად შემოიღონ ჯარში სამხედრო გაზეთის დარიგება. დიდად ასარგებლებს ეს დღიური ჯარში მყოფ ჩვენს შვილებს. სხვა რომ არა იყოს რა, იმას მაინც გაიგებენ, ვის ან რად ებრძვიან და თავს რას აკლავენ უბედურები.

რამდენიმე დღის შემდეგ 17 ღვინობისთვეს 1792 წ. წასვლის ბრძანება მივიღეთ. უცბად შევემზადენით, — თოფი და გუდა, სხვა კი არა გვაწუხებდა რა — და ვორმისკენ წავედით. სპირის მიდამოში რაც ჯარები იყო, ისინიც ჩვენ მოგვდევდნენ. აღარ წვიმდა, მაგრამ საშინელი ბურუსი იდგა რეინზედ და აბნელებდა ქვეყანას.

გავცილდით თუ არა ქალაქს, მარცხნივ გადავუხვიეთ და მთელი ექვსი საათი სულ ტყეში ვიარეთ. მშვენიერი მუხის ტყე იყო, დაბურული ტყე და იმ ბურუსიან დღეში ისე ბნელოდა, რომ ღამე გეგონებოდათ.

აქა-იქ ძველი ციხეების და კოშკების ნანგრევები გვხვდებოდა, — დახავსებული, ჩაშავებული ნაშთები ძველის ძლიერებისა. ჩემს გვერდით მიმავალი მოხუცი სომი ამბობდა:

— ამ ასის წლის წინად მეფე ლუი XIV ტიურანი გამოგზავნა აქ დიდი ჯარით; ერთ ღამეში ოთხასი სოფელი გადააწვევინა და იმოდენივე ციხე-სიმაგრე დაანგრევინა. მეფე იყო და თავის ქვეყანაში რა გაუბირდებოდა?!

ტყეს გავცდით და გაშლილ მინდორზედ დანგრეული ციხეების გარდა კეთროვანებისთვის აგებული რამდენიმე შენობა ვნახეთ. მაგრამ უკეთესი იქნება, შენობა კი არა, სასაფლაო ვთქვა, რადგან ავადმყოფებს არავითარი მოვლა არა ჰქონდათ და მარტო იმიტომ იყვნენ იქ, რომ მალე მომკვდარიყვნენ. გერმანელები რომ სიმართლის მიმდევარნი იყვნენ, იმასაც აღიარებენ, რომ ჩვენ გავათავისუფლეთ ისინი ბატონყმობისაგან; ჩვენ გავათავისუფლეთ ისინი კეთროვანთა საავადმყოფოებისაგან და ჩვენ გადავაგდეთ იმათში ადამიანის წამება. იმათ კი ისე მოსწონდათ ბატონყმობაც და წამებაც,—შეჩვეული ჭირი გვირჩევნია შეუჩვეველ ლხინსაო,—რომ იძულებული გავხდით ერთი ასჯერ მაინც დაგვემარცხებინა, ვიდრე გონებაზედ მოვიყვანდით. გვიკვირდა ასეთი კერპობა! იტყოდით, მათხოვარია, რომელსაც უპუპყოდ და უმატლოდ ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნია და განცვიფრებული შეჰყურებს, ვინც მას სუფთა სარეცხს აჩუქებსო.

მაგრამ ჩვენს გზას მივყვეთ.

მინდორი გავიარეთ და მთის ფერდობს მივადექით. მთელი ფერდობი ვენახებით იყო გაშენებული და, მართალი უნდა მოგახსენოთ, ისე კარგად მოვლილი ვაზი მე ჩემს დღეში არსად მინახავს. მთისთვის რომ შეგეხედნათ, იტყოდით, კიბე მიუდგამთ ზედ და ამ კიბის ყოველ საფეხურზედ ვაზი დაურგავთო. ვიცი, ძალიან მშრომელია გერმანელი, ისიც ვიცი, რომ ძალიან უყვართ კარგი ღვინო, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ზურგით აიტანდა იმ სიმაღლე მთაზედ პატივს და მიწას და ციცაბო კლდეზედ სამაგალითო ვენახს გააშენებდა. გაკვირვებულნი ვიყავით ყველანი. საუცხოო სურნელოვანი ღვინო გიახელით — თეთრი და ვარდისფერი; მაგრამ იმისთანა მაგარი რამ იყო, რომ ძალიან კარგი მსმელი უნდა ყოფილიყო, რომ ორი ბოთლისთვის გაეძლო და იქვე სუფრაზედ არ გადაგორებულიყო.

ჩვენ რომ მივედით, რთველი ჰქონდათ, თითქო ომი და ჯარების სვლა იმათ სრულიადაც არ შეეხებათო. ჰკრეფდნენ გაფაციცებულნი და მოსაკიდებით ეზიდებოდნენ ყურძენს. ხანდახან შედგებოდნენ და მაღლიდან, დაბლად გასხლულ ვაზებიდან გადმოგვხედავდნენ. გაუ-

მარჯოს რესპუბლიკას! შევძახოდით ძირიდან და ისინიც მხიარულად ქუდს გვიხდიდნენ და ქალები ცხვირსახოცს გვიფრიალებდნენ. ეჰ, რა კარგი იქნება, რომ სხვადასხვა ერს ერთმანეთში შეთანხმება შეეძლოს! რა კარგი იქნება, რომ თავიდან მოიშორონ ის ქვეყნის მტერი მეფენი, რომელნიც კაცობრიობას ძალად ხალხებად ჰყოფენ და მით დიდებას იხვეჭენ. სამოთხე საიქიოს კი არა, სააქაოს გვექ: ნებოდა.

ორ საათზედ ერთ კარგ სოფელში გაჩერდა ჯარი პურის საჭმელად.

სამ საათზედ ისევ გზას გავუდექით და ცხრა საათზედ იმ საღამოსვე პატარა ქალაქ ალზიეში შევედით, მაინცის ახლოს. დიდი მანძილი გავიარეთ იმ დღეს და ისე დავიღალენით, რომ ბევრს ჩვენგანს მეტი სიარული აღარც კი შეეძლო.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ალზეი. ისე იყო ჯარებით სავსე ქალაქი, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა, ჩვენ რომ შევედით. მე, ივანე სომი, ჩვენი მენაღარე ივანე და მარკოზ დიევ ერთად დაგვაყენეს იმ ღამეს ერთს ფოსტის მოხელესთან. ჩვენი ოთახი ზემო სართულში იყო, რომლის ფანჯრიდან ფოსტის ეტლებით სავსე ეზო ჩანდა. ვახშმად მასპინძელმა თავისთან მიგვიპატიჟა.

იმისთანა დიდი და მშვენიერი სამზარეულო ჰქონდა, რომ ნათლიაჩემის სამზარეულო იმასთან სახსენებელიც არ არის. ალბად ძალიან შემძლებელი კაცი იყო ჩვენი მასპინძელი, რომ ბუზივით ირეოდნენ მოსამსახურეები, მოახლეები, ფოსტალიონები და შიკრიკები. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა ეზოში, როდესაც დაიძახეს — საფრანგეთის დროშები შემოიტანეს ქალაქშიო! იხუვლეს იმოდენა მოსამსახურეებმა, გაცვივდნენ ეზოში და ყველას უნდოდა თავლიდან ცხენი გამოეყვანა და ცხენით დახვედროდა უმთავრესს ჩვენს ჯარს.

გამოვიცვალეთ თუ არა ფეხსაცმელი, მაშინვე სამზარეულოში ჩავედით, რომ გავმთბარიყავით. შევედით და მოახლეებიც თან დაგვედევნენ; იდგნენ შორიახლოს და ისე გვსინჯავდნენ, თითქო რესპუბლიკელი სულ სხვანაირი ადამიანი უნდა იყოსო. გვიყურებდნენ გაშტერებული, მაგრამ როგორც კი მივიხედავდით იმათკენ, დამფრთხალი მტრედებივით აიშლებოდნენ.

ცოტა ხანს უკან მასპინძელიც მოვიდა. მაღალ-მაღალი კაცი იყო, გამხდარი, შავგვრემანი, შავთვალწარბა.

— გამარჯვება თქვენი, მამულიშვილნო! — მოგვესალმა ფრანგულად. — მობრძანდით, სუფრა გაშლილი გახლავთ.

იმისთანა მშვენივრად იყო მორთული სასადილო ოთახი, თითქო უბრალო ჯარისკაცებს, და ისიც ძალად ჩაყენებულს კი არა, გული-

თად მეგობრებს ელოდებოდა სახლისპატრონიო. სუფრა მართლა გაშლილი დაგვხვდა, მაგრამ ჩვენი მასპინძელის ცოლი და ქალები კი იქ არ იყვნენ.

დავსხედით და პირჯვარი გადავიწერეთ. ხან მოსამსახურე შემოკიდოდა, ხან ფოსტალიონი და ისიც განკარგულებას აძლევდა და თან ზოგს საჭმელსა გვთავაზობდა, ზოგს ღვინოს გვისხამდა, თითქო ჩვენზედ უკეთეს სტუმარს ის ნატვრითაც ვერ ინატრებდა. ბაასი, რასაკვირველია, ჩვენს ომს შეეხო და რევოლუციას. ჩვენი მასპინძელი ყველაფერზე დალაგებით, დარბაისლურად ლაპარაკობდა და მით უფრო გაკვირვებულნი ვისმენდით იმის სიტყვას, რომ მშვენიერ ფრანგულს ლაპარაკობდა, ძველს, წმინდა ფრანგულს.

ამ ლაპარაკში ისე გავერთენით, რომ თერთმეტი საათი დაკრა და ჩვენ კი ისევ სუფრაზედ ვისხედით. ქალაქს უკვე ეძინა; ეძინა ქალაქის მიდამოსაც და ჯარის დარაჯების დროგამოშვებით ძახილი რომ არა ყოფილიყო, სრული მდუმარება იქნებოდა ჩვენს გარშემო. ივანე სომმა ჩიბუხს მოუკიდა. მასპინძელმა ერთხელ კიდევ დაგვისხა ღვინო. ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

— ეს მიბრძანეთ, თუ შეიძლება, მამულიშვილო... თქვენ ისეთ წმინდა ფრანგულს ლაპარაკობთ, რომ არც კი გამიკვირდება, რომ ფრანგი ბრძანდებოდეთ.

— მართალსა ბრძანებთ, — მიპასუხა მასპინძელმა, — მე ფრანგის შთამომავალი გახლავართ. ერთის იმ უბედურთაგანის შთამომავალი, რომელიც თავიანთ სარწმუნოებისა გამო განდევნილ იქმნენ სამშობლოდან.

ესა თქვა და ჩაფიქრდა. მეც გულაჩქროლებული შევყურებდი ასე მოულოდნელად ნაპოვნს ჩემი ქვეყნის შვილს. ჩემსავით ფრანგს, ჩემს ძმას და ბრაზი მომდიოდა იმ სისულელეზედ, რომელიც სარწმუნოების სახელით ძმას ძმაზედ ამხედრებდა და სამშობლოდან სდევნიდა. მაშინ სულ სხვა თვალით შევხედე ჩემს მასპინძელს, დაწვრილებით ვუამბე შოველის ამბავი და ისიც ვუთხარ, რომ შოველის ქალი და მე დანიშნულები ვართ-მეთქი.

— ბედნიერებაც ის არის, რომ კაცმა პატიოსან ოჯახიდან გამოიყვანოს თავისი საცოლე, — მითხრა ამაზედ სახლის პატრონმა.

მერე კი თითონაც გვიამბო თავისი ამბავი. მისი პაპა იაკობ მერლინი სერვინის ახლოს მდგარიყო და კარგი შეძლებული ოჯახიცა ჰქონოდა — სახლით, კარით, საქონლით და მამულით; კალვინისტი თურმე იყო და, ღმერთმა ხომ იცის, სიკეთის მეტს არავის რას უშვრებოდაო. სწორედ იმ დროს მოინდომა დიდებულმა მეფემ ლუი XIV თავის ცოდვათა მონანიება: მოგეხსენებათ, მეფე ლუი XIV

საშიხელი გარყვნილი კაცი იყო, და თუძცა დედოფალი ცოცხალი ჰყავდა, ისე იცვლიდა ცოლებს, როგორც ცხვირსახოცებს. დიაღ, მეფემ მოინდომა ცოდვათა მონანიება, რათა საიქიოსაც არ დაჰკარგოდა მეუფება და ღვთის გვერდით ისიც ტახტზედ ყოფილიყო გამოჭიმული უკუნითი უკუნისამდე.

ბერებმა კარგად ისარგებლეს ამით და გამოტვინებულს მეფეს მოახსენეს: შენ იმისთანა ცოდვილი ბრძანდები, რომ თუ გინდა საუკუნო სასუფეველი დაიმსახურო, ერთიანად უნდა ამოჟლიტო კალვინისტები დიდით პატარამდე, რათა განიწმინდოს შენი სამფლობელო უწმინდურებისაგანაო. ამაზედ უკეთესი რა იქნება: სიყმაწვილეში, მანამ ჯანი და გული მოგდევს, სცოდე და იმრუშე, რამდენიც გენებოს; და სიბერეში, როდესაც ცალი ფეხი საფლავში გედგას, ბერებს მიმართე და ისინი გასწავლიან ცოდვათა მონანიებას. მეფე ლუი XIV ასწავლეს ბერებმა. და იმანაც ბრძანება გასცა: მოსანანიებლად ცოდვათა ჩემთა, საცა საფრანგეთში კალვინისტი იყოს, კათოლიკური სარწმუნოება მიაღებინეთ და ამისთვის ყოველი ღონისძიება იხმარეთო! და იცით, რა ღონისძიებას ხმარობდნენ ჩვენს წინააღმდეგ? დედას შვილს სტაცებდნენ; ოჯახის მაცხოვრებელ მამას მთამადნებში სამუშაოდ გზავნიდნენ შებორკილს; ყოველ საკუთრებას გვართმევდნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ; და რასაც ვერ წაიღებდნენ, სწვავდნენ, ანგრევდნენ, წყალს აძლევდნენ. გაუძალიანდებოდა ვინმე და წამებას მიაყენებდნენ. გიჟები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ის სარწმუნოება მიეღოთ, რომლის სახელით მათ აწამებდნენ და რომელსაც ეკუთვნოდა ღვთისა და ქვეყნის მტერი მათი მტანჯველი მეფე. აიყარა მაშინ საფრანგეთი და თუმცა ყველა საზღვრები შეკრული იყო და ვისაც მოასწრებდნენ, ძაღლებსავით ხოცავდნენ, დიდძალი ხალხი გაიპარა საზღვარგარეთ. მიდიოდნენ საწყლები და თან თავიანთი წვრილშვილი და მოხუცებულები მიჰყავდათ, სხვას ყველაფერს თავს ანებებდნენ. რამდენიმე ასი ათასი ოჯახი გაიხიზნა მაშინ სამშობლოდან და, რადგან ყოველი ცოდნა და ხელოვნება კალვინისტებში მოიპოვებოდა და ამასთან პატიოსნებას მათ მტერიც კი ვერ უძრახავს, საცა მივიდნენ უცხოეთში, იქ გააჩაღეს ფრანგული ვაჭრობა და მრეწველობა. გერმანიამ, ინგლისმა, ჰოლანდიამ და თვით ამერიკამაც უცბად წამოიწიეს მაშინ მრეწველობით და საფრანგეთმა კი უკან დაიწია. რითიც კი განთქმული იყო საფრანგეთი, შალები, ტყავი, ჭურჭელი და სხვ. და სხვ., ერთი სიტყვით, სუყველაფერი, რაც კი შეადგენს ერის სიმდიდრეს, უცხოეთში უკეთესი მზადდებოდა, ვიდრე თვით საფრანგეთში. მეფე კი თავისას არ იშლიდა და ფულს ისე აბნევდა, თითქო მტვერია და

აწუხებსო; ამასთან შეუწყვეტელი ომი ჰქონდა თავის მეზობლებთან. ხარჯი დღითიდღე მატულობდა და საუკეთესო მუშაკნი კი უკვე განდევნილნი იყვნენ სამეფოდან, რომ თავიანთი ნამუშევარი საზღვარგარეთ გაეზიდათ და სამეფოში ფული შემოეტანათ. ქვეყანა გაღარიბდა, გაღატაკდა. მეფე ლუი კი თავისას არ იშლიდა და, როდესაც ისე დაუძლურდა, რომ ვეღარას იმაგრებდა, ეგდო თავის სიბინძურეში და ღმერთსა ჰგმობდა:

— ღმერთო, ღმერთო! განა ასე დამიფასე, რაც მე შენთვის ხალხი ვტანჯეო?!

— მარტო ეს სიტყვებიცა კმარა, რომ წარმოიდგინოთ, რა უგუნური უნდა ყოფილიყო მისი დიდებულება! დარწმუნებული იყო უბედური, რომ ყოვლად შემძლებელი ღმერთი, ღმერთი ცისა და ქვეყნის მპყრობელი, მე თუ არ დავეხმარე, საქმეს ვერ გაირიგებსო! ბოლოს, როგორც იყო, თქვენი ჭირი წაიღო და დიდი ვალი უანდერძა სამეფოს. ამ ვალმა მეფე ლუი XV დროს უფრო და უფრო იმატა, რადგან საფრანგეთში აღარც რამე წარმოება იყო, აღარც მრეწველობა და ყველაფერი საზღვარგარეთიდან შეჰქონდათ. საქმე იქამდის მივიდა, რომ მეფე ლუი XVI, რაკი ვეღარა მოუხერხა რა ამ ვალს, იძულებული იყო დიდებულნი მოეწოდებინა და მერე თვით საერო კრებაც, რომელსაც მოჰყვა რევოლუცია, ადამიანის უფლებათა აღიარება, წარჩინებულ წოდებათა უპირატესობათა გაუქმება, ერთი სიტყვით, იმისთანა წესწყობილება, რომ მუშაკაცმა თავის ნაშრომზედ გაიხაროს და მუქთახორა სხვისას აღარა სჭამდეს.

აი, რა გვიამბო ძველმა ფრანგმა.

მერე პირად თავის ოჯახის ისტორიას შეეხო; გვიამბო, როგორ მიუვარდნენ მის პაპას ერთ საღამოს დრაგონები ბრძანებით, ეხლავე კათოლიკური სარწმუნოება მიიღეთო. დაერივნენ ჯარისკაცები იქაურობას. გაგეძარცვეს, სუყველაფერი წაგვართვეს, რაც კი ღირდა რადმე; გვცემდნენ ხმლის ყუით და მათრახებით; მაწოვარს ნებას არ აძლევდნენ ბავშვისთვის ძუძუ მიეცა. გვტანჯავდნენ, გვაწამებდნენ, რომ ჩვენი ღმერთისთვის გვეღალატნა. ბოლოს ისე შეგვაწუხეს, რომ ერთ ღამეს სუყველაფერს თავი დავანებეთ, — წინაპართა საფლავებსაც, სახლ-კარს და საკუთარი ოფლით მორწყულ მამულებსაც — და გამოვეპარენით ჩვენს მტარვალებს. გამოვედით უცხოეთში და არც ფული იყო ჩვენთვის, არც პური, არც ბინა, არც მეგობარი და ნაცნობი. შინ კეთილ ცხოვრებას ჩვეულნი, ახლა დღიურ მუშად უნდა გავსულიყავით, რომ ლუკმაპური გვეშოვნა როგორმე. ჩვენი ცოლები და ქალები მოჯამაგირეებად, მოახლეებად უნდა დამდგარიყვნენ და ვინ იცის, რამდენი შეურაცყოფა და დამცირება

აეტანათ. ჩვენი მოხუცებულები, რომლებსაც თავისი წილი უკვე ეშრომნათ და ახლა მოსვენებაღა უნდოდათ, წელში მოხრილნი, ათრთოლებული ხელებით მაინც საქმეს ეძებდნენ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ღმერთო, ღმერთო! მერე რისთვის გვტანჯეს ამოდენა? მარტო იმისთვის, რომ ვიღაცა გარყვნილს და გიჟს ეგონა ამით მოვიპოვებ სასუფეველსა ღვთისასაო!

— საფრანგეთში ჩვენი სახლ-კარი და მამულები მართებლობას და ჯაშუშებს დარჩათ. — განაგრძო სახლის პატრონმა. — დიდი ხანი ეწვალნენ პაპაჩემი და მის სახლობა, დიდი ხანი იტანჯნენ და შვილებს დიდი განძი დაუტოვეს სამკვიდროდ: შრომის სიყვარული და ყაირათი. მას შემდეგ მოდის ჩვენი ოჯახი და ღვთით, შრომით და ყაირათით ისევ ფეხზედ წამოვაყენეთ ძველი, ყველასგან პატივცემული გვარი.

გაჩუმდა. ეტყობოდა მწარე ფიქრებმა გაიტაცეს. მაშინ ვკითხე:

— ნუ თუ თქვენს დღეში არ დაგნანებიათ თქვენი სამშობლო? ნუ თუ ჩვენც გვემდურით რასმე? ჩვენ ხომ თქვენთვის არაფერი დაგვიშავებია? თქვენ მეფისაგან გჭირთ, რაცა გჭირთ; ხალხს თქვენთვის არაფერი დაუშავებია. მეტადრე იმ დროს: იმისთანა გაუნათლებელი რამ იყო ხალხი, რომ ავიც რომ ექნა რამე, სიბრალულის ღირსი უფრო იქნებოდა, ვიდრე სიძულვილისა.

— რაც ხანი ბურბონები მეფობდნენ საფრანგეთში, — მიპასუხა მასპინძელმა, — ჩვენგანს ერთსაც არავის უნანია დაკარგული სამშობლო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალხი აიშალა, ადამიანის უფლებანი აღიარა და მათ დასამტკიცებლად იარაღით წინააღუდგა მთელი ქვეყნის მტარვალებს, ჩვენმა ძველმა ფრანგულმა გულმაც კვლავ ფეთქვა დაიწყო და ყველა ჩვენგანმა ამაყად წამოიძახა, მეც ფრანგი ვარო!

და ეს რომ თქვა, ფერი წაუვიდა და, არ შემნიშნონო, წამოდგა და სიარული დაიწყო. ივანე სომი ნიდაყვებზედ დაყრდნობილი გაჩუმებული ყურს უგდებდა მის ლაპარაკს. მერე ჩიბუხი გამობერტყა და თქვა:

— დამიწყებენ, ენკენისთვის ამბებიო! განა ეგ უარესი არ არის? მაშინაც ხომ განსაცდელში არ იყო სამშობლო, რომ ასე აწამებდნენ ამ საწყლებს! მაშინაც ხომ ომი არ იყო, რომ მოღალატე გენერლებს უომრად დაეთმოთ მტრისთვის ჩვენი ციხე-ქალაქები? მაშინ ხომ პრუსიელები შამპანში არ იყვნენ! რა დააშავეს მერე კალვინისტებმა? ქვეყნის ღალატს აპირებდნენ, თუ რა? ცხოვრობდნენ თავიანთთვის და სულ იმის ნატვრაში იყვნენ, რომ თავისებურად ელოცათ ღმერთი!... რა გვიან ყოფილა! შუა ღამეა, ბიჭებო! ხვალ ადრე დაიძვრის ჩვენი რაზმი.

ყველანი ავდექით. მასპინძელმა სანთელი აანთო, კიბემდის მიგვაცილა, და ღამე მშვიდობისა გვისურვა.

რა კარგად მახსოვს ეს ამბავი. მგონი მაშინვე მარგალიტას მივწერე დაწვრილებით. ალბათ დაიკარგა წერილი. მაგრამ წერილი რა საჭიროა, მე უიმისოდაც მშვენივრად მახსოვს ალზეელი ფრანგის სიტყვები. თუ არიან სადმე იმის შვილიშვილები, იქნება ხელთ ჩაუვარდეთ ჩემი ისტორია და გაიგონ, რა აზრისა იყო მათი პაპა მეფე ლუი XIV-ზედ.

V

მეორე დღეს დილაადრიანად მაინცის გზას გავუდექით. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში იმისთანა ბურუსი იდგა მთელს იმ მხარეში, რომ ათს ნაბიჯზედ კაცს ვერ გაარჩევდით; ბურუსს წვიმაც მოჰყვა და ჯერ შუადღე არ იყო, რომ თავით ფეხებამდე გაწუწულები მივტოპავდით ტლაპოში. საღამომდის იწვიმა. ჩვენდა საუბედუროდ იმისთანა ქუდები გვეხურა, რომ ღრუბელივით გაიჟღინთებოდა ხოლმე და კარგა ხანი გაივლიდა, ვიდრე სრულებით გაშრებოდა.

ძალიან სასიამოვნო ამბავი გვითხრეს გზაში: ვორმიდან წასულს ჩვენს ჯარს რეინის პირას ჩაევლო და ოპენჰეიმის ხიდი უკვე ხელთა ჰქონდა. მაინცის მისავალში, რაც სიმაღლეები არის, ჩვენს ჯარებს დაეჭირათ; მაინცი იქვე იყო ჩვენს თვალწინ თავისი ვენახებით, რომლებიც ტყეს უერთდებოდა.

იმ საღამოს ჩვენი რაზმი ტყის პირას დააყენეს ქალაქის პირდაპირ. კარვები დავდგით, დარაჯები დავაყენეთ და საჭმელის მოსატანად გავგზავნეთ ბიჭები; ჩვენ კიდევ ცეცხლის ანთებას ვცდილობდით, მაგრამ მოდი შენა და ნედლ შეშას, ისიც წვიმიან დღეში, ცეცხლი მოუკიდე. ჩვენი ბატალიონი წისქვილის ახლოს იდგა და ვერ წარმოიდგენთ, რა სახით გვსინჯავდნენ მეწისქვილე და მისი ოჯახის შვილნი. სწორედ იმ წისქვილში ჩამოხტა გენერალი კუსტენი თავის ამალით და, რასაკვირველია, იმ ღამეს მეწისქვილესთვის არავის არაფერი არ წაურთმევია, თორემ ისე გავანადგურებდით იქაურობას, რომ მეორე დღეს აღარც პური ჰქონოდა, აღარც ღვინო და აღარც თივა. რას იზამთ? ომის შედეგი ეს გახლავთ და როცა კუჭი შიმშილით გეწვის და თანაც იცი, რომ მტერი გარს გახვევია, საკუთარი სიცოცხლის მეტი აღარა გეზოგება რა.

იმ ღამეს წისქვილს ჰუსარები შემოერტყნენ და მეწისქვილემ იქნება ვერც კი გაიგო, რა ბედნიერი იყო, რომ გენერალს გაუმასპინძლდა და არა მთელ ჯარს.

ცეცხლი ავანთეთ, როგორც იყო. ხორცი დაგვირიგეს. საშინელი ბნელი ღამე იყო. მშვენიერი სანახავი იყო ცეცხლით გაჩაღებული, ტყით დაჩრდილული ჩვენი ბანაკი, რომელზედაც ხეებიდან წვიმის წვეთი ცვივოდა, მაგრამ ჩვენ ისე დაღლილები ვიყავით, რომ მოსვენების მეტი აღარა გვაგონდებოდა რა. პური გიახელით და იქვე მივეყარენით სველ მიწაზედ...

ისე ტკბილად ჩემს დღეში არსად არ მძინებია.

მეორე დღეს, 19 ღვინობისთვეს 1792 წ. მაინცის ერთ-ერთი კარი უნდა შეგვემტვრია; ყველა ხედავდა, რომ აქ ისე ადვილად ვერ გავიმარჯვებდით, როგორც სპირში, რადგან ქალაქი სამაგალითოდ იყო გამაგრებული. მაგრამ დიდი რამ ყოფილა გამარჯვება: თუ ერთი გაიმარჯვა კაცმა, მერე აღარავის დაერიდება, თუნდა ასზედ მიდიოდეს მარტოდმარტო. გარდა ამისა ისიც ვიცოდით, რომ დღეს გენერალი წინ იმ რაზმებს გაგზავნიდა, რომელნიც ჯერ ბრძოლაში არა ყოფილიყვნენ. წინ გაგზავნიდა და კარგად იცოდა, ძალიანაც რომ გასჭირებოდათ, ზურგს არ უბრუნებდნენ მტერს. ღვთის მადლით, მაინცის მოურავი არაფრით ჰგავდა ქ. სპირისას: მაინცის მოურავი წარჩინებული კარისკაცი იყო, ერთი იმათგანი, რომელნიც გენერლობას ლამაზი ქალის წყალობით გაიკრავენ ხოლმე. კუსტენს მაშინვე აცნობეს რესპუბლიკის მომხრე გერმანელებმა ეს გარემოება და იმასაც იმედი მიეცა, იქნება ისე მოვახერხოთ საქმე, რომ ბარონმა გიმნიხმა თავისთავად გაგვიღოს ქალაქის კარი და ბრძოლა აიცდინოსო. ამისთვის საჭირო იყო ბარონისთვის ეგრძნობინებინა, რა განსაცდელში ჩააგდებდა იგი თავის თავს და მთელს ქალაქს, თუ ფრანგების ჯარს გაუძალიანდებოდა. იმისთანა ეშმაკურად გაობა კუსტენმა მახეში მისი ბრწყინვალება ბატონი ბარონი, რომ სიცილით იხოცებოდა მთელი ჩვენი ჯარი.

უნდა მოგახსენოთ, რომ მაინცში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ექვსი ათასი კაცი მაინც იქნებოდა შეიარაღებული, — გარნიზონი, ავსტრიელები, დიდებულების მონადირეები და მოსამსახურეები, და, ასე გასინჯეთ, თვით სტუდენტებიც კი რაზმად შემდგარიყვნენ და იარაღით გვიპირებდნენ დახვედრას. სპირში ავსტრიელები სამი ათასიც არ იქნებოდნენ; გარდა ამისა მაინცს ისეთი სიმაგრეები ერტყა, რომ მისი აღება ძალიან გაგვიჭირდებოდა.

19 ღვინობისთვეს კუსტენი თითონ გავიდა მაინცის ციხეების დასათვალიერებლად; თან მერიე და ორი-სამი აფიცერი სხვა ახლდა. ბანაკიდან მშვენივრად ვხედავდით შორს მტრის სიმაგრეებთან მისულს ჩვენს უფროსებს და მართლაც ისე ახლო მისულიყვნენ, რომ ციხიდან სროლა დაუწყეს. ჩვენი ბანაკიდანაც ზარბაზანი დაცალეს.

ატყდა საშინელი სროლა. იმავე დროს მაინცის ციხიდან ცხენოსანი რაზმი გამოვიდა და ჩვენებს დაედევნა. კუსტენმა ცხენი გამოაბრუნა. ისიც კმაროდა, რაც ნახა: დარწმუნდა, რომ მაინცის აღება შეუძლებელი იყო, თუ მთელი თავისი ჯარით ერთ რომელსამე ციხეს არ მიადგებოდა და არ შეანგრევდა.

საუბედუროდ, შამპანში დამარცხებულ პრუსიელებს მდევარი არ მოსდევდა, რადგან გენერალ დიუმურიეს იმის მაგივრად, რომ ერთიანად ამოეწყვიტა, გზა მშვიდობისა დაელოცა მათთვის. შეიძლებოდა უკანიდან მოევლოთ ჩვენთვის; შეიძლებოდა ისე მოეგვარებინათ საქმე, რომ წინ მაინცის სიმაგრეები ყოფილიყო, უკან ისინი და შუაში ჩვენ შევემწყვდიეთ. ამიტომ დაჩქარება იყო საჭირო: ან ქალაქი უნდა აგვეღო, ან უკან გავბრუნებულიყავით.

დარწმუნებული ვიყავით, იერიშით მივალთ და ქალაქს ავიღებთო.

მთელი დღე მზადებაში გავატარეთ. მეორე დღეს რაზმის უფროსი ჰუშარი მაინცს წავიდა მოსალაპარაკებლად. დიდი ხანი იყო ქალაქში და სადილს უკან პირველ საათზედ დაბრუნდა. ბრძოლა აუცილებელიაო, ვიძახდით და ბრძანებასღა ველოდით. მაგრამ ბრძანება არსად იყო და ახლა სხვანი მიდიოდნენ მოსალაპარაკებლად. საღამოს 6 საათზედ კუსტენმა თავის ამალით მთელი ჯარი დაათვალიერა. ამბობდნენ, ქვემოშარანტელებმა შეჰყვირეს: იერიშიო! და იმანაც უპასუხა: ძალიან კარგი! მზად იყავით... ყველაზედ წინ თქვენ იქნებითო!

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! — შესძახა ჯარმა თავის საყვარელ გენერალს, როდესაც ერთი კაცი კიდევ გამოვიდა ქალაქიდან და მოსალაპარაკებლად წამოვიდა. კუსტენი წინ მიეგება და თითონვე შემოიყვანა ბანაკში, ისე რომ თვალები არც კი აუხვია. ჯარი კი თავისას გაიძახოდა:

— იერიშით მივიდეთ! იერიშით!

დაღამდა. ვფიქრობდით, ხვალ დილით ხელჩართული ბრძოლა მოგვიხდება მტერთან, რადგან ციხის სანგრევი დიდრონი ზარბაზნები ერთიც არა გვაქვსო.

მაგრამ გათენდა 21 ღვინობისთვე და ბრძოლის ნიშანი კი არსად იყო. საშინლად ღელავდა მთელი ჯარი. ცხრა საათზედ ქვემო შარანტელებმა ბრძანება მიიღეს — რეინის შესავალი დაიჭირეთო. სულგანაბულნი შევცქეროდით მიმავალ რაზმს; დარწმუნებული ვიყავით, რომ ერთიც ვერ გადარჩებოდა მტრის ტყვიას; მაგრამ ისე მივიდნენ რეინის პირას, რომ თოფიც არ გავარდნილა; მერე ვენახებს შეეფარნენ. და უცბად ხმა გავარდა, მაინცი დაგვნებდაო. შარანტელები იმი-

ტომ გაგზავნეს, რომ დარაჯად იყვნენ რეინის შესავალთან, ვიდრე მოურავი ქალაქის ხაზინას გაიტანსო.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მართალია, ვყვიროდით იერიშით მივიდეთო, მაგრამ თვალები ყველას გვქონდა და კარგად ვხედავდით, რომ ციხეებიდან უზარმაზარი ზარბაზნები გადმოიცქირებოდნენ ჩვენკენ. თვალები ყველას გვქონდა და ისიც ყველამ ვიცოდით, რომ ოთხში ერთი რომ გადარჩენილიყო, ისიც საკვირველი იქნებოდა.

მეორე დღეს მაინცში შევიდა ჩვენი ჯარი. მთელი ქალაქი წინ გამოგვეგება.

იქნება იუცხოვოთ და, მართალს კი მოგახსენებთ; მაინცელებმა დიდი სიყვარულით მიგვიღეს. მოქალაქენი, სტუდენტები და ჯარები წინ მოგვეგებნენ თავიანთი ბაირაღებით და მუსიკით; სალამს გვაძლევდნენ, და როდესაც სამხედრო მოედანზედ ავსტრიელი დარაჯების ალაგას ჩვენები დააყენეს და ჩვენ კიდევ ბინის ბარათები დაგვირიგეს, მოგვცვივდნენ მოქალაქენი, ხელიხელ გადახვეული წაგვიყვანეს თავიანთსა და ისე გაგვიმასპინძლდნენ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. შეგვიყვანდნენ სახლში, გაგვიშლიდნენ კარგ სუფრას და— აბა რევოლუციის ამბავი გვიამბეთო — გვეხვეწებოდნენ და დიდით პატარამდე ყურს გვიგდებდნენ.

იმისთანა მშვენიერი ლუდი, როგორიც იმ საღამოს მაინცის ლუდხანებში ვსვით, მე ჩემს დღეში აღარსად შემხვედრია. მთელი ქალაქი გარეთ იყო, ქუჩებში და ლუდხანებში, და ყველგან მხიარული სიმღერა ისმოდა. მეტადრე ლუდხანებში; მთელი ქვეყნის პატრიოტების სადღეგრძელო სვეს იმ ღამეს! გადაჰკრავდნენ ერთ-ორ სადღეგრძელოს, მერე წამოიშლებოდნენ — უბრალო მუშები, ან გლეხკაცები — და ცეკვას დაიწყებდნენ, თანაც სახუმარო ლექსებს ამბობდნენ. მეტადრე ერთი მოხუცებული მუშა მომეწონა: იმისთანა მშვენივრად აჯავრებდა ჩვენი რაზმის უფროსს ჰუშარს, რომელიც მაინცში მოურავთან მოსალაპარაკებლად მისულიყო; იმისთანა მშვენივრად აჯავრებდა შეშინებულ ქალაქის მოურავს, რომ სიცილით დაგვხოცა ყველანი; ბარონი ბრაზობდა, ყვიროდა; ჰუშარი უმტკიცებდა, ჩვენს ზარბაზნებს ერთ დღესაც ვერ გაუძლებს ქალაქიო... ბარონი ხან ცისკენ აღაპყრობდა ხელებს და ხან სასოწარკვეთილი ეფიცებოდა: რა ექნა, ბრძანება მაქვს და ისე უნდა მოვიქცეო.

მაგრამ, მგონი, ამას ისა სჯობდეს, რომ კუსტენის წერილი და მაზედ ბარონ გიმნიხის პასუხი გადმოგიწეროთ, რომ თქვენი კეთილი თვალითა ნახოთ, რა მახეში გაობა კუსტენმა მაინცის მოურავი. აი სიტყვასიტყვით ეს წერილები:

„გენერალი კუსტენი ბატონს მაინცის მოურავს.

მარიენბორნის ბანაკი 20 ღვინობისთვე 1792 წელს.
წელიწადი პირველი საფრანგეთის რესპუბლიკისა.

ბ ა ტ ო ნ ო მ ო უ რ ა ვ ო,

მე იმდენად მოწინააღმდეგე გახლავართ უბრალოდ სისხლის ღვრისა, რომ სიამოვნებით ავასრულებდი თქვენს თხოვნას და ხვალამდე კიდევ დავუცდიდი პასუხს; მაგრამ რა ვქნა, ბატონო, რომ ჩემი ჯარები ველარ შემიკავებია. მოუთმენლად ელიან თავისუფლების მტრებთან შებრძოლებას, რომ რესპუბლიკის დროშას დიდება მოჰფინონ და თითონ ნადავლი შეიძინონ, რადგან, არ დაგიმალავთ, ბრძოლა ხელდახელ მოგვიხდება და გამარჯვებულთა ღირსეული ჯილდო იქმნება, რასაც თავიანთ სისხლით აღებულ ქალაქში იშოვიან. მერწმუნეთ, თქვენზედ არა ნაკლებ ვიცნობ მე მაინცის სიმაგრეებს: ისიც კარგად ვიცი, რაოდენი ჯარი დგას შიგ გარნიზონად. თქვენზედ გახლავთ დამოკიდებული ამოდენი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე. თუ ინებებთ, არც ქალაქს დაღუპავთ და არც უბრალოთა სისხლს დააქცევთ. ჩვენი სიცოცხლე არაფერია, ბატონო! ჩვენ ჯარისკაცნი გახლავართ და ისე შევჩვეევიართ ბრძოლას, რომ სიკვდილი არაფრად მიგვაჩნია. მე ერთგული მოსამსახურე გახლავართ, ბატონო, რესპუბლიკის და მის დიდებისა და ნება არა მაქვს რესპუბლიკის მტერთა დევნა დავუშალო ჩემს ჯარებს. ნება არა მაქვს ჩემს ჯარებს თავისუფლების შეურაცხმყოფელთა დევნა ავუკრძალო, როდესაც ისინი თითქმის უომრად გაურბიან ჩვენს ძლევამოსილ დროშას. პ ა ს უ ხ ი, ბ ა ტ ო ნ ო, პ ა ს უ ხ ი!

საფრანგეთის მამულიშვილი
გენერალი კუსტენი“.

„მაინცის მოურავისაგან საფრანგეთის რესპუბლიკის გენერალ კუსტენს. ქ. მაინცის დათმობის შესახებ.

ქ. მაინცი 20 ღვინობისთვეს 1792 წ.

ბ ა ტ ო ნ ო გ ე ნ ე რ ა ლ ო,

ღირწმუნებული გახლავართ, ცოტა მეტად რომ გცნობოდით, მუქარით არ მომმართავდით. რადგან მე ჯარისკაცი გახლავართ და სრულიადაც არ მეშინია სიკვდილისა, თუ კი ჩემს მოვალეობას არ ვუმტყუნებ. მუქარით, ბატონო, გენერალო, მე ვერა-

ვინ მაიძულებს უბრძოლველად დავუთმო ქალაქი, მუქარით არ მიმმართავდით, რადგან მე ჯარისკაცი გახლავართ, ბატონო, ყოველი გაჭირვება და განსაცდელი ავაცდინო მოქალაქეთ და ამიტომ, მარტო იმ ზარალის ასაცდენად, რომელიც მოსდევს ბრძოლას, შემიძლია, რადგან ამისთვის სრული უფლება მაქვს მონიჭებული ჩემი მეფისაგან, ქალაქი დაგითმოთ შემდეგი პირობებით:

1. ქ. მაინცის გარნიზონს და მის მოსარჩლე ჯარებს ნება ექნებათ თავისუფლად გავიდნენ ქალაქიდან თავისი სამხედრო ხაზინით, ზარბაზნებით და ბარგით.

2. მინისტრს და ყოველს მოხელეს, მის დიდებულების, ჩემი მეფისას და აგრეთვე სასულიერო წოდებას ნება ექნებათ თავისუფლად გავიდნენ ქალაქიდან ყოველი თავისი ქონებით. მაინცის ყოველ მკვიდრს, ქალაქში მყოფს თუ სხვაგან წასულს, ექნება იგივე უფლება და ხელშეუხებელი დარჩება ყოველი მკვიდრის საკუთრება.

3. რადგან მის დიდებულებას, ჩემს მეფეს, საფრანგეთისთვის ომი არ გამოუცხადებია, იგი შემდეგშიაც არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ბრძოლაში, იმ პირობით, რომ მისი სამეფო ხელშეუხებელი დარჩეს მებრძოლთაგან.

4. ამ პირობათაზედან ხელის მოწერისთანავე შეწყდება ყოველი მტრობა და დანიშნულ იქნებიან კომისრები, რომ გაარიგონ ქალაქის ჩაბარება და გარნიზონის გასვლა.

დავრჩები, ბატონო გენერალო, თქვენი უმორჩილესი მონა

მოურავი ქ. მაინცისა

ბარონ გიმნიხი".

„საფრანგეთის რესპუბლიკის გენერალი კუსტენი ამით პატიოსან სიტყვას ართმევს მაინცში გარნიზონად მდგომ ჯარებს, რომ დღეიდან ერთი წლის განმავლობაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთთან მაინცის დამოკიდებულების შესახებ იგი რესპუბლიკის მმართველობისაგან მიიღებს ბრძანებას. რაც შეეხება მკვიდრთა საკუთრებას, იგი ხელშეუხებელი იქნება საფრანგეთის ჯარებისაგან, რადგან კონსტიტუციის დედაბოძად ის პრინციპია დადებული, რომ ადამიანის პიროვნება და საკუთრება ხელშეუხლებელი უნდა იყოს ყველასაგან. ხვალ დილის ცხრა საათზედ რესპუბლიკის ორ ბატალიონს ჩაბარდება რეინის შესავალი კარი და ამ პირობით შეწყვეტილ იქმნება ყოველი მტრობა და სხვადასხვა.

აი, როგორ დავინარჩუნეთ თხუთმეტი დღის განმავლობაში ის მდიდარი მაღაზიები, რომლის ქებით სავსე იყო გერმანული გაზეთები. მაღაზიების გარდა სამი ქალაქი ავიღეთ და ერთი უძლიერესი სიმაგრე, რომლითაც მაგრობდნენ გერმანელები. ჩვენი ჯარის გამარჯვება მთელს საფრანგეთს აკვირვებდა და ახარებდა. რესპუბლიკა ყველგან გამარჯვებული რჩებოდა და ჩვენი მოწინააღმდეგენი უკვე რწმუნდებოდნენ, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს მთელი ქვეყნის მტარვალებიც ვერას დააკლებენ.

VI

რაკი მაინცი დაგვნებდა, ვფიქრობდით, ცოტა ხანს დავისვენებთ და მოქალაქეებს დავუახლოვდებითო. თითქმის მთლად ჩვენი ჯარი ქალაქში მოათავსეს; ქალაქგარეთ მარტო რამდენიმე რაზმი დააბინავეს; ჩვენი სამხედრო კომისრები მაინცის მაღაზიებს ათვალიერებდნენ და ნუსხავდნენ, რასაც კი გამოსადეგს ნახავდნენ. მაგრამ ამბავი მოგვივიდა, პრუსიელები სულ რამდენიმე საათის სავალზედ არიან და ქ. კობლენციც აუღიათო. მთელი ჯარი აღშფოთდა. გამოქცეული პრუსიელების დევნა დიუმურიეს კელლერმანისთვის მიენდო და ის კი ისე მშვენივრად დასდევნებოდა გაქცეულთ, რომ მათ კობლენციც აეღოთ. ამ გამარჯვებას მტრისას კუსტენი კელლერმანს აბრალებდა და საერო კრებასაც აცნობა ყოველი გარემოება კობლენცის აღებისა. კუსტენი იმ აზრისა იყო, რომ ჯარის უფროსი თუ შესცდა რაშიმე, სამხედრო წესით უნდა დაისაჯოსო.

არ ვიცი, მართალი იყო კუსტენი თუ არა, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ დასვენების მაგივრად ბარი და წერაქვი მოგვცეს ხელში და სიმაგრეების ასაგებად გაგვრეკეს. მერე რეინის ნაპირს ხომ

კარგი ის იყო, რომ ჩემი და ლიზაც პარიზელებზე არანაკლებ ემდუროდა კუსტენს და ისე იქცეოდა, თითქო თავადიშვილის ოჯახში ყოფილიყოს აღზრდილი და შრომისა არა სცოდნოდეს რა. ამასთან ეტყობოდა, ეთაკილებოდა ჩვენი ღარიბი ოჯახი და ცრუობდა: მამაჩემისას მოსამსახურეებსაც არ ვაკეთებინებდით, რასაც ჩვენ კუსტენი გვაკეთებინებსო. ეს რომ გავიგონე, ბრაზი მომერია და ვეღარ მოვითმინე:

— მე კი მაგაზედ უარესიც მახსოვს, ელისაბედ ქალო! გუშინ არ იყო, ბატონყმობა გადავარდა და მანამ კი იმდენს გვამუშავებდნენ, რომ... ნეტავი ამისთანა ნიჩბები გვქონოდა მაშინაც და ღმერთს მადლობას შევწირავდით!

მინდოდა ისიც მომეგონებინა, როგორ დარბოდა თოვლში ფეხშიშველი და ხელგაწვდილი, მოწყალება მოიღეთო! მაგრამ მომვარდა გააფთრებული და შემომიტია:

— გაჩუმდი! გასწი, გაეთრიე!

ჩემმა სიძე-ბატონმა მარესკომაც კვერი დაუკრა: ჩვენ თავისუფალი მამულიშვილნი ვართ, სამშობლოსთვის თავგანწირულნი და არა დანაშაულისთვის მთამადნებში გაგზავნილი პატიმრები, რომ ასე უღმერთოდ გვამუშაონო! აი, როგორა ჩნდება და ვინ არის ქვეყნის დამღუპველი არისტოკრატია: გუშინდელი ხელგაწვდილი მათხოვარი, რომელიც დღეს მუშაობას აღარც კი კადრულობს! მაგრამ კმარა! უჩემოდაც ყველა დასძრახავს, ვისაც კი გულწრფელად უყვარს სამშობლო.

იმ დღეს ჩვენი ბატალიონი კასელის ახლოს მუშაობდა და ისე ვიყავით დაღალული და ტალახში ამოსვრილი, რომ აღარც ჩემი და მაგონდებოდა, აღარც დილანდელი ჩხუბი. საღამოზედ, შინ რომ წამოვედით, ზედ ხიდზედ შეგვხვდა მიმავალი ჯარი, და, სხვათა შორის, პარიზელი შეთქმულებიც. მხიარულად მიდიოდნენ შეთქმულები, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ყვიროდნენ:

— გასწით, ბიჭებო! გასწით!

ზედ ხიდის ყურზედ ლიზაც გამოჩნდა თავის ურმით. რომ დამინახა ტლაპოში ამოვლებული, მხარზედ გადაგდებული წერაქვით, ნიშნის მოგებით შემომყვირა:

— ახია შენზედ, შე სულელო, შენა! არც ახლა დარწმუნდები, რომ კაცი ყოველთვის გაირიგებს საქმეს, ოღონდ ხმა ამოიღოს! თქვენ რომ დილიდან საღამომდე მიწის თხრაში იქნებით, ჩვენ რეინის პირას ჩავისეირებთ და ჯარისთვის სურსათს ვიზრუნებთ.

ის იყო პასუხი უნდა მეთქვა, მაგრამ ამ დროს მარესკო მოვიდა

და პირდაპირ თავის ცოლს მიმართა, ისე რომ მე არც კი დავუნახივარ:

— ცარიელი ყუთები სულ უნდა გადავყაროთ, თორემ სხვა ველარა დაედება რა. ტყუილად ალაგი უჭირავთ. ვიშოვოთ რამე, თორემ უყუთოდაც კარგად ჩავალაგებთ.

ცხადი იყო, ძარცვისა და გლეჯის მეტს ისინი არასა ზრუნავდნენ. ლიზამ ცხენს მათრახი გადაჰკრა და თავის გზას გაუდგა. მეც ჩვენი რაზმის ბინისკენ გავეშურე, რომ გავმშრალიყავ.

იმ საღამოს, 23 ღვინობისთვეს 1792 წ. ჰუშარი თავის დრაგონებით წყალს გავიდა კასსელში და ფრანკფორტისაკენ წავიდა. ფრანკფორტისკენ წასულიყო აგრეთვე ნეუვინგერი, ოღონდ წყალგამოღმა, ისე რომ ჩვენი ჯარები ორი მხრიდან უნდა დასცემოდნენ ამ ქალაქს. ეს ყველაფერი მეორე დღეს, 24-ს გავიგეთ.

მე ეხლაც ვერ გამიგია, რისთვის გავედით გაღმა? გერმანიასთან ჩვენ ომი არა გვქონდა. ომი გვქონდა მარტო პრუსიასთან და ავსტრიასთან. ჩვენ კი, მიუხედავად სიმართლისა, შევესივენით გერმანიას, რომელსაც ჩვენთვის არაფერი დაეშავებინა, და დიდძალ ხარჯს ვართმევდით მცხოვრებთ. გარდა ამისა საშიშიც იყო ჩვენი გაბედულება, რადგან აქამდე თუ პრუსია გვეომებოდა, შეიძლებოდა, ჩვენი ქცევით შეურაცყოფილი გერმანიაც მისდგომოდა პრუსიას და ომი გამოეცხადებინა ჩვენთვის. მაგრამ მაგას განაღა ფიქრობდა ვინმე? უცხოეთში ვიყავით, ქალაქები უომრად გვნებდებოდნენ და... გიჟები ვიქნებით, რომ ამით არ ვისარგებლოთ და ჯიბეები არ გავივსოთო, — ფიქრობდნენ სხვის სარჩო-საბადებლის მოსიყვარულენი და ძარცვა-გლეჯის მეტი აღარა ახსოვდათ რა.

ფრანკფორტის კარებთან პირველად ჰუშარი მისულიყო და გაკვირვებულ მოქალაქეთ კაცი გაეგზავნათ, რა გნებავთ, რისთვის მობრძანებულხართო? ჰუშარს ეპასუხნა: ისე, გამოვისეირეთო. მაგრამ ცოტა ხანს უკან გაღმით ნეუვინგერი მისდგომოდა ქალაქს, ზარბაზნები დაელაგებინა და შეეთვალა: ქალაქი დაგვანებეთ, თორემ ავი დღე დაგადგებათო. ქალაქი მდიდარი ბანკირებით არის სავსე და იმათაც, რასაკვირველია, უომრად დანებება ერჩივნათ ბრძოლას და სისხლის ღვრას. დიდი ამბით შესულიყვნენ ჩვენი ჯარები ქალაქში. ნეუვინგერი და ჰუშარი მაშინვე ქალაქის სამამასახლისოში აბრძანებულიყვნენ და გენერალი კუსტენის სახელით ფრანკფორტის მკვიდრთათვის და მეტადრე მდიდრებისთვის ორი მილიონის გადახდა დაეავალებინათ.

გულს ლახვარივით გვეცა ეს ამბავი: ისე კი არ ვიქცეოდით, როგორც შეშვენის თავისუფლებისათვის და ადამიანურ უფლებათა-

თვის მებრძოლ ერს; არა, ჩვენ ისე ვიქცეოდით, როგორც ჩვეულებრივ მტარვალნი ექცევიან დამარცხებულ ხალხს, რომელსაც გასძარცვენ, გაატყავებენ და თავიანთ მონად იხდიან. ერმა იგრძნო ეს. ნთელმა ერმა. მას შემდეგ სულ ეჭვის თვალით უყურებდნენ კუსტენს, და თუმცა ხშირად იმარჯვებდა მტერზე, სულ იმას გაიძახოდნენ, გერმანია გადაგვკიდაო... ქვეყანაში ქურდების და ავაზაკების სახელი დაგვიყარაო... და მართალსაც ამბობდნენ! გუშინ რამდენიმე კაცი დახვრიტა, აღებულ ქალაქში დავლა როგორ გაბედეთო! და დღეს კი, თითონვე უარესს სჩადის და მით სულ სხვა ძაგალითს აჩვენებს თავის ჯარებს! კუსტენს ამ შეცდომამ ძალიან ამოჰკრა ცხვირში.

მაშინ პრუსიელები კობლენცში გამოვიდნენ რეინს და იქვე ფრანკფორტის ახლოს გამაგრდნენ. რომ გაებედნათ და წამოსულიყვნენ, ჩვენს ჯარებს ორად გაჰყოფდნენ, ერთი ნაწილი მაინცში დარჩებოდა, მეორე ფრანკფორტში. ყველა ხედავდა მათს განზრახვას. რადგან რუკა ყველასა გვქონდა და კარგად ვიცოდით ჩვენი და მტრის ჯარების მდგომარეობა. არამც თუ აფიცრები, უბრალო ჯარისკაცებიც კი ამასვე გაიძახოდნენ:

— ასე ჩამოივლიან და ორად გაჰყოფენ ჩვენს ძალას!..

კუსტენმა ქ. ფრანკფორტის მცველად ერთი ჰოლანდიელი დანიშნა, მაიორი ვანჰოლდენი და ათას რვაასი კაცი დაუტოვა. ჰუშარი და ნეუვინგერი კი უკან დაბრუნდნენ თავიანთი ჯარებით; ხარჯად შეწერილი ოქრო ვერ წამოიღეს, რადგან ფრანკფორტელებს საერთო კრებისთვის კაცი გაეგზავნათ და ეთხოვნათ: არაფერი დაგვიშავებია და ასე ულმერთოდ რადა გვსჯით, ამოდენ ხარჯს რად გვადებთო?!

რესპუბლიკას ჩვენთან, გერმანიის სახელმწიფოსთან, საომარი არა აქვს რაო, — მიეწერათ ფრანკფორტელებს საერო კრებისთვის; — რესპუბლიკა ეომება მეფეს ბოჰემიისას, ავსტრიისას, ჰესსის და პრუსიისას. ფრანკფორტი გერმანიის სახელმწიფოს თავისუფალი ქალაქია და არავითარ მონაწილეობას არ იღებს თქვენს ბრძოლაში. რესპუბლიკას უჩვენოდაც ბევრი მტერი ჰყავს და ნეტავი რად გინდათ, რომ მთელი გერმანიაც მტრად გადაიქციოთ და ისიც ფულის გულისათვისაო?!

ერთი სიტყვით, საშინელი სიბრიყვე მოგვივიდა. ჩვენდა საუბედუროდ, იმისთანა უვიცნი ვიყავით, რომ ათასში ერთმა არ იცოდა ჩვენი მეზობლების პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება. ჩვენთვის ყველა გერმანელი — პრუსიელი, ავსტრიელი, ჰესსელი, ბავარიელი, საქსონელი, ტიროლელი და თვით ჰუნგრებიც კი — გერმანელი და, მაშა-

სადამე, ჩვენი მტერი იყო. განსხვავებას თუ ვხედავდით რასმე მათში, ისევ ტანისამოსში ვხედავდით, რადგან ზოგს ცისფერი ტანისამოსი ეცვა, ზოგს თეთრი; ან კიდევ ბაირაღში: ზოგს ყვითელი ბაირაღი ჰქონდა ორთავიანი არწივით და ზოგს ალისფერი, ცალთვალა შავი არწივით. ეხლაც კვნესას დამიწყებს ხოლმე გული, მაშინდელი ჩვენი უცოდინარობა რომ მომაგონდება.

გიორგობისთვის შუა რიცხვებში ჰუშარი და მენიე სრულიად მოულოდნელად ჩაუხტნენ ერთ საღამოს პრუსიელებს ლიმბურგში და ძალიანაც დაამარცხეს. დიდძალი ტყვე და ზარბაზნები ეშოვათ მაშინ ჩვენებს.

მაშინ ბრაუნშვეიგმა უკან დაიწია. მენიე უკან გაჰყვა ოთხასი კაცით, რომ თვალყური ედევნა მტრისთვის. სწორედ იმ დროს დაიჭირა ყინვები; ყველგან თოვლი იდო. პრუსიელები უფრო უკან წავიდნენ და ქალაქებს შეეფარნენ. გვეგონა, გაზაფხულამდე ჩვენ იმათ ვეღარა ვნახავთო.

სწორედ იმ დროს მოვიდა ამბავი, რომ ჩვენი ჯარი დიუმურიეს წინამძღოლობით ბელგიაში შესულა, აუღია მონი, ტურნეი, ბრიუსელი, განდი, ანგერი... ერთი სიტყვით, მთელი სამეფო დაეჭირა.

იმ დროს ჩვენი ბატალიონი ერთ ძველისძველ შენობაში იდგა, შენობაში კი არა, შენობის ნანგრევებში, რომელსაც მონასტერს უწოდებდნენ. შუაზედ დიდი ეზო იყო და გარშემო წვრილ-წვრილი სულ ერთნაირი ოთახები; ორი კიდევ დიდი საწოლი ოთახი გვქონდა, ერთი სასადილო, ერთი მშვენივრად მოწყობილი სამზარეულო, ტალანები და სამრეკლო. სამ-სამს გვეძინა თითო პატარა ოთახში და რაც ხანი იქ ვიყავით, ამ მონასტერში ვიდექით. ტალანში რომ ნაღარას დაჰკრამდნენ, ისეთ ზანზარს დაიწყებდნენ ხოლმე კედლები, იტყოდით, აგერ დაიქცა მთელი მონასტერიო. დღესაც სიამოვნებით მომაგონდება ხოლმე ჩვენი იქ ყოფნა და ბნელს ტალანებში ჩვენი სიმღერა. სადაც წმინდა გალობის მეტი არა გაისმოდა რა საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენ იმისთანა „წავა-წავას“ და მარსელურს დავძახებდით ხოლმე, რომ ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა.

საღამოზედ მივიდოდით დაღლილები და შეცივებულები ჩვენს მონასტერში, შევიყრებოდით სამზარეულოში, დავაგუგუნებდით ცეცხლს, — თავსაყრელი გვქონდა შეშა და იმისთანა ბუხარი იყო, რომ შიგ თუნდა სამ ხარს შესწვამდით ერთად — მივუსხდებოდით გარშემო და დავიწყებდით ლაპარაკს. ვხუმრობდით, ვოცნებობდით და ნახულს და გაგონილს ვუამბობდით ერთმანეთს.

კონვენტის ამბებსაც იქ ვტყობილობდით. როგორც კი მოგვივიდოდა გაზეთები, ახტებოდა ვინმე მაგიდაზედ და დაგვიძახებდა:

— სმენა, ბიუებო! სმენა!

დაიწყებდა ხმამაღლა კითხვას; გაათავებდა ერთ ამბავს, შეჩერდებოდა, თავის აზრს იტყოდა, ზოგი დაეთანხმებოდა, ზოგი არა; გაიმართებოდა კამათი. ბოლოს ჩვენვე შევუტევდით:

— გაზეთები წავიკითხოთ, ბიუებო! რა დროს ბაასია! ყველას თავისი აზრი ჰქონდეს!

უნდა მოგახსენოთ, რომ კონვენტი, რაკი საფრანგეთი რესპუბლიკად გამოაცხადა, სამ ნაწილად გაიყო: ერთ მხარეს „მთიულები“ გავიდნენ, მეორეს — ჟირონდელები და შუაში — ვაკელები.

მთიულებს უნდოდათ რესპუბლიკა ერთი და განუყოფელი ყოფილიყო; ყველანი თანასწორნი ვყოფილიყავით უფლებებით; გაუქმებულიყო ყოველივე, რაც კი ძველის წესწყობილებისა და დიდებულთა უპირატესობისა რჩებოდა რამე. ყველანი თანასწორნი უნდა ვიყვნეთო, იძახდნენ, და, რასაკვირველია, ხალხიც მათკენ იქნებოდა, რადგან ხალხისთვის თანასწორობა არა ნაკლებ დიდი განძი არის, ვიდრე თავისუფლება. ხალხმა კარგად იცოდა, რომ ამოდენ საუკუნეთა განმავლობაში ყოველი მისი ტანჯვა, უფლებათა უთანასწორობისაგან გამომდინარეობდა; ხალხმა კარგად იცოდა, რომ თვით სიმართლეა თანასწორობა.

ჟირონდელები — მე იმ ჟირონდელებზედ მოგახსენებთ, რომელნიც გულწრფელად იყვნენ რესპუბლიკის მომხრენი, რადგან ჟირონდელებში ბევრი მეფის მომხრეც ერია: დროებით რესპუბლიკას მისდგომოდნენ, რომ უფრო კარგად ეღალატნათ მისთვის და კვლავ მეფობა დაემყარებინათ. დიაღ, ჭეშმარიტი ჟირონდელები ყველაზედ უმაღლესად თავისუფლებას სთვლიდნენ. ჟირონდელები იყვნენ წარმომადგენელნი მდიდარი მოქალაქეებისა, დიდრონი სოვდაგრებისა და ვაჭრებისა; ერთი სიტყვით, ყოველგვარი სიმდიდრისა და იმისთანა რესპუბლიკა ნებავდათ, რომ ქვეყნის ბედი მდიდრების ხელთ ყოფილიყო. და რადგან პარიზელი ხალხი ხელს უშლიდა, რადგან პარიზელი ხალხი სულ კრიჭაში უდგა და რამდენჯერაც კი საერო კრებამ უკან დაწევა განიზრახა, იმდენჯერ მისდა უნებურად წინ წასწია ეგი ხალხმა, ჟირონდელებმა მოინდომეს კონვენტი პარიზიდან პროვინციაში გადაეტანათ, ბურჟში ან სხვაგან სადმე, ოღონდ კი თავი დაეღწიათ როგორმე პარიზელ ხალხისთვის, რომელსაც მთიულთა მხარე ეჭირა. რაკი საერო კრება იმისთანა ალაგას იქნებოდა, რომ წევრთ პარიზელი ხალხის შიში არ ექნებოდათ, ჟირონდელები თავისას იზამდნენ და უმრავლესობას კონვენტისას იმისთანა კანონებს დაადგენინებდნენ, რომელიც თითონ უნდოდათ.

ვაკელები, სამას-ოთხასამდე კაცი, ერთობ პატიოსანი რესპუბ-

ლიკელები იყვნენ, მაგრამ ჟირონდელების ურიცხვი გაზეთებით ისე იყვნენ შეშინებულნი, რომ მთიულებს ახლოც არ უდგებოდნენ. ჟირონდელები თავიანთ გაზეთებში სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ საფრანგეთისთვის პარიზი შეეძულებინათ და პარიზელებს ისე ხატავდნენ, თითქო დიდით-პატარამდე სულ ყაჩაღები არიანო და მთიულები კიდევ მათი ბელადებიო. ამასთან, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ენკენისთვეში ხალხის აშლამ და ციხეებში პატიმრების ხოცვამ ყველანი ააშფოთა და ყველაზედ მეტად მშვიდი ვაკელი დეპუტატები. ჟირონდელებს ვერ მისდგომოდნენ, რადგან მათში ბევრს მეფის მომხრეს ხედავდნენ და მთიულებისა კი ეშინოდათ. როცა საქმე კენჭამდე მივიდოდა, შიში დასძლევდათ ხოლმე და მთიულების შიშით ისინიც ჟირონდელებისკენ გადადიოდნენ.

რასაკვირველია, რომ ასე განსხვავებული აზრების მიმდევარი მთიულები და ჟირონდელები ვერ მორიგებულიყვნენ; მით უფრო რომ მაშინ ეს განსხვავება ასე ცხადი არ იყო, როგორც ახლა მე გიამბობთ. საქმე ისე იყო დახლართული, რომ სოლომონ ბრძენიც ვერ იტყოდა, არ შევცდებიო. ისე ვიყავით დაშინებული ღალატით, რომ ყველგან ღალატი გველანდებოდა. დაიწყებდნენ რამეზე ბაასს და სჯას... საგანს გადაუხვევდნენ და დაიწყებდნენ ერთმანეთის ლანძღვა-გინებას. ჟირონდელები უსაყვედურებდნენ მთიულებს, ენკენისთვეში დაღვრილი სისხლი თქვენი საქმეაო; თქვენ გინდათ ქვეყნის გამგეობა ხელთ იგდოთ და დიქტატორები გახდეთო; რევოლუცია უკიდურესობამდე გინდათ მიიყვანოთ, რომ ხალხს შეაზიზღოთ და სამეფო ტახტზედ ფილიპე ააბრძანოთო. მთიულნი უსაყვედურებდნენ ჟირონდელებს, თქვენ გინდათ საფრანგეთი ურიცხვ წვრილ რესპუბლიკად დაანაწილოთ; საფრანგეთი პარიზელ ხალხს გადაჰკიდოთ და მეფის მომხრეებთან ერთად ცდილობთ ძველი მეფური წესწყობილება შემოიღოთო. და როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, როდესაც ერთიერთმანეთზედ გადაკიდებულნი უნდობლობას და ჯიბრს აჰყვებიან, უფრო მეტს სწამებდნენ ერთმანეთს, ვიდრე ღირსნი იყვნენ.

ათასში ერთი არ იყო დასაჯერებელი, იმისთანა უცნაურ ხმებს ავრცელებდნენ ერთმანეთზედ; მაგრამ შურით და სიძულვილით ისე ვიყავით თვალახვეულნი, რომ ყოველივე გვჯეროდა, რაც უნდა გაგვეგონა, ან გაზეთებში წაგვეკითხა. წავიკითხავდით რასმე და ვეცემოდით ერთმანეთს! ქვეყანას შევძრავდით! და იმას კი არა ვფიქრობდით, მართალი იყო ის ამბები, თუ ჭორი და ცილისწამება.

აქამდე ჩვენისთანა გამარჯვებული ჯარი არც ერთი არა ჰყავდ: რესპუბლიკას; სპირი ჩვენ ავიღეთ, ვორმსი, მაინცი, ფრანკფორტი

და გაზეთებში რომ წავიკითხავდით ხოლმე ჩვენს ქებას, — „ჩვენი ძლევამოსილი, მაინცის ამღები ჯარიო“, სრულიად ღირსეულად მიგვაჩნდა ეს ქება-დიდება, რადგან ჩვენი თავი დეეგმირად მიგვაჩნდა, რომელსაც ქვეყანაზე ვერა გაუმაგრდება რა. მაგრამ ბელგიაში მყოფი ჩვენი ჯარები იმისთანა გამარჯვებით მიიწევდნენ წინ, რომ ჩვენც კი გაგვიკვირდა. გაზეთები სავსე იყო ბელგიაში მყოფი ჯარის ქებით; სუყველანი მის მამაცობას გაიძახოდნენ; ყველანი მათ გამარჯვებაზედ ლაპარაკობდნენ, და აღებულ ქალაქებს და ზარბაზნებს ანგარიშობდნენ. ბელგიის ჯარის ქება სწორედ იმ დროს დაიწყეს, როდესაც ჩვენ სრულიად უსაქმოდ ვისხედით სამშვიდობოში, თუმცა პრუსიელები იქვე ახლო გვყავდნენ. გული გვისივდებოდა, ბრაზი გვახრჩობდა; სულ იმას ვნატრობდით, ერთი მიგვიშვან პრუსიელებზედ, რომ პირველობა ბელგიელ ჯარს ჩვენ წავართვათო. მაგრამ ვინ იყო გამგონი! გამოცდილი, მოხუცებული ჯარისკაცები ხომ სულ თავსა და ბედს იწყევლიდნენ, რომ ჩვენს ჯარში მოჰყვნენ; — „ლამის ხავსი მოგვეკიდოსო“ ჩიოდნენ. ზოგნი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ბელგიელ ჯარის უფროსმა დიუმურიემ პრუსიელები და ავსტრიელები ჩვენ დაგვილოცა და თითონ კი ბელგიაში შევიდა, სადაც მის ჯარს ხალხი ყველგან უბრძოლველად დაუხვდებაო! ვითომ და რატომ?! თითონ დიდებას და სახელს მოიხვეჭს, რესპუბლიკის პირველ გენერლად ჩაირიცხება და სხვისა რა ენაღვლება?! არისტოკრატია, გველაძუაა და ძვირად დაგვიჯდება მისი გამარჯვებაო.

ჩვენი დაუდევრობა, თორემ შამპანიდან გერმანელებს გამოვუშვებდით! იმის მაგივრად, რომ დავდევნებოდით და მთლად გაგვენადგურებინა, სრული თავისუფლება მივეცით, მიბრძანდით, საითაც გნებავთო. ისინიც წამოვიდნენ და იქვე ჩვენს ახლოს დაბანაკდნენ; რეინის პირას ორმოცდაათი ათასი კაცი მოგროვდა შამპანიდან გამოსული. რა ენაღვლებოდა დიუმურიეს? მტრების ერთი ნაწილის დასამარცხებლად მეორე ნაწილი ჩვენ მოგვახვია თავზედ; სახელი თითონ მოიხვეჭა და მტერთან შებრძოლება ჩვენ დაგვითმო. და სწორედ იმ დროს, როდესაც ავსტრიელებზედ გამარჯვებული იმისი ჯარები განცხრომით ბრძანდებოდნენ ბელგიაში, ჩვენ ხელახლად უნდა დაგვეწყო ომი და საშიში ომიც, რადგან ჩვენი ჯარების სიმცირის გამო, შეიძლებოდა ფრანკფორტი წაერთმიათ და მაშინ ხომ მაინცში მოვემწყვდეოდით.

გიორგობისთვის გასულს დაიძრა ჩვენი ჯარი მაინციდან და რეინს გავიდა. ჩვენი ბატალიონი ერთ ტყის პირას დაბანაკდა. ფრანკფორტი იქვე ჩანდა ჩვენს ქვევით მხარმარჯვნივ თავისი ბაღებით, მაღლად აშლილ ტირიფის ხეივნებით, წითლად შეღებილ სახლებით,

მშვენიერ ეკლესიებით და განიერ ქუჩებით. ქალაქს გარს წყალით სავსე თხრილი ერტყა; შუა ქალაქში განიერი მდინარე დიოდა ნავებით სავსე და წყალგაღმა იგივე წითელი სახლები, განიერი ქუჩები და ბაღები. ყველგან მოედნები მოჩანდა და ზედ აუზები. ყველგან ხალხი ირეოდა, ლუკმაპურის საშოვნელად სწრაფად სადღაც მიმავალი, გაშურებული და გაფაციცებული. ყურადღებასაც არავის აქცევდნენ, იყვნენ თავისთვის და მუშაობდნენ; არც ომი უნდოდათ, არც წყენა ვისიმე და გაჯავრება. მაგრამ იმათ ვინა ჰკითხავდა? როგორც მუშა-ფუტკარს სკაში მონავარი შეუვარდება ხოლმე და თაფლს შეუქამს და ააოხრებს დიდი ხნის ნაწვავ-ნადაგ ფუტკრის სარჩოს, ისე მუშაკაცს შეესევა ხოლმე ჯარი და ერთს წამში აიკლებს და მიწასთან გაასწორებს, რაც ქალაქს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შეუძენია. მაგრამ კუსტენი ყურადღებასაც არ აქცევდა ამ გარემოებას.

ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, ტყის პირას ვიდექით მთაზე და, კარგად მახსოვს, ჩვენი მენაღარე სულ იმას იძახდა, აქ დგომას ის არა სჯობიან ფრანკფორტში შევიდეთ და რაც მოგვეწონოს, ჩვენებურად მოვუაროთო!

ამბობდნენ, გერმანელები საბრძოლველად ემზადებიანო, და ჩვენც ჩვენსას ვცდილობდით. ტყე გავჩეხეთ, რომ სიმაგრეები აგვეგო. ყველაზე წინ, სხვათა შორის, ჩვენი ბატალიონი იდგა და მოწინავე რაზმებს არც ცულის ხმარება დასჭირებიათ, არც წერაქვისა: თვალყური უნდა გვედევნებინა მტრისთვის და შევამჩნევდით რასმე თუ არა, მაშინვე ჩვენი ჯარებისთვის გვეცნობებინა; ჩვენვე უნდა შევბრძოლებოდით მტერს, ვიდრე უკანიდან ჩვენები მოგვეშველებოდნენ. ჩვენ უკან კი, ჩვენგან სამი-ოთხი ვერსის მანძილზედ, ჩვენი ჯარები გაჩქარებითა სჩეხდნენ ტყეებს და გარშემო თხრილებს იკეთებდნენ; უსაქმურად არავინ იყო, ყველას წერაქვი ან ნიჩაბი ეჭირა ხელში და თვით აფიცრებიც კი მთელი დღე თავს ადგნენ ჯარისკაცებს და ამხნევებდნენ დაღალულებს. შორს ვიყავით ჩვენი უმთავრესი ბანაკიდან, მაგრამ მშვენივრად გვესმოდა იქაური დაუცხრომელი ხმაურობა და ჟრიამული.

მთელი ცხრა დღე მოვუნდით ბანაკის გამაგრებას.

პრუსიელებივით კი არ მოვიქეცით, რომლებიც საომრად გამოსულნი ქალაქებში და სოფლებში დგებოდნენ. აღარც კი ვიცოდით, ჭერი რა იყო; რაც ომი დაიწყო, სულ კარავებში ვიყავით და კარგადაც ვიყავით, მერწმუნეთ. კაცი რომ საომრად გავა, უნდა გაიჭირვოს კიდეც: ვინც ბრძოლის ველზედაც ნებივრობას მოინდომებს, ჩაეძინება კიდეც და სწორედ მაშინ მიასწრებს მტერი. ისა სჯობიან, ჯარისკაცს სციოდეს და ფხიზლად კი იყოს.

ასე იყო ჩვენი საქმე. 29 გიორგობისთვეს დილით, როდესაც ჩვენი ბიჭები შეჯამადსა ხარშავდნენ, შორს, ქვეითი, მხარმარჯვნივ ლურჯად ჩაცმული ჯარები გამოჩნდნენ და ფრანკფორტისკენ წამოვიდნენ. ჯერ ძალიან შორს იყვნენ, ისე რომ თვალი ვერას არჩევდა, მაგრამ ვინც კი მოხუცებული ჯარისკაცი იყო ჩვენს ბატალიონში, წამოცვივდნენ და დაიძახეს:

— აგერა მტრის ჯარი!

ბევრი იმასაც იძახდა, ადვილი გასარჩევია მტერიო და ხელგაწვდილი გვანიშნებდა, აგერა ქვეითა ჯარი და აგერა ცხენოსანიო! ხედავთ როგორ მოდიან, როგორ მოეჩქარებიანო! მაგრამ ჩვენ ვერას ვარჩევდით და სიჩქარის ნაცვლად იმასა ვხედავდით, რომ მტერი ძალიან ნელა იძროდა. სადილს უკან ორი საათი იქნებოდა, როდესაც იმდენად მოგვიახლოვდნენ, რომ მთელი ჯარი გამოჩნდა. ერთი ორმოცი, ორმოცდაათი ათასი კაცი იქნებოდა ჩვენი ანგარიშით, მაგრამ ის კი არავინ ვიცოდით, რომ ამ ჯარს თვით პრუსიის მეფე და ბრაუნშვეიგი მოუძღოდნენ. დიაღ, ძალიან საქმე გვიყო დიუმურიემ: ჩემთან ბრძოლას იქ არ გირჩევნიათო! და ჩვენ გამოგვისია იმოდენა ჯარი, რომ ბელგიაში დამარცხებულთ ჩვენზედ ამოეყარათ ჯავრი.

მეფისა და ბრაუნშვეიგის იქ ყოფნა ჩვენ შემდეგში გავიგეთ.

კუსტენი იმ დროს მაინცში იყო. ჩვენს ბანაკში ჰუშარი ბრძანებლობდა. არც მენიე იყო ჩვენთან და კაპიტანმა ჟორდიმ მაშინვე კაცი აფრინა და შეატყობინა ჰუშარს მტრის გამოჩენა. უნდა გენახათ, როგორ მოაჭენებდნენ ცხენებს ჰუშარი და მისი ამალა! ამოვიდნენ ჩვენს ბანაკთან, ქედზედ ავიდნენ, სადაც უკვე მოგროვილიყვნენ ჩვენი ბატალიონის მოხუცი ჯარისკაცები და მტრის მოძრაობას თვალს ადევნებდნენ. გაჩუმებულნი დასცქეროდნენ მტერს ჰუშარი და სხვანი. ბოლოს ერთმა ყმაწვილმა აფიცერმა თქვა:

— მტერი ბერგენში იკრიბება.

ჰუშარმა უპასუხა:

— დიაღ, ბრძოლა ხვალ გვექნება.

მერე ჟორდის მოუბრუნდა და უთხრა:

— თვალყურს ადევნებთ, კაპიტანო, მტერს და ყოველ საათს მაცნობებთ მის მოძრაობას.

და ისე საჩქაროდ გაექანა ბანაკისკენ, როგორც მოვიდა.

იმ დღეს შესანიშნავი აღარა მომხდარა რა. ისე იყო იმ ღამეს ბერგენის მიდამო განათებული, რომ დღე გეგონებოდათ. მტრის ბანაკში არავითარი მოძრაობა არა ჩანდა: დაღლილი ჯარი მოსვენებას ცდილობდა ბრძოლის წინ. მაგრამ უცნაური ამბავი ხდებოდა ფრანკფორტში: ისეთი მოძრაობა იყო ქალაქში, ისე დააქანებდნენ აქეთ-

იქით სანათს ბაღებში და წყლის პირას, რომ ცხადი იყო, რაღაცას გვიპირებდნენ. სამი საათი იქნებოდა ღამისა. დარაჯად ვიდექ და გაკვირვებული გავცქეროდი ამ საეჭვო მოძრაობას; თან საშინელი ფიქრები მიტრიალებდა თავში: ცხადია ფრანკფორტელებიც მტრისკენ არიან და ჩვენს წინააღმდეგ ემზადებიან-მეთქი. მართალია, ქალაქი ჩვენს ხელთ იყო, შიგ ორი ათასი კაცი გარნიზონად გვედგა და საჭირო ალაგას ჩვენი დარაჯები გვეყენა, მაგრამ რას იზამდა ორი ათასი კაცი იმოდენა ქალაქში? როგორ გაამაგრებდა იმ სიგრძე გალავანს? მეტადრე თუ მოქალაქენიც მტერს მიუდგნენ? ჩვენი ჯარი ბევრი, ბევრი ოცი ათასი კაცი ყოფილიყო და როგორ შეებრძოლებოდით ორმოცდაათი ათას კაცს? რას გავხდებოდით, თუ სხვა ჯარებს არ მოგვაშველებდნენ!..

ის ღამე მშვიდობიანად გაგვითენდა და ნაღარის ხმა მარტო დილით გაისმა, ასე ცხრა საათზედ, ფრანკფორტის მხრიდან; იმავე დროს ქუჩებში თოფის სროლა ატყდა და მთელი ქალაქი აიშალა. პრუსიელებიც ამას-ღა ელოდნენ და სწორედ იმ დროს მიადგნენ ქალაქს, როდესაც მოქალაქენი ჩვენს გარნიზონს ებრძოდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კარი ღია დახვდებოდათ. ბარემ გვინდოდა მივშველებოდით ჩვენს ამხანაგებს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, იძულებულნი ვიყავით უძრავად ვმდგარიყავით ჩვენს ალაგას. თოფის სროლა ქალაქში უფრო და უფრო ხშირდებოდა; რაც კი ქალაქში ხელოსანი და მუშაკაცი იყო, მოქალაქეთაგან წაქეზებული, იარაღით ხელში ებრძოდა ჩვენს გარნიზონს. მოქალაქეები კი თავთავიანთსა მიმალულიყვნენ და მაგრა ჩაეკეტათ კარი და ფანჯრები.

შუადღე იყო, როდესაც ზარბაზნის ხმა გაისმა. პრუსიელები უკვე შესულიყვნენ ქალაქის გარეუბანში და ჩვენი გარნიზონი ძლივსღა იმაგრებდა მტერს. ან რა უნდა გაეწყო მთელ ქალაქთან და იმოდენა ჯართან ორი ათას კაცს? რა შეეძლო ჩვენს გარნიზონს ქალაქში, სადაც დიდით პატარამდე ყველა წინააღმდეგი იყო ჩვენი?

ეს რომ შემდეგში ყოფილიყო, ადგებოდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ ქალაქს, რომ ჭკუაზედ მოეყვანათ მოქალაქენი; მაშინ კი ამგვარ საშუალებას ვერა ხმარობდნენ, რადგან ადამიანის ღირსების დამამცირებლად მიაჩნდათ იგი. ერთმა ჩვენი ჯარის წინამძღოლთაგანმა ბელგიაში ერთი სულ უბრალო სოფელი დასწვა და ქვეყნის სალაპარაკოდ გახადეს უბედური!

კარგა ხანი ვიღექით ასე და გულხელდაკრებილები შევცქეროდით შორეულ ბრძოლას; ნამდვილად აღარც კი ვიცოდით, ფრანკფორტი ჩვენებს ჰქონდათ ისევ. თუ პრუსიელ ჯარებს აეღოთ.

ბოლოს ორ საათზედ ჩვენთვისაც მოიცალეს მტრებმა და ბერგე-

ნიდან ჩვენსკენაც გამოგზავნეს ჯარი. წყობისად, იერიშის მოსატანად გამზადებულნი მოდიოდნენ პრუსიელები და ჩვენც შევემზადენით სტუმრების დასახვედრად.

კაპიტანმა ჟორდიმ ბრძანება გასცა, ცოტა უკან დაიწიეთ, ქედს ამოეფარენით, რომ უფრო უკეთ დაუმიზნოთ თოფიო. სამ წყობად დაალაგა ჩვენი პატარა რაზმი, აქა-იქ ზარბაზნები დააწყო და სულგანაბული ელოდებოდა პრუსიელების მოახლოვებას: უნდოდა მოეტყუებინა და მერე უცბად თოფი დაეშინა. ისინიც მოდიოდნენ, თითქო დაიწყებიათ ჩვენი იქ ყოფნაო და ამაყად მოაფრიალებდნენ თავიანთ დროშებს. ის იყო ნიშანსღა ველოდით თოფის სროლისას, რომ უმთავრეს ბანაკიდან ბრძანება მოგვივიდა, უკან დაიწიეთო.

ძალიან გვეწყინა, პრუსიელებს ზურგი როგორ უნდა ვუბრუნოთო, მაგრამ რას ვიზამდით? ბრძანებას ასრულება უნდოდა და ჩვენც დაუყოვნებლივ გზას გავუდექით. ნეტავი ერთხელ მაინც დაგვეცალა ზარბაზნები.

მთა ჩავიარეთ და ჩვენი ბანაკიდან გავემართენით, მაგრამ ამით ისარგებლა პრუსიელების ერთმა რაზმმა და ჩვენგან დატოვებული მთა დაიჭირა, რომ ფრანკფორტში მყოფ ჩვენი გარნიზონისთვის ყოველი გზა შეეკრა. ის იყო ავიდნენ პრუსიელები მთაზედ და ჩვენ ბრძანება მოგვივიდა, დაბრუნდით, ისევ თქვენი ალაგი დაიჭირეთ მთაზედ და პრუსიელები გარეკეთო. ბრაზი მოგვერია ამის გაგონებაზედ, მაგრამ გაგვეხარდა კიდეც, რომ უბრძოლველად არ გავექეცით მტერს, მით უფრო, რომ ორი ბატალიონი სხვა გამოგზავნეს ჩვენ საშველად.

პრუსიელები სრულიადაც არ მოელოდნენ ჩვენს დაბრუნებას იმისთანა სისწრაფით ავირბინეთ მთა, იმისთანა ხმით ვყვიროდით, რესპუბლიკას გაუმარჯოსო! რომ ველარ გაგვიმაგრდნენ, გაგვექცნენ და ისე მიგორავდნენ უგზო-უკვლოდ, რომ ოთხასზედ მეტი მოვკალით. მერე ზარბაზნები გავამწკრივეთ და ის იყო ქვევით ჩავიდნენ და ფიქრობდნენ სამშვიდობოს ვართო, რომ ახლა ზარბაზანი დავუშინეთ და ისე გავუხადეთ საქმე, რომ სულ თითო-თითოდ შეიმალნენ ბაღებში და ველარც მკვდრებს უპატრონეს, ველარც დაჭრილებს.

სწორედ ამ დროს მიეშველა ჩვენს გარნიზონს ნეუვინგერი ცხრა ათასი კაცით. ქალაქს იმ დროს მიადგა, რომ პრუსიელები სულ მთლად ჩვენს გარნიზონს მისჩერებოდნენ და ორ ცეცხლშუა მოიმწყვდია. აი, კიდევ იმისი საბუთი, რომ ომში ყველაფერი შემთხვევაზედ არის დამოკიდებული: პირველი ბრძანება, უკან დაიწიეთო, ჩვენ ჰუშარისაგან მოგვივიდა; მაგრამ კუსტენი დაბრუნებულიყო

მაინციდან და ახლა იმისი ბრძანება მოგვივიდა — ისევ მთა დაიჭირეთო. ჩვენ რომ მთიდან არ დავძრულიყავით, ვერც პრუსიელები გაბედავდნენ მთაზედ ასვლას და ვერც ჩვენ დავუხოცავდით, იმოდენა ხალხს. ამ შემთხვევის ბრალი იყო, რომ ათას ორასი კაცი დააკლდათ იმ დღეს უბედურებს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ნეუვინგერი ძალიან გვიან მივიდა და ამიტომ გარნიზონს ვეღარა უშველა რა. ფრანკფორტელებს ყველა კარები გაეღოთ მტრისთვის; ორი ჩვენი ბატალიონთაგანი უომრად დანებებოდა მტერს, რადგან აურაცხელი ხალხი და ჯარი შემოხვეოდა გარშემო; ორ ბატალიონს კი მაიორი ვანჰელდენის წინამძღოლობით გაერღვია მტრის ჯარები და სამშვიდობოს გამოსულიყო. ეს ორი ბატალიონი ნეუვინგერის ჯარს შეუერთდა და ნელ-ნელა უკან დაიწია. იმათთან ერთად ჩვენც ავიყარენით და უმთავრეს ბანაკისკენ წავედით.

ჩვენს წასაყვანად თვით ჰუშარი მოვიდა. ძალიან გულადი და მარჯვე კაცი იყო ცხონებული, მაგრამ ერთი ნაკლი სჭირდა: ომში მარტო იმასა ზრუნავდა, რასაც ხედავდა, და რასაც ვერ დაინახავდა, ისე აღარ მოაგონდებოდა, როგორც შარშანდელი თოვლი. ეს ნაკლი სჭირდა და ეს იყო უმთავრესი მიზეზი ყოველი მის უბედურებისა.

რაკი ჩვენმა ჯარებმა უკან დაიწიეს და ფრანკფორტი მტერს დარჩა, ჩვენგან აგებული ყოველი სიმაგრე ჩვენს წინააღმდეგ გამოადგებოდათ, რასაკვირველია. სხვა გზა აღარა იყო რა, უნდა ავჩქარებულიყავით და თავი დაგვენებებინა იქაურობისთვის.

ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც გაჩერდა ჯარი. უკანა რაზმი გაჩქარებით ისროდა, რადგან პრუსიელები შორიახლო მოგვდევდნენ იმ იმედით, რომ იქნებ მაინცამდე დავეწივნეთ როგორმეო. მაგრამ დავდექით თუ არა, ზარბაზნები დავუშინეთ და, ღვთის წყალობა გაქვთ, იმათ ჩვენ აღარ შევუწუხებივართ.

იმ ღამეს იქ ვიდექით და სახვალიოდ საბრძოლველად ვემზადებოდით. კუსტენი, ბირონი, ბოარნე და ჰუშარი ერთს კარავში იყვნენ მთელი ღამე და ისე გაათენეს, რომ თვალი არ მოუხუჭავთ. მაგრამ გათენდა და მტერი კი არსად იყო. ჩვენი ჯარიც დაიძრა და მშვიდობიანად მიაღწია მაინცს.

იმ ორ ბატალიონში, რომელმაც თავი დაახწია ფრანკფორტელებს, იყვნენ აგრეთვე ჩემი და ელისაბედი და ჩემი სიძე მარესკოცხენიც იქ დარჩენოდათ, ურემიც, მთელი თავიანთი ქონებაც, მაგრამ „ურემს ვიღა ჩივის, კიდევ კარგი, რომ ცოცხალნი გადავრჩით იმ საშინელებასაო“, იძახდა ლიზა.

საშინელი ხასიათის კაცი იყო კუსტენი: თუ გავიმარჯვებდით

სადმე, გამარჯვება ჩემიაო; და თუ ცოტა რამ მარცხი მოგვივიდოდა, მაშინვე სხვას დასდებდა ბრალს. აქაც ესევე მოიქცა და ფრანკფორტის გარნიზონის უფროსი ვანჰელდენი სამხედრო სამართალში მისცა და მიუხედავად იმისა, რომ ლომივით იბრძოდა საწყალი კაცი, ყოველივე ღირსება აჰყარა.

აი, რითი გათავდა ფრანკფორტის აღება. და ახლა სხვა ვთქვათ, უფრო საინტერესო.

VII

მაინში რომ შევედით, თოვდა. მთელი ჩვენი ჯარი მშვიდობით დაბრუნდა თავთავის ბინაზედ, გარდა მენიესი, რომელიც ოთხასი კაცით ერთად პრუსიელებმა შეიმწყვდიეს კონიგშტეინში. 1792 წ. ძალიან ცუდად თავდებოდა ჩვენთვის.

დავიწყეთ ისევ სიმაგრეების შეკეთება, მერე იმ სიცივეში! დიდ ხანს არ ვიტყვი და სულ ერთი თვე რომ ყოფილიყვნენ ჩვენი დიდებული ბატონები ჩვენს ალაგას, ერთიც ვერ გაუძლებდა ჩვენს ტანჯვას, და ჩვენ კი... ჩვენ რა? ჩვენ სულ უბრალო გლეხკაცები ვიყავით, ტანჯვისთვის და შრომისთვის გაჩენილნი! ჩვენ რა სახსენებელნი ვიყავით?!.

იანვრის დამდეგს კონვენტმა სამი თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა ჩვენთან, რებელი, ჰაუსმანი და მერლენ ტიონვილელი; ეს სამი წევრი საერო კრებისა ყოველთვის ჩვენთან იყვნენ, ყველა ჩვენს საქმეში, და ჩვენს გამხნევებას ცდილობდნენ. არც სიცივეს ერიდებოდნენ, არც ქარიშხალს, მიდი-მოდიოდნენ თავიანთი სამფერი სარტყელით და იმედიანად გვიძახდნენ:

— გამხნევდით, მამულიშვილნო! მომავალი ჩვენია!

და თუმცა ყინვისაგან ცრემლი გვდიოდა და გათოშილები ძლივსღა ვიბრძოდით, მხიარულად შევძახებდით ხოლმე:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

გერმანელები კი ომშიაც არ იშლიდნენ განცხრომას და ნებივრობას... იმისთანა თოვლი იდო, და ზედაც იმისთანა ყინვები დაიჭირა, რომ ძაღლს არ გააგდებდა კაცი გარეთ, როდესაც კონვენტის წევრებმა პრუსიელების ნახვა მოინდომეს. რვა ბატალიონი წაიყვანეს თან და ისე შეუვიდნენ მტერს, რომ ის ჯერ გონებაზედაც ვერ მოსულიყო. ბევრი ტყვე იშოვეს და დიდძალი საქონელი.

ძალიან ნელა გადიოდა ზამთარი. დღე გაჩქარებულნი ვმუშაობდით და საღამოზე მივუსხდებოდით ცეცხლს, თან დასველებულ ტანისამოსს ვიშრობდით და თან კონვენტის ამბებს ვკითხულობდით

გაზეთებში. მთიულების და ჟირონდელების შუა შუღლი დღითი-დღე მატულობდა. იმავე დროს ხმა გავარდა, სასახლის ერთს კედელში ჩამალული ყუთი უპოვნიათ რკინისა საიდუმლო ქაღალდებით სავსეო. ყველამ იცოდა, რომ მეფეს ძალიან უყვარდა ზეინკლობა და როდესაც დრო ჰქონდა, სულ რკინეულობას აცოდვილებდა. ერთი ზეინკალი, სახელად გამენი, მოხმარებოდა მეფეს ამ რკინის ყუთის გაკეთებაში. შემდეგში ეს კაცი ავად გამხდარიყო და ეფიქრა: ალბად მეოემ საწამლავი შემომაპარა, რომ მოვკვდე და მისი საიდუმლო არავის გავანდოო. ამდგარიყო და მინისტრისთვის, სახელდობრ როლანისთვის, ეამბნა ეს ამბავი.

პარიზელების ბატალიონი წმინდა ეგნატეს მონასტრის გალავანში იდგა და ხშირად მივდიოდი ხოლმე ელისაბედის და მარესკოს სანახავად. უცნაური ხალხი ყოფილა ეს პარიზელები. როგორც კი მიიღებდნენ გაზეთებს და წაიკითხავდნენ რასმე, აიშლებოდნენ ყველანი, სამ-სამი და ოთხ-ოთხი ერთად ადიოდნენ მაგიდაზედ და მოჰყვებოდნენ როლანის ლანძღვას: რაც რკინის ყუთში საიდუმლო ქაღალდები იყო, სულ როლანმა დასწვა, რადგან ჟირონდელებს ძალიან შეარცხვენდა იმ ქაღალდების გამოქვეყნებაო, — იძახდნენ. ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ სასიამოვნოს წაიკითხავდნენ რასმე და დაიწყებდნენ ცეკვას და კარმანიოლის სიმღერას. ხანდახან იმათ სხვებიც შეუერთდებოდნენ და იმისთანა მხიარული ჟრიამული ატყდებოდა ქალაქში, თითქო პრუსიელების ჯარისა ხსენებაც აღარსად არისო.

ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით მიეგებნენ პარიზელები გაზეთების ამბავს, — მეფე ლუი XVI გასამართლებული უნდა იყოს, რადგან სამშობლოს ღალატი ბრალდებაო: განა არა, დიდი ხანია ხმა დადიოდა, მეფე უნდა გაასამართლონო; საფრანგეთის ყოველ მხრიდან თხოვნა მისდიოდა საერო კრებას ათასი და ათი ათასი კაცის ხელმოწერილი, მეფე სამართალში უნდა იქნას მიცემულიო; მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს მეფეს მართლა ბრალდებულთა სკამზედ დასვამდნენ.

ბევრჯელ დავსწრებივარ გამოჩენილი ავაზაკების და ყაჩაღების გასამართლებას და ყოველთვის განცვიფრებული დავრჩენილვარ ჩვენი ხალხის ხასიათით: ოღონდ კი გააგონე რამე ამგვარი, ოღონდ დაანახვე გამოჩენილი კაცისმკვლელი და თუნდა პურსაც ნუ აქმევ! ჰოდა, ერთი უბრალო ყაჩაღი რომ ასე გაიტაცებს ხოლმე ჩვენს ხალხს, წარმოიდგინეთ, როგორ აიშლებოდა მთელი საფრანგეთი, როდესაც ხმა გავარდა, მეფეს ასამართლებენო. მაგრამ მეფეს მეფედ ხომ აღარ ახსენებდნენ: ლუი XVI ახლა ლუი კაპეტს უწო-

დებდნენ, რადგან საფრანგეთის მეფენი კაპეტის გვარისანი არიან. ყავახანებში, ლუდხანებში, ბაზარში, ჯარის ბინაზედ, საცა კი ორი კაცი შეხვდებოდა ერთმანეთს, სულ ამაზედღა ლაპარაკობდნენ; ზოგნი ამბობდნენ, მეფეს რაღა გასამართლება უნდა, აიღონ და დახვრიტონ, რადგან მოსისხლე მტერია რესპუბლიკისა და კაცობრიობისაო! ზოგნი ამტკიცებდნენ, ეგ მეტისმეტი იქნება და ისიცა კმარა, რომ საფრანგეთიდან განვდევნოთ ისა და მთელი იმისი გვარიო! ზოგნი კიდევ იმ აზრისა იყვნენ, რომ გილიოტინით თავი გავაგდებინოთ, რადგან სამშობლოს უღალატაო! ყველა თავისას გაიძახოდა, ყველგან უსიამოვნება და განხეთქილება იყო; მთელი საფრანგეთი და მასთან ერთად მთელი ჯარიც სამ ნაწილად იყო დამდგარი. ზოგნი მთიულებისკენ იყვნენ, ზოგნი ჟირონდელებისკენ და ზოგნი კიდევ ვაკელებისკენ. ამ განხეთქილებას ზედ დაურთეთ გახიზნულ დიდებულთა ნათესავების და კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ბერების ოინები და ცხადად წარმოგიდგებათ, რა საშინელ ყოფაში უნდა ყოფილიყო იმ დროს ჩვენი ქვეყანა.

ყველაზედ უსაშინელესი განხეთქილება კი საერო კრებაში იყო. ჟირონდელებმა ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ მეფისთვის გასამართლება აეცდინათ, მაგრამ რაკი ნახეს, რომ ვერა გააწყეს რა, ყოველ დღე ახალ-ახალ ხრიკს უდებდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, რომ საქმე შეეგვიანებინათ. ჯერ ის თქვეს, რომ 1791 წ. დადგენილი კონსტიტუციის ძალით მეფე ხელშეუხებელი უნდა იყოსო. მაგრამ სიტყვა მოკლედ მოუჭრეს მთიულებმა: ეგ კონსტიტუცია თვით მეფემ დაარღვიაო. მეორე დღეს სხვა მოიგონეს და ხმა-მაღლივ ძახილი დაიწყეს, საერო კრება სხვაა და სასამართლო სხვა... რა უფლება აქვს საერო კრებას ვინმე გაასამართლოსო? ამითაც ვერა გააწყეს რა და დაიძახეს, ხალხს მივმართოთ, ხალხს დავეკითხოთ, დაე ხალხმა გადასჭრას მეფის ბედიო. იმავე დროს იმისთანა ხმებს ავრცელებდნენ, რომ ხალხი უთუოდ უნდა შეშინებულიყო და მეფის მხარე დაეჭირა: თუ ღმერთი გაგვიწყრა და მეფე ლუი XVI დაუშავდა რამე, შეიკრიბებიან მთელი ქვეყნის ხელმწიფენი, სუყველანი ერთად საფრანგეთს მოაწყდებიან და ქვას ქვაზედ აღარ დასტოვებენ! მთიულებიც ყოველთვის მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ და პირში ბურთსა სჩრიდნენ: ხშირად ისე გაბრაზდებოდნენ ხოლმე ორივენი, რომ წამოცვივდებოდნენ რაც კი ჟირონდელები იყვნენ და მუშტმოღერებული მისცვივდებოდნენ მთიულებს. შუაში რომ დინჯი და აუჩქარებელი ვაკელები არა ჰყოლოდათ, ერთმანეთს ამოხოცავდნენ.

მეფემ ნამდვილად უღალატა თავის ერს. ამას ნამდვილად მოწმობდნენ ის ქაღალდები, რომლებიც რკინის ყუთში იპოვეს სა-

სახლის კედელში ჩალესილი. მთელ თავის ქონებას თურმე იმაზედ ხარჯავდა მეფე, რომ მოესყიდა საერო კრების წარმომადგენელნი და დახმარებოდა გახიზნულ დიდებულებს, რომელნიც საზღვარგარეთ საფრანგეთში შემოსასევად ჯარებს აგროვებდნენ; მეფეევე შეევედრებოდა პრუსიელებს და ავსტრიელებს, მოდით, საფრანგეთი ააოხრეთ, ხალხი ძველებურად დაგვიმონავეთ და მე და ჩემს მემკვიდრეებს და ჩვენთან ერთად დიდებულებს და სასულიერო წოდებას ძველებური მეუფება მოგვანიჭეთო! ეს რომ ერთ საწყალ კაცს ექმნა ვისმე, ეს კი არა, თუნდ ამის მესამედიც, ერთ წამს არ აცოცხლებდნენ; და რადგან სამშობლოს მოღალატე ერთი საწყალი კაცი კი არა, თვით დიდებული მეფე ბრძანდებოდა, ჟირონდელები არავითარ საშუალებას აღარ უკადრისობდნენ, რომ მეფე გადაერჩინათ როგორმე. ხომ იძახდნენ, ჩვენ რესპუბლიკის მომხრე ვართო, — და ეს ვითომ-რესპუბლიკელები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ საფრანგეთის შვილნი ერთიერთმანეთისთვის შეებრძოლებინათ და მით მაინც აესრულებინათ თავიანთი წადილი. მაშ რას მოასწავებდა მათი დაჟინება, მეფის ბედი ხალხს მივანდოთო? კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ხალხში იმისთანა განხეთქილებას გამოიწვევდა ეს კითხვა, რომ უიარაღოდ და უსისხლოდ მისი გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა.

ხალხს თავისი დარდიც ეყოფოდა. იმისთანა შიმშილი იყო მთელს საფრანგეთში, რომ ქრისტეს ტირილი იდგა ყველგან. პური თავის წონა ვერცხლის ფასად იყიდებოდა. მუშაკაცს ჯამაგირს ასსიგნაციებით აძლევდნენ და ამ ასსიგნაციებს კი თავისი მეოთხედი ფასიც აღარა ჰქონდა; მედუქნეები აღარც კი იღებდნენ ამ ქაღალდებს; ვისაც პურის ყიდვა უნდოდა, რამდენიმე საათი უნდა მდგარიყო ხაბაზის დუქნის წინ, რომ ერთი გირვანქა პური ღირსებოდა როგორმე. ერთი სიტყვით, ხალხი შიმშილით იხოცებოდა და ხალხის შვილები კი გერმანიაში და ბელგიაში იბრძოდნენ ჟირონდელების წყალობით, რომლებსაც ეგონათ, ომს გამოვუცხადებთ მტერს, და მთიულებსაც ამით ვაჯობებთო. ხალხი შიმშილით იხოცებოდა და, სხვა საშუალება რომ აღარა ჰქონდა რა, საერო კრებას შესთხოვდა შველას: პურზედ და სხვა — უპირველეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ სანოვაგეზედ — გადაჭრილი ფასი დასდეთ, რომ იმაზედ ძვირად არ იყიდებოდესო. მაგრამ ჟირონდელები ხალხის გოდებას ყურადღებასაც არ აქცევდნენ. რა დროს ხალხი იყო, მეფე ეღუპებოდათ!

ეს ქრისტიშობის დამლევს და იანვრის დამდეგს იყო.

იმ ცოტა ხნის წინად ხმა გავარდა, რომ კელლერმანის ალაგას დანიშნული გენერალი ბერნონვილი თავის ჯარით ჩვენკენ მოეშუ-

რება, რომ ჩვენთან ერთად შეებრძოლოს მტერსაო; მაგრამ პრუსიელები წინ დახვედროდნენ და ისე შეეკრათ ვიწრო ხეობები, რომ ეს შეერთება ვერ მოგვიხერხდა. დიდი ბრძოლა ჰქონდათ მაშინ ჩვენ ჯარებს, დიდი ვაჟკაცობა გამოეჩინათ ჩვენებს, მაგრამ გზა მაინც ვერ გამოეკვლიათ.

მარგალიტას წიგნი მივწერე; დაწვრილებით ვუამბე ჩვენი ყოფაცხოვრება და ტალახში და თოვლში დაუსვენებლივ მუშაობა. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ; მე იმედიც კი გადავწყვიტე — ალბად ჩემი წერილი პრუსიელებს ჩაუვარდათ ხელში, თორემ მარგალიტა უპასუხოდ არ დამტოვებდა-მეთქი. მართლადა, დღე არ გავიდოდა, რომ ამგვარი ამბავი არა გაგვეგო რა. ერთ დილას, ის იყო ჩემს ალაგას სხვა დააყენეს დარაჯად და მეც გაჩქარებული დავბრუნდი ჩვენს ბინაზედ, რომ კიბეზედ ერთ გლეხკაცს შევეფეთე. იმავე დროს ივანე სომის ხმაც შემომესმა ზემოდან:

— შენა გკითხულობენ, მიშელ!

შევხედე, ჩვენი კენტენი იყო, ფალსბურგიდან ფოსტა რომ მოჰქონდა ხოლმე ჩვენკენ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიამა ჩვენებურის ნახვა! რომ არ შემრცხვენოდა, მივარდებოდი და ისე ჩავიკრავდი გულში, თითქო ჩემი მარგალიტა იყოსო.

— თქვენა ბრძანდებით, ბატონო კენტენ? რისთვის გარჯილხართ ამ სიშორეზედ? ნუ თუ შინიდან მოდიხართ?

— შინიდან რომ არ მოვდიოდე, ხომ შენც არაფერს მოგიტანდი. არა, აქ კი არა მაქვს, დუქანში დავტოვე; ან სად შემეძლო იმოდენა კალათის თრევა? კარგი არ იქნებოდა, მომეტანა და შენ კი აქ არ დამხვედროდი!

— მარგალიტა როგორ გახლავთ?

— ძალიან კარგად. დღეს სწორედ ერთი კვირაა, რაც ვნახე; შენი პატარა ძმაც იქ იყო. იმოდენა მეხვეწა, რომ უარი ვეღარ ვუთხარ და ჯაგლაგს შენი კალათიც ზედ დავურთე. მოითმინე, მგონი, ქალალდიც გამომატანა შენთან.

უბეში ხელი ჩაიყო და მარგალიტას წერილი მომცა. გულს ძლივსღა ვიმაგრებდი თავის ბუდეში. მინდოდა იქვე გამეხსნა, მაგრამ ამხანაგებისა შემრცხვა და, თუმცა გული სულ სხვას მეუბნებოდა, წიგნი ჯიბეში ჩავიდე და მადლობა გადავუხადე:

— გმადლობ, ბატონო კენტენ!.. თუ გნებავთ, ახლავე გიახლებით კალათის წამოსაღებად.

მაშინვე წავედით და გზაში, რაკი მარტონი დავრჩით, ხან მარგალიტას ამბავსა ვკითხავდი, ხან ნათლიაჩემისას, ხან მამაჩემისას;

მაგრამ, რაც უნდა მეკითხა, მაინც ისევ მარგალიტას ამბავს ვეკითხებოდი; საქმე გავუჭირე საწყალ კენტენს.

— კარგად არის, კარგად! — მეუბნებოდა დაღლილ-დაქანცული—თურაშაული ვაშლივით გააქვს ღაჟღაჟი. ისეთი მხიარულად არიან ორივენი, რომ მეტი აღარ შეიძლება!

— ოჰ, რა მადლობელი ვარ თქვენი, ბატონო კენტენ! — შევძახოდი გახარებული და თვალწინ მიდგა ჩემი მარგალიტა, შოველი, წიგნის მაღაზია... ისე ცხადად მელანდებოდა ჩვენი სოფელი, რომ თვალებზე ხელს ვისვამდი, ხომ არ მძინავს-მეთქი. გახარებული გადავყურებდი ქვეყანას და იმისთანა გუნებაზედ ვიყავ, რომ მოხუცებული კენტენის კომბოსტოსავით ჩამრგვალებული ცხვირი და ძირს დაშვებული ლაშიც კი მშვენიერებად მეჩვენებოდა!

ერთ ვიწრო ქუჩაში შევუხვიეთ; ამბობენ, სტამბის გამომგონი ამ ვიწრო ქუჩაში იდგა და წიგნის ბეჭდვაც აქ გამოიგონაო. სავსე იყო ქუჩა ჩვენებური გლეხკაცებით და ურმებით; ისეთი ყვირილი იდგა, ისეთი ჟრიამული, რომ გეგონებოდათ, ბაზრობა არის და მთიდანაც დაძრულა ხალხიო. სარბურგელები, სავერნელები, კატრვანელები, მიტტელბრონელები, სულ იქ იყვნენ.

— თქვენ მარტო არა ყოფილხართ მაინცში, ბატონო კენტენ?

— მარტო რად ვიქნები, ას ორმოცდაათი ურემი ჩამოვიტანეთ წუხელი. დაგვიარეს გზირებმა და სულ კინწისკვრით გამოგვრეკეს, ჯარს ტყვია-წამალი უნდა ჩაუტანოთო. ჩემს ალაგას ბაპტისტი ჩავაყენე, ჩემი ბიჭი; ფოსტას ახლა ის ზიდავს და მე კიდევ ურემზედ წამოვედი, ძაან ცუდად ყოფილა, ბიჭო, თქვენი საქმე; ამბობენ, მაინცში მოემწყვდევიან ჩვენი ჯარებიო!

— ჩვენი ფიქრი ნუ გაქვთ. თქვენ ეს მითხარით, ისე როგორ მოაღწიეთ აქამდე, რომ მტერი არსად შეგხვდათ?

სიცილი დაიწყო და მიპასუხა:

— ფალსბურგიდან დაწყებული სულ მილიცია მოგვდევდა; და საცა ცოტაც არის შიში იყო, იქ ორასი კაცი კიდევ ცხენოსანი მოგვიძღვოდა წინ. სამი დღე მშვიდობიანად ვიარეთ, მაგრამ მეოთხე დღეს კი ღვთის წყალობა გვაქვს, ჩვენ ისინი დავიფრინეთ. ერთ ვიწრო ხეობაში მიიკლაკნებოდა არხეინად ჩვენი ქარავანი, რომ უცბად ხმა გაისმა: არიქათ პრუსიელებიო! ვიდრე ჩვენ გონებაზედ მოვიდოდით და შევემზადებოდით რითიმე, თავზედ კი წამოგვადგნენ თავიანთი გრძელი შუბებით:

— მერე არ შეგეშინდათ, ბატონო კენტენ!

— დამცინი თუ, მიშელ? რისა უნდა შემშინებოდა? ისე დაუხვდნენ ჩვენი ბიჭები, როგორც რკინა! იმათთან რომ ვერა გააწყეს რა,

ადგნენ და ურმებისკენ გამოგზავნეს ათიოდე ცხენოსანი. გამოაქროლეს ცხენები და თანაც რაღასაც გვემუქრებოდნენ. მეექვსე ურემჩემი იყო. წინა ურმისა რა მოგახსენო და მე კი, ერთი თვალის დახამხამებაზედ მომვარდა პრუსიელი, თოფის ლულა გულში მომცა და — გამოუშვიო! შემომიტია.

— აგრე კი არ უნდა-მეთქი, — შევძახე, გავუხტი განზედ, გადავაწანი შოლტი და ისე მშვენივრად გავკარ შიგ ყურის ძირში, რომ თავი შუაზედ გავუპე. საზარლად შეკღოიალა უბედურმა და თითქო სიმწარისაგან თავბედისა აღარა გაეგება რაო, აღვირი ხელიდან გააგდო და უზანგიდან ფეხები გამოყარა. მაგრამ სხვებმა დაგვინახეს, იმისმა ამხანაგებმა, და ორი ცხენოსანი კიდევ სხვა წამოვიდა ჩემსკენ. რა მექნა, თოფი მე არა მქონდა და ხმალი? ავდექი და ურმებს ამოვეფარე. ჩემი ჯავრი საწყალ მაკრიზედ იყარეს, იმ უწმინდურებმა! იმისთანა ძალით ჩაჰკრა ერთმა პრუსიელმა თავისი შუბი, რომ მიწამდე დაიყვანა. მაკრის ნიკოლოზ ფინკი მიეშველა, მაგრამ იმანაც ვერა გააწყო რა, ტყუილუბრალოდ დაიჭრა კაცი და კინალამ თავიც შეაკლა. მე კი ძაან-ძაან გადავრჩი, რადგან ჩვენებს კიდეც გაექციათ მტერი და ახლა ჩვენკენ მოეშურებოდნენ. თხუთმეტიოდე კაცი მოვუკალით და ბევრი კარგი ცხენიც ვიშოვეთ იმ დღეს, ჩემო მიშელ.

ნეტავი გენახათ, რა გულიანად იცინოდა მოხუცებული კენტენი, ამას რომ მიამბობდა.

— ლუი XVI გასამართლებაზედ რაღას ამბობენ ჩვენებურები?

— კაპეტის გასამართლებაზედ? ჰო და ქალებს მაგის მეტი აღარა აგონდებათ რა. ჩემს დედაკაცს უნდოდა კელაპტარი აენთო და კაპეტი შეევედრებინა ღმერთისთვის, მაგრამ იმისთანა დღე დავაწიე, რომ კაპეტიც დავავიწყე და კაპეტის პაპაც! იცი რას გაიძახიან ის უსინიდისო ბერები? კაპეტს ნუ შეეხებით, თორემ ციდან ანგელოზები ჩამოვლენ და ისინი მიეშველებიანო! სულ ისინი რეევენ ქვეყანასა და! ნეტავი კი იმათი დაჭერა შეიძლებოდეს და! მაგრამ მოდი შენა და დაიჭირე ის ღვთისა და ქვეყნის მტრები! სამრეკლოზედ დარაჯად დაყენებული კაცი ჰყავთ და დაინახავს თუ არა ჟანდარმებს, მაშინვე ზარს ჩამოჰკრავს. წადი შენა და სდიე! სულ ბერებისაგანა გვჭირს, რაცა გვჭირს, ჩემო მიშელ, და ღმერთი რომ სამართლიანი ყოფილიყო, ბატონსა და ბერს არ გააჩენდა. წარსულ კვირას დედაშენი ვნახე. ისე გაუტაცნია ვიღაცა ბერის ქადაგებას, რომ თოვლივით გათეთრებულა საწყალი დედაკაცი: დედოფლის ცოდვით მომიკვდაო, იძახის, და ის კი არ იცის, რომ დედოფალს არც კი ახსოვს, გდია სადმე დედაშენი თუ არა!

— სულ ტყუილია, ჩემო მიშელ, ჩვენ თუ გვიშველის ვინმე, ისევ კამბონი გვიშველის. გახიზნულების მამულს კამბონი წვრილ-წვრილადა ჰყიდის და ცდილობს ისე მოაგვაროს საქმე, რომ გლეხკაცობამ შეიძინოს. მამულს ნისიად გვაძლევს, დიდი ხნის ვადით. აი, კაციც იმისთანა უნდა და დიდი პატივისმცემელიც ვარ მისი, ღვთის წინაშე. მე მამული ვიყიდო, ფული მივცე და მერე არისტოკრატი მოვიდეს ვინმე და მითხრას, ჩემიაო! აბა გაბედოს! აბა გაბედოს და ხმა ამოიღოს! მთელი საფრანგეთის გლეხკაცობა წამოიშლება! ერთი ვერ გადარჩება ცოცხალი, ერთი, თუ ხმა ამოუღიათ იმ მუქთახორა ბატონებს! ქვეყანა გლეხკაცია, მუშაკაცი და არა ბატონები და ბერები. ბატონები და ბერები ქვეყანას ღუპავენ და გლეხკაცი კი აშენებს ქვეყანას. დიაღ, კამბონის წყალობით არის, რომ დღეს ჩვენში უმამულო გლეხკაცი თითქმის აღარავინ არის. ეეჰ, მცოდნოდა! ისე მოვერიდებოდი დუქანს და ლუდხანას, როგორც თათარი! რაც მე ჩემს სიცოცხლეში სასმელზედ ფული წამიხდენია, რომ მომეგროვებინა, დღეს ერთ კარგ აზნაურის მამულს ვიყიდდი. გვიანღაა სინანული, ჩემო მიშელ, გვიანღაა! მაგრამ მე თუ აღარ გამომადგება, შენ მაინც გამოიყენე! ეს იცოდე ჩემგან, წასულია, რასაც დალევ, შენ ის აღარას გამოგადგება!

— რაც შეეხება ლუი კაპეტს, სულ ერთია ჩემთვის: თუ უნდათ, თავი მოსჭრან, თუ არა აქეთ-იქით ჟანდარმები ამოუყენონ და ხელშეკრული განდევნონ საზღვარგარეთ. ვინ მე, ვინ ლუი კაპეტი? თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი, ოღონდ ჩემი ცოლი ფულს ნუ მომპარავს და ვიღაცა წვერცამეტა ბერს პარაკლისს ნუ ახდევინებს, ღმერთო, შენ გააძლიერე მწყალობელი ჩვენი მეფეო! ასე, ჩემო მიშელ! იქნება ჰგონიათ არისტოკრატებს, რომ ძველებურად პირუტყვია გლეხკაცი და თავისი სიკეთის შეგნება არა აქვს! სცდებიან, ძალიან გულით სცდებიან! ისიც ეყოფათ, რაც ხანი იბატონეს! აგერ ათ საუკუნეზედ მეტია, სულ იმას გაიძახდნენ, — მიწიერი მეუფება ჩვენაო და სასუფეველი ცისა თქვენაო. რიგით არ უნდა იყოს ყველაფერი? ახლა ჩვენი რიგია: მიწიერი მეუფება ჩვენი იყოს და სასუფეველი ცისა დაე არისტოკრატებმა დაიმკვიდრონ. ოღონდ აქ ნურას შეგვეცილებიან და თუ იქ ჩვენ შევეცილოთ რასმე, პირში ჩაგვაფურთხონ.

ის იყო დუქნის ეზოშიც შევედით და რაკი დაინახა, რომ მივედით, მხიარულად შემომძახა:

— მივედით, მიშელ, მივედით! მომითმინე, გომში ჩავიდე. შენი კალათი იქა მაქვს შენახული.

ცოტა ხანს უკან ერთი საკმაოდ მოზრდილი კალათი ამომიტანა,

შამაჩემის ხელით დაწნული კალათი, სწორედ იმისთანა, როგორიც ამ ორის წლის წინათ მარგალიტას გავუგზავნე, პარიზში რომ იყო; მომაგონდა ჩვენი სოფელი, ჩემი მარგალიტა და გულმა კვნესა დამიწყო.

— რა უნდა მოგართვათ, ბატონო კენტენ?

— რა უნდა მომართვა? ერთი კარგი ხელადა წითელი ღვინო! სხვა რა უნდა მომართვა, შენგან არ მიკვირს?

იქვე დუქანში შევედით და ერთი ჩარექა ღვინო ჩამოვასხმევინე. ხალხით სავსე იყო იქაურობა. შევედით თუ არა, მაშინვე ვიცან ნიკოლოზ ფინკი: ბუხართან მიმჯდარიყო საწყალი და თვალდახუჭული, სისხლიანი მჩვრებით თავახვეული საშინელი სანახავი იყო.

მე და კენტენი განცალკევებით დავსხედით. ღვინო დავუსხი, ბოდიში მოვიხადე და მარგალიტას წერილის კითხვა დავიწყე.

განა ადამიანი იქნება, რომ სიყვარულის სიტკბოება არ ეგემოს! მაგრამ მგონი ყველამ არ იცოდეს, რა ნეტარებაა ჭკვიანი ქალის სიყვარული. სხვებივით მარტო იმას კი არ მიმეორებდა ურიცხვად ჩემ მარგალიტა, რომ მიყვარხარ და მიყვარხარო; არა, ჩემს ყოფა-ცხოვრებას მკითხავდა, გაჭირვებაში გამაგრებას მირჩევდა და თანაც იმისთანა იმედიანად მოელოდა ჩვენს შეყრას, რომ მეც იმედით ამივსო გული. კაცი ცოლით უნდა ამაყობდეს და, იქნება დამეთანხმოთ, ოცი ათასი თუმნის მოგებას კარგი ცოლის შერთვა სჯობია.

სამი ახალი პერანგი იყო კალათში, კარგი ლამაზი მატყლის წინდები, რომ ფეხი არ გამცივებოდა, ერთი წყვილი წაღა; ერთის სიტყვით, ყველაფერს მიგზავნიდა, რაც კი საჭიროა ჯარისკაცისთვის, რომელიც თოვლში და ტალახში აღამებს თავის დღეებს და ძილითაც უფრო ხშირად ცის ქვეშ რჩება, ვიდრე ჭერ ქვეშ. ჩემთვის რომ ეკითხათ, მე ვერ ავნუსხავდი ისე ყველაფერს, როგორც იმას მოჰგონებოდა ყოველი წვრილმანი. ზედაც ერთი კარგი ლორი ჩაედო და ერთი ხელადაც ჩვენებური არაყი. ისე ჩემს დღეში არ მწყურებია სიცოცხლე, როგორადაც მაშინ და ჩემს თავს ფიცს ვუდებდი, ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე მე ჩემს მოვალეობას არ ვუღალატებ, მაგრამ თუ ცოცხალი გადავრჩი... მაგრამ უჩემოდაც ყველა მიხვდება მაშინდელ ჩემს გულის დარდებს.

მარგალიტას წერილთან შოველისაც იყო; ძალიან ვწუხვარ, რომ სადღაც დამეკარგა და არ შემიძლია სიტყვასიტყვით მოვიყვანო, რადგან ზედმიწევნით განმარტავდა მაშინდელს ჩვენს საქმეებს და წინასწარმეტყველებით ასწერდა, რაც შემდეგში უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც.

წიგნი ნათლიაჩემთან იყო მიწერილი და თუ არა ვცდები, თარიღი 1 ქრისტეშობისთვე 1792 წ. ჰქონდა. ამ წერილში შოველი სამაგალითოდ ახასიათებდა მთიულების წინამძღოლთ და მეტადრე დანტონს, რომელსაც ყველაზედ ძლიერად თვლიდა გამბედაობით, ბუნებრივი მჭერმეტყველებით, კეთილი გულით და შორსმჭვრეტი გონებით. რაც უნდა ცხარე შეტაკება მოუხდეს ჟირონდელებთან, ის მაინც ყოველთვის შერიგებას და თანხმობის ჩამოგდებას ცდილობს და სულ იმას ეეედრება: სამშობლოს გულისთვის მაინც დავივიწყოთ ამოდენა შუღლი და ქიშპობა, შეეერთდეთ და შეერთებული ძალით ვემსახუროთ რესპუბლიკის გაძლიერებასო. მაგრამ ტყუილად ცდილობს ჟირონდელებთან შეთანხმებას; მართალია, მათ შორის ძალიან ბევრნი არიან სამაგალითო ორატორები, მაგრამ მათი სულის ჩამდგმელი როლანის ცოლია, და როლანის ცოლს ისე სძულს დანტონი და ისე უყვარს დიდება, რომ მთიულებს თავის დღეში არ შეურიგდებაო.

თუ კვლავაც ასე მოგვექცნენ და ყოველი ჩვენი წადილი თავიანთი კერპობით და ჯიბრით ჩაგვიშალეს, სამშობლოს დაღუპვის მიზეზი ჟირონდელები იქნებიან და სამშობლოს დაღუპვას, ისა სჯობია, თითონ ისინი დავღუპოთ; თუ არ დაიშალეს, ადრე იქნება თუ გვიან, ჩვენ და ჟირონდელები შეეეტაკებით ერთმანეთს და, ღმერთმა კი ნუ ქნას, საშინელი იქნება ჩვენი შეტაკება! ჯერ ახლაც რა ამბავია საფრანგეთში, და მაშინ ხომ სულ აიწეწება ჩვენი საქმეები: სამხრეთი ჩვენკენ იქნება, ვანდე კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ბერებისკენ; სხვა თემები ჟირონდელებისკენ. და თუ კი ჩვენ ერთმანეთის წახრჩობას მოვუნდებით, ვიღა გაუძალიანდება გარედან მოსულ მტერს? ჟირონდელებისა გამო სამშობლო განსაცდელშია და უპირველეს ყოვლისა ჟირონდელები უნდა დავიმორჩილოთო.

შოველი გულითა სწუხდა ასეთს გაჭირვებას თავისი პარტიისას და თუმცა გაჭირვებული მზად იყო ყოველი ღონისძიება ეხმარა თავისი მიზნის მისაღწევად, მაგრამ ეტყობოდა, ძალიან სწყინდა, რომ მთელი პარტია და მეტადრე იმისთანა განათლებული კაცები, როგორც, მაგალითად, ვერნიო, ერთს ქალს დამორჩილებოდნენ, ჟირონდელების მარიამ-ანტუანეტას. წერილს იმით ათავებდა, რომ ამ ცოტა ხანში გვინდა გავათავოთ მეფის გასამართლების საქმე, რომ ამით მაინც ჩამოვხსნათ ჟირონდელებს ნიღაბი და იქნება უთანხმოებაც ჩამოვაგდოთ მათ შორის: მაშინ გამოჩნდება, ვინ ბრძანდებიან ბატონი ჟირონდელები — ხელმწიფის მომხრენი თუ რესპუბლიკელები? ეგ იმაზე იქნება დამოკიდებული, წაექომაგებიან მეფეს თუ მის დასჯას მოითხოვენო.

და მართალსაც იწერებოდა: დაიწყო თუ არა ლუი კაპეტის საქმე, მაშინვე გამოჩნდა, ვინ იყო რესპუბლიკის მომხრე და ვინ — მტერი.

ისე გამიტაცეს ამ წერილებმა, რომ კენტენი აღარც კი მომგონებია. მე რომ კითხვა გავათავე, იმას ხელადა გაეთავებინა და ბარიბარს გამოვედით. დახლიდარს გავუსწორდი, ყველასთან მოკითხვა დავაბარე, მარგალიტასთან კოცნა, და გახარებული გავეჩქარე ჩვენი ბინისკენ.

მეორე დღეს, 22 იანვარს, შიკრიკმა ამბავი მოიტანა, მეფეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტესო და ორი თუ სამი დღის შემდეგ ხომ თავიც მოაგდებინეს. ბევრს ეცადნენ ჟირონდელები, ბევრი იძახეს, ნუ აჩქარდებითო, მაგრამ ვეღარა გააწყეს რა და როდესაც კენჭის ყრაზედ მიდგა საქმე, იმათაც, თითქმის ყველამ, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ჯარი ძალიან კმაყოფილი იყო ამ გადაწყვეტილებისა.

ყველანი ვხედავდით, რომ სამართალი მართლა და ერთი იყო დიდისთვის და პატარასთვის, მეფისთვის და გლეხკაცისთვის. ყველანი ვხედავდით, რომ სამშობლო უფრო ძლიერი და წმინდა ყოფილა, ვიდრე მეფე; ვხედავდით, რომ ფიცის გატეხა და სამშობლო ქვეყნისადმი ღალატი თვით მეფესაც აღარ ეპატიება. მაგრამ იმავე დროს იმასაც კარგად ვხედავდით, რომ ევროპიელ მეფეებს არაფრად ეჭაშნიკებოდათ ხალხის ასეთი გაძლიერება და მეფის დამცირება; ყველაფერი მაგალითით და მიბაძვით არისო, იტყოდნენ, და ჩვენმა ქვეშევრდომებმაც რომ მოინდომონ ჩვენი გასამართლებაო? ცხადი იყო, მეფეები და ხელმწიფეები თავის დღეში არ გვაპატიებდნენ ჩვენ, პირუტყვივით დამუნჯებულ ყმებს, ღვთისაგან კურთხეულის და ღვთის სწორის მეფის მოკვლას; არ გვაპატიებდნენ იმ აზრის მოფენას, რომ მეფე ღმერთი კი არა, უბრალო ადამიანია და თუ დააშავა რამე, იმასაც ისევე მოსჭრიან თავს, როგორც ყველა სხვა ავაზაკს. დიაღ, კარგად ვხედავდით, რომ მეფის მოკვლით რესპუბლიკამ მოსისხლე მტრებად გადაიკიდა ყველა მეფეები და ხელმწიფეები და ახლა საქმე ის იყო, რომ ამ ბრძოლიდან ცოცხალი საფრანგეთი გამოსულიყო.

ამას ყველანი კარგადა ვგრძნობდით, მაგრამ შიშს არ ვიკარებდით და იმედიანად შევყურებდით მომავალს. რომ გაიგეს, მეფეს თავი გაგდებინესო, მთელი ორი კვირის განმავლობაში ათასობით და ათი ათასობით უგზავნიდნენ საერო კრებას საფრანგეთის ყოველი მხრიდან ადრესებს და მადლობას მოღალატის ღირსეულად დასჯისთვის.

VIII

მოდიოდა და მოდიოდა ურემი ურემზედ — პური, ქერი, თივა, ტყვია-წამალი და იარაღი; წისქვილები ფქვას ვეღარ ასწრებდნენ და ჩვენ კიდევ ჩალაგებას. ეტყობოდა, მტერი მაინცში გვიპირებდა შემწყვდევას.

თებერვლის დამდეგს ჟირონდელმა ბრისსონმა წინადადება შეიტანა საერო კრებაში, ინგლისს და ჰოლანდიას ომი გამოვუცხადოთ, რადგან იქაური ხალხი ომის გამოცხადებასღა ელის, რომ აიშალოს, მებატონეთაგან განთავისუფლდეს და რესპუბლიკა დაადგინოს; ეს ამბავი მე ლონდონიდან მომივიდა და თავს მოვიჭრი, თუ მართალი არ იყოსო.

მართალი ის იყო, რომ ინგლისელ მინისტრ პიტს ლონდონელი ვითომ და რესპუბლიკელები დაერიგებინა, საფრანგეთში ემაგრე მიწერეთ, რომ იქნება ომი გამოგვიცხადონო. პიტს ძალიან უნდოდა საფრანგეთთან ომი, რომ ძირიანად ამოეფხვრა რესპუბლიკური აზრები, რომელნიც ინგლისში დღითიდღე მეტად და მეტად ვრცელდებოდნენ; პიტს უნდოდა დაემციერებინა რესპუბლიკა და კვლავ აღემაღლებინა არისტოკრატია. დიდი ხანია თითონვე აგვიტეხდა ომს, მაგრამ იცოდა, რომ ინგლისელი ხალხი არ მოუწონებდა ამ პოლიტიკას და ცდილობდა, ბრისსონი მოეტყუებინა, და ომი ჩვენვე გამოგვეცხადებინა; მაშინ ვინღა რას დაემდურებოდა პიტს? ინგლისელ ხალხს საფრანგეთს შეაბრძოლებდა და თვითონაც გმირის სახელს მოიხვეჭდა.

დასწყევლოს ღმერთმა! ისე ბრისსონს არ ვახსენებ, რომ გული ნაღვლით არ ამევსოს! იმდენი იყვირა საერო კრებაზედ; იმდენი ლანძღა რობესპიერი, რომელიც ომის წინააღმდეგი იყო, იმდენი იცუღლუტა თავისი ამხანაგებით და გაზეთებით, რომ ჩვენდა უნებურად ომი გამოვუცხადეთ პრუსიას, როდესაც საომრად სრულიადაც არ ვიყავით მომზადებული. ამ ომის წყალობით მოგვივიდა, რომ შამპანი პრუსიელმა ჯარებმა გადათელეს და პარიზში კიდევ ენკენისთვეში იმოდენა ხალხი დაიხოცა. მართალია, მას შემდეგ გამარჯვება სულ ჩვენკენ იყო, მაგრამ იცით, რა ძვირად დაგვიჯდა ეს გამარჯვება? სამშობლოს განსაცდელი ადგიაო, გამოვაცხადეთ; ასი ათასი მეტი კაცი მოვაცდინეთ თავიანთ სახლ-კარს და ჯარში გავგზავნეთ; ჯარის შესანახად და შესაიარაღებლად მილიონები გვეხარჯებოდა და ეს მილიონები ტვირთად აწვებოდა უიმისოდაც გაჭირებულ ხალხს. ახლა სხვა ზარალი ბრძანეთ! ომის გამოცხადება და ყოველი წარმოების შეჩერება ერთია: ვაჭრობაც შედგება ხოლმე, მრეწველობაც, ყოველი წარმოებაც, მეურნეობაც, რადგან აღარც

საჭირო მუშაა საშოვარი და აღარც ფული. ჩვენც სწორედ ასე მოგვივიდა. ფულის შოვნა აღარ იყო. გახიზნულების მამულების ყიდვას ვეღარავინ ახერხებდა. თუმცა ასსიგნაციების განაღდება ყოველთვის შეიძლებოდა, რადგან მართებლობა გახიზნულების მამულებით ჰპირდებოდა პასუხის გებას ასსიგნაციების პატრონს, მაგრამ ფასი არც ამითი ემატებოდათ; ყველგან გაჭირვება და სიღატაკე სუფევდა.

თვალი რომ გაეხილათ, ღმერთია მოწამე, ამ გაჭირებას კარგად დაინახავდნენ ჩვენი წარმომადგენელნი და ახლა ინგლისს და ჰოლანდიას არ გადაიკიდებდნენ; მაგრამ საერო კრება ისე გაიტაცა ბრისსონმა და ჩვენი ჯარების გერმანიაში და ბელგიაში გამარჯვებამ, რომ ინგლისს და ჰოლანდიას ომი გამოუცხადა. საერო კრებამ კარგად იცოდა, რომ პიტი ჩვენ კეთილს არ დაგვაყრიდა, რადგან ინგლისის და ამერიკელ შეერთებულ შტატებ შუა ომში საფრანგეთი ამერიკელებს მიემხრო; ამიტომ საერო კრებამ სამასი ათასი კაცი კიდევ სხვა გაიყვანა ჯარში. ყველა ჯარები რვა ნაწილად გაჰყო, და საზღვრებისკენ გაგზავნა.

მარტის დამდეგს დაბრუნდა ჩვენი წინამძღოლი მენიე თავისი პატარა რაზმით კენიგშტეინიდან. ისეთები მოვიდნენ საწყლები, რომ ძლივსღა დალასლასებდნენ; მთის მწვერვალზედ ამართულ ციხეში იყვნენ მთელი სამი თვე და გარს მტრის ჯარები ერტყათ. ჩამომხმარიყვნენ, ჩაყვითლებულიყვნენ, მაგრამ ისე უბრწყინავდათ თვალები, თითქო ქორწილიდან მოდიანო. მოდიოდნენ და ამაყად მოაფრიალებდნენ მტრის ტყვიისაგან ცხრილსავით დაჩვრეტილ ბაირაღს.

წინ გავეგებენით და მხიარულად შევყვირეთ:

— გაუმარჯოს მენიეს! გაუმარჯოთ კენიგშტეინის გმირებს!

ისინიც მოდიოდნენ გამარჯვებულნი და გახარებულნი, თითქო გუშინდელი გაჭირვებისა აღარც კი ახსოვთ რაო.

არ გასულა ორი კვირა; მენიემ გენერლობა მიიღო და საერო კრებამ გამოაცხადა: კენიგშტეინის მცველმა ჯარმა დიდი ღვაწლი დასდო სამშობლოსო.

იმ დროს 40 — 45 ათასი კაცი ჩვენს ჯარში ირიცხებოდა და სამი მაგდენი მტრისაში. მტრის ჯარი სამად იყო გაყოფილი და სამი ჰხრიდან გვემუქრებოდა დაცემას. ეტყობოდათ, ისე უნდოდათ მოეწყოთ საქმე, რომ უკანიდან მოეარნათ, გზა შეეკრათ, მაინცში მოვემწყვდიეთ და სხვაფრივ თუ არა, შიმშილით მაინც დავემარცხებინეთ. მაგრამ მენიე თორმეტი ათასი კაცით სპირში იდგა და თვალყურს ადევნებდა მათს მოძრაობას.

ერთ დილას ხმა გავარდა, პრუსიელები დასცემიან ჩვენი ჯარის

მარცხენა მხარეს, და... მზად იყავით საომრადაო! მთელმა ჯარმა ერთხმად შესძახა — რესპუბლიკას გაუმარჯოსო!

საომრად გასულ ჯარში ჩვენი ბატალიონიც მოჰყვა. წინ ჩვენი ახალი წინამძღოლი ნიკოლოზ ჟორდი მიგვიძღვოდა და გვამხნევებდა:

— თქვენ იცით, როგორც მასახელებთ, ჩემო მთიელნო!

სიცილითა და სიმღერით მივდიოდით.

ორ საათზედ შორიდან ზარბაზნის ხმა შემოგვესმა. მშვენიერი დღე იყო და შორს, შორს ძლივს მოჩანდა კვამლი. ფეხი ავაჩქარეთ, თითქმის სირბილით მივდიოდით; მაგრამ უცბად ბრძანება მოგვივიდა, უკანვე დაბრუნდითო: ჰუშარი და ნეუვინგერი შებრძოლებოდნენ მტერს, მაგრამ გაეგოთ, რომ უკანიდან პრუსიელები ეპარებიან და უკან გამობრუნებულიყვნენ.

დიდი ხნის დაღამებული იყო, როდესაც ბინაზე მივედით ლაფში ამოსვრილები და დაღონებულები, რომ ტყუილუბრალოდ ჩაგვიარა ამოდენა სირბილმა.

მეორე დღეს ურმებით მოიტანეს დაჭრილები.

ყოველი მხრიდან მტრის ჯარი გვაწვებოდა; ნეუვინგერი ტყვედ ჩაუვარდათ, რადგან მიუხედავად კუსტენის ბრძანებისა, უნდოდა პრუსიელები შეეყენებინა. იძულებული ვიყავით მაინცში გავმაგრებულიყავით. იმისთანა ხალხის სიმრავლე მე ჩემს დღეში აღარსად მინახავს; დიდრონი სახლები ჯარების ბინად გადავაქციეთ; ეკლესიებში, სემინარიაში, თორაში და თვით სასახლეში ბზესა და თივას ვინახავდით. რა გვექნა მაშ? ქალაქში ერთიასად მეტი ხალხი იყო, ვიდრე დაიტევდა.

საერო კრებას ახლა სხვა კომისრები გამოეგზავნა: ფლიგერი, რიტტერი და ლუი: ამათ კლუბელებს ვეძახდით. ისინი და მაინცელი ექიმი ჰოფმანი ცდილობდნენ ხალხში რესპუბლიკური აზრები გაევრცელებინათ; მაგრამ ქალაქში იმდენი ბერი იმალებოდა, რომ საერო კრების წარმომადგენელთ ყოველთვის შეიარაღებული კაცები დასდევდნენ თან, რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებმა არა აუტეხონ რაო.

ერთხელ კიდევ ვცადეთ ბედი, გვინდოდა გაგვერღვია მტრის ჯარები და სამშვიდობოს გავსულიყავით, მაგრამ სადაც არ მოველოდით, იქ უფრო მეტი პრუსიელები დაგვხვდნენ და უკან დაგვაბრუნეს. მეტი რა ღონე იყო? უნდა ვყოფილიყავით მაინცში და ქალაქი გაგვემაგრებინა.

იმისთანა სასტიკად გვექცევოდნენ ჩვენი უფროსები, რომ მეტი აღარ შეიძლება. სამამასახლისოში თითქმის ყოველ დღე მიჰყავდათ

ორი, სამი კაცი და სამხედრო წესით ასამართლებდნენ. ერთი კი წამოეყრანტალა ვისმე, აგერა ამ კაცმა მომპარა რამეო, და დაიჭერდნენ მაშინვე უბედურს, საჩქაროდ გაასამართლებდნენ და იქვე გალავანში დახვრეტდნენ... სხვათა სამაგალითოდაო, იტყოდნენ ხოლმე აფიცრები. ყოველი მხრიდან ცუდი ამბები მოდიოდა: დამარცხებული ჩვენი ჯარები უკან იწევდნენ; ვანდეში მთელი ხალხი აჯანყებულიყო რესპუბლიკის წინააღმდეგ — ერი, ბერი და მებატონენი; დიუმურიე დამარცხებულიყო; მთელი ევროპა ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულიყო; რომში ხალხს ფრანგები დაეხოცა... დანტონი საზარელის ხმით იწვევდა მამულიშვილთ რესპუბლიკის დასახმარებლად; რევოლუციური სასამართლო დავაწესოთ, რომ სამშობლოს მოღალატენი დასაჯოსო; ფულის მოსაპოვებლად მდიდრებს ხარჯი დავადოთო. ჟირონდელები კი თავისას არ იშლიდნენ და საკვირველი მჭერმეტყველებით ამტკიცებდნენ, მთელს ქვეყანას ომი გამოვუცხადოთო! საუკეთესო ყმაწვილკაცობას ასი ათასობით გზავნიდნენ ბრძოლის ველზედ დასახოცად და, როდესაც საქმე ფულზედ მივარდებოდა და მდიდრებზედ ხარჯის დადებაზედ, იმავე მჭევრმეტყველებით ეწინააღმდეგებოდნენ დანტონს.

ამოდენა უბედურების გაძლებას დიდი მხნეობა უნდოდა, მით უფრო რომ სწორედ ხუთნი მოდიოდნენ ერთზედ და ჯავრის ამოყრა ვერ მოგვეხერხებინა.

მტრის ჯარი 6 აპრილს მოუახლოვდა ქალაქს. ბაზარში დიდძალი გლეხკაცობა შემოსულიყო ახლომახლო სოფლებიდან და, რომ გაიგეს ჯარი მოდისო, ისეთი ალიაქოთი ასტეხეს და თავში ცემა, რომ იმაზედ სასაცილოს ძნელად თუ კაცი კიდევ წარმოიდგენს რასმე. სწორედ იმ დროს დარაჯად ვიდექი, ისინი რომ გარბოდნენ და ბევრი შევნატრე, ღვთის წინაშე: ნეტავი თქვენ, რომ თავისუფლად შეგიძლიათ მინდვრად სიარული და ჩემსავით ციხეში არა ხართ დამწყვდეული-მეთქი.

იერიშის მოტანას ვერ გვიბედავდნენ, მაგრამ შეუწყვეტლივ გვესროდნენ შორიდან და ბევრს არას გვაკლებდნენ. უნდა გენახათ, რა კვნესით და გოდებით მიასვენებდნენ მოქალაქენი დაჭრილებს! დედაკაცების ტირილი ცასა სწვდებოდა.

ხანდახან ჩვენც გავიდოდით ხოლმე ქალაქიდან და ახლო სოფლებში საქონლის შოვნას ვცდილობდით, მაგრამ ტყუილად ვირჯებოდით: გლეხკაცობას უდაბურ ტყეში გაერეკა საქონელი და ხელცარიელი მივდიოდით ისევ ქალაქისკენ. ეგეც კუსტენის შეცდომა: ტყვია-წამალი, პური, ღვინო, არაყი, თივა და ბზე თავსაყრელი გვქონდა და საქონელი ძალიან ცოტა. ცოტა ხანს უკან სასტიკი

ბრძანება გამოვიდა, ქალაქგარეთ არავინ გავიდეს, თორემ დაეხვრეტავთო. დარაჯებს უბრძანეს, თუ გაპარვა მოინდომოს ვინმემ, ესროლეთო.

ასე ვიყავით აპრილის გასულამდე. პარიზიდან გაზეთები აღარ მოგვდიოდა, საერო კრებისა აღარა ვიცოდით რა; სამაგიეროდ ასობით მოგვდიოდა პრუსიელებისგან დაბეჭდილი გაზეთები, რომელშიაც ისე იყო აწერილი საფრანგეთი, როგორც მტერს ენატრებოდა: ჩვენი ჯარები ყველგან დამარცხებულნი გაურბოდნენ პრუსიელებს, პარიზში შეუწყვეტლივ მოქმედებდა რამდენიმე გილიოტინა და საუკეთესო პატრიოტებს თავებს აყრევინებდა; სახელებიც იქვე იყო მოხსენებული ამ პატრიოტებისა; სამხრეთის ჯარი აუჯანყდა მართებლობას და ვანდელებმა ხომ დიდი ხანია სრულიად გაანადგურეს რესპუბლიკელი ჯარები; მეფედ მცირეწლოვანი ლუი XVII დასვეს და მის გაზრდამდე მეფის მოადგილედ დედა მისი დედოფალი მარიამ-ანტუანეტა იქნებაო... ვინ იცის, კიდევ რაებს იწერებოდნენ! განა არა, სულ იმას გვეუბნებოდნენ ჩვენი აფიცრები, მაგ გაზეთებს პრუსიელები ბეჭდავენ და ჩუმად შემოაქვთ, რომ გული გაგვიტეხონო. მაგრამ ყალბი ამბები მით თავის გავლენას არა ჰკარგავდნენ და დღითი დღე უიმედობა გვერევოდა. ჯარი იმ აზრისა იყო, რომ თუ მოვინდომეთ, ყოველთვის გავარღვევთ მტრის ჯარს და სამშვიდობოს გავალთო. ბოლოს იქამდე მივიდა ჯარის დრტვინვა, რომ უფროსებმა ბრძანება გამოაცხადეს: მაინცი უმთავრესი სიმაგრეა რესპუბლიკისა და ეგეც რომ მტერს დავუტოვოთ, ცოცხალი რაღად გვინდა თავი? რაც უნდა ეცადოს, ჩვენ მტერი ვერას დაგვაკლებს და, თუ გაბედა ვინმემ და ქალაქის დათმობა მოიწადინა, დახვრეტილ იქნება, როგორადაც სამშობლოს მოღალატეო!

ერთხელ კიდევ გავედით ქალაქიდან. ბნელ• ღამე იყო და გვინდოდა იქ დავცემოდით მტრის ბანაკს, სადაც თვით მეფე გვეგულებოდა პრუსიისა. წინა დარაჯები დავხოცეთ და თითქმის მივედით მეფის კარავამდე, მაგრამ იმოდენი ჯარი მოგვაწყდა აქეთ-იქიდან, რომ გამოვბრუნდით და ძლივს შევასწარით ქალაქში შესვლა.

მეორე დღეს ყოველი მხრიდან ზარბაზნები დაუშინეს ქალაქს: ეტყობა ძალიან შეშინებოდა მეფეს, რომ ასე დაგვიჩქარა სამაგიეროს გადახდა. რასაკვირველია, არც ჩვენ ჩამოვრჩებოდით უკან. მაგრამ იმავე დროს ამბავი მოვიდა, მარცხენა სიმაგრეზედ იერიშით მოდიანო და ჩვენც იქით გავეშურენით. უკვე თხრილზედა ბრძანდებოდნენ, ჩვენ რომ ჩავუვარდით. წინ ჟორდი მიგვიძღოდა და გვამხნევებდა:

— ხიშტით, მამულიშვილნო, ხიშტით!

რაღა ბევრი გავაგრძელო, თხრილებზედ შეეხვდით ერთმანეთს. ერთი კი მივახალეთ თოფი და მერე ვიღასა ჰქონდა დრო იმის გატენისა? გადავერიეთ ხიშტით. ეხლაც ყურში მიდგას მაშინდელი, სწორედ რომ მხეცური ღრიალი პრუსიელი და ჩვენი ჯარისკაცებისა, საშინელი გულსაკლავი კვნესა დაჭრილებისა და მომაკვდავებისა. განაღა ვხედავდით რასმე, ან ვარჩევდით რასმე! თვალები სისხლით აგვევსო, სისხლი მოგვერია, ყველაფერი სისხლის ფერად გვეჩვენებოდა და ვიწევდით წინ გამხეცებულნი. რაღაცა რბილს ჩაუვლიდა ჩვენი ხიშტი, რაღაცა დაეცემოდა და ჩვენ კი კბილების ღრჭიალით ვატრიალებდით შიგ ხიშტს და კვლავ წინ მივიწევდით.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ საშინელებამ.

პრუსიელებმა უკან დაიწიეს. იმავე დროს ერთი რაზმი კიდევ ჩამოგვეშველა და სროლა დაუწყო გაქცეულთ. ისეთი კვამლი იდგა, რომ ერთ ნახტომზედ აღარა ჩანდა რა; მარტო თოფის სროლა ისმოდა და ცხენოსანი ჯარის გრიალი.

და უცბად შესწყდა სროლა, მიჩუმდა ყველა.

ბატალიონი შეგროვდა და ბიჭები ერთიერთმანეთს კითხულობდნენ:

— აქა ხარ, ბიჭო? პეტრე სადღაა?

პეტრე აღარსად იყო.

მეც ყვირილი დავიწყე: ივანე! მარკოზ!

და მოხუცებულმა სომმა მაშინვე ხმა მომცა:

— ხომ კარგადა ხარ, მიშელ?

— არა მიშავს რა, თქვენა?

— ტყავი გამიკაწრა ტყვიამ, მაგრამ არა მიშავს რა.

იქვე მარკოზ დივეს ხმა შემომესმა; გარს ჯარისკაცები ეხვია და ის კი ყვიროდა:

— აი, თუ კაცები არიან, დღევანდელი გამარჯვება ჩაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში!

შეიკრიბა ჩვენი ბატალიონი. შეიკრიბა ჩვენი ჯარი. მიჩუმდა ყველა და მარტო დაჭრილთა კვნესაღა ისმოდა ბრძოლის ველიდან.

მას შემდეგ ისე დღე არ დაღამდებოდა, რომ ყოველი მხრიდან ზარბაზნის სროლა არ დაეწყოთ. ჩვენც ხშირად გავეჭრებოდით ხოლმე და სწორედ იქ მიუვარდებოდით, სადაც სრულიადაც არ მოგველოდნენ, მაგრამ რას გავაწყობდით იმოდენა ჯარებთან. ერთ ამგვარ შეტაკებაში პარიზიდან მოსული გენერალი მოგვიკლეს. დასაფლავების დღეს ჩვენი თხოვნისამებრ პრუსიელებმა ბრძოლა შესწყვიტეს და როდესაც ცხედარს მივასვენებდით ქალაქგარეთ თვით მიცვალებულისაგან აგებულს სიმაგრეში დასამარხავად, ჩვენ-

თან ერთად პრუსიელებმაც უძღვნეს მიცვალებულს უკანასკნელი მხედრული სალამი და წესისამებრ ზარბაზნები დასცალეს. გულკეთილობით განთქმული არ იყო პრუსიის მეფე, მაგრამ ის კი ცხადად დაამტკიცა, რომ ნიჭისა და ვაჟკაცობის პატივისცემა კარგად სცოდნოდა.

ეს 13 თიბათვეს მოხდა.

მას შემდეგ უფრო და უფრო შეგვავიწროვეს პრუსიელებმა და ისე დღე არ გავიდოდა, რომ ფიცხელი ომი არა გვქონოდა ხან აქ და ხან იქ. პრუსიელები მით უფრო გაშმაგებით იბრძოდნენ, რომ მაღლობზე დურბინდით აღჭურვილი თავიანთი მეფე ეგულებოდათ და ხომ მოგეხსენებათ, როგორი სიამოვნებით კვდება ჯარისკაცი, როდესაც იცის, რომ მის სიკვდილს დიდებული მეფე დაჰყურებს, შორიდან, რასაკვირველია, თავისი ბრწყინვალე თვალით! დიაღ, გაშმაგებულნი იბრძოდნენ პრუსიელები, მაგრამ მაინც ჩვენა ვჯობნიდით. რეინი სისხლის ფრად მიდიოდა; წყლის პირს ურიცხვი ლეში ეყარა და ზედ ყორანი ირეოდა. თბილოდა, ჰაერი საშინელი სიმყრალით იყო მოწამლული. გადავხედავდი ხოლმე დაუმარხავ მკვდრებს და ერუანტელი დამიელიდა თავით ფეხამდე:

— ამაღამაც ვაპირებთ ქალაქიდან გასვლას... იქნება ხვალ მეც ისე ვეგდო გულგაპობილი და ყორანი მწიწკნიდეს!

განა შეიძლებოდა უამისობა? სულ მკვდრებშიც რომ იყოს ადამიანი და თავისი დღენი სიკვდილის მეტი არა ენახოს რა, მაინც ვერ შეეჩვევა საზარელს სიკვდილს!

საშინელი მაშინ იყო ჩვენი ყოფა, როდესაც ღამე დაგვიშენდნენ ზარბაზანს. სადღა იყო მაშინ მოსვენება და ძილი? წამოვიდოდა გაცეცხლებული ყუმბარა, დაჰკრავდა სახლის ბანს. ჩაივლიდა სარდაფამდე და მუსრს ავლებდა ყველაფერს. ხშირად სპირტი დახვდებოდა სარდაფში, იფეთქებდა და მთელს უბანს ცეცხლი მოედებოდა. ატყდებოდა ყვირილი:

— არიქათ, ვიწვით! გვიშველეთ!

გამოვარდებოდით ყველანი ქუჩაში და ვცდილობდით ცეცხლი ჩაგვექრო და ხალხი დაგვემშვიდებინა.

გათენდებოდა და მიეზიდებოდნენ საკაცურებით დაჭრილებს!

დაჭრილების გმინვა, საბრალო ხალხის ტანჯვა და ვაება, ულუკმაპუროდ და ყოვლად უმწეოდ დარჩენილი ბებერი დედაკაცების მუდარა, დაობლებული ბავშვების ტირილი... სიყმაწვილე და ყმაწვილური დაუდევრობა, თორემ იმოდენ საშინელებას როგორ გავუძლებდით? ახლაც თმა ამეშლება ხოლმე თავზედ, იმდენ უბედურე-

ბას რომ მოვიგონებ. აღარც კი მჯერა ჩემი თავისა და, სიზმარი ხომ არ იყო-მეთქი, ვფიქრობ.

ჩვენდა საუბედუროდ, იძულებული ვარ აღვიარო, რომ სხვა უფრო მეტი საშინელებაც ბევრი მინახავს ადამიანისა.

პრუსიელი მეფე თავის საკუთარ ქვეშევრდომთ ესროდა ზარბაზანს. თავის საკუთარ ქალაქს ანგრევდა და სწვავდა. თითონ ბრძოლის ველიდან ძალიან შორს ბრძანდებოდა: იქ, სადაც ზარბაზნის ხმაც კი ძლივს მიაღწევდა; მშვენიერი კარავი ედგა, თან უთვალავი ამალა ახლდა, გარს უთვალავი მსახურები ეხვია, და შეექცეოდა, თითქო ომში კი არა, შინა ბრძანდება, თავის სასახლეშიო. თან ლამაზი ქალები წამოეყვანა, შამპანის ღვინო ულეველი ჰქონდა და იმისთანა ქეიფი და ლხინი ჰქონდა, რომ ღმერთმა მეცა და თქვენც ნუ მოგვიშალოს! შეექცეოდა პრუსიის მეფე და ჩვენ კი ბუზებივით ვიხოცებოდით! ახ, ნეტავი იმისთანა შორსმსროლი ზარბაზანი გვქონოდა, რომ იმათ ლხინის სუფრამდე მიეღწია ყუმბარას! რა სიამოვნებით ამოვჟლეტდით იმ წურბელებს, იმათ! აგერ ორთვენახევარი ვიყავით მომწყვდეული ქალაქში და ხსნა კი არსაიდან ჩანდა. ამასთან მტრის ყუმბარამ იმოდენა გვაზარალა, იმოდენა პურით სავსე ბეღელი დაგვიწვა, რომ ცოტა არ იყოს საჭმელი გაძვირდა. დამშეული და იმედმიხდილი მაინცელი ხალხი დილით საღამომდე გენერლის სახლთან იდგა და მხოლოდ იმასღა შესთხოვდა, ნება გვიბოძეთ ქალაქიდან გავიდეთო. ქუჩა გატენილი იყო ხალხით. დარაჯები ველარ იმაგრებდნენ, და უბედურები პირდაპირ სახლში უცვივოდნენ გენერალს — ღვთის გულისთვის, გაგვიშვით ქალაქიდან! ჩვენ თუ არა, ჩვენი ცოლ-შვილი მაინც გაუშვით! შიმშილით რად გვიხოცავთო?!

გენერალი ამის ნებას არ აძლევდა, რადგან არ უნდოდა, რომ პრუსიელებს გაეგოთ ჩვენი გაჭირვება. მაგრამ 24 თიბათვეს ისე აღელდა ხალხი, რომ ველარა გააწყო რა და ნება მისცა გასვლისა. რეინის მხრივ გაუღეს საწყლებს კარი და დილის ცხრა საათიდან მოკიდებული შუადღემდე იდინა ხალხმა; ბევრმა შეძლებულმა კაცმა დაანება თავი მამა-პაპეულ სახლ-კარს და ცოლშვილიანად საუკუნოდ გამოეთხოვა მაინცს. ხალხი რომ გავიდა, კარი მიეკეტეთ. ცოტა ხანს უკან, როდესაც ხალხი პრუსიელებს მიუახლოვდა, იქიდან ზარბაზანი დაუშინეს და — ღმერთმა ჩემს მტერსაც ნუ აჩვენოს, რაც მე იმ დღეს საშინელება ვნახე!

ზარბაზანი რომ გავარდა, ისე შეჰბღავლა იმოდენა ხალხმა, რომ ცას ასწვდებოდა მისი ხმა. შიში მოერია ყველას! ზოგი გაქვავებულივით გაჩერდა შუა გზაში; ზოგი, მეტადრე ქალები, ხან აქეთ ეცე-

ძოდნენ გიქებივით, ხან იქით, თმებს იწეწდნენ, გარბოდნენ და ისევ უკან მოიწევდნენ; ფეთიანივით ეცემოდნენ ერთმანეთს და შეუბრალებლად სრესდნენ, ვინც უფრო სუსტი იყო. ზარბაზანი კი შეუწყვეტლივ ქუხდა და მუსრს ადენდა საწყალ ხალხს. რეინის პირას მთასავით იდო მკვდარი ხალხი; წყალს იმოდენი ცხედარი მიჰქონდა, რომ ხუთას ნაბიჯზედ ყველა წისქვილები შეაყენა. მეორე დღეს კავებით აცლიდნენ მკვდრებს, რომ ჩარხი დაეტრიალებინათ.

და ახლა, თუ ნებავთ, კიდევ დაიკვეხონ გერმანელებმა, გულკეთილი მეფენი გვყვანან, რომელნიც მამაშვილურად გვექცევიან თავიანთ ქვეშევრდომთაო!

გულკეთილი ადამიანი იქნება და არა სისხლით გაუმაძღარი მხეცი! განა ადამიანიშვილი იზამდა, რაც მაშინ პრუსიის მეფემ ჩაიდინა! განა ამას იზამდა ვინმე, იოტის ოდენიც არის, რომ ადამიანური გრძნობა ჰქონოდა? ბევრიც რომ იძახონ, მამაშვილურად ვუყვარვართ ჩვენს მეფეებსაო, მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ყოველთვის ვიტყვი, რომ მეფეს ლამაზი ქალების და კეთილი ცხოვრების მეტი არა უყვარს რა!

ჩვენ გვემდურებოდნენ, პარიზში ენკენისთვეში იმოდენა ხალხი დახოცესო!

ჩვენ რომ დავხოცეთ, ქვეყნის მოღალატენი დავხოცეთ, სამშობლოს მტერნი და გამცემნი! ჩვენ რომ დავხოცეთ, ჯაშუშები დავხოცეთ და ქვეყნის ამრევი ბერები! რა დაუშავა პრუსიის მეფეს საწყალმა ხალხმა, რომ ისე უღმერთოდ და განუკითხავად ამოხოცა? რა დაუშავეს პრუსიის მეფეს ქალებმა და უსუსურმა ბავშვებმა, რომ იმისთანა საშინელი დღე მიაყენა?

ის დაუშავეს, რომ დამშეულები იყვნენ და პურის სათხოვნელად მიდიოდნენ თავიანთ მეფისაკენ! სხვა არაფერი!

ვისაც ამგვარი მხეცი უზის მეფედ და მის წინააღმდეგობის მაგიერ მის დღესა ჰფიცავს — ღვთისაგან არის კურთხეული, რათა სათნოება და კაცთმოყვარეობა გვასწავლოსო, — ვისაც ამგვარი მხეცი მეფედა სწამს, ადამიანი კი არა, პირუტყვია და ახიც არის იმაზედ, რომ თავისი დღენი პირქვე ეგდოს მიწაზედ განართხული და ხელს ულოკავდეს თავის მეფეს — დამკარ, შენი ჭირიმე, მე მათრახის მეტი არა მინდა რაო.

შეიძლება მკითხონ გერმანელებმა:

— მაშ რა ექნათ ჩვენს მეფეებს? თქვენ ხომ არ დაგითმობდნენ ქალაქ მაინცსაო?

აი, რას მოვახსენებ ამაზე:

— გერმანელ მეფეებს ის უნდა ექნათ, რომ ბრძანებულიყვნენ

თავიანთთვის და ჩვენს საქმეში არ გარეულიყვნენ. ჩვენ ძალიან-ძალიანი საბუთები გვქონდა, და გვინდოდა გავთავისუფლებულიყავით ბატონებისა და ბერებისაგან, რომელნიც ტყავს გვაძრობდნენ და სისხლსა გვწოვდნენ საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენ იმათ არასა ვთხოვდით! მაშ რად ჩაერივნენ ჩვენს საქმეში? რად შემოვიდნენ თავიანთი ჯარებით ჩვენს ქვეყანაში? იმიტომ რომ დიდებულებს დახმარებოდნენ და კვლავ გაებატონებინათ? და ჩვენ კიდევ ძველს მონობის უღელში შევებით? მონას როდი აკმაყოფილებს თავისი მონობა! არა, იმისი სანატრელი ის არის, რომ სხვებსაც მონებად ხედავდეს! მოკვდება, თუ ნახა, რომ სხვანი, იმაზედ უფრო ამაყნი და გამბედავნი, მონობის ჯაჭვს ამტვრევენ და თავისუფლების მოპოვებას ცდილობენ!

ესეცა კმარა და ახლა ჩვენს ამბავს მივუბრუნდეთ.

სასტიკი ბრძანება გვქონდა — უკან აღარავინ შემოუშვათო, მაგრამ იმისთანა საშინელ ყოფაში ვხედავდით უბედურ ხალხს, რომ გულმა ველარ გაგვიძლო და ვინც მოახერხა და უკან გამობრუნება იფიქრა. ყველას გავუღეთ კარი. ან ვინ იქნებოდა, ქვის გული ჰქონოდა და შიმშილით მომაკვდავ ადამიანისთვის კარი მიეკეტა? ვინ იქნებოდა, დაჭრილი ბავშვი არ შებრალებოდა. ჯარისკაცები ჩუმად უღებდნენ კარებს და იმ უბედურთ რომ ხედავდნენ, თითონაც ტიროდნენ. დიაღ, ცრემლი სცვიოდათ ჩვენს მოხუცებულ, ბრძოლის ველზედ დაბერებულ მეომრებს და თავიანთ წილ პურს და არაყს იმათ აძლევდნენ. აფიცრებიც იქვე ტრიალებდნენ, მაგრამ თვალს არიდებდნენ, ვითომც ვერასა ვხედავთო; კარგად იცოდნენ. რომ ამგვარ საქმეში ფრანგს თავის გულის მეტი არც უფროსი სწამს და არც დისციპლინა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, თვით აფიცრებსაც ისე შეებრალათ უკანდაბრუნებულები, რომ გენერალს სთხოვეს და კარი გააღებინეს ყველასთვის, ვინც კი გადარჩენოდა სიკვდილს.

ათასხუთასი კაცი მოკვდა იმ დღეს მაინცელი და შიმშილი კი მაინც მატულობდა. საქონელს რაღაცა ჭირი დაერია, მგონია უჭმელობით, და საშინლად იხოცებოდა. მაინც იხოცება და მაინცაო, ერთიორად მეტს გვაძლევდნენ ხორცს და პური კი შეგვიმცირეს. საუბედუროდ იგივე ავადმყოფობა საქონლისაგან ჩვენც შეგვეყარა და მაშინ კი მოსპეს ჭირიანი საკლავის ჭამა. თიბათვის მიწურულში ვიყავით. სხვა რომ აღარა იშოვებოდა რა, თევზის ქონსა ეხმარობდით ერბოს მაგივრად. მაგრამ ისეთი საძაგელი რამ იყო, რომ ყველანი ავად გახადა. მე კი ვერა დამაკლო რა, ღვთის მადლით! კაცი რომ იმავ ბავშვობიდანვე დაჩვეული არ იქნება ნებივრობას, თევზის ქონს კი არა, მოხარშულ ქვასაც კარგად მოინელებს. დედაჩემის

ოსპის შეჭამადს, მაინც და მაინც ის თევზის ქონი სჯობდა, მერწმუნეთ.

როცა კი თავისუფალი ვიყავ, მაშინვე წმ. ეგნატეს მონასტრისაკენ მივეშურებოდი ჩემი და ლიზას სანახავად. ისე იყო ზარბაზნებისაგან დანგრეული მონასტერი, რომ ფამფალი გაჰქონდა; წვიმა ისე ჩადიოდა, თითქო ჭერი არც კი ხურავსო. გალავანში ყველგან პარიზელ შეთქმულთა კარვები იდგა; ეკლესიის ნანგრევებში თეატრი გაემართათ: საკურთხevლის ალაგას სცენა იყო და მხარმარჯვნივ, მგალობლების ალაგას პატარა დუქანი მოეწყოთ და სასმელები დაელაგებინათ; იქვე ქვაბით რაღაცა დუღდა და საკმელის ნაცვლად სულ სხვა კვამლი ტრიალებდა ძველ მონასტერში.

პარიზელები მთელს დღეს იქ ატარებდნენ. ზოგი ქაღალდს თამაშობდა, ზოგი პოლიტიკაზე ლაპარაკობდა, ზოგი „წავას“ და „კარმანიოლს“ მღეროდა. დაიხოცა საქონელი, ხორცის გემოც აღარავის ახსოვდა და ამ პარიზელებს კი ყოველთვის გამოულეველი ჰქონდათ ხორციც და სხვა საჭმელ-სასმელიც. სანადიროდ იქვე ქალაქში დადიოდნენ და საცა ძაღლს მოასწრებდნენ, ან კატას და. ასე გასინჯეთ, თაგვიც კი, ცოცხალი ვერსად წაუვიდოდათ. ამასთან ისეთი მხიარულნი იყვნენ ყოველთვის, თითქო თაგვს კი არა, ჯეირანს შეექცევიანო.

საღამოზედ, როდესაც დარაჯად ან ქალაქგარეთ მტერთან საომრად გასულნი არ იყვნენ, წარმოდგენას მართავდნენ თავიანთ თეატრში. გადაიბრუნებდნენ ტანისამოსს... ზოგი ქალად მოიკაზმებოდა. ჯერ ერთი გამოხტებოდა და რაღასაც იღრიჯებოდა და იღმანჭებოდა: ეს პანტომიმა გახლავთო. მერე მეორე გამოვიდოდა და უთავბოლოს რაღასაც სჩმახავდა, უაზროს და უშინაარსოს, მაგრამ იმისთანა საცინელს, რომ ფერდები აგვტკივდებოდა ხოლმე სიცილით; ვიღას ახსოვდა ან გაჭირვება, ან შიმშილი? ჯარისკაცისთვის იმისთანა განძია მხიარული გული, რომ მეტი არ შეიძლება. ომში გასული კაცი რომ თავს არ იმხიარულებდეს, მტერი კი არა, სევდა დაამარცხებს.

თეატრისთვის პიესებსაც თითონვე თხზავდნენ და, რასაკვირველია, უფრო ხშირად ჩვენს მდგომარეობას ხატავდნენ. ერთხანად კუსტენის წარმოდგენა დაიჟინეს: კუსტენი მაინცისკენ წამოსვლას ემზადება, რომ მოგვეშველოს; სულყველაფერი მზად აქვს; აგერ უნდა შეჯდეს ცხენზედ, მაგრამ... ტყვია-წამალი დავიწყებია! აგერ ტყვია-წამალიც მზადა აქვს, უნდა წამოვიდეს, მაგრამ თავისი გრძელი ხმლის გალესვა დავიწყებია!.. ხან რა ავიწყდება კუსტენს, ხან რა და ჩვენ კი აქ შიმშილით და ავადმყოფობით ვიხოცებით.

ამ წარმოდგენაზედ ყველაზედ წინ ჩემი და ბრძანდებოდა გამოჭიმული. თუ დაუწუნებდა რასმე, იქვე წარმოდგენის დროს შეუტევდა მოთამაშეებს; სცენიდანაც ღირსეულ პასუხს მისცემდნენ; ატყდებოდა ერთი კამათი და ვიღას ახსოვდა პიესა? პარიზელებს ეს მკვირცხლი სიტყვა-პასუხი უფრო მოსწონდათ, ვიდრე თვით წარმოდგენა.

რადგან ელისაბედი-ქალი ორსულად ბრძანდებოდა და სამშობლოსთვის დღე-დღეზედ მამულიშვილი უნდა შეემატა, პარიზელები წინადვე ურჩევდნენ სახელს და ზოგი იძახდა ბრუტი * დავარქვათო, ზოგი კასსიუსიო ** და თუ ქალი იქნება კორნელიაო ***; ელისაბედი-ქალი კი ისე იყო გართული მრავალგვარ სამზარეულო მოსაზრებით, რომ ყურადღებასაც არ აქცევდა ამ გმირულ სახელებს. მივიდოდი თუ არა, მაშინვე სუფრას გამიშლიდა და იმისთანა მადით შევექცევოდი, რაც უნდა მოეტანათ. თითქო ფიქრადაც არ მომდის, რომ კატის ან თაგვის ძვლებს ვაკნატუნებო.

ჩემი სიძე-ბატონის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და რაზედაც უნდა ჩამოვარდნილიყო ბაასი, ის მაინც თავისას გაიძახოდა: ჩემი შვილი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ა დ უნდა მოვნათლოო!

28 თიბათვეს, საღამოს 8 საათზედ, ჩვენი ჯარები ქალაქგარეთ უნდა გასულიყვნენ, როდესაც კვლავ დაგეიწყეს ზარბაზნის სროლა. თითქო მარტო დიდ საკრებულო ტაძარს უმიზნებენო. სულ გუმბათზედ ცვიოდა ყუმბარა; ცოტა ხანს უკან ეკლესიას ცეცხლიც წაეკიდა.

ერთი მხრით კიდეც გვიამა ეს ამბავი, რადგან ეჭვი არ იყო, პრუსიელები ამ ცეცხლს დაუწყებდნენ ცქერას და ცხვირწინ ველარას დაინახავდნენ. სწორედ ბედი გვწყალობსო, — ვიფიქრეთ და იმედიანად გავუდექით გზას: ისე მივეპარებით, რომ ვერას გაგვიგებენო. ჩვენდა საუბედუროდ, გზის მაჩვენებელმა გზა დაკარგა და ერთ დიდ სოფელში შეგვიყვანა, სადაც პრუსიელების უმთავრესი ბანაკი იყო. ჯარებით სავსე იყო იქაურობა და გავარდა თუ არა

---

* ბრუტუს (ლიუციუს-იუნიუს) — რომიდან მეფე ტარკვინი-ამაყი განდევნა (510 წ. ქ. შობამდე) და თავისი ორი შვილი მოაკვლევინა, რადგან რომში კვლავ მეფობის დამყარებასა ცდილობდნენ. ბრუტუს (მარკუს-იუნიუს) — მკვლელი რომში ძალად გამეფებულის იულიოს კეისრისა. (44 წ. ქ. შ.).

** მეორე მკვლელი იულიოს კეისარისა.

*** კორნელია — დედა კაი და ტიბერი გრაკხებისა. ორივ ხალხის წინამძღოლნი იყვნენ დიდებულთა წინააღმდეგ. ტიბერი 133 წ. იქნა მოკლული ქ. შ. და კაი 121 წ.

თოფი, ისე მოგვაწყდნენ ყოველი მხრიდან, რომ აღარ ვიცოდით, რომელი ერთი მოგვეგერებინა. ჟორდი კინაღამ ტყვედ წაიყვანეს, ჩვენს კაპიტანს დამბაჩა მოხვდა და იქვე დარჩა საწყალი. კიდევ კარგი, რომ ეკლესიის ალი ცასა სწვდებოდა, თორემ, უკან გზას ვეღარ გამოვიკვლევდით.

მოვდიოდით და ფეხდაფეხ მოგვდევდნენ პრუსიელები. ისეთი გაცხარებული ვიბრძოდით, რომ მანამ სამშვიდობოში არ გავედით, ვერც კი შევნიშნე, რომ ორგან ვიყავი დაჭრილი: შუბით მხარში და ხმლით ზურგში. არა ვთქვი რა, როგორც იყო ბინამდე მივედი; მაგრამ იქ კი ვეღარ გავუძელ ტკივილს, თოფი ივანე სომს მივეცი და ვუთხარ, დაჭრილი ვარ და საავადმყოფოში მივდივარ-მეთქი. ზარბაზანი კი ისევ ქუხდა; ცა გახურებულსა ჰგავდა, ისე იყო განათებული. ტაძარი უკვე დამწვარიყო და ახლა მის გვერდით მდგომი სახლები იწოდა. საშინელი ხმაურობა იდგა მთელს ქალაქში. ის იყო უნდა წავსულიყავ საავადმყოფოსკენ, რომ ხმა გაისმა:

— არიქა! პარიზელები იწვიან!

გავიხედე მარჯვნივ და თქვენს მტერს, მე რომ ელდა მეცა: წმ. ეგნატეს მონასტერს ცეცხლი გასჩენოდა და ალი ასდიოდა. საავადმყოფოც დამავიწყდა, ჭრილობაც და ჩემს დისკენ გავეშურე; სირბილით ჩავიარე სემინარიის ქუჩა; მანამ მე მოედანზედ გავიდოდი, ხუთ-ექვს სახლს კიდევ სხვას წაჰკიდებოდა ცეცხლი. პარიზელები იქვე მოედანზედ იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და გულარხეინად შესცქეროდნენ თავიანთი ბინის გადაწვას. რაც მოესწროთ, გამოეტანათ და იქვე ეყარა — ტახტის ფიცრები, კარვები, ყუთები; ერთს აფიცრების ცხენები ეჭირა; ზოგს კიდევ მოსწყენოდა ცეცხლის მზერა, იქვე კედლის ძირას მიგდებულიყო და ხვრინავდა, რაც ძალი ჰქონდა. გამიკვირდა, ღვთის წინაშე. ჩვენ თავბედისა აღარა გაგვეგებოდა რა და პარიზელები კი ისეთი გულდამშვიდებით შესცქეროდნენ ყველაფერს, თითქო სასეირნოდ მოსულანო. ზოგი თავს ივარცხნიდა, ზოგი ტანისამოსს იკერებდა, ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ და გულიანად ხარხარებდნენ. წაეკიდებოდა სახლს ცეცხლი, გადმოჰყრიდნენ უბედური პატრონები, რასაც მოასწრებდნენ. და მერე თვითონაც გამოცვივდებოდნენ გულგახეთქილები. უბინაოდ რჩებოდნენ საბრალონი — ქალი, კაცი, ბავშვი და მოხუცი! პარიზელები კი ყურადღებასაც არას აქცევდნენ და ძველებურად სიცილით შესცქეროდნენ ყოველ უბედურებას.

მე ჩემი დის მეტი არა მაწუხებდა რა და დავინახე თუ არა იმისი ურემი მოედნის ბოლოში, სადაც არც ყუმბარის შიში იყო და არც ცეცხლისა, მაშინვე იქით გავეშურე. დაღლილი ვიყავ, სულს

ძლივსლა ვიბრუნებდი. ჩემს სიძე-ბატონს და იმის ამხანაგებს ფერხული დაებათ და ისეთი გატაცებით უვლიდნენ ურმის გარშემო, რომ გაგიჟებულან-მეთქი, ვიფიქრე. ველარ მოვითმინე და შორიდანვე დავუყვირე:

— რას შვრებით? გიჟები ხომ არა ხართ!

მარესკო ჩემკენ მობრუნდა და სიცილით მიპასუხა:

— ბიჭი გვყავს, მიშელ, ბიჭი! ნახე რა ზორბა არის!

ხელი მტაცა, ურმისკენ გამაქანა და თითონ მაინც არ იშლიდა და იმისთანადა ბუქნავდა, რომ სხვას ყველიერშიც გაუჭირდება. არა, არა! ამათთანა უზრუნველ ხალხს მე ფიქრადაც ვერ წარმოვიდგენდი. ცა და ქვეყანა თავზედ გვენგრეოდა და ის ფერხულს უვლიდა — ბიჭი მყავსო!

გადავწიე ჩარდახი. ლიზა მშვენიერ ლოგინში იწვა, თავით კარგი ლამაზი ბალიში ედო და გვერდით ბალღი ეწვა.

— შენა ხარ, მიშელ? — შემომცინა ლიზამ, — შეხედე რა ლამაზი ბიჭია.

მართლა ლამაზი ბიჭი იყო; იმისთანად იყო ჩასუქებული, თითქო მის დედას არც დაღლილობისა სცოდნოდეს რამე, არც გაჭირებისა. იყო თავისთვის გაჩუმებული, დამშვიდებული; იმას არც ზარბაზანი აწუხებდა, არც ქალაქის დაწვა, არც შიმშილი და არც რისიმე შიში. იყო თავისთვის დამშვიდებული და ისე ლამაზად მოეკუმა პირი, რომ ანგელოზი გეგონებოდათ. ფრთხილად ვაკოცე და გადავწოდე ლიზას.

— რა დაგმართვია, მიშელ! — შეჰკივლა ჩემმა დამ.

— არაფერი, ნუ გეშინია! ეს არის ეხლა დავბრუნდით; ქალაქგარეთ ვიყავით და, მგონი, ოდნავ დაჭრილი ვარ.

მაგრამ ტყუილადღა ვამშვიდებდი; იმას ჩემი აღარა ესმოდა რა და საშინელი ხმით გაჰკიოდა:

— მარესკო, მარესკო! ჩქარა ამოიყვანე მაიორი! ჩემი მიშელი დაჭრილი ყოფილა!

მაშინ გამოაჩნდა ლიზას ჩემი სიყვარული.

მომცვივდნენ პარიზელები, გარს შემომეხვივნენ და საყვედურით მომმართეს:

— აქამდე რატომ არას გვეუბნებოდი, მამულიშვილო!

ზოგი მხარში ამომიდგა, დასუსტებული არ იყოს და არ წაიქცესო; ზოგმა წყალი მომაწოდა; ზოგი ტანისამოსს მხდიდა. ბოლოს მაიორი ბონპარიც ამოვიდა და სინჯვა დამიწყო. ბედნიერი ყოფილხარო, — მითხრა, — ერთი ბეწვა რომ კიდევ ღრმად ჩასუ-

ლიყო შუბი, შენ ახლა აქ აღარ იქნებოდიო. ჭრილობა დამბანა და კარგა მაგრად შემიხვია. პარიზელები გაჩუმებულები გვიყურებდნენ. რაკი შემიხვია, ვიგრძენ, რომ კარგად ვიყავ და მინდოდა იქვე დავრჩენილიყავ, მაგრამ მაიორმა მიბრძანა, საავადმყოფოში უნდა წახვიდეო, და მეც გამოვეთხოვე ჩვენებს

მარესკო, მისი ამხანაგები და ლიზა თავის ურმიდან ერთხმად მიძახდნენ, ეხლავე საავადმყოფოში წადიო. უნდოდათ კიდეც თან გამომყოლოდნენ, მაგრამ დავარწმუნე, მარტოკაც კარგად წავალმეთქი და გზას გავუდექ. გავცდი კი იქაურობას და მერმე საავადმყოფოს მაგივრად ჩვენს ბინისაკენ გავუხვიე. ან რა მიმიყვანდა საავადმყოფოში? დიდი და პატარა იმას იძახდა, მოუვლელობით ხალხი ლპებაო! და ეგეც რომ არა ყოფილიყო, ბევრი არაფერი ნდობა მქონდა ჩვენი დალაქებისა, რომელთაც გაჭირვების დროს ექიმის წოდება მისცეს და რომელთაც სისხლის გამოშვების და კბილის გლეჯის მეტი არა იცოდნენ რა.

მივედი და ივანე სომის გვერღით მივწექი. იმ ღამეს მკვდარივით მეძინა და მეორე დღეს, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი დისწული უნდა მოენათლათ, ავდექი და წმ. ეგნატეს მოედნისკენ გავწიე. ცოტა არ იყოს მეწვოდა მხარი, მაგრამ საავადმყოფოში წასვლას სიკვდილი მერჩივნა და ვმალავდი ტკივილს.

ლიზას ძალიან ეამა ჩემი ნახვა და ძალიანაც გაუკვირდა; მაგრამ, რადგან დარიგების მოსმენის გუნებაზედ არ ვიყავ, მოკლედ მოვუჭერ სიტყვა და შევფიცე, არა მტკივა რა-მეთქი.

ბავშვი პარიზელ შეთქმულთა მესამე ბატალიონის სიაში ჩასწერეს ვითა „კასსიუს მარესკო“, შვილი ფრანსუა მარესკოსი და მის კანონიერ მეუღლის ელისაბედ ბასტიენისა, რომელი იშვა 28 ივნისს 1793 წ. ეს გახლდათ რესპუბლიკური ნათლობა.

ნათლობას პატრიოტული ლხინი მოჰყვა იქვე მოედანზედ და იმისთანა ლამაზი და ყველაფრით შემკული სუფრა გავშალეთ, რომ უკეთესი არ იქნება. ცხენის ხორცი გნებავთ, თაგვისა, კატისა, სულ თავსაყრელი გვქონდა, აგრეთვე ღვინო და არაყი. მართალია პური გვაკლდა, რადგან პრუსიელები სწორედ იქ უმიზნებდნენ ზარბაზნებს. სადაც ჩვენ პურს ვინახავდით. განა არა, ადგილი ვუცვალეთ ბეღელს, მაგრამ ეტყობა ჯაშუშები ჰყავდათ ქალაქში და მაშინვე გაიგებდნენ ხოლმე, საით უნდა ესროლათ ყუბარა, რომ ჩვენში შიმშილი ჩამოეგდოთ. წისქვილები ხომ ისე დაგვინგრიეს, რომ ხელსაფქვავითღა იფქვოდა პური და, რასაკვირველია, ჯარის მეასედსაც არ ჰყოფნიდა.

მაგრამ უპუროდაც კარგად შევექეცით! პატრიოტულად ვილხინეთ იმ დღეს, მხიარულად გავატარეთ დრო და საღამოზედ შინ რომ წავედი, ერთი კარგი ბარკალი წავუღე ივანე სომს; ძაღლისა იყო, თუ კატისა არ ვიცი და ის კი ვიცი, რომ სულ თითები ილოკა ჩვენმა ივანემ, ისე მოეწონა ის ბარკალი.

IX

ისე შეგვაწუხა შიმშილმა, რომ რეინიდან დიდი ხნის დამჩრჩვალი ცხენები გამოგვქონდა და იმას ვჭამდით. შიმშილით და იმოდენა ტანჯვით მისუსტებულთ დამპალი ხორციღა გვაკლდა! დაგვერია რაღაც ავადმყოფობა და ნახევარი ჯარი ძირს დასცა. ვისაც კი შეხვდა, ცოცხალი ვერ გადარჩა. საავადმყოფოში ალაგი აღარ იყო; დაჭრილები ქუჩებში დაიარებოდნენ და როგორც შეეძლოთ, ისე სწამლობდნენ თავიანთ ჭრილობას: საავადმყოფოში ჭირით სიკვდილს, მოუვლელობა და უწამლობა გვირჩევნიაო.

მეც ასევე ვფიქრობდი და ბატალიონში დავრჩი; ხელი შეხვეული მქონდა, მაგრამ სამსახურს მაინც ვეწეოდი და თუ გაჭირდებოდა, იარაღს ცალი ხელითაც კარგად ვიხმარებდი.

პრუსიელები კი სთხრიდნენ და სთხრიდნენ მიწას. მათი თხრილი თითქმის უერთდებოდა ჩვენსას. ნახევარი ჯარი დღე და ღამე გარეთ იყო, ზარბაზნებთან და მოკიდებული პატრუქი ყოველ წამს მზადა ჰქონდა. ისე ირეოდა ერთმანეთში გერმანული „ვერდა“ და ჩვენი „ვინა ხარ?“ თითქო ერთმანეთში არეულან მოპირდაპირე ჯარებიო; სულ ორმოცდაათი ნაბიჯით ვიყავით ერთიერთმანეთზედ დაშორებულნი, ისე რომ პრუსიელები ჩვენსა იყვნენ და ჩვენ იმათსა.

რეინის კუნძულებზედ სიმაგრეებში ჩვენი ჯარები იდგნენ და იმათაც კი არ მოუსვენეს პრუსიელებმა. განა არა, ხმა დადიოდა, პრუსიის მეფეს ჰოლანდიელი დურგლები ჰყავს და აქვე, ჩვენს ზევით, რეინის პირას ხომალდებს აკეთებინებს, რომ კუნძულები წაგვართვასო. იმდენი იძახეს, ხვალ გამოჩნდებიან ხომალდებიო, რომ ბოლოს ყურადღებასაც აღარ ვაქცევდით ამ ხმებს და უსაფუძვლო ჭორად მიგვაჩნდა. და წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც ერთს დილას რეინმა მშვენივრად მოწყობილი ხომალდები ჩამოატარა თავისი ჯარით და ზარბაზნებით; ხომალდები კი არა, მცურავი ციხეები, რადგან ისე იყო ყველა დაფარული, რომ ზარბაზნის პირის გარდა ზედ არაფერი ჩანდა.

მშვენიერი დღე იყო. ზღვასავით გაშლილ რეინზედ დინჯად

ზიცურავდნენ ხომალდები, მაგრამ ისე შორს, რომ ვერ მივუწვედით, კიდეც რომ გვესროლა. სროლა მაშინ ატყდა, როდესაც ხომალდები კუნძულებს დაუახლოვდნენ. თითქო კაკალს ხალა დაჰკრესო, ისე ცვიოდა წყალში ყუმბარა. აღელდა მდორე რეინი, გაშმაგდა და მთასავით ტალღებს ისროდა. ჩაჰკრავდა სადმე ყუმბარა და ნაფოტივით შეათამაშებდა ხომალდებს. ხომალდები კი ნელნელა მიიწევდნენ და როდესაც კუნძულებს დაუპირდაპირდნენ, მყუდრო ალაგი იპოვეს, და იქ გაჩერდნენ. გაჩერდნენ. მაგრამ იქიდანაც არ შესწყვიტეს სროლა. უბედურება ის იყო, რომ მათი ზარბაზანი სწორედ მიზანში სცემდა და უფრო შორსაც, და ჩვენსას კი იმოდენა ძალა არა ჰქონდა, რომ ხომალდამდე მიეწია თავისი ყუმბარა. მაშინ გვეცა ელდა: თუ ამ ხომალდებს არა მოვუხერხეთ რა, ხვალ ყველა კუნძულებს წაგვართმევენო, ვიფიქრეთ.

ისე ვიყავით დაღონებული იმ დღეს გენერლიდან დაწყებული სულ უკანასკნელ ჯარისკაცამდე, თითქო ბრძოლა უკვე წაგვეგოს. და ან როგორ არ დავღონებულიყავით: თუ კი კუნძულებს წაგვართმევდნენ და ახლა იქიდან დაგვიშენდნენ ზარბაზნებს, სულ დაგვიმტვრევდნენ სიმაგრეებს და მაშინ ღმერთიც ვეღარას გვიშველიდა.

იმ ღამეს ბინაზედ რომ დავბრუნდით, სასიამოვნო ამბავი გავიგეთ: ხომალდების დაღუპვა უკვე გადაწყვეტილია და ამ სამძიმო საქმის აღსასრულებლად თავის ნებით წასულნი უკვე გაუდგნენ კასსელის გზას, რომ იქიდან ჩამოეპარნენ როგორმეო. ჩვენი ბატალიონიდან თორმეტნი წასულიყვნენ და იმათში მოხუცებული ივანე სომი და ლაფლეშიც ჩასულიყვნენ. თუმცა არავინ იცოდა, რა გეგმა ჰქონდათ შედგენილი უფროსებს, მაგრამ ეს კი ყველამ ვიცოდით, რომ სწორედ სასწაული მოხდებოდა, თუ ჩვენები ხომალდებს დაიმორჩილებდნენ და შინ მშვიდობით დაბრუნდებოდნენ. კიდევ კარგი, რომ მთვარე მიწურული იყო და, თუმცა ცვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მაინც საკმარისად ბნელოდა.

ღამის ორ საათამდე დამშვიდებული იყო ყველაფერი; უიმისოდ, დაღამდებოდა თუ არა, მაშინვე ზარბაზანს დაგვიშენდა ხოლმე მტერი და იმ ღამეს კი, არ ვიცი, რა მოუვიდა, იყო თავისთვის გაჩუმებული, თითქო ჩვენს მიძინებას ცდილობსო. მაგრამ ორ საათზე იმისთანა გრიალი გაისმა ზარბაზნის და თოფისა, რომ ყველანი ფეხზედ წამოვხტით, — აგერ, იერიშით მივიდნენ ჩვენებიო! რომ იცოდეთ, როგორა ვწუხდი, რომ დაჭრილი ვიყავ და მეც იქ არ ვიყავ ჩემი მოხუცი სომის გვერდით. წამოვჯექი ჩემს ლოგინზე და გულდაწყვეტით ვფიქრობდი:

— ეეჰ, ჩემო მოხუცო! იქნება სწორედ შენთვის გავარდა ეს თოფი და ხვალ ვეღარ გნახო!

გადავხედე ჩვენს ტახტებს და ნახევარზედ მეტი ცარიელი დამხვდა; ზოგი აღარ იყო, ზოგი საავადმყოფოში იწვა, ზოგი საომრად იყო წასული. გამიტაცეს მწარე ფიქრებმა და იმისთანა უბედურად ჩემს დღეში არ მიგრძვნია ჩემი თავი, როგორადაც იმ ღამეს ვიყავ. მხარიც ძალიან მაწუხებდა; ხან ისე შემამციენებდა, რომ სულ კანკალს დამაწყებინებდა და ხან კიდევ დამცხებოდა ღიოფლს მასხავდა. ხან აქეთ ვეცემოდი გიჟივით, ხან იქით. ბოლოს ისე დავიღალე, რომ უგრძნობლად მივეგდე ჩემს ლოგინზედ და, როგორც იყო, ჩამძინებოდა. კარგა ხანი მძინებოდა, რადგან მზე კარგად მაღლა იყო, როდესაც მხიარულმა ყიჟინამ და მარსელურმა სიმღერამ გამაღვიძა. ჩვენი ბიჭები მიჰპარვოდნენ ერთს ხომალდს, შუაზე გადაეჭრათ ბაგირი, რომლითაც დაბმული ყოფილიყო, და რეინისთვის მიენდოთ მისი ბედ-იღბალი; წყალსაც ეტარებინა, ეტარებინა და ერთ უდაბურში გაერიყნა სრულიად დამტვრეული; რაც ხალხი ზედ ყოფილიყო, ტყვედ წამოეყვანათ.

ძალიან მეამა ივანე სომის ნახვა, წინ მივეგებე და ძმურად გადავეხვიე. ისე დასველებულიყო საწყალი მოხუცი, რომ ერთი რუმბი წყალი გამოიწურებოდა მის ტანსაცმელიდან; ის კი ყურადღებასაც არას აქცევდა და გულიანად ხარხარებდა. წყალში პირველი ის შესულიყო, თუმცა ფუტკარივით თურმე ირეოდა ტყვია, და ბაგირისთვისაც პირველად იმას მიეგნო.

გადიოდა დრო და მტერიც ნელ-ნელა უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. ერთი წისქვილი აღარ მოიპოვებოდა მთელს ქალაქში; სამამასახლისო სრულიად დანგრეული იყო.

14 მკათათვეს ზავი ჩამოვარდა, რადგან პრუსიელებს ამბავი მისვლოდათ, კონდე ავიღეთო; სიხარულით ზარბაზანს ისროდნენ; ჩვენ კიდევ ბასტილიის ციხის აღებას ვუქმობდით. სამხედრო მოედანზედ წარმოდგენა გავმართეთ; გვინდოდა მოედანი და მეტადრე სამშობლოს საკურთხეველი მწვანე ბალახით და ტოტებით შეგვემკო, მაგრამ მთელს ქალაქში მცენარე აღარსად მოიპოვებოდა.

სამშობლოს საკურთხეველთან შევიკრიბენით ყველანი და მერლენ ტიონვილელმა ძალიან მჭერმეტყველურად დაგვიხატა ჩვენი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. ამ სიტყვამ და გალობამ ისევ ტკბილი იმედით ამივსო გული და ისე გამიქარვა შავი ფიქრები, რომ ჩემი ჭრილობაც კი დამავიწყა.

მეორე დღეს იმისთანა დაჟინებით დაუშინეს ჩვენს ბინას ზარბაზანი, რომ მაშინვე ვთქვით, ჩვენ აქ აღარ გვედგომებაო. საჩქა-

როდ გავიტანეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და გარეთ გამოვცვივდით. ის იყო, ქუჩაში გავედით, როდესაც ათზედ მეტი ყუმბარა გასკდა ჩვენი ძველი მონასტრის ეზოში და სულ მიანგრია იქაურობა.

ჩვენი ბატალიონი უკვე დანგრეულ საკრებულო ტაძართან ჩაიყვანეს და იქ ნანგრევებზე დააბანაკეს.

ბოლო დროს ისე დაიმშა ჯარი, რომ ქალაქიდან გარეთ მტერთან საბრძოლველად კი არა, საჭმელის საშოვნელად უფრო გავდიოდით. როდესაც მტრის ჯარში ბრძოლის დროს პურს დავუნახავდით ვისმე, უბედური ცოცხალი ველარ გადაგვრჩებოდა. ექვსნი-შვიდნი მივესევოდით ხოლმე, თითქო მეზაირაღე იყოსო, და რაც უნდა ბევრნი ყოფილიყვნენ მის გარშემო პრუსიელები, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამდით, ყველას ამოვხოცდით და პურს მოვიტაცებდით. წამოვაგებდით თოფის ხიშტზედ და ისე შევათამაშებდით, თითქო მტრისთვის ბაირაღი წაგვერთმიოს. გერმანელებმა იქნება დღემდინაც არ იცოდნენ, რად მივცვივდებოდით ხოლმე ზოგ-ზოგს იმათგანს ცოფიანი მგლებივით, დავდევდით და ვებრძოდით, მანამ ანდერძს არ ავუგებდით; იმიტომ მივცვივდებოდით ხოლმე, რომ პური ჰქონდათ, პური, და არა იმიტომ რომ უბედურ ვარსკვლავზედ ყოფილიყვნენ დაბადებული, ან იმათი ცხვირ-პირი არ მოგვწონებოდა.

კიდევ კარგი, რომ საერო კრების წარმომადგენელი მერლენ ტიონვილელი ჩვენთან იყო და გვამხნევებდა. ერთხელ ცხენოსანი ჯარი გაიყვანა ქალაქიდან, პრუსიელების რაზმები უნდა გავარღვიოო. გარღვევით ვერ გაარღვია, რადგან შეუძლებელს ქრისტეღმერთიც ვერ შესძლებს და ჩვენ კი დიდი იმედი შთაგვბერა თავისი გამბედაობით და დაუღალაობით. ერთ ციხეს ტიონვილელის სახელი ვუწოდეთ, და როდესაც მტერმა წაგვართვა იგი, ორმოცდაათი კაცი წაიყვანა და მტერს მიუხტა, ჩემი ციხიდან უნდა გავრეკოო. იმედი აღარავისა გვქონდა, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა, მაგრამ მაშინაც მშვიდობიანად გადარჩა და ეს უკანასკნელი ნუგეშიც არ დაგვაკლდა. ამიტომ უყვარდათ კიდეც ჯარებს და დიდ პატივსა სცემდნენ; ჯარზედ რომ ყოფილიყო დამოკიდებული, გენერლად იმას დანიშნავდნენ. რაც შეეხება საერო კრების მეორე წარმომადგენელს რევბელს, იჯდა თავისთვის, და მთელი დღე ქაღალდებსა სინჯავდა და ანგარიშებს ასწორებდა; არც ისე უყვარდა იგი ჯარს... თუმცა მართალი რომ სთქვას კაცმა, რესპუბლიკას ყოველგვარი მოსამსახურე უნდა ჰყავდეს და უმთავრესი ის არის, ჩვენი შოველისა არ იყოს, რომ ანგარიშები რიგზედ იყოს მოყვანილი.

ამ გაჭირებაში რომ ვიყავით, ერთს საღამოს შორიდან ზარბაზნის ხმა შემოგვესმა; ცა ნაკვერჩხალივით აწითლებულიყო და საშინელი სროლის ხმა მოდიოდა. აგერ კუსტენი მოდისო. შესძახა ერთხმად ჯარმა და სიხარულით ერთიერთმანეთს ხელნა დავუწყეთ. თვალი არავის მოუხუჭავს, მთელი ღამე თოფ-იარაღით ხელში საომრად გამზადებულნი მოუთმენლად ველოდით კუსტენის მოახლოვებას, რომ შიგნიდან ჩვენ შეგვეტია პრუსიელებისთვის. მაგრამ გათენდა, ამოვიდა მზე და კუსტენი კი არსად იყო; სამრეკლოს გუმბათიდან აფიცრები გადმოიყურებოდნენ დურბინდებით და, საცა კი თვალი მისწვდებოდა, ყველგან მტრის რაზმებს ხედავდნენ და სხვას არაფერს... მგონი ავდარი იყო იმ მხარეს, ჰექდა და ქუხდა, და ჩვენ კი კუსტენის ზარბაზნები გვეგონა. მშიერ ქათამს სიზმარში ფეტვი ელანდებაო, ხომ მოგეხსენებათ.

ისე გადაგვიწყდა გული იმდენი ლოდინით, რომ ერთსღა ვნატრობდით: ნეტავ მალე მოვიდნენ ქალაქზედ პრუსიელები, რომ იმათი სისხლით გავძღეთო! ოღონდ ჯავრი კი ამოვიყაროთ და თუნდა ას ნაკუწად გვაქციონო! და ამ ფიქრებში რომ ვიყავით, უეცრად ხმა გავარდა, სამხედრო საბჭოს ქალაქის დანებება დაუდგენიაო. თავდაპირველად ეს ამბავი არავისა სჯეროდა. მაგრამ როდესაც თვით ჩვენმა აფიცრებმა გამოგვიცხადეს, მაშინ კი ყველგან დრტვინვა გაისმა ჯარისა.

მეორე დღეს, 24 მკათათვეს, 1793, ბრძოლა აღარ ატეხილა. გარნიზონი სამხედრო მოედანზედ გაიყვანეს. ვინც უფრო უკმაყოფილონი იყვნენ ქალაქის დანებებისა და მათ შორის ჩვენი ივანე სომი, თოფები გასტენეს და ისე წავიდნენ მოედანზედ. ჯარი დალაგდა. ათ საათზედ თვით გენერალიც გამოჩნდა თავისი ამალით; მასთან ერთად იყვნენ კომისრები: რევბელი და ტიონვილელი. აქეთ-იქიდან ხმა გაისმა: სიკვდილი სამშობლოს გამყიდველთ!... ისინი კი მშვიდად, დარბაისლურად შემოვიდნენ შუა მოედანზეღ, გაჩერდნენ ჯარის წინ, მოითმინეს, ვიდრე ეს ყვირილი შესწყდებოდა და მაშინ ყველა რაზმს თავისმა წინამძღოლმა წაუკითხა პირობები ქალაქის დანებებისა. რომლის ძალით საფრანგეთის ჯარები პრუსიის მეფეს უთმობდნენ ქალაქ მაინცს, კასსელით და ყოველ სიმაგრეებით; საფრანგეთის ჯარები სრულიად თავისუფლად და მთლად თავის ბარგით და დაჭრილებით ვაემგზავრებოდნენ შინისაკენ, ოღონდ აღთქმას სდებდნენ. რომ ერთის წლის განმავლობაში გერმანელებთან ომში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

დაწვრილებით იყო მოხსენებული ყოველივე — ფულის გაცვლა, ავადმყოფების და დაჭრილების წაყვანა ჩვენს საზღვრებამდე, ჩვენგან მიტოვებული ციხეების დაჭერა, მეტი იარაღის და ტყვია-წამლის ჩაბარება და სხვა და სხვა.

ნახევარი საათი გასტანა ამ პირობების კითხვამ; საქმე ისე იყო მოგვარებული, რომ ჩვენს მხედრულ ღირსებას არა აკლდებოდა რა. მივდიოდით, მაგრამ ჩვენი დროშებიც თან მიგვქონდა, იარაღიც, ბარგიც; ამ სიამოვნებას ზედ ერთოდა ტკბილი რწმენა, რომ ახლა კი აგვისრულდება დიდი ხნის ნატვრა და შინ დავბრუნდებითო.

— მორჩა, გათავდა ამოდენი ტანჯვა, — ვიძახდით ჩვენს გულში. — ალბად, ღირსეულად დაგვიღწევია თავი, რომ ასე კმაყოფილნი არიან ჩვენი უფროსები. როგორც არა გვქონდა რა, როცა მოვედით, ისე წასვლისას არა მიგვაქვს რა. საწყალი მაინცელები, თორემ ჩვენ რა გვიჭირს! სახლი იმათ აღარ შერჩათ დაუნგრეველი და ეკლესია! ჩვენ ხვალ-ზეგ ისევ სამშობლოში ვიქნებით, მშობლიური ენით და მშობლიური სიმღერებით დავტკბებით და რესპუბლიკის ამბებს გავიგებთ. მეტი რა უნდა გვინდოდეს?

ასე გახარებული ვიყავით ყველანი, მაგრამ ორი დღის შემდეგ, როდესაც უკან დაგვრჩა ძველი, გადამწვარი და დანგრეული ქალაქი, რომელშიაც იმოდენი ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში, ისე აგვიჩქროლდა გული, თითქო სამშობლოს ვეთხოვებითო. და ვეთხოვებოდით კიდეც, საუკუნოდ ვეთხოვებოდით ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც მაინცში იყვნენ დამარხულნი. დიაღ, 25 მკათათვეს 1793 წ., როდესაც ნაღარის ხმა შესწყდა სამხედრო მოედანზედ და წინამძღოლების ბრძანება გაისმა: ჩქარი ნაბიჯით... მარჯვნივ... იარეთ! და დაიძრა ჩვენი ჯარი, ბევრს ჩვენგანს გადმოსცვივდა ცრემლი. მაინცელები დიდიან-პატარიანად გარეთ იყვნენ, დამშეულები, დაგლეჯილ-დაფლეთილები. ქალები ტიროდნენ; ვაჟკაცები გაჩუმებულნი შემოგვცქეროდნენ და ვინ იცის, როგორ გვწყევლიდნენ და გვაგინებდნენ თავიანთ გულში; მაგრამ ყველაზე შეწუხებული დოქტორი ჰოფმანის კლუბის მიმდევრები იყვნენ, რომელნიც კარგად გრძნობდნენ, რომ გერმანელი მართებლობა იაფად არ დაუსვამდა საფრანგეთის და მეტადრე რესპუბლიკის მხარის დაჭერას.

წინ პრუსიელი დრაგონები მიგვიძღოდნენ და მერე ჩვენ მივდიოდით ყველა თემელი შეთქმულები. ნასახიც აღარ გვეტყობოდა ჯარისა — ტანისამოსის ნაცვლად ტურტლიანი კონკებიღა შეგვრჩენოდა, ფეხსაცმელი მჩვრებით გვქონდა შეკრული, ექვსი თვის

მოუპარსავი წვერი დაგვეშვა... მაგრამ იმისთანა ამაყად მივათამაშებდით თოფს, თითქო უკეთესად გაწყობილი ჯარი ქვეყნად აღარსად იქნებოდაო.

მართალია, ტანსაცმელით ერთიერთმანეთს აღარა ვგავდით, მაგრამ სამაგიეროდ ყველანი ერთნაირად ვიყავით დაფლეთილები და გამხდრები. უკან სენტონჟელი მსროლელები მოგვდევდნენ, მერე ლანგდოკელი ცხენოსნები და სხვანი. შევედით თუ არა პრუსიელების ბანაკში, მსროლელების მუსიკამ მარსელური დაუკრა. და იმოდენა ჯარმა, ჩვენი ბატალიონიდან დაწყებული სულ ბოლოს რაზმამდე, ერთხმად შესძახა თავისი გამამხნევებელი სიმღერა. აქეთ-იქიდან ხალხი მოსულიყო ჩვენი სირცხვილის სანახავად, — მოქალაქენი, გლეხკაცობა, სამღვდელოება და საფრანგეთიდან გახიზნული დიდებულნი; ყველას პრუსიული კოკარდა გაეკეთებინათ ქუდზედ, თან ეტლებით ქალები წამოეყვანა და საფრანგეთის რესპუბლიკის დამცირების ნახვა ნებავდათ; მაგრამ ღვთის წყალობა გაქვთ, იმათ ფერი ეცვალათ, ჩვენი მედგარი მარსელური რომ გაიგეს. ისეთი სახით შემოგვყურებდნენ, თითქო ფიქრობენ: — გმადლობთ, შენ ღმერთო, რომ ამათი პირობები მივიღეთ და თავიდან მოვიშორეთ, თორემ ამათთან ბრძოლა ხუმრობა არ უნდა ყოფილიყო.

ასე და ამგვარად გამოვედით მაინციდან. დამარცხებულნი და შერცხვენილნი კი არ წამოვედით, არა! იმიტომ წამოვედით, რომ ქალაქის დანებებით უფრო მეტს ვიძენდით, ვიდრე ბრძოლით; ამასთან ისიც კარგად ვიცოდით, რომ, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, გამარჯვება ჩვენი იქნებოდა და მაშასადამე მოცდა სჯობდა. ისე მოეწყო სხვადასხვა გარემოება, რომ ბრძოლის მაგიერად ორივე მხარემ მოლაპარაკება ირჩია; ჩვენ ჩვენთვის უმჯობესი ვითხოვეთ და, რადგან ყველაფერზედ დაგვთანხმდნენ, გიჟები ვიქნებოდით, შემთხვევით არ გვესარგებლა.

გავცდით ბანაკს, გავედით სიმაგრეებს და თხრილებს, გავცდით დანგრეულ და აოხრებულ სოფლებს. შეეერიეთ მწვანე მინდორს, შეპრელებულ ყურძენს, დაბურულ ტყეს და თავისუფლადაც ამოვისუნთქეთ. უფროსებმაც ნება მოგვცეს, იარაღი თქვენს ნებაზე ატარეთო!

პირი სამშობლოსკენ გვქონდა, განა მეტი ბედნიერება კიდევ იყო რამე ჩვენთვის! ვიღას ახსოვდა გაჭირვება, შიმშილი, სიცივე და განსაცდელი! შინ მივდიოდით, შინ! საფრანგეთს კიდევ ვნახავდით! გვაგონდებოდა მაინცში დახოცილი ამხანაგები და ღმერთს მადლობასა ვწირავდით:

— ღვთის განგება, თორემ ჩვენ კი გადავოჩებოდით?!

მივდიოდით და ჩვენვე გვეცინებოდა ჩვენი თავისა: ჰაი, თუ გაიკვირვებენ, ამ ყოფაში რომ გვნახავენ! რამდენ ქებასა და დიდებას შემოგვძღვნიან!

გახარებულნი მივეშურებოდით შინისკენ, დარწმუნებულნი, რომ ყველგან აღტაცებით მიგვიღებდნენ და გულუხვად გაგვიმასპინძლდებოდნენ:

— გაუმარჯოთ მაინცელ გმირებსაო!

ორი დღის სავალს ერთ დღეში გავდიოდით, რომ შინ უფრო ჩქარა მივსულიყავით. პრუსიელები ჯერ ისევ წინ მიგვიძღოდნენ, თითქო ტუსაღები ვყოფილიყავით, და ეს უფრო გვაჩქარებდა,— ჩქარა მივატანოთ საფრანგეთს, რომ მოგვშორდნენ წუწკებიო. ისე ვიარეთ, რომ ოთხ დღეზედ სარბრიუკს დავუახლოვდით.

ჩვენგან დამარცხებულ ქვეყანაში ვიყავით ჯერ ისევ და სამაგიეროს იმითი გვიხდიდნენ ომისაგან გაღატაკებული გერმანელები, რომ თავის წონა ოქროდ აფასებდნენ ყველაფერს. პური, ხორცი, ყველი მამასისხლად ფასობდა; ან რა ექნათ, რომ გასასყიდიც აღარა ჰქონდათ რა. მანამ ძალა ხელთა გვქონდა, საწყალ ხალხს ჩვენვე შევუჭამეთ, რაც რამ ებადათ და ახლა ჩვენვე ვემდურიდით, ასე ძვირად რად გვიფასებენო. გულს იმითი ვიმშვიდებდით, რომ საცაა საფრანგეთში შევალთ და იქ სულ სხვა იქნებაო.

საცა კი გავჩერდებოდით, ხალხი შემოგვეხვეოდა და აქა-იქ გაგონილი საფრანგეთის ამბები კარგს არას გვიქადდნენ: ერთს პატარა ქალაქში გავიგეთ, ვანდელები აჯანყდნენო. ცოტა ხნის შემდეგ სთქვეს, მარატი მოკლა ერთმა ქალმაო. ჰომბურგში თქვეს, ჟირონდელები გაიქცნენ პარიზიდანო. ელვასავით მოედებოდა ხოლმე ეს ამბები მთელს ჯარს და გვაღონებდა ყველას, მაგრამ ისე არაფერს დავუღონებივართ, როგორადაც დიუმურიეს ღალატმა დაგვაღონა. ჩვენ მარტო მაშინ გავიგეთ, რომ დიუმურიეს იმ სამი თვის წინათ სამშობლოსთვის ეღალატნა და მტერს მისდგომოდა.

დავუახლოვდით სარბრიუკს და მეც გულმა კვნესა დამიწყო: ასე ახლო იყოს კაცი ფალსბურგზედ, და შინ კი არ მივიდეს? ისე გაიაროს, რომ არც გულის საყვარელი ნახოს, არც დედ-მამა და მეგობრები? ჩვენებურები სულ ყველანი შინისკენ მიიწევდნენ, მაგრამ ჩვენმა უფროსმა ჟორდიმ შოველისაგან იცოდა, რომ მარგალიტას საქმრო ვიყავ და ძალიან წყალობის თვალით მიყურებდა. მეოთხე დღეს, შესასვენებლად რომ დავდექით, მივედი და, 48 საათით დამითხოვეთ-მეთქი, ვთხოვე. ჯერ ისევ ცხენზედ იჯ-

და... ჩაფიქრებული დამცქეროდა ზემოდან, რადგან იმასაც ენატრებოდა შინ შებრუნება და თავისიანების ნახვა. კარგა ხანი მიყურა, სახე დაეღვრიმა... შემეშინდა, უარი არ მითხრას-მეთქი. მაგრამ უცბად გამიღიმა და მკითხა:

— მარგალიტას ნახვა გინდა, განა?

— დიაღ, ბატონო, მარგალიტასი და მამა-ჩემისა.

— ძალიან კარგი, — მიბრძანა ჟორდიმ და თან აქეთ-იქით მიიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო. — გეყურება, სარბრიუკში შევალთ თუ არა, ჩემთან მოხვალ და დათხოვნის ქაღალდს მიიღებ. ოღონდ, ეს კი იცოდე, ხმა არ ამოიღო შენს ამხანაგებთან, თორემ ვაი შენი ბრალი! ღამე წადი, რომ არავინ გაგიგოს. თუ გაიგეს, ერთი დაითხოვაო, ყველაზი მოინდომებენ შინ წასვლას და თოკითაც ვეღარავის დავიმაგრებთ. წადი და არა სთქვა რა.

რაღა თქმა მინდოდა, მე თითონაც კარგად ვიცოდი, რომ ჩვენებურებს ყველას უნდოდა შინ მისვლა და სამას ოცდახუთი კაციდან ერთიც აღარ დარჩებოდა ბატალიონში, რაკი გაიგებდა, რომ ზოგი დაითხოვეს და ზოგი კი არა. განა არა, ვგრძნობდი, რომ უსამართლოდ ექცეოდა ჩემს ამხანაგებს ჩვენი უფროსი, მაგრამ ისე მწყუროდა ჩვენების ნახვა, რომ ყველაფერს ვიზამდი, ოღონდ შინ მისვლა მღირსებოდა.

საღამოზედ „დიდი ირემის“ სასტუმროში ვეახელ და დათხოვნის ბარათი იქ მომცა. ჩემს გარდა ას ორმოცდაათ კაცს სხვას ეთხოვა, მაგრამ ყველასთვის უარი ეთქვა. სარბრიუკი უკანასკნელი ქალაქი იყო გერმანელებისა; წყალგაღმა უკვე საფრანგეთი იწყობოდა და იმავ საღამოს, ცხრა საათზედ, ივანე სომს კი წავჩურჩულე — შინ მივდივარ-მეთქი — და გზას გავუდექ.

თოფი და გუდა-ნაბადი ბარგში დავტოვე. მართალია, ოთხი დღის სიარულით ძალიან დაღლილი ვიყავ, მაგრამ რაკი შინისკენ მივიბრუნე პირი, ისე მივქროდი, თითქო ფრთები შემასხესო. რა კარგი რამ არის სიყმაწვილე! რომელი ფრთები შეედრება ოც წელს და შეყვარებულ გულს! მივრბოდი, მივქროდი და სულ იმას ვნანობდი, რომ ერთი ნახტომით არ შემეძლო იმოდენა მანძილის გადავლა! სიცოცხლე ნეტარებად მიმაჩნდა, გული სიყვარულით მქონდა აღსავსე და თავი მომავალის ტკბილი იმედებით. და ახლაც, რომ მომაგონდება მაშინდელი ჩემი სირბილი, იგივე ხალისი მომივლის სიშაბუკისა და ასე მგონია, ისევ გზაში ვარ და მარგალიტასკენ მივეშურები-მეთქი. თვალწინ მიდგას მარგალიტა, მოხუცებული მამაჩემი, ნათლიაჩემი... არა, ფრთები არა მქონდა, მაგრამ ჩიტივით კი მივფრინავდი.

მერე კარგი დარიც დამიდგა! მშვენიერი ღამე იყო, ზაფხულის, მთვარით გაკაშკაშებული, ღამე! დამშვიდებული იყო ყველაფერი, თითქო ბუნებასაც ჩასძინებიაო და მარტო ჩემი ფეხის ხმა არღვევდა ღამის მყუდროებას და შორიდან მდინარე სარის შხუილი მოისმოდა.

აგერ ირიჟრაჟა. მზემ თავისი სხივები სტყორცნა დილის ნიავით შეცივნულ ბუნებას. მინდვრიდან, გზის აქეთ-იქიდან მუშების ხმაურობა გაისმა. უკვე წყლის პირას ვიყავ. ორი თვე მეტი იქნებოდა, რაც საცვლები არ გამომეცვალა და ადვილი წარმოსადგენია, რა ჭუჭყიანი ვიქნებოდი. ამაზედ კარგი შემთხვევა სადღა მექნება, ჩავალ და ვიბანებ-მეთქი, ვიფიქრე. ბილიკზედ ჩავიარე, ტანთ გავიხადე და თქვენს მტერს, რაც მე მაშინ ჭუჭყი გავიბანე! მერე მშვენიერი, ნელთბილი წყალიც იყო! გადავწვებოდი ხან ერთ გვერდზედ, ხან მეორეზედ და, რა კარგი ყოფილა კეთილი ცხოვრება-მეთქი, ვიძახდი.

ნახევარი საათი მეტი ვიყავ წყალში და როცა გამოვედი, მზე უკვე ამოსულიყო და კარგა ლამაზად შეეცხელებინა ქვა და ქვიშა. მაღლიდან ტოროლას გალობა ისმოდა და შორს, ჩვენი მთები მოჩანდა, ჩვენი ვოზგის მთები.

საქმე ის იყო, რაც შეიძლებოდა კარგად გამოწყობილი ვჩვენებოდი მარგალიტას. ჩემს სავარცხელს სამი კბილიღა შერჩენოდა, მაგრამ უარარაობაში ისიც კარგი იყო და თმა და წვერი, როგორც იყო, დავივარცხნე. ტანისამოსისათვის რაღა მეშველა? შარვალის გაბერტყვა მინდოდა, მაგრამ, როგორ გამებერტყა, რომ ერთი დაქნევით იქნება სულ მტვრად ქცეულიყო. ერთი მტკაველის ოდენა ალაგი არ იპოვებოდა ზედ დაუგლეჯელი. ვუყურე და თავი დავანებე: ომიანობამ ასე იცის-მეთქი. კიდევ კარგი, რომ პერანგს არა უჭირდა რა და გასარეცხად ჯერ ისევ ვარგოდა.

დაფლეთილი წაღები როგორც იყო ბაწარით შევიკარ... დიაღ, ის კოხტა მიშელი აღარ გახლდით, კვირაობით მარგალიტას სანახავად რომ ვკოხტაობდი ხოლმე პატარა სარკის წინ! დიაღ, ის მიშელი აღარ გახლდით, მაგრამ გული მითქვამდა, რომ მარგალიტა ასეც არ დამიწუნებდა და უფრო გულიანად გადამკოცნიდა. უმთავრესი კი ის იყო, რომ მარგალიტას არ დავეწუნე.

ისევ გზას გავუდექი. საცა კი სოფელში გავიარე, იმისთანა გაჭირვება ვნახე ყველგან, რომ ახლაც ყურში მიდგას დამშეული ხალხის კვნესა. ოჯახის ბურჯი, ოჯახის მაცხოვრებელი, ვისაც შრომა შეეძლო, ყველა ჯარში გაიყვანეს და შინ მარტო გაჭირვება დასტოვეს და შიმშილი. სიღარიბისაგან უდროოდ წელში მოხრილი და

მოხუცებული სოფლელები რომ დამინახავდნენ მიმავალს, შორიდანვე სინჯვას დამიწყებდნენ ხოლმე და ყველას თავისი შვილი ან ძმა ელანდებოდა: იქნება ჩვენი ბიჭი მოდისო!

მივუახლოვდებოდი და გავუცრუებდი წამიერ იმედს.

— გამარჯობათ, ხალხო!

— გაგიმარჯოს, — მიპასუხებდნენ ნაღვლიანი ხმით და შინისკენ მიეშურებოდნენ.

დილის შვიდ საათზე ერთ პატარა ქალაქში შევედი თუ არა, მაშინვე მაინცელი ჯარის უკადრისად ხსენება მეცა გულში. გავბრაზდი, მინდოდა ღირსეული პასუხი მიმეცა თავხედისთვის, მაგრამ იმისთანა სუსტი რამ იყო ჩემი მოპირდაპირე, რომ ხმაც აღარ გავეცი: დუქანში ვიჯექ და გაჩქარებული ვილუკმებოდი; ცივად მოხარშული ხორცი მომიტანეს ძროხისა და შინაური თეთრი ღვინო. იმ დროს დალაქიც შემოვიდა; მედუქნე, ერთი მოხუცებული, ჭაღარა კაცი, იქვე შუა დუქანში გამოიჭიმა სკამზედ და დალაქმა პარსვა დაუწყო; თან ხან აქეთურს ამბობდა, ხან იქითურს... აქეთური მიკიბა, იქითური და მერე ჩვენს ჯარსაცა სწვდა: მაინცელმა ჯარმა სამშობლოს უღალატა, თორემ განა იმ სიმაგრეებს მტერი შეუვიდოდა?.. სწორედ საჭიროა, რომ „ქვეყნის მფარველმა" კომიტეტმა განიხილოს მათი ღალატი და დამნაშავეებს გილიოტინით თავები დააყრევინოსო.

გადავხედე უბედურს, სიცოცხლე ხომ არ მოსჭარბებია-მეთქი! მაგრამ რა? ერთი ბეწვა ქონდრის კაცი იყო, მისუსტებული და დალეული. ის ენაც რომ არ ჰქონოდა, თაგვები ჩაითრევდნენ სოროში. გადავხედე თუ არა, მაშინვე დავმშვიდდი.

გავათავე ჩემი სადილი და ბებერ მედუქნეს ნათლიაჩემისაგან გამოტანებული ოქრო გადავუგორე. ოქროს დანახვაზედ ისე განცვიფრდა, თითქო სასწაული ნახა რამეო: გაშტერებული უყურებდა კარგა ხანს, მერე მივარდა, აიტაცა და ფანჯარასთან მიარბენინა, რომ სინათლეზედ უფრო კარგად გაესინჯა. დიდი ხანია ოქრო აღარ გვინახავსო, — თქვა, და ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ მართლა ოქრო იყო და არა ყალბი ფული, დახლიდან ხურდა გადმომითვალა ასიგნაციებით და შავი ფულით. ახლა მე დავრჩი განცვიფრებული: ერთ ოქროში ოთხის ფასი მომცა. მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენს ასიგნაციებს თითქმის სრულიად დაჰკარგოდათ ფასი და თავის მეოთხედადაც ძლივსღა გადიოდნენ. რა გაჭირვებაში უნდა ყოფილიყო საწყალი ხალხი იმ ფულის სიძვირეში?! კიდევ კარგი, რომ ამ ასიგნაციებით გახიზნული დიდებულების და მონასტრების მამულის ყიდვა შეიძლებოდა, თორემ იმათ აღარავინ აიღებდა და რევოლუცია დაიღუპებოდა.

ისევ გზას გავუდექ და ყველგან დიდად აღელვებული მეჩვენებოდა ხალხი. მაინცის დანებების ამბავი უკვე მისულიყო და მთელი ალზას-ლორენი აღშფოთებული იყო. ყველანი შეწუხებულნი იყვნენ, რადგან ჯარში გასულების გარდა, ბევრი კარგი დარბაისელი კაცი წასულიყო გერმანიაში რესპუბლიკური აზრების საქადაგებლად და არავინ იცოდა, სად იყვნენ და რა მოუვიდათ, რომ აღარც ცოცხალი ჩანდნენ და აღარც მკვდარი; ყველას მწუხარება ეტყობოდა. მე კი ისე მივეშურებოდი, რომ ყურადღებასაც არას ვაქცევდი; ან რა იყო იქ საყურადღებო? მაინცში ყოფნის დროს იმოდენი უბედურება ვნახე ადამიანისა, იმოდენა სისხლისღვრა და კაცისკვლა, რომ ხალხის წუხილი აღარად მიმაჩნდა.

ერთ სოფელში სამამასახლისოს კარებზე აუარებელი ხალხი შეგროვილიყო; შუაში ჟანდარმები იდგნენ და ჯარში გასაყვან ბიჭების სიას ადგენდნენ. ის იყო ხიდზე შევდექ და შემაყენა კიდეც წესიერების მცველმა: დათხოვნის ბარათი მაჩვენეო. მაშინვე ამოვიღე და გადავუშალე. იმოდენა ხალხი ჩვენ შემოგვჩერებოდა. წაიკითხა ბარათი, მომცა და ჩუმად მითხრა:

— გეტყობა ცუდ დღეში ყოფილხარ, რომ აგრე ჩამომდნარხარ, ძმობილო. ვიცი, დიდი გაჭირვება გამოიარეთ, მაგრამ ნურავის ეტყვი, რომ მაინციდან მოდიხარ, თორემ აქ უარესს დღეში ჩავარდებიო.

სალამი მივეცი და ხმის ამოუღებლივ ჩემს გზას გავუდექ გულდაწყვეტილი. ან როგორ არ მწყენოდა ეს დარიგება, — ნურავის ეტყვი, რომ მაინციდან მოდიხარ, თორემ აქ უფრო ავი დღე დაგადგებაო. მერმე რა დავაშავეთ, რას გვემდუროდნენ? ან ვინ გვემდუროდა? ვინადა, ნაცარქექია დევგმირები, რომელნიც შინ ბრძანდებოდნენ დამშვიდებულნი, მაძღრისად სჭამდნენ, ნებისად სვამდნენ, თბილად ეძინათ, დიდებულების მამულებს ყიდულობდნენ და ჩვენ კი სამშობლოს ღალატსა გვწამებდნენ! ჩვენ თავგანწირულნი ვიბრძოდით მტერთან, სიცოცხლეს არა ვზოგავდით, იმდენი ხანი მშიერ-მწყურვალნი და ტიტველნი ვეყარენით, და უსინდისოებმა ესეც არ გვაკმარეს და ახლა ჩვენი პატიოსნების შელახვა მოინდომეს და ღალატი დაგვწამეს! გულს მიწამლავდა ხალხის უსამართლობა და სისულელე. მაშინ კი არა, რადგან ძალიან აღშფოთებული ვიყავ, და შემდეგში კი ხშირად მომსვლია აზრად, რომ რევოლუციის მტრები იმიტომ ავრცელებდნენ ხალხში ამ ხმებს, რომ ხალხისა და მაინცელ ჯარების შუა სიძულვილი ჩამოეგდოთ. მგონი, რომ ეს უნდა ყოფილიყო იმათი წადილი.

აგერ შორიდან ფალსბურგიც გამოჩნდა. თითქმის შინ ვიყავ;

ცოტა ხანი კიდევ და ჩემს მარგალიტასაც ვნახავდი, მამაჩემსაც, პატაია სტეფანესაც... მაგრამ არა, არ მიხაროდა. გული მომიკლა ჟანდარმის დარიგებამ და სულ იმის ფიქრში ვიყავ, რომ ხალხისთანა უმადური არა იქნება რა-მეთქი.

შუადღე იყო, ფალსბურგში რომ შევედი. იქვე ქალაქის პირში საბაჟოს კარებში, სწორედ ჯარის ბინის პირდაპირ, გამოჩნდა ჩვენი ძველი ნაცნობი პულე, რომელიც ხელმწიფის დროს ხელმწიფის ჯაშუში იყო და ეხლა, რესპუბლიკის დროსაც, არ დაეტოვებინა თავისი ხელობა: ახლაც იგივე ჯაშუში და მაბეზღარი იყო და სხვის უბედურებით ცხოვრობდა. ეტყობოდა, ძალიან ტკბილად შერგებოდა ასე ნაშოვნი ლუკმა, რადგან ერთისამად გასუქებულიყო და იმისთანა ფაშვი გადმოეგდო, რომ ძლივსღა იძვროდა. ხელში ყველი და პური ეჭირა და ისე ილუკმებოდა, იტყოდით, დიდი ხნის დამშეული მხეცია და არა ადამიანიო. ქუდზედ რესპუბლიკური კოკარდა გაეკეთებინა, სიცხისაგან შეწუხებულს საკინძი ჩამოეხსნა და ისე გულგადაღეღილი მობაჯბაჯებდა. რომ დამინახა, გამხდარი და დაფლეთილ ტანსაცმელში გახვეული, სიცილი დაიწყო და იქვე გზის პირად ჯარისკაცებს გასძახა:

— თქვენ ეი! ჩუმად იყავით! გასწორდით! სამხედრო სალამი-მიშელ ბასტიენს, მაინცელი ჯარის წარმომადგენელს, რომელმაც ისე გმირულად დაანება მტერს ქალაქი, რომ თოფიც არ დაუცლია!

ყვიროდა რამდენადაც კი შეეძლო და თან ხან ჯარისკაცებს გადახედავდა, ხან მე. იმდენი ხალხი მე შემომყურებდა. ბრაზი მომერია, ფერი მეცვალა. ხმის ამოუღებლად მივდიოდი ჩემს გზაზედ და, პულეს რომ დავუპირდაპირდი, იმისთანა სილა ვტკიცე, რომ სამჯერ გადაკოტრიალდა იმსიმსხო კაცი. მიგორავდა და თან ღრიალებდა:

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ, ეგ კაცის მკვლელი! მიშველეთ, ხალხო, ვერა ხედავთ, რომ მოკვლას მიპირებს!

წამოდგა, როგორც იყო, და მაინც ჩემს დაჭერას შესძახოდა ხალხს:

— გამოუდექით, დაიჭირეთ! განა ჩემისთანა პატრიოტს ასე უნდა ახოცვინებდეთ?!

მე კი მივდიოდი, არც ფეხი ამიჩქარებია, არც უკან მიმიხედნია.

ჯარისკაცები გაკვირვებულნი შემომცქეროდნენ.

გზის პირას მოხუცებული ათისთავი იდგა; სიცილი წასკდა და დამიძახა:

— ყოჩაღ, ბიჭო! საცა თავისი სთქვას, შენსასაც ნუ დაივიწყებს. ეგ წუპაკი, ეგა! ეს მითხარ, მაინციდან მოდიხარ?

— მაინციდან გიახლები.

— აგრე რამ ჩამოგადნო, შე კაი კაცო?

— გაჭირვებამ, ბატონო.

ათისთავი ჯარისკაცებს მიუბრუნდა და უთხრა სიცილით:

— იცით, ბიჭებო, იქნება კიდეც გვიღალატეს ამათმა გენერლებმა, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ საწყლებს არაფერი რგებიათ.

ამ დროს პულეც მოგვიახლოვდა ყვირილით:

— დაიჭირეთ! შეჰკარით, ეგ ქვეყნის მოღალატე! შეჰკარით კანონის ძალით, იმიტომ რომ ეგ არისტოკრატია და ხალხის მტერი!

— იარე, ძმობილო, და ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს. — მითხრა ათისთავმა.

ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავი, ქალაქში რომ შევედი; ჩემი ჯავრი პულეზე ვიყარე და ისე მომეშვა გულიდან ყოველი დარდი, თითქო სუყველაფერი იმ სილას გაჰყვაო. მივდიოდი და მარგალიტას გახარებული, გაბრწყინვალებული სახე მიდგა თვალწინ. აქეთ-იქიდან ნაცნობი ხმები ისმოდა:

— მიშელს გაუმარჯოს, მიშელს!.. ხომ კარგად ხარ, მიშელ?

მაგრამ ისე მივეჩქარებოდი, რომ მარტო თავს ვუკრავდი ხმის ამოუღებლივ.

ფუკსის ქუჩაში შორიდანვე თვალში მეცა შოველის წიგნის მაღაზია ფანჯარაში გამოწყობილი წიგნებით და გაზეთებით და ისე ამიძგერდა გული, რომ ერთს წამს გავჩერდი სულის მოსაბრუნებლად. ცალკე ნეტარებასა ვგრძნობდი, რომ ისევ შინ ვიყავ და გულის საყვარლებსა ვნახავდი, და ცალკე შიში მკლავდა: ვაი თუ ან ავად იყოს ვინმე, ან ცოცხალი აღარ დამხვდეს-მეთქი. ბოლოს მაღაზიასთან მივედი. შევედი, არავინ დამხვდა. შევიხედე მეორე ოთახში. მარგალიტა და ჩემი ძმა სუფრას მისხდომოდნენ და სადილსა სჭამდნენ. დამინახეს და გაკვირვებული შემომცქეროდნენ, რადგან ვერა მცნობდენ. ძნელი საცნობიც ვიყავ, ღვთის წინაშე; დაფლეთილი ტანისამოსი, გრძელი წვერი, ჩამომხმარი და ჩაშავებული პირისახე, მგონი მათხოვარს უფრო ვგავდი, ვიდრე ჯარისკაცს მაგრამ ხმა ამოვიღე თუ არა — რა ვქნა, ვერა მცნობთ-მეთქი?—მაშინვე ფეხზედ წამოცვივდნენ ორივენი და ხვევნა დამიწყეს. მარგალიტა გულში ჩამეკრა, სტეფანე კისერზედ ჩამომეკიდა და ტირილით და სლოკინით მიალერსებდნენ:

— მიშელ! ვიღასა ჰქონდა შენი ნახვის იმედი!? მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, რომ კიდევა გნახეთ ცოცხალი! — თან იცინოდნენ და თან ტიროდნენ.

— როგორ გაუხარდება შენი ნახვა საწყალ მამას!—იძახდა სტეფანე.

ერთმა გუდა მომხადა, მეორემ ქუდი ჩამომართვა და ხელახლა ხვევნა და კოცნა დამიწყეს. მარგალიტა ძალიან ფერმიხდილად მეჩვენა, გამხდარიყო კიდეც.

— ავად ხომ არ იყავ, მარგალიტა?

— არა, მადლობა ღმერთს, კარგადა ვარ. ოღონდ შენი ამბავი არა ვიცოდი რა... ახლა სამშობლოს გაჭირვება და... დაბრძანდი.

სუფრა იქვე ფანჯარასთან გაეშალათ. ერთი ნაჭერი ლორი ჰქონდათ, მოხარშული კომბოსტო და ერთი სურა წყაროს წყალი.

— გაიქე, სტეფანე, დახლიდან გროშები ამოიღე და ცოტა ლორი კიდეე იყიდე. მე სარდაფში ჩავალ ღვინის ამოსატანად. გაგვიჭირდა, ჩემო მიშელ! წყალსა ვსვამთ, რომ ამით მაინც გადავარჩინოთ რამე.

იცინოდა, მაგრამ ვაი იმ სიცილს! მეც შეყვარებულის თვალებით ვუცქერდი, და ოღონდ არ მომშორებოდა, არც ღვინო მინდოდა და არც თაფლი. მაგრამ ხელიდან გამისხლტა და სარდაფში ჩავიდა. დავრჩი მარტო პატარა, წიგნებით გატენილ ოთახში და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუ თუ აქა ვარ? ნუ თუ აქა ვარ და მარგალიტას ვხედავ-მეთქი?

მაგრამ მომაგონდა, რომ დიდი ხანი ვერ დავრჩებოდი და ცრემლით ამევსო თვალი. ცოტა ხანს უკან სტეფანე დაბრუნდა; მერე მარგალიტა ღვინით და სუფრაზე დავსხედით. უნდა გენახათ, როგორ დაღონდნენ, როდესაც გაიგეს, რომ სულ 48 საათით ვიყავ დათხოვნილი და ხვალ საღამოს უნდა წავსულიყავ. რა გაეწყობოდა? მარგალიტასი არ იყოს, კაცმა უპირველეს ყოვლისა თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს; ჯერ რესპუბლიკა და თავისუფლება და მერმე დასვენება და განცხრომა.

იმისთანა რწმენით ბითხრა ეს სიტყვები, რომ თვალწინ შოველი წარმომიდგა. იგივე რიხი, იგივე ხმა, იგივე თვალები, და ჩემდა უნებურად ფიქრები ამეშალა:

— ჯვარს დაიწერ, ჩემო მიშელ, და მართალი ყოველთვის მარგალიტა იქნება. საითაც მოინდომებს, იქით გიკრავს თავს, — წადი, შენი ვალდებულება აასრულეო! — და შენც იძულებული იქნები დაემორჩილო, რადგან მსჯელობითაც და ცოდნითაც ის ასია და შენ ერთიც არა... ეჰ, ნეტავი ჯვარდაწერილები ვიყვნეთ და დეე აგრე იყოს. დეე, აგრე იყოს, ოღონდ მასთან ყოფნა მეღირსოს!

ხანდახან, როცა წიგნის საყიდლად შემოვიდოდა ვინმე, სტეფანე გავიდოდა მუშტართან. მე და მარგალიტა კი სუფრაზედ ვისხედით და ვლაპარაკობდით. ჯერ ყველანი მოვიკითხე: შოველი, მამაჩემი, ნათლიაჩემი და სხვანი და რაკი ყველას ამბავი გავიგე, მერე

საერო საქმეებზედ ჩამოვაგდე ლაპარაკი. მარგალიტას, როგორადაც შოველს, უმთავრესად საზოგადო საქმეები აწუხებდნენ. როდესაც ვუთხარი, რომ მაინცში, ოთხი თვის განმავლობაში, აღარც გაზეთი მიგვილია, აღარც წერილი ან სხვა რამ ამბავი და სრულიად მოწყვეტილი ვიყავით ქვეყნიერებისაგან; როდესაც გაიგო, რომ საფრანგეთის ამბებისა აპრილის ექვსიდან მოყოლებული მე სრულიად არა ვიცოდი რა, ადგა და დაწვრილებით მიამბო, რაც მას შემდეგ მომხდარიყო და იმ ერთ დღეს უფრო მეტი რამ გავიგე, ვიდრე ჯარში ყოფნის დროს.

აი, რა მიამბო მარგალიტამ:

— ნერვინდენში რომ დამარცხდა, დიუმურიემ ლაფაიეტის მიბაძვით მოინდომა თავისი ჯარი პარიზის ასაკლებად წამოეყვანა, რომ კონვენტის, ესე იგი საერო კრების, წევრები დაეხოცა, რესპუბლიკა გაეუქმებინა და საფრანგეთში კვლავ მეფობა აღედგინა. დიუმურიეს ავსტრიელ ჯარის სპასალარ კობურგთან ისე ჰქონდა პირობა შეკრული, რომ ჯერ კონდე უნდა დაეთმო მტრისთვის და მერე პარიზზე წასულიყო. საერო კრებამ დროზე გაუგო ეს განზრახვა და პასუხის საგებლად დაიბარა; რაკი ნახა დიუმურიემ, რომ ღალატი გაუგეს და ჯარიც არა თუ არ მიჰყვა, აუჯანყდა კიდეც, საერო კრების წარმომადგენელნი, რომელნიც მის ჯარში იმყოფებოდნენ, მტერს მისცა და თითონ თავისი ამალის ერთი ნაწილით და უბრწყინვალესი თ. ორლეანელის შვილით ავსტრიელებს მიეკედლა. ამაზედ ჟირონდელებმა დანტონს ცილი დასწამეს: შენც დიუმურიეს და თ. ორლეანელის ამხანაგი ხარო. მაგრამ დანტონმა მოკლედ მოუჭრა სიტყვა:

— მეფობის აღდგენას და სამშობლოს მოღალატეთა მეგობრობას იმათ უნდა სწამებდეთ, ვინც მეფე ლუი XVI-ს ექომაგებოდა!.. და მეფეს თქვენზედ მეტი ქომაგი ხომ არავინ ჰყოლიაო!

აქეთ-იქიდან ღალატით ისე გაუჭირეს საქმე რესპუბლიკას, რომ იძულებული გახადეს მტრების საწინააღმდეგოდ ყოველი საშუალება ეხმარა. სწორედ ამ მიზნით დააარსა საერო კრებამ ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ფ ა რ ვ ე ლ ი და ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ი კომიტეტი, რომლებისთვის ყოველ კვირა დაწვრილებით მოხსენება უნდა მიერთმიათ საფრანგეთის ყველა თემებს და ჯარში მყოფ საერო კრების წევრებს *. გარდა ამისა დაარსებული იქნა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი

* პირდაპირი ბრძოლით რომ ვეღარა გააწყეს რა, რევოლუციის მოწინააღმდეგეებმა მალული ბრძოლა აუტეხეს რესპუბლიკას: საცა კი კრება იყო ხალხისა, ისინი ჩაერეოდნენ ხოლმე და, ვითომ რევოლუციის მომხრენი ვართო, ყველ-

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული დაეჭირა და დაესაჯა ყველა მტერი და მოწინააღმდეგე რევოლუციისა. რევოლუციურმა სასამართლომ იმისთანა სამსახური გაუწია რესპუბლიკას, რომ მთელს საფრანგეთში, ყველა ქალაქებში ამისთანა სასამართლოები დააარსა თვით ხალხმა *. რევოლუციის

გან არეულობა და მართებლობისადმი უნდობლობა შეჰქონდათ. ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მართებლობაში მონაწილეობა მიეღოთ და სხვადასხვა მოხელედ შემძვრალიყვნენ შიგ; საძრახისი და უკადრისი იმათთვის აღარა იყო რა და ურცხვი საქციელით ისე გაუჭირეს ხალხს საქმე, რომ იძულებული გახადეს დაეარსებინა ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ფ ა რ ვ ე ლ ი და ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი. კომიტეტი შესდგებოდა ცხრა წევრისაგან: მის სხდომას ვერავინ დაესწრებოდა; კვირაში ერთხელ ანგარიში უნდა წარედგინა თავისი მოღვაწეობისა საერო კრებისთვის; წევრნი კომიტეტისა ყოველ თვე იცვლებოდნენ; კომიტეტს თვალყური უნდა სჭეროდა მინისტრებზედ და ჯარში მყოფ საერო კრების წარმომადგენლებზედ; უფლება ჰქონდა ყ ო ვ ე ლ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ე ხ მ ა რ ა სამშობლოს გაჭირვებიდან დასახსნელად. 10 მკათათვემდე ყოველ თვე იცვლებოდნენ წევრნი კომიტეტისა. მაგრამ 10 მკათათვეს ამორჩეულნი:— რობესპიერი, კუთონი, სენ-ჟიუსტი, რობერ ლინდე, პრიორ დე ლა კოტდორი, კარნო, ბარერი, ბილიოვარანი და კოლლო დერბუა, — უცვლელად დარჩნენ და რადგან ამ კომიტეტს შეუერთეს ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი, იმისთანა, სრულიად უსამძღვრო, ძალა შეიძინა, რომ საფრანგეთის ბედს, საერო კრების ნაცვლად, ის განაგებდა.

* მარტის დამდეგს, როდესაც პარიზში ხმა გავარდა, ავსტრიელებმა ჩვენი ჯარები დაამარცხეს და ლიეჟი წაგვართვესო, საომრად გამზადებულმა ჯარებმა გამოაცხადეს: ჩვენ საზღვრებისაკენ არ წავალთ, მანამ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ა რ დ ა ა ა რ ს ებ თ ო. საერო კრებამ 10 მარტს დაადგინა რევოლუციური სასამართლოს დაარსება: საერო კრება დანიშნავს ცხრა მსაჯულს, რომელნიც გაასამართლებენ ყველას, ვ ი ნ ც კ ი სამშობლოს წინააღმდეგ იზამს ან გ ა ნ ი ზ რ ა ხ ა ვ ს რ ა ს მ ე; ეს მსაჯულნი სრულიად თავისუფალნი იქნებიან. როგორც ენებოთ, ისე შეუდგნენ საქმის გამოძიებას; რევოლუციურ სასამართლოში არ დაესწრებიან ნაფიცი ვექილნი; მსაჯულთ ნება აქვთ ყოველი საშუალება იხმარონ თავიანთი მსჯელობის დასადგენად; რევოლუციურ სასამართლოსაგან დასჯილ იქნებიან არა მარტო ღალატში შემჩნეულნი, არამედ იგინიც, ვინც თავის ვალდებულებას გაურბის ან კეთილსინდისიერად არ ასრულებს; დასჯილ იქნება ყველა, ვინც საქმით, სიტყვით ან ნაწერით ხალხის გაბრიყვებას ან არევას ეცდება; დასჯილ იქნება ყველა, ვინც მეფობის და ბატონყმობის ქებას გაბედავს... რომ ნატამალიც კი აღარსად დარჩენილიყო საზარელი წარსულისა, ახალი სიტყვები შემოიღეს ძველების მაგივრად: ძველებური „ბატონო“ და „ქალბატონო“ აღარსად იყო, არამედ „მამულიშვილო!“ ერთმანეთს ყველანი შენობით ელაპარაკებოდნენ. სათამაშო ქაღალდებში მეფის წილ ნიჰიერებას ხატავდნენ და დედოფლის წილ თავისუფლებას. შესცვალეს სახელები თვეებისა და თვით წელთაღრიცხვაც კი, რომელიც დაიწყეს თავისუფლების მოპოვების დღიდან, ისე რომ 1792 წ. უწოდეს „წელიწადი პირველი“.

მოწინააღმდეგენი გამოცხადებულ იქმნენ კანონის გარეშე მყოფად, ისე რომ რაც უნდა მოსვლოდათ, იმათ კანონი აღარავითარ მფარველობას არ გაუწევდა. გამოცხადებულ იქმნა კანონი, რომლის ძალით მართებლობას ნება ეძლეოდა ყოველი საეჭვო პირის სახლები გაეჩხრიკა, როდესაც კი მოისურვებდა. სახლის კარებზედ დაწერილი უნდა ყოფილიყო სახელი და გვარი ყოველი მდგმურისა; სადაც კი უნდა ყოფილიყო კაცი, ყოველთვის თან უნდა ჰქონოდა თავის ვინაობის მოწმობა; და ბოლოს საშინელი განცხადება, რომელიც სიკვდილით დასჯას უქადდა ყველას, ვინც, საფრანგეთიდან განდევნილი, უკან დაბრუნებას განიზრახავდა.

აკი მოგახსენებთ, ისე გაუჭირეს საქმე მართებლობას, რომ იძულებული გახადეს ამ საშინელ და საზარელ საშუალებათათვის მიემართა; მაგრამ ჟირონდელებმა სულ სხვა თვალით შეხედეს ყოველ ამ კანონებს და დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ან როგორ იქნებოდა წინააღმდეგობა არ ვაეწიათ, როდესაც ერთი მეფის გულისთვის ცხარე ცრემლს აფრქვევდნენ და იმდენი ხალხის უზომო გაჭირვებას კი თითქოს არც კი ამჩნევდნენ. სწორედ დაბრმავებულნი იყვნენ, თორემ როგორ არ უნდა შებრალებოდათ უბედურები, რომელნიც მთელ დღეს — დილიდან საღამომდე — ხაბაზის კარზედ აღამებდნენ, იქნება ჩვენთვისაც იპოვებოდეს ლუკმაპურიო; როგორ არ უნდა შებრალებოდათ საწყალი მუშები, რომელნიც თავიანთი ოფლის ფასს ასიგნაციებად იღებდნენ და ბაზარში კი გასავალი აღარ ჰქონდა ამ ასიგნაციებს! როგორ არ უნდა შებრალებოდათ იმათ წყალობით უდროოდ დაობლებული ათასი და ათი ათასი ოჯახი, რომელთაც ლუკმა ენატრებოდათ, რადგან მათი მაცხოვრებელი მუშაკაცები საზღვრებისკენ იყვნენ წასულნი ძალად გადაკიდებულ მტერთან საომრად! მაგრამ რას იზამთ, რომ ჟირონდელებს მეფის და მდიდრების გარდა ადამიანად არავინ მიაჩნდათ! განა ისინი ისე დაიმდაბლებდნენ თავს, რომ ხალხის გაჭირვება შეენიშნათ? ხალხიც კარგადა სცნობდა თავის მტერს და მოყვარეს და საერო კრებას ყოველის მხრიდან თხოვნას უგზავნიდა, ჟირონდელები კანონის გარეშე მყოფად გამოაცხადეთ, რომ ჩვენი თავი გავაცნოთო. ჟირონდელებმა — სულ მარატის ბრალია, რომ ხალხი ასეთი სიძულვილით გვეპყრობაო... ადგნენ და რევოლუციურ სასამართლოსთან დაბეზღეს მარატი. სასამართლომ მათი დაბეზღება უსაფუძვლოდ აღიარა და მარატი გაამართლა ყოველი ღირსეული პატრიოტის სასიხარულოდ.

მე ეს ამბავი პირველად მესმოდა.

მარგალიტამვე მიამბო ჩრდილოეთში ჩვენი ჯარის დამარცხე-

ბა; ინგლისელები და ჰოლანდიელები მიშველებოდნენ კობურგს და რიცხვით ერთიორად მეტნი შებრძოლებოდნენ ჩვენს ჯარებს და ვალანსიენამდე ედევნათ ბრძოლით. ვანდელები — დიდებულნი, სასულიერო წოდება და ხალხი — შეფიცულიყვნენ რევოლუციის წინააღმდეგ და მთელი ვანდეს ხალხი აჯანყებულიყო; აჯანყებულებს წინამძღოლობდნენ კათელინო, სტოფლე, სისუ, სუშიე და სხვანი, სულ უბრალო გლეხკაცნი და არა ბრწყინვალე თავადიშვილები; ზოგი მეურმე იყო, ზოგი ტყის დარაჯი, ზოგი ხაბაზი და ზოგი გუთნიდედა. დაენებებიათ თავი თავიანთ ცოლშვილისთვის და ხალხის შვილნი ხალხსვე ებრძოდნენ: ბატონყმობა რად გადაგდეთო? განთავისუფლებულნი თავიანთ გამათავისუფლებელთ ებრძოდნენ: ჩვენ ისევ ყმობა გვინდა და ბატონის სამსახურიო! რასაკვირველია, რომ ამისი ჩამდენი ხალხი გაუნათლებელი და რეგვენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ გაუნათლებლობასთან ერთად იმისთანა ველურნი და საზარელნი იყვნენ, რომ ადამიანს კი არა, ცოფიან მგელს უფრო გავდნენ. დედაკაცები უარესები იყვნენ: ტყვეებს და დაჭრილებს ძაღლებივით ხოცავდნენ და თან იესო ქრისტეს სახელს გაიძახოდნენ.

ამოდენა უბედურებას ჟირონდელები მთიულებს აბრალებდნენ და მთიულები ჟირონდელებს. მათ შორის სიძულვილი დღითი დღე მატულობდა. თუმცა ჟირონდელები ამის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ საერო კრებამ მაინც გამოაცხადა კანონი, რომლის ძალით პურს დანიშნულ ფასზედ ძვირად ვერავინ გაჰყიდდა; და რადგან იმოდენა ომებს ფულიც უნდოდა, საერო კრებამ მდიდრებს სესხად გამოართვა ათას მილიონამდე ფული. მარგალიტამ შოველის წერილი წამიკითხა, რომელშიაც იწერებოდა: ამ სესხის შესახებ რომ სჯა ჰქონდა საერო კრებას, ჟირონდელები და მთიულები მუშტით მივიდოდნენ ერთმანეთზედ, გამშველებლად ვაკელები რომ არა ჰყოლოდათო. ჟირონდელებს ნებავდათ მართებლობა გაეუქმებინათ და საერო კრება ბურჟში გადაეტანათ. ბურჟში თავიასთი მომხრენი ეგულებოდათ და, რასაკვირველია, ერთიანად ამოსწყვეტდნენ მთიულებს. ჟირონდელები, ერთობ მეფის მომხრენი, თუმცა პირდაპირ, ვაჟკაცურად შებრძოლებას ვერ უბედავდნენ რესპუბლიკას, მაგრამ მაინც სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ რევოლუცია შეეყენებიათ და თავიანთ სასარგებლოდ გაეხადათ; იმდენი ქნეს, იმდენი, რომ საერო კრებას რაღაცა კომისია დაანიშვნინეს და კომისიაში თორმეტივე წევრი თავიანთი მომხრე ირჩიეს. დაარსდა თუ არა ეს კომისია, მაშინვე ის გამოაცხადა, რომ რევოლუციური სასამართლო დღეიდან გაგვიუქმებია და თუ არ დამ-

შვიდდა პარიზელი ხალხი, მისგან ამორჩეულ, კომუნად წოდებულ, რჩევასაც გავაუქმებთო.

რაღა თავი შეგაწყინოთ, ჟირონდელების კომისია იმას ცდილობდა, რომ დიდებულხი და მდიდრები დაემშვიდებინა: ნუ გეშინიათ. თქვენ ვერავინ რას გაგიბედავთო; ოღონდ თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ და თუნდა სულ შიმშილით ამოწყდეს თქვენი უსიამოვნო ხალხიო! და წყდებოდა კიდეც, შიმშილითაც და ომითაც. იქნება იმის იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი გაწყდება და საფრანგეთზე ყოველი მხრიდან მომავალს მტერს გზას ვეღარავინ შეუკრავსო! იქნება იმის იმედი ჰქონდათ, რომ უპატრონოდ დატოვებულს საფრანგეთს მტერი დაიჭერს, მტერს უკან მოჰყვებიან გახიზნული დიდებულნი, ბერები და ეპისკოპოსები და ბატონყმობასაც შემოიღებენ, მეფობასაც და ხალხსაც ერთიათასად მძიმე უღელს დაადებენ, ვიდრე წინად იყო. ბატონები თავისას მიიღებდნენ, ბერები თავისას, და არც იმათგან მოყვანილი მტერი დარჩებოდა დაუჯილდოვებელი: დიუნკირხენი — ინგლისელებს; ვალანსიენი და კონდე — ავსტრიელებს; მაინცი და ლანდაუ — პრუსიელებს; ალზასი და ლორენი — გერმანელ მეფეებს. მართალია, კარგი თემები დააკლდებოდა საფრანგეთს, მაგრამ ეგ რა სათქმელია: პატარა იყოს და რიგიანი, — ესე იგი მეფითა და ბატონყმობით შეზავებული, — ვიდრე დიდი და ურიგო!

პატარაღა დარჩება საფრანგეთის სამეფო, მაგრამ მეფეც ეყოლება, ბატონებიც, ბერებიც და ამათ შესანახად და მაცხოვრებლად ყურმოჭრილი ყმებიც, როგორც 1789 წლამდე იყო. ეს კი მეტისმეტი იყო! ეს კი ვეღარ აიტანა პარიზელმა ხალხმა, აჯანყდა და დანტონის წინამძღოლობით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ სამშობლოს ბედი იმას უფრო აწუხებდა, ვიდრე საერო კრების ბევრს წარმომადგენელს.

ეს ამბები თურმე ორი თვის წინათ მომხდარიყო. ერთს ჟირონდელს ეთქვა და ძალიან თავხედურადაც მოსვლოდა: თუ გაბედეს და ჩვენგანს ვისმე ხელი ახლეს, მთელი საფრანგეთი ჩვენ გამოგვესარჩლება და ისე აღგვის მიწის პირიდან პარიზს, რომ მისი ნაადგილევის პოვნაც კი შეუძლებელი გახდესო. მაგრამ ამ მუქარამ ვერავინ შეაშინა. მარატმა შეადგინა სია იმ ჟირონდელებისა, რომელნიც უფრო მავნებლად მიაჩნდა და კაცები გაგზავნა მათ დასაპატიმრებლად; უმეტესი ნაწილი დაიჭირეს; მაგრამ პეტიონი, გადე, ბიუზო, ბარბარუ და სხვანი გაიპარნენ; დაერივნენ საფრანგეთს და ვინ მოსთვლის, რასაც ისინი უწესობას და არეულობას ახდენდნენ: ჯარებს ჰკრებდნენ, რომ პარიზელებზე წამოეყვანათ და პარიზი მიწის პირიდან აეგავათ; საცა კი მოახელეს, მამასახლისები გადააყენეს; საქალაქო თან-

ტები ხელთ იგდეს და თავისებურად გააწყეს ყველაფერი, ესე იგი მთიულების საწინააღმდეგოდ; საცა კი მოახერხეს, თავიანთი სასამართლო დააწესეს მთიულების მიმდევართა დასასჯელად; იმათი ჯარის წინამძღოლად გენერალი ვიმპტენი ბრძანდებოდა — დიდებული, მეფისა და მეფობის მომხრე!.. ბევრი მტერი და მოღალატე ჰყოლია ჩვენს ქვეყანას; ხშირად ჩვენივე დიდებულნი ამხედრებულან ჩვენზე და თავიანთ საშველად უცხოელი ჯარები შემოუყვანიათ, მაგრამ ისე საძაგლად კი არავინ მოგვქცევია, როგორც ჟირონდელებმა გვიყვეს: დაერიენენ საწყალ ხალხს და — ჩვენც თავისუფლებისა და რესპუბლიკის მომხრენი ვართო — ძმას ძმას აძულებდნენ და მამას შვილს.

— აი, როგორ არის ჩვენი საქმეები, — სთქვა მარგალიტამ: — ორმოცდაათი თემი აჯანყებულია რესპუბლიკის წინააღმდეგ. ლიონი, მეორე ქალაქი საფრანგეთისა, წინააღმდეგია საერო კრებისა; მეფის მომხრეებს იარაღით აუღიათ ლიონის სამამასახლისო, დაუჭერიათ, ვითომ გაუსამართლებიათ, წარჩინებული პატრიოტები და ყველასათვის თავები დაუყრევინებიათ, მარსელი და ბორდოც აჯანყებულია. ვალანსიენში ხვალ მტერი შევა. ნორმანდიაში ჟირონდელები დაძრწიან და ხალხსა ჰკრებენ, რომ პარიზის ასაოხრებლად წაიყვანონ. ვანდეში და ბრეტონში უკვე ებრძვიან ჩვენს ჯარებს. ინგლისელები გზაში იჭერენ ჩვენკენ მომავალ პურით დატვირთულ ხომალდებს; იმათმა მინისტრმა პიტმა გამოაცხადა, საფრანგეთის ყველა ნავთსადგურებს შევკრავო; პიტი ფულით ეხმარება პრუსიელებს, ავსტრიელებს, სარდინელებს და ესპანელებს; გერმანელები მაინცის აღებასღა ელოდნენ და ახლა ყოველი მხრიდან შემოგვესევიან. რესპუბლიკას ჩვენღა შევრჩით — ელზასი, ლორენი, ფრანშკონტე, შამპანი, პიკარი და პარიზი. წარმოიდგინე, ოვერნელებიც აჯანყებულან და ვანდელებისკენ მიიწევენ საშველად. კორსიკის კუნძულს ნებავს ინგლისს მიეცეს... ერთი სიტყვით, ყველა ჩვენი წინააღმდეგია... ასე უცბად დაგვაწვა ამოდენა უბედურება.

— მაშ დაღუპული ყოფილა ჩვენი საქმე! რიღას იმედი უნდა გვქონდეს, მარგალიტა?

— დაღუპულიო! — შემომიტია მარგალიტამ. — დაღუპული მაშინ იქნებოდა, რომ ჟირონდელები საერო კრებაში დაეტოვებიათ და ძველებურად ეპარპაშებინათ. ვერ მიართვეს! ის დრო წავიდა, როდესაც კარგ მეტყველ საქმეს არ უსინჯავდნენ; ეხლა საქმე საქმეა და არა სიტყვა. საერო კრების მოთავედ ახლა დანტონი არის, როზესპიერი, ბილიო-ვარანი, კოლლო დერბუა, კარნო, პრიორი, ლინდე, კუთონი, ტრეილარი, ბონსენტანდრე, გიტონ-მორვო, კამბონი და სხვანი; სულ იქ არიან მამიჩემის ყველა მეგობრები: რვა დღის გან-

მაკლობაში უკვე შეადგინეს კონსტიტუცია, რომელიც ჟირონდელებმა რვა თვე ათრიეს და წინ ვერ წასწიეს*. რომ იცოდე, რა მარტივია ახალი კონსტიტუცია, რა ცხადი და სამართლიანი; ნამდვილი რესპუბლიკური კონსტიტუცია არის და სწორედ ამიტომ იძახიან, არ გვინდაო. საქმე აქამდის კი არა, საქმე ახლაა, როდესაც საფრანგეთი იღუპება და ხსნას ჩვენგან მოელის! შენ უყურე, რა ამბები მოხდება ხვალ! აქამდის ჩვენა ვთრთოდით, ახლა ჩვენი შიშით ათრთოლდებიან ჩვენი მტრები! მეფის მომხრე გენერლები ხომ გადავაყენეთ! წავიდნენ და ახლა შემოუძღვნენ მტრის ჯარს და ახლაღა ააოხრებინონ სამშობლო! წავიდნენ და ეხლაღა შეატყობინონ პრუსიელებს ჩვენი ჯარების მოძრაობა! წავიდნენ და ახლა მიემხრნენ მეფეს, როდესაც აღარც მეფეა და აღარც მეფობა! ეხლაღა დაანებონ მტრის ჯარებს ჩვენი ქალაქები! ეხლაღა ააჯანყონ ჩვენი ჯარები ხალხის წინააღმდეგ! აღარ გვინდა იმათი გენერლობა! ჩვენი ჯარების წინამძღოლად სულ ხალხის შვილნი იქნებიან, სულ უბრალო ხალხის შვილნი, სულ ჩვენი სისხლი და ხორცი! ქვეყნის მფარველი კომიტეტი ახლა კუსტენს მისწვდა და ვაი იმის ბრალი! იქნება ჰგონია აპატიონ, მაინცში

---

* მიზანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა არის საყოველთაო ბედნიერება, ამბობს ეს კონსტიტუცია. ყოველი ფრანგი 21 წლისა, მიუხედავად ხარისხის და სიმდიდრისა, არის მამულიშვილი და სამშობლოს ბედის გამგე-ბატონი; ამ უფლებებით იგი იქ სარგებლობს, სადაც უცხოვრია უკანასკნელი ექვსი თვე. ყოველი უცხო ქვეყნელი 21 წლისა, რომელიც სრული წელიწადია საფრანგეთში ცხოვრობს თავის შრომით, ან მამული შეუძენია, ან ფრანგის ქალი შეურთავს, ან ბავშვი აუყვანია შვილად, ან მოხუცებულს აცხოვრებს, ერთი სიტყვით, ყოველი უცხო ქვეყნელი, რომელსაც კანონმდებელი კრება კაცობრიობის ღირსეულ შვილად იცნობს, მიღებულ იქნება საფრანგეთის ყოველ უფლებით აღჭურვილ მამულიშვილად. ამგვარად კონსტიტუციის ძალით ყველას ეძლევა მოქალაქებრივი უფლებანი და არა მარტო შეძლებულთ. კანონმდებელი კრება ერთადერთი იყო (ეხლა ორია — პალატა დეპუტატებისა და სენატი) ერთის წლის ვადით არჩეული. 40 ათასს სულზედ თითო დეპუტატს ირჩევდნენ. კანონიერ დადგენილებათა სისრულეში მოყვანა დავალებული ჰქონდა 24 კაცს, რომელთაც საერო კრება ირჩევდა. ეს 24 კაცი ირჩევდა და ნიშნავდა გენერლებს, მინისტრებს და ყოველ სხვა მოხელეებს. კონსტიტუციის განმარტებით, ადამიანს საკუთრებად მარტო საკუთარი შრომის ნაყოფი ეკუთვნის. ამ პრინციპს შემდეგში პრუდონი უფრო განავითარებს და დაადგება იმ დასკვნას, რომ «საკუთრება ნაქურდალია». ერთ მუხლში ეწერა: გაჭირვებულთა დახმარება საზოგადოების წმინდა მოვალეობაა; საზოგადოება უბედურ მამულიშვილთ საქმეს უნდა აძლევდეს, და საცხოვრებელს იმათ, ვისაც შრომა აღარ შეუძლია. ეს კონსტიტუცია ხალხს წარუდგინეს დასამტკიცებლად და მიღებულ იქნა 1.801.918 ხმით 11.910-ის წინააღმდეგ, რომელთაც არ ინდომეს მისი დაწესება. ეს კონსტიტუცია შეადგინა მთიულთა მომხრემ ერო დე სეშელმა.

მყოფი ჯარები რომ შიმშილით ამოხოცა! იქნებ ჰგონია აპატიონ, რომ ღვთის ანაბარად მიგატოვათ და არც სურსათი გამოგიგზავნათ, არც ჯარები მოგაშველათ? რევოლუციური სასამართლო უკვე ადგენს მის ბრალმდებელ ოქმს... უყურე, რა კარგად წავიდეს ახლა ჩვენი საქმე! თუ აუცილებლად საჭიროა ჩვენი დაღუპვა, ჩვენზედ წინ მრავალნი სხვანი დაიღუპებიან! და თუ გვაჯობეს და ძველებური მეფობა შემოიღეს და დიდებულების და ბერების ბატონობა, იცოდე, ძვირად, ძალიან ძვირად დავუსვამთ ამ გამარჯვებას!

ამ სიტყვებმა კვლავ გამიცხოველა იმედი და ჩემს თავს ვანუგეშებდი:

— სიცოცხლე ბრძოლაა, ჩემო მიშელ, და ბრძოლა კიდევ მაშინ არის ღვთისა და კაცისაგან კურთხეული, როდესაც თავისუფლების მოსაპოვებლად არის. დღეს ისეა ჩვენი საქმე, რომ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან დავიხოცნეთ. გამარჯვება, ან სიკვდილი წმინდა საქმისათვის! ამაზედ უკეთესი რა გინდა? თუ გვაჯობეს, შენ სიკვდილს ვეღარ გადაურჩები, ჩემო მიშელ! ვერც შენა და ვერც მარგალიტა, შოველი და სხვანი! ისე დაგაყრევინებენ თავებს, რომ იქნება ზიარებაც აღარ გაღირსონ! ლიონში ხომ ხოცავენ პატრიოტებს მეფის მომხრენი; აქ უარესს იზამენ. ჰოდა თუ კი მორიგება შეუძლებელი გამხდარა და ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ, ან ისინი, ისინი ამოწყდნენ, ის არა სჯობს!

მაღაზიაში შეუწყვეტლივ ირევოდა ხალხი, მაგრამ დაღვრემილნი იყვნენ ყველანი; ეტყობოდა, ყველას იგივე ფიქრი აწუხებდა, რაც მე. ყველა ხედავდა, რომ ერის სიცოცხლე და სიკვდილი ამ ბრძოლაზედ იყო დამოკიდებული. მაგრამ სანუგეშოც იყო ეს დაღვრემილი ხალხი: მაღაზიაში სულ უბრალო ხალხი შემოდიოდა — მუშები, გლეხკაცები, ჯარისკაცები, — რომელნიც ამ გაჭირვების და შიმშილის დროს უკანასკნელ ლუკმაპურს იკლებდნენ და გაზეთებს კი ყიდულობდნენ, რომ ქვეყნის ამბავი გაეგოთ. რაკი ხალხი ასეთი თავგანწირულებით შეუდგება თავისუფლების მოპოვებას, დიდებულნი და ბერები კი არა, მთელი ქვეყანაც ვეღარას დააკლებს! მართალია, იქნება ნახევარიც არ გადარჩეს ცოცხალი, მაგრამ უმსხვერპლოდ არა ეძლევა რა ადამიანს და, დეე ჩვენ დავიხოცნეთ, ოღონდ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა იხარონ თავისუფლებით.

მაშ ბრძოლა ნებავთ რაღა! რა გაეწყობა, ჩვენც ხელი უნდა გამოვიღოთ! ძნელი ის არის, რომ ბევრი ჩვენგანი ქათამს ვერ დაჭკლავს, ისე ეზარება სისხლის დანახვა, და ახლა იძულებულია თავის ძმებს შეებრძოლოს. რა გაეწყობა? მგლის დანდობა ცხვრის გაწყვეტაა, ნათქვამია. ძნელი ის არის, რომ ადამიანი გამგელდება, თორემ მგელს ყველგან დევნა და ხოცვა უნდა.

მგონი ყოველივე მოგახსენეთ, რაც მარგალიტამ მიამბო ქვეყნის საქმეების შესახებ. ნათლიაჩემისა მითხრა, პარიზში 10 აგვისტოს დღესასწაულია დანიშნული და ჩვენებურებმა ის გაგზავნეს იქ დასასწრებლადაო. რაც შეეხება ახალს კონსტიტუციას, ხალხმა დიდი უმრავლესობით მიიღო იგი და მით უკვე დააკანონაო.

ბინდდებოდა და რადგან ძალიან მინდოდა იმ ღამესვე მენახა მამაჩემი, ავდექი და ჩვენი სოფლისკენ გავეშურე.

როგორ აგიწეროთ, რა ნეტარება ვიგრძენ, როდესაც ჩვენი სოფლის პატარა ქუჩაში შევედი და ჩვენებური კვამლისა და სასუქის სუნი მეცა? როგორ აგიწეროთ, როგორ მიცემდა გული, როდესაც ნათლიაჩემის დუქანს მივუახლოვდი და ჯერ ისევ გაჩაღებულ სამეჯედლოს გავუარე? როგორ აგიწეროთ მამაჩემის სიხარული? ერთიორად დაბერებულიყო, წელში მოხრილიყო, კანკალებდა. ვეღარ მოიბრუნა საწყალმა გული, მეხვეოდა, მკოცნიდა და თან ღაპაღუპით ცრემლი სდიოდა. ამას ვერც ავწერ და არც საჭიროა: ვისაც გულის ნაცვლად ლოდი არ უძევს და ყოველი გრძნობა არ დახშობია, თვითონაც კარგად წარმოიდგენს ჩვენს ყოფას.

მაგრამ ჩემდა უნებურად არ შემიძლია არ გიამბოთ, როგორ მიმიღო დედაჩემმა, რადგან თქვენ, რასაკვირველია, სულ სხვაფრივ წარმოიდგენთ დიდი ხნის უნახავი დედა-შვილის შეყრას. როდესაც გული იღალა მამაჩემმა ჩემი კოცნით და ხელი გამიშვა, ხელგაწვდილი გავეშურე დედაჩემისკენ, რომელიც იქვე კერასთან იჯდა. დედა! — შევძახე ძველებური უსუსური ბავშვური ალერსით, მაგრამ დედაჩემი წამოდგა, ზურგი მიბრუნა და კიბეზედ ავიდა. სულ ზევით, ზემო საფეხურზედ გაჩერდა, გიჟივით გადმომხედა აღგზნებული თვალებით და კარი მიიხურა. იყო იქ და მანამ მე შინ ვიყავ, აღარ ჩამოსულა. ძალიან მეწყინა დედაჩემისაგან ჩემი ასეთი აძულება, მით უფრო მეწყინა, რომ ჩამაშხამა იმოდენა სიამოვნება; მშობელი დედისაგან განა ამას მოველოდი? მამაჩემი მანუგეშებდა, რამდენიც შეეძლო, და ის ღამე ისე გავათენეთ, რომ თვალი აღარ მოგვიხუჭავს. ვისხედით ცეცხლის პირას და ვლაპარაკობდით; თან კართოფილსა ვწვავდით, ჩიბუხს ვეწევოდით და ერთმანეთს ვეალერსებოდით.

ძალიან ემადლიერებოდა თავის სარძლოს: ყოველ კვირა მარგალიტასთან ვარ ხოლმე სადილად და ჩემ პატარა სტეფანესაც იქა ვხედავო. იმისთანა პატივისმცემელია ჩემი შენი საცოლო, იმისთანა, რომ რაც ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ვაება მინახავს, სულ იმან დამავიწყა, ამ სიბერის დროსაო. ეტყობოდა დარწმუნებულიყო, რომ მარგალიტას ჩვენს ოჯახში ბედნიერება შემოჰქონდა და ძალიანაც შეჰყვარებოდა. სტეფანესაც ძალიან ემადლიერებოდა: ყოჩაღი ბიჭი

დადგა, მუშა და მუყაითი, თავისთვისაც კარგი და შოველისთვისაც სასარგებლოო. მატურინი და კლოდი ისევ ნათლია შენთან არიან პიკჰოლცის მამულში და საკმარისს ჯამაგირს იღებენ... ისე რომ ღვთის მადლით ყველანი კარგად მყვანან და მეც ჩემი შვილების ბედნიერებითღა ვცოცხლობ და სხვით არაფრითაო.

მე კიდევ ჩვენი ლიზას ამბავი ვუამბე; ავუწერე მარესკო, პატარა კასსიუსის დაბადება და ნათლობა და ჩვენი ყოფა-ცხოვრება. აკი მოგახსენეთ, მთელი ღამე ისე გავათენეთ, რომ თვალი არ მოგვიხუჭავს.

რაკი გათენდა, მამაჩემმა საგარეო ტანისამოსი ჩაიცვა და ქალაქისკენ ერთად წავედით. ჩვენებურები ის იყო დგებოდნენ და, ვინც კი დამინახა, ყველა სიყვარულით მომესალმა. ფალსბურგშიც ყველა ნაცნობი და მეგობარი სიამოვნებით მილოცავდა შინ მისვლას და თუმცა უკვე გაევრცელებინათ ხმა — მაინცელმა ჯარმა სამშობლოს უღალატაო — ჩემი და ჩემისთანა უბრალო ჯარისკაცების ღალატი არავის სჯეროდა და ყველანი მეგობრულად მექცევოდნენ. მტრობა ბრძანეთ თქვენ, თორემ ვინც მე დამინახავდა, განა ღალატს დამწამებდა? განა ცხადი არ იყო ყველასათვის, რომ ჩვენ კი არ ვუღალატეთ სამშობლოს, გარემოებამ უმტყუნა, რომლის დამორჩილება ადამიანის ხელთ არ არის?

მინდოდა ათ საათზედ გამოვთხოვებოდი ჩვენებს, მაგრამ მარგალიტას სხვაფრივ მოეწყო საქმე: ხუთ საათზე მიმავალ დილიჟანსში ჩემთვის ალაგი აეღო და ამგვარად მთელი დღე შინ ვრჩებოდი და ნანსშიც უფრო ადრე ჩავიდოდი და დაუღალავადაც. მე რომ მამაჩემთან ვიყავი, მარგალიტასაც არ სძინებოდა მთელი ღამე და ისე დაერეცხა და დაეკერებინა ჩემი ტანისამოსი, რომ უკეთესი არ შეიძლება. ჩვენ რომ ჩავედით, ჯერ ისევ ნემსი ეჭირა და პერანგს დუგმებს ასხამდა.

რაკი გაეგოთ ჩემი მისვლა, პატრიოტები მაშინვე მაღაზიისკენ წამოსულიყვნენ ჩემ სანახავად და ვინ გნებავთ, რომ იმ დღეს არ მენახა: ელოფ კოლენი, რაფიელ მანკი და სხვანი და სხვანი. ზოგი რას მკითხავდა, ზოგი რას ჩვენი ომებისას და მაინცურ გაჭირვებისას. დაწვრილებით მათქმევინეს ყოველი ჩვენი ბრძოლა, მოკლულების სახელი და გვარი, შიმშილი, და ავადმყოფობა. გაჩუმებულნი ისმენდნენ ჩემს სიტყვებს, და ბოლოს თავს იქნევდნენ და მწარე ღიმილით ამბობდნენ:

— იქნება კიდეც გვიღალატეს გენერლებმა, მაგრამ ჯარს კი პირნათლად აუსრულებია თავისი მოვალეობა.

პულეს დავებეზღებინე — ჯარიდან გამოპარულია და იმალებაო.

მაგრამ მადლობისა და ჯილდოს მაგიერ საყვედური მიეღო, რადგან ყველამ იცოდა, რომ ვისიც ჯერ არს მისგან ვიყავ დათხოვნილი და კანონიერი დათხოვნის ბარათიც მედო ჯიბეში.

ხუთ საათზედ პატარა შევნაყრდით და გავემზადე კიდეც წასასვლელად. მარგალიტას კიდეც ჩაელაგებინა ჩემი გუდა და შიგ ერთი წყვილი ახალი წაღები ჩაედო, ორი სრულიად ახალთახალი პერანგი შოველისა, ნემსი, ძაფი, საკერებელი... ერთი სიტყვით, ისე მოვემზადებინე, რომ დიდი ხანი აღარა გამიჭირდებოდა რა. შორიდან დილიჟანსის ხმა მოისმა; წინ გავეგებენით ყველანი და იქ, მოედანზედ გამოვეთხოვე მარგალიტას და ჩვენებს... რამდენადაც ნახვა იყო ტკბილი, იმდენად განშორება იყო მწარე და, თუ კი ასე ჩამშხამდებოდა, ნეტავი არც კი მოვსულიყავ-მეთქი, ვფიქრობდი. მკოცნიდნენ, გულში მიკრავდნენ, ჩემს სიცოცხლესა და დღეგრძელობას შესთხოვდნენ ღმერთს და თან სულ იმას მარიგებდნენ, — გაფრთხილდი და, რაც კი ადამიანის ხელთ არის, ყოველი განსაცდელი აიცდინეო.

სუყველაფერი წამიერი ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში! თითქო ტკბილს სიზმარში ვნახე ჩვენები და უცბად გამომეღვიძაო, ისე ვიყავ სწორედ. დილიჟანსი მიტტელბრონისკენ მიჰქროდა, თანდათან უფრო და უფრო მაშორებდა ჩვენებს და, ვინ იცის, კიდევ მეღირსებოდა როდისმე იმათი ნახვა თუ არა? ის იმისთანა დრო იყო, რომ ათში ერთი თუ გადარჩებოდა ხოლმე სიკვდილს და ისიც ქუდბედიანი! მერე ვინ იცის, მე ვიქნებოდი ის ბედნიერი?

დილიჟანსში რომ ავედი, მეგონა კუნჭულში სადმე მივიკუჭები და კარგა ლამაზად გამოვიძინებ-მეთქი; ჯერ ფეხით სიარული ბრძანეთ თქვენ, — სარბრიუკიდან ფალსბურგამდე ისე ავედი, რომ მუხლი არსად მომიდრეკია, — მერე უძილობა, მამაჩემთან რომ ვიყავი, ახლა იმდენი მღელვარება და — ისე ვიყავ დაქანცული, რომ ძილი ზიარებასავით შემერგებოდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ისე იყო დილიჟანსი გამოჭედილი, რომ დასაჯდომადაც არსად იყო ადგილი. არამც თუ დასაძინებლად; სხვათა შორის, ხუთი-ექვსი ვაჭარი იჯდა შიგ და, თუმცა იძახდნენ, ნანსში მივდივართ თამბაქოს სასყიდლადაო, მაგრამ ეტყობოდათ, იმ ვაჭართაგანი იყვნენ, რომელთაც ღვთის წყალობად მიაჩნიათ ხალხის გაჭირვება და ქვეყნის უბედურებით სარგებლობენ, რომ ჯიბეები დაიტენონ. მთელი გზა სულ თავიანთ საქმეებზედ ლაპარაკობდნენ და ხან ასიგნაციების ფასს შეეხებოდნენ, ხან მონასტრებისა და გახიზნული დიდებულების მამულების იაფად ყიდვას და მოგებით გაყიდვას, ხან მეფე ლუი XVI სურათიანი ქაღალდის ფულების დაწვას, ხან რას და ხან რას. მე ყურა-

დღებასაც არ მაქცევდნენ: ერთი უბრალო, უვიცი ჯარისკაცია, ჩვენსას ვერას გაიგებსო; მაგრამ ღვთის წყალობა გაქვთ, კარგად მეყურებოდა, რომ ნანსში თამბაქოს სასყიდლად კი არა, იმიტომ მიდიოდნენ, რომ რაც პური იშოვებოდა, თითონ ეყიდათ და მერე თავისებური ფასით გაეყიდათ. მეყურებოდა კი, მეყურებოდა, მაგრამ რას ვიზამდი? მერე ისე ვიყავ დაღლილი, რომ სულის ცხონებას მერჩივნა ძილი. სხვა მგზავრები გაჩუმებულნი ისხდნენ. ჩემს გვერდით ერთი მოხუცებული დედაბერი იჯდა, ტანისამოსზე ეტყობოდა, რომ ჩვენებური უნდა ყოფილიყო; გაშტერებული შესცქეროდა ერთ კუნჭულს და რაღასაც ბუტბუტებდა, თითქო ლოცულობსო.

ისე სოფელში არ შევიდოდით, რომ მაშინვე არ გავეჩერებინეთ და ჟანდარმებს პასპორტები არ მოეთხოვათ. მცირეოდენი ეჭვი და, მაშინვე გააკავებდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო. აქა-იქ, სადმე საბძელში ან ბაკში, დამწყვდეულები მოჩანდნენ თავიანთი დარაჯებით. მთელი ქვეყანა ფეხზე იდგა; ვერც შიმშილს შეეყენებინა ხალხის მოძრაობა, ვერც გაჭირვებას და განსაცდელს. პირიქით, ეტყობა, რაც მეტია გაჭირვება, მით უფრო მედგრად იბრძვის ხალხი თავისუფლებისათვის. და მაშინდელზედ მეტი გაჭირვება წარმოსადგენადაც კი ძნელია: სოფლიდან სოფლამდე მოსდევდნენ ჩვენს დილიჟანსს ტიტველი დედაკაცები და გულსაკლავად შემოგვტიროდნენ: გაგვიკითხეთ!.. რესპუბლიკის და თავისუფლების გულისთვის! ლუკმა პური მოგვაწოდეთო!

ყველგან „წავა-წავას“ მღეროდნენ. აქა-იქ დაჭერილ არისტოკრატებით სავსე დილიჟანსს შევხვდებოდით ხოლმე, რომელსაც წინ და უკან ჟანდარმები მიუძღოდნენ.

მახსოვს, ჰემინგის ახლო ახლად გაჩეხილ ტყეში მუშები ბოძებსა სდგამდნენ და ზედ რაღაცა მავთულსა სჭიმავდნენ. ერთმა ჩვენმა თანამოგზაურმა დაგვანახა ეს ბოძები და გვითხრა:

— აგერ, ტელეგრაფი!

ყველანი გაკვირვებულნი შევცქეროდით ამ გაჭიმულ მავთულებს და ყველაზე მეტად მე, რადგან ჯერ ტელეგრაფისა არა გამეგონა რა და არც კი ვიცოდი, საჭმელი იყო, თუ სასმელი. ჩვენმა თანამგზავრმა აგვიხსნა, ტელეგრაფი ერთმა გამოჩენილმა კაცმა, სახელდობრ, შაპმა, გამოიგონა და მით არის კარგი, რომ თვალის დახამხამებაზე, თუნდა ერთი თვის სავალზე შეგიძლიან აცნობო შენი ამბავი ვისაც გინდაო; აღარც შიკრიკი და მთელი თვის ლოდინი, აღარც უამბობა და მით გამოწვეული წუხილიო... ამ ორი-სამი წლის წინათ რომ გამოეგონა ტელეგრაფი, დიდ ფულს იშოვიდა, მაგრამ დღეს კი სახელისა და დიდების მეტს ვერას შეიძენსო.

ჩვენი მგზავრი ვაჭრები ლუნევილში ჩამოხტნენ და დილიჟანსში სამნიღა დავრჩით: მოხუცებული მგზავრი, ჩვენებური დედაბერი და მე.

მივადგებოდით სადმე დაღმართს და გააჩერებდა დილიჟანსს ბაპტისტი: გადახტებოდა და ერთ თვალს ისე გაამაგრებდა, რომ აღარ დატრიალებულიყო; ჩავიდოდით დაღმართს და კვლავ დააყენებდა ცხენებს, გადახტებოდა და ახლა ნახევარ საათს გამაგრებული თვალის გახსნას მოანდომებდა; სწორედ 14 საათი მოვანდომეთ ფალსბურგიდან ნანსამდე მისვლას.

ტკბილ ძილში ვიყავ, როდესაც თვალში რაღაც სინათლე მეცა და თანაც დამშეული დედაკაცების თხოვნა შემომესმა. სადღაც სოფელში ვიყავით; დილის ორი საათი იქნებოდა. მოხუცებულს ჩვენს თანამოგზაურს, რომელმაც ტელეგრაფის დანიშნულება აგვიხსნა, დასძინებოდა და გულიანადა ხვრინავდა; კუნჭულში ჩვენებური დედაბერი მიმჯდარიყო და ცხარი ცრემლითა ტიროდა; ისე სლოკინებდა უბედური, რომ ქვასაც კი შეებრალებოდა. ცდილობდა, რაც კი შეეძლო, ჩვენთვის არ გაეგონებინა თავისი ქვითინი, და მწარი კვნესით შესთხოვდა — ღმერთო, შენ იყავ ჩემი შემწეო!

ძალიან შემებრალა საწყალი. გაჩუმებული შევცქეროდი და მიკვირდა, ნეტავ რა აწუხებს, რომ ასე ტირის ეს უბედური-მეთქი.

ბოლოს ვეღარ გამიძლო გულმა და გერმანულად ვკითხე, რადგან მარტო გერმანულს ლაპარაკობდა:

— რა გატირებს, დედავ? ავად ხომ არა ხარ?

შეშინდა და ხმა არ გამცა.

— ნუ გეშინია, ჩემო დედავ, თუ იმას ტირი, რომ შინ გულის საყვარლები დასტოვე და შენ შორს სადღაც მიდიხარ, ეგ რა სატირელია. გუშინ საღამოს გამოვეთხოვე მოხუცებულ მამაჩემს, და ჩემს საყვარელ საცოლოს... მე ჯარისკაცი ვარ და ხომ იცი, იქნება ისე მოვკვდე, რომ იმათ ნახვას ვეღარ ვეღირსო... მაგრამ აი, როგორც ხედავ, არა ვტირი. მოდი, მიამბე შენი დარდი და, ჯარისკაცს თუმცა ბევრი არაფერი შემიძლია, სიტყვით მაინც დაგეხმარები და ნუგეშსა გცემ. კაცი კაცის წამალიაო, ხომ გაგიგონია.

მაშინვე დამშვიდდა საწყალი დედაბერი, ცრემლი მოიწმინდა და მიამბო, პარიზს მივდივარ, ქვეყნის მფარველ კომიტეტის სანახავად, თუმცა არც კი ვიცი, რა არის ეს კომიტეტიო!.. მის შვილს სტრასბუგელ ხაბაზს ასიგნაცია არ აეღო და ამისთვის დაეჭირათ და ციხეში ჩაეგდოთ; ერთ მეზობელს ერჩია, პარიზს წადი, ქვეყნის მფარველი კომიტეტი ნახე და გაათავისუფლებენო... ჩემი შვილის უბედურების მიზეზი ჩვენი მღვდელი არისო, თქვა: ხალხს იცნობს და,

ვისაც კი. ცოტა რამ შეძლება გააჩნია, ყველას ციხეში აჭერინებსო.

და ისევ ცრემლი წასკდა. მე კი მაშინვე ჩვენი პულე მომაგონდა; ეიფიქრე, ალბად ამათი მღვდელიც ჩვენი პულესავით სხვების უბედურებაზედ აშენებს თავის კეთილდღეობას და პატიოსან ხალხს აბეზღებს და აჭერინებს, რომ ამ ჯაშუშობით ჯილდო აიღოს და ჯიბეები გაიტენოს-მეთქი. მით უფრო შემებრალა საწყალი დედაბერი, რომ პარიზში არავის იცნობდა, ფრანგული სიტყვა არ იცოდა და თავისი საქმე ქაღალდის პატარა ნაგლეჯით უნდა გაერიგებინა, რომელზედაც „ქვეყნის მფარველი კომიტეტი“ ეწერა. უსაზღვროდ უნდა უყვარდეს დედას შვილი, რომ არც ენის უცოდინაროობას შეუშინდეს, არც ქვეყნისას და სამოცდაათი წლის დედაკაცი იმ სიშორე გზას გაუდგეს, იქნებ ჩემს შვილს ვუშველო რამეო.

თენდებოდა, მარჯვნივ უკვე მოჩანდა ნანსის წმ. ნიკოლოზის გუმბათი და მის დანახვაზედ უცბად მომაგონდა, რაც იმ ორი წლის წინათ ნანსში სისხლისღვრა ვნახე. ორი წელიწადი არც კი გასულიყო მას შემდეგ და რამდენი ცვლილება მოხდა ამ ცოტა ხანში! საღღა იყვნენ მაშინ განთქმულნი ბულიე, ლაფაიეტი, მეფე ლუი XVI, დედოფალი, თავადი არტუა, ჟირონდელები?.. მომაგონდა მაშინდელი ჩვენი ჩასვლა ნანსში, პატარ-პატარა, სისხლით სავსე ქუჩები; დაჭრილი და დაპატიმრებული ხალხი, რომლებსაც ბუზივით ჟლეტდნენ გამარჯვებული ბულიე და მისი მომხრენი; მკვდრებით დატვირთული ურმები ახალ ხიდზედ; შეშინებული, იმედმიხდილი ხალხი, მოქალაქენი, ხელოსნები, ჯარისკაცები, ქალები და ბავშვები; ჩემი ძმის ნიკოლოზის საშინელი სისულელე და გულქვაობა... დედაბოძიანად გამოიცვალა ჩვენი ქვეყანა: ახლა ხალხის ხელთ იყო ძალა და დიდებულების ღალატი და მტრობა უფრო ამაგრებდა მის გულში თავისუფლების სიყვარულს.

ხომ ორი წლის საქმე იყო და ისე მაგონდებოდა ეს ყველაფერი, თითქო დიდი ხნის ამბები ყოფილიყოს. გამიტაცეს ფიქრებმა, სრულიად გადამავიწყდა დედაბერი. ის კი ისევ მწარედ ქვითინებდა — ღმერთო, შენ იყავ ჩემი შემწეო!

შვიდი საათი იყო, როდესაც ნანსში შევედით და ერთ დუქანში ჩამოვხტით. დედაბერს ვუთხარი, თან გამომყოლოდა. დუქანი სავსე იყო ხალხით — მეურმეებით, მოქალაქეებით, ვაჭრებით; სვამდნენ, სჭამდნენ, ჩიბუხს ეწეოდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ თავ-თავიანთ საქმეებზედ. პური და ყველი მოვატანინე, ცოტა ღვინო და საწერ-კალამი. დედაბერს ვუთხარ, დაბრძანდი და შენაყრდი, გულს ნუ გაიტეხ, იქნება კარგად გათავდეს შენი საქმე-მეთქი; და მანამ ის პურს გიახლებოდათ, მე პატარა წერილი მივწერე შოველს,

რომელშიაც მოკლედ ავუწერე მაინცის გარშემორტყმა პრუსიელებისაგან, ქალაქის დანებება, ჩვენი ჯარების გამოსვლა, ჩემი ფალსბურგს ასვლა და მამაჩემის და მარგალიტას ნახვა; ბოლოს საწყალი დედაბერის ამბავი ავუწერე და ვთხოვე, თქვენებურად გულკეთილად მიიღეთ ეს უბედური და, რაც კი შეგეძლოთ, საქმით თუ რჩევით, ყოველივე ღონისძიება იხმარეთ, რომ უშველოთ რამე-მეთქი.

გავათავე წერილი, დავკეცე, დავბეჭდე და მისამართი დავაწერე: „ბულუას ქუჩა, № 11“. დავარიგე, მიხვიდე თუ არა პარიზს, მაშინვე შოველი მოსძებნე და ეს წერილი მიუტანე; ისიც იცოდე, რომ შოველი ძალიან კარგად მიგიღებს და, რადგან გერმანულს ისე ლაპარაკობს, როგორც ფრანგულს, დაწვრილებით უამბობ შენს უბედურებას და ის უთუოდ დაგეხმარება და გიშველის რასმე. იმისთანა მადლობა გადამიხადა საბრალომ, თითქო უკვე გამეთავისუფლებინოს ციხიდან მისი შვილი.

დანახარჯი გადავიხადე, გამოვეთხოვე დედაბერს და ჩვენი ბატალიონისაკენ წავედი. ქალაქი სავსე იყო ჯარებით და რადგან ჯარების ბინაზე ვეღარ ვეტეოდით, მოქალაქეებთან დაეყენებიათ ჯარისკაცები. მართალი უნდა მოგახსენოთ, ეტყობოდათ, არაფრად მოსწონდათ ჩვენი სტუმრობა. ჯარში მყოფ კომისრებს საერო კრების წინაშე დაებეზღებინათ მდ. მოზელზედ მდგომი ჯარების გენერლები და კონვენტის ბრძანებით უკვე დაეპატიმრებინათ ორი მათგანი. გაზეთებში მარტო მაინცის დანებებას და ჩვენი ჯარის ვითომდა სამარცხვინო სიმხდალესღა სწერდნენ. ხმა დადიოდა, უფროსებს გამოუცვლიან და ვანდელებთან საბრძოლველად გაგზავნიანო.

აი, რა ამბები დამხვდა, ბინაზედ რომ მივედი. ყველანი შეწუხებულნი და დაღვრემილნი დამიხვდნენ. ან რა გვქონდა სამხიარულო? განა მეტიღა უბედურება იქნება, კაცს სიმხდალეს და სამშობლოს ღალატსა სწამებდნენ! ისე იყვნენ შეწუხებულნი ივანე სომი, მარკოზ დივე და თვით ჩვენი მენაღარე, რომ წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდათ, ყელი რომ გამოგეჭრათ.

საწყენი ის კი არ იყო, რომ ცილსა გვწამებდნენ, საწყენი და გულსაკლავი ის იყო, რომ ღალატს სწორედ ის ხალხი გვაბრალებდა, რომლის გულისთვისაც ისეთი თავგანწირულებით ვიბრძოდით.

პარიზელი შეთქმულები ჩვენთან ერთად იდგნენ და სულ მარატის მოკვლაზე ლაპარაკობდნენ *. კრებას კრებაზედ მართავდნენ

---

* კუსტენის შემდეგ დედოფალი მარიამ-ანტუანეტა მოჰკლეს გილიოტინით, მერე 21 ჟირონდელი დეპუტატი და მათ შორის ბრისსო და ვერნიო. ყველანი

და კონვენტს სთხოვდნენ, ყველა ჟირონდელებს თავები დააყრევინეთ, რადგან მარატის მკვლელი შარლოტ კორდე ჟირონდელებისაგან იყო გამოგზავნილი დანტონის, რობესპიერის და „ხალხის ერთგულის“, ესე იგი, მარატის მოსაკლავადაო. ჩემი და ელისაბედი და მარესკო სულ სისხლისძიებას გაიძახოდნენ. ჯარში საშინელი მღელვარება იყო და სწორედ ამ საშინელ დროს მოვიდა პარიზიდან ჩვენი კომისარი მერლენ ტიონვილელი და სასიხარულო ამბავი მოგვიტანა: კონვენტს დაწვრილებით ავუწერე მაინცის საქმე და დავარწმუნე, რომ ჩვენი ჯარი და გენერლები მოღალატენი კი არა, საუკეთესო და თავგანწირული მამულიშვილნი არიან; დაჭერილი ჩვენი გენერლები უკვე გაათავისუფლეს და მაინცელ ჯარს მადლობა გამოუცხადეს სამშობლოსადმი ერთგული სამსახურისათვისო. ისე გაგვიტაცა ამ ამბავმა, რომ ყველაფერი დაგვავიწყდა და მთელი ჯარი ერთხმივ იძახდა: კონვენტს გაუმარჯოს! თავისუფალ ერს გაუმარჯოს! რაკი გაიგეს მოქალაქეებმა ჩვენი გამართლება, ძველებურად ძმურად მიგვიღეს თავიანთ ოჯახში და ისე გაგვიმასპინძლდნენ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება.

დადგა 10 მარიამობისთვე, დღესასწაული საფრანგეთის რეს-

ეაქკაცურად, მარსელურის სიმღერით, მიეგებნენ სიკვდილს. ერთმა მათგანმა, ვალიზემ, თვით სამსჯავროში მოიკლა ხანჯლით თავი, როდესაც მსაჯულებმა სიკვდილით დასჯა გამოუცხადეს. ერთი კვირის შემდეგ როლანის ცოლს მოსჭრეს თავი. ამბობენ, ვიდრე თავს შეუშვერდა ჯალათს, იქვე გილიოტინის ახლოს ამართულ თავისუფლების ძეგლს გადახედა და თქვა: „ოჰ, თავისუფლებავ! რამდენ უსამართლობას ჩადიან შენი სახელით!“ იმ დროს როლანი გაქცეული იყო და გზაში, თავისი ცოლის მოკვლა რომ გაიგო, თითონაც თავი მოიკლა. მერე სხვა ჟირონდელები ხოცეს და სხვათა შორის ბაილი, ბარნავი, რაბო დესენტეტიენი და თვით მეფის ძმა ფილიპე, თანასწორად წოდებული. მართალია მეფე ლუი XVI რომ ასამართლებდნენ, ხმამაღლა გამოაცხადა საერო კრებაზედ „სიკვდილით იქმნას დასჯილიო! მართალია, თავის კარებზედ განცხადება გაავრცელეს: ვინც ბატონიშვილობით, ან უდიდებულესობით მახსენებს, ჯარიმას გადაეახდევინებ ღარიბთა სასარგებლოდო; მაგრამ დიუმურიეს ღალატში ისიც გარიეს და მის შვილის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, ისიც დაიჭირეს და მოჰკლეს.

ვინც მოასწრო, გაიქცა. დაერივნენ პარიზიდან გაქცეული ჟირონდელები საფრანგეთს და პარიზისა და მთიულების წინააღმდეგ დაიწყეს ჯარების შეკრება და ხალხის აშლა; მაგრამ ყველგან დამარცხდნენ და მით უფრო სასტიკად იქნენ დასჯილნი. ცოცხალი აღარავინ გადარჩენილა. თითქმის ყველანი დაიჭირეს, ვინც მიიმალა, შიმშილით მოკვდა; პეტიონი მგლებისაგან შეჭმული იპოვეს.

ამოდენა უბედურება და სისხლის ღვრა უფრო მარატს ბრალდებოდა და სწორედ მარატის მოკვლა განიზრახა ერთმა ყმაწვილმა ქალმა შარლოტ კორდემ. კორდე ჟირონდელების მომხრე იყო და ჟირონდელების ხოცვას და საფრანგეთის ყოველ უბედურებას მარატს აბრალებდა, რომელიც მთიულთა მოთავედ მიაჩნდა. საფრანგეთს მოსვენება უჭირსო, იძახდა; ერთის სიკვდილზედ არის

პუბლიკისა. სამხედრო მოედანზე სამშობლოს საკურთხეველი ააგეს, მშვენივრად მორთეს მწვანით და ომში ნაშოვნი დროშებით და იარაღით და ზედ შუაზე გონების ღმერთი ამართეს. ისეთი დიდებული სანახავი იყო, რომ ჩემს დღეში იმის დარი არა მინახავს რა. ბევრი კარგი სიტყვა გაისმა მაშინ სამშობლოს საკურთხეველიდან ძმობის, ერთობის და თავისუფლების სიკეთეზედ. მერმე, რაც კი ჩვენს ჯარში მემუსიკენი იყვნენ, ერთხმად დააგრიალეს მარსელური და დაიძრა პროცესია; წინ მოზარდი თაობა მიგვიძღოდა, მამულის ბურჯი და იმედი; მერე ხალხი, მერე ჯარი; მთელი ქალაქი შემოვიარეთ სიმღერით და სიხარულით, და ბოლოს ისევ სამხედრო მოედანზედ გავედით. იქ მოქალაქეებს უკვე გაეშალათ სუფრა მაინცელი ჯარისთვის და, ღვთის წყალობა გაქვთ, იმათ ინანეს, იმ დღეს რომ ჭორებს აჰყვნენ და სამშობლოს ღალატი დაგვწამეს. იმისთანა ბედნიერი დღე ორი არ გაუთენდება ადამიანს და ისე ჩამრჩა გულში მაშინდელი მხიარულება, თითქო სამ დღეს არ გაუვლია მას აქეთაო.

უწინ თუ ღმერთსა ვლოცულობდით, რომელიც საიქიოს განცხრომას გვპირდებოდა და სააქაოს კი ჯოჯოხეთური ტანჯვით გვა-

---

დამოკიდებული მრავალთა სიცოცხლეო. დედა არა ჰყავდა; მის მამას თავის წიგნების გარდა არა აგონდებოდა რა და რადგან მეორე ცოლი შეერთო, შარლოტ კორდე მამიდასთან ცხოვრობდა და მთელს თავის დროს ფილოსოფოსების თხზულებათა კითხვას ანდომებდა. ერთხელ თვალცრემლიანი ნახა მამიდამ და რომ ჰკითხა: რას სტირიო? უპასუხა: „საფრანგეთს ვტირი... ვერავინ იტყვის ხვალაც ცოცხალი ვიქნებიო, ვიდრე მარატი ცოცხალია“.

თავისი წიგნები ნაცნობებს დაურიგა, გარდა პლუტარხისა, რომელიც თან წაიღო პარიზს. მარატი ავად იყო და საერო კრებას არ ესწრებოდა. 13 ივლისს, საღამოს მარატთან სახლში მივიდა და კარი დაარაკუნა. მარატი პატარა ოთახში იწვა, ის იყო ებანავნა და ზეწარში იყო გახვეული. უბრძანა შემოიყვანეთო. — ამას წინადა გწერდით, — უთხრა ქალმა, რომ ნორმანდიის ამბებს მოგახსენებდით, აი, აქ გახლავართ და, თუ მოისმენთ... — დამისახელეთ, ვინ არიან იქ ჟირონდელები — ჰკითხა მარატმა — ქალი უსახელებდა, მარატი სწერდა. როდესაც ყველანი ჩაწერა, უთხრა: — ძალიან კარგი, დღეისწორს ყველანი გილიოტინაზედ ავლენ!

ამ სიტყვებით აღშფოთებულმა ქალმა იძრო დანა და შიგ გულში ჩაურჭო მარატს. ერთი კი დაიყვირა და სული დალია.

შარლოტ კორდეს თავი გააგდებინეს. სიკვდილის წინ მამას წიგნი მისწერა და, სხვათა შორის, გამოჩენილი კორნელის ლექსი განუმეორა: „ქაცს საქციელი შეარცხვენს და არა სახრჩობელაო“.

მარატი 16 ივლისს დაასაფლავეს კორდელიერების კლუბის ბაღში. მის ძეგლზედ ეწერა: „აქ განისვენებს მარატი, ხალხის ერთგული, მოკლული ხალხის მტერთაგან 13 ივლისს 1793“. გამოჩენილმა მხატვარმა დავიდმა დიდი სურათი დახატა „მოკვლა ხალხის ერთგულისა“, რომლის ქვეშ შემდეგი სიტყვები ეწერა: „მოჰკლეს, რადგან ვერ გარყვნეს!“

წამებდა, ახლა სამშობლოს საკურთხეველზედ მის ალაგას ადამიანის გონებაღა იყო აღმართული და მას ვაქებდით და ვადიდებდით; სისხლით გაუმაძღარ ღვთის წილ ეხლა ძმობას ვუგალობდით, ერთმანეთის სიყვარულს, სიმართლეს და თავისუფლებას. ბერები და ეპისკოპოსები ისე ცდილობდნენ ხალხის გონების დაჩლუნგებას და დამონავებას, — ღმერთს ასე უნდაო, — რომ განთავისუფლებულმა ხალხმა ღვთის ნაცვლად გამარჯვებული გონება ამართა; ოღონდ საღოცავად კი არა, თავის სადიდებლად. გონების ღმერთის აქეთ-იქით ვ ო ლ ტ ე რ ი ს და ჟ ა ნ ჟ ა კ რ უ ს ო ს სურათები იყო დასვენებული სამშობლოს საკურთხეველზედ და, თუნდა ჩამაქვაოთ, მაინც არ დავიშლი ჩემსას, მე ვოლტერი და ჟან-ჟაკი მირჩევნია ვიღაცა წმინდა ტიმოთეს და თეოკტისტეს. ვიცი, ბევრნი იუკადრისებენ ჩემს სიტყვას, ბევრნი დამემდურებიან, მაგრამ რა გაეწყობა, ძალიან ვწუხვარ... იმათ სამდურავს კი არა, ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ვერ შეუგნიათ და ყოველ თავიანთ უბედურებას ღმერთს აბრალებენ, — ალბად ღვთის განგება არისო. ღვთის განგება ხალხის მატყუარა ბერების მოგონილია: მაშ რით დაემონავებიათ ხალხი, თუ არა საიქიოს დაპირებით? ვინც აქ მეტს იტანჯება ჩვენს სასიამოვნოდ, იქ დაიმკვიდრებს სასუფეველსა ღვთისასაო. რატომ არა ფიქრობენ ჩემი მოკამათენი, რომ მართლა რომ სწამდეთ, ბერები თითონაც მოინდომებენ სასუფეველსა ღვთისასა და ამ ქვეყანას განცხრომისა და ქეიფის ნაცვლად ტანჯვითა და წვალებით გავლიან! მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, კაცია და გუნებაო; ეს უთანხმოება არას დაგვიშლის და როგორც ძმები ვყოფილვართ, ისევე ძმები ვიქნებით შემდეგშიაც. ჭეშმარიტებას ძალად ვერავის შეაგნებინებთ.

სამი დღე გასტანა რესპუბლიკის დღესასწაულმა და მას შემდეგ, როდესაც ორლეანისკენ გავემგზავრენით, დიდი და პატარა ქალაქგარეთ გამოვიდა ჩვენს გასაცილებლად, ნამდვილი ძმობა დამყარებულიყო ხალხსა და ჯარს შორის და ისე გვეთხოვებოდნენ ქალები და ბავშვები, თითქო ღვიძლ შვილებს ან ძმებს ისტუმრებენ საომრადო. პატარა ბიჭები წინ მიუძღოდნენ ჩვენს ბატალიონს და, ვისაც შეეძლო, ჩვენი თოფები მიჰქონდათ.

ბარგის საზიდავად სოფლიდან სოფლამდე ურმები გამოჰყავდათ და, რასაკვირველია, დიდხანს მოვუნდებოდით სიარულს. ჯარი ფეხით მიდიოდა და მარტო აფიცრებს ჰქონდათ ეტლები. მშვენიერი დარები იდგა. გახშირებული მკა იყო, რადგან დამშეული იყო ქვეყანა და ყველა ეშურებოდა მკას და ლეწვას. ამ გზისა მარტო ის მახსოვს, რომ საცა კი ინგლისელს მოასწრებდნენ, მაშინვე დაიჭერ-

დნენ და ბარგსა და ბინას გაუჩხრეკდნენ, პიტისაგან გამოგზავნილი ჯაშუში იქნებიო.

საკვირველი ის იყო, რომ რაც უფრო და უფრო შევერიეთ საფრანგეთს, მით უფრო ავი თვალით გვიყურებდა ხალხი. სამშობლოს სიყვარული ლორენში იყო, საზღვარზედ, და ჩვენი ქვეყნის შუაგულისკენ კი მეტად და მეტად კლებულობდა. შევიდოდით სადმე სოფელში და სწორედ ჯვარს გვაცვამდნენ, მანამ პურსა და რამე საჭმელს მოგვიტანდნენ. ჩვენდა საუბედუროდ, ჯამაგირი არ გვეძლეოდა და ყიდვა არაფრისა შეგვეძლო. ჩვენი წინამძღოლი ჟორდი რომ არა ყოფილიყო, რომელიც გვამშვიდებდა და გვამხნევებდა, — ნუ, ბიჭებო, ნუ გაბრაზდებით! მთელი ქვეყანა თქვენ შემოგცქერით! ხომ იცით, თქვენზე არის დამოკიდებული სამშობლოს თავისუფლებაო! —სწორედ რომ ცემას დავუწყებდით იმ უმსგავსოებს! ჩვენ იმათთვის სიცოცხლესაც არა ვზოგავდით და ისინი კი, შეშა რა არის, შეშას არ გვაძლევდნენ! კალოზედ არ მიგვიშვებდნენ ხოლმე დასაძინებლად! რომ გავჩუმებულიყავით, საღორეში შეგვრეკავდნენ და პურის ნაცვლად ქატოს მოგვიზელდნენ.

და წარმოიდგინეთ, როგორ გვესიამოვნებოდა, როდესაც ორლეანს რომ მივედით, წინ გამოგვეგება ორლეანელი მამასახლისი თავისი ნაცვლებით და ხალხით. გვეგონა, ჩვენს ქვეყანაში ფრანგი აღარსად არისო და სრულიად მოულოდნელად საუკეთესო პატრიოტები და რესპუბლიკელები ვპოვეთ შიგ შუაგულ საფრანგეთში. დიდი ამბით შევედით ქალაქში. ქალებს, ლამაზ, კეკლუც ქალებს, ყვავილები და თაიგულები გამოეტანათ და ფეხქვეშ გვიფენდნენ. დაგვეხვივნენ მოქალაქენი — ქალი და კაცი — და ისე დაგვიტაცეს, ორ-ორი და სამ-სამი, თითქო უბრალო ჯარისკაცები კი არა, ნობათი ვყოფილიყავით რამე.

— დიდება თქვენდა, ორლეანელნო! — იძახდა ჟორდი. — დიდი ხანია საფრანგეთში ვართ, მაგრამ თქვენებრ პატრიოტულად არავინ დაგვხვედრია!

ჟორდიმ მშვენიერი, გრძნობით სავსე, სიტყვით გადაუხადა მადლობა.

— ორლეანელებს გაუმარჯოს! — შესძახა ჯარმა.

— მაინცელ ჯარს გაუმარჯოს! — გვიპასუხა ხალხმა.

მართალია, ნანსელებიც კარგად მოგვექცნენ, როდესაც პარიზიდან ტიონვილელი დაბრუნდა და ჩვენი გამართლების ამბავი მოიტანა; მაგრამ ორლეანელებმა მეტისმეტი სიყვარულით მიგვიღეს და ნანსიც დაგვავიწყეს და ნანსელებიც.

კარგა ხანი დავრჩით ორლეანში, რადგან ბრძანება მივიღეთ: შე-

ჩერდით და ჯარი ჯარის კვალობაზედ გააწყეთო. ჩვენი ბატალიონი და პარიზელი შეთქმულები ერთ ბრიგადაში მოგვაქციეს. კარგა ხანი იყო, რაც ათისთავობა მომცეს და ახლა მე, მარკოზ დივეს და ჩვენს ივანე სომს ზარბაზნები ჩაგვაბარეს. მაინცის სიმაგრეებში ისე შევეჩვიენით ზარბაზნის სროლას და ხმარებას, რომ აღარა გაგვიჭირდებოდა რა და მით უფრო სიამოვნებით შევუდექით ახალ თანამდებობას, რომ სამივენი ერთად ვრჩებოდით. გარდა ამისა ჩემი და ლიზაც ჩვენს ბრიგადაში იქნებოდა და ყოველ დღე შემეძლებოდა პატარა კასიუსის ნახვა და ალერსი. უნდა გენახათ, რა კარგი, ბუთხუზა ბიჭი იყო. დამინახავდა თუ არა, მაშინვე სიცილს დამიწყებდა და ხელების ქნევას. მთელი ბატალიონის საყვარელი და ნებიერი იყო და ისე უალერსებდნენ ყველანი, თითქო მარესკოს შვილი კი არა, ყველას შვილი ყოფილიყოს. ლიზაც ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ერთად ვრჩებოდით.

ეს ამბები მარიამობისთვეში იყო.

ჯერ ისევ ორლეანში ვიყავით, რომ კუსტენის სიკვდილი გავიგეთ; კონვენტს დამნაშავედ ეცნა გენერალი კუსტენი, რომელსაც პრუსიელებთან და ემიგრანტებთან საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰბრალდებოდა; გარდა ამისა კუსტენს იმაშიც ამტყუნებდნენ, რომ მიუხედავად საერო კრების ბრძანებისა, მან სრულიად უმწეოდ მიატოვა მაინცელი ჯარები და მტერს ვალანსიენი ააღებინა. დიაღ, კონვენტს დამნაშავედ ეცნა გენერალი კუსტენი და სიკვდილით დასჯა მიესაჯა. მის ნაცვლად გენერლად ჩვენი ძველი ნაცნობი ჰუშარი დაენიშნა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა ყველაზედ და მეტადრე აფიცრებზე; მაშინ დარწმუნდნენ ჩვენი წინამძღოლები, რომ ქვეყნის მფარველი კომიტეტი აღარ ხუმრობდა და თვით გამოჩენილ გენერლებსაც კი თავსა ჰკვეთდა. კიდევ ბევრი ამბავი გავიგეთ ორლეანში: ტულონელებს ინგლისელებისათვის დაუნებებიათ თავიანთი ქალაქი არსენალით და ხომალდებითო; მინისტრს კამბონს ბრძანება გაუცია, რომ ანუსხულ იქმნას და დაბეჭდილი რესპუბლიკის ყველა ვალებიო; კონვენტი, მიუხედავად საშინელი მდგომარეობისა, რომელშიც საფრანგეთი იმყოფება, ახალი კანონების შექმნას შეუდგა, რომ განწესებულ იქნან ფრანგთა პიროვნული და ქონებრივი უფლებანი და ვალდებულებანი ურთიერთ შორისაო... უკანასკნელმა ძალიან გვასიამოვნა, რადგან ყველანი ვგრძნობდით, რომ ეს რესპუბლიკური კანონმდებლობა საუკუნოდ დარჩებოდა კონვენტის უაღრეს და დიდებულ სახსოვრად.

რამდენიმე დღის შემდეგ გზას გავუდექით გენერალ კლებერის

წინამძღოლობით. სიცხე, მტვერი, დაგლეჯილი ტანისამოსი და ფეხსაცმელი; უმრავლესობა სულაც ფეხშიშველი... კლებერი რომ არა ყოფილიყო, იქნებ აჯანყებულიყო ჯარი. საშინელი სასტიკი კაცი იყო და სასტიკად გვეპყრობოდა ყველას, მაგრამ ამასთან საკვირველი მართალი კაცი იყო და სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ ჯარისკაცი მშიერი და მწყურვალი არ დარჩენოდა. ისე გვივლიდა ყველას, რომ სხვა თავის შვილებს არ მოუვლის. რაკი შეატყობდა, რომ რომელიმე მამასახლისი კარგად არ ირჯება და საკმარისი ხორაგი არ მოაქვს ჯარისთვის, ისე შეუტევდა ხოლმე თავისი რიხიანი ხმით, რომ სულ მწყრებს დაუფრთხობდა; ხშირად დაყვირებაც არ დასჭირდებოდა: ერთი კი გადაეხედა და მაშინვე აგრძნობინებდა, რომ გაუჩენელს გააჩენინებდა და ჯარს კი არ დაამშევინებდა. ტანისამოსი რომ გვქონოდა, სხვა აღარა გვიჭირდა რა კლებერის ხელში. სადაც კი გავჩერდებოდით ღამე ბანაკად, იმისთანა მხიარული სიმღერა და ხუმრობა ისმოდა, თითქო სასეირნოდ წამოსულა ჯარიო. მაგრამ როგორც კი დაიძროდა ჯარი, სრულიად გამოიცვლებოდა კლებერი და ისე სასტიკად გვექცეოდა ყველას, რომ ჩვენი სამსახურის გარდა აღარას ვფიქრობდით და სულ იმის შიშში ვიყავით, არსად მოგვასწროს, თორემ ძვირად დაგვისვამს სულ უბრალო შეცდომასაო. ნამდვილი გენერალი იყო: სამსახურში სასტიკი და მრისხანე, სამსახურის გარეშე — კეთილი და ტკბილი, ომში მარჯვე და გამბედავი.

ჯარები სომურში შეიკრიბნენ. იქვე იმყოფებოდნენ ხუთი კომისარი, გარდა ტიონვილელისა, მრავალი ოფიცერი და გენერალი, რომელიც პარიზიდან „უნიფხოებს“ * მოჰყოლოდნენ. უნიფხოების ძაგება არ მინდა, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ მართალი როგორ არა ვთქვა? პარიზმა იმოდენი ხალხი მოგვაშველა ყველა მებრძოლ ჯარებს, რომ ხეირიანი აღარავინ დარჩა; ვანდელებთან საბრძოველად მოსულები კი მარტო ფულის გულისთვის ჩაწერილიყვნენ ჯარში; ფული აეღოთ, იქვე შეეჭამათ და ახლა ჩვენთან მყოფთ ჩვენი აღარა მოსწონდათ რა და, გავარდებოდა თუ არა ბრძოლის ველზედ თოფი, იარაღს ჰყრიდნენ და გარბოდნენ:

— არიქათ, გვიღალატესო!

პარიზელები ჩვენც გვერივნენ, შეთქმულები, მაგრამ გაქცევას თავის დღეში არ იკადრებდნენ. რაც უნდა ცხარე ბრძოლა ყოფი-

---

* 1793 წ. მდიდრები რევოლუციის მომხრეებს „უნიფხოებს“ ეძახდენ. ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ამ სიტყვას ვხმარობთ, მაგრამ ისტორიული სიმართლე მოითხოვს ამას და თვით სიტყვაც Sans-Culotte ა, რ ო მ ე ლ ი ც უ ნ ი ფ ხ ო ს ნ ი შ ნ ა ვ ს.

ლიყო, ვაქკაცურად იბრძოდნენ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ეკვეთებოდნენ მტერს. ეს ახალი მოსულები კი ყვირილისა და ლაპარაკის მეტს არას არიგებდნენ; ამასთან საშინელი ზარმაცები და უსაქმურები იყვნენ და მთელ დღეს უფროსების ლანძღვაში და განკიცხვაში ატარებდნენ.

სომური კარგი გამაგრებული ქალაქია. ჩვენ რომ მივედით, ყველა ბინები სავსე იყო ჯარებით და ჩვენ მოქალაქეებთან დაგვაბინავეს. მივედით და აირია ყველაფერი: არც ის ვიცოდით, საით გაგვგზავნიდნენ იქიდან, არც ის ვიცოდით, ვინ იქნებოდა ჩვენი წინამძღოლი. ზოგი ამბობდა, გენერალი კანკლო იქნება, რომელმაც ამ ხუთი თვის წინათ უკვე დაამარცხა ვანდელებიო; ზოგი ამბობდა, როსინიოლიო, პარიზელი მესაათე, რომლისთვისაც გენერლობა მიეცათ. კანკლო და როსინიოლი უფროსი გენერლები იყვნენ და ჩვენი გენერლები, თვით კლებერიც კი, უმცროსნი. ზოგი კიდევ იმას ამბობდა, რომ ჩვენი გენერალი პარიზელი მელუდე სანტერი იქნებაო, და წარმოიდგინეთ, როგორ აღაშფოთებდა ჩვენს ჯარს ეს ხმები.

ბოლოს, რამდენიმე დღის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ მაინცელი ჯარების წინამძღოლად გენერალი კანკლო იქმნა დანიშნულიო. კლებერი მის თანაშემწედ დანიშნეს და აიყარა კიდეც ჩვენი ჯარი. იმისთანა სიხარული იდგა, თითქო ერთიათად მეტ მტერზედ გავიმარჯვეთო. ან როგორ არ გაგვხარებოდა, რომ წინამძღოლად ნამდვილი გენერალი დაგვინიშნეს და არა ვიღაც მელუდე და მესაათე. საუბედუროდ, კანკლო უწინდელი, მეფე ლუის დროინდელი, გენერალი იყო, ძველებური ჩვეულებებით გატაცებული და თუმცა არ უღალატნია, მაგრამ ისე მოიყვანა საქმე, რომ... მაგრამ ნუ ავჩქარდებით: აჩქარებას შეცდომის და უბედურობის მეტი არა მოაქვს რა. ეხლა მარტო იმას მოგახსენებთ, რომ კარგი მხედართმთავარი თავის დღეში არ დააქუცმაცებს თავის ჯარს და მით თავის ძალას არ შეასუსტებს.

მივდიოდით და თან ათასი ფიქრი გვერეოდა; გვაგონდებოდა შიდა საფრანგეთის ხალხის შეუგნებლობა, მრავლის მრავალი ღალატი, ჩვენი ჯარების დამარცხება, ყოველი მხრიდან მტრის მოახლოვება და გულს გვიტეხდა. კიდევ კარგი, რომ ჩვენსავით გულს არ იტეხდნენ მთიულნი და ტალი კლდესავით ებრძოდნენ ამოდენა უბედურებას.

ანჟერში წავიკითხეთ საერო კრების ბრძანება, რომლითაც ქუდზედ კაცი უნდა გასულიყო მტრების გასანადგურებლად. ამ ბრძანებას თავიდან ბოლომდე ამოგიწერთ, რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ ჩვენი აღტაცება. მერწმუნეთ, ვერც ერთი ერის ისტორიაში ვერ.

ნახავთ ისე მედგრად და მკაფიოდ გამოთქმულს სიყვარულს თავისუფლებისას, როგორც ეს იყო ამ ბრძანებაში. წაიკითხეთ იგი და დარწმუნდით, რომ მისი გამოთქმა მარტო თავისუფალს, სამარადისო უძლეველი სიმართლით აღჭურვილს ხალხს შეეძლო. მეფეს კი არა, მეფეთ მეფესაც არ შეუძლია ამგვარი ბრძანება და მარტო რესპუბლიკას, ერის თვითმბრძანებლობას და თვითმართებლობას შეშვენის მისი აღმაფრთოვანებელი რიხიანი სიტყვა.

ბრძანება ანჟერში წაგვიკითხეს დიდებულ ეკლესიის მოედანზე. ხალხით სავსე იყო იქაურობა და როდესაც გაათავა გენერალმა ფლავინიმ მის კითხვა, ერთად იგრიალა ჯარმა და ხალხმა: რესპუბლიკას გაუმარჯოს!... გამარჯვება ან სიკვდილი!... იმისთანა აღტაცებული იყო ხალხი, რომ ჩვენ აღარც კი გვაცდიდა და თითონ მიიწევდა საბრძოლველად. ზოგს დაჟანგებული ხმალი გამოჰქონდა, ზოგს ჩახმახმომტვრეული თოფი და ზოგს ცული და ხელეჩო. გარშემო სოფლებიდან ხალხი ჩამოსულიყო და ისე ათამაშებდნენ ნამგლებს, თითქო მამითადში მიემზადებიანო.

აი, თვით ბრძანებაც:

„იმ დრომდე, ვიდრე მტერი განდევნილ იქნება საფრანგეთიდან, ყოველი ფრანგი, ქუდზედ კაცი, ჯარში მყოფად და მოსამსახურედ იქნება ჩარიცხული. ყმაწვილკაცობა მტერთან საბრძოლველად გავა; ცოლშვილიანნი იარაღის და სურსათის მზადებას და ბარგის ზიდვას შეუდგებიან; ქალები — საკერავს და ავადმყოფების მოვლას; ბავშვები — დაჭრილთათვის ტილოს ძენძვას და მოხუცებულნი — მოედანზედ და ეკლესიებში ხალხის ჩაგონებას, მეომართა გამხნევებას, რესპუბლიკის სიყვარულის და მეფეთა სიძულვილის დამყარებას. ყოველი საერო შენობა ჯარის ბინად იქნება დადებული და მოედნები — იარაღის საწყობად და საკეთებლად.

თოფი მარტოდ-მარტო მტერზედ გასულთ მიეცემათ; შინ მყოფთ — პოლიციელთ და ჟანდარმებს — სანადირო თოფებიღა ექნებათ. საჯდომი ცხენები ცხენოსან ჯართათვის იქნება გაყვანილი; მუშა ცხენები — ზარბაზნებისთვის. ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა კისრად იდვა მტერთან საბრძოლველად გასულ საფრანგეთის შვილთათვის საჭირო იარაღის დაუყოვნებლივ შემზადება და დარიგება; განსახორციელებლად ამისა ქვეყნის მფარველ კომიტეტს უფლება ეძლევა დააარსოს ყოველგვარი ქარხანა და ამუშავოს ყოველი ფრანგი, რომელმაც საჭირო ხელობა იცის; იარაღის შესამზადებლად სამხედრო მინისტრს ნება ეძლევა 80 მილიონი დახარჯოს იმ 498 მილიონი-

დან, რომელიც განსაცდელისთვის ჰქონდა გადადებული სამშობლოს.

უმთავრესი ქარხანა იარაღის მზადებისა საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში, იქნება გამართული. კონვენტი საფრანგეთის ყველა თემებში ამ ბრძანების აღსასრულებლად თავის წარმომადგენლებს გაგზავნის უსაზღვრო ძალით და უფლებით აღჭურვილთ. ყველა თითონვე შეასრულებს თავის მოვალეობას: სხვის გაგზავნა ჯარში ან ქარხანაში თავის მაგივრად არავის შეეძლება. თავ-თავიანთ ალაგას მარტო მოხელენი დარჩებიან; სხვანი კი ყველანი, — ქუდზედ კაცი გავა სამშობლოს დასახმარებლად, უცოლონი და უშვილო ქვრივნი 18-დან 25 წლამდე პირველნი გავლენ მებრძოლ ჯარში; დაუყოვნებლივ ჩავლენ თავთავიანთ მაზრის ქალაქში, ჩარიცხულ იქნებიან სიებში და სამხედრო ვარჯიშობას დაიწყებენ, ვიდრე ბრძოლის ველზე წასვლის ბრძანებას მიიღებენ. ერის წარმომადგენელნი, რომელთაც მინდობილი ექნებათ ამ ბრძანების ასრულება, ისე განაწესებენ ჯარების მოძრაობას და დანიშნულ ალაგებში შეკრებას, რომ ყველგან საკმარისი სამზადისი დაახვედრონ საჭმელ-სასმელისა, იარაღის და ტანსაცმლისა. ჯარების შესაკრებად ადგილების დანიშვნა მინდობილი ექნებათ ერის წარმომადგენელთ — გენერლებს და ქვეყნის მფარველ კომიტეტის წევრებს. ყოველი ბატალიონი, რომელიც ამის შემდეგ შედგება, მიიღებს დროშას წარწერით: „მ ტ ა რ ვ ა ლ თ ა ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ ა შ ლ ი ლ ი. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ე რ ი“.

იმავე დღეს ისევ გზას გაუდგა ჩვენი ჯარი და 6 ენკენისთვეს ქ. ნანტში მივედით. ქალაქი დიდი მდინარის პირსა მდებარეობს და ისე ირევიან შიგ ხომალდები და ნავები, რომ ჩემს განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მთაში აღზრდილს ჩემს დღეში არა მენახა რა ასეთი და პირღია შევცქეროდი ზღვასავით გადაშლილ წყალს და შიგ მცურავ ხომალდებს. პირველად მაშინა ვნახე მოვაჭრე ქალაქის აუარებელი სიმდიდრე და გამორჩენა: მთელი ქვეყნის სავაჭრო აქეთ მოდის ზღვით და აქედან კიდევ სხვადასხვა საქონელი გადის. ამოდენა აღებ-მიცემას, რასაკვირველია, ძირსაც ბევრი დარჩება.

ქალაქში ჩვენს გარდა ბევრი სხვა ჯარები იყვნენ, მაგრამ მაინც ძალიან კარგად დაგვიხვდნენ მოქალაქენი და პატრიოტული ლხინი გაგვიმართეს. ამ მოქალაქეებს უკვე ენახათ ვანდელების სუსხი — ამ ხუთის თვის წინათ, გენერალი კანკლო რომ არა ყოფილიყო, დედამიწის პირიდან აღგვიდნენ ნანტს ვანდელები — და დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ყველანი კმაყოფილნი და გახარებულნი მოგვეგებნენ. ჩვენმა დაგლეჯილმა ტანისამოსმა ხომ აღტაცებაში

მოიყვანა მოქალაქენი და, რადგან სამხედრო მაღაზიები ნანტში იმყოფებოდა, ლხინის შემდეგ თითო წყვილი სრულიად ახალი ჩექმები დაგვირიგეს.

მეორე დღეს, 9 ენკენისთვეს, ვანდელებთან საბრძოლველად გაგვიყვანეს.

ქ. სომურიდან დაწყებული ჩვენი ჯარი უკვე ვანდეში იმყოფებოდა, — თვალგადუწვდენელ ბუჩქნარ-ვაკეში, რომელშიაც არც სადმე ადამიანი ჩანდა, არც შენობა, არც ვენახი. აქა-იქ ბუჩქებიდან ამონავალ კვამლით თუ შეატყობდით ადამიანის ბინას, თორემ სხვაფრივ სრულიად უდაბურსა ჰგავდა ის მხარე. ეტყობოდა ღვთის ანაბარად იყო იქ ყველაფერი მიტოვებული და, რასაც ღმერთი მისცემდა, იმით ცხოვრობდა იქაური ხალხი, თვითონ თავს არაფრისთვის იწუხებდა.

ეს იყო ვანდე — დაბურული, ველური, ადამიანისაგან ხელშეუხებელი ტყე და ბუჩქნარი; შიგ სრულიად გაუნათლებელი, ნადირობით მცხოვრები ბატონები ცხოვრობდნენ და უფრო გაუნათლებელი ყმები, რომელნიც თავისთავს გლეხკაცს კი არა, ბ ა ტ ო ნ ი ს ყ მ ა ს უწოდებდნენ. მოკლედ მოვჭრი, რომ თავი არ შეგაწყინოთ: როგორც ბუნება იყო ადამიანისაგან ხელშეუხლებელი, ისე ადამიანი იყო გაუნათლებელი და ველური.

გზა არსად იყო; იმისთანა ვიწრო ბილიკები იყო გაყვანილი, რომ უღელი ხარი ვერ გაივლიდა. მივდიოდით და ყოველ წამს იმის შიშში ვიყავით, ბუჩქებში ჩასაფრებული მტერი თოფს გვესვრის და ისევ მიიმალებაო. მივდიოდით და თვალწინ გვედგა, რაც სხვისაგან გაგვეგონა: როგორა ხოცავდნენ ვანდელები პატრიოტებს, და როგორ აწამებდნენ ვანდელი დედაკაცები ტყვეებს. მივდიოდით და თან გულს ვიმაგრებდით:

— ისინი გვესვრიან, ჩვენც ვესვრით! ისინი არ დაგვინდობენ, არც ჩვენ დავინდობთ! რესპუბლიკამ გაიმარჯოს, თორემ ჩვენი სიცოცხლე რა სახსენებელია!

ნანტიდან 9 ენკენისთვეს გავედით კანკლოს წინამძღოლობით. ამბობდნენ შვიდი ათასი ვანდელი გამაგრებულა ერთ ტბის პირას სოფელში, და ძალიან კარგადაც არიან შეიარაღებული. ასე გასინჯეთ, ზარბაზანიც კი აქვთო. მტერს ჩვენ უნდა შევბრძოლებოდით და დასახმარებლად, თუ გაგვიჭირდებოდა, უკან ხუთი ათასი კაცი სხვა მოგვდევდა.

მშვენიერი დარი იდგა.

გენერალი კლებერი და მერლენ ტიონვილელი ერთად მიდიოდნენ ცხენებით, შიგ შუა ბატალიონში. ყველანი გაფაციცებით ვსინ-

ჯავდით ბუჩქებს, მაგრამ მტერი არსად ჩანდა. მხედრული სიარული ჯარისა შეუძლებელიღა იყო და ძალაუნებურად სრულიად ურიგოდ გაფანტულნი უნდა შევრეოდით ჭალას. კლებერმა წინ მსროლელები შეგზავნა მტრის დასახვედრად. არ გასულა დიდი ხანი, ჭალაში სროლა ატყდა. საშინელ ყოფაში ვიყავით: მტერი არსადა ჩანდა, რომ ბრძოლა აგვეტეხა და წინსვლა კი არ შეიძლებოდა, რადგან ყოველი ბუჩქი სიკვდილს გვიქადდა. რამდენიმე კაცი მოგვიკლეს, ცხენები დაგვიჭრეს, მაგრამ რას ვიზამდით? წინ მივიწევდით ნელ-ნელა და უხილავს მტერს თოფს ვესროდით.

მე და ჩემს ამხანაგებს ჯერჯერობით შიში არაფრისა გვქონდა, რადგან უკან ვიყავით და ჩვენამდე ტყვია ვერ მოაწევდა; მაგრამ ეტყობოდა იმ დღეს ბრძოლას გვიპირებდა მტერი და, მაშასადამე, ჩვენი ზარბაზნებიც მალე ამღერდებოდნენ.

ერთი საათი მეტი ვიარეთ ასე და თან გაცხარებული სროლა გვქონდა. ბოლოს ტბის პირას გავედით და სოფელი დავინახეთ. დაგვინახეს თუ არა სოფლის მისავალში, მაშინვე ზარბაზანი გვესროლეს; იქნება უნდოდათ ენახათ, მართლა ისროდა იმათი ზარბაზანი თუ არა? ჩვენს და სოფელს შუა ტბიდან გამოსული მდინარე დიოდა და ისეთი განიერი და ღრმა იყო, რომ ფეხით გასვლა არ შეიძლებოდა, — სამასი ნაბიჯი მაინც ექნებოდა სიგანე. ნაპირი ლერწამით ჰქონდა ამწვანებული და სწორედ ამ ლერწამში ჩამალულიყვნენ ვანდელები და იქიდან გვესროდნენ თოფს.

ცუდად იყო ჩვენი საქმე, მაგრამ კლებერი იმისთანა კაცი არ იყო, რომ ასე ადვილად შეშინებულიყო: თავისი ამალით და მერლენ ტიონვილელის თანდასწრებით დაათვალიერა ჩვენი და მტრის მდებარეობა და საჭირო ბრძანება გასცა. ზარბაზნები სოფლის პირდაპირ დაგვალაგებინა და გვიბრძანა, სოფელს დაუწყეთ სროლაო. ზარბაზანს ისინიც გვესროდნენ, მაგრამ ძალიან შორს უმიზნებდნენ და ჩვენს უკან ცვივოდა ყუმბარა. დავუწყეთ სროლა. ჯერ ძალიან მაგრად დაგვიდგნენ, მაგრამ რაკი სოფელს ცეცხლი წაეკიდა, ღვთის წყალობა გაქვთ, ქალებმა კივილი მორთეს და ლოგინის და სხვა ბარგის ზიდვა დაიწყეს. იმავე დროს ორი მხრიდან მიადგა ჩვენი ჯარი სოფელს და შეჰყვირა:

— თავისუფალ ერს გაუმარჯოს!

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! — შესძახეს წყალგაღმა ვანდელებმა.

საშინელი სროლა ატყდა. ისე გაშმაგდნენ ვანდელები, როძ აღაო იმალებოდნენ და წყლის პირს მდგომნი პირდაპირ გვესროდნენ. არც ჩვენები ჩამორჩნენ უკან და რამდენიმე კაცი შეცურდა წყალში, მაგ-

რამ ცოცხალი არავინ გადარჩა. მდინარე სისხლისფრად შეიღება. ბოლოს საიდანღაც გაჩნდა რამდენიმე ნავი და ხალხით გაივსო გაღმა გასასვლელად. ყველაზედ უწინ მერლენ ტიონვილელი ჩახტა ნავში და იმისთანა ხმით შესძახა: რესპუბლიკას გაუმარჯოსო, რომ იმ სროლაში ვანდელებიც კი გაიგონებდნენ. იმავე დროს ზარბაზნებიც ქვევით ჩაგვატანინეს, ზედ წყლის პირს და გვიბრძანეს: ხალხს ესროლეთო. მაგრამ სად იყო ხალხი? უმრავლესობა ლერწამში და ჩადუნაში იმალებოდა, ისე, რომ ზარბაზანს ბალახს ვუმიზნებდით. სროლითაც ახლა უფრო უკეთ გვესროდნენ და ასე გასინჯეთ, ორი ზარბაზანიც წაგვიხდინეს. ცოტა ხანი კიდევ და სულაც დაგვხოცდნენ, ვინც ზარბაზნებთან ვიყავით, მაგრამ ამ დროს ჩვენი ცხენოსნები გავიდნენ გაღმა და იერიშით მივიდნენ სასაფლაოზედ, სადაც ჩასაფრებულიყვნენ ვანდელების საუკეთესო მსროლელები. რაკი ნახეს ვანდელებმა, რომ წყალმაც ვეღარ შეგვაყენა, შესწყვიტეს ბრძოლა და გაიქცნენ.

გადამწვარი, აოხრებული დაგვხვდა სოფელი, მაგრამ მაინც დიდი იყო ჩვენი გამარჯვება, რადგან ამაზედ იყო თურმე დამოკიდებული ვანდელების დამორჩილება.

ის იყო ბრძანება მოგვივიდა, შესწყვიტეთ სროლაო, რომ რაღაცა მომხვდა შიგ გულში და წამაქცია; სამი-ოთხი კიდევ სხვა წაიქცა ჩემთან. ისე მოულოდნელად მოხდა ეს, რომ ჯერ ტკივილი არც კი მეგრძნო და მიკვირდა — რა ვქნა, რა მომივიდა-მეთქი? მერე უცბად შემცივდა, შემაჟრიალა და ცივი ოფლი დამასხა. კიდევ კარგი, რომ გული წამივიდა და ტკივილი აღარ მიგრძვნია. გონებაზედ რამდენიმე საათის შემდეგ მოვედი, როდესაც ურმით ნანტიდან ანჟერისკენ გაგვისტუმრეს მრავალი დაჭრილი: ნანტის საავადმყოფოები სავსეა და ანჟერს წაიყვანეთო.

გული მიმდიოდა, სუნთქვა მეხშობოდა, პირიდან სისხლი მდიოდა. მოვსულიერდი თუ არა, მაშინვე სისხლი დავინახე და — წასულიყო-მეთქი ჩემი საქმე, — ვიფიქრე იმედმიხდილმა. არც ჩემი ამხანაგები იყვნენ უკეთეს ყოფაში: ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს მკლავი, ზოგს ფეხი; ყველანი სისხლით იყვნენ მოსვრილნი, ფერმიხდილნი, დაღონებულნი; ზოგნი ბოდავდნენ. მეურმე კი მიერეკებოდა საქონელს და, თითქო დაჭრილი, ტანჯული ადამიანი კი არა, უბრალო, უსულო საპალნე ედოსო, რაღაცას ღიღინებდა.

ამ მგზავრობამ უფრო დამასუსტა, მით უფრო, რომ სისხლიც გამომიშვეს თურმე, გულწასული რომ ვიყავ. თითქმის გონებამიხდილი ვეგდე ურემზე და ხან რა მელანდებოდა და ხან რა: მარგალიტა

წარმომიდგა, შოველი, რესპუბლიკა... კარგად მარტო ის მახსოვდა, რომ გულში სადღაც ყუმბარის ნაჭერი მქონდა და მაწუხებდა. სისხლი რომ გამოეშვათ, მკლავი მაგრად შეეხვიათ და ასე მეგონა, მკლავიც დამსხვრეული მაქვს ყუმბარისაგან-მეთქი. ხომ მოგეხსენებათ, კაცს რომ სისხლი დააკლდება, გონებასაც ვეღარ მოიკრებს. ტყუილად კი არ ამბობენ, სისხლი სიცოცხლეაო.

X

კიდევ კარგი, რომ ანჟერის საავადმყოფოში ჩვენთვის ალაგი აღმოჩნდა და იქიდან სხვაგან აღარსად გაგვგზავნეს, თორემ ჩვენი დაგვემართებოდა. ერთი მოხუცებული ექიმი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სანახავად ყოველ დილას და თან ყოველთვის ხუთი-ექვსი ყმაწვილი კაცი ახლდა. ისე მქონდა ჩაშავებული გული, თითქო ნახშირიაო. დამიწყებდნენ სინჯვას, ხან აქეთ მიმწევდნენ, ხან იქით; ექიმი რაღაცას უხსნიდა თავის მოწაფეებს და მე კი ჩემი მემართებოდა. რამდენჯერმე კიდევ გამომიშვეს სისხლი. წამლობამ და კარგმა მოვლამ, ცოტა არ იყოს, მომაკეთა, მეტადრე, როდესაც მადა გამეხსნა და ყოველ სადილ-ვახშმად ხორცსა და ღვინოს მიგზავნიდნენ. ექიმისა რა მოგახსენოთ, და მე კი იმ აზრისა გახლავართ, რომ იმისმა წამლებმა კი არა, წითელმა ღვინომ წამომაყენა ფეხზე. ზიარებასავით მიიმა ღვინო და, ის იყო და ის, დღითი დღე უკეთ ვხდებოდი, ისევ რესპუბლიკის საქმეებზედ ვფიქრობდი და სულ იმის ნატვრაში ვიყავ, ნეტავ ჩქარა გამიშვან აქედან, რომ ისევ ჩემს ზარბაზანს მივხედო-მეთქი.

ჩემს გვერდით ერთი მოხუცებული ოფიცერი იწვა; მკლავში იყო ტყვიით დაჭრილი. ძალიან უყვარდა ლაპარაკი და რაკი სიარული შევიძელ და ბაღში ჩასვლის ნება მომცეს, ერთად გავიდოდით ხოლმე ყოველ დღე 9 საათიდან შუადღემდე და, რა ვიცი, რას არა ვლაპარაკობდით. მოხუცებული იყო, სრულიად ჭაღარა, მაგრამ იმისთანა მხიარული კაცი იყო და ამასთან იმისთანა მკვირცხლი და სწრაფი, რომ სწორედ თოფის წამალივით იფეთქებდა ხოლმე. ვანდელების აჯანყების ამბავი დაწვრილებით იმან მიამბო, რადგან იმავ თავითვე ვანდეში ყოფილიყო და თავიდან ბოლომდე თავისი თვალით ენახა ყოველი ბრძოლა. ძველებური წესწყობილება რომ გადავარდა, მრავალი ხალხი დარჩა ულუკმაპუროდაო, — მეუბნებოდა ჩემი მოსაუბრე, — და ვისაც კი რესპუბლიკამ წაართვა რამე, ყველანი ვანდეში მოგროვდნენ, რადგან იქ უფრო უვიცი ხალხი ეგულებოდათ და ცდილობდნენ აეჯანყებინათ როგორმე, დაემხოთ რესპუბლიკა და კვლავ დაპატრონებოდნენ თავთავიანთ ადგილებს, სა-

დაც მით უფრო მეტს ჯამაგირს იღებდნენ, რაც ნაკლებს საქმეს აკეთებდნენ. მაგრამ ვერ გააბრიყვეს ხალხი: მართალია, უვიცი და გაუნათლებელია ვანდელი, მაგრამ იმას კი მაინც კარგადა ჰგრძნობდა, რომ ვინც აჯანყებას ურჩევდა, თავის საქმეების გარიგებას ცდილობდა და არა ხალხისას.

— შენა, ძმავ, იმიტომ ყვირი, რომ მგლობასა ხარ დაჩვეული და დღეს კი სდევნიან და ხოცავენ მგლებს. დღეს ღირსეული ის არის, ვინც პატიოსანი შრომა და გარჯა იცის.

ბევრსა ცდილობდნენ ის ვაჟბატონები, ბევრს ქადაგებდნენ ბერები, მაგრამ ვერა და ვერა, ქალების მეტი ვერავინ დაიყოლიეს, და ქალები ხომ არ აუჯანყებოდნენ რესპუბლიკას. ბევრი, ბევრი წყევლა-კრულვით ეხსენებინათ აწინდელი წესწყობილების შემომღებნი. მელებივით დაძვრებოდნენ ხალხში დიდებულნი და ეპისკოპოსები, გახშირებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ პრუსიელებთან, მაგრამ მაინც ვერა გააბედვინეს რა. პრუსიელები რომ შემოვიდნენ შამპანში, ერთხელც არის რომ დამარცხებულიყო ჩვენი ჯარი, იქნება მთელი ვანდე აჯანყებულიყო; მაგრამ გაიგეს თუ არა, ვალმის ბრძოლა და პრუსიელების დამარცხება, უცბად ჩაყუჩდნენ და თვით ბერებმაც კი შეაყენეს თავიანთი ქადაგება. სამშობლოს უკიდურეს გაჭირებას ელოდნენ ვანდელები, რომ მით გათამამებულნი პრუსიელებთან ერთად იარაღით შებრძოლებოდნენ რესპუბლიკას.

წლეულს მარტში, როდესაც გაჭირებულმა მართებლობამ გამოაცხადა, სამასი ათასი კაცი უნდა მოვკრიბოთ მტრებთან საბრძოლველადო, ვანდელებმა ყურიც არ შეიბერტყეს, — საცა გენებოთ, იქ მოკრიბეთ ჯარისკაცები და ჩვენ კი შინ ყოფნა და გოგოებთან ლაზღანდარობა გვირჩევნია ბრძოლას და სიკვდილსო.

მართებლობამ ჟანდარმები გამოგზავნა, — ძალით წამოასხით, ვისაც კენჭი ერგოსო. სწორეთ ამით ისარგებლეს რევოლუციის მოწინააღმდეგებმა და აშალეს ხალხი. ღმერთმა ხომ იცის, რომ ვანდელები არც სარწმუნოების გულისათვის აჯანყებულან, არც მეფის გულისთვის, არამედ მარტო იმისთვის, რომ ჯარში გასვლა არ უნდოდათ.

აიშალა ხალხი და დატრიალდნენ ბერები: თოფ-იარაღი აისხით, ვანდელებო! რევოლუციამ ქრისტიანობა შეურაცხჰყო და თქვენ თუ არ დაიცავთ, დაიღუპება ჭეშმარიტი სარწმუნოებაო! ტყის ნადირივით უვიც ხალხს ასე ეგონა, თუ არ ჩვენ, დაიღუპა ქვეყანაო და აირია იქაურობა. დედაკაცებს ახლაცა სწამთ, რომ მათი ქმრები და შვილები წამებულ არიან სარწმუნოებისათვის და შინ ინახავენ მკვდრებს: სამს დღეზედ აღსდგებიანო.

აჯანყება ერთ პატარა ქალაქში დაიწყო: რესპუბლიკის მომხრე მამასახლისს ხელები მოახერხა ხალხმა და მერე თავი ჩაუჭეჭყა კომბლებით; მღვდელს დედაკაცები დაეხვივნენ და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს; მსაჯული ცულით აკუწეს და სამასი კაცი მოქალაქე დახვრიტეს, — თქვენც რესპუბლიკის მომხრენი იქნებითო. ეს იყო ომის დასაწყისი.

და მთელს ვანდეში, ხუთას სოფელში ერთად, გაისმა საშინელი ზარის ხმა. არ გასულა სამი დღე, სამ-სამი რაზმი შესდგა ვანდელებისა და დაიძრა რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ; ერთს მიუძღოდა კათელინო — სამაგალითო ურმებს აკეთებდა, ვიდრე მხედართ მთავრობას იკისრებდა; მეორეს სტოფლე — ტყისმცველი; და მესამეს სისუ — უბრალო მათხოვარი. საცა კი რესპუბლიკელი მოხელე იყო, ან ხაზინა და თოფ-იარაღის საწყობი, ყველა აიკლეს, მოხელენი შეუბრალებლად ამოხოცეს, ხაზინას და თოფიარაღს თითონ დაეპატრონენ და მით უფრო მძლავრად შეგვებნენ. მთელი ჩვენი ყურადღება პრუსიელებთან ომზედ გვქონდა მიქცეული, მთელი ჩვენი ჯარი საზღვარზედ იყო გასული და ეს მხარე უპატრონოდ გვქონდა დატოვებული. ეგეც რომ არა ყოფილიყო, ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ ამ გაჭირვების დროს უმტყუნებდა საფრანგეთს თავისი ღვიძლი შვილი და ევროპასთან შებრძოლებულს უკანიდან დაუწყებდა ცემას. მთელს ვანდეში ათასი კაცი არ იქნებოდა ჯარი და რა საკვირველია, რომ გამარჯვება იმათკენ ყოფილიყო.

კიდევ ბევრი რამ მიამბო ჩემმა მოსაუბრემ. იმისთანა საშინელებას ჩადიოდნენ გამარჯვებული ვანდელები, რომ მარტო გაგონებაზე მე თმები ყალყზედ მიდგებოდა. დედაკაცებისას ხომ ნულარა ბრძანებთ: მრცხვენია, თორემ მოგახსენებდით, რას უშვრებოდნენ თურმე დაჭრილ ჯარისკაცებს.

რაკი ხალხი ადგა და ვიღაცა მეურმეების და მათხოვრების წინამძღოლობით მთელი ვანდე ხელთ იგდო, „დიდებული ბატონებიც“ მიემხრნენ და ახლა იმათ შეჰყარეს თავიანთი ყმები და მხლებლები. მართალია, სულ იმას გაიძახოდნენ: ჩვენ ჩვენთვის არა გვინდა რა, მეფისა და ეკლესიის აღდგენას ვცდილობთო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ მეფის აღდგენა ბატონყმობის აღდგენას ნიშნავდა. იმათ მეფის აღდგენა კი არა, ძველებური, თავიანთი ბატონყმობის მოპოვება უნდოდათ, რომ კვლავ ათასობით ყმები ჰყოლოდათ, და მათი ოფლით უზრუნველად გაეტარებინათ წუთისოფელი. ამის გაგებას რა უნდა, ცხადზედ ცხადია მგონი, და ვანდელი ხალხი კი იქამდის დაბრმავებული იყო და არის, რომ ესეც კი ვერ გაეგო.

ღვთისა და სარწმუნოებისათვის ვიბრძვითო, ´იძახდნენ, და ქვეყანას კი იკლებდნენ. საცა წავიდნენ, თან თავიანთი დედაკაცები დაიდევნეს და — ქმრები რომ ხოცავდნენ, ცოლები იკლებდნენ. ამ ხუთის თვის წინათ, ქ. ნანტს რომ მიესივნენ, ათასხუთასი დედაკაცი ჰყავდათ თან და სუყველანი თურმე ოქრომჭედლების ქუჩაში შესვლას აპირობდნენ, იქ უფრო მეტი იქმნება საშოვარიო.

ვიცი, დღეს ძნელი დასაჯერებელია ხალხის ასეთი სიბრიყვე, მაგრამ რასაც მოგახსენებთ, სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ და იმედი მაქვს დამეთანხმებით, რომ ამაზედ უკეთესს მაგალითს სარწმუნოებისა და ბერებისაგან ხალხის გაბრიყვებისას სხვაგან ვერსად იპოვნით.

კონვენტი განცვიფრებული იყო ვანდელების საძაგელი ქცევით, მაგრამ ჯერ ღონისძიებას არას ხმარობდა, დიდი ხანი ვერ გასტანს ეს არეულობა და ხალხი თვითონვე დამშვიდდებაო; ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ დაყოვნება საქმეს ახდენდა, ბრძანება გასცა, ძალაზედ ძალა იხმარეთ და იარაღზედ იარაღიო. ან რა შეგვეძლო? ისინი გვხოცავდნენ, გვწვავდნენ, გვიკლებდნენ... ჩვენც უნდა გვეხოცა და გვეწვა, რომ ჭკუაზედ მოგვეყვანა და ის მაინც გვეფიქრებინა, რომ თუ წმინდანი ის არის, ვინც ადამიანის სისხლს დააქცევს, ჩვენც დავივიწყებდით ადამიანის ყოველ ღირსებას და იმათსავით მხეცურად მოვიქცეოდით. ვანდელები რომ აჯანყდნენ, ჩვენ მაინცში ვიყავით შემწყვდეულნი. ნერვინდენში ჩვენი ჯარი დამარცხებულიყო; დიუმურიე ავსტრიელებს მიმხრობოდა; კობურგი ვალანსიენზედ მოდიოდა; და ვანდელები იმის ცდაში თურმე იყვნენ, რომ რომელიმე ნავთსადგური ჩაეგდოთ ხელში, თავისუფლად შემოეყვანათ ინგლისელები და ძველებური ბატონყმობა შემოეღოთ, ბეგარა და წამება.

მოვიდა ჩვენი ჯარი, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მისულიყო აჯანყებულებზედ და საცა მიესწრო, იქ შებრძოლებოდა, ოთხად იქმნა გაყოფილი და ოთხი გენერლის წინამძღოლობით შეერია ამ დაცემულ ჭალებს და ბუჩქნარს. გენერლები ვერ შეთანხმებულიყვნენ, ცალ-ცალკე მოქმედებდნენ და... მარცხდებოდნენ კიდეც. მაინცელი ჯარები რომ მივედით, ორი გენერალიღა იყო, როსინიოლი და კანკლო, მაგრამ ესეც მეტი იყო, რადგან ომში სუყველაფერი ერთს გეგმაზედ უნდა იყოს დაწყობილი, თუნდა საჭიროებისადაგვარად ყოველ დღე იცვლებოდეს ეს გეგმა; ომში ერთი უნდა იყოს მბრძანებელი, რომელიც ყველას რჩევას უნდა ისმენდეს, მაგრამ ბრძანებით კი მარტო საკუთარი ნებით უნდა მბრძანებლობდეს; — ჯარი მაშინ არის ძლიერი და უძლეველი, როდესაც ყველანი ერთს ბრძანებას ასრულებენ.

ხომ სულ უბრალო მესაათე იყო როსინიოლი, მაგრამ კარგადა გრძნობდა, რომ ვანდელების დამორჩილება მარტო ერთობით შეიძლებოდა და გენერალ კანკლოს თურმე სთხოვა: შევაერთოთ ჩვენი ჯარები, წინამძღოლობა შენი იყოს და ომის გეგმა ჩემიო. როსინიოლის გეგმით შეერთებულ ჩვენ ჯარებს იმდენი ხანი უნდა ედევნათ ვანდელებისთვის, ვიდრე მდ. ლუარის და ზღვის შუა შეიმწყვდევდნენ; იქ უნდა შებრძოლებოდნენ, რომ ერთი ბრძოლით მთლად დაემორჩილებინათ მთელი ის მხარე. საუბედუროდ, კანკლო არ დასთანხმდა ამ მოსაზრებას, სამხედრო საბჭოც დაიყოლია და გადასწყვიტეს, ვანდელებს ორი მხრიდან შევესიოთ — სომურიდან და ნანტიდანო.

თავდაპირველად ძალიან კარგად წავიდა საქმე. ნანტიდან ოთხ რაზმად შეესია ჩვენი ჯარი ქვემო ვანდეს და სადაც მიეედით, ყველგან დავიმორჩილეთ ხალხი და კონვენტის ყოველი ბრძანება ავასრულებინეთ. საცა გაბედეს და საბრძოლველად დაგვიხვდნენ, ყველგან დავამარცხეთ, მოსავალი წავუხდინეთ და სოფლები დავუწვით. ძალიან თურმე იამათ, მაინცის დანებების პირობები რომ გაიგეს:— მაინცელი ჯარი პატიოსანი სიტყვით შეჰკვრია საფრანგეთის მტრებს, ერთი წლის განმავლობაში თქვენს წინააღმდეგ იარაღს არ ვიხმართო... და რადგან ჩვენც საფრანგეთის მტრები ვართო... დიაღ, ვანდელები საფრანგეთის მტრებად რაცხდნენ თავის თავს და, მაშასადამე, ავ დღეს დაგვაყენებდნენ, რომელსაც კი დაგვიჭერდნენ. ჩვენ ეს კარგად ვიცოდით და, რაკი ორში ერთი უთუოდ უნდა წამხდარიყო, ვიფიქრეთ, ჩვენს წახდენას, ვანდელები წახდნენ, ის ემჯობინებაო. ერთი სიტყვით, გენერალი კანკლოს ჯარში ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა.

გენერალი როსინიოლის ჯარიც მზად იყო წასასვლელად. როსინიოლმა ორ რაზმად გაჰყო თავისი ჯარი და გადასწყვიტა, ორი მხრიდან უნდა მივუხტეთ ვანდელების ბრბოს, რომელიც ქ. შოლეში არის მოგროვილიო. ერთს თითონ მიუძღოდა, მეორე პარიზელ მელუდე სანტერს ჩააბარა. მაგრამ, ვინ იცის, დაუცდიდნენ ვანდელები შოლეში ორივე რაზმის მისვლას და შეერთებას, თუ ცალ-ცალკე შეებრძოლებოდნენ და ჯერ ერთს დაამარცხებდნენ, მერმე მეორესს.

სწორედ ამ დროს გამოვედი საავადმყოფოდან და ვითხოვე, ისევ ჩემს ბატალიონში გამისტუმრეთ-მეთქი. მაგრამ ჯარი უკვე წასულიყო და, რადგან კარგად იცოდნენ ვანდელების ხასიათი, რომ საცა კი ჯარისკაცს მოასწრებდნენ, მოუკვლელი არ გადარჩებოდათ, ნება

არ მომცეს მარტო წავსულიყავ და ანჟერის სიმაგრეების უფროსმა გენერალმა ფლავინიმ სანტერის ჯარში ჩამრიცხა.

სანტერის ჯარში ოციათას კაცამდე იქნებოდა, მაგრამ ნამდვილი, გაწვრთნილი და მხედრულს სამსახურს შეჩვეული ჯარი ძალიან ნაკლებად ჰყავდა; უმრავლესობას ახლად მოკრებილი, გაუწრთვნელი და გამოუცდელი გლეხკაცობა შეადგენდა და იმათთან ერთად პარიზიდან მოსული უნიფხონი. არც იარაღი ჰქონდა ამ უმრავლესობას, არც ტანსაცმელი; ზოგს ჯოხი ეჭირა, ზოგს კომბალი, ზოგს ცული; ზოგი ქალამნებით იყო, ზოგი სულაც ფეხშიშველი; თითოოროლა პური წამოეღოთ გუდით და ის იყო მათი საგძალი. საცა კი მივედით, საჭმელი ვერა ვიპოვეთ რა, რადგან ხალხი გახიზნულიყო და ნაცრის მეტი არა დაეტოვებინა რა.

მე ხომ ერთი უბრალო ჯარისკაცი გახლდით, და მეც კი დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩვენს გენერალს ლუდის ხდა უკეთ უნდა სცოდნოდა, ვიდრე სამხედრო საქმეები: იმისთანა უწესრიგოდ მიდიოდა ჩვენი ჯარი, რომ ყველა იტყოდა, ამათ უფროსი არა ჰყავთო და, მაშასადამე, უკვე დამარცხებულნი არიანო, რადგან ვანდელებს ვაჟკაცობას ვერავინ უძრახავდა. ისე არეულნი მივდიოდით ქვეითა ჯარი და ცხენოსნები, მსროლელები და ზარბაზნები, რომ დამარცხებულთ და ლტოლვილთ უფრო ვგავდით, ვიდრე საომრად მიმავალთ. უცბად რომ შეგვხდომოდა წინ მტერი და ბრძოლა ატეხილიყო, ჩვენი მსროლელების ტყვია ჩვენს ცხენოსნებს მოხვდებოდათ ზურგში. მერე იმისთანა უგზო-უკვლოდ მივდიოდით, იმისთანა გაუვალ ბუჩქნარში, რომ მე სიცოცხლის იმედი აღარა მქონდა:

— მშვიდობით, ჩემო მარგალიტა! მე შენ ვეღარა გნახავ! და ჩემს თავს ვემდურებოდი, რომ მეზარბაზნობა ვითხოვე და ახლა სრულიად უიარაღოდ, უთოფოდ, მთელი ჯარის წინ მე ვიყავ და პირველი ტყვია მე გამომასალმებდა წუთისოფელს. ჩემი ამხანაგებიც ძალიან ცუდ გუნებაზედ იყვნენ, ეტყობოდათ, მით უფრო, რომ სრულიად გამოუცდელი ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, და ისეთი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ, თითქო ყოველი ბუჩქის ძირში მტერი ეგულებათო.

სანტერი კი აგვივლიდა და ჩამოგვივლიდა თავისი თეთრი ცხენით; ძალიან კმაყოფილი იყო, რომ იმდენ ჯარს მიუძღოდა და მგონი მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს, არავის ჰყოლია იმ სიგრძედ გაჭიმული ჯარი: იქნება არც კი დამიჯეროთ, სწორედ ერთი დღის სავალზედ იყო გაშლილი ჩვენი ჯარი.

ვიცი, რომ სანტერი საუკეთესო პატრიოტი იყო და დიდი ღვაწლი

დასდო რესპუბლიკას. ოღონდ კარგი პატრიოტი პარიზში იყო, თავის შესაფერ საქმეებში და არა მხედართმთავრად. მაგრამ რას იზამთ? ხალხი რომ შეიყვარებს ვისმე, სუყველაფერს იმას მიანდობს და ხშირად მინისტრობას მიანიჭებს ხოლმე იმას, ვისაც თავისი დღენი ლუდის ხდაში გაუტარებია. ამისთანა ჭირი მრავალი სჭირს გაუნათლებლობას.

ამ გვარად არეულ-დარეულნი და გაფანტულნი მივიწევდით ნელ-ნელა წინ და, რაც ხანი გადიოდა და მეტად იღლებოდა ხალხი და საქონელი იმ უგზო-უკვლო ქვეყანაში, მით უფრო მეტი რჩებოდნენ უკან. მშვენიერი დარი იდგა. რამდენიმე სოფელი უკვე გავიარეთ და ადამიანი არსად გვინახავს. ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც უცბად საშინელი ყვირილი მოისმა გზის პირიდან და ყოველი მხრიდან სროლა აგვიტეხეს. ეტყობოდათ, აქვე გზის პირას იყვნენ ჩასაფრებულნი, რადგან დაცალეს თუ არა თოფი, თითონაც გამოხტნენ და მხეცებივით გვეცნენ. იმისთანა ხმით შემოგვძახეს — დაგვნებდითო! რომ თმა აგვეშალა. დამშეული მგელი არ იქნება ისე საშინელი, როგორც ისინი იყვნენ. უმთავრესი მათი ძალა მაშინვე ზარბაზნებს მიელალა და ისეთი ხელდახელი ბრძოლა გაიმართა უცბად, რომ იმისთანა საზარელი ჩემს დღეში არც რამ მინახავს და ნურც მაჩვენოს ღმერთმა. სულ ნახევარ საათის სავალ მანძილზედ არ იქნებოდა ჩვენი ქვეითა ჯარი და ვიმედოვნებდით, აგერ წამოგვეშველებიანო. ჩვენდა საუბედუროდ, ძველი, გამოცდილი ჯარისკაცები სულ უკან თურმე მოექცნენ და ჩვენს ახლო სულ ახლად გაყვანილი გამოუცდელი ბიჭები იმყოფებოდნენ, რომელთაც ჯერ თოფის წამლის სუნიც არ იცოდნენ როგორი იყო. შეიძლებოდა ცხენოსანი ჯარი მოგვშველებოდა, მაგრამ იმ ტყიან და უგზო-უკვლო ალაგას ვერა გაეწყოთ რა და მარტო ჩვენ შევრჩით ვანდელებს და გაშმაგებულნი ვებრძოდით.

ამ დროს ერთი ოფიცერი მოვიდა ცხენით და ბრძანება მოგვცა, ზარბაზნები მარჯვნივ ბორცვზედ აიტანეთო. მაგრამ საქმე ბრძანება კი არა, ასრულება იყო: ჩვენა და ვანდელები ისე ვიყავით ერთმანეთში არეულნი, რომ მანამ იმათ არ მოვიშორებდით, ადგილიდან ვერ დავიძვროდით. ერთი ჭაღარა კაცი მწვდა ყელში და იმისთანა ძალით წამიჭირა, რომ კინაღამ დამახრჩო, თან რაღასაც მიყვიროდა. გზის პირიდან ორი კიდევ სხვა წამოეშველა და ცხენებს სტაცეს აღვირში ხელი. ზედ ზარბაზანზე წამაწვინა ვანდელმა და ის იყო გრძნობა მეხშობოდა, რომ უკანასკნელად მოვიკრიბე, რაც კიდევ ძალ-ღონე მქონდა და, რადგან ხელები თავისუფალი მქონდა, ვიძერ ხმალი და ტარამდე ჩავუტარე მუცელში. სწორედ მხეცივით წამოვხ-

ტი, მივვარდი მეორეს, თავი გავუპე და ერთი ნახტომით ცხენზედ შევჯექი, დავკარ დეზები და მარჯვნივ მივაბრუნე ბრძანების ასასრულებლად. სწორედ მხეცივით-მეთქი, რომ მოგახსენებთ, ცარიელი სიტყვა კი არ გეგონოთ: ნუ გამხეცდება ადამიანი, თორემ ყველა მხეცზედ უარესი გახდება. მოვაბრუნე ცხენი, ავაჭენე ბორცვისკენ და ღმერთმა უწყის, რამდენს დაჭრილს გადავუარე ზედ და წუთისოფელს გამოვასალმე. ვის ახსოვდა მაშინ დაჭრილები, რომელნიც ჭერეხივით ეყარნენ ბრძოლის ველზედ! საქმე ის იყო, ჩემი ვალდებულება ამესრულებინა და მით გავჭყლეტდი ვისმე თუ არა, ეგ აზრადაც არ მომდიოდა. დავკარი ცხენებს, უკანიდან ჩემი ამხანაგები მოაწვნენ ზარბაზნის თვლებს და ავაგრიალეთ ბორცვზედ. მაგრამ იქ უფრო მეტნი დაგვიხვდნენ ვანდელები და, უკანიდან ცოტაოდენი ცხენოსნები რომ არ მოგვშველებოდნენ, სწორედ წაგვართმევდნენ ზარბაზანს და ჩვენც ამოგვხოცავდნენ.

ზარბაზანი ავიტანეთ, მაგრამ გატენა არ უნდოდა? და გატენა კი არ შეგვეძლო, რადგან ყუმბარები ქვევით დაგვრჩა ზედ გზაზედ. გადავიხედე და, თქვენს მტერს, მე ელდა მეცა! ჩვენი ზარბაზნები ვანდელებს დარჩენოდათ და სასროლად ამზადებდნენ. ამით წახალისებულნი ახლა ჩემსკენ გამოქანდნენ, რომ ჩემიც წაერთმიათ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო... მეც ვახსენე ღმერთი და ისევ ჩვენი ჯარისკენ გავაქანე ცხენები. ბუზივით ზუზუნებდა ტყვია, ზედ ჩვენივე ზარბაზნების ჩვენზედ ნასროლის გრიალი დაერთო და სწორედ სასწაული იყო, რომ ცოცხალი გადავრჩი და მშვიდობიანად ჩავიტანე ჩემი ზარბაზანი. რომ დამინახა გენერალმა, თავით ფეხამდე სისხლში ამოსვრილი, ოცი ნაბიჯით მაინც წინ გამობრძანდა რაზმიდან, ხელი ჩამომართვა და მკითხა:

— შენი სახელი, მამულიშვილო?

— მიშელ ბასტიენი, ჩემო გენერალო.

ზარბაზანი სამშვიდობოში გავიტანე, და რადგან ყუმბარა არა გვქონდა და სროლა არ შეიძლებოდა, ჩამოვხტი ცხენიდან, თოფს წამოვავლე ხელი და დავიწყე სროლა. ალბათ ღვთის განგება არის, რომ ამ ჯოჯოხეთს ცოცხალი გადავრჩი-მეთქი, ვისროდი თოფს, თითქო ადამიანს კი არა, ქვეყნისთვის მავნე ცოფიან ძაღლებს ვხოცავდი და მიხაროდა მათი ამოწყვეტა. დიაღ, ვინც ომში არა ყოფილა და მის საშინელება არ უნახავს, ვისაც თავისი თვალით არ უყურებია თავისი ამხანაგების ხოცისთვის, თავის დრეში ვერ წარმოიდგენს, რა ტკბილია თოფის გატენა, მტრის მიზანში ამოღება და სროლა. ტკბილი კი არა, ტკბილზედ ტკბილია და სანატრელი!

რაკი ზარბაზნის სროლა დაგვიწყეს, უკან დაწევა ვირჩიეთ, მაგრამ სროლა და ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. მისვლაზედ ადამიანი არსად იყო და ახლა, რაკი უკან დავბრუნდით, ყველგან მტერი გვიხვდებოდა და ყველგან გაშმაგებული გვებრძოდა.

დაღამდა და ისე უცბად გაქრნენ სადღაც, თითქო დედამიწამ ჩაყლაპაო. მთელი ერთი საათი ველოდით, კიდევ მოგვიხტებიანო, ხმალამოღებული და თოფგაწვდენილი ველოდით, მაგრამ ამაოდ. ახლო სოფელში საათმა რვა დაჰკრა. მოდიოდა ჩვენი ჯარი, მაგრამ ვაი იმ სვლას: ბრძოლაში მონაწილეობა მარტო ძველ, გაწვრთნილ ჯარისკაცთ მიეღოთ და დანარჩენები, რომელნიც ახლად იყვნენ მოკრებილი და ჯერ ისევ კომბლებით შეიარაღებულნი, აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ და იმ ღამეს და მეორე დღეს ჩვენი ცხენოსნები იმათ ძებნას მოუნდნენ; მთელი ის არე-მარე დაჭრილებით და დახოცილებით იყო სავსე; ყველგან დაჩეხილი საქონელი და ცხენები ეყარა და დამტვრეული ურმები. იმ დღეს 18 ზარბაზანი დავკარგეთ და ათასზედ მეტი კარგი მამულიშვილი. მართალია, ბევრი დაჭრილი ვიპოვეთ და ვანდელ დედაკაცებისაგან სიკვდილს გადავარჩინეთ, მაგრამ ვინ იცის, რამდენი დარჩა ბრძოლის ველზედ სიკვდილისა და მით ტანჯვისაგან განთავისუფლების ნატრული?

ასე კი დაგვამარცხეს ვანდელებმა. მე ის გიამბეთ, რაც ჩემი თვალითა ვნახე. კიდევ ვიტყვი, იმისთანა ცუდი არა იქნება რა ქვეყნად, როგორადაც ის ვაჟბატონები, რომელთაც ჰგონიათ, ყველაფერი ჩვენ ვიცით, ყველაფერი ჩვენ შეგვიძლიაო და დაუფიქრებლივ იკისრებენ იმისთანა სამძიმო საქმეს, რომელსაც ვერ გაბედავენ მათზედ ერთი-ათასად მეტად გონიერნი და მამაცნი. გამოჩნდება ვინმე ამისთანა უტვინო და თავხედი, ხელთ იგდებს ძალას და უფლებას და ვაი იმათი ბრალი, ვიზედაც ბრძანება გაუვა!

ჩვენი დამარცხება არ იკმარეს ვანდელებმა და — ეს ორი დღის შემდეგ გავიგეთ — ისე უცბად იმიტომ დაგვანებეს თურმე თავი, რომ შეკრებილიყვნენ და ჩვენი ჯარის მეორე რაზმს დასცემოდნენ. და დასცემოდნენ კიდეც; იმისთანა ალაგას მოესწროთ, რომ ოთხი ათასი კაცი მოეკლათ და რაც ჯარს ბარგი ჰქონდა და ზარბაზნები, სულ მთლად წაერთმიათ. ეს ამბავი რომ გავიგეთ, მაშინვე ქ. სომეურისკენ გავბრუნდით, რადგან ვანდელების ჩვეულებისამებრ, მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამარჯვების შემდეგ რომელსამე დიდ ქალაქს მიესეოდნენ და აიკლებდნენ.

17-ს ჩვენი რაზმი დაამარცხეს, 19-ს ჩვენი ჯარის მეორე რაზმი და 20-ს სომეურისკენ გავწიეთ. რა საჭიროა, მოგახსენოთ, რა შეწუხე-

ბულნი და შერცხვენილნი ვიქნებოდით! მით უფრო შერცხვენილნი ვიყავით, რომ სულ უბრალო, ტყის ნადირმა გლეხკაცებმა გვაჯობეს, რომელთაც მხედრული წესწყობილებისა არა იცოდნენ რა და მიუხედავად ამისა სამჯერ მეტი ხალხი დაგვიხოცეს, ვიდრე ჩვენ იმათ.

მივედით სომურში და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, მაინცელი ჯარიც დაემარცხებინათ ვანდელებს და ქ. ნანტისკენ დაებრუნებინათ. ქალაქში იმის მეტს აღარას ლაპარაკობდნენ. საშინლად შეწუხებული იყვნენ ყველანი. გამარჯვებულნი აჯანყებულნი იყვნენ და ვინ იცის რას იზამდნენ ამით წათამამებულნი. მე ამ სამარცხვინო დამარცხებას ჩვენს გენერლებს ვაბრალებ. ეს კია, რომ ცუდი ამბების დაჯერება ყოველთვის მეძნელება ხოლმე და მაშინაც დიდი ხანი გავიდა, მანამ იმ ფიქრს შევეჩვეოდი, რომ ჩვენი სახელოვანი კლებერი დამარცხებული იყო ვანდელებისაგან.

XI

საშინელი არეულობა იყო სომურში; ჯარებისთვის ბინა არსად იყო; ეკლესიებში დაჭრილები დაეწვინათ, რადგან საავადმყოფოში ადგილი აღარსად ყოფილიყო. ქალაქს ამაგრებდნენ; გენერლები და საერო კრების წარმომადგენელი კომისრები ერთმანეთს აბრალებდნენ ჩვენს დამარცხებას. გენერალი ფელინო როსინიოლს რესპუბლიკის ღალატსა სწამებდა; როსინიოლი კანკლოსა და ფელიპოსას იძახდა — ინგლისელთაგან არიან შესყიდულნიო. თვით ჯარშიც დიდი განხეთქილება იყო და ისე იყვნენ ჯარისკაცები აღშფოთებულნი პარიზელ უნიფხოთა სამარცხვინო ქცევით, რომ ათ-ათი და მეტი დუელი ხდებოდა ყოველ დღე.

დაწვრილებით გვიამბეს კლებერის დამარცხება: ისიც ჩვენსავით თურმე შეიტყუეს ვანდელებმა, რამდენიმე სოფელი სრულიად უომრად დაანებეს და დააწვევინეს და, როდესაც დანიშნულ ადგილზე მიიყვანეს, უცბად დაეცნენ და სასტიკი ბრძოლა აუტეხეს. დაიწყო თუ არა ომი, კლებერი მაშინვე თურმე დაიჭრა თოფის ტყვიით, მაგრამ ბრძოლის გათავებამდე ისე განაგებდა თავისი ჯარის ყოველ მოძრაობას, თითქო თითი გაუკაწრიაო. ცხენზედ ჯდომა რომ აღარ შეეძლო, საკაცურით თურმე დაჰქონდათ ბრძოლის ველზედ ჯარისკაცებს თავიანთი საყვარელი გენერალი. ვანდელები იქაც უმთავრესად ზარბაზნების წართმევას ცდილიყვნენ და რაკი ენახა კლებერს, რომ არტილერია წაართვეს, უკან დაებრუნებინა თავისი ჯარი. გამოქცევით არ გამოქცეულან, მაგრამ დაბრუნდნენ და თან ვანდელები სდევდნენო. ასე იყო თუ ისე, ბრძოლის ველი ვანდელებს შერჩე-

ნოდათ და სრულიად სამართლიანად შეეძლოთ ნიშნი მოეგოთ ჩვენთვის.

ეს დამარცხება ხომ მაწუხებდა და ზედ კიდევ პირადი სევდა ერთვოდა: ჩემი და ლიზა, მარესკო და პატარა კასსიუსი კლებერის ჯარში იყვნენ და იმათი ამბავი არა ვიცოდი რა. ვაი თუ ჩემი დის ურემი დაიჭირეს ვანდელებმა და ორივენი დახოცეს! იმისთანა მხეცები იყვნენ, რომ არც ქალს დაინდობდნენ და არც უსუსურ ბავშვს.

ბოლოს ნელ-ნელა ისევ რიგზედ მოვიდა ჩვენი ჯარის საქმე და მეც, როგორც იყო, მივიღე ბარათი, რომლითაც ნება მეძლეოდა ანჟერს წავსულიყავ და კვლავ ჩემს ბატალიონში შევსულიყავ. რომ არ შემრცხვეს, ოცჯერ მაინც ვითხოვე ეს ბარათი, მაგრამ ჩემთვის ვისა სცალოდა; ბოლოს აღარც კი მეგონა, რომ კიდევ ვნახავდი ივანე სომს, მარკოზ დიეს და სხვა ჩვენებურებს, რომელნიც ძმებივით მიყვარდა. ჯარისკაცისთანა უჯიათი სამსახური ხომ არავის ექნება: დღეს არის და შენთან არის; ამხანაგურად, მეგობრულად გექცევა და შენს მზესა ფიცავს; ხვალ კიდევ გავარდება თოფი, გაჩნდება ბრძოლა და აღარც კი იცის საწყალმა, სად გძებნოს საყვარელი მეგობარი — საერთო ორმოში, რომელშიაც ერთად დამარხეს ყველა მკვდარი, თუ სადმე ბუჩქის ქვეშ მიფარებული და მგლებისაგან გამოხრული!

მივიღე თუ არა ბარათი, მაშინვე გზას გავუდექ. იქვე გზის პირას კარგი ჯოხი მოვჭერ. ძალიან კარგი დარები იდგა ჯერ ისევ, თუმცა შემოდგომის სიცივე უკვე საგრძნობელი იყო და ფოთოლი ცვიოდა. გზაში ყველგან ქანდარმები ირეოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მგზავრებს. ერთ სოფელში ეკლესიის კარებზედ გაკრული აფიშები ვნახე და ძალიანაც ვისიამოვნე, ღვთის წინაშე. ერთი კონვენტის ბრძანება იყო, რომლითაც გამოცხადებული იყო, რომ დღეის შემდეგ ჯარს მარტო ერთი მხედართმთავარიღა ეყოლებაო. მეორე მიშართული იყო თვით ჯარისადმი:

„თავისუფლების მაძიებელნო! აჯანყებული ვანდელები დამარცხებულ უნდა იქმნან ოქტომბრის დამლევამდე. ამაზედ არის დამოკიდებული სამშობლოს კეთილდღეობა და ამას გავალებთ თქვენ ერი და თქვენი ვაჟკაცობა“.

მესამე აფიშა თვით ვანდელებს შეეხებოდა: „ნუ დაუჯერებთ დიდებულთ და ბერებს, რომელნიც ვითომდა ღვთის სახელით მოქმედებენ და კაცისკვლას და სისხლისღვრას კი გიქადაგებენ. იცით, რა ნებავთ თქვენს წამქეზებელთ: ძველებური მეფობა, პატონყმობა და ხალხის დამონავება, რომ თითონ ნადირობის,

ქეიფის და დროს ტარების მეტი საქმე არა ჰქონდეთ რა და თქვენ კი ყურმოჭრილ ყმადა ჰყავდეთ და ძველებურად მეძებარ ძაღლებში სცვალონ თქვენი შვილები. აი, რა ნებავთ დიდებულთ და სულიერ თქვენს მოძღვრებს. ჩვენ კი იმას ვცდილობთ, რომ ყველა გავათანასწოროთ. ყველა გავათავისუფლოთ და ღვთის შექმნილ ადამიანზედ აღარავინ ვაბატონოთ" და სხვა და სხვა.

ძალიან მოგვეწონა ეს აფიშები და მეტადრე კონვენტის ბრძანება, რომლითაც თვის ბოლომდე დამორჩილებული უნდა ყოფილიყვნენ აჯანყებული ვანდელები. ასე ყოფილა და ასე იქნება ყოველთვის ადამიანის შვილი: სწორედ გაჭირებაში დაჰკარგავს ხოლმე თავის ძალის იმედს და ისე მოეშვება, როგორც ჩული; თუ მაშინ გულშემატკივარი არავინ შეხვდა და არ გაამხნევა, წასულია იმის საქმე.

3 ღვინობისთვეს დილით შევედი ქ. ანჟერში. ქალაქი სავსე იყო ჯარებით, რომელნიც კონვენტის ბრძანებისამებრ მზად იყვნენ ვანდეში შესასვლელად. ერთი საათი მეტი ვიარე, მანამ ჩემს ბატალიონს ვიპოვიდი. ჩვენი ბაირაღი უკვე შევნიშნე ერთ ძველ შენობაზედ, მაგრამ ჯარისკაცებს ვერა ვცნობდი და ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავ, როდესაც ერთმა ახალგაზრდა აფიცერმა შემაყენა:

— შენა ხარ, ბასტიენ?! საიდან გაჩნდი, ბიჭო?! აკი იძახდნენ, მოკლესო?

— სომურიდან გიახლებით-მეთქი, — მოვახსენე და მოკლედ ვუამბე ჩემი თავგადასავალი. გარშემო ჯარისკაცები შემომეხვივნენ და იმათში ძლივს ვიცანი ხუთი ჩემი ძველი ამხანაგი, რომელნიც გაშტერებულნი მიყურებდნენ:

— ბიჭო, მიშელ!.. მაშ ცოცხალი ხარ? — და რაკი ნახეს, რომ მართლა ცოცხალი ვიყავ, მოვიდნენ, ხელი ჩამომართვეს და თან გულიანად გადიხარხარეს. შორიდან ივანე სომი გამოჩნდა, რადგან ხმა გავარდნილიყო, მიშელ ბასტიენი მოვიდაო. მოვიდა, მომეხვია, გულში ჩამიკრა და თუმცა არა უთქვამს რა, მე მაინც დავრწმუნდი, რომ წრფელი გულით ვუყვარდი ჩემს მოხუცებულ ამხანაგს.

ბოლოს, როდესაც ყველანი დამშვიდდნენ, მაშინ ამოიღო ხმა და, თითქო სხვებთან ლაპარაკი ეზარებაო, იქვე დუქანში შემიპატიჟა:

— მოდი, მიშელ, ერთი ხელადა ღვინო ჩამოვასხმევინოთ ადამს.

ადამის დუქანი იქვე ახლო იყო და ხალხიც ბლომად იყო შიგ; დავსხედით, ერთი ხელადა წითელი ღვინო მოვატანინეთ და პური გავტეხე თუ არა, მაშინვე ჩემი დისა და პატარა კასსიუსის ამბავი ვკითხე. ვკითხე და თან გული ამიფანცქალდა, ვაი თუ ცოცხალნიც აღარ იყვნენ-მეთქი.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო მიშელ! რომ გამოვბრუნდით დამარცხებულნი, შიგ შუა გულ ჯარში დავინახე ელისაბედ-ქალის ურემი. ცოტა ხანს უკან ისე დავუახლოვდი, რომ მოვიკითხე კიდეც — პატარა კასსიუსი როგორა გყავს-მეთქი. ურემში გატენილი თოფი ედო ელისაბედ-ქალს, ერთი კარგი ხმალი და მერწმუნე შიში არაფრისა ჰქონდა. ხომ იცი ბევრ კარგ ვაჟკაცს გაუჭირდება შენი დის ოდენა.

ძლივს დავიმშვიდე გული! რაკი ჩვენების კარგად ყოფნა გავიგე, დანარჩენისაც იმედი მომეცა და ვიფიქრე: თვის ბოლომდე ვანდელები დამორჩილებული უნდა იქმნენ-მეთქი.

სომმა მიამბო, ჩვენი დამარცხების მიზეზი ნიეკრელი ბატალიონი იყოო; გამარჯვება ჯერჯერობით ჩვენკენ იყო, გავაქციეთ კიდეც მტერი, თან გამოვუდექით და ხოცვა დავუწყეთ. ზარბაზნებთან სადარაჯოდ ნიეკრელი ბატალიონი დავტოვეთ. მაგრამ რაკი გაქცეული დაინახეს მტერი, ზარბაზნები უპატრონოდ დასტოვეს და გაქცეულთ გამოეკიდნენ; ამით ისარგებლეს იქვე მიმალულმა ვანდელებმა. დაეცნენ ზარბაზნებს და სულ ამოხოცეს მეზარბაზნენი; სხვათა შორის, მარკოზ დივეც მოკლეს, კატრავანელი მათეც, მენაღარე ივანეც და ბევრნი სხვანი; ცოტაოდნად მეც დამჭიკნეს, მაგრამ იმ დროს დრაგონები წამოგვეშველნენ; ვანდელები ზარბაზნების წაღებას ჩქარობდნენ და ამგვარად გადავრჩი, თორემ ჯერ მე მომკლავდნენ და მერე დაჭრილებს დაუწყებდნენ ძებნას და ხოცვას. დაჭრილი მკლავში ვიყავ და რადგან საავადმყოფოში სიცოცხლეს გარეთ სიკვდილი მირჩევნია, ექიმს არც ვჩვენებივარ და ღვთის მადლით კარგადა მაქვს ხელიო.

ხელი შეხვეული ჰქონდა, მაგრამ ისე ლამაზად აჰქონდა პირთან ღვინო, რომ ძალიან არ უნდა სტკიებოდა.

საღამომდე იქ დავრჩით და როდესაც ბინაზედ მისვლის დრო მოვიდა, ერთად მივედით და ერთად დავწექით. მეორე დღეს, 5 ღვინობისთვეს, ისევ გზას გავუდექით ვანდელების დასამორჩილებლად.

ჯარი ყველაფრით სრული იყო: თოფ-იარაღით, თოფისწამლით და ბარგით, მაგრამ საუბედურო მეურმეები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ და სულ იმასა ცდილობდნენ, რომ გაგვპაროდნენ როგორმე. თვალი რომ მოგვერიდებინა, ურმებს იქ დაჰყრიდნენ, გაირეკავდნენ საქონელს და შინ წავიდოდნენ. კიდევ კარგი, რომ მტერი არსადა ჩანდა და მე და ჩემი ამხანაგები მეურმეების დარაჯად დაგვაყენეს.

აგერ, ხელმეორედ შევუდექით იმ გზას, რომელიც უკვე გავლი-

ლი გვქონდა. შევედით თუ არა ჭალაში, მაშინვე ვიცანით ნაცნობი ადგილები, მეტადრე ის ადგილი, სადაც ისე სამარცხვინოდ დამარცხდა ჩვენი ჯარი. ჩავიდოდა მზე და ისეთს ღმუილს ასტეხდნენ ხოლმე ბუჩქნარში მგლები, რომ თვალს ვერ მოვხუჭავდით; დაძრწოდნენ ბრძოლის ველზედ ლეშით გაუმაძღარნი და ვინ იცის, რამდენ დაჭრილს შეუმოკლეს სიცოცხლე. საშინელი გძელი ღამეები იყო, გათენებას ველარ ველირსებოდით ხოლმე. მომაგონდებოდა რევოლუციის მოწინააღმდეგე ბერები, რომელნიც სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ხალხი აეღელვებინათ და სისხლის ღვარი ედინებინათ; მომაგონდებოდა შოველის სიტყვები — გაფრთხილდით, ომი სიკეთეს არას დაგვაყრისო; მომაგონდებოდა უსაზღვრო სისულელე ჩვენი ვალენტინისა, — საფრანგეთს გრაფი არტუას მეტი ერთგული კაცი არა ჰყავს და ყველა პატრიოტები ჩამოსაღრჩობნი არიანო; მომაგონდებოდა ეს ყველაფერი და განცვიფრებული ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუ თუ ადამიანის დანიშნულება შეუწყვეტელი ბრძოლა და სისხლისღვრა არის-მეთქი? განა ამას გვასწავლის ჩვენი სარწმუნოება, რომ ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვიყვნეთ? განა იმისთვის მიიღო წამება ქრისტე-ღმერთმა, რომ იმის მოადგილე მღვდლებსა და ბერებს პირადი სიამაყისა და ანგარების გამო ქვეყანა აერიათ და ღვიძლი ძმები ერთმანეთისთვის შეებრძოლებინათ?

როგორც კი დაიძახებდა ვინმე, აგერა რესპუბლიკელი ჯარები მოდიანო, წამოიშლებოდა ხოლმე მთელი სოფელი და ისე გაიხიზნებოდა დიდით პატარამდე, თითქო ურჯულოს ჯარისა ეშინიანთ და იმას გაურბიანო; გაირეკდნენ წინ საქონელს და გარბოდნენ. ხშირად კიდეც ვხედავდით გაქცეულებს, მაგრამ ისე ღმერთი როგორ გაგვიწყრებოდა, რომ ბერებისაგან გაბრიყვებულ საწყალ მუშა ხალხზედ ამოგვეყარა ჯავრი! შევიდოდით სოფელში. საცა კი წყალი იყო, ან ჭა, ან წყარო, ლეშით ამოვსებული დაგვხდებოდა! ძირს მკვდრები და ზემოდან დიდრონი ქვები! ხანდახან ისე შეგვაწუხებდა ხოლმე უწყლობა, რომ ველარ მოვითმენდით და გაბრაზებულნი ცეცხლს წავუკიდებდით სოფელს; უცბად მოედებოდა ცეცხლი სოფელს, მერე გამხმარ ჩადუნას და ბუჩქნარს და ისეთი კაშკაში გაჰქონდა ცას, თითქო ღამე კი არა, კარგი ლამაზი მზიანი დღე არისო.

ირიჟრაჟებდა და გავჩერდებოდით, რომ შეჭამადი გაგვეკეთებინა და ცოტა რამ შეგვესვენა კიდეც. აქეთ-იქით ყველგან დარაჯებს გავამწკრივებდით, რადგან ვიცოდით, რომ კვალდაკვალ მოგვდევდა მტერი და ცხარე ბრძოლას გვიპირებდა, მაგრამ არ ვიცი, ეშინოდათ თუ თავიანთ ჯარებს ელოდნენ, ღვინობისთვის ცხრამდე ბრძოლა

ვერ გაგვიბედეს. ისე რომ ორივე ჩვენი რაზმი შეერთდა და ისე გაუდგა შატილიონის გზას.

ჯარის წინამძღოლად გენერალი შალბო იყო. სხვათა შორის ჩვენს ჯარში იმყოფებოდა გენერალი ვესტერმანი. ვესტერმანი ჩვენებური იყო, დიდად სახელოვანი ვაჟკაცი და ამასთან მთელი ვანდეს კარგად მცნობი; ისე იცოდა ყოველი გზა და ბილიკი, თითქო აქ შეზრდილიაო.

შატილიონში რომ მივედით, ჯარი უკვე გასულიყო და მე და ჩემს ამხანაგებს გვიბრძანეს, — ჯარს მოჰყეთ და ფთხილად იყავით, მტერი ძალიან ახლო არისო. მართლაც, ჯერ არც კი გასულიყო ქალაქიდან ჯარის უკანა ნაწილი, ჯერ ბარგი არც კი დაგვეძრა, რომ შორიდან ზარბაზნის გრიალი მოგვესმა. აგერ, შუადღემ მოატანა, საშინელი ბრძოლა ჰქონდათ ჩვენს ამხანაგებს და ჩვენ კი თავბედს ვიწყევლიდით, რომ უკან ჩამოვრჩით, ბრძოლის მაგიერ იარაღის საწყობში ვიყავით და მეომართ ტყვია-წამალს ვუგზავნიდით! გიჟივით მიდი-მოდიოდა ჩვენი მოხუცებული სომი და სულ კბილებს აკრაჭუნებდა. დავუდებდით ურემზედ ტყვია-წამალს და გავისტუმრებდით ბრძოლის ველისკენ — ეს იყო ჩვენი საქმე!.. ეხლანდელივით მოწყობილი კი არ იყო მაშინ-ჩვენი არტილერია! სად იყო მაშინ დღევანდელი ვეშაპივით ცეცხლისმფრქვეველი ცხენები, საამურად მორთული მხედრები და ყუმბარით სავსე ზარბაზნის ყუთები! ჩემს ყმაწვილ ბიჭობაში ოცნებითაც ვერავინ წარმოიდგენდა ისეთს წესსა და რიგს, როგორიც დღევანდელს, მართლა და საუცხოოდ გაწყობილს, არტილერიაში სუფევს. ხარჯი რომ არ მოემატებინათ ხალხისათვის, ძალიან დავუმადლებდით, რადგან წარსულთან შედარებით დღევანდელი ასია და მაშინდელი ერთიც არ იყო, მაგრამ რა? იმოდენი ხარჯი შეაწერეს ხალხს, რომ ლამის... ამ ისტორიას რომ არა ვწერდე, დიდი სიამოვნებით მოგახსენებდით ჩემს ფიქრებს ხარჯის შესახებ. მაგრამ ჯერ ჩვენი ამბავი განვაგრძოთ, იქნება ესეც მაცადოს ძლიერმა ღმერთმა.

ჩვენ რომ ასე საქმეში ვიყავით, მთელი ქალაქი გარეთ გასულიყო და მთიდან ბრძოლის დანახვას ცდილობდნენ. დარწმუნებით არავინ იცოდა, სად იყო ბრძოლა და ზოგი რას იძახდა, ზოგი რას. ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი ურმები დაბრუნდნენ, და დაჭრილები მოიყვანეს. ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ფეხი ჰქონდა მომსხვრეული... ჩალაზე ეყარენ საწყლები, სისხლში ამოსვრილები. მოვიდოდა ურემი, ჩამოვიყვანდით დაჭრილებს, იქვე ქუჩაში კედლის ძირას მივაწვენდით და ახლა მეორე ურემს მივვარდებოდით,

მესამეს, მეოთხეს... დაერივნენ ექიმები და დოსტაქრები და იქვე ქუჩაში დაიწყეს თავიანთი საზარელი ყასბური ხელობა. ყველგან ყვირილი და კვნესა ისმოდა, ყველგან ხალხი ირეოდა. მივიდოდა დაჭრილთან ექიმი, დაიჩოქებდა, გასინჯავდა... გაისმოდა საშინელი, გულსაკლავი ძახილი უბედურისა, რომელსაც ძვალს უხერხავდნენ, ან ფეხს სჭრიდნენ და თითქო ქორმა წამოუარა ქათმებსაო, ისე შეფრთხებოდა ხალხი. მაგრამ რა დროს შიში და გულისხვეთქა იყო? ექიმები ათზე ერთსაც ვერ გასინჯავდნენ, თუ არავინ დაეხმარებოდა. ვინც კი გულმაგარი იყო, მეტადრე ქალები, ყველანი დაეხმარნენ. მიდიმოდიოდნენ ურმები და საკაცურები, გაფაციცებით საქმიანობდნენ ექიმები და დაჭრილები კი მოდიოდა და მოდიოდა! ყველა სახლები ღია იყო... შევიდოდნენ სახლში და გამოალაგებდნენ, რაც კი საჭირო იყო დაჭრილთათვის — ლოგინს, სარეცხს, წამლებს... თითონ მოქალაქეებს გამოჰქონდათ დაუნანებლივ ყველაფერი და დაჭრილებს აძლევდნენ.

თუ კი დაჭრილები ასე გვებრალება და ასეთი გულუხვნი ვართ, ის არა სჯობია, შევთანხმდეთ ერთმანეთში და ომის ხსენებაც კი ამოვაგდოთ ამ ქვეყნად? ძნელი ომის ამოგდება კი არა, ძნელი კაცთა შეთანხმება არის, თორემ აქამდე კი არ ამოაგდებდნენ? ან როგორ შევთანხმებულიყავით საბრალო ვანდელებთან, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რომ თავიანთ სისხლს სამშობლოს მოღალატეთათვის აქცევდნენ? არც კი იცოდნენ, რომ იმათ ბატონებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, — მთელი ვანდე ინგლისელებს ჩავუგდოთ ხელში და რესპუბლიკელების ჯავრს კი ნუ ჩავიყოლებთო. რა გაეგებოდათ უბედურებს? ისიც კი ვერ გაეგოთ, რომ ბატონყმობის გადაგდებით იმათ თავისუფლება ეძლევოდათ და თავისუფლებასთან ერთად ის უფლებანი, რომლითაც ღმერთმა დიდი ზღვარი დასდო პირუტყვსა და ადამიანს შორის. ვანდელებს არაფერი გაეგებოდათ და რადგან არ გვისვენებდნენ და შეუწყვეტლივ გვმტრობდნენ, ჩვენდა უნებურად იძულებულნი შევიქენით იარაღით გაგვეცა მათთვის პასუხი: ან რესპუბლიკა უნდა დაგვემხობინებინა, ან სულ ერთიანად ამოგვეწყვიტა.

ხუთ საათზედ გენერალი შამო მოასვენეს საკაცურით. სული გზაშივე დაელია ცხონებულს. შიგ ყურის ძირში მოხვედროდა ტყვია; ამბობდნენ, ერთი კი დაიყვირა — რესპუბლიკას გაუმარჯოსო, და დაეცა კიდეცაო. არა მგონია, მართალი იყოს: გენერალი ჩემი თვალითა ვნახე და იმას იმისთანა ჭრილობა ჰქონდა, რომ ხმის ამოღებასაც ველარ მოასწრებდა. ეტყობა, მისმა მეგობრებმა და პატივისმცემლებმა დაიძახეს — რესპუბლიკას გაუმარჯოსო, რადგან ეგ

უნდა ყოფილიყო უკანასკნელი სიტყვები ყოველი ერთგული მამულიშვილისა.

შებინდდა და შეწყდა კიდეც ზარბაზნის სროლა. ურმები ცარიელები დაბრუნდნენ. მოქალაქეებმა მაშხალები აანთეს და ისე გაანათეს ქუჩა, რომ ექიმებს ერთს წამს არ შეუწყვეტიათ მუშაობა. მახლოვს, სრულიად ჩამობნელდა, როდესაც ერთი ცხენოსანი, მოხუცებული, ძალზედ ჭაღარა ჯარისკაცი მოვიდა და რადგან ხალხისაგან გზა იყო შეკრული და ექიმებთან ვეღარ მიაღწია, ჩვენს ახლო შეაყენა ცხენი. ერთმა ჩვენმა ოფიცერთაგანმა ჰკითხა ომის ამბავი და იმისაგან გავიგეთ, რომ ბრძოლა გათავებულიყო და გამარჯვებული ჩვენი ჯარი დარჩენილიყო:

— დიაღ! აგერ ორი საათი იქნება, რაც დამარცხდნენ ვანდელები და გაიქცნენ. ვესტერმანი მისდევს გაქცეულთ და ყლეტავს!

ისეთი დამშვიდებით გველაპარაკებოდა, რომ აზრადაც არავის მოგვსვლია, ეს კაცი დაჭრილი უნდა იყოსო. მაგრამ როდესაც ცხენიდან ჩამოხტომა უნდოდა, ფერი ეცვალა — თურმე შიგ მუცელში იყო დაჭრილი საწყალი — და გული შეუღონდა. მანამ ჩვენი ოფიცერი კაცს გაგზავნიდა ექიმის მოსაყვანად, მან სულიც განუტევა.

ცოტა ხანს უკან შორიდან გამარჯვებული მარსელურიც შემოგვესმა. რაკი ბრძოლა გათავებულიყო, საერო კრების წარმომადგენელნი შოდიო და ბელგარდი ქალაქისკენ წამოსულიყვნენ და, უნდა გენახათ, რა სიხარულით მიეგება წინ ხალხი — რესპუბლიკას გაუმარჯოსო!.. ვანდელებისთვის ჩვენს ჯარს ზარბაზნები წაერთმია და მე და ჩემს ამხანაგებს ჩაგვაბარეს. ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ ეს გვიამა! ძლივს არ ვეღირსენით ნამდვილ, ვაჟკაცურ სამსახურს!

ჩვენდა საუბედუროდ, მკვდრებს დამარხვა უნდოდათ და სხვათა შორის ჩვენც გაგვგზავნეს მკვდრების მოსაძებნად. აოხრებული იყო მთელი არე-მარე: მცხოვრებნი გახიზნულიყვნენ, სოფლები იწოდა და სასტიკი ბრძანება გვქონდა — კარგად გასინჯეთ, რომ ცოცხალი, თუნდა სულთმობრძავიც იყოს, არავინ დაგვრჩეს ბრძოლის ველზედაო. რა გაგვეწყობოდა, ახლა ამ საქმეს შევუდექით... ღმერთმა ჩემს მტერს ნუ აჩვენოს ის საშინელება, რაც ჩვენ იმ დღეს ვნახეთ! ამას კი აღარ აგიწერთ, რადგან ასაწერადაც კი საშინელი და საზიზღარია! ეგეც რომ არ იყოს, დაწვრილებით რომ ავწერო ყველაფერი, რაც ამ ომში გადამხდა, ჩემს დღეში ვეღარ გავათავებ ამ ისტორიას... მთელი ის დღე, 10 ღვინობისთვეს, დახოცილების დამარხვას მოვუნდით; გავთხრიდით უშველებელ ორმოს, შიგ წყობისად ჩავასვენებდით უბედურებს და მიწას მივაყრიდით.

დაჭრილები ქალაქისკენ გავგზავნეთ, დიდძალი ჯარი დაეძებდა დაჭრილებს და მკვდრებს. მაგრამ იმისთანად იყო მოდებული ჩადენა, რომ იქნება ერთ კვირასაც ვერ მოგვევლო იქაურობა, არამც თუ ერთ დღეს.

დაბინდდა, დაბნელდა, ის იყო დასვენებას ვაპირობდით, რომ შორიდგან საშინელი ხმაურობა შემოგვესმა და ცოტა ხანს უკან ჯარიც გამოჩნდა, ჩვენი ჯარი. ოღონდ თქვენს მტერს, რა ცუდი სანახავიც ის იყო! ერთმანეთში არეულიყვნენ ქვეითა ჯარი და ცხენოსნები და ისე მორბოდნენ, თითქო უკან გამარჯვებული მდევარი მოსდევთო! ისე იყვნენ შეშინებულები, რომ ვერც კი ხედავდნენ, რომ არავინ მოსდევდათ. ბევრს უყვიროდნენ უფროსები, მაგრამ ვიღას ესმოდა იმათი ხმა! მოცვივდნენ, სოფელი გადირბინეს და ძლივს-ძლივობით გაგვაგებინეს, რომ ვანდელებს დიდი ჯარები შეუკრებიათ და, როდესაც ჩვენ ბრძოლის შემდეგ განცხრომაში ვბრძანდებოდით, უცბად მოგვეჭრნენ და რომ არ გამოვქცეულიყავით, სულ ერთიანად ამოგვხოცდნენო! ისე წამოსულიყვნენ, რომ ბანაკი, ბარგი და ზარბაზნები ვანდელებისთვის დაეტოვებინათ.

კიდევ კარგი, რომ ჩვენ იმათ მოსვლამდე გავათავეთ ჩვენი სადილი, თორემ შიმშილით დავიხოცებოდით; დაერივნენ იქაურობას და რაკი ვერა იპოვეს რა, დაიძახეს, ქალაქს წავიდეთო. მაგრამ ამ დროს საიდანღაც გაჩნდა გენერალი ვესტერმანი თავის ცხენოსნებით და ისეთი ხმით შეუტია, რომ შეაყენა იმოდენა ჯარი; ახლა ოფიცრები ჩაერივნენ და, როგორც იყო, ჩააგონეს, რომ ქალაქს მისვლა და მთელი ჩვენი ჯარის დაღუპვა ერთი იქნება, რადგან გაქცევას ყველანი არ იკადრებდნენ და ვინც დარჩება, უთუოდ დამარცხდება: ვაყაცობით თუ არა, რიცხვით გვაჯობებენ ვანდელებიო. იმდენი უთხრეს, იმდენი შეარცხვინეს, რომ, როგორც იყო, დაამშვიდეს შეშინებული ხალხი და თავ-თავის ალაგას დააყენეს ყოველი რაზმი.

საკვირველი ის იყო, რომ მტერი არსად ჩანდა. ყველგან დარაჯები გვეყენა და ერთი ბეწვა ხმაურობა რომ მოგვსმენოდა, ყველანი ფეხზე წამოვხტებოდით; ჯარი მიწვა და კურდღლის ძილით მიიძინა; ოფიცრები ცეცხლს შემოუსხდნენ და ჩუმი ხმით საუბრობდნენ. უცბად შუაღამისას საშინელი ალი ავარდა ცაში. არიქათ, ბიჭებო, შატილიონი იწვისო! — დაიყვირა ვიღაცამ და ისე აიშალა იმოდენა ჯარი, თითქო ერთი კაცი ყოფილიყოს; ავისხით იარაღი და წასასვლელად გავემზადენით, მაგრამ ეტყობოდა, ჩვენს წინამძღოლებს არაფერად მოსწონდათ ხელახლა ბრძოლის ატეხა და ჯერჯერობით მარ-

ტო ერთი რაზმი გაგზავნეს, — წადით, ნახეთ, რა ამბავია, ან რას ასდის იმოდენი ალიო? როდესაც ინათა, მაშინ გავიგეთ ჭეშმარიტად ყველაფერი: ვესტერმანს ისე სწყენოდა ვანდელი გლეხებისაგან ჩვენი ჯარის დამარცხება, რომ მოსვენება თურმე აღარა ჰქონდა; უკვირდა კიდეც, — რომ გვაჯობეს, რატომ არ ისარგებლეს გამარჯვებით და მდევარი არ გამოგვიყენეს, ხომ სულ ერთიანად ამოგვიწყვეტდნენ შეშინებულ ხალხსაო? ალბათ იმიტომ არ მოგვდიეს, რომ გამარჯვებულნი ქალაქ შატილიონში შევიდნენ და საშოვარს გამოეკიდნენ; მგონი, ისე აიკლეს იქაურობა, რომ მარანში ღვინო აღარსად დააყენეს და დუქნებში საქონელიო... თან სულ ორასი რჩეული ბიჭი თურმე წაიყვანა, შევიდა შუაღამისას შატილიონში და დაიწყო ვანდელების ხოცვა. ისე ეყარა თურმე ქუჩებში მთვრალი ხალხი, რომ აღარავითარი გრძნობა არა ჰქონდათ; ვისაც ცოტა კიდევ შერჩენოდა გონება, თოფის სროლა თურმე დაიწყეს, მაგრამ ისე იყვნენ ღვინით და არყით გალექილები, რომ მტერსა და მოყვარეს ვეღარ არჩევდნენ და ერთმანეთს ესროდნენ. ქალაქი იწოდა. ქუჩებში ერთად დიოდა სისხლისა და ღვინის ღვარი.

აი, რა საშინელება მოსდევს ლოთობას და უგუნურებას.

ცხრა საათი იყო, როდესაც ქალაქში შევედით და ეს საზიზღარი სურათი ვნახეთ. ჩვენმა ჯარმა ისევ ისე უვნებლად ჩაიბარა თავისი ზარბაზნები; ვანდელებს მარტო ბარგი აეშალათ და დაეტაცნათ, სხვა ყველაფერი ხელუხლებლად დაგვხვდა. გზის პირას თოფის წამლით დატვირთული ურმები იდგა და რადგან მეურმეები გაპარულიყვნენ, ჩვენ მოგვანდეს თოფის წამლის ზიდვა და დარაჯობა. საქმე ის იყო, როგორ გაგვეტარებინა თოფის წამალი ქალაქში, როდესაც მთელ ქალაქს ცეცხლი ეკიდა და ყოველი ბანიდან მუგუზლები ცვიოდა? ქალაქს გარშემოვუარეთ და კარგა დიდ მანძილზედაც, რადგან საშინელი ქარი ქროდა იმ დღეს და ძალიან შორს მიჰქონდა ნაპერწკლები. მივდიოდი და თვალწინ მიდგა ქალაქის ქუჩა და ზედ შუაზე მთვრალი ვანდელები; სისხლის ღვარი და ცეცხლწაკიდებული სახლები. თავით-ფეხამდე ჟრუანტელი მივლიდა, მეგონა, ცოცხლები არიან და ცეცხლი ეკიდებათ-მეთქი.

საშინელებაა ძმათა შორის ომი, და მართლა საზიზღარი ქმნილება უნდა იყოს ადამიანი, რომ ამისთანა უდიერებას ჩადიოდეს. კიდევ კარგი, რომ საწყალ ხალხს ყოველთვის პირადი ინტერესებით გატაცებული და დაბრმავებული გაიძვერა გაიტაცებს და გააბრიყვებს ხოლმე, თორემ, ძმათა შორის ომს რომ თვით ხალხი იწყებდეს, სიცოცხლე საშინელ ტვირთად შეგვექნებოდა; ამ გაიძვერების წყა-

ლობითა გვჭირს აძოდეხა უბედურება, თორეშ თითონ ხალხი გულ-კეთილი და მადლიანია; ცოტა რამ განათლება აკლია, რომ თვალი აახილოს და მტერ-მოყვარე იცნას თორემ... მაშინ ვნახავთ, კიდევ ასე ადვილად გააბრიყვებენ მას გაიძვერები!

ვესტერმანი თავისი მხედრებით იქვე დარჩა დასასვენებლად და ჯარი კი შოლეს გზას გაუდგა; საერო კრების წარმომადგენელი ფოიო ჩვენს რაზმთან მოდიოდა. სამწუხაროდ, ძალიან ნელა მივ-დიოდით, რადგან გვეშინოდა ჩასაფრებული არსად ყოფილიყვნენ ვანდელების ჯარები. ამბობდნენ, სტოფლე, დიურივო და ბოვალიე თავიანთ ჯარებით აქვე არიან და შესაფერ შემთხვევას ელიან, რომ ბრძოლა დაგვიწყონო.

მეორე დღეს დილაადრიან ზარბაზნის ხმა მოგვესმა შორიდან. ალბად იბრძვიანო, გვინდოდა მივშველებოდით, მაგრამ იმისთანა უგზო-უკვლო ალაგას ვიყავით, რომ ცარიელი კაციც ძლივს გაივ-ლიდა, არამც თუ ზარბაზნები გადაგვეტანა. მეორე დღეს გავიგეთ მარტო იმ სროლის მიზეზი: უნიფხოთა გენერალი ლეშელი შებმოდა ვანდელებს და ძალიანაც დაემარცხებინა. მივუახლოვდით შალონს, და რადგან იქ ჯერაც არ შეწყვეტილიყო სროლა, ჯარი წინ გაის-ტუმრეს და ჩვენ კი ბარგთან დაგვტოვეს — როგორც გენებოთ, ისე წამობრძანდითო!

ძალიან გვეწყინა, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა დავმორჩილე-ბოდით ჩვენს ბედისწერას. მივვარდით გაბრაზებულები და საქონელ-ზედ ამოვიყარეთ ჯავრი: სახრეები ზედ დავამტვრიეთ, რაც კი ქვე-ყანაზედ გინება არის და არ არის, ყველა მაშინ მოვიგონეთ და გული კი მაინც ვერ მოვიოხეთ. იმოდენ ბარგს სულ ორასი კაცი აღარ დაუ-ტოვეს დარაჯად და ვანდელებს რომ იქ ჯაშუშები ჰყოლოდათ და დროზედ შეეტყოთ ეს გარემოება, ისე წაგვართმევდნენ ყველაფერს და ისე ამოგვხოცავდნენ, რომ ამბის წამღებიც არავინ გადარჩენი-ლიყო. მაგრამ საცა ომი იყო, ყველა ვანდელებიც იქ უნდა ყოფი-ლიყვნენ და ჩვენც სწორედ ამან გვიხსნა განსაცდელისაგან.

ბოლოს, როგორც იყო, ქალაქსაც გადავხედეთ. სროლა შეწყვე-ტილიყო, მთელი ჩვენი ჯარი გაჩერებული იდგა ერთ ბორცვზედ და მარტო ცხენოსნები მისდევდნენ გაქცეულ მტერს. იქვე ჩვენს გვერ-დით, სულ სამასი ნაბიჯის მანძილზედ, მაინცელი რაზმი იდგა. ტანი-სამოსი იგივე ეცვათ, რაც ყველა სხვა რაზმებს, მაგრამ შევხედეთ თუ არა, მაშინვე ვიცანით ჩვენი ძველი ამხანაგები, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ივანე სომმა დაიყვირა:

— აგერ, ჩვენები!.. აბა, ახლაც მოგვაქციონ ბოლოში!

ჩემთვის ხომ ერთიორად სასიამოვნო იყო ჩვენების პოვნა, რადგან ჩემი და ლიზა იმათში იმყოფებოდა და ეხლა მაინც გავიგებდი მარესკოს და პატარა კასსიუსის ამბავს. მთელი ჩვენი ჯარი შეერთებული იყო ამ ბრძოლაში. ჩვენი რაზმის წინამძღოლს ჟორდის გენერლობა მიეღო და, გვერდზედ რომ ჩამოგვიარა, სალამი მივეცით:

— გამარჯვება გენერალს! ძმობა და გამარჯვება!

იმანაც მაშინვე გვიცნო და შემოგვცინა:

— თქვენა ხართ, ჩემი ძველი ყოჩაღები?! საიდგან გაჩნდით?

— ბარგთან გახლდით, ჩემო გენერალო, — მივუგე მე, — და ახლა გვაკმარეთ ამოდენა სირცხვილი და ისევ ჩვენს რაზმში გვამყოფეთ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — დამპირდა ჟორდი და გააქროლა ცხენი. ცოტა ხანს უკან ბარგთან სხვები დააყენეს. ჯერ ხეირიანად არც კი გავსწორებულიყავით, რომ მოვიდა ჩვენი ჟორდი და გვიბრძანა, წამომყევითო. ბორცვი ჩაგვატარა, და თითქმის ქალაქამდე მიგვიყვანა. ხიდთან ექვსი ზარბაზანი იდგა; მეზარბაზნები თურმე აკლდათ. მეზარბაზნეთა წინამძღოლი გენერალი მარსო წინ მოგვეგება და, რომ გაიგო, მაინცელი ჯარისანი არიანო, ძალიან იამა და გვითხრა:

— გიშველათ ღმერთმა! ახლა კი გვიფთხილდეს მტერი. მგონი ერთიც აღარ ავაცდინოთ!

ესეც კმარა ჯარისკაცის ჯილდოდ! მართლაც და, კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევთ, ისე დავუმიზნებდით ხოლმე ივანე სომი, იაკობ ჰააგი და მე, რომ არ მახსოვს, ერთხელ აგვეცდინოს. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს სიტყვები, რადგან მე იმ აზრისა გახლავართ, რომ ღირსეულს ქებაც უნდა და დაჯილდოებაც.

პარიზელი შეთქმულები იქვე ახლო იყვნენ და დაბინდდა თუ არა, მაშინვე ჩემი დის სანახავად გავეშურე. ჩვენებს არავის ვუთხარ, მივდივარ-მეთქი, მაგრამ ივანე სომი მიმხვდარიყო და უკან გამომდევნოდა. იქ რომ მივედი და დავინახე ჩემი და ლიზა თავისი ბიჭით კალთაში, კინაღამ გავგიჟდი სიხარულით. გარს პარიზელები შემოსხდომოდნენ, ჩიბუხს აბოლებდნენ და პოლიტიკურ ახალ ამბებს ლაპარაკობდნენ. გიჟივით შევვარდი და დავიყვირე:

— გამარჯვებათ თქვენი! რესპუბლიკას გაუმარჯოს!

შეშლილსავით ვიყავ, ხან ვტიროდი, ხან ვიცინოდი.

— მიშელს გაუმარჯოს, მიშელს! — ყვიროდნენ პარიზელები, — სად იყავ, ვეჟო! შენი მიშელ, ელისაბედ-ქალო! ადე და გადაჰკოცნე!

წამოდგა ლიზა, პატარა მხარზედ გადიგდო და დამიწყო კოცნა;

თან ცხარე ცრემლით ტიროდა. მაშინ გამოაჩნდა ლიზას ჩემი სიყვარული. და და ძმა, ვიძახდი ჩემს გულში, როგორ არ ვეყვარები. მეც რომ მოვეკალით, ჩვენებური ერთიც აღარავინ ეყოლებოდა ამოდენა ჯარში!

— იცი, მიშელ, მაშინ ვიგრძენ შენი სიყვარული, როცა შენი სიკვდილი მითხრეს.

მარესკოსაც ძალიან ეამა ჩემი მისვლა. მერმე სომი მოვიდა და ახლა მას მიეგებნენ იმავე სიხარულით. ძველი მეგობრისთანა კარგი ხომ არა იქნება რა ამ ქვეყნად, რომ ჭირშიც ერთად ყოფილიყვეთ და ლხინშიც. ახლად შეძენილი კი ბევრი არაფერია!

გვინდოდა მთელი ღამე ერთად გაგვეტარებინა, მაგრამ საყვირის ხმა მოისმა და წამოვიშალენით კიდეც; ხვალ სადილად ჩვენთან იყავითო, დაგვიძახეს. ის კი არ ვიცოდით, რომ ხვალ საშინელი ბრძოლა მოგველოდა; დამარცხებული ვანდელები ბოპრეოში თურმე იკრიბებოდნენ. მაგრამ ტყუილიღა იყო იმათი ცდა, ამაოდ ჩაუვლიდათ ყველაფერი: ძლივს ისე შევიმწყვდიეთ, როგორც ჩვენ გვინდოდა — ჩვენსა და მდინარე ლუარს შუა... ცარიელ მიწაზედ ვიწვექ, თავქვეშ ცხრილივით დახვრეტილი გუდა მედო და ზედ დაგლეჯილი ფარაჯა მეხურა, მაგრამ ისე მეძინა, თითქო ყუითუკში ვყოფილიყავ. გული დამშვიდებული მქონდა ლიზას ნახვით და სიზმარში სულ ხვალინდელ სუფრასა ვხედავდი: უზარმაზარი ჯამი მედგა წინ და ისე ჩამეყარა პური, რომ ჯარისკაციკით ამართული იდგა შიგ კოვზი. სავსე ყანწი აჩქარებით უვლიდა სუფრას და ისე მოეშურებოდა, რომ ულვაშის მოწმენდას აღარ მაცლიდა.

რა ტკბილი სიზმარი იყო!

საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. მთელი ღამე სულ ის ამბავი მოჰქონდათ ჩვენს მზვერავებს, რომ მტერი ბოპრეოში მაგრდება და იქ გვიპირებს ლოდინსაო. გენერალ ლეშელს სჯეროდა ეს, მაგრამ კლებერი იძახდა, ეგ შეუძლებელია და სულ თავზედ ხელაღებულნი უნდა იყვნენ, რომ იქ დარჩნენ წყლის პირას და ლოდინი დაგვიწყონო. და მართლაც, ვანდელ ხალხს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ თუ ერთი უმუხთლა ბედმა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, წყალს ვეღარსად წაუვიდოდნენ და ამიტომ ყოველი საშუალება უნდა ეხმარათ, რომ გაერღვიათ როგორმე ჩვენი ჯარები და ისევ თავიანთ ბუჩქნარში და აყრილ ჩადუნაში დამალულიყვნენ. ლეშელს ეგონა, რაკი გლეხკაცები არიან, ამდენს ვერ მოისაზრებენო, მაგრამ საქმე ის არის, უგუნური არ გეგონოს მტერი, თორემ ვაი შენი ბრალი. მეო-

რე დილას, გათავდა თუ არა სამხედრო ბჭობა, ბრძანება გამოვიდა, ისე დალაგდეს ჯარი, რომ ჩიტიც კი ვერ გადააფრინდესო.

იმ დღეს იყო, რომ მთელს ჯარს დაუარეს ცხენოსნებმა და ყველა რაზმს დაბეჭდილი ქაღალდები დაურიგეს. აი, რასა სწერდა კონვენტი ვანდეში მყოფ თავის ჯარს:

„რესპუბლიკელნო,

აჯანყებული ლიონი დაიმორჩილა რესპუბლიკამ; გამარჯვებული ჩვენი ჯარი უკვე შიგ იმყოფება და სასტიკადა სჯის ყოველს მოღალატეს; ღირსეული სასჯელი მოელის ყველას, ვინც სიტყვით თუ საქმით ცდილა ძველი მეფობის და მტარვალობის შემოღებას, ვანდეღა აკლია გაბრწყინვალებულ სამშობლოს და თქვენც უნდა გაიმარჯვოთ, ვანდეში მყოფნო! კმარა, რაც ხანი შეაწუხა ვანდელმა ხალხმა რესპუბლიკა! კმარა! მიდით, დაჰკარით და გაათავეთ! ჩვენი მტრები ყველანი ერთად უნდა იქმნენ დამარცხებულნი! მიდით და დაამარცხეთ, ვანდეში მყოფნო! ნუ თუ ყველა ჩვენს ჯარებზედ უკან თქვენ უნდა იყვნეთ? ამოსწყვიტეთ აჯანყებულნი, დაიმსახურეთ სამშობლოსაგან დიდება და განაძლიერეთ რესპუბლიკა! როდის უჯობნია პატიოსან ვაჟკაცისთვის მოღალატეს, რომ ახლა აჯობოს? რას ელით, რას აყოვნებთ? გაიხსენეთ, რომ ეგღა აკლია სამშობლოს დიდებას, მიდით, მუსრი გაავლეთ მიგ ველურ ბრბოს და მიწის პირიდან აღგავეთ ის, რასაც დღეს ვანდეს უწოდებენ!“

იმისთანა ხმით შესძახა მთელმა ჯარმა — რესპუბლიკას გაუმარჯოსო, იმისთანა აღტაცებით მიეგება ყველა საერო კრების ბრძანებას, რომ თითქო ცხენებმაც გაიგეს რამეო, ყალყზედ ადგენ და ჭიხვინს მოჰყვენ. საკვირველი რამ ყოფილა ბრძოლის ჟინი, თურმე საქონლის გატაცებაც კი შესძლებია. საკვირველი რამ ყოფილა, მაგრამ საშინელიც ყოფილა და ღმერთმან ინებოს, რომ ჩვენი ჯარები შემდეგშიაც იმისთანა წმინდა რასმე მსახურებდნენ, როგორიც არის მტარვალობის ამოგდება და ადამიანთა გათანასწორება და იმედია, გამარჯვება ყოველთვის ჩვენსკენ იქნება.

ბოლოს, როგორც იყო, დამშვიდდა ჯარი. ხმა გავარდა, ვანდელები სამ რაზმად მოდიან საბრძოლველადო. ჩვენც ეგ გვინდოდა და მზადებას შევუდექით.

ვანდელების პირველი რაზმი შუადღის უკან გამოჩნდა, პირველ საათზედ. შორს, შორს პატარა ეკლესია მოჩანდა და მის ირგვლივ ჭიანჭველასავით ირევოდა ხალხი. ტყვეებმა გვიამბეს მეორე დღეს,

ეკლესიასთან იმიტომ დაგინახავთ ხალხი, რომ მთელი ჯარი აქ იყო და ღმერთს გამარჯვებას შესთხოვდაო; მწირველი რესპუბლიკის მოწინააღმდეგე მღვდელი მ. ბერნიე ჰყავდათ, რომელიც შემდეგში იმპერატორის უგულითადეს მეგობრად ითვლებოდა. წირვის შემდეგ ბერნიემ გამარჯვება აღუთქვა ვანდელებს და სასუფეველი ღვთისა იმათ, ვინც თავს დასდებდა ღვთისა და მეფის გულისთვის. ორმოცი ათასი კაცი იქნებოდა მეომარი და გარდა ამისა თან ჰყავდათ მოხუცებულები, ქალები და ბალღები.

სამ რაზმად წამოვიდნენ ვანდელები. ჩვენი ჯარი ისე იყო გაჩუმებული, თითქო აქ აღარც კი არისო. მშვენიერი დღე იყო; შორიდან მოსულ ხმაურობაში ჯერ ვერას ვარჩევდით, მაგრამ რაკი მოგვიახლოვდნენ, დავრწმუნდით, რომ ლოცვით და გალობით მოდიოდნენ, თითქო ლიტანიას უვლიანო; აქა-იქ ცალკ-ცალკე გაისმოდა ხოლმე — ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო!.. მოგვიახლოვდნენ; ისე იყვნენ აღგზნებულნი ეს ცრუმორწმუნენი, რომ იმისთანა საზარელი ჩემს დღეში არა მინახავს რა. გავარდა ზარბაზანი, ატყდა თოფის სროლა, გაისმა სამხედრო ძახილი და გაჩნდა ხელჩართული ბრძოლა.

მე და ჩემი ამხანაგი მეზარბაზნენი მარცხენა მხარეს ვიდექით, სულ ორი ათას ხუთასამდე კაცი და ჩვენსკენ, სულ ნაკლები რომ ვთქვა, ოცი ათასი მაინც მოდიოდა. მოდიოდა ზღვასავით ხალხი, დავუმიზნებდით ზარბაზანს, ასობითა ვხოცავდით და ისინი კი სულ წინ მოიწევდნენ და თან გაშმაგებულნი — ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! გაიძახდნენ.

აგერ ორმოცდაათი წელიწადი გადის მას შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში ბევრისაგან გამიგონია ამ ბრძოლის შესახებ სჯა; ზოგნი ამბობენ, ვანდელებმა ძალიან კარგი ქნეს, რომ რაზმებად დაეწყვნენ და მხედრული წესით მიუხტნენ რესპუბლიკის ჯარებს; ეტყობა, დიდი ნიჭის პატრონი ყოფილა მათი მხედართმთავარი ბონშანიო. ზოგნი კიდევ სულ წინააღმდეგს გაიძახიან: მაგაზე მეტს სისულელეს ვერას იზამდნენ და კიდეც მაგან მოსტეხა კისერი, რომ მხედრულ წესრიგს უჩვევი ხალხი რაზმებად დააწყვეს და ისე მირეკეს ზარბაზნის ტუჩქვეშ, თითქო საყასბო საქონელი ყოფილიყოსო...

მე კიდევ ჩემსას მოგახსენებთ, რადგან ამ აზრთაგანი ერთიც მტკნარი სისულელეა და მეორეც: რა ნებავდათ ვანდელებს? თავიანთ თვალგადაუწვდენელ ბუჩქნარში დაბრუნება; ჩვენი ჯარის გარღვევა, რომ სამშვიდობოში გაეყვანათ მოხუცებულები, ქალები და ბავშვები. აი, მათი განძრახვა. და ჯარის გასარღვევად ხომ მარტო

ის არის საჭირო, რომ ერთ ალაგას მიაყენო, რაც კი ძალა გაქვს, და სულ იქით მიგზავნო, რაც ხალხი გყავს. რა გამოვიდოდა, რომ გაშლილიყვნენ და ისე მოგვსევოდნენ? ვერც სადმე ჩვენს ჯარს გაარღვევდნენ და ძალიანაც დააზიანებდნენ მათ ჩვენი ცხენოსნები. გზის გაკვლევა უნდოდათ, სხვა არაფერი... იმისთანა ძალით მოგვესივნენ, რომ ცოტა არ იყოს, შეგვანძრიეს კიდეც, მაგრამ სწორედ ამ დროს წამოგვეშველა მაინცელი რაზმი და, როგორც იყო, შევიმაგრეთ იმდენი ხალხი. რაკი ნახეს, რომ მარცხენა მხარეს ვერა გააწყეს რა, იხუვლეს და ყოვლად მოულოდნელად შუა მხარეს მიესივნენ; იქაც ცუდად იყო საქმე, მაინცელები რომ არ ჩაშველებოდნენ.

იმავე დროს გამოჩნდა ტყის პირიდან ვანდელების მესამე რაზმი და ღმერთია მოწამე, რომ იმაზედ საცოდავი მე ჩემს დღეში აღარა მინახავს რა. არეულად მოდიოდა იმდენი ხალხი, თოვლივით გათეთრებულ მოხუცს ბავშვი უდგა გვერდით, ზოგი იძახდა — ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! ზოგი კიდევ მაღალი ხმით ლოცულობდა. რაზმი კი არა, გროვა იყო საბრალო ხალხისა, რომელიც ზღვის ტალღასავით მოდიოდა ჩვენსკენ.

იმავე დროს უკან გაგვიარეს გენერალმა მარსომ და სხვა აფიცრებმა და ყველგან ბრძანება გასცეს:

— დეე, მოგვიახლოვდნენ! ფრთხილად! ყური უგდეთ ბრძანებას!

ზარბაზნები დატენილი გვქონდა, პატრუქი ანთებული და მიზანში ვიღებდით ჩვენსკენ მომავალ ხალხს.

— მოდით რაღა, ვეჟო! გაისმოდა ხან აქედან და ხან იქიდან ვანდელების ტალღაში.

გავარდა ჩემი ზარბაზანი და, თითქო ცელი მოუქნიეს ყანასაო. ისე დაწვა ხალხი; მაგრამ თვალის დახამხამების უმალ ისევ წინ წამოიწია. სულ სამჯერ ნაბიჯზედღა იქნებოდნენ. გაისმა ბრძანება — ესროლეთო! და რვა ზარბაზანი ერთად დავახალეთ საწყლებს. სწორეთ ქუჩა გეგონებოდათ, ისე გაევლოთ ყუმბარებს. ერთს წამს შესდგნენ უბედურები, ეტყობოდათ არ მოელოდნენ, რომ ასე დაზარალდებოდნენ; მაგრამ ჯერ ჩვენ ზარბაზნები არ დაგვეტენა, რომ კვლავ შეკრეს რაზმი და წინსვლა დაიწყეს; ისე გადმოთელეს იმოდენა მკვდრები, თითქო ადამიანზედ კი არა, უბრალო ბალახზედ დადიანო. ორასი ნაბიჯი აღარც კი იქნებოდა ჩვენს შუა და იმისთანა სისწრაფით მოიწევდნენ წინ თოფგამოწვდილები, რომ ვიფიქრე. ახლა კი დავიღუპეთ, ჩვენ ამათ ვერ შევაყენებთ-მეთქი.

სწორედ ამ დროს წამოგვირბინეს წინ ცხენოსნებმა და იმისთანა ხელჩართული ბრძოლა გამართეს, რომ იტყოდით, მხეცები დარევიან

ერთმანეთს და სისხლით ვეღარ ძღებიანო. ამით ვისარგებლეთ და მსწრაფლ გავტენეთ ზარბაზნები. გავტენეთ თუ არა, მაშინვე აქეთ-იქით წავიდნენ ცხენოსნები და ჩვენ ისევ ზარბაზნები დავცალეთ. ამას კი ვეღარ გაუძლეს ვანდელებმა და ისე დაიფანტნენ აქეთ-იქით, რომ აღარც მეფე აგონდებოდათ და აღარც უფროსების ბრძანება. ერთი მათი წინამძღოლი გიქივით დააქროლებდა თავის ცხენს, ხან აქეთ ეცემოდა და გაქცეულებს რაღასაც უყვიროდა, ხან იქით, მაგრამ ყურს აღარავინ უგდებდა. ჩვენ რომ მაშინვე მივყოლოდით, ადვილად მოვუღებდით ბოლოს. ვესტერმანი რომ იქ ყოფილიყო, იმან იცოდა, რასაც იზამდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არ მოსულიყო და ჩვენმა გენერლებმა კი ვერა გაბედეს რა. გარბოდნენ ვანდელები და ის საწყალი წინამძღოლი კი მაინც არ იშლიდა თავისას და შეშინებული ხალხის შეყენებას ცდილობდა.

მაშინ კი შეაერთეს ვანდელებმა სამი რაზმი და ამ შეერთებულს ძალით წამოვიდნენ ჩვენსკენ; წინ ზარბაზნები გამოაწყეს და დაგვიწყეს სროლა. დაენახა თუ არა მათი მოძრაობა კლებერს, მაშინვე მიმხვდარიყო მათ განზრახვას და საჩქაროდ ჩვენსკენ წამოვიდა. ჩადგა შუა რაზმში და დაგვიყვირა:

— აბა, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო! ცოტა კიდევ და სულ ლუარში ჩავახრჩობთ მაგ ბინძურებს! რესპუბლიკას გაუმარჯოს! და ჩვენც ერთხმად შევძახეთ — რესპუბლიკას გაუმარჯოსო!

კლებერი იცინოდა, მის უკან მდგომი ოფიცრებიც იცინოდნენ, მაგრამ ვაი ამ სიცილს: ცაში ფუტკარივით ირეოდა ზუზუნა ტყვია და აქეთ-იქით პანტაპუნტით ცვიოდა ხალხი. მე რომ მკითხოთ, იმ დროს სიცილს ის მერჩივნა, რომ წინ გავსულიყავ და შეებმოდი ვისმე. კლებერი კი იმისთანა მხიარულად იყო, იტყოდით ქორწილიდან მომავალი ელზასელიაო. გუშინ თურმე გენერალი მარსო ყოფილიყო მასთან მოსაკითხად და დღეს კლებერმა გადაუხადა პატივისცემა და ბრძოლის დროს მივიდა მასთან. იმისთანა მხიარული ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს, რომ ყველას იმედი მოგვეცა გამარჯვებისა და გულდამშვიდებულნი ვიძახდით:

— ღმერთი მოწყალეა! ისე გავუმაგრდებით ამ ბრბოს, როგორც კაჟი და რესპუბლიკას კი არ შევარცხვენთ!

კარგმა გენერალმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ მთელი ჯარი იმას შესცქერის და, რაც უნდა დიდ მანძილზედ იყოს, მაინც კარგად ხედავს ყველაფერს. ხშირად გამარჯვება გენერლის სახის გამომეტყველებაზედ არის დამოკიდებული და კლებერმაც ძალიან კარგად იცოდა, რასაც სჩადიოდა.

ამ დროს დაიძრნენ კიდეც ვანდელები, ახლა კი ერთ რაზმად; წინ მოუძღოდნენ თავიანთი წარჩინებული მხედართმთავარნი, სახელდობრ დელბე, ბონშანი, ლაროშჟაკლენი, სტოფლე და ხალხს ამხნევებდნენ. თოფის ხმას გრიალი გაჰქონდა. აღარც ყვიროდნენ, აღარც ლოცულობდნენ, მოდიოდნენ ხმაგაკმენდილნი და უღმერთოდა სრესდნენ მკვდრებს და დაჭრილებს. უკანასკნელი ცდაღა უნდა ყოფილიყო ეს ცდა, უკანასკნელი ცდა სასოწარკვეთილი ხალხისა. გავარდა თუ არა ჩვენი ზარბაზნები, მაშინვე გაჩერდნენ, გაცილებით უფრო შორს, ვიდრე პირველად და, თუმცა გეესროდნენ, წინ სვლას კი ვეღარა ბედავდნენ. ცოტა ხანი იდგნენ ასე და, რაკი წინამძღოლები სადღაც მიიმალნენ, დაიშალნენ და ზურგი გვიჩვენეს.

გაიქცნენ და დავედევნენით გაქცეულთ! დავძახეთ მარსელური და მხიარული ძახილით და ყიჟინით შევერიენით იმდენ ხალხს. ვესტერმანიც სწორედ იმ დროს მოვიდა და რადგან გაჯავრებული იყო, რომ ბრძოლას დასცდა, ჯავრი გაქცეულ ვანდელებზედ იყარა და ისე დაერია თავისი ცხენოსნებით, როგორც ქორი წიწილებს. შებინდდა. გვეგონა, გათავდა ომიო, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოგვიბრუნდნენ დამარცხებულნი და — ხომ ვიხოცებით და ვიხოცებით, ძვირად მაინც დაუსვათ მტერს ჩვენი სიკვდილიო! — იმისთანა მედგრად შემოგვიტიეს, რომ გაოცებულნი დავრჩით: სულ სამას-ოთხასი კაცი იქნებოდა, მაგრამ ისე შემოაპეს ჩვენი ჯარი. რომ შიგ შუაში მოექცნენ, მაგრამ ვერ გაგვიძლეს და თავი წაიხდინეს.

დიდი უბედურება და ღვთის რისხვაა ომი, მაგრამ მეტი უბედურება და ღვთის რისხვა ხალხის უგუნურებაა. ხალხის უგუნურება რომ არ ყოფილიყო, განა მამა ბერნიეს სიტყვას აჰყვებოდა იმოდენი ხალხი?! რა ენაღვლებოდა ბერნიეს? განზედ გადგა და სეირს უყურებდა, როდესაც ხალხის სისხლი ზღვასავით დიოდა! რა ენაღვლებოდა? შემდეგში რაკი ნახა, რომ რევოლუციამ გაიმარჯვა, თითონაც კანი იცვალა და ახალ მართებლობას კარდინალის ადგილსა სთხოვდა. მოდით თქვენ და ამის შემდეგ ანაფორას ენდეთ და მისი რჩევით თავი შესწირეთ რამეს.

იმ ღამეს გამარჯვებულნი ვანდელების ბანაკში დავრჩით. ათი ათასი კაცი ტყვე ვიშოვეთ, სულ ხნიანი, ოჯახისა და ცოლ-შვილის პატრონი კაცები. დიდი გავლენა ჰქონდათ მამა ბერნიეს და ჩვენს მოწინააღმდეგე ბერებს და მღვდლებს უგუნურ ხალხზე; ვიცი, რომ დღესაც დიდი გავლენა აქვთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ღმერთი სიმართლის და სამშობლოისა ყოველთვის აჯობებს ღმერთს

უგუნურებისას და ღალატისას. მეტი უგუნურებაღა იქნება, იმდენი ხალხი იმიტომ გვებრძოდა, რომ გვინდოდა ყელიდან საბელი აგვეხსნა და ყმობიდან გაგვეთავისუფლებინა. ან მეტი ღალატი გნებავთ, საფრანგეთში პრუსიელებს და ინგლისელებს ეპატიჟებოდნენ ჩვენს ამოსაწყვეტად?

ამაზედ ცხადი, მგონი, რომ არა იქნება რა, მაგრამ რას იზამთ, რომ ადამიანი თვალის გახელას არ მოინდომებს და თანაც ძალიან იუცხოვებს — აბა სად არის სინათლეო? რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ და დღესაც გამოჩნდებიან ბევრნი თვალდახუჭულნი, რომელთაც ვანდელები გმირებად და წამებულად გამოჰყავთ და რესპუბლიკელის ჯარები მტარვალებად. დარწმუნებული ვარ, ყველა ეს ვაჟბატონები, თუ დიდებულნი არა, დიდებულთა სამზარეულოში აღზრდილნი მაინც არიან და ბევრიც რომ იცრუონ, ჭეშმარიტებას ვერ დამალავენ და, ადრე იქნება თუ გვიან, ხალხი თითონვე გაიგებს, საით იყო სიმართლე.

ეს ბრძოლა იმიტომ აგიწერეთ, რომ დიდი ბრძოლა იყო და ძალიანაც გავიმარჯვეთ. ჩვენდა საუბედუროდ, ამით არ გათავდა ომი. უნიფხოთა გენერალს ლეშელს საერო კრებისთვის დაწვრილებით ეცნობებინა ბრძოლის ამბავი და ისე გამოეყვანა საქმე, რომ წინამძღოლობაც თავისთვის მიეწერა და გამარჯვებაც. მართალია, ბრძოლის დროს ლეშელი არავის დაუნახავს, არამც თუ წინამძღოლობა შესძლებოდეს, მაგრამ ვინ იყო პატრონი! ამ წერილის შედეგი ის იყო, რომ ლეშელი მართლა წინამძღოლად გაგვიხადეს და ერთი კარგი დამარცხებაც შეგვძინა, მაგრამ მაგას თავის დროზე მოგახსენებთ. ახლა განვაგრძოთ.

მეფის მომხრეები სწერენ თავიანთ წიგნებში, გამარჯვებულმა რესპუბლიკელებმა ქ. შოლე დასწვესო. ტყუილია! ბრძოლის წინა საღამოს ჩვენი ჯარები რომ შევიდნენ შოლეში, წესისამებრ სამხედრო მოედანზედ თავისუფლების ხე დარგეს. ეკლესიიდან თეთრი დროშა გამოიტანეს ანთებული სანთლებით და ისე დაიარეს მთელი ქალაქი; ვინც კი რესპუბლიკის მომხრე იყო, მაშინვე მიუდგა ჩვენს ჯარს და ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს. მაგრამ ამ დროს ქალაქს ვანდელების ჯარი შეესია სტოფლეს წინამძღოლობით, საცა კი პატრიოტები ეგულებოდათ, სახლ-კარი გადაუწვეს და... თავიანთი სისაძაგლე ჩვენ დაგვაბრალეს. ეგ ჩვენი საქმე არ არის! რესპუბლიკელნი თავის დღეში არა ყოფილან ისეთი მხეცები, როგორიც ღვთისა და მეფის მიმდევარნი ბრძანდებიან. თუ დავწვით ან დავხვრიტეთ ვინმე, მარტო იმიტომ, რომ ძმათა შორის ომი გაგვეთავებინა როგორმე, თორემ დღესაც გაუთავებელი იქნებოდა. მაშ როგორ

გეგრძნობინებანა უბირი ხალხისთვის, რომ მათი ბარბაროსობა თითონ იმათვე უფრო ავნებს, ვიდრე სხვას?

ვესტერმანი კი მთელი ღამე სდევდა ვანდელებს და ბევრიც თურმე დახოცა. ბოპრეოში დაეწია უმთავრეს მათს ბრბოს, მაგრამ ისე თურმე იყვნენ დაღლილები, რომ ვერც კი გაიგეს მდევრის მისვლა. წინამძღოლნი გაჰქცევოდნენ, ხალხი კი ზოგი ტყვედ დაეჭირა, ზოგი დაეხოცა. მეორე დღეს, 18 ღვინობისთვეს 1793 წ. გავიგეთ, ვესტერმანმა ბოპრეოს ციხე აიღო და ათი ზარბაზანი იშოვა, დიდძალი თოფის წამალი, ყუმბარები, პური, ქერი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ციხეში გამაგრებულ ჯარისთვის არის საჭირო. ძალიან კარგად იყო ჩვენი საქმე, მაგრამ ამოდენა სიარულის და ბრძოლის შემდეგ ძალიან დაიღალა ხალხი და დასვენება უნდოდა.

ბოპრეოში დავისვენეთ ერთი დღე. სწორეთ ამ ერთი დღით ისარგებლეს ვანდელებმა და ორმოცი ათასი კაცი და ქალი თურმე გავიდა იმ დღეს ლუარის გაღმა მხარს და ერთ კარგა გამაგრებულ ალაგს შეეფარა. შერეკავდნენ. თურმე წყალში საქონელს, თითონ კუდზე მოეჭიდებოდნენ და ისე გადიოდნენ. გავიდნენ გაღმა და სრულიად მოულოდნელად დაეცნენ ერთ პატარა სიმაგრეს, რომელშიც რესპუბლიკელი კაპიტანი იმყოფებოდა თავისი რაზმით. ისე მოულოდნელად თურმე მიუხტნენ, რომ ერთიანად ამოჟლიტეს მთელი რაზმი. ჩვენ რომ იმ დღეს სიარული შეგვძლებოდა, ვერავინ გადაგვრჩებოდა და ომიც გათავდებოდა; ეს იმას ამტკიცებს, რომ ბრძოლაში გამარჯვებულმა, თუ უნდა გამარჯვების ნაყოფი იგემოს, არც კი უნდა იფიქროს დასვენება. ერთი დღის დასვენებამ ის შეგვძინა, რომ მთელი ორი თვე კიდევ გვაწვალებ ვანდელებმა, მანამ ბოლოს მოვუღებდით.

დიდძალი ხორაგი და ზარბაზნები ვიპოვეთ წყლის პირას ვანდელებისაგან დატოვებული, მაგრამ ყველაზედ უმეტესად ტყვეების დაბრუნება გვესიამოვნა. სამი ათასზე მეტი ტყვე გამოეშვათ ვანდელებს და ისე გახარებულნი გამორბოდნენ ჩვენი ჯარისკენ, რომ სწორედ გიჟები გეგონებოდათ; მით უფრო, რომ ყველანი შიშველ-ტიტველნი იყვნენ და იმოდენა თმა და წვერი გაეშვათ, თითქო ტყის ნადირები არიანო; ცარიელი ძვალი და ტყავიღა იყვნენ უბედურები.

თმები ამეშალა, როცა დავინახე ჩვენსკენ მომავალნი და ვიფიქრე, მეც ხომ ასე ვიქნებოდი, ტყვედ რომ ჩავვარდნოდი იმ მხეცებს-მეთქი. და ამ ფიქრში რომ ვიყავ, უცბად ერთი აწოწილი ვიღაც მომვარდა და — მიშელ, ვეღარა მცნობო? შემომძახა.

ძლივძლივობით ვიცანი ჩვენი მარკოზ დივე; ლაზარესავით ჩამომხმარი, ცარიელი ჩონჩხიღა იყო, და თუმცა საზიზღრად მეჩვენა, მაგრამ ისე მეამა მისი ნახვა, რომ გადავეხვიე და კოცნა დავუწყე. ის კი ტიროდა! ბავშვივით ტიროდა ჩვენი გულკაჟი მარკოზ!.. რაკი ბანაკში მივედით, მაშინვე პარიზელ შეთქმულთა ბინა მოვძებნე და ლიზასთან მივიყვანე. ლიზა, მარესკო და პარიზელები ერთად იყვნენ. შეველ და შევძახე: აი, ჩვენი მარკოზი, მამულიშვილნო!

ყველანი განცვიფრებულნი გვიყურებდნენ. პარიზელებიც კი ოღარა ხუმრობდნენ.

— ღმერთო დიდებულო! ნუ თუ მართლა! — შეჰყვირა ლიზამ.

წამოხტნენ პარიზელები და საცა კი ქოთანში დანარჩენი შეჭამადი ეგულებოდათ, წინ დაუდგეს მარკოზს. ძალიან დამშეული იყო საწყალი და ისე მივარდა საჭმელს, როგორც გიჟი. მერე ღვინო მიაწოდეს. მოიწაფა საღვინე და დიდი ხანი სვა; ბოლოს, როცა გული მოითანაღრა, სთქვა:

— ოჰ, თქვენ გიშველათ ღმერთმა! ძლივს ქრისტიანებში არ ჩავვარდი! იმისთანა უდიერი ხალხი ჩემს დღეში არსად მინახავს. დაიჯერებთ, დღეში კაცზედ ერთ გირვანქა პურს გვაძლევდნენ. რას გაგვიხდებოდა? მეტადრე მე? ერთ ლუკმად არა მყოფნიდა. ჯოხი და წიხლი და ყოველი შეურაცხყოფა კი, რამდენიც გნებავთ! ისე გვცემდნენ, რომ... ხმის ამოღების ნებას არ გვაძლევდნენ! ხმას ამოვიღებდით და, ვაი ჩვენი ბრალი! მოგვდგებოდნენ ჯოხებით და უღმერთოდ გვცემდნენ, მანამ თქვენ მოგვეშველებოდით. მეც ვიყავი გაჩუმებული: ცემას გაჩუმება არ მერჩივნა? ცემით ხომ გვცემდნენ და, ვინც გაბედავდა და უსაყვედურებდა რასმე, მაშინვე დახვრეტდნენ. ეგეც არაფერი, საშინელი ის იყო, რომ იმ რეგვენთ ჩვენი გადაბირება უნდოდათ და სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, პოლიტიკური აზრები გამოიცვალეთო; მოვიდოდა ხოლმე იმათი მღვდელი ბერნიე და დაგვიწყებდა ქადაგებას. თან პურსა და ღვინოს მოიტანდა: ამით მაინც შეეაცდენ დამშეულებსო... და ბევრიც შეაცდინა! ბევრმა დაიძახა — ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! პურისა და ღვინის გულისთვის. მე კი სიკვდილი მერჩივნა რესპუბლიკის წინააღმდეგობას და კარგი ამხანაგები რომ არა მყოლოდა, იქნება დღეს ცოცხალიც არა ვყოფილიყავი.

აი, რა გვითხრა გამხიარულებულმა მარკოზმა. ზოგი თამბაქოს სთავაზობდა, ზოგი ჩიბუხს. მაშინვე უშოვეს გუდა, ტანისამოსი და იარაღი. ძნელი საშოვარი კი არ იყო, იმდენი გვქონდა ვანდელუბისაგან დატოვებული, რომ ზიდვა გვიჭირდებოდა. იმავ დღესვე გა-

ვოაწყეთ დაბრუნებული ტყვეები, — გავკრიჭეთ, გავბანეთ, გავალაჭეთ და თავ-თავიანთ რაზმში ჩავაყენეთ.

ამ ტყვეების შესახებაც იცრუეს მეფის მომხრეებმა! იმიტომ გამოვუშვით, რომ შეგვეცოდნენო. ტყუიან! პირველი ისა, რომ დამარცხებულნი და ლტოლვილნი თან ვეღარ იყოლებდნენ სამი ათას სულს, და მეორე კიდევ ისა, რომ თუ სულ ერთიანად არ დახოცეს, ეგ იმიტომ, რომ შეეშინდათ, რესპუბლიკელებმაც ამით არ გადაგვიხადონო. მარკოზ დივემ გვიამბო, წმ. ფლორანის ეკლესიის გალავანში შეგვრეკეს ტყვეები და ზარბაზნები დაგვიმიზნეს, უნდა დავეხოცნეთო. თურმე მისცვივდნენ წინამძღოლები და ძლივსძლივობით ჩააგონეს ველურ ბრბოს, რომ რესპუბლიკელებსაც ჰყავთ ტყვედ ვანდელები და ისინიც ასევე დახოცავენ ჩვენს შვილებს და ძმებსო. კიდევ კარგი, რომ იმდენ უბირ ხალხში რამდენიმე კაცი მაინც ერია შეგნებული, თორემ მართლა სულ ამოხოცავდნენ და ჩვენც ძალაუნებურად დაგვახოცინებდნენ ტყვეებს.

XII

ვანდელებს ძალიან ადვილად შეეძლოთ ნანტის ან ანჟერის აღება. გენერალი ლეშელი ამტკიცებდა, მდინარე ცურვით უნდა გავიდეთ, რადგან ნავები არა გვაქვს, და მტერი ამოვწყვიტოთო. საერო კრების წარმომადგენელნი კარიე, ბურბოტი, მერლენ ტიონვილელი და ყველა ჩვენი გენერლები კი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეს შეუძლებელი იყო. ბოლოს, რომ ვეღარა გააწყეს რა, მერლენ ტიონვილელმა უთხრა:

— აგრე იყოს, გავცურდეთ, ოღონდ ჯარს შენ უნდა გაუძღვე და პირველად წყალში შენ უნდა შეცურდე!

ამის გაგონებაზედ ისე გაჩუმდა ლეშელი, როგორც თევზი და მაშინვე დათანხმდა ჩვენი გენერლების აზრს. ჯარი სამად გაჰყვეს — ერთი ნანტის საშველად გაგზავნეს, მეორე — ანჟერისა და მესამე წყალს უნდა გასულიყო როგორმე და ვანდელებს დასცემოდა.

მე ანჟერისკენ მიმავალ რაზმში მოვექეცი.

ეს სწორედ იმ დროს იყო, როდესაც ჩვენს ჯარს ვატინში ავსტრიელები დაემარცხებინა. მაშინ პირველად გაისმა ივანე ჟურდანის სახელი, რომელიც იმ ორი წლის წინათ თავის ნებით ჩაეწერა ჯარში უბრალო ჯარისკაცად, ცოტა ხანში გენერლობა მიიღო და ისე დაამარცხა ავსტრიელები, რომ საფრანგეთი განსაცდელიდან იხსნა. მართლაცდა, იცვალნენ დრონი, თორემ ვინ აღირსებდა ვიღა-

ცა ჟურდანს, ლიმოჟელ მეწვრილმანეს, გენერლობას და მხედართ-მთავრობას?!

იმავე დროს გავიგეთ დედოფლის მარიამ-ანტუანეტას მოკვლა და ჟირონდელების დაფანტვა; მაგრამ ისე გვიხაროდა ყველას ავსტრიელებზედ გამარჯვება, რომ ამ ამბებს ყურადღებაც არ მივაქციეთ. გაზეთები ქვეყნის მოღალატე არისტოკრატების გვარებით იყო სავსე და, გარდა ამისა, იმისთანა უდიერად გვეექცეოდნენ ჩვენი მტრები, როდესაც ხელთ გვიგდებდნენ, რომ, ღვთის წინაშე, არც არავის დედოფალი შესცოდებია და არც ჟირონდელები.

ანჟერში არც კი გავჩერებულვართ, რადგან ვანდელები ლავალისკენ თურმე მიდიოდნენ და იმდენ სისხლს აქცევდნენ გზადაგზა, რომ ქვეყანა თრთოდა, ვანდელების გენერალი ბოშანი მომკვდარიყო და იმისი ალაგი ერთ ყმაწვილკაცს დელაროშჟაკლენს დაეჭირა. ერთ ქალაქში ამ ახალ გენერალს რესპუბლიკის მომხრე მამასახლისი და მსაჯული დაეხვრიტა სრულიად უდანაშაულოდ. ჩვენ გვისაყვედურებენ, გილიოტინა სისხლით ვეღარ გააძღესო! რატომ ის კი არ ახსოვთ, რომ სიკეთეს არც ჩვენ გვაყრიდნენ, როცა ძალა იმათკენ იყო?

ლავალთან ჩვენი ჯარი დაემარცხებინათ, ექვსი ათასი კაცი, და ახლომახლო ვინც კი პატრიოტი ეგულებოდათ, ყველანი დაეხვრიტათ. ამ ამბებმა ძალიან შეგვაწუხა, რასაკვირველია, და ისე მივეშურებოდით, რომ აღარც ძილი გვახსოვდა, არც დასვენება. საშინელი დარი იდგა, კოკისპირულად წვიმდა; იმისთანა ტალახები იყო, რომ კოჭამდე იფლობოდნენ ცხენები და ძლივსღა სძრავდნენ ზარბაზნებს. ავდარი იდგა და უფრო ავ გუნებაზედ ჩვენ ვიყავით, რადგან ვგრძნობდით, რომ კარგი დღეები გაჰკრნენ და ზამთარი გვეპარებოდა.

დანიშნულ ადგილზე რომ მივედით, ჩვენი ჯარის ორივე რაზმი უკვე იქ დაგვხვდა შეკრებილი. ვესტერმანი, აგერ ორი საათი იქნება, მტრის წინა რაზმებს ეომებაო, თქვეს. ქუჩებში სასოწარკვეთილი, იმედმიხდილი მოქალაქენი იდგნენ და ყველას ვესტერმანის ამბავს ეუბნებოდნენ: დავიღუპებით, თუ დამარცხდაო! მაგრამ არავინ რა იცოდა, რადგან კარგა წინ იყო წასული. ღამის ათ საათზედ დაბრუნდა ვესტერმანი თავის რაზმით, მაგრამ ვაი იმ დაბრუნებას: წაეტყუებინათ ვანდელებს ჩვენი ჯარი, ხაფანგში გაებათ და კინაღამ სულ ერთიანად ამოეხოცათ. კიდეე კარგი, რომ ღამე იყო და ძალიან ბნელი ღამეც, თორემ იქნება შიგ ბანაკში შემოგვსეოდნენ.

გათენდა და დაიწყო ბრძოლა... მაგრამ რაღა თავი შეგაწყინოთ,

ლეშელის წყალობით ისე დავმარცხდით იმ დღეს, ისე, რომ ქუდ-გადაგლეჯილები მოვრბოდით ბრძოლის ველიდან. მოვრბოდით და, რაც კი შეგვეძლო, მტერს ვიგერიებდით. ბნელოდა, ერთ ადლ-ზედ არა ჩანდა რა და იმ საშინელ ხმაურობაში, იმ ჯოჯოხეთში, სა-დაც ზარბაზანი ჭექდა, თოფის სროლა ერთს წამს არ შეწყვეტილა და ადამიანის ყიჟინს ცხენების ჭიხვინი უერთდებოდა; იმ ჯოჯო-ხეთურ ხმაურობაში ერთი იმისთანა კივილი შემომესმა, რომ თავით-ფეხამდე ჟრუანტელმა დამიარა. ვანდელები გარს შემო-ხვეოდნენ პარიზელ შეთქმულთ, ერთზედ ასნი მიდიოდნენ და საშინელი ბრძოლა ჰქონდათ. თან ლიზას კივილი ისმოდა:

— მხდალნო! მხდალნო! ეგ არის თქვენი ვაჟკაცობა, რომ ერთ-ზედ ასნი მოდიხართ! სიკვდილი ან გამარჯვება! რესპუბლიკას გაუმარჯოს!

დავანებე ჩვენებს თავი და ლიზასკენ გავექანე. ჩემი დის ურემს გარს შემორტყმოდა ათიოდ ვანდელი. ურმის თავში ლიზა იდგა, ხელში შუბი ეჭირა და ისე მარდად ათამაშებდა, რომ სამაგალი-თოდ იგერიებდა მტერს. ურმის გვერდით სახლი იწოდა. იქვე ქუჩა-ში მაინცელი რაზმი იდგა და ერთ მათგანს დროშის მაგივრად სისხლში ამოსვრილი პერანგი აემართა ნიშნად სისხლისძიებისა. ქუჩაში მთასავით იდგა მკვდრები. ყოველი მხრიდან ვანდელები მორბოდნენ ყვირილით — ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! მაგრამ მე ჩემი დის მეტი არავინ მომგონებია. მგელივით შევარღვიე იმდენი ხალხი, ერთი ნახტომით მივვარდი ურემთან და შევყვირე:

— აქა ვარ, ლიზა, ნუ გეშინია!

მეც არ ვიცი, როგორ მომივიდა, ოთხი თუ ხუთი კაცი ისე წა-ვაქციე, რომ წვეთი სისხლი არ გამომდენია. სხვები მაშინვე გაი-ფანტნენ, ალბად ეგონათ, ამას ამხანაგებიც ეყოლებაო. მარტო მაშინ მიცნო ლიზამ.

— არიქა, მიშელ, ჩემს ბიჭს უშველე! ჩქარა, წაიყვანე აქედან! აგერ, მოდიან, ის ღვთის მტრები!

მე კი მივვარდი საქონელს და დავკარ, რაც ძალი და ღონე მქონ-და. მართალია, ფრთხებოდნენ და მკვდრებით სავსე ქუჩაში გავლა არ უნდოდათ, მაგრამ, როგორც იყო, გავატარე და შიგ შუა მაინცელ რაზმში შევიყვანე. გონებაზედ მარტო მაშინ მოვიდა საწყალი ლიზა, როდესაც ნახა, რომ შიში აღარაფრისა ჰქონდა. წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შესძახა:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! სიკვდილი მტარვალთ!

გულში მაგრა ჰყავდა ჩაკრული თავისი პატარა კასსიუსი და ბარესკო აღარც კი აგონდებოდა.

ცოტა ხანს უკან დაიძრა რაზმი და ჩვენც თან გავყევით. მარესკო თურმე იქვე შორიახლოს ყოფილიყო დაჭრილი; მოვიდა, როგორც იყო, ცალი ხელით ურემს დაებღაუჭა და თან იმისთანა მადლობას მიხდიდა, თითქო ჩემთვის სულ უცხონი ყოფილიყვნენ ჩემი და ლიზა და ჩემი დისწული.

მთელი ღამე ისე ვიარეთ, რომ არავინ იცოდა სად მივდიოდით. თუ იმედი გვქონდა ვისიმე, ისევ კლებერისა: ვიცოდით, რომ ჩვენთან იყო და საქმეს არ წაახდენდა. ჩვენი რაზმის წინ სისხლით მოსვრილი პერანგი მიჰქონდათ.

გათენდა. დავდექით. მივიხედ-მოვიხედე და იქვე ჩვენს გვერდით ივანე სომი კი დავინახე. ორი ზარბაზანიღა გადარჩენოდა და იმისთანა სიყვარულით სწმენდდა და ასუფთავებდა მოხუცებული სომი ზარბაზნის ლულებს, რომ იტყოდით, — ამ კაცის ცოლიც ეს არის და შვილიცაო. თურმე მკვდარი ვეგონე და, რომ დამინახა. ძალიან გაეხარდა.

— შენა ხარ, მიშელ? მე მეგონა, თავი გაგაგდებინეს იმ უღმერთოებმა-მეთქი.

გარს ჯარისკაცები შემოჰხვევოდნენ და ალერსი დაუწყეს პატარა კასსიუსს, რომელიც მხიარულად იცინოდა, — აღუო, — იძახდა და ფუნთუშა ხელებს აფათურებდა. საკვირველია, როგორ არ დაყრუვდა საწყალი ბავშვი! რაც იმან იმ დღეს ზარბაზნის ჭექა-ქუხილი აიტანა, სხვა რომ ყოფილიყო, იმის მეათედსაც ვერ გაუძლებდა. როგორ აგიწეროთ, რა ყოფაში იყო ჩვენი ჯარი? თითონ კლებერის სიტყვას მოვიყვან, რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ ჩვენი უბედურება: თავით-ფეხამდე სველნი ვიყავით, ვინც ვიყავით, და აღარც კარავი გვქონდა, აღარც ფეხსაცმელი, აღარც ტანისამოსი, აღარც რამ ჭურჭელი, რომ შეჭამადი შეგვედგა. დროშას ოცი, ოცდაათი და, სულ ბევრი რომა ვთქვა, ორმოცდაათი კაცი თუღა მისდევდა და ისინიც ისე იყვნენ დაღლილნი და დამშეულნი, რომ სასოწარკვეთილნი სულ იმას გაიძახოდნენ, — ვინც მხდალი იყო, თავს უშველა და ჩვენ კი ტყუილუბრალოდ ვიღუპებითო!

და სწორედ ასეც იყო. რა უფლება ჰქონდა ლეშელს, რომ მხედართმთავრობა მოგვინდომა? არავითარი, გარდა იმისა რომ ურცხვი და თავხედი კაცი იყო. საცა კი იმისავით ურცხვი და უსაქმური იყო ვინმე, რომელნიც სიტყვით ქვეყანას გადააბრუნებენ და საქმით კი ყველაზედ უკან იმალებიან, რაკი თოფი გავარდება, დიაღ, საცა კი იმისავით კვეხნია და არაქნია მაბეზღარა იყო ჩვენს ჯარში, ყველა იმის მზეს ჰფიცავდა. საუბედუროდ, ამ ვაჟბატონებს დიდი გავლენა ჰქონდათ თავიანთი ყვირილით და ჯაშუშობით; მოლაპარაკე რომ გე-

ნახათ, დევგმირი გეგონებოდათ; მაგრამ ბრძოლის ველზედ კი იმისთანა ლაჩარნი იყვნენ, რომ ჩიტებისთვის ამართული საფთხობელისა ეშინოდათ. მგონი ვანდელები სულ იმასა ლოცულობდნენ, ნეტავი სულ ასეთები იყვნენ რესპუბლიკელებიო.

ერთი სიტყვით, ძალიან გადაგვიხადეს მეფის მომხრეებმა შორეს დამარცხება და მით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცეს, რომ გამარჯვება ჯარზედ კი არა, იმაზედ არის დამოკიდებული, ვინ ჰყავს ჯარს წინამძღოლი—გენერალი თუ ვირი! რაკი გაიმარჯვეს, იფიქრეს, ახლა კი ბოლო მოვუღეთ რესპუბლიკასო და ნორმანდიაში გადავიდნენ, რომ იქ ინგლისელებს მიშველებოდნენ. მაგრამ ინგლისელი პიტტი უბრალოდ და თავისი ერის უსარგებლოდ ხელსაც არ გაანძრევდა; ტყუილად კი არ იძახიან ინგლისელები, ჩვენ პიტტისთანა სასარგებლო მინისტრი სხვა აღარავინ გვყოლიაო. ის თავისი ერის გაძლიერებას ცდილობდა და მანამ ჩვენ ერთმანეთს ვებრძოდით, ის აქეთ-იქით ახალშენებს გვართმევდა და ინგლისელ სავაჭრო გემებს და ინგლისურ საქონელს გზავნიდა მთელი ქვეყნის ზღვებში. ნეტავი ჩვენ როდისღა გვეყოლება იმისთანა მინისტრი? ვითომდა, რატომ? პიტტი დაეხმარებოდა ვანდელებს, ოღონდ სამაგიეროდ ერთ-ერთ ჩვენს ნავსადგურს თხოულობდა ლამანშის სრუტეში. მაგაზედ ადვილი რა არისო, თურმე შესძახეს ვანდელებმა და ქ. გრანვილს შემოარტყეს ჯარები—ავიღოთ და საფრანგეთის მტრებს მივცეთო.

გრანვილელებმა, რასაკვირველია, არ ინდომეს ინგლისელების ქვეშევრდომად ყოფნა და გაამაგრეს ქალაქი; რომ ნახეს ვანდელებმა, მოქალაქეთ ისე გაუმაგრებიათ ქალაქი, რომ მის აღება შეუძლებელიაო, თავად არტუას აცნობეს,—მოდი და დაგვეხმარე, შენთვის ვაქცევთ ამდენ სისხლსაო! მაგრამ თავადი არტუა ძალიან ფრთხილი კაცი ბძანდებოდა, ეშინოდა იმ არეულობაში არა მომხვდეს რაო და, ვანდელები კი არა, მთელი საფრანგეთიც რომ ამომწყდარიყო იმის გულისთვის, ის მაინც თავს არ აიტკივებდა! იდგნენ და ელოდნენ ვანდელები, ან ახლა გამოჩნდება, ან ახლაო! მაგრამ ამაოდ, არც სადმე თავადი არტუა მოჩანდა და არც მისგან გამოგზავნილი ჯარი.

დიდძალი ხალხი დახოცეს გრანვილის მიდამოში და რაკი დარწმუნდნენ, რომ ქალაქის აღება შეუძლებელი იყო, თავი დაანებეს იქაურობას. მე იქ არა ვყოფილვარ, მაგრამ კარგად ვიცი ეს ამბები, რადგან გრანვილის გარშემორტყმამ ისე აღაშფოთა მთელი საფრანგეთი,— არა მარტო პატრიოტები, არამედ ყოველი პატიო-

სანი მამულიშვილი, რომ დიდი და პატარა ამაზედღა ლაპარაკობდა. ნეტავი რა უფრო სამარცხვინოა: უცხოელების, სამშობლოს მოსისხლე მტრების შემოყვანა, თუ, როგორც თავადმა არტუამ ინება, საწყალი ხალხის აჯანყება და მერე კი ღვთის ანაბარად მიტოვება?

ზღვის პირად რომ ეს ამბები ხდებოდა, ჩვენს ჯარში სულ სხვა-გვარმა აღშფოთებამ იჩინა თავი: მთელმა ჯარმა იცოდა, რომ უკანასკნელი ჩვენი დამარცხება ლეშელის ბრალი იყო და სულ იძას გაიძახოდნენ,—არ გვინდა ლეშელი, ისევ ჩვენი ძველი გენერლები დაგვინიშნეთო! მღელვარება მაინცელ რაზმში დაიწყო პირველად, რომელიც კლებერს ნდომობდა თავის გენერლად. საერო კრების წარმომადგენლებს ისე ეშინოდათ გენერლების ღალატისა, ისე კარგად ახსოვდათ ლაფაიეტის და დიუმურიეს საქციელი, რომ სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ არც ერთს გენერალს ჯარზედ გავლენა არ შეეძინა; ნახეს თუ არა, მაინცელი რაზმი და მასთან ერთად მთელი ჯარი კლებერის სახელს გაიძახისო, ვრცელი მოხსენება გაუგზავნეს კონვენტს. კონვენტმა ბრძანება გასცა, მაინცელი რაზმი დაიშალოს და ჯარისკაცები სხვადასხვა რაზმებში იქნან გაფანტულნიო.

ასე კი გაუქმდა ეს გმირი და სამშობლოს წინაშე დიდად დამსახურებული რაზმი. მიზეზი მის გაუქმებისა ის იყო, რომ გამარჯვებას იყო ჩვეული და სულით და გულით უყვარდა თავისი გმირი წინამძღოლები, რომელნიც ყოველთვის თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს დიდებისთვის.

ერთმა ღალატმა კიდევ იჩინა თავი იმ დროს და უფრო შეაფიქრიანა საერო კრებაც და ქვეყანაც; ნუარმუტიეს კუნძულზედ მყოფ ჯარის უფროსს ვილანდს ვანდელებისათვის მიერთმია ციხის გასაღები და თავისი ხმალი... იმისთანა დრო დადგა, რომ ძმა ძმას ვეღარ ენდობოდა და მამა შვილს; ისე ფრთხილობდა ყველა, რომ ერთიმეწვა, სულ მცირე, ეჭვი კმაროდა, რომ კაცისთვის გილიოტინით თავი მოეგდებინებინათ.

ჯარი ისევ ანჟერისკენ გაისტუმრეს და იქ ხელახლა დაწყეს რაზმებად. მე ისევ არტილერიაში მოვექეცი ოფიცრის ნაცვლად, მაგრამ იმოდენა ტანჯვა გამოვიარე უკანასკნელ დროს, იმოდენა შიმშილი და სიცივე—არც ტანისამოსი გვქონდა, არც ჯამაგირი გვეძლეოდა და ხშირად პურიც კი გვაკლდა—რომ ხელახლად ავად გავხდი და ისევ სისხლი ვაღებინე. ის იყო აფიცრის ნაცვლობა მიბოძეს და, არ გასულა სამი თუ ოთხი დღე, საავადმყოფოში კი მიმიყვანეს, ძველი ჭრილობა ეხლაც თავისას მიშვრებოდა და რაც მე სისხლი

ვაღებინე, მიკვირს ცოცხალი როგორღა ვიყავ. ესეც არ მაკმარეს და სისხლი გამომიშვეს. ისე გავხდი, ისე, რომ სამარიდან ამოყვანილს დავემსგავსე და ცოცხალსა ვტიროდი ჩემს თავს:

— წასულია შენი საქმე, ჩემო მიშელ! თუ შენი ქვეყნის ნახვა კიდევ გეღირსა, ერთი კარგი კელეპტარი ნუ გშურს წმინდა გიორგის ხატისთვის.

ნოემბერი იყო. საშინელი ქარი ქროდა ზღვიდან და თან იმოდენა ღრუბლებს მოერეკებოდა, რომ დღე და ღამ განუწყვეტლივ წვიმდა და, თუმცა საავადმყოფოები გატენილი იყო დაჭრილებით და ავადმყოფებით; თუმცა ჭირივით მეჯავრებოდა საკაცეების დანახვა, რომლითაც მიცვალებულს გაასვენებდნენ ხოლმე; თუმცა აქეთ-იქით ხშირად ისმოდა: — ეჰ, ესეც მოკვდა, ახლა ჩემი რიგიაო,—მაგრამ იმისთანა დარები იდგა, რომ ამას ყველაფერს ვითმენდით და ცოტა არ იყოს მადლიერებიც ვიყავით ჩვენი ბედისა. თბილად და მაძღრად მაინც ვიყავით! საწყალი ჩვენი ამხანაგები, რომ შიშველ-ტიტველნი, მშიერი მუცლით მიდიოდნენ საბრძოლველად, თორემ ჩვენ რა გვიჭირდა? გარდა ამისა გულს გვიხარებდა აგრეთვე გრანვილელების ვაჟკაცური ქცევა; ორმოცდაათი ათასი კაცი თურმე ერტყა ქალაქს გარშემო—კაცი, ქალი და ბავშვი—და რაკი ვერ აიღეს, დაერივნენ დამშეულნი არე-მარეს და, სხვა რომ აღარა ჰქონდათ რა, პანტას და მაჟალოს დაეძებდნენ ტყეში. ახლა რომ მკითხოთ, აქ სასიამოვნო არა იყო რა, მაგრამ მაშინ ვანდელებისაგან ბოროტების მეტი არა ვიცოდი რა და მიხაროდა იმათი გაჭირება და უბედურება.

გრანვილიდან მოსულმა ჯარისკაცებმა გვიამბეს, — იმისთანა საშინელი ყვანა სჭირთ ვანდელებს, რომ მუსრს ავლებს უბედურებსო. მიდიან და იმდენ მკვდრებს სტოვებენ გზაზედ, რომ ვისაც მათი დევნა უნდა, ვერსად დაემალებიანო. უმთავრეს მათ წინამძღოლებს, დიდებულ ბატონებს, გემები დაებარებინათ და ინგლისს გაქცევა ნებავდათ. მაგრამ გაიგო ეს ამბავი სტოფლემ, ზღვის პირას დაუხვდა და შეუტია: თქვენგან და თქვენთვის ჯანყებულ ხალხს რაღას ეუბნევით, აგრე არხეინად რომ მიბრძანდებით? აქ ბრძანდებოდეთ, ჩვენთან, თორემ იძულებული ვიქნები სხვა ღონისძიება ვიხმარო თქვენს წინააღმდეგო! დიაღ, სტოფლე რომ არ ყოფილიყო, გაპარვას აპირობდნენ ბრწყინვალე თავადები—სტალმონი, ოტიშანი და სხვანი. მაგრამ რა? დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ბოლო მაინც ეგ უნდა ყოფილიყო.

ამ დროს ხმა გავარდა, გენერალ როსინიოლს იმისთანა ალაგს შეუმწყვდევია ვანდელები, რომ ერთი ვეღარ გადაურჩებაო, საუბე-

დუროდ, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა: რაკი ნახეს ვანდელებმა, რომ ვაქკაცური სიკვდილის მეტი აღარა რჩებოდათ რა, იმისთანა მედგრად თურმე შემოუტიეს ჩვენს ჯარს, რომ დაამარცხეს და თითონ ანჟერისკენ წამოვიდნენ. ამბობდნენ, ხვალ ქალაქს მოადგებიანო.

წარმოიდგინეთ ჩვენი ყოფა! იმისთანა ზარის რეკვა ატყდა მთელ ქალაქში, იტყოდით აღდგომა ღამეაო. ანჟერში მყოფი ჯარის გენერალი დაჭრილი იყო და ჯერაც არ შეჰკროდა ჭრილობა. იმან და საერო კრების წარმომადგენლებმა ყოველი ღონისძიება მიიღეს, რომ ქალაქი გაემაგრებინათ. ვისაც სიარული შეგვეძლო და იარაღის ხმარება, გამოვედით საავადმყოფოდან და იარაღი ვითხოვეთ. ანჟერის აღება და მთელი ჩვენი ჯარის განადგურება ერთი იქნებოდა, რადგან ვანდელები ისევ თავიანთ ბუჩქნარში შეგვრეკდნენ და იქ, რასაკვირველია, ვეღარას ვუზამდით.

ეს ქრისტეშობის თვის ხუთს გახლდათ. გაეგოთ თუ არა გარეუბნელებს ვანდელების გამარჯვება, დაენებებინათ სახლ-კარისთვის თავი და რაც კი რამ ებადათ, ყველაფერს ქალაქში მოათრევდნენ: ვანდელებმა იციან, რასაც მოერევიან, წაიღებენ, რასაც არა და ცეცხლს წაუკიდებენო. მაშინ გამოჩნდა, რა თვალით უყურებდნენ მათ მოქალაქენი! დიდი და პატარა ჩვენა გვშველოდა ქალაქის გამაგრებას, ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი, ყველა ჩვენთან იყო და რითიც კი შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ. დიასახლისებს შინიდან შეჭამადი მოჰქონდათ ჯარისკაცებისათვის, რადგან ისე ვიყავით საქმეში გართული, რომ შიმშილიც აღარ გვაგონდებოდა. თოვლი იდო და ლუარს ყინული მოჰქონდა.

წამდაუწუმ მოდიოდა შიკრიკი და გვატყობინებდა მტერის მოახლოვებას. ამასთან ისიც ვიცოდით, რომ ჩვენს მოსაშველებლად ჩვენი ჯარიც მოდიოდა. თორმეტ საათზედ მოადგნენ ქალაქს, დიდი სროლაც აგვიტეხეს, მაგრამ გაიგეს თუ არა, ჯარი მოდის ანჟერელების საშველადო, აიყარნენ და თავს უშველეს.

მე კი სწორედ ამ გარემოებამ გამომაყენა: საერო კრების წარმომადგენელის ფრანკატელის ბრძანებით ყველა მეციხოვნეს ახალი წაღები და ფარაჯები დაგვირიგეს. ღმერთი გამიწყრეს, თუ ჩემს დღეში მეგრძნოს იმისთანა სითბო, როგორიც მაშინ ვიგრძენ. უნდა გენახათ, რა შურის თვალით გვიყურებდნენ სხვა ჯარისკაცნი!

ამასთან მარგალიტას წერილიც მივიღე! საავადმყოფოში მიველ ჩემი ბარგის წამოსაღებად; დიდ დარბაზში მეკარე იდგა და ყვიროდა—ამას და ამას წერილიო! მაგრამ სადღა იყვნენ უბედურე-

ბი?! ოთხში ერთიღა თუ იყო ცოცხალი! რომ დაიძახა — მიშელ ბასტიენ წერილიო!

—აქ გახლავარ-მეთქი, შევძახე.

— ჯერ მოდი ჯვარი დასვი აქ! წერა იცი? მაშ ხელი მოაწერე.

ღმერთო ძლიერო! რა საშინელი დრო იყო ჩემთვის ეს სამი თვე! ისე დღე არ გათენდებოდა, რომ პარაკლისი არ გადამეხადა ჩემი თავისთვის: „ვინ იცის ამ საღამოს ცოცხალი იქნები თუ არა, ჩემო მიშელი. ვინ იცის, სად წაგაქციოს ერთმა დაკარგულმა ტყვიამ და სად დაგფლან შენმა ამხანაგებმა. ისე დაგფლავენ, რომ ცრემლს არავინ დაგაფრქვევს ოხერ-ტიელს, არც მამა და არც შენი ვარგალიტა! მაგრამ იქნება აღარც კი ახსოვხარ მარგალიტას, ჩემო მიშელ! აგერ სამი თვეა წიგნი აღარა მიგიღია რა. განა რომ ახსოვდე, თავის ამბავს არ გაცნობებდა?“ დიაღ, ასე დაღონებულს რომ უცბად წიგნი მომცეს ხელში, კინაღამ ჭკუაზედ შევცდი. გიჟივით გავვარდი გარეთ, მინდოდა მიყრუებული ალაგი მეპოვა საღმე, რომ იქ დამშვიდებით წამეკითხა წერილი. ბოლოს ბიძია ადამის დუქანში შევედი, სადაც ხშირად დავიარებოდით მე და ივანე სომი, ფანჯარასთან დავჯექ და ბეჭედს სინჯვა დავუწყე. თან ცრემლი მდიოდა... ფალსბურგიდან არის, მაშ მარგალიტასია! აბა გავხსნათ!

რომ არ მრცხვენოდეს, სიტყვასიტყვით გაგიმეორებდით მარგალიტას მონაწერ წერილს, მაგრამ ვაი თუ მასხარად ამიგდოთ: ხედავთ ამ გადაყრუებულ ბებერს, რა კარგად ახსოვს თავისი დანიშნულის ალერსიო!

თითონ მარგალიტაც დამცინებდა, მერწმუნეთ.

მაშ თავი დავანებოთ ამაოებას სიყმაწვილისას და ისა ვთქვათ, რაც ქვეყნის საქმეს შეეხებოდა. მთელი ჩვენი სოფელი ჯარში გავიდა, — მწერდა მარგალიტა; — ნათლია შენი, ლეტუმიე, კოშარი, რაფიელ მანკი, ერთი სიტყვით, ყველა პატრიოტი შეიარაღდა და ელოფ კოლენის წინამძღოლობით წავიდნენ ჯარში. სოფლებში ქალების და ბავშვების მეტი აღარავინ დარჩა; ეს გარემოება იმან გამოიწვია, რომ ჩვენი ჯარი დამარცხდა ამას წინათ, უკან დაიწია და მთელი ჩვენი მხარე ერთს ბანაკსღა წარმოადგენს; ბრძოლა რომ ატყდეს, ზარბაზანის ხმა ჩვენ სოფელში ავა... ვინც კი შინა ვართ, დაჭრილთათვის ლოგინს და სარეცხს ვამზადებთ. ძველი გენერლები ვადააყენეს და ჯარის უფროსებად სულ ახალგაზდა, უბრალო ხალხის შვილები გამოგზავნეს, სახელდობრ გენერლები პეშეგრუ და ლაზარე ჰოში. დიდი აღტაცებით დაუხვდა ორივეს ხალხი. მოვიდნენ, ყველაფერი დაათვალიერეს და ერთი მათგანი ალზასს წავიდა, მეორე ლორენსაო.

ძალიან მასიამოვნა აგრეთვე იმ ამბავმაც, რომ შოველი ცოტა-ხანს ჩვენში ყოფილიყო. საერო კრებას გაეგო, სტრასბურგელი მამასახლისი და სხვა მოხელენი გერმანელებს უთმობენ ქალაქსო, და მათ დასაჭერად და ღირსეულად დასასჯელად თავისი წარმომადგენელნი გაეგზავნა—სენჟიუსტ, ლება და შოველი. ალბად არაფრად ეჭაშნიკათ სტრასბურგელ მოხელეთ რესპუბლიკური წესწყობილება და თავისუფლებას დიდებული არისტოკრატების მოსამსახურედ და პირფარეშად ყოფნა ირჩიეს. ქალაქში ბევრი საბუთი აღმოჩნდა მოხელეთაგან ღალატისა. გარდა ამისა მათ სრულიად უყურადღებოდ ჰქონდათ ყველაფერი მიტოვებული—დარაჯი არსად იდგა, დაჭრილები საავადმყოფოში მოუვლელობით ლპებოდნენ და სხვა და სხვა. მამასახლისი და სხვა მოხელენი დაიჭირეს და ზოგი პარიზს გაისტუმრეს, ზოგი მეცს. მიუხედავად ამ სასტიკი სასჯელისა ჯერაც არ დამშვიდებულა ჩვენი მხარეო, იწერებოდა მარგალიტა და ყველგან რევოლუციის მოწინააღმდეგე ბერები და მღვდლები დადიან და ხალხს რევენ; მაგრამ დღეს-ხვალ ყველას ლაგამს ამოვდებთ და მშვიდობას და სათნოებას დავამყარებთ ქვეყნადო.

მეტი რა მინდოდა? ჩემი მარგალიტას ამბავი მომივიდა, მამიჩემისა და სტეფანესი, რომელსაც თურმე ისა ჰკლავდა, რომ ჯარში წასვლა და მტერთან შებრძოლება არ შეეძლო. დიაღ, რა მინდოდა მეტი? მგონი რომ კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავ? მაგრამ არა! ჩვენგან ნახევარი დღის სავალზედ ასი ათასი პრუსიელი მეგულებოდა; დარწმუნებული ვიყავ, რომ ფალსბურგს ზარბაზნის სროლით დაანგრევდნენ და დასწვავდნენ; ჩვენს სოფელს ააოხრებდნენ და, ვინც კი პატივსაცემი და გულით საყვარელი მყავდა, ისე გააღატაკებდნენ, რომ ლუკმაპურის ნატრულს გახდიდნენ. ამ ამბავმა ისე ჩამაშხამა მარგალიტას წერილის სიამოვნება, რომ სულ თავებედ ვიწყევლიდი, რატომ მეც შინ არა ვარ, რომ ჩვენებურებთან ერთად შევება გერმანელებს და მათი სისხლით გავძღე-მეთქი.

დიაღ, ძალიან დამაღონა ამ წერილმა, მაგრამ ისე გერმანელების შემოსევა არ მეწყინა, როგორც ჩვენი ვალენტინის რეგვენობა: ვალენტინი მჭედლად ჩაწერილიყო თავად კონდეს რაზმში და, რაკი გერმანელები ალზასში შესულიყვნენ, ნათლიაჩემისთვის მიეწერა,—მზად იყავ, შენს ჩამოსახრჩობად დიდი ხანია მზადა გვაქვს თოკიო!.. აქამდის მეცოდებოდა ვალენტინი: რა ქნას, ღმერთს ასე რეგვენად გაუჩენია და ამიტომ სჩადის ამდენ სისულელეს-მეთქი! მაგრამ ამ ამბავმა კი დამარწმუნა, რომ ბუნებრივ სისულელესთან ერთად ავი და ღრძო გულის კაციც ყოფილა. ძალიან თურმე გაბრაზდა ნათ-

ლიაჩემი, და ჯარში იმიტომ უფრო ჩაეწერა, რომ თავის ძველ ქარგალს შეხვედროდა სადმე და ჭკუა ესწავლებინა.

ორი დღის შემდეგ ნანტიც წავართვით ვანდელებს, მაგრამ იმდენი გვაწვალეს ამ ქალაქის აღებაზედ, იმდენი ხალხი დაგვიხოცეს, ისე უდიერად, უღმერთოდ გვეკიდებოდნენ, რომ იტყოდით, ამას მხეცი თუ იზამს, თორემ ომიანობის წესრიგის მიმდევარი ადამიანი როგორ იკადრებსო?

ალბათ ათრობს სისხლი ადამიანს, რომ გამხეცებული აღარც ჭრილობასა გრძნობს, აღარც შიმშილს, და ცოფიანი მგელივით სულ იქით მიიწევს, სადაც მეტი ხალხი ეგულება, რომ რაც შეიძლება მეტი სისხლი დაანთხიოს.

რომ მოგახსენოთ, ვინც გაქცევა ვერ მოახერხა და ქალაქში დაგვხვდა, არ დაგვიხოცია-მეთქი, დიდი სიცრუე მომივა! აგრეთვე სიცრუე მომივა, რომ მოგახსენოთ, არ დაგვიხოცია ის დედაკაცები, რომელნიც ქალაქში დაძრწოდნენ და საცა კი ჩვენს ჯარისკაცს ნახავდნენ დაჭრილს, უღმერთოდ აწვალებდნენ და მერმე ხოცავდნენ. ძართალია, მე და ჩემი ამხანაგები არა ვრეულვართ დედაკაცების და ბავშვების ჟლეტაში, რადგან ბრძანება გვქონდა,—ზარბაზნები მზადა გქონდეთ, შეიძლება მოგვიბრუნდეს მტერიო! მაგრამ არტილერიის გარდა მთელი ჯარი დაერია ქალაქს და, რაკი ჩვენი ჯარისკაცები დასახიჩრებული და წამებულნი ნახეს, გამხეცდნენ, ადამიანური ყოველივე დაივიწყეს და... ღმერთმა ჩემი მტერიც ნუ შეასწროს იმისთანა დღეს! რას იზამთ? ომი ომია, ესე იგი სისხლი, ცრემლი, ცეცხლი და ძარცვა! ვაი იმას, ვინც დაიწყებს ომს და მეტადრე სამშობლოს წინააღმდეგ! იმას მოეკითხება ყოველი ეს უბედურება და ის იქნება პასუხისმგებელი ღვთისა და კაცობრიობის წინაშე.

გენერლებმა საყვირი დააკვრევინეს ჯარის დასაბრუნებლად. კლებერი, მარსო და კონვენტის წარმომადგენელნი პრიორი, ტიურო და ბურბოტი დაერივნენ ჯარს და ცდილობდნენ შეეყენებინათ როგორმე ხალხის ჟლეტა, მაგრამ ვიღას ესმოდა მათი სიტყვა? ასი ათასზე მეტი კაცი მოგვიკლეს ვანდელებმა; აგერ ერთი წელიწადი სრულდებოდა, იმისთანა ტანჯვა-წვალებაში ვიყავით, რომ ჯოჯოხეთი გვენატრებოდა იმასთან შედარებით; იმ დროს, როდესაც პრუსიელები, ავსტრიელები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ერთი სიტყვით, როდესაც მთელი ევროპა მოსდგომოდა საფრანგეთს და მისუსტებულ სამშობლოს ჯარები ეპირვებოდა, სწორედ იმ დროს ჩვენ ვანდეში უნდა ვყოფილიყავით და სწორედ იმათთან გვებრძოლა, ვინც იმ გა-

ჭირვებულ დროს მხარში უნდა გვდგომოდა საზოგადო მტრების ასალაგმავად; იმის მაგივრად, რომ ჩვენთან ერთად შებრძოლებოდნენ ჩვენს დასამხობად ამხედრებულ ევროპას, ვანდელები უკანიდან ორმოს გვითხრიდნენ და თოფს გვესროდნენ... განა ამის შემდეგ უნდა გვისაყვედურებდეს ვინმე, რესპუბლიკელები ძალიან სასტიკად მოექცნენ ვანდელებსო? ქუდი დასდე და სამართალი ჰკითხეო, ნათქვამია. ჩაიხედონ თავიანთ გულში და თითონვე დაინახავენ, რომ სიმართლე ჩვენკენ იყო და, მაშასადამე, კეთილსინდისიერად უნდა აგვესრულებინა ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ამ საშინელი დამარცხების შემდეგ ორი დღე იქვე დავრჩით ჯარის დასასვენებლად. ვესტერმანი კი გაქცეულთ გაეკიდა და თუმცა დაჭრილი იყო და დეკემბერმა საშინელი ყინვა დაიჭირა, ფეხდაფეხ მისდევდა და აუარებელ ხალხს უხოცავდა. ლავალში რომ მისულიყვნენ, მათგანვე დახოცილი პატრიოტების ქვრივები გადასდგომოდნენ წინ და ვესტერმანის ცხენოსნებისაკენ გაებრუნებინათ. სხვაგანაც იგივე ხდებოდა. ვანდელები ყველგან უდიერად ეკიდებოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ და ახლა, როცა დაბრუნებულნი თავის შესაფარს ეძებდნენ, მათგანვე დახოცილთა ქვრივ-ობლები უხვდებოდნენ წინ და ვესტერმანის ჯარის დახმარებით ჯავრის ამოყრას ცდილობდნენ. ბრეტონში ხომ მთლად გლეხკაცობა მიემხრო ვესტერმანის ჯარს და ყველგან კომბლებით და ორთითებით უხვდებოდა გაქცეულებს:

— აქეთ ნუ მოდიხართ, თქვე თავლაფდასხმულნო, თორემ ვაი თქვენი ბრალი! თქვენ ის არა ხართ, რომ ქრისტიან კაცს ყელსა სჭრიდით და თან მამაოჩვენოს გაიძახოდით?! გასწით აქედან, თქვე ღვთისა და კაცისაგან შეჩვენებულნო!

გაქცეულთა შორის ძალიან ბევრნი იყვნენ დიდებული მებატონეები თავიანთი ცოლ-შვილით, ქალურად ჩაცმული ვანდელების წინამძღოლები, საერო ტანსაცმელით მოკაზმული მღვდლები და ბერები. მინამ ესენი სოფელში შესვლას აპირებდნენ და სოფლელები კომბლებით იგერებდნენ, წამოეწეოდნენ ვესტერმანის ცხენოსნები და დაერეოდნენ ხმალამოღებულნი.

ღმერთო დიდებულო, ამისთანას და ამაზედ უარეს სასჯელს ნუ მოაკლებ იმათ, ვინც სამშობლოს ღალატს განიძრახავს! შთააგონე, ღმერთო ძლიერო, რომ სამშობლოს მტერს და მოღალატეს კეთილი არა მოელის რა და გმობილია და წაწყმედილი ამიერიდან უკუნისამდე!

ხუთი დღის შემდეგ ლუარის ნაპირს რომ გავედით, ვესტერმა-

ნის ჯარს დავეწიეთ. ამ ხნის განმავლობაში სულ თურმე გაქცეულთ სდევდნენ და იმოდენა განძი ეშოვათ, რომ გუდები სავსე ჰქონდათ ოქრო-ვერცხლით: ეს საყურეებიო, ეს სამაჯურებიო, ეს კოვზები და თასებიო... ვინ მოსთვლის? ბეჭდებს მუჭით იყოფდნენ და ცხვირსახოცს თუ არ აბრეშუმისას აღარც კი კადრულობდნენ. წარმოიდგინეთ, რამდენი დიდებული უნდა დაღუპულიყო წყლის ზვირთებში, რომ ამოდენა სარჩო-საბადებელი ეშოვათ ჩვენ ჯარისკაცებს?

კონვენტის წარმომადგენლებმა ბურბოტმა და ტიურიმ ძალიან ბევრი ძვირფასი ნივთი გამოისყიდეს ჯარისკაცებისაგან და საერო კრებას გაუგზავნეს. თვით ჯარისკაცებმაც, რაც კი ძვირფასი ეშოვათ რამე, სრულიად უფასოდ მიართვეს კონვენტს, რესპუბლიკისათვის შემოგვიწირავსო. და უჭირდა კიდეც რესპუბლიკას, რადგან ყოველი მხრიდან მტერი მოსდგომოდა და ფული კი არა ჰქონდა.

მაგრამ მგონი დრო იყოს, მეფის მომხრე დიდებული თავადიშვილების საქციელი აგიწეროთ, იმ დიდებული თავადიშვილებისა. რომელთაც ამალეს საწყალი ხალხი, იმდენი სისხლი დააქცევინეს და ბოლოს კი ღვთის ანაბარად მიატოვეს—ჯანაბას შენი თავიო! მერმე ვინ შეირცხვინა ასე თავი? ისეთმა დიდებულმა, ბრწყინვალე გვარის შვილმა თავადებმა, როგორიც არიან ანრი ლაროშჟაკელნი, საბინო, ლავილბოაჟე, ლანჟერო და სხვანი და სხვანი, ბურჯნი და დედაბოძნი მეფის და სასულიერო წოდების მტარვალობისა. მართალია, ვანდელი გლეხკაცობა დამნაშავე და შემცოდე იყო როგორც საკუთარი ცოლშვილის, ისე სამშობლოს წინაშე, რომ გაბედა და იარაღით აღუდგა თავისავე ერს. ეს საქციელი არ შეშვენოდა არც პატიოსნებას ხალხისას, არც მის მამულიშვილობას! მაგრამ ვინ იქნება ხალხის სიძულვილით დაბრმავებული, რომ—შენი ბრალია, მარტო შენი, და მარტო შენა ხარ შემცოდეო,—უთხრას? საუკუნეთა განმავლობაში ისე ჰყავდათ ბატონს და მღვდელს დამონაებული გლეხკაცი, რომ განათლების სხივს კი არა, ნაპერწკალსაც კი არიდებდნენ მის გონებას: თუ გაიგო რამე, ასე ყურმოჭრილ ყმად აღარ გვემსახურებაო. განა რომ სცოდნოდათ რამე, ვანდელები რესპუბლიკას ომს აუტეხდნენ?... თუ კი ჯვარცმულმა შეუნდო თავის მტანჯველთ, — არა უწყიან, რასა იქმნენო, განა უბედურ ვანდელებს კი არ უნდა შევუნდოთ მათი საქციელი? შენდობის უღირსი თუ იყო ვინმე, ისინი იყვნენ, ვინც ხალხის უვიცობით ისარგებლა, გააბრიყვა და იარაღი ააღებინა; შენდობის უღირსნი სწორედ ის დიდებულნი და სულიერი მამანი იყვნენ, რომელთაც ისე ეძნელებოდათ საკუთარი უპირატესობათა დაკარგვა, რომ და-

აბრმავეს იმდენი ხალხი, კაენის ცოდვა ჩაადენიეს, და თანაც არწმუნებდნენ—ამას თვით ღვთის გულისთვის იზამთ და მით ღაიმკვიდრებთ სასუფეველსა ღვთისასაო! ვანდელების აჯანყებაში დამნაშავენი მარტო ესენი იყვნენ და სასჯელიც მარტო მათ უნდა მიეღოთ, მაგრამ საქმით კი სულ სხვანაირად გამოვიდა: თითონ განზედ გადგნენ და საწყალი ხალხი კი ბუზივით აჟლეტინეს ჩვენს ჯარებს. ამ დიდებულთ რომ ცოტაოდენი პატიოსნება ჰქონოდათ, უპატრონოდ კი არ მიატოვებდნენ იმდენ ხალხს, რომელშიაც უმეტესი ნაწილი მოხუცებულები, ქალები და ბავშვებიღა იყვნენ. არა! რაკი ნახეს, რომ ლუარის გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან საშინლად მოდიდებულიყო წვიმებისაგან და ხიდი კი აღარსად ჰქონდათ, სწორედ ამ დიდებულთ უნდა გაეწირათ თავი, მოსულიყვნენ საერო კრების, ესე იგი საფრანგეთის ერის წარმომადგენლებთან და მოეხსენებინათ:

— ჩვენ ესა და ეს გახლავართ. ჩვენა ვართ დიდებული გვარის შთამომავალი მებატონენი და არ გვინდოდა თქვენს რესპუბლიკას დავმორჩილებოდით. ჩვენ გავიტაცეთ და ჩვენ ავშალეთ ეს უბედური ბრბო თქვენთან საბრძოლველად... მოვატყუეთ. დღეს თქვენა ხართ გამარჯვებულნი! დიდსულოვანი ერის წარმომადგენელნი ხართ და... იმედი გვაქვს არ აჰყვებით გულისწყრომას და შეუნდობთ ხალხს ამ დანაშაულს. თქვენც ხომ ხალხის შვილნი ხართ, ნუ დასჯით უვიცს! ჩვენ გვიკმარეთ დასასჯელად და მით გათავდეს ყველაფერი! ღმერთმა კეთილად მოახმაროს საფრანგეთს თავის ახალი კანონები. ჩვენთვის კი ისიც კმარა, რომ ჩვენი სამშობლო ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებს თავის შვილებს, რომლებმაც ყოველივე გასწირეს თავიანთ უპირატესობათა დასაცველად და ბოლოს სიცოცხლეც არ დაიშურეს მათთვის მებრძოლი ჯარის განსაცდელიდან დასახსნელად.

განა ასე არ მოიქცეოდი, ჩემო მკითხველო? ჯარისკაცი ხარ, ერთი საწყალი მუშა, თუ სოფლელი გლეხკაცი, სულერთია, შენც სულის ცხონებასავით გენატრება ის ნეტარი დღე, როდესაც კანონის წინაშე ყველა გათანასწორებულ იქნება და უფრო მეტი პატიოსნება გაქვს და თავგანწირვა, ვიდრე დიდებულ მებატონეებს. დარწმუნებული ვარ, შენც ასე მოიქცეოდი. ნეტარება სიცოცხლე კი არა, ნეტარება საკუთარი ვალდებულების პატიოსნად აღსრულება არის! მაშინ სიკვდილიც ტკბილია და ამ სიტკბოებას გლეხკაცი უფრო მიჩვეულია, ვიდრე განცხრომით და ფუფუნებით გადიაცებული დიდებული. მე ხომ ძალზედ მოხუცებული ვარ,—ჩემი ხნის კაცს ფიცი აღარ უნდა,—და ვფიცავ ყოვლად წმინდა სამებას, რომ

ერთს წამს არ შევჩერდებოდი: თავს გავწირავდი და საწყალ ხალხს კი ვიხსნიდი.

ჰოდა, ყური დამიგდეთ! ჩვენ რომ წყლის პირს მივედით, შუა წყალში ნავი დავინახეთ, ერთადერთი ნავი, რადგან რესპუბლიკის მოხელეებს წინადვე მიემალათ ყველა ნავები, რომ გამოქცეული ვანდელები წყალს არ გავიდნენ და კვლავ თავიანთ ბუჩქნარში არ გაგვიმაგრდნენო. და ამ ერთადერთ ნავში ბრძანდებოდნენ გენერალი-სსიმუსი ანრი დელაროშჟაკლენი, სტოფლე, საბინო, ლავილბოჟე, ვოჟირო, დელახჟერი და რამდენიმე კიდევ სხვანი, რომელთაც მოეტყუებინათ ხალხი: გაღმა თქვენ საშველად გამზადებული გემები დგანან... გავალთ და გამოვიყვანთო! ამას მეკი არ მოგახსენებთ, ამას თვით მეფის მომხრე მწერალნი ამბობენ თავიანთ წიგნებში. დიაღ! თვით მეფის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ხალხის გასაყვანად საჭირო გემების საძებნელად გენერლებმა კაცი კი არ გაგზავნეს, ვინმე აფიცერი; არა, თითონვე წავიდნენ სულ ყველანი! საცინელი იქნებოდა, სამარცხვინო და სამწუხარო რომ არ იყოს, ამისთანა საბუთი თავის გასამართლებლად. მით უფრო, რომ, რაკი გაღმა გავიდნენ, აღარც ხალხი მოჰგონებიათ, აღარც გემების გამოგზავნა და მარტო თავის შველასღა ცდილობდნენ. წავიდნენ თავისთვის, უკანაც აღარ მოუხედიათ და სრულიად უპატრონოდ მიატოვეს საბრალო ხალხი, ისე რომ მას შემდეგ მათი ხსენებაც კი გაწყდა.

მე იმისთანა ადგილზე ვიყავ, რომ ჩემი თვალით არ დამინახავს მიმავალი ნავი. მაგრამ მით უკეთესი, რომ ვერ დავინახე: ერთიათასად მეტად ამემღვრეოდა გული და სამარემდის აღარ მომასვენებდა იმ უღმერთოებისადმი ზიზღი და სიძულვილი!

გზადაბნეული ცხვარივით იდგნენ წყლისპირას უბედური ვანდელები — ქალი, კაცი, მოხუცებული და ბავშვი; გაღმა მათს მფარველს ბუჩქნარს ხედავდნენ, და თავგანწირულნი სიკვდილსღა ელოდნენ. უკანიდან ჯარი ადგათ; წინიდან, მღინარიდან, განგებ მათ ამოსახოცავად გამოგზავნილი სამხედრო გემები!.. დაიწყო სროლა. მოეხვევოდნენ საწყლები ერთმანეთს და — მშვიდობით! ახლა კი დავიღუპეთო!—შესძახოდნენ თვალცრემლიანი.

რამდენი უბედურება ტრიალებს დედამიწაზედ!

ჩავყევით იქიდან წყლის პირს და, საცა კი გაქცეულ ვანდელებს მოვასწარით, ყველანი დავიმორჩილეთ. ტუშში, ნორში და ბლენში კარგი ომიც მოგვიხდა, რადგან გამაგრებული ჰქონდათ ციხეები. ბლენშივე ჩაბრძანდა გემში უბრწყინვალესი თავადი ტალმონი და იმასთან ერთად დონისსანი, დეზესსარი, პერელი, პირონი, როსტანი

და ას ორმოცდაათი აფიცერი და მრავალი დიდებული ქალბატონი და — თავს უშველეს. ტალმონი რამდენიმე დღის შემდეგ დაიჭირეს და მოკლეს; გილიოტინა სწორედ მის სასახლის წინ ააგეს და თავი იქ გააგდებინეს. ბრძოლის ველზედ მარტო გლეხკაცებიღა დასტოვეს დიდებულებმა და ამ გლეხკაცებმა გაპარვას და მით თავის შერცხვენას ვაჟკაცური სიკვდილი ირჩიეს.

აგერ ორი კვირა სრულდებოდა, რაც უკან მივდევდით ვანდელებს. ვეღარ გამოვლიეთ. იმდენნი იყვნენ. ფეხსაცმელი რომ აღარავისა გვქონდა, თითქმის ფეხშიშველნი მივდიოდით გაყინულ გზაზედ, ტანისამოსი ისე შემოგვებდღვნა, რომ ჯარს კი არა, ჭუჭის მაწანწალებს უფრო ვგავდით. ყველას მოსვენება გვენატრებოდა და მით უფრო გაშმაგებულნი ვდევნიდით გაქცეულთ.

ბოლოს ნანტსაც მივატანეთ. ნანტში ძალიან გამაგრებულიყო მტერი, რადგან ეს იყო იმისი უკანასკნელი თავშესაფარი; თუ აქაც დავამარცხებდით, გავირეკდით და იმისთანა ჭაობში ჩაკრეკდით, რომ ცხენიან კაცსაც დაახრჩობდა. შემოვარტყით ქალაქს გარშემო ჯარი და სროლა დავუწყეთ. საშინელი სიცივე იყო; წინ ცეცხლზე ვიხუხებოდით და უკან ზურგი გვეყინებოდა.

შუაღამისას გენერალმა კლებერმა დაგვხედა. თან ერთი ყმაწვილი კაცი ახლდა, აფიცერი; ჩამოგვიარა და გვკითხა:

— რამდენი სროლა გაქვთ, ბიჭებო?

— თითო ზარბაზანზედ თვრამეტი, ჩემო გენერალო,— მიუგეს ჩვენებმა.

— ვაუფთხილდით, გაუფთხილდით, თორემ ხიშტის ხმარება მოგვიხდება.

თან გაშტერებით გვსინჯავდა ცხენიდან. რომ გვიცნო, პირს ღიმილი მოუვიდა:

— მგონი დღესაც ისე ყინავს, როგორც შარშან მაინცში, ჰა ბიჭებო?

— დიაღ, ჩემო გენერალო,—მიუგო სომმა, — მაინცში ციოდა, მაგრამ საქმეში მაინც გახლდით. კასსელის ციხეს რომ ვამაგრებდით, ხვითქით გვდიოდა ოფლი.

კლებერმა ხელთათმანი მოიხსნა და ხელი ჩამოართვა ივანეს:

— ცოტა კიდევ, ბიჭებო, ცოტა კიდევ მოითმინეთ! ჩვენი გამარჯვება და ადამიანის უფლებათა დამყარება ერთი იქნება!

იმისთანა მხიარული კილოთი გვითხრა ეს სიტყვები და ისეთი იმედიანად გადმოგვხედა, რომ ერთად შევძახეთ ყველამ:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

ის კი წავიდა და მთელი ღამე ისე დაუსვენებლივ უვლიდა ჩვენს ჯარებს და დარაჯებს.

ჯერ ისევ ბნელოდა, რომ შეჭამადის ხარშვას შევუდექით; ამოყო თუ არა მზემ თავი, მაშინვე სროლა ატყდა. რაღა თავი შეგაწყინოთ, დიდი ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ნანტი. რამდენიმე ასი კაცი დავკარგეთ, მაგრამ, სამაგიეროდ ისე გავანადგურეთ ვანდელების ჯარები, რომ მებრძოლი აღარავინ გადაგვრჩენია. თუ გადაგვრჩა ვინმე და ჭაობებში ნაცნობ ალაგს მიიმალა, ძალიან ცოტანი გადაგვრჩნენ, სულ ორი-სამი ათასი კაცი და ისიც იმიტომ, რომ მოგვწყინდა მათი დევნა და ხოცვა. ან რაღა შიში უნდა გვქონოდა ორი-სამი ათასი კაცისა, როდესაც ერთიანად გავწყვიტეთ ვანდელების ჯარი. რომელშიაც, სულ ნაკლები რომ ვთქვათ, ასი ათასი მებრძოლი ვაჟკაცი მაინც იქნებოდა. ვინც გადარჩა, გადარჩა, ჩვენ იმათ აღარ გამოვკიდებივართ.

„დიდი ბრძოლა გავუწიეთ რესპუბლიკას,—ეტყოდნენ ეს გადარჩენილები შემდეგში თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს. — დიდი გაჭირება და წამება გამოვიარეთ; დედა, მამა, ცოლი, შვილი, — ვინც კი გულის საყვარელი გვყავდა, შიმშილით და სიცივით ამოგვიწყდა ჭალებში. ჩვენი თვალითა ვხედავდით მტრის ჯარებისაგან მათს უდიერად ჟლეტას, მაგრამ შებრალებას არა ვთხოვდით, რადგან რესპუბლიკელებისაგან შებრალებაც კი არავის გვინდოდა! ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენც არ ვაკლებდით სამაგიეროს!.. დიდი ბრძოლა გავუწიეთ რესპუბლიკას! იმისთანა საშინელება ვნახეთ, რომ ზღაპრადაც კი ძნელი დასაჯერია; მაგრამ ისე არაფერმა მოგვიკლა გული,—არც სახლ-კარის გადაწვამ, არც ცოლ-შვილის ამოჟლეტამ, არც ნაჭირნახულევის აოხრებამ, როგორადაც გული მოგვიკლა და უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიგვიყვანა ჩვენი მაღალი მებატონეების სამარცხვინო საქციელმა: იმდენი ხალხი მათი რჩევით და ჩაგონებით აიშალა, იმდენი ხალხი მათი გულისთვის შეებრძოლა საფრანგეთს და მათ კი სწორედ მაშინ გვიღალატეს, როდესაც გამარჯვებული მტერი მუსრს ავლებდა ყოვლად უმწეო ჩვენს ცოლ-შვილს. მტრისაგან დამარცხებამ კი არა, ბოლო დიდებულთა ღალატმა და მღვდლების სულმდაბლობამ მოგვიღო. მამა ბერნიე საუკეთესო იყო იმათში და ისიც კი რესპუბლიკას მიემხრო და იაკობელების მომხრე ბონაპარტს ეპისკოპოსობას სთხოვდა“.

ამით გათავდა ვანდელებთან ომი.

ორი დღის შემდეგ ნანტში შევედით. იმავე დროს მოვიდა ამბა-

ვი სავენეში ჩვენი ჯარის გამარჯვებისა და ტულონიდან ინგლისელების განდევნისა; ინგლისელები კი წასულიყვნენ, მაგრამ ცეცხლი წაეკიდებინათ ქალაქისთვის და, რაც ტულონის ნავთსადგურში ხომალდები ყოფილიყო, სულ ერთიანად თან წაეყვანათ.

რაღა საჭიროა აგიწეროთ, როგორი აღტაცებით მოგვეგებნენ პატრიოტები და ქალაქის მოხელენი, ნანტში რომ შევედით. წინ კლებერი, მარსო, ვესტერმანი და სხვა გენერლები მიგვიძღოდნენ და უკან კიდევ ჯარი—ფეხშიშველი, დაფხრეწილი ტანსაცმელით, დაგლეჯილი ქუდის ჩაჩებით, თავგასაკრეჭი, წვერმოუპარსავი და ჭრილობათაგან დასახიჩრებული ჯარი. წინ სამხედრო მუსიკის გამარჯვებული მარსელური ისმოდა, აქეთ-იქით ხალხის ძახილი—რესპუბლიკას გაუმარჯოსო! ყველა ფანჯრებში რესპუბლიკური სამფერი დროშები გამოეფინათ, აივნებიდან ქალები გვიღიმოდნენ.

ყველა ხარობდა, ყველა სიამოვნებით და სიყვარულით შემოგვცქეროდა; ბრძოლით ნაშოვნი ვანდელების ზარბაზნები და დროშები რომ დაინახა ხალხმა, სიხარულით ჯარში ჩამოერია და კოცნა დაგვიწყო ჯარისკაცთ. სამხედრო მოედანზე კლუბის თავმჯდომარემ გრაკხუსმა და სცევოლა ბირონმა შესაფერი ქება მოგვიძღვნეს. მოქალაქენი სადილად და ვახშმად გვეპატიჟებოდნენ. ყველგან ლხინი და დროს ტარება იყო. მაგრამ ლხინი და დროს ტარება ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა და, ერთი-ორი თუ გინახავთ სადმე, ვითომც ყველა გენახოთ! აქ ახალი მარტო ის იყო, რომ ნანტელ პატრიოტებს უფრო უხაროდათ ჩვენი გამარჯვება, ვიდრე თითონ ჩვენ, რადგან უკანასკნელი წლის განმავლობაში ოცჯერ მაინც მისდგომიან ვანდელები ნანტს ასაღებად და ასაოხრებლად. შევიდა თუ არა ნანტში ჩვენი ჯარი, მაშინვე შესდგა ქვეყნის მფარველი კომიტეტი — გულენი, პინარი, გრანმეზონი, კარრიე და რამდენიმე სხვანი — რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა დასასჯელად. ჯარსაც მაშინვე დაურიგეს ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი და მოქალაქეებთან დაუნიშნეს ბინა.

მე ერთ ჩილინგდართან დამაყენეს, ერთ მოხუცებულ პატიოსან მუშასთან, რომელიც მთელი დღე მუშაობდა და მთელი დღე „წავა-წავას“ მღეროდა. მთელი დღე მღეროდა: რაკი ნახავენ რომ „წავა-წავას“ ემღერი, შიში აღარაფრისა მექნებაო; და იმის ქალი კი მთელი დღე მუხლმოდრეკილი ლოცულობდა. მოხუცებული იაკობელების კლუბში დაიარებოდა და კურდღელივით თრთოდა ყოველ ხმაურობაზედ, რადგან რობესპიერის მომხრენი დაძრწოდნენ ქალაქში და სახლებს ჩხრეკავდნენ. ნანტის გარემო ადგილებიდან ყოველ დღე მოერეკებოდნენ დაპატიმრებულ საეჭვო პირებს. ხმა დადიო-

და, მარეს კიდევ შეუკრებია ჯარი და ბრძოლას გვიპირებსო, მაგრამ ამას ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა, რადგან მეფის მომხრენი უკვე დამარცხებულნი და გათახსირებულნი იყვნენ და მათი შიში აღარავის ჰქონდა.

ვანდეში მყოფი ჩვენი ჯარი აქეთ-იქით გაფანტეს რესპუბლიკის საჭიროებათა მიხედვით. ჩვენი რაზმი და პარიზელი შეთქმულები ერთად დარჩნენ, ისე რომ ყოველ დღე ვხედავდი ლიზას და მის ქმარ-შვილს. ჩემი სიძე-ბატონისთვის აფიცრობა ითხოვეს მისმა ამხანაგებმა და, რადგან ყველამ იცოდა, რომ მართლა ვაჟკაცურად იბრძოდა და არა ერთხელ დაიმსახურა ეს წარჩინება, უფროსებმაც ღირსადა სცნეს და აფიცრობა უბოძეს. მარესკოსთვის რომ გეკითხათ, არც კი უნდოდა: ვაჭრობა უფრო სასარგებლო არისო. მაგრამ ლიზა ერთს წამს აღარ ასვენებდა და დღე და ღამ სულ იმას ჩასჩიჩინებდა, უარი არა თქვაო. ელისაბედ-ქალს ისე უნდოდა აფიცრის ცოლობა, რომ მეც ჩავერიე საქმეში.

— იცი, რა გითხრა, ჩემო სიძევ: თუ შენი სიკეთე გინდა, შენს ცოლს ყოველი თხოვნა აუსრულე, თორემ—ჩემ შეჭედილ ხატს არ იცნობ? — ძმარს გადენს ცხვირიდან!

სიცილი დაიწყო. მაგრამ როდესაც ეპოლეტები მოუვიდა, დიდი სიხარულით დაიმშვენა მხრები. ელისაბედი ხომ კინაღამ გაგიჟდა სიხარულით და მას შემდეგ სულ იმასა მკითხავდა: ხომ მისწერე შინ, რომ აფიცრის ცოლი ვარო? მგონი, უმთავრესად ამიტომ უნდოდა მარესკოს წარჩინება. ვაჭრობაზედაც გული აღარა ჰქონდა, რადგან რაც იმ ერთი წლის განმავლობაში პარიზელებს ნადავლი ეშოვნათ რამე, სულ ლიზასთვის მიეტანათ, ზოგს არაყში და ზოგს თამბაქოში. ისე ჰქონდა გამოტენილი ზანდუკები ოქრო-ვერცხლით, რომ იმას კი არა, მეშვიდე თაობამდის ეყოფოდათ იმის შვილიშვილებს. მახსოვს, ერთხელ ხელით მანიშნა თავისი განძი და იმისთანა კილოთი მითხრა, თითქო ჩვენს ქოხში კი არა, სასახლეში ყოფილიყოს აღზრდილი:

— იცი, მიშელ, თუ კნეინები დაბრუნდნენ, მეც კნეინა ვიქნები. მე უფრო მომიხდება, ვიდრე იმათ, რადგან ჩემი ხელით და გონებით შევიძინე ყველაფერი და ისინი კი დაბადებითვე მზამზარეულად ჰპოვებდნენ დიდებას. შენ მიყურე, რა კაცი გავზარდო ჩემი კასსიუსი! ეს აფიცრობა ხომ მივიღეთ! ეხლა აღარა გამიჭირდება რა, ღმერთი მოწყალეა.

საშინელი რამ არის დედაკაცი, ხორცშესხმული ამაოებაა! ოღონდ ელისაბედ-ქალი კნეინად გამხდარიყო და სხვა არა ენაღვლებოდა რა, თითქო მარტო იმიტომ ინაცვალა რესპუბლიკამ

ექვსასი ათასი კაცი, რომ ვიღაცა მედუქნის ცოლი გაებრწყინვალებინა. რომ არა მცოდნოდა ჩემი დის სისულელე, მგონი, ძალიან გავჯავრებულიყავ ამის გაგონებაზედ, მაგრამ ვიცოდი, რა ტვინის პატრონიცა ბრძანდებოდა და მხრებიღა ავიჩეჩე. ან რა უნდა მეთქვა, ვიცოდი, რომ ჩემს სიტყვას ისე იუცხოვებდა, როგორადაც ჩინურს: მგლის თავზედ სახარებას წაიკითხავენ?

ლიზას სისულელე ხომ მწყინდა და მწყინდა და ამაზედ უმეტესად საწყენი და სამწუხარო კიდევ პატიმრების დასჯა იყო. ციხეები სავსე იყო რესპუბლიკის მტრებით და დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ მიერეკებოდნენ დარაჯები იმ უბედურებს გილიოტინისკენ. თოვდა, და იმ საშინელ ყინვა-სიცივეში თითქმის შიშველ-ტიტველნი იყვნენ ყველანი; ხელები ზურგზედ ჰქონდათ გაკრული და რადგან ქუჩაში დიდი თოვლი იდო, ისე ჩუმად მიდიოდნენ, თითქო აჩრდილნი არიანო. როგორც კი ბორკილის ხმა მოგვესმოდა, მოხუცებული ჩილინგდარი, იმისი ქალი და მე ავეკვრებოდით ფანჯრებს და სულგაკმენდილნი შევცქეროდით გილიოტინისკენ მიმავალთ; გაატარებდნენ საწყლებს... ქალი კვლავ ლოცვას დაიწყებდა, მოხუცებული ერთს ამოიოხრებდა და ისევ თავის საქმეს შეუდგებოდა. მრავალი ხალხი გაატარეს ამგვარად ხელშეკრულნი ჩვენ ფანჯრებ ქვეშ—ქალი და კაცი, მოხუცებული და ყმაწვილი, დიდებული და ბერი. გადავხედავდი თუ არა საწყლებს, მაშინვე ნანსი მომაგონდებოდა: თვალწინ თითქმის ცხადლივ წარმომიდგებოდა გენერალ ბულიესაგან ჯარისკაცების ჟლეტა,—თქვენი ხვედრი ჯამაგირები რად ითხოვეთო?—და მრავალთ-მრავალი პატიმარი, რომლებიც ზოგი დახვრიტეს, ზოგი დაახრჩეს და ზოგი ჩემს თვალწინ აწამეს ნანსში.

განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ აქ, ნანტში, კარრიე საერო კრების ბრძანებას ასრულებდა, იქ კი, ბულიე მეფისას, აგერ სამოცდათორმეტი წელიწადია, მეფის მომხრენი წყევლა-კრულვით იხსენიებენ კარრიეს; მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ვინც თითონ ბარბაროსია, სხვას არ უნდა უკიჟინებდეს ბარბაროსობას. ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა მხოლოდ 1793 წელს დაიწყო დამნაშავეთა აღმოჩენა და ღირსეულად დასჯა, და ერთი ალიაქოთი შექნეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა; თითონ კი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სრულიად უდანაშაულოდ სტანჯავდნენ და აწამებდნენ ხალხს! ბულიე ჯარისკაცების წამებით კანონს არღვევდა, რადგან წამება უკვე გაუქმებული იყო მაშინ; კანონს არღვევდა ბულიე და ამ საქციელს მეფეც უწონებდა და დედოფალი მარიამ-ანტუანეტაც; კარრიეს კი ცოტა ხანს უკან თავი მოაგდებინეს, რადგან მეტი გა-

ებედა, ვიდრე საერო კრებისაგან ჰქონოდა მინდობილი და ნაბრძანები. ეგეც არაფერი: საქმე ის არის, რომ ჩვენ რომ დავმარცხებულიყავით, მთელი საფრანგეთი სახრჩობელებით აივსებოდა და ისე ამოგვხოცდნენ პატრიოტებს, რომ რესპუბლიკისა ხსენებაც კი ამოეგდოთ. ტყუილად კი არ გვემუქრებოდა ბრაუნშვეიგი!

ამით ის მინდა მოგახსენოთ, რომ ადამიანი ადამიანია და, ვინც რას გასცემს, სამაგიეროდაც იმას მიიღებს.

დავბინავდი თუ არა ჩილინგდართან, მაშინვე წიგნი მივწერე მარგალიტას და ჩვენი გამარჯვება ვაცნობე. კარგა ხანი გავიდა; მოუთმენლად ველოდი შინიდგან ამბავს, და პასუხი კი არსად იყო. ვწუხდი, გული ვეღარ დამემშვიდებინა, სულ იმის ფიქრში ვიყავ, ვაი თუ ალზასს და ლორენს ავსტრიელი და პრუსიელი ჯარები შესეოდნენ და აეკლოთ... ფალსბურგს რომ მტრის ჯარი არ შემორტყმოდეს, მარგალიტა წიგნს არ მომწერდა-მეთქი? ვფიქრობდი.

და ვალენტინის მუქარა მაგონდებოდა... თვალწინ მიდგა ცეცხლწაკიდებული ჩვენი სოფელი... ხალხი იხიზნებოდა; ნათლიაჩემი, ლეტუმიე, მამაჩემი და სხვა პატრიოტები ტყვეკენ მიეშურებოდნენ... ერთი სიტყვით, ისე ვიყავ შეწუხებული, რომ საერო კრების განცხადებამაც კი ვერ დამამშვიდა, რომელშიც ეწერა, გენერალმა ჰოშმა და პიშეგრუმ გაირეკეს მტრის ჯარი და უკან მისდევენო. შოველისაგან წიგნი რომ არ მომსვლოდა, სწორედ ჭკუაზედ შევიშლებოდი. ბევრი ახალი ამბავი მაცნობა ამ წერილმა და სრულიადაც დამამშვიდა. აი ახლაც, გადავიკითხე იგი და იმისთანა დიდებული და გაბრწყინვალებული დროება მომაგონა იმ კურთხეულის დაწერილმა, რომ ვიფიქრე, ამ წერილით გავათავებ ჩემი ისტორიის მესამე ნაწილს-მეთქი. აი, თვით წერილიც:

„დიდი ომი გადავიხადეთ, ჩემო საყვარელო მიშელ! წელიწადი პირველი რესპუბლიკისა თვალსაჩინო ხანად დარჩება კაცობრიობის ისტორიაში.

მარგალიტასთან მოწერილი შენი წერილები ყველა სიამოვნებით წავიკითხე და არა ერთხელ ვიფიქრე, პასუხი გავცე-მეთქი. მაგრამ იმდენი მტერი გვეხვია და იმოდენა განსაცდელი გვადგა გარედანაც და შიგნიდანაც, რომ მეშინოდა, ვაი თუ გული ჭოვუკლა უიმედობით ან არა და მეტისმეტი იმედი შთავუნერგო მომავლისა-მეთქი. დღეს კი რესპუბლიკის საქმეები კარგად მიმდინარეობენ, მტერი უკვე განდევნილია სამშობლოდან და, თუნდა კიდეც დაგვიბრუნდეს, დეე მობრძანდეს! იმის დრო მაინც გვექნება, რომ სული მოვიბრუნოთ და საბრძოლველად შევემზადნეთ.

შენ, რასაკვირველია, დარწმუნებული ხარ, რომ შვილად მიმაჩნიხარ და რაც უნდა მოხდეს, მინდა რომ შენმა შვილებმა, რომელნიც ჩემებიც იქნებიან, იცოდნენ როგორ დაუხვდა მათი პაპა ამ საშინელ დროს და რაგვარი იყო მისი მოღვაწეობა. ჩვენს შვილებს სამშობლოსათვის თავგანწირულის სამსახურის მაგალითი ვუჩვენოთ და, ვიცი დამეთანხმები, ამაზე უკეთესი და უძვირფასესი მემკვიდრეობა სხვა არა უნდათ რა. ჩემგან ამის მეტს ვერას მიიღებენ და, იმედი მაქვს, ამასაც იკმარებენ.

მარგალიტა გწერდა თავის უკანასკნელ წერილში, რომ სენჟიუსტმა, ლებამ, რანკმა, ბერჟემ და მე ფალსბურგზედ ავიარეთ; მეცში იარაღის საწყობები დავათვალიერეთ და სტრასბურგისკენ მივემგზავრებოდით. ძალიან ცუდი დრო იყო, რესპუბლიკის სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა. მაინცი და ვალანსიენი მტერმა წაგვართვა; ლიონი აგვიჯანყდა; ტულონმა გვიღალატა; ვანდელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ჩვენი ჯარები; საჭმელ-სასმელი გაძვირდა, რადგან საზღვარგარეთისას ყველაფერს ინგლისელები ყიდულობდნენ, რომ ერთიათასად ძვირად მოეყიდნათ ჩვენთვის და შინ კი აღარა გვქონდა რა. ქვეყანა დაიმშა; კაცი აღარსად იყო, რომ გუთანი გაეტანა: ვინც იყო, ყველა ომში იყო; ასიგნაციები ისე დაეცნენ ფასში, რომ გასავალი აღარც კი ჰქონდათ. ამოდენა უბედურების გამო საერო კრება იძულებული შეიქნა სასტიკი ღონისძიებანი ეხმარა და მეც სრული თანხმობა გამოვაცხადე ამისი, რადგან სამართლიანად და გარემოებათა გამო საჭიროდ მიმაჩნდა იგინი; საერო კრებამ განაახლა ქვეყნის მფარველი კომიტეტი, რომელიც გარემოებათა შესაფერ გამჭრიახობას ვერ იჩენდა; დედოფალი მარიამ-ანტუანეტა და ჟირონდელები სასჯელში მისცა; გამოაცხადა, ვიდრე მშვიდობიანობა ჩამოვარდება, კონსტიტუცია გაუქმებული იქნება და რევოლუციური წესწყობილება იქნება შემოღებულიო; ქუდზე კაცი გაიყვანა ჯარში, 18 წლიდან 45 წლამდე; ხალხს ხარჯი ფულად კი არა, მოსავლით გამოართვა ჯარების გამოსაკვებად; ყოველ თემში და მაზრაში რევოლუციური კომიტეტები დააარსა, რომ ყური ეგდოთ რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთათვის და საერო კრებისათვის ეცნობებინათ ყოველი მათი საქციელი: უპირველეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ხორაგეულობას ფასი დაადო, და მით აიძულა ვაჭრები, ამ ფასზედ ძვირად არა გაეყიდნათ რა; ასეთივე ფასი დაადო

დღიურ მუშის და ხელოსნების შრომას; სავალდებულო გახადა ვაჭრობაში ასიგნაციების ხმარება; საფრანგეთის ყოველ კუთხეში კონვენტის წევრები გაგზავნა ჯარის მოსაგროვებლად და საჭირო იარაღის საშოვნელად: მათვე დაავალა, თვალ-ყური სჭეროდათ ჯარში მყოფ გენერლებზედ და მაგალითი ეჩვენებინათ სამშობლოსათვის თავგანწირული სამსახურისა....

მაგრამ ეს ყველაფერი არა კმაროდა!

ამით დიდი სიკეთე დასდო ჩვენს ქვეყანას კონვენტმა. რესპუბლიკა განსაცდელიდან დაიხსნა. ჩვენი ჯარების ეატინში და შოლეში გამარჯვებამ და ლიონის აღებამ დაგვარწმუნა, რომ ნამდვილად კარგს გზას ვადექით. ამავე დროს იმაშიც დავარწმუნდით, რომ საცა კი დამარცხდა ჩვენი ჯარი, ან ღალატით დამარცხდა, ან არა და ძველი, მეფობის დროინდელი, გენერლების უნიჭობის წყალობით. ჩვენ იმაში ვიყავით დამნაშავენი, რომ ძველი გენერლები არ დავითხოვეთ. გარდა ამისა, ისიც ცხადად დავინახეთ, რომ საცა კი საფრანგეთში ხალხის აჯანყება მოხდა, იმ დეპუტატების ბრალი იყო, რომელნიც საერო კრებაში ან კანონმდებელ კრებაში იყვნენ წევრებად და მერე კონვენტში კი აღარ იქნენ არჩეულნი. ეს დეპუტატები ხალხის მტრები იყვნენ, უვიცი ხალხისაგან თავის წარმომადგენელად არჩეულნი ჟირონდელების მომხრე როლანის მინისტრობის დროს; ან არა და მეფის დროინდელი მოხელენი, მეფისაგან უზრუნველყოფილნი მდიდრული პენსიებით. საჭირო იყო ძველი გენერლების დათხოვნა და ვათ მაგიერ ახლების, უბრალო ხალხის შვილების, დანიშვნა; საჭირო იყო სრული გაუქმება მეფის მომხრეთა გავლენისა, რომელნიც — რესპუბლიკელნი ვართო — იძახდნენ, და რესპუბლიკას კი ორმოს უთხრიდნენ.

ჩვენც სწორედ ამისათვის წავედით ალზასს და ლორენს.

უჭირდა კიდეც ალზასს ჩვენი დახმარება. გამოვიდა თუ არა თქვენი ჯარი მაინციდან ვანდეში წასასვლელად, ასი ათასი კაცი პრუსიელი და ავსტრიელი მოადგა რეინს. ბარემ გვინდოდა შეგვეერთებინა გაფანტული ჩვენი ჯარები, მაგრამ მტრის სიმრავლესთან ვეღარა გავაწყვეთ რა და უკან დავიწიეთ.

ჩვენ რომ ჩავედით, პრუსიელები უკვე ლორენში იყვნენ და ავსტრიელები ალზასში. აგენო თითონვე დანებდა მტერს,

ვობანის ციხე ძალით აიღეს; მთელს ჩვენს მხარეს ბერები, რევოლუციის მოწინააღმდეგე მღვდლები და გახიზნული დიდებულები მოსდებოდნენ და ყველგან აჯანყებას ურჩევდნენ ხალხს, — იქნება აქაც ვანდელებივით გავიტაცოთ ხალხი და თავში საცემი გაუხადოთ რესპუბლიკასო. სტრასბურგელ მამასახლისს და მოხელეთ მოლაპარაკება ჰქონდათ მტრებთან. და ქალაქის დათმობას პირდებოდნენ. ხომ ხედავ, მიშელ, რა საშინელ მდგომარეობაში ვიყავით!

ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა მოზელზედ მყოფი ჯარის მხედართმთავრად გენერალი ჰოში დანიშნა და რეინის ჯარის მხედართმთავრად — პიშეგრუ; დანიშნა, კი დანიშნა, მაგრამ ჯერ არავინ იცოდა, საქმეში როგორები გამოდგებოდნენ ეს ყმაწვილი გენერლები. პრუსიელები კი ნელ-ნელა წინ მოიწევდნენ და აქა-იქ ჩვენ ჯარებს ამარცხებდნენ; საჭირო იყო გვეზრუნა რამე, თორემ ხალხიც და ჯარიც თავის თავის იმედს დაჰკარგავდა და მაშინ კი ვეღარა გვიშველიდა რა.

სენჟუსტმა, ლებამ და მე მაშინათვე გადავწყვიტეთ, გაძლიერებულ სენს ძლიერივე წამალი უნდაო. სენჟუსტი და ლება საუკეთესო მეგობრები არიან რობესპიერისა; ორივ ყმაწვილი კაცები არიან, ძალიან განათლებულნი და ძალიან მშვიდნი; მშვიდნი კი არა, გულცივნი-მეთქი, რომ მეთქვა, უფრო მართალი ვიქნებოდი; ორივენი კარგად ხედავენ სამშობლოს გაჭირვებას და არავითარ საშუალებას არ იუკადრისებენ მისდა საშველად. იმათთან შედარებით მეც კი გულჩვილი ვარ და იმათ მაყურებელს ხშირად მიფიქრია, შებრალების ღირსი უფროა ადამიანი, ვიდრე სასჯელისა-მეთქი.

შეუძლებელი წარმოსადგენია, რა ყოფაში იყვნენ საერნისკენ მდგომი ჩვენი ჯარები. კარგად დიდი თოვლი იდო, ქარი ქროდა და ჩვენს ჯარს არც კარვები ჰქონდა, არც ფეხსაცმელი და არც თბილი ტანისამოსი. პიშეგრუ ვნახეთ და ჯარის ამგვარი ყოფის მიზეზი ვკითხეთ. საცა კი გავიარეთ მას შემდეგ, ყველგან იგივე საზარელი სურათი დაგვიხვდა; ჯარისკაცები მინდორში იყვნენ გაფანტულნი, რომ მიწიდან მაინც ამოეღოთ საჭმელად რაიმე ფესვები; სხვები კიდევ სოფელ-სოფელ დადიოდნენ, საიდანაც მკვიდრნი გახიზნულიყვნენ და დამშეულთ აღარც კი აგონდებოდათ, რომ სამხედრო კანონის ძალით, რომ მოესწრო ვისმე, სიკვდილი არ ასცდებოდათ. არტილერიის ცხენები იმ შუა ზამთარში გარეთ ეყარნენ, უთივოდ და მოუვლელად.

ამ ამბავმა მით უფრო გაგვაკვირვა, რომ ჩვენს წინაპ ალზასს გაგზავნილმა კონვენტის წევრებმა, მილომ და გიარ-დენმა სარევოლუციო რაზმი შეადგინეს. ამგვარი სარევო-ლუციო რაზმი ყველგან არსებობს, სადაც კი მტრის შემოსე-ვის შიში არის და მისი პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ მებრძოლ ჯარს საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი უშოვოს; სარევოლუციო რაზმს თან ახლავენ მსაჯულები განსაბილვე-ლად ყოველი უთანხმოებისა, რომელიც ატყდება საქონლის პატრონის და სარევოლუციო რაზმის წარმომადგენელს შო-რის. ალზასელ სარევოლუციო რაზმს ძალიან ცუდად აესრუ-ლებინა თავისი მოვალეობა, და თუმცა დიდი ამბით დაგვიხვ-დნენ სტრასბურგელები და ყოველი მხრიდან იმას ჩაგვჩიჩი-ნებდნენ, სულყველა რიგზე გახლავთო, ჩვენ მაინც კარგად ვხედავდით, რომ ხალხი დამშეული იყო. ჯარისკაცი — ტიტველი და მშიერი, და ამიტომ აღარც თავისი წინამძღო-ლების პატივისცემა ახსოვდა და აღარც ბრძანების ასრულება; დარაჯები აღარსად ეყენა, ციხის კარები შუაღამემდე ღია იყო და სხვა, არისტოკრატები კი პრუსიელების შემოსევის მოლოდინში დღე და ღამ ქეიფში ბრძანდებოდნენ და — ჩვენ ამისი საბუთები ხელთა გვქონდა — საერო და სამხედრო მო-ხელენიც იმათთან ერთად რესპუბლიკას ღალატობდნენ და ორმოს უთხრიდნენ.

სტრასბურგში ჯაშუშობაში მოვასწარით ავსტრიელი გენერლის ძმისწულს ვურმსერს და დასასჯელად პარიზში გავგზავნეთ. მეთორმეტე რაზმის წინამძღოლი და ორი ოფი-ცერი, რომელთაც სახლში სამეფო კოკარდები ვუპოვეთ, იმავ დღესვე დავახვრეტინეთ მთელი ჯარის წინაშე. ყველგან სას-ტიკად შევამოწმეთ ანგარიშები, მეტადრე საავადმყოფოებ-ში, სადაც ასობით და ათასობით ლპებოდნენ უბედური დაჭ-რილები მოუვლელობით და უექიმობით, და ყველგან ერთა და იგივე ვნახეთ: თითქმის ყველა მოხელე მტრისკენ ყოფი-ლიყო და კვალიც არსადა ჩანდა პატრიოტული გარჯისა და წინდახედულობისა. დასასჯელად ცხრა მილიონი ბეგარა დავა-დეთ სტრასბურგელ მდიდრებს ჯარის სასარგებლოდ, რადგან კონვენტის ბრძანებისამებრ მდიდრები ვალდებული არიან გამოჰკვებონ ჯარი, რომელიც მათ მტრისაგან იფარავს: „ოქრო მაინც გამოიღონ მდიდრებმა, როდესაც ხალხი სამ-შობლოსთვის რუებად ანთხევს თავის სისხლს“, — დაადგინა კონვენტმა.

ეს დანტონის სიტყვებია და მეც სრულიად ვეთანხმები მის აზრს.

ჯერ დიდი ყაყანი შექნეს, მაგრამ რაკი მოედანზედ გილიოტინა მზად იყო ამართული, დანიშნულ დროს ისე ჩაგვაბარეს იმოდენი ფული, რომ გროში არ დაუკლიათ. ნახევარ მილიონი იმ მოხუცებულთ დავურიგეთ, რომელთა შვილები ჯარში იყვნენ, შინ მზრუნველი აღარავინ დარჩენოდათ და შიმშილით იხოცებოდნენ; დანარჩენი ჯარს მოვახმარეთ.

მაგრამ ესეც არ კმაროდა.

ბრძანება გავეცით, სტრასბურგის მოქალაქეებმა მზად იქონიონ ორი ათასი ხელი ლოგინი ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცთათვისო; ბრძანება გავეცით, ლოგინს გარდა ჯარისკაცს ისეთი მოვლა და პატივი ჰქონდეს, როგორიც ეკუთვნის სამშობლოსათვის თავგანწირულ სათნოებასო; გარდა ამისა გამოვაცხადეთ, რომ ექიმებს ცხენები მიეცემათ, რათა ცხენით დაიარონ ხოლმე ავადმყოფები სანახავად. იმავე დროს ათი ათასი წყვილი ჩექმა და იმდენივე ნაბადი შევუკეთეთ საერნში გასაგზავნად ჯარისკაცებისათვის; და რადგან ყოველი ჩვენი ბრძანება, სამშობლოს გაჭირვებით გამოწვეული, მეტისმეტად გულს უღელვებდა სტრასბურგელ მოხელეთ, ყველა საეჭვო მოხელე დავითხოვეთ სამსახურიდან; დათხოვნილები ზოგი ქ. მეცს გავისტუმრეთ, ზოგი შალონს, და იმათ ადგილზე ხალხს ამოვარჩევინეთ, ვინც თითონ უნდოდა.

მაშინ კი უნდა დარწმუნებულიყვნენ ავსტრიელები, რომ ვერ აუსრულდებოდათ წადილი და, მიუხედავად დედოფლის მარიამ ანტუანეტას დაპირებისა: „ოღონდ მოგვეშველენით, და ალზასი თქვენი იყოსო“, — საიდანაც მობრძანდნენ, იქვე უნდა წაბრძანებულიყვნენ ხელცარიელები. კარგ დროს კი ჩავედით, ღვთის წინაშე! რამდენიმე დღე კიდევ, და სტრასბურგი მტრის ხელთ იქნებოდა.

ზემოდ გწერდი, სტრასბურგელი მსაჯულები, რომელნიც რევოლუციურ რაზმთან ერთად მოქმედებენ, არამც თუ არ ასრულებდნენ პირდაპირ თავიანთს მოვალეობას, პირიქით ისე იქცევოდნენ, თითქო რესპუბლიკის მტრობა ჩაედოთ გულში. ბრალმდებლად ერთი მღვდელი, ვიღაც შნეიდერი, ამოერჩიათ და იმისთანა ჯარიმა გადაეხდევინებინათ მოქალაქეთათვის, იმდენი ხალხისთვის გადაეწყვიტათ სიკვდილით დასჯა, რომ შეერცხვინათ რევოლუცია და ყოველი ნდობა დაეკარგათ ხალხისა მისდამი. ის იყო ჩვენ მივედით და

შნეიდერიც მოვიდა. დიდი ამბით შემობრძანდა ქალაქში, მაგრამ შემოვიდა თუ არა, ჩვენ მაშინვე... მაგრამ, აი, თვით ჩვენი ბრძანებაც. ვიცი გიამება: შენგან გამოგზავნილი მოხუცებული დედაკაციც ამ შნეიდერს უჩიოდა და, როგორც ხედავ, ღირსეულად დავსაჯეთ, რადგან იმის გარდა ასი სხვა დანაშაული ჰქონდა.

„ერას წარმომადგენელთ, კონვენტის მიერ რეინზედ და მოზელზედ მყოფ ჯარში საგანგებოდ გამოგზავნილთ, რა გაიგეს, რომ რევოლუციურ მსაჯულთა ბრალმდებელი, მღვდლად ყოფილი შნეიდერი, დიდი ზეიმით და თავხედური დიდებით შემოვიდა დღეს ქალაქში, ხმალამოღებული მხლებლებით და ექვს ცხენიანი ეტლით, დაადგინეს: ხვალ დილის ათი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე იგი, შნეიდერი, მოედანზედ, გილიოტინის ბოძზედ იქნება მიკრული, რათა ხალხის წინაშე დასჯილ იქნას იმ საქციელისათვის, რომლითაც მან წაბილწა ჯერედ ფეხაუდგმელის რესპუბლიკის ზნე-ჩვეულებანი; ნაშუადღევის ორ საათზედ იგი, შნეიდერი, წარუდგება ქვეყნის მფარველ კომიტეტს. ქალაქში მყოფ ჯარის უფროსს მივანდობთ აღსრულებაში მოიყვანოს ჩვენი ბრძანება და ხვალ ნაშუადღევის სამ საათზედ მოგვახსენოს მისი დაბოლოება“.

აი რა სასტიკადა ვსჯით ჩვენს მოწინააღმდეგეებს! და სწორედ ამით აიხსნება ჩვენი გამარჯვება. ჩვენ რომ ყოყმანი დაგვეწყო, აქამდის ათჯერ გაგვყიდდენ და ხელშეკრულებს მოგვიყვანდნენ მტრის ბანაკში; ხომ იცი, რაც კი ქვეყანაზედ ხელმწიფე, მეფე, დიდებული და ბერი არის, როგორც ბაზრობას ჯიბგირები, სულ ერთმანეთის ქომაგნი არიან, და მიზნად მარტო ისა აქვთ, რომ საწყალი ხალხი ყვლიფონ! ეტყობათ, ძალიან სწყინთ ჩვენგან ასეთი გადაწყვეტილი საქციელი; მაგრამ ეგ არაფერი: თუ სწყინთ, მაშასადამე, კარგი ყოფილა ჩვენი საქციელი.

რაკი ეს საქმეები გავარიგეთ, ახლა მტერთან ბრძოლას შევუდექით. კარნომ მოზელის ჯარი გენერალ ჰოშს ჩააბარა. ჰოშმა სულ ცოტა ხანში ისე მოაწყო წინათ დამარცხებული და გულგატეხილი ჯარი, რომ პრუსიელები დაამარცხა და მით კვლავ იმედი ჩაუნერგა ჯარსაც და ხალხსაც.

მეორე მხრივ გენერალმა პიშეგრუმ ჩვენი ჯარით ავსტრიელებს შეუტია, მაგრამ ავსტრიელებს უბრწყინვალესი თავადი კონდე მიეშველა გახიზნულებით და იმოდენა ძალასთან ჩვენს ჯარს ვერა გაეწყო რა; ლორენში ჯერ ისევ მტე-

რი იდგა და მტერთან ერთად ურიცხვი გახიზნული თავადაზნაურობა და ბერები. ჰოშმა განიზრახა ლორენში თავის ჯარის გადაყვანა პიშეგრუს მისაშველებლად, მაგრამ პრუსიელები დახვდნენ და გზა შეუკრეს; აი, მაშინ გამოიჩინა ჰოშმა თავისი მხედართმთავრული ნიჭი: პრუსიელების წინააღმდეგ ერთი რაზმიღა დატოვა და თითონ კი მთელი თავისი ჯარით დათოვლილი ვოზგის მთები გადაიარა და პიშეგრუს ჯარს შეუერთდა ლორენიდან ავსტრიელების გასარეკად.

სამაგალითო საქმე იტვირთა ჰოშმა!

სწორედ ამ დროს ვოვიდნენ კონვენტის წარმომადგენელნი, ახალი უფლებებით აღჭურვილნი, ლაკოსტი და ბუდო.

პიშეგრუს უნდოდა მხედართმთავარი მარტო ყოფილიყო და არავის ბრძანებას ყურადღებას არ აქცევდა. პრუსიელების წინააღმდეგ ერთი მცირე რაზმიღა გვედგა. კიდევ კარგი, რომ ამისი არა იცოდა რა მტერმა, თორემ ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე. ჩვენი ხსნა სიჩქარეზედღა იყო დამოკიდებული. ლაკოსტმა და ბუდომ თითონ იკისრეს ყოველა პასუხისგება და ორივ ჯარის მხედართმთავრობა გენერალ ჰოშს უბოძეს.

ლორენელი ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ყველა სოფელში ზარს რეკდნენ, ყველა იარაღს ისხამდა. ყველას ენატრებოდა მტრების განდევნა.

წარმოიდგინე ჩემი სიხარული, როდესაც ჯარში ჩვენებურები შემხვდნენ; ორმოცდაათამდე იქნებოდნენ და მათ შორის ნათლიაშენი, ლეტუმიე, კოლენი... ფალსბურგი, ლიქსჰეიმი, სარბურგი, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი მხარე იქ იყო.

ჩვენს ჯარს წინ მიუძღოდა გენერალი ჰოში და მასთან ერთად კონვენტის წარმომადგენელნი. ნელ-ნელა მივიწევდით და წინ ავსტრიელ ჯარს მივერეკებოდით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ველარსად გაგვიმაგრდებოდა და, კიდეც რომ გაგვმაგრებოდა, გამარჯვება ჩვენი იქნებოდა. ჰოში სრულიად ყმაწვილი კაცია, სულ ოცდახუთის წლისა, მაგრამ იმისთანა ძლევამოსილი მხედართმთავარია, თითქო ომებში დაბერებულიყოს. საკვირველი წინდახედული კაცია და რომ მითხრან, წუნი მოუძებნე რამეო, იქნება ვერც კი მოვახერხო; ერთს კი ვემდური: ხშირად თავის ჯარისკაცებს ფულს დაჰპირდება ხოლმე, მტრის ზარბაზნები და დროშები მომიტანეთო. ეტყობა, სრულიადაც არა სწამს ჯარისკაცებისაგან სამ-

შობლოს სიყვარულით თავგანწირვა, რომ ფულს ჰპირდება ჯილდოდ; ეტყობა, ამ ყმაწვილმა კაცმა უკვე იცის ყოველი სუსტი მხარე ადამიანიშვილისა, რომ გაჭირებაში მის სიანგარეც კი გამოიყენა. მე კი თქვენი კლებერი მირჩევნია, რომელმაც კაპიტანს შუარდენს უბრძანა ტორფუში: „ვიდრე ჯარი სამშვიდობოში გავა, შენ შენი რაზმით აქ შეაყენებ მტერს. ყველანი დაიხოცებით და ფეხს კი არ მოიცვლით აქედან“. შარდენმაც კარგად უპასუხა: „პატონი ბრძანდები, ჩემო გენერალო!“ ასეა თუ ისე, ჰოშმა ჯერჯერობით რესპუბლიკის ყოველი ბრძანება კეთილად აასრულა და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ თითონაც დიდად პატიოსანი კაცი და თავგანწირული რესპუბლიკელია.

მტერს 27 ქრისტეშობისთვეს დავეწიეთ ვისსემბურგში გამაგრებულს. ჰოშმა ის იყო დააწყო ჯარები საომრად, რომ ტულონის აღების ამბავიც მოგვივიდა. ელვასავით მოედო ეს სასიამოვნო ამბავი მთელს ჯარს და გაუორკეცა გამარჯვების იმედი. უფროსების ბრძანებისთვის აღარც კი მოუცდია ჯარს, ერთი კი შესძახა, სიკვდილი მტერსაო! და გაექანა ავსტრიელებისაკენ.

შენ კარგად გეცნობება, ჩემო მიშელ, ზარბაზნის ჭექაც, ტყვიის ზუზუნიც, საყვირის ხმაც და გაშმაგებულ მეომართა ძახილიც, მაგრამ არა მგონია, ამისთანა საშინელი ხმაურობა სხვაგანაც ყოფილიყო სადმე.

ბრძოლის ველზედ ისეთი კვამლი დატრიალდა თოფისწამლისა, რომ აღარაფერი ჩანდა და მარტო ჩვენი ჯარის ძახილიღა ისმოდა: რესპუბლიკას გაუმარჯოსო! მე და ჩემი ამხანაგები ცხენებით მივდევდით ჩვენს ჯარს, მაგრამ ჩემს ცხენს ყუმბარის ნატეხი მოხვდა, წაიქცა და მეც ლაფში ამომსვარა. ცხენის მოკვლა არა მწყენია, ღვთის წინაშე, რადგან უნაგირს უჩვევი ვარ და ფეხით სიარული უფრო მეხერხება. წამოვდექი განცვიფრებული, მივიხედ-მოვიხედე... სადღა იყვნენ ჩემი ამხანაგები? იქვე ჩემს ახლოს ერთი რაზმი მირბოდა მთისაკენ; მეც ვიშიშვლე ხმალი და ამ რაზმს შევერიე. ავედით აღმართზე; ეტყობოდა, მტრის ზარბაზნების წასართმევად მიდიოდნენ მთაზედ. სულ ოცს ნაბიჯზედღა ვიქნებოდით მტრისაგან, როდესაც ბრძანება გაისმა — ხიშტი, ბიჭებო, ხიშტიო! ისე დაერივნენ მართლა ჩვენი ბიჭები იმ უბედურ ავსტრიელებს, როგორც მგელი ცხვარს. დაირეკეს და დიდი ხანი მისდიეს გაქცეულთ. თუ გაგვიმაგრდა ვინმე, ისევ უნგრელები

გაგვიმაგრდნენ და თავადი კონდეს ცხენოსნები, მაგრამ საღამო ჟამს ისინიც დავძარით და დამარცხებულთ გავუყენეთ.

რაც კი მტრის ჯარს ბარგი ჰქონდა, სულ ჩვენ დაგვრჩა. ალზას-ლორენელების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და სულ თვალცრემლიანნი გვიხდიდნენ მადლობას, რომ მტრისაგან გავათავისუფლეთ. მეორე დღეს დილაადრიანად შევედით ქ. ლანდაუში. იქაც დიდი აღტაცებით მიგვიღო და დიდძალი ხორაგი დაგვახვედრა ხალხმა. ჰოშს ებრძანებინა, ჯარისათვის ყოველიფერი მზად დამახვედრეთო და, ვართლაც, ისე კარგად დაგვიხვდნენ ლანდაუელი პატრიოტები, რომ სრულიად დაავიწყეს ჯარს იმოდენა ხნის შიმშილი და სიცივე.

ამ წერილს ლანდაუდან გწერ, ფოსტის ქუჩაში რომ დიდი სასტუმროა „ოქროს ვაშლისა", იქიდან; გეცოდინება, რადგან ექვსი კვირა იდგა აქ თქვენი ჯარი. ნათლიაშენი, ლეტუმიე, კოლენი და სხვა ჩვენებური პატრიოტები დამპირდნენ, სადილად შენთანა ვართო და იმათ ველი. გუშინ წელამდე თოვლჭყაპში ვცურავდით, დღეს კი ლამაზად გაჩაღებულ ბუხარს ვუზივარ; მოვლენ ჩვენებურები და კარგა ლამაზადაც გადავკრავთ რესპუბლიკის სადღეგრძელოს და მარსელურსაც დავძახებთ. მართალია, რესპუბლიკა უჩვენოდაც ძალიან კარგად არის, მაგრამ, ხომ იცი, ქრისტიანი კაცი იმას ადღეგრძელებს, ვინც უყვარს, თორემ რა უჭირს რესპუბლიკას! ისე გამაგრდა ამ ბოლო დროს, რომ შიში აღარაფრისა აქვს. დიდებულებიც კი დარწმუნდნენ, რომ მეფე შარლის და ლუის მაგივრად დღეს თავისუფლება, თანასწორობა და გონება გამეფდა; ხალხი განათლდა, სახელმწიფოს გამგეთ ანგარიში მოსოხოვა. უმთავრესი ის იყო, რომ ერთმანეთში შეთანხმებულიყო ხალხი, თორემ რაკი შეთანხმდა, იმას ქვეყნად ვეღარა აჯობებს რა.

ამ წლის დასაწყისში მტრის ჯარით სავსე იყო ჩვენი ქვეყანა. დღეს ერთიც აღარსად მოიპოვება მთელს საფრანგეთში და, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ჩვენა ვართ ბატონები და არა სხვანი. ფალსბურგში ჩვენს კლუბში, თუ გახსოვს, ბევრჯერ მითქვამს — საშინელი ძალით შეებრძოლება-მეთქი ხალხი დიდებულების თავხედობას და სიბრიყვეს; ბევრჯერ მითქვამს და მართალიც მითქვამს. როგორც ხედავ, საშინელი ძალით შეებრძოლა ხალხი თავის მტა-

რვალებს და გამარჯვებულიც გამოვიდა ბრძოლიდან. და თუმცა მთელი ევროპა წამოიშალა ჩვენთან საბრძოლველად და, სულ ნაკლები რომ ვთქვათ, ასი ბრძოლა მაინც მოგვიხდა მტერთან, მაგრამ უმთავრესი ჩვენი მიზანი არ დავივიწყეთ და ურყეველი საძირკველი ჩავყარეთ ჩვენი მომავალისა.

შენ, რასაკვირველია, დრო არ გექნებოდა გაზეთებისთვის თვალ-ყური გედევნა და გაგეგო, რას აკეთებდა კონვენტი ამ საშინელს ომიანობის დროს; მაგრამ იცოდე, კონვენტს ერთ წამს არ დავიწყებია პირდაპირი თავისი მოვალეობა, ერთ წამს არ დავიწყებია, რომ მას ხალხისაგან მინდობილი ჰქონდა, კეთილ დაწესებულებათა ზედან დაამყარე ერის ცხოვრება, რომ მის ბედნიერებას, მის კეთილდღეობას, მშვიდობიანობის დროს მაინც, არავისი შიში არა ჰქონდესო. შენ უჩემოდაც კარგად იცი, რამდენად გააუმჯობესა ჩვენი სამხედრო წესწყობილება კონვენტმა; ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. დიუბუა-კრანსესი, კარნოსი და პრიორის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ მთელს ევროპას გაუძლო ჩვენმა ჯარმა, და არამც თუ გაუძლო. დაამარცხა კიდეც.

იცი, რა სიკეთე დასდო კონვენტმა ჩვენს ქვეყანას, რომ ერთი და იგივე წონა და ზომა დააწესა მთელი საფრანგეთისთვის? იცი, რამდენი მოტყუება და ქურდობა მოსპო, სხვადასხვა მაზრაში არსებული ზომა და წონა რომ გააუქმა? იცი, რა ფრთები შეასხა ამით ვაჭრობას? გარდა ამისა, კონვენტმა დაიწყო მოქალაქებრივი კანონმდებლობის შედგენა. კონვენტმა მოჰფინა მთელს საფრანგეთს ტელეგრაფის ქსელი. კონვენტმა დააარსა ლიტერატურული და ხელოვნური საკუთრება: მანამდე კი ჩვენში ასე იყო, რომ ლიტერატორი და არტისტი შიმშილით მოკვდებოდნენ, ვისმე დიდებულს რომ არ შეჰკედლებოდნენ მადლის გულისთვის; მათ ნაწარმოებს კი ვინმე გაიძვერა დაეპატრონებოდა და ჯიბეებს იტენდა; ამიტომ დაადგინა კონვენტმა, რომ ხელოვნური და ლიტერატურული ნაწარმოები ავტორის ხელშეუხებელ საკუთრებას შეადგენს და, თუ არ გაყიდა ან არ აჩუქა ვისმე, მით სხვა ვერავინ ისარგებლებს.

კონვენტმა შეადგინა და დააწესა ახალი, რესპუბლიკური კონსტიტუცია. კონვენტმა გამოაცხადა ერთობა და განუყოფლობა რესპუბლიკისა, რომელზედაც დამყარებულია დიდება

და ძლიერება ჩვენი ერისა. კონვენტმა დააწესა წვრილ-წვრილად, და ისიც ნისიად გაყიდვა გახიზნულთა მამულებისა; დახმარება იმ სოფლებისა, რომელნიც უფრო დააზარალა მტრის შემოსევამ, და დახმარება იმ ოჯახებისა, რომელთაც ბევრი წვრილშვილი ახვევიათ. კონვენტმა დაავალა ყველა სოფელს მოხუცებულების შენახვა და მათთვის შესაფერი საქმის შოვნა. კონვენტმავე შემოიღო ახალი აღრიცხვა დროისა და, ჩემი აზრით, ამაზედ უძლიერესი და ამასთან ამაზედ უძნელესი მას არაფერი გაურიგებია; ჩვენი ძველი კალენდარი ბარბაროსულის და უვიცი ხალხის შექმნილი იყო; ამ კალენდრით იყო აღრიცხული თვრამეტი საუკუნის განმავლობაში მუშა ხალხის დამცირება და დამონავება მუქთახორა, უზნეო და უღმერთო დიდებულების განცხრომა და გარყვნილება! ამ კალენდრით იყო აღნიშნული თვრამეტი საუკუნის განმავლობაში სიამაყისა და ბიწიერებისაგან ნიჭის და სათნოების დევნა და დამცირება.

ნუ თუ იმავე კალენდარს უნდა აენიშნა ადამიანის უფლებათა დამყარება, ხალხის განთავისუფლება, ძმობის, ერთობის და თანასწორობის შემოღება, რომელიც მეფეების ავკაცობას და ეპისკოპოსების გარყვნილებას ისე შეჩვეულიყო, რომ დიდებულისა ყველა სათნოებად მიაჩნდა? ჩვენ ეს ვერ შევძელით; ჩვენი დრო ახალ ხანას იწყობდა ისტორიაში და ამიტომ ბრძანება გავეცით, რომ ფრანგების წელთაღრიცხვა დაიწყება 1792 წლიდან,—ესე იგი იმ წლიდგან, როდესაც რესპუბლიკა იქნა დამყარებული. წელიწადი 23 ენკენისთვიდან იწყება, რადგან ამ დღეს არის მზე... მაგრამ ეს ვარსკვლავთმრიცხველების საქმე არის; ჩვენთვის ისიცა კმარა, რომ ჩვენი კალენდარი, როგორადაც სხვა ყველაფერი, შეუცდომელ მეცნიერულ საფუძველზედ არის დამყარებული და ამით არის, რომ ასე ადვილად ვჯობნით ძველებურ დამყაყებულ წესწყობილებაზედ არსებულ სახელმწიფოებს.

ჩვენ სიმართლის და, მეცნიერების გარდა არა გვწამს რა. ეს არის ჩვენი ძალა და, როგორც ბუნებაა უძლეველი, ისე ჩვენი ძალა და მით ჩვენი ერი.

სულ რომ ჩამოვთვალოთ. შორს წავა კონვენტის ნაღვაწევი. მაგრამ არ შემიძლია არ მოვიხსენიო საერო განათლების შესახებ მისი დადგენილება. საქმე ის კი არ არის, კაცმა კარგი თესლი შეიძინოს; საქმე ის არის, ის თესლი ქვეყანას მოჰფინოს და ააღორძინოს. სწორედ ასევე მოიქცა კონვენტი და,

რადგან კეთილ მისწრაფებათა მოფენა მარტო განათლებით შეიძლებოდა, ხალხის განათლებას მიაქცია უმთავრესი ყურადღება. რად უნდა გვიკვირდეს, რომ მეფეებმა და ხელმწიფეებმა ბორკილი შეაბან და მაგრად შეჯაჭვონ სიტყვაც, აზრიც და მწერლობაც? რად უნდა გვიკვირდეს, რომ მეფეებმა და ხელმწიფეებმა ყოველი ღონისძიებით შეაფერხონ და შეაყენონ ხალხის განათლება და წინმსვლელობა? ხალხის უვიცობაზედ არის დამყარებული მათი ხელმწიფობა; სწავლა-განათლება ძირს უთხრის მათს დიდებას და მტარვალობას. სულ სხვაა რესპუბლიკა: რესპუბლიკის დიდება და ძლიერება მარტო ხალხის განათლებაზედ არის დამოკიდებული და, რაც უნდა წინააღმდეგობა გაუწიონ მას დიდებულებმა და ბერებმა თავიანთი სიცრუით და ცბიერებით, ცილისწამებით და ღალატით, მაინც ველარას გააწყობენ: ამდენი ხნის განმავლობაში დაგუბებულმა ზღვამ უკვე გადაარღვია ღობე და თავისუფალ გზას დაადგა. მისი შეყენება ამ ქვეყნად აღარავის შეუძლია. რესპუბლიკამ იმისთანა სხივი მოჰფინა ქვეყანას, რომ ბრმებიც კი დაინახავენ.

კონვენტმა სავალდებულოდ გახადა დასაწყისი სწავლა-განათლება და ბრძანება გასცა, ყოველმა დედ-მამამ, ნათესავმა ან მზრუნველმა, ბავშვი უთუოდ უნდა ატაროს დასაწყის სკოლაშიო. ეს დასაწყისია და ამას კიდევ ბევრი სხვა დადგენილება მოჰყვება, რომლითაც ღირსეულად იქნება მოწყობილი მეცნიერული, ხელოვნური, სამეურნეო, სავაჭრო და სამხედრო სწავლა-განათლება. თავისუფალმა ხალხმა უნდა იცოდეს თავის თავის დაცვა და ამისთვის ჩვენ უნდა გვყავდეს მეცნიერებით აღჭურვილი კაცები, რომ ჯარის სიმრავლისა კი არა, უფრო ცოდნის და გამოცდილების იმედი ჰქონდეთ გაჭირვების დროს. რაც მთელი ქვეყნის მეფეებმა თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ვერ მოახერხეს. რესპუბლიკა თხუთმეტი წლის განმავლობაში მოახერხებს: ქვეყანას ჭეშმარიტებას შეაგნებინებს და ადამიანს ადამიანად აქცევს.

დეე, აწინდელ თავისუფლებას უწინდელი მონობა ამჯობინონ ჩვენმა მტრებმა, გვლანძღონ და გვაგინონ! დეე, სისხლით გაუმაძღარი მხეცები გვიწოდონ! რა ვქნათ. სამშობლოს და ადამიანის განთავისუფლებისთვის საკუთარი სიცოცხლე არ დაგვინდვია, და არისტოკრატებს დავინდობდით? იმდენი სთქვან, მანამ მოეწყინებათ. ჩემო მიშელ! გინება და ლანძღვა კი არა, კიდევაც რომ გაჭირდეს საქმე და დღევანდელი

კონვენტის წევრნი ერთიანად ამოგვხოცონ, მითაც აღარა. წახდება რა: ჩვენს ალაგს ჩვენი შვილები დაიჭერენ და მომავალი მაინც ჩვენია!

ღმერთმა ინებოს მხოლოდ, რომ ჩვენში ერთობა არ დასუსტებულიყოს, და როგორადაც ერთად ვიყავით, როდესაც ჟირონდელებს ვაჯობეთ, ისევე ერთად ვიყვნეთ ყოველთვის. ჟირონდელებს რომ გაემარჯვათ, დღეს რესპუბლიკა აღარ იქნებოდა: ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა გამოცხადებამ არა მარტო ჩვენი ხალხი გაანთავისუფლა, არამედ მთელი კაცობრიობა და ამიტომ მოეშველნენ ჩვენს მეფეს მთელი ევროპის მეფეები; ჟირონდელები ვერ გაუმაგრდებოდნენ ევროპას და ისე ამოსწყვეტდნენ პრუსიელები პატრიოტებს, რომ აზრიც კი აღარსად დარჩენილიყო თავისუფლების და თანასწორობისა; ძველი წესწყობილება უფრო მჭიდროდ დამყარდებოდა ქვეყნად თავისი დიდებული ბატონებით, ბერებით და იმათი უთვალავი უპირატესობით; საწყალი ხალხი ისევ ის უღელში იქნებოდა შებმული, რომელშიაც 1789 წლამდე იყო და მისი დანიშნულება მარტო ისღა იქნებოდა, რომ ორასი თუ სამასი ათასი დიდებული ეცხოვრებინა განცხრომით და ქეიფით; ავსტრიელები, პრუსიელები, ინგლისელები, ესპანელები და იტალიელები თითო კარგ ნაჭერს ჩამოაჭრიდნენ საფრანგეთს თავიანთ სამხედრო ხარჯის გასანაღდებლად და ამით გათავდებოდა საქმე.

მაგრამ ერთობა გვქონდა და სწორედ ამ ერთობამ შეგვიქნა უძლეველი ძალა და გამარჯვება. კიდევაც დიდი საქმეები გვაქვს გასარიგებელი და კვლავაც იგივე ერთობა გვექნება, ღმერთია მოწყალე.

კონვენტში ორი კაცია შესანიშნავი თავიანთი ნიჭით და მოღვაწეობით: რობესპიერი და დანტონი. რობესპიერი ცდილობს ისე მოაწყოს სახელმწიფოს ცხოვრება, რომ მმართებლობისაგან იყოს დამოკიდებული სუყველაფერი. დანტონს კი უნდა სუყველაფერი თავისუფლად დატოვოს და ჩვენს ქიშპობაზედ მოაგდოს ჩვენი წარმატება; მმართველობა რაც შეიძლება ნაკლებად ჩარიოს ხალხის ცხოვრებაში და სუყველაფერი ხალხის სურვილს და ამორჩევას დაუმორჩილოს, ისე რომ ხალხი თითონ ირჩევდეს მსაჯულებს, დეპუტატებს, მოხელეებს და სხვ. და სხვ. როგორც ხედავ, იმისთანა მოწინააღმდეგენი არიან ერთმანეთისა ეს აზრები, რომ მათი შეთანხმება შეუძლებელია. ვნახოთ, ვის მიუდგება მომავალი. მე

კი სულ იმას ვნატრობ სამშობლოს დიდების და კეთილდღეობისთვის, რომ ეს ორი კაცი შეთანხმდნენ და მორიგდნენ ერთმანეთში და რესპუბლიკის კეთილდღეობას ანაცვალონ თავიანთი პირადობაც კი... მაგრამ აგერ მოდიან ჩვენებურები—ნათლიაშენი, ლეტუმიე და სხვანი,—იმათი სიცილი მესმის კიბიდან. ბევრს გაკოცებ, ჩემო მიშელ. ნათლიაშენი და ყველა ჩვენებური მთხოვენ, მოკითხვა მისწერეო; ნანობენ, აქ რომ ყოფილიყო ჩვენი მიშელი, უფრო კარგად გავატარებდით დროსაო. ნეტავი აგრე და აქა ყოფილიყავი! რა სიყვარულით ჩაგიკრავდი გულში!

შ ე ნ ი ე რ თ გ უ ლ ი შ ო ვ ე ლ ი“

ქვევით ნათლიაჩემს მოეწერა თავისებური მსხვილი ასოებით:

„ძმობა და გამარჯვება, ჩემო მიშელ! ნეტავი შენც აქა გვყოლოდი დღეს და ერთად გაგვეტარებინა დრო! მაგრამ დღეს თუ არა, ხვალ აქ იქნები, განა, მიშელ, და მე და შენ ჩვენებურად ძველებურად გავაჩაღებთ სამჭედლოში ჩვენს ქურას და ავათამაშებთ ჩაქუჩებს... იმ წუწკი ვალენტინის მუქარა გაიგე, ჩამოსრჩობას რომ მიპირებდა? კონდეს რაზმში იყო და ისე დავამარცხეთ, ისე, რომ კურდღელივით გულგახეთქილები გავაქციეთ. ბევრს გაკოცებთ. რესპუბლიკას გაუმარჯოს!“

ხელს აწერდენ ნათლიაჩემი და ერთი ოციოდე კიდევ ჩვენებური პატრიოტები.

. . . . . .

მთელი ეს ზამთარი სხვადასხვა ძველი ქაღალდების კითხვას ვოვუნდი. აგერ გაზაფხულდა. მინდა ცოტა ხნით მივმალო სადმე ჩემი სათვალეები, თვალები დავასვენო და მერე დავასრულო ეს ვრძელი ისტორია.

მაშ ნახვამდის, მეგობრებო, კარგად იყავით, რადგან უმთავრესი ის არის, ჯანსაღად იყოს კაცი.

მამულიშვილი ბონაპარტი

I

ვანდელების ჯარის ნაშთი ჭაობებში დაგვემალა, როგორც უკვე მოგახსენეთ. იქვე იმყოფებოდა გაქცეული მათი წინამძღოლი შარეტი და, თუმცა პირდაპირ შებრძოლებას ვერ გვიბედავდა, მაგრამ მაინც ძალიან აზარალებდა სოფლებს: დაესეოდა, რისაც წაღება არ შეეძლო, ცეცხლს წაუკიდებდა, და საქონელს კიდევ თან გაირეკდა. ცუდი ის იყო, რომ ამგვარად გაძარცული გლეხკაცობა თავის გამძარცველსავე უერთდებოდა და ღღითი დღე უფრო და უფრო იზრდებოდა ვანდელების ჯარი.

ნანტის გარემოში მდგომ ჯარისაგან რამდენიმე რაზმი იქმნა გაგზავნილი შარეტის დასაჭერად; მაგრამ გაიგებდა თუ არა, ჯარი მოდისო, მაშინვე ჭაობებს შეეფარებოდა და იქ კი შეუძლებელი იყო მისი დევნა: ჩაგვისაფრდებოდა სადმე და ისე ამოხოცავდა მთელს ჩვენს ჯარს, რომ ვერც კი გაგვეგო, საიდგან ჰოდიოდა ტყვია.

ამ გაჭირებაში ვიყავით 1794 წლის იანვარში და თებერვალში. მაგრამ ახლა კი ისე დაწვრილებით აღარ აგიწერთ ყველაფერს, როგორც აქამდე ვწერდი: ძალიან დავბერდი. ვინ იცის რას მიქადის ხვალინდელი დღე, და მე კი ჯერ რამოდენიმე წელიწადი კიდევა მაქვს ასაწერი ჩვენი რესპუბლიკის მოსპობამდე; მერე მინდა ისე მოგითხროთ ყველაფერი, რომ არაფერი დამავიწყდეს, მეტადრე რაც ჩემი თვალით მინახავს.

შარეტის დასაჭერად გაგზავნილ რაზმში მეც მოვხვდი. საშინელი წვიმიანი დღეები იყო; არც საჭმელი გვქონდა, არც კარვები; ჩვენსკენ მომავალი ბარგი და საგძალი უფრო ხშირად ვანდელების ხელში ჩავარდებოდა ხოლმე და ჩვენ კი მშიერ-მწყურვალნი ცის ქვეშ ვეყარენით სველ მიწაზედ. იმ ტანჯვა-წვალებაში მე ისევ სისხლი ამომივიდა და დაჭრილებთან ერთად ნანტში გამგზავნეს.

ნანტში უფროსმა ექიმმა გადაწყვეტით მიბრძანა: ორ კვირას ვეღარც კი იცოცხლებო. და რადგან მთელი საავადმყოფო გატენილი იყო დაჭრილებით და ადგილი აღარსად ჰქონდათ, ვთხოვე თუ არა, — ხომ უნდა მოვკვდე და ბარემ შინ გიახლებით-მეთქი, — მაშინვე ნება მომცეს. უფროსმა ექიმმა სიცილი ვეღარ შეიკავა ჩემს თხოვნაზედ და მითხრა:

— შინ წასვლა გინდა? მაგაზედ ადვილი რა არის? დაგიწერთ დათხოვნის ბარათს, ახსენე ღმერთი და ვაუდექ გზას.

არ გასულა ათი დღე, თითონვე მომიტანა დათხოვნის ბარათი, რომლითაც ავადმყოფობის გამო საუკუნოდ ვიყავ დათხოვნილი სამსახურიდან და ჩემს ლოგინში სხვა ავადმყოფი ჩააწვინა.

რამდენი ხანია მას შემდეგ! დარწმუნებული ვარ, იმ ექიმის ძვლებიც კი დალპა და მე კი დღესაც ცოცხალი ვარ და ღმერთს მადლობას ვწირავ. ნუ დაივიწყებენ ამისთანა მაგალითებს ავადმყოფები და მოხუცებულები, რომელთაც ისე ადვილად გასწირავს ხოლმე ექიმი.

ჩავიდე ჯიბეში დათხოვნის ბარათი და ორ თუმან-ნახევარი ფული, რომელიც მარგალიტამ გამომიგზავნა, ჩემი ავადმყოფობა რომ მივწერე; პირჯვარი გადავიწერე და გავუდექ გზას. საშინელი შიმშილი იყო. გაზაფხულს უკვე აემწვანებინა მინდორი და აქა-იქ ხეებიც ყვაოდნენ. მშვენიერი დარი იდგა და იმისთანა პირი უჩანდა მოსავალს, რომ უკეთესი არ შეიძლება. ღმერთს ჰადლობას სწირავდა გლეხი-კაცი და თან იმას ეეედრებოდა, — ბოლომდე მოიღე შენი წყალობა და ყინვა, სეტყვა და გვალვა ამაცდინეო.

საშინელ ყოფაში იყვნენ ლუარის პირად მდებარე სოფლები. ხალხი გახიზნულიყო და, ვინც დარჩენილიყო, ისე იყო შეშინებული, რომ გამარჯვება ღვთის რისხვად ესმოდა. ეკლესიები დაკეტილი იყო, საკვამურში კვამლი აღარსად ამოდიოდა. თუ შეხვდებოდით ვისმე, ისევ ტყვეებს, რომლებსაც ქალაქისკენ მიერეკებოდნენ ჩვენი ჯარები. ყველგან ჟანდარმები, ჯაშუშები და მსაჯულები დაძრწოდნენ და სახლებს ჩხრეკავდნენ. დღეში ათჯერ შემაყენებდნენ ხოლმე ჟანდარმები და ხშირად უბრალო გლეხკაცებიც და ვინაობის ქაღალდსა მთხოვდნენ.

სწორედ ამ დროს იქნენ დამარცხებული ჰებერი და იმისი მომხრენი, რომელნიც უარყოფდნენ უზენაეს არსებას. ვინც პარიზში დაიჭირეს, ყველა გილიოტინით დახოცეს და, რადგან მათი მიმდევარი სხვაგანაც ბევრი ეგულებოდათ, ყველგან მათ ძებნას შეუდგნენ და, როგორც მოგახსენეთ, მართლა რომ ძრწოდა ქვე-

ყანა: სულ უბრალო, სრულიად დაუფუძნებელი დაბეზღება კმა-
როდა, რომ საუკუნოდ დაეღუპათ კაცი: ჰებერის მომხრე ხარ და,
მაშასადამე, ღვთისა და სიმართლის უარმყოფელიო! ყველას რო-
ბესპიერი და სათნოებაღა ეკერა პირზედ და „ჰებერიანოო“ რომ
გეთქვათ ვისთვისმე, გინებად მიიღებდა *.

მივდიოდი ნელა-ნელა, ჩამომხმარი და ჩაყვითლებული. ძლივს-
ღა ვსუნთქავდი. ისეთი დასუსტებული ვიყავ, რომ ხშირად გაშტე-
რებულნი შემომცქეროდნენ გზაში გამვლელნი, თითქო უკვირთ,
სად მიეხეტება ეს მომაკვდავიო?

ორლეანს რომ მივუახლოვდი, ვიფიქრე, მოდი პარიზს ჩავიელი
და შოველსა ვნახავ-მეთქი. ხომ მოგეხსენებათ, წყალწაღებული
ხავსს ეკიდებოდაო; მეც მეგონა, პარიზელმა ექიმებმა უფრო
მეტი იციან, ვიდრე ჩვენი ჯარის დალაქებმა და დარწმუნებული ვი-
ყავ, რომ ისინი მიშველიდნენ რასმე. გარდა ამისა პარიზი აღთქმული
ქვეყანა იყო ჩემთვის: იქ იყო კონვენტი, იქიდან გამოდიოდა ყო-

* ჟირონდელების დამარცხების შემდეგ სამ ნაწილად გაიყო კონვენტში მთიულების პარტია: ჰებერის, დანტონის და რობესპიერის მიმდევრებად. ჰებერის პარტიის მოთავენი იყვნენ ჰებერი, შომეტი, გერმანელი ანახარზის კლოოცი, „კაცობრიობის ორატორად“ წოდებული და სხვანი. ჰებერს საკუთარი გაზეთი ჰქონდა, რომელსაც საშინელ უწმაწურ ლანძღვა-გინებით ავსებდა. ამ გაზეთის ლანძღვა-გინებამ გამოიწვია შემდეგი სიტყვები კამილ-დემულენისა: „ნუ თუ არ იცი, უბედურო, რომ ევროპის მეფენი, როდესაც უნდათ დაუმტკიცონ თავიანთ მონებს, რომ პარიზი — აქამდე განათლების ჩირაღდნათ წოდებული, — დღეს ლაფშია ამოსვრილი, შენი გაზეთიდან გადაბეჭდილ ლანძღვას ხმარობენ უტყუარ საბუთად... თითქო შენი ჭუჭყი მთელი ერის ჭუჭყიანობას ამტკიცებ-დეს!“

ჰებერის მომხრეთ დიდი გავლენა ჰქონდათ პარიზელ ხალხში და კომუნაში. შომეტის რჩევით შემოიღო კომუნამ პარიზის საავადმყოფოებში ავადმყოფთა-თვის ცალ-ცალკე ლოგინი; შომეტმავე მოასპობინა მათრახის ხმარება სკოლებში. რადგან პური აღარ იშოვებოდა, შომეტის რჩევით კომუნამ ყველა სახალხო ბა-ღებში ბოსტნეულობა დაათესინა ღარიბთა დასახმარებლად. ტყავი ძალიან გაძვირ-დაო, შომეტმა წინადადება შეიტანა კომუნაში, ტყავის ფეხსაცმელი მარტო მტერ-თან საომრად გასულ ჯარისკაცს მიეცეს და სხვამ ყველამ ფრანგული ხის ფლოს-ტებით იაროსო. რევოლუციური რაზმის შედგენა შომეტის წინადადებით მოხდა; შომეტმავე შეადგინა „საეკვო პირთა სია“; მანვე დააკეტინა კომუნას ეკლესიები, მიუხედავად იმისა, რომ კონვენტის მიერ კანონად იყო გამოცხადებული სრული თავისუფლება სარწმუნოებისა.

ჰებერის მომხრეთ უნდოდათ თავიანთი მოწინააღმდეგე ყველა მოეკლათ: რა-კი გავიმარჯვეთ და მტერი გავდევნეთ, ახლა შინაური მტერი გავანადგუროთო, — და საცა კი საეკვო ეგულებოდათ ვინმე, ყველას დახოცვას უპირებდნენ. დანტონი და რობესპიერი წინააღმდეგნი იყვნენ იმდენი სისხლის ღვრისა და დაამარცხეს კიდეც ჰებერის მომხრენი. გილიოტინაზე რომ აიყვანეს, ჰებერმა დაიძახა: — დაიღუპა რესპუბლიკა! არა, — უპასუხა რონსენმა, — რესპუბლიკა უკვდავია!

ველი ბრძანება და კანონმდებლობა, იქ იბეჭდებოდა ჩვენი საუკეთესო გაზეთები... ისე როგორ მოვკვდე, რომ პარიზი ვერა ვნახო-მეთქი, ვიფიქრე და... აპრილის დამდეგს შევედი კიდეც ჩვენს დედაქალაქში.

მარგალიტასავით დაწვრილებით კი არ აგიწერთ პარიზის ქუჩებს, სახლებს, აჩქარებით მიმავალ ხალხს, ეტლებს, ხმაურობას და სხვა და სხვა. რა მაგისი მცხელოდა, ძლივსღა მივათრევდი ფეხებს და ისიც აღარ მახსოვს, რომელი მხრით შევედი და რომელი მხრით გამოვედი.

მახსოვს, ერთ განიერ ქუჩას დავყე და ბოლო ვეღარ ვუპოვე, თუმცა ერთ საათზედ მეტი იქნებოდა, რაც მივდიოდი. ვისაც ვთხოვე, ბულუას ქუჩა ესწავლებინათ, ყველამ ერთი და იგივე მითხრა:

— პირდაპირ მიბრძანდი.

მეც მივდიოდი და თან იმედი მელეოდა. ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ქუჩის ბოლოში გავედი და წყალს მივადექი. წყალზედ ხიდი იყო გადაგდებული და გაღმა ძველებური თლილი ქვის შენობები მოჩანდა და ძველებური გუმბათმონგრეული ეკლესია. ხიდს გავედი და გაშტერებული ვიცქირებოდი აქეთ-იქით: არ ვიცოდი, საით წავსულიყავ. ამ დროს უეცრად იმისთანა შესაზარ სანახავს შევეფეთე, რომ ეხლაც სისხლს მიმღვრევს მისი მოგონება.

გიქებივით მიდი-მოდიოდნენ ქუჩის მაწანწალები; ზოგი რაღასაც მღეროდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგი ყირამალა გადადიოდა; ერთმანეთს სცემდნენ, ეჭიდებოდნენ, ებღლაძუნებოდნენ და თან რაღაცას გაუგებარს გაიძახოდნენ; ამ ხროვას უკან მოსდევდა სამი ეტლი, სიკვდილით დასასჯელ პატიმრებით სავსე, რომელთაც აქეთ-იქით ხმალ ამოღებული ცხენოსანი დარაჯები მოსდევდნენ. პირველ ეტლში პატიმრები ყველანი ისხდნენ და იმედძიხდილნი გაიცქირებოდნენ შორს. მარტო ორი პატიმარი იდგა ფეხზედ, ორივ საკინძგახსნილი და ხელებგახლართული. ერთი მათგანი იმისთანა ზორბა და მშვენიერი კაცი იყო, რომ იტყოდით, ლომია გალიაში ჩამწყვდეულიო; თვალებში სისხლი მორეოდა, პირმოკუმული იყო და მწარე ღიმილი უთამაშებდა პირზედ. მეორეს უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ბრაზი ერეოდა, პირიდგან დორბლსა ყრიდა და სიტყვა ვერ გამოეთქვა.

მგონი რომ ვკვდებოდე, მაშინაც ასე ცხადად მიდგეს თვალწინ ის საშინელება.

ნელ-ნელა მოდიოდნენ ეტლები და წინ და უკან ხალხი მოს-

დევდა საშინელი ყიჟინით და ღრიალით: სიკვდილი მოღალატეთ!... ღრიალებდა ხალხი,—სიკვდილი გარყვნილთ!.. წავა, წავა, კარგად წავა! სიკვდილი კამილ დემულენს! სიკვდილი დანტონს! გაუმარჯოს სათნოებას და რობესპიერს!.. *.

გულგახეთქილი შევცქეროდი სასიკვდილოდ განწირულს დანტონს და კამილ დემულენს. მომაგონდა, რომ შოველი მეგობარი იყო დანტონისა, და თმები ამეშალა. იქ რომ ყოფილიყო მაშინ შოველი, პატიმართ შორის, ყურადღებას აღარას მივაქცევდი, ვიძრობდი ხმალს და იმ მაწანწალებზედ მაინც ვიყრიდი ჯავრს. მაგრამ შოველი იქ არსად იყო. პატიმრებში მე მარტო ჩვენი ვმირი მხედარმთავარი, გენერალი ვესტერმანი, ვიცანი... ხელები ზურგს უკან ჰქონდა გახლართული და თავდაღუნული იჯდა ეტლში.

მეორე და მესამე ეტლსაც იმავე საზარელი ყიჟინით მოსდევდა ხალხი.

ვერ აათრთოლებს სიკვდილის შიში დანტონისთანა და ვესტერმანისთანა კაცებს; არა, იმათ არც კი იციან, შიში რა გრძნობაა. ისინი თუ ათრთოლდებიან, ხალხის უმადურობაზედ ათრთოლდებიან, როდესაც ნახავენ, რომ ხალხის უერთგულესთ გილიოტინისკენ მიათრევენ ვიღაცა შურიანების და ჯაშუშების წყალობით. სწორედ ამ უმადურმა ხალხმა—პარიზელმა ხალხმა—წარყვნა და

---

* დანტონი ყოველთვის წინააღმდეგი იყო იმ საშინელებისა. რომელსაც ტერორს უწოდებენ. ტერორი სიკვდილით დაშინებაა მტრისა: იმდენს ხალხს დავხოცთ, იძახდნენ ჰებერის მომხრენი, რომ ჩვენი შიშით ჩვენი წინააღმდეგობა გულშიაც ვეღარავინ გაიტაროსო. ამის წინააღმდეგი იყო დანტონი და დროებით თვით რობესპიერიც. თუ აგრეა, მე ის მირჩევნია, უბრალო მუშა ვიყო, ვიდრე სამეფოს განვაგებდეო, ამბობდა დანტონი. და რომ ურჩევდნენ, გაფრთხილდიო, უპასუხებდა: თავი მომჭრან, ის მირჩევნია, ვიდრე თავი მოვჭრა ვისმეო.

რობესპიერიც წინააღმდეგი იყო ჰებერის და მისი მომხრეებისა, მაგრამ რაკი ისინი მოიცილა თავიდან. მერე დანტონის პარტიას შეუჩინა პარიზელი უნიფხონი. დანტონს შეატყობინეს, — დაჭერას გიპირებენ, თავს უშველეო; მაგრამ არ ინდომა: რომ გავიქცე, განა სამშობლოსაც თან წავიღებო? 30 მარტს დაიჭირეს ფაბრ დეგლანტინი, რომელმაც შეადგინა რესპუბლიკური კალენდარი, დანტონი, კამილ დემულენი, ფილიპო, ბაზირი, ვესტერმანი და სხვანი. მეორე დღეს კონვენტის კრებაზე ლეჟანდრმა წინადადება შეიტანა: კონვენტმა თითონ მოისმინოს დაჭერილების სიტყვაო, მაგრამ რობესპიერმა ამის წინააღმდეგობა გამოაცხადა: სასამართლოსი რად ეშინიათ, თუ დამნაშავენი არ არიანო? ბრალდების ოქმი სენ-ჟუსტმა შეადგინა, რობესპიერისაგან შავად დაწერილი შენიშვნების მიხედვით. ყველას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. გილიოტინის კიბესთან რომ მივიდნენ, ერო დესეშელმა დანტონისკენ მიიწია, უნდოდა სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ მოეხვეოდა თავის მეგობარს, მაგრამ ჯალათი შუაში ჩაუდგა და არ მიუშვა. სულელო, — უთხრა დანტონმა, — გოდორში რომ ჩაცვივიან ჩვენი თავები, მაშინაც დაუშლი ერთმანეთის შეხებას?

ნაპილწა რესპუბლიკა; თავიისთავისას—უნიფხონი ვართო—იძახდა ეს ხალხი და პოლიციელებთან ერთად იკვეებოდა სწორედ იმ დროს, როდესაც მუშა ხალხი და გლეხკაცობა შიმშილით იხოცებოდა; პარიზს არ მოშორებიან უნიფხონი და იქაც არეულობის ბეტი არა გაურიგებიათ რა; მთელი დღე და ღამე აქეთ-იქით დაწანწალებდნენ, უსინდისოდ აბეზღებდნენ მართალს და მტყუანს, დაპაბეზღებელ ჯილდოს იღებდნენ და თითონვე შველოდნენ ჯალათს თავიანთი მსხვერპლის სისხლის დაქცევას; და ამას იმ დროს ჩადიოდნენ, როდესაც საფრანგეთს მიწის პირიდან აღგვას უპირებდა ევროპა და ათიათასობით იხოცებოდნენ ბრძოლის ველზედ საუკეთესო მისი შვილნი.

თქვენს მტერს, რაც მე იქ მწუხარება ვნახე! რესპუბლიკა დაღუპული იყო: ერთმანეთის ხოცვას რა შედეგიც მოჰყვებოდა, ცხადი იყო ჩემთვის და მარტო ის-ღა მიკვირდა, რომ ამოდენი სისხლით ვერ გამაძღარიყვნენ რობესპიერი და მისი მომხრენი. იქნება ეგონათ, თავებს რომ დავაყრევინებთ, ამით დარწმუნდება ხალხი, რომ მართლა დამნაშავენი იყვნენო.

ცოტა ხანს უკან შოველის სახლიც ვიპოვე. დაღამებული იყო, სრულიად ბნელოდა. ეზოში შევედი. ქვემო სართულში ერთი მოხუცებული, სათვალებიანი დერეფანი ´იდგა. ვკითხე, ერის წარმომადგენელი შოველი სადა დგას-მეთქი. მან თავით-ფეხამდე გამსინჯა, მერე წამოდგა და მითხრა:

— ცოტა ხანი მოითმინე, მამულიშვილო, ეხლავ დავუძახებ.

გავიდა და ხუთი წუთის შემდეგ ერთი მოკლე, კურატივით ჩასუქებული, კაცი შემოიყვანა; ქუდზედ რესპუბლიკური კოკარდა ეკრა და წელზედ სამფერი სარტყელი. თან სამი უნიფხო ახლდა.

— აგერ არის! აი ეს კაცი კითხულობს შოველს.

მოკლე კაცმა გამოკითხვა დამიწყო: ვინა ხარ? საიდგან მოდიხარ? სად მიხვალ? რად გინდა შოველი? და სხვა და სხვა.

გამიკვირდა, ამას რაში ეკითხება-მეთქი და შეეუტიე:

— შოველი რადაც მინდა, თითონ გაიგებს. თქვენ რა გაწუხებთ?

— კანონის ძალით გიბრძანებ, შენი ქაღალდები მაჩვენო! — დამიღრიალა მოკლე კაცმა. აბა ჩქარა! გაინძერ, თორემ!...

მისმა მხლებლებმა წინ წამოიწიეს. იმის ყვირილზედ ეზო ხალხით გაივსო, სულ ქუჩის მაწანწალა უნიფხოებით; ზემო სართულებიდან ხმაურობა მოისმა. გარს შემომეხვივნენ ყველანი და იმისთანა თვალით მიყურებდნენ ის საზიზღრები, თითქო გაგლეჯას მიპირებენო. მეც რაღას გავაწყობდი, ამოვიღე ჩემი დათხოვნისა

და საგზაო ბარათი და თავში ვახალე მოკლე კაცს, რომელიც თურმე პოლიციის მოხელე ყოფილიყო.

იმან მაშინვე აიტაცა ქაღალდები, ჯიბეში ჩაიდო და—აბა წამოდიო, დამიძახა. მერე თავის მხლებლებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ფთხილად, თქვენ ეი! თვალი არ მოაშოროთ!

უნდა გენახათ, რა კმაყოფილი იყო დერციკი; მგონი ფიქრობდა, ძვირფასი თევზი დავიჭირე და დიდ ჯილდოსაც მივიღებო. ოჰ, რა სიამოვნებით დავახრჩობდი, ხელში რომ მყოლოდა, ის უღმერთო, ისა!

გავედით. იქვე ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზედ სადღაც სახლში შემიყვანეს, რომლის კარებთან დარაჯი იდგა, და იქ გასინჯეს ჩემი ქაღალდები.

როგორღა მომაგონდება, რამდენი რამ მკითხა მოკლე კაცმა ჩემი ვინაობისა და სამსახურის შესახებ: როდის შეხვედი სამსახურში? როდის დაიჭერ? როდის დაგითხოვეს? რად წამოხვედი ამ გზაზედ? რად ჩამოიარე პარიზზედ? სად გაიცანი შოველი? როდის? როგორ? რად გინდა იმისი ნახვა? და სხვა და სხვა. ერთი ნახევარ საათი მაინც მალაპარაკა... ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ჩემი ქაღალდები სრულიად კანონიერნი იყვნენ და არა ყალბი, თავისი ბეჭედი დაასვა და მითხრა:

— შოველი კონვენტმა ალპის ჯარში გაგზავნა და იქ არის.

მაშინ კი მომერია ბრაზი და შევყვირე:

— მერე რატომ მაშინვე არ მითხარით, თქვე...

მაგრამ შევიკავე ენა და კარგიც ვქენი, თორემ ისე მიბღვეროდა პოლიციის მოხელე, რომ იქნება ისე ადვილად ვეღარ გადავრჩენოდი იმის გაჯავრებას.

— რატომ მაშინვე არ მოგახსენეთ, განა? ამასა ხედავთ, ამ რეგვენს, ამას! ამ ტყის დათვს! რატომ მაშინვე არ მომახსენეთო, გესმით?! იქნება გგონია, რომ რესპუბლიკა გამვლელსა და გამოშვლელს თავის საიდუმლოებას უყვირის? ერთიც ვნახოთ კობურგის გამოგზავნილი ჯაშუში ყოფილიყავი! ან კიდევ პიტტისა! მერე, შე ბრიყვო, შენა? მაგ უტვინო შუბლზედ ხომ არ გაწერია, რომ ნამდვილი მამულიშვილი ხარ და არა ჯაშუში.

სულ ცოფს ანთხევდა, ისე გამიბრაზდა, ერთი რომ ენიშნებინა თავის მხლებლებისთვის, რომელნიც ისე იყვნენ აღგზნებულნი, რომ ნიშანსღა ელოდნენ, მომცვივდებოდნენ და იქნება ციხემდე ცოცხალიც ვეღარ მივეყვანე. მაგრამ მე პასუხი აღარ გავეცი და როგორც იყო, დამშვიდდა ცოტათი. მგონი, ჩემი სიტყვა ისე არ

ეწყინა, როგორადაც იმედის გაცრუება: იქნება იმედი ჰქონდა ჯაშუში დავიჭირეო და უბრალო ჯარისკაცი კი შერჩა ხელში.

ერთი კიდევ შემომბღვირა, კარებზედ მიმითითა და შემომძახა:

— გასწი, გაეთრიე! ეხლა თავისუფალი ხარ, მაგრამ აგრე ყეყეჩი ნულარ იქნები, თორემ ცუდად იქნება შენი საქმე!

მაშინვე გარეთ გამოვვარდი. უნიფორმი კი იმისთანა თვალით მიყურებდნენ, თითქო ენანებათ, რომ ცოცხალი გამოვედი იმათ ხელიდან.

ორა დღე დავრჩი პარიზში და სულ თავბედი ვიწყევლე, რა ღმერთი გამიწყრა, რომ პირდაპირ შინ არ წავედი-მეთქი. ისე იყო ხალხი დაშინებული, რომ ყველგან ჯაშუშები ელანდებოდა. სულ უბრალო, უსაბუთო დაბეზღება კმაროდა, რომ დაეჭირათ პატიოსანი კაცი და საუკუნოდ დაეღუპათ. ისე მიდიოდა ხალხი ქუჩაში, რომ ერთმანეთს თვალს ვეღარ უშტერებდნენ. ვისაც კი ვისიმე ჯავრი სჭირდა, მაშინ უხდიდა სამაგიეროს: — ერთი კი დაებეზღებინა, — თუნდა ცილი შეეწამა, სულ ერთი იყო,—და დაბეზღებულს სიკვდილიდან ვეღარა იხსნიდა რა. ეს კიდევ არაფერი: ისე იყო ხალხი დამშეული, რომ ლუკმაპურის გულისთვის ყველას იკადრებდა და, რადგან დამბეზღებელს ჯილდო ეძლეოდა, ხშირად ამ ჯილდოს ასაღებადაც აბეზღებდნენ. უბედურება უბედურებას მოსდევდა და ჩვენი უბედურებაც ის იყო, რომ აქაო და ლაფაიეტმა, დიუმურიემ და სხვა გენერლებმა სამშობლოს ღალატი განიზრახეს, ციხეები მტერს დაუთმეს, მტრის ჯარს საფოანგვეთის ასაოხრებლად შემოუძღვნენ და გლეხკაცობა რესპუბლიკის წინააღმდეგ აგვიშალესო, პატიოსნება აღარავისი სწამდათ და ყველა მოღალატე ეგონათ.

რაკი პოლიციას თავი დავაღწიე, ბინის ძებნა დავიწყე და ერთ იმისთანა დუქანს მივადექ, სადაც ჩემსავით ღარიბნი იკრიბებიან. იმისთანა ძველისძველი, დაფხრეწილი ტანისამოსი მეცვა, რომ მათხოვარს უფრო ვგავდი, ვიდრე ჯარისკაცს და, რასაკვირველია, სასტუმროში რომ მივსულიყავ, პანლურის ცემით გამომაგდებდნენ. შეევედი დუქანში თუ არა, მაშინვე წინ მომეგება ერთი მოხუცებული დედაკაცი, თითქო იცოდა კიდეც, რისთვის მიველ, და ზემო სართულში ამიყვანა. იქ ერთ პატარა ოთახში შემიყვანა, იმ ღამის ოთახის ქირა გამომართვა, სანთელი დამიტოვა და გამომეთხოვა. დაღლილი ვიყავ და მაშინვე ტახტზედ მივეგდე. მაგრამ იმდენი რწყილი, ბაღლინჯო და ათასნაირი სხვა მატლები დამეხვევნენ, რომ ტახტს თავი დავანებე და ისევ იატაკზედ დავწექი. თავქვეშ ჩემი გუდა ამოვიდე და, თუმცა ქვემოდან საშინელი ყვირილი და

ლანძღვა-გინება ამოდიოდა დამთერალი უნიფხოებისა და ქუჩიდან წამდაუწუმ დარაჯების ხმაურობა ისმოდა, როგორც იყო ჩამეძინა. ჩამეძინა, მაგრამ ვაი იმ ძილს! საშინელ სიზმრებში ვიყავ და მთელი ღამე დანტონის, კამილ დემულენის, ვესტერმანის და სხვა საუკეთესო მამულიშვილთა მოკვლა მელანდებოდა; ცხადად ვხედავდი გილიოტინას, ჯალათს, დაყრევინებულ თავებს, რომელნიც სისხლიან გოდორში ცვიოდნენ. ჭირის ოფლს მასხამდა და ფეთიანივით წამოვხტებოდი ხოლმე, მაგრამ რაკი გონზედ მოვიდოდი, ისევ მივეგდებოდი და მივიძინებდი. კიდევ კარგი, რომ შოველი ჯარში იყო, თორემ ისიც რომ გილიოტინას ემსხვერპლა, მე ჩემი დამემართებოდა.

გათენდა თუ არა, მაშინვე ქვევით ჩავედი. მინდოდა გავსწორებოდი და წავსულიყავ, მაგრამ იქ უფრო იაფად გადავრჩებოდი და ამიტომ საუზმეც იქვე მოვითხოვე. კუნჭულში მივჯექი და ლამაზად შევექეც ყველსა და პურს და ნახევარ ჩარექა ღვინოს.

არ მინდოდა საერო კრების უნახავად წავსულიყავ პარიზიდან. სამი თვე იყო, რაც ვანდელებს დავდევდი ჭაობებში და საქვეყნო საქმეებისა აღარა ვიცოდი რა. პარიზელი შეთქმულნი თითქმის ერთიანად ამოწყდნენ და ჩვენს ჯარში იმათ გარდა ყურადღებასაც არავინ აქცევდა საერო კრების საქმეებს და იაკობელებსა და კორდელიერებს შორის ბრძოლას. ბოლო დროს ხომ სამსახურის მეტი აღარა გვაგონდებოდა რა. მოკვლა დანტონისა, კამილ დემულენისა და სხვა პატიოსან მამულიშვილთა, რომელთა მოღვაწეობით დამყარდა ჩვენში რესპუბლიკა, მე საშინელებად მიმაჩნდა. ეტყობა, მეფის მომხრეებს უჯობნიათ, რომ საუკეთესო რესპუბლიკელებს ხოცავენ-მეთქი, ვფიქრობდი. რვა საათი რომ დაჰკრა, გავუსწორდი ჩემს მოხუცებულს მასპინძელს, გუდაც იმასვე მივაბარე და საერო კრების და პარიზის სანახავად წავედი.

რაც კი მარგალიტასაგან ვიცოდი პარიზელ ხალხზედ, იქაურ ვაჭრების ყვირილზედ, ხაბაზთან ჩამწკრიებულ პურის მუშტარზედ, მოქალაქეთაგან სოფლელების დაბრიყვებაზედ და დაჩაგვრაზედ,— ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე და, ღვთის წინაშე, უფრო მეტი და უარესი ვნახე, ვიდრე მარგალიტა მწერდა. ქუჩაში ახალ ლექსებსა მღეროდნენ, ახალ გაზეთებს ჰყიდდნენ, რომლებშიც აწერილი იყო „გარყვნილთა“, ესე იგი დანტონის, კამილ დემულენის და სხვათა სიკვდილით დასჯა.

მახსოვს, მშვენიერი ბაღი ვნახე, საგანგებოდ ჩარიგებული უზარმაზარი ხეებით. თავად ორლეანელისა ყოფილიყო უწინ. მე რომ ვნახე, უნიფხოებით სავსე იყო: შემოსხდომოდნენ პატარ-

პატარა მაგიდებს. ლუდს შეექცევოდნენ და გაზეთებს კითხულობდნენ. იცინოდნენ, ეხუმრებოდნენ ერთმანეთს, თითქო არაფერი მომხდარიყოს საიმისო. ცოტა იქით ერთ სახლზედ ზეღწარწერა დავინახე „სამკითხველო"-ო, და მაშინვე თვალწინ წარმომიდგა შოველისაგან დაარსებული ჩვენში წიგნის მაღაზია და სამკითხველო. სადაც ყველას შეეძლო რამდენიმე გროშის საფასურით მთელი ქვეყნის გაზეთები გადაესინჯა. შევედი ამ სამკითხველოში და სხვებთან ერთად მეც გაზეთი ავიღე. ხალხით სავსე იყო იმოდენა დარბაზი, მაგრამ არც კი არავის შემოუხედნია ჩემთვის. თავიდან ბოლომდე გადავიკითხე „მოამბე" და რამდენიმე სხვა გაზეთი, რომლებშიაც დაწვრილებით იყო აწერილი დანტონის და იმის მომხრეთა გასამართლება და დასჯა.

ქვეყნის მფარველ კომიტეტს დაეჭერინებინა დანტონი და იმისი მომხრენი,—ხალხის მოღალატენი ხართ, გინდათ ძველებურად მეფობა შემოიღოთ, ერის წარმომადგენლობა გააუქმოთ და რესპუბლიკური წესწყობილება მოსპოთო. თავის გამართლება ბარემ შეეძლოთ, მაგრამ ხმაც არ ამოაღებინეს; არ დაიბარეს და არ მოუსმინეს იმ მოწმებს, რომლებსაც ბრალდებულნი ასახელებდნენ. და რადგან ამოდენა უსამართლობით აღშფოთებულნი თავს ვეღარ იკავებდნენ და ხალხს შესჩიოდნენ და მათთან ერთად ხალხიც აღშფოთდა, სენჟუსტი და ბილოივარანი, ქვეყნის მფარველი კომიტეტის წარმომადგენელნი, კონვენტისკენ გაექანნენ და მოახსენეს, ბრალდებულნი გვეწინააღმდეგებიან, სასამართლოს და მსაჯულთ შეურაცხყოფას გვაყენებენ, ხალხს აჯანყებენ და, თუ გარეთაც გავიდა ეს მღელვარება, ცუდად იქნება ჩვენი საქმეო!

იმას ხომ არ ამბობდნენ, რომ დანტონი სამართალს თხოულობდა, მარტო სამართალს და ამიტომ უნდოდა, რომ კანონისამებრ მოწმები დაებარებინათ და ელაპარაკებინათ.

სენჟუსტი ამტკიცებდა, ხალხის აჯანყებას კონვენტის ბრძანება თუ შეაყენებს, თორემ სხვა ვეღარაფერიო. და კონვენტი, კრებული მთელი საფრანგეთის ერის წარმომადგენელთა, შეშინებული ქვეყნის მფარველ კომიტეტისაგან, რომელშიაც რობესპიერი, სენჟუსტი და კუტონი ბრძანებლობდნენ, კონვენტი, რომელმაც მთელი ევროპის ჯარებს გაუძლო, იძულებული იყო ბრძანება გაეცა, რომ თავმჯდომარე ქვეყნის მფარველ კომიტეტისა აღშურვილიყო სრული უფლებით და ყოველი საშუალება ეხმარა, რათა დაემორჩილებინა ბრალდებულნი და არ დაერღვევინებინა საზოგადოებრივი სიმშვიდე, რისთვისაც, თუ კი საჭიროება მოითხოვდა, კანონის მფარველობის გარეშე გამოეცხადებინა იგინი.

რობესპიერსაც ამაზედ მეტი არა უნდოდა რა.

მეორე დღეს არც მოწმეები ალაპარაკეს, არც ბრალმდებელი, არც ბრალდებულთა დამცველნი, არც თავმჯდომარე. ან რა საჭირო იყო? მსაჯულებმა გამოაცხადეს, ჩვენ ყველაფერი ვიცით და რაც ვიცით, ისიც კმარაო. დანტონი და მისი მეგობრები დამნაშავედ აღიარეს—რესპუბლიკის დამხობა უნდოდათო—და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

რა საჭიროა მოგაგონოთ დანტონის, კამილ დემულენის და სხვათა დანტონისტთა ნათქვამი. გადაშალეთ რომელიმე წიგნი, რომელშიაც ჩვენი რესპუბლიკის ამბავია დაწერილი, და იქა ნახავთ. დანტონმა სთქვა: „ჩემი სახელი ისტორიის პანთეონში* არის ჩაწერილი!“ და მართალიცა სთქვა: მისი სახელი სულ ზევითა სწერია და მისი მკვლელების სახელები კი ქვემოთ; დანტონი ჰფარავს მათ. რევოლუციას არავინა ჰყოლია დანტონისთანა ძლიერი და თავგანწირული მოღვაწე; დანტონი ადამიანი იყო გულითაც და ჭკუითაც და მის მტერთ კი ხან ერთი აკლდათ, ხან მეორე, და უფრო ხშირად ორივე ერთად. რესპუბლიკა დანტონმა დაიხსნა განსაცდელიდან და იმათ კვლავ განსაცდელში ჩააგდეს და დაღუპეს. ვიდრემდის ქვეყნიერება არსებობს და კაცთა შორის ერთიც არის მოიძებნება პატიოსანი ადამიანი, კამილ დემულენს ყოველთვის ეყოლება თანამგრძნობნი და თაყვანისმცემელნი. ვიდრემდის ვაჟკაცობა სასახელოდ იქნება, ვესტერმანს ყოველთვის ეყოლება ერთგული პატივისმცემელნი და წამბაძავნი. მაგრამ რას მოგახსენებთ? ბავშვმაც კი იცის ესენი. მგონი, სჯობია დავმშვიდდე და ჩემი ისტორია განვაგრძო.

წავიკითხე ეს ამბები და გულმოკლული გავედი გარეთ, ახლა კონვენტის ნახვა მინდოდა. ვიღაცას ვკითხე: კონვენტი საით არის?

— აგერ! მიმითითა იქვე ახლოს და ერთი მოზრდილი შენობა დამანახვა. შენობა ბაღში გადიოდა. ეტყობოდა, სინათლე ზემოდან ჰქონდა, ბანიდან. შესვლა ყველას შეეძლო, სრულიად თავისუფლად, მაგრამ ვისაც უნდოდა კარგი ადგილი ეშოვა და დაენახა ან გაეგონა რამე, ადრე უნდა მისულიყო. მე რომ ავედი, ჯერ ხალხი არ იყო და საუკეთესო ადგილი დავიჭირე. ძირს დარბაზში უკვე იკრიბებოდნენ ერის წარმომადგენელნი; დეპუტატებისათვის სკამები კიბის დაგვარად იყო აგებული, ისე რომ წინ მჯდომი სრულიადაც არა ჰფარავდა უკანისაგან არც თავმჯდომარეს და არც

* საფრანგეთის საერო ძეგლი, სადაც დაკრძალული არიან სამშობლოს მასახელებელნი მამულიშვილნი.

მოლაპარაკეს. მოლაპარაკეთათვის ცალკე იყო გამართული ტრიბუნა, რომელზედაც რამდენიმე საფეხურის კიბე იყო ასავალი. დარბაზის მოწყობილება სულ მთლად მუხისა იყო. ნელ-ნელა შემოდიოდნენ ერის წარმომადგენელნი და ზოგი მარჯვნივ სკამებისაკენ მიდიოდა, ზოგი მარცხნივ, ზოგი ზევით იწევდა, ზოგი იქვე ქვემოთ რჩებოდა. ერთი საათი მეტი გავიდა, მანამ შეიყრებოდნენ და თავთავიანთ ადგილს დაიჭერდნენ. ჩვენი აივანიც ივსებოდა ხალხით, სულ უბრალო ხალხით, რომელთაგანს ზოგს შუბი ჰქონდა თან. ცალკე დარბაზში ლაპარაკობდნენ ჩუმი ხმით, ცალკე ჩვენს აივანში, და ჩუმი ჟრიამული იდგა.

შემოვიდოდა ვინმე შესანიშნავი დეპუტატი და ჩემს ირგვლივ ძახილი ატყდებოდა:

— აგერა, სქელ-სქელი რომ მობობღავს, ეგ ლექანრია.

— ხედავ, სკამით რომ მოასვენებენ მოსამსახურენი, ეგ კუტონია.

— აგერა ბულიო, რობერ ლინდე, გრეგუარი, ბარრერი, სენჟუსტი, და სხვანი და სხვანი.

სენჟუსტი რომ ახსენეს, წამოვიწიე, რომ უკეთ დამენახა. პატარა კაცი იყო, ქერა, ძალიან ლამაზი და მშვენივრად ჩაცმული, მაგრამ ეტყობოდა, ამაყი და დაუნდობელი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. მაშინვე დანტონის მოკვლა მომაგონდა და, ნეტავი შენთან ცალკე სადმე მალაპარაკა-მეთქი, ვინატრე.

ამათ „სათნოიანებს“ უწოდებდნენ, მაგრამ მე მგონი, რომ ჩვენც არა ნაკლებ სათნოიანნი ვიყავით, როდესაც მაინცის ციხეებში ვიბრძოდით, ან არა და ვანდეს ჭაობებში მშიერ-მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი დავდევდით აჯანყებულთ. რა სულელი, რა ბრიყვი უნდა იყოს ხალხი, რომ ამათთანა კაცებს სათნოიანი უწოდოს და იმისთანა შუქი მოჰფინოს მათს შურით და გესლით აღსავსე გულს, რომ სალოცავადაც კი გაიხადოს! სათნოიანებს უწოდებდნენ იმ კაცუნებს, რომელთაც მარტო იმიტომ დააქციეს სამშობლოს გამაბრწყინვალებელ მამულიშვილთა სისხლი, რომ თავიანთზედ უძლიერესი მეგობარიც კი არ უნდოდათ ამ ქვეყნად.

სენჟუსტს ცოტა ხანს უკან რობესპიერიც მოჰყვა. ყველგან მოძრაობა შეიქნა. ყველგან ერთხმად გაიძახდნენ:

— ეს არის, ეს! ეს არის რობესპიერი სათნოიანი, გაურყვნელი და სხვა და სხვა.

მთელი ჩემი ყურადღება რობესპიერმა გაიტაცა. ნელი ნაბიჯით გამოიარა დიდი დარბაზი და მეორე მხარეს პატარა კიბეზედ ავიდა თავის ადგილზე მისასვლელად. ხელში დახვეული ქაღალდები ეჭი-

რა, თვალებზედ მომწვანო სათვალეები ჰქონდა გაკეთებული. სხვა დეპუტატებთან შედარებით, რომელთაც თითქმის ყველას უბრალო შავი სერთუკები ეცვათ, რობესპიერი კეკლუცად იყო გამოწყობილი; თმები მშვენივრად დაეხუჭუჭებინა, სპეტაკი თეთრი ყელსახვევი გაეკეთებინა თეთრზედ თეთრი საყელო და საგანგებო თეთრი ჟილეტი; ეტყობოდა, დიდ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას და არა ნაკლებ იცქირებოდა სარკეში, ვიდრე გასეთხოვარი ქალი. გაკვირვებული დავრჩი ეს რომ ვნახე. მაგრამ როდესაც პირი ჩემკენ ქნა და დაჯდა, როდესაც თავის ქაღალდებს შლა დაუწყო იმისთანა სახით, თითქო ყურადღებასაც არას აქცევსო და თითონ კი თავის მწვანე სათვალეების ქვემოდან შეშინებული ჯაშუშივით სულ აქეთ-იქით აფაციცებდა თვალებს, მაშინვე გაიძვერა მელა წარმომიდგა თვალწინ, რომელსაც ვერც ერთი ცხოველი ვერ შეედრება ვერც სისუფთავით და ვერც ვერაგობით; მელამ იცის, მთელს ტანს გაილოკავს, სულ ბზინვას დაიწყებს და თან აქეთ-იქით აჭყეტს თვალებს—იქნება მოვახელო რამე და კლანჭი გავკრაო!

ღმერთმა დამიფაროს, რომ მე შენ არ გენდო-მეთქი,—ვიფიქრე რობესპიერის დანახვაზედ. — განხორციელებული სათნოებაც რომ იყო, ჩემს გულს მაინც ვერ მოიგებ...

თითქო რობესპიერის დაბრძანებასღა ელოდაო, თავმჯდომარე ტალიანი, სრულიად ყმაწვილი და მშვენიერი შეხედულობის კაცი, წამოდგა და სთქვა:

— საქმეს შევუდგეთ, მამულიშვილნო!

სულყველანი ფერმიხდილნი იყვნენ იმ კრებაზედ და საშინელი აღელვებით და გაჯავრებით ლაპარაკობდნენ; ყვიროდნენ, ბრაზობდნენ და ცხარე სიტყვებს ისროდნენ; მაგრამ როგორც უცბად ბრაზდებოდნენ, ისევე უცბად გაუვლიდათ ხოლმე გაჯაკრება და ისევ გაყვითლებულნი, დაღონებულნი და დაღრეჯილნი დაეშვებოდნენ თავიანთ ადგილზე. ცხადი იყო, ყველას გუშინდელი ამბავი უდგა თვალწინ და მასთან ერთად ადვილად მოსალოდნელი ხვალინდელიც: გუშინ დანტონს გააგდებინეს თავი, ხვალ იქნება მე ამათრიონ გილიოტინაზედო, ფიქრობდა ყველა იქ მყოფი.

დაიწყო თუ არა კრება, ვიღაც მოქალაქემ ითხოვა ნება საერო კრების წინაშე წარდგომის და სათხოვრის მოხსენებისა; კრებამ ნება დართო და მოსამსახურეებმა შემოიყვანეს ერთი დაბალ-დაბალი, სქელ-სქელი, კისერჩავარდნილი კაცი, ყასაბი, რომელიც დე-

პუტატებთან მივიდა და თავმჯდომარეს მოახსენა:—ათას ხუთასი ოქრო შემომიწირავს ერის და რესპუბლიკის სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ამ ფულით გილიოტინა გაიქონოს... უფრო ადვილად იმუშავებსო. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ მთელმა კრებამ, კრების უმრავლესობამ მაინც, რომელიც ზიზღით შესცქეროდა ამ ყასაბს, ყვირილი დაუწყო:

— გაიყვანეთ, გაათრიეთ აქედან!

მოსამსახურეებმა მართლა და გაათრიეს დარბაზიდან.

რობესპიერი კი რაღაცას სწერდა, თითქო არც კი გაუგონია, რამ გამოიწვია ეს ყვირილი. მაგრამ როდესაც ყასაბი კარებთან მიიყვანეს, წამოიყვირა თავისი ალაგიდან:

— ქვეყნის მფარველ კომიტეტს თვალი ეჭიროს მაგ კაცზე; საჭიროა გამოვიძიოთ მაგისი ყოფაცხოვრება.

იმ საღამომდის აღარა უთქვამს რა. იმისთანა წკრიალა ხმა ჰქონდა, რომ იმდენი ხალხის ყვირილში ზარივით გაისმა მისი სიტყვა.

ყასაბის შემდეგ სამუსიკო სკოლის მოსწავლენი შემოვიდნენ თავიანთ სასკოლო ტანისამოსით. სულ თხუთმეტ-თექვსმეტის წლის ყმაწვილები იყვნენ, ოცნი მაინც იქნებოდნენ, თუ მეტი არა. სრულიად დაურიდებლად მიუახლოვდნენ კრების თავმჯდომარეს და უფროსმა მათგანმა წაიკითხა წინადვე მომზადებული თხოვნა:

— გთხოვთ დაიჭიროთ, გაასამართლოთ და გილიოტინით თავები დააყრევინოთ ყველა ჩვენს მასწავლებლებს. თუ კონვენტმა არ შეიწყნარა ჩვენი აჯა და სრული თავისუფლება არ მოგვანიჭა, სადილს შემდეგ, ესე იგი სწავლის შემდეგ, როგორც გვინდა ისე გავატაროთ ჩვენი დრო, სკოლას თავს დავანებებთ დიდიან-პატარიანადაო.

ამაზედ უფრო აღშფოთდნენ ერის წარმომადგენელნი და თავმჯდომარემ ტალიანმა კიდეც შესტუქსა: ჯერ თქვენ ღირსნი არა ხართ სამშობლოს სამსახურისა, რადგან ვერ შეგიგნიათ, რა დიდი და წმინდა მოვალეობა გაწევთ რესპუბლიკისადმი... წადით, ისწავლეთ, დავაჟკაცდით გულით და გონებით, და საერო კრება თქვენი თხოვნით მაშინ შეაწუხეთო.

ამ ამბავმა გაცხარებული კამათი გამოიწვია ორ დეპუტატს შორის. ერთი ამბობდა, დავბეჭდოთ და ქვეყანას ვაცნობოთ თავხედი ყმაწვილების თხოვნაო. მეორე ამტკიცებდა, ბავშვები არიან, თითონ თავის დღეში ვერ მოახერხებდნენ იმ თხოვნის შედგენას და, ცხადია, სხვის გაბრიყვებულნი არიან... დასასჯელი საწყალი ყმაწვილები კი არა, ის არის, ვინც მათი ცოდვა დაიდვაო.

კრება ამ უკანასკნელს დაეთანხმა და დაადგინა, მოეძებნა და დაესაჯა, ვინც ბავშვები საჩივლელად წააქეზა.

მას შემდეგ წაკითხულ იქმნა წინადადება სამხედრო და საფინანსო კომიტეტებისა. ამ წინადადებათაგანი კონვენტმა მარტო ისინი მიიღო, რომელნიც ჯარის ხელახლად მოკრებას შეეხებოდა. მე ჩემს დღეში არა მენახა რა ამისთანა და, ჩემდა სასიამოვნოდ, ჩემი თვალითა ვხედავდი, რომ სულ ყველაფერი წესისა და რიგისამებრ ირჩეოდა კონვენტში.

იმავე დღეს დაადგინა კონვენტმა, დაებრუნებინა ფული იმ მოხელეთათვის, რომელთა სამსახური მოსპო რესპუბლიკამ. 1789 წლამდე ყველა ადგილი გასასყიდი იყო და ვისაც სამსახური უნდოდა, მეფისაგან ფულად უნდა ეყიდა ალაგი, და რადგან რესპუბლიკამ ზოგ-ზოგ მოხელეს სამსახური მოუსპო, იძულებული იყო დაებრუნებინა მათთვის ის ფული, რომელიც მათ მეფისთვის მიერთმიათ.

იმავე მიზეზისა გამო დაადგინა კონვენტმა საცხოვრებელი საღსარი აღმოეჩინა იმ პირთათვის, რომელნიც მეფეს ახლდნენ და ახლა, უმწეოდ დარჩენილთ, სიბერის ან ავადმყოფობის გამო, შრომა და მით ლუკმაპურის შოვნა არ შეეძლოთ... დიაღ, რესპუბლიკა უფრო სამართლიანად და პატიოსნად იქცეოდა, ვიდრე დიდებული მეფეები და ხელმწიფეები. მაგრამ ასე არაფერს გაუტაცია ჩემი ყურადღება, როგორადაც მამულიშვილმა კუტონმა, რომელმაც ქვეყნის მფარველი კომიტეტის სახელით ითხოვა სიტყვა. რომ გენახათ, იტყოდით ბებერი დედაკაციაო, იმოდენი დაკუნულებული თმები ჰქონდა. თავის ადგილიდან ლაპარაკობდა, რადგან კუტი იყო და ტრიბუნაზედ ასვლა არ შეეძლო. აი, რა თქვა და დიდად დასაფიქრებელიც იყო მისი სიტყვა, რადგან იმ დროს მოწინააღმდეგე პარტიები ტერორითღა ებრძოდნენ ერთმანეთს:

— გუშინ კონვენტმა ბრძანება გასცა, — თქვა კუტონმა, — რომ ყოველი დეპუტატი ვალდებული არის გამოაცხადოს, რა სარწმუნოებას აღიარებდა იგი რევოლუციამდე, რა შეძლება ჰქონდა და რით შეიძლებოდა ამ შეძლების ზრდა. მე მგონია, დღეს ბევრს გაუჭირდება ამ ცნობების გამოცხადება. ამ დადგენილების განხორციელება კონვენტმა ქვეყნის მფარველ კომიტეტს მიანდო და კომიტეტიც მაშინვე შეუდგა ამ ფრიად საჭირო და საზოგადოებრივი ზნეობის აღმადგენელი კანონის სავსებით და დაწვრილებით შემუშავებას; მე მგონია, რომ ჩვენ წამხდარ და სულმდაბალ საზოგადოებისათვის ეგეც არ იკმარებს და სხვა მაგაზედ უფრო მკაცრი ზომიერებანი დაგვჭირდება ქვეყნის მტერთა და მოღალა-

ტეთა ასალაგმავად. კომიტეტი უკვე ამზადებს მოხსენებას. „რევოლუციური მართებლობის ზნეობრივი გავლენის შესახებ“ და აგრეთვე მეორე მოხსენებას, რომელშიც განმარტებული იქნება „მიზანი ევროპიელ ტირანთა წინაალმდეგ ამხედრებისა“; გარდა ამისა კომიტეტს სურს თავისი აზრები განუზიაროს კონვენტს „ჯარში გაგზავნილ კონვენტის წევრების მოქმედების შესახებ“, — რომელნიც ყველაფერში საერო კრებას უნდა ემორჩილებოდნენ და თავისუფლად, მართებლობის დაუკითხავად არას არიგებდნენ.

ბოლოს კუტონმა წინადადება შეიტანა უზენაესის არსების სადღესასწაულოდ დღეობა დავაწესოთ, რომ ათ წელიწადში ერთხელ მოდიოდეს... ამის შესახებაც დაწვრილებით მოხსენებას მოამზადებს ქვეყნის მფარველი კომიტეტიო...

მთელი დარბაზი სმენად გარდაიქცა, ყველას აღტაცება ეტყობოდა და თვით რობესპიერიც კი, რომელიც გაუთავებელს რაღასაც სწერდა, ხშირად დაიქნევდა ხოლმე თავს თანხმობის ნიშნად, თითქო ემოწმება: დიაღ, სწორედ აგრე უნდა იყოსო!

კუტონის სიტყვის შემდეგ კრებას მოხსენდა ჩვენი ხომალდების გამარჯვება ინგლისელებზედ და ჰოლანდიელებზედ და აგრეთვე სია დროშებისა და სხვადასხვა სამხედრო ნადავლისა. კრებამ რვა საათამდე გასტანა.

ლეჟანდრი კარგად ხედავდა, რომ რობესპიერს და მის მეგობრებს ჯერ კიდევ ბევრი სისხლისღვრა სწადდათ საფრანგეთის ვითომდა გასაწმენდად და, რადგან მთელს საერო კრებაში მარტო იმან ამოიღო ხმა დანტონის სასარგებლოდ, ცდილობდა თავი დაეხწია როგორმე განსაცდელისთვის: სიტყვა ითხოვა და ნასიამოვნები სახით დაუწყო კონვენტს:

— რამდენმამე სოფელმა საერო კრებას დეპუტაციები აახლა მადლობის გამოსაცხადებლად, რომ ასე სასტიკად სდევნის და სჯის იგი სამშობლოს მოღალატეთ; ეს აქამდენაც უნდა მოხსენებოდა კონვენტს, მაგრამ ეტყობა, დავიწყებიათ, და დიდად ბედნიერი ვარ, რომ მე მხვდა წილად ამ სასიამოვნო ამბის მოხსენებაო.

რაც ხანი ამ სიტყვას ამბობდა, სულ რობესპიერისკენ ჰქონდა თვალი, მაგრამ იმას თითქო არც კი ესმოდა ლეჟანდრის ლაპარაკი, რაღასაც სწერდა და ერთხელაც არ დაუქნევია თავი თანხმობის და სიამოვნების ნიშნად. საბრალო ლეჟანდრი! რა საშინელი უნდა ყოფილიყო მისთვის ის ღამე!

კრება გათავდა. ხალხი დაიშალა. მეც ხალხის ტალღას გავყე და თან კონვენტში გაგონილს და ნახულს ვფიქრობდი.

ოჰ, რა ბედნიერი ვიყავ, რომ შინ მივდიოდი! როგორ მიხაროდა, რომ მოვშორდებოდი იმ უცნაურ „სათნოიან გმირებს“, რომელნიც ყველგან ბატონობას ჩემულობენ და ყველას მონად იხდიან — ერის წარმომადგენლებსაც, გენერლებსაც, ჯარსაც, კომიტეტებსაც და კლუბებსაც! რომელნიც ყველაფერს გაგირიგებენ, ყველაფერში წესსა და რიგს შემოიღებენ და თავებს დააყრევინებენ ყველას, ვინც გაბედავს და ადამიანისადმი სიბრალულს გამოიჩენს, ან თავისუფლებას მოინდომებს! ცხადად ვხედავდი, რა სამწუხარო ბოლო უნდა ჰქონოდა ამ ყოფას: საფრანგეთის ბატონი რობესპიერი გამხდარიყო და გილიოტინით უნდოდა ქვეყნის დამშვიდება.

II

მეორე დღეს, 7 აპრილს 1794 წ. გავედი კიდეც პარიზიდან. ისიცა კმაროდა ჩემთვის, რაცა ვნახე.

ყველა რობესპიერის შიშით თრთოდა, რადგან ცარიელი სიტყვა კმაროდა მისი, რომ სრულიად უდანაშაულო, მტრედივით წმინდა კაცი გილიოტინაზედ აეყვანათ და თავი მოეჭრათ; უბედურს აღარც საბუთი გამოადგებოდა რამე, აღარც მოწმეები, აღარც ვექილ! თვით გასამართლებაც ტყუილუბრალოდ ინიშნებოდა, რადგან მსაჯულები რობესპიერის ყურმოჭრილი ყმანი იყვნენ და წინადვე ჩაგონებული ჰქონდათ რა სასჯელი უნდა დაენიშნათ ვითომდა დამნაშავესთვის.

ჩემთვის ესეცა კმაროდა.

დაღონებული, დაძმარებული გავუდექ გზას, მით უფრო, რომ ავად ვიყავ და საშინლად ცხელოდა.

დღეში ათჯერ მაინც შემაყენებდნენ ჟანდარმები, გამისინჯავდნენ ქაღალდებს და ბეჭედს ასვამდნენ. რობესპიერს პოლიციის და ჟანდარმების მეტისა არავისი ნდობა არა ჰქონდა და ყველ> მსაჯულები, ჯარში გაგზავნილი კონვენტის წევრნი და მამასახლისები სულ მისი მომხრენი იყვნენ. მთელს ჩვენს ქვეყანას კალიასავით მოედვნენ მისი ჯაშუშები და სისხლს ადენდნენ საწყალ გლეხკაცს და მუშა-ხელოსანს.

მერვე თუ მეცხრე დღე იყო, რაც მივდიოდი. ცხელოდა, წურწურით მდიოდა ოფლი და თან ყელი მიშრებოდა, რადგან საშინელი მტვერი იდგა გზაზედ. ძლივსღა მივათრევდი ფეხებს და თან მწარედ ვგმინავდი:

— ღირს კი ამოდენ ტანჯვა-წვალებად ეს წუთისოფელი? ბოლო ხომ მაინც სამარეა და მაინც! მერე ერთნაირად მაინც ვი-

ტანჯებოდეთ ყველანი! ვისაც სინდისზედ ხელი აუღია, სულ დიბა-ატლასით დადის და ბაჯაღლო ოქროებით კოჭაობს და ვინც პატიოსნად დარჩენილა, შიშველ-ტიტველი დაიარება და კუჭი ეწვის შიმშილით.

ისე დავიღალე, რომ მეტი აღარ შემეძლო და იქვე გზის პირას ქვებზედ ჩამოვჯექ. შორიდან სოფელი მოჩანდა. მზე ჩადიოდა. მშიოდა და მეტადრე მწყუროდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი, ნუ თუ იმოდენა კიდევ შეგიძლია, რომ აი იმ სოფლამდე მიაღწიო-მეთქი. ასე სასოწარკვეთილი რომ ვიყავ, უცბად ურმის ხმა შემომესმა და უკან მიმახედა. ცარიელ ურემში მარტო ერთი მოხუცებული, — ეტყობოდა ძალიან შეძლებული კაცი უნდა ყოფილიყო, — მეურმე იჯდა და ცხენებივით მოერეკებოდა საგანგებოდ მოვლილ ჰოზვრებს. კარგა ხანი მსინჯა შორიდანვე და როდესაც მომიახლოვდა, მითხრა;

— დაღლილი უნდა იყო, მამულიშვილო. დაჯექ ურემზე, ცოტათი გზას შეიმოკლებ.

გამიკვირდა: იმ დროში ისეთი თავაზიანობა მეტად მოულოდნელი იყო.

— მინდოდა მე თითონ მეთხოვა შენთვის ეგ წყალობა, — ვუპასუხე მე და ფეხზედ წამოვდექ, — ღმერთმა გიშველოს, რომ შენვე დამასწარ, თორემ მეტი აღარ შემეძლო.

— გეტყობა კიდეც. შორიდან მოხვალ?

— ვანდედან გიახლები. ავადა ვარ და სამსახურიდან დათხოვნილი; სიარული მწყინს და სისხლს მაღებინებს. ნეტავი ერთი შინამდე მივაღწიო, რომ უპატრონოდ არსად მოვკვდე, თორემ სიკვდილისა კი არ მეშინია.

დავუჯექ ურემზედ. მოხუცებული მიერეკებოდა ხარებს და თან მე მიყურებდა.

— ფუი, შეგარცხვინა ღმერთმა! — შემომიტია ალერსიანად. — ყმაწვილი კაცი ვიყო და ეგრე გული გავიტეხო! ეგ ხომ ქალაჩუნას საქმეა და არა ჯარში ნამყოფი ვაჟკაცისა! ოცი წლის ბიჭი ვიყო და აგრე ადვილად გადავიწყვეტო იმედი! დაისწავლე ჩემი სიტყვა, ჩემი ხნის კაცს სიზმარი დაეჯერება, შენ საიმისო არა გიჭირს რა და დასვენების მეტი არა გინდა რა. დაისვენებ, კარგსა სჭამ, კარგ წითელ ღვინოს არ დაიკლებ და ისე წამოკეთდები, თითქო შენ დღეში ავადმყოფობა არა გცოდნოდეს.

არაფერი ვუპასუხე. ცოტა ხანს გაჩუმებული მივდიოდით და მერე მკითხა:

— პარიზზედ ხომ არ ჩამოგივლია, მამულიშვილო?

— დიაღ, პარიზზედ ჩამოვიარე და ამან უფრო წელი მომწყვიტა. იმისთანა საშინელება ვნახე პარიზში, რომ კარგად მყოფსაც დამადნობდა, არამც თუ ავადმყოფს.

— რა ნახე მაგისთანა? — მკითხა მეურმემ და დამაცქერდა.

— გილიოტინა ვნახე და საუკეთესო მამულიშვილთა სიკვდილი! მე ვნახე დანტონის, კამილ დემულენის, ჩემი გენერალის ვესტერმანის და მათთან ერთად ხალხის უერთგულეს მოღვაწეთა დახოცვა. მე რომ ასე ავად არ ვიყო და მოსაკლავად ვღირდე, არც ასე გაბედვით გამოვთქვამდი ჩემს გულის პასუხს. ეხლა კი რისა უნდა მეშინოდეს? მობრძანდნენ და დამიჭირონ! რას დამაკლებენ? ჩამოხრჩობასაც ვერ მოასწრებენ: მე თითონ მომაკვდავი ვარ. ოჰ, ნეტავი შემეძლოს იმ უსინდისოების დასჯა...

ბრაზმორეულს კიდევ სისხლი ამომივიდა. წასულია შენი საქმე მიშელ, ვფიქრობდი ჩემ გულში, წასულია! ერთიც ვნახოთ, ესეც რობესპიერის მომხრე იყოს! წავიდეს და დამაბეზღოს რა!

სისხლი რომ დაინახა, ფერი ეცვალა და ცოტა ხანს გაჩუმებული შემომცქეროდა; თვალები ცრემლით აევსო. მერმე დარიგება დამიწყო: არ უნდა გაჯავრდე, უნდა იცოდე თავის შეკავება, რადგან ემაგრე ლაპარაკით თავს დაიღუპავ უდროოდო. მეც მივყევი და დაწვრილებით ვუამბე, რაც კი პარიზში მენახა. სუყველაფერი დაწვრილებით ვუამბე და ისიც კი ვუთხარ, როგორ დადიან პარიზის ქუჩებში უნიფხონი და გაჰყვირიან: სიკვდილი სამშობლოს მოღალატეთო! აგერ სოფელში შევედით. პატარა სოფელი იყო, ღარიბ-ღატაკი სოფელი. ერთი ერთმანეთზედ უღარიბესნი იყვნენ ქოხები და მარტო ერთი სახლი მოჩანდა საკმარისად მოზრდილი და მოსაწონი, რომელსაც გარს ვენახი ერტყა. ჩვენი ურემი ამ სახლის კართან გაჩერდა.

ჩამოვხტი, მადლობა გადავუხადე და წამოვიკიდე ჩემი გუდა, მაგრამ წასვლა კი ვეღარ მომიხდა.

— რაღა დროს წასვლაა, მამულიშვილო? — მითხრა მოხუცებულმა: — ამაღამ ჩემი სტუმარი იყავ.

კარი ერთმა ხნიანმა ქალმა გაგვიღო. მოხუცებული მიუბრუნდა და უთხრა:

— ამაღამ ჩვენი სტუმარია ეს ჯარისკაცი. ყელები ამომხმარი გვაქვს ორივეს და თუ თეთრი ღვინით არ ჩავისველეთ, ცუდად არის ჩვენი საქმე! ვახშმისთვის კი ნურას შესწუხდები, ყველი და პურიო, კეთილი გულიო, ნათქვამია ძველთაგან.

მე მაინც წასვლას ვაპირობდი, მაგრამ ხელი დამიჭირა და ნელნელა სახლში შემიყვანა.

— კარგი ერთი, რა ხვეწნა გინდა? ურჯულო ხომ არა ვარ ამაღამ სადმე გაგიშვა? მერწმუნე, ძალიან ასიამოვნებ ჩემს დედაკაცს, ჩემს ქალსა და ჩემს დასაც. ანრიეტ, ჩამოართვი ამ ყმაწვილს ჯუდა და ლოგინი გაუშალე. ერთი მოზვრები დავაბინაო, მეც ეხლავ აქა ვარ.

რაღას ვიზამდი, უნდა დავმორჩილებოდი. და არც ძალიან მინდოდა წასვლა, ღვთის წინაშე, რადგან მეტისმეტად მომწონდა ჩემი მასპინძელი და დაღლილიც ვიყავ. მშვენიერ დიდ დარბაზში შემიყვანეს; შუაზედ სასადილო მაგიდა იდგა; ზედ თეთრი, სპეტაკი სუფრა იყო გადაშლილი და სავახშმოდ მომზადებული თეფშები და დანაჩანგალი. თეთრ ღვინოსაც შუა სუფრაზედ მოეღერებინა ყელი.

იმ ქალმა, რომელსაც ჩემმა მასპინძელმა ანრიეტი უწოდა, ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე წინ გამიძღვა, ერთ პატარა ოთახში შემიყვანა და მითხრა:

— ინებეთ, ბატონო.

დიდი ხანი იყო მე ასეთი ზრდილობიანი სიტყვა აღარ მსმენოდა და ძალიანაც მეამა, თუმც მეუცხოვა კიდეც. ქალი რომ წავიდა, ამოვიღე გუდიდან რაც კი საუკეთესო მქონდა. პირი დავიბანე, ტანისამოსი გამოვიცვალე და ცოტა ხანს უკან სასადილო ოთახში გავედი. დიასახლისის გარდა ერთი კიდევ სხვა ქალი იყო ხნიანი და ერთიც 16-17 წლის მეტად ლამაზი ქალი, რომელიც ჩემს მასპინძელს ელაპარაკებოდა.

აბა დაბრძანდით, გვითხრა მასპინძელმა. მეც ეხლავ გიახლებით, ერთი ფანჯრის დარაბები მოვკეტო.

დავსხედით, პირჯვარი გადავიწერეთ. პირველად მე შემომთავაზეს იმისთანა საგანგებო წვენი, რომ მარტო ორთქლი გააძღობდა კაცს, ორი წელიწადი იყო მე იმისთანა აღარა მეჭამა რა. მერე შემწვარი ხორცი მოიტანეს სალათით, და ბოლოს თხილი; ეტყობოდა ძალიან შეძლებული ოჯახი უნდა ყოფილიყო. და მანამ სუფრაზედ ვისხედით და შევექცევოდით, ჩემმა მასპინძელმა ივანე ლამიმ უამბო ქალებს, რაც მე გზაში ვუთხარ პარიზის საქმეების და დანტონისტების ხოცვისა. ვახშამი გათავებული გვქონდა, თხილს გიახლებოდით, როდესაც დანტონის მოკვლაზედ დაიწყო ლაპარაკი. ამის ხსენება და ერთი ქალის წამოვარდნა სუფრიდან ერთი იყო; თვალებზედ ცხვირსახოცი მოიფარა და ქვითინით გარეთ გავარდა. ქალებიც უკან გაედევნენ.

— ჩემს დას დიდი მეგობრობა და სიყვარული ჰქონდა დანტონის ოჯახისა, მითხრა მასპინძელმა. გათხოვილი იქ არის, საღაც

დანტონის ოჯახი ცხოვრობს. სამი დღეა რაც ჩამოვიდა. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ დანტონს და მის ოჯახობას და ძალიანაც გვიყვარს. პირად მე ხშირად მქონია საქმე დანტონთან და, რასაკვირველია, ყველას ძალიანა გვწყინს მისი მოკვლა.

შენობით აღარ მელაპარაკებოდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ოჰ, რა უბედურება მოხდა! რა საშინელი უბედურება მოხდა! დაიკვნესა ჩემმა მასპინძელმა და ისიც გარეთ გავიდა. მარტოდმარტო დავრჩი დარბაზში და კარგა ხანი აღარავინ შემოსულა. მეც ამემღვრა გული და, ვინ იცის, რას არა ვფიქრობდი. ბოლოს შემოვიდნენ ჩემი მასპინძლები; ყველანი ნამტირალევი იყვნენ, თვალებდაწითლებულები. მოხუცებულს ერთი ბოთლი ძველი ღვინო მოჰქონდა:

— რესპუბლიკის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ... და მტარვალთა დასაწყევი!

ჭიქები გაავსო, ადღეგრძელა რესპუბლიკა და დასწყევლა სისხლით გაუმაძღარი მტარვალნი; ქალებიც შემოვიდნენ და თავ-თავის ადგილზე დასხდნენ. ივანე ლამის დამ, რომელსაც მანონი ერქვა, გვიამბო, ამ ერთი თვის წინათ დანტონი ჩვენს სოფელში იყო თავის დედასთანო... კარი ღია ჰქონდა და, ვისაც უნდოდა, ყველას შეეძლო მისულიყო და თავისი დარდი შეეჩივლა. იმისთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა მისულიყო მასთან სანახავად და ერთნაირად ზრდილობით უხვდებოდა მუშას, მოქალაქეს და სოფლელ გლეხკაცს. ხშირად თავის ცოლ-შვილი და მეგობრებიც მოჰყავდა დანტონს, მეტადრე კამილ დემულენი და იმისი ყმაწვილი ცოლი; რამდენჯერმე თავისი სიდედრი და სიმამრიც ამოიყვანა ჩვენს სოფელში. ყველანი დანტონის დედასთან ჩამოხტებოდნენ ხოლმე, თუმცა იგი, რაკი დანტონის მამა მომკვდარიყო, ხელმეორედ გათხოვილიყო და ჩვენებური სირაჯი რეკორდენი შეერთო. მთელს ჩვენს მაზრაში იმათთანა პატიოსანი და პატივსაცემი სხვა არავინ იყო.

ამ ქალის ნაამბობიდან ცხადადა ჩანდა, რომ დანტონს თითონ დაეღუპა თავის გაუფრთხილებლობით მეგობრებიც და თავისი თავიც. როგორც თითონ იყო გულმართალი, ყველა თურმე ისე ეგონა და ყველასთან გაუფრთხილებლად, მოურიდებლივ გამოსთქვამდა თავის აზრს და რწმენას. და რასაკვირველია, რომ რობესპიერს, რომელსაც ქვეყნის მფარველი კომიტეტის წევრნი თავის ჯაშუშებად გაეხადა და მთელს საფრანგეთში შეთქმულობა ელანდებოდა, თუმცა ხშირად უფრო თითონ შეხინხლავდა ხოლმე შეთქმულებას; დიაღ, რა საკვირველია, რომ რობესპიერს სამი-ოთხი ჯაშუში ყოველთვის

ჰყოლოდა დანტონისათვის მიჩენილი? ეს ჯაშუშები სულ კვალდაკვალ სდევნიდნენ დანტონს და დაწვრილებით აცნობებდნენ რობესპიერს ყოველ მის სიტყვას და მუქარას.

გაზეთებში წავიკითხე, დანტონმა, როდესაც ბელგიის ჯარში გაგზავნა საერო კრებამ, ჯიბეები დაიტენა და ისე დაბრუნდაო. ოაკი დანტონის ასე მახლობლად მცნობი ვნახე, ვკითხე:

— როგორი შეძლების პატრონია დანტონი?

— დანტონიანი რევოლუციის წინათაც ძალიან შეძლებულნი იყვნენ, — მიპასუხა ქალმა, — და ეხლაც არა უჭირთ რა. რაც წინათ იყვნენ, ის ახლა არიან, არც გაკეთება ეტყობათ, არც გაღარიბება.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ ასეთს პასუხს მივიღებდი. შოველისაგან ვიცოდი, რა კაცი იყო დანტონი და შოველი იმდენად გამოცდილი იყო, რომ ასე ადვილად ვერ შესცდებოდა. კიდეც რომ შემცდარიყო, ამდენი ხანი მეგობრად ვერ შერჩებოდა იმ კაცს, რომელიც ფულის გულისთვის უღალატებს თავის მოვალეობას ქვეყნისადმი.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც შეურყეველად შემრჩა რწმენა, რომ რობესპიერმა, სენჟუსტმა, კუტონმა და იმათმა ამხანაგებმა, რომელთა უსაზღვრო თავმოყვარეობა სხვის დამცირებით ცდილობდა თავის განდიდებას, ცილი შესწამეს ამ დიდებულს მოღვაწეს. ამაზედ მით უფრო ადვილად დამთანხმდება ყველა, რომ დანტონის მოკვლის შემდეგ მისი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები რომ ჰქონოდათ რამე, მთელს საფრანგეთს აუწყებდნენ, — ეს დააშავეს და თავს ამიტომ ვჭრითო. აგრეთვე შეურყეველად შემრჩა რწმენა, რომ გენერალ ვესტერმანს მარტო ის დანაშაული ჰქონდა, რომ მთელს ჯარში მარტო ის ეცნა დანტონს ღირსეულად, გენერლობა მიეცა და მხედართმთავრად გაეგზავნა ვანდეში, სხვა დანაშაული მას არა ჰქონდა რა, გარდა იმისა, რომ პარიზელი ხალხი კარგად იცნობდა მას, რადგან ის ყოველთვის ხალხთან იყო და წინ მიუძღოდა, და ადვილად შეეძლო აეშალა ეს ხალხი თავის მეგობრების მკვლელთა დასასჯელად და მართლმსაჯულების დასამყარებლად. ამისთანა კაცის სიცოცხლე სახიფათო უნდა ყოფილიყო რობესპიერისთვის და ამიტომ ცილი დასწამეს და თავი გააგდებინეს. აღარც იმისი ვაჟკაცობა მოაგონდათ, აღარც თავგანწირული ბრძოლა და მტრის დამარცხება! ვესტერმანი უნდა მომკვდარიყო, რომ რობესპიერი დამშვიდებული ბრძანებულიყო, და მოკვდა კიდეც.

მე ჩემს აზრს მოგახსენებთ. შეიძლება თქვენ სულ სხვაფრივ უყურებდეთ საქმეს.

ჩემმა ღვთისნიერმა მასპინძელმა მეორე დღესაც არსად გამიშვა, მანამ სადილი არ მაჭამა. სადილს უკან კი ორი ცხენი შეკაზმა და კარგა მანძილი გამაცილა სამაზრო ქალაქამდე. ჩემს დღეში არსად შემხვედრია იმისთანა პატიოსანი და სტუმართმოყვარე კაცი და ჩემს შვილებს ყოველთვის იმასა ვთხოვ, არ დაივიწყონ ეს სიკეთე: იმას თუ არა, მის შვილს ან შვილიშვილს მაინც გადაუხადონ. ნამდვილი პატრიოტი იყო ის კურთხეულიშვილი. და თუ ჩემი ჯანაოზ-ექიმის სიტყვა არ გავამართლე და საიქიოს არ გავემგზავრე, ესეც უმთავრესად ჩემი მასპინძელის წყალობით მოხდა, რადგან იმან ჩამაგონა, საიმისო არა გიჭირს რა, დასვენება და მოვლა გინდაო. იმისთანა ალერსით მეუბნებოდა ამას, იმისთანა კილოთი მამხნევებდა, თითქო სულ უცხო კი არა, მშობელი მამა ყოფილიყოს. ჩემგან კი მადლობის მეტი არა ინდომა რა და, ქალაქში რომ მივედით, ერთი ჩარექი ღვინის ფულიც არ მიმაცემინა.

ჩარექა რომ გამოვცალეთ, ადგა, დახლიდარს გაუსწორდა, ნათესაურად გადამკოცნა და გზა მშვიდობისა მისურვა.

იქიდან უფრო მხნედ გავუდექი გზას და სასტიკად ვასრულებდი ივანე ლამის დარიგებას: ისე პური არსად ჭამო, რომ ერთი ნახევარი ჩარექი კარგი ღვინო არ დალიო, თუნდა ძალიან ძვირადაც დაგიჯდესო. მეც საცა კი პურსა ვჭამდი, ყველგან კარგ, თავ ღვინოს ჩამოვასხმევინებდი ხოლმე და თანაც წამდაუწუმ ფულს ვანგარიშობდი, რადგან შინამდე ერთი ათი დღე კიდევ მომინდებოდა სიარული. სიკვდილი აღარც კი მაგონდებოდა. სიკვდილის შიში ტკბილ მომავლის იმედმა განდევნა და ახლა სულ მარგალიტა მიდგა თვალწინ, მამაჩემი, ნათლიაჩემი და სხვანი.

— გამხნევდი, მიშელ, ხომ იცი, რა მოუთმენლად გელიან ყველანი!

ლანდივით თვალწინ მიდგა ჩვენი სოფელი. მეჩვენებოდა, რომ აგერ მივედი კიდეც; შორიდან მიმავალი დამინახეს ჩვენებმა, გარეთ გამოცვივდნენ და ყვირილი მორთეს:

— მიშელი მოდის, მიშელი! ჩვენი მიშელი!

სწორედ ფრთები შემასხა იმედმა. წელში გავსწორდი, ჯოხი მხარზე გავიდე და იმისთანა ნაბიჯს ვადგამდი, რომ ავადმყოფს კი არა, ჯანსაღსაც გაუჭირდებოდა. გზაში ყველგან იგივე წვალება და უსიამოვნება მხვდებოდა, რაც იმ წინა დღეებში: ქვეყანა დამშეული იყო და ყველგან ტირილი და გოდება ისმოდა. პური აღარსად იშოვებოდა: რაც ჰქონდა ხალხს, უკვე შემოხარჯოდა და სოფელ-სოფელ კი მეხარკენი დაიარებოდნენ და ჟანდარმების თანადასწრებით და

დახმარებით ხარჯს აგროვებდნენ. ვაი იმ მოგროვებას! ქრისტეს ტირილი იდგა ყველგან!

აქაც იგივე შიში და უნდობლობა ყველგან, რაც წინად იყო. შევიდოდი სადმე სოფელში და ჟანდარმი მომეგებებოდა: შენი ქაღალდები, მამულიშვილო! დუქანში ღამეს არ გამათევინებდნენ, მანამ ვინაობის ქაღალდს არ გამისინჯავდნენ. დიაღ, ყველგან წვალება და უსიამოვნება მხვდებოდა, მაგრამ იმისთანა მხიარულად მქონდა გული, რომ ყურადღებას აღარას ვაქცევდი, ცოტა კიდევ და შინ მივალ-მეთქი.

ხანდახან ერთ-ორ შაურად ურემზედ დამისვამდნენ მგზავრები და ცოტაც არის დამასვენებდნენ. სოფელი სოფელს მისდევდა, ქალაქი ქალაქს და ბოლოს ჩვენი მთებიც გამოჩნდა. ისე გადამიბრუნდა გული ჩვენი ძველი მთების დანახვაზედ, თითქო ბუდიდან ამოვარდნას აპირობსო. ვინ იცის, ჩვენი წინაპართაგანი რამდენი სხვა გაჩერებულა ჩემსავით შორიდან მომავალი ამ მთების დანახვაზედ და სიხარულით მისალმებია თავის აღმზრდელ სამშობლოს! წასულან, დამარხულან, მათი ხსენებაც აღარსად არის, და ეს ძველი მთები კი ძველებურად ამაყად დგანან თავთოვლიანნი! წავალთ ჩვენც, დავიმარხებით, და ჩვენს შემდეგ ახლა ჩვენი შვილები გაჩერდებიან შორიდან მომავალნი და ნეტარებით აღსავსე გულით სალამს მიუძღვნიან ჩვენს დიდებულ მთებს. აგერ, დატსბერგის მთა, თავისი თეთრი ნიშნით. აგერ ტყით შემოსილი შნეებერგი თავისი დათოვლილი მწვერვალით. რაღა მიჭირდა, რაკი ჩვენ მთებს მივაღწიე? შინ ვიყავ და შინ.

სარბურგიდან დილის ოთხს საათზედ გავედი და ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც მიტტელბრონს გადავხედე და მასთან ერთად მთელ ჩვენს მხარეს და ჩვენს სოფელს. ცოტა ხანს უკან ფალსბურგში შევედი. ბევრიც რომ ვეცადო, მე ვერ აგიწერთ, როგორ მომეგებნენ მარგალიტა და სტეფანე, რამდენი მკოცნეს და მიალერსეს ორივემ. მარგალიტამ თავი ვეღარ შეიმაგრა და, ისეთი გამხდარი და გაყვითლებული რომ მნახა, ტირილი დაიწყო: ფეხით როგორ გადმოიარე მთელი საფრანგეთი, ვერ შემატყობინებდიო? სტეფანეც ძალიან დაღონდა ჩემი ავადმყოფობით. მამაჩემი იქვე ქალაქში ყოფილიყო, კალათები ჰქონოდა გასაყიდად ჩამოტანილი, და მაშინვე ჩვენსა მოიჭრა, ჩემი მოსვლა რომ გაიგო. საწყალი მოხუცი!

რაკი შინ მივედი, კვლავ მომერია სისუსტე და სკამზედ დავეშვი. ხველა ამივარდა და ნახველს სისხლი ამოჰყვა. მერე დაიძრა და იმოდენა მაღებინა, რომ გული წამივიდა. მოკვდაო, თურმე იფიქრეს. საღამოზედ მოვსულიერდი, შოველის ლოგინში მწოლარე. ისე სუს-

ტად ვიყავი, რომ ძლივსღა ვსუნთქავდი. მარგალიტა თავით მიჯდა და ცხარი ცრემლით დამტიროდა. ხელი მოვხვიე, გულში ჩავიკარ და ვუთხარ:

— კარგი ვქენ, არა, მარგალიტა, რომ შენს ნახვას დავეჩქარე?

მამაჩემს ველარ გაეძლო სევდისთვის და შინ წასულიყო. ექიმს შტეინბრენერს — ყმაწვილი კაცი იყო, მაგრამ ფრიად დახელოვნებული — ეთქვა, საშიში არა სჭირს რა, ოღონდ სრული მოსვენება უნდაო. ებრძანებინა, ავადმყოფის სანახავად არც ერთი პატრიოტი არ მიუშვათ, რადგან ახალ ამბებსა ჰკითხავენ და შეაწუხებენო.

მაშინ დამიმტკიცა ჩემმა საცოლომ თავისი სიყვარული, და მარტო მაშინ ვიგრძენი, რა ბედნიერი კაცი ვიყავ, რომ მარგალიტა ჩემად მეგულებოდა. დღე და ღამ განუშორებლივ თავს მევლებოდა და მივლიდა. ჩემს მეტი აღარა ახსოვდა რა და ყოველი საქმე სტეფანესთვის მიენდო.

მეც მოვიხედე; თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ გამოვბრუნდი. სამი კვირის შემდეგ ექიმმა გადაწყვეტით თურმე უთხრა, ახლა კი ნუღარ გეშინიათ, სასიკვდილო აღარა სჭირს რაო. მანამდე კი თურმე სულ იმის ფიქრში იყო, აი, ან ახლა განუტევებს სულს, ან ახლაო. მე კი სულ იმას მეფიცებოდა, საშიში არაფერია, იმისთანას წამოგაყენებ ფეხზედ, რომ თითონ შენც გიკვირდესო. რას იზამთ, ავადმყოფს თუ ამისთანა ტყუილებით გული არ გაუმაგრა ექიმმა, ცარიელი წამლით თავის დღეში ვერას გახდება; ავადმყოფმა რომ თავის სნეულების ჭეშმარიტი მდგომარეობა იცოდეს, მაშინვე ფეხებსა ფშიკავს. სამი კვირა უსმელ-უჭმელი თურმე ვიყავ და რაკი წამოვიხედე, ცოტა საჭმელის ნებაც მომცა ექიმმა. ჩვენი ნიკოლი, ნათლიაჩემის მოახლე, ყოველ დილით ჩამოვიდოდა ხოლმე ჩემს მოსაკითხად და თან ერთს პატარა კალათსაც ჩამოიტანდა. საშინელი სიძვირე იყო ყველაფრისა და ხორცი ხომ თავის წონა ვერცხლადაც არსად იშოვებოდა. ღმერთმა აცხონოს ნათლიაჩემი! ისე შვილს არ მოექცევა კაცი, როგორც მე ის მექცეოდა! როდესაც კი გამიჭირდებოდა, ყოველთვის ის გამომიწვდიდა ხელს საშველად და არაფერს ზოგავდა ჩემთვის. იმისთანა გულკეთილს და პატიოსან კაცს იშვიათად ნახავს ამ ქვეყნად ადამიანი და, თუ ნახა სადმე, თავის დღეში აღარ დაივიწყებს მის სიკეთეს. ჩამოვიდოდა ნიკოლი, მომიკითხავდა და რა გინდა სულო და გულო, რომ ჩემს სუფრაზედ არ ყოფილიყო! მადაც გამეხსნა!.. მარგალიტაც გამხიარულდა, რაკი ნახა, რომ საშიში აღარა მჭირდა რა. ექიმმა ნება მომცა და მაშინვე ვინახულე ნათლიაჩემი, ელოფ კოლენი, ლეტუმიე, რაფიელ მანკი და სხვა პატრიოტები.

სიცოცხლის ნეტარებას და წუთისოფლის სიტკბოებას კაცი მარ-

ტო დიდი ავადმყოფობის შემდეგ გრძნობს. მე ისე მიხაროდა სიცოცხლე, რომ სიხარულით ბავშვივით ვტიროდი. მზის სხივიც უფრო მშვენიერად მეჩვენებოდა, ვიდრე წინად, მარგალიტაც უფრო ლამაზად და ქვეყანაც უკეთესად.

ერთი თვე კიდევ გავიდა და წამოვდექი კიდეც. იმდენად კარგად ვიყავ, რომ ჩვენს სოფელში ასვლა შემეძლო, მაგრამ დედაჩემის ნახვა მეძნელებოდა, რადგან წინადვე ვიცოდი, როგორც დამიხვდებოდა. მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ მე მარგალიტას ვირთავდი; დედაჩემს დიდი ჩხუბი ჰქონოდა ამის გამო. თურმე მისდგა მამაჩემს და ლანძღვა დაუწყო:

— მე ურჯულო არ მინდა!

მამაჩემსაც ავსებოდა ფიალა მოთმინებისა და ხმა ამოეღო:

— შენ ვინა გკითხავს, გინდა თუ არა? საქმე ის არის, რომ მე მინდა! კანონისამებრ მარტო ჩემი თანხმობაა საჭირო და მე ჩემს თანხმობასაც ვაცხადებ და ჩემს ლოცვა-კურთხევასაც ზედ დავურთავ. იმდენი იყვირე, მანამ ხმა ჩაგიწყდეს! ბატონი მე ვარ, მე!

ეს ამბები მე შემდეგში გავიგე, რადგან მამაჩემი ხმას არ იღებდა ამაზედ, თითქო ლაპარაკიც არა ჰქონოდეთ.

მაგრამ ჩემი ქორწინება აგიწეროთ, ისა სჯობია. დარწმუნებული ვარ ეს უფრო გასიამოვნებთ, ვიდრე გერმანელებისაგან მაინცის აკლება და ჩვენი ჯარების ომები ვანდეში.

თიბათვის დამდეგს, როდესაც სრულიად კარგად გავხდი და გამოვეწყვე ახალ ტანისამოსში, რომელიც მარგალიტამ მიყიდა, რადგან მე ჩემი გახვრეტილი გროშიც არსადა მქონდა, — ამას არ დაგიმალავთ, და ან რა დასამალავია? სრულიად საფუძვლიანად შეეძლო ეთქვა მარგალიტას, მიშელი თავით ფეხამდე ჩემიაო, რადგან ქუდიდან დაწყებული ფეხსაცმელამდე სულ მარგალიტას ფულით იყო ნაყიდი, რაც კი ტანთ მეცვა — დიაღ, თიბათვის დამდეგს მე და მარგალიტამ წიგნი მივწერეთ შოველს, რომელიც ჯერ ისევ ალპის მთებში მყოფ ჯარში იყო. და ვაუწყეთ რა ჩვენი ამბავი, ნებართვა ვთხოვეთ ჯვრისწერისა. პასუხი მაშინვე მოგვივიდა: შოველი მამულიშვილურად გვლოცავდა და ძალიან ნანობდა, რომ ფალსბურგში მოსვლა არ შეეძლო და ჩვენს ქორწილს ვერ დაესწრებოდა. მაგრამ ჩემს მაგივრობას ივანე ლერუ გაგიწევთ, რომელსაც ცალკე წიგნსა ვწერ ამის შესახებო.

ივანე ლერუს გარდა ბევრისთვის სხვისთვის მიეწერა წიგნი და ქორწილში მოეპატიჟნა. საკვირველი კაცი იყო შოველი: ჯარში მყოფი, საერო საქმეებში გართული, თავის კერძო საქმეებსაც არ ივიწყებდა და შორიდანაც კი ახერხებდა ჩვენს დახმარებას და შეე-

ლას. ქორწინების დღედ 21 თიბათვე დავდეთ 1794 წ. ჯერ უიმისოდაც რა გაჭირებულია ხოლმე თიბათვეში ხალხი და მაშინ ხომ, იმ შიმშილობას, ისე იყო დამშეული, რომ ბალახით და მხალითლა გამოდიოდა. ჯეჯილი ჯერ არ შემოსულიყო, გასასყიდი არა შემოჰქონდათ რა, და, აკი მოგახსენებთ, მხალს გასთუთქავდნენ, ცოტა მარილს წააყრიდნენ, და ეს იყო ხალხის პურიც და ხორციც.

ცუდი დრო იყო; ქვეყანა გერმანელებისაგან იყო წალეკილი; ყველგან შიმშილი მძვინვარებდა; გილიოტინა დაუსვენებლივ მუშაობდა და ვინც კი რობესპიერისკენ არ იყო, ყველა სასიკვდილოდ იყო განწირული.... დიაღ, ცუდი დრო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ძალიან მხიარული ქორწილი გავაჩაღეთ და ქუდი ჭერსა ვკარით. იმისთანა სიმღერა დავძახეთ, რომ მტერსაც კი იამებოდა. ვიღას ახსოვდა ან რობესპიერი, ან ტერორი? დიდხანს გასტანა ქეიფმა და დროს გატარებამ, მანამ სულ მოიღლებოდნენ სტუმრები. ერთადერთ დღეს შეხვდება ხოლმე საწყალ კაცს მეფედ ყოფნა და მაშინაც რომ არ გამხიარულდეს, ცოცხალი დაიმარხოს, ის ურჩევნია. ღვთის წყალობა გაქვთ, იმ დღეს მე გავმხიარულდი.

ნათლიაჩემმა წამჩურჩულა, სამჭედლოში ბევრი საქმეა და როცა გენებოს, ამოდი და შენი ჩაქუჩი მონახეო; ამასთანავე ისიც მაგრძნობინა, რომ ამ ცოტა ხანში მე პიკჰოლცში გადავალ მამულის მოსავლელად და სამჭედლოს შენ ჩაგაბარებო.

ამ მხრივაც დამშვიდებული ვიყავ, რადგან ვიცოდი, რომ ალაგიცა მქონდა და გადაწყვეტილი ჯამაგირიც, მაგრამ ჩემდა ძოულოდნელად საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ქორწილის რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც საუზმეს გიახლებოდით მე, ჩემი ცოლი და სტეფანე, მათ ნათლიაჩემის წინადადება შევატყობინე, მეგონა ძალიან ვასიამოვნებ-მეთქი. მარგალიტა დამშვიდებული ისმენდა ჩემს სიტყვას, მაგრამ პასუხი კი ცოტა არ იყოს გაჯავრებით მომცა:

— ძალიან კარგი, ჩემო მიშელ. ნათლიაშენი პიკჰოლცში წავიდეს თავისი მამულის მოსავლელად; ეგ იმისი საქმეა. ჩვენ კი ჩვენი საქმეები გვაქვს და ჩვენთვის უნდა ვიზრუნოთ.

— ეგეც ძალიან კარგი, ჩემო მარგალიტა, მაგრამ ასე გულხელდაკრებილი ხომ არ ვიქნები აქა? განა არა კმარა, რომ თავით ფეხამდე შენი ნაყიდი მაცვია, ახლა საჭმელიც შენი უნდა ვჭამო?

— რადა, რა ვქნა? სტეფანე, დუქანში ვიღაც შემოვიდა, ადე, გახედე. მე და შენს ძმას მოსალაპარაკებელი გვაქვს რამე.

სტეფანე გავიდა და მარგალიტა გვერდით მომიჯდა, შოველის მაგიდასთან, და ამიხსნა თავისი განზრახვა:

— წიგნებით ხომ ვვაჭრობთ და ვვაჭრობთ, და ახლა მინდა სა-

წვრილმანო მივუმატო: ყავა, შაქარი, მარილი, პილპილი, საპონი და სხვა. ყველაფერს ქარხნის ფასად ვიყიდით სტრასბურგში სიმონისაგან და აქ მოგებით გავყიდით; მერწმუნე, საწვრილმანოზედ უფრო მოგებას ვნახავთ, ვიდრე წიგნებზედ და გაზეთებზედ, რადგან ადამიანს ჯერ ჭამა-სმა უნდა და მერმე გონების განვითარება.

— ეგ ძალიან კარგი, მართლა რომ საუცხოვო აზრი მოგსვლია, მაგრამ მაგას ფული მოუნდება.

— ფული ცოტაოდენი გვაქვს; ხომ იცი, რა ყაირათიანად ვცხოვრობთ და ცოტა რამ გადავანარჩუნე ხარჯს. მაგრამ ესეც რომ არა გვქონდეს, მიშელ, მით საქმე არ წაგვიხდება: შოველის სახელი ცნობილია მთელ ალზას-ლორენში და პატივცემული, საქონელს, რამდენსაც გვინდა, წამოვიღებთ ნისიად.

ნისია რომ გავიგონე, შიშით თმები ამეშალა. მაშინვე თვალწინ წარმომიდგა ბებერი რობენი, რომელიც კარს მოურაკუნებდა მამაჩემს და ორი-სამი დღით სამუშაოდ მიჰყავდა... თანაც დედაჩემის წყევლა-კრულვა მიდგა ყურში: გენაცვალეთ, ლამის თან კი გადაეგოთ იმ ერთ თხას... თავით-ფეხამდე კანკალმა ამიტანა და ველარ დავუმალე. მარგალიტასაც შევატყობინე ჩემი შიში. ძალიან გაიკვირვა და ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ თხა სხვაა და სავაჭრო სხვაა; რომ საქონელს მაშინვე გავყიდდით და ვალს გავისტუმრებდით; ვალი ორი ან სამი თვის ვადით გვექნება და მანამდე ორჯელაც გაიყიდება ნისიად მოტანილი საქონელიო... მაგრამ ტყუილად ეწვალებოდა, ჩემს თავში არა შედიოდა რა და მარტო სიტყვა „ვალი“ თავბრუს მასხავდა. ბოლოს მარგალიტაც დარწმუნდა, რომ სიტყვით ვერას გააწყობდა და სიცილით მითხრა:

— კარგი და პატიოსანი, ჩემო მიშელ, ვალი არ გინდა, უვალოდ დავიწყოთ საქმე! რაც ფული გვაქვს, იმითი ვივაჭროთ, რაც მოგვივა, და გროში ვალი არ დაგვედება.

— წეღანვე აგრე გეთქვა, შე კაი ქალო, შენა! ოღონდ ვალს ნუ გამაგონებ და თუნდაც დღესვე წავიდეთ სტრასბურგს.

— თუნდა კი არა, ახლავე მივდივართ. ფული მზადა მაქვს. უნდა ვიზრუნოთ რამე, თორემ ძალიან ცუდად არის საქმე. გაზეთები სრულიად აღარ იყიდება; დაიმშა, გაღატაკდა ხალხი; გაზეთები ვიღას ახსოვს, შიმშილით კუჭი ეწვით. აბა წავიდეთ.

ძალიან მხიარულად იყო ჩემი მარგალიტა, ეტყობოდა, დიდი ხნის წადილი უსრულდებოდა. მეც, რაკი გავიგე, რომ ნისიად არას წამოვიღებთ და ვალს არ დავიდებთ, ისევ გავმხიარულდი და მზადებას შევუდექი. ბაპტისტის დილიჟანსი სწორედ შუადღისას მიდიოდა. ფულები ჯიბეში ჩავიდე, ჩავსხედით დილიჟანსში და ვახსენეთ

ღმერთი. საშინელი მტვერი იდგა. გზები სრულიად მოუვლელად, ღვთის ანაბარად იყო იმ დროში მიტოვებული და ზაფხულში მტვერი ახრჩობდა გამვლელს, ზამთარში ტალახი. მაგრამ მე და მარგალიტა იმისთანა ბედნიერნი ვიყავით, რომ არც მტვერს ვამჩნევდით და არც მკათათვის სიცხეს. სტრასბურგში ღამე მივედით. მარგალიტამ გზები იცოდა და ერთს ნაცნობ სასტუმროში მიმიყვანა. მივედით თუ არა, მაშინვე პირს წყალი შევისხით და ტანისსამოსი გავიბერტყეთ. რომ არ შემრცხვეს, თითოს თითო ჩანახი მტვერი გვედო.

მახსოვს, რვა საათი იქნებოდა, როდესაც მოახლე ამოვიდა ჩვენს პატარა ოთახში და გვკითხა: ვახშამს როგორ ინებებთ, დიდ სუფრაზედ, თუ პატარაზედო? ის იყო, მინდოდა მეპასუხა, პატარა გვირჩევნია-მეთქი, რადგან მეგონა, პატარა სუფრას მოსამსახურეთათვის გაშლიან და უფრო იაფად გადავიგლით-მეთქი; დიაღ, ის იყო, მინდოდა მეპასუხა, რომ მარგალიტამ უთხრა, დიდ სუფრაზედ ვივახშმებთო. მოახლე მაშინვე წავიდა და მარგალიტამ ამიხსნა: დიდი სუფრა რომ გაიშლება, ყველას შეუძლია მივიდეს და გამოიჭიმოს, სულზედ ექვსი შაურია; პატარა სუფრა ის არის, რომ ვისაც საერთო სუფრაზედ პურის ჭამა ეთაკილება და ცალკე ოთახში გააშლევინებს თავისთვის კერძოდ, ერთიათად მეტს გადაიხდისო. შენ გიშველა ღმერთმა, რომ დროზედ ამოიღე ხმა, თორემ დავიღუპებოდით-მეთქი, — ვიფიქრე. ჩავედით და საზოგადო სუფრაზედ გიახელით პური. ვახშმისას არას მოგახსენებთ, რადგან ძალიან შორს წაგვიყვანს. მეორე დღეს, შვიდი საათი არ იყო, რომ მე და მარგალიტა სიმონის დუქნისკენ წავედით, მოედანზედ, რომელზედაც მას შემდეგ სტამბის გამომგონის გუტენბერგის ძეგლი ამართეს. სიმონს მთელი ალზასი იცნობდა და ძალიან მდიდარი კაცის სახელიც ჰქონდა გავარდნილი. მეც ხშირად გამეგონა სიმონის აუარებელი სიმდიდრე და მეგონა, სულ ატლასში და თვალ-მარგალიტში იჯდება-მეთქი. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ქუჩას რომ შევუხვიეთ, ერთი დაბალ-დაბალი, ორმოცი წლის კაცი დავინახე, სულ უბრალო დახლიდრის ტანისამოსით, რომელიც ერთ უშველებელ კასრს დასჭიდებოდა და ცდილობდა ისე დაედგა, რომ გამვლელები არ შეეწუხებინა. სწორედ ამ კაცზედ მიმითითა მარგალიტამ და მითხრა:

— აგერა სიმონი.

ღვთის წყალობა გაქვთ, მე მაშინ აზრი მეცვალა მდიდარი ვაჭრების შესახებ! მაშინ დავრწმუნდი, რომ ანაფორა ვერ შექმნის მღვდელს, და მას შემდეგ ერთხელ არ მახსოვს, გამმტყუნებოდეს ეს აზრი.

იქვე ქუჩაში ურმები იდგნენ და საქონელს სცლიდნენ. აქეთ-იქით ყუთები ელაგა და ჩვენც დიდი სიფრთხილით შევიარეთ დუქნის კარებისკენ. შემოგვხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა სიმონი, რომ სავაჭროდ ვიყავით მისულნი და თან შემოგვყვა. დუქანი ძალიან მოზრდილი იყო და ორ ქუჩაზედ გადიოდა. ერთ მხარეს მედავთრე ბრძანდებოდა თავის დავთრებით.

ღმერთო დიდებულო! რამოდენი საქონელი ელაგა იმ დუქანში! რამოდენა ფული იყო დაბანდებული იმ ტომრებში და ყუთებში! მე ჩემს დღეში არა მენახა რა იმისთანა და, შეეედით თუ არა, ისეთი სუნი მეცა, არეული, საქონლის სუნი, რომ კინაღამ დავიბნიდე. ვინ იცის რომელი ქვეყნიდან მოტანილი საქონელი არ ელაგა იქ ზვინებად ატანილი. ვინ იცის, რამსიშორით იყო ნაზიდი ხომალდებით და რამდენი ფული და შრომა იყო მათზე დახარჯული! ისე როგორ გაივლის ამოდენა საქონელი კაცის ხელში, რომ ჯიბეში არა ჩარჩეს რა მეთქი, ვიფიქრე; ყოჩაღ, ჩემო მარგალიტა! მანამ ყმაწვილნი ვართ, გავისარჯოთ, შევიძინოთ რამ და როდესაც მოვხუცდებით და უზრუნველყოფილნი და დამშვიდებულნი მივუსხდებით ბუხარს გაზეთის წასაკითხავად, იქნება მაშინ მაინც მოვიგონოთ ის საბრალო მუშები, ზანგები თუ თეთრები სულ ერთია, რომლების ნაჭირნახულევის ვაჭრობით შევიძინეთ ჩვენ სარჩო.

მართალი უნდა მოგახსენოთ, დუქანში რომ ვიყავით, მე ეს აზრები არ მომსვლია, რადგან იმოდენა საქონელი ჯერ არსად მენახა და ცოტათი შემკრთალი შევცქეროდი მთასავით აყვანილ შაქრის თავებს.

მარგალიტა კი ისე იყო დამშვიდებული, თითქო თავის ოთახში არისო. კალათი იქვე დაზგაზედ დასდო და სიმონს უთხრა, გვინდა ფალსბურგში საწვრილმანოთი ვაჭრობა დავიწყოთ და თქვენთან გიახელით საქონლის სასყიდლად... ფული ცოტა გვაქვს, მაგრამ ფულის შეძენის სურვილი ძალიან დიდიო. სიმონი გაჩუმებული უსმენდა. მე კი ისე გავწითლდი, თითქო ახლად გაყვანილი ჯარისკაცია თავის გენერლის წინაშეო.

— თქვენ შოველის ქალი ბრძანდებით, ხალხის წარმომადგენელი შოველისა? — ჰკითხა სიმონმა.

— დიაღ, მამულიშვილო, და ეს ჩემი ქმარი გახლავთ. ჩვენს დუქანს ბასტიენ-შოველის სახელი ერქმევა.

სიცილი დაიწყო და თავის ცოლს გასძახა, რომელიც იქვე დატრიალებდა:

— აქეთ მოიარე, სოფიო. აი, ამ ყმაწვილებს დუქნის გაღება უნდათ. მოდი და მიართვი, რაც კი ამათთვის საჭიროა. მე გარეთ უნდა

გავიხედო, თორემ საქონელი ზედ ქუჩაზედ ყრია და უკვე შემატყობინეს, დაჩქარდით, აალაგეთო.

დახლიდრებით და მოახლეებით სავსე იყო იქაურობა, რომელნიც ფუტკარივით ირეოდნენ.

სოფიოს რამდენიმე სიტყვა ჩუმადაც უთხრა ქმარმა და გავიდა; ის კი ჩვენთან მოვიდა, თავი დაგვიკრა და ოთახში შეგვიპატიჟა:

— მობრძანდით, აქ უფრო უკეთ მოვილაპარაკებთ.

დუქნის მარჯვნივ პატარა ოთახში შევედით, რომელიც სავსე იყო დავთრებით. მაშინვე სკამები შემოგვთავაზა. მერე მარგალიტას შედგენილი სია გასინჯა ყველას თავ-თავისი ფასი მიაწერა.

— ამის მეტი არა გნებავთ-რა?

— არა, მეტი ფული არა გვაქვს, უპასუხა მარგალიტამ.

— ეს არ იკმარებს, თორემ თქვენ იცით. სულყველაფერი უნდა იქონიოთ, რომ მეტოქეებმა არ დაგჯაბნონ.

— ჩემს ქმარს ისე უნდა საქმის დაწყება, რომ სულყველაფერი ნაღდ ფულზედ ჰქონდეს ნაყიდი.

ქალმა გადმომხედა და კარგა ხანი მსინჯა. რასაკვირველია, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მე გლეხკაცი ვიყავ, უბრალო მუშა, ჯარისკაცი და ვაჭრობისა არა მეყურებოდა რა. მერმე სიცილი დაიწყო და ისევ მარგალიტას მიმართა:

— სულ მაგისთანები ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები; ჯერ სულ თრთოლა მოსდით, ისე ეშინიათ ნისიისა, და მერმე კი ისე შესტოპავენ ხელმე, რომ თავიან-ფეხიანად დაიღუპებიან, თუ ისევ ჩვენ არ შევაყენეთ. კარგი, იმედი მაქვს კმაყოფილი დამრჩებით.

ქალი გავიდა და ბრძანება გასცა. მერმე საქონლის გამოგზავნის შესახებ შევთანხმდით. რაკი ყველაფერი მოვილაპარაკეთ, ამოვიღე ქისა და დაზგაზედ დავაპირქვავე. არც კი უნდოდა ფულის აღება: საქონელს რომ მიიღებთ, მაშინ გამოგვიგზავნეთო, მაგრამ მარგალიტამ შეჰფიცა, თუ ფული არ აგიღიათ, ჩემს ქმარს შიშით ძილი გაუკრთებაო, და იმანაც ფული მიითვალა და ბარათი მოგვცა. რამდენჯერ მინახავს მას შემდეგ სიმონის ცოლი; მერმე კარგად გავიცანით ერთმანეთი; ისე არ მივიდოდი იმათსა სავაჭროდ, რომ მაშინდელი ჩემი შიში არ მოჰგონებოდა და დაცინვა არ დაეწყო: აჰ, ბატონო მიშელ! გახსოვთ, როგორ გეშინოდათ ვალისა? ახლა? ახლა ისე გათამამებულხართ, რომ ლამის თქვენს მეუღლეს შევატყობინო, რომ იმან მაინც გაგაფრთხილოთ... დიაღ, ჩავიდე ჯიბეში ბარათი და გავწიეთ შინისკენ. სიმონის მეუღლემ კარამდე გამოგვაცილა, ალერსიანად გამოგვესალმა და თანაც დაგვპირდა, ამ ერთ კვირაში უთუოდ

ძოგივათ საქოხელიო. ბერმე ახლად მოტანილ ყუთებს გადახედა, რომელსაც ბიჭები ქუჩიდან დუქანში ეზიდებოდნენ და თავის ქმართან მივიდა. ჩვენც სასტუმროსკენ წავედით.

იმავე საღამოს ათ საათზედ ისევ შინ ვიყავით, ფალსბურგში. შიში როგორღაც გამიქრა, პირიქით, იმედიანად შევყურებდი მომავალს, უთუოდ, მოვიგებთ-მეთქი. მეორე და მესამე დღეს მარგალიტამ ამიხსნა, როგორ უნდა მეწარმოებინა დავთრები: ერთში ნისიები დასწერე, რასაც ვის მისცემო. მერმე საღამოზედ ნისიები თავ-თავის ალაგს ჩაუწერე ყველას ცალ-ცალკე; ერთში კიდევ მიღებული საქონელი აღნიშნე და მასთან ერთად გაყიდული, რომ დანარჩენი ყოველთვის იცოდე და ერთშიაც ვალები და ვადები ჩასწერე, თუ როდისმე ვალი დაგვედოო.

რაკი ასე დაწვრილებით გიამბეთ ჩვენი დუქნის ამბავი, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, როგორ სახტად დავრჩი, როდესაც ნაყიდი საქონელი მოგვივიდა: ერთი კალთა ფული მივეცით და სამაგიეროდ ერთი ყუთი მივიღეთ, ერთადერთი ყუთი!

— ვაიმე ჩვენო ფულებო! შემოვიკარ თავში გულგახეთქილმა, დავუღუპივართ იმ... ეს ხომ ნახევარის ნახევარიც არ არის იმისი, რაც ჩვენ ვიყიდეთ!

მარგალიტა კი მხიარულად ალაგებდა ყუთიდან სავაჭროს — ეს ყავაო, ეს სანთელიო, ეს ნემსი და ძაფიო...

— სიზმარშიაც ვეღარა ვნახავთ ჩვენ იმ ფულებს! — ვიძახდი გაჯავრებული.

და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: ყუთის ძირში ანგარიში გახლდათ გამოგზავნილი საქონლისა და ჯამი ერთი ორად მეტი იყო, ვიდრე ჩვენ ფული მივეცით: სიმონს და იმის მეუღლეს ბევრი რამ იმისთანა გამოეგზავნათ, რაც მარგალიტას არა ჰქონდა სიაში, მაგალითად, ჯავზი, ილი, კოჭა და სხვანი, ისე რომ, რაც მივეცით, თითქმის ერთი იმოდენი კიდევ ვალად დაგვდებოდა სიმონისა.

იმისთანად გავბრაზდი, რომ მინდოდა ჩამელაგებინა ყველაფერი და უკანვე გამეგზავნა; მაგრამ მარგალიტამ არა ქნა: ნუ გეშინია, ყველაფერი გაიყიდება; სიმონმა სიკეთის გულისთვის გამოგვიგზავნა, განა იმიტომ, რომ ჩვენი დაღუპვა ნდომოდაო.

რაც იმ სამს დღეში ფული დაიხარჯა, ერთ ოჯახს შეინახავდა მთელ წელიწადს — ორი სასწორი ვიყიდეთ, დუქანში ყაფაზები და უჯრები გავაკეთებინეთ, რა ვიცი... ფული რომ აღარა გვქონდა, ნისიად ვაკეთებინებდით, ისე რომ დურგლისაც დაგვედო, ჩილინგდარისაც და, ერთი სიტყვით, ყველასი. რაც მე იმ დღეებში მღელვარება

გამოვიარე, ბრძოლის ველზედ არსად მახსოვს იმისთანა. მარგალიტას სიყვარული და ნდობა რომ არა მქონოდა და ამასთან ერთად შოველის იმედი, რომელიც გაჭირვებაში უნუგეშოდ არ დაგვტოვებდა, სწორედ გავიპარებოდი სადმე, რადგან მე უკვე მელანდებოდა სარგებლის სარგებლით ერთიათად ქცეული ვალი, გაკოტრება და საქვეყნოდ შერცხვენა და თავლაფის დასხმა. სადღა იყო ჩემთვის ძილი! შემდეგში გავიგე, რომ ჩემზედ უარესად თურმე მამაჩემი იტანჯებოდა. წამოდგებოდა თუ არა დედაჩემი, მივარდებოდა და გულს უხეთქდა:

— ჯერ არ გაკოტრებულან? დღეს არა, ხვალ იყოს რა, ეგ არაფერი! მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ისინი გაკოტრდნენ! ეგლა მაკლდა, დიაღ, ახლა ამით შემარცხვინონ ამ სიბერის დროს!.. ვიცოდი და, რომ აგრე იქნებოდა! ურჯულოს რომ ირთავდა, რა სიკეთე უნდა დაჰყოროდა?'

და სხვანი და სხვანი.

კინაღამ თურმე გაგიჟდა საწყალი მამაჩემი. თავის დარდისას მე არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ისე ჩამოყვითლებულიყო, ისე ჩამომხმარიყო, რომ ცხადად ეტყობოდა, რომ საშინელი რაღაც აწვა გულზედ და სულს უხუთავდა.

მაგრამ გადიოდა ხანი და მეც უფრო და უფრო ვმშვიდდებოდი. მთელი ჩვენი მაზრის გლეხკაცობა ჩვენსა დაიარებოდა — ზოგი ქაღალდს ყიდულობდა, ზოგი საწერ-კალამს, ზოგი გაზეთებს და რაკი ნახეს, რომ გარდა ამისა სხვა სავაჭროც ყველა გვქონდა და არც სხვაზედ ძვირად ვყიდდით, იქვე ყიდულობდნენ, რაც კი საშინაოდ სჭირდებოდათ. დიასახლისებმაც ისწავლეს ჩვენი დუქნის გზა და ნელ-ნელა, გროშობით, გროვდებოდა ფული; როდესაც სიმონს თავისი ვალი გადავუხადეთ და მარგალიტამ დამიმტკიცა, რომ საკმარისი მოგება გვრჩებოდა, მაშინ კი სრულიად მოვისვენე და ისე ამოვისუნთქე, თითქო გულზედ ლოდი მედო და გადავაგდე. მაშინ კი აღარა ვუთხარირა და არა თუ მარტო ის დავაბარებინე სტრასბურგიდან, რაც უკვე გაგვეყიდა და გვაკლდა, არამედ ისიც, რასაც გვთხოვდნენ და არა გვქონდა.

საწვრილმანოსთან ერთად გაზეთების და წიგნების ვაჭრობაც უკეთ წავიდა. მთელი დღე დუქანში ვიყავით საქმეში გართული და საღამოზედ, რაკი დუქანს დავკეტდით, დავთრებს რიგზედ მოვიყვანდით და შავ ფულს მანეთ-მანეთად შევახვევდით, საზოგადო საქმისთვის მოვიცლიდით და გაზეთებს ვკითხულობდით.

მახსოვს ჩვენს საზღვრებზედ მაშინ ჟურდანის და პიშეგრუს ქებაღა ისმოდა და შინ კიდევ რობესპიერისა, რომელმაც კანონი გამოაცემინა კონვენტს და მით აღიარებინა უზენაესი არსება და სულის უკვდავება. ამბობდნენ, ახლა კი ყველა დაწყნარდება და ყველგან წესი და რიგი იქნება შემოღებული, რადგან ვინც დასასჯელი იყო, უკვე დაისაჯა, გილიოტინას სამუშაო აღარ ექნება და დღეს ხვალ სათნოება გამეფდებაო. სუყველაფერში ძველი რომაელების წაბაძვას ცდილობდნენ. ამბობდნენ, იაკობელები ჰგვანან რომაელებს, მაგრამ სავსებით კი ვერაო. ასე გასინჯეთ, სახელებსაც კი იცვლიდნენ და გუშინდელი იოსები, პეტრე და ნიკოლოზი დღეს ბრუტობას, ცინცინატობას და გრაკხობას იჩემებდნენ; თვით კალენდარში ხსენებაც აღარსად იყო ძველი ქრისტიანული სახელებისა და სულ რომაული სახელებით იყო სავსე; განათლებულნი კიდევ ჰო, და უმრავლესობამ არც კი იცოდა, ვინ იყო ცინცინატი ან ბრუტი. პატრიოტულ დღესასწაულებზედ ღმერთების წარმომადგენელი ქალები თითქმის ტიტველნი დადიოდნენ. აი, რა სამარცხვინო და საზარელ გზას დაადგა რესპუბლიკა.

უცნაური ის იყო, რომ ათში ერთს არ გაეგონა რომაელების სახელი და ჩვენ კი გარომაელებას გვიპირებდნენ. საფრანგეთის ხალხს უბრძანებდნენ, შენი საკუთარი რჯული და ზნეჩვეულებანი დაივიწყე და ძველი რომაელების — კერპთაყვანისმცემლების — რჯული დაიჭირეო. მაგრამ ვინ გაბედავდა ამის თქმას? მაშინვე დააბეზღებდნენ და რაკი დააბეზღებდნენ, წასული იყო კაცის საქმე: დაიჭერდნენ, სამართალში მისცემდნენ და გილიოტინით თავს მოსჭრიდნენ. რობესპიერი ღმერთი იყო და ყოველი მისი სიტყვა ახალი აღთქმა. როდესაც კი იტყოდა რასმე, კონვენტი ერთხმად დაადგენდა მის ნათქვამის დაბეჭდვას და მთელს საფრანგეთში დარიგებას; ყველა კლუბებს, ყველა სოფლებს და სამამასახლისოებს უგზავნიდნენ ამ სიტყვებს, რომ კედლებზედ გაეკრათ ყველგან... ყველგან რობესპიერი იყო და რობესპიერის მეტი არავინ.

და უცბად, მგონი მკათათვე იყო, მოულოდნელად გაჩუმდა რობესპიერი, აღარც კონვენტში წავიდა, აღარც ქვეყნის მფარველ კომიტეტში. ღმერთო შეგცოდე და მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავ, რომ მეტისმეტი, გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე და დარწმუნებული იყო, უჩემოდ ცხოვრება აღარ შეუძლია საფრანგეთსაო; დარწმუნებული იყო, რაკი მე აღარ მივალ, თვით საფრანგეთი მეაზლება, მუხლმოყრილი შემეეედრება ქვეყნის პატრონობას

და... აბა, მაშინ დავუდებ მეც ჩემს პირობებსო! მე ყოველთვის ამ აზრისა გახლდით და მით უფრო სარწმუნო არის იგი, რომ რობესპიერის მეგობარმა სენჟუსტმა, რომელიც სწორედ იმ დროს დაბრუნდა პარიზს ჯარიდან, რაკი ნახა რომ ურობესპიერობა იოტის ოდენადაც არაფერს შეეტყო და ყველაფერი ძველ წესსა და რიგზედ მიდის, გამოაცხადა, — ჩვენს გაჭირებულს სამშობლოს ახლა მარტო განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი მბრძანებელი, დიქტატორი, იხსნის და დიქტატორობა ჩვენში მარტო „სათნოიან რობესპიერს“ შეჰფერისო. სენჟუსტმა ეს სიტყვები ქვეყნის მფარველ კომიტეტს მოახსენა, მაგრამ კომიტეტის სხვა წევრები კარგად ხედავდნენ, საით მიერეკებოდნენ ეს სათნოიანი ვაჟბატონები საფრანგეთის ხალხს და უარი უთხრეს. მაშინ სათნოიანმა და უბიწომ, ბრაზმორეულმა, რომ უარისთქმა გაუბედეს, განიძრახა ქვეყნის მფარველი კომიტეტის წევრების მოშორება. ბევრი რამ წამიკითხავს მის შესახებ, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე დასკვნა გამომიყვანია: რობესპიერი მკაცრი კაცი იყო და ქვეყანაც ჯაშუშების და ჯალათების წყალობით დაიმორჩილა; დასასრულ, განიზრახა ქვეყნის მფარველი კომიტეტის წევრებიც იქით გაეგზავნა, საითაც დანტონი, ესე იგი, გილიოტინისკენ.

მკათათვის გასულს ჩვენი კლუბის ყველა მოთავენი პარიზს წავიდნენ სადღესასწაულოდ. ჩვენი კლუბი ყოველთვის იაკობელების მომხრე იყო და მაშინაც პარიზელ იაკობელების მიწვევით გაემგზავრნენ ელოფ კოლენი და სხვანი; ხმა გავარდა, იმიტომ წავიდნენ, რომ რობესპიერი კიდევ რაღასაც გვიპირებსო. და მართლაც, წასულები სუყველანი რობესპიერის მომხრენი იყვნენ, მეტადრე ელოფი. იმისთანა დაშინებული იყვნენ ყველანი, რომ შინაც კი აღარას ამბობდნენ, კედლებსაც ყურები ასხიაო.

გავიდა რვა თუ ათი დღე და ერთ მშვენიერ დილას ამბავი მოიტანა შიკრიკმა, რობესპიერი, სენჟუსტი, კუტონი და ყველა მათი მეგობრები დაიჭირეს და მეორე დღეს თავები დააყრევინესო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეინძრა ამ ამბავზედ მთელი ფალსბურგი: პარიზს წასულები ცოცხალი აღარავის გვეგონა: რაკი რობესპიერი მოკლეს, ჩვენებსაც ზედ მიადევნებდნენო. ზოგს მამა ჰყავდა სატირალი, ზოგს ძმა, ზოგს ქმარი! მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ ტირილი და მწუხარება არავის შეეძლო, რადგან თითონ სენჟუსტმა დაადგენინა კონვენტს კანონად, ვინც დამნაშავეს შეიბრალებს, თითონაც საეჭვო პირად ხდება; ვინც დამნაშავეს სახლში შეიყვანს, თუნდა მისი მშობელი დედაც იყოს, სიკვდილით იქნება დასჯილიო. თქვენ მიბრძანეთ ახლა, ვინ გაბედავდა ტირილს და მწუხარებას?

პირველ მარიამობისთვეს, ვახშმობისას, როდესაც მე და მარგალიტა მარტონი ვიყავით ჩვენს პატარა ოთახში, ვიღაცამ ფანჯარა დაგვიკაკუნა. მეგონა, სანთელი ან ზეთი დაჰკლებია ვისმე და სასყიდლად მოდის-მეთქი; მაშინვე ფანჯარა გავაღე და გადავხედე. ჩემს წინ ელოფ კოლენი იდგა!

— მე ვარ, მე, მიშელ! კარი გამიღე.

მაშინვე გავვარდი კარის გასაღებად. ისე ამიფანცქალდა გული, თითქო მომაკვდინებელს ცოდვას ჩავდიოდი რასმე. და არც უსაფუძვლო იყო ჩემი შიში: რომ დაენახა ვისმე, რომ მე სახლში შევიყვანე პარიზიდან მოსული რობესპიერისტი, და დავებეზღებინე, წასული იყო ჩემი საქმე! მაგრამ რა მექნა? კოლენი შოველის მეგობარი იყო და სიფთხილე უმადურობა და ლაჩრობა იქნებოდა.

კოლენი შემოვიდა. კარები მაგრად ჩავკეტე და თან შევყე. ჩვენს ოთახში რომ შევიდა, ჯერ აქეთ-იქით მიიხედა, ყური მიუგდო. — მარტოკანი ხართ? — გვკითხა ბოლოს ცოტათი დამშვიდებულმა და სკამზედ დაეშვა.

მეც იმის პირდაპირ დავიდგი სკამი. მარგალიტა იქვე იდგა და ყურს გვიგდებდა.

— დავმარცხდით, დავიღუპენით! გვაჯობეს იმ ქურდებმა და ავაზაკებმა! რესპუბლიკა ძირს დაამხეს და საუკუნოდ დაღუპეს! სწორედ სასწაულით მოხდა, რომ თავი დავახწიეთ იქაურობას.

ქუდი იქით მიაგდო და ხან ერთს გადმოგვხედავდა, ხან მეორეს, ნეტავი რასა ფიქრობენო.

— როგორ? როგორ მოხდა? — ჰკითხა მარგალიტამ.

კოლენმა ხმა დაიმდაბლა და თითქმის ჩურჩულით გვიამბო რობესპიერის და მისი მეგობრების დახოცვა: საფრანგეთის ყველა კლუბების მოთავეთ, — იაკობელებისას მოგახსენებთ, რაღა თქმა უნდა, — გვაცნობეს, სადღესასწაულოდ პარიზში უნდა იყვნეთ, რადგან გადაწყვეტილი გვაქვს ამით ვისარგებლოთ და ერთიანად გავწმინდოთ მთელი საფრანგეთი, რომ ცოცხალი აღარსად გადაგვრჩეს რესპუბლიკის მტერი და დუშმანიო. ჩვენც მაშინვე გავემგზავრენით, მაგრამ პარიზში იაკობელების გარდა, სხვა ყველა გარყვნილი და გახრწნილი დაგვხვდა, ასე გასინჯეთ თვით კონვენტი და კომიტეტებიც კი. მაშინ რობესპიერმა კონვენტს წარუდგინა თავისი მოხსენება კომიტეტის წინააღმდეგ და კონვენტმაც ზოგი ჩვეულებით და ზოგიც შიშით დაადგინა იმ მოხსენების დაბეჭდვა, მაგრამ კამბონმა და ტირიონმა წინადადება შეიტანეს, მაგ მოხსენებით რობესპიერი კომიტეტის წევრებს ამტყუნებს და როგორ იქნება მაგის დაბეჭდვა, ვიდრე კომიტეტის წევრებსაც არ პოუსმენთო! კონვენტმა დაადგი-

ნა, რობესპიერის მოხსენება კომიტეტს გადაეცეს განსახილველადო. რობესპიერი კომიტეტის წევრებს ამტყუნებდა და კონვენტმა ამ წევრებსვე მიანდო თავიანთ თავის გასამართლება და მით რობესპიერის გამტყუნება. იმ საღამოს რობესპიერმა თავისი მოხსენება იაკობელების კლუბში წაიკითხა. ყველა იქ დამსწრეთ სრული თავისი თანხმობა გამოუცხადეს; ასე გასინჯე, პარიზის ხალხის აშლასაც კი ფიქრობდნენ და პეიანი, ფლერინი, ლესკო, პარიზის მამასახლისი, ანრიო, ერის მცველი რაზმის წინამძღოლი და ერთობ ყველა უნიფხონი იმას იხვეწებოდნენ, ნება მოგვეცით ამაღამ დავერიოთ კომიტეტს და სულ ერთიანად ამოვწყვიტოთ, საცა კი ქვეყნის მტერი გვეგულებაო.

მაგრამ რობესპიერმა, „სათნოიანმა რობესპიერმა“ არ ინდომა კონვენტის წინააღმდეგ ხალხის აშლა, რადგან კონვენტს შეეძლო კანონთა მფარველობის გარეშე მყოფად გამოეცხადებინა იგი. რობესპიერმა თავის მტრების დასამარცხებლად საერო კრების იმ ნაწილს მიმართა, რომელიც პარტიების ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, და რომელსაც ზოგნი ვაკეს ეძახდნენ და ზოგნი, მეტადრე თვით რობესპიერის მომხრენი — ჭაობს, დამყაყებულ ჭაობს. ვაკელებს მიმართა რობესპიერმა, სწორედ იმ ვაკელებს, რომლებსაც ხან ბაყაყს უწოდებდა, ხან ჯოჯოს და დახმარება სთხოვა. მაგრამ ვაკელები იმისთანა უხასიათონი გამოდგნენ, რომ იმავ ღამეს უღალატეს რობესპიერს და მის მოწინააღმდეგეებს მიუდგნენ; გასაკვირველიც არ იყო მათი ასეთი ქცევა, რადგან იცოდნენ, რომ რობესპიერს სია ჰქონდა შედგენილი იმ კაცებისა, რომლებსაც მოკვლას უპირებდა და ეშინოდათ, ვაი თუ ჩვენც ვიყვნეთ იმ სიაშიო. იმ ღამეს მის მოწინააღმდეგეთ მიუდგნენ ვაკელები და მეორე დღეს კონვენტში, როდესაც სენჟუსტმა სიტყვა ითხოვა, თავმჯდომარემ ტალიანმა სიტყვა შეაწყვეტინა. მოლაპარაკეს თავის მომხრენი წაექომაგნენ, თავმჯდომარეს კიდევ თავისები და იმისთანა არეულობა გამოიწვიეს, რომ რობესპიერსაც კი აღარა ათქმევინეს რა: როგორც წამოდგებოდა, მარჯვნიდან, მარცხნიდან, ზემოდანაც და ქვემოდანაც ერთხმად უყვიროდნენ, გაჩუმდიო. ზოგი კრომველს * ეძახდა, ზოგი მტარვალს, ტრიუმვირს **. ბოლოს რობესპიერი დამნაშავედ აღია-

---

* ოლივიე კრომველი დაიბადა 1599 წ. აჯანყებული ხალხით მან დაამარცხა შარლ პირველი სტუარტი (1645); აწამა და განდევნა შოტლანდიიდან შარლ მეორე. მერე ჯარის უფროსნი მიიმხრო და მარტოდმარტო განაგებდა ინგლისს (1653).

** ტრიუმვირი სამი მოხელეა, რომელნიც ერთად განაგებენ რაიმე საქმეს. ამბობენ ხოლმე პომპეის, კეისარის და კრასის შესახებ, რომელთაც ხელთ იგდეს მართებლობა და თავის ნებად განაგებდნენ მთელს რომის იმპერიას.

რა კონვენტმა და მასთან ერთად მისი ძმა იოსები, კუტონი, სენჟუსტი, ლება... ყველანი გააკავეს და ციხეში ჩაყარეს.

აი, რა გვიამბო კოლენმა. წარმოიდგინეთ, რა განცვიფრებული ვიქნებოდით მეცა და მარგალიტაც. გარდა ამისა გვიამბო, რომ ხალხი მოელოდა კიდეც ამ ამბავს საერო კრებისაგანო: იმ საღამოს, როდესაც ხალხმა გაიგო სათნოიანების დაპატიმრება, აიშალა და უნდოდა გაეთავისუფლებინა რობესპიერი და სხვა პატრიოტები; კომუნამ ზარის რეკა დაიწყო ნიშნად განსაცდელისა, და ქალაქის მოხელეებმა როგორღაც მოახერხეს, გამოიყვანეს ციხიდან დაჭერილები და სამამასახლისოსკენ მიჰყავდათ, მაგრამ ანრიო თავის ჩვეულებისამებრ მთვრალი ყოფილიყო, შემჯდარიყო ცხენზედ და სიარული დაეწყო მთელ ქალაქში: აბა ხალხო, იარაღი აისხით, კონვენტის წევრნი ამოვხოცოთო! დაეჭირათ და ისევ დაემწყვდიათ.

ეს მოხდა საღამოს ხუთიდან შვიდ საათამდე. შვიდ საათზედ ერთხელ კიდევ უნდა შეკრებილიყო კონვენტი. რობესპიერის მომხრეებმა ეს იცოდნენ, კოფინალი ანრიოს გასათავისუფლებლად წავიდა და თან ასამდე პატრიოტი წაიყვანა, სულ მეზარბაზნენი; მიაგორეს იმ ბიჭებმა ზარბაზნები და კონვენტის კარს დაუმიზნეს: ვინც კაცია და შევაო! საუბედუროდ, ანრიო სამამასახლისოსაკენ წასულიყო რჩევის საკითხავად; რაკი ეს გაეგოთ ბიჭებს, თითონაც დაფანტულიყვნენ და დეპუტატები თავისუფლად შესულიყვნენ კონვენტის დარბაზში და, მიუხედავად ზარის რეკისა, რომლითაც კომუნა ხალხს აშლას და აჯანყებას უბრძანებდა, კანონის მფარველობის გარეშე მყოფად გამოეცხადებინათ რობესპიერი და იმისი ძმა, კუტონი, სენჟუსტი, ლება, და კომუნის და იაკობელების უმთავრესი მოღვაწენი. თავისი დადგენილება კონვენტმა მაშინვე აცნობა ქალაქის ყველა უბნებს და ჯარი მისცა კარროს დამნაშავეთა დასაჭერად.

სულ კი ანრიოს ბრალია, ჩვენი დაღუპვა, ამბობდა კოლლენი; დილიდანვე მთვრალი იყო ის უბედური და ყვირილის მეტს აღარას არიგებდა. ყვიროდა, ხმალს იქნევდა და განკარგულებას კი არ აძლევდა.

მეც მაშინვე სანტერი, ლეშელი და როსინიოლი წარმომიდგა თვალწინ. ეტყობა სულ ერთნაირი ყოფილან ეს უნიფხონი, რომ ყველას ერთი და იგივე ბოლო მოელის: ან დამარცხება, ან გილიოტინა.

ეს რომ გაიგეს უნიფხოებმა, — გვიამბობდა კოლლენი, — შეეშინდათ მოთავეებთან ერთად ჩვენც კანონის მფარველობის გარეშე მყოფად არ გამოგვაცხადონო და იმის მაგივრად, რომ მისულიყვნენ და თავიანთი სათნოიანი გმირები გაჭირვებიდან დაეხსნათ, კარროს-

თან მივიდნენ ყვირილით: კონვენტს გაუმარჯოს! შუა ღამე გადასული იყო, ორი საათი იქნებოდა, როდესაც დაიძრა კარროს ჯარი და შევარდა სამამასახლისოში, სადაც მოგროვილიყვნენ ნამდვილნი და უერთგულესი წარმომადგენელნი ხალხისა; ანრიო ფანჯრიდან გადასტყორცნეს, რობესპიერს შიგ პირისახეში დამბაჩა ესროლეს, კუტონი განავალის ორმოში ჩააგდეს, ლებამ თავი მოიკლა, და სენ-ჟუსტი, იოსებ რობესპიერი და ყველა სხვანი, რესპუბლიკის ბურჯნი და დედაბოძნი, ციხეში წაიყვანეს. თან ხალხი მისდევდა და ზოგი აგინებდა, ზოგი პანღურსა სცემდა, ზოგი სილას, ზოგი ზედ აფურთხებდა. რობესპიერი კი საკაცეზე დაედოთ და კონვენტში შეეტანათ, მაგრამ მის მკვლელებს ზედაც არ შეეხედნათ, მაგის დანახვაც კი ჩირქს მოსცხებს ადამიანსო. რაღა გავაგრძელო, მოუსვეს ხელი და, საცა კი იაკობელი ეგულებოდათ ან რობესპიერის მომხრე მოხელე, ყველა დაიჭირეს და გილიოტინისკენ უკრეს თავი. აქაც არ მოეშვა ხალხი და ისე აწამა სასიკვდილოდ განწირულნი, რომ ფეხზედ დგომის ძალა აღარავის შერჩენია: ქვები დაუშინა მათ ხალხმა, ლაფი და ტალახი შეასხა, ლანძღა და ხორციელად მოკვლამდე, სულიერად დაამცირა და მოჰკლა. საბრალო კუტონი ფეხქვეშ სთელეს; ეეედრებოდა, ნუ მტანჯავთ, მომკალით და გაათავეთო. მაგრამ სიკვდილიც კი შურდათ მისთვის! რობესპიერის ძმა გილიოტინის გვერდით დააყენეს და საკუთარი თვალით აყურებინეს, როგორ იხოცებოდნენ მისი მეგობრები; ბოლოს, როდესაც ყველა დახოცეს და ის აიყვანეს გილიოტინაზედ, ჯალათმა თავსაფარი ახადა და ისე მოსჭრა თავი, რომ თვალით აყურებინა, როგორ მოდიოდა ზემოდან მისი მომაკვდინებელი მახვილი.

სულ კანკალით გვიამბო კოლენმა ეს ამბავი. ის თავის მეგობრებს სწუხდა და მე კიდევ ჩემები მომაგონდა, რომელნიც სათაყვანოდ მიყვარდა — დანტონი, კამილ დემულენი, ვესტერმანი; და მიამა კიდეც, რომ ასე მალე მოიმკეს თავიანთი ნათესი. რომ გაათავა კოლენმა, ვუთხარი:

— ყური დამიგდე, მამულიშვილო. მე ის კი არ მაკვირვებს, რაც შენ მიამბე; მე ის მაკვირვებს, აქამდის რატომ არ მოხდა ეგ? გუშინ არ იყო, მთელი ევროპა ჩვენ მოგვდგომოდა და ამასთან ვანდელებიც ჩვენ გვღალატობდნენ, იძულებული ვიყავით შეგვეჩერებინა დროებით 1793 წლის კონსტიტუცია და მის მაგივრად დაგვეარსებინა ქვეყნის მფარველი კომიტეტი; ის იმისთანა დრო იყო, რომ მართლა და, ტერორით — გილიოტინის შიშით — შეიძლებოდა გონს მოგეყვანა ის არისტოკრატები და მოღალატენი, რომელნიც ფულზედ ჰყიდდნენ ჩვენს ციხეებს და წინ მოუძღოდნენ მტრის ჯარებს სამშობლოს

ასაოხრებლად. გილიოტინაც და ტერორიც მტრისთვის გვინდოდა და არა მამულის საუკეთესო მოღვაწეთათვის, ჩემო ელოფ! ჩვენ კი აგერ რამდენიმე თვეა, გილიოტინით საუკეთესო პატრიოტებსა ვხოცავთ! საშინელება არ არის განა, რომ იმისთანა მამულიშვილნი, როგორც იყვნენ დანტონი, დემულენი, ერო-სეშელი, ლაკრუა, ბაზირი, ფილიპო, ვესტერმანი და სხვანი, რომელნიც ყოველთვის წინ მიუძღოდნენ ხალხს გამარჯვებისა და თავისუფლების მოპოვებისაკენ, დახოცილ იქმნენ ისე, რომ გასამართლებულიც კი არა ყოფილან. მერე ვისგან? მშიშარა კაცუნებისაგან, რომელნიც თოფის ხმაზედ პარის გოდრებში იმალებოდნენ ჯაშუშებისაგან, რომელთაც ობობოს ქსელივით გააბეს მთელს საფრანგეთში თავიანთი შურისძიების და ცილისწამების ხრიკები და ინაცვალეს საუკეთესო მამულიშვილნი. განაღა ოდესმე ეპატიება საფრანგეთს ასეთი დევნა და ქლეტა თავის საუკეთესო შვილებისა? განაღა ეპატიება როდესმე საფრანგეთს დანტონის მოკვლა? განა ჩვენი მტერი მტარვალები სიცილს არ დაიწყებდნენ, დანტონის მოკვლას რომ გაიგებდნენ? განა ჩვენი მტრები მაგისთანას გვიმტრობდნენ რასმე და მაგისთანას დაგვაკლებდნენ რასმე? განა იქნება ვინმე პატიოსანი მამულიშვილი, რომ თავშეტვინი შერჩენოდეს და გულში გრძნობა, და შეძრწუნებული არ იყოს დანტონის მოკვლით?!

კოლენი გაშტერებული შემომცქეროდა.

— მაშ შენ არა გწამს რობესპიერის სათნოება?

— რობესპიერის და სენჟუსტის სათნოება?! — გავიკვირვე მე და მწარედ ჩავიცინე. — განა ავაზაკი, რომელმაც დანტონი მოკლა, შეიძლება სათნოიანი იყოს? ან რისთვის მოკლა? შენ ჩემზედ დიდი და ძლიერი რადა ხარო! დიაღ, რადა ხარ შენ ჩემზედ უფრო დიდსულოვანი და პატიოსანიო! მოკლეს იმიტომ, რომ გილიოტინის მაგივრად მას უნდოდა თავისუფლება და ადამიანისადმი სიბრალული დაემყარებინა ქვეყანაზე! მოკლეს იმიტომ, რომ, მინამ ის ცოცხალი იყო, ბატონობას ვერავინ გაბედავდა! ან რაში გამოიჩინეს სათნოიანობა? რა ქნეს, რა გააკეთეს ისეთი, რომ სხვებზე უკეთესნი და ძლიერნი ყოფილიყვნენ? რა განსაცდელში იყვნენ სამშობლოს გამო, რომ აგრე ცაში ავიყვანოთ და სალოცავად გავიხადოთ? იქნება ისინიც ჩვენი საწყალი ჯარისკაცებივით მტერს შეებრძოლნენ მშიერ-მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი? იქნებ ისინიც სველ მიწაზედ ეყარნენ, როგორც ჩვენ ვანდეში? სრულიადაც არა!.. იმათი მოღვაწეობა ლაპარაკის მეტი არა ყოფილა რა! სიტყვით იმისთანას იტყოდნენ, რომ მჭერმეტყველებით არისტოტელეს არ ჩამოუვარდებოდნენ! ბრძანდებოდნენ თავიანთვის არხეინად და ბრძანებლობდნენ!

სჯიდნენ, ხოცავდნენ ყველას, ვინც კი მათზე უკეთესი იყო და ბოლოს გაბატონებაც მოინდომეს. ჰოდა, გადაჭრით მოგახსენებ, მე არ ბინდა ბატონები! მე გილიოტინას თავისუფლება მირჩევნია! ვინც ჩვენ არ გვეთანხმება, რომ ყველას თავი გავაგდებინოთ... ეგ ხომ ყველა ყაჩაღს შეუძლია. მე რომ ვიბრძოდი და სისხლს ვანთხევდი, თავისუფლებისთვის ვიბრძოდი; ვიბრძოდი იმისთვის, რომ უფლება მომეპოვებინა — თავისუფლად გამომეთქვა და დამეწერა ყოველი ჩემი ფიქრი და აზრი! ვიბრძოდით იმისთვის, რომ ჩემი შრომა ჩემად შემრჩენოდა. და ჩემი ჭირნახული აღარავისთვის დამეთმო; აღარც ღალა გამეღო, აღარც კულუხი და აღარც ბეგარა; აღარც ბატონი მყოლოდა და აღარც ვისიმე ყმად ვყოფილიყავ! სახლიც ჩემი მქონოდა, მიწაც, ვენახიც, საქონელიც! ჩემი და არა ბატონისა! რა მომაფიქრებდა, რომ ძველი ბატონების მაგივრად ახლები გამიბატონდებოდნენ, ძველებზედ ერთიათასად საზიზღარნი! სირცხვილი არ არის საფრანგეთისათვის, რომ ვიღაც ქალაჩუნები გაიბატონა, რომელნიც ცოფიანი მგლებივით დაძრწიან მთელს ქვეყანაში და — შენ რომაელივით უბრალო ტანსაცმელი არ გაცვიაო, — გილიოტინისკენ გზავნიან კაცს. ამაზედ მეტი მტარვალები განა ჰყოლია როდისმე ჩვენს ქვეყანას? იქნება ეგონათ იმ უგუნურთ. ცარიელი ბრძანებით და გილიოტინის შიშით შეიძლება მთელი ხალხის გადაგვარება?

ბრაზი მომერია. კოლენი განცვიფრებული შემომცქეროდა, თითქო პასუხს მიმზადებსო; მერე წამოდგა, წამოავლო ქუდს ხელი და წავიდა. მარგალიტა გაჰყვა და კარი დაკეტა. მეგონა, მისაყვედურებს, რომ თავი ვერ შევიკავე-მეთქი, მაგრამ პირიქით დამიმადლა კიდეც:

— მართალი ხარ, მიშელ! იმ უბედურთ თავიანთ სწორი არავინ გააჩნდათ ამ ქვეყნად. სენჟუსტი ვნახე, აქ რომ იყო; ცით მოვლენილი ეგონა თავისი თავი, ღვთის სწორი, და არც კი კადრულობდა ჩვენებთან ლაპარაკს. რა სამაგალითო კაცები იყვნენ დანტონი და დემულენი! იმისთანა თავმდაბალნი იყვნენ, რომ ვინც ახლო არ იცნობდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ რესპუბლიკას იმათზედ უკეთესი არავინა ჰყავდა. მერე რა გულკეთილნი იყვნენ და დიდსულოვანნი! ესენი კი იმისთანა ამაყი და ამპარტავანნი იყვნენ, რობესპიერიდან მოყოლებული სულ უკანასკნელ მის მომხრემდე, რომ, თუნდა დავიფიცავ, სულ სხვა სისხლის და შთამომავლობისა ეგონათ თავისი თავი! უგულონი, უსულონი, შურიანნი! ცუდი ის არის, რომ რესპუბლიკის ბედი მისმა მტრებმა ჩაიგდეს ხელში, თორემ ღმერთმა დამიფაროს, რომ მე რობესპიერი არ მენანებოდეს!

— რას ამბობ, ქალო, იქნება გგონია ხუთი თუ ექვსი კაცი განა-

ვებდეს მთელი საფრანგეთის ცხოვრებას? საქმე ხალხია, ხალხი, რომელიც თავის შრომით ინახავს ქვეყანას და თავის მკლავით იგერებს ქვეყნის მტერს. საქმე ხალხია, რომელიც შრომობს და თავის ნაშრომს აგროვებს, თავისთვის, რასაკვირველია! და რაც ხალხს შეუძენია და დაუსაკუთრებია, დარწმუნებული იყავ, მთელი ქვეყნის მტარვალებიც რომ მოვიდნენ თავიანთ მონებით, მაინც ვეღარ წაართმევენ; ერთ მტკაველ მიწასაც ვეღარავინ წაგვართმევს და თუ წაგვართვა, ჯერ ჩვენ უნდა ამოგვხოცოს ყველანი და მერმე ჩვენს საკუთრებას დაეპატრონოს! დღეს ესეც გვეყოფა; დანარჩენსაც შეეიძენთ ნელ-ნელა. ვეცდებით მეტი განათლება მივაღებინოთ ჩვენს შვილებს, ვიდრე ჩვენა გვაქვს და შევაგნებინოთ, რა ძვირად გვიღირს ჩვენ ჩვენი მამული. არა მგონია, ჩვენი შვილები ჩვენზედ უგუნურნი ან ლაჩრები იყვნენ, და, მაშასადამე, კიდევაც შეიძენენ, თორემ დაკლებით კი არავის რას დააკლებინებენ.

მეორე დღეს მთელს ქალაქს მოედო ელოფის ნაამბობი და უეცრად შეიცვალა ყველა: ვინც მანამდე ყელმოღერებული ბრძანდებოდა, სადღაც მიიმალა შერცხვენილი და შეშინებული; და ვინც იმალებოდნენ, ახლა დამშვიდებულნი დაიარებოდნენ ქალაქში. ტერორი კი არ გათავებულა ამით. მართალია, ნანსიდან, მეციდან და სხვა ქალაქებიდან მრავალი პატიმარი გამოეშვათ, რომელნიც რობესპიერის ბატონობის დროს დაეჭირათ და მოსაკლავად ჰყავდათ დამწყვდეული. მათგან ორმოცდაათ კაცამდე ჯერ მე ვიცნობდი და ყველანი ერთხმად გაიძახოდნენ, რობესპიერი რომ არ მოეკლათ, ჩვენ სიკვდილისაგან ვერა გვიხსნიდა რაო. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ესენი უარესს ჩადიოდნენ: მგონი კმაყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ სიკვდილს გადარჩნენ! მგონი უნდა დამშვიდებულიყვნენ! მაგრამ არა! როგორც ჩვენა გვხოცეს, ისე ახლა ჩვენ უნდა ვხოცოთ ჩვენი მოწინააღმდეგენიო, და დაუწყეს იაკობელებს დევნა და ხოცვა. იაკობელებს არა მარტო რობესპიერის მომხრეებს უწოდებდნენ, არამედ დანტონისტებსაც, ებერტისტებსაც და ერთობ ყველას, ვინც კი რესპუბლიკის მომხრე იყო. ერთგულმა მამულიშვილებმა მაშინვე გაიგეს, ვინ იყო ამის მიზეზი, და შეთანხმდნენ და შეერთდნენ. ამიტომ არის, რომ დღესაც არავისა სწყინს, იაკობელი რომ უწოდოთ, თუმცა რობესპიერის მოქმედებისა არც თავი მოსწონს და არც ბოლო. მაშინ რომ ცოცხალნი ყოფილიყვნენ დანტონი, დემულენი, ვესტერმანი და სხვანი, იქნება დაემშვიდებინათ გამარჯვებულნი და შეეყენებინათ იმოდენა სისხლის ღვრა.

მაინცდამაინც რობესპიერის სიკვდილმა შეაერთა ყველა პატრიოტი. ტალიენი, ფუშე, ბარრა, ფრერონი, რომელთაც რობესპიე-

რი მოკლეს მარტო იმ განძრახვით, რომ თვით აღმაღლებულიყვნენ და არა რესპუბლიკის გასაძლიერებლად, ყველამ განკიცხა და აითვალწუნა; მათი საქციელი სწორედ რომ ქურდული იყო და ამის საბუთებსაც მოგახსენებთ შემდეგში, რადგან ჩემს ამბავს ისე ვერ მოგითხრობთ, რომ ისიც არ აგიწეროთ, რაც ქვეყანას შეეხება. კაცი მარტო თავისთვის კი არა, ხალხისთვის ცხოვრობს და, ვისაც თავისი პირადი საქმეების გარდა არა ახსოვს რა, ღირსი არ არის განათლებული ერის შვილად იხსენიებოდეს.

IV

ისე კარგად მოაწყო მარგალიტამ ჩვენი ვაჭრობა, რომ საქმე თავის თავად მიმდინარეობდა; საქონელი იყიდებოდა, ფული შემოდიოდა. როცა კაცი შინა ზის და დუქანში არა ფლანგავს ფულებს, როცა კმაყოფილდება თავისი ოჯახით და თითონვე უვლის თავის საქმეს, ყველაფერი რიგზედ აქვს და თითონაც ბედნიერია და სხვანიც კმაყოფილი ჰყავს.

ჩვენც ბედნიერნი ვიყავით, მაგრამ ხალხი კი მეტისმეტად გაჭირვებული იყო. იმისთანა გაჭირვებული თავის დღეში აღარსად მინახავს ხალხი, როგორადაც რობესპიერის მოკვლის შემდეგ იყო. გაზეთებში კი პარიზიდან სულ ახალ-ახალ დღესასწაულების და ლხინის ამბებს სწერდნენ; გახარებული პარიზი ქეიფობდა, ცეკვავდა, ახალს მოდებს მისდევდა. ხუთი თუ ექვსი გამოჩენილი გვარის ქალი ძველებურ, დიდკაცურ, ლხინის და დროს ტარების ხელახლად შემოღებას ცდილობდა და ლხინთან ერთად ძველებურ ზნე-ჩვეულების აღდგენას. ხალხი კი შიმშილით წყდებოდა, რადგან ქვეყნის მართვა იმათ ეგდოთ ხელთ, ვისაც ქვეყანა და ქვეყნის ბედი ყოველთვის ფეხზედ ეკიდათ: რაც კი პური შემოდიოდა, ერთი-ორი მდიდარი ვაჭარი ყიდულობდა და მერმე საშინელ ფასად ჰყიდდა; საჭირო საქონელაგეზედ დადებული უმაღლესი ფასი, რომლის ზევით ვაჭარს არაფრის გაყიდვა არ შეეძლო, გაუქმებული იყო; ასიგნაციებს გასავალი აღარ ჰქონდა; რაკი შიში აღარავისი ჰქონდათ, ჟირონდელებიც დაბრუნდნენ და გახიზნულებიც; მათ მოჰყვნენ ბერები და მღვდლები, რომელნიც თავთავიანთ მონასტრებს და ეკლესიებს თხოულობდნენ; ვისაც კი ქვეყნის მფარველი კომიტეტისა როდისმე რაიმე ბრძანება აესრულებინა, ყველანი დასჯილ იქნენ; კლუბები ყველგან დაკეტეს... ერთი სიტყვით, გამარჯვებულნი ისევ რევოლიუციის და რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი იყვნენ და დაურიდებლად ყვიროდნენ და იმუქრებოდნენ. ქვეყანა უპატრონოდ იყო და ეშმაკი ეპატ-

რონებოდა. ხალხი უპატრონოდ იყო და საქონელთან ერთად შიმშილით იხოცებოდა.

აგერ ზამთარიც დადგა. ახლაც არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ მოხდა, რომ ისე დაიმშა ქვეყანა. იმ ზაფხულს თითქმის მთელი საფრანგეთი გადმოვიარე ფეხით და ყველგან ხეირიანი მოსავალი იყო. როგორ წარმოვიდგინო, რომ უცბად შეეჭამოს გაფრთხილებულ ხალხს მთელი წლის სარჩო და საზამთროდ არა შეენახოს რა? ამბობენ, შიმშილის მიზეზი უმაღლესი ფასის გაუქმება და რობესპიერის სიკვდილით გამოწვეული არეულობა იყოო; ვითომ წინადვე შეთანხმებულიყვნენ რობესპიერის მკვლელნი, რომელთაც მე ქურდები ვუწოდე, და მეფის მომხრენი: — ხალხი დავამშიოთ, რესპუბლიკის წინააღმდეგ ავაჯანყოთ და ძველებურად მეფე და ბატონები მოვათხოვნინოთ, რომელნიც ბერების ლოცვით და კურთხევით განაგებენ ქვეყანას და, როცა უნდათ, მზეს ამოიყვანენ, როცა არა და ავდარსაო!

ამისი რა მოგახსენოთ, და ის კი კარგად ვიცი, რომ რობესპიერის მკვლელებმა სიესის წინადადებისამებრ დაიბარეს ჟირონდელები; ეს კიდევ არაფერი, ადგნენ და მეფის მომხრეებს დაუკავშირდნენ; აჰყვნენ გარყვნილ ქალებს — თავიანთ გაზეთებში ძალიან თავიც მოჰქონდათ ამ გარყვნილებით — და იმდენი ქნეს, ისე შეარცხვინეს რესპუბლიკის სახელი, ისე შეაწუხეს შიმშილით ხალხი, რომ პარიზელი ხალხის ერთ წილს საერო კრებისთვის მეფის დასმა ეთხოვა და თანაც გამოეცხადებინა, ძალიან ვნანობთ, რომ რევოლუციას მივუდექით და მხარი მივეციოთ. აი, სადამდის მიიყვანეს ქვეყნის მტრებმა გაუნათლებელი ხალხი ეშმაკობით, ქეიფებით, გარყვნილებით, სამარცხვინო უზნეო მოდებით და სხვა მრავალი სისაძაგლით, რომელსაც უგუნურნი ბრმად ბაძავენ და ის კი არ იციან, რომ ამით გზას უხსნიან იმ გაძვერებს, რომელნიც თავიანთ ბიწიერებას სათნოებად ასაღებენ! გაბატონდებიან ეს ქურდბაცაცები, ნამდვილ პატიოსნებას მასხარად იგდებენ და ბოლოს თავიანთ საწადელსაც მიაღწევენ — ხელს ჩაურევენ საქვეყნო ხაზინაში და დაიწყებენ ქეიფს და ჩვენი ფულით ჩვენივე ქალების გარყვნას.

ბევრი საზიზღარი კაცი გამდიდრდა 94 წ. თითო აბაზად იძენდნენ ხუთმანეთიან ასიგნაციებს და ამ ასიგნაციებით მართებლობისაგან მამულებს ყიდულობდნენ; ან არა და ძველ ვალებს იხდიდნენ, რომელშიაც მათ ნაღდი ფული მიეღოთ. საუკუნოდ დაიღუპებოდა ყოველივე რესპუბლიკური, ჯარიც რომ ამ გზას დასდგომოდა და გარყვნილებას მისცემოდა. ჩვენდა საბედნიეროდ ჯარი ნამდვილად რესპუბლიკური გამოგვადგა და არ უმტყუნა თავის მოვალეობას.

მოკლეს თუ არა რობესპიერი, მისმა მომხრეებმა მაშინვე გამოცვალეს ქვეყნის მფარველი კომიტეტის წევრები და თავიანთი კაცები ჩააყენეს, მაგრამ კარნოს, პრიორს, კოტდორს, და რობერ ლინდეს კი ვერა მოუხერხეს რა, რადგან ისინი იმისთანა კაცები იყვნენ, რომ მთასავით ურყევლად დარჩებოდნენ ჯარში, რაც უნდა არეულობა და ცვლილება მომხდარიყო საფრანგეთში; საკვირველი მოსაქმენი იყვნენ და სულ არარაიდან შექმნიდნენ ხოლმე ჯარს და მის სამყოფ იარაღს და სურსათს, დღე და ღამ სულ თავიანთ ვალდებულებაზედ ფიქრობდნენ და იმისთანა პატივისცემა ჰქონდა მათი ხალხსაც და ჯარსაც, რომ მათი გამოცვლა ვიღაცა კაცუნებს არ შეეძლოთ. კიდევაც ამ სამაგალითო მამულიშვილებმა იხსნეს რესპუბლიკა, თორემ ბოლოს მოუღებდნენ მტრები.

და სწორედ იმ დროს, როდესაც შინ ტალიენი, ფრერონი ბარრა და სხვანი გამეფდნენ და ყველგან და ყველაში გარყვნილება და გახრწნილება შეიტანეს, როდესაც ქუჩის ბიჭებს ნება ჰქონდათ მიცემული, საცა მოასწროთ, ხოცეთ პატრიოტებიო; როდესაც ყველგან ქეიფი და დროს ტარება იყო და თან უმაგალითო გარყვნილება, ჩვენი რესპუბლიკური ჯარები უფრო და უფრო გამარჯვებულნი მიიწევდნენ უცხოეთისკენ.

სწორედ იმ ზამთარს განდევნეს ჩვენი ქვეყნიდან ჟურდანმა და პიშეგრუმ გერმანელები და ინგლისელები, შევიდნენ ჰოლანდიაში, დაიჭირეს რეინის მთელი მარცხენა მხარე, ბაზელიდან ზღვამდე: საშინელი ზამთარი იყო, ყინავდა ისე, რომ გაყინული ყვავები ცვიოდნენ მიწაზედ და ჩვენი ჯარები კი სულ წინ მიიწევდნენ. იმისთანა ძლევამოსილნი იყვნენ, რომ შეუძლებელი აღარა გააჩნდათ რა: ერთხელ ცხენებით შედგნენ გაყინულ რეინზედ და ისე დაიმორჩილეს მტრის ხომალდები.

საშინელი ზამთარი იდგა. ოთხშაბათ-პარასკევობით, როდესაც ბაზრობას ჩამოსული ხალხი ბუზივით ირეოდა ჩვენს დუქანში და ქარს თითქმის დაზგამდე შემოჰქონდა თოვლი, მომაგონდებოდა ხოლმე ჩემი ამხანაგები, და ვიტყოდი:

— როგორი სიცივეა! როგორა ყინავს! ჩვენი ჯარები კი ფეხშიშველნი იბრძვიან მტერთან და მაინც გამარჯვებულნი არიან!

ზოგი თამბაქოს თხოულობდა, ზოგი მარილს. მეც ვუწონიდი, ქაღალდში ვუხვევდი და გონებით კი სულ სხვაგან ვიყავ: მომაგონდებოდა მაინცი, ნანსი, სავენე. მომაგონდებოდა მაშინდელი ყინვა-სიცივე. მაგრამ როგორ შეედრებოდა ის სიცივე 94 წლისას: იმ წელს იმისთანა ყინვები დაიჭირა, რომ მარანში ღვინოს და, ასე გასინჯეთ, არაყსაც კი ყინავდა.

დაღამდებოდა, დავკეტდით დუქანს, დარაბებს გავამაგრებდით და გულის გამამხიარულებელ ბუხარს შემოვუსხდებოდით. მარგალიტა შავ ფულსა თვლიდა, მე მანეთ-მანეთად ვახვევდი ქაღალდში და ჩემი ძმა სტეფანე ხმამაღლა გაზეთს კითხულობდა. ისე გვიხაროდა ჩვენი ჯარების გამარჯვება, თითქო რესპუბლიკის დღეგრძელობა მარტო ჯარებზედ ყოფილიყოს დამოკიდებული და შინაური მტერი აღარავინ გვყოლოდეს. წაიკითხავდა გაზეთში აწერილს ჩვენი ჯარების გამარჯვებას, უტრეხტის, არნეიმის, ამსტერდამის და სხვა ქალაქების აღებას, ჩვენი ჯარისკაცების მედგარ ვაჟკაცობას და აგვემღვრეოდა გული. მოგვაგონდებოდა, რომ საწყალ ბიჭებს ფეხსაცმელის ნაცვლად ჩალაში აქვთ ფეხი გახვეული, თვალს ცრემლი მოგვერეოდა, მაგრამ მაინც იმედიანად შევყურებდით მომავალს, მეტადრე მარგალიტა:

— ბევრიც რომ იძახონ მეფის მომხრეებმა, ადამიანის უფლებანი მოსპობილ უნდა იქმნენ და ძველებურად ბატონყმობა უნდა დამყარდესო, ვეღარას გააწყობენ, რადგან რესპუბლიკა ყველგან გამარჯვებული რჩება და მტარვალნი გაქცევის მეტს ვეღარას ახერხებენ.

და სამივენი ერთხმად შევძახებდით ხოლმე:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! ერთს და განუყოფელ რესპუბლიკას!

რაც კი ფალსბურგში იაკობელები იყვნენ, თვით ელოფ კოლენიც, რომელიც მაშინვე შემირიგდა, რადგან იცოდა, რომ, რაც ვუთხარი, წრფელი გულით ვუთხარი, ყველანი ჩვენსა იკრიბებოდნენ საღამოობით, ჩვენს სამკითხველოში. ჩვენი სამკითხველოდან გავიდოდა ხოლმე ყოველი ახალი ამბავი, ჩვენს სამკითხველოში შეკრებილნი შეჰხაროდნენ მარსელური სიმღერით ყოველ გამარჯვებას ჩვენი ჯარისას და ჩვენსავე სამკითხველოში შეაჩვენებდნენ ყოველ მტარვალს და მტერს თავისუფლებისას. რას იზამთ? მგონი სისხლში გვქონდა თავისუფლების სიყვარული და მასთან ერთად მარსელური სიმღერისა! დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეხლაც, როგორადაც მაშინ, როცა კი ჩვენს სახლში მარსელური არ გაისმის, მთელმა ქალაქმა იცის, რომ გამარჯვება მეფის მომხრეებს დარჩენიათ.

იმ ზამთარში ისე მოვაგვარეთ საქმე, რომ სუყველაფერი გავიჩინეთ გასაყიდი და გარდა ამისა დიდძალი ნისია გავეცით ფალსბურგელებს და გარეშემო სოფლელებს. ხომ იტყვიან, ნისიად ვაჭრობა საქმის დაღუპვა არისო, მაგრამ, როდესაც ხედავ, რა გაჭირებაში იმყოფება სრულიად პატიოსანი და გამრჯე ხელმოკლე კაცი,

ქვის გული უნდა გქონდეს, რომ არ ანისიავო მისთვის აუცილებლად საჭირო საქონელი; ეგ შეუძლებელია! ჩვენს მუშტარს ჩვენი ემართა, ჩვენ კიდევ სიმონისა გვემართა თითქმის იმოდენივე; მაგრამ სიმონი არ გვაწუხებდა; პირიქით, თითონვე გვწერდა, ნუ შესწუხდებით, ნუ აჩქარდებით, სამი თვის შემდეგაც რომ ჩამაბაროთ, მითაც არა წახდება რაო; ვიცი, რომ ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა და სუყველა გაჭირებულიაო. თანაც გვთხოვდა, თუ საქონელი გაკლიათ რამე, შემატყობინეთ და გაახლებთო.

პირველ მარტს ვიანგარიშეთ ჩვენ აღებ-მიცემა: გვინდოდა გაგვეგო, რა გვქონდა გაყიდული და რა გვრჩებოდა გასაყიდი; რა გვქონდა შემოსავალი და რა იყო ხარჯი; მოგება გვრჩებოდა, თუ ზარალის მეტი არა იყო რა. ამ ანგარიშიდან გავიგებდით, უნდა დაგვეკეტა ჩვენი დუქანი, როგორც საზარალო, თუ განგვეგრძო და გაგვეფართოვებინა. თავისი მტერი უნდა იყოს კაცი, რომ ანგარიშს გაურბოდეს და თვალდახუჭულივით განაგებდეს საქმეს იმ დრომდე, ვიდრე შემოსავალი ვეღარ გასწვდება გასავალს, ვალები წამოედება და ბოქაული მიადგება კარზედ საქონლის ასაწერად და საჯარო ვაჭრობით გასაყიდად.

ვიანგარიშეთ და სიხარულით დავრწმუნდით, რომ სიმონის და მეწიგნეების ვალები რომ გაგვესტუმრებინა, კიდევაც დიდი მოგება გვრჩებოდა. იმისთანა გაჭირვებაში რომ მოგებიანად ვივაჭრეთ, კარგ წელიწადში ხომ ერთიასად მეტს სარგებლობას ვნახავდით.

მამაჩემი და ნათლიაჩემი ყოველთვის ჩამოდიოდნენ კვირაში ერთხელ ჩვენს სანახავად; მამაჩემი კვირაობით ყოველთვის ჩვენთან იყო სადილად. საღამოზედ შინ წასასვლელად რომ გაემზადებოდა, წამოდგებოდა მარგალიტა და ერთ პურს და ცოტა რამ ხორცს გაუხვევდა თან გასატანებლად; რომ გაგვჭირვებოდა, ჩვენ დაგვამშევდა და თავის მამამთილს კი ხელცარიელს არ გაისტუმრებდა. მამაჩემი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მოდიოდა, დილით, და შორიდანვე სიხარული და ღიმილი ეტყობოდა სახეზედ. ქალაქში დიდი და პატარა ყველა იცნობდა და ყველა სალამს აძლევდა; მეტადრე ბავშვები, რომელნიც მხიარულად უძახდნენ:

— პაპას გაუმარჯოს!

ისიც სიცილით და ალერსით პასუხს აძლევდა. მერე შემოაღებდა ჩვენს კარს და შემოგვძახებდა:

— ხომ კარგადა ხართ, მიშელ, მარგალიტა?

— კარგად გახლავართ, მამა.

და გადავეხვევოდით ერთმანეთს. მერე შედგებოდა, თოვლს გაიბერტყავდა და ისე შემოვიდოდა შინ.

ჯერ სამკითხველოში შევიდოდა, ბუხართან ხელებს გაითბობდა და თან მარგალიტას შეჰხაროდა. მამაჩემმა იცოდა, რომ მოლოდინში ვიყავით, იმ ნეტარების მოლოდინში, რომლის სწორი სხვა არა მოიპოვება რა ამ წუთისოფელში. არა მგონია იმ დროში სხვაც ყოფილიყო ვინმე იმისთანა ბედნიერი, როგორადაც მამაჩემი იყო: რომ არ შერცხვენოდა, ცეკვას და სიმღერას დაიწყებდა; სიხარულისაგან მორეულ ცრემლს ვეღარ იმაგრებდა და ღმერთს მადლობას სწირავდა:

— გმადლობ შენ ღმერთო, რომ ასეთი ბედნიერება მომანიჭე და ამ სიბერის დროს შვილიშვილითაც გამახარე!

სადღა ახსოვდა ჩვენი მოვახშე რობენი, ბეგარა, მთელი ორმოცდაათი წლის შიმშილი და ვაება, ნიკოლოზის წასვლა, დედაჩემის ჩხუბები და სხვა და სხვა! ჩვენს მეტი იმას აღარავინ უნდოდა: სტეფანე თითქმის ვაჟკაცი იყო, მე შინა ვყავდი და მარგალიტა ჩემად ეგულებოდა, სხვა ქვეყანაზედ იმას აღარა აწუხებდა რა.

ხანდახან შოველის წერილსაც მივიღებდით ხოლმე და უნდა გენახათ, რა გახარებული იყო მაშინ მარგალიტა! სამწუხაროდ ძალიან მოკლე წერილებს გვიგზავნიდა; ძველებურად დაწვრილებით აღარას გვატყობინებდა და უფრო ხშირად რამდენიმე სიტყვას გვწერდა:

„ბევრს გაკოცებთ, შვილებო! თქვენმა ამბავმა ძალიან მასიამოვნა. იმედი მაქვს, კიდევ ვეღირსები თქვენთან ყოფნას. მეჩქარება, საშინელ ყოფაშია ჩვენი საქმე. მომიკითხეთ ივანე ლერუ, კოლენი და სხვ.“ -

ცხადად ეტყობოდა, რომ არ ენდობოდა წერილს, ეშინოდა, ვერა ბედავდა ყველაფერი მოეწერა; მაგრამ უარარაობას ესა სჯობდა: ის მაინც ვიცოდით, რომ კარგად იყო; და რადგან ალპის ჯარიდან პარიზში უნდა დაბრუნებულიყო, იმედი გვქონდა, გზად ჩვენკენ გამოიცლის და მაშინ მაინცა ვნახავთო.

1795 წ. მარტის უკანასკნელ დღეს დაიბადა ჩვენი პირველი ბავშვი. იმისთანა ზორბა ბიჭი იყო, იმისთანა ჩასუქებული და ლამაზი, რომ მტერს თვალს დაუყენებდა. დიდი ტანჯვის და მღელვარების შემდეგ, როდესაც ბავშვი ზეწარში გახვეული დავინახე თავის დედის ხელში, როგორღაც უცბათ დამიმშვიდდა გული, თითქო თვით უზენაესი არსება დაესწრო ჩემი ბიჭის დაბადებას და ჩემს მისდამი მოვალეობას მაბარებდა:

— მე მოგეცი შენ ეს ბავშვი, რათა კეთილ მამულიშვილად აღზარდო იგი და თავისუფლების მუშაკად.

და აღთქმასა ვდებდი ჩემს გულში, შეძლებისდა გვარად კეთილ მამულიშვილად ამეზარდა ჩემი პირმშო. მარგალიტაც მხიარულად

დაჰხაროდა, თუმცა არას ამბობდა. მოხუცებული ბებია და სხვა დედაკაცები კი აღტაცებულნი იყვნენ ბავშვის სილამაზით და ხმამაღლა გაიძახოდნენ:

— ოჰ, რა მშვენიერი რამ არის! რამოდენა რამ არის!

დუქანში სავაჭროდ მოსულთ რომ გაეგოთ, ვაჟი ჰყავსო, მოლოცვა შემომითვალეს. ცოტა ხანს უკან მამაჩემი და ნათლიაჩემიც შემოვიდნენ.

— ჰა, ყოჩაღ, მიშელ! — მიყვიროდა შორიდანვე ნათლიაჩემი.— ემაგრე უნდა, აი!

მამაჩემმა ერთი კი დახედა პატარას და ქვითინი დაიწყო. მოვიდა ჯერ მე გადამკოცნა, მერმე მარგალიტა.

— ახლა კი აღარა აკლია რა ჩვენს ბედნიერებას, არა შვილო,— ეუბნებოდა თავის რძალს, ნეტავი ერთი მალე წამოიზარდოს, რომ ერთად წავიდეთ ხოლმე სასეირნოდ.

ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერნი ვიქნებოდით ყველანი.

პირველი შვილი შუქს მოჰფენს ოჯახს. მარგალიტას მეტი სიხარულისაგან ენა ჩაუვარდა და ხმას ვეღარ იღებდა. ერთმანეთს ვუყურებდით გაჩუმებულნი და როცა ენა ამოიდგა, პირველად ესა სთქვა:

— შენა გგავს, მიშელ! რა კმაყოფილია მამაშენი!

კიდევ ბევრ რასმე მოგახსენებდით იმ დღისას, მაგრამ როგორ ვაგრძნობინო ჩემი ნეტარება იმას, ვისაც შვილი არა ჰყოლია ღირსეულ ცოლისაგან? და ვისაც შვილი ჰყავს, მე ახალს ვერაფერს ვეტყვი.

V

ომი ყველგან გათავებული გვქონდა; ბელგია ჩვენ დავიჭირეთ, ჰოლანდია, რეინის მარცხენა მხარე, ნაწილი პიემონტისა და ესპანიისა. სხვა მეფეები მორიგებას გვეხვეწებოდნენ. თვით შარეტიც კი, ვანდეს ჭაობებში მიმალული, უკიდურეს მდგომარეობამდე მიეყვანათ ჩვენს ჯარებს და ცოცხალი დაეჭირათ. რესპუბლიკამ აპატია აჯანყებულთ და ნება მისცა თავთავიანთ სოფლებში დაბრუნებულიყვნენ და თავიანთ სახლ-კარისთვის და მამულისთვის მოევლოთ; იმასაც კი დაჰპირდა, ნაზარალევს გადაგიხდით, ოღონდ დამშვიდდით და დაცხრითო. რა უნდა მოეთხოვათ ამაზედ მეტი ვანდელებს? გვეგონა, გონებაზედ მოვლენ და ამ მხრივ მაინც დამშვიდებულნი ვიქნებითო. მაგრამ აქაც არ მოისვენეს იმ ხელმწიფეებმა, რომელთაც ამ სამი წლის წინად საფრანგეთის განაწილება ნებავდათ, და ახლა პოლონეთს ეცნენ. გაზეთებში სულ რუ-

სეთის ხელმწიფის ეკატერინეს ამბებსა სწერდნენ, გენერალ სუვოროვისას და პოლონელ გმირის კოსტიუშკოსას.

კოსტიუშკო სჯობნიდა რუსებს, მაგრამ მერე ამბავი მოვიდა რუსებისაგან პრაგელების ამოჟლეტისა. შემდეგ ამისა პოლონეთის თავისუფლების დამცველთა დამარცხება მოხდა და ბოლოს შეკავშირებულ ხელმწიფეთა განცხადება: „რადგან პოლონელნი ვერ შეთანხმებულან და ღირსეული მართებლობა ვერ დაუწესებიათ, იძულებულნი ვართ საზოგადოებრივი სიკეთის დასამყარებლად პოლონეთი სამად გავიყოთო“. და რომელი ქურდი იქნება, უუსაძაგლესი ქურდი, რომელიც ციხეში ზის სახლების გატეხის და გაქურდვისათვის, რომ სწორედ მაგ ლექსით არ იმართლებდეს თავს? რას იზამთ? უბრალო მომაკვდავის ქურდობა ქურდობაა, და პრუსიის, ავსტრიის, რუსეთის ხელმწიფეთა საქციელი კი... საზოგადოებრივი სიკეთის დამყარება! მღვდლებმა და ბერებმა მადლობა შესწირეს ღმერთს ამისთანა სიკეთისათვის და შეევედრნენ, დღეგრძელად ამყოფე დიდებული ხელმწიფენიო!

ცოტა რამ დაფიქრება, და ყველა მიხვდებოდა, რომ ამ მტარვალთ არ უნდოდათ, რომ სადმე თავისუფალი ხალხი ყოფილიყო და, რადგან პოლონეთი საფრანგეთს ეხმარებოდა, ადგნენ და ეს ერთადერთი ჩვენი მოსარჩლეც მიწასთან გაასწორეს, რომ მერე უფრო ადვილად დაემარცხებინათ თვით საფრანგეთი. ცხადი იყო, რომ თავისუფალ რესპუბლიკას და მტარვალ ხელმწიფეთა შორის მორიგება შეუძლებელი იქნებოდა. ან მთელი ევროპა უნდა განთავისუფლებულიყო, ან ჩვენც კვლავ მონებად გავმხდარიყავით. და სწორედ ამ დროს, როდესაც ასე გამწვავებული იყო ჩვენი მდგომარეობა, საფრანგეთის მართებლობა მეფის მომხრეთ ჩაიგდეს ხელში და მათთან ერთად ჟირონდელებმა, რომელნიც რობესპიერის სიკვდილის შემდეგ ისევ პარიზში დაბრუნდნენ და კონვენტში გამოიჩინენ. თავისუფლების მტერი ხელმწიფენი და ჩვენი ჟირონდელები დიდი მეგობრები ბრძანდებოდნენ და ერთად სთხრიდნენ რესპუბლიკისათვის სამარეს. სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ხალხის დაშშევასაც: უნდოდათ დაემშიათ ხალხი, აეჯანყებინათ და ეთქვათ:

— განა ასეთ გაჭირვებაში იქნებოდით, თქვე უბედურნო, მეფე რომ გყოლოდათ! უცხოეთს მოვურიგდებოდით, ყოველი მხრიდან პური შემოვიდოდა, ვაჭრობა და მრეწველობა გაჩაღდებოდა, მუშაკაცი საქმეს იშოვიდა და სხვ. და სხვ.

და მიმდევარიც ბევრი ჰყავდათ, სახელდობრ რობესპიერის მკვლელნი, ვაჭრები და სოვდაგრები. მთიულნი კიდევაც იყვნენ კონვენტში, მაგრამ თითო-ოროლა და მათი ხმა აღარც კი ისმოდა მო-

წინააღმდეგე უმრავლესობაში; აღარც ლაპარაკი შეეძლოთ, აღარც ხალხის დახმარება. თვით კარნოც კი არ დაინდეს და მის ადგილზე ქვეყნის მფარველი კომიტეტის წევრად ჟირონდელი ობრი ჩააყენეს, რომელმაც გადააყენა ყველა პატრიოტი გენერალი. ეს ვაუბატონიც სწორედ ისე იქცეოდა, როგორადაც მეფე ლუი XVI მინისტრი და საძღვარზედ, ყველა ციხეში, მეფის მომხრე კაცებს გზავნიდა უფროსად. ყველა ხედავდა ამას, მაგრამ რა გვექნა? ძალა ჩვენს მტერთ ჰქონდათ იმ ჟამად და აქა-იქ იმდენად წათამამდნენ, რომ სრულიად დაურიდებლად ხოცავდნენ მთიულთ.

ჩემი ბიჭიკოს დაბადების მეორე დღეს მოიტანეს გაზეთებმა ამბავი, დამშეული ხალხი აიშალა, კონვენტს შეუვარდა და პურის თხოვნა დაუწყო. „ქურდებმა", ესე იგი რობესპიერის მკვლელებმა, ცოცხებით დაირეკეს საერო კრების დარბაზიდან და ახლა აშლილია მთელი ხალხი და შეძლებულთ ებრძვისო.

იმავე გაზეთებში ეწერა, ხალხის აჯანყებით ისარგებლა კონვენტმა და კოლოდერბუა, ბილიოვარანი და ბარრერი კალედონიაში გაისტუმრა, ისე რომ არც კი გაუსამართლებია. გარდა ამისა დაიჭირა და ციხეში ჩაყარა კამბონი, მენიე, მოსე ბაილი და ყველა ისინი, ვინც მტერს წინ აღუდგა და არ შეალახვინა საფრანგეთი. ქვეყნის ერთგულნი შვილნი ან განდევნილნი იყვნენ, ან ციხეში ლპებოდნენ და ბურთი და მოედანი იმათ რჩებოდათ, რომელნიც ქვეყანას კი არა, თავის თავს და თავის სულს გაჰყიდდნენ, მუშტარი რომ ეშოვათ!

მართალია, ჩემს ოჯახში ვიყავ იმ დღეს, გარშემო ჩემი საყვარელი ცოლ-შვილი, მამა და მეგობრები მეხვივნენ, მაგრამ დიდი სიამოვნებით გავტენიდი ჩემს თოფს და კვლავ ჯარში წავიდოდი მოღალატეთა დასასჯელად. და განა მარტო მე? ბევრი სხვა იყო მზად და ბრძანებასღა ელოდა. მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის იყო, რომ მბრძანებელი აღარავინ გვყავდა: ხალხის უერთგულესი შვილნი, ხალხის სულის ჩამდგმელნი და მით მისი მბრძანებელნი, გილიოტინას დაეხოცა და უმწყემსოდ დარჩენილიყო ცხოვარი.

მაშინ კი ცხადად დაინახეს პატრიოტებმა, რა გზასაც დასდგომოდა ჩვენი მართებლობა. პირად მე ჩემს სიცოცხლეს არ დავიშურებდი, რომ გამეცოცხლებინა რობესპიერი და სენჟუსტი, რომელნიც ჭირივით მძულდა; და ელოფ კოლენი კიდევ თავისას არ დაინანებდა, ოღონდ ქვეყანას კვლავ ჰყოლოდა იმისთანა თავგანწირული და ერთგული მოსამსახურენი, როგორნიც იყვნენ დანტონი და დემულენი, თუმცა ორივეს „გარყვნილებს" უწოდებდა. მაგრამ რაღა დროს სინანული და წუხილი იყო? ერთი ანდაზისა არ იყოს,

ჩვენი გზაც მაშინ გამოჩნდა, როდესაც ურემი გადაგვიბრუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ „ქურდებმა", ჟირონდელებმა და მეფის მომხრეებმა თავი მოსჭრეს გილიოტინით ფუკიე-ტანვილს, რევოლუციური სასამართლოს ბრალმდებელს, და თხუთმეტ მსაჯულს. დასახოცად რომ მიჰყავდათ ეს უბედურნი, თან აუარებელი ჯაშუშები მისდევდნენ და დასცინოდნენ:

— ეხლა რაღას იტყვი, გილიოტინით რომ კვდები?

და ფუკიე უპასუხებდა:

— შენა, უტვინო ხალხო, შენ რომ შიმშილით კვდები!

და მართალსაც ეუბნებოდა, რადგან რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ ისე მოეწყოთ საქმე, რომ პარიზში გასაყიდი აღარა შედიოდა რა. ხაბაზებში გამომცხვარი პური თითო ლუკმა არ შეხვდებოდა ხოლმე ხალხს. ჩვენში კი, ღვთის მადლით, ძალიან კარგი მოსავალი იყო და შიმშილი აღარსად იყო. რასაკვირველია, პარიზშიც ასე იქნებოდა, მეფის მომხრეთ რომ არ გაეძვირებინათ პური: ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ხალხის აჯანყებას, რომ მისდგომოდნენ და იმ არეულობაში თავიანთი მტრის ჯავრიც ეყარათ და საფრანგეთის სრული ბატონი და მბრძანებელიც გამხდარიყვნენ. და ხალხის აჯანყება კი შიმშილით შეიძლებოდა.

აჯანყდა კიდეც დამშეული ხალხი 20 მაისს 1795 წ. აიშალა პარიზელი ხალხი — კაცი, ქალი, ბავშვი და ხალხთან ერთად რამდენიმე რაზმი წმინდა-ანტონის უბნელი ერის მცველი ჯარი; აიშალა ხალხი და საშინელი ყვირილით შევიდა საერო კრების დარბაზში:

— პური და 93 წლის კონსტიტუცია!

თავადი ბუასსი დანგლა სრული ექვსი საათი იჯდა თავმჯდომარის ადგილზე და არც მოღერებულ ცულებს და ჯოხებს შეუშინდა, არც შუბებს და ხიშტებს. იმის ადგილზე რომ თავადი არტუა ყოფილიყო, მოჰკურცხლავდა და ღვთის ანაბარად მიატოვებდა იქაურობას. ბუასსი დანგლა იმდენად გამბედავი და უშიშარი იყო, რომ მდაბლად თავი დაუკრა შუბზედ ამართულ დეპუტატის ფერის გასისხლიანებულ თავს, რომლითაც ხალხი მის შეშინებას ცდილობდა.

სამი დღე მღელვარებდა ხალხი. კონვენტმა ბევრი რამ დაადგინა ხალხის სურვილისამებრ, რადგან ეს ხალხი თვით დარბაზში იმყოფებოდა და ბრძანებლობდა; მაგრამ მოიშორეს თუ არა თავიდან, ის დადგენილებანი გააუქმეს. ხალხი მღელვარებდა, მაგრამ წინამძღოლი აღარა ჰყავდა და, თუმცა გამარჯვებული იყო, არ იცოდა, როგორ მოეხმარებინა ეს გამარჯვება; დანტონი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხმას ამოიღებდა ხალხის სასარგებლოდ. მეორე დღეს

„ქურდების“ მიმდევართ და მეფის მომხრეებმა მიუჩინეს აჯანყებულ ხალხს ჯარი და ისევ იმ სოროებში შერეკეს, საიდანაც შიმშილს გამოერეკა უბედურნი. და ხალხიც დაიშალა, გაიფანტა, ბრძოლა ვერ გაბედა და მით დამარცხებულად აღიარა თავისი თავი შიგ პარიზში.

ეს უკანასკნელი მღელვარება იყო ხალხისა. რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ რომ არა შინებოდათ, — ჯარები რესპუბლიკის მომხრენი არიან და მოვლენ და ისევ რესპუბლიკურ მართებლობას დაამყარებენო, — იმ გამარჯვებით ისარგებლებდნენ და მეფე ლუი XVIII დასვამდნენ. უწინდელი ქვეყნის მფარველი კომიტეტის ყველა წევრები, — გარდა კარნოსი და ქვემო რეინელი ლუისა, — ოცდაერთი დეპუტატი, ერის მიერ არჩეული და მისი წარმომადგენელი, და ათი ათასიც სხვა პატრიოტი დაიჭირეს იმ მღელვარების შემდეგ და ერთი კვირის განმავლობაში ზოგი კალედონიაში გაგზავნეს, ზოგი გილიოტინით დახოცეს. კიდევ კარგი, რომ შოველი ჯერ ისევ ჯარში იმყოფებოდა! ჩვენმა მტრებმა ვერაგობით და ღალატით უფრო გვავნეს, ვიდრე ძალით. ძალით ვერას მოიგებდნენ, და ღალატით კი ქვეყანა ხელთ იგდეს; ჟანდარმები ყველგან გამოსცვალეს და თავიანთ მომხრე კაცები დააყენეს; ერის მცველ ჯარს ზარბაზნები წაართვეს, მუშა ხალხს იარაღი აჰყარეს; პარიზი თავიანთ ერთგული ჯარით აავსეს და რაღა ბევრი გავაგრძელო, ისე მოაგვარეს საქმე, რომ მარტოდმარტო მეფეღა აკლდათ. ერთიღა აწუხებდა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ: ჯარები ისევ რესპუბლიკის მომხრენი იყვნენ და, მაშასადამე, საჭირო იყო გენერლების მოსყიდვა. რაკი გენერლებს მიიმხრობდნენ, სრულ გამარჯვებას წინ აღარა უდგა რა და მეფეს მისწერდნენ: „მობრძანდით, თქვენო უდიდებულესობავ! მობრძანდით. შიში აღარაფრისა გაქვთ! მობრძანდით და მოეპატრონეთ თქვენს დაობლებულ ერს, რომელიც ცხარე ცრემლითა ტირის უმეფობას და უბატონობას! მობრძანდით, მეფეო! ქვეყანას უბრძანეთ, სასეირნოდ ვიყავ და ახლა შინ მოვდივარ-თქო. მობრძანდით, შიში ნურაფრისა გექნებათ, ბატონიშვილო, მამაპაპეული თქვენი სამეფო ტახტი მზად გახლავთ და თქვენღა გელით“.

დიაღ, სულ იმას გაიძახიან, ჟირონდელები წამებულ იქმნენ მთიულთაგანო! მაგრამ, ნეტავი აგრეც ყოფილიყო, ღირსნი არ იქნებოდნენ თუ?! დიდი ხანია ამზადებდნენ საფრანგეთში ხელახლად მეფობის დამყარებას და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ ახლა კი სრულიად გაჩარხული ჰქონდათ საქმე. ოღონდ აჩქარდნენ ცოტათი, რადგან იაკობელები და კორდელიერები ჯერ ყველანი არ

დახოცილიყვნენ; გარდა ამისა გლეხკაცებს თავიანთვის უნდოდათ რესპუბლიკის მართებლობისაგან ნაყიდი გახიზნულების და მონასტრების მამულები.

მიუხედავად ამისა პატრიოტები მთელს საფრანგეთში იჟლიტებოდნენ. ფალსბურგამდეც მოატანა პატრიოტების დევნამ და ძლივს გადავარჩინეთ სიკვდილს საუკეთესო ჩვენი მოქალაქენი — ელოფ კოლენი, რაფიელ მანკი, ლაფრენე, ლუსტო, ტევენო და აგრეთვე ყველა მოხელენი და კლუბის წევრნი. მამასახლისად ექიმი შტეინბრენნერი დაგვინიშნეს, რომელსაც წამლების და სნეულების მეტი არა ახსოვდარა და ყველა საქმეს მდივანი განაგებდა. თითონ მამასახლისი კი დღეში ნახევარ საათით თუ ავიდოდა სამსახურში და გაზეთებს ხომ სულაც არა კითხულობდა; მის თანაშემწედ იყვნენ სირაჯი ელინგერი, ლუდხანის პატრონი მიტტენჰოფი და ფოსტის გამგე მასსონი; იმათაც იმდენად აწუხებდა ქვეყნისა და ხალხის ვარამი, რამოდენადაც თვით მამასახლისს.

აი, როგორ გაირყვნება ყველა, როდესაც სათავეში მდგომნი თავიანთ გამდიდრების გარდა არასა ზრუნავენ და ხალხს ცხვარსავით კრეჭენ და პარსავენ. ვაი პატიოსანი კაცის ბრალი ამისთანა დროში! ძალაუნებურად გულში უნდა დაიმარხოს ბიწიერთა სიძულვილი და ბრაზი; უნდა მოერიდოს ქვეყნის წამპილწველთ და შესაფერ შემთხვევას ელოდოს თავის უფლებათა აღსადგენად.

VI

სწორედ იმ დროს გამოიარა ჩვენკენ შოველმა, სულ ნახევარი საათით. ის იყო დუქანი დავკეტეთ და შავ ფულსა ვთვლიდით, როდესაც, სრულიად მოულოდნელად შემოაღო კარი.

— მე ვარ, შვილებო! მინდა ერთი გადაგკოცნოთ და ისევ გზას გავუდგე.

წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული.

იგივე შოველი იყო, ოღონდ ცოტა წელში მოხრილიყო და ჭაღარა გამორეოდა. ბავშვი რომ აიყვანა და კოცნა დაუწყო, თვალი ცრემლით აევსო; რაც ხანი ჩვენსა იყო, ხელიდან აღარ მოუშორებია თავისი შვილიშვილი, სულ იმას შეჰხაროდა და უალერსებდა:

— რა ლამაზი ბიჭია! ექვსი წლისას ზეპირად ეცოდინება ადამიანის უფლებათა კატეხიზმო.

სტეფანეს ვთხოვე ელოფ კოლენისთვის შეეტყობინებინა შოველის მოსვლა და თითონ ქუჩაში მდგარიყო, რომ დილიჟანს არ გაესწრო, რადგან შოველი პარიზს მიდიოდა. მარგალიტა ტიროდა;

მეც ძალიან მეზარებოდა ჩემი სიმამრის ასე მალე განშორება და ფერმიხდილი შევცქეროდი. ელოფი ძალიან გვიან მოვიდა, სულ რამდენიმე წუთიღა ნახა შოველი: შემოვიდა თუ არა მაშინვე სენ-ჟუსტის მოკვლაზედ ჩამოაგდო ლაპარაკი და ქვითინი დაიწყო. შოველი სრულიად დამშვიდებული დარჩა.

— დიაღ, დიდი უბედურება მოგვივიდა, მიუგო წყნარად შოველმა, დიდი უბედურება! მაგრამ რას იზამთ, ეგ ბუნების კანონია. ადამიანი — ადამიანია, მომაკვდავი ადამიანი და დიდად შესცდება, ვინც მის გაღმერთებას მოიწადინებს: ცოტა ხანს სძლებს ადამიანი, ცვდება. დანტონი და რობესპიერი ორივე ძლიერი პატრიოტები იყვნენ: დანტონს უყვარდა თავისუფლება, რობესპიერს კი სძულდა იგი, რადგან მას თავისებურად, ბრძანებით და ძალდატანებით უნდოდა ქვეყნის თავისუფლება. სწორედ ამ გარემოებამ მოუღოთ მათ ბოლო: არც ერთად ყოფნა შეეძლოთ და არც უერთმანეთობა. ამ გარემოებამ მოუღო ბოლო ადამიანებს, მაგრამ მათგან აღიარებული აზრები და პრინციპები კი დარჩა; რევოლუციამ ნახევარი გზა უკვე გაიარა: გლეხკაცი სრულუფლებიან ადამიანად იქცა, ბატონყმობიდან განთავისუფლდა, მამული შეიძინა. ახლა ნახევარი გზაღა გვაქვს გასავლელი: ისე, უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ხელოსანს და მუშასაც ერგოთ თავისი წილი, როგორადაც გლეხკაცს ერგო; ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ ხელოსანი და მუშა თითონვე სარგებლობდნენ თავიანთი შრომის ნაყოფით. ამ წადილის განსახორციელებლად საჭიროა განათლება და თავისუფლება; თავისუფლება ყველას ათანასწორებს, უპირატესობათა დაწესება კი ერთის ხელში აგროვებს ათასის ნაშრომს. რევოლუცია მაშინ დასრულდება, როდესაც ყველა გათანასწორდება.

კიდევ ბევრს იტყოდა, მაგრამ დილიჟანსმა ჩამოიარა და უნდა გავშორებოდით ერთმანეთს. ყველას ტირილი მოგვივიდა, ყველას ცრემლი წაგვსკდა, მაგრამ რაღას ვიზამდით? თითქო მოჩვენება იყოო, ისე გვეჩვენა ის სამაგალითო პატრიოტი და ისევ მარტონი დაგვტოვა.

სიზმარივით მახსოვს ახლა ეს ამბავი. რამდენი ხანია მას შემდეგ, და დღესაც კი გული ამემღვრევა ხოლმე, როდესაც მომაგონდება, როგორ უალერსებდა შოველი ჩემს ბიჭიკოს. თიბათვის დამდეგი იყო. ლიონში, მარსელში, არლში, ტარასკონში და სხვაგან ბევრგან მეფის მომხრენი იჭერდნენ პატრიოტებს და ციხეებში ხოცავდნენ; დააგროვებდნენ და თითონ დახოცილთა გარშემო ცეკვას დაიწყებდნენ. ჟირონდელები გზაში უხვდებოდნენ მგზავ-

რებს, რესპუბლიკელებს ხოცავდნენ და, საცა კი მოასწრობდნენ სახელმწიფო ფულს, იტაცებდნენ. მთელი საფრანგეთი ქურდებს და ყაჩაღებს უჩიოდა, მაგრამ კონვენტში რესპუბლიკის მოწინააღმდეგენიღა იყვნენ და ყურადღებას არაფერს აქცევდნენ. რობესპიერის მკვლელნი ხედავდნენ, რომ რაკი აღელვებულ ხალხს დაიმორჩილებდა კონვენტი, მერმე იმათთვის მოიცლიდა და ერთიანად ამოხოცავდა ყველას; განსაცდელში მყოფთ მომხრეების ძებნა დაიწყეს და ისევ მთიულთ დაუახლოვდნენ, რადგან კონვენტში, თუ იყო ვინმე ძალოვანი რესპუბლიკელი, ისევ მთიულნი იყვნენ.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ხალხის აჯანყება მეფის მომხრეთაგან იყო გამოწვეული, ისიცა კმარა, რომ რაკი ჯავრი იყარეს რესპუბლიკელებისა და უღმერთოდ ხოცეს ყველა იაკობელები, დანტონისტები, ჰებერისტები და სხვანი, მაშინვე შეწყდა შიმშილი და პარიზი ხორაგეულით აივსო. პურები კი ჯერ მომკილი არ იყო; მაშ სად იყო დამალული იმოდენა პური, რომ ისე უცბად გაჩნდა ბაზარში? განა მკამდე შიმშილის მოსპობა გინახავთ სადმე? განა ცხადი არ არის, რომ რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ მიზეზი უნდოდათ რესპუბლიკელების სახოცად და მიზეზად ხალხის აჯანყება მოიდეს? შიმშილი მახე იყო, რომელშიც მეფის მომხრეებს უნდოდათ ხალხი გაებათ, შეემუსრათ და მერე მეფეც ეთხოვნინებინათ.

კიდევა ბრძანონ, თუ უნდათ, საფრანგეთი მეფის მოყვარე ქვეყანაა. იცით, რამოდენი ხალხი ამოხოცეს, რომ მეფე მოენდომებინათ? კარგად რომ დასთვლიდნენ, დარწმუნდებიან, რომ რობესპიერის მოკვლის შემდეგ გაცილებით მეტი ხალხი იქნა დახოცილი, ვიდრე მის მოკვლამდე! განა ხალხის ჟლეტაში და სამშობლოს ღალატში მეფის მომხრეებს ცალი ეყოლებათ სადმე? შინ ისინი დათარეშობდნენ, თითქო დამარცხებულ მტრის ბანაკს იკლებენო, გარედან კიდევ მტერი გვემუქრებოდა. დაამარცხეს თუ არა პარიზელი ხალხი, მაშინვე ახალი ამბავი გამოაცხადეს გაზეთებმა: ინგლისელი ხომალდები მოადგნენ საფრანგეთს, დაამარცხეს ჩვენი ხომალდები, ნაპირს გამოვიდნენ უთვალავი იარაღით, ყალბი ფულით და გახიზნულ თავადაზნაურებითაო. ეგ კიდევ არაფერი! შიგ საფრანგეთშიც არ გვასვენებდა მტერი და ვანდელები, თუმცა აღთქმა დასდეს, ამის შემდეგ რესპუბლიკას აღარას ვავნებთო, მოუსვენარი მატლივით მოძრაობდნენ და მტრის შემოსევასღა ელოდნენ, რომ იარაღი აეღოთ და გვერდში ამოსდგომოდნენ. ერთი, სულ მცირე, ბრძოლაც რომ წაგვეგო და დავმარც-

ხებულიყავით, სამეფო ტახტზედ მეფე ლუი მეთვრამეტეს აასკუ-პებდნენ.

ლუი მეჩვიდმეტე, შვილი მოკლულის ლუი მეთექვსმეტისა, რომელსაც, რაკი მეფობიდან გადავაყენეთ, ლუი კაპეტს ვეძახდით, ერთ ხარაზს შეჰხიზნოდა და იქ მომკვდარიყო. მისი შვილი გახიზ-ნულთ და ევროპიელ ხელმწიფეთ უკვე ეღიარებინათ საფრანგე-თის მეფედ და ლუი მეთვრამეტე ეწოდებინათ. სიცილად არ გვე-ყოფოდა ეს ხუმრობა, მაგრამ ვაი, რომ კონვენტის სამი წილი სწორედ ამ მეფე ლუი XVIII თანაუგრძნობდა! საშინელ მოლო-დინში იყო მთელი ერი. გაზეთის კითხვას ვეღარ ვბედავდით, ისე გვეშინოდა, კიდევ საზიზღარი რამ ღალატი არ ამოვიკითხოთო.

ჩვენდა საბედნიეროდ ვანდეში მყოფის ჩვენი ჯარის მხე-დართმთავრობა გენერალ ჰოშს მისცეს. იმანაც საჩქაროდ შეაგროვა თავისი ჯარები და მტრის წინ დასახვედრად დაიძრა. მტერი ქალაქ რანისკენ მოდიოდა, პირდაპირ პარიზზედ; ოცი ათასი ვანდელი იყო, ათი ათასი ინგლისელი და წინ სამი ათასი გახიზნული მოუძ-ღოდა. ჰოში წინ შეეგება და ნახევარკუნძულ კიბერონში მოამწყვ-დია. ხმელეთით ყოველი მხრიდან გზა შეუკრა და ისე დაამარცხა, ისე გაუჭირა საქმე, რომ შეშინებულნი წყალში ცვიოდნენ, სხვა გზა რომ აღარა ჰქონდათ ხსნისა. ვინც ცოცხალი გადარჩა, ტყვედ იქნა დაჭერილი.

ამ დროს რობესპიერის მკვლელნი მთიულებს მიემხრნენ და გა-მარჯვებულ ჯარში თავიანთი მომხრე ტალიანი გაგზავნეს. ტალიან-მა რომ ნახა ტყვედქმნილი დიდებულნი, რომელნიც მტერს მოუძღო-დნენ საფრანგეთის წინააღმდეგ, ბრძანება გასცა — ყველანი დახვრიტეთო. შვიდას თორმეტი დიდებული იქმნა მაშინ დახვრე-ტილი. უბრალო ხალხი კი ყველა გაანთავისუფლა. დიდი ზარალი მოუვიდა მაშინ თავადაზნაურობას.

შეუძლებელია ასწეროს კაცმა, რა სიხარულით მიეგება ხალხი ამ გამარჯვების ამბავს. იმდენ უბედურებისაგან გული გატეხილი გვქონდა და მით უფრო მეტი იყო ჩვენი სიხარული. ყველგან ძლევა-მოსილი ჰოშის სახელი და დიდებაღა ისმოდა. მოიგონეს მისი ვაჟ-კაცობა რეინის და მოზელის ჯარებში და ყველა ერთხმად იძახდა:

— თუ გვიშველის, მარტო ჰოში გვიშველის!

მაგრამ რას გვიშველიდა, გახვრეტილი გროში აღარსად ჰქონდა რესპუბლიკას! მილიონობით გამოდიოდა ასიგნაციები, მაგრამ ფუ-ლად კი აღარავინ იღებდა. ხორაგზედ დადებული უმაღლესი ფასები აღარ არსებობდა და, რა ფასადაც უნდოდათ, ისე ჰყიდდნენ ვაჭ-რები. გირვანქა სანთელი მანეთნახევრად იყიდებოდა, გირვანქა თამ-

ბაქო სამ მანეთად და აგრეთვე სხვა ყველაფერი ასე ძვირად.

იქვე, რეინის გაღმა, ერთისამად იაფად ფასობდა ყველაფერი. სიძვირე ხომ ვაი იყო, და იმაზედ უარესი ის იყო, რომ ფულის მაგივრად ასიგნაციებსღა ხარჯავდა მართებლობა და ასიგნაციებს კი აღარავითარი ფასი და გასავალი აღარ ჰქონდა. ვინც იმ დროს არ მოსწრებია, ვერც კი წარმოიდგენს, რაოდენი საქონელი შემოდიოდა ჩუმად საზღვარგარეთიდან! ყავა, შაქარი, პილპილი და სხვა ოქროს ფასადაც აღარსად იშოვებოდა, რადგან ინგლისელები გზაში უხვდებოდნენ ჩვენსკენ მომავალ ხომალდებს და, ომით რომ ვეღარა გვჯობნიდნენ, ვაჭრობის შეყენებით და ხალხის დამშევით გვიპირებდნენ დაჯაბნას. ბავშვებმა ფერიც აღარ იცოდნენ შაქრისა. თუ იშოვებოდა სადმე ყავა ან შაქარი, ისევ ჩუმად, საზღვარგარეთიდან შემოტანილი უბაჟოდ. ჯარებსაც ყველაფერი აკლდათ: ვისიც ჯერი იყო ჯარებზედ ზრუნვა, ისინიც სხვებივით თავიანთ ჯიბის გატენის მეტს არასა ფიქრობდნენ. უმაღლესი საზოგადოების გარყვნილება და გაიძვერობა მისაბაძავად შეიქნა. ქეიფი, დროს გატარება და კეკლუცად მორთვაღა მიაჩნდათ ცხოვრების დანიშნულებად და, რას იტყვის კაცი, რომ არ ეკადრათ, ოღონდ ფული ეშოვათ და ცხვირამდე მოხვეულ თეთრ ყელსახვევით და სათვალეებით გამოპრანჭულნი გამოჩენილიყვნენ საზოგადოებაში.

ცუდი ის იყო, რომ გახიზნული ბერები და მღვდლები ისევ უკან დაბრუნდნენ იმ დროს და ისე დაძრწოდნენ ყველგან, ისე აფაციცებდნენ თვალებს, თითქო ბინდისას სოროებიდან გამომძვრალი თაგვები ყოფილიყვნენ; ძველებურად თავისუფლად დადიოდნენ სოფელ-სოფელ და იმდენად წათამამებულიყვნენ, რომ რესპუბლიკის მომხრე მღვდლებს და სხვათა შორის ლუტცელბურგელ მამა ქრისტეფორეს მოსვენებას აღარ აძლევდნენ.

მამა ქრისტეფორე, აგერ ხუთი წელიწადი იყო, ფეხუცვლელად იჯდა თავის სოფელში და თუმცა რესპუბლიკისაგან გროში არ იცოდა, მაინც თავისებურად კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. მოძღვარიც ის იყო, სოფლის სკოლის მასწავლებელიც და ჯამაგირი კი არც ერთში ეძლეოდა, არც მეორეში. ცხოვრებით კი ჯვრებსა სთლიდა და იმითი ცხოვრობდა. ბოლოს დროს სუყველაფერს ჩვენსა ვაჭრობდა და ძალიან ნანობდა, რომ შოველს ჩვენსა არ დახვდა და არა ნახა.

მაგრამ იმ შორეული და არეული დროისა ისე კარგად არა მაგონდება რა, როგორადაც კერძო ჩვენი ცხოვრება და ბედნიერება: პირველი ღიმილი ჩვენი პატარა პეტრესი, მარგალიტას სიხარული, როცა ბავშვი კარგადა ჰყავდა, და შიში და გულისხეთქა, უფრო ხში-

რად უბრალოდ და უმიზეზოდ. დედის სიყვარულისთანა მშიშარი ხომ არა იქნება რა! სუყველა იმას აშინებს, სუყველა იმას ერჩის და მოსვენებას უფრთხობს. ან სად იცის დედამ მოსვენება? დღე და ღამე ერთია მისთვის. კურდღლის ძილითა სძინავს დალოცვილს; ერთი კი გაიჩუჩუნოს ბავშვმა, და მაშინვე წამოვარდება, თითქო არც კი იცის, დაღლა რასა ჰქვიაო, და ხან უმღერის, ხან უცინის, ათამაშებს, ატარებს, არწევს ვიდრე კვლავ არ დააძინებს პატარას. თითი რომ წამოსტკივდეს ბავშვს, დედას მოსვენება ეკარგება; დღე და ღამ თავით უზის და უვლის, არც დაიღლება, არც მოსწყინდება. თვეთვეს მოსდევს, წელიწადი წელიწადს, ყველა იღლება, ყველა იცვლება და დედა კი ისევ ისე უღლელად ენაცვლება თავის შვილს.

მას შემდეგ რაც პეტრე მოგვეცა, ორჯერ სამჯერ მოვკარ თვალი დედაჩემს: ჩვენ პირდაპირ აიტუზებოდა, ამოეფარებოდა რასმე და იქიდან გვათვალიერებდა. ძალიან დაბერებულიყო და თმა სრულიად გასთეთრებოდა. პირველად რომ დავინახე ისე მიმალული, თავისი დაგლეჯილი კაბით, გული მომიკვდა და ცრემლი მომერია. მინდოდა გავარდნილიყავ, დედაშვილურად გადამეკოცნა და შინ შემომეყვანა, მაგრამ, თითქო იგრძნო, რომ დავინახე, დაჰკრა ფეხი და ისე მიიმალა, რომ ვეღარსად ვიპოვე.

ალბად უყვარს ჩვენი ბიჭი, რომ მის სანახავად მოდის მეთქი, ვიფიქრე. თუ ასე იყო და მართლა თავის შვილიშვილის სანახავად ჩამოდიოდა იმ სიშორეზედ, იქნება სწორედ ამით შევრიგებოდით ერთმანეთს. და ისე გამიტაცა ამ ფიქრმა, რომ დღე და ღამ მოსვენებას აღარ მაძლევდა. მარგალიტას კი არას ვეუბნებოდი, რადგან დარწმუნებით ჯერ არა ვიცოდი რა.

ხშირად მამაჩემიც მეტყოდა ხოლმე, როდესაც ნეტარებით სავსე ღიმილით აკვანს არწევდა და ოთახში ჩვენს მეტი არავინ ეგულებოდა:

— როგორ დაგლოცავს, მიშელ, დედაშენი, ეს პატარა რომ აჩვენო!

— დარწმუნებული კი ხარ, მამა?

— დარწმუნებულიო?! განა ეჭვი გაქვს? იცი, როგორ იამება! განა თითონ კი არ უნდა მოსვლა? ვერა ბედავს! იმდენი ლანძღა შენი ცოლი, რომ სირცხვილით ახლო ვეღარ გაუვლია.

— რაკი აგრეა, აი, ეხლავ წავიდეთ, მამა!

წამოვდექი, პეტრა ხელში ავიყვანე და ქუდი დავიხურე.

— სადა, შვილო? — მკითხავდა განცვიფრებული მამაჩემი.

— სადა და შინ, ჩვენსა.

— მერე შენი ცოლი?

— მარგალიტაც კმაყოფილი დაგვრჩება, ნუ გეშინია.

წამოდგა საწყალი კაცი და კანკალით უკან გამომყვა. მარგალიტა დუქანში იყო. გავედით და ვუთხარი:

— დედაჩემს ძალიან ნდომებია პეტრეს ნახვა. ხელად ავირბენ და სადილად ისევ შინა ვარ.

მარგალიტას ფერი ეცვალა: გაგონილი ჰქონდა დედიჩემის ლანძღვა და წყევლა, მაგრამ კეთილი გულისა იყო და სიმართლის მიმდევარი:

— წადი! დაე დარწმუნდეს დედაშენი, რომ ჩვენ იმისავით გულქვანი არა ვართ. დაე დარწმუნდეს, რომ შენი მშობელი დედა ყოველთვის პატივცემული იქნება ჩემგან.

ეს რომ გაიგონა მამაჩემმა, მივარდა, ორივე ხელები დაუჭირა მარგალიტას, თითქო რიღასიც თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ უთხრა და მაშინვე გზას გავუდექით. კარგა ხანს შემდეგ, როდესაც ჩვენი სოფლის აღმართს შევუდექით, ამოიღო ხმა: მარგალიტას აქებდა, ლოცავდა და თან ცრემლს იწმენდდა. მე არაფერს ვუპასუხებდი, რადგან დარწმუნებული არ ვიყავ, რომ კარგად მიმიღებდა დედაჩემი.

შევედით სოფელში, შევიარეთ დიდი ქუჩა, გვერდს გავუარეთ ნათლიაჩემის დუქანს, ისე რომ არსად გავჩერებულვართ. ქუჩაში არავინ იყო, რადგან ყმაწვილკაცობა სულ ჯარში იყო გასული და სხვანი კიდევ თავიანთი ურმებით ჯარების ბარგსა ზიდავდნენ; სოფელში მოხუცებულების და ქალ-ყრმათა გარდა აღარავინ მოიპოვებოდა ყანების მოსამკალად.

მოხუცებული დედაჩემი დილიდან საღამომდე მატყლს ართავდა და მითა შოულობდა ცოტა რამ გროშებს. მამაჩემი ძველებურად კალათებს სწნავდა და ყიდდა; ახლა კლოდი, მატურინი და მე ვშველოდით და აღარა უჭირდათ რა საწყალ მოხუცებს. სიბერე ბრძანეთ. ადამიანის გამტეხი და დამაღონებელი სიბერე, თორემ ისე კარგად თავის დღეში არა ყოფილან ჩემი მშობლები!

მშვენიერი დარი იდგა. აქეთ-იქით ბაღებში მეტი სხმისაგან, ტოტები ემტვრეოდა ვაშლს, მსხალს და ჭანჭურს, სწორედ ისე, როგორც ჩემს პატარა ბიჭობაში მახსოვს, როდესაც მე, ნიკო, კლოდი და ლიზა ფეხშიშველნი დავრბოდით ორღობეებში და ღობეზედ გადმოწვდილ ტოტებს ხილს ვაყრევინებდით. მომაგონდა ჩემი ბავშვობა, მომაგონდნენ ამხანაგები, რომელთაგან ბევრმა უკვე თქვენი ჭირი წაიღო და გულმა კვნესა დამიწყო.

დედაჩემი გარეთ იჯდა. კვირა დღე იყო, ახალი კაბა ჩაეცვა და ფეხსაცმელი. იჯდა და ლოცვანს კითხულობდა. ჩვენი ფეხის ხმა

რომ შეესმა, გადმოგვხედა, მაგრამ არ გაინძრა. მეგონა, ისევ მიჯავრდება-მეთქი, მაგრამ ძალიან შევცდი: დაინახა თუ არა ბავშვი, წამოიწია, ადგომა ვერ მოახერხა და ხელები გამოგვიწოდა, თითქო გვევედრება — ჩქარა მომეცით ეგ პატარა, რომ გულში ჩავიკრაო. ხმის ამოუღებლივ მივეცი ბავშვი, რადგან ისე მიცემდა გული, რომ ლაპარაკი აღარ შემეძლო. აიყვანა, დაჰკოცნა და ცრემლი წასკდა.

— მოდი, შვილო, შენც გაკოცო, — მითხრა ბოლოს, როდესაც გული მოიბრუნა, — ეს არის, ეხლა თქვენზედ ვფიქრობდი, ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა. ალბად, ღმერთმა მისმინა და მოგავლინა ჩემს დასამშვიდებლად, თორემ ძალიან მეძნელებოდა თქვენსა ჩამოსვლა და შენი ურჯულო ცოლის ნახვა.

გადამეხვია და მაკოცა.

მერე ბავშვი გაატიტვლა და ჩასუქებული ზორბა ბიჭი რომ დაინახა, ისე გაიხარა, რომ ყვირილი დაიწყო:

— ქალო, მარიამ! გერტრუდა! არ გესმით, ქა?! მოდით, ჩემი შვილიშვილი გაჩვენოთ! ჩემი მიშელის ბიჭი! ერთი უყურეთ ამ ანგელოზს, ამას! გენაცვალეთ, ჩემი ნიკოა, ენაცვალოს იმას დედა, პირწავარდნილი ნიკოა!

მოვიდნენ დედაკაცები, ყველამ ბავშვს დაუწყო სინჯვა და ალერსი. ვიცინოდით, ვხუმრობდით; ყველაზე მეტად დედაჩემი იყო მხიარული: ბავშვს უღიტინებდა, ეხუმრებოდა, უალერსებდა და ისე უხაროდა იმისი სიცილი, თითქო ამ ქვეყნად ამაზედ უკეთესი არა სცოდნოდეს რა. ცოტა ხანს უკან მოხუცებული სენტილერიც მოვიდა თავისი ხის ფეხით.

— კეთილი გულისა ყოფილხარ, მიშელ, მეუბნებოდა დედაჩემი, კარგი ქენ, რომ ეს ბიჭი მაჩვენე.

მამაჩემი ფიცავდა, ასე მხიარულად ჩემს დღეში არსად მინახავსო. იმასაც უხაროდა ჩვენი შერიგება და წამდაუწუმ წამჩურჩულებდა:

— აკი გითხარ, იამება-მეთქი! ხედავ, როგორ შესტრფის პატარას.

სამწუხაროდ ისა ჰქონდათ, რომ ბავშვი ჯერ პატარა იყო და ვაშლს ვერ გაკბეჩდა, თორემ ხილით აავსებდნენ.

შუადღემ რომ მოატანა, ბავშვმა ტირილი დაიწყო და დედაჩემმაც იგრძნო, რომ დრო იყო გამოთხოვებისა. ისევ ისე შეახვია, სოფლის ბოლომდე ჩამოგვაცილა და ისეთი ამაყად, ამპარტავნად მოჰყავდა თავისი შვილიშვილი, იტყოდით, ქვეყანა ამას დარჩენიაო.

ვეხვეწე, ჩვენსა წამოდი-მეთქი, მაგრამ არ ინდომა:

— მერე ოყოს, მიშელ, მერე!

მამაჩემიც მიჩურჩულებდა, ნუ აუტყდები, არ გაგიბრაზდესო. ბოლოს გამოგვეთხოვა, ბავშვი მომცა და მითხრა:

— ახლა კი ჩქარა წადით, თორემ ძუძუ უნდა მაგ საწყალს.

კარგა ხანი იდგა ერთ ალაგს და გვიყურებდა. შორიდან ერთხელ კიდევ დამიყვირა:

— არ დამივიწყო, მიშელ! ჩქარა მნახეთ!

მეც თავი დავუქნიე, ბატონი ხარ-მეთქი.

ასე კი შევურიგდი დედაჩემს. მარგალიტაც ძალიან კმაყოფილი დარჩა, ეს ამბავი რომ გაიგო. ახლა კი რიგზედ იყო ყველაფერი და ადრე იქნებოდა თუ გვიან, დედაჩემი გაბედავდა და ჩვენსაც ჩამოვიდოდა. მეცა და მარგალიტასაც გადაწყვეტილი გვქონდა, კრინტიც არ დაგვეძრა წარსულზედ. ან რა უნდა გვეთქვა? თუ კი საწყენის მეტს ვერას ეტყვი კაცს, ისა სჯობია თევზივით წყალი ჩაიყენო პირში და გული არ მოუკლა. თუ არა და დღეანდელი ვარამი არ გვეყოფა, რომ გუშინდელიც ზედ არ დავურთოთ?

მართლაც და იმოდენა ვარამი მოჰქონდა თან დროებას, რომ წარსული აღარავის აგონდებოდა. აგერ სამი თვე სრულდებოდა, სრულიად უძრავად იდგნენ ჩვენი ჯარები. აღარც ტანისამოსი ჰქონდათ, აღარც იარაღი, აღარც ტყვია-წამალი, ღირსეულს წინამძღოლებს ვიღა ჩივის, ქვეყნის მფარველ კომიტეტში კარნოს ადგილზე ობრი ჩააყენეს და ის კიდევ მისდგა და, საცა კი ხელი მიუწვდა, ყველგან გადააყენა რესპუბლიკელი წინამძღოლნი და მათ მაგიერ მეფის მომხრენი დანიშნა.

მართებლობას ჯერ არ გამოეცა ბრძანება, რომ ნახევარი ხარჯი ხალხს შეეძლო მოსავლით გადაეხადა, — თივით, ქერით, ბზით, პურით, — ისე რომ რესპუბლიკა ყველაფერს ყიდულობდა და რადგან ფული არა ჰქონდა, ასიგნაციებს ავრცელებდა, რომელსაც არავითარი ფასი აღარა ჰქონდა ხალხის თვალში.

შემოდგომას ფალსბურგი ჯარებით აივსო და ჩვენმა ვაჭრობამაც თვალსაჩინოდ იმატა. გაჩქარებულნი მიდიოდნენ ჯარები სტრასბურგისკენ და მთელი დღე ნაღარა-საყვირის ხმა და მარსელური სიმღერა ისმოდა ქალაქში.

ჯარისკაცნი ზოგნი კიდეც მცნობდნენ: გაჩერდებოდნენ და ხელს ჩამომართმევდნენ. თრთოლა ამიტანდა ხოლმე ნაღარის ხმას რომ გავიგებდი და ვფიქრობდი: მოდი, ავიღებ ჩემს თოფს, წამოვიკიდებ გუდას და მეც ჯარს გავყვები-მეთქი. მომაგონდებოდა წინამძღოლების ბრძანება: ხიშტი მაგათ, ბიჭებო, ხიშტი! და ძაგაძუგს დამიწყებდა გული. მაგრამ რა? გადავხედავდი ჩემს ბიჭიკოს, დამიმშვიდდებოდა გული, ლოკოკინასავით ჩავიმალებოდი ჩემს ოჯახში და ძალი-

ანაც მიხაროდა, რომ საძსახურისთვის უვარგისადა მცნეს და დამიოხოვეს. ესეც რომ არა ყოფილიყო, ვინ იქნებოდა გიჟი, რომ თავი შეეკლა იმ რესპუბლიკისთვის, რომელიც რესპუბლიკას ღალატობდა! ჩვენც რომ დავიხოცნეთ, ვიღა დარჩება, — ფიქრობდნენ პატრიოტები, — მეფის მომხრენი და დიდებულნი თავიანთი მოსამსახურეებით, ეპისკოპოსები და ბერები თავიანთი გარყვნილებით და ფარისევლობით! ქვეყანას ბატონი აღარავინ ეყოლება, სამეფო ტახტზედ ლუი XVIII ააბრძანებენ და კვლავ გააბატონებენ უგანათლებულეს თავად არტუას და სხვა ბრწყინვალე თავადაზნაურობას.

ოქროს ვინა ჩივის, ვერცხლის ფულიც ძნელი საშოვარი გახდა. ხუთ მანეთიანი ოქრო ასიგნაციებად ოთხმოც თუმნად ფასობდა და კიდეც რომ მოეტანა ვისმე, ხურდას ვერ მივცემდით. შავ ფულზედღა ტრიალებდა ვაჭრობა; მოვაგროვებდით ხოლმე ერთი კვირის დახლს, სულ შავ ფულს, მანეთ-მანეთად შეკრულს ჩავალაგებდით ყუთში და ისე ვუგზავნიდით სიმონს, რომელიც სამაგიეროს ან ბარათით გვიგზავნიდა ან არა და საჭირო საქონლით.

მას შემდეგ რაც პარიზში ხალხი დამარცხდა, მართებლობა სრულიად უყურადღებოდ სტოვებდა მრავალგვარ უწესოებას, რომლითაც მეფის მომხრენი რესპუბლიკის დამხობას ცდილობდნენ. მეფის მომხრენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ძალა იმათკენ იყო და აღარაფერს მალავდნენ; გაზეთებში რესპუბლიკის ლანძღვასღა ბეჭდავდნენ, კლუბებში რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყებასღა ქადაგებდნენ. ჩვენში ხომ იმისთანა ავაზაკობა გაჩნდა, რომ ძველთაგანაც კი არავის გაეგონა ისეთი საშინელება; მგზავრს ვეღარ გაევლო გზაზედ და დილიჟანსს: დაუხვდებოდნენ ჩასაფრებული ყაჩაღები და დედიშობილად სტოვებდნენ ყველას, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს. სახლშიც ბევრს უცვივდებოდნენ, სადაც კი ფული ეგულებოდათ; მოხუცებულ ლეიზერს შესცვივნიყვნენ მიტტელბრონში და ისე შეეშინებინათ, სადა გაქვთ ფულიო, რომ შიშით მომკვდარიყვნენ ცოლიცა და ქმარიც. საშინელი შიშიანობა იყო და ჩვენი ბაპტისტი ისე არ წავიდოდა თავისი დილიჟანსით სტრასბურგს, რომ ერთი წყვილი დამბაჩა არ გაერჭო ქამარში: კარგი ხმალი და გატეხილი თოფიც კიდევ თივაში ჰქონდა ხოლმე ჩამალული. ერთხელ ხმა გავარდა, ავაზაკები აქვე ჩვენს ახლო დათარეშობენო, და ბაპტისტმაც ვეღარ გაბედა სიმონთან ჩემი ამანათის წაღება: ღამდება, რა ვიცი როგორ იყოს საქმე, მაგოდენი ფული როგორ ვიტვირთოო?

სხვა გზა არა მქონდა, ავდექი და საევრნამდის მე ჩავაცილებ-გვერდით ვუჯექი ბაპტისტს და თოფი ხელში მეჭირა. იმ ღამეს რომ შეგვყროდნენ სადმე ყაჩაღები, მე ვიცოდი, როგორც დავუხვდებო-

დი, მაგრამ არავინ დაგვხვედრია და სავერნამდის მშვიდობით ჩავედით. სავერნიდან იმავე ღამეს ფეხით წამოვედი, რადგან არ მინდოდა მარგალიტა ჩემი უამბობით შემეწუხებინა. ამას ივიტომ მოგახსენებთ, რომ უკეთ დაგიხატოთ, რა ყოფაში ჩააგდეს მეფის მომხრეებმა ჩვენი ქვეყანა. შევაწუხებთ, საქმეს გავუჭირვებთ და იქამდის მივიყვანთ, რომ თვითონ ხალხი თხოულობდეს მეფესაო, ფიქრობდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომელნიც თავის დღეში ვერ გაბედავდნენ ნიღაბი მოეხადათ და პირდაპირ ეღიარებინათ — ჩვენ რესპუბლიკელნი კი არა, მეფის მომხრენი ვართო, რადგან იცოდნენ, რომ ჯარი ამას არ მოუთმენდა და სასტიკად დასჯიდა მოღალატეთ.

კონვენტმა თერთმეტი კაცი ამოირჩია კომისიაში და იმათ მიანდო ახალი კონსტიტუციის შედგენა. წარმოიდგინეთ, რა უნდა ყოფილიყო მეფის მომხრეთაგან შედგენილი კანონები?!

ეს ახალი კონსტიტუცია გამოაცხადეს 17 მარიამობისთვეს 1795 წელს. იგი აღიარებდა უპირველეს ყოვლისა, რომ საზოგადოება საკუთრებაზედ არის დამყარებული და მაშასადამე, ვისაც მემკვიდრეობა არა ჰქონდა რა ან მამული ან ფული, ან კიდევ, ვინც ყოველი ღონისძიებით არა ცდილიყო და ფული არ ეშოვა, ის არც თავისი ქვეყნის შვილი იყო და არც რაიმე უფლება ჰქონდა სამშობლო ქვეყნის მართვა-გამგეობაში. პატიოსნება, ნიჭი, სამშობლოსათვის თავგანწირვა და ყველა სხვა სათნოება აღარაფერი იყო! ბურთი და მოედანი ფულს დარჩენოდა!

შემდეგ ამისა ერის წარმომადგენელთა არჩევანს შეეხებოდა ეს კონსტიტუცია. ახალი კანონის ძალით ხალხი ირჩევდა ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ თ, ორას კაცზედ ერთს: ამომრჩეველთა არჩევანში მარტო იმას ჰქონდა ხმა და კენჭი, ვინც სახელმწიფო ხარჯს იხდიდა; ამომრჩეველნი კიდევ თავიანთ შორის დეპუტატებს ირჩევდნენ. ამომრჩეველად ან დეპუტატად ყოფნა იმას შეეძლო, ვინც სახელმწიფო ხარჯს იხდიდა არა ნაკლებ ორასი მუშის ფასისას.

სანთლითაც რომ გვეძებნა, ვერსად ვიპოვიდით ჩვენს მთებში ასეთ შემძლებელთ და, მაშასადამე, ჩვენს წარმომადგენელად საერო კრებაში ისინი უნდა გაგვეგზავნა, ვინც პრუსიელებს და ავსტრიელებს საფრანგეთისკენ გზას უკვლევდნენ და მეფეს ტახტს უმზადებდნენ. ტყუილად კი არა სძულდათ მარატს, დანტონს, რობესპიერს და სხვა მთიულთ ჟირონდელები: იმავ თავითვე სულ იმას ცდილობდნენ, რომ ხალხს თავისი გამარჯვებით არ ესარგებლა და არავითარი უფლება არ შეეძინა.

ერთი კრებულის მაგივრად ახალი კონსტიტუცია ორს აწესებდა: კრება — ხნიერთა, რომელშიც ორას ორმოცდაათი წევრი უნდა

ყოფილიყო, არა ნაკლებ ორმოცი წლისა; და კრება ერის წარმომადგენელთა, რომელშიც ხუთასი დეპუტატი უნდა ყოფილიყო. ერის წარმომადგენელთა კრება განსჯიდა ყოველ კანონს, მაგრამ მის მიღება, ესე იგი, გაკანონება, ან დაწუნება კი მარტო ხნიერთა კრებას შეეძლო. ქვეყნის მფარველი კომიტეტის ნაცვლად „გამგეობა“ დააწესეს, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგებოდა; გამგეობა ვალდებული იყო აღსრულებაში მოეყვანა კანონები; ამისთვის იგი თავის ნებით ნიშნავდა მინისტრებს, პირდაპირ მიმართავდა უცხოეთს ყოველი სახელმწიფო საქმისა გამო და, გარდა ამისა, სრული მბრძანებელი იყო ჩვენი ჯარებისა.

93-ში რომ გენახათ ეს ვაჟბატონები, თავს შეგაბრალებდნენ თავის გოდებით — რესპუბლიკის მომხრენი ვართ, სულით და გულით მისი კეთილდღეობა გვინდა და ხედავთ, რას გვიშვრებიან ჩვენი მტრებიო? და ორი წლის შემდეგ კი სწორედ იგივე კანონები უწყალობეს საფრანგეთს, რაც მეფე ლუი XVI დროს იყო:

1) მაშინ თუ მარტო მეფეს შეეძლო ეთქვა, სამაზრო პარლამენტისთვის, მ ე ვ ა რ დ ა ა რ მ ი ნ დ ა ო, ეხლა ესევე უფლება ხნიერთა კრებას ჰქონდა მინიჭებული.

2) მაშინ თუ მეფე ირჩევდა მინისტრებს, ეხლა „გამგეობას“ ჰქონდა ეს უფლება, ესე იგი, ხუთ კაცს.

3) როგორც მაშინ მარტო მეფეზედ იყო დამოკიდებული ომის ატეხა, ისე ახლა მარტო გამგეობას ჰქონდა ეს უფლება.

4) როგორც უწინ, ისე ახლა სამშობლოს ბედს მარტო შემძლებელნი განაგებდნენ და დანარჩენნი „უხმოდ“ იყვნენ ჩარიცხულნი.

5) როგორც 89-დე იყო, ისე ეხლა, თავის წარმომადგენელს ხალხი კი არა, მისგან არჩეული ამომრჩეველნი ირჩევდნენ. გამგეობის, ესე იგი, ხუთი კაცის ნაცვლად რომ ერთი კაცი დაენიშნათ, სხვა აღარა აკლდათ რა მეფის მომხრეთ! ეს იმას ნიშნავდა, რომ რევოლუციას ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ და გამარჯვებულნი ის მეფენი და ხელმწიფენი ბრძანდებოდნენ, რომელნიც დამარცხებულნი იყვნენ რესპუბლიკის ჯარებისაგან.

მიუხედავად ამისა, ხალხმა დიდი უმრავლესობით მიიღო ეს კონსტიტუცია. რა ექნათ? იმისთანა გაჭირვებაში ვიყავით ყველანი, რომ ამაზედ უარესსაც მივიღებდით, ოღონდ ცოტა მოსვენებას ვღირსებოდით. ფალსბურგში მარტო მე, კოლენმა, მანკმა, გენტიმ და ხუთმა თუ ექვსმა სხვა პატრიოტმა გამოვაცხადეთ უარი მის მიღებაზედ.

მაგრამ ესეც არ გვაკმარეს და, რადგან ეშინოდათ, თავის წარმომადგენელად ხალხმა ვაი თუ სულ რესპუბლიკელნი აირჩიოსო. გამოაცხადეს: ერის წარმომადგენელთა კრებისთვის, ხუთასიდან სა-

მას ორმოც დეპუტატს თვით კონვენტი აირჩევს თავის წევრთა შორის და დანარჩენი ას სამოცი ხალხმა გამოგზავნოსო. დიდი ალიაქოთი ასტეხა ამ განკარგულებამ, დიდი უსიამოვნება ჩამოაგდო მეფის მომხრეთა შორის და ძალიანაც აცინა ყოველი კეთილსინდისიერი კაცი: ბევრი დიდებული ცდილობდა დეპუტატობას და რაკი ამ დადგენილებისა გამო იმედი გაუცრუვდათ, ერთი ვაი-ვაგლახი ასტეხეს:—კონვენტმა შელახა ხალხის უფლებანიო! მაშინ გამოჩნდა, რა კაცებიცა ბრძანდებოდნენ ეს ვაჟბატონები, რომელთაც პირადობის გარდა არა სწამთ რა და საკუთარ პარტიასაც კი გადუდგნენ, რაკი ნახეს, რომ უპირველესი ალაგები მათ არ შეხვდებოდათ. რაც კი პარიზში მოქეიფე დიდებული ყმაწვილკაცობა იყო და მდიდარი ვაჭრები, აჯანყდნენ და ცუდად იქნებოდა კონვენტის საქმე, რომ ამ გაჭირვების დროს იაკობელებისთვის არ მიემართა საერო კრებას და იარაღი არ დაერიგებინა ხალხისთვის აჯანყებულთა დასამშვიდებლად.

იაკობელებსაც ეს უნდოდათ. რობესპიერის მოკვლის შემდეგ სულ იმასა ნატრობდნენ, ნეტავი ჯავრი ამოგვაყრევინა როგორმეო. კონვენტის ზოგ-ზოგი მოხუცებული წევრი კარგად ხედავდა ამას და, თუმცა ყმაწვილკაცობა თავისკენ იწევდა სახელმწიფო ქადას და მოხუცებულები თავისკენ, მაინც ერთნი იყვნენ და... ყმაწვილებისა მარტო დასჯა და დაშინება უნდოდათ, და არა სიკვდილი. მოხუცებულები კარგად ხედავდნენ, რომ ყმაწვილების ადგილზე თითონაც სწორედ ასევე მოიქცეოდნენ! ამიტომ ბრძანება მისცეს გენერალ მენუს, ფრთხილად იყავ და სისხლი არ დააქციოო. ისიც ისე ფრთხილად იყო, რომ პირობა ჩამოართვა აჯანყებულთ — დავიშლებითო, და თავისი ჯარით უკან გაბრუნდა.

საქმე ამით უნდა გათავებულიყო, მაგრამ აჯანყებულთ რომ ნახეს ჯარის გაბრუნება; იფიქრეს, ძალიან შინებია ჩვენი კონვენტსაო და, არა თუ არ დაიშალნენ, წინაც წაიწიეს. მაშინ მწუხარებით აღსავსე კონვენტმა გენერლობა მენუს მაგივრად ბარრას უბოძა და მან კიდევ თავის თანაშემწედ ერთი ყმაწვილი, რობესპიერის მომხრე, იაკობელი, მამულიშვილი ბონაპარტი დანიშნა; ბონაპარტი მენუსავით ფრთხილი არ გამოდგა: იცოდა, რომ გარეუბნელებს ძველი ჯავრი სჭირდათ აჯანყებულ დიდებულების და მდიდარი ვაჭრებისა და იარაღი დაურიგა. წამოუძღვა წინ გარეუბნელებს და ისე გახადა აჯანყებულნი, რომ კუდით ქვა ასროლინა. კონვენტი ძალიან სწუხდა და გლოვობდა თავის უძღებ შვილთა სისხლის ღვრას, მაგრამ რას იზამდა, ჭკუა უნდა ესწავლებინა ყმაწვილკაცობისათვის. ხუთასი კაცი მეტი მოკვდა იმ დღეს და საღამოს ცხრა საათზედ სრულიად დამშვიდებული იყო ქალაქი.

ეხლა კი ისე სასტიკად არ მოექცა კოხვენტი აჯახყებულთ, როგორც უკანასკნელად მაისში აჯანყებულ ხალხს. პირიქით ძალიან ტკბილად და დიდსულოვნად მოეკიდა ყველა დაჭერილებს და ორი კაცი დახვრიტა მარტოდმარტო; კალედონიაში ხომ სულაც არავინ გაგზავნა. ან როგორ დაესაჯა? სულ თავისი ღვიძლი შვილები იყვნენ, სულ მეფის მომხრენი, და დამნაშავენი მარტო იმაში იყვნენ, რომ ძალიან ეჩქარებოდათ ხელი ჩაეყოთ სახელმწიფო ხაზინაში და ჯიბეები დაეტენათ. ამისთვის როგორ დაესაჯათ იმდენი ყმაწვილკაცობა?

იაკობელებმა თოფ-იარაღი მიიღეს. განა არ შეეძლოთ ეს იარაღი კონვენტის წინააღმდეგ მოეხმარათ, მაგრამ რიღასათვის? გული გატეხილი ჰქონდათ და იმედი ჩამქრალი. ვინც უყვარდათ, აღარა ჰყავდათ, სულ მკვდრები იყვნენ. კაცი აღარა ჰყავდათ, რომ დაეყენებინათ დანტონის, დემულენის, რობესპიერის, სენჟუსტის ალაგას. ლეჟანდრს, ტალიანს, ფრერონს და სხვებს რობესპიერის მოკვლის შემდეგ, აღარავის პატივისცემა აღარა ჰქონდა.

მთელი ჩვენი ყურადღება პარიზზედ იყო მიქცეული და სალაპარაკოდ ეს აჯანყებაღა გვქონდა, მაგრამ ამ დროს მეომარმა რაზმებმა ჩვენკენ წამოიწიეს და პარიზიც დაგვავიწყეს და აჯანყებულთა დაუსჯელობაც. ყველგან სამხედრო მზადება იყო, როგორადაც 92-ში, და დილით საღამომდე შეუწყვეტლივ მიმდინარეობდნენ ჯარები; ზოგი ალპიდან მოდიოდა, ზოგი ვანდედან, რადგან ომი ყველგან გათავებული იყო და მარტო ჩვენს მხარეშიღა მაგრობდა მტერი. იმდენი ხალხი ირეოდა ჩვენს დუქანში, რომ ვერც კი ვასწრებდით ყველა დაგვეკმაყოფილებინა.

ის იყო სადილად დავსხედით. მარგალიტამ წერილი მომაწოდა და მითხრა:

— ამ დილით მოიტანეს. მგონი ვიღაცა ვანდელი ჯარისკაცი გწერს, გთხოვს ფენეგტრანში დამხვდი, შენი ნახვა მინდაო; მაგრამ აქ იმოდენა საქმეა, რომ შენი წასვლა შეუძლებელია.

შევხედე: ჩემი ძველი მეგობრის ივანე სომის წერილი იყო. ჩვენი რაზმი მაინცისკენ თურმე მიდიოდა და საწყალ მოხუცს არ დაზარებოდა თხუთმეტი ვერსი მეტი გადმოეხვია გზიდან მარტო იმიტომ, რომ ერთს წამს ვენახე და მოვეკითხე.

რომ წავიკითხე ეს ამბავი, ფერი მეცვალა და მარგალიტას ვუთხარი:

— არ შეგეძლო მაშინვე გეჩვენებინა, როდესაც მოგვიდა? ხომ შვიდ საათზედ მიიღე ეს წერილი, რას ფიქრობდი, რომ მიმალავდი? გულითადი მეგობარი, რომელთანაც ერთად ვიბრძოდი, ჩემს სანა-

ხავად თავის რაზმს დასცილებია, ამოდენა მანძილი გამოუვლია, და შენ წერილსაც არ მაჩვენებ? რას იტყვის საწყალი მოხუცი, დანიშნულს ადგილზე რომ ვერა მნახავს?

— მე მეგონა ლოთია ვინმე და ისა გწერს, — მიპასუხა მარგალიტამ.

თრთოლამ ამიტანა ეს რომ გავიგე. ისე ავშფოთდი, რომ ხმა ვეღარ ამოვიღე. სწორედ ამ დროს უნდა გაევლო ფენსეტრანგისკენ მიმავალს დილიჟანს. წამოვავლე ქუდს ხელი და გარეთ გავვარდი. გავაჩერე დილიჟანსი. ჩავჯექი, მაგრამ გროში არა მქონდა ჯიბეში. კარგა ხანი ვიჯექ გაჩუმებული, რადგან მღელვარებისაგან ხმა ვერ ამომეღო. და რადგან მეეტლე გაშტერებული მიყურებდა, დავმშვიდდი როგორც იყო, და დაწვრილებით ვუამბე ჩემი მწუხარება.

— ეგ არაფერი, ჩემო მიშელ, მაგისთვის გულს როგორ იშფოთებ! გაჯავრებით კი კარგი გიქნია, რომ გასჯავრებიხარ: დედაკაცისთანა უგულო არ იქნება რა! ოღონდ კი გათხოვდეს და, თავისი ქმარ-შვილის გარდა, თუნდა სულ წარღვნამ წალეკოს ქვეყანა!

და განაგრძო ამ კილოთი ლაპარაკი. მე ყური აღარ ვუგდე. კარგა ხანს შემდეგ ვეშაპის აღმართს რომ შევუდექით, რაკი ვნახე, რომ ძლივსღა მიდიოდა დილიჟანსი, ლოდინი ვეღარ შევძელ, მეეტლეს ცოტა რამ ფული ვესესხე, ჩავხტი და ირემივით შევუდექ მთას; პირდაპირ გადავჭერ, ბილიკით. მივრბოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ძლივსღა ვსუნთქავდი და ჭირის ოფლს მასხავდა ფიქრი, რომ საწყალი ივანე იქნება კიდეც მივიდა დანიშნულ ადგილზე და, რაკი იქ არ დავხვდი და ლოდინი არ შეეძლო, წავიდა კიდეც ჩემზედ გამწყრალი. ისე ავიარე მეტტონი, დრულინგენი და რამდენიმე სხვა სოფელი, რომ ერთს წამს არსად გავჩერებულვარ. სამი საათი იქნებოდა, როდესაც ფენსეტრანგში მივედი, შევარდი დუქანში და დახლიდარს ვკითხე:

— იქნება წავიდა კიდეც?

— ვინა?

— ვინც მე მელოდა.

— მოხუცებული ჯარისკაცი?

— დიაღ.

— კარგა ხანი გელოდა, მაგრამ, ერთი საათი იქნება რაც წავიდა.

ძალიან მეწყინა: საწყალი ჩემი სომი! იმ სიშორეზე ამოვიდა და მე კი აქ არ დავხვდი! რა წელმოწყვეტილი წავიდოდა!

სადილი იქვე დუქანში გიახელით; იქვე დავწერე ჩემს მეგობართან წიგნი და დაწვრილებით ავუხსენ ჩემი დაგვიანების მიზეზი. წერილი მევე ჩავიტანე ფოსტაში. დაღონებული, გაჯავრებული გა-

მოვრბოდი შინისკენ; ტყუილი უთქვამს, ვისაც დედაკაცის გულჩვილობა უთქვამს: დედაკაცი თავმოყვარეა და ასე ჰგონია, ჩემს მეტი არავინ არ უნდა უყვარდეს მამაკაცსო.

ფალსბურგში ძალიან გვიან მივედი. ქალაქის კარი დაკეტილი იყო და ბევრი ვუყვირე, მანამ მეკარე გაიღვიძებდა და კარს გამიღებდა.

ჩვენს დუქანთან რომ მივედი, სინათლე დავინახე დარაბებიდან. კარი დავარაკუნე და მაშინვე მარგალიტა გამოვიდა. თვალები დაწითლებული ჰქონდა, ეტყობოდა ბევრი ეტირა. მინდოდა ბოდიში მომეხადა, რომ ისე გაჯავრებული წავედი, მაგრამ ისე გაეხარდა ჩემი მოსვლა, რომ ხმაც არ ამომაღებინა და პირიქით, თითონვე აღიარა თავის შეცდომა. მეგონა გაჯავრებული იქნება-მეთქი ჩემზედ, მაგრამ ბოდიში თითონვე მოითხოვა და მას შემდეგ უფრო პატივისცემით მექცეოდა, ვიდრე მანამდე.

უნდა იცნოთ ქალის გული, რომ უკეთ დაიმორჩილოთ. ქალს დაურიდებელი, პირში მთქმელი კაცი უყვარს, რომელიც ყოველთვის პირდაპირ ეტყვის თავის შეხედულობას; ქალს მარტო მაშინ უნდა შეუხირდეს კაცი, როდესაც დარწმუნებით იცის, რომ მართალი თითონ არის; თუ ერთი გამტყუნდა, წასულია იმის საქმე: ისე დაამცირებს, რომ ფლოსტში ჩაკუმშავს და სულ ასკიკუკას ათამაშებს.

ამ ამბავმა უფრო დამიტკბო მარგალიტა. ის დღე იყო და ის: დილით წერილებს მე ვხსნიდი და ბრძანებას და განკარგულებას მე ვაძლევდი; რასაკვირველია, მარგალიტას დავეკითხებოდი ხოლმე, როცა სამძიმო საქმე გამოჩნდებოდა რამე.

ეს ყველა კარგი, მაგრამ ივანეს რომ ვერ დავხვდი, ეს კი ძალიან მაწუხებდა, რადგან ომი თანდათან ცხარდებოდა და იქნება ისე მომკვდარიყო სადმე, რომ მკვდარიც ვეღარ მენახა. ჟურდანი რეინს გავიდა თავისი ჯარით და მარჯვენა ნაპირს აჰყვა. ყველას გვეგონა, პირობა შეუკრავთ და, ახლა პიშეგრუ გავა წყალს, რომ ერთად დაეცნენ მტერსაო. სულ იმის მოლოდინში ვიყავით, შეერთებული ჩვენი ჯარი დაეცემა მტერს და წინ გაირეკსო; მაგრამ აგერ სამი კვირა გადიოდა, და პიშეგრუ არც კი იძროდა. ჟურდანი ამ დროს პიშეგრუს იმედით წინ მიიწევდა და ერთხანად ძალიან საშიშ ყოფაშიაც იყო, რადგან ორივე მხრიდან მტრის ჯარებს შუა მოექცა. იჭვი აღგვიძრა პიშეგრუს საქციელმა, — აქაც ხომ ღალატი არ არისო, და ბოლოს რწმენადაც გადაგვექცა, რომ, თუ არ მოღალატე, ისე უმწეოდ ჟურდანის ჯარს კაცი არ დასტოვებდა. ბოლოს ხმა გავარდა, პიშეგრუ დაიძრა, რეინს გავიდა და მანჰეიმი აიღო უომრადო. მთელი ალზას-ლორენი გამარჯვებას ხარობდა. ის-ღა გველანდებოდა ყვე-

ლას, რომ ჟურდანი და პიშეგრუ შეერთდებიან ჰეიდელბურგში, მტრის ჯარს ორად გაჰყოფენ და ჯერ ერთს დაამარცხებენ, — მერე მეორეს. ძნელი კი არ იყო ამ ოცნების განხორციელება: პიშეგრუს რომ წინ წაეწია მთელი თავისი ჯარით, ჰეიდელბურგი ჩვენი იყო. მაგრამ სულ სხვანაირად მოიქცა: ჯარი გააჩერა და ჟურდანისკენ მარტო მცირე ორი რაზმი გაგზავნა, რომელიც მტერმა შეიმწყვდია და შემუსრა. ჰეიდელბურგი გამარჯვებულ მტერს დარჩა. ჟურდანი იძულებული შეიქნა რეინს უკანვე გამოსულიყო, თორემ გზას შეუკრავდნენ. ამის გამგონე პიშეგრუც უკანვე დაბრუნდა, ოღონდ გალმა მანჰეიმში სრულიად უსაფუძვლოდ დასტოვა ცხრა ათასი კაცი, რომლებიც ტყვედ დარჩა მტერს.

ამ ხნის განმავლობაში ათასობით მოჰქონდათ ჩვენსკენ დაჭრილები. საავადმყოფოებში ნახევარიც ვერ დავტიეთ და კერძო სახლებში ვაწვენდით. მოქალაქეებმა ათხოვეს ლოგინი. ვინც პირველად ხედავდა დაჭრილებს, გულგახეთქილები იყვნენ იმდენი სისხლით და ტანჯვა-კვნესით; უკვირდათ: ომის ამბებს რომ იწერებიან გაზეთებში, სულ ათს, ოცს კაცს ასახელებენ მოკლულს და დაჭრილს და, რა ღვთის რისხვა იყო, ამდენი ხალხი სად დაიჭრაო? ის კი არ იცოდნენ, რომ გენერლები, ათასი კაცი რომ მოჰკდომოდათ ბრძოლაში, თავიანთ მოხსენებაში ათსა სწერდნენ და ასე ატყუებდნენ საზოგადოებას.

ერთ დილას, როდესაც დუქანი გავაღე, რამდენიმე ურემი კიდევ შემოვიდა დაჭრილებით. ჩვენს პირდაპირ დახურულ ბაზარში დოშაკები გაეშალათ და ახლა იქ უნდა დაეწვინათ უბედურები, რადგან სხვაგან ადგილი აღარსად იყო. გიორგობისთვის დამდეგი იყო, საკმარისად ციოდა. კიდევ კარგი, რომ სიცივეები დაიჭირა, თორემ ისე მოსწამლავდა ჰაერს იმდენი ხალხი, რომელთაგანს ათში ერთს არა ჰქონდა ჭრილობა შეხვეული, რომ ჭირი გაჩნდებოდა ქალაქში.

ურმები რომ გაჩერდნენ და დაჭრილები გადმოჰყავდათ, სამხედრო აფთიაქის გამგე დაპრეო მოვიდა: ერთ დაჭრილს შენი ნახვა უნდაო. მაშინვე წავედი და დედა ბოძის ძირში, შიგ შუა ბაზარში, ივანე სომი კი დამხვდა დოშაკზედ მისვენებული. ისე გაყვითლებულიყო, ისე ჩასცვივნოდა თვალები, რომ ძლივსღა ვიცანი.

— მე ვარ, მიშელი. ნუ თუ ვეღარა მცნობ?

დავიწიე, მინდოდა მეკოცნა, მაგრამ იმისთანა საშინელი სუნი მეცა, რომ კინაღამ გული წამივიდა და ბოძს მოვეჭიდე. ივანემ ეს შენიშნა და მითხრა:

— ტყვია მაქვს ბარძაყში. იქნება მომიხერხო როგორმე, მიშელ, რომ სხვაგან დამაწვინონ. ჭრილობას მე თითონ შევიხვევ.

ძაშიხვე ვიფიქრე, ‘ძიხ ‘ავიყვახ-ძეთქი, ძაგრაშ იშ საშინელი სუ-ნისთვის რა მექნა?.. ჩემდა სანუგეშოდ მარგალიტა უკან დამდევ-ნებოდა.

— ამ კაცს იცნობ, მიშელ? — მკითხა სრულიად მოულოდნე-ლად.

— როგორ არ ვიცნობ, ეს ჩემი ძველი მეგობარი, ივანე სომია.

ჯარისკაცებს უბრძანა, ჩვენსა აიყვანეთო. ზემო სართულში ერ-თი ოთახი გვქონდა, იქ დააწვინა. მე კი ვეღარ გავუძელ იმ საშინე-ლებას და იქით წავედი.

— ღმერთო ჩემო! საშინელება არ არის, რომ უძვირფასესი მე-გობარი ასე საზიზღრად და გულის ასარევად გამიხადე!

მართალი უნდა თქვას კაცმა, ამისთანებში დედაკაცი მეტისმეტი გულმაგარი და ამტანია: ალბად ღვთის განგებამ მოგვანიჭა იგი ნუ-გეშისმცემლად, თორემ ავადმყოფს მომვლელი არავინ ეყოლებოდა.

მარგალიტას ყველაფერი მოემზადებინა ზემოთ და, სომი რომ მოიყვანეს, სრულიად მზად დახვდა. მე ვერ შევძელ კიბეზედ მაინც მივშველებოდი საბრალოს. ღმერთმა ხომ იცის, ათასი იმისთანა და უფრო უსაშინელესი მინახავს ვანდეში, მაგრამ ზიზღი კი არსად მიგრძვნია. ან როგორ უნდა შემზიზღებოდა ვინმე, როდესაც მეც იმავე განსაცდელში ვიყავ და დღეს თუ არა ხვალ შეიძლებოდა მეც სხვასავით დავეჭერ ერთ უპატრონო ტყვიას და უარესი საზიზღარი გავმხდარიყავ.

ისე გავიდა მთელი ერთი კვირა, რომ მარგალიტას და ექიმ შტე-ინბრენერის გარდა სომის ოთახში არავინ ასულა. მოხუცებულმა ბებიამ დამელმა, რომელიც ლუკმაპურს ავადმყოფების მოვლითა შოულობდა, ვერ გაუძლო იმ სუნს და თავი დაანება ავადმყოფს. ჭრილობას მარგალიტა უხსნიდა, ჰბანდა და უხვევდა. ბოლოს ტყვიაც ამოაცალეს ექიმმა შტეინბრენერმა და მისმა თანაშემწემ პიეფორმა; ხომ კაეივით მაგარი კაცი იყო სომი, და ისე გმინავდა, რომ ქვემოდ დუქანში ვეღარ გავძელ და სხვაგან წავედი.

ერთი სიტყვით, საშინელება იყო იმისი ჭრილობა.

მესამე კვირის დამლევს ჩვენი სომი წამოდგა კიდეც ლოგინი-დან და ყავარჯენზედ დაყრდნობილმა სიარული დაიწყო ოთახში. თან ძველებურად ხუმრობდა:

— ჰა, მიშელ! ერთხელ კიდევ დავახწიე თავი სიკვდილს! ასე ეგონა სულელს, ეს არის ვაჯობეო! მაჯობებდა კიდეც, შენი ცოლი რომ არ მოევლინა ღმერთს! მოვლას ნუ იტყვი შენ, მკვდარს გა-აცოცხლებს შენი ცოლის გაკეთებული შეჭამადი!

მართალსაც ამბობდა: რამდენი უბედური გამოესალმა წუთისო-

ფელს მარტო იმიტომ, რომ მოვლა არა ჰქონდა? მრავალი ხალხი დაიხოცა მაშინ ჩვენს ქალაქში და სულ ერთად ვმარხავდით ახალს სასაფლაოზე. დიდი ხნის შემდეგ, გზა რომ გაჰყავდათ, იმ სასაფლაოს ეკრა დაუწყეს და ძვლები ამოყარეს. განცვიფრებული დარჩა ყველა მნახველი: — საიდან შეარჩიეს სულ ასეთი ყმაწვილი ბიჭები, რომ ერთი არ არის, რომ კბილი აკლდესო.

მართლაც სულ ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, 20 — 30 წლისა.

პიშეგრუსა და უბრწყინვალეს თავად კონდეს ჩუმი მოლაპარაკება ჰქონდათ; პიშეგრუს ჰუნინგის ციხე უნდა დაეთმო მტრისთვის და მერე ერთად მისულიყვნენ პარიზის ასაღებად. პიშეგრუმ ფულის და წარმატების გულისთვის გააწყვეტინა მტერს თავისი ჯარი: მეფის მომხრე იყო და ორი კვირის განმავლობაში ღალატით უფრო მეტი რესპუბლიკელი დაახოცვინა, ვიდრე ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა მოღალატენი და დიდებულნი დახოცა გილიოტინით თვრამეტი თვის განმავლობაში! მოგვდგომიან და უსინიდისოდ ჩვენ კი გვიკიჟინებენ ტერორს! იქნება ჰგონიათ, ჩვენი გლეხკაცი ვირი იყოს და ავისა და კარგის გარჩევა არ იცოდეს? სცდებიან! თუ აქამდე არ იცოდა, და ვისაც მიენდო, ყველამ უღალატა, დღეს კარგად იცის: დღეს ჩვენს გლეხკაცს დიდროვანი და კაზმული სიტყვები კი არა, ჭეშმარიტებაღა უნდა.

ხმამაღლა კი ვერავინ ამბობდა პიშეგრუს ღალატს: ჰოლანდიაში გამარჯვებული გმირი იყო და ძნელი იყო სამშობლოს მასახელებელი შვილი გაგვეწირა და მოღალატედ გამოგვეცხადებინა. მეც დაჩუმებული ვიყავ, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა დუქანში სომი და დაწვრილებით მიამბო ჩვენი ჯარის მოძრაობა, მაშინვე დავრწმუნდი. რომ ორივეს ერთი და იგივე შიში გვიღრღნიდა გულს. იმანაც აღარ დამალა და პირდაპირ წამოიძახა იმავე კილოთი, რომლითაც პარიზელი შეთქმულნი ლაპარაკობდნენ 92-ში:

— სად არის მარატი, ერთგული მეგობარი ხალხისა?! აბა მაშინ განეზრახა ვისმე ღალატი? განა მარატს გამოეპარებოდა რამე? ამიტომ დასცეს გულში დანა და! მომავალს მარტო ისა ხედავდა: იმან წინადვე იცოდა, რა კაცები იყვნენ დიუმურიე, კუსტენი, ლაფაიეტი. აბა ცოცხალი ყოფილიყო, თუ თავისივე ხელით არ წაეხრჩო პიშეგრუ! ასე კი არ აცლიდა, წადი და ჩვენი ჯარები მტერს ახოცვინეო!

და თვალცრემლიანი შორს, შორს, სადღაც გაიცქირებოდა, თითქო იქიდან მოელის მარატის გამოჩენასო. მარგალიტა, ელოფ კოლენი, რაფიელ მანკი და სხვა პატრიოტები დანტონზედ და რობესპიერზედ ლაპარაკობდნენ, მაგრამ სომმა შეაწყვეტინა სიტყვა:

— მართალია, ძალიან ყოჩაღი კაცები იყვნენ... მაგრამ ბალღები იყვნენ, ბალღები! ერთმანეთში ჩხუბი დაიწყეს. მარატი რომ ყოფილიყო, მოარიგებდა, იმიტომ რომ იმას უფრო მეტი ჭკუა და შორსმჭვრეტელობა ჰქონდა, ვიდრე სხვებს ყველას ერთად. მარატი რომ ცოცხალი ყოფილიყო, რობესპიერი თავის დღეში ვერ შოჰკლავდა დანტონს, და ტალიენი რობესპიერს! მაგაზედ მგონი ყველანი დამეთანხმებით. მეფის მომხრეებმა ძალიან კარგად იციან ეს და, მერწმუნეთ, მარატისთანად დიდებულებს არც არავინ სძულებიათ და არც არავინ შესძულდებათ. ეს სიძულვილი გახლავთ მარატის დიდება! მარატის სახელი უკუნითი-უკუნისამდე საშინელებად დარჩება არისტოკრატებისათვის და ეს დარჩება იმის ხელუქმნელ ძეგლად.

ქრისტეშობისთვეც ჩვენთან გაატარა სომმა. მართალია, რაზმიდან თავისას იღებდა, მაგრამ პურს ჩვენთან ჭამდა და სულ „ხალხის მეგობრის", ესე იგი მარატის ხსენებაში იყო. ჭრილობა მოურჩა, მაგრამ გული გაუტეხა და აწმყოში და მომავალში კარგს აღარას ხედავდა. ჩვენი ბიჭიკო ძალიან უყვარდა და ხშირად ეთამაშებოდა.

ნეტავი რესპუბლიკა განსაცდელში არ იყოს, რომ დავრჩე და ამ პატარას ადამიანის უფლებანი შევაგნებინოო, იძახდა ხოლმე სომი.

მაგრამ უიმისოდაც ყოჩაღი ბიჭი იყო ჩემი პეტრე: იმოდენა ხალხი, — მამაჩემი, მარგალიტა, ელოფ კოლენი და სხვა პატრიოტები სულ იმას შევხაროდით და ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტივით ვათამაშებდით. ახლა პაპაც უნდა მოსვლოდა და შოველისთანა კარგად, მგონი, ვერავინ შეაგნებინებდა ადამიანის და მამულიშვილის უფლებებს და ვალდებულებებს.

VII

სწორედ იმ დროს, როდესაც პიშეგრუ რეინს გამოვიდა და ისე უღვთოდ ახოცვინა თავისი ჯარები, მოხდა ახალი არჩევნები დეპუტატებისა. ცოტა ხანს უკან გაზეთებში კონვენტის განცხადებაც გამოვიდა, რომლითაც იგი აღიარებდა დამთავრებულად თავის მოვალეობას. ახალი დეპუტატები, წლოვანებისდა გვარად, განაწილებულიყვნენ საერო კრების და ხნიერთა კრების წევრებად. საერო კრებას თავისთაგანი ორმოცდაათი კაცი დაენიშნა, რომელთაგან უფროსთა კრებას ამოერჩია ხუთი გამგე სახელმწიფოისა: ლარეგეირ-ლეპო, ლეტურნერი, რევბელი, ბარრი და კარნო, რომელიც სიეესის ალაგას დაენიშნათ, რადგან სიეესს უარი განეცხადებინა. გამგეთაგანი თითო უნდა გამოცვლილიყო ყოველ წელს, თუმცა შეიძ-

ლებოდა ხელმეორედაც ამოერჩია გამავალი წევრი გამგეობისა ხნიერთა კრებას.

კონვენტი 26 ღვინობისთვეს დაიშალა 1795 წ. სრული სამი წელიწადი და ოცდათხუთმეტი დღე განაგებდა საფრანგეთის ცხოვრებას და რვა ათასზედ მეტი განაჩენი დაადგინა სხვადასხვა საქმეებზედ. თავდაპირველად ერთგულად ემსახურებოდა რესპუბლიკის დამყარებას, მაგრამ რობესპიერის მოკვლის შემდეგ, ვინც კი ნამდვილი რესპუბლიკელი იყო, იძულებული შეიქნა ჩუმად ყოფილიყო, რადგან უმრავლესობა მეფის მომხრეთ და ჟირონდელებს დარჩათ და კონვენტი ბოლოს დროს რესპუბლიკის მტრად გადაიქცა. ამიტომ იყო რომ ყველა პატიოსან მამულიშვილს გაუხარდა კონვენტის დაშლა.

იმავე დღეს შოველის წიგნი მივიღეთ, ხვალ მოვდივარო და მეორე დღეს, სამშაბათს, როდესაც ბაზრობისა გამო დუქანი სავსე იყო ხალხით, თითონაც შემოვიდა თავისი პატარა აბგით. როგორ იამებოდა, იმდენ მუშტარს რომ ნახავდა! დავინახეთ თუ არა, მაშინვე გამოვცვივდით დახლიდან და წინ მივეგებენით. მხიარულად გადაგვკოცნა და გვითხრა:

— კმარა, შვილო, კმარა! თქვენს საქმეს მიხედეთ.

ბიბლიოთეკაში შევიდა, გათბა და მთელი სამი საათი იქ იდგა და თვალყურს ადევნებდა ჩვენს ვაჭრობას. ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი საქმისა. რაკი ხმა გავარდა, შოველი მოსულაო, დაძრულიყო დიდი და პატარა და ყველა იმის სანახავად მოდიოდა. ხანდახან, როცა კი ცოტა თავისუფლად დავრჩებოდით, ჩვენც შევიდოდით ხოლმე, ერთ-ორ სიტყვას ვეტყოდით და ისევ დუქნისკენ მივეშურებოდით.

პირველი საათი იყო, როდესაც ბაზრობა გათავდა, სოფლელი ხალხი შინისკენ გაემგზავრა და ჩვენც პურის საჭმელად დავსხედით. მარტო მაშინ მოვახერხეთ შოველთან დალაგებით ლაპარაკი. ძალიან უხაროდა, რომ ვაჭრობა დავიწყეთ და ამოდენა მუშტარი შემოვიჩვიეთ: რაკი აგრე მოიზიდეთ ეს ხალხი, ახლა პატრიოტულის წიგნების და გაზეთების გავრცელებაც გაგვიადვილდებაო. პატარა პეტრე ხელში ეჭირა, მიდი-მოდიოდა ოთახში და ამბობდა:

— თავდაპირველადვე რომ ასე დაგვეწყო, ეჯობინებოდა. მთელს ალზას-ლორენს შემოვივლიდი ხოლმე წელში ორად მოხრილი ტვირთისაგან და გაყიდვით კი ბევრს არა ვყიდდი. ეხლა კი თითონ ხალხი მოდის ჩვენსა და ჩვენც უნდა ვეცადნეთ სულ ყველაფერი გვქონდეს, რასაც კი მუშტარი მოგვთხოვს. კლუბებს გვიკეტავენ! ყველა ოჯახში, თვით მიუვალ მთაშიც კი, კლუბი გვექნე-

ბა გამართული; იმის მაგივრად რომ საღამოობით ძველებურად ხლაპრებს ისმენდნენ, პატარ-პატარა წიგნაკებს შევაჩვევთ, რომლებშიც აწერილი იქნება თავგანწირული მოღვაწეობა მამულიშვილთა, მათი გმირული თავგამოდება სამშობლოს დიდებისათვის და სხვადასხვა გამოკვლევანი და გამოგონებანი მრეწველობის წინმსვლელობისათვის. იმ წიგნაკებში იქნება სუყველაფერი, რაც ადამიანს გამოადგება, გონებას გაუხსნის, ასწავლის და მოუკლავს ცრუმორწმუნეობას, რომელიც ღუპავს მას სულიერად და ხორციელად.

ძალიან კმაყოფილი იყო, ჩემი ძველი მეგობარი სომი რომ ნახა. ერთი შეხედვითვე ღირსეულად იცნეს ერთმანეთი და ისე მიესალმნენ, თითქო დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ.

იმ საღამოს კიდევ მოვიდნენ რაფიელ მანკი, ელოტ კოლენი, ახალი რაბბი გუგენჰეიმი, არონ ლევი, ნათლიაჩემი და მამაჩემი და მხიარული მისალმების შემდეგ პოლიტიკაზედ დაიწყეს ლაპარაკი.

შოველმა გვიამბო, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი საქმეები: იმისთანა უთანხმოება ჩამოვარდა დღეს ჩვენში, იმისთანა მტრობა და ერთმანეთის გაუტანლობა, რომ ხალხი სრულიად დაჰკარგავს რესპუბლიკის იმედს და რწმენას, თუ არ შევერთდით პატრიოტები და ერთად არ შევებრძოლეთ მეფის მომხრეებსო. ამაზედ ნათლიაჩემმა მიუგო, ახალი კონსტიტუციის ძალით უზრუნველყოფილია ყოველი კაცის საკუთრება და მონაგები და რევოლუციაც დამთავრებულად უნდა ჩაითვალოსო. ეს სიტყვები არ მოეწონა შოველს და აი, რა პასუხი უთხრა:

— ძალიან სცდები, ჩემო ივანე, თუ გგონია, რომ ახალმა კონსტიტუციამ დაამთავრა კიდეც რევოლუცია! დაამთავრა კი არა, პირიქით სუყველაფერი ხელახლად განსახილველად გაგვიხადა. ეგ კონსტიტუცია მეფის მომხრეთა და ბურჟუაზიის, ესე იგი შემძლებელთა კონსტიტუცია არის, რომელთაც ისე მოაწყეს საქმე, რომ ხალხს ხელიდან გამოაცალეს მართებლობა და ყოველი უფლება, რომელიც მას მიანიჭა მტარვალებზედ გამარჯვებულმა რესპუბლიკამ. რომ მოგახსენებთ, ხალხს ყოველივე გამოაცალეს ხელიდან მეფის მომხრეებმა და შემძლებლებმა-მეთქი, მე იმ შემძლებელთა შესახებ მოგახსენებთ, რომელნიც თუმცა ხალხის შვილნი არიან, მაგრამ თაკილობენ ხალხს. აქაოდა ფული ვიშოვეთო, დიდკაცობაში უკანასკნელობა ურჩევიათ თავიანთ სწორებში პირველობას. ჩვენდა სანუგეშოდ შემძლებელნი სუყველანი ასეთი საზიზღარნი აო არიან, არიან იმისთანებიც, რომელნიც თუმცა შეძლებით და სწავლა-განათლებით ძალიან დაწინაურებულან და დაშორებიან თავიანთ მშობელ

ხალხს, ძაიხც ხალხის უერთგულეს შვილად დარჩეხილახ; ზოგი ქარხანის პატრონია, ზოგი ვექილი, ზოგი მართლმსაჯულების მოხელე, ზოგი ექიმი, ზოგი მწერალი, არტისტი, — ერთი სიტყვით ყველანი საქმის კაცები არიან და სამშობლოს დიდებისათვის ილწვიან სწორედ ისევე დაუღალავად, როგორც გლეხკაცი.

ამათ თავისუფლების მეტი არა უნდათ რა; თავისუფლება არის მათი ძალა და მომავალი. მეფეს საერო კრება ამ ბურჟუაზიამ დაანიშვნინა და თავისი სიმაგრით და გამჭრიახობით იმდენი ქნა, რომ მეფესაც აჯობა, დიდებულთაც, სასულიერო წოდებასაც. მაგრამ, თუ თავისუფლება არ იქნა, ეს ბურჟუაზიაც დაიღუპება... საუბედუროდ, იმ ბურჟუაზიასთან ერთად, რომელიც სათავეში უდგა საფრანგეთის ცხოვრებას და განათლებისკენ მიუძღოდა სამშობლო მხარეს, დიაღ, ამ ბურჟუაზიასთან ერთად, სხვაც არის, რომელიც წეღან მოგახსენე და რომელიც ყოველთვის ფინია ძაღლივით ერთგული ყოფილა მართებლობისა და დიდებულების ნასუფრალში გაუცვლია ყოველი თავისი ღირსება; ესენი ყოველთვის უერთგულესი მონები ყოფილან მართებლობისა და მაშასადამე მოსისხლე მტრები ხალხისა: ამათ არ უნდათ თავისუფლება. თავისუფლება — გამარჯვებაა შრომისა, ნიჭისა და პატიოსნებისა და აბა რაში ენდომებათ მუქთახორა გაიძვერებს თავისუფლება? ის არ ურჩევნიათ, მის უდიდებულესობისაგან მზამზარეულად მიიღონ წყალობა, — წადით და, როგორც გენებოთ, ისე კრიჭეთ და პარსეთ ხალხი? რა ეხარჯებათ ამაში? ბავშვობიდანვე გაწვრთნილნი არიან დიდებულთა თაყვანის საცემლად და ისე იხრებიან წელში, ისე იშვლეპენ ქუდს და ისე ხოხავენ მუხლის თავებზედ, რომ... დიდებულთა თაყვანისცემაა, სხვა ხომ არაფერი! დიდი რამ არის, წელში სამად მოხრა და მუხლის თავებზედ ხოხიალი?! დაჩოქილნი კი არა, ყირამალა ივლიან, თუ კი ამით ასიამოვნებენ ვისმე და წყალობას დაიმსახურებენ! იმსახურებენ კიდეც: აკი სიმდიდრე მათ ხელშია და ძალა. სწორედ ამ წუწკმა ბურჟუაზიამ შექმნა უკანასკნელი ჩვენი კონსტიტუცია; მართალია, ჩვენც იქ ვიყავით, მაგრამ რობესპიერის მოკვლის შემდეგ 63 ჟირონდელი ვიემატა მეფის მომხრეებს და უმრავლესობა იმათ დარჩათ. ბევრიც რომ გვეთქვა, არა გამოვიდოდა რა, რადგან კენჭითა გვჯობნიდნენ. გვაჯობეს კიდეც და ყველაფერი თავისებურად მოაწყეს: დეპუტატების არჩევნებიც, რომელნიც პირდაპირ ხალხს კი არა, ამომრჩეველთ ამოარჩევინეს, საერო კრებაც, რომელიც ორად გაყვეს, და გამგეობაც.

ვინ რას უპასუხებდა შოველს? ყველანი ვგრძნობდით, რომ თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა მისი პირით.

— დიაღ, — განაგრძო შოველმა, — ესეც არ იკმარეს და საშინელი მტრობა და განხეთქილება ჩამოაგდეს ხალხსა და მის ერთგულ ბურჟუაზიას შორის: ერის წარმომადგენელის არჩევა და თვით დეპუტატობა მარტო იმას აქვსო, — გამოაცხადეს, —ვისაც შემოსავალი აქვს არა ნაკლები ორასი მუშის დღიური ქირისა. ამით ერთმანეთს შეაძულეს ხალხი და შემძლებელნი მისი შვილნი, ერთმანეთს გადაამტერეს. რაღა აკლიათ ახლა? დარწმუნებულნი არიან, რომ როგორც რევოლუციამდე არას ზოგავდა დიდებულთა და შეძლებულთათვის ხალხი, ახლაც არას დაზოგავს და გარეთ მტერს მოუგერებს და შინ კიდევ არჩენს და აფუფუნებს მათ; ხალხი იმუშავებს, — თუ საჭირო იქნება, სისხლს დაღვრის და ისინი კი... ისინი განაგებენ საფრანგეთის ცხოვრებას, მისდგებიან და ისე გაყვლეფენ ქვეყანას სვავივით გაუმაძღარნი, რომ უწინდელი ბატონყმობა დაგვანატრონ. ხალხს დაამშევენ, ჯიბეებს დაიტენენ, მაგრამ თითონ არც კი გამოჩნდებიან და პასუხისგებას მეფეს აკისრებენ. ახალ კონსტიტუციაში ცხადად არის ნაჩვენები მეფის საჭიროება: მეფის ნაცვლად დროებითი „გამგეობა“ არის დაწესებული. რამდენიმე დეპუტატმა კიდეც ითხოვა, ეხლავე ამოვირჩიოთ მეფეო. მათდა საუბედუროდ, ლუი XVIII არაფრად ეჭაშნიკება კონსტიტუციით შეზღუდული მეფობა და იმედი აქვს ისე აბრძანდეს მამაპაპურ ტახტზედ, რომ სრული ბატონი და პატრონი იყოს თავისი ერის და ქვეყნისა; მას, როგორადაც ლუი XVI და ლუი XVII, ღვთისაგან აქვს მინიჭებული მეფობა და მაშასადამე ვერავის შეალახვინებს თავის უფლებებს! ლუი XVIII ნებავს ძველებურად ყოვლად შემძლებელი ბრძანდებოდეს და ძველებურად დიდებულნი ახლდნენ და არა ბურჟუაზია! ამაში კი ვეღარ რიგდებიან მეფე და ბურჟუაზია... მაგრამ ეგ არაფერი! არა ნებავს? გამგეობა ხომ აქ არის! საქმე ის იყო ხალხი დაემორჩილებინათ! ახლა დარწმუნებულნი არიან, რაკი ყოველი უფლება გამოვაცალეთ, ხალხი ქედს მოიხრის და ძველებურად გვემსახურებაო. უგუნურნი!

მწარედ ჩაიცინა. და, რადგან ყველანი სმენად ვიყავით გადაქცეულნი, განაგრძო: იცით ეს რას მოასწავებს? გაუთავებელ რევოლუციას. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ამას ვერა ხედავდეს. ერთი კი გაჩნდეს დანტონი და, დღეს იქნება თუ ხვალ, წლეულს თუ ოცის წლის შემდეგ, ეგ სულერთია, — ჯარი მზად დახვდება; მზად დახვდება რევოლუციის მონატრე ჯარი, ხალხი, რომელსაც ყოველი უფლება წაართვეს და სამართალს დაანატრულეს. ერთი კი გაჩნდეს დანტონი, ერთი კი სთქვას რამე, და რევოლუცია კვლავ დაიწყობა: მეფეს განდევნიან, დიდებულნი და მოღალა-

ტენი გაიხიზნებიან და პატიოსანი მშრომელი დაიღუპება და გაღატაკდება, რადგან მას დააწვება ყოველი ხარჯი. გაიძვერები და ქურდბაცაცები კი, ღვთის წყალობა გაქვთ, ხელს მოითბობენ და ჯიბეებს დაიტენენ; თუ გაჭირდა, ისინიც გაიქცევიან და მოპარულ ფულსაც გააპარებენ, ვიდრე კვლავ მეფობა, ესე იგი მათთვის საასურველი სიმშვიდე და მყუდროება დამყარდება, რომ კვლავ შეუდგნენ ხალხის პარსვას და კრეჭას. სახელმწიფო კვლავ იწყებს ცხოვრებას, მაგრამ ჭირი განუკურნავი რჩება. დანტონის მაგივრად ახლა ვინმე გამოჩენილი, ჯარის საყვარელი, მხედართმთავარი მოინდომებს ქვეყნის წყლულის გამთელებას. აშლის ჯარს, და პარიზს შეესევა, — ხალხის უფლებანი უნდა აღვადგინოო!

— გიჟი იქნება ხალხი, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ამისთანა მხედართმთავარს, და კვლავ იწყობა რევოლუცია და ყოველთვის ასე იქნება, ვიდრე ხალხის შვილნი, რაც უნდა შემძლებელნი იყვნენ, არ დაშორდებიან დიდებულთ და მოღალატეთ და ხალხს არ მიუდგებიან! ბურჟუაზია ხალხის განათლებული და შემძლებელი ნაწილია და სწორედ ეს ბურჟუაზია უნდა ამოუდგეს მხარში ხალხს და მოითხოვოს თავისუფლება, თანასწორობა, მართლმსაჯულება და რესპუბლიკური მართებლობა, რადგან ჩვენს ქვეყანაში სხვაგვარი მართებლობა შეუძლებელია. მაშინ გათავდება რევოლუცია. ვინღა რას გაბედავს მაშინ ხალხის წინააღმდეგ, როდესაც ხალხი და ბურჟუაზია შეერთებულნი იქნებიან? ყოველი მამულიშვილი დაჯილდოებული იქნება თავის შრომის, ნიჭის და პატიოსნების დაგვარად. დამშვიდდება, დაწყნარდება ჩვენი ცხოვრება და შიში აღარავის ექნება, რომ წამომივლის ვინმე და მთელი წლის ჭირნახულს ისე წამართმევს, რომ ლუკმა მენატრებოდესო. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, და ყმაწვილკაცობა ჯერ კიდევ მრავალ რევოლუციას ნახავს, ჯაჭვივით გაბმულს და დაუმთავრებელს იმ დრომდე, ვიდრე ხალხი და ბურჟუაზია სრულიად შეერთდება. უკანასკნელი ჩვენი კონსტიტუცია კი ხალხის და ბურჟუაზიის დაშორებაზედ არის დამყარებული და მრავალ უბედურებას გვიქადის. რევოლუციის დამამთავრებელი კი არ არის ეს კონსტიტუცია, როგორც ჩვენი ივანე ბრძანებს, რევოლუციის ამტეხია და ნახავთ, რა საშინელი ბრძოლა გამოიწვიოს ამ ცოტა ხანში და როგორ გადაჰკიდოს ძმას ძმა და მამას შვილი.

ყველანი გაჩუმებულნი ვისხედით; სომმა კი ვეღარ გაუძლო თავის გულისთქმას, მივიდა შოველთან, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— ჭეშმარიტია, მამულიშვილო, ჭეშმარიტი, რასაც ბრძანებ. მე

სწორედ მაგ აზრისა ვარ. რევოლუცია მარტო მაშინ გათავდება, როდესაც ხალხის განათლებულნი და შეძლებულნი შვილნი, რომელთაც თქვენ ბურჟუაზიას უწოდებთ, წინ გაუძღვებიან ხალხს და მჭიდრო საძირკველს ჩაუყრიან რესპუბლიკას. ბურჟუაზია თავია ხალხისა, მისი მასწავლებელი და წინამძღოლი. საუბედუროდ, ხალხს აღარა ჰყავს მარატი, დანტონი, რობესპიერი, სენჟუსტი, კამილ დემულენი; ესენიც ხომ ბურჟუაზიის წოდებისანი იყვნენ? — ზოგი ვექილი იყო, ზოგი ექიმი, ზოგი მასწავლებელი, — მაგრამ მხარში უდგნენ ხალხს, წინ მიუძღოდნენ, გზას უკვლევდნენ და სწორედ იმათი წყალობით გავიმარჯვეთ 1789 წ.

— მართალია, —უპასუხა შოველმა, —აღარა გვყვანან ეგ სამაგალითო ხალხის შვილნი; რევოლუციამ ინაცვალა ყველანი. კიდეც მაგიტომ წათამამდნენ დიდებულნი, რომ დარწმუნებულნი არიან პარიზელ ხალხს მოთავე აღარა ჰყავსო. გარდა ამისა, თვით ხალხიც მოიქანცა ამდენი არეულობით და შიმშილით. ეხლა მეფის მომხრენი გაფაციცებით დაეძებენ გამბედავ გენერალს, რომ ჯარის ნდობა მოიპოვოს და რესპუბლიკა დაამხოს. თუ იპოვეს ამისთანა გენერალი, ცუდადაა ბურჟუაზიის საქმე! ბევრიც რომ იყვირონ, გვიშველეთო! ხალხი იმათ აღარ მიეშველება, რადგან ხალხი აგრე მალე არ დაივიწყებს გუშინდელ მათ ღალატს. ასე ეგონათ, გათავდა ბრძოლა და, მაშასადამე, რაღად გვინდა ხალხი? ბატონობა ჩვენ და შრომა მაგათო!... სულ სხვა იქნებოდა, რომ ძმურად მოჰქცეოდნენ ხალხს. ცდილიყვნენ მის განათლებას და წინსვლას; თავისი წილი გავლენა მიენიჭებიათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და ერთობ ღირსეულად დაეჯილდოვებინათ ღირსეულნი. დრო არის, პანღურის ცემით დავირეკოთ ის ვაჟბატონები, რომელნიც სრულიად არას გვირიგებენ და ასის ოდენას კი მიირთმევენ! დრო არის, მათ ადგილზე პატიოსანი მშრომელი კაცები ჩავაყენოთ! დრო არის, კაცის ღვაწლს ვცემდეთ პატივს და არა მის სიმდიდრეს და ჩამომავლობას. ჩვენი რევოლუცია — ხალხის გამარჯვებაა. თუ ეს ვერ შეუგნია ბურჟუაზიას, და მეფის მომხრეთ მისდგომია, ისიც ისევე წაილეკება ქვეყნის პირიდან, როგორადაც მეფობა და მტარვალობა, რადგან გამარჯვებული რესპუბლიკა დარჩება და არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაში.

დიდი აღტაცებით ლაპარაკობდა შოველი. სუყველა ვერ დამახსოვდა, რაც იმ ღამეს თქვა, მაგრამ მთავარი აზრი კი კარგად მახსოვს და, მართალია მას შემდეგ დანტონი აღარავინ მოგვველია ჩვენდა სანუგეშოდ, მაგრამ გენერლები კი რესპუბლიკის დასამხობად, რამდენიც გენებოთ.

ძალიან კმაყოფილნი დავიშალენით, რადგან აზრი გავუგეთ ახალს კონსტიტუციას. გადავწყვიტეთ, ხანდახან შევიყარნეთ ხოლმე და საქვეყნო საქმეებზედ ვილაპარაკოთო.

მეორე დღეს შოველი მარტო ჩვენს ვაჭრობაზედღა ზრუნავდა. დავთრები გასინჯული ჰქონდა და კარგად იცოდა ჩვენი ქონებაც და ვალიც, მოგებაც და ზარალიც. მახსოვს, მესამე თუ მეოთხე დღეს იმდენი გაზეთები და რესპუბლიკური კატეხიზმოები დაიბარა, რომ, მეგონა, შესცდა-მეთქი: ჩვენს დღეში ვერ გავყიდდით იმდენს. შოველი კი იცინოდა:

— დამშვიდდი, მიშელ! დარწმუნებული ვარ, რომ გავასაღებ, თორემ ამდენს არ გამოვიწერდი. ნახავ, როგორ დაიტაცებენ!

იმ კვირის დამლევს სარბურგიდან წვრილად დაბეჭდილი განცხადებები მოუვიდა, რამდენიმე ათასი იქნებოდა; ხელის გულის ოდენა ქაღალდზედ დაბეჭდილი იყო შემდეგი სიტყვები: ბასტიენ-შოველის დუქანში იყიდება ქაღალდი, საწერ-კალამი, წიგნები, გაზეთები. ყოველგვარი საწვრილმანო და სასმელები. იქვე აქირავებენ წიგნებს ორ შაურად თვეში და სხვა და სხვა.

— რად გინდათ ამდენი, ჩემო სიმამრო? — შეეკითხა გამწარებულმა, — სად დავარიგებთ მაგდენს? ქუჩაში? კაცს ხომ არ დავიჭერთ, რომ სოფელ-სოფელ ვატაროთ და! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა ხალხმა ოთხში ერთმა არ იცის წიგნი და ტყუილად ჩაგვიდის ეს ხარჯი.

— არა, მიშელ, ვისაც კი ჩვენ ამ განცხადებას გავუგზავნით, ყველამ იცის კითხვა. ვისაც კი წიგნი ან გაზეთი მიჰყიდო, ან მიაქირავო, ეს განცხადებაც თან გააყოლე და, გარწმუნებ, წაუკითხავი არ დარჩება. დეე, გაიგოს ქვეყანამ, რომ ბასტიენ-შოველის დუქანში ყველაფერს იშოვის კაცი.

საუცხოო აზრი იყო სწორედ! მთელი ორი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ვისხედით ყველანი და წიგნებში და გაზეთებში ჩვენს განცხადებასა ვდებდით, მეტადრე ადამიანის უფლებათა კატეხიზმოში და კალენდრებში, რადგან ყველაზედ მეტად ესენი იყიდებოდა.

სხვა ვაჭრებს კი გული უსკდებოდათ, ყოველთვის ხალხით სავსეს რომ ხედავდნენ ჩვენს დუქანს და შურიანად გაიძახდნენ:

— ნეტავი რით მიიზიდა ბასტიენ-შოველის დუქანმა ამდენი ხალხი? ისე მიეშურება იქით მთელი ჩვენი მაზრა, თითქო დღეობა იყოს რაშე.

ზოგნი ამბობდნენ, ეგ იმიტომ, რომ დუქანი ქუჩის კუნჭულში არისო; ზოგი — იმიტომ, რომ ბაზრის პირდაპირ არისო; და ის კი არ იცოდნენ, რომ ამისი მიზეზი ერთი ბეწვა, სულ უბრალო განცხადება იყო, რომელმაც სახელი გაუთქვა მთელს ჩვენს მაზრაში ბასტიენ-შოველის დუქანს. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, ჩვენი მეზობელი მეტოქე ვაჭრები სწორედ იმავე საქონელს შეიძენდნენ გასაყიდად, რასაც ჩვენ ვყიდდით. მომივიდოდა ბრაზი, მაგრამ შოველი გამოცდილი კაცი იყო და ის მამშვიდებდა:

— მით უკეთესი, ჩემო მიშელ! ვერა ხედავ, რომ უბედურთ საკუთარი მოსაზრებაც კი არა აქვთ და ყველაფერში ჩვენ გვბაძავენ და უკან მოგვდევენ? აი, ამას ჰქვიან თავისუფლება ვაჭრობისა და, თუ შენთვის გინდა ეს თავისუფლება, შენი მეტოქისთვისაც უნდა გინდოდეს. ჩვენ მარტო ერთის აკრძალვა შეგვიძლია: შეიძლება, ჩვენი განცხადებისთანა იმათაც დააბეჭდინონ და უვარგის საქონელს მიადევნონ, — სახელი გავუტეხოთ ბასტიენ-შოველსაო; ამის ნებას არც ჩვენ მივცემთ და არც კანონი: მაშინვე საჩივარს შევიტანთ და დავასჯევინებთ დამნაშავეთ.

შოველის მოსვლის შემდეგ თანდათან უკეთ მიდიოდა ჩვენი ვაჭრობა, თუმცა იმდენი ასიგნაციები დადიოდა იმ ზამთარს, რომ ფასი თითქმის აღარა ჰქონდათ რა.

გამგეობა იძულებული იყო ახალ-ახალი ასიგნაციები მოეჭრა, რადგან ფული აღარ იყო და ჯარისთვის და მოხელეთათვის კი ჯამაგირი უთუოდ უნდა ეძლია. იქამდის გაჭირდა საქმე, რომ ბრძანება გასცეს, ნახევარი ხარჯი ხალხმა პურად და თივად გადაიხადოს, რომ ჯარი შიმშილით არ ამოგვიწყდესო. ამ დადგენილებამ საშინლად ააღელვა ხალხი: გლეხკაცობას თითქმის ჩალის ფასად ჰქონდა ნაყიდი საეკლესიო და გახიზნულთა მამულები და ახლა ფეხებზედ ეკიდა ქვეყანა და ქვეყნის ბედი; იმისთანა უმადურობა და პირადობა გამოიჩინა მაშინ ჩვენმა გლეხკაცმა, რომ საუკუნოდ შეირცხვინა თავი. ან რასა ფიქრობდა ნეტავი? თუ კი ჯარისთვის საჭიროს აღარას გაიღებდა, ვიღა შეაყენებდა ჩვენზე ამხედრებულ მტერს? დაბრუნდებოდნენ ჩვენი დიდებული ბატონები და ნაყიდს ვიღა ჩავის, იქნება მამაპაპეულიც აღარ შეერჩინათ ჩვენი გლეხკაცისთვის.

იმ ზამთარს დაამშვიდა ჰოშმა აჯანყებული ვანდელები, რომელნიც ხელახლად აიშალნენ, — უგანათლებულესი თავადი არტუა უნდა მობრძანდეს ჩვენს საშველადო; იმათდა საუბედუროდ, დიდებულ და ბრწყინვალე მეფეთა შთამომავალი იმისთანა მხდალი რამ გამოდგა, რომ სამი დღის სავალზედ უვლიდა ყოველ არეულობას: თავადი არტუა ერთ პატარა კუნძულს მიადგა ვანდეს მხარეს, მაგრამ

რაკი გაიგო, გენერალი ჰოში აქ არისო, ინგლისს შეაფარა თავი და ისე უმწეოდ დასტოვა მისთვის აჯანყებული თავგანწირული ხალხი.

ჰოშმა უცბად დაამშვიდა ვანდე: აჯანყებულნი ამოსწყვიტა, ვინც აჯანყებულთ არ მიემხრო თავ-თავის სოფლებში დააბინავა და დაეხმარა კიდეც, რომ სახლკარი და ეკლესიები აეშენებინათ; სტოფლე და შარეტი შეიპყრო და დახვრიტა. იქიდან ბრეტანში გადავიდა და იქაც ისევე სწრაფად დაამარცხა აჯანყებულნი. მიიწევდა წინ და გლეხკაცობას ასე არიგებდა:

— რა გინდა, ხალხო? რას ღელავ? ვინ რას გართმევს? ვინ რას გიშლის? რესპუბლიკაში ყველა თავისუფალია, სრულიად თავისუფალი, გარდა ყაჩაღისა, რომელსაც ძარცვა-გლეჯით უნდა შეიძინოს სხვისი ნაჭირნახულევი. იყავით თქვენთვის. როგორც გიწირავთ, ისევე სწირეთ, თქვენი წინააღმდეგი არავინ არის.

ისე დაღლილიყო იმდენი არეულობით და სისხლის ღვრით უმრავლესობა, რომ მართლა და მოსვენების მეტს აღარას ნატრობდა. თვით პარიზშიც კი ქეიფის და ლხინის მეტი აღარავის რა აგონდებოდა და მართებლობის წარმომადგენელნი — საერო კრება, ხნიერთა კრება და გამგეობა — ხომ უარესნი იყვნენ: ქეიფი, ლხინი, წარმოდგენები, ფსონით ვახშმები, საცეკვაოდ გამართული წვეულობანი და სხვანი და სხვანი! სხვა იმათ საქმე და საზრუნავი აღარა ჰქონდათ რა. გაზეთებში, რასაკვირველია, დაწვრილებით იყო აწერილი საერო კრების წევრთა ცოლების ძვირფასი სამკაული, და მოხდენილი ცეკვა და დროს ტარება. წაიკითხავდა შოველი და თავს გაიქნევდა:

— ავი დღე დაადგება ჩვენს გამგეობას, ძალიან ავი, მაგრამ თავისი ბრალი კი არ იქნება; დიდი ტანჯვა გამოიარა ხალხმა, მრავალი სისხლი დაღვარა, და ამასთან ძალიან სასტიკი კაცებიც ყავდა მოთავედ; მეტისმეტად სასტიკნი იყვნენ დალოცვილები და იმდენი ქნეს ერთმანეთის ჯიბრით, რომ ხალხს ნდობა დაუკარგეს — ქვეყნად პატიოსანი არავინა ყოფილაო. ნდობა აღარავისი აქვს ხალხს, იმედი აღარაფრისა, აღარავითარი რწმენა და თავი მიუნებებია ცხოვრებისათვის, — რაც მოხდეს, მოხდესო. ჩვენი ბედი ეხლა გენერლების ხელშია: თუ ღმერთმა ინება და ჩვენი გენერლები კეთილსინდისიერი პატრიოტები არიან, რესპუბლიკას არა უჭირს რა. და თუ ღმერთი გაუწყრა ვისმე და რესპუბლიკის დამხობა მოინდომა... სადღა ჰყავს ხალხს პატრონი და გულშემატკივარი, რომ მიუხვდეს ბოროტმომქმედს, დაიჭიროს, სასამართლოს მიჰგვაროს და დასჯევინოს? რაც ლაფაიეტმა და დიუმურიემ ვერ მოახერხეს, დღეს ყველა გამბედავ გენერალს შეუძლია მოახერხოს.

ამ დროს ამბავი მოვიდა, გენერალი პიშეგრუ დაითხოვესო და

ძალიანაც გვიამა ყველას; ივანე სომი ხომ ცას დაეწია სიხარულით. პარიზში ვიღაცა ლემეტრთან ქაღალდები ეპოვათ, რომლებშიც უტყუარი საბუთით დამტკიცებულიყო, რომ პიშეგრუს, ტალიენს, ბუასსი დანგლას, კამპასერეს, ლანჟუინს, ისნარს და რამდენსამე ხხვას მიწერ-მოწერა ჰქონოდათ უგანათლებულეს თავად პროვანსელთან, რომელიც უკვე ლუი XVIII იხსენიებოდა. უნდა დაეჭირათ მოღალატენი და სამართლის დადგენილებისამებრ დაესაჯათ, ყველანი, როგორც მანამდე იყო; უნდა დაეჭირათ, ეგ მართალია, მაგრამ ვინ იყო დამჭერი? მას შემდეგ რაც გამგეობა დაგვიწესეს, იმისთანა მისუსტებული იყო რესპუბლიკა, იმისთანა მიმტკნარებული, რომ ხიკვდილივით ეჯავრებოდა ყოველი საქმე და განკარგულება. და არცა სცალოდა ამისთვის მართებლობას: მთელი თავისი ძალით და შეძლებით სდევნიდა და ხოცავდა პატრიოტებს, რომელთაც გაბედეს და 93 წლის კონსტიტუცია ითხოვეს; მართებლობა მარტო იმათ დასჯასღა ცდილობდა, თითქო ისინი უფრო მეტად დამნაშავენი ყოფილიყვნენ, ვიდრე ის მოღალატენი, რომელნიც რესპუბლიკას ძირს უთხრიდნენ და თავად პროვანსელს სამეფო ტახტს უმზადებდნენ.

ამგვარად გაიარა ზამთარმა. ალზასსა და ლორენზედ მომდგარი მტერი ჯერჯერობით არ იძვროდა: ალბად ხედავდნენ, რომ მეფის მომხრენი უიმათოდაც გამარჯვებულნი იყვნენ და იმედოვნებდნენ, ცოტა ხანს უკან სისხლის დაუღვრელადაც შევალთ პარიზშიო.

მარტის გასულს ისევ თავის რაზმში წავიდა ჩვენი სომი, რეინის ჯარში, და ექვსი კვირის შემდეგ ჩემი სიძის მარესკოს წიგნიც მივიღე, აპრილის დამდეგს 1796 წ. იტალიიდან.

VIII

გაზაფხულზედ ხმა გავარდა, ჩვენს ჯარს იტალიაში დიდად გაუმარჯვიაო, მაგრამ ჩვენში უმთავრესი ყურადღება ჩვენს საზღვრებზედ მდგომ ჯარებზედ ჰქონდა ყველას მიქცეული. იტალიის ამბებისა ისიცა კმაროდა, რომ დარწმუნებული ვიყავით, მტერი ვერ შემოგვივიდოდა: ალპის მთაზედ გადმომავალ გზებს ოთხმოცი ათასი ყაცი ავსტრიელი მოსდგომოდა, მაგრამ წინ ჩვენი ჯარი უდგა, სულ ოცი ათასი კაცი, და გზას უკრავდა. ამ მხრივ კარგად იყო ჩვენი საქმე, რადგან ვიწრო ხეობებში სულ მცირეოდენი ჯარით ვიმაგრებდით მტერს.

ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, მარესკოს წერილი რომ წავიკითხეთ. წერილს ბონაპარტის პროკლამაციით იწყებდა:

„ჯარისკაცნო! თქვენ მშიერ-მწყურვალნი ხართ და თით-

ქმის ტიტველნი; მართებლობას ჯამაგირი მართებს თქვენი, და გადახდა კი არ შეუძლია. მე მინდა იმისთანა მდიდარ ქვეყანაში წაგიყვანოთ, რომ იქ ჰპოვოთ დიდება, სახელი და ს ი მ დ ი დ რ ე. ხომ არ გიმტყუნებთ ვაჟკაცობა, ჯარისკაცნო?!"

ამ პროკლამაციის შემდეგ მარესკოს წერილში მრავალი გამარჯვება იყო აწერილი და აგრეთვე ჩვენი ჯარისაგან აღებულ ქალაქების სახელები. ისეთი ცხოველად იყო დაწერილი ეს წიგნი, რომ მაშინვე თვალწინ წარმომიდგა მარესკო, რომელიც ერთ წამს ვერ მოისვენებდა და სულ ხტოდა და ცეკვავდა თავის პატარა კასსიუსით ხელში. იმდენი ომი, ბრძოლა და სისხლის ღვრა სულ ეარაფერი იყო იმისთვის, ოღონდ შემთხვევა ჰქონოდა ძარცვისა და გამდიდრებისა. ფული, ფული და ფული! სხვა იმას არა აწუხებდა რა. წერილი სავსე იყო ბონაპარტის ქებით; მარესკოს აზრით ქვეყნად ერთის მეტი მხედართმთავარი აღარსად მოიპოვებოდა და ეს ერთი ჩისი ქებული ბონაპარტი იყო; სხვები კი ბონაპარტის ფეხის თითის ფრჩხილადაც არა ღირან, არც კლებერი, არც მარსო, არც ჰოში, არც ჟურდანი. ბონაპარტის შემდეგ შეიძლება კიდევ ახსენოს კაცმა გენერლები მასსენა, ლარპი, ოჟერო და რამდენიმე სხვა, ბონაპარტისავე ხელქვეითნი. ამის შემდეგ დაწვრილებით იყო აწერილი, სად რა ეშოვა და რა შეეძინა ჩემს სიძე-ბატონს, როგორი კმაყოფილი იყო ჩემი და ელისაბედი, და როგორი გასუქებული ჰყავდათ კასსიუსი; ბოლოს კვლავ ბონაპარტის ქება იყო, გამარჯვებათა აღრიცხვა და აღებულ ქალაქების სახელები.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ ჩააფიქრა შოველი ამ წერილმა; ღრმა ფიქრებით მოცული იჯდა დიდხანს პირმოკუმული და წარბშეხრილი; ბოლოს ისევ წერილის კითხვა დაიწყო და განსაკუთრებით პროკლამაციებს უკვირდებოდა; რამდენჯერმე გადაიკითხა ბონაპარტის პროკლამაციები და ბოლოში რომ ჩავიდა, სადაც მარესკო ასწერდა თვით ბონაპარტს — „ერთი ბეწვა კაცია, ორი გოჯის სიმაღლე, მაგრამ მდევივით აწოწილ კლებერზე ერთიათად ძლიერია", შოველს ღიმილი მოუვიდა და თქვა:

— ძლიერი მარტო დიდსულოვანია. ბონაპარტი კი მეც მინახავს, ვიცნობთ ერთმანეთს.

წერილს მარესკო ასე ათავებდა:

„მთელი ლომბარდია თვალწინა გვაქვს გადაშლილი, თითქო ხელის გულზედ გვედოს თავისი ტყეებით და ველებით, ქალაქებით და სოფლებით; აქაურობა უკვე ჩვენია, დაპყრობილია და ახლა ჩვენზედ არის დამოკიდებული, რომ ხელცა-

რიელნი არ დავბრუნდეთ; უზენაესმა არსებამ ქვეყანა მარ-
ჯვეთათვის გააჩინა — წადით და გაიხარეთო“!

ბოლოს რჩევას მაძლევდა, — წამოდი, ჩვენს ჯარში ჩაეწერე, ძალიან წინ წახვალ... საჭმელ-სასმელიც ყოველთვის საკმარი გვაქვს, ჯამაგირიც ყოველთვის დროზედ გვეძლევა და ნადავლიც, რამდენიც გენებოს, ოღონდ ზიდვა შეიძელიო.

ელისაბედ-ქალმა არც ა-ნ ი იცოდა, არც ბ-ა ნ ი და, მაშასადამე, ვერ წაიკითხავდა თავის ქმრის წერილს; მაგრამ, ეტყობოდა, ქმრისთვის წაეკითხვინებინა და ბოლოში ხუთი ჯვარი დაესვა სრული თანხმობის ნიშნად: „მართალია!... მეც ამ აზრისა ვარ!.. გაუმარჯოს ომს, ოქროს და სიმხიარულეს!.. მე მინდა ოქროთი გავივსო ჩემი სკივრები და ბრწყინვალე კნეინა გავხდე“.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წიგნმა ჩვენს მხარეში: მე ნათლიაჩემს ვათხოვე წასაკითხად, იმას კიდევ სხვებისთვის ეთხოვებინა და... სოფლიდან სოფელში უგზავნიდნენ თურმე ახალ ამბავ-კითხულობდნენ და იძახდნენ:

— ბონაპარტი იაკობელია, რობესპიერის მეგობართაგანი; იმან ამოგვყარა აჯანყებული მეფის მომხრეების ჯავრი და ადამიანის უფლებათა დამყარებაც მარტო იმას შეუძლია!

ყოველ დღე ეს ისმოდა მაშინ ბონაპარტზედ.

ჩვენი ძველი კლუბი ხელახლად გაიხსნა რობესპიერის მოკვლის შემდეგ და უკანასკნელ ხანში ისე დაგვიჯაბნეს მეფის და ეპისკოპოსების მომხრეებმა, რომ პირდაპირ ურჩევდნენ კლუბის წევრთ, — გახიზნული დიდებულები დავაბრუნოთ, თავიანთ მამულზე დავაყენოთ ან არა და სამაგიერო გადავუხადოთო. პატიოსანი კაცი იქ აღარავინ დადიოდა და მეფის მომხრენი ერთმანეთს უქადაგებდნენ მეფისა და დიდებულების სიყვარულს.

მაგრამ მარესკოს წერილის მიღების შემდეგ, ერთ პარასკევს, ბაზრობა დღეს, რაც კი სოფლებიდან პატრიოტები ჩამოსულიყვნენ, სულ კლუბში შეკრებილიყვნენ. ელოფ კოლენს უშველებელი სიტყვა მოემზადებინა სათქმელად; ნათლიაჩემი იძახდა, იტალიაში მყოფ ჩვენს ჯარს და მეტადრე მის მხედართმთავარს გენერალ ბონაპარტს ქება შევუთვალოთო. 11 საათზედ, როდესაც ბუზივით ირეოდა ჩვენს დუქანში მუშტარი, უცბად ქუდი დაიხურა ჩემმა სიმამრმა და ქუჩაში გავიდა. არც კი ვიცოდით, სად წავიდა.

ცოტა ხანს უკან საშინელი ხმაურობა გაისმა მოედანზე. დუქნიდან გავიხედე: ერთი ბრბო ასდევნებოდა შოველს... უყვიროდნენ, უსტვენდნენ, საშინელი ლექსითა ლანძღავდნენ და სცემდნენ კიდეც, იქვე სამამასახლისოში რომ არ შევარდნილიყო.

რასაკვირველია, მაშინვე მისაშველებლად გავვარდი. შოველი ფერმიხდილი იდგა სამამასახლისოს შესასვლელში და იქ მყოფის რაზმის უფროსს ეუბნებოდა:

— გარეკეთ ეს წუწკები!... ვერა ხედავთ მაგ ლაჩრებს, რასა შვრებიან! დიდი რამ არის ერთი მოხუცებულის დაჯაბნა! ბე თქვენგან ვითხოვ მფარველობას!

სამამასახლისოდან რამდენიმე ჯარისკაცი გამოვიდა. ძალიან მეწყინა, რომ საწყალი მოხუცებული სრულიად მარტო მიეტოვებინათ მის მეგობრებს და არც ნათლიაჩემი მიშველებოდა, არც რაფიელ მანკი, არც კოლენი: კლუბში კარგა ხანი ელაპარაკა და კარგა ლამაზადაც გამოელანძღა ის უაზრო, ყოველ მიმართულებას მოკლებული პატრიოტები, რომელნიც ყოველთვის ძალოვანისკენ არიან, ყოველთვის გამარჯვებულს ექომაგებიან და ხან ლაფაიეტს უცვივიან ფეხქვეშ, ხან დიუმურიეს და ხან ბონაპარტს, რომ სახელმწიფო ქადისა ცოტა რამ იმათაც ერგოთ. სულ სამშობლოს გაიძახიან, მარტო სამშობლო აკერიათ პირზედ და საქმით კი თავიანთი ჯიბის მეტი არა სწამთ რა და გროშად არ აფასებენ არც სამშობლოს და არც მის დიდებას.

ეს ცრუ პატრიოტები რომ გამოელანძღა, უფრო ცუდად მოეხსენებინა ბონაპარტის პროკლამაციები, რომელთაც აღტაცებაში ზოჰყავდათ მთელი ქვეყანა: რა არის მათში მოსაწონი, ეთქვა შოველს, განა ყაჩაღების უფროსი კი მაგ ლექსით არ ამხნევებს თავის კაცისმკვლელ ამხანაგებს: ბიჭებო, თქვენ გიყვართ კარგი ღვინო, კარგი ტანისამოსი და ლამაზი გოგოები!... ფული თქვენ არა გაქვთ და ნისიად არავინ რას გენდობათ. ჰოდა ბე მომყევით! ალზასში ერთი გაკეთებული ოჯახი ვიცი; მივიდეთ და ავიკლოთ იქაურობა. ნუ თუ შეშინდებით, ბიჭებო?!"

ამ სიტყვებზედ გაჯავრებულიყვნენ ყველა იქ მყოფნი და საშინელი ღრიალი დაეწყოთ. სენვიტელი ყასაბი შლახტერი მივარდნოდა შოველს და ჩამოეთრია ტრიბუნიდან; შოველიც, თუმცა პატარა კაცი იყო, ფოლადის მკლავები ჰქონდა და, მაგრა დახვედროდა; მაგრამ შლახტერს სხვებიც მიშველებოდნენ... ზოგს მუშტი წაეკრა საბრალო მოხუცისთვის, ზოგს წიხლი... ლანძღვით კი ყველანი თურმე უშვერი პირითა ლანძღავდნენ. ერთი ბღუჯა თმა ამოეგლიჯათ, ცალი ლოყიდან სისხლი სდიოდა... მორბოდა და თან გაშმაგებული ბრბო მოსდევდა, ქალი და კაცი, საზარელი ყიჟინითა და სტვენით. „ღაიცადეთ! დაიცადეთ!—შეჰყვირა მათ შოველმა სამამასახლისოს კარებიდან,—თქვენს შვილებს გადახდება თქვენი დანაშაული... თქვენი შვილების სისხლით და ხორცით აღადგენენ მე-

ფეს... მაშინ იტირებთ, თქვე უგუნურნო, მაგრამ გვიანლა იქნება! მაშინ მოითხოვთ თავისუფლების და თანასწორობის დამყარებას. მაგრამ გვიანლა იქნება! თქვენ თქვენი შესაფერი ბატონი გინდათ და გეყოლებათ კიდეც! დღევანდელი დღე დაისწავლეთ, იმდენი ღმერთმა მიშველოს, რამდენჯერ თქვენ მაშინ შოველი მოიგონოთ!

— ჩუმად, შე მხეცო!... გაჩუმდი! შენც მარატი ხარ, მარატი! — უყვიროდნენ ბრაზმორეულნი.

სამამასახლისოში შევიდა და სკამზე დაჯდა. მე ისე ვიყავ შემკრთალი, რომ სისხლი გამიშრა და გაშეშებული ვიდექ უძრავად. შოველმა სისხლი მოიწმინდა, მერე წყალი დალია, და მითხრა:

— ნუ გეშინია, მიშელ, საშიში არაფერია. ეს ისეთი დრო არის, რომ ამაზედ უარესსაც ბევრსა ნახავ. შინ წადი, მარგალიტა შეწუხებული იქნება, დაამშვიდე, მალე წადი, დუქანში არ მოგიხდნენ ის უმეცარნი და ფანჯრები არ ჩაგილეწონ.

ის იყო უნდა წავსულიყავ, რომ მარგალიტაც შემოვიდა. სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. ბავშვი ხელში ეჭირა. იმ დღესა ვნახე მარგალიტა მტირალი, და რომ არ მენახა, არც კი დავიჯერებდი, რომ ტირილი შეეძლებოდა. შოველსაც გული აუჩქროლდა და სთქვა:

— სატირალნი ჩვენ კი არა ვართ, შვილო, სატირალნი ის უბედურნი არიან, რომ თაყვანსა სცემენ ბონაპარტისთანა გაიძვერა კაცებს.

ბავშვი მე მომცა, თითონ ხელი დაუჭირა თავის ქალს და შინისკენ წავედით. თან რამდენიმე ჯარისკაცი მოგვდევდა, მაგრამ, ვეიშველა ღმერთმა და, შინ ისე მივედით, რომ ხმა აღარავის გაუცია: ხალხი უკვე დაშლილიყო.

ერთადერთი მეგობარი, რომელიც ერთგულად შეგვრჩა იმ დღეს, მამა ქრისტეფორე იყო. შინ რომ მივედით, იქ დაგვხვდა. თურმე იფიქრა, შეიძლება ხალხმა დუქნის აკლება მოინდომოსო, და კიბეში იდგა თავისი მსხვილი ყავარჯენით. რომ დაგვინახა, წინ მოგვეგება და შემოგვძახა:

— შენ გიშველა ღმერთმა, შოველ! რაცა სთქვი, ჭეშმარიტი სთქვი და სულით და გულით ვუერთდები შენს აზრებს. ჩემდა საუბედუროდ, მე გარედან გიგდებდი ყურს, შიგ ვეღარ შემოვატანე და ამიტომ ვერას დაგეხმარე.

— მით უკეთესი, — უპასუხა შოველმა, — მე რომ მომშველებოდა ვინმე, ცოცხალი ვეღარ გადავრჩებოდით. კარგი ის არის, რომ ამავე ხალხმა ორჯერ მომანდო თავის ინტერესების დაცვა და თავის წარმომადგენელად გამგზავნა საერო კრებაში. ღმეოთმა ხომ უწყის, სინიდისიერად ავასრულე ხალხის მონდობილება. ეხლა სხვა

ორჩიონ, რა მენაღვლება! მე მაინც ყოველთვის და ყოველგან ვიტყვი ჩემ აზრს ბონაპარტის შესახებ, რომელიც თავის პროკლამაციებში არც სათნოებას ახსენებს, არც თავისუფლებას, არც თანასწორობას და მარტო გამარჯვებას, დიდებას და სიმდიდრეს ჰპირდება თავის ჯარს.

იმდენად ნაცემი იყო საწყალი მოხუცი, რომ ერთი კვირა ლოგინში იწვა. მარგალიტა უვლიდა. მეც ყოველ საათს ავდიოდი მის სანახავად. იწვა და ხალხის უმადურობას და უგუნურებას ჩიოდა:

— რესპუბლიკა კი უნდათ მაგ უბედურებს, მაგათ! — იძახდა შოველი:—ჩვენი უბედურება ის არის, რომ მართებლობა მეფის მომხრეებმა და მდიდარმა ბურჟუაზიამ იგდო ხელთ და ხალხი ცარიელზედ დასვა. კიდეც უნდა ხალხს თავის უფლებათა აღდგენა, მაგრამ რა ქნას, რომ წინამძღოლი და სულის ჩამდგმელი აღარავინ ჰყავს? მარტო ჯარის იმედიღა აქვს, — იქნება ამან მიხსნას ამ სამარცხვინო მდგომარეობიდანო. ამ ერთი თვის წინად ჟურდანის იმედი ჰქონდათ, — ის არის ჩვენი მხსნელიო! ჟურდანის შემდეგ ჰოშისა, მოროსი და ახლა ბონაპარტისა!

— ბონაპარტი ერთი უბრალო გენერალი არისო,—ამბობდა შოველი, — პატარა კაცია, ჩამომხმარი, შავგვრემანი, ყბებწამოშვერილი. საშინელი თავმოყვარეა და თვალებში ეტყობა, რომ მოუთმენლად ელის მთელი ჯარის მხედართმთავრობას, რომ მბრძანებელი აღარავინა ჰყავდეს; საერო კრების წარმომადგენელთ ყოველთვის აღშფოთებული ემორჩილება. საერო კრებაში მარტო რობესპიერი გააჩნდა ღირსეულად; რობესპიერის უმცროსს ძმას დაუმეგობრდა, რომ მის წყალობით უფროსის გულიც მოეგო. მაგრამ როდესაც რობესპიერი მოკლეს, უცბად იცვალა ფერი და ახლა ბარრას დაუმეგობრდა, სწორედ იმ ბარრას, რომელმაც მისი სათაყვანო რობესპიერი მოჰკლა.

— მე ბონაპარტი უკანასკნელ აჯანყების დროს ვნახე,— განაგრძო შოველმა, — როდესაც მენუმ ვერა გააწყო რა აჯანყებულ ბურჟუაზიასთან და ბარრამ ბონაპარტი დაიბარა და ჰკითხა:—იკისრებ თუ არა პარიზის დამშვიდებასო? საერო კრების დარბაზის შესავალში იყო ეს ბაასი. ბონაპარტმა ოცი წუთი ითხოვა მოსაფიქრებლად. იქვე კედელს მიეყრდნო, თავი დაღუნა, ხელები წელზედ გადაიდო. ხალხით სავსე იყო იქაურობა, ბუზივით ირეოდნენ დეპუტატები და უცხოელები; იმისთანა ყაყანი იდგა დარბაზში, რომ მოლაპარაკეთ ერთმანეთისა არა ეყურებოდათ რა; ის კი იდგა ღრმად ჩაფიქრებული!.. და გარწმუნებ, მიშელ, იმ ხმაურობასა და არეულობაში იმას კი არა ფიქრობდა—როგორ ავისრულო ეს ძნე-

ლი მონდობილობაო? — არა! ის სულ სხვას ეკითხებოდა თავის თავს: შემძენს რასმე მე ეს საქმე?.. სახელს გამითქვამს?.. მეფის მომხრენი და იაკობელები ერთმანეთს ებრძვიან... ღმერთმა შეარცხვინოს ერთიც და მეორეც! მეფის მომხრეებს ბურჟუაზია ეხმარება, იაკობელებს ხალხი. მაგრამ რადგან საერო კრების განახლება მთელმა საფრანგეთმა მიიღო და წინააღმდეგობა მარტო პარიზელმა ბურჟუაზიამ გამოაცხადა და აჯანყდა კიდეც, მგონი ამ საქმით მე არაფერი წავიხდინო და რგებით კი ძალიან ბევრი ვირგო. გარეუბნელ იაკობელებს იარაღს დავურიგებ და ბურჟუაზიას მივუსევ; იაკობელების გულსაც მოვიგებ და უმრავლესობის ბრძანებასაც ავასრულებ. მე კარგ ჯილდოს გავიკრავ, იქნება ჯარის წინამძღოლობაც მომცენ და სისხლის ღვრა და ხალხის ჟლეტა კი ამ გამოტვინებულ ბარრას დაბრალდება".

— თუნდა დავიფიცავ, მიშელ, რომ ამას ფიქრობდა იმ დროს ბონაპარტი, რადგან სხვა საფიქრებელი არა ჰქონდა რა. ოცს წუთს არც კი გაევლო, რომ მივიდა და გამოუცხადა, ვკისრულობ თქვენს ბრძანებასო. ჯერ ერთი საათიც არ გასულიყო, რომ მან ყველაფერი გაარიგა და ყოველი ბრძანება გასცა; იმავე ღამეს შემოვიდნენ ზარბაზნები; იმავე ღამეს დაურიგდა გარეუბნელებს იარაღი. მეორე დილას ოთხ საათზედ ზარბაზნები უკვე თავ-თავის ადგილზე იყო და მეზარბაზნენი ანთებული ჭრაქით ბრძანებასღა ელოდნენ; ხუთს საათზედ დაიწყო ბრძოლა და... ცხრა საათზედ სუყველაფერი გათავებული და დამშვიდებული იყო. ბონაპარტმა მაშინვე მიიღო თავისი ჯილდო — გენერლობა. ცოტახანს უკან ბარრა გამგეობის წევრად დანიშნეს და ერთი თავისი მეგობართაგანი ჟოზეფინა ბოარნე შერთო ცოლად; მზითვად იტალიაში მყოფი ჯარის მხედართმთავრობა მისცა. ბონაპარტი ძალიან ფრთხილი და ვერაგი კაცია და თავის დღეში არ იტყვის — მე ბურჟუაზიისაკენა ვარ ხალხის წინააღმდეგო. სხვა ჩვენი გენერლები გაუბედავნი არიან, არ უნდათ არც ხალხი მოიმდურონ, არც მეფის მომხრენი; კიდეც რომ მოინდომოს კაცმა, ვერ გაიგებს, ვის ემსახურებიან, რესპუბლიკას თუ მეფეს... ერთი სიტყვით, — ან მწვადი არ დაგვეწვას ან შამფურიო, სულაც აღარ მიირთმევენ მწვადს. ბონაპარტი კი დაურიდებლად გაიძახის, მე იაკობელი ვარო, სრულიად თავისუფლად მოქმედებს და ნადავლს დიდძალ ფულს და დროშებს უგზავნის პარიზს.

— ბონაპარტისთანა საშიშარი რესპუბლიკას ჯერ მტერი არ გამოსჩენია. თუ შემდეგშიც ასე გამარჯვებული იქნა, მთელი ხალხი იმას მიემხრობა. ბურჟუა ყოველთვის თავის პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს მარტო და ამიტომ წინ კი არ გაუძღვება ჩვენს რეს-

პუბლიკას, სულ უკან დარჩება და იქნება არც კი მიჰყვეს. ხალხი ვერ მიემხრობა ბურჟუაზიას, რადგან უკვე იწვნია მისი მუხანათობა და თავის დაუნდობელ მტრად მიაჩნია, თუნდა იმიტომ, რომ ამოდენი ტანჯვა-ვაებით და სისხლის ღვრით შეძენილ გამარჯვებით მარტო შემძლებლებმა ისარგებლეს და ხალხს კი ახალი კონსტიტუციით აღარავითარი მოქალაქეობრივი უფლება აღარ შეარჩინეს; ხალხი თავის დღეში არ დაივიწყებს ამას და, თუ არჩევანზე მიდგა საქმე, ბონაპარტის ჯარში უბრალო ჯარისკაცად წავა, და ნაქურდალით გამდიდრებულს თავისსავე სწორსა და ტოლს კი არ დაუდგება ყმად და მონად. ორ ცეცხლ შუა არის დღეს ხალხი: აქეთ ვერაგობა და გაუტანლობა ბურჟუაზიისა, იქით ძალადობა ბონაპარტისა. შემძლებელთ აღარ მიჰყვება, რადგან დარწმუნებულია, რომ კიდევ მოატყუებენ. ბურჟუაზია უნდა გრძნობდეს, რომ ეშმაკობა აღარ გაუვა და, თუ მაინცა და მაინც არ დაიშალა თავისი, გამოტყვრება ვინმე ბონაპარტი და გამოაცხადებს: მთელი საფრანგეთის ხალხის სახელით ყოველ ადამიანს აქვს და უნდა ჰქონდეს მოქალაქებრივი უფლებანი, რომლებსაც მას ვერავინ წაართმევს; ვისაც გახიზნულების მამული უყიდია, ვეღარავინ შეეცილება უკუნითი უკუნისამდე". და ისე მიჰყვება მას ხალხი, რომ სულ ცოცხით გარეკავენ ბურჟუაზიას. მარტო მართლმსაჯულებას შეეძლება წინააღუდგეს ამ ძალას, მაგრამ ისიც იმისთანას, რომელიც სამართლიანად ეკიდებოდა ხალხს: მართლმსაჯულება, რომელმაც ხალხს ყოველი უფლება წაართვა, უკანონობად იქცა და მაშასადამე არც ის იქნება დასანდობი.

ასე სჯიდა ჩვენს საქმეებს შოველი.

მაგრამ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ... შემდეგში ბევრი ვინანე, — რა ღმერთი გამიწყრა, რამ შემშალა-მეთქი... ღვთის წინაშე, გაჩუმება მირჩევნია, მაგრამ რაკი მართალს დაგპირდით, აქაც მართალს მოგახსენებთ და დაუფარავად აღვიარებ ჩემს ცოდოს: სიყმაწვილეში გამოვლილ ტანჯვა-წვალების, შიმშილ-სიცივის და მრავალ დამცირების შემდეგ ისე გამიტკბა ახალი ბატონკაცური ცხოვრება, რომ ჭირივით მეჯავრებოდა ყველა, ვინც ჩემს განცხრომას შეეხებოდა. დიაღ, ჩემდა სამარცხვინოდ, მართალს მოგახსენებთ. დუქანი სავსე გვქონდა საქონლით, დახლი — ფულით და, რომ მომაგონდებოდა ჩვენი ქოხი, ან კიდევ შუა ზამთარში გამვლელ-გამომვლელის უკან დევნა და ღაღადი — მოწყალება მოიღეთ! გამიკითხეთ ღვთის გულისთვის! — ჩემისთანა ბედნიერი ადამიანი აღარსად მეგულებოდა. ოცნებითაც კი ვერ წარმოვიდგენდი ასეთ ნეტარებას! კაცი ვიყავ, სახლ-კარი მქონდა, ცოლ-შვილი მყავდა! ცოლი თავს მევლებოდა, პატარა შვილი ულვაშს მაგლეჯდა თავის ფუნთუშა ხე-

ლებით და თან, მამაო! — შემომძახოდა... და შოველი კი თავისას არ იშლიდა, გამგეობასაც რაღასაც ემდუროდა, საერო კრებასაც, გენერლებსაც და სულ იმას იძახდა: ხელმეორედ უნდა მოვახდინოთ რევოლუცია, რომ რიგზე მოვიდეს ყველაფერიო! ბასრი ნესტარივით მხვდებოდა ჩემი სიმამრის სიტყვები და ძალიანაც ვამტყუნებდი ჩემს გულში:

— ეგ კი მეტისმეტია! ძლივს დამშვიდდა ქვეყანა და ეს კი ისევ არევასა ნატრობს. რა უნდა ნეტავი? ვაჭრობა ისევ ძველებურად გაჩაღდა, გლეხკაცობამ მამული შეიძინა... რაც არის, არის, ოღონდ ნუღარას შეარყევენ და დღევანდელიც გვეყოფა; ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც იმაზედ მეტი ინატროს რამე! აბა გაბედონ გახიზნულებმა და ბერებმა ჩვენი მართებლობის გაუქმება! ქუდზედ კაცი გავალთ და ჩვენს მამულს კი აღარავის მივცემთ! ჯარიც ჩვენკენ იქნება, რადგან ჯარი რესპუბლიკის მომხრეა!..

დიაღ, ასე ვსჯიდი, ჩემდა სამარცხვინოდ.

მგონი მიმიხვდა შოველი: წამდაუწუმ დაუწყებდა ხოლმე ლანძღვას იმ „უსინიდისოებს“, რომელთაც კუჭი და ჯიბე გაივსეს და თითქო მთელი ქვეყანა მაძღარი იყოსო. თავიანთ საქმეების გარდა აღარას ზრუნავენ. ის კი არ იციან, რომ თუ საქმეში არ ჩაერევნენ და ხალხის სურვილისამებრ არ აირჩიეს მართებლობა, ისე გამოეცლებათ ხელიდან ყველაფერი, რომ ლუკმაპურს დანატრულდნენო.

რასაკვირველია, ვგრძნობდი, რომ უმთავრესად მე შემეხებოდა იმის სიტყვები, მაგრამ პასუხს არ ვაძლევდი, თუმცა გულში კი ძალიან ვემდუროდი, — ჩემი კეთილდღეობის დარღვევა უნდა-მეთქი.

IX

1796 — 97 წლის ზამთარმა საკმარისად მშვიდობიანად გაიარა.

ჟურდანი დამარცხდა ვურცბურგში და მაშინათვე გადააყენეს. მის ადგილზე მხედართმთავრობა გენერალს ბერნონვილს უბოძეს, რომელმაც დაითხოვა ვინც კი ჯარში საეჭვო კაცი ეგულებოდა, გადააყენა რესპუბლიკის მოწინააღმდეგე კომისრები, დახვრიტა ქურდები და ერთობ რიგიანად მოაწყო ჯარის საქმე. მაგრამ ჟურდანსაც მრავალი მომხრე ჰყავდა ჯარში და ყველა მის მხარეზე მყოფმა ოფიცრებმა ერთად დაანებეს სამსახურს თავი; ჯარისკაცების გაპარვა ხომ ვერაფრით შეეყენებინათ.

ავსტრიელები რეინს გამოვიდნენ, მაგრამ იქვე, ჩვენს ახლო, დამარცხდნენ. იმავე დროს ზავი ჩამოვარდა და შეწყდა ბრძოლა. ნოემბრის დამდეგი იყო.

ზავის ჩამოვარდნამდე კი ძალიან საქმე დავმართეთ ავსტრიელებს: გენერალ მოროს რეინს გაღმა მცირეოდენი ჯარი დაეტოვებინა. დეზეს წინამძღოლობით და ძალიანაც გაემაგრებინა. ავსტრიელები გარს შემოერტყნენ ციხეს და ოცდაათათასამდე კაცი ანაცვალეს მის აღებას. აღებით კი მაინც ვერ აიღეს და ძალიან კმაყოფილნი დაგვრჩნენ, როდესაც ზავი ჩამოვარდა და მუჭის ტოლი ჩვენი გამარჯვებული ჯარი რეინს გამოვიდა და დაფხრეწილი დროშების ფრიალით და მარსელურის სიმღერით ჩვენს უმთავრესს ჯარებს შეუერთდა.

გენერალი ჰოში ირლანდიის ასაღებად ამხედრებულიყო, მაგრამ აღელვებულ ზღვას ისე დაეფანტა მისი ხომალდები, რომ უკან დაბრუნება არჩია. ბევრს ლაპარაკობდნენ აგრეთვე ბონაპარტის ტიროლში გადასვლაზე და ბერნადოტის წინამძღოლობით ჩვენი ჯარების გამგზავრებაზედ რეინის გაღმა, გერმანიისკენ.

ხალხი აღტაცებული იყო ჩვენი ჯარების გამარჯვებით, მაგრამ შოველი კი ამას ყურადღებასაც არ აქცევდა და სულით და გულით მისცემოდა არჩევნებს, რომლითაც საერო კრების მესამედი უნდა განახლებულიყო; დარწმუნებული იყო, რომ, თუ საიმედო კაცებს აირჩევდა ხალხი, მტერი ვერას დააკლებდა.

— რესპუბლიკას უცხოელთაგან შიში აღარა აქვს, — იძახდა შოველი, — რადგან თითქმის ყველანი დაამარცხეს ჩვენმა ჯარებმა; კიდეც შეგვეხვეწებიან მორიგებას, თუ კი მოვისურვებთ და მოლაპარაკება დავუწყეთ. ოღონდ პირობანი მორიგებისა საერო კრების, ესე იგი ხალხის, წარმომადგენლებმა უნდა დაადგინონ, და არა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებმა, რომელნიც ჩვენი გამარჯვებით ჩვენს მტერს ასარგებლებენ. უნდა ვეცადნეთ, ღირსეული კაცები ავირჩიოთ დეპუტატებად, რადგან ამ არჩევნებზედ არის დამოკიდებული მთელი ჩვენი მომავალი.

ყველგან საარჩევნო კრებები იმართებოდა და შოველიც ძველებურად სიარულს მოჰყვა. ხან სარბურგში იყო საწყალი მოხუცი, ხან დრულინგენში, ხან სავერნში. გათენდებოდა, და ის ფეხზედ იყო. ხუთ საათზე ფეხაკრეფით ჩამოვიდოდა სამზარეულოში, კიდობნიდან ერთ პურს ამოიღებდა და გასწევდა! საცა კი კრება იყო, ისიც იქით მიეშურებოდა, ხშირად რამდენიმე საათის სავალზედ. პატრიოტებს აერთებდა და ამხნევებდა, რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებს ამხელდა. კიდევ კარგი, რომ მამა ქრისტეფორე და ორი მისი ძმა თან დასდევდნენ, თორემ მოასწრებდნენ სადმე არისტოკრატები და ჩააქვავებდნენ. ტყუილად კი არ მაფრთხილებდნენ ნათლიაჩემი, კოლენი, ლეტუმიე და ყველა ჩვენი მეგობრები:

— ღვთის გულისთვის, მიშელ, შეიმაგრე როგორმე შენი სიმამრი, თორემ ცოდოს დაატრიალებენ მეფის მომხრენი. ხომ იცი, რა მძლავრნი არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი დაგსბურგის მაზრაში: გაუნათლებელ, გულუბრყვილო მთიულთ ღმერთივით სწამთ მეფე და შენი სიმამრიც სწორედ იმათ მორჯულებას ცდილობს. მარტო ხალხი იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ხალხს ისეთი დამრიგებლები ჰყავს, რომ კეთილს არ დააყრიან. ჟანდარმებიც კი ვერა ბედავენ დაგსბურგის ვიწრო ხეობებში შესვლას, იციან, რომ იქაური მთიულები ჭკუით კი არა, ხანჯლითა სჯიან საქმეს. გააფრთხილე, შეიმაგრე, თორემ მკვდარს ან დასახიჩრებულს მოგაყენებენ კარზედ.

მეც კარგად ვიცოდი, რომ სრულიად მართალს მეუბნებოდნენ, მაგრამ რა მექნა? ერთ დილას მითხრეს, დღეს მთაში კრებას აპირებენ და მთიულებს უთქვამთ, თუ გაბედა ვინმემ რესპუბლიკის მომხრემ და ჩვენში წარმოსდგა, ცოცხალი აღარ გადაგვრჩებაო. ეს მუქარა მაშინვე ვაცნობე შოველს და თანაც ვთხოვე, — ნუ წაბრძანდები, რადგან სრულიად უსარგებლოდ ჩაივლის შენი ცდა-მეთქი.

უნდა გენახათ, როგორ გამიწყრა! მომყო პირი და იმდენი მლანძღა.. მეც და ჩემსავით კუჭმაძღარნიც... რომელნიც გუშინ შიმშილით კვდებოდნენ! წარმოიდგინეთ, როგორ მეწყინებოდა! მაგრამ მოვითმინე, ავიტანე ყველაფერი და გარეთ გავედი. მარგალიტა უკან გამომყვა. მინდოდა თავი დამენებებინა ყველაფრისთვის და შინისკენ წავსულიყავ, მაგრამ მარგალიტას ცრემლებმა შემაყენეს. ჩემი სიმამრიც გზას გაუდგა. მაგრამ იმავე დღეს, სადილს უკან, ოთხ საათზედ ხმა გავარდა, ლუტცელბურგში რესპუბლიკელებს და მეფის მომხრეებს ჩხუბი მოსვლიათ. და მრავალი ხალხი დაჭრილა და დახოცილაო. გაჯავრებული ვიყავ შოველზედ, მაგრამ ამ ამბავმა სრულიად გამინელა გული; მომაგონდა მისი მამაშვილური დარიგება და სიყვარული, მომაგონდა, რაოდენი სიკეთე ექნა ჩემთვის და შიშით გული გადამიბრუნდა. სირბილით გავწიე ლუტცელბურგისაკენ. ბინდისას მიველ! უკვე ბნელოდა და კრების ველი მაშხალებით იყო გაჩაღებული. ჯობნით პატრიოტებს ეჯობნათ.

აუარებელი ხალხი ეხვია, — გარშემო სოფლებიდან მოგროვილი ქალი და კაცი — და თუმცა იქვე წისქვილის წყალი ხუოდა, იმისთანადა კრიალებდა ჩემი სიმამრის ხმა, რომ ზარი გეგონებოდათ:

— ერი ჩვენა ვართ, მამულიშვილნო, ჩვენა! ჭეშმარიტი მბრძანებელი მარტოდმარტო ჩვენა ვართ — გლეხკაცები, ხელოსნები და მუშები. ერი ჩვენა ვართ — ხ ა ლ ხ ი და მ ა რ თ ე ბ ლ ო ბ ა ც

ხალხისა უნდა იყოს, რადგან მშრომელიც ხალხია, ხარჯის გამღებიც ხალხია და მთელი ქვეყნის მკვებავი და მაცხოვრებელიც იგივე ხალხია! სულით ხორცამდე დავიღუპებით, თუ გაგვიწყრა ღმერთი და ერის წარმომადგენლად ის მუქთახორა გაიძვერები ავირჩიეთ, რომელთაც თავის სამშობლოს ავსტრიელები, პრუსიელები და ინგლისელები შემოუსიეს და მიუხედავად მტრის ჯარებისა მაინც დამარცხებულ იქმნენ, თუნდა ასჯერ ზედიზედ! დიაღ, სულით ხორცამდე დავიღუპებით, თუ გაგვიწყრა ღმერთი და ისინი ავირჩიეთ ჩვენს წარმომადგენლებად: ჩვენი გამგენი, ჩვენი მსაჯულნი, ერთობ ყველა ჩვენი მოხელენი ჩვენი მტრები და მოღალატენი იქნებიან, რადგან ჩვენ მტერთაგან იქნებიან დანიშნულნი, არა ჩვენთვის, არამედ ჩვენდა საწინააღმდეგოდ; არა ჩვენდა სასარგებლოდ, არამედ ჩვენდა საავნებლად! მოგვდგებიან და არც კრეჭას დაგვაკლებენ და არც პარსვას. იმისთანა უღელში შეგვაბმენ, რომ ძველი გვენატრებოდეს. ჰოდა, გაფრთხილდით! თქვენს წარმომადგენლად რომ კაცებს აირჩევთ, იმათზედ იქნება დამოკიდებული თქვენი და თქვენი ცოლ-შვილის კეთილდღეობა. კენჭი რომ აიღოთ ხელში, თქვენი ცოლ-შვილი მოიგონეთ. იცოდეთ, ნელ-ნელა მოიწევს მტერი, ფრთხილად, ჩუმად, ისე ჩუმად, რომ მოყვარე გეგონებათ. არ მოგეპაროთ იუდა ვინმე! თქვენს წარმომადგენლად იმისთანა კაცები აირჩიეთ, რომ სალოცავად გლეხკაცობა გაეხადოს.

დიდი ხანი ილაპარაკა შოველმა. ხალხს ძალიან მოსწონდა მისი სიტყვა და გულმოდგინედ უსმენდა.

მას შემდეგ მამა ქრისტეფორემ ილაპარაკა, მერე სხვებმა. ცხრა საათზე ჟანდარმები მოვიდნენ და ხალხიც მაშინვე დაიშალა, ისე რომ ჟანდარმებს ხმაც არ ამოვაღებინეთ. მე და შოველი ერთად წამოვედით. დილანდელისა აღარაფერი ახსოვდა და ისე დამელაპარაკა, თითქო ჩვენს შორის თავის დღეში არა მომხდარიყოს რა:

— ხომ ხედავ, მიშელ, რომ ჯერ კარგად მიდის ჩვენი საქმე! ჩემი ამხანაგებიც რომ ასევე ეცადნენ — კონვენტის წევრებზე მოგახსენებ — და ყველამ რომ თავის მაზრაში გააფრთხილოს და გააამაგროს ხალხი, გარწმუნებ, საერო კრებაში უმრავლესობა ისევ ჩვენი იქნება. ისეთი უვარგისი არ არის ჩვენი გამგეობა, როგორც ამბობენ! უნდა გავამხნევოთ, ძალა გამოვაჩენინოთ, რომ იმისიც ისევე ეშინოდეთ, როგორც ქვეყნის მფარველი კომიტეტისა ეშინოდათ. თუ ხალხი კარგად მოიქცა და უმრავლესობა რესპუბლიკელებს დაგვრჩა, გამგეობაც ჩვენი იქნება. იცი, რამ შემოგვძღვნა ჩვენ ამოდენი არეულობა, ყაჩაღობა, ხალხის თითქმის სასოწარკვეთილებამ-

დე დაცემა და ჩვენი მტრების თავხედური გათამამება? უკანასკნელმა არჩევნებმა! როდესაც ხალხს უფლება არა აქვს თავისი წარმომადგენლების არჩევისა; როდესაც კაცს ადამიანობის დაკვალად კი არა, გადასახადის კვალობაზე სცემენ პატივს და ანიჭებენ მოქალაქეობრივ უფლებებს, მაშინ ერის წინამძღოლობა თავხედთ და გაიძვერებს რჩებათ და, რასაკვირველია, ისე მოაგვარებენ ყველაფერს, რომ თავიანთი ჯიბეები დაიტენონ და თავიანთი საქმეები გაირიგონ. იმათი ღმერთი ფულია და სულს გაჰყიდიან, არამც თუ სამშობლოს.

როგორ არ დავთანხმდებოდი, როდესაც კარგად ვხედავდი, რომ ყოველი ჩვენი უბედურება, შოველისა არ იყოს, იმ ჟირონდელების ბრალი იყო, რომელთა საცოდაობით ერთ დროს გული გვეწოდა დიდსა და პატარას. ბევრი მათგანი, როგორც შემდეგში გამოირკვა, მეფე ლუი XVIII ჩუმი მსახურნი ყოფილიყვნენ; ენაზედ რესპუბლიკა ეკერათ და გულში კი რესპუბლიკის მტრობის მეტი არაფერი ჰქონდათ; რესპუბლიკით სარგებლობდნენ, რომ ერთიანად ამოეხოცათ რესპუბლიკელნი; ყველაფერს კადრულობდნენ, რომ თავიანთ ფარულ წადილს მისწეოდნენ როგორმე და ბაბეფის * შეთქმულობითაც კი ისარგებლეს, რომ ბრალი დაედოთ რამდენიმე ასი რესპუბლიკელისთვის და გილიოტინით დაეხოცათ; სულ უბრალოზედ— ასობით რესპუბლიკელს ხოცავდნენ და იმავე დროს თვალს არიდებდნენ მეფის მომხრეთაგან რესპუბლიკელების ჟლეტას და ქვეყნის არევას. თვალს არიდებდნენ გახიზნულების და ბერების დაბრუნებას და ქადაგებას — საფრანგეთი მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც მეფე ეყოლებაო. იმდენად გამძლავრებული იყო მტერი, რომ გამგეობაც კი ვერა ბედავდა მის წინააღმდეგობას. ერს სათავეში მოღალატენი დასდგომოდნენ და როგორც ნებავდათ, ისე განაგებდნენ. თვით რესპუბლიკელნიც გრძნობდნენ, რომ ჩვენი ხსნა ჯარსღა შეეძლო და ამიტომ გაფაციცებით დაეძებდნენ იმისთანა გე-

---

* ბაბეფი, რედაქტორი გაზეთისა „ხალხის ტრიბუნი", მაშინდელ მწერლობაში „ქაიუს გრაკხუსად" ცნობილი იყო. ბაბეფი ამტკიცებდა, — რაც დაუმუშავებელი მიწებია და საზოგადო მამულები, ღარიბებს უნდა მიეცეთო. მისმა ქადაგებამ ძალიან გაიტაცა ღარიბი მუშა ხალხი, მეტადრე პარიზელი გარეუბნელები. ამ ქადაგებისთვის რამდენჯერმე იჯდა ციხეში; ბოლოს მართებლობის წინააღმდეგ შეთქმულობა შესწამეს და მასთან ერთად დაიჭირეს დართე, ბუონაროტი, ანტონელი, როსსინიოლი, ვადიე, ამორი, შოდიო და კარრეინი. სამი თვის შემდეგ ბაბეფს და დართეს გადაუწყვიტეს გილიოტინით თავის მოკვრა. იმათ ხანჯლით თავის მოკვლა განიზრახეს, მაგრამ დროზედ მიასწრეს დარაჯებმა და გილიოტინზედ სრულიად დასისხლიანებულნი წაიყვანეს.

ნერალს, რომ მეფის მომხრენი აელაგმა. ჩვენი უბედურება ის იყო, რომ, ვინც ძმობას გვეუბნებოდა, ჩვენც ძმად მიგვაჩნდა და ის კი ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს ფარისეველნი იმ თავითვე ჩვენი მოსისხლე მტრები იყვნენ და ჩუმად, ფარულად, გველივით გვმტრობდნენ და ორმოს უთხრიდნენ ყოველ ჩვენს დაწყებულებას ხან ძალით, ხან ვერაგობით, ხან ღალატით. ხალხი დაღალეს! დაგვიღალეს საუკეთესო, მართლა და დაუღალავი, მამულიშვილნი! ჩვენი უბედურება ის იყო, რომ რესპუბლიკის დასაღუპავად შეთქმულთ კარგად იცოდნენ, რაც უნდოდათ — ხალხის დამონავება და ბატონყმობის ჩამოგდება — და ჩვენ კი ერთმანეთის ჯიბრით გატაცებულნი მტერს ვერ ვხედავდით და ერთმანეთს ვხოცავდით.

1797 წლის მარტის და აპრილის განმავლობაში ერთს კრებას არ დაჰკლებია შოველი. მაგრამ არჩევნების გარდა სხვაც ბევრი რამ იყო მაშინ საინტერესო: გენერალი მორო რეინის გაღმა გასასვლელად ემზადებოდა; ბერნუვილის მაგივრად მხედართმთავრობა ჰოშს უბოძეს; სამამასახლისოების და კლუბების კარებზე გაკრული იყო ბონაპარტის პროკლამაცია, ბონაპარტისა, რომელიც ის იყო ამხედრებისათვის ემზადებოდა. აი, თვით პროკლამაციაც:

იტალიაში მყოფი ჯარის მხედართმთავარი ბონაპარტი
თავის ერთგულ და მამაც ჯარისკაცთ.
ბასსონის უმთავრესი ბანაკი 10 მარტს 1797.

ქ. მანტუს აღებით დამთავრდა წარსული ჩვენი ომიანობა, რომლითაც უკუნითი-უკუნისამდე დაუვიწყარი დიდება შესძღვენით თქვენ თქვენს სამშობლოს. წარსულ ომიანობაში თოთხმეტ დიდ ბრძოლაში დარჩით თქვენ გამარჯვებულნი და სამოცდაათ მცირე შეტაკებაში; ასიათასი კაცი ტყვე იშოვეთ, ხუთასი ზარბაზანი წაართვით მტერს, ორიათასი ყუთი ყუმბარა; თქვენგან დამორჩილებულ ქვეყნებში გაწერილმა და აღებულმა ხარჯმა ასაზრდოვა ომიანობის დროს მთელი ჩვენი ჯარი და გარდა ამისა სახელმწიფო ხაზინაშიც გაგზავნეთ 30 მილიონი, რათა შეძლებისადაგვარად დახმარებოდით გაჭირებულ სამშობლოს. თქვენ შეამკეთ პარიზის მუზეუმი სამასზედ მეტი ხელოვნური ნივთით, იტალიის წარჩინებულ ხელოვანთა ნაწარმოებით, რომლის შექმნას სამიათასი წელი მოანდომა ამ ძლიერმა ერმა. თქვენ შესძინეთ რესპუბლიკას უმშვენიერესი ქვეყნები ევროპისა; რესპუბლიკები ლომბარდიისა და ცისპადანისა თქვენი წყალობით არიან დღეს თავისუფალნი;

საფრანგეთის დროშა თავისუფლად ფრიალებს ადრიატიკის ზღვის პირად, ოცდაოთხი საათის სავალზედ ძველ მაკედონიამდე; მეფენი სარდინისა და ნეაპოლისა, პაპი და თავადი პარმისა, ჩამოეცალნენ ჩვენს მტრებს, და ჩვენთან მეგობრობა ირჩიეს; თქვენვე განდევნეთ ლივორნოდან, გენუიდან და კორსიდან ინგლისელები... მაგრამ ჯერ დამთავრებული არ არის სამშობლოსადმი თქვენი ღვაწლი; დღეის იქით ერთიათასად მეტი დიდება მოგელით თქვენ, რადგან თქვენი იმედიღა აქვს დღეს სამშობლოს თავისი დიადი დანიშნულების აღსასრულებლად. და თქვენც ეცდებით, ღირსეულად აასრულოთ თქვენი ვალდებულება! რესპუბლიკის დაარსებისთანავე ამხედრდა ყველა მეფე და ხელმწიფე მის დასამხობად, მაგრამ ყველანი სძლია რესპუბლიკამ, გარდა იმპერატორისა, რომელიც თავისდა სამარცხვინოდ ინგლისელი ვაჭრების ყურმოჭრილ ყმად გამხდარა და აღარც ნება აქვს საკუთარი, აღარც პოლიტიკა და იმას სჩადის, რასაც ჩასძახებენ მას ბრიტანიელები, რომელნიც არიან დამშვიდებულნი თავიანთ კუნძულზედ და ევროპიელთა ომების სეირით ტკბებიან".

პროკლამაციის აზრით, იტალიაში მყოფი ჩვენი ჯარი უნდა გადასულიყო ავსტრიაში და გაეუქმებინა ავსტრიის სახელმწიფო, „რომელიც უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში ყოველი ომის შემდეგ ჰკარგავდა რომელსამე თავის მხარეს... მართებლობამ ყოველი უფლება წაართვა ავსტრიაში მცხოვრებ სხვადასხვა ერებს. დაამცირა ისინი, ყოველი ღირსება აჰყარა და ამ მხრივაც დასამხობია ეს სახელმწიფოო".

ცხადი იყო, ომი ხელახლად იწყებოდა და ბელგიიდან მოყოლებული იტალიამდე ყველგან ბრძოლა ატყდებოდა. მართალია, ისე ცუდად აღარ იყო ჩვენი საქმე, როგორადაც 92 და 93-ში, რადგან მაშინდელივით შინ კი აღარა გვყავდა მტერი, ახლა ჩვენ თითონ ვაპირობდით ტიროლის მთების გადავლას და უცხოეთში შესევას. ავსტრიის ხელმწიფის მემკვიდრე კარლი უკვე ამზადებდა თავის ჯარებს ბონაპარტის დასახვედრად. დილით საღამომდე ჯარები დიოდნენ ჩვენს მხარეში და ბოლო არსად უჩანდათ.

ჯარების მოძრაობამ ძალიან გააცხოველა ვაჭრობა მთელს ჩვენს საზღვარზედ; ჩვენსა იმდენი მუშტარი შემოდიოდა, რომ ვეღარ ავდიოდით. მაგრამ შოველი ყურადღებასაც არ აქცევდა ჩვენს გაჭირვებას და საზოგადო საქმეების გარდა არასა ზრუნავდა. საცა კი კრება იყო რამე არჩევნების შესახებ, ისიც იქ უნდა ყოფილიყო; მეფის მომხრენი ძალიან ავი თვალით უყურებდნენ და ყველა გზებ-

ზედ კაცები ეყენათ, იქნება მოვასწროთ სადმე და ჩავაღრძოთო. მარგალიტას მოსვენება აღარ ჰქონდა; მართალია, მე არას მეუბნებოდა, მაგრამ ცხადად ეტყობოდა შიშიც და მწუხარებაც. საღამო ხანს გაშეშებულივით იდგა ხოლმე კარში და სულ გზას გასცქეროდა. დაინახავდა შორიდან მომავალს თავის მამას და იმისთანა ხმით შესძახებდა — აგერ, მოდისო! თითქო ცოცხალი აღარ ეგულებოდა.

წინ გაეგებებოდა, ბავშვს მიაგებებდა. ისიც გადაჰკოცნიდა ბავშვს, წყნარი ნაბიჯით შემოვიდოდა შინ, პურს მოიტეხდა, ღვინოს დალევდა და აღელვებული ხმით გვიამბობდა იმ დღის ამბებს და ბრძოლას. და მართლა რომ ბრძოლა იყო ყოველი კრება, ბრძოლა საფრანგეთში დაბრუნებულ გახიზნულთა და რესპუბლიკელთა შორის.

რომ მომაგონდება, რა თავგანწირვით იბრძოდა ის დალოცვილი მოხუცი თავისუფლებისათვის და რა გატაცებით უნდოდა რესპუბლიკის გამარჯვება, დღესაც აღტაცებით ვახსენებ მის სახელს და, — ღმერთო შეგცოდე, — თუ წმინდანი ადამიანთაგანნი იყვნენ, შოველიც წმინდანი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მაშინ კი სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა თავში: წარმოიდგინეთ ეგოიზმი იმ კაცისა, რომელსაც გუშინ გახვრეტილი გრში ენატრებოდა და დღეს კი ათასობით სთვლის; წარმოიდგინეთ ეგოიზმი ამ კაცისა, მეტადრე თუ ხედავს, რომ მეს სარჩო-საბადებელს დღითიდღე ემატება და ემატება და ამასთან ერთად მისი ოჯახიც მატულობს (მარგალიტა ისევ ორსულად იყო); წარმოიდგინეთ ამ კაცის ეგოიზმი და ადვილად დამეთანხმებით, რომ იმისთვის სულ ერთი უნდა ყოფილიყო, როგორი მართებლობა იქნებოდა საფრანგეთში — რესპუბლიკა თუ მეფე — ოღონდ მის დუქანს მუშტარი არ დაჰკლებოდა და მის დახლს ფული.

— სწორედ გიჟია ჩემი სიმამრი!.. — ვიძახდი ჩემს გუნებაში. — ქვეყანა ასე ტრიალებს და მაგან უნდა გამოსცვალოს ჩვენი ცხოვრება? რას დაგვაყვედრებს სამშობლო? განა პირნათლად არ ავასრულეთ ჩვენი მოვალეობა? განა არა კმარა, რაც, აგერ ექვსი წელიწადია, ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ? აბა ახლა სხვებმა გასწირონ სამშობლოსათვის თავი, როგორც აქამდინ ჩვენ ვიყავით თავგანწირულნი? ჩვენ ჩვენი გავათავეთ, ახლა სხვების რიგია! სად არის სამართალი? სულ ხომ ჩვენ არ უნდა ვზიდოთ ქვეყნის ტვირთი?

და სხვანი და სხვანი...

შოველისა ისა მწყინდა, რომ ბაზრობა დღეს, როდესაც დუქანი სავსე იყო მუშტარით, ის თავს გვანებებდა და თავის კრებებისკენ მიეშურებოდა. ეგ კიდევ არაფერი: უბედურება ის იყო, რომ

კრებებზედ ყველას დაურიდებლად პირში ეუბნებოდა, რაც სათქმელი ჰქონდა, და ბევრი კარგი მუშტარი დაგვიკარგა თავისი ენით. ისე იყო გატაცებული არჩევნებით, რომ ჩვენი ვაჭრობა აღარც კი აგონდებოდა. თუნდა დავიფიცავ, ჩვენთან იმიტომღა რჩებოდა ბინად, რომ პატრიოტული გაზეთები და წიგნაკები გაესაღებინა, თორემ, ეს რომ არა ყოფილიყო, ძველებურად სიარულს დაიწყებდა მთელს ალზას-ლორენში.

მაგრამ სრულიად ამაოდ ჩაუარა იმდენმა ცდამ შოველსაც და მასთან ერთად სხვა იაკობელსაც. რევოლუცია საშინელი სისასტიკით გადაახდევინებს ხოლმე ყველას თავ-თავის შეცდომას და შეცოდებას. რობესპიერის, სენჟუსტის და კუთონის მიერ განწირული რესპუბლიკელნი რომ ცოცხალნი ყოფილიყვნენ, არჩევნები სულ სხვანაირად გათავდებოდა, მაგრამ გვიანღა იყო! ჩვენ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას მოვუნდით და დაღალული, იმედმიხდილი და ცხვარივით უვიცი ხალხი კი მგლებს ჩავუგდეთ ხელში.

ახალი არჩევნები უფრო ცუდად გათავდა, ვიდრე წინანდელი; და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ხალხში, ვისაც გარკვეული შეძლება არა ჰქონდა, არც ხმა ჰქონდა და აღარც მონაწილეობას იღებდა არჩევნებში. რესპუბლიკელების მაგივრად არჩეულ იქმნა მეფის ორას ორმოცდაათი მომხრე. უმრავლესობა, რასაკვირველია, იმათ დარჩებოდათ და საერო კრების თავმჯდომარედ პიშეგრუ ამოირჩიეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუციას და ადამიანის უფლებებს მასხარად იგდებდა საერო კრება და ყველაფერი მზად მიაჩნდა მეფის ლუი XVIII მოსაწოდებლად.

გამგეობა ხელს უშლიდა, რადგან „ღვთისაგან კურთხეულის მეფის“ ადგილი თითონ ეჭირა. ხელს უშლიდა გამგეობა და, მაშასადამე, მის გაუქმებასაც უნდა ცდილიყვნენ. შეუდგნენ კიდეც საქმეს: გამგეობის წევრად ბართელემი დანიშნეს, მეფის მომხრე. მერე გააუქმეს კანონი, რომლითაც გახიზნულთა ნათესავთ აკრძალული ჰქონდათ ყოველივე თანამდებობის აღსრულება სახელმწიფო სამსახურში; გააუქმეს კონვენტის დადგენილება, რომელიც სჯიდა ტულონში ინგლისელების შემყვან მოღალატეებს; შარი მოუდეს გამგეობას, — უფლება არა გქონდა, იტალიაში მტერს მორიგებოდი ჩვენდა დაუკითხავადო... ეს პირდაპირ ნაპოლეონს ხვდებოდა საყვედურად... ამასთან, არც თუ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მეფის მომხრეთაგან რესპუბლიკელების ხოცვას, პირიქით, აქეზებდნენ გათამამებულ თავადაზნაურობას. ძველი მონასტრების განახლებას და ბერების გამრავლებას ცდილობდნენ, — ჩვენი ქვეყანა სარწმუნოების წყალობით იყო და არის ძლიერიო! თითქო მარ-

ტო ბერების სიმრავლეზედ ყოფილიყოს დამყარებული სარწმუნოების სიწმინდე.

ორი თუ სამი იაკობელიღა ბედავდა ხმის ამოღებას! კიდევ კარგი, რომ პარიზელი ხალხი ავი თვალით უყურებდა საერო კრებას, თორემ იქნება მაშინვე გაეუქმებინათ რესპუბლიკა და მეფე აებრძანებინათ ტახტზედ. ყოველი უბედურება და ნაკლი, თვით ასიგნაციების დაცემა და სახელმწიფო ხაზინის დაცარიელებაც კი, გამგეობას დააბრალეს. და იმავე დროს არაფრის გაკეთების ნებას არ აძლევდნენ. ქვეყანას თუ იხსნის ამ გაჭირებიდან, „ერის მცველი რაზმი“ იხსნისო, ბრძანებდნენ, მაგრამ ერის მცველ რაზმში მარტო „შემძლებელთ“ მიანიჭეს უფლება სამსახურისა, ისე რომ პარიზში ყველა შემძლებელს — ბურჟუას — იარაღი უნდა ჰქონოდა და მუშას და ხელოსანს კი არა! ამაზედ მეტი რაღა გნებავთ? რიღას ან ვიღას შიში უნდა ჰქონოდათ მეფე ლუი XVIII, გახიზნულ დიდებულთ და ეპისკოპოსებს, თუ კი პარიზელ ხალხს იარაღი აღარ ექნებოდა? ვიღას მოერიდებოდნენ? არხეინად მობრძანდებოდნენ, თავიანთ მამულს მოეპატრონებოდნენ და კვლავ დაიჭერდნენ იმ ადგილს, რომელიც მათ რევოლუციამ წაართვა!

მაგრამ ხალხისთვის თვალი არ უნდა აებათ რითიმე? მთელი სამი თვე აწვალეს ბაბეფი და ბუკსა და ნაღარას სცემდნენ, — ქვეყანა ჩვენ გადავარჩინეთ, თორემ ბაბეფი შთანთქმას უპირებდაო! ხწორედ ასე იციან იარმუკაზედ ჯიბგირებმა: ორნი ჩხუბს ასტეხენ, ხალხს შემოიგროვებენ და მესამე კი ჯიბეებს უცარიელებს სეირის მაყურებელ დოყლაპიებს.

ბევრგან გაიმარჯვეს ჩვენმა ჯარებმა, თითქმის მთელი ევროპა გადავლეს, მაგრამ ამით მაინც ვერ მოტყუვდნენ პატრიოტები და კარგად ხედავდნენ, რომ მეფის მომხრენი ვერაგობით ღუპავდნენ რესპუბლიკას: ერის შემძლებელი ნაწილის მიმხრობას ცდილობდნენ. რომ წინააღმდეგად დაობლებული ხალხის მეტი აღარავინ ჰყოლოდათ. და აღარც მალავდნენ თავიანთ განზრახვას! ალზას-ლორენი სავსე იყო გახიზნულებით და ბერებით. უმრავლესობა საფრანგეთის ქალაქებისა უკვე „ჭკუაზედ მოდიოდა“, ესე იგი ქედს იხრიდა და ხელსაც არ გაანძრევდა, მეფეც რომ შემობრძანებულიყო. ეკლესიებში ხმამაღლა ღაღადი გაისმოდა, — ღმერთო შენ დაგვიბრუნე გახიზნულებიო! ეკლესიებში რევოლუციის მოწინააღმდეგე მღვდლები სწირავდნენ... ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ მართებლობის მოხელეებმა, მაგრამ თვალს არიდებდნენ.

შოველიც ძალიან დაღონებული იყო. იჯდა დუქანში, ქალალდის პარკებს აკეთებდა და ამბობდა:

— არა, ისე როგორ წავხდით, რომ ერთი უბრალო გენერალი, ვიღაცა ბონაპარტი ბედავს და მთელი ერის წარმომადგენელთ განადგურებას უქადის, — როგორ თუ საყვედურს მიბედავთო? სირცხვილი არ არის, რომ ერის წარმომადგენელნი, რომელთაც ხალხმა მიანდო რესპუბლიკის დამყარება, ძირს უთხრიან ამ რესპუბლიკას და ხალხი კი ხედავს ამას და ყურსაც არ იბერტყავს! ერთი ჩახველების მეტი კი არა უნდა რა ხალხს, რომ მიწასთან გაასწოროს ის ქვემძრომნი, რომელნიც დევის დამონავებას ცდილობენ? რას იზამთ, რომ საღათას ძილითა სძინავს ამ დევს?

ორ ამერიკელს ჩხუბი მოუვიდათ, გვიამბობდა შოველი, და ძაან-ძაანაც წაუთაქეს ერთმანეთს. იქვე ზანგი იდგა, სიცილით კვდებოდა და ყვიროდა: ჰა, ყოჩაღ!.. მაგრე აი! მუშტი მაგისთანა უნდა!.. ვაცხონე მამაშენი!... რას იცინი, შე საწყალო შენა? ჰკითხა ვიღაცამ. იცი რისთვის ჩხუბობენ ეგ კაცები? შენთვის, შე უბედურო! ვინც აჯობებს, ის მოგიჭერს თოკს, და გასაყიდად წაგიყვანს შენა და შენს ცოლ-შვილს. ვირივით გამუშავებს; ციხეებს აგაშენებინებს, რომ შენვე ჩაგამწყვდიოს შიგ; იარაღს გაგაკეთებინებს, რომ შენვე გაწამოს და გველივით აგიჭრელებს ტყავს მათრახის ცემით...“ მახ შემდეგ აღარ გაუცინია იმ ზანგს, მაგრამ ჩვენი ხალხი კი დღესაც იცინის.

შოველი რომ თავისას გააბამდა, მე ბრაზი მერეოდა ძლივსღა ვიკავებდი თავს:

— მე რა, მე რომ მეუბნები მაგას? — ვიძახდი ჩემს გუნებაში. მერე რა კარგი ვაჭრობა გვქონდა! დახლი სავსე იყო ფულით, ბეღელი პურით, მარანი ღვინით და არაყით, დუქანი საქონლით. დუღდა და გადმოდიოდა ჩემი ოჯახი და, თითქო რაღაცამ შემშალაო, ჩემი პირადი კეთილდღეობის იქით მე აღარა მწამდა რა. განა მარტო მე? სხვანი უარესნი იყვნენ; ქვეყანა მდიდრებისა გვეგონა და ჩვენც გამდიდრება გვენატრებოდა. არა ვმალავ ჩემს შეცდომებს, რადგან ძალიან ძვირად დამიჯდა იგი.

თანაც, თითქო გულში საიდუმლო რაღაც გრძნობა ღვივისო, სულ ადამიანის უფლებანი და მამულიშვილის მოქალაქებრივი ვალდებულებანი მაგონდებოდა... ბოლოს დავრწმუნდი, რომ შოველი სრულიად მართალი იყო, რომ გვირჩევდა, — გაფრთხილდით, მოუარეთ საზოგადო საქმეს, თორემ მაგასაც დაჰკარგავთ, რაც შეგიძენიათო.

გაზეთებში დიდი ქება იყო ვიღაც ფრანკონისა, რომელიც პარიზში განთქმულ მოჯირითედ ითვლებოდა. ბაბეფის საქმისა და ბონაპარტის მრავალ გამარჯვებათა შემდეგ გაზეთებს ამ კაცის

განსაცვიფრებელი მხედრობაღა გაეხადათ სალაპარაკოდ. მკათათვის დამლევს, ფალსბურგში რომ ბაზრობა იყო, ის ფრანკონიც იქ გაჩნდა. შამპანზედ გამოეევლო, ლორენს შემოჰყოლოდა და ჩვენში კი მობრძანდა თავის ამხანაგებით. უშველებელი ფიცრული ააგო მოედანზე და ყველგან განცხადება გააკრა, — ვისაც გნებავთ საკვირველის მოჯირითეების ნახვა, მობრძანდით და დასტკბითო. თან მთელ ქალაქში თავის ცხენებს ატარებდა, მოედანზე საყვირს უკრავდა და ბუკსა სცემდა. დიდძალი ხალხი დადიოდა მის სანახავად. მეც მინდოდა მარგალიტასთვის მეჩვენებინა პარიზული ჯირითი, მაგრამ დუქანში ბუზივით ირეოდა მუშტარი და თავის დანებება შეუძლებელი იყო.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ჩვენებურები რომ არ მოსულიყვნენ და არ შეეტყობინებინათ, — შენი ძმა ნიკოლოზი ფრანკონის მოჯირითეებში არისო. მე კარგად ვიცოდი, რომ ნიკო ვერ გაბედავდა საფრანგეთში ფეხის შემოდგმას, რადგან ჯარიდან გაიქცა, მტერს მიუდგა, თავისი იარაღი სამშობლოს წინააღმდეგ იხმარა და, მაშასადამე, დაიჭერდნენ თუ არა, მაშინვე ჩამოახრჩობდნენ. ეს ვიცოდი და ყველას ვეფიცებოდი, ნიკო არ იქნება, ნიკომ რამდენი ხანია თქვენი ჭირი წაიღო და კანონიერი მოწმობაც მოგვივიდა იმის სიკვდილისა-მეთქი; მაგრამ ჩემი არავის სჯეროდა. ერთს საღამოს, როდესაც სწორედ ამ ლაპარაკში ვიყავით, ერთი უზარმაზარი კაცი მოადგა ჩვენს დუქანს. ტანთ მშვენიერი, ბუზმენტით ნაკერი ტანისამოსი ეცვა, ძვირფასი ქუდი ეხურა და უძვირფასეს იარაღში იჯდა თავით ფეხამდე.

შემოვიდა მათრახის თამაშით და დამიყვირა:

— მე ვარ, მიშელ, მე!.. შენ არ ინებე ჩემთან მოსვლა და, რა გაეწყობოდა, აი მე თითონ გიახლები შენ სანახავად.

ნიკოლოზი გახლდათ! დუქანი სავსე იყო ხალხით და ყველანი იმას უყურებდნენ. შემეშინდა, მაგრამ ვიფიქრე, — თუ კი თითონ არ იმალავს თავს, მე რად უნდა ვმალავდე-მეთქი? გადავეხვიე და ძმურად გადავკოცნე. სტეფანემაც კოცნა დაუწყო. ნიკოს არყის სუნი ამოსდიოდა. შოველი სამკითხველოში იჯდა და იქიდან გამოიცქირებოდა. მარგალიტა თრთოდა, რადგან კარგად იცოდა, რა სასტიკად სჯიდა რესპუბლიკა მოღალატეებს. რაღა გვეთქმოდა, უნდა მიგვეღო! და მეც სამკითხველოსკენ წავიყვანე, რადგან იმ დროს იქ უცხო არავინ იყო.

— ვაზშმად შენთანა ვარ, მიშელ! ღვინო კარგი გაქვს? სამწვადესაც ხომ კარგს იშოვი? ახლავე გეუბნები, პირის პატივი ვიცი და

თუ არ საგანგებო რამ, არას დავეკარები... ბიჭო!.. რა კარგი გოგნუცაა ეს გასაგლეჯი ესა!

— ჩემი მეუღლეა, ნიკო.

— ჰოო! შოველის ქალი... მარგალიტა! მეწვრილმანე შოველის ასული... ვიცი, ვიცი!...

მარგალიტა ცეცხლივით აენთო. ხალხმა სიცილი დაიწყო. როგორც იყო, შევიყვანე სამკითხველოში.

— ოჰო! ბებერი შოველიც აქ ბრძანდება!... რა უყავ შენი საწვრილმანო, ბებერო?

— განა ახლა კი მეწვრილმანე არა ვარ? — უპასუხა შოველმა და თან ბურნუთი მოსწია. რაცა კაცსა ბედმან მისცესო, ხომ გაგიგონია. ყველანი ხომ შენსავით ფრანკონის მეჯინიბედ არ გახდებიან?

ნიკოს ძალიან ეწყინა ეს სიტყვები და მრისხანედ გადუბღვირა ჩემს სიმამრს, მაგრამ აღარა უთხრა რა. იქნება თავიდან მოვიშორომეთქი, ვუჩურჩულე: ღვთის გულისთვის, ნიკო! ქვეყანა გიცნობს! თუ გაიგეს შენი აქ ყოფნა... ხომ იცი რა სასტიკად სჯიან გახიზნულებს...

მაგრამ არც კი გამათავებინა. სკამზედ დაეშვა, ფეხები გაშხლართა და ყვირილი დაიწყო:

— გახიზნულებსაო! ჰოდა, რა? მეც გახიზნული ვარ! პატიოსანი ყველა გაიხიზნა! რეგვენი, ველური ხალხიღა დარჩა გაუხიზნავი! მიცნონ რა! მეც ეგ მინდა! ყურებზედ ხახვი არ დამაჭრან თქვენმა რესპუბლიკელებმა! მარტოდმარტო კი არ გეგონო! ჩვენი მფარველნი სულ ბრწყინვალე გვარიშვილები ბრძანდებიან და კარსაც ისინი გვიღებენ და დარიგებასაც ისინი გვაძლევენ!... თქვენ ეი! იცით ეს რა არის? თქვენს ასიგნაციებს კი არა გავს! აი, თქვენი რესპუბლიკის გასაღები!

ჯიბეში ხელი ჩაიყო, ათიოდე ოქრო ამოიღო და შეათამაშა ხელში; თან საზარლად ხარხარებდა.

უბედურება არ არის კაცს, ამისთანა ტყის ნადირი ძმა ჰყავდეს? ლოთი, იუდასავით მოღალატე და სამშობლოს გამყიდავი!

შოველი კარგად ხედავდა ჩემს გაჭირვებას და შერცხვენას. მე რომ ხმა ვეღარ ამოვიღე მან თქვა:

— კარგ დროს მოვიდა ჩვენი ნიკოლოზი. მოდი, მიშელ, სუფრა გავშალოთ, ცოტა შევნაყრდეთ და რესპუბლიკის სადღეგრძელოც დავლიოთ.

სუფრა გაშლილი იყო. მარგალიტას საჭმელი მოჰქონდა სამზა-

რეულოდან, სტეფანე ღვინის ამოსატანად მიეშურებოდა. ერთი ხელი დანა-ჩანგალიც ნიკოსთვის, და სხვა აღარა აკლდა რა.

ნიკო გვერდ-გვერდ გამოიცქირებოდა: ეტყობოდა, არ მოეწონა შოველის სიტყვები.

— ლობიოს შეჭამადი, განა, და შინაური, ძმარივით მჟავე ღვინო! არა, ძმავ ისევ სასტუმროში წავალ!

წამოდგა და ჩემს სიმამრს მიუბრუნდა:

— შენ ეი, ქოფაკო! შენ კი ვეღარსად წაგვიხვალ! რესპუბლიკის სადღეგრძელო უნდა დამალევინო, რაღა?! — და თან მედიდურად აავლებდა და ჩამოავლებდა თვალს. — ვე, ნიკოლოზ ბასტიენმა, მეფის ერთგულმა ჯარისკაცმა, რესპუბლიკის სადღეგრძელო დავლიო?! დამაცადე შენ! ეს ულვაში მომჭერი, აი, ეს ულვაში მომჭერი, თუ ჩემი ხელით არ ჩამოგახრჩო, შე...

შოველი არც კი დაძრულა თავის სკამიდან, იმისთანა ზიზღით და დაცინვით გამოსცქეროდა მეფის ერთგულ ჯარისკაცს. ან რა ექნა? მოხუცი იყო და უძლური; ერთი რომ შემოეკრა ნიკოს, სულს გაანთხევინებდა.

თავში ამივარდა სისხლი, ბრაზმა ენა დამიბა და სხვა რომ ვეღარა მოვახერხე რა, ეს ვუთხარი:

— ფრთხილად, ნიკო!... ფრთხილად! შოველი მამაჩემია!..

— გაჩუმდი შე... შენ რომ კაცი ყოფილიყავ, ურჯულოს, მეფის მკვლელის ქალს კი არ შეირთავდი!... თითქო არ ვიცოდეთ, რა წმინდა წყლისა ბრძანდებოდა შენი მარგ...

მაგრამ ვეღარ დაამთავრა თავისი სიტყვები: ავიტაცე, გავიყვანე დუქანში, მთელი დუქანი გავატარე და, — კარიც ღია იყო! — ათ ნაბიჯზედ მაინც გადავტყორცნე! კიდევ კარგი, რომ 97-ში ქუჩები მოუკირწყლავი იყო, თორემ შემომაკვდებოდა ის წუპაკი! ქვეყანა შესძრა იმისმა ყვირილმა და გინებამ. ჩემს უკან სტეფანე და მარგალიტა გაჰკიოდნენ. მთელი მოედანი ჩვენ გვიყურებდა. მკვდარივით ფერმიხდილი წამოდგა ნიკო და კბილების ღრჭენით წამოვიდა ჩემსკენ. მეც ველოდი. მაგრამ ვეღარ მოვიდა: ალბათ, იგრძნო, რომ ვაჯობებდი და აღარც დავინდობდი. შორიახლო გაჩერდა და დამიყვირა:

— შენ ჯარისკაცად იყავი, ვიცი... ჰოდა, არსენალის უკან გელი.

— ძალიან კარგი, მეჯინიბევ! ჯერ არ დაჩლუნგებულა მგონი ჩემი ხმალი. მოწმეები იზრუნე; ოცი წუთის შემდეგ იქა ვარ. აბა, ვნახოთ, დამჭრი თუ არა მარჯვენა ძუძუს თავში!

სტეფანე ცხარე ცრემლითა ტიროდა. დუქანი დავკეტე და შინ შევედი. მარგალიტა ფერმიხდილი მომვარდა და შემომძახა:

— არა, შენ შენს ძმას არ შეებრძოლები!

— ვინც ჩემს ცოლს შეურაცჰყოფს, ის ძმა კი არა, მტერია ჩემი. და შეურაცჰყოფას მარტო სისხლით ჩამოიბანს კაცი!

შოველიც ცდილობდა, შევემაგრებინე: — პატიოსანი კაცი მოლალატეს არ შეებრძოლებაო! მაგრამ მე ყურიც არ ვათხოვე, ხმალი შემოვიკარ და წავედი. მინდოდა ლორანი და პეტრე ჰილდებრანგი წამეყვანა მოწმეებად. ბინდდებოდა. თვალი მოვკარ, რომ შოველი უკან გამომყვა და სამამასახლისოსაკენ გაეშურა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და ჩემს გზას გავეშურე. ცოტა ხანს უკან მე და ჩემი მოწმეები არსენალისაკენ მივდიოდით. იმათაც წამოეღოთ ხმლები: — კაცნი ვართ, ვინ იცის, რა მოხდესო? მაგრამ გავედით თუ არა არსენალთან, შორიდანვე ყვირილი შემოგვესმა:

— გაჩერდით! გაჩერდით!... დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

იმავე დროს ნიკოც გამოჩნდა: მშვენიერ ცხენზე იჯდა და ისე მოაჭენებდა, რომ იქვე მდგომმა დარაჯმა ხიშტის ამართვაც ვერ მოასწრო; უკან ჯარისკაცნი მოსდევდნენ საშინელი ყვირილით: დაიჭირეთ! არ გაუშვათო!

დავბრუნდით, რაღა გაეწყობოდა? შოველი კარებში მელოდა და მითხრა:

— მამასახლისთან ვიყავ. მინდოდა შემეტყობინებინა ნიკოლოზის აქ ყოფნა და დამეჭერინებინა; მაგრამ ტყუილად გავისარჯე: შენი პატიოსანი ძმა სრულიადაც არა ჰფარავდა თავის ვინაობას, ყველგან თურმე ოქროებს ათამაშებდა და ბლამონიდანვე დასდევნებოდნენ დასაჭერად. ეს არის ეხლაც ფრანკონისთვის საუკეთესო ცხენი მოუპარავს და იმითი გაქცეულა. ეტყობა, დაინახა თუ არა ქანდარმები, მაშინვე მიხვდა, რომ იმის დასაჭერად იყვნენ მისულნი და თავს უშველა. ფრანკონი იძახის, მე ეგ კაცი სულ ორი კვირა არ არის, რაც გავიცანიო. წარმოიდგინე, გახიზნულებისაგან გამოგზავნილი ჯაშუში ყოფილა შენი ძმა.

ამ ამბავმა უფრო მომიკლა გული. ჩემი ძმა საჯაშუშოდ შემოსულიყო თავის სამშობლოში!

ვახშმად დავსხედით. მარგალიტა ძალიან კმაყოფილი იყო. ჩემი სიმამრი წამდაუწუმ მოსწევდა ბურნუთს და დაიძახებდა:

— ვაკკაცი ამისთანა უნდა, აი! ისე წამოიტაცა იმოდენი მთა კაცი, რომ სხვა ბალღსაც ვერ აიყვანდა. რამდენ შაქრის თავს წაჰკრა ცხვირი იმ უბედურმა, დუქანში რომ მიაქროლებდი.

უნდა მოგახსენოთ, რომ დუქანში ჭერში გვეკიდა შაქრის თავები. და მართლაც ძალიან ძალა უნდა დასდგომოდა საწყალ ნიკოს ცხვირს. ყველანი იცინოდნენ.

მაგრამ ამით არ გათავდა ეს სამწუხარო ამბავი. მეორე დღეს დი-

ლით დედაჩემი შემოვარდა დუქანში. კალაოი დახლზე დააბეთქა, და ცოფიანივით მომვარდა. სწორედ ცოფიანიქით, რადგან თმა გასწეწოდა, თვალები სისხლით ავსებოდა და პირიდან დორბლი სდიოდა. მომდგა და ღმერთიც კი არ შემარჩინა უხსენებელი! მარგალიტას ხელში ეჭირა ჩვენი ბიჭი და ისიც კი დაგვიწყევლა!... კაინი ხარო, იუდაო! მეფის ჯარები შემოვლენ და ყველას ჩამოგახრჩობენ, დიდსაც და პატარასაც, რომ თქვენი თესლი არსად დარჩესო. დახლზედ გადმოეყუდა და მუშტს მიღერებდა. — მე გაჩუმებული ვისმენდი იმდენ წყევლას და უწმაწურ ლანძღვა-გინებას, მაგრამ დუქანში მყოფმა ხალხმა ველარ მოითმინა და აქეთ-იქიდან შეუტიეს:

— კარგი, გაჩუმდი!.. ღმერთი არა გწამს?!.. ეგრე როგორ უნდა გაიმეტოს დედაკაცმა თავისი ღვიძლი შვილი!.. სირცხვილი არ არის?!. კაი მოგივა, კარგი დედა შენა ყოფილხარ!...

და მე რომ ვერა დამაკლო რა — დახლს უკან ვიყავ — მივარდა და იმათ დაუწყო ცემა. იმათაც, რასაკვირველია, არ მოუთმინეს და წაჰკრეს. მაშინვე გადავხტი და შუაში ჩავდექი. მაგრამ ამაზედ უფრო ცეცხლი მოიკიდა და შემომიტია:

— შორს ჩემგან, იუდავ! მე შენი წამოსარჩლება არ მინდა! შენი ძმა ხომ დააბეზღე! წადი და ახლა მე დამაბეზღე! — იმისთანა ხმითა კივოდა, რომ მთელი ქალაქი თავს დაგვახვია. ამ არეულობაში ჟანდარმებიც შემოვიდნენ. ისინი რომ დაინახა, ენა ჩაუვარდა. მაშინვე გავვარდი და ხვეწნა დავუწყე: — მოხუცებულია და შეიბრალეთ, ნუ დაიჭერთ-მეთქი, მაგრამ ვერა გავაგონე რა. კიდევ კარგი, რომ შოველს უკანიდან გამოეპარებინა საწყალი, თორემ შერცხვებოდა სიბერის დროს. დედაჩემმა თავი დაახწია, მაგრამ ჟანდარმები თავისას არ იშლიდნენ და უთუოდ უნდოდათ დაეჭირათ ვინმე. მთელი ნახევარ საათი ვეხვეწეთ: — რაც მოხდა, მოხდა, ვითომც არაფერი გაგიგონიათო.... ბოლოს ერთი ხელადა ღვინო გამოცალეს და თავი დაგვანებეს.

ისე შემაწუხა ამ ამბებმა, რომ ქვეყნად ჩემისთანა უბედური სხვა არავინ მეგონა. მართალია, კაცი მარტო თავის საქციელის პასუხისმგებელია და სხვის, თუნდა მშობელი დედის, საქციელისთვის არ უნდა იძრახებოდეს; მაგრამ მე რომ დავემწყვდიეთ ციხეში ის მერჩივნა, ვიდრე მოხუცებული დედაჩემი ციხეში დაჭერილი მენახა, თუნდა ძალიან ღირსიცა ყოფილიყო ამ სასჯელისა. სირცხვილით ვიწოდი! ჩემდა სანუგეშოდ, იმ დღის აქეთ, ამ ამბავზედ ხმა არავის ამოუღია ჩემთან, არც ჩემ ცოლს, არც სიმამრს. ან რა უნდა ეთქვათ, რომ გულის წყლულში არ მომხვედროდა ყოველი სიტყვა? განუკურნავ ჭირს ყვირილით ვერ შეიმსუბუქებს კაცი.

ეს პირველი და უკანასკნელი მოსვლა იყო დედაჩემისა. ღვთის მადლით, მას შემდეგ აღარც მოსულა და აღარც ის ლაფი დაუსხავს ჩემთვის.

აქედან ცხადად დაინახავთ, რა გაბედვით და უშიშრად იქცეოდნენ მეფის მომხრენი; ეგონათ, გათენდება და რესპუბლიკასაც დავმარხავთო. მაგრამ ბედმა უმუხთლა და ისე ჩასცხო, რომ თავი მაღლა ვეღარ აიღეს.

საერო კრება და მასთან ერთად უფროსთა კრება დიდად უსაყვედურებდა გამგეობას, იტალიაში მორიგება ერის წარმომადგენელთა დაუკითხავად რად მოახდინეთო. ბონაპარტს ძალიან სწყენოდა ეს საყვედური და გაცოფებულს შემდეგი წერილი მიეწერა პარიზში: „საფრანგეთზე ამხედრებული მტერი გავანადგურე. ხუთი მეფე დავიმორჩილე და საფრანგეთს მივუმხრე... ნუ თუ ჯილდოდ ამოდენა სამსახურისა დამშვიდებულ, მყუდრო ცხოვრებასაც დაიშურებს ჩემთვის ჩემი ქვეყანა? ჩემი სახელი სამშობლოს ეკუთვნის და ჩემს შეურაცჰყოფას არავის მოვუთმენ, მეტადრე როდესაც ამას ინგლისისაგან შესყიდული კაცები ცდილობენ. იცოდეთ, დიდი ხანია გაქრა ის დრო, როდესაც ჯარისკაცის სიცოცხლე მხდალი ვექილების და უბედური ყბედების ხელთ იყო და გილიოტინით თავსა ჰკვეთდნენ გამოჩენილ მხედართმთავრებს. აგრე ნუ იქნება, თორემ იტალიაში მყოფი ჯარი თავისი გენერლით ძალიან მალე მოადგება პარიზის კარებს...“ ეს წერილი გაზეთ „დარაჯში“ იყო დაბეჭდილი. შოველმა რომ წაიკითხა, წითელი ხაზით შემოფარგლა, ზედ მიაწერა სიტყვები: „რას იტყვით ამისას, მამულიშვილნო?“ და ვინც კი ქალაქში გამოჩენილი პატრიოტი იყო, ყველას გაუგზავნა.

იმავ დღესვე შეიკრიბნენ ჩვენი მეგობრები ჩვენს სამკითხველოში და დაადგინეს შემდეგი საკითხი: „რა სჯობს: საუკუნოდ მთამადნებში სამუშაოდ გაგზავნილ ვიქმნეთ საერო კრებისაგან, რომელშიც უმრავლესობას მეფის მომხრენი შეადგენენ და, რომელნიც, მეფეს დასვამენ და ძველებურ ბატონყმობას შემოიღებენ, თუ ამ უბედურობისაგან ბონაპარტის და მის ჯარის წყალობით ვიხსნათ თავი და მერმე, თუნდა, უარეს დღეშიაც ჩავარდეთ?“

ძნელი იყო ამის გადაწყვეტა და დიდი კამათიც გამოიწვია.

შოველი ამტკიცებდა, ამის გადაწყვეტა დღეს შეუძლებელი არისო: — რესპუბლიკის სიცოცხლე ერთს გარემოებაზე არის დამოკიდებული: თუ ამ წერილმა გონებაზე მოიყვანა საერო და უფროსთა კრების წევრები, ისინი პირდაპირ გამოაცხადებენ, — მეფის მოწინააღმდეგენი ვართ და ვთხოვთ ხალხს, მხარი მოგვცეს და თავისუფლება დაგვამყარებინოსო. ამ შემთხვევაში ხალხი, რა ნახავს, რომ

წინამძღოლები ჰყავს, იარაღს აიღებს; მაშინ გამგეობა იძულებული შეიქნება, სრული ანგარიში წარმოადგინოს თავის მოქმედებისა, და ბონაპარტები იძულებულნი შეიქნებიან ქედი მოიხაროს და კილო შეიცვალონ. მაგრამ თუ საერო და უფროსთა კრება თავისას არ დაიშლის და რესპუბლიკის გაუქმებას ეცდება, ხალხს უკვე გადაგდებული მეფის და გამარჯვებული მხედართმთავარის შუა მოუხდება არჩევანი და რასაკვირველია ყველანი ბონაპარტისკენ იქნებიან.

ვინც კი იქ იყვნენ, ყველანი გამგეობას ემდურებოდნენ: ქვეყანასა სძარცვავს, ჰქურდავს, უსირცხვოდ და გაუმაძღრად ისაკუთრებს მილიონებს და ლაჩრად ქედს უხრის ვიღაცა გენერლის თავხედ მუქარასაო. მაგრამ ამასაც ამბობდნენ, რომ თუმცა ჩირადაც არა ღირს, მაინც გაცილებით სჯობია საერო და უფროსთა კრებაჲ, რომელთა წევრნი თითქმის საერთოდ მეფის ტახტის აღდგენას ცდილობენ და, მაშასადამე, თუ გამგეობასა და ორ კრებას შორის რაიმე შეტაკება მოხდა, ყველა კეთილი პატრიოტი გამგეობას უნდა დაეხმაროსო.

ქალაქის კარები დიდი ხნის დაკეტილი იყო, როდესაც დაიშალა ჩვენი პატარა კრება. ნეტავი უფრო ადრე დაშლილიყო, გულს დავიმშვიდებდი: ერთ წამს არ მომისვენია და რაც ხანი ისინი პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ, მე სულ პოლიციის მოხელე მელანდებოდა თავისი კაცებით... ცხადლივ მესმოდა კარზე კაკუნი და ბრძანება:

— კანონის ძალით, გაგვიღეთ კარი!

ჩემდა საბედნიეროდ ამგვარი არა მოხდა რა და პირველ საათზე სრულიად მშვიდობიანად დაიშალა ჩვენი კრება. ეს იყო 1797 წლის მკათათვეში. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, გენერალი ჰოში მთელი თავისი ჯარით პარიზზედ მიდის საშინელი სიჩქარითო. ორივე კრება აღშფოთებული იყო, ჰოშის პარიზზედ წამოსვლას გამგეობას აბრალებდნენ და ვინ იცის რამდენ ლანძღვას და მუქარას სწერდნენ გამგეობის და თავიანთ ურჩი გენერლების წინააღმდეგ! ჰოშის ჯარის მიახლოვებით შეშინებულმა საერო კრებამ კანონი გამოაცხადა, რომლითაც მართებლობის მოწინააღმდეგედ და სიკვდილით დასასჯელად აღიარა ყოველი მხედართმთავარი. რომელიც ნებადაურთველად პარიზიდან ცხრა ვერსის მანძილს გამოაცილებდა თავის ჯარებს. ბრძანება გასცა: ყველა გზებზე პარიზიდან ცხრა ვერსის მანძილზე ბოძები იქმნას დადგმული და ზედ წარწერა იქმნას გაკრული, რომლითაც სცნას ყველა მხედართმთავარმა და მთელმა ჯარმა, რომ ამ საზღვრის გადმოთელვა სიკვდილს უქადის დამნაშავესაო.

ეტყობა, შეაფიქრიანა გამგეობა ამ კანონმა და გაზეთების მუ-

ქარამ, რომ ჰოშს ბრძანება მისცეს, უკან გაბრუნდიო. ისიც გაბრუნდა, მაგრამ ეს კი ყველასთვის უეჭველად დამტკიცდა, რომ გამბედავ მხედართმთავარს ადვილად შეეძლო ხელთ ეგდო მართებლობა. დღეს ჰოში იყო ეს მხედართმთავარი, პატიოსნებით აღსავსე კაცი, რომელსაც თავის სახელის უძვირფასესი არა გააჩნდა რა ამ ქვეყნად; გარდა ამისა, გამგეობაც სუსტი იყო, ვერ გაბედა განეხორციელებინა თავისი წადილი, და ამიტომ ჩაიარა ასე მშვიდობიანად ამ ცდამ. ცოტა ხნით კიდევ შეურყეველად დარჩა ყველაფერი, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით. იმავე დროს, 14 მკათათვის დღესასწაულის გამო, იტალიელმა ჯარმა საშინელი მუქარა გამოუცხადა მეფის მომხრეებს. ყველაზედ მრისხანედ გენერალი ოჟერო იმუქრებოდა, პარიზელი წმინდა-ანტონის უბნელი ხალხის შვილი; იმან პირდაპირ გამოაცხადა, მე გამგეობის მომხრე ვარ და ორივე კრების წინააღმდეგიო. გამგეობამ ოჟერო პარიზში მდგომ ჯარის მხედართმთავრად დანიშნა. მკათათვის გასულს ოჟერო უკვე პარიზს მივიდა და მიიღო თავისი ჯარი. გაზეთები სავსე იყო იმისი ტანისამოსის აღწერით: — თავით ფეხამდე ოქროში ზის და ღილები ალმასისა უკერიაო... ტყუილად კი არა მწერდა ჩემი სიძე-ბატონი, ჩავიქეცით ამოდენა თვალ-მარგალიტითო!

პიშეგრუ, საერო კრების ერთგული გენერალი, ღარიბ-ღატაკი კაცი იყო ოჟეროსთან შედარებით, რომელსაც ბევრნი თვით ბონაპარტეზედ უკეთესად სთვლიდნენ.

ამგვარად განვლო მკათათვემ და მარიამობისთვემ. პურის მოსავალი კარგი იყო იმ წელს; ყურძენი შეთვალული იყო და სრთვლოდ ვემზადებოდით. დამშვიდებული გვეგონა ყველაფერი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მთელს ქალაქს პროკლამაციები მოჰფინეს ცხენოსანმა შიკრიკებმა. ყველანი იღებდნენ და შინისაკენ მიეშურებოდნენ წასაკითხად. ჩვენსაც გიჟივით ყვირილით შემოვარდა ელოფ კოლენი პროკლამაციით ხელში:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! მეფის მომხრეთ თქვენი ჭირი წაუღიათ!

იქვე დუქანში დაიწყო ხმამაღლა პროკლამაციის კითხვა; ყველანი გაკვირვებულნი ვუსმენდით. მაგრამ სადღა იყო რევოლუციის პირველი წლის აღტაცება? ბევრი რამ იცვალა მას შემდეგ და ისე მოგვიჩლუნგა ყოველი გრძნობა, რომ ჩვენთვის გასაკვირველი აღარა იყო რა. არ მოველოდით კი, ღვთის წინაშე, ამ ამბავს. ღიმილით ვეკითხებოდით ერთმანეთს, ნუ თუ ეს მართალიაო? შოველი კი იჯდა თავისთვის კუთხეში, ბურნუთს შეექცევოდა და პირს ღიმი მოს-

დიოდა, თითქო გვეკითხება: — რაღას კითხულობთ, მე უმაგისოდაც ვიცი, რომ საერო კრებას ჯარმა აჯობაო!

ის პროკლამაცია გუშინ ვიპოვე ჩემს ქაღალდებში. მინდოდა მთლად გადმომეწერა, მაგრამ ამდენი პროკლამაციებით თავი შეგაწყინეთ მგონი, და გარდა მაგისა, ცოტა არ იყოს, სულ ერთმანეთსა ჰგვანან და ერთი-ორიც კმარა წასაკითხად.

მეფის მომხრეებმა ერთხელ კიდევ სცადეს რესპუბლიკის დაღუპვა, ეწერა ამ პროკლამაციაში. ერთი წელიწადია, ძირს უთხრიან და ბოლოს, ალბად საკმარისად მისუსტებულად ეჩვენათ იგი, რომ ყოველი მხრიდან გახიზნულები დაიბარეს. ვანდედან და ლიონიდან თავიანთი მომხრენი, და გამგეობის გაუქმება მოინდომეს. მაგრამ ვერას გახდნენ. გამგეობა ამით დაწვრილებით, უტყუარი საბუთებით დამტკიცებულს მათს განზრახვას აცნობებს ერს, რომ იცოდეს ხალხმა, რას უპირებენ მეფის მომხრენი რესპუბლიკას და მასთან ერთად ყოველი მამულიშვილის თავისუფლებას, მოქალაქებრივ უფლებას და საკუთრებას, რათა ამით ერთხელ კიდევ განამტკიცოს ის აზრი, რომ ადამიანს ადამიანურად ცხოვრებას მარტო კონსტიტუცია ანიჭებს.

ეს პროკლამაცია და მასთან ერთად მეფის მომხრეთა შეთქმულობის დაწვრილებითი აღწერა მრავლად დაურიგდა ხალხს ქალაქშიც და სოფლებშიც.

მეორე დღეს გავიგეთ, — და მეფის მომხრენი არც კი მალავდნენ,—რომ გამგეობის გასაუქმებლად თურმე ემზადებოდნენ. რაღა დავაცადოთ, მანამ საკმარის ძალას მოიკრებენ, ჩვენვე დავასწროთ და შევმუსროთო, — გამგეობას გენერალი ოჟეროსთვის მიენდო შეთქმულების დასჯა. ოჟერო თორმეტი ათასი კაცით დარეოდა პარიზს და დაეჭირა ყველა შეთქმულნი და აგრეთვე ბევრი საერო და უფროსთა კრების წევრი იმავე დღეს უმთავრეს დამნაშავეთათვის, ორმოცდაცამეტი კაცისთვის კალედონიაში გაგზავნა გადაეწყვიტათ და ზედ მეფის მომხრე გაზეთების რედაქტორები და გამომცემლებიც მიეყოლებინათ.

კალედონიაში გაგზავნილთა შორის ბევრი ცნობილი მოღვაწე იყო, მაგალითად ბუასსი დანგლა, პიშეგრუ და სხვ. აი, როგორ აღმოჩენილიყო ეს შეთქმულობა: ბონაპარტს რომ ვენეცია აეღო, უწინარეს ყოვლისა ინგლისის კონსულის დაჭერა და ერთიც ფრანგის — მეფე ლუი XVIII ერთგულად ცნობილის მსახურის ანტრეგის დაჭერა ებრძანებინა. ამ ანტრეგთან ეპოვათ მისი ხელით ნაწერი ქაღალდები, რომელშიც აღწერილი იყო თურმე, როგორ დაიყოლია გენერალი პიშეგრუ მეფის მოხელემ, თავადმა მონგაიარმა. თავადმა

კონდემ იცოდა, რომ მონგაიარს საფრანგეთში დიდი ნათესავობა ჰყავდა და 1795 წ. შვეიცარიაში დაიბარა და სთხოვა: — უნდა მოახერხოთ როგორმე და პიშეგრუ მოგვისყიდოთო. მეტად ძნელი იყო ამ ბრძანების ასრულება, რადგან პიშეგრუს ოთხი კომისარი ჰყავდა საერო კრებისაგან მიჩენილი და დღე და ღამ თვალს არ არიდებდნენ.

მიუხედავად ამისა მონგაიარმა ექვსასი ბაჯაღლო ოქრო ჩაიჩხრიალა ჯიბეში და შეუდგა საქმეს. შვეიცარიაში, ნეფშატელში ერთი მესტამბე ფოშბორელი შეიამხანაგა და ერთიც იქაურივე ვიღაც კურანი, რომელთაგანი პირველი ღმერთსავით ლოცულობდა საფრანგეთის მეფის გვარს და მეორე კიდევ ფულისათვის სატანას არ დაუჭერდა თავის სულს. მონგაიარმა იმათ საჭირო დარიგება მისცა, პასპორტები უშოვა და საფრანგეთში შეგზავნა, როგორადაც უცხოელი სოვდაგრები. თითონ კი ბაზელში დარჩა.

ახლა კი სიტყვასიტყვით გადმოვწერ იმ ქაღალდს, რადგან ამ საბუთებს თვით მეფის მომხრენიც არ უარობენ და, გარდა ამისა, კარგი იქნება ნახოთ, როგორა სჯიან თავის თავს მოღალატენი:

„13 აგვისტოს 1795 წ., — ამბობს მონგაიარი, —ფოშბორელი და კურანი პიშეგრუს ბანაკისკენ გაემგზავრნენ; რვა დღე იყვნენ იქ, ყოველ დღე ხედავდნენ გენერალს, მაგრამ მას ყოველთვის კომისრები და აფიცრები ჰყვანდნენ თან და ლაპარაკი შეუძლებელი იყო. პიშეგრუმ კი შეამჩნია იგინი, მეტადრე ფოშბორელი. და რადგან თავის გზაზე ყოველგან იმასა ხედავდა, მიხვდა, — ჩემთან სალაპარაკოდ არის მოსულიო, და ერთხელ მარტოდ მიმავალმა ანიშნა, — უნინგში მივდივარო. ფოშბორელიც იქით გაეშურა. პიშეგრუს ოთხივე კომისარი თან ჰყავდა. მაინც მოახელა ერთ წამს მარტოდ დარჩენა და, თუმცა კოკისპირულად წვიმდა, უთხრა, — სადილად ქალბატონ სალომონთანა ვარო. ქალბატონი სალომონი პიშეგრუს საყვარელი გახლავთ და ქალაქ გარეთ დგას ერთი საათის სავალზედ. ფოშბორელი მაშინვე გზას გაუდგა. დანიშნულ ადგილზე სადილს უკან მივიდა და პირდაპირ გენერალი პიშეგრუ იკითხა. გენერალმა მარტო მიიღო, თან ყავას მიირთმევდა. მესტამბემ მოახსენა, — ჟანჟაკ რუსოს ხელნაწერი მაქვს, და თუ ნებას მიბოძებთ, მინდა თქვენ გიძღვნათო. — „ძალიან კარგი, — უპასუხა პიშეგრუმ, — ოღონდ ჯერ ხელნაწერს წავიკითხავ, რადგან რუსოს იმისთანა აზრები აქვს თავისუფლების შესახებ, რომელთაც მე ვერ ვეთანხმები და, მაშასადამე, არ მინდა, რომ იგინი ჩემი სახელით გავრცელდნენ“.

— მაგის გარდა სხვაც მინდა მოგახსენოთ რამე. — უთხრა ფოშბორელმა.

— რა და ვისგან?

— უგანათლებულეს თავად კონდესგან.

— გაჩუმდით!

ერთ მიყრუებულ ოთახში გაიყვანა და იქ დაუწყო ლაპარაკი:

— ამიხსენით თქვენი სიტყვები. რას მიბრძანებს უგანათლებულესი თავადი კონდე?

ფოშბორელმა უცბად ვერ მოახერხა პასუხი და შემკრთალი ბუტბუტს მოჰყვა.

პიშეგრუმ უთხრა:

— დამშვიდდით. მე იმავე აზრებისა ვარ, რა აზრებისაც უგანათლებულესი თავადი კონდე ბრძანდება. მითხარით, რას მიბრძანებს?

ფოშბორელიც დამშვიდდა და უთხრა:

— უგანათლებულეს თავადს ნებავს, თქვენ მოგენდოთ... თქვენი იმედი აქვს... თქვენთან შეერთება სურს.

— ეგ სიტყვებია, ცარიელი, უსარგებლო სიტყვები, — უთხრა პიშეგრუმ. — სიტყვა ქარია და ქარივით ქრება. წადით, სთხოვეთ, ხელნაწერი ბრძანება მოგცენ და სამ დღეზედ ისევ დაბრუნდით ჩემს სანახავად. საღამოს ექვს საათზე მარტო ვიქნები.

„ფოშბორელი მაშინვე ბაზელში მოვიდა და გახარებულმა მიამბო ეს ამბავი. მთელი ის ღამე წიგნის წერას მოვუნდი, რომელიც პიშეგრუსთან უნდა გამეგზავნა; უგანათლებულესმა თავადმა, რომელსაც მეფე ლუი XVIII-გან მინიჭებული ჰქონდ: ყოველივე უფლება, თავის ხელმოწერილი ბრძანებით მე მომანიჭა მრავალი თავისი უფლებანი და, სხვათა შორის, უფლება მიბოძა, გენერალ პიშეგრუს გამოვლაპარაკებოდი და, თუ შეიძლებოდა, დამეყოლია კიდეც. მე ამ უფლების ძალით შევუდექ მასთან წიგნის წერას. ჯერ დიდი ქება შევძღვენ, რომ გული მომეგო და აღმეძრა მასში სიამაყე, რომელიც განაგებს დიდსულოვანთა ყოველს მოქმედებას; ავუწერე, რა სიკეთეს უზამს იგი სამშობლოს, თუ ჩვენ მოგვიდგა და მამაპაპეული ტახტის შოვნა უშველა ჩვენს მეფეს. აღვნიშნე აგრეთვე, რა მადლიერი იქნება მისი მეფე და რა სამაგალითოდ დააჯილდოვებს მის სამსახურს; მივწერე: — მის უდიდებულესობას ნებავს, მარშლობა მოგცეთ და ამასთანავე ალზასის მოურავობა, რადგან ალზასს ვერავინ მოუვლის ისე კარგად, როგორადაც ის, ვინც იგი მტერთაგან დაიცვა-მეთქი; გარდა მოურავობისა მეფე უწყალობებს მას შამბორის ციხეს თავისი მამულებით, თორმეტი ზარბაზნით, ერთ მილიონს ვერცხლის ფულად, ორას ათასს წლიურ შემოსავალს საშვილიშვილოდ და სასახლეს პარიზში. ყველა ამას ისიც დავძინე, რომ მეფის ბრძანებით ქალაქი არბუა, სადაც პიშეგრუ დაიბადა, პიშეგ-

რუდ იწოდება და თხუთმეტი წლის გახმავლობაში გახთავისუფლებული იქნება ყოველი გარდასახადისაგან; რომ მის ცოლს ორასი ათასი და მის შვილებს და შვილიშვილებს თითოს ორმოცდაათი ათასი ექნებათ პენსიად ვიდრე არ ამოწყდება მისი შთამომავლობა.

„ეს შეეაძლიე პიშეგრუს. რაც შეეხება მის ჯარს, აი, რას შევპირდი მეფის სახელით: ყოველი რაზმის უფროსი დამტკიცებული იქნება თავის ხარისხში; ყოველი რაზმის უფროსი ან ჯარის კაცი, რომელსაც კი პიშეგრუ დაგვისახელებს, წარჩინებული იქნება; წარჩინებული იქნება აგრეთვე ყოველი ჯარის უფროსი, რომელიც რაიმე ციხეს დაგვანებებს. განთავისუფლებულ იქნება ყოველივე ხარჯიდან ყოველი ქალაქი, რომელიც დაგვნებდება. ხალხს ერთიანად მივუტევებთ ყოველს მეფისადმი შეცოდებას და არავის დავსჯით.

„ბოლოს დავუმატე უბრწყინვალესი თავადი კონდეს სურვილიც: თავადსა სურს, რომ თქვენ ბანაკში ლუი XVIII აღიაროთ მეფედ, ქალაქი ჰუნინგი ჩვენ დაგვითმოთ, შემოგვიერთდეთ თქვენი ჯარით, და ჩვენთან ერთად პარიზის ასაღებად წამოხვიდეთ.

„პიშეგრუმ გულმოდგინედ წაიკითხა ჩემი წერილი და ჰკითხა ფოშბორელს:

— ძალიან კარგი, მაგრამ ვინა ბრძანდება ეს მონგაიარი, რომ ამ უფლებებით აღჭურვილსა ხდის თავის თავს? მე არც თითონ იმას ვიცნობ, არც იმის ხელწერილს. ეს იმის ნაწერია?

— დიაღ, ბატონო.

— ჰოდა, უწინარეს ჩემი პასუხისა, მე მსურს დავრწმუნდე, რომ უბრწყინვალესმა თავადმა კონდემ თავისი ხელით შეამოწმა, ყოველი პირობა, რომელსაც მე მონგაიარი მიდებს. მე კარგად მახსოვს თავადის ხელნაწერი. მაშ დაბრუნდით მონგაიართან და სთხოვეთ, შეატყობინოს უბრწყინვალეს თავად კონდეს ჩემი პასუხი.

„ფოშბორელი მაშინვე ჩემკენ გამოეშურა, პიშეგრუსთან კურანი დასტოვა. ბაზელში საღამოს ცხრა საათზე მოვიდა და ყოველივე მაცნობა. მაშინვე თავად კონდეს ბანაკისკენ გავწიეთ და პირველის ნახევარზედ მივედით, როდესაც თავადს უკვე ეძინა. გავაღვიძებინე და ლოგინში მწოლარემ მინახულა. თავის ლოგინზე დამსვა და დავიწყეთ სჯა. შევატყობინე მის უბრწყინვალესობას საქმის ვითარება და ვთხოვე, წიგნი მისწერეთ პიშეგრუს, რათა დარწმუნდეს, რომ ყოველივე, რაც მე თქვენი მონდობილობით და სახელით მივწერე, სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რომელსაც თქვენ თქვენი ხელის მოწერით ამტკიცებთ-მეთქი. ამ უბრალო და ამასთან საჭირო თხოვნის განსჯას, რომლის წინააღმდეგ ვერავითარ შენიშვნას ვერ იპოვის კაცი, მთელი ღამე მოვანდომეთ. თავადი კონდე საკვირველი გულ-

დი ვაუკაცია, ღირსეული შვილი ღირსეული მამა-პაპისა, მაგრამ როცა საქმე სხვას რასმე შეეხება, საკვირველი გაუბედავი კაცია. უხასიათოა, უვიცი და გარს იმისთანა ვერაგი და საკუთარი ინტერესებით გატაცებული კაცები ახვევია, რომ...“

მონგაიარი დაწვრილებით ასწერს მეფის მხლებელთა სულმდაბლობას, ლაჩრობას და უპატიოსნობას. მერე განაგრძობს:

„მთელი ცხრა საათი ვეწვალე, ვიდრე გავაბედვინებდი და პიშეგრუსთან ცხრა სტრიქონს დავაწერინებდი. ხან იძახდა, ჩემი ხელით არ დავწერო; ხან იძახდა, თარიღს არ დავუსვამო; ხან იძახდა, ჩემს ბეჭედს არ დავასვამო; ბოლოს, როგორც იყო დავიყოლიე და მისწერა, სრული ნდობა გქონდეს მონგაიარის წინადადებისა, რომელიც ჩემი მონდობილობით და ჩემი სახელით მოქმედობსო. ეს გავათავეთ, მაგრამ ახლა სხვა ჭირი აგვიტყდა: ჩემი წერილი უკანვე დამიბრუნოსო. მე ჩემი დამემართა, მანამ დავარწმუნებდი, რომ თუ წერილის უკანვე მიღება უნდა, ეს პიშეგრუს არ უნდა აგრძნობინოს; რომ წერილს წაეკითხებთ, და რაკი ვნახავთ, რომ საქმე გარიგდა, უკანვე გამოვცინცლავთ.

ინათა და ბაზელისკენ გავწიეთ. ფოშბორელი იმ დილითვე გავისტუმრე პიშეგრუს ბანაკისკენ. ერთი კი გადაეკითხა გენერალს თავად კონდეს წერილი და მაშინვე უკან მოეცა: — მე ვიცნობ მის უბრწყინვალესობას და ჩემთვის ესეცა კმარა. მისი სიტყვა სრულიად საკმარისი უნდა იყოს ყოველი ფრანგისთვის და საცა მისი სიტყვაა, იქ საბუთი მეტია. აი, ისევ თავადს მიართვით ეს წერილი.

მაშინ ფოშბორელმა აუხსნა, რას სთხოვდა მას მეფის მინდობილობით თ. კონდე: 1) პიშეგრუ ლუი XVIII მეფედ გამოაცხადებს თვის ჯარში და თეთრ დროშას ამართავს; 2) ქ. ჰუნინგს თავად კონდეს დაანებებს.

„პიშეგრუმ ამაზედ უარი განაცხადა: მე ყველაფერი დასრულებული მიყვარს და ნაწილით ვერ დავკმაყოფილდები; მე სრულიადაც არ მინდა ლაფაიეტის და დიუმურიესავით დავაბოლოო ჩემი ცხოვრება: მე კარგად ვიცი ჩემი ძალა და საშუალებანი; თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდია ეს ძალა; მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული არა მარტო ჩემს ჯარში, არამედ პარიზში, თვით კონვენტში, მთელს საფრანგეთში და სხვა ჯარებში, რომელთა მხედართმთავარნი ჩემი აზრისანი არიან... დრო არის ამ ყოფას ბოლო მოვუღოთ! საფრანგეთი რესპუბლიკად ვერ დარჩება! საფრანგეთს მეფე უნდა, ლუი XVIII. მაგრამ რევოლუციის გაუქმება მაშინ უნდა დავიწყოთ, როდესაც დანამდვილებით გვეცოდინება, რომ უცბად და უთუოდ მივაღწევთ ჩვენს მიზანს. თავადის გეგმა გროშად არა ღირს, რადგან

ოთხ დღესაც ვერ გამაგრდება ის ჰუნინგში და არ გავა ორი კვირა, რომ მეც დავიღუპები. ჩემს ჯარში ყოჩაღი ბიჭიც ბევრია და საძაგელიც; საჭიროა მათი განშორება; საჭიროა იმგვარ გარემოებათა შექმნა, რომ ძალაუნებურად უკან გამომყვეს ჩემი ჯარი და გრძნობდეს, რომ ხსნა მარტო ჩემს გამარჯვებაშიღა აქვს. ამის ასასრულებლად მე გაღმა გამოვალ. პირობას გაძლევთ, რომ დანიშნულ ადგილზე და დანიშნულ დროს თქვენგანვე დანიშნული ჯარის ნაწილებით გამოვალ რეინს. მაგრამ თქვენსკენ გამოსვლამდე ყველა ციხე-სიმაგრეში ჯარის უფროსად ჩემს ერთგულს და თანამოაზრე უფროსებს დავაყენებ ერთგული ჯარებით. იმ საძაგლებს კი, რომელნიც ჩემს ჯარშიც ბევრნი არიან, იმისთანა ადგილებში გავგზავნი, რომ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიონ ჩვენს განზრახვას და ვერც შეერთდნენ. ამის შემდეგ, რაკი გაღმა ვიქნები, მეფედ აღვიარებ ლუი XVIII, და ავმართავ თეთრ დროშას; თ. კონდეს ჯარები და აგრეთვე პრუსიელები შემოგვიერთდებიან და ერთად შევალთ საფრანგეთში. ციხეები თავისთავად დაგვნებდებიან და პირდაპირ პარიზისკენ გავწევთ. ორ კვირაზედ პარიზს მივადგებით. მაგრამ ეს კი არ დაგავიწყდეთ, რომ ჯარისკაცს ის უყვარს, ვინც ხახას გაუსველებს. რომ დაიძახებს, — მეფეს გაუმარჯოსო! — ერთი ჯამი ღვინო უნდა გადააკვრევინოთ და ერთი ოქრო ჩაუდოთ ხელში. პირველ ხანებში მას არა უნდა აკლდეს რა და მთელს ჯარს თავსაყრელი უნდა ჰქონდეს ყველაფერი... მიბრძანდით, მიართვით მის უბრწყინვალესობას ჩემი პასუხი, ჩემი წერილი, და პასუხი მოიტანეთ“.

აქ კი შევჩერდები! იმ მოღალატისათვის ესეც კმარა. ჩემი საწყალი მოხუცებული სომი პიშეგრუსაგან „საძაგლებად“ წოდებულთა რიცხვში იყო და მართლა ისეთ ადგილებში გაფანტა იგინი მოღალატე მხედართმთავარმა, რომ ათიათასი კაცი დაღუპა! როგორ გაბრაზდებოდა სომი, ეს წერილი რომ წაეკითხა, როგორ შეაღრჭიალებდა კბილებს! განა არა, სულ იმას იძახდა საწყალი, გენერალი გვღალატობსო! მაგრამ ვინ იყო გამგონი? რა მწარე უნდა ყოფილიყო უბედურისთვის გრძნობა, რომ მახეში გააბა ისა და მისი ამხანაგები მტრისგან შესყიდულმა მისმა მხედართმთავარმა!

ქვეყანა შესძრა ამ ამბავმა. და განა მარტო ამან? ამას ზედ ერთოდა დიუვერნიეს, ბროტტიეს და სხვების შეთქმულობა, რომელნიც გამგეობამ გამოაქვეყნა. მათი წერილები ცხადად ამტკიცებდა, რომ შეთქმულნი საზღვარგარეთ კი არა, საფრანგეთშიც ბევრნი ბრძანდებოდნენ და უმთავრესნი შიგ საერო კრებაში იყვნენ ვითომდა ერის წარმომადგენლებად.

ბარრამ, რევბელმა და ლარევეიერმა „რესპუბლიკის მხსნელის“

სახელი მოიხვეჭეს მაშინ. მრავალი დამნაშავე გაგზავნეს კალედონიაში; გახიზნულების წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოაცხადეს; გახიზნულთა ნათესავებს ყოველივე სახელმწიფო სამსახური აუკრძალეს; მოსპეს თავისუფლება მწერლობისა და თავისუფლება ერის მცველი ჯარისა... ჩვენდა სამწუხაროდ, იმისთანა ყოფაში იყო ჩვენი მომავალი, რომ მწერლობის თავისუფლების მოსპობაც კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. დიუვერნიეს ღალატმა რეინზე მყოფი ჯარის მხედართმთავარი გენერალი მოროც ჩაითრია და მის ალაგს გენერალი ჰოში იქნა დანიშნული.

მეფის მომხრეებმა, რომელთაც ათასობით ხოცეს პატრიოტები და ათი ათასობით გაგზავნეს კალედონიაში, როცა ძალა ხელთა ჰქონდათ, ახლაც ქვეყანა აიკლეს გოდებით: — რესპუბლიკა უღმერთოდ გვეკიდება და იმისთანა საშინელ ქვეყანაში გვგზავნის, რომ იქაურ სიცხეებს და ციებ-ცხელებას ხორციელი ადამიანი ვერ გაუძლებსო! მართალია, კალედონია ცუდი, დამცდელი ქვეყანაა, მაგრამ რად ეგონათ, რომ ჩვენ კი ავიტანდით? ნუ თუ ისინი ჩვენზედ ნაზის აგებულებისა ბრძანდებიან? ნუ თუ არ იციან, რომ კალედონიაში სისხლისმწოველი დიდრონი ბუზებია, ისინი ღმერთმა მარტო რესპუბლიკელებისათვის კი არა, მეფის მომხრეთათვისაც გააჩინა? ძალა ხელთა ჰქონდათ... რატომ არ გააუქმეს ეს საშინელი სასჯელი? ახლა ხომ იმათაც აღარავინ დასჯიდა კალედონიის სიცხეებით? რატომ არ იცოდნენ, რომ ჭკვიანი კაცი სხვას არ უზამს იმას, რაც არ უნდა, რომ თითონ უყონ.

რესპუბლიკამ გაიმარჯვა. კარნოს და ბართოლემის მაგივრად გამგეობის წევრებად დანიშნულ იქმნენ მერლენი და ფრანსუა. იაკობელებს ეგონათ, ახლა კი დამშვიდდა ყველაფერიო, მაგრამ ცოტახანს უკან კვლავ ატყდა ბრძოლა კლუბებში და ახლა იაკობელები და გამგეობის მომხრენი შეიბნენ.

მართალია, დიდი ღვაწლი ედო გამგეობას მეფის მომხრეთა განადგურებაში, მაგრამ ნამდვილი რესპუბლიკელები მაინც არ ემხრობოდნენ მას: გამგეობა გაძლიერდა, საერო კრების და უფროსთა კრების დაშლას აპირებდა და ქვეყნის სრულ დამშვიდებამდე თითონ უნდოდა სრული ბატონობა და ბრძანებლობა. ხმას ვერავინ იღებდა. რადგან თითქმის ყველგან აწვდიდა გამგეობა თავის გრძელ ხელს. თვით შოველიც კი ფრთხილად იყო; ბევრსა კითხულობდა და ჩუმად იყო. მეგონა, ჭკუაზედ მოვიდა-მეთქი და ძალიანაც მიხაროდა, მაგრამ ძალიან თურმე ვცდებოდი, რადგან შოველს ყოველგვარ მართებლობაზე მეტად გამგეობა თურმე სძულდა, რადგან მან დაისა-

კუთრა უფლება, როძლითაც თავის ხებად აყეხებდა და სცელიდა მსაჯულებს, მამასახლისებს და ერთობ ყველა მოხელეებს მთელს საფრანგეთში; გამგეობა თავისი ნებით სპობდა გაზეთებს, კეტავდა კლუბებს, აგვიანებდა ერის მცველი ჯარის მოგროვებას და სხვა და სხვა.

ერთ საღამოს ვეღარ მოითმინა შოველმა და თქვა:

— რაღა ვართ ჩვენ ამ გვარი მართებლობის ხელში? სადღაა ერის უფლებანი? ეგენი კი არა, ხუთივე გამგე რომ სულ დანტონები იყვნენ, დანტონისავით შორს გამჭვრეტნი და სამშობლოს ერთგულნი, მაინც საზიზღარ მტარვალებად მეჩვენებიან, თუ კი ამდენი განუსაზღვრელი უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი. ესენი გამგენი კი არა, ძველი ქვეყნების მტარვალნი არიან! კიდევ კარგი, რომ ასეთი სულელნი და მხდალნი არიან, თორემ ამერიკელ მონებსავით გვაწამებდნენ თავისუფალ მამულიშვილებს. ძალიან გაიკვირვე! მოვა ვინმე ერთი მამაცი გენერალი, გამგეობის ხუთი წევრის ადგილზე მარტო თითონ გამოიჭიმება და, თუ არ გინდა, ნუ უწოდებ მას მეფედ, შენ მაინც მონა იქნები. ჯერ ახლაც პირს კლიტე გვადევს, რადგან კედლებსაც კი ყურები შეასხა გამგეობამ და კრინტი რომ დავძრათ, დაგვიჭერენ, ხელშეკრულს წაგვათრევენ და საუკუნოდ გამოგვასალმებენ სამშობლო ქვეყანას. სადღაა ერი! სად არის ჩვენი თავისუფლება? სად არის ჩვენი უფლებანი? აღარსად! გამგეობა განაგებს ყოველსავე თავისნებად! და საერო კრებას და უფროსთა კრებას, თუ არ დაგიშლიათ, ნება აქვს გამოსთქვან თავის სურვილი... მარტო გამოსთქვან, ინატრონ! და ცარიელ ნატვრას რა თაბაუთი აქვს!

საერო კრების თითქმის გაუქმებაზედ არა ნაკლებ აღშფოთებდა შოველს გამგეობის შეშინება გენერალი ბონაპარტისაგან. ბონაპარტი სრულიად თავისუფლად დაიარებოდა იტალიაში, და საერო კრების დაუკითხავად ეომებოდა იტალიელ სამეფოებს, ხარკს ადებდა, ისევ ურიგდებოდა და გამგეობას ვერც მისი გადაყენება გაებედა, ვერც პარიზს დაბარება ანგარიშის საკითხავად. საერო კრება სიცოცხლის ნიშანს აღარ იძლეოდა. გამგეობა რაღასაც ელოდა და მთელი საფრანგეთის ყურადღება სიცოცხლით სავსე ბრწყინვალე გენერალზედ იყო მიპყრობილი. გაზეთებში ნაპოლეონის მეტს ვეღარას ნახავდით: პროკლამაცია „იტალიაში მყოფი ჯარების მხედართმთავრის ნაპოლეონ ბონაპარტისა“; „ნაპოლეონ ბონაპარტის მობრძანება პასსერიანოში“, „წმ. პაპისგან იოსებ ბონაპარტის, საფრანგეთის ელჩის მიღება“; გენერალი ბონაპარტისაგან ციზალპინის რესპუბლიკისთვის წესწყობილების შექმნა... ერთი სიტყვით, გენერალი ბონაპარ-

ტის ამბებით სავსე იყო გაზეთები! ნაპოლეონი იქ მიბრძანდა, ნაპოლეონმა ეს ბრძანა და სხვა და სხვა.

იტყოდით, ნაპოლეონი საფრანგეთიაო. გენერალი ჰოშის მიცვალება, ოჟეროს დანიშვნა მის ადგილზე, ინგლისთან მორიგებაზე მოლაპარაკება — ეს ყველაფერი შეუმჩნევლად რჩებოდა ჩვენი ერისთვის და ყველას ყურადღება ნაპოლეონს წარეტაცა. ნაპოლეონს შეეძლო ეთქვა, რომ ძალიან კარგად იცოდა გაზეთების მნიშვნელობა! ჩვენი გაზეთები მარტოდმარტო ნაპოლეონზე და მის იტალიაში ბრძოლაზე უფრო მეტსა წერდნენ, ვიდრე ყველა ჩვენ მხედართმთავრებზედ და სხვა ბრძოლებზედ ერთად.

ნაპოლეონს მორიგებას ეხვეწებოდნენ იტალიელი სამეფონი და იმოდენი ბრძოლების და გაჭირვების შემდეგ ყველას გვინდოდა ომის გათავება, რომ ცოტაც არის დავმშვიდებულიყავით და მიგვეხედა ჩვენი ცოლ-შვილისთვის და მამულ-დედულისთვის. ყველას მორიგება გვენატრებოდა და ხალხზედ რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ომი თავის დღეში არ ატყდებოდა.

ბოლოს მორიგებაც მოხდა. რეინის მარცხენა მხარის შესარჩენად, რომელიც ჩვენ ნაპოლეონის წინადვე ავიღეთ და უკვე გვეჭირა, გენერალმა ბონაპარტმა ავსტრიის იმპერატორს დაუთმო იტალია, დალმაცია და ვენეცია; დაუთმო, თუმცა ჩვენი არ იყვნენ. დაუთმო, რადგან დამარცხებულთ არასა ჰკითხავენ. გარდა ამისა, ავსტრიის ხელმწიფე საფრანგეთს უთმობდა იონიის კუნძულებს, რომელნიც უინისოდაც ჩვენ გვეჭირა.

არა, მართლა ბრმა უნდა იყოს ხალხი, რომ ამისთანა თვალთმაქცობაც კი ვერ გაუგოს კაცს! როგორც ვექილები მოდავეთა სისულელეზედ ამყარებენ თავიანთ კეთილდღეობას, ისე მხედართმთავრები ხალხის უვიცობაზედ აშენებენ თავიანთ დიდებას და ძლიერებას. ხომ არაფერი შესძინა საფრანგეთს ამ მორიგებამ, მაგრამ ხალხს თვალები აუბეს, დაარწმუნეს, — დიდი ღვაწლი დასდო საფრანგეთს ნაპოლეონმა ამ მორიგებითო, — და სწორედ აქედან იწყება ბონაპარტის უცნაური ამაღლება და გაძლიერება.

მაშინაც ბევრნი გაიძახდნენ ამას, მაგრამ ხალხი, უვიცი და შეუგნებელი ხალხი კი, აღტაცებული იყო თავის „ერთგული და დიდებული გენერლის“ მოღვაწეობით. განა ახსოვდა ვისმე, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სხვებმაც მრავალჯერ დაამარცხეს. იცოდეთ? უკვე თოვლი იდო, მაგრამ მთელი გზა, რომელზედაც ნაპოლეონს უნდა გამოევლო, ფიქვის და ნაძვის მწვანე ტოტებით იყო ორივ მხრივ შეღობილი. რომ გენახათ, რა გულჩათუქული დაიშალა ხალხი, როდესაც გაიგეს, ნაპოლეონს გაუვლია კიდეცო.

ნათლიაჩემი, ლეტუძიე და ძაძაჩემი ჩვენსა შემოვიდნენ გასაუბრობად. სამდურავის თქმასაც კი ვერა ბედავდნენ; პირიქით — უკან რომ დაბრუნდება, აქეთ გამოივლის და მაშინ გამოგვადგება დღევანდელი სამზადისიო.

მარგალიტამ მაშინვე ერთი ხელადა ღვინო ამოუტანა შეცივნებულებს. ის იყო დავასხით, რომ ელოფ კოლენი, რაფიელ მანკი და დენის თეევენო შემოვიდნენ. ყველანი ძალიან ნაწყენნი იყვნენ, მეტადრე ელოფი, რომელსაც დიდი, მჭევრმეტყველებით აღსავსე სიტყვა მოემზადებინა მამულიშვილ ბონაპარტისთვის. შოველი გაჩუმებული უსმენდა, მაგრამ უცბად იმისთანა სიცილი წასკდა, რომ ყველანი საღტად დავრჩით.

— რას იცინი, შოველ? — ჰკითხა ნათლიაჩემმა.

— იმას ვიცინი, ჩემო ივანე, რომ ჩვენისთანა კერპთთაყვანისმცემელი ხალხი სხვა არსად შეიძლება. ჩვენ კერპი გვინდა რომ თაყვანი ვცეთ და ოღონდ კი იყოს, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს! ზის ეხლა ლამაზად ჩათბუნებული თავის ეტლში ნაპოლეონი, ბურნუთს შეექცევა და ფიქრობს: — ძაან კარგად არის საქმე!.. იაკობელებიც ჩემკენ არიან, მეფის მომხრენიც და ყველა სხვა პარტიებიც! ან რა პარტიები, რის პარტიები?! ბრბო უტვინოთა, რომელთაც ორი სამი კაცი ათამაშებს თავის გუნებაზედ! ვინ იტყოდა ამ სამი წლის წინათ, როდესაც ყოველ დილით რობესპიერს სანახავად ვეახლებოდი ხოლმე და ადამიანის უფლებათა დამყარების ერთგულებას ვიჩემებდი, რომ დღეს ფეხქვეშ გამეგებოდა საფრანგეთი? შარშან არ იყო, მოწყალებისავით ვთხოვდი მამულიშვილ ბარროს, — თქვენი ნახვის ნება მიბოძოთ-მეთქი! ისიც, თუ კარგი სადილი მიერთმია, კარგად მიმიღებდა, თუ არა და!.. მოსამსახურენიც კი მასხარად მიგდებდნენ: რაკი ნახავდნენ, რომ მათი ბატონი ცუდად დამიხვდა, თვალს უშვრებოდნენ ერთმანეთს, — ჰეე, მოხვდა თუ არაო! მაგრამ რა გაეწყობოდა, თავს ვიმაგრებდი, ვითმენდი; ვიცოდი, რომ ვისაც ამაღლება უნდა, ძლიერთა წინაშე ქედის მოდრეკაც უნდა იცოდეს; ვიცოდი, რომ ვისაც დიდება უნდა, შეურაცხყოფის ატანაც უნდა იცოდეს... ვერ მიმიძღვის წინ შიკრიკი! ვერ მახლავს თან მეფური ამალა! იაკობელებიც და მეფის მომხრენიც ჩემს ქებას გაიძახიან და ხოტბას მასხამენ! ყველას თავისი ვგონივარ და ჩ ე მ გ ა ნ მ ო ე ლ ი ა ნ ზ ო გ ნ ი ავსტრიელები... ვიღას ახსოვდა გუშინდელი. როცა ასე კარგად ჰგვიდა ახალი ცოცხი!

ახლა განვაგრძოთ, რადგან საქმე დასასრულია.

ბონაპარტისას ისევე დაწვრილებითა სწერდნენ ყველაფერს, თითქო უდიდესი ხელმწიფე ყოფილიყოს: „მილანი, 4 ნოემბერს. გე-

ნერალი ბონაპარტი გუშინ დილით რაშტადს გაემგზავრა". „მანტუ, 6 ნოემბერს. გენერალი ბონაპარტი სასახლეში იქმნა მიღებული. მამასახლისი და ყველა მოხელენი მოსაკითხად ეახლნენ". ან კიდევ: „შვეიცარიაში მგზავრობის დროს გენერალმა ბონაპარტმა სრულიად დაამშვიდა იქაურნი, რომელთაც დიდი ხანია ეშინიათ ჩვენი ჯარების შესევისა". „ბონაპარტი 21 ნოემბერს ჟენევაში ბრძანდებოდა და საფრანგეთის ელჩთან ისადილა. დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას ხალხი..." „გენერალ ბონაპარტს ავანშის ახლო ეტლი გაუტყდა; მშვიდობით გადარჩა და თავისი ამალით ფეხით მიბრძანდა ქალაქში. ხალხი წინ გაეგება. ერთი უზარმაზარი კაცი იდგა ხალხში; რომ დაინახა ნაპოლეონი, თქვა: რა პატარა კაცი ყოფილა ეს დიდებული გმირიო! გენერალს აღტაცებით უხვდება მთელი შვეიცარია. ლოზანი ჩირაღდნებით განათებული დაუხვდა; ბაზელში ზარბაზნების სროლით მიეგება მამასახლისი" და სხვა და სხვა.

პარიზში უარესი იყო. ყველა აღტაცებით მიელოდა გამარჯვებული მხედართმთავრის მისვლას, რომელმაც „ასეთი სასარგებლო" პირობებით მოგვარიგა ავსტრიის ხელმწიფეს. საერო კრებაში ბევრი მომხრე ყავდა და ისინიც სულ იმის ქება-დიდებაში იყვნენ: ახლა კი დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, კვლავ შრომას და მრეწველობას შეუდგება და აყვავდება! ახლა კი შეგვეძლება ამოდენა ომებისაგან გაღატაკებული ხალხის შველა, ქვრივ-ობოლთა შემწეობა, ვაჭრობის და მრეწველობის დახმარება და სახელმწიფო ვალების გადახდაო!

სხვა რაღა მოგახსენოთ? ხალხი ფეხქვეშ უვარდებოდა ამ სალდათის ცხენს; ფეხქვეშ ეგებოდნენ და დიდ ბედნიერებად თვლიდნენ ბონაპარტის ფეხის მტვერის ლოკვას. აღმატებულად ისინი ირიცხებოდნენ, ვის ზურგსაც ბონაპარტი გააბედნიერებდა თავისი ფეხის შეხებით... გასაკვირველი რამ ყოფილა ადამიანის სულმდაბლობა! და თუ იმისთანა გმირს, როგორიც ბონაპარტი იყო, ხალხი ცხვრის ფარად მიაჩნდა, ეს თვით ხალხის ბრალია და მარტო ხალხისა: ვინც თავის თავის პატივისცემა არ იცის, არც სხვის პატივისცემის ღირსია.

ეტყობა თვით ბონაპარტს მოსწყინდა იმოდენი სიმდაბლით აღსავსე თაყვანისცემა, რომ თავი აარიდა შვეიცარიას და ალზასს და პირდაპირ პარიზისკენ გაეშურა. მერე როგორ ვემზადებოდით, რომ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს, ზ ო გ ნ ი მ ე ფ ე ს დ ა ზ ო გ ნ ი კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა ს!...

და უფრო მწარედ ჩაიცინა.

ელოფ კოლენი ამტკიცებდა, ნაპოლეონი ნამდვილი იაკობელია, ამას იმისი პროკლამაციებიც მოწმობენ, და კარგი არ არის, უსაბუ-

თოდ გაამტყუნონ კაციო!.. შოველი გაბრაზდა, თვალები აენთო და აღელვებით წარმოსთქვა:

— საბუთი გნებავთ? მოიგონეთ შარშანდელი თავმდაბლობა ამ კაცისა და ახლა ეს თავხედური სიამაყე! იტალიაში გამარჯვების შემდეგ — და იქნება თქვენც დამეთანხმოთ, რომ უფრო ხშირად სამარცხვინოდ გაზვიადებულს ამბებს აწერინებდა გაზეთებში, — ისე ექცეოდა საერო კრებას და გამგეობას, თითქო ბატონი თავის ყმებსაო! სულ უბრალო, უმცირესი შენიშვნა რომ ეთქვათ, ის მაშინვე ყალყზედ დგებოდა და სამსახურიდან გასვლას აპირობდა; თან თავისი ჯარით აშინებდა და ემუქრებოდა: — ჭკვიანად, თორემ პარიზშიც მალე მოვალო! თუ რამე კეთილი გვჭირს, ჩემი წყალობითაო, იძახის, და იმავე დროს თავისავე შეცდომას მარცხს სხვებს აბრალებს ყოვლად უსაბუთოდ. გამგეობის წევრთა ყოველი ბიწიერება მისხლობითა აქვს აწონილი და სამარცხვინოდ პირმოთნეობს და ხელის გულს ულოკავს, რომ მათი წყალობით ამაღლებული პირველად იმათვე გადაუდგეს. იცით, რითი მოიგო გამგეობის გული? პირმოთნეობით, გველაძუობით და ფულებით. დიაღ, ფულებით! ისე მოხსენება რა მოუწერია მართებლობისთვის, რომ თან ფულიც არ გამოეგზავნა. ერთ მოხსენებას ვერ ნახავთ მისას, რომ პირდაპირ ურცხვად არ ეწეროს შიგ: ხვალ აქა და აქ მივდივარ და ამდენს მილიონს მოვკრებო. განა იმიტომ ანთხევს რესპუბლიკა თავის საუკეთესო შვილთა სისხლს, რომ ფული შეიძინოს?! განა ნაპოლეონამდე შეეძლო ვისმე ასე შებღალვა რევოლუციისა?! განა კუსტენს თავი არ გავაგდებინეთ, — დამარცხებულთ ხარაჯა რად გადაახდევინეო?! განა რისთვის იბრძვის რესპუბლიკა? იმისთვის, რომ დამარცხებულთ ფულიც წაართვას, საქონელიც, ავეჯიც, ერთი სიტყვით, სულ ყველა, რაც აბადიათ და რაც დაკარგულ თავისუფლების სახსოვრად უნდათ იქონიონ? ამაზე უკეთესი საბუთი განაღა შეიძლება?! ქრისტეღმერთი ჭკუით იცნესო, ნათქვამია, ბონაპარტიც თავისი საქციელით არ უნდა ვიცნათ? განა სხვა იქნებოდა ვინმე, რომ თავის ჯარისთვის აეკლებინებინა იმისთანა გაკეთებული და განათლებული ქალაქები, როგორც პავი და ვერონი? უკუნითი უკუნისამდე ჩირქად შერჩება საფრანგეთს ეს საქციელი. ან რას უნდა გამოველოდეთ იმ გენერლისაგან, რომელიც ურცხვად ეუბნება თავის ჯარს: მე იმისთანა ქვეყანაში ჩაგიყვანთ, რომ დიდებაც შეიძინოთ, სახელიც და ს ი მ დ ი დ რ ე ც ა ო! განა ნაპოლეონის ჯარისთვის ახლა წმიდა და ხელშეუხებელი არსებობს რამე? აღარაფერი! ადამიანი, ოჯახი, სამშობლო, ცარიელი სიტყვებიღაა მის ჯარისთვის, რომელიც მარტო იმისთვის იბრძვის, რომ დაამარცხოს და დაარბიოს, აიკლოს, გასძარ-

ცოს!... არა, თავდაპირველად სულ სხვა სახით ეჩვენა კაცობრიობას რესპუბლიკა. რესპუბლიკას უნდოდა სხვადასხვა დამონავებული ერების აღდგენა, თავისუფლების მინიჭება და არა მათი გაძარცვა. ჩვენი ომი იტალიაში ყაჩაღური ომი იყო! ვაჟკაცური ბრძოლა კი არა, ავაზაკური თარეში ნადავლის საშოვრად და ჩვენდა სამწუხაროდ იტალიაში გამარჯვებული ყაჩაღები და მათი სარდალი ჩვენც იმავე თვალით გვიყურებენ, რა თვალითაც დამარცხებულ იტალიელებს — ზიზღით და სიძულვილით. იქნება ცოტაოდენი პატივისცემა ხალხისა კიდევაც ჰქონოდა ნაპოლეონს, მაგრამ ჩვენ იმისთანა ქებითა და დიდებით დავუხვდით „გმირთა-გმირს", ისე გავეგენით ფეხქვეშ, რომ ზიზღის მეტს აღარას უნდა გრძნობდეს ჩვენდამი... იტალიაში დაჩვეულებს შემდეგაც მოგვინდება მილიონები და ახლა სხვაგან გავათარეშებთ ჩვენს ჯარს. იმას ხომ არ ვიტყვით, რომ მილიონები და მილიარდები შევიძინოთ შრომით და ყაირათითაო! ნუ მოგიკვდეთ ჩემი თავი! ის არა სჯობია სარჩოს საშოვნელად მეზობლები დავაწიოკოთ! ჰოდა, დავაწიოკებთ კიდეც! და რადგან ამ საქმეში ბონაპარტს ვერავინ აჯობებს, ჩვენი ბატონიც ბონაპარტი შეიქნება. რაც იმან ფული და ძვირფასი ნივთები შეგვძინა, არც კი ვღირვართ ჩვენ იმ ფულად! ფულით დაგვიმორჩილა ბონაპარტმა და დღეს ბონაპარტისანი ვართ. თუ კაცია, ამის წინააღმდეგს იტყვის ვინმე!

ხშირად არ მინახავს ჩემი სიმამრი ისე აღშფოთებული, როგორც იმ დღეს იყო. ყველანი გაჩუმებულნი უსმენდნენ. შოველის ხმა მგონი ქუჩაშიც ისმოდა. ჯერ ხომ არაფერი იყო ბონაპარტი, მაგრამ მაინც საშიში იყო მისი ძაგება: ჩვენი გამგეობა იმდენად სუსტი იყო, რომ როგორც მოისურვებდა, ისე ათამაშებდა მას ნაპოლეონი და მაშასადამე ვიღაცა შოველსაც ადვილად დააჭერინებდა.

პასუხი მართლაც არავინ გასცა შოველს და დაღონებულნი ხმისამოუღებლივ დაიშალნენ პატრიოტები. ნათლიაჩემი და მამაჩემიც კი არ დარჩნენ ვახშმად, — დაგვიღამდება, შინ ვეღარ ავალთო.

იმ საღამოს ხმა აღარ ამოგვიღია პოლიტიკაზედ, მაგრამ ისიც კმაროდა, რაცა თქვა შოველმა. მაშინ ვერა, მაგრამ შემდეგში კი დავრწმუნდი, რომ ჩემს სიმამრს კარგად ეცნო ბონაპარტი და კარგად იცოდა, რის იმედი უნდა ჰქონოდა მისგან რესპუბლიკას.

X

რამდენიმე დღის შემდეგ ხმა გავარდა, ბონაპარტი პარიზს მიბრძანებულაო. გაზეთებში ეწერა:

გენერალი ბონაპარტი გუშინ საღამოს ხუთ საათზე მობრძანდა. ამ ორ-სამს დღეში გამგეობას ნახავს ლუქსემბურგის სასახლეში, რომელსაც უკვე რთავენ მის მისაღებად. გამგეობა სადილს უმზადებს და 80 კაცი ჰყავს დაპატიჟებული“.

მ ე ო რ ე დ ღ ე ს ე წ ე რ ა:

„გენერალი ბონაპარტი თავის მეუღლესთან ჩამოხტა, ერთ პატარა სახლში. ქალაქის მოხელეთ გამოეცხადებინათ სურვილი გენერლის ნახვისა. გაიგო თუ არა ეს ბონაპარტმა, თითონვე მიბრძანდა სამამასახლისოში; თან გენერალი ბერტიე ჰყავდა. სამამასახლისოში დახვდა მას კონვენტის წევრად ნამყოფი მატიო და შესაფერი სიტყვა მოახსენა. გენერალმა თავმდაბალი და ღირსეული პასუხი უთხრა“.

„პარიზის უმაღლესმა სამჯავრომ დეპუტატები აახლა ბონოპარტს მისასალმებლად. დეპუტატები დიდი პატივისცემით იქმნენ მიღებული“.

„ბონაპარტთან მოსაკითხავად მივიდა მსაჯული იმ უბნისა, რომელშიც გენერალი დგას. ბონაპარტმა მაშინვე გადაუხადა ეს პატივისცემა“.

„ბონაპარტი იშვიათად გამოდის და ისიც უბრალო, ორ ცხენიანი ეტლით“.

„ბონაპარტი სადილად ფრანსუა ნეფშატელელთან ბრძანდებოდა და ყველანი გააკვირვა თავისი ცოდნით: ლაგრანჟს * და ლაპლასს ** მათემატიკაზე ებაასებოდა. სეიესს — მეტაფიზიკაზე, შენიეს— პოეზიაზე, გალუას — პოლიტიკაზე, დონუს— კანონმდებლობაზე. „საკვირველი იყო, რომ მან უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ყველა იქ მყოფმა სტუმრებმა“.

ერთი სიტყვით, გაზეთებში დაწვრილებით იყო აღწერილი ყოველივე, რაც კი ბონაპარტს შეეხებოდა.

მეორე დღეს ბონაპარტს დაეთვალიერებინა პარიზის უმაღლესი სამსჯავრო. თერთმეტ საათზე მისულიყო. სამსჯავრო დარბაზში დახვდომოდნენ ყველა მსაჯულები და იქაც ცხადად დამტკიცებულიყო, რომ გენერალ ბონაპარტს უფრო უკეთ სცოდნოდა კანონები, ვიდრე ყველა მსაჯულებს ერთად.

დანიშნულ დღეს, როდესაც ბონაპარტს გამგეობა უნდა ენახა

---

* ლაგრანჟი (1736 — 1813) გამოჩენილი გეომეტრი და მათემატიკოსი.

** ლაპლასი (მარკიზი 1749 — 1827) ვარსკვლავთმრიცხველი და გეომეტრი, ავტორი „ციური მეხანიკისა“.

ლუქსემბურგის სასახლეში, დილითვე ზარბაზნების სროლა დაეწ-ყოთ. მერმე ბონაპარტს მოსაყვანად ხლებოდნენ ყოველი დაწესე-ბულების წარმომადგენელნი: წინ პოლიციის მოხელენი თურმე იყვ-ნენ, მერმე სასამართლოსი, მერმე ქალაქის გამგეობისანი, და ბოლოს მაზრისანი. ამათთანავე იყვნენ წარმომადგენელნი სახელმწიფო ხაზი-ნისა. სამეცნიერო და სახელოვნო ინსტიტუტისა, სამხედრო სამი-ნისტროსი და მრავალი სხვანი, რომელთა სახელების ჩამოთვლა მგო-ნი რომ საჭირო არ იყოს.

მუსიკა რესპუბლიკურ სიმღერებს უკრავდა.

აწერილი იყო ამ კორტეჟის სვლა პარიზის ქუჩებში, მერე ბო-ნაპარტთან მისვლა, მის გამობრძანება, დროშების სიმრავლე და აღ-ტაცებული ხალხის ყვირილი. მოყვანილი იყო გარეშე საქმეთა მი-ნისტრის ტალეირან-პერიგორის სიტყვა, რომელიც რევოლუციამდე ოტუნის ეპისკოპოსად ბრძანდებოდა, და მერმე კი კონვენტის წევ-რად; ეს ის ტალეირან-პერიგორი ბრძანდებოდა, რომელმაც მიუხე-დავად პაპის ბრძანებისა, წირვა-ლოცვის ნება მისცა რევოლუციის მომხრე მღვდლებს. მოყვანილი იყო აგრეთვე ბონაპარტის პასუხი, სამხედრო სიმღერები და სხვ. და სხვ.

ვიღას ახსოვდა მაინცელი ჯარის სამსახური და მრავალი თავგან-წირვა! ვიღას ახსოვდა ჩვენი სხვა ჯარების ურიცხვი გამარჯვება სა-ფრანგეთის თითქმის ყველა საზღვრებზედ! ვიღას ახსოვდა ვანდე-ლებთან ბრძოლა და აჯანყებულების დამშვიდება! ღმერთმა ხომ იცის 92, 93, 94, 95 მთელი ოთხი წლის განმავლობაში მართლა რომ ურიცხვი ბრძოლა ჰქონდათ ჩვენს ჯარებს, ურიცხვ მტერს აჯობეს, უკვდავი დიდება შესძინეს საფრანგეთს, და ოცჯერ მაინც დაიხსნეს იგი სირცხვილისა და მტრის შემოსევისაგან; ღმერთმა ხომ იცის, ერ-თი-ათასად უფრო ძნელი და გასაჭირი იყო ჩვენი ყოფა, ვიდრე ბონაპარტის ჯარებისა იტალიაში, რადგან მაშინ არც ტანისამოსი იყო ჩვენთვის, არც სურსათი, არც ფეხსაცმელი... იმდენი დმერთმა მე შველა მომცეს, რამდენჯერაც ჩვენ პური დაგვკლებოდეს... და ჩვენთაგანს ერთს არავის რგებია მეათასედი მაინც იმ ქება-დიდე-ბისა, რომელიც ბონაპარტსა ხვდა წილად. განა ჩვენი მხედართმთა-ვარნი კი არ ვარგოდნენ? მაშ როგორ ვიმარჯვებდით, თუ არა? მაგ-რამ აკი მოგახსენებთ, იმათი ხსენებაც აღარსად იყო. ქვეყანა აღტა-ცებული იყო ბონაპარტით, ქვეყანა მუხლმოდრეკილი იყო ბონა-პარტის წინაშე. ეეჰ! პატიოსნად ასრულება მოვალეობისა არაფერი ყოფილა ჩვენს წუთისოფელში! საქმე ის არის, კაცმა ბუკი დაჰკრას და გაზეთები აალაპარაკოს! ისე უნდა ასტეხოს გაზეთები, რომ იმის მეტი აღარა ახსოვდეთ რა და ყოველ სტრიქონში იმის ამბავს გაიძა-

ხოდნენ, ყველგან ის იყო, ყველგან, ბონაპარტმა ესა ქნაო, ბონაპარტმა ესა თქვაო, ბონაპარტი გენიოსიაო! ბონაპარტი მილიონებს გზავნის, დროშებს, ძველი ხელოვნების ნაშთებსაო! გამოცდილი მაჭანკალი ვერ გააჭრელებს იმისთანა სიას, როგორსაც ბონაპარტი აბეჭდვინებდა გაზეთებში, როდესაც გამგეობას იტალიიდან უგზავნიდა რასმე. თან ყოველ დღე იმას გაიძახოდა, რომ ჩემი ჯარი პირველია მთელს ქვეყანაზედო!.. ესე იგი მე პირველი მხედართმთავარი ვარო!

წაიკითხავდა ნაპოლეონის ქებას შოველი და მწარედ წამოიძახებდა:

— საბრალო ხალხო! შენისთანა ერთგული და თავგანწირული მოსამსახურე არავინა ჰყავს თავისუფლებას, მაგრამ ვაი, რომ თვალებში გაქვს ჭკუა! ოღონდ მოგელაქუცოს ვინმე, თანაც შეგაქოს და ერთგულება შემოგფიცოს, შენ სალოცავ ხატად დაისვენებ და აზრადაც არ მოგივა, რომ შეიძლება გატყუებდეს, თავის საქმეს ირიგებდეს და კიდეც დაგცინოდეს. რობესპიერი თავის დაღვრემილი სახით და დიდროვანი სიტყვებით არა ნაკლები თინთლიბაზი იყო, ვიდრე ნაპოლეონი თავისი დიდებით და ძლევამოსილი ვაჟკაცობით; ორივენი თვალთმაქცობენ ხალხის მოსაღორებლად და ღმერთმან ინებოს, რომ ნაპოლეონი ისე ძვირად არ დაგვიჯდეს, როგორც რობესპიერი.

შოველს დიდი იმედი ჰქონდა კლებერისა, ოჟეროსი, ბერნადოტისა და ჟურდანისა — რესპუბლიკას ისინი იხსნიანო და ძალიან სწუხდა გენერალი ჰოშის სიკვდილს. ხშირად იტყოდა ხოლმე:

— „არა ჯერ არ გათავებულა ბრძოლა! ჯერ ვერ შევიხსნით იარაღს, რომლითაც მთელს ევროპას შევებრძოლეთ. დამარცხებული მტერი თავისას არ დაიშლის, ვიდრე ან სულ არ ამოწყდება, ან ჩვენს ხალხს ძველებურად დამონავებულს არა ნახავს. თუ ძალით ვერ გვაჯობა, ახლა ვერაგობით, ღალატით, მოხელეთა შესყიდვით და რესპუბლიკურ დაწესებულებათა გარყვნით ეცდება თავისას: მეგობრად გვაჩვენებს თავს, ყველგან შემოგვეპარება, ჩირქს მოსცხობს, რასაც კი შეეხება, და მერმე ნიშნს მოგვიგებს: ხედავთ, რა უვარგისი გამოდგა თქვენი რესპუბლიკა: პატიოსანი კაცი აღარსად არის და ხეირიანი დაწესებულებაო!.. ბრძოლა ეხლა იწყება, თორემ აქამდე რა ბრძოლა იყო? დიდი რამ კი არ არის მტერს შეხვდე და ზედ შეაკვდე! საქმე ის არის, მტერი იცნო, ყველგან წინ უდგე და პატიოსნებით, უანგარობით, სამშობლოს სიყვარულით და სათნოიანი ცხოვრებით დასჯაბნო ყოველი მისი განზრახვა“.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ გენერალი ჰოში ცივ მიწაში იდო და

უანგარობა, პატიოსნება და სათნოება კი მკვდრეთით ვერავის ააყენებს.

რაღა თავი შეგაწყინოთ, რევოლუციის ყოველი გაჭირვება და წვა-დაგვა ჩვენი იყო და სახელი და დიდება კი იტალიაში მყოფ ჯარს ერგო. რევოლუციის ნაყოფი სრულიად უსამართლოდ მარტო ნაპოლეონს მიართვა ხალხმა და ძალიან ძვირადაც დაუჯდა ეს უსამართლობა.

პარიზი დღესასწაულობდა საყვარელი მხედართმთავრის მობრძანებას და სწორედ ზღაპრული ქეიფებით და ლხინით უმასპინძლდებოდა თავის სტუმარს. ოჟეროს არაფრად მოსწონდა ასეთი თაყვანისცემა ბონაპარტისა და ხმამაღლა აცხადებდა თავის უსიამოვნებას. ჩვენ შენისთანა ავი არავინ გვინდაო, პერპინიაში გაისტუმრეს. იტალიაში მყოფი ჯარის მხედართმთავრად ბერტიე დანიშნეს; ბონაპარტი კი პარიზში დარჩა და აკადემიის წევრად იქნა არჩეული.

საფრანგეთი საომრად ემზადებოდა და დიდი ჯარით უნდა მიხტომოდა ინგლისს. ამ ჯარის მხედართმთავრობა ბონაპარტისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ინგლისში ჯარის მისაყვანად ხომალდები იყო საჭირო და თვით ჯარისთვის თოფ-იარაღი, ტანისამოსი და სურსათი. ამას ფული უნდოდა, და ფული კი არსად იყო. ამბობდნენ, ფული შვეიცარიაში ქ. ბერნში ბევრი არისო... ბერნელებს მილიონები უწყვიათ სრულიად უსარგებლოდო... მართალია, ბერნელებს ჩვენთვის თავის დღეში არა დაეშავებინათ რა, მაგრამ... ვოდელები უჩიოდნენ, ხარჯს გვახდევინებენო.

იქნება მართალსაც ამბობდნენ ვოდელები, მაგრამ შვეიცარიელების ერთმანეთში უსიამოვნება ჩვენ სრულებითაც არ შეგვეხებოდა და ბერნში რომ ხაზინა არა ჰგულებოდა, ჩვენი გამგეობა ყურადღებასაც არ მიაქცევდა ვოდელების ჩივილს. საუბედუროდ ინგლისზედ ამხედრებას ფული უნდოდა და ბერნელების ფული სულ თვალწინ უდგა ბარრას, რევბელს და გამგეობის სხვა წევრებს. იტალიაში ნაშოვნმა მილიონებმა მადა გაგვიხსნა და ახლა სხვაგან უნდა გვეძება საშოვარი.

იანვარში გენერალი რამბონის წინამძღოლობით ჯარები გაგზავნეს ვოდელების დასახმარებლად. რამბონს გენერალი მონარი მიჰყვა თავისი ჯარით და ქ. ლოზანი დაიჭირა. აი, რა სიტყვით მიმართა მონარმა თავის ჯარს:

„თქვენ თავისუფლების მოციქულნი ხართ, ჩემო გმირთ-გმირნო მეომარნო, და თავისუფლების დასამყარებლად მიმყავხართ ვოდის მაზრაში. საფრანგეთის რესპუბლიკასა სურს, რომ დღეიდან ვოდელი ერი თავისუფალი და სრულიად და-

მოუკიდებელი იყოს ბერნელებისაგან“.

მთელი შვეიცარია შეინძრა. ბერნი, ფრიბურგი და სოლერი ძალიან კარგად ხედავდნენ, რომ საფრანგეთს მათი ფულების მეტი არა უნდოდა რა და, რასაკვირველია, ჯარები გამოგვისიეს. განა უბრძოლველად ფულს გაიმეტებს ვინმე? ბაზელი, ლუცერნი და ცურიხი კი უფრო ჭკუიანად მოიქცნენ და მათგან დამოკიდებულ მაზრებს მიანიჭეს ყოველი უფლება, რომელსაც კი მათი ქვეშევრდომნი თხოულობდნენ. ეს მორჩილება ხომ სრულიადაც არ უნდა მოსწონებოდა ჩვენს გამგეობას და ახლა სხვა მიზეზი მოუდო: შვეიცარიაში იმისთანავე რესპუბლიკა უნდა იყოს, როგორიც საფრანგეთშიაო, იძახოდნენ, ერთი და განუყოფელი... შვეიცარიაში კი ყოველი მაზრა ცალკე რესპუბლიკას წარმოადგენს და ერთმანეთში ძლივს არიან შეკოწიწებულნიო. ორი ჯარი შეაერთეს, მხედართმთავრობა ბრუნს უბოძეს, იტალიაში ვაჟკაცობით განთქმულს გენერალს და უბრძანეს: დაიჭირე შვეიცარია და... ჩვენებური რესპუბლიკა დაამყარეო. შვეიცარიის ყველა მაზრები შეერთდნენ მაშინ ჩვენდა საბრძოლველად, გარდა ბაზელისა. დაიწყეს ისევ ჯარებმა დენა ჩვენს მიდამოში და გაჩაღდა ისევ ვაჭრობა. ლომივით იბრძოდნენ შვეიცარიელები, მით უფრო რომ ყველანი საუკეთესო მსროლელნი არიან და საუცხოოდ იციან ყოველი ბილიკი თავიანთ მთიან ქვეყანაში. მაგრამ რას გააწყობდნენ ერთიორად მძლავრ მტერთან, რომელიც ორი მხრიდან — ბაზელიდან და ჟენევიდან — შეესია ამ პატარა და სრულიად უბრალო ქვეყანას.

მიუხედავად იმისა, რომ სამარცხვინო ავკაცობას ჩავდიოდით, მიუხედავად იმისა, რომ უსინდისოდ ვძარცვავდით შვეიცარიელებს, მაინც ძალიან მესიამოვნებოდა ჩვენი ჯარების გამარჯვება, მეტადრე მაინცელი რაზმის და მაშინდელი ჩემი უფროსებისა.

ბოლოს ბერნი და სოლერი დაგვმორჩილდნენ და გამგეობამაც ხელთ იგდო, რაც უნდოდა: დღე და ღამ შეუწყვეტლივ დიოდნენ დატვირთული ურმები პარიზისკენ. ასე გასინჯეთ, დათვებიც კი წამოიყვანეს ბერნიდან *. ამბობდნენ მამულიშვილი რაპინა, გამგეობის წევრის, რევბელის ქვისლი ბძანდება ბერნში და ის გზავნის პარიზისკენ ამდენ ურმებსო.

ბერნელები და სოლერელები დაგვმორჩილდნენ 1798 წ. თებერვალში და მარტში.

ამ დროს ხმა გავარდა, რომში, ჩვენის ელჩის იოსებ ბონაპარტის სასახლის ახლოს, გენერალი დიუფო მოუკლავთო. გენერალი დიუ-

* ბერნი გერმანული სიტყვაა, დათვს ნიშნავს.

ფო საფრანგეთის ქვეშევრდომი იყო და... რადგან პაპს ბევრი ფული ჰქონდა, ამაზედ უკეთეს მიზეზს ომის ასატეხად ვეღარსად ვიპოვიდით. მაშინვე ჯარი შევუსიეთ რომს ბერტიეს წინამძღოლობით. მაშინ კი დამშვიდდა ყველა, რომ ინგლისზედ ასამხედრებლად აღარა დაგვაკლდება რა, რადგან რაც ბერნელებს ვერ წავართვით, იმას წმინდა პაპი შეგვისრულებსო.

ერთ დილას დუქანში ვიდექ და ფანჯარაში ახალ-ახალ ჩითებს ვალაგებდი, — უნდა მოგახსენოთ, რომ იმ ხანებში, რაკი ვაჭრობა კარგი გვქონდა, ცოტა რამ მიტკალი, ტილო და ჩითეულობაც გავიჩინეთ. — დიაღ, ფანჯარასთან ვიდექ, ახალ-ახალ ჩითებს ვალაგებდი და თან მოედნისკენ ვიყურებოდი. შორიდან თვალში მეცა ერთი წარმოსადეგი, რაღაცა უცნაურად აჭრელებული ტანთსაცმელით შემოსილი ქალი. მოდიოდა და ათასფრად ელავდნენ მისი ძვირფასი ნივთები, რომლებიც მრავლად ეყარა თავიდან ფეხამდე. თან პატარა ბიჭი მოჰყავდა ჰუსარის ტანისამოსით. აქეთ-იქიდან ფანჯრებიდან გაშტერებული უყურებდა ხალხი და მეც ვეკითხებოდი ჩემს თავს, — ნეტავი ვინ უნდა იყოს ეს დიდებული ქალბატონი მეთქი? სადღაც მენახა, ეჭვი არ მქონდა, მაგრამ სად? იმისთანა მსხვილი იაგუნდები უჯდა საყურეებში, რომ თითო თხილის ოდენი იქნებოდა. ნელ-ნელა მოდიოდა ჩემსკენ, ნარნარით და კეკლუცი რხევით. მერე რაკი მოახლოვდა დუქანს, შურდულის ქვასავით გამოიქცა და თან ყვირილი მორთო:

— მე ვარ, მიშელ, მე!...

მომაგონდა მაინცი, ჩვენი გაჭირვება და ქალაქის მიტოვება. თავიდან ფეხამდე თრთოლამ ამიტანა. ჩემი ლიზა კი მეხვევოდა და გულში მიკრავდა. ისე მოულოდნელი იყო ეს ამბავი, რომ ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ისე მიყვარდა ლიზა და ისე გამეხარდებოდა მისი და პატარა კასსიუსის ნახვა.

ამ ხმაურობაზე მარგალიტა გამოვიდა, და მერმე ჩემი სიმამრი.

— აკოცე, ბიჭო, ბიძაა შენი! — ეუბნებოდა ლიზა პატარა კასსიუსს. — მიშელ, გახსოვს, ბინა რომ დაგვინგრიეს მაინცში. გახსოვს რა პატარა იყო მაშინ კასსიუსი?

მარგალიტა გადაჰკოცნა და მერე სიცილით შოველს მოეხვია. შოველი კარგ გუნებაზე იყო და სიამოვნებით შესცქეროდა ჩემს დისწულს. კასსიუსი წამოზრდილიყო, დამშვენებულიყო, დაკოხტავებულიყო. დიდად გახარებულნი ვიყავით ყველანი, დიდად ბედნიერნი. დუქნიდან სამკითხველოში გავედით. რაკი ნახა, არავინ

არისო, ლიზამ სიცილით ერთ კუთხეში ძვირფასი შლიაპა გაიხსნა, მეორეში ქირვანის შალი და შემოგვძახა:

— თქვენ თუ არა, ღმერთი ხომ ხედავს, რომ ისე მიხდება ეს სამკაული, როგორც ძროხას უნაგირი. ბაზელის სასტუმროში ხუთი ზანდუკი მაქვს ემაგეებით გატენილი. საყურეებს, ძეწკვებს, საშალჯურებს და ბეჭდებს ხომ ნუღარ იტყვით. ჭირივით მეჯავრება ასე მორთვა, მაგრამ აქაური დიდებული ქალბატონების ჯიბრით ამას კი არა, თუნდა ათ ამდენს ავიკიდებ. სულ ჯავრით უნდა გავხეთქო, თვალები უნდა დავუყენო... თორემ რა ჩემი საქმეა, გენაცვალეთ, შლიაპა? ერთი კარგი თბილი თავსახვევი, მორჩი და მოისვენე! ან კიდევ ეს კაბები! რა სჯობს ერთ უბრალო დაბამბულ კაბას და თუ ცივა, ერთ ყანწ არაყს?!.

ამ დროს სტეფანეც შემოვიდა. უნდა გენახათ, რა სიყვარულით მიესალმა იმას ლიზა. მიამა ღვთის წინაშე და ღმერთს მადლობა შეევწირე, რომ ჩემს დასა და ნიკოლოზს შუა დიდი ზღვარი იდო.

სტეფანე სიხარულითა ტიროდა. დაიჟინა, ეხლავე ავირბენ და დედას და მამას შევატყობინებო, მაგრამ ლიზამ არ გაუშვა: — საღილს უკან მე თითონ ავალ ჩვენების სანახავადო. გულიანად დაჰკოცნა ჩემი ბალღები და თქვა:

— ეს ბიჭი... შოველია, გენაცვალეთ, შოველი! სხვაგანაც რომ შენახა, მაშინვე ვიცნობდი. ეს გოგო კი — დიდედაჩემი ელისაბედია, იმასავით ზორბა და მაგარი. იი, გენაცვალე მაგ ჟუჟუნა თვალებში!..

მანამ ჩვენ ერთმანეთს შევხაროდით, ქალაქში ხმა გავარდნილიყო, მიშელს და მოსვლიაო, და ბევრი კარგი ნაცნობი და მეგობარი მოვიდა ლიზას სანახავად, როგორც კი დაინახავდა ვისმე ლიზა, მაშინვე წინ მიეგებებოდა და ყველას შენობით მიმართავდა.

— ბიჭო! ჩვენი კოლენი! როგორა ხარ, კოლენ? აგერ რაფიელიც მოდის!.. რაფიელს გაუმარჯოს, რაფიელს!..

რასაკვირველია, ყველას უკვირდა ასეთი უცნაური ქცევა; მაგრამ ხედავდნენ, რომ თვალ-მარგალიტით ბრწყინავდა და ფიქრობდნენ: ალბათ, უფლება აქვს, რომ ასე დაურიდებლივ გვექცევაო.

სადილი ძალიან მხიარულად გიახელით და რამდენიმე ბოთლი ძველი ღვინოც გადავკარით. ლიზა აღტაცებით აგვიწერდა პავის, პლეზანსის, მილანის, ვერონის და ვენეციის აღებას და აუარებელ სარჩო-საბადებელს, რომელსაც ჩვენი ჯარი შოულობდა. ცოცხლად გვისახავდა დამარცხებულთ, რომლებსაც სძარცვავდნენ ჩვენი ჯარები, და თან გულიანად ხარხარებდა და კისკისებდა.

შოველიც კი გაიტაცა იმისმა გულიანმა სიცილმა. მაგრამ ეს ძარცვა-რბევა არ მოეწონა და უთხრა:

— ოჰ!.. ოჰ, ელისაბედ-ქალო! თქვენ ომით კი არა, ყაჩაღურად დასცემიხართ იტალიელებს!

— კარგი ერთი! — შეჰყვირა ლიზამ, — შენგან არ მიკვირს! ვისთან უნდა მივსულიყავით ომით? არისტოკრატებთან და საშობაო კურატივით ჩასუქებულ ბერებთან? აბა ეჯობნათ, დიდით-პატარამდე შამფურზედ აგვაგებდნენ! ჩვენ ხომ არავინ დაგვიხოცნია!.. ის წუპაკები, ისინი! ვაჯობებდით, დავიმორჩილებდით და, ავიშლებოდით თუ არა სხვაგან წასასვლელად, ისინიც აიშლებოდნენ, უკანიდან აჯანყებულები დაგვედევნებოდნენ! ის შეჩვენებულნი, ისინი! ჰოდა, რაც ჩვენ იქ ბერები დავხვრიტეთ, აჯანყებული ბებერები!.. დავიჭერდით თუ არა, მაშინვე დავხვრეტდით, ალილუიას კი არ გავუბამდით! ბონაპარტმა ეგენი არ იცის! ჭირივით ეჯავრება ფიქრი და დროს დაყოვნება: „აჯანყებულებთან ერთად დაგიჭირეს? ცხადზედ ცხადია შენი საქმე! ათი კაცი და შენი ჯანი! კედელზე მიგაყუდებენ, დაგიმიზნებენ და მშვიდობით!... ჩვენებურები თუ ნახო საიქიოს, მოკითხვა მოახსენე!“ ისე დავაშინეთ ხალხი, რომ გაციებულივით თრთოდნენ, ჩემო შოველ.

— აგრე, აგრე, ელისაბედ-ქალო!

— აგრე, მაშ არა?! — ხარხარებდა ლიზა. — გამარჯვებას გარჯაც უნდოდა! (ხელით გვანიშნებდა, როგორ იტაცებდა, რაც კი ძვირფასი შეხვდებოდა და ჯიბეში იტენდა). ჩვენი მღვდლის ჯიბეები გახსოვთ?.. ხარის ბეჭს რომ ჩაიდებდა ხოლმე?.. იმაზედ მეტი ჯიბეები მე დავიკერე... ფეხის კოჭამდე დამთრევდა. ხანდახან მარესკოც კი გამიჯავრდებოდა ხოლმე: — კმარა, შე ურცხვო, თორემ დაგახვრეტინებ მთელი რაზმის წინაშე, რომ სხვებმა ველარ გაბედონო! მაგრამ სიცილად არ გვყოფნიდა მისი მუქარა და თითონაც სიცილს მოჰყვებოდა ხოლმე. არა, ერთი მითხარი, შოველ, ბიქები არ ვიქნებოდით, ხელცარიელნი დავრჩენილიყავით და იმოდენი თვალ-მარგალიტი გენერლებისთვის დაგვენებინა? არა, კაცმა სისხლი ღვაროს, ყოველ წამს სიკვდილის პირს იდგეს და საშოვარი კი შორიდან მბრძანებელ ჯარის უფროსთ დაანებოს?!

— არა, ეგ მართალია, მაგრამ სახელმწიფო ხაზინას რომ...

— სახელმწიფო ხაზინაო? ეჰ, კარგი ერთი, ბალღი ხომ არა გგონივარ! სახელმწიფო ხაზინა ცარიელი სიტყვაა და სხვა არაფერი! სახელმწიფო ხაზინა ფლიდების და გაიძვერების ჯიბეა. სახელმწიფო ხაზინას ისიც ეყოფა, რაც ჩვენ მას დროშები გავუგზავნეთ, ზარბაზნები, მილიონები და ხელოვნური ნივთები! წაიკითხავდი სიას?

— დიაღ, წავიკითხე.

— ჰოდა, ვინ შესძღვნა სახელმწიფო ხაზინას თუნდა მეოთხედი ჩვენგან გამოგზავნილისა?

სადილს უკან ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა ელისაბედ-ქალმა, თავისი შლიაპით და შალით მოიპრანჭა და შინისკენ წავიდა დედისა და მამის სანახავად. თან სტეფანე და კასსიუსი წაიყვანა. ჩვენ კარებში ვიდექით და ვუყურებდით მიმავალთ. შოველი ამბობდა:

— ეგ ქურდი, ეგ ყაჩაღი ეგ! არა, ჩემო მიშელ, ნათესაობა კარგია, მაგრამ შენი ნათესავებისთანა კი მე ჩემს დღეში არა მინახავს რა.

და თანაც ვულიანად იცინოდა, რადგან ლიზა იმისთანა გულუბრყვილოდ გვიამბობდა ყველაფერს, რომ ცხადად სჩანდა, როგორც ჭამა-სმაში არაფერს ჰპოვებდა საძრახისს, ისე ძარცვა-გლეჯაში. პირიქით, საკვეხარად ჰქონდა თავისი ყაჩაღობა და გამბედაობა.

საკვირველი ის იყო, რომ მთელი ქალაქის ქალები აღტაცებულნი იყვნენ ლიზას კაბებით, სამკაულით, შლიაპებით და დიდებული ქცევით! დიაღ, დიდებული ქცევით! ის კი არ იფიქროთ, არ ეცოდინებოდათ ვინ ბრძანდებოდა ელისაბედ-ქალიო! თქვენც არ მომიკვდეთ! დიდმა და პატარამ ყველამ იცოდა ჩვენს პატარა ქალაქში რომ კაპიტანი მარესკოს მეუღლე მეკალათე ბასტიენის ქალი იყო, რომელიც პატარაობისას ფეხშიშველი მისდევდა ხოლმე გამვლელ ეტლებს და მოწყალებას სთხოვდა... მერმე ვინ იცის, სად არ ეთრია, ვიდრე ამ „დიდებულ ქცევას“ შეიძენდა. ერთი კვირა დარჩა ჩვენში ლიზა და ყოველდღე სულ ახალ-ახალ კაბას იცვამდა და იმასაც დღეში ორჯერ იცვლიდა: ხან აბრეშუმისას ჩაიცვამდა, ხან ხავერდისას და ყველა კაბისთვის სხვადასხვა სამკაული და შლიაპა ჰქონდა შეხამებული. ზოგი იმისთანა მაგარი და მოუხეშავი კაბა ეცვა, რომ ფარდაგი გეგონებოდათ, იმოდენა ოქრომკედი ჰქონდა ზედ. ვინ იცის, რომელი წმინდა ტაძარი აიკლეს ან დიდებულის ვისიმე ძველებური ოჯახი, სადაც საუკუნეთა განმავლობაში დაუფასებელ განძივით ინახებოდა წინაპართა სამკაული და კაბები?

სულ ლიზას გზაზედ ეჭირათ ჩვენებურ წარჩინებულ ქალებს თვალი და გამოვიდოდა თუ არა, მაშინვე ფანჯრებში გადმოეყუდებოდნენ და სინჯვას უწყებდნენ.

— მოდის, ქალო, მოდის! შენ იმის ფინიკას უყურე! სად იშოვნა, მაგ...

არც კი სცხვენოდათ და ბაზელის სასტუმროში მოსამსახურეებს გზავნიდნენ, რომ ქალბატონი მარესკოს კაბის და შლიაპის ფასონი აეღებინებინათ. ელისაბედ-ქალს მოსაკითხად ეახლნენ და თავისთან

პატიჟებდნენ მამასახლისი და სხვა წარჩინებული მოხელენი. რაღა გავაგრძელო, სწორედ ისე დაუხვდა ლიზას ფალსბურგი, როგორც ბონაპარტს პარიზი.

სანთლით საძებნი ყოფილა იმისთანა კაცი, რომ გამდიდრებულს, — სულ ერთია, როგორ და რით გამდიდრებულს, — თავი არ მოუხაროს და მუხლი არ მოუყაროს. მე მრცხვენოდა ფალსბურგელების მაგივრად. ხოლო კარგი ის იყო, რომ შინ რომ მოვიდოდა, ყველას მასხარად იგდებდა ლიზა და ზიზღით იხსენიებდა პირმოთნე და თავმოყვარეობას მოკლებულს ჩემს თანამოქალაქეებს:

— საკვირველი ურცხვი რამ ყოფილა ადამიანი! — იძახდა ლიზა: — როდესაც დილით ჩაუცმელს დამინახავენ, ფლოსტებით. წითელი თავსახვევით და დახეული კაბით, თავხედად მიყურებს ყველა და იძახის: აგერა პარიზელ შეთქმულთა რაზმის მიკიტანიო! მაგრამ როდესაც ჩემს ძვირფას ფარჩეულობაში გამოვიკაზმები და ნივთეულობას ავისხამ, ყველა მოწიწებით მომესალმება: აგერ კაპიტანის მარესკოს მეუღლე, ელისაბედ-ქალიო. თითქო ჩაცმულ-დახურული იგივე ადამიანი არ ვიყო, რაც ჩემი ფლოსტებითა ვარ. ან იქნება ჩემს სამკაულს სცემენ პატივს! ოჰ, რა ურცხვი და უგუნური რამ ყოფილა ადამიანი! ჭკუა თვალებში ჰქონია და მარტო თვალებში!

მამაჩემი ყოველდღე ჩვენსა იყო სადილად და კალთაში უჯდა კასსიუსი. იმისთანა ბედნიერი იყო საწყალი მოხუცი, რომ შეშინოდა, არ შეიშალოს-მეთქი. თვალი ცრემლით ევსებოდა და წამდაუწუმ იძახდა:

— ღმერთმან აკურთხა ჩემი შვილები. ჩემს სიღატაკეში მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამოდენა ბედნიერება.

აღტაცებით შესცქეროდა თავის ქალს; რაც უნდა ეთქვა ლიზას, იმას ჭეშმარიტად მიაჩნდა და ხშირად იტყოდა ხოლმე:

— იცით, შვილო! ეხლა რომ წამოიხედონ ბებიათქვენმა ანამ და პაპათქვენმა მატურინმა, დაგსბურგის მებატონენი ეგონებით.

ამაზედ ჩემი სიმამრი ბურნუთის კოლოფს მიაწოდებდა და ეტყოდა:

— სწორედ, ჩემო პეტრე, სწორედ დაგსბურგის მებატონენი ეგონებათ და, იცი, რამ მოგვანიჭა ჩვენ დღევანდელი ჩვენი კეთილდღეობა? რევოლუციამ. რევოლუციამ ყველა გაათანასწორა და გაათანაბრა. რევოლუციამ გააუქმა შთამომავლობითი უპირატესობანი და ფართო გზა მისცა ნიჭს და შრომას. ეხლა ერთიღა გვაქვს

სასურველი—რომ გუშინდელმა ყმებმა ხვალ ბატონობა არ მოგვინდომონ. მაგრამ რა! ჩვენ ჩვენი ვქენით! გავათავისუფლეთ ყმანი და ახლა თითონ უპატრონონ თავის თავს და ძველის, დიდებული ბატონის ადგილს ახალი ბატონი არ გამოსჭიმონ.

დედაჩემი არ დადიოდა ჩვენსა: მე იმ კაინისას რა მიმიყვანსო! ლიზას სანახავად სასტუმროში დაიარებოდა. გაკვირვებული თურმე სინჯავდა ლიზას ნივთებს და ხელაპყრობით შეჰღაღადებდა ღმერთს მადლობას:

— გმადლობ შენ, ღმერთო, რომ შენი მადლი არ მოაკელ შენს უღირსს მონას!... იჰ, რა კარგი რამ არის, ლიზა!... ეს მე მაჩუქე!

მაგრამ ლიზამ უკვე იცოდა, რომ რასაც კი მისცემდა, ის მაშინვე ღვთისმშობლის ხატს შესწირავდა წმინდა ვიტის ეკლესიაში, და ფასიანს არას აძლევდა. საღამოზე სიცილით გვიამბობდა ხოლმე ყველაფერს:

— მე რომ იმას ავყვე, დედიშობილად დავრჩები და რაც რამა მაქვს, სულ ბერების ხელში ჩავარდება.

ბოლოს ლიზაც წავიდა. ბერტიე რომში შევიდა და მარესკოსაგან წიგნი მოუვიდა რომიდან. ლიზა ძალიანა სწუხდა, რომ რომის აღებას ვერ დაესწრო და გაფაციცებით ემზადებოდა წასვლას... ჩემი კასსიუსი წმ. პაპს უნდა დავალოცვინოო, ფალსბურგელ ქალებს წმინდათა ნაწილებს დაჰპირდა და დედაჩემს და ნათლიჯალაბს აღთქმა დაუდო, ჩავალ თუ არა რომში, მაშინვე ნაწილს გამოგიგზავნით იმ ჯვარისას, რომელზედაც ჯვართ აცვეს იესო ქრისტეო: რევოლუციისაგან განდევნილი ბერები უკანვე ბრუნდებოდნენ და თან წმინდათა ნაშთების და ნაწილების თაყვანისცემაც უკანვე შემოჰქონდათ.

წასვლის წინა ღამეს თავისთან წაგვიყვანა მე და მარგალიტა, ბაზელის სასტუმროში და ერთი მშვენიერი საათი თითქო ძალად ჩამიდო უბეში. დღესაცა მაქვს ის საათი და დღესაც კარგად დადის. იმისთანა საგანგებო, ხელოვნური ნივთია, რომ ჩემს დღეში არსად მომიშორებია. არ ვიღებდი, მაგრამ ლიზა შემომეხვეწა:

— იცი, მიშელ, მაგ საათს მარესკო გიგზავნის სახსოვრად იმ დღისა, როდესაც შენ სიკვდილს გადაგვარჩინე მე და ჩემი პატარა კასსიუსი.—თან იმისთანა სიყვარულითა მკოცნიდა, რომ უარის თქმა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

— ჩემი კასსიუსის სახსოვრად, მიშელ! იცი, რომ მოვდიოდი, მარესკომ ეგ საათი ჩამიგდო ზანდუკში და მითხრა: ეს ნივთი შენ ძმას წაუღე; მე ეგ ბრძოლის ველზე ვიშოვე, კინაღამ ჩემი სისხლით შევსვარე და მინდა ჩემს ცოლის ძმას ვუფეშქეშო. აგრე უთხარი,

ჩემს მაგივრად ჩემგან გქონდეს და შენს დისწულს ნუ დაივიწყებთქო.

რაღა გაეწყობოდა, საათი უკვე უბეში მედო. ეგეც რომ არა ყოფილიყო, ძალიან მასიამოვნა ჩემი სიძე-ბატონის სიტყვებმა და თავაზიანმა მოკითხვამ.

მერმე მარგალიტას გადაუშალა კალთაში ერთი ყუთი ბეჭდები და აუტყდა,—აირჩიე, რომელიც გინდოდესო. მარგალიტამ მე გადმომხედა. ვანიშნე, აიღე რამე, ნუ აწყენინებ-მეთქი. იმანაც ერთი პატარა ოქროს ბეჭედი აირჩია, ობოლი მარგალიტით, რომელიც ცრემლივით კროოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიზა წავიდა, ერთხელაც არ გაუკეთებია:—თუნდა დავიფიცავ, ეს ბეჭედი, მოკლეს და ისე წაგლეჯეს თითიდან საწყალ ქალს, როდესაც ახლად აღებულ ქალაქს იკლებდნენო და რადგან ამას მეც დავიფიცავდი, გაჩუმებული ვიყავი და ბეჭედი სადღაც მიმალული გვქონდა.

წასვლისას ცოტა რამ ფულიც მომცა მამაჩემისათვის და ძალიან მთხოვა, გამოუზოგე და დედაჩემს კი არა მისცე რა, თორემ მაშინვე ბერებს აურბენინებსო.

ხუთ საათზე სადილს უკან ყველანი ჩვენს სამკითხველოში შეიყარნენ ლიზას და კასსიუსის გასაცილებლად. დიდძალი ხალხი მოგროვილიყო ჩვენს კარებზე ლიზას სანახავად და ბევრი წარჩინებული ქალებიც მობრძანებულიყვნენ თავიანთი ქმრებით. ბოლოს, ბევრი ხვევნა-კოცნის და ქალური წრიპინის შემდეგ დაიძრა, როგორც იყო, დილიჟანსი. კარგა ხანს კიდევ ისმოდა ლიზასი და კასსიუსის ძახილი:

— მშვიდობით, მიშელ! მშვიდობით, მარგალიტა! მშვიდობით!

წავიდნენ, მაგრამ საწყალი მამაჩემის გულიც თან წაიყოლეს. დიდი ხანი იტირა საბრალომ, ვიდრე გულს მოიბრუნებდა და ცრემლს შეიწყვეტდა. ნეტავი, კიდევ ვნახავდით ერთმანეთს? ან როდის?

XI

აპრილის დამდეგი იყო. დიდ მოლოდინში ვიყავით ყველანი,—რაკი გაზაფხულდა, საცაა ამხედრდება ჩვენი ჯარები ინგლისის ასაღებადო. ჯარს სუყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა, რადგან ბერნი რომ ავიკლეთ, მარტო იქიდან გამოვიტანეთ 25 მილიონი ნაღდი ფული, სულ ოქრო და ვერცხლი, გარდა იარაღისა. ზარბაზნებისა და სხვა.

იმ დროს შოველს ერთი თავისი კარგი მეგობარი, სტრასბურგე-

ლი „ძმათა და მეგობართა კლუბის“ თავმჯდომარედ ყოფილი ექიმი შვანი ეწვია და სადილადაც ჩვენსა დარჩა. დიდად განათლებული და სწავლული კაცი იყო, დაწვრილებით იცოდა სუყველა, რაც კი საფრანგეთში და გერმანიაში ხდებოდა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ყოველგვარ მეცნიერებაშიც. იმისგან გავიგეთ, რამოდენი ჯარით ვემზადებოდით ინგლისზედ მისვლას და ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. რაც კი საფრანგეთს საუკეთესო გააჩნდა რამე—ჯარები, მხედართმთავარნი და, ასე გასინჯეთ, სწავლულნი და მეცნიერნი, ყველა ინგლისზედ მიმავალ ჯარში ჩაერიცხათ. გენერლები კლებერი, დეზე, რეინიე, ლანი, მიურატი, დავუ, ჟუნო, ანდრეოსსი, კაფარიელი და ბერტიე. ერთი სიტყვით, გამოჩენილი, გამოცდილი, სამშობლოს ბურჯი გენერალი ყველა იქ მიდიოდა. თვით შვანიც იმიტომ მიდიოდა პარიზს, რომ ერთს მის მეგობარს ბერტოლეს შეეტყობინებინა,—თუ გინდა, ბონაპარტს მოვახსენებ და შენც წამოდი ჩვენს ჯართანო. ამასთანავე თურმე სწერდა,—სხვათა შორის იმისთანა გამოჩენილი სწავლულნი მიჰყვებიან ჩვენს ჯარს, როგორც, მაგალითად, მონაჟი, ჟოფრუა, სენტილერი, დენონი, ლარეი, დეგენეტი და სხვანი.

— რა ვქნა, მაგდენი სწავლულები რაღად უნდათ?—უკვირდა შოველს.—იქნება ინგლისს არავინა ჰყავს და ჩვენებურები უნდათ მიჰგვარონ? იქნება ინგლისელები ველურებად მიაჩნიათ და განათლებას უპირობენ?

— ღმერთმა მკითხოს, თუ ვიცოდე რამე!—შეჰყვირა შვანმა.—განა მე კი არ მიკვირს? თუ საომრად მივდივართ, სწავლულნი და მეცნიერნი რად გვინდა? იმათ ხომ არ ვაომებთ და! ალბად არის რამე აქ საიდუმლო, რომლის გაგება ჩვენ არ ძალგვიძს.

— ძალიან კარგი, მაგრამ ერთიც ვნახოთ, გვიმტყუნა ბედმა და დავმარცხდით; ვიღამ მოუაროს სამშობლოს, თუ კი საუკეთესოს ყველას ინგლისში გარეკავენ? გენერლებია, იქ მიგიდით; სწავლულებია, იქ მიგიდით და ჯარები ხომ იმდენი მიგყავთ, რომ საფრანგეთს ოხრადა სტოვებთ! განა არ შეიძლება, ერთხელ კიდეე აგვიღელდეს ზღვა და ისე დაფანტოს ჩვენი ხომალდები, რომ ერთმანეთს ვეღარა ჰპოვებდნენ, როგორც ამ ცოტა ხნის წინად მოგვივიდა? ხომ შეიძლება, ჩვენი ჯარების და მხედართმთავრების ინგლისში ყოფნით ისარგებლონ გერმანელებმა და შემოგვესივნენ! მით უფრო მოსალოდნელია მათი შემოსევა, რომ ჩვენგან შვეიცარიის და რომის დაჭერა მთელს ევროპას აშფოთებს, ყველანი „ავაზაკებს“ გვეძახიან და ვენელი ხალხი ხომ აშლილა კიდეც და ისე გამოუცხადებია ჩვენდამი თავისი სიძულვილი; წაიკითხავდი „მოამ-

ბეში“, როგორ ჩაუმტვრეეიათ ჩვენი ელჩის სასახლის ფანჯრები და როგორ დაუშვებინებიათ ჩვენი დროშა! განა ამისთანა დროს ქვეყნის მიტოვება შეიძლება? დღეს მეფობა ან რესპუბლიკა კი არ არის საფრთხეში, არა, განსაცდელში თვით სამშობლო და ჩვენი დამოუკიდებლობა არის. ნუთუ ფრანგები არ არიან ჩვენი გამგენი?! თუ გიუები არიან?!.. არა, მტერს კარი გავუღო და თითონ სხვაგან წავიდე!.. გიჟი თუ იზამს ამას, თორემ... ან რად, რისთვის გვინდა ინგლისთან ომი? რომ მხედართმთავრობა მივცეთ ბონაპარტს, სხვა ხომ არაფრისთვის!

— რისთვის გვინდა?—შეეკითხა ექიმი შვანი:—ჩემო შოველ... მეტად კარგი რამ არის გამგეობის ადგილი... თუ ბონაპარტი დარჩა, გამგეობის ალაგს მარტო თითონ დაიჭერს და ისინი ცარიელნი დარჩებიან.

შოველმა აღარა უთხრა რა, რადგან თითონაც კარგად იცოდა, რომ გამგეობა ბონაპარტის თავიდან მოსაშორებლად სჩადიოდა ამას. შვანი წავიდა და რამდენიმე დღე სულ იმის მოლოდინში ვიყავით, რომ ჩვენი ჯარების ამხედრების ამბებს მოგვიტანენ გაზეთებიო.

გაზეთები მიწის პირიდან აღგვას და განადგურებას ემუქრებოდნენ ინგლისს. ყველა ინგლისს ლანძღავდა, ყველა ინგლისს აშინებდა და უცბად 26 თუ 27 მაისს 1798 წ. ხმა გავარდა,—ჩვენი ჯარი დაიძრა და ეგვიპტისკენ წავიდაო. ცოტა ხანს უკან პროკლამაციებიც მოგვივიდა.

— ხედავთ, — წამოიძახა შოველმა, — ნაპოლეონ ბონაპარტს ინგლისთან ბრძოლას ეგვიპტელებთან ბრძოლა ურჩევია! ეეჰ, ჩემო მიშელ, ახლა კი ცხადია, რომ თუ ომი ატყდა სადმე, ისევ ჩვენს საზღვარზედ ატყდება და არა ინგლისში და ეგვიპტეში. სად საფრანგეთი, სად ეგვიპტე? მართალია, ოთხმა თუ ხუთმა სასზარელმა ყაჩაღმა—კამბიზმა, ალექსანდრე მაკედონელმა, კეისარმა და მაჰმადმა,—სწორედ ეგვიპტეში ისახელეს თავი, მაგრამ ღმერთმა მკითხოს, თუ გამეგებოდეს, რად მიდიან ჩვენი ჯარები იმ სიშორეზედ? იქნება იმიტომ, უკვდავი გმირის სახელს მარტო იქ შეიძენს კაცი! სად ნაპოლეონის სიგმირე და სად ჩვენი ჯარების უსარგებლოდ ჟლეტა და ხოცვა. ეგვიპტეში რომ არ წავიდეთ, თუ კი ომი გვინდა, აქ ვერ ვიპოვით მტერს, როდესაც მთელი ევროპა ჩვენ გაღაგვკიდებია!

გაშლიდა რუკას და დაუწყებდა სინჯვას. ხანდახან რამდენიმე საათი დასცქეროდა და რაღასაც ნიშნავდა. ჩვენებური პატრიოტები ხშირად მოდიოდნენ შოველის სანახავად. ხმა დადიოდა, ბონა-

პარტი ინდოეთში მიდის რომ იქ შეებრძოლოს ინგლისელებსო; ამ აზრით გატაცებულნი იყვნენ რაფიელ მანკი და მოხუცებული დიმერინგენში მასწავლებლად ნამყოფი ტუბა. გაზეთებში ეწერა, ჩვენი ჯარები ინდოეთს მიდიან, რათა დაიმორჩილონ ის ქვეყნები, საიდანაც ყავა, პილპილი და მიხაკ-დარიჩინი მოდისო. შოველი პირმოკუმული ისმენდა ამ სისულელეს, მაგრამ ვერ მოითმენდა და გაბრაზებით წამოიძახებდა:

— ნეტავ რამ დააბრმავა ასე ხალხი, ღმერთო! რამ აუხვია თვალი! ამისთანა უბედურება იქნება?!

ერთხელ ერთი უშველებელი წიგნი ამოედო ტუბას იღლიაში და ისე შემოვიდა ჩვენსა. წიგნი ჩემს სიმამრს გადაუშალა და უთხრა:

— იცი, შოველ, ის ქვეყანა, საიდანაც ყავა, პილპილი და მიხაკ-დარიჩინი მოდის, სავსე თურმე ყოფილა თვალ-მარგალიტით და ოქროს მადნებით... ამ წიგნში წერია, წაიკითხე. ეხლა ხომ გესმის, რისთვის უნდა ბონაპარტს ინდოეთის აღება?

ეს კი ვეღარ მოითმინა შოველმა და შეჰყვირა:

— დიაღ, მე კარგად მესმის, რომ შენცა და საუბედუროდ ბევრი სხვაც, ვირები ხართ, რომელთაც დღეს აღვირი ამოსდეს და ხვალ კურტანსაც შეადგამენ! იცით, რამოდენი მანძილია ეგვიპტიდან ინდოეთამდის? ჯერ რამდენიმე ათასი ვერსი ზღვით არის და ახლა ხმელეთით რამდენია! რამდენი გადაუვალი მთებია და ქვიშნარი უდაბნოები! რამდენი ველური ხალხია, უფრო ავი და მოსარიდებელი, ვიდრე ჩვენებური მგლები! ეგვიპტიდან მეკკას რომ წავლენ ხოლმე სალოცავად არაბები თავიანთი აქლემებით, რამდენიმე თვეს მგზავრობენ; გზაში იმდენი ხალხი იხოცება სიცხისა და წყურვილისაგან, რომ გზა მოკირწყლულია მათი ძვლებით! და თქვენ გგონიათ, რომ ბონაპარტმა ეს არ იცის, თავის დღეში თვალი არ გადაუვლია რუკასთვის და ინდოეთში ეგვიპტეზედ მიდის ოქროს და თვალ-მარგალიტის საშოვნელად? არა, ჩემო ტუბა, ბონაპარტმა ძალიან კარგად იცის ესენი, ოღონდ იცი, რა თვალით უყურებს ხალხს? იმისთვის ხალხი სასუქია, რომელმაც გენერლები უნდა ამრავლოს! და წარმოიდგინე, ლამის მეც დავეთანხმო, რომ სრულიად სამართლიანია მისი შეხედულება. მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა ჩვენმა კონსტიტუციამ ორად გაჰყო ხალხი—შემძლებლად და შეუძლებლად,—ხალხს ტვინი გამოეცალა, და შემძლებელთ გული და მკლავი. ამ უთანხმოებაზე აღორძინდება და გაძლიერდება ის მხედრული მართებლობა. რომელიც ერთსაც დაღუპავს და მეორესაც. ბონაპარტს რომ ინგლისელებთან შებრძოლება სდო-

ვოდა, იმ სიშორეზე რად წავიდოდა: რამდენიმე საათის საქალია ჩვენგან ინგლისი. ინგლისელები შინ იყვნენ, თავიანთსა და ძალიან ეშვიდად მოელოდნენ ჩვენს ჯარებს! ჩვენთან საბრძოლველად ისინი ინდოეთში არ გაპარულან!

— მაშ რა უნდა ეგვიპტეში? — შეჰყვირა ტუბამ.

— რა უნდა? ის უნდა, რომ ბონაპარტზე აალაპარაკოს დიდი და პატარა. საუკეთესო ჩვენი ჯარებით და სამაგალითო გენერლებით შეესევა სრულიად გაუნათლებელს, თითქმის პირველნდელ ხალხებს, რომელთაც არც თოფი აქვთ, არც ზარბაზანი, არც ჯარი ჰყავთ და არც რაიმე წყობილება აქვთ. შეესევა და, რა თქმა უნდა, მიწასთან გაასწორებს ყველას; დაარბევს იმ უბედურთ, ძვირფას განძეულობას გამოუგზავნის პარიზს და აალაპარაკებს ქვეყანას. ნაპოლეონს ჯერჯერობით სხვა არა უნდა რა, ოღონდ კი ყველგან იმისი ხსენება იყოს. ნაპოლეონი თავისას ირიგებს და ჩვენ კი... ჩვენ ხარჯი უნდა გავიღოთ და შევინახოთ ჯარი — რამდენიმე ასი ათასი კაცი. თუ გაგვიწყრა. ღმერთი და შემოგვესია მტერი, ახლა სხვა, ახალი ჯარები უნდა შევადგინოთ მტრის მოსაგერებლად, ჩვენი უმცროსი შვილები გავგზავნოთ საბრძოლველად და კიდეც რომ გავიმარჯვოთ, შურიანები თავისას არ დაიშლიან და ჟურდანის, ბერნადოტის და მოროს დასამცირებლად, გამარჯვებად მარტო ეგვიპტელი ჯარის გამარჯვებას აღიარებენ და მხედართმთავრად მარტო ბონაპარტს. გაუმარჯოს ძლევამოსილ ბონაპარტსო! დაიწყებენ ყვირილს, და ბონაპარტს მიაწერენ ყველა ჩვენი ჯარების გამარჯვებას.

„ეგ, თუ გავიმარჯვეთ! მაგრამ უფრო ადვილი წარმოსადგენია, რომ ვერ გავიმარჯვებთ, რადგან გამოცდილი ჯარები შორს არიან და, თუ შემოგვესია მტერი, დიდი ხანი ვერ გავუმაგრდებით. მაშინ ხომ სწორედ მფარველ ანგელოზად მოევლინება სამშობლოს ბონაპარტი! საჩქაროდ გამოექანება თავისი ჯარით, მტერს გარეკავს და... მაშინ უყურეთ, რა ყვირილს მორთავენ: — გაუმარჯოს ძლევამოსილ ბონაპარტს! გაუმარჯოს სამშობლოს განმათავისუფლებელს ბონაპარტსო! ბევრიც რომ გვინდოდეს, ხმასაც ვერ ამოვიღებთ, რადგან სამშობლოს ღალატად ჩამოგვართმევენ ბონაპარტის კიცხვას. ან როგორღა ვიტყვით რამეს? ბონაპარტი ბურთს ჩაგვჩრის პირში, რადგან ბატონიც ის იქნება და მბრძანებელიც. თავისთვის ყავაც ბევრი ექნება აქვე ჩვენში. პილპილიც, მიხაკდარიჩინიც, ოქროს მადნებიც და თვალ-მარგალიტიც! ისე გაიკეთებს თავის საქმეებს, რომ ინდოეთი აღარც კი აგონდებოდეს.

ტუბა თვალდაჭყეტილი შესცქეროდა შოველს და იძახდა:

— ახლა კი მივხვდი! ახლა კი მესმის!

ის კი არა ბრძანოთ, რომ მარტო შოველი მიუხვდა ბონაპარტს წადილს. შოველისთანა ათასი სხვა იყო. იაკობელები ერთმხრივ გაიძახდნენ:

— ბონაპარტი თავის საქმეს ირიგებს და არა რესპუბლიკისას! ის თავის თავის მოტრფიალეა და თავის გაძლიერების და განდიდებისაო!

●

მაგრამ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა... იქნება ძალიან მრავალნიც იყვნენ შოველის აზრისანი, მაგრამ ბონაპარტის წინააღმდეგობას კი ვერავინ ბედავდა. და განა მარტო მაშინ, ყველგან და ყოველთვის ასეა. ყველას თავის თავი გასჭირებია; ზოგს ცოლის შერთვა უნდა, ზოგს წვრილშვილი ახვევია, ზოგს გული აქვს გატეხილი, რადგან, ვისაც კი მინდობია, ყველა სულმდაბალი და მუხანათი გამოსდგომია, და რა ქნას? არის თავისთვის და თავს იმართლებს:

— მე რა, ერთი მკითხოს კაცმა! მე რას გავაწყობ, ბევრიც რომ ვთქვა? დამიჭერენ არამკითხე მოამბეს და მგონი... ის რომ ყველაზედ ძლიერი და მოხერხებული იყოს; ხალხიც, გამგეობაც, ორივე კრებაც და გენერლებიც რომ ფეხქვეშ ეგებოდნენ და მუხლზე ჰკოცნიდნენ, მე მარტო რად დავრჩე მაღლა აწოწილი? ან რას მოვიგებ? მატლსავით გამსრესენ და მერე ვისთვის? ვინ დამიფასებს ამ მსხვერპლს? იქნება ხალხმა დამიფასოს? დიაღ, ეგ არის! ახია იმაზედ, გიჟი იყოო, იტყვიან, და უსირცხვილოდ დაისაკუთრებენ ჩემს მამულს და სარჩო-საბადებელს. დამრჩება ობლად ცოლ-შვილი, ულუკმაპუროდ და ყოვლად უმწეოდ... არა, გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ თავი ამსხვერპლოს ამ ბრბოს! სულ ერთია, ლანძღვითა და გინებით მოიხსენიებს იგი მის საქციელს.

სხვანი უფრო შორსაც მიდიან თავიანთ მსჯელობაში:

— ჰოდა, მოდი, ჩვენც ძლიერთ და მოხერხებულთ მივემხროთ, რომ ადგილიც კარგი ვიშოვოთ, სიმდიდრე და პატივისცემაც მოვიპოოთ და ჩვენს შვილებს და შვილიშვილებსაც უზრუნველი ლუკმაპური დავუტოვოთ! კაცი კაცის მჭამელია; თუ არ შევჭამთ, ჩვენ შეგვჭამენ და ბარემ ჩვენ შევჭამოთ! წამოვასხდეთ ქეჩოზე იმ სულელებს, რომელთაც მუხლის დრეკა ვერ მოუხერხებიათ და ვიხაროთ იმათი ნამუშევარით.

მაგრამ განვაგრძოთ, თორემ ძალიან უსიამოვნო ფიქრები ამეშლება და თქვენც შეგაწუხებთ.

გავიდა რამდენიმე დღე და ბონაპარტის და მისი ჯარის ამბავი არა მოდიოდა რა. შვეიცარიაში ზემო-ვალე დავიჭირეთ ჩვენი ჯარებით, ქ. ცურიხში კომისრები გავგზავნეთ დამალულ საუნჯეთა

ალმოსაჩენად; ყირიმიდან რუსის ხომალდების გამოსვლა გავიგეთ ბონაპარტთან შესაბრძოლებლად და თვით ბონაპარტის ამბავი კი არა ვიცოდით რა.

ბონაპარტი რომ აღარსად იყო, გაზეთები იმის ნაცვლად რაპინას გამჭრიახობას ასწერდნენ: ისე შეეწუხებინა შვეიცარიელები, რომ კვერცხის მდებელი დედალივით თურმე კაკანებდნენ უბედურნი და, რაც კი რამ მოეძებნებოდათ, სულ იმას აძლევდნენ. ისიც პარიზისკენ გზავნიდა.

ბოლოს, 8 მკათათვეს ამბავი მოგვივიდა, კუნძული მალტი ავიღეთ, ბრძოლაში სულ სამი კაცი დავკარგეთ... რუსეთის წარმომადგენელს ბრძანება მივეცით, რომ სამი დღის განმავლობაში დაეტოვებინა კუნძულიო... და აქედან ის დავასკვენით, რომ ინგლისელებს და გერმანელებს ჩვენთან საბრძოლველად ახლა რუსეთიც მიჰატებოდა.

იმავე დროს მოლაპარაკება გვქონდა გერმანელებთან და ავსტრიელებთან, რომელთაც მაინცის სამაგიეროდ ვენეცია დავუთმეთ. გერმანიისაგან შენაძენ მაზრებში საეკლესიო მამულები ჩვენის კანონისამებრ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ ახლად შემოერთებული რესპუბლიკის ქვეშევრდომნი ამის უარს აცხადებდნენ: რომ დავყოლოდით, ორგვარი წესწყობილება იქნებოდა რესპუბლიკაში; არა და—აჯანყებისა გვეშინოდა.

დიაღ, მორიგებით, მოვრიგდით, მაგრამ დამორჩილება არ უნდოდა ახლად შეძენილ მაზრებს? ძალი და შეძლება არ უნდოდა? ნაპოლეონი ეგვიპტეში დათარეშობდა და ხალხს კი ტყავს აძრობდნენ. გამგეობამ ხარჯი დაადო მარილს, სწორედ ისე, როგორც 1789-მდე იყო; ხარჯი დაადო კარებს და ფანჯრებს; ოცდახუთი მილიონისა სახელმწიფო მამულები გაყიდა და ჟურდანის წინადადებისამებრ ბრძანება გასცა,— დღეის იქით ყველა მამაკაცი 20-იდან 25 წლამდე ჯარში უნდა იმყოფებოდესო. ცხადი იყო, მართებლობას ბლომად უჭირდა ფული და ჯარი; ხალხის ერთგული რომ ყოფილიყო ჩვენი გამგეობა, განა ამისთანა სასტიკ კანონებს მიმართავდა? სადღა იყო ის დრო, რომ მთელს ერს თავის ნებისად მიჰქონდა სამშობლოს სახსნელად ფული და თავისი ნებით ჯარში გასულნი თავგანწირვით იგერებდნენ მტერს? აგრეა: როდესაც ხალხს არავითარი უფლება არა აქვს, თოკი უნდა მოაბა და ისე წაიყვანო მტრის მოსაგერებლად; მაშინ სამშობლო აღარაფერია და თაყვანსაცემი ის არის, ვინც გაიმარჯვებს და უხვად აჯილდოებს სამსახურს.

მთელი ექვსი კვირა გავიდა და ოცდაათი ათასი ოჯახი მოუთ-

ძეხლად ძოელოდებოდა ეგვიპტელი ჯარის ამბავს. გვეგონა, ზღვამ შთანთქა იმდენი ჯარიო. ბოლოს 15 ენკენისთვის 1798 ოთხის თვის უამბობის შემდეგ „მოამბეში" შემდეგი ცნობა წავიკითხეთ: 8 კალთათვეს გენერალი ბონაპარტი ქ. ალექსანდრიაში შევიდა და არაბულ მთავრებთან კავშირი შეჰკრა. ალექსანდრიის შემდეგ კაირი აიღო და მერმე მთელი ქვემო ეგვიპტე. ჩვენი ხომალდები აბუკირის ნავთსადგურში იდგნენ და ის იყო საფრანგეთისკენ დაბრუნებას ემზადებოდნენ, რომ უცბად ინგლისელი ხომალდები დაეცნენ ერთიორად უძლიერესნი და იმისთანა საშინელი ბრძოლა აუტეხეს, რომ ისტორიაში იმის მსგავსი სხვა არა ყოფილა; ადმირალის ხომალდი და რამოდენიმე სხვა დაიმტვრა და წყალმა დასძირა; რამდენიმე დამტვრეული გარიყა წყალმა და დანარჩენნი იმდენად დაზიანებული არიან, რომ სამგზავროდ აღარ ვარგანან.

ძნელი ასაწერია, როგორ შეგვაწუხა ამ ამბავმა.

— ახლა გაგვიწყრა ღმერთი, აი!—იძახდა შოველი. ხომალდები დამტვრეული და დალეწილი, საუკეთესო ჩვენი ჯარი სადღაც ეგვიპტის უდაბნოში გადაკარგული იმ სიშორეზე, რომ ვერც შინ დაბრუნდება და ვერც ჩვენგან მიიღებს დახმარებას; ეხლა რომ შეერთდნენ ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები და ჩვენი ამ ყოფით ისარგებლონ, ქრისტე ღმერთიც ვეღარ გვიხსნის მათი ხელიდან. ევროპიელი ხელმწიფენი ერთხელ კიდევ შეერთდებიან ჩვენთან საბრძოლველად და, თუ ეს მოხდა, მარტოდმარტო ნაპოლეონ ბონაპარტის გამო მოხდება.

ცოტა ხანს უკან ისიც გავიგეთ, რომ აბუკირში ჩვენი ხომალდების შემმუსვრელი ინგლისელი ადმირალი ნელსონი ნეაპოლში აღტაცებით მიეღო მეფეს, საგანგებოდ გამასპინძლებოდა და იქვე შეეკეთებინებინა იმისი დაზიანებული ხომალდები.

მერმე უფრო უარესი მოხდა: რუსები პოლონეთში შევიდნენ; ნეაპოლის მეფე ჩვენს მტრებს მიემხრო; პიემონტი და ტოსკანი აგვიჯანყდნენ. რომში მყოფი ჩვენი ჯარი შამპიონეს წინამძღოლობით გაეშურა ნეაპოლელების დასამორჩილებლად და ძალიანაც დაამარცხა: ჯარს ნეაპოლელი გლეხები გამოეშველნენ და დიდი ბრძოლის შემდეგ სულ მთლად ამოჟლიტა ისინი შამპიონემ. ერთი ჩვენებური ბიჭი ერია რომაელ ჯარში და იმან მიამბო ნეაპოლელი გლეხების ამბავი: ეკლესიების გალავანში ყრიან მთელ დღე გულდაღმა და ცარიელი მაკარონით საზრდოობენ; ადამიანისა სახის მეტი აღარა აქვთ რა, იმდენად გამოტვინებულნი და განადირებულნი არიანო!.. მე კი არ ვიცი! ჩვენს მეფეებს, ბერებს და ბატონებსაც კი ნებავდათ, რომ ჩვენც აგრე გამოტვინებულნი ვყოფილიყავით და სრუ-

ლიად უშიშრად დაჰპატრონებოდნენ ჩვენს ნამუშევარს! ვისაც ხალხის ოფლით ცხოვრება უნდა, ვისაც ხალხის დამონავება უნდა, ჭირივით უნდა სძულდეს განათლება, ვაჟკაცობა და თავმოყვარეობა ხალხის შვილისა. და სძულთ კიდეც! მზის დაბნელება რომ შეეძლოთ, მზესაც კი დააბნელებენ, ოღონდ ხალხს განათლება არ შეეპაროს! ისინი ბედნიერად მაშინ იგრძნობენ თავს, როდესაც კაცობრიობას მწველელ ფურად გადააქცევენ და თითონ წურბელასავით მოეკიდებიან ძუძუზედ. ერთი სიტყვით, საშინლად დამარცხდა ნეაპოლელი მეფის ჯარი თავისი გლეხებით. თვით მეფე და დედოფალი, მარიამ-ანტუანეტას და, რომელსაც ჟამივითა სძულდა რესპუბლიკელები, გაქცეულიყვნენ, თან წაეღოთ რაც კი რამ ძვირფასი ჰქონოდათ და უბედური გლეხები ბედის ამარად დაეტოვებინათ.

შამპიონემ ნეაპოლშიც რესპუბლიკა დააარსა. ეს მეხუთე რესპუბლიკა იყო ჩვენგან იტალიაში დაარსებული. მანამ შამპიონე ნეაპოლს ებრძოდა, გამგეობამ გენერალი ჟუბერი გაგზავნა პიემონტის ასაღებად... ვაი თუ ნეაპოლელებს მიეშველონო. ჟუბერმა აიღო პიემონტი, მაგრამ მეფე პიემონტისა სარდენში გაექცა. მერმე სარდენში ვადავიდა და მთელი ის კუნძული დაიმორჩილა.

ამგვარად 1798 წ. დამლევს მთელი ეს ქვეყანა ჩვენ ხელთ იყო ალპის მთიდან დაწყებული სიცილიის ზღვამდე.

XII

მომავალი წელიწადი კარგს არას გვიქადდა: რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი, რომელიც დედამისმა ეკატერინემ და მამამ პეტრე მესამემ ძალად გააგიჟეს, რადგან მთელი წლობით დაჭყვდეული ყავდათ სრულიად მარტოდმარტო, დიაღ, პავლე პირველი საომრად ემზადებოდა, ჩვენს გახიზნულებს სამსახურს აძლევდა და ლუი XVIII ძმად და მეგობრად აღიარებდა. „მე მალტის კუნძულზედ მყოფის მხედრობის წინამძღვარი ვარ და ღრმად შეურაცხმყო ბონაპარტმა. რომ ის კუნძული დაიჭირაო“, ბრძანებდა. ტყუილი მიზეზის მოდება კი იყო, ღვთის წინაშე, რადგან მალტის კუნძულზედ სულ ორას, სამასი კაცი იყო იმ დროს; მალტის მხედრობას უწინ ჰქონდა მნიშვნელობა, როცა ურჯულონი წმ. იერუსალიმის დაჭერას ცდილობდნენ; ნაპოლეონის დროს კი, როდესაც იერუსალიმს არავინ რას ერჩოდა, სულ უსაფუძვლო იყო ამ მხედრობის არსებობა. ან რაღა მხედრობა იყო, კაცი რომ დაუკვირდეს! ჩვენი ჯარისა ერთი ოცდახუთი ბიჭი. უფრო „გაუმაგრდებოდა მტერს,

ვიდრე მთელი მათი მხედრობა თავისი ციხე-სიმაგრეებით ბონაპარტს გაუძალიანდა. მაგრამ ეგ არაფერი! საქმე ის იყო, რომ პავლეს მილიონობით ჰყავდა ჯარი! თითონაც იმისთანა კაცი იყო, რომ ვერავინ რას შეაგნებინებდა. ათასსა და ათიათასს კაცს ააკუწვინებდა, ოღონდ თავისი ჟინი კი მოეკლა! ვინა ჰყავდა დამშლელი? ხელმწიფე იყო, მბრძანებელი და პატრონი თავის ქვეშევრდომებისა და მის ჟინს წინ ვერა აღუდგებოდა რა.

ამას წინათ მოგახსენეთ ექიმი შვანის გამგზავრება პარიზისკენ. მისდა საბედნიეროდ, ცოტა გვიან მისულიყო, ისე რომ ყველა კარგი ადგილები დაჭერილი დახვედროდა. დაბრუნებისას, რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ჩვენსა ჩამოხტა და ერთი იმისთანა უცნაური ამბავი გვიამბო, რომ არავისა სჯეროდა. არავისა სჯეროდა, რომ ასე ადვილად შეიძლებოდა საშინელი მომაკვდინებელი ჭირის აცილება. დღეს ვერც კი წარმოიდგენთ, რას გვიშვრებოდა მაშინ ყვავილი! მუსრს ავლებდა ბავშვებს! ხან აქ გაჩნდებოდა, ხან იქ, და ცეცხლივით მოედებოდა გარშემო სოფლებს. ყველა თრთოდა, ყველას გული უწუხდა მისი შიშით, მეტადრე წვრილშვილის პატრონ დედ-მამას.

„გაღმა მხარში ყვავილი გაჩენილა!.. ჩვენკენ მოიწევს!.. ისე დაუსახიჩრებია მარწყვივით გოგოები, რომ თვალს აარიდებს კაცი... ახლა რამდენი იხოცება თურმე!“..

საშინელება იყო, საშინელება! დაერეოდა სოფელს და აღარც დიდს ინდობდა, აღარც პატარას. გაივლიდა რამდენიმე კვირა და ისე შესცვლიდა ლამაზ ქალებს, რომ ვეღარც კი იცნობდით:

— ღმერთო ჩემო! ნუ თუ შენ ეკატერინე ხარ!... ელისაბედ, შენა? ოჰ, საცოდავო! ჩვენი იაკობი?.. ღმერთო, ღმერთო! შენ მაინც რატომ არ გეცოდება ეს საბრალონი!...

იმდენი მე ღმერთმა დღე მომცეს, რამდენი დანიშნულები გაუყრია ყვავილს!

ბავშვებისას ხომ ნულარა ბრძანებთ. მუსრს ავლებდა, საცა კი გაჩნდებოდა.

„იცი, ამბობენ ყვავილიანს გვერდით უნდა მიუწვინო ბავშვი და, კიდეც რომ შეეყაროს, ადვილად იხდისო... ბარემ ახლავ დაიხოცნენ, თუ დასახოცნი არიან; პატარებს ისე არ ინანებს კაცი, როგორც მოწიფულს და დავაჟკაცებულს! თხელია ბავშვის ტყავი და იმიტომ ხოცავს ისე ყვავილი“. ასჯერ მაინც უთქვამთ ჩემთვის ესა და მრავალი სხვა ამისთანავე სისულელე, რომელიც მაშინ სისულელედ არ მიგვაჩნდა. აიყვანდა უბედური ვინმე მამა თავის ერთადერთ შვილს და გასწევდა ყვავილიან ავადმყოფისკენ,—გვერდით

მივუწვენ, უფრო ადვილად იხდისო. წავიდოდა უბედური, მაგრამ შუა გზამდეც ვერ მიაღწევდა და, — არა!.. ჯერ არა!.. განა მერმე კი არ შეიძლებაო!... უკანვე გამობრუნდებოდა.

შევიდოდა სახლში და შერცხვენილი, ათრთოლებული ხმით მოახსენებდა თავის უფროსებს, დედას ან მამას:

— რა ვქნა, თუ კი არ შემიძლია! აი, ეს თქვენ და ეს ბალღი! თქვენ წაიყვანეთ!

და უფროსნიც გახარებულნი ფიქრობდნენ თავიანთ გულებში:

— შენ გიშველა ღმერთმა, რომ უკან დაბრუნდი... მოვიცადოთ, განა მერმე კი არ მოვესწრებით!..

მოვიცადოთო! გაჩნდებოდა იქვე ახლო სადმე მეზობლისას ყვავილი, და... მე იმისთანა საშინელი ჩემს დღეში ჭირიანობის მეტი არა მინახავს რა. ათში ორი რომ გადარჩენილიყო, დიდი ღვთის წყალობა იყო; რვას უთუოდ დაასახიჩრებდა.

რამდენჯერმე მითხრა შოველმა, პატარა ანიკო აიყვანე ანრიდორფში, ძალიან ადვილად თურმე ხდილობენო, მაგრამ არ ვინდომე. არც მარგალიტას უნდოდა. ეგეც რომ არ იყოს, იმდენი ვაივაგლახი დაგვატყდა იმ დროს ომის მოლოდინში, რომ თავბედისა ველარა გაგვეგო რა.

საშინლადა მძვინვარებდა ყვავილი, როდესაც ექიმი შვანი ჩამოვიდა პარიზიდან. მათუსაილის დროისა რომ გავხდე, მაინც მეხსომება, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენში იმ ამბავმა, რომ ერთ ინგლისელ ექიმს, ჯენნერს, უებარი წამალი გამოუგონია ყვავილის მოსარჩენად — ყვავილის აცრა; აგერ თხუთმეტი წელიწადია, რაც ჯენნერი ამგვარად სწამლობს თავის ავადმყოფებს და აღარავინ უკვდებაო... ყვავილიან ძროხის ჩირქს წასცხებენ ბავშვს ოდნავ დასერილ ალაგას და მით გადაარჩენენ ავადმყოფობას და სიკვდილს... შენიშნულია, რომ ვინც საქონელშია, და მეტადრე ძროხებსა სწველის, და მაშასადამე ყვავილიანი ძროხის ჩირქიცა ხვდება, იმას თავისდღეში არ შეხვდება ყვავილიო.

ძალიანაც გვინდოდა დაგვეჯერებინა, მაგრამ ვიცოდით, რომ ამდენს სიკეთეს ჩვენ არავინ გვაღირსებდა.

— ოჰ, ნეტავი კი მართალი იყოს! — ვიძახდი ჩემს გულში და თან ჩემს გოგო-ბიჭს გადავყურებდი. — თქვენ რომ ემაგრე ანგელოზივით ლამაზები შემრჩეთ, სხვას აღარასა ვთხოვ უფალს.

მარგალიტაც, ეტყობოდა, ამავე ფიქრებს გაეტაცა.

შოველს უნდოდა დაწვრილებით გაეგო, რაში მდგომარეობდა აცრა, და რადგან შვანი, როგორადაც ყოველი მოხუცებული სწავლული, ბუნებრივად მოლაპარაკე იყო, ისე აუხსნა, თითქო გარს

შეგირდები ახვევია და იმათ ჩასჩიჩინებსო. წაკითხული ჰქონდა ყველაფერი, რაც კი აცრის შესახებ წიგნები იყო და დარწმუნებული იყო, რომ აცრილს ყვავილი ვეღარას დააკლებდა.

— მე ძალიან ხშირად მინახავს ყვავილიანი საქონელი, — წამოიძახა შოველმა. — და ისიც გამიგონია, რომ საქონლის ყვავილი საშიში არ არისო. მოთეთრო, მსხვილი მუწუკი იცის...

— დიაღ, დიაღ, — გააწყვეტინა სიტყვა შვანმა და დაწვრილებით, მეცნიერულად ასწერა ძროხის ყვავილი.

— სწორედ ის არის, სთქვა შოველმა, წყალივით გამსჭვირვალეა. ღმერთსა ვფიცავ, მე რომ ყვავილი არ მეხადა, დღესვე ავიცრიდი, ოღონდ კი მეცადა, რამდენად მართალია ეს გამოგონება.

— მეც აგრევე, — სთქვა მარგალიტამ.

მეც მწამდა, რომ შვანის ამბავი მართალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნახადი ვიყავ და საკმარისად დაკენკილიც გახლდით. ცოტაოდენი მარგალიტასაც ემჩნია. შრველის და შვანის სახე ხომ სწორედ ცხრილი გეგონებოდათ.

ყველანი ბავშვებზე ვფიქრობდით, მაგრამ ხმის ამოღებას კი ვერა ვბედავდით.

— ჩავალ თუ არა სტრასბურგში, — დაიწყო შვანმა, — მაშინვე ავუცრი ჩემს შვილიშვილებს: სამი მარგალიტივით ბავშვი მყავს, ჩემი ქალის შვილები, და ცოდო არ იქნება ყვავილს გავაფუჭებინო!

— თუ პატიოსანი პატრიოტის სიტყვას მომცემ, რომ სავნებელი არაფერია, მეც ეხლავე ავუცრი ჩემ შვილიშვილებს. მერე მივყვები და, ვინც შემხვდება, ყველას შევთავაზებ ჩემს ცოდნას.

შვანმა შემოგვფიცა, მავნებელი არა არის რაო და დაგვარწმუნა კიდეც. იმ დღეს ხუთ საათზე წავიდა ჩვენი სტუმარი და დაგვპირდა, შეგატყობინებთ, რითი გათავდება ჩემი ცდა და ჩირქსაც გაძოგიგზავნითო. მოუთმენლად მოველოდით დაპირებულს, დღე და ღამ იმის ლაპარაკში ვიყავით, მაგრამ აგერ ექვსი კვირა სრულდებოდა და შვანისგან კი არა მოგვსდიოდა რა. გადავწყვიტეთ, ტყუილი გამომდგარა და იმიტომ არას იწერებაო. ერთი მხრით, კიდეც მიხაროდა, რადგან ამისთანაში პირველობა არად ვარგა და, თუ ცდაზე მივარდებოდა საქმე, მე იმას ვირჩევდი, რომ სხვას ეცადა და მე მეყურებინა.

თებერვალში ისე მოედო ჩვენს გარშემო სოფლებს ყვავილი, რომ საფლავის თხრას ვეღარ ასწრობდნენ.

ერთ დილას გიჟივით შემოვარდა ჩვენს დუქანში ივანე ბონომი და სასოწარკვეთილებით დაიძახა:

— დავიღუპე, ხალხო! მიშველეთ რამე, ლამის ამომიწყდეს ცოლ-შვილი!

ბონომი მეზობელი იყო ჩვენი და ორი იმისთანა კარგი ბიჭი ჰყავდა, რომ მტერსაც კი ეამებოდა. ახლო ვიდექით ერთმანეთზედ და ბავშვები ერთად თამაშობდნენ. ბონომს ლეტუმიეს ქალი ჰყავდა, რომელსაც... ჯერაც არ დავიწყებოდა, როგორ ჩამომივლიდა ხოლმე, ვითომ წყალზედ მივდივარო, და სამჭედლოში რომ დამინახავდა, დამიძახებდა ტკბილი ხმით:

— დილა მშვიდობისა, მიშელ!

ძალიან უყვარდათ ერთმანეთი ჩვენს ბავშვებს. მოეხვეოდა ხოლმე იმისი უფროსი ბიჭი ჩემს ანიკოს და დაიძახებდა:

— აი, ჩემი ცოლი! სხვას არავის შევირთავ!

ჩვენ კი სიცილით ვიხოცებოდით.

წარმოიდგინეთ, როგორ შეგვაწუხებდა ამ ბავშვების ავადმყოფობა. დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ და ისე გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ახლო ნათესავებს. მინდოდა ნუგეში მეცა, გამემხნევებინა საწყალი კაცი, მაგრამ ის თავისას გაიძახდა:

— უნდა ნახო, რა საცოდაობაა, მიშელ, რომ ტყუილი იმედით აღარ გამამხნევო! ისე აყრიათ საწყალ ბავშვებს, რომ მეც ვეღარა ვცნობ. ახლა დედაც ავად გაუხდათ... დღეს ისიც დაწვა, ის ჩემი ცოდვით სავსე, ისა!.. ღმერთო, ღმერთო! ჯერ მე მომკლა და გამათავო, ის არ მირჩევნია!...

იქვე ტრიბოლენის აფთიაქში შევარდა და წამალი იყიდა. ორი დღის შემდეგ ხელიდან გამოეცალა ორივე ბავშვი და ცოლსაც ყვავილი გამოაჩნდა.

მოხუცებული ლეტუმიეც ჩამოვიდა საწყლების დასასაფლავებლად და სწორედ შეშლილი გეგონებოდათ, ისე სწუხდა შვილიშვილების დაკარგვას. ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც კი დავიჯერებდი: „შავი ცხენის“ სასტუმროში შევიდა და ღვინის სმა დაიწყო. თან საშინელი ხმითა ყვიროდა:

— არ არის, არა უზენაესი არსება!... ჩვენს იქით არაფერია!.. არაფერი!... ღმერთი რომ იყოს, განა ასე უსამართლოდ დაგვხოცამდა!

გაზაფხული იყო. ერთ დილას, ის იყო დილიჟანსში ჩაჯდომას ვემზადებოდი, სიმონთან ანგარიშების გასასწორებლად, რომ დუქანში ექიმი შვანი და ორიც წარჩინებული ვიღაც კაცი შემოვიდნენ და ღიმილით სალამი მომცეს. შოველს ხმაზედ ეცნო თავისი ძველი მეგობარი, და სამკითხველოს კარი გამოაღო. შვანმა შეჰყვირა:

— მე ჩემს შვილიშვილებს ავუცერ ყვავილი! თქვენ როგორა ხართ თქვენს სიტყვაზედ?

— მერე ჩირქი სადა გაქვთ?

— აი, ჩემს ჩანთაში.

და მაშინვე გახსნა თავისი ბარგი და ჩირქი გვაჩვენა. დუქანში მყოფი ხალხი განცვიფრებული შესცქეროდა ექიმ შვანს.

სამკითხველოში შეევედით და შვანის თანამგზავრნიც თან შემოგვყვნენ, ისინიც ექიმები ყოფილიყვნენ. იმათ გვიამბეს, რაში მდგომარეობს აცრა, როგორ დამუწუკდება დასერილი ადგილი, როგორ გამოირწყვის და შეშრება... ზოგი აცრილი ვერც კი იგრძნობს ავადმყოფობას და, კიდეც რომ იგრძნოს, ცოტა სიცხეს მისცემს, სხვა არაფერიო. ჩვენ ჩვენებს ავუცერით და ყველანი კარგად არიანო.

მიუხედავად ამისა ვერც მე და ვერც მარგალიტა ვერ გავბედავდით ბავშვების აცრას, შოველს რომ არ წამოეძახა:

— ეგეცა კმარა, შვან. რაკი შენ შენს შვილიშვილებზედ სინჯე ეგ საშუალება და ეს ორი მამულიშვილიც გემოწმება, მე აღარაფრისა მეშინია და ახლა ჩვენებს ავუცრათ. თქვენ რას იტყვით? მოგვიბრუნდა მე და მარგალიტას, რომელსაც ფერი ეცვალა. მე თავი დავღუნე და ხმა ვეღარ ამოვიღე. ცოტა ხანს გაჩუმებული იყო მარგალიტა და მერმე ჰკითხა:

— ძალიან ეტკინებათ, რომ აუცრით?

— ეტკინებათ კი არა! ერთ კიკნას გავუფხაჭნით მკლავს, არც კი იგრძნობენ.

გავიდა მარგალიტა და პატარა ანიკო გამოიყვანა. აკოცა, მერე შოველს მისცა და უთხრა:

— აჰა, მამა!... შენ უფრო გწამს ეგ ახალი წამლობა.

მე კიდევ მომაგონდა, რომ იქვე ჩვენს მეზობლებს ყვავილი უდგათ და, ხომ იცით წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, მოდი ამასა ვცდი-მეთქი, ვიფიქრე და პეტრეს საძებნელად გავედი.

— აქ მოდი, პეტრე! პაპაშენი გიძახის.

ამ დროს სამკითხველოდან ანიკოს ტირილი შემომესმა. მარცხენა მკლავი ტიტველი ჰქონდა საწყალ გოგოს და ცოტაოდენი სისხლი უჩანდა. მე რომ დამინახა, ჩემკენ გამოიწია, მეც ავიყვანე და, პეტრეს მაინც ავაცდინო ეს ტანჯვა-მეთქი, ჩემს სიმამრს ვუთხარი:

— მოდით, დღეს ამითი გავათავოთ. ანიკოზედ ვსინჯოთ და, თუ ივარგა, პეტრესაც ავუცრათ მერე.

— არა, არა! — წამოიძახა შოველმა, — ყვავილზე უარესი რა უნდა მოუვიდეთ!

— კარგი ერთი, ჩემო მიშელ! განა ასე თამამად ვიქნებოდი, სრულიად დარწმუნებული რომ არ ვიყო! — მისაყვედურა შვანმა.

პეტრე გაშტერებული უყურებდა გასისხლიანებულ მკლავს ანიკოსას და ბოლოს თავის პაპასა ჰკითხა:

— რას შვრებით, პაპა?

— არაფერს, ჩემო ბიჭიკო! პერანგი გაიძრე შენა! კი არ შეგეშინდეს, არ შემარცხვინო!

ხმის ამოუღებლივ გაიხადა ბავშვმა პერანგი და მკლავი მიუშვირა შვანს. მე კი ველარ დავდექი და გარეთ გავვარდი გაბრაზებული, რომ ასე ადვილად დავთანხმდი და გავიმეტე ჩემი შვილები.

ერთი კვირა ისე ვიყავ, რომ ცოფიანივით ვიღრინებოდი; სულ იმის შიშში ვიყავ, ბავშვები დამეხოცებიან-მეთქი და ხან შოველს ვაბრალებდი ამ უბედურებას, ხან მარგალიტას, ხან სხვებს. მარგალიტაც ძალიან შეშინებული იყო, მაგრამ არას იმჩნევდა, მიშელი არ შევაწუხოო. ბოლოს შეაშრათ როგორც იყო მუწუკები. მაშინ კი დავმშვიდდი და იმასღა ვნატრობდი, რომ დიდხანს გაეძლო აცრის ძალას და სნეულება არ მიეკარებინა.

ახლა ჩვენს გარშემო მძვინვარებდა ავადმყოფობა. ხან ერთი სახლიდან გამოასვენებდნენ ცხედარს, ხან მეორედან. ბავშვებს ხომ ხოცავდა და ხოცავდა, არც დიდებს აყრიდა სიკეთეს. სამხედრო საავადმყოფო სავსე იყო სნეულებით.

ჩვენები კი მთელი დღე მოედანზედ თამაშობდნენ სრულიად დაურიდებლად. მთელი უბანი მოიარა, გარშემო შემოუარა ჩვენს სახლს ყვავილმა და ჩვენსა კი ვერ შემოვიდა. შვანი გვწერდა სტრასბურგიდან, ვისაც კი ავუცერით, ერთს არ შეჰყრია ყვავილიო. უნდა გენახეთ, რა გახარებულნი ვიყავით, მეტადრე შოველი. აიტეხა, უთუოდ უნდა ვისწავლო აცრაო და ცოტა ხანს უკან სტრასბურგს წავიდა შვანის სანახავად. ისწავლა კიდეც და დაიწყო სოფელ-სოფელ სიარული და ხალხის აცრა.

მაგრამ ის კი არ იფიქროთ, ყველა სიამოვნებით აცრევინებდა თავის შვილებს, პირიქით, მარტო ღმერთმა იცის, რამდენი ტანჯვა-წვალება მოუნდა საწყალ მოხუცს, ვიდრე შეაგნებინებდა ჩვენ მეზობლებს, რომ აცრაში საშიში არა არის რა. ხალხს ადვილად სჯერა და სწამს ყოველი სიცრუე და სისულელე, რომელშიც იმას ფულს ართმევენ. გაიძვერა ვიგინდარები, მაგრამ ურწმუნო თომად ხდება, როდესაც მის სასარგებლოს რასმე ეუბნება კაცი. სწორედ ნათლია-ჩემის ამბავი მოუვიდა შოველსაც, კარტოფილი რომ დასთესა და

მასხარად აიგდო მთელმა სოფელმა: იქ მალე დარწმუნდა ხალხი, რომ კარტოფილი სასარგებლო მცენარე იყო და მეორე წელს არამც თუ აღარ დაგვცინოდნენ, თესლსაც გვთხოვდნენ. აცრაში კი უფრო დიდი ხანი დასჭირდა შოველს, ვიდრე დაარწმუნებდა ხალხს, რომ მისდა სასარგებლოდ იღვწოდა და არა პირად თავისთვის. ლაპარაკს რომ დაუწყებდა, იმ სახით უსმენდნენ, თითქოს სიკეთეს უშვრებიან, რომ ამისთანა სისულელეს ყურს უგდებენ და დროს კარგავენო. თანაც დასცინოდნენ, — გაგიჟებულა სიბერის დროსო.

არა, შენი ჭირიმე! მე რომ ვყოფილიყავ შოველის ადგილზე, ისე თავს კი არ დავიმცირებდი. მე ჩემსას ვეტყოდი, ვურჩევდი... გამიგონებდნენ, კარგი! არა და — თავში ქვა და მუცელში სამართებელი!

მაგრამ შოველი სულ სხვა კაცი იყო.. ბევრჯერ გალანძღეს, ბევრი შეურაცჰყოფა მიაყენეს და ის კი თავისას არ იშლიდა. უგუნურნი არიან და იმიტომ მოსდით, ეგ როგორ უნდა მეწყინოსო. დადიოდა და ,ყველგან აცრის მნიშვნელობას ქადაგებდა. მამა ქრისტეფორეც ძალიან შველოდა და დღეში ათი-თორმეტი ბავშვი ყოველთვის მოჰყავდა ასაცრელად. ჩვენი სამკითხველო ახლა სადოსტაქრო პალატად იყო ქცეული: წარმოიდგინეთ ბავშვების ჩხავილი, დედების და ძიძების ლაპარაკი და შუაში მოხუცებული შოველი თავისი ნეშტარით.

აუცრიდა და ეტყოდა:

— გაუფთხილდი, არ შესწმინდო სისხლი, მინამ თავისთავად არ შეშრება. ხვალ-ზეგ დაუმუწუკდება, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, არას შეაწუხებს; მერე თავისთავადვე შეშრება და მოვარდება.

ხშირად მოხდებოდა, გაუძალიანდებოდა ასაცრელად მოსული, შეუშინდებოდა, გაქცევას დააპირებდა. ისიც ხან გაუჯავრდებოდა, შეუტევდა, ხან დაუტკბებოდა, უალერსებდა და გაამხნევებდა. იტყოდით, ამ მოხუცებულისათვის დაუვალებია ღმერთს ქვეყნის ხსნა ყვავილისგანაო. რომ ვერა და ვერ დაიყოლიებდა ჯიუტს, გამოვარდებოდა დუქანში, დახლიდან ერთ ორ აბაზ თეთრ ფულს აიტაცებდა, ხელში ჩაუდებდა კერპს და შეუტევდა:

— დაჯე, უნდა აიცრა!

მე, რასაკვირველია, არად მომწონდა ამგვარი გატაცება; მე ის მერჩივნა, რომ ჩვენი ფული ჩვენს დახლშივე დარჩენილიყო, მაგრამ შოველს როგორ რასმე ვეტყოდი. მისდგებოდა და ისე გამოლანძღავდა „ეგოისტებს, რომელთაც პირადი კეთილდღეობის მეტი არა სწამთ რა...“ მარგალიტაც თავის მამისკენ იქნებოდა.

ჩვენს დუქანში და სამკითხველოში იკრიბებოდნენ ყველანი, ვი-

საც აცრა უნდოდა და შოველიც მთელ დღეს დაუღალავად მუშაობდა და ყველას აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, რაც უნდა დაბეჭდილიყო აცრის შესახებ, წიგნი თუ გაზეთი, ყველას იწერდა და გაფაციცებით კითხულობდა. სალაპარაკოდაც ოგივე საგანი ჰქონდა და ხშირად მარგალიტასაც აიყოლიებდა. მე კი გული მომდიოდა:

— სირცხვილი არ არის, ასე უსარგებლოდ დაკარგოს კაცმა დრო და ფული! ნაცნობნი მაინც მოსდიოდნენ! სრულიად უცნობნი არიან ეს ოხერ-ტიალნი და ლამის ზედ გადააგოს ჩვენი ცხოვრება! ვინა ჰყავს ნეტავი მადლიერი?!

კიდევ კარგი, რომ ვაჭრობა კარგი გვქონდა, თორემ ჯავრით გავსკდებოდი. უიმისოდაც ხომ ცნობილი კაცი იყო შოველი და ახლა ერთიასად გაითქვა სახელი და, ვისაც სავაჭრო ჰქონდა რამე, ჩვენსკენ მოეშურებოდა, რომ ენახა „საერო კრების წევრად ნამყოფი, მეწვრილმანე და ყვავილის ამცრელი შოველი“.

XIII

რაკი გაიგეს ევროპელ ხელმწიფეებმა, რომ საუკეთესო ჩვენი ჯარი ეგვიპტეში იყო და ვერც მალე დაბრუნდებოდა, რადგან ხომალდები აღარა ჰქონდა, ერთხელ კიდევ შეერთდნენ რესპუბლიკის დასამხობად. ომისთვის საჭირო ფულს ინგლისი ჰპირდებოდა, ჯარს ავსტრიის იმპერატორი და, გარდა ამისა, ორმოცი ათასი კაცი რუსეთის ხელმწიფემ პავლემ შეაწია, — როგორ გაბედეს, რომ მალტის კუნძულს შეეხნენ ფრანგებიო! გაზეთებიდან გავიგეთ, რომ რუსის ჯარის მხედართმთავრად დანიშნული იყო საუკეთესო მთელს რუსეთში გენერალი სუვოროვი, რომელმაც კალიასავითა ქლიტა პოლონელები და ცეცხლი წაუკიდა ქალაქ პრაღას.

ჩვენ კი ყურსაც არ ვიბერტყავდით: ქ. რაშტადში მთელი ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი იყვნენ შეკრებილნი და საზოგადო მშვიდობიანობასა და მორიგებაზედ ბჭობდნენ.

გამგეობა მარტო მაშინ მიუხვდა მტერს განზრახვას, როდესაც რუსის ჯარმა თითქმის მთელი გერმანია გადმოვლო და საფრანგეთს მოადგა. შეუთვალეს გერმანელ მეფეებს და ავსტრიის ხელმწიფეს, — შეაჩერეთ, თორემ რუსის ჯარის წინსვლა ომის გამოცხადებად იქნება ჩვენგან მიღებულიო. ამაზედ პასუხიც კი არ გაგვცეს და რუსის ჯარს მიემხრნენ გერმანელი მეფეებიც და ავსტრიის ხელმწიფეც. ცხადი იყო, რომ ახლა უფრო საშინელი მტერი

ბვიქადდა ბრძოლას და რესპუბლიკის გაუქმებას. გამგეობაც შეუდგა ძველებურად ჯარის შეგროვებას, მაგრამ ისე ადვილად ვეღარავინ გაჰყავდა: 1791 ას ორმოცდაათი ათასი კაცი გაიყვანეს, 1793 თებერვალში სამასი ათასი, აპრილში ოცდაათი ათასი და აგვისტოში ათას ორმოცდაათი ათასი. ამ ჯარმა დაიმორჩილა ჰოლანდია, რეინის გაღმა მხარი, შვეიცარია, იტალია, დაამარცხა და საიმათოში გადარეკა ესპანელები და გაილაშქრა ეგვიპტეზედ.

და მანამ ახლად გაყვანილს ჯარს მოაგროვებდნენ, 190 ათას კაცს, და ცოტათი მაინც გასწრთვნიდნენ, ძველ ჯარებს გზავნიდნენ ჩვენს საზღვრებისკენ. მიდიოდნენ და მიდიოდნენ, ბოლო ალარ უჩანდათ. სულ ასი ათასი კაცი იყო ამ ჯარში და იმათ უნდა გაემაგრებინათ შვეიცარია, იტალია, რეინი და ჰოლანდია, ვიდრე ახლად გამოყვანილნი მიეშველებოდნენ.

მტერს ერთიათად მეტი ჯარი ჰყავდა და იმისთანა საძზადისით მოდიოდა, რომ ეტყობოდა, დიდ ხნის განზრახვის ასასრულებლად მოიწევდა რესპუბლიკისაკენ. რა კარგი იქნებოდა, რომ ეგვიპტეში წასული ჯარი შინა გვყოლოდა? მაგრამ მაინცდამაინც უიმისოდაც არ დავუარდით მტერს და ჩვენი დამარცხება არავის დავაკვეხეთ. ბონაპარტი მერე დაბრუნდა, უფრო გვიან და, გახურებული ომი რომ ნახა, ძალიან გაიკვირვა.

— რაზე ამოახოცვინეთ იმოდენა ჯარი, — ჰკითხავდა გამგეობას. მე რომ წავედი, მორიგებულნი ვიყავით ყველასთან და რად დაარღვევინეთ ჩემგან შეკრული პირობებიო?

გეხსომებათ მისგან შეკრული პირობები მორიგებისა: ჩვენი ჩვენ დაგვრჩესო, ავსტრიას იტალია დაუმორჩილა. რაც შეეხება ჯარს, ჩვენი ჯარები იბრძოდნენ სამშობლოზე ამხედრებულ მტერთან და არა სადღაც ეგვიპტეში არაბებთან, რომელთაც ჩვენთვის თავის დღეში არაფერი დაეშავებინათ. ჯარის ამოხოცვაზე ნუ იქნებოდა, თორემ ჩვენ უფრო ვუსაყვედურებდით, — რად მიატოვე ეგვიპტეში იმოდენი ჯარი და რას მორბოდი, რომ მორბოდიო! მაგრამ რა? ალბათ რეგვენად და ლაჩრად იცნა მან მთელი ჩვენი ხალხი, რომ ამდენ თავხედობას ბედავდა. დიაღ, იქნება უცნაურადაც გეჩვენოთ, მაგრამ ის კი მართალია, რომ ზოგი გენიოსი თავხედობით არის გენიოსი.

განვაგრძოთ.

გამგეობამ პროკლამაციით მიმართა ხალხს, რომელშიც აცნობებდა საქმის ვითარებას:

„ავსტრიის ხელმწიფე-იმპერატორის ჯარები, მიუხედავად ქ. რაშტადის მორიგებისა, საფრანგეთისკენ მოიწევენ

საომრად გამზადებულნი. იმავე დროს ჩვენს საზღვრებს თითქმის მოადგა რუსის ჯარი, რომელიც პირდაპირ აცხადებს, — საფრანგეთის რესპუბლიკის გასაუქმებლად მივდივართო...“

მაგრამ ნუ გავყვებით ამ საშინელი ომიანობის ამბებს, მით უფრო, რომ მე ჯარში არა ვყოფილვარ და ჩემზე უკეთ სხვანი მოგითხრობენ დაწვრილებით ყოველი ბრძოლის გარემოებას. მე მარტო იმას მოგახსენებთ, რომ კვლავ გაივსო ჩვენი პატარა ქალაქი დაჭრილებით და კვლავ გაისმა საზარელი კვნესა-ტირილი! სახლებში რომ ვეღარ ეტეოდნენ, ქუჩებში ეყარნენ ზოგი დაჭრილი, ზოგი გაყინული, ზოგი შიმშილითა და დაღლილობით მისუსტებული.

ამ საზარელ ომის დროს მოხდა გამგეობის წევრთა არჩევნები და რევბელის მაგივრად ცნობილი მღვდელი სეისი აირჩიეს. მაგრამ ის სეისი აღარ გახლდათ, რომელსაც რევოლუციის პირველ ხანებში ვიცნობდით; სეისი მთელი ექვსი წლის განმავლობაში ხმის ამოუღებლივ იმალებოდა საერო კრების იმ ნაწილში, რომელსაც ვაკეს, ჭაობს, უძახდნენ და იკვეხნიდა კიდეც, — მინამ თქვენ ერთმანეთს გილიოტინითა ხოცავდით, მე ჩუმად ვიყავ და იმიტომ გადავრჩი ცოცხალიო! ამას ის კაცი ამბობდა, რომელსაც რამოდენიმე მახვილი სიტყვისთვის ერთ დროს თაყვანსა სცემდა მთელი საფრანგეთი.

ამბობდნენ, სეისს ძალიან კარგი კონსტიტუცია შეუდგენია და ჯიბეში უდევსო; და რადგან ჩვენს კონსტიტუციაში ბევრს ნაკლოვანებას ვხედავდით, სეისი ამოვირჩიეთ, — იქნება ახალი გვაღირსოს რამეო. ხომ იცით, გაგიჟებული ვართ ახლისთვის, სულ ახალ-ახალი ხილი გვნებავს და სეისსაც ამიტომ მივანდეთ ჩვენი ბედი.

საერო კრების წევრად ლუსიენ ბონაპარტი ავირჩიეთ... ნაპოლეონი ხომ გვყავდა, ახლა ლუსიენიც უნდა კაცად გაგვეხადა! სწორედ ბედი ეწვიათ ბონაპარტებს, რომ კორსიკის კუნძული საფრანგეთმა აიღო, თორემ ისე დაიხოცებოდნენ, რომ მათი ხსენება არსად ყოფილიყო. იქნებოდნენ თავის მამულში, ხან მშიერნი, ხან ტიტველნი და თხებს აძოვებდნენ კლდეებში... ჩვენში კაცებად იქცნენ: ერთი საერო კრების წევრი იყო, მეორე ელჩი, მესამე გენერალი. არა, ალბად ძალიან უშნოდ და უტვინოდ გვიცნია ჩვენი თავი, რომ ჩვენი ცხოვრების გამგებლად სხვაგან მოგვიძებნია კაცები.

საერო კრება წინაალმდეგი იყო გამგეობისა და იმდენი ქნა,

რომ თავისი კაცი აარჩევინა წევრად. უნდოდა ლარეველიერი და მერლენიც გაერეკა, მაგრამ მათ საქვეყნოდ გამოაცხადეს: — ჩვენ იმისთვის გვდევნიან, რომ უნდათ საფრანგეთი ბონაპარტებს ჩაუგდონ ხელშიო! ამ სიტყვებმა იხსნა ისინი, მაგრამ დიდი ხნით კი არა: 18 თიბათვეს ისინიც გავიდნენ გამგეობიდან. ძველი წევრთაგანი გამგეობაში მარტო ბარრა დარჩა, თაყვანისმცემელი შემწე ბონაპარტისა და შემარცხვენელი რესპუბლიკისა. ახალმა გამგეობამ სულ თავისი მომხრე მინისტრები დანიშნა: რობერ ლინდე, ფოშე, ბერნადოტი. ამას ყველაფერს კარგად ხედავდა ხალხი, მაგრამ წინამძღოლი აღარა ჰყავდა და ვერასა ბედავდა.

შოველი ძველებურად გაიტაცა პოლიტიკამ, თუმცა არც აცრას ანებებდა თავს. კითხულობდა გაზეთებს და ლანძღავდა სეისს: — ის იმისთანა კაცია, რომ თავის პირად კეთილდღეობისათვის მთელს საფრანგეთს გასწირავსო!.. თუ მართლა კონსტიტუცია შეუდგენია, თუნდა დავიფიცავ, ისე იქნება შედგენილი, რომ მისი წრის კაცნი სარგებლობდნენ ყველაფრით! იქ ხალხისა ხსენებაც არ იქნება... აგრე რომ არ იყოს, არც ასე დამალავს, გამოაქვეყნებს და დაგვაფასებინებს! თუ მალავს, იმიტომ მალავს, რომ ყოველი პატიოსანი რესპუბლიკელი წინააღმდეგი გაუხდება.

ერთი სიტყვით, ქვეყანა მგლებს ჩაეგდოთ და სჭამდნენ! ვიღას ახსოვდა ხალხი და მისი კეთილდღეობა, თავისუფლება, თანასწორობა?

სწორედ იმ დროს მომივიდა იტალიიდან ლიზას წიგნი: საწყალს ტიბრებზე გადასვლის დროს წყალში ჩასცვენოდა რაც კი რამ ჰქონდა. კიდევ კარგი, რომ თითონაც არ დამხჩვალიყო.

ომი ჩვენს საზღვარზედ იყო. მთელს ჩვენს მხარეში კაცები დადიოდნენ და ჯარისთვის აგროვებდნენ საჭმელ-სასმელს, თივას და სხვ. ფასს დიდს იძლევოდნენ, მაგრამ ფულის მაგივრად ბარათებს არიგებდნენ და ხალხიც მალავდა. რაცა ჰქონდა. გაძვირდა ყველაფერი, გაჭირდა ცხოვრება.

სუვოროვი თავის ჯარით და ორმოცი ათასი ავსტრიელით სენგოტარის მთას მოსდგომოდა და იქიდან გვიპირებდა შემოსევას. ყველანი განცვიფრებულნი იყვნენ, რადგან იმ სიმაღლე მთის გადმოთელვა სრულიად უგზო-უკვლოდ ჯერ აზრადაც არავის მოსვლოდა. მაგრამ სუვოროვი ჯერ არსად დამარცხებულიყო და მამაცურად მოუძღოდა თავის ჯარებს. ამბობდნენ, მთელი დღე და ღამე ცხენს აკვრიაო... ხელში ლოცვანი უჭირავს და ბრძოლის დროსაც კი წმიდათა ცხოვრებას უამბობს თავის ჯარებსო... იმისთანა კაცია, რომ სენგოტარსაც აჯობებსო... მე კი მგონია, რომ დი-

დი ნიჭი არ უნდა მთებზედ ასვლას, სოფლების დაწვას და ხალხის ქლეტას. თუ ნიჭზედ მიდგა, მე ასანთის მომგონი უფრო უძლიერესის ნიჭის პატრონად მიმაჩნია, ვიდრე ყველა სუვოროვები ერთად. იმას მოგახსენებდით: ყველანი შეშინებულნი იყვნენ სუვოროვის მოახლოებით და ამაგრებდნენ ციხე-სიმაგრეებს. მეფის მომხრენი კი ღვთისაგან აღთქმულ მესიასავით მოელოდნენ რუსის ჯარის შემოსვლას. სწორედ ამ დროს მომივიდა ჩემი ძველი მეგობრის ივანე სომის წიგნი:

„გამარჯვება, ჩემო მიშელ, გამარჯვება! მერე რა გამარჯვება, რომ იცოდე! მთელი სამი თვე ისე გაატარა ჩვენმა ჯარმა, რომ ფეხები ტბაში ჰქონდა და ზურგი თოვლში! ამასთან შიმშილით ვიხოცებოდით. დავდიოდით სოფელ-სოფელ მშიერი მგლებივით და გამგეობას ვლანძღავდით: — ბრძანებას ბრძანებაზედ გვიგზავნის, ბრძოლა აუტეხეთ მტერსო, და იმას კი არა კითხულობს, მაძღარნი ვართ თუ მშიერ-მწყურვალნი?!... წინ ავსტრიელი ხელმწიფის შვილი გვიდგა, აქეთ-იქით გერმანელები და რუსები კორსაკოვის წინამძღოლობით, უკან აჯანყებულები... ხუმრობის გუნებაზე აღარავინ იყო, ჩემო მიშელ... კორსაკოვიც სიჩქარით მოიწევდა ჩვენსკენ და თან წმინდა ნიკოლოზს და ყველა წმინდანებს ლოცულობდა. მაგრამ ვაჯობეთ, დავამარცხეთ და წმინდა ნიკოლოზი ქვანაკრავივით გარბის მოსკოვისკენ თავისი ყავარჯენით და დახეული გუდით. რა ომი გვქონდა! როგორ დავამარცხეთ! ქვეყანა შეინძრა!

წარსულ კვირას ჯერ ისევ ბანაკში ვიყავით და — ნეტავი მალე მოვშორდეთ აქაურობასაო, — ვნატრობდით. შემოდგომის ქარი ქროდა და საყინულეებიდან ძალიან სუსხიანი სიცივე მოჰქონდა. იმისთანა მადაზე ვიყავით, რომ მკვდარი ვირი რომ გვეპოვა სადმე, გავატყავებდით და შევჭამდით. გაღმა ავსტრიელები უკანვე მიდიოდნენ და მათ ადგილს რუსები იჭერდნენ, გენერალი კორსაკოვის რუსები. გადმოდგებოდნენ გერმანელი ჯარისკაცები და დაგვცინოდნენ: „მოდით რაღა, თქვე უნიფხოებო! მოდით რაღა, თქვე მატლიანებო! ვერა ბედავთ განა! თქვე ლაჩრებო, თქვენა!...“ ღვთის წყალობა გაქვს, ჩვენ მისვლა გვინდოდა, მაგრამ ბრძანება გვქონდა, — პასუხი არ გასცეთ, თუნდა თოფიც გესროლონო, და ჩვენც გაჩუმებულნი ვიყავით.

ბოლოს შიკრიკი მოვიდა, — სუვოროვი უკანიდან გვეპარება: სენგოტარს გადმოვა. რადგან გზაზე ძალიან მცირე ჯა-

რები გვიდგას და ვერ შეიმაგრებენო. ეს ამბავი რომ მივიღეთ, მიშელ, ერთი აზრი მოგვივიდა ყველას: ალბად, უღალატეს რესპუბლიკას, თორემ სენგოტარს როგორ გადმოატარებდნენო! კიდევ კარგი, რომ იტალიელებმა თავი მოიმკვდარუნეს, სწორედ ისე, როგორც კატამ იცის: თვალს დახუჭავს და ყურებსა ცქვიტავს, — ვნახოთ, რითი გათავდება საქმეო. მეორე დღეს დილის ოთხ საათზედ ჩვენი რაზმის წინამძღოლმა სებასტიენ ფუამ ბრძანება მოგვიტანა, ჩადით და წყლის პირი დაიჭირეთო. გაღმა რუსის ჯარი იდგა. დაგვინახეს თუ არა, მაშინვე სროლა დაგვიწყეს. სამჯერ გადავაგდეთ წყალზე ხიდი და სამჯერვე დაგვინგრიეს. ბოლოს, როგორც იყო, გავამაგრეთ ფიცრები და დაიწყო დენა ჩვენმა ჯარმა. ცხრა საათზედ ათი ათასი კაცი გვყავდა გაღმა. ორასი კაცი ცურვით გავიდა წყალში და ისე დაერივნენ მტერს.

ბევრი ომი მინახავს, ჩემო მიშელ, ბევრს ბრძოლას დავსწრებივარ, მაგრამ ამისთანა საზარელი კი ჩემს დღეში არა მინახავს რა. მთები იძროდნენ, დედამიწა ინძრეოდა ზარბაზნების სროლისაგან. წინამძღოლების ბრძანება ორ ნაბიჯზედაც აღარ ისმოდა. ბრძოლის ველზედ იმისთანა საშინელი კვამლი იდგა, რომ ერთმანეთს ვეღარა ვხედავდით. საღამო ჟამს დავძარით კიდეც რუსები. ერთს სოფელს შეეფარნენ და იქ გამაგრდნენ. ბრტყელი შუბლი ჰქონიათ რუსებს, ჩაჭყლეტილი ცხვირი, მომცრო, ვიწრო თვალები და მსხვილი ტუჩები, ერთი სიტყვით, სულ სხვაგვარი კაცნი ყოფილან, ვიდრე ჩვენ. ბრძოლაში კი ყოჩაღნი ყოფილან, სულ ველურებივით იბრძვიან. დაუნდობლად ხოცავენ დამარცხებულთ... ჩვენც მივდექით და ისე ვხოცეთ, რომ მკლავები დაგვეღალა. მეორე დღეს ციურიხში შევედით და იქ ხომ სულ სისხლის ღვარით შევსვარეთ ციურიხის ტბა. ჩვენ რომ ციურიხში შევედით, კორსაკოვი მეორე მხრიდან გარბოდა თავისი ჯარით, მაგრამ ყველამ ვერ მოასწრო გაქცევა და დიდძალი ჯარი დავიჭირეთ ტყვედ; გარდა ამისა ჩვენ დაგვრჩა მთელი მათი ბარგი და სამხედრო სამზადისი. ერთი უბრწყინვალესის თავადის კონდეს რაზმი ერია მტრის ჯარში და ისე ამოვხოცეთ წინამძღოლიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე, რომ, ერთი რა არის, ერთი არ გადაგვრჩენია ცოცხალი.

— ნუ მომკლავთ! შემიბრალეთ, ღვთის გულისათვის! — გვევედრებოდნენ გუშინდელი ჩვენი ბატონები, მაგრამ შენდობის ნაცვლად ჩვენ ხიშტსა ვცემდით. განა ჩვენსა და იმათ

შორის შებრალებაღა შეიძლება? ან სიკვდილი, ან გამარჯვება! ჩვენ ამის მეტი არა ვიცით რა. ქალაქიც ძალიან დავანგრიეთ, რადგან ამას წინათ ჩვენს გაგზავნილ კაცებს თურმე სროლა დაუწყეს. ბრძოლის ველზედ ჰერეხივით ყრიან რუსები და გუშინ რომ ჩვენ დაგვცინოდნენ გერმანელები — მატლიანებოო! აბა მივიდნენ და თავიანთი მეგობრები დასინჯონ... ნეტავ მაშინ რაღას იტყვიან!

მთელი ქვეყანა შესძრეს, მიშელ, ჩვენთან საბრძოლველად. აზიიდანაც კი მოიყვანეს ჯარები ჩვენს დასამარცხებლად და თავისუფლების დასამარხავად. მანამ ჩვენში ძველებურად მეფეს არ დაინახავენ, მანამ არ მოისვენებენ ეს მხეცები. საქმე ეხლა იმაზე არის დამოკიდებული, ადამიანიშვილები გაიმარჯვებენ ამ ბრძოლაში, თუ მხეცები.

ჩვენს რაზმს ორი აფიცერი დააკლდა გუშინდელ ბრძოლაში. სებასტიან ფუამ მე წარმადგინა და, ვიცი, აფიცრობას მიბოძებენ. მაგრამ ეგ სულ ერთია ჩემთვის: დავბერდი, ჩემო მიშელ. რაც ხანი ვემსახურე სამშობლოს, ისიცა ყმარა და გათავდება თუ არა ომი, მაშინვე ჩვენს სოფელში დავსახლდები... ვიდრე კვლავ ომიანობა არ დაიწყება.

უმთავრესი ნაწილი ჩვენის ჯარისა სუვოროვის დასახვედრად წავიდა, რომელიც სენგოტარის მთაზედ გადმოდის. ჯერ არ გვიცნობს რესპუბლიკელ ჯარებს და ასე ჰგონია, ერთი შებერვით ვაჯობებ და პირდაპირ პარიზისკენ დავირეკ ჩემს ყაზახებსაო. ეს კორსაკოვი ხომ გავულახეთ! მისი რიგიც მალე მოვა და მგონი ისე გავუხადოთ საქმე, რომ წმ. ნიკოლოზიც დავავიწყოთ და თავისი ლოცვანიც.

ბევრს გაკოცებთ ყველას, ჩემო მიშელ: პატარა პეტრეს, მარგალიტა-ქალს, მამულიშვილს შოველს და შენ, ჩემო ძველო ერთგულო მეგობარო! მოვიკითხავ ყველა კარგს პატრიოტს და ყველას ძმობას და გამარჯვებას ვუთვლი.

შენი ერთგული ივანე სომი".

ციურ მანანასავით გვაამა ამ წერილმა. შოველი ხომ ისე ასიამოვნა, რომ გამოაცოცხლა სწორედ, რადგან უკანასკნელ ხანში ცოტა არ იყოს სასოწარკვეთილება მოერია. მაშინვე სამამასახლისოში გაიქცა და ყველა მოხელეს წაუკითხა სომის წერილი; მერე ჩვენსა მოიწვია ყველა იაკობელი — ნათლიაჩემი, ელოფი, რაფიელი, გენტი და სხვანი და იმ ღამეს იმისთანა ლხინი და მხიარულება იდგა ჩვენსა, რომ უკეთესი არ შეიძლება.

რამდენიმე დღის შემდეგ პარიზელ გაზეთებში წავიკითხეთ დაწვრილებითი აწერა ციურიხის ბრძოლისა და მის შემდეგ მომხდარი ამბებისა: სუვოროვმა გადმოვლო სენგოტარის მთა, მაგრამ ძალიან კი ეწყინა, რომ გაიგო რუსის ჯარების დამარცხება; და რადგან გარს ყოველ მხრივ ჩვენი ჯარები ერტყა, იძულებული შეიქნა უკან გაბრუნებულიყო. გზები ყველა შეკრული ჰქონდა და საშინელ მთას შეუყენა თვისი ჯარები, საყინულეებით სავსე მთას; თან ჩვენები მისდევდნენ და საცა კი იმას გაევლო, ყველგან მრავლად ეყარნენ მკვდრები და დაჭრილები. გერმანიაში შესვლამდე ერთხელ კიდევ დამარცხდა რუსის ჯარი და საშინლადაც დამარცხდა. ათასრვაასი ტყვე ვიშოვეთ მაშინ, რომელთაგანი რვაასი დაჭრილი იყო, რუსთაგან უპატრონოდ დატოვებული; ასი ზარბაზანი, ცამეტი ბაირაღი, ოთხი გენერალი ტყვე, ხუთი გენერალი მოკლული. ყველა ამას თან მოჰყვა ჩვენი ჯარებისაგან კვლავ აღება გლარისისა და სენგოტარისა. ბერნი უკვე დამარცხებული გვყავდა.

იმავე გაზეთებში აწერილი იყო ჰოლანდიაში ჩვენი ჯარებისაგან დამარცხება ინგლისელების და რუსებისა. რესპუბლიკას შიში აღარაფრისა ჰქონდა.

ამ ამბების გვერდით გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ გენერალი ბონაპარტი უკვე მობრძანდა ეგვიპტიდან და პარიზს მიეშურებაო.

უნდა გენახათ, რა გულიანად იცინოდა შოველი, ეს რომ წაიკითხა!

— ვერ დაუჯდა კოჭი ალჩუს, ვერა! — იძახდა შოველი. — კაცი ეგვიპტიდან მოეშურებოდა რესპუბლიკის საშველად და რესპუბლიკას კი სრულიადაც არა უჭირს რა საამისო. რამდენს ინანებდა, ნეტავი არ დამეგვიანაო! ნუ თუ ეხლაც არა სთხოვენ ანგარიშს! არა, ამაზედ მეტი უგუნურება შეიძლება? საუკეთესო ჩვენი ხომალდები იმას მივეცით; საუკეთესო, ბრძოლებში გამოცდილი ჩვენი ჯარი — ოცდათხუთმეტი ათასი კაცი — იმას მივეცით; ზარბაზნები, თოფ-იარაღი, ყველაფერი, რაც კი უნდოდა და არ უნდოდა, ყველა თან გავატანეთ. და ის კი მოსულა მარტოდმარტო, ხელები ჯიბეში ჩაუწყვია და გაიძახის: სუყველაფერი სრულად არის... იქ არის... წადით და იქა ნახეთო! ამისთანა სამარცხვინო, უმაგალითო საქციელმა თუ თვალი არ აუხილა ერს, მაშ სულაც ბრმა ყოფილა. ოცდათხუთმეტი ათასი კაცი დასტოვა ღვთის ანაბრად ეგვიპტეში, ოცდათხუთმეტი ათასი ოჯახი დაიობლა; ზოგს მამა დაუკარგა, ზოგს

შვილი, ძმა, ქმარი. განა პასუხს არ მოსთხოვენ დაობლებულნი? არა ჰკითხავენ: რა უყავი ჩვენი შვილებიო? თუ კი შენ აქა ბრძანდები, რომელსაც გებარა იმდენი ხალხი, თუ კი შენ საღსალამათი დაბრუნდი, ისინი რაღად დასტოვე იმ უდაბნოშიო? არა, ახლა კი უნდა მოვთხოვოთ ვრცელი ანგარიში, თორემ გათამამდება და კისერზედ წამოგვაჯდება. რაც უნდა სულმდაბალნი და მხდალნი იყვნენ ჩვენი გამგეობა და საერო კრება, მაინც ხმა უნდა ამოიღონ და თავისი მიურწყან ამ წათამამებულ სალდათს.

მართალი რომ სთქვას კაცმა, არცა სტყუოდა შოველი. ბონაპარტმა თითონვე სთქვა შემდეგში, — კლებერი რომ ნებადაურთველად დაბრუნდეს ეგვიპტიდან, მარსელშივე დავაჭერინებ, სამხედრო სამართალში მივცემ და 24 საათის განმავლობაში დავახვრეტინებო. რომ უფრო კარგად დაგიხასიათოთ ბონაპარტი, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ჩვენი ჯარი ეგვიპტეში ბონაპარტს ებარა და პასუხისმგებელი მარტო ის იყო. მიუხედავად ამისა, მაინც თავი მიანება ყველას; კლებერს, თავის მოადგილეს, არც კი აცნობა წამოსვლა, და კისერზედ მოახვია ყოველი პასუხისგება იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ბედი ბეწვზედღა ეკიდა. და თანაც იძახდა, კლებერი რომ ასე მოქცეულიყო, 24 საათში დავახვრეტინებდიო. ამ სიტყვებით საკმარისად ჩანს, რამდენად უსამართლო და უმართებულო უნდა ყოფილიყო ნაპოლეონი. იქნება ფიქრობდა, რაც მე მეპატივება, კლებერს არ ეპატიებაო? მე უფრო მეტი უფლება მაქვს, ვიდრე იმასაო? არა. ამას ვერ იფიქრებდა, მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ მთელს საფრანგეთში ვერავინ იქნებოდა იმისთანა ბარბაროსი, რომ ისე უჯიათად დაესაჯა იგი, როგორც ის კლებერს უპირებდა.

შოველი იძახდა, ანგარიშს მოსთხოვენო, მაგრამ გაუცრუვდა იმედი: სწორედ იმ დღეს, როდესაც გაზეთებში დაბეჭდილი იყო ციურიხის ბრძოლა და რუსებისა და ვერმანელების დამარცხება, სწორედ იმ დღეს, როდესაც ციურიხში გამარჯვებული ჩვენი მხედართმთავარი, გენერალი მასსენა, გამგეობას უტყუარს მოხსენებას უგზავნიდა ბრძოლისას, სწორედ იმ დღეს გაზეთებში ხსენებაც არ იყო იმისი, ვინც ციურიხის ბრძოლით საფრანგეთი დაღუპვისაგან იხსნა; გენერალი მასსენასის ხსენებაც არ იყო და ბონაპარტისა კი იმისთანა ქება-დიდება ეწერა, თითქო მის სახელის გაგონებაზედ გაქცეულიყოს მტერი. ბონაპარტს ყოჩაღი ძმები ჰყავდა — იოსები, ლუი და ლუსიენი და ღვთის წყალობა გაქვთ, ისინი გაზეთებში ნაპოლეონის ქებას აწერინებდნენ! მანამ ის ეგვიპტეში ბრძანდებოდა, ისე გაზეთს ვერ აიღებდით, რომ პირველსავე გვერდზე ნაპო-

ლეონ ბონაპარტის ამბავი არა გცემოდათ თვალში; კედლებზე მრავლად გაკრული განცხადებანი ხომ სათქმელიც არ არის. „გენერალი ბონაპარტი ამ თვის 17 მობრძანდა ფრეიუსს. თან ახლდნენ გენერლები ბერტიე, ლანი, მარმონი. მიურატი, ანდრეოსსი და მამულიშვილნი მონჟი და ბერთოლე. დიდი ხალხი მიეგება წინ. ეგვიპტეში მყოფი ჩვენი ჯარი ძალიან კარგად ყოფილა“.

„ძნელი სათქმელია, რა სიხარულით მიიღო წუხელ საზოგადოებამ თეატრებში ნაპოლეონ ბონაპარტის მოსვლის ამბავი. — რესპუბლიკას გაუმარჯოს! ბონაპარტს გაუმარჯოს! — იძახდნენ ერთხმად ყველანი და თან ტაშს უკრავდნენ აღტაცებულნი. ნეტარებისაგან გახელებულს გავდა ყველა. აქამდე გამარჯვება თან ახლდა ბონაპარტს, უკანასკნელად კი წინ უსწრო და ახლა გაქცეულ მტერს თუ გამოუყენებს თავის საყვარელ გმირს, რომ საუკუნოდ ჩააკვლევინოს ჩვენზედ აშლილი მტერი. რა სასიამოვნო ამბები მიუვა ინგლისს, ორ-ორი ერთად: რუს-ინგლისელების დამარცხება ჰოლანდიაში და ნაპოლეონის დაბრუნება. ინგლისს ის ერჩივნა, ერთი სამჯერ დამარცხებულიყო და ნაპოლეონის სახელი კი აღარ გაეგონა“.

და იქვე ერთად ერთი სტრიქონი იყო:

„გენერალი მორო მოვიდა იტალიიდან“.

მორო ეგვიპტიდან კი არ მოდიოდა, რომ მისი ქება-დიდება დაებეჭდათ! მას სხვასავით ღვთის ანაბარად კი არ მიეტოვებინა თავისი ჯარი!.. ის პატიოსნად ასრულებდა თავის ვალდებულებას და აბა რა საქები იყო? რას იზამთ, საფრანგეთს პატიოსანი მოღვაწენი კი არა, მარტო თინთლიბაზები უყვარს!

მეორე დღეს ეწერა:

„ბონაპარტი თავისას ჩამოხტა. დღეს გამგეობას ნახავს“.

მას შემდეგ:

„გუშინ შუადღისას ბონაპარტმა გამგეობა ნახა. მრავალი ხალხი მოგროვილიყო გზაში და თვით სასახლეშიც მის სანახავად. გენერალმა რამდენსამე ჯარისკაცს მეგობრულად ჩამოართვა ხელი, ისინიც იტალიაში ყოფილიყვნენ მის ჯარში. გენერალს თმა გაუკრეჭია: ამ ერთი წლის განმავლობაში ეგვიპტის სიცხეს თავისი ელფერი დაუდვია. გამგეობის შემდეგ გენერალმა მინისტრები ნახა და სხვათა შორის მინისტრი კანონმდებლობისა“.

ცოტა ხანს უკან უფრო კარგი ამბები მოგვიტანეს გაზეთებმა:

„ლუსიენ ბონაპარტი არჩეულ იქმნა საერო კრების თავმჯდომარედ“. ან კიდევ: „გუშინწინ გენერალი ბონაპარტი სადილად გამგეობის თავმჯდომარე გოიესთან ბრძანდებოდა. ყველამ შენიშნა, რომ უფრო ჰკითხავდა, ვიდრე, თითონ ლაპარაკობდა. ვიღაცამ

ჰკითხა: ჩვენი სწავლა-განათლებისა რა უფრო გაუკვირდათ ეგვიპტელებსო? ამაზე ბონაპარტმა უპასუხა: — ის, რომ ვსვამთ და ვჭამთ ერთს და იმავე დროსო“.

და სხვა და სხვა — მთელი ერთი თვის განმავლობაში აღარც მასსენა მოგვგონებია, აღარც სუვოროვი, აღარც რუსები და ინგლისელები! ყველა გაზეთები პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე მარტო ნაპოლეონის ამბებსღა წერდნენ: იმის ბრძოლას ეგვიპტეში, სხვადასხვა ქალაქების აღებას, იმის პროკლამაციებს.

მართალია, ჩვენ საუკეთესო ხომალდები ბონაპარტს ვანაცვალეთ; მართალია, გაგებული გვქონდა, რომ ბონაპარტს სწორედ რომ ეწამებინა უბედური იაფელები, ისე თურმე აიკლო ქალაქი და დახოცა მცხოვრებნი; მართალია, ვიცოდით, რომ დაღლილ-დაქანცულ ჩვენს ეგვიპტელ ჯარს ჭირი შესდგომოდა და მუსრს თურმე ავლებდა; მაგრამ აბა ეს რა სათქმელი იყო, როცა ბონაპარტი საღსალამათი დაგვიბრუნდა?

ვინც იცოდა, უჯობდა და ჩუმად იყო; ხალხი კი ტაშს უკრავდა თინთლიბაზებს. ხალხის სიბრიყვე და საზარელი უვიცობა; სულმდაბლობა მწერლობისა, რომელიც იმას უკმევს გუნდრუკს, ვინც თაფლის გუდაში ჩააყოფინებს ხელს; სიმდაბლე და სიმხდალე ბრბოსი, რომელსაც ცხოვრება არ შეუძლია უბატონოდ; პირადი სარგებლობით დაბრმავება იმ უგუნურთა, რომელთაც სამშობლო ქადად გაუხდიათ და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოიტეხონ, — ყველა ამას გნებავთ ბედი უწოდეთ, გნებავთ ნიჭი, სულ ერთია; ყველა ეს მიზეზები რომ შეერთდებიან, ერს ვინმე მოხერხებული წამოაჯდება კისერზედ და ზიზღით და სიძულვილით აღსავსე ვათრახის ცემით დააჯილდოებს თავის თაყვანისმცემლებს.

ხალხს სალოცავად გაეხადა ბონაპარტი. ერთი თვე არ იყო ჯერ, რაც ეგვიპტიდან დაბრუნდა, რომ „მოამბეში“ პროკლამაცია წავიკითხეთ ბონაპარტისა, რომლითაც იგი აცნობებდა საფრანგეთს, — საერო და უფროსთა კრება მრავალი მიზეზისა გამო, კონსტიტუციის 102 და 103 მუხლის ძალით, გადაყვანილ იქნენ პარიზიდან სოფელ სენკლუში. საერო კრების წევრთა სხვაგან სადმე შეკრება და სჯა აკრძალულია, როგორადაც უკანონო... ამ დადგენილების აღსრულება უფროსთა კრებამ მე მომანდო, — სწერდა ნაპოლეონი, — და იმედი მაქვს, თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა ჯარები და მამულიშვილნი დამეხმარებიანო.

„უფროსთა კრებამ დამავალა ყოველი ღონისძიება ვიხმარო, რათა საერო კრების თავისუფლად ბჭობას ხელს არა უშლიდეს რა; ამისთვის უმთავრესად საჭირო იყო პარიზიდან გა-

ყვანა კრებისა. უფროსთა კრება დარწმუნებულია, რომ ყოველი პატიოსანი პატრიოტი მოგვემხრობა ჩვენ და მით შეგვაძლებინებს დავამყაროთ რესპუბლიკა მჭიდრო და ურყევ საფუძველზედ, რომელიც განამტკიცებს თავისუფლებას და საყოველთაო კეთილდღეობას... რესპუბლიკას გაუმარჯოს!"

ბონაპარტი.

ნამდვილთან სწორეაო, — ხელს აწერდა ალექსანდრე ბერტიე. ამას მოსდევდა პროკლამაცია ჯარისადმი:

„ჯარისკაცნო! უმფროსთა კრებამ, თანახმად კონსტიტუციის 102 და 103 მუხლისა, მე მომანდო გამგეობა ქალაქისა და ჯარისა.

მეც მივიღე ეს მონდობილება, რომ შეძლებისადაგვარად გავუადვილო კრებას განზრახვა, რომლითაც იგი ხალხის ბედნიერების და კეთილდღეობის დამყარებას ზრუნავს. რესპუბლიკას ცუდად განაგებენ აგერ ორი წელიწადია. თქვენ ფიქრობდით, რომ მოვიდოდი და ბოლოს მოვუღებდი ამდენს უბედურებას. თქვენ აღტაცებით მიეგებენით ჩემს დაბრუნებას და მით მატვირთეთ ეს ძნელი ვალდებულებანი. მე კეთილსინდისიერად ვზიდავ ჩემს ტვირთს, ოღონდ თქვენც არა ნაკლები მეცადინეობით, ვაჟკაცობით და ნდობით უნდა დაეხმაროთ თქვენს გენერალს, რომელიც ყოველთვის ერთგული მონა ყოფილა სამშობლოს კეთილდღეობისა. თავისუფლება, გამარჯვება და მტრებთან მორიგება კვლავ აამაღლებენ რესპუბლიკას იმ ხარისხამდე, რომელიც საფრანგეთს უწინ ეჭირა ევროპაში და რომელიც დაგვაკარგვინა დაუდევრობამ და ღალატმა.

გაუმარჯოს რესპუბლიკას!"

ბონაპარტი.

ვერა კალამი ვერ ასწერს, რა გაკვირვებული ვკითხულობდით ამ პროკლამაციებს. სრულიად დამშვიდებულნი ვიყავით ყველანი, რადგან რესპუბლიკამ სამარცხვინოდ დაამარცხა თავისი მტრები ჯერ ციურიხში და მერე ჰოლანდიაში, და უცბად, სრულიად უსაფუძვლოდ ბონაპარტი აცხადებდა თავის პროკლამაციაში, რომ რესპუბლიკას ის ადგილი აღარ უჭირავს ევროპაში, რომელიც საფრანგეთს შეშვენისო და... მე ავამაღლებ მას და ძველებურ დიდებას მოვფენო. ეს ივისთანა სიცრუე იყო, რომ სულ უტვინონიც კი მიხვდნენ. ამას ზედ ერთოდა საერო და უფროსთა კრების გადატანა სოფელში, სადაც ისინი ნაპოლეონის ყურმოჭრილ ყმად უნდა გამხდა-

რიყვნენ, და ის დაედგინათ, რასაც ეს სალდათი უბრძანებდა. ღალატი ცხადი იყო და პატრიოტების აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა; დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ამას კი აღარ მოითმენდა პარიზელი ხალხი, აჯანყდებოდა და ჭკუას ასწავლიდა ბონაპარტს. ჩვენი მეგობრები თითო-თითოდ იკრიბებოდნენ ჩვენს სამკითხველოში და თან იმედიანად გაიძახოდნენ:

— ახლა აჯანყებული უნდა. იყვეს პარიზელი ხალხი!

შოველი კი დაღონებული, თავდაღუნული ბოლთასა სცემდა და მწარე ღიმილით უპასუხებდა:

— „პარიზელი ხალხი ახლა სრულიად დამშვიდებულია. პარიზი სიამოვნებით უყურებს ბონაპარტის ბრწყინვალე ამალას და არის თავისთვის ჩუმად. ან რად აჯანყდება, რისთვის, როდესაც კარგად იცის, რომ მთელი საფრანგეთი ბონაპარტს შესტრფის და „ბონაპარტს გაუმარჯოსო“ იძახის. რისთვის ან ვისთვის უნდა გასწიროს თავი პარიზელმა ხალხმა? რას ჰკარგავს, რომ საბუთი მაინც ჰქონდეს აჯანყებისა? რაღა აქვს ხალხს? კონსტიტუციამ ყოველი მოქალაქეობრივი უფლება წაართვა და თქვენ გინდათ, რომ სწორედ ამ კონსტიტუციის დასაფარავად აიშალოს ხალხი? არა! მე ნათლად აგიხსნით დღევანდელს ჩვენს ყოფას: დ ღ ე ს ბ რ ძ ო ლ ა შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ თ დ ა ჯ ა რ ს ა ა ქ ვ თ ე რ თ მ ა ნ ე თ შ ი. აქ ხალხი რა შუაშია! მართალია, ჯარი ყოველთვის ხალხისკენ იქნება, ჯარი ხალხის ღვიძლი შვილია, და ვინც ხალხის მომხრე ყოფილა, ჯარიც თავისკენ ჰყოლია; ამით აიხსნება, რომ კონვენტს ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ ჯარები, თუმცა არც ჯამაგირი ეძლეოდათ ხეირიანად და არც საჭმელ-სასმელი; საყვარელმა გენერლებმაც კი ვერ გაიყოლეს მაშინ ჩვენი ჯარისკაცი, რადგან ცხადად ხედავდა, რომ კონვენტი ხალხის მომხრე იყო და ის გენერლები კი ხალხის მტრები. ბონაპარტი კი არა, ათი ბონაპარტიც რომ გვყოლოდა მაშინ, მაინც არ უღალატებდა ჯარი რესპუბლიკას, რადგან მაშინ რესპუბლიკაზე იყო დამოკიდებული ჯარისკაცების და მათი ცოლშვილის, ნათესავების, მეგობრების და ერთობ ქვეყნის კეთილდღეობა. ღმერთმა ჰკითხოთ ჟირონდელებს! „ვაკელები“ მიიყვანეს და ისე მოაგვარეს საქმე, რომ ხალხი ორად გაპყვეს: ერთ მხარეს შემძლებელნი გავიდნენ—ბურჟუაზია და მეორე მხარეს შეუძლებელნი; მერე იმ გვარად შეადგინეს კონსტიტუცია, რომ ხალხის შეუძლებელ ნაწილს ყოველი მოქალაქებრივი უფლება წართმევოდა და ქვეყნის მართვა

მარტოდმარტო შემძლებელთ დარჩენოდათ. მას შემდეგ დღითი დღე იზრდება და ბატულობს ბურჟუაზიასა და ხალხს შორის უთანხმოება. ტყუილადღა ვიძახით — „საფრანგეთის რესპუბლიკა ერთი და განუყოფელი!“ დიდი ხანია გაყოფილია რესპუბლიკა. ბურჟუაზიას თავისი ინტერესები აქვს და ხალხს—თავისი. ამ ორთა შუა დღეს ჯარი ჩამდგარა და ბატონობაც იმას დარჩება. ჯარი შემთხვევასღა ელოდა და შემთხვევაც მისცა გამგეობის წევრმა სეისმა: აგერ ექვსი თვე სრულდება, სულ იმას გაიძახის, იაკობელები რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულანო. მე ჩემს დღეში არავინ მინახავს იმისთანა უმსგავსი და ამოებით სავსე კაცი, როგორიც სეისია; ჭირივით სძულს ხალხი, რადგან ხალხს უყვარს ნათლად, ცხადად და ამასთან მარტივად გამოთქმული აზრი, და ვერა გაუგია რა სეისის ჯანყითა და ბურუსით მოცულ აზროვნებაში“.

„ხალხმა ძალიან მალე დაივიწყა იგი და შემძლებელნი კი ყოველთვის პატივისცემით და მოწიწებით ეკითხებოდნენ: „რა ვქნათ, მამაო? როგორ გავუძღვეთ საქვეყნო საქმეს?... რატომ არას ბრძანებთ, მამაო!? თუ თქვენც აგრე დადუმდებით, მაშ ვიღას დავეკითხოთ?...“ დიაღ, ხალხსა და მის წარმომადგენლებს აღარც კი აგონდებოდათ მღვდელი სეისი, და უიმისოდ, ბევრში მის საწინააღმდეგოდაც დაამყარეს რესპუბლიკა და ის კონსტიტუცია, რომელმაც ხალხი ჩვენი ცხოვრების ბურჯად და დედაბოძად ალიარა. ეს ყველაფერი უიმისოდ გაარიგეს ხალხის წარმომადგენლებმა, ერთხელ არაფერს დაჰკითხვიან და, რასაკვირველია, რომ იმისთანა ამაო თავმოყვარეობით გატაცებული კაცი ხალხს ვოსისხლე მტრად გადაჰკიდებოდეს“.

„შემდეგში უფროსთა კრებაში მოექცა და იქ ჰპოვა თავისი მეგობრები, რომლებსაც ეშინოდათ ხალხისა და, მაშასადამე, ისევე სძულდათ ხალხი, როგორც მას. მათდა დასამშვიდებლად ბურჟუაზიამ გაიმარჯვა და ახალი კონსტიტუცია იმ განზრახვით იქნა შედგენილი, რომ ბატონობა და პატრონობა შემძლებელთ დარჩენოდათ... მაგრამ ესეც არ იკმარა სეისმა, და ისე მოაგვარა საქმე, რომ, თითონ იქმნა არჩეული გამგეობის წევრად და მაშინვე თავისი ბეჭედი დაასვა ჩვენ ცხოვრებას: პატრიოტული გაზეთები აკრძალა, მათი რედაქტორები და გამომცემლები კალედონიაში გაგზავნა, კლუბები დააკეტვინა, იაკობელებს დევნა დაუწყო. აკი მოგახსენეთ,

აგერ ექვსი თვე სრულდება, სულ იმას იძახიან, რომ იაკობელები შეთქმულან რესპუბლიკის საწინააღმდეგოდო! იაკობელები კი არ შეთქმულან, თავისივე ოცნებით შეთხზულ შეთქმულობით სარგებლობს სეისი და თავიდან იშორებს, ვინც არ მოსწონს და ვისიც ჯავრი სჭირს. მაგრამ ეგეც არ იკმარა: კონსტიტუცია შეუდგენია ჩვენი რესპუბლიკისთვის და ჯიბით ატარებს. და რადგან ის კონსტიტუცია სრულიადაც არ შეეფერება ჩვენს აზრებს და შეიძლება ხალხმა დაიწუნოს და არ მიიღოს იგი, საჭიროა კარგი მამაცი გენერალი, რომ ხალხს ჭკუა ასწავლოს და ძალად მიაღებინოს. ჯერ გენერალი ბორო სინჯა, ბერნადოტი; მერე ჟობერი, მაგრამ ჟობერმა თქვენი ჭირი წაიღო. ამ დროს ბონაპარტიც დაბრუნდა ეგვიპტიდან. ბონაპარტი ყველაფერში ეთანხმება სეისის კონსტიტუციას... ბონაპარტი იარაღს იხმარს და თუ გაჭირდა ძალით მიგვაღებინებს სეისის კონსტიტუციას... სხვა კი არა უნდათ რა სეისს და მის მეგობრებს. შენთვის დაგვიმორჩილებია საერო კრებაო, ეუბნებიან ბონაპარტს და ბრძანებას აძლევენ— სოფელ სენკლუში გადაიტანე, რომ თუ გაჭირდა, პარიზელი ხალხის იმედი აღარა ჰქონდესო! საერო კრება ხელშეკრული მისცეს ბონაპარტს. ბონაპარტსავე მისცეს მხედარმთავრობა საერო კრების მცველი ჯარისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინააღმდეგია კონსტიტუციისა. დანარჩენს ხვალ ვნახავთ. მე რომ მკითხოთ, თუ კარგად წაიყვანეს საქმე და თავიანთ წადილს მიაღწიეს, ბონაპარტს და ჯარს უნდა გადაუხადონ რითიმე ჩვენმა შემძლებელმა ძმებმა ეს სამსახური და რით გადაუხდიან, თუ თვით მართებლობაში არ დაუდეს წილი? ხვალ ბურჟუაზია იქნება ჩვენი ბატონი და ბურჟუაზიასთან ერთად სალდათიც!“.

თუმცა იძახდა, დიდი ხანია ვიცოდი, რომ მახეში გაგვაბამდნენო, მაგრამ მაინც ძალიან გაჯავრებული იყო შოველი: არ მეგონა, რომ იმისთანა დროს მოგვიხერხებდნენ ამას, როდესაც გამარჯვებულმა რესპუბლიკამ საუკუნოდ დააფრთხო თავისი მტრებიო. თუნდა მომკლან, მაინც ვიტყვი, რომ სეისი რომ არა ყოფილიყო, ბონაპარტი, მიუხედავად უზომო თავხედობისა და გამბედაობისა, თავის დღეში ვერ გვიგდებდა ამ ხრიკს. მღვდელმა სეისმა მოამზადა ყოველიფერი და ბონაპარტმა აასრულა მისი განზრახვაო.

მეოთხე დღეს იმდენი ხალხი მოაწყდა ჩვენს სამკითხველოს, რომ რამდენსამე წუთში სულ გაიყიდა გაზეთები. სამკითხველოში შეიკრიბნენ ჩვენი მეგობრები, ერთი თხუთმეტიოდე კაცი და ისე

წავიკითხეთ 10 გიორგობისთვეს ს. სენკლუში მომხდარი საერო კრების ამბავი. საერო კრების თავმჯდომარედ ლუსიენ ბონაპარტი ბრძანდებოდა. აი, რა ეწერა გაზეთებში:

„კრება გაიხსნა ორის ნახევარზედ. მდივანმა მოახსენა კრებულს განაჩენი წარსული სხდომისა.

გ ო დ ე ნ ი. მამულიშვილნო, უფროსთა კრებამ თავისი დადგენილებით პარიზიდან სოფელში განდევნა კანონმდებელი კრება. ამ სასტიკ ღონისძიებას უფროსთა კრებამ იმიტომ მიმართა, რომ სამშობლო განსაცდელში ეგულებოდა. თქვეს კიდეც, შეთქმულან რესპუბლიკის მტერნი და მიწის პირიდან აღგვას უქადიანო; საჭიროა, დავასწროთ, ყოველი იმედი წავართვათ რესპუბლიკის გაუქმებისა და არ შევარყევინოთ საფრანგეთის და მასთან ერთად მთელი ევროპის მყუდროებაო...

გოდენმა ამგვარადვე განაგრძო სიტყვა და ბოლოს წინადადება შეიტანა, კომისია ავირჩიოთ და დავავალოთ, გამოიკვლიოს და მოგვახსენოს, რა მდგომარეობაშია დღეს რესპუბლიკა და რა ღონისძიებანი ვიხმაროთ, რომ განსაცდელი ავაცდინოთო. მაგრამ სიტყვა არ გაათავებინეს:

დ ე ლ ბ რ ე ლ ი. ჯერ კონსტიტუცია...

გ რ ა ნ მ ე ზ ო ნ ი. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ...

დ ე ლ ბ რ ე ლ ი. კონსტიტუცია, ანუ სიკვდილი! ჩვენ ჯარისა არ გვეშინია! ჩვენ აქ თავისუფალნი ვართ!

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა: ჩვენ დიქტატორები არ გვინდა! დაიკარგნენ დიქტატორები!

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა. კონსტიტუციას გაუმარჯოს!

დ ე ლ ბ რ ე ლ ი. ხელახლა შევფიცოთ კონსტიტუციას ერთგულება.

ხმები აირევიან. კრების წევრები აიშლებიან. კვლავ ისმის ძახილი: დაიკარგნენ დიქტატორები!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ლ უ ს ი ე ნ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი. მე მოვალე ვარ, დავიცვა ღირსება საერო კრებისა და ნებას არავის მივცემ ასეთი მღელვარება და მუქარა შემოიტანოს ჩვენს ბჭობაში. მე ვთხოვ კრების ერთ ნაწილს წესიერება არ დაარღვიოს.

გ რ ა ნ მ ე ზ ო ნ ი. ერის წარმომადგენელნო, საფრანგეთი განცვიფრებული დარჩება, როდესაც გაიგებს, რომ კრებული ერის წარმომადგენელთა უფროსთა კრების დადგენილებისამებრ განდევნილ იქმნა დედაქალაქიდან სადღაც სოფელში და განდევნილ იქმნა ისე, რომ ჯერ არავინ იცის, რა განსაცდელის ასაცდენად იყო საჭირო ამისთანა უმაგალითო განკარგულება. აქ ბრძანეს, კომისია

დავნიშნოთ და იმას დავავალოთ გამოიკვლიოს, რა ღონისძიებანი უნდა ვიხმაროთ, რომ განსაცდელი ავიცდინოთო. კომისია მაგისთვის კი არა, უფრო იმიტომ უნდა ამოვირჩიოთ, რომ გამოიკვლიოს, რა საშუალებანი იხმარა დღემდე, ვისიც ჯერ იყო, განსაცდელის ასაცდენად.

გრანმეზონმა სიტყვა ასე გაათავა:

„ათი წელიწადია თავისუფლებისთვის იბრძვის საფრანგეთი; მთელი ევროპა თავისი სისხლით მორწყო თავისუფლების მოსაპოვებლად. შევიფიცნეთ, ერის წარმომადგენელნო, და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვეწინააღმდეგოთ ყოველგვარ მტარვალობის დამყარებას. მეფე ერქმევა მას, თუ დიქტატორი, სულ ერთია.

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა. აგრე იყოს! აგრე იყოს! რესპუბლიკას გაუმარჯოს! კონსტიტუციას გაუმარჯოს!

როდესაც შეიფიცნენ ერის წარმომადგენელნი, ბიგონემ თქვა:

— ჩვენ მიერ განახლებული ფიცი, მამულიშვილნო, დაუვიწყარი დარჩება ისტორიაში. დღევანდელი ჩვენი ფიცი უნდა მოგაგონებდეთ საერო კრების პირველად გაფიცვას, როდესაც ერის წარმომადგენელთ იარაღით ემუქრებოდნენ მეფის ჯარები; როდესაც საერო კრების წევრთ ბინა ვერ ეპოვათ, რომ ბჭობა დაეწყოთ. დღეს ჩვენდა საბედნიეროდ, თავისუფლებისთვის მებრძოლი ჯარი რესპუბლიკისკენ არის...

ხ მ ე ბ ი. აგრეა, აგრე!

ბ ი გ ო ნ ე. ჩვენ ფიცს მნიშვნელობა არ ექნება, თუ უფროსთა კრებას არ შევატყობინეთ იგი და ამასთანავე არა ვთხოვეთ, რომ გვაცნობონ, რა მიზეზებმა გამოიწვია საერო კრების სოფელში განდევნა.

კრება დიდად აღელვებული იყო. ამ დროს გამგეობის წევრის ბარრას მოხსენება მოუვიდა თავმჯდომარეს.

აი, რას სწერდა საერო კრებას ის შერცხვენილი:

ერის წარმომადგენელნო!

საზოგადო საქმეში მე იმიტომ ვიღებდი მონაწილეობას, რომ შეძლებისდა კვალად დავხმარებოდი თავისუფლების დამყარებას. გამგეობის წევრის, ესე იგი რესპუბლიკის პირველი მოხელის თანამდებობა იმიტომ ვიტვირთე, რომ დამეფარა იგი განსაცდელისაგან. დღეს აღარავითარი განსაცდელი აღარ მოელის რესპუბლიკას და აღარც ჩემს სამსახურს საჭიროებს იგი. დღეს რესპუბლიკას იმისთანა დიდებული პატრონი გამოჩენია, როგორიც არის ძლევამოსილი გენერალი ბონაპარტი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის წინ უძღვის დიდება, და რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, მე დავაყენე

დიდების გზაზედ. უფროსთა კრების უკანასკნელმა დადგენილებამ, რომელმაც იმოდენა შუქი მოჰფინა ბონაპარტს და იმოდენა ნდობა აღმოუჩინა მას, მე დამარწმუნა, რომ რესპუბლიკას ყოველი გაჭირვება და განსაცდელი დაუჯაბნია და თავისუფლებას აღარაფრის შიში აღარა აქვს...

ეს ხანგრძლივი ბჭობა და კამათი საერო კრებისა, ეტყობა, მოსწყინდა ბონაპარტს, უეჭველია, საერო კრების დარბაზში თვისი ჯაშუშები ჰყავდა, რომლებიც სიტყვასიტყვით ატყობინებდნენ ყველაფერს. სწორედ იმ დროს, როდესაც ერის წარმომადგენელი გრანმეზონი მოახსენებდა კრებას, — გამგეობის წევრის ბარრას სამსახურიდან გასვლა მე როგორღაც საეჭვოდ მიმაჩნია, რადგან შეიძლება ძალა დაატანეს და ისე მოაწერინეს ხელი ამ ქაღალდზედო, — უცბად საშინელი ხმაურობა გაისმა და ყველანი დიდი კარისკენ მიბრუნდნენ, სადაც უკვე შემოდიოდა გენერალი ბონაპარტი თავისი ამალით და ჯარისკაცებით. მაშინ ფეხზედ წამოდგა მთელი კრებული, აღშფოთებული ამ სალდათის საქციელით, რომელიც ასე თავხედურად ბედავდა კანონმდებელი კრების დარბაზის კარის შელახვას, და ერთხმად შეჰყვირა:

— აქ რა გინდათ თქვენ? რა უნდათ აქ ჯარისკაცთ?!

ბევრნი წინ გადუდგნენ ბონაპარტს, საყელო დაუჭირეს და გარეთ აგდებდნენ. სხვები კი თავიანთ სკამებზე ასულიყვნენ და ყვიროდნენ:

— კანონის მფარველობა მოვუსპოთ მაგას! კანონის გარეშე მყოფად გამოვაცხადოთ!

ამ საშინელმა სიტყვებმა ფერი უცვალეს ბონაპარტს, სწორედ ისევე, როგორადაც რობესპიერს. ამბობენ, გული შეუღონდა და თავისმა ოფიცრებმა ძლივსღა შეიმაგრესო. მაგრამ ამ დროს საერო კრების დარბაზში შემოვარდა გენერალი ლეფევრი, ერთი გაუთლელი სალდათი, რომელსაც თავის მხედართმთავრის იქით არა სწამდა რა ქვეყანაზე, და შეჰყვირა მის უკან მომავალ ჯარს:

— ბიჭებო! ვუშველოთ ჩვენს გენერალს!

საერო კრების დარბაზი ჯარით აივსო.

საშინელი ღრიანცელი ატყდა. თავმჯდომარე ლუსიენ ბონაპარტი, თითქო შერცხვა თავის ძმის საქციელისო, დამშვიდებას სთხოვდა კრებას და საშინელი ხმითა ყვიროდა:

— აგრე რად ახსენით, წარმომადგენელნო, გენერლის შემოსვლა ჩვენს დარბაზში! განა არ შეიძლება, გენერალი იმიტომ მოსულიყოს, რომ საერო კრებისთვის საჭირო და აუცილებელი რან

ცნობანი შეეტყობინებინოს საზოგადო საქმის შესახებ? მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენგანს ეჭვი არავისა აქვს...

ერთი წევრი. ბონაპარტმა ანდერძი აუგო დღეს თავის დიდებას!

მეორე. რომელი მეფე მოგვექცეოდა აგრე ურცხვად?

მესამე. შემოიყვანონ ბონაპარტი და უბრძანონ, გაგვაგებინოს თავისი საქციელი.

ლუსიენ ბონაპარტი. ნება მიბოძეთ, თავმჯდომარეობა სხვას გადავცე.

თავმჯდომარის ალაგი შაზალმა დაიჭირა.

დინეფი. უფროსთა კრებამ რომ ამ სოფელში გამოგზავნა საერო კრება, ეჭვი არ არის, მჭიდრო საფუძველზე დაამყარა ეს დადგენილება: რესპუბლიკა განსაცდელში იყოო. მაშ შეგვატყობინონ, ვინ არიან რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულნი? ვინ არიან მოთავენი და ვინ არიან მათი მომხრენი? გარდა ამისა ჩვენ ახლავე უნდა ვიზრუნოთ რამე, რომ კვლავაც ხელშეუხებელნი დავრჩეთ და თავისუფლად შეგვეძლოს შეკრება და საზოგადო საქმეზე ბჭობა.

მრავალი ხმა. აგრე იყოს! აგრე იყოს!

ბერტრანი. უფროსთა კრებამ რომ აქ, სოფელში, გამოგვგზავნა, კონსტიტუციის წინააღმდეგ, უკანონოდ მოიქცა. უფროსთა კრებამ გენერალ ბონაპარტს დაუმორჩილა საერო კრების მცველი ჯარი, კონსტიტუციის წინააღმდეგ და უკანონოდ მოიქცა. ამიტომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვაცხადოთ, რომ გენერალი ბონაპარტი უკვე გადაყენებულია იმ თანამდებობიდან და ამიერიდან იმას აღარ ემორჩილება საერო კრების მცველი ჯარი.

მრავალი ხმა. აგრე იყოს! აგრე იყოს!

ტალო. უფროსთა კრებას უფლება არ ჰქონდა, ჩვენი მცველი ჯარისთვის უფროსი დაენიშნა. ბონაპარტს უფლება არ ჰქონდა, ჩვენს დარბაზში შემოსულიყო, ვიდრე თითონ ჩვენ არ დავიბარებდით. ჩვენ კიდევ არ უნდა წამოვსულიყავით პარიზიდან. ჩვენ ახლავე პარიზს უნდა დავბრუნდეთ. წავიდეთ, ერის წარმომადგენელნო, მფარველობას ხალხი და ჯარი გაგვიწევს. წავიდეთ, მამულიშვილნო, თქვენი თვალითა ნახეთ და დარწმუნდით, რომ ჯარი სამშობლოს და რესპუბლიკის მომხრე და მფარველია. დავადგინოთ ეხლავე, რომ ის ჯარები, რომელნიც ახლა აქ იმყოფებიან, საერო კრების მცველ ჯარებად არიან ჩარიცხულნი, და უფროსთა კრებას ვაცნობოთ, რომ ჩვენ ისევ პარიზს მივალთ და იქ გვექნება ჩვენი კრება.

დესტრემი. მეც ტალოს აზრისა ვარ.

ბ ლ ე ნ ი. ექვსი ათასი კაცი გვახვევია გარს. დავადგინოთ, რომ ისინი საერო კრების მცველნი და მფარველნი არიან.

დ ე ლ ბ რ ე ლ ი. გარდა გამგეობის მცველი ჯარისა. თავმჯდომარევ, ხმები შეკრიბე.

კრება ხმების შეკრებას ითხოვს.

ლ უ ს ი ე ნ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი. მე წინააღმდეგი არ გახლავართ მაგ წინადადებისა, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვაცხადო, რომ აქ ეჭვები უფრო მეტი სისწრაფით ვრცელდება, ვიდრე საჭირო დასაბუთებით. რა შეგცოდათ გენერალმა? ნუ თუ ერთმა შეცდომამ, რომ თქვენდა უნებურად აქ შემოსვლა გაბედა, დაგავიწყათ, რამდენი ღვაწლი დასდო მან თავისუფლებას?

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა. არა, არა, მის ღვაწლს არავინ ივიწყებს!

ლ უ ს ი ე ნ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი. მე გთხოვთ, ჯერ ჯენერალი დაიბაროთ და ალაპარაკოთ, და მერმე სასჯელი დასდოთ.

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა. ჩვენ იმას აღარ ვიცნობთ!

ლ უ ს ი ე ნ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი. მე თავს აღარ შეგაწყენთ. როდესაც ამ დარბაზში მყუდროება ჩამოვარდება, როდესაც აღელვებული ვნებანი დაწყნარდებიან და ყინი და შური დაცხრება, თქვენ თითონვე იგრძნობთ...

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა. კმარა! საქმეს დავუბრუნდეთ!

ლ უ ს ი ე ნ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი. მე ვხედავ, რომ აღარ მომისმენენ, და რადგან სხვა აღარა დამრჩენია რა, ამით უარს ვყოფ ჩემს თანამდებობას და ტრიბუნაზე ვაწყობ ნიშნებს თავმჯდომარისას.

ტრიბუნაზე დააწყო და ჩავიდა. ამ დროს საერო კრების მცველი ჯარის ერთი რაზმი შემოვიდა დარბაზში აფიცრის წინამძღოლობით, და ტრიბუნამდის მივიდა. ისე იყო მოხერხებული, ვითომც თავმჯდომარე ლუსიენ ბონაპარტი საერო კრებამ თავის ჯარს გაათრევინა ძალით: — ხედავთ, ძალმომრეობა იხმარა საერო კრებამ თავის თავმჯდომარეზე, თავის მცველ ჯარს უბრძანა და გაათრევინაო... ვერაგობა და სიცრუე მეტი გინდათ!

ისევ ხმაურობა ატყდა და გაბრაზებული, აღშფოთებული ყვირილი. საერო კრების დარბაზისკენ მიმავალ კიბეებზე ჯარის ფეხის ხმა გაისმა. მაყურებელნი ფანჯრებს მისცვივდნენ. ერის წარმომადგენელნი ფეხზე წამოდგნენ და ყვიროდნენ: რესპუბლიკას გაუმარჯოს!... საერო კრების დარბაზი ჯარით აივსო. წინ ჯენერალი ლეკლერი მოუძღოდა.

ჯ ე ნ ე რ ა ლ ი ლ ე კ ლ ე რ ი. ერის წარმომადგენელნო, დაიშალენით, თორემ თქვენი მფარველობა შეუძლებელი შეიქნება!

უფრო მედგრად გაისმა კრების ძახილი:

რესპუბლიკას გაუმარჯოს!

ამ დროს თავმჯდომარის გვერდით ერთი აფიცერი წამოიჭიმა და დაიძახა:— დაიშალენით, წარმომადგენელნო! გენერალმა ბრძანება გასცა...

უფრო საშინელი ხმაურობა ატყდა. საერო კრების წევრები თავთავის ალაგს იყვნენ. მაშინ ერთმა აფიცერმა დაიძახა:

— აბა, ბიჭებო, მომყევით!

გაისმა ნაღარის ხმა და საერო კრების დარბაზი ჯარმა დაიჭირა. გენერალმა ლეკლერმა ბრძანება მისცა საერო კრებას, — მიბრძანდით აქედანო! ჯარს უბრძანა—გარეკეთ ეგენიო! და რომ არავის გაეგონა კრების წევრთა უარი და ძახილი, უბრძანა, — ბუკი და ნაღარა დაჰკარითო!

იმ დროს ბევრმა მწერალმა შეაქო ამ საქციელისთვის ბონაპარტი. მაგრამ ბონაპარტს სხვები მოჰყვნენ და იმ სხვებმა დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს ის მწერლები, როგორც უკანასკნელნი ქურდები. ახიც იყო მათზე! ვინც ხალხს ვერაგობის და ძალმომრეობის თაყვანისცემას უქადაგებს; ვინც აღშფოთებული ხმას არ აიმაღლებს პატიოსან კაცთა გასამხნევებლად და ბიწიერთა დასათრგუნავად, იმან თითონვე უნდა მომკოს თავისი ნათესი და თითონვე უნდა სწვნიოს თავისი გესლი. მათი დასჯა დიდად ამხნევებს, ზნეობრივად მაინც, იმ პატიოსანთ, რომელთაც სწამთ, რომ სიმართლე უძლეველია და ადრე თუ გვიან თავისას იზამს.

რაღა მოგახსენოთ იმ დღისა? თქვენ უკვე იცით, რომ უფროსთა კრების უმრავლესობა სეისის წყალობით ბონაპარტისკენ იყო. ისინიც იქვე ბრძანდებოდნენ, მეორე დარბაზში და შიშით თრთოდნენ. იმ დილას, ვიდრე საერო კრების დარბაზში შევიდოდა, ბონაპარტი მათთან მისულიყო და იმისთანა კილოთი შეუტია, თითქო თავის ჯარს უბრძანებსო; რაღაცები მოეჩმახა, — შეთქმულება არის რესპუბლიკის დასამხობადო... საერო კრებას სურს კონვენტის დრო დაგვიბრუნოს და გილიოტინა განაახლოსო... გამგეობის წევრებმა ბარრამ და მალენმა მთხოვეს, — დაამხე მართებლობა და შენ გახდი საფრანგეთის ბატონი და პატრონიო... საბუთებიო, თურმე დაუძახეს. მას საბუთები არა ჰქონდა. პასუხის ნაცვლად მიუბრუნდა თურმე ჯარისკაცთ, რომელნიც შემოჰყოლოდნენ და იქვე კარებთან იდგნენ და დაუყვირა:

„თქვენი იმედიღა მაქვს, ჩემო ერთგულო ჯარისკაცნო! მე აქედან ვხედავ თქვენს ქუდებს და ხიშტებს. თქვენ მე არ მიმტყუნებთ, ჩემო ერთგულო მეგობრებო. მე თქვენს მეტი

აღარავინა მყავს დღეს; ნუ დაივიწყებთ, რამდენჯერ წამიყვანიხართ გამარჯვებისკენ!“

და მანამ საერო კრების წევრნი პარიზს მიაღწევდნენ, — იქნება პარიზელი ხალხი ავშალოთ როგორმეო — იმ ღამესვე საერო კრების დარბაზში მოგროვილიყვნენ ბონაპარტის მომხრე 26 წევრი და ლუსიენ ბონაპარტის თავმჯდომარეობით დაედგინათ, 1) გამგეობის გაუქმება, 2) საერო კრების 61 წევრის საფრანგეთიდან განდევნა, და 3) გამგეობის ნაცვლად „კონსულის“ დაწესება, კონსულად ნაპოლეონ ბონაპარტი დაენიშნათ და მის ამხანაგებად, მღ. სეისი და რაჟე. გარდა ამისა დაედგინათ, რომ საერო კრება მხოლოდ სამი თვის შემდეგ შეიყრება, დაარსებულ იქნება ორი კომისია, რომელთაგან ერთს კანონმდებლობა ებარება და მეორეს — კონსტიტუციის გადასინჯვა.

უფროსთა კრება არ დაშლილა ამ არეულობის დროს და, რაღა ჩემი თქმა გინდათ, ყველაფერი მოიწონა და დააკანონა. ხალხი არც კი შეინძრა, რადგან კონსტიტუციის გაუქმებით იგი სრულიად არას ჰკარგავდა.

ამგვარად შეჰკრა და ფეხქვეშ ამოიდო ნაპოლეონ ბონაპარტმა საფრანგეთი. მთელი 16 წელიწადი სთელა ფეხქვეშ და იქნება დღესაც ისევე ყოფილიყო, გერმანელები, ინგლისელები და რუსები რომ არა ყოფილიყვნენ. დიაღ, იქნება სამძიმოც იყვეს ამის თქმა, მაგრამ ვაუკაცობა ის არის, რომ კაცმა თავისი შემარცხვენელი სიმართლე არ დამალოს: ბონაპარტის წინააღმდეგ რომ მთელი ევროპა არ შეერთებულიყო, რომელსაც ის არბევდა და სძარცვავდა, ჩვენი ძველი წესწყობილება თავისი ბერებით, დიდებულებით და სამარცხვინო მტარვალობით, დღესაც ლოდსავით აწვებოდა უბედურს ჩვენს ქვეყანას. განსხვავება ის იყო, რომ ლუის მაგიერ ჩვენს მტარვალს ნაპოლეონი ერქვა.

ხალხის შემძლებელ ნაწილს — ბურჟუაზიას, თუ ცოტაოდენიც არის შეგნება შერჩენოდა, უნდა გაეგო, რომ ვერაგობით და საკუთარი ჯიბის ტენით რაც არ იზარალა, ვერა მოიგო რა; ცოტა რამ თავაზიანობით და სიმართლით რომ მოჰქცეოდა ხალხს, შეუძლებელ ხალხს, და კონსტიტუციაში მისთვისაც წილი დაედო, იმდენი თავგანწირული მფარველი გამოუჩნდებოდა, რომ ასი ნაპოლეონიც ვერას დააკლებდა. მაშ არ იცოდნენ?! ვისაც სულ ყველაფერი თავის უძღები მუცლისთვის უნდა, სხვის იმედიც აღარ უნდა ჰქონდეს. ბევრიც იძახა ბონაპარტმა, „მე უნდა აღვადგინო ხალხის უფლებანიო“, მაგრამ ხალხს უკვე ჭკუა ესწავლა და არ აჰყვა ცარიელ სიტყვას. ხალხს კარგად შეეგნო ბურჟუაზიის მრწამ-

„ყველა თავისთვისაო“ და საესებით წაპბაძა ბურჟუაზიის მაგალითს.

მაშ, ახლა სალდათების გამგეობა უნდა ენახა საფრანგეთს!

XV

ნაპოლეონმა მეფის ადგილი დაიჭირა და გენერლებმა, ვინც კი იმ დროს პარიზში იყო, ყველამ საკმარისი ჯილდო მიიღო დახმარებისათვის. გენერალი მორო იმდენად გატაცებული მომხრე გაბოდგა ბონაპარტისა, რომ ლუქსემბურგის სასახლეში დაამწყვდია გამგეობის ორი წევრი — გოიე და მულენი, რომელთაც სამსახურიდან გასვლა არ ინდომეს: — ჩვენ ამორჩეულნი ვართ და თანამდებობას ვერავის დავუთმობო! მაგრამ რას გააწყობდა ორი კაცი, ბევრიც რომ ეყვირათ, — უკანონობას სჩადიხართო?

მეორე დღეს ნაპოლეონმა დაცალა თავისი პატარა სახლი და ლუქსემბურგის სასახლეში გადაბრძანდა. კონსულებმა პროკლამაციით მიმართეს ხალხს და ჯარს. ჯარისკაცთ ღვინო დაალევინეს და „გაუმარჯოს ბონაპარტსო!“ აყვირეს. ჩვენში ჯარისკაცებთან ერთად ხალხიც გაიტაცა სიმხიარულემ და იმ დღეს უფრო მეტი ლუდი დაიხარჯა ფალსბურგში, ვიდრე სხვა დროს ორ-სამ თვეში დაილევა. პატრიოტები კი გაყუჩებულნი იყვნენ: ჩუმად უნდა იყოს კაცი, როდესაც ჯარი და ხალხი ერთად არის. მამასახლისმა და სხვა მოხელეებმა ბრძანება მიიღეს და — კიდევ კარგი ფალსბურგი ერთი ბეწვა ქალაქია და ყველანი იცნობენ ერთმანეთს—ჩუმად შეგვატყობინეს, — ფთხილად იყავით, თორემ ბრძანება გვაქვს და იძულებული ვიქნებით დაგიჭიროთო. ჩვენც მართლა რომ ფრთხილად ვიყავით. შოველს არც კი უნდოდა გაფრთხილება, რადგან უკვე იცნობდა ბონაპარტს.

გაზეთები სავსე იყო ბონაპარტისადმი მორჩილების და მადლობის გამოცხადებით. ყოველ მხრიდან ერთგულებას უთვლიდნენ და გამარჯვებას ულოცავდნენ. ბრუნმაც კი მოსწერა ბონაპარტს მორჩილების წერილი და ბრუნი დანტონის მეგობარი იყო და დიდად დამსახურებული მხედართმთავარი. გენერალი მასსენა არას ამბობდა. ან რაღა უნდა ეთქვა გულდამწვარს: უმადურმა ხალხმა მისი ნათესი სხვას მოამკევინა. ბონაპარტს, რასაკვირველია, არად ესიამოვნებოდა ახლო ყოლა ციურიხის გმირისა და იტალიაში მყოფის ჯარის მხედართმთავრად გაისტუმრა. გენერალი ბერნადოტიც გაჩუმებული იყო, რადგან ხედავდა, რომ ბონაპარტი გამარჯვებული იყო. შამპიონეს სიხარულს და ოჟეროს სიყვარულს ბონაპარტისადმი ენა ვერ იტყვის.

ეგ არაფერი. საშინელება მაშინ ვნახეთ, როდესაც გაზეთებმა ია მამულიშვილთა სია გამოაქვეყნეს, რომელთაც კაიენში გზავნიდა ბონაპარტი. საერო კრების წევრთ, რესპუბლიკის უერთგულეს მოღვაწეებს და უპატიოსნეს პატრიოტებს ავაზაკებთან და კაცისმკვლელებთან ერთად სჯიდა ბონაპარტი.

საერო და უფროსთა კრება ისევ პარიზში გადაიყვანეს, საერო კრების თავმჯდომარედ ისევ ლუსიენ ბონაპარტი იყო, უფროსთა კრებისა — ლებრუნი. ორივე კრებამ კომისიები ამოირჩია კონსტიტუციის შესადგენად. მთელი საფრანგეთი ამ კონსტიტუციის მოლოდინში იყო, რადგან ძველი გაუქმებული იყო და ერთს კაცსა ვყავდით წიხლქვეშ, თითქო უუბედურესი ყმანი ვყოფილიყავით მისი. მოქალაქეობრივი უფლებანი აღარავითარი გვქონდა და ვფიქრობდით, რაც უნდა წუწკი იყოს, მაინც რაიმე უფლებებს მოგვანიჭებს ეს კონსტიტუციაო. შოველი მწარედ ურწმუნოდ იცინოდა, — ეგ იმედიც გაგიცრუვდებათ, როგორადაც სხვა მრავალიო.

ახალი კონსტიტუციის ძალით საფრანგეთის მართებლობის სათავეში იდგა „პირველი კონსული", რომელიც მარტოდმარტო განაგებდა სამეფოს ცხოვრებას: ის ნიშნავდა ყველა მოხელეებს, ის აცხადებდა ომს, ის უდებდა პირობებს და ურიგდებოდა სხვა სახელმწიფოებს. თან ორი სხვა კონსული ჰყავდა, მაგრამ იმათ მარტო რჩევის მიცემა შეეძლოთ. სამივენი ამორჩეული იყვნენ ათი წლით. პირველს, ბონაპარტს, წელიწადში 125,000 მანეთი ეძლეოდა. სამივენი სასახლეში იდგნენ, რომელზედაც ამართული იყო საკონსულო დროშა.

ყველა ფრანგი 21 წლისა უნდა ჩაწერილიყო სამოქალაქო სიაში და ათზე ერთი ამოერჩიათ თავიანთ შორის. ამათ ეწოდებოდათ „სასოფლო ამომრჩეველნი". ესენი თავიანთ შორის ირჩევდნენ ათზე ერთს — სამაზრო ამომრჩევლებს"; და სამაზრო ამომრჩევლები ირჩევდნენ ათზე ერთს — რომელთაც „საერო ამომრჩევლებს" უწოდებდნენ. სასოფლო ამომრჩეველთაგან ნიშნავდნენ მამასახლისებს და სოფლის მოხელეებს; სამაზრო ამომრჩეველთაგან—ქალაქის მოხელეებს და საერო ამომრჩეველთაგან — მინისტრებს, უმაღლეს მსაჯულებს, სახელმწიფო რჩევის და კანონმდებელი კრების წევრებს.

— კანონმდებლობა განაწილებული იყო ოთხ დაწესებულებათა შორის:

1) სახელმწიფო რჩევა — მართებლობის ბრძანებისამებრ ადგენდა კანონს და წარუდგენდა

2) კანონმდებელ ტრიბუნას — რომელიც ასი კაცისაგან შესდგებოდა, სახალხოდ სჯიდა ყოველ კანონს და დასაკანონებლად გადასცემდა

3) კანონმდებელ კრებას. იგი სამასი წევრისაგან შესდგებოდა და ისმენდა კანონის ავკარგიანობის სჯას; თვითონ ამ სჯაში მონაწილეობას არ იღებდა, და კენჭით აცხადებდა მის გაკანონებას, ან უარყოფას

4) სენატი — ასი წევრისაგან შესდგებოდა და ვალდებული იყო თვალყური ედევნა, რომ კანონი ასრულებულიყო.

სეისს უნდოდა პირველი კონსულისთვის მარტო იმის უფლება მიენიჭებია, რომ მას ამოერჩია ორი კონსული: ერთი უნდა ყოფილიყო საფრანგეთის გამგე და მეორე სამხედრო მინისტრი — „ომიანობის კონსული". თვით პირველ კონსულს ამის მეტი უფლება არა ეძლეოდა რა. მაგრამ ბონაპარტმა არ ინდომა „უქმ მეფედ ყოფნა ოქროს პატივზე" და ისე შეაცვლევინა, რომ ამ კონსტიტუციით მას უფრო მეტი უფლებანი ჰქონდა მინიჭებული, ვიდრე 1789 წლამდე მეფე ლუი XVI-ს. ნაპოლეონი თითონაც გრძნობდა ამას და თითქო რცხვენიაო, ერიდებოდა ძველებურ სიტყვებს, რომელნიც მეფეების დროიდან შერჩენოდა მართებლობას; ამ სიტყვების მაგივრად ის ლათინურებს ხმარობდა — კონსული, — სენატორი, ტრიბუნი, პრეფექტი... 1808 წელს კიდევ ტრიალებდა ფული, რომელზედ ერთ და იმავე დროს ეწერა: „საფრანგეთის რესპუბლიკა. ხელმწიფე — იმპერატორი ნაპოლეონი".

სეისის კონსტიტუცია, ბონაპარტის ბრძანებისამებრ შეცვლილი, გამოაქვეყნეს 13 დეკემბერს 1799 წ. და პირველ კონსულად ნაპოლეონ ბონაპარტი დაამტკიცეს.

პირველი კონსული უნდა ყოფილიყო ყველაფერი, პირველ კონსულზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მთელი სამეფოს ცხოვრება. ფულიც კი მისი სახელით უნდა მოჭრილიყო. პირველ კონსულს უფლება ჰქონდა დაეჭერინებინა და ციხეში ჩაელპო ყველა, ვისიც კი ეჭვი შეეპარებოდა, რომ მართებლობის ერთგული არ უნდა იყოსო. ის იყო შინაგანი და გარეგანი პატრონი საფრანგეთისა; მარტო მას ჰქონდა მინდობილი დიპლომატიური მოლაპარაკებანი უცხოეთთან.

ერს რაღა რჩებოდა, იკითხავთ. დიაღაც არაფერი, მაგრამ ვის შეეძლო ხმა აემაღლებინა პირველი კონსულის წინააღმდეგ? საფრანგეთი მისი იყო და თავიდან ბოლომდე ყველგან თავისი ერთგული მოხელეები დააყენა, რომ სრულიად გაეუქმებინა ძველი კონსტიტუცია.

იქნებ გეგონოთ, რომ საერო ამომრჩევლები ერის წარმომადგენელთ ირჩევდნენ? თქვენგან არ მიკვირს! საერო ამომრჩეველთაგან

ირჩევდა ბონაპარტი მინისტრებს და უმაღლეს მოხელეებს. თვით სენატიც კი ბონაპარტის დანიშნული იყო.

მეტს აღარას მოგახსენებთ. რადგან ესეცა კმარა ჩვენი მდგომარეობის დასახატავად. პირველი კონსული იყო მეფე, ხელმწიფე, და ერი კი აღარაფერი. რაც შეეხება კანონების განსჯას კანონმდებელი ტრიბუნისა და სახელმწიფო რჩევისაგან, ეს უბრალო თვალთმაქცური ხერხი გახლდათ: ხედავთ, ბატონად ერთი კაცი კი არა, მთელი მართებლობა გვყავს, რომელიც ასე სასტიკადა სჯის ყოველ კანონსაო! თვალთმაქცობა იყო, რომელშიც ყოველთვის ერთი და იგივე პირნი ესარჩლებოდნენ, რაც უნდა კანონი ყოფილიყო შემოსაღები, და ერთი და იგივე პირნი ეწინააღმდეგებოდნენ. სახუმარო გაზეთებმაც შენიშნეს და სასაცილოდ გახადეს ეს ტაკიმასხარობა. მაგრამ ეტყობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბონაპარტი თავის თვალთმაქცურ კრებებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შემდეგი ბრძანება წავიკითხეთ სახელმწიფო „მოამბეში“:

„რესპუბლიკის კონსულებმა, რომელთაც ვალად ადევთ საფრანგეთის მშვიდობიანობა და კეთილდღეობა, მხედველობაში მიიღეს რა, რომ ზოგ-ზოგი გაზეთი რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა მოძღვრეთა იარაღს შეადგენს, დაადგინეს შემდეგი: „მინისტრი პოლიციისა აღარ დააბეჭდვინებს და აღარ გაავრცელებინებს, მანამ ომი არ გათავდება, არც ერთ გაზეთს, გარდა აქ დასახელებულისა“... დასახელებული იყო სულ 13 გაზეთი.

და რადგან ჩვენს ომებს ბოლო არ უჩანდა, ამ 13 გაზეთის ანაბრად უნდა ვყოფილიყავით. ეს 13-ც, რაღა თქმა უნდა, ყურმოჭრილი ყმანი იყვნენ ბონაპარტისა.

რა სიკეთე დაეყრებოდა ერს, თუ კი გაზეთების ბეჭდვასაც აგვიკრძალავდნენ? წინსვლა და განათლება კი არა, პირიქით, უკან დაიწია ხალხის სწავლა-განათლებამ და ეროვნულმა შეგნებულებამ ბონაპარტის დროს, მით უფრო, რომ პირველი კონსული — შემდეგში ხელმწიფე-იმპერატორი ბონაპარტი — გროშს არ იმეტებდა სახალხო განათლებისათვის. სამაგიეროდ რაც ხალხს დააკლო, დიდებულთ შესძინა! საცა გახიზნული დიდებული იყო, საცა კი მიმალული მსახური და მოახლე იყო დიდებულებისა, ყველამ მაშინ წამოჰყო თავი — თავადებმა, აზნაურებმა, გრაფებმა, ბარონებმა, იმათმა მეჯინიბეებმა, ბაზიერებმა, მოურავებმა, მოახლეებმა და სხვ. და სხვ. ან როგორ შეიძლებოდა, არ გამოჩენილიყვნენ: მეფის ადგილზე ძლივს კაცი დაინახეს და არა ხლებოდნენ და პირქვე არ დამხობილიყვნენ! მართალია, კანონიერი მეფე არ იყო!... ეეჰ, არ იყო კანონიერი მეფე!... ცოტა არ იყოს, სასტიკი კაცი იყო, თავხედი, უზრდელი, სალ-

დათი... მაგრამ მაინც მეფის ადგილი ეჭირა! და როგორც თაფლზე ბუზი მიდიოდეს, ისე მიეშურებოდნენ ბონაპარტის სასახლისკენ დიდებულნი, რომ იქ, მისავალ ოთახში ან კიბეზე მაინც ღირსებოდათ ბატონის კალთის ამბორება: ოჰ, რა ტკბილია დიდებულთა სამსახური!

ბონაპარტსაც ძალიან უყვარდა ეს ხალხი, კარგად ყავდა მიღებული და ამბობდა, — ძველი გვარიშვილობა ზრდილობიანობაში ეტყობათო... ზრდილობა შთამომავლობითია და არა ახლად, ფულით, შეძენილიო.

მაგრამ რადგან ჯერ ბონაპარტი ისე არავის შეჰყვარებოდა, რომ ისევე თავგანწირულად ებრძოლა მისთვის, როგორადაც აქამდე სამშობლოსთვის იბრძოდა, ბრძანება გამოსცა: — ჯარისკაცთაგან ვინც მამაცობას რასმე გამოიჩენს ბრძოლის ველზე, ვერცხლის ნიშანი მიეცემა გულზე დასაკიდებლად და ჯამაგირიც მიემატებაო... გაისარჯე და ფულით გადაგიხდიო! სწორედ ისე, როგორც ჩვენს დუქანში: შაქარი — გირვანქა აბაზი; ღვინო — თუნგი ათი შაური... ჯარისკაცის გარჯა და მამაცობა — ვერცხლის ნიშანი!.. აფიცრისთვის ოქროს ნიშნები დააწესეს... შენ მე მემსახურები, მე შენ გაჯილდოებ; ჩვენ ერთმანეთს ვერას დავაყვედრებთ, და თუ ღმერთი გწამს, ნუღარც შენს თავგანწირვას გამაგონებ, ნუღარც წამებას და ტანჯვას! რაც კი ფულით არის შეძენილი, საქონელია და სხვა არაფერი, სავაჭრო, გასაყიდი საქონელი, და ვაჭრობასთან დიდებას რა ხელი აქვს? დიდება მაშინ იყო, როდესაც რესპუბლიკას ემსახურებოდნენ ჟურდანი, ოში, კლებერი, მარსო და თავგანწირულ ხალხთან ერთად ათასობით იხოცებოდნენ თავისუფლების, თანასწორობის და ძმობისთვის, — დიაღ, ერთად-ერთი ჯილდო იმ დალოცვილებისა დიდება იყო. იმათ არც წარჩინებული სახელწოდება უნდოდათ, არც ოქროს ნიშნები, არც პენსიები! კაცმა თავის სამსახურში მშვენიერი ჯამაგირიც აიღოს, თქვენი მოწონებული საჩუქრებიც, ოქროს ნიშნებიც, პენსიაც და დიდებაც! სიკვდილის უკან ძეგლიც კი აუგონ! კარგია, თქვენმა მზემ! თუ აგრეა, მაშ მეც უნდა ვთხოვო ფალსბურგის მამასახლისს, რომ ძეგლი დამიდგას სამხედრო მოედანზე, რადგან 15 წლის განმავლობაში მე ვაწოდებდი მთელ ფალსბურგს შაქარს, ყავას, სანთელს, საპონს, ღვინოს, არაყს, ჩითს, მიტკალს და სხვას და სხვას... მართალია, ფულს ვიღებდი, მართალია, მეწვრილმანედ იმიტომ გავხდი, რომ სარგებლობა მენახა... მაგრამ სამხედრო სამსახურიც კარგ სარგებლობას აძლევს კაცს! რატომ მე კი არ უნდა ამიმართონ ძეგლი, მე, ფალსბურგის პირველს და წარჩინებულს მეწვრილმანეს, თუ კი იმ

ხალდათს დაუდგამენ ძეგლს, რომელსაც ბედმა ორივე ხელით უყაოა ჯიბეებში ოქრო?

სულ ტყუილია! დიდება თავგანწირვის შვილია! და ბონაპარტმა ისე კარგად იცოდა ეს ჭეშმარიტება, რომ თავის ჯარებს ყოველთვის ფულსა და საშოვარსა პირდებოდა: იცოდა, რომ პირად მის გულისთვის თავს არავინ გასწირავდა. „ჯარისკაცნო, მე იმისთანა მდიდარ ქვეყანაში ჩაგიყვანთ, რომ ნაშოვარი ვეღარა ზიდოთ“!.. „ჯარისკაცნო, ომიდან რომ დაბრუნდებით, ყველა თქვენგანს შეეძლება ხუთი-ექვსი დღის მიწის შეძენა!“ ბოლოს ხომ ისე მოაწყო საქმე, რომ მიწის ზურგზე უმდიდრესი ქვეყანა დაიჭირა, — თვით საფრანგეთი — და ნაშოვარის შორს ზიდვა აღარ დასჭირდა! რას ინატრებდა იმისი გული, რომ მით სავსე არა ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა: ღვინო, პური, ფული და მეტადრე ჯარი! ბონაპარტმა და ჯარმა შეიძინეს ყველა უფლება, რომელიც ხალხმა მეფეს და დიდებულთ წაართვა.

ჩვენ ხომ ასე გაგვაცურა ყინულზე და ახლა ევროპას მოუნდომა გადაყლაპვა. ბონაპარტს ძმები ჰყავდა და როგორ იქნებოდა, იმათთვისაც სამეფოები არ ეშოვა! ამისათვის ჯარები იყო საჭირო და ეს ჯარები ჩვენს ერს უნდა მიერთმია თავის „პირველ კონსულისთვის“. მაგრამ რა ექნა, რომ თითონვე დაჰპირდა, — მშვიდობიანობას აღარავის დავარღვევინებო. რა ექნა? აქაც ხრიკი იხმარა და კიდევ ალჩუს დაუჯდა კოჭი.

ინგლისის მეფეს გიორგი III-ს მისწერა, — ინგლისელები და ფრანგები ძალიან კარგად მორიგდებიან ერთმანეთში და ორივე ერის სასიკეთოდ ააყვავებენ ვაჭრობას და მრეწველობას... პირდაპირ თქვენ იმიტომ მოგმართეთ, რომ ჩვენ ერთმანეთში ძმურად, მეგობრულად უფრო ადვილად გავათავებთ საქმეს, ვიდრე მინისტრების, საერო კრების და სახელმწიფო რჩევის ჩარევითაო...

მეფე გიორგი ამპარტავანი კაცი იყო და ძალიან იწყინა და იუკადრისა ვიღაცა კორსიკელი აზნაურისაგან ამ გვარი თავხედობა. პიტი ჯერ იქვე ჰყავდა, ის პიტი, რომელმაც ორჯერ შეაერთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ევროპიელი სახელმწიფონი. პიტი მაშინვე მიხვდა, რომ ბონაპარტს მორიგება კი არა, ომის გაგრძელება უნდოდა და შესაფერი პასუხი მოსწერა, რომელიც მაშინვე საქვეყნოდ გამოაცხადეს: „საფრანგეთის რევოლუციას ქვეყნის დამხობა უნდა, რადგან იგი წინააღმდეგია საკუთრებისა, საზოგადოებრივ წესწყობილებისა და სარწმუნოებრივ თავისუფლებისა. მისი უდიდებულესობა ინგლისის მეფე გიორგი მესამე აღარაფერში ენდობა საფრანგეთის მართებლობას, ვიდრე საფრანგეთის ერი ძველებურად ქედს არ მოი-

ხრის კანონიერ მეფის წინაშე, რომლის მამა-პაპანი საუკუნეთა განმავლობაში განაგებდნენ სამეფოს და შინ კეთილდღეობასა სძენდნენ ხალხს და გარეთ გამარჯვებას და მეზობელთაგან პატივისცემას. თუ ჭკუაზედ მოვიდა საფრანგეთი და ღვთისაგან კურთხეულს თავის მეფეს მოუწოდა, ინგლისი მაშინვე განუახლებს ძველებურს მეგობრულს განწყობილებას და აღთქმას დაუდებს, რომ თავის დღეში ვერავინ შეეხება უწინდელს მის საზღვრებს. მარტო ამით შეიძლება ევროპის დამშვიდება და ვიდრე ეს არ მოხდება, ევროპიელი სახელმწიფონი იძულებულნი იქნებიან ცეცხლითა და მახვილით ებრძოლონ საზოგადო მშვიდობიანობის დამშლელს“...

ერთი სიტყვით, შავჭირად ეჩვენებოდათ ჩვენი რესპუბლიკა მეფეებს, რომელნიც თითონ არა არიან რა და ხალხის ოფლითა ცხოვრობენ. შავჭირად ეჩვენებოდათ და იძახდნენ:

— ან რესპუბლიკა უნდა იყოს, ან ჩვენ! როგორ შეიძლება ხალხს ამოდენა უფლება ჰქონდეს, როდესაც ჩვენ ღვთისაგან ვართ მეფედ კურთხეულნი“.

მართალი იყო და ბონაპარტმაც იმიტომ წაართვა ხალხს ყოველი უფლება. ღვთისაგან კურთხეულთ რომ ისიც ღვთისაგან კურთხეულად მიეჩნიათ, მაშინვე მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა; მაგრამ არც ინგლისის მეფეს გიორგი III-ს, არც ავსტრიისას ფრანსუა II-ს და არც რუსეთის ხელმწიფეს პავლეს, ტოლად და სწორად არ უნდოდათ იგი და, მაშასადამე, ომიც აუცილებელი იყო.

რესპუბლიკამ დაამარცხა ევროპის ყველა მეფეები და ხელმწიფენი, იმიტომ რომ მეფეებს ებრძოდა და არა ხალხებს; ხალხთან მას საომარი არა ჰქონდა რა და ყველგან ძმობის, ერთობის, თავისუფლების და ადამიანის უფლებათა ქადაგებას მიიძღოლებდა წინ. მზის სხივებივით მოეფინა ეს ქადაგება ყველა ხალხებს, თვით რუსეთშიც კი შეაწია, და აათრთოლა მტარვალები. დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანს უკან ყველა ხალხები შეიგნებდნენ ჩვენს წმინდა წადილს და ყველაფერში ჩვენებრ მოიქცეოდნენ. უკანასკნელი ჩვენი გამარჯვება, როდესაც საუკეთესო ჯარი და საუკეთესო მხედართმთავარნი ეგვიპტეში იყვნენ, ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ დიდი ძალა ჰქონდა საფრანგეთს და ბრძოლას იმდენ ხანს გაუძლებდა, ვიდრე ქვეყნად სრული თავისუფლება და სამართლიანობა დამყარდებოდა.

დიალ, კიდევ დიდი ხანი გავუძლებდით ბრძოლას, ბონაპარტი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ბონაპარტმა ჩვენი წმინდა მიმართულების და წადილის მაგივრად პირადი სარგებლობა გაიხადა მიზნად. მე მინდა მეფე ვიყო, ევროპელ მეფეთაგან მეფედ აღიარებულიო — და ჩვენით მოინდომა მეფობის შოვნა. ომი აუცილებელი იყო. შორს

გამჭვრეტი ვერაგი კაცი იყო ნაპოლეონი, ხედავდა, რომ დიდი ხანი გასტანდა ბრძოლა და მზადებას შეუდგა; უნდოდა რიგზე დაეყენებინა არა მარტო ჯარები, არამედ მთელი საფრანგეთიც, რომ საჭიროების დროს, ყველა საკმარისად ჰქონოდა და გაუჭირებლივ გამოეტანინებინა ხალხისთვის ფული. ამ მიზნით დაჰყო ნაპოლეონმა საფრანგეთი დეპარტამენტებად და თავისებური წესწყობილება შემოიღო, თუმცა კარგად იცოდა, რომ ეს წესწყობილება წინააღმდეგი იყო თავისუფლებისა და სამართლისა.

· რევოლუციის წინათ „სამაზრო კრებები" ვიცოდით, დიდებულთა და სასულიერო წოდების წარმომადგენელთაგან, რომელნიც განაგებდნენ სამაზრო საქმეებს და ხარჯს გააწერდნენ ხალხს. შემდეგში რევოლუციის დროს დაწესებული იქმნა „სასოფლო კრებები", რომელშიც მონაწილე იყო ყველა მამულიშვილი, და რომელიც ირჩევდა ერის წარმომადგენლებს, თავის მსაჯულებს და მოხელეებს; ყველა კმაყოფილი იყო, ყველას, მდიდარსაც და ღარიბსაც, შეეძლო თავის სოფლის, მაზრის, თემის და სამშობლოს საქმეებში მონაწილეობის მიღება.

მას შემდეგ იცვალა დრო და ახალი კონსტიტუციის ძალით მარტო შემძლებელთღა შერჩათ ეს უფლება. მაგრამ ეგ არაფერი: ყველას თუ არა, ზოგს მაინც შეეძლო საზოგადო საქმეების მართვა და გამგეობა; ასე იყო, თუ ისე, სოფელში კრებები იმართებოდა და ყველა ჩვენგანი იქ სწავლობდა საზოგადო საქმის სამსახურს. ყველა არჩეულს შეეძლო ეთქვა: მე ჩემ თანამემამულეთა წარმომადგენელი ვარ; ჩემი შრომა სასარგებლოა ჩემთვისაც, ჩემი ოჯახისთვისაც, ჩემი სოფლისთვისაც. მაშინ უცხო ვერავინ ჩაერეოდა სასოფლო საქმეებში. მართალია, რობესპიერმა კაცები გამოგზავნა თვალ-ყურის სადევნელად, მაგრამ იმისი გამოგზავნილი კაცებიც კი ვერა ბედავდნენ სასოფლო საქმეებში ჩარევას: ოღონდ ხალხს ფული და ჯარისკაცები ეძლია გაჭირვებულ რესპუბლიკისთვის, და იმათ სხვა არა უნდოდათ რა.

ხალხისთვის ეგეც ბევრიაო, ბრძანა ნაპოლეონმა! რად უნდა ხალხს მაგდენი თავისუფლება? მაგრე რომ იყოს, მე რიღას მაჩანჩალა ვყოფილვარო? და ბრძანება გასცა, — მამასახლისს მე გამოგიგზავნით, თქვენ ნუღარას შესწუხდებით, თქვენთვის განცხრომით ბრძანდებოდეთ და განისვენებდეთ, ყველაფერს ის გაარიგებს ჩემი ბრძანებისამებრ და თქვენც აგასრულებინებთ ჩემს ბრძანებასო. მართალია, სამამასახლისო საბჭოს წევრებს ჩვენ ვირჩევდით, მაგრამ როდესაც რაიმე წინააღმდეგობას გამოიჩენდნენ და მამასახლისის აზრს არ მიიღებდნენ, იმათაც ზრდილობიანად დაითხოვდნენ ხოლმე,

ნულარ შესწუხდებითო — და მამასახლისი თავისებურად განაგებდა ყველაფერს.

სულ უკანასკნელ მოხელეს ვისმე რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა პატიოსან, ყველასაგან პატივცემულ მამულიშვილისთვის, ვერ უჩივლებდა, ვიდრე სახელმწიფო რჩევისაგან ამის ნებას არ აიღებდა. და რადგან მთელ საფრანგეთში ყველა მოხელე პირველი კონსულისაგან იყო სამსახურში ჩარიცხული და სახელმწიფო რჩევის წევრებსაც იგივე პირველი კონსული ირჩევდა, თავის დღეში არავის აძლევდნენ ნებას ჩივილისას. იძულებული ვიყავით შინ ვყოფილიყავით, ყველას მოვრიდებოდით და, თუ გარეთ გამოვიდოდით, მდაბლად თავი დაგვეკრა ყველა ჯაშუშისთვის, თორემ რომ გაგვჯავრებოდა და კაი-კაი სილებიც შემოეთავაზა, ხმას ვერ ამოვიღებდით. პასუხს გავცემდით და, ისე ჩაგვალპობდნენ ციხეში, თითქო ცოცხალი დამარხესო. ყველაფერში ასეთი იყო ნაპოლეონის წესწყობილება; სათავეში პირველი კონსული ბრძანდებოდა გამოჭიმული და ყველაფერი იმისაგან გამომდინარეობდა, როგორადაც სხივოსან მზისაგან.

ერი მარტო იმისთვისღა იყო, რომ ბონაპარტისთვის ფული და ჯარი მიერთმია. არც ერთი ხალხი არ დაცემულა თავის დღეში ისე, როგორც მაშინ ჩვენი ხალხი დაეცა.

XVI

რაკი თავისებურად მოაწყო ყველაფერი და რამდენიმე აჯანყებული კაცი დაახვრეტინა, მერე თავის განზრახვის ასრულებას შეუდგა და დიჟონის ახლო დაუწყო ჯარებს მოგროვება. მერმე გადავიდა იტალიაში, რამდენჯერმე დაამარცხა ავსტრიელები და ისე გაუჭირა საქმე, რომ შეეხვეწნენ, — მოვრიგდეთო. უნდა გენახათ, რა დიდებით დაბრუნდა გამარჯვებული ნაპოლეონი!

ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ისე გაეგნენ ფეხქვეშ, თითქო ადამიანიშვილი კი არა, ღვთაება არისო. ლოცულობდნენ და თაყვანსა სცემდნენ. მაგრამ ესეც არ იკმარა: მაინც ხომ მუხლმოდრეკილი დგას ჩემს წინაშე ეს ხალხიო, ბრძანა ნაპოლეონმა, და ბარემ ძველებური დიდებაც აღვადგინო და ხელმწიფური სხივი მოვფინო ჩემს გვარსაო! და როგორადაც უწინ იყო, რომ ათასობით ახლდნენ მეფეს და დედოფალს მოსამსახურენი და მოახლენი, ისე ბონაპარტმა დააწესა; ზოგს წითელი ტანსაცმელი ჩააცვა, ზოგს ცისფერი, ზოგს მწვანე, სულ ოქრომკედით ნაკერი... თითონაც რომ ვერ მოეხერხებინა. გახიზნულები მოუხერხებდნენ, ის გახიზნულები, რომლებიც ისევ საფრანგეთისკენ მოეშურებოდნენ. ხალხს ოფლი ცდის და ოფლის სუნი უდისო!.. გახიზნულები კი... იმისთანა სუნნე-

ლოვან წყლებს ისხურებენ, რომ საამურია მათი საზოგადოება... ნაპოლეონმაც მეფური დიდების მოწმე დიდებულნი ირჩია! დიდებულნი ხართ და მე რომ მახლდეთ, მეც დიდებულ მეფეთა შორის ჩავირიცხებიო. ხალხის შვილნი კი, რომელთაც ვაჟკაცურად ებრძოლათ სამშობლოს განდიდებისთვის, აღარ ინდომა და ყველანი მოიშორა. დაითხოვა აგრეთვე რევოლუციის მომხრე მღვდლები და პაპს დაუმორჩილა ეკლესია. კვეხულობდა კიდეც, თვით სახელმწიფო საბჭოში:

— ჩემი პრეფექტებით, ჟანდარმებით და მღვდლებით, რაც მინდა, იმას ვიზამო!

და მართალიც იყო: რასაც მოინდომებდა, იმას იზამდა.

მაგრამ კმარა! ნაპოლეონის ეგოიზმმა მოკლა ჩვენში აზრი თავისუფლებისა, თანასწორობისა და კაცობრიობისა; ნაპოლეონის ეგოიზმმა წურბელასავით ამოსწოვა სისხლი საფრანგეთს და ორ მილიონ ნახევარი კაცი იმსხვერპლა, რომ მათ ნაშთებზედ დაემყარებინა თავისი და თავის შთამომავალთა დიდება; ნაპოლეონის ეგოიზმმა განაახლა ჩვენში უწინდელი ხარისხები და ბარბაროსული განაწილება ერისა სხვადასხვა წოდებად; ნაპოლეონის ეგოიზმმა შეაყენა და უკან დასწია საფრანგეთის განვითარება და გადაგვკიდა მთელი ევროპა, რომელმაც ორჯერ შემოუსია ჩვენს უბედურს სამშობლოს ყაზახები, გერმანელები და ინგლისელები. ეგოიზმი ნაპოლეონისა იმისთანა საგანი არ არის, რომ იმაზედ შეჩერება სასიამოვნო იყოს.

შოველი გულგრილად უყურებდა ამ ამბებს; პირმოკუმული და თავდაღუნული დასცქეროდა მიწას, თითქო რაღაც საშინელი უდგას თვალწინო. ხანდახან თუ გაბედავდა ბედის დამდურებას:

— რა უბედურებაა ამოდენა ხანი ცხოვრება! ნეტავი ლანდაუში მოვმკვდარიყავ, როდესაც ზარბაზნების ჭექა ისმოდა და აღტაცებული ხალხი მარსელურს მღეროდა!

დროს სულ ბავშვებთან ატარებდა. პეტრეს და ანიკოს მესამეც ბიემატა, პატარა მიშელი. პეტრეს თითონა ზრდიდა და უნდა გენახათ, როგორ უხაროდა, როცა შვილიშვილი მოსწრებულ პასუხს მისცემდა, მეტადრე ადამიანის უფლებათა შესახებ კითხვაზე.

— რა არის ადამიანი, პეტრე? — ჰკითხავდა შოველი.

— ადამიანი არის ჭკუიერი და თავისუფალი არსება.

— ყოჩაღ, ბიჭო! მოდი ერთი გაკოცო!

გადაჰკოცნიდა და ისევ ბოლთას მორთავდა.

მარგალიტა ძალიანა სწუხდა მამის ასეთ ყოფას. მეტი მწუხარებაღა იქნება, ადამიანს ეჭვი ერეოდეს: ღმერთი რომ ყოფილიყო, ამოდენი უბედურება არ დატრიალდებოდა წუთისოფელშიო.

დიაღ, ხშირად გვითქვამს ეს სიტყვები. იმისთანა გაჭირვება მოგვაყენა ნაპოლეონმა, რომ 15 წლის განმავლობაში ყოველი პატიოსანი კაცი ამას იძახდა: ღმერთი რომ ყოფილიყო, ამდენ ტანჯვას ბოლოს მოუღებდაო. ან როგორ არ გვეთქვა? სასულიერო წოდებამ და პაპმა, რომელიც ჯვარცმულმა თავის მაგივრად დასტოვა ქვეყნად, რათა სიმართლე არ დაიჩაგროს უსამართლობისაგან, მუხლი მოიყარეს ნაპოლეონის წინაშე და ხელზედ ემთხვივნენ. ნაპოლეონმა სასულიერო წოდება და პაპის უფლებანი აღადგინა, ისინიც სამაგიეროდ თაყვანსა სცემდნენ ახალს ხელმწიფეს.

ამ გვარად ჩემს დროში ხალხმა თავის თვალითა ნახა კეისარი და მასთან სასულიერო წოდება, რომელსაც ერთადერთ სალოცავად ხორციელი სიკეთე გაეხადა და მისთვის ენაცვალებინა საიქიოც და სულიერი განსვენებაც.

მაგრამ უზენაესი არსება ზედ დაგვცქერის, როგორადაც ქვეყნის მანათობელი მზე. ზედ დაგვცქერის თავის შვილებს და ხშირად გვამხნევებს კიდეც:

— ნუ გეშინიათ!... ნუ შეუშინდებით დღიურ ვარამს! მე ვარ თქვენი მფარველი. თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა — ჩემი კანონებია და, თქვენი ძვლებისა მტვერიც რომ აღარსად იყოს, მე მაინც შთაგბერთ თქვენ სიცოცხლეს და გაჩვენებთ სიმართლის გამარჯვებას. მაშ რისა გეშინიათ! ყველას თავისას მიუწყავს მომავალი და მეტადრე იმათ, ვინც სიმართლის დამამხობელია! მე ყველასა ვხედავ, ყველასა ვსჯი და იცოდეთ, მალე მოეღება ბოლო უსამართლოთა ბატონობას.

დასასრულ მინდა ერთი საშინელი ამბავი გიამბოთ, რომელიც პირად ჩემს ოჯახს შეეხება, მაგრამ იმისთანა საზარელი რამ არის, რომლის მსგავსს დღეს სიზმრადაც, ვეღარსად ნახავს კაცი, თუ არ პირვანდელ, ბარბაროსულ ხალხებში, სადაც კანონი, სამართალი და თავისუფლება ჯერ არავის მოლანდებია.

მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა ახალი კონსტიტუცია გამოაცხადა, რომელმაც მას მიანიჭა ერის ყოველი უფლება, შოველი დარწმუნდა, რომ რესპუბლიკას უკვე აუგეს ანდერძიო, და გაჩუმებული იყო. პოლიტიკაზე ხმას არ ვიღებდით; ვაჭრობა კარგი გვქონდა, სამივენი მუშტარს ვუნდებოდით და საქმეში ვერთობოდით. ნათლიაჩემი მაშინვე მიემხრო ახალ კონსტიტუციას: — გლეხკაცობას გახიზნულთაგან შესყიდულ მამულს არავინ ედავება და, მაშასადამე, ამაზე უკეთესი აღარა იქნება რაო... რევოლუციის საშინელი არეულობის შემდეგ ჯერ რიგიანი წესწყობილება შემოვიღოთ და ადამიანის უფლებანიც თან მოჰყვებიანო...

დაბერდა ნათლიაჩემი!.. ეს ვერ მოუთმინა შოველმა და ერთ საღამოს ჩვენს სამკითხველოში რამდენიმე მწარე სიტყვა აკადრა ამის შესახებ, რომ მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო.

ნათლიაჩემს მას შემდეგ აღარ გაუვლია ჩვენსა. მე სიყვარულით მომესალმებოდა, სადაც კი შემხვდებოდა, და მეტყოდა:

— არ ვემდური შენს სიმამრს, ჩემო მიშელ, არ ვემდური, მაგრამ ვერიდები კი. რა ვქნა? შეუძლებელია იმასთან ლაპარაკი! როგორღაც გაავდა ამ ბოლოს დროს, აღარც ხათრი იცის კაცისა, აღარც რიდი და პატივისცემა.

მე კი ვფიქრობდი ჩემს გულში:

— გაავდა კი არა, მართალი გითხრა და ის გეწყინა, იმიტომ გწყინს, რომ პასუხი ვერ მოგიხერხებია.

კვირაობით მამაჩემი ყოველთვის ჩვენსა იყო სადილად; იმისთვის რომ გეკითხათ, ქვეყნად სიმართლე მაშინ დამყარდა, როდესაც ამისი შვილები ფეხზე წამოდგნენ და აღარა უჭირდათ რა.

შოველს ძალიან უყვარდა იგი და პატივსაც სცემდა, თუმცა პოლიტიკაზე თავის დღეში არ ელაპარაკებოდა. სტეფანე, რამდენიმე თვე იყო, რაც სტრასბურგში იყო სიმონთან ვაჭრობაში გასაჩვევად. სრულიად მარტონი ვიყავით, დუქანში გართულნი, ისე რომ ჩვენი ძველი მეგობრები და პატრიოტებიც კი აღარ მოდიოდნენ საღამოობით სალაპარაკოდ. ვინც უწინ ყველაზე მეტსა ყვიროდა, ეხლა ყველაზე მეტად ფრთხილობდა და იმალებოდა.

24 დეკემბერს, 1800 წ. საღამოს 8 საათზე წმინდა ნიკეზის ქუჩაში, როდესაც ნაპოლეონი ოპერაში მიდიოდა, გზაში ერთი დატვირთული ურემი დახვდა, და გვერდით რომ გაუარა, ურემზე თოფის წამალმა იფეთქა და 52 კაცი დახოცა და დააზიანა.

პარიზელი გაზეთები 13-ვე ერთხმად ამტკიცებდნენ, ნაპოლეონის მოკვლა იაკობელებს უნდოდათო. და დამეთანხმებით, რომ სიფრთხილისა და სიჩუმის მეტი აღარა დაგვრჩენოდა რა იმ დროში.

ერთ საღამოს 11 იანვარს... რა ადვილად გვაგონდება ის დღეები, როდესაც მწუხარება გვწვევია!... სამკითხველოში ვისხედით და რაღასაც ვლაპარაკობდით. მარგალიტამ ის იყო დააწვინა მიშელი და ანიკო; პეტრე კი იქვე იჯდა მაგიდასთან — ჯერ არ მეძინებაო, და ზედ მაგიდაზე კი მისძინებოდა; გარეთ საშინელი ქარი ქროდა. შოველი ქაღალდის პარკებს სჭრიდა, მე და მარგალიტა წებოს ვუსვამდით. ათი საათი რომ დაჰკრა, მარგალიტამ მძინარე პეტრე აიყვანა და საწოლ ოთახში ავიდა.

ის იყო ავიდა კიბეზე, რომ საშინელი ხმაურობით შემოაღო ვიღამაც დუქნის კარები და რამდენიმე კაცი გამოექანა ჩვენკენ,

უცხონი იყვნენ, პოლიციის ტანისამოსით. მანამ გონებაზე მოვიდოდით, შემოვარდნენ სამკითხველოში და ერთმა მათგანმა, რომელიც უფროსი უნდა ყოფილიყო, უბრძანა სხვებს:

— ემაგას ვეძებდით, აი! მე კარგად ვიცნობ მაგას! დაიჭირეთ!

შოველს ფერი ეცვალა, მაგრამ მაინც მაგრა დაუხვდა:

— მე უნდა დამიჭიროთ? რისთვის? ან რა უფლებით? გაქვთ კი ამისი ბრძანება? კონსტიტუციის 76 და 81 მუხლის ძალით...

— კმარა, კმარა, — შეუტია პოლიციელმა, — მე შენი მუხლებისა არა ვიცი რა! შეჰკარით!

ამასობაში გონებაზე მოვედი და ჩემს ხმალს გადავხედე, რომელიც იქვე კედელზე ეკიდა. თითქო მიმიხვდაო პოლიციელი, მომიბრუნდა და მითხრა:

— შენ ეი... ეცადე ჭკვიანად იყო, თორემ უბედურება შეგემთხვევა... ჩამოიღეთ ეგ იარაღი! — უბრძანა თავის ბიჭებს. — აბა გასაღები! სახლი უნდა გავჩხრიკოთ!

ორმა პოლიციელმა ხელები დამიჭირა. წამოვიწიე, დავძარ კიდეც ის წუწკები, მაგრამ მესამე უკანიდან მწვდა კისერში და გამაკავეს: შოველი უკვე გარეთ გაეთრიათ და გარედან შემომესმა იმისი ხმა:

— თავი დაანებე, მიშელ, ნუ გაუძალიანდები. თორემ მოგკლავენ.

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები საწყალი მოხუცისა.

რაღას გავუძალიანდებოდი, ხელები ზურგთ უკან გამიკრეს, კაი კაი წიხლები დამაზილეს და ისე მიმაგდეს სადღაც კუნჭულში.

— თავი დაანებეთ, — დაუყვირა უფროსმა. — აგერ რამდენი გასაღები ვიპოვე! შენ ეი! არ გაინძრე, თორემ ვაი შენი ბრალი!

დამტვრეული ვიყავ, შეგნება აღარაფრისა მქონდა. ვხედავდი, რომ მთელი სახლი არიე-დარიეს, ყველა ყუთები და ზანდუკები გადმოაპირქვავეს, ქაღალდები გადაარჩიეს. უფროსი იქვე, ჩვენს მაგიდასთან იჯდა და რაღასაც სწერდა, სხვები სახლსა სჩხრეკავდნენ. მომერია ბრაზი, ტკივილი, მწუხარება, სასოწარკვეთილება, ამეშალა ჩემი ძველი სენი და წამსკდა პირიდან სისხლი. შეგნება აღარაფრისა მქონდა, თუმცა ყველაფერი მესმოდა, ყველაფერს ვხედავდი... უფროსი ბრძანებას აძლევდა:

— აბა ეგ ყუთი გამოსწიეთ! გადმოყარეთ! რატომ კარს არ მიხურავთ, გაიყინა აქაურობა! ცეცხლი მაინც იყოს ბუხარში! დოშაკები გასინჯეთ! დასჭერით, გადმოყარეთ მატყლი! ახლა ბალიშები! ეგრე!

მერე თახჩიდან ერთი ბოთლი არაყი გადმოიღეს და იქვე სმა

დაიწყეს. შოველის ბურნუთის კოლოფი იქვე დარჩენილიყო და ერთმანეთსა სთავაზობდნენ.

გამოცალეს ბოთლი და წავიდნენ. შუაღამე გადასული იყო, პირველი საათი იქნებოდა. მინდოდა ავმდგარიყავ, მაგრამ მუხლი აღარ მიჭრიდა. ცოცვით მივედი კარებამდე და ფეხი რაღასაც რბილს წამოვკარ. დავეწოდე... მარგალიტა იყო! მეგონა მკვდარია-მეთქი და უცბად მოვიკრიბე ძალ-ღონე. ხელები გამოვიხსენ, ავწიე, შევიყვანე ოთახში და ლოგინზე დავაწვინე.

როცა მოკეთდა, მიამბო: მამაჩემის ხმა შემომესმა — მშვიდობით, შვილებო, მშვიდობით!.. მერე ეტლის გრიალი... და გული წამივიდაო.

ეს მერე მიამბო, როცა ინება ღმერთმა და გონებაზე მოვიდა, თორემ კარგა ხანი ისე ავად იყო, რომ იმის მორჩენის იმედი აღარა გვქონდა და თანაც გვეშინოდა, ჭკუაზე არ შესცდესო.

დიაღ, დავაწვინე ლოგინზე და მაშინვე ექიმის მოსაყვანად გავიქეცი. მოვიდა, გასინჯა, თავი გაიქნია და სთქვა:

— ფუ, შეარცხვინათ ღმერთმა ის შეჩვენებულნი!

ამას ჩვენი მამასახლისი მოგახსენებდათ... რა ექნა მოხელეს, როგორ მოეწონა ის, რასაც სინდისი უწუნებდა?

ის იყო და ის, მას შემდეგ შოველისა აღარა გაგვიგია რა.

ბევრი იტირეს იმ ღამეს ჩემმა ბავშვებმა. მეორე დილას ისე ჰოდიოდნენ ჩვენს სანახავად, თითქო სახლში მიცვალებულია და სამძიმრის სათქმელად მოდიანო. შოველისას არავინ რას კითხულობდა, გასაგონადაც კი საზარელი იყო ეს ამბავი. ეშინოდათ კიდეც, რადგან ნაპოლეონს ებრძანებინა სახელმწიფო რჩევისთვის:

— საქმის გამოძიება ძალიან გაგრძელდება და მე კი მინდა ელვასავით სწრაფი იყოს ამ საზარელი შეთქმულობის სასჯელი. სისხლი, სისხლი, რომ მეშვიდე თაობამდე არ დაავიწყდეთ ჩემი რისხვა! რამდენიც იმათ კაცი მოკლეს, მე იმდენსავე დავახვრეტინებ და ათჯერ იმდენს კიდევ კალედონიაში გავისტუმრებ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზედ არის ნათქვამი: „ამ გარემოებას ვოვიმიზეზებ და გავწმინდავ რესპუბლიკას“...

— „ვინ განიზრახავდა ჩემს მოკვლას, თუ არ ის ყაჩაღები, რომელნიც რევოლუციის არეულობით სარგებლობენ და ქვეყანას იკლებენ? ახლა მე მიყურონ! წამოვუსვამ ხელს და ისე გავუხდი საქმეს ბრალიანს და უბრალოს, რომ ერთმანეთს თითონვე აბეზღებდნენ. მე თუ ჩემებური სუსხი არ გამოვიჩინე, რიგზე ვერ დავაყენებ ამ ხალხს. უნდა დავსაჯო, სასტიკად უნდა დავსაჯო ზოგნი, რომ დანარჩენები ჭკუაზე მოვიყვანო. უნდა შევაშინო ამ ყაჩაღების

მომხრენი, რომ უარჰყონ იგინი და თავ-თავის საქმეს შეუდგნენ. ულირსი ჭიქნები იმ წმინდა მოვალეობისა, რომელიც მე ვიტვირთე, თუ გულჩვილად მოვიქეცი და სასტიკად არ დავსაჯე დამნაშავენიც და მათი თანამგრძნობელნიც. საფრანგეთი და მასთან მთელი ევროპა მასხარად აიგდებს ჩვენს მართებლობას, თუ იმავე კანონებით დავსაჯეთ შეთქმულნი, რომლითაც უბრალო კაცისმკვლელებს სჯიან. ეს საქმე სახელმწიფოს შეეხება და სულ სხვაფრივ უნდა იქნას განსჯილი. დარწმუნებული ვარ, თუ დღეს სასტიკად არ მოვიქეცი, ჩემს დღეში ვეღარ დავიმორჩილებ ამ ხალხს. ისეთი სასჯელი უნდა მივაყენო, რომ საუკუნოდ დავავიწყო მეფის და ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულობა“.

როგორც ხედავთ, ბონაპარტი ჩვენ გვაბრალებდა აფეთქებას და ყაჩაღებს და ქურდებს გვიწოდებდა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ასაფეთქებელი მანქანა იაკობელებმა კი არა, ინგლისისაგან შესყიდულ მეფის მომხრეებს გაეკეთებინათ. არ შეიძლებოდა ეს არ სცოდნოდა, რადგან ნამდვილი დამნაშავენი დაჭერილი ჰყავდა და ცოტა ხანს უკან დაახოცვინა კიდეც. მიუხედავად ამისა, მაინც იაკობელებს სწამებდა ყველაფერს. შოველი ყაჩაღი იყო, ქურდი, რესპუბლიკის მტერი, და თითონ ბონაპარტი კი პატიოსანი კაცი ბრძანდებოდა. მაინც ყოველთვის ასე იცოდა: ვისაც კი მოიძულებდა, მაშინვე იმას შესწამებდა, რესპუბლიკის მტერიაო! საერო კრებასაც და გამგეობასაც ნაპოლეონმა იმითი აჯობა, რომ ცილი დასწამა, რესპუბლიკის დამხობას ცდილობენო. რესპუბლიკის ერთგული მარტო თითონ ბრძანდებოდა, და სხვა არავინ!

ასოცდაცამეტი მამულიშვილი გაგზავნეს კალედონიაში პირველი კონსულის ბრძანებით და ხუთს თავი მოსჭრეს გილიოტინით. შემდეგში ხშირად უთქვამს ნაპოლეონს, ამ გადაწყვეტილებამ დაიფარა რესპუბლიკა, რადგან მას შემდეგ მართებლობის წინააღმდეგობა ფიქრადაც აღარავის მოსვლიაო. მართალია, წინააღმდეგობას ვერავინ ჰბედავდა, მაგრამ მადლიერი და მომხრეც კი აღარავინ ჰყავდა! და ისე მოადგნენ პარიზს შეერთებული ჯარები რუსებისა, გერმანელებისა და ინგლისელებისა, რომ ხალხიდან აზრადაც არავის მოსვლია იარაღის აღება და სამშობლოს დახმარება. ხალხს სულს უდგამს და ერად ხდის თავისუფლება და თანასწორობა. სადაც დათრგუნვილია თავისუფლება და თანასწორობა, იქ აღარც ეროვნული თვითშეგნებაა და აღარც სამშობლოს სიყვარული.

მაგრამ დროა დავაბოლოო ეს გრძელი ისტორია.

არ გასულა დიდი ხანი, ნაპოლეონმა ხელახლა დააწესა იგივე წყობილება სასულიერო წოდებისა, რომელიც რევოლუციის წინ

იყო და რომელიც რევოლუციამ გააუქმა. იგივე ეპისკოპოსები, მონასტრები, ბერები, საეკლესიო გადასახადი და სხვანი და სხვანი. ხელი ხელსა ჰბანსო, ამის სამაგიეროდ პაპმა პიი მეშვიდემ შიგ პარიზში უკურთხა მას სამეფო გვირგვინი... ეგონა, ქვეყნის მპყრობელი მეღა ვარო. მთელს ევროპასთან ომი ჰქონდა. ის ბატონი იყო, და ჩვენ... ჩვენ მწველელ ფურად მივაჩნდით და ისე წელიწადი როგორ გავიდოდა, რომ სამასი ათასი კაცი მაინც არ გაეყვანა ჯარში. ახლა ფული ბრძანეთ თქვენ, იმოდენა ომებს ფული არ უნდოდა? იმისთანა ხარჯი გვედო, რომ სანატრელად გვქონდა ბატონყმობის დრო. გატყავდა, გაღატაკდა ხალხი. ბრძოლის ველზე დაიხოცა ვაჟკაცობა, შინ ქალები და უძლურნიღა დარჩნენ. ნაპოლეონი კი დათარეშობდა და სისხლის ღვარს აგუბებდა მთელს ევროპაში.

უნდა გენახათ იმ დროის ჯარისკაცი, რომ დარწმუნებულიყავით, რა გარყვნილება და გახრწნილება შეჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში ჩვენს ახალ ხელმწიფეს. უნდა გენახათ, რა ზიზღით ექცეოდა ჯარისკაცი მუშას და მოქალაქეს. იტყოდით, ჯარისკაცი ხალხის შვილი კი არა, სულ სხვა მოდგმის კაცია და სულ სხვა, დაწმენდილი ანკარა სისხლი უდგასო. გლეხკაცი, მოქალაქე, ვაჭარი მარტო იმიტომ გაეჩინა ღმერთს, რომ ეშრომათ და ჯარი ეცხოვრებინათ. — ჩვენ ბრძოლა და ქეიფიო, იძახდნენ ჯარისკაცნი, და ისპანიაში, გერმანიაში, პოლონეთში და იტალიაში ძარცვა-რბევას ჩვეულთ წმინდა აღარა გააჩნდათ რა და სამშობლოც დასარბევ ქვეყნად გაეხადათ. ვიღას ახსოვდა თავისი სოფელი, მაზრა, დედ-მამა და ნათესაობა? დიდი და პატარა იმასღა ცდილობდა, ხელმწიფე-იმპერატორის გული მოეგო და წარჩინება მიეღო რამე.

სამწუხარო კიდევ ის იყო, რომ გულში უნდა დაგვეტრიალებინა ამოდენა ჩვენი ვარამი. მაგრამ რა! თევზი ხომ არ ვიყავით, პირში წყალი ჩაგვეყენებინა. ხშირად მოხდებოდა, გაივსებოდა ფიალა მოთმინებისა და ღირსეულ პასუხს ვახლიდით თავხედთ. სულ იმას მეხვეწებოდა მარგალიტა, — გაფრთხილდი, არა წამოგცდესრაო, მაგრამ მაინც ვერ შევიკავებდი თავს და ერთი ორჯერ ხმალში გასვლაც მომიხდა დასამტკიცებლად იმისა, რომ 1792 წლის ხმალი ჯერ ისე არ დაჩლუნგებულიყო, რომ 1808 წლის ხმალისთვის ვერ ეჯობნა. ეხლაც მეტყობა ჭრილობა, მაგრამ არც ჩემს მოპირდაპირეთ დავაყარე სიკეთე.

ჩემი დროისა ჯერაც ბევრნი არიან და ისინიც დამემოწმებიან, რომ იმისთანა სამარცხვინოდ დამდაბლებული თავის დღეში არ ყოფილა ჩვენი ხალხი. რუსის ჯარმა გადმოვლო მთელი ჩვენი ქვეყანა, დონელმა ყაზახებმა გადმოთელეს საფრანგეთი და ისინიც კი ვერ

უბედავდნენ ჩვენ ქალ-რძალს იმას, რასაც ჩვენივე ჯარისკაცნი გვიშვრებოდნენ. ნაპოლეონის ჯარმა ძარცვა-რბევით დაიწყო თავისი მოღვაწეობა და ბოლომდე არ დაუშლია იგი. რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არ სმა-ჭამა კეთილი, ლამაზი გოგოები და ფულიო! იძახდა ეს ჯარი და... როცა მოედება ხოლმე ღვარძლი მთელ ყანას, რომ პური პურად აღარა ვარგობს, ეს ყველამ იცის.

ხალხიც გაიყოლია ავმა მაგალითმა. ჩვენისთანა მდიდარი, ყველაფრით შემკული ქვეყანა განა გარეთ უნდა ეძებდეს რასმე? რას იტყვის ენა, რომ შინ არა გვქონდეს, — პური, ღვინო, ცხვარი, ყოველნაირი წარმოება და მრეწველობა. შრომა და ყაირათი, თორემ ჩვენისთანა ბედნიერი სხვა არავინ იქნებოდა. ჩვენდა საუბედუროდ, ბონაპარტი სულ სხვაფრივ სჯიდა და შრომის ყაირათის ნაცვლად ყაჩაღობას და ძარცვა-რბევას ასწავლიდა ჩვენს ჯარებს. ომი რომ ატყდებოდა, წინადვე ანგარიშობდნენ, რას წაართმევდნენ დამარცხებულ მტერს, რას გადაახდევინებდნენ „საბრიყვოს“ და რამდენს მოიტანდნენ ნადავლს. მოდიოდა და მოდიოდა დატვირთული ურმები. თან ჯარისკაცები მოსდევდნენ და იძახდნენ:

— იქით! ეს ურმები ამა და ამ მარშლისაა, ან გენერლისა.

მერე ჯარი მოდიოდა სავსე ჯიბეებით და გუდებით.

ღმერთო, ღმერთო! იმოდენა სისხლი დავღვარეთ სიმართლის და სათნოების აღსადგენად და ყაჩაღებად კი ვიქეცით.

იმოდენა აღმართს დაღმართიც უნდა ჰქონოდა. თქვენ უკვე გეცოდინებათ, რომ მოსწყინდათ ევროპელებს ჩვენი თარეში, შეერთდნენ რუსები, გერმანელები, ინგლისელები, სვედელები. იტალიელები, ესპანელები და ისე გაგვიხადეს საქმე, რომ უკანვე წაგვართვეს, რაც იმათში გვეშოვა, და ერთი მილიარდიც კიდევ მეტი, ესე იგი ათასი მილიონი. დაიჭირეს საფრანგეთი, ყველა ციხე-სიმაგრეში თავისი ჯარები ჩააყენეს, წაგვართვეს, რაც კი შეძენილი ქვეყნები გვქონდა, და აღარ მოგვშორდნენ, ვიდრე უკანასკნელ გროშამდე არ გადაგვახდევინეს შემოწერილი ხარჯი.

აი, რა სიკეთე დასდო საფრანგეთს ბონაპარტმა.

მაგრამ თავი დავანებოთ, თორემ ვინ იცის რამდენი მაქვს კიდევ სათქმელი. დავუბრუნდეთ ჩემს ისტორიას.

რაღა საჭიროა მოგახსენოთ, რა აზრისანი ვიქნებოდით მე და მარგალიტა ბონაპარტზე, მას შემდეგ, რაც შოველი მოგვტაცეს და ისე გააქრეს, რომ იმისი აღარა გაგვიგია რა. არც იმას მოგახსენებთ, როგორ ვიტანჯებოდით, როდესაც ბავშვები ჩაგვაცივდებოდნენ, — პაპა რა იქნაო? და ხეირიან პასუხის გებას ვერ ვახერხებდით. ჩემი ცოლი ამ სევდამ მოიდნო. თხუთმეტი წელიწადი სულ იმის ფიქრში

იყო, — ნეტავ მამაჩემს რა უყვესო? ფერზე მაშინ მოვიდა, როდესაც ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე დაამწყვდიეს და მით მოუღეს ბოლო მის მტარვალობას. მაგრამ მანამ ნაპოლეონს დაიჭერდნენ, კიდევ ბევრი სხვა ტანჯვა მოგვაყენა.

1802 წელს ნაპოლეონმა ერთი უწინდელი კონვენტის წევრად ნამყოფი, სენტანდრე გამოგზავნა მაინცში ყაჩაღების დასასჯელად, რომელნიც რეინის გაღმა-გამოღმა მხარეს იკლებდნენ. 70 კაცი იყო დაჭერილი და მათ შორის ჩემი ძმა ნიკოლოზი. კიდევ კარგი, რომ დიდი ხანი იყო, გულიდან ამორეცხილი მყავდა. მე ყოველთვის იმ აზრისა გახლდით, რომ ყოველ ჩვენგანს მარტო საკუთარი თავისი საქციელი უნდა ეძრახოდეს და არა ნათესავებისა, თორემ რამდენი ოჯახია, რომ ზოგი კარგი შვილი ჰყავს, ზოგი ავი, ზოგი ჭკვიანი, ზოგი რეგვენი; მოდით თქვენ და ავის გამო კარგსაც ავი უწოდეთ. დიაღ, მე და ჩემმა ცოლმა არაფრად მივიჩნიეთ ეს ამბავი, მაგრამ საწყალი მამაჩემი კი თან გადაიტანა მწუხარებამ: გაიგო თუ არა, მაშინვე ლოგინად ჩავარდა და ის იყო და ის, ვეღარ მოიხედა. რამდენჯერაც კი ავედი სანახავად, სულ ნიკოსა სტიროდა:

— ეჰ, მიშელ! ნეტავი ღმერთმაც ისე შეუნდოს, როგორც მე შემინდვია.

საწყალმა მამაჩემმა თქვენი ჭირი წაიღო 1803-ს. ბევრი ვეხვეწე დედაჩემს, — წამოდი, ჩვენთან იყავ და შენი შვილიშვილები დაზარდე-მეთქი; არ ინდომა: დადიოდა მთელ ალზას-ლორენში და ყველა ეკლესიაში და მონასტერში ნიკოლოზის სულს ავედრებდა ღმერთს. რამდენიმე თვის შემდეგ ამბავი მოგვივიდა, სენტოდილში მოკვდა და იქვე დაასაფლავეს ქრისტიანულადო. იქაურ მღვდელს მაშინვე გავუგზავნე საწირავი. ძალიან ვინანე, ღვთის წინაშე... იქნება ისე არ მენანა, ერთმანეთში ტკბილი განწყობილება რომ გვქონოდა. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ათ წელიწადს კიდევ იცოცხლებდა, ცხონებული.

ამგვარად ნელ-ნელა გვაკლდებოდნენ ოჯახის ბურჯნი და აგრეთვე მეგობრებიც. სომისაც დიდი ხანი იყო აღარა ვიცოდით რა: მოკვდებოდა სადმე ბრძოლის ველზე. მარესკო და ელისაბედი კი ძალიან კარგად იყვნენ და ძალიან წარჩინებულნიც ბრძანდებოდნენ. იმდენად წარჩინებულნი, რომ ჩვენ აღარც კი ვაგონდებოდით. ცოლიც და ქმარიც ბონაპარტის მომხრენი იყვნენ და ჩვენ კი რესპუბლიკის მომხრებად დავრჩით. მიწერ-მოწერა აღარა გვქონდა, — აბა რაღას გვიკადრებდნენ, — მაგრამ გაზეთებიდან ვიცოდით იმათი ამბავი: „ბარონ მარესკოს მეუღლე დღეს... მაღაზიაში ბრძანდებოდა!..“ ეწერა გაზეთებში, „ბარონი მარესკო თავისი მშვენიერი მე-

ულლითურთ წუხელის სასახლეში იყო საღამოზე მოწვეული...“ ერთი სიტყვით, ჩემი და თავის ქმრით დიდებულნი, სასახლეში მიღებულნი, და სასურველი სტუმრები ბრძანდებოდნენ.

ნათლიაჩემს ჯერ არა უშავდა რა. ჩვენს სოფელში სამჭედლოს თავი დაანება და თავის პიკჰოლცის მამულში გადავიდა. ნათლი-ჯალაბი, ნიკოლი, ჩემი ძმა კლოდი და ჩემი და მატურინიც იქა ჰყავდა. ყოველ ბაზრობა დღეს ქალაქში ჩამოდიოდა და ყველაფერს ჩვენსა ვაჭრობდა. ძალიან აწუხებდა შოველის დაჭერა, მით უფრო, რომ თავდაპირველად ბონაპარტს ამართლებდა, — წესრიგი აკლია ჩვენს ცხოვრებასო, იძახდა... შესყიდულ მამულს არავინ გვედავებაო... მაგრამ შოველის დაჭერა რომ გაიგო, მაშინვე ჩამოიჭრა და ისე სწუხდა, თითქო საყვარელი ძმა დაუკარგავსო. მარგალიტასთან ვერა ბედავდა შოველის ხსენებას, მაგრამ მარტონი რომ დავრჩებოდით, მაშინვე იმის ამბავს მკითხავდა:

— ხომ არა გაგიგია რა, მიშელ!?

— არა, არაფერი!

— დასწყევლა ღმერთმა, რა უყვეს იმ კაცს? რა ღმერთი გამიწყრა, რომ არ დავუჯერე, როდესაც მეუბნებოდა, — ნაპოლეონი მტარვალია და არა ქვეყნის ერთგული მოსამსახურეო.

ძალიან უყვარდა ჩვენი ბავშვები და სულ იმასა გვთხოვდა, ერთ-ერთი მე მომანდეთ, მე გავზრდიო. სამი ბიჭი მყავდა, ორი ვოგო და თითქმის გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ერთ-ერთი იმისთვის უნდა მიგვეცა: ვიცოდით, რომ ჩვენზე ორა ნაკლებ ეყვარებოდა და კარგადაც გაზრდიდა.

— თუ უნდა, პატარა მიშელი წაიყვანოს, — მითხრა ერთხელ მარგალიტამ. — ჩვენს შვილებში ყველაზე ლონიერი მიშელი არის.

— არა მგონი, მიშელი ინდომოს. არ უთქვამს, მაგრამ ვიცი, რომ პეტრესა გვთხოვს.

— პეტრეს? ვითომდა რადაო?

— იმადაო, ჩემო მარგალიტავ, რომ პეტრე ძალიანა ჰგავს საწყალ მამაშენს.

მარგალიტასაც სწორედ ამიტომ უნდოდა შინ ჰყოლოდა თავისი პირმშო. ბევრი იტირა, მაგრამ ბოლოს დაგვთანხმდა.

გათენდებოდა სამშაბათი და კარს მოგვადგებოდნენ ნათლიაჩემი და ჩვენი პეტრე; სადილს ერთად გიახლებოდით. მარგალიტაც ხშირად ადიოდა პიკჰოლცში პეტრეს სანახავად.

1809 წ. შემოდგომაზედ ნათლიაჩემი ავად გახდა. პეტრე მაშინ 14 წლისა იყო და ის ჩამოვიდა დილაადრიანად: — წამოდი, ნათლია გიბარებს, რაღაცა უნდა გითხრასო. მაშინვე გავექანე. შევხედე თუ

არა, მაშინვე მივხვდი, რომ საწყალი ნათლიაჩემი ამ ქვეყნისა აღარ იყო. ექიმი ხუთჯერ ყოფილიყო ავადმყოფის სანახავად. ნათლიჯალაბი იმისთანადა ქვითინებდა, რომ ეტყობოდა, იმისთვის არაფერი დაემალა ექიმს.

მე რომ მოვედი, ენა აღარა ჰქონდა, უჯრა დამანახვა და მანიშნა,—გააღეო.

გავაღე, შიგ ქაღალდი იყო, მისი ხელით დაწერილი. შოველის შვილიშვილებსო, წაილუღლუღა საწყალმა და ცრემლი წასკდა. უნდოდა, კიდევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ სუნთქვა ეკვროდა.

თითქო მეღა მელოდაო, მაშინვე ბალიშზედ დაეშვა სულთმობრძავი. ცოტა ხანს უკან სულიც განუტევა. მშვიდად, წყნარად მიაბარა ცხონებულმა სული, პირს ღიმილი არ მოსცილებია, იტყოდით თავის სამჭედლოში დგას ჩაქუჩით ხელში და ვალენტინს არიგებსო.

დიდი მწუხარება გამოვიარეთ მაშინ. ნათლიაჩემს მამაჩემის ადგილი ეჭირა ჩემს ცხოვრებაში, შვილივით ვუყვარდი და დიდი სიკეთეც მახსოვდა მისი; მასთან ვიყავ აღზრდილი; სულიერი შვილი ვიყავ მისი.

ამით გავათავებ ჩემს ისტორიას; კმარა თორემ, ვაი თუ სიკვდილმა მისწროს. ჩემი რიგია ახლა. დროა, ცოტა დავისვენო, და საიქაოზეღაც ვიფიქრო.

ნათლიაჩემმა ჩვენ გვიანდერძა, „შოველის შვილიშვილებს“ პიკჰოლცის შამული, იმ პირობით, რომ ნათლი-ჯალაბი, ნიკოლი, კლოდი და მატურინი ჩვენთან უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ცოცხალნი იყვნენ.

ადვილი პირობები იყო, უიმისოდაც აგრე იქნებოდა.

ცოტახანს უკან მე და მარგალიტა პიკჰოლცში გადავსახლდით და დუქანი ჩემს ძმას სტეფანეს დავუთმეთ.

მას შემდეგ ვარ ჩემთვის და მამულს ვუვლი, ღმერთმა თქვენც ნუ მოგიშალოთ წინაპართა სისხლით მორწყული მამულ-დედულის მოვლა და დამშვენება.

რედაქციისაგან

ერკმან-შატრიანი — ლიტერატურული სახელია ორი ფრანგი მწერლისა, ემილ ერკმანის (1822 — 99) და ალექსანდრე შატრიანისა (1826 — 90).

მრავალი ისტორიული რომანი, პიესა თუ ოპერების ლიბრეტო მათ ერთად შეუქმნიათ. დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ელზასში. მათთვის კარგადაა ცნობილი ლოტარინგია, ქ. ფალცბურგის მიდამოები. ფალცბურგი თითქმის ყოველ მათ რომანში გვხვდება, ადგილსამყოფელი მათი გმირებისა მუდამ ამ ქალაქის მახლობლად მდებარეობს.

ერკმანი და შატრიანი დიდის სიმართლით აგვიწერენ ელზასელი გლეხებისა და წვრილბურჟუაზიის ცხოვრებას. ისინი ყველა თავის რომანში მტკიცედ ადგანან ერთ ძირითად გზას, შეხედონ დიდ ისტორიულ მოვლენებს იმ თვალით, რომლითაც უყურებდა ხალხი. ხალხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დუმდა და მწარედ ითმენდა აურაცხელ გაჭირვებას, ხალხი, რომელსაც ძვირად უჯდებოდა სასახლის კარის ინტრიგანების, მოქიშპეების, სამშობლოს გამყიდველების, ბიუროკრატების და მეექრთამეების საზიზღარი მოქმედება.

ერკმანი და შატრიანი თავიანთ რომანებში ცენტრალურ ფიგურებად სახავენ ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს. ეს ადამიანები მკაცრ ანგარიშს უყენებენ თავიანთ თავს იმაზე, თუ რა უშლის მათ ხელს იცხოვრონ ჯანსაღი ადამიანური სიცოცხლით.

ერკმან-შატრიანის რომანებს უწოდებენ ისტორიულს. და ეს სამართლიანიცაა, რადგან ისინი ცოცხლად, მხატვრული ფერებით, ნათლად გადმოსცემენ იმდროინდელი ეპოქის სულს.

ერკმან-შატრიანის რომანებში შეჯახებულია ხალხისა და გაბატონებული კლასების ინტერესები (ციკლი ე. წ. „ნაციონალური რომანებისა" რევოლუციის და იმპერიის მრისხანე წლებზე — „ტერეზა" 1863 წ., „გლეხკაცის ისტორია" (1868 — 70). ავტორები თავგამოდებით იცავენ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებს და ავლენენ თავიანთ უარყოფით შეხედულებას ნაპოლეონ I-ის დამპყრობლური პოლიტიკისადმი.

ეს რომანები ახსენებენ მკითხველს, რომ ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა და ყოველი პოლიტიკური მოვლენის მყარი ფუნდამენტი მაინც ხალხია.

ერკმან-შატრიანის რომანები დიდი პოპულარობით სარგებლობდა 60 — 80-იან წლებში. „ტერეზა" 1868 წლამდე 13-ჯერ გამოიცა, „ეატერლო" — 17-ჯერ, „რეკრუტის მოგონებანი" — 21-ჯერ.

ერკმანისა და შატრიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესები („ძმები რანცაუ", რომელიც 1882 წელს დაიდგა, გამოიცა 1884 წ. და სხვა).

ერკმან-შატრიანის პიესების საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე ოპერა და ერთი ოპერეტა.

თავის დროზე ჩვენშიც დიდის პოპულარობით სარგებლობდა ერკმან-შატრიანის „გლეხკაცის ისტორია". იგი ქართულ ენაზე რამდენჯერმე გამოიცა. ალბათ მკითხველთა შორის ამ წიგნის პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზს მთარგმნელის, განსვენებულ ივ. მაჭავარიანის, კარგი ქართული ენაც წარმოადგენდა.

წინამდებარე გამოცემისას ჩვენ ვისარგებლეთ 1931 წლის გამოცემით.

შინაარსი

გვ.

ნაწილი პირველი

საერო კრება . 3

ნაწილი მეორე

სამშობლოს განსაცდელი 236

ნაწილი მესამე

წელიწადი პირველი რესპუბლიკისა 448

ნაწილი მეოთხე

მამულიშვილი ბონაპარტი 646
რედაქციისაგან 837

რედაქტორი ზ. ჯამასპიშვილი
მხატვარი ვ. ალიმბარაშვილი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები { ც. უნდილაშვილი, ნ. აფხაზავა, ე. ტრიპოლსკაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI-59 წ. ქაღალ-
დის ზომა 60×92 1/16. ნაბეჭდი თაბახი 52,5.
სააღტორო თაბახი 46,99. სააღრ.-საგამომც.
თაბახი 47,73.
უე 03386. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 601.
ფასი 18 მან. 50 კაპ.

*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.